


مكتبة

11

1963



ის ჩვენთანაა, ლენინი,
ის მხეებზე იცოცხლებს დიდხანს.
ის სიტყვას არ აძლევს აგრესორს,
ის ომებს არ აძლევს სიტყვას.

შორს უსამართლო ომები,
ცად რისხვის გარდამკლენი.
მხოფლიოს ხაღს უნდა მძეიდობა,
მხოფლიო ტაშს უკრავს ლენინს.

სესია

138

ბავოციების მეთორმეტი წელი

11

ნოემბერი

1968

თბილისი



ლიტერატურულ-მსახვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

პოეზია

- 3. ზაურ ბოლქვაძე. წითელი მოედანი. ლექსი
- 18. ნაზი კილასონია. საღამო შენ, ჩემო რომანტიკავი ლექსი
- 21. ვანო ჩხიკვაძე. ინფორმაცია ავტობიოგრაფიული შავი ავტობიოგრაფიული ლექსი
- 64. ტარიელ შანტური. სტუმარი. ლექსი
- 67. გიორგი გიგაური. მინერალის ნათქვამი. ლექსი
- 68. ალექსანდრე ბლოკი. ТЫ ПОМНИШЬ? В НАШЕЙ ВУХТЕ СОННОЙ... ლექსი. თარგმნეს: შოთა ნიშნიანიძემ. ვახტანგ ჯავახიძემ. ემზარ კვიციანიშვილმა. გვი ბეგეკორმა

პროზა

- 4. შოთა აბოგია. უკანასკნელი ტივი. მოთხრობა
- 23. გიორგი გელაშვილი. ჩემი თბილისი. მოთხრობა
- ნარკვევი
- 72. ლალა მგელაშვილი. სტორის ხეობაში
- 77. ვახტანგ გორგაძე. ძირს ჩამოსული ლაქვარ-ღებე

ლენინიანა

- 80. მარია სილაგაძე. ალიოზა ჯაფარიძე — „მბტმ-რელიზიზისა და ეგიპტოლოგიის“ პირველი რედაქტორი

სადისკუსიო ტრიბუნა

- 85. ზურაბ კიკნაძე. „არ შეამოკლოს ქართული...“
- წერილები
- 100. ა. კოლოსოვი. „პოეტის ტრაგედია“.
- 112. ივანე ქავთარაძე. რუსთაველი და „მეფისტაო-სანი“
- 122. მანანა ასათიანი. იოსებ თბილელის „დემოკრ-რაციანი“
- 129. არჩილ ბარამიძე. დავით ბაგრატიონის საჯარო-ეგრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა საკითხის-თვის

ხელოვნება

- 139. თევდორე შალივაიანი. ჩემი ცხოვრების ფურცლე-ბი. თარგმნა ეთერ კეჭელაძემ
- ჩვენი კალენდარი
- 149. გიორგი ნატროშვილი. ეპოქის მხარდამხარ
- წიგნების სემპაროვი
- 153. ზურაბ ბათიაშვილი. „ასია“
- 154. თამაზ შილაძე. „მოგი დიკი“ ქართულად „ცისპრის“ ფოსტიდან
- 156. გრიგოლ ზარდალიშვილი. ვინ თქვა „აღვილი“
- 158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
 ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ზურაბ ასათიანი,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი ბეგეჭორი,
- ზურაბ გვირგვინი,
- მარია ელიოზიანი,
- კარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტონ კახიანი
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ წერეთელი,
- ნოდარ წულუკიანი,
- ტარიელ შანტური,
- სერგი შილაძე,
- თამაზ შილაძე,
- ლავრა ჯანაშია.

წითელი მოედანი

კაცობრიობის დადებას და იმედებს იტევს,
მილიონების გულები და ფიქრები ელტვის,
ამხანაგებო! ყური უგდეთ მოედანს წითელს,
სწორედ აქ ფუტკავს ჩვენი დიდი პლანეტის მკერდი.

მას ბევრი ახსოვს გამარჯვების დიადი ჰიმნი,
პარტიის ჰიმნი, გრიგალებში გამოვლენილი.
ორმოცდაერთის იმ მრისხანე ოცდაორ ივნისს
მავსოლუემის ტრიბუნაზე იდგა ლენინიც.

ახსოვს საბჭოთა მეომრების ფიცი მარადი
და ტრიბუნიდან ვაჟკაცურად ნათქვამი სიტყვა,
ისტორიული ნომბერის ახსოვს პარადი,
რომელიც შემდეგ შემართების ლეგენდად იქცა.

წითელ მოედანს კრემლის დიდი სიმაღლე შეენის,
სულში სამშობლოს სადიდებელ ჰანგებს რომ აქსოვს,
ახსოვს ტრიუმფი გამარჯვების მაისის ჩვენის,
კოსმოსის გმირთა გამარჯვებით შემოსვლა ახსოვს!

გულებში შრომის და გმირობის სიმღერებს გვინთებს,
მილიონების უწმინდესი ფიქრები ელტვის,
ამხანაგებო, გაუმარჯოს მოედანს წითელს —
სწორედ აქ ფუტკავს ჩვენი დიდი პლანეტის მკერდი.





ყანასნელი ზივი

როცა საწყენ ამბავს გაიგონებდა, ბილუს მაშინვე ცრემლი შეუღლიტინებდა და ცხვირს დააცემინებდა.

ასე დაემართა ახლაც. გაიგონა თუ არა, ამიერიდან წყდება ენგურზე ხეტყის დატურება და მეტივეებმა ხელობა უნდა გამოიცივლონო, ცხვირი ზედზედ დააცემინა.

ეს ამბავი ახალგაზრდა მეტივეებმა — მურზამ და ჭერვემ მოუტანეს ჯვარიდან, დატურების მესვეურებს გამოეცხადებინათ: ვისაც ტივი აქვს, დაატუროს, სანამ კიდევ დრო არისო.

ბილუს კი იმედი ჰქონდა, საგაისოდ თუ არა, წელს მაინც იქნებოდა საჭირო ტივიცა და მეტივეც. იცოდა, რეიდის მშენებლებმა ბავირის იმნაირი ბა-

დე გაჭიმეს ენგურზე, არამც თუ მორებს, ნაფოტსაც არ გაატარებდა, მაგრამ მდინარის სანაპიროები ჭრაც მორებით იყო მოფენილი. ისინი ენგურმა აღრე გაზაფხულზე, ბავირების გაკომვამდე, გამოსტაცა რეიდის მშენებლებს. ჰოდა, იმ ზღვა ხეტყეს დატურება არ უნდოდა?

მაგრამ თავაკაცებს ეთქვათ: წყალი რომ დაიკლებს, იმ მორებსაც მანქანებით წავიღებთო და ბილუს გული დაწყდა.

ძველი მეტივე განსაკუთრებით იმან შეაშფოთა, გამზადებული ტივი არ ჰქონდა.

გადაწყვიტა, იმ დღესვე შეეკრა ტივი. მზეს ახედა, ნაშუადღევი იყო.

თითქოს ნიშნის მოგებით გაუღიმა მზემ:

„ვერა, ვერ მოასწრებ ტივის შეყვრას!“
„აბა, ვნახოთ!“

● ბილუს დაცლილი ჰქონდა, ახალსადა-რდელს ცოტად თუ ბევრად აქარვებდა ძველი, უფრო სამწუხარო ამბის გახსენება. ამიტომ, როცა ენგურისკენ წყვილ კამეჩს მიერეკებოდა, ძველ ცეცხლს წაეპოტინა: ახალგაზრდობისას გარდაცვლილი პირველი მეუღლე გაიხსენა: „ვაი, შე საცოდავო ჰადუ!“ — მერამდენედ იმეორებდა ოდესღაც ქვითით წარმოთქმულ სიტყვებს.

მერედა, რა „თოლისკვამი“ იყო! ობლობაში გაზრდილი, მასავეთ ობოლ ბილუს ამოუდგა მხარში და... „ვაი, შე საცოდავო ჰადუ!“

ენგურს რომ მიაღდა, გულზე მოეფონა.

„მეტივემ წყლის პირას სიკვდილი არ უნდა ახსენოს, არც გარდაცვლილები უნდა ახსენოს“ — არიგებდა პაპა. ბილუმ არც ახლა უღალატა ამ შეგონებას და ნაღვლიანი ფიჭვი შეწყვიტა.

— გამარჯობა, ენგურო!

— გაგიმარჯოს, ბილუ!..

ბილუს მარტოობისას ენგურთან „მასლაათი“ უყვარდა. ცხადია, ასეთ დროს მდინარის სათქმელსაც თვითონ მოაბამდა თავს, დარჩეულ სიტყვებს გამონახავდა საამისოდ.

„მეტივეებმა ხელობა უნდა გამოიცვალონო, ალბათ, გაიგებდი, ენგურო!“

— „მერედა, ამან დაგალონა, ბილუ? ზოგიერთი კაცი საცერივითაა, მარტო ერთი საქმისთვის გამოდგება. ჰოდა, ვინც საცერი არაა, სხვა რამეში უნდა ივარგოს!“

— „მართალი ბრძანებაა, მაგრამ მოგხუცდი, ენგურო, რაღა დროს ჩემი ხელობის შეცვლა! აგერ, ამ კამეჩებმა იციან, დღეს რატომ არ ვიყავი ჯვარში.“

— „რატომ არ იყავი?“

— „არ მინდოდა ჩემი ყურით გამეგონა, მეტივეები აღარავის დასჭირებდაო.“

— „რას იზამ, ბილუ, წარსული მტკლევ პერანგივითაა, დღევანდელ დღეს ვერ გამოადგება ის პერანგი და რას იზამ!“

— „მე კი ის პერანგი მირჩენია, ჩემს ზომასზეა გამოჭრილი.“

— „გმონდეს ბილუ ის პერანგი, ოღონდ ნუ გამოაჩენ. სადმე საკუჭნაოში შეინახე!“

„უყურე, რას მეუბნება ენგური!“ — ახლა კამეჩებს მიუბრუნდა ბილუ. ოღონდ ხმაში ბზარი ეტყობოდა. ძველი მეტივე ძველებურად ველარ ხუმრობდა.



აქოჩრილ ტალღებში ზოგჯერ ნაპერწყალი გაიკიაფებს... მაგრამ ციკინათელსავეთ ცივია ის ნაპერწყალი, და მაინც, ტალღების ქეჩოდან ბუნა-ბუნად წამოშლილი ცინცხლები მოტკაცუნე კერიის შთაბეჭდილებას ქმნის და ბილუს ესეც ეყოფა, რომ ძვლები გაუთბეს.

— ეს უქანასკნელი ტივი იქნება, კამეჩებო! — მოხუცს ხმა უქანკალებს.

პირველ წუთებში, როცა სატივე მორებს მარტოკამ დაჰკიდა ყვეარი, თანაშემწეების — მურზასა და ჯერგეს ხელი ინატრა. ახლა კი უხაროდა, რომ ისინი არ იხმო და უკაცრიელ რიყეზე თავისუფლად შეეძლო კამეჩებთან მასლაათი:

— ეს თვრამეტი მორი, კაი თვრამეტ მძას არ ჰგავს? ჰა, როგორ იტყვიო! — ბილუ ხუმრობდა, მაგრამ მისი კილო რაღაცნაირად წააგავდა მოთქმას.

მორები მდინარის პირას ისე მოხერხებულად დააწყო, ბერკეტის თითო ბიძგი და ყოველი მათგანი წყალში მოადენდა ტყაპანს. ყვეარს უღელა ახადა.

უღელი ახლა უფრო მძიმე ეჩვენა. ჩამოჯდა, სული მოითქვა, მოეჩვენა, ტალღები ჩვეულებრივზე მეტად ქო-

შოთა აპოზია
შპანასპენლი ბივი

თქოთბდნენ და ენგური რაღაცაზე წუხდა.

— ერთგან მდინარის ტოტს კალაპოტი ეცვალა, კოწახურის ბუჩქს შესჭიდებოდა გაშმაგებული ტალღები... და კოწახურის ბუჩქი წუხდა.

მომწვანო, ხშირი ფოთლებით აბოლბებული ქაცვის ბუჩქები ჰირისუფლებივით იდგნენ კოწახურის გვერდით. ერთ მათგანს ალისფერი ნაყოფი დაეყარა და მეტივეებისაგან მიტოვებული ცეცხლივით ბრიალებდა ზედ წყლის პირას.

„დაიღუპა ეს საწყალი ქაცვი, ლამაზი კია!“

და მოეჩვენა, ქაცვის ალისფერი ნაყოფი ერთბაშად გაუფერულდა: შიში ხომ ყველაფერს აუფერულებს!..

ბიღუმ იცის: დადლილობა უჩინარი ლურსმანი, საცა ზიხარ, იქვე მიგალურსმავეს, ძველი მეტივე ახლა ჯირკვზე კი არ ზის, მილურსმულია მასზე, ამიტომაც უჭირს წამოდგომა. ერთი ორჯერ წამოიწია, მაგრამ ამაოდ.

მოგვიანებით წამოდგა. ლამაზტარიან ჩენგს ფხა მოუსინჯა. პირველად აპირებდა წესის დარღვევას: ახლავე უნდოდა, საყულუფეები ამოეჭრა მორის თავებზე.

კარგად იცოდა, ვეება მორი, ასე მშვიდად რომ წევს ხმელეთზე, გაუხედნელი კამეჩივით ურჩია წყალში. მორს ორი პირი აქვს — საწყლისო და საცისო. ახალბედა მეტივეებმა ეს არ იციან, საყულუფეს ხმელეთზე ამოჭრიათ. მორი კი წყალში გასწორდება და ამონაკრის ქვეშ მოიქცევა.

გამოუცდელნი ასეთ დროს დაეჭიდებიან მას და საწყლისო პირს ცისკენ მოუქცევენ, ხელმეორედ რომ არ დასჭირდეთ საყულუფეს ამოჭრა. ის კი არ იციან, ამნაირად გადმოპირქვევებული მორი ტივს თუ მიაბი, მანამ არ მოისვენებს გზაში, სანამ წკნელსაც არ დაღრღნის და თოქსაც.

ბიღუ შეეყოყმანდა: მორის საცისო პირს ხმელეთზე ვერ მიაგნებ, წყალში კი დამხმარე დასჭირდება!

და გაახსენდა ანდაზა: კენტ წელი მესიაკონმაც ვერ მიაღობაო. ჩამავალმა მზემ გაუღიმა:

„ბიღუ! ხომ ვერ მოასწარი ტივის შეკვრა?“

„მოვასწრებ, თენგოს დავიხმარიებ და მოვასწრებ! ტივის წყევანაშიც დავიხმარიებ თენგოს, აბა, რა გეგონა!“

ენგურის ჭალებზე ჩამოწოლილ დამეს ღრმად ეძინა თხელი ნისლის საბანში, როცა ბიღუმ და თენგომ ტივის შეკვრა მოათავეს.

ურაშის მთიდან სავსე მთვარე ამობრწყინდა:

„ყოჩაღ, ბიღუ! მზეს ვეტყვი, ტივის შეკვრა რომ მოგისწრია.“

„ნუ შეწუხდები! ხვალ დილით თვითონ არ ნახავს?“

იმ დამეს ბიღუს დაეისობრა: კიდიო კიდე სანთლები ენთო ენგურის ნაპირებზე და მათი მოყვითალო შუქი მიაცილებდა უქანასკნელ ტივს.

წიწიშის მოსახვევთან ურთხმელის მორს ხერხავდა გარდაცვლილი მეტივე ჯოტო.

სისოხერხი წიოდა ურთხმელის ტანში და ისეთ წითელ ნახერხს აფრქვევდა, მორს თითქოს სისხლი სდიოდა.

„ეს უქანასკნელი ტივია, ჯოტო!“ — დაუძახა ბიღუმ და საკუთარი ხმა ვერ იცნო.

ჯოტო შეჩერდა და ნაპირზე ყველა სანთელი ერთბაშად შეტორტმანდა, ისინი თურმე გარდაცვილ მეტივეებს ეკავათ ხელში.

„ოო, რამდენ მეტივეს უტხოვრია ამ ქვეყანაზე!“ — გაიკვირა ბიღუმ.

„ო-ო!“ — ამოიკენესა სანთლებით აბრიალებულმა სანაპირომ.

„ხმა გამოგცვლია, ბიღუ“, — ეს ჯოტო აღებდა პირს, მაგრამ ვიღაც უცხო ლაპარაკობდა.

გარდაცვილ მეტივეთა შორის მრავალი ნაცნობი შენიშნა ბიღუმ. ისინი

აღბდენენ პირს, მაგრამ სიტყვების ნაცვლად რაღაც რახრახი ისმოდა.

გაეღვიძა. რიჩრათი ახლოვდებოდა. ტანში ყრუ ტკივილებს გრძნობდა.

წამოვდა. არაყი დაისხა და დაყნოსა; არ ეამა. ახლა კონიაკიც დაყნოსა; კონიაკს თითქოს თავლის სუნი ასდიოდა.

სპირტეულის სუნი ბილუს თერმომეტრის მაგვირობას უწევდა: როცა ტანში „უქმურის ფათურს“ იგრძნობდა, ღვინოს ან არაყს დაყნოსავდა. შეცვლილი ეჩვენებოდა სასმელის სუნი და უკვე იცოდა, სიტყე ჰქონდა.

„ნამდვილად ავად ვარ! — გაიფიქრა შეცბუნებულმა, — ტივი მაინც უნდა წაიყვანო“.

ჩაცმას შეუღდა. სამგზავრო თადარიგი ისე ფრთხილად მოითავა, თითქოს შინიდან გაპარვის აპირებდა.

„შვილიშვილსაც უნდა ვაკოცო!“ — გაიფიქრა და ოთახის კარი ქურღულად შეაღო.

პატარა ბიჭუნა აკვირიდან ამოეყვანათ და ლოგინში მშობლების გვერდით იწვა. სამივეს ღრმად ეძინა.

„ჯიმა-აჯამი, რა ექნა ახლა? — გაიფიქრა ბილუმ, — რძალმა რომ გაიღვიძოს, შერცხვება. ამას მაინც ვაკოცებ!“ — და სარწვევლაზე დაკიდულ პაწაწინა პერანგს წაუპოტინა.

პერანგს რძისა და ბაღლის ოფლის სუნი ასდიოდა.



ძმის ეზოში შეალაჯა.

თენგოს აივანზე ეძინა. ეტეობოდა, მოკლე ტახტი ეპატარავა და ფეხები პირდაპირ რიკულზე დაეწყო.

ბილუმ მაშინვე შეამჩნია ჭრილობა მარჯვენა ქუსლზე. ღია ჭრილობაზე რაღაც ფხვნილი დაეყარათ. ნაყონ სისხლს ფხვნილი გაეჭევაებინა, კაჟისფერად შეედება.

— ეს ალბათ წუხელ დაემართა და არ გამიძხილა! მაგრამ ვაყკაცი დაღგება ეგ მამაძალი! ხუმრობა როდია, თხუთმეტობდე წლის ყმაწვილს წვეტიანმა ქვამ ასე გაუბასროს ქუსლი და

ერთიც არ დაიკვნესოს!.. ცოტათი კოჭლობდა აქეთობას, და აი, თურმე რატომ!

ბილუ ყოყმანობდა, გაეღვიძებინათ თუ არა ბიჭი... ამასობაში თენგომ თვალი გააჭყიტა, თავი წამოსწია და ნაჭრილობებს რომ ისინჯავდა, ბილუც დაინახა.

- გამარჯობა, ბილუ ბიძია!
- იღღერებელე, თენგო!
- ამ წუთას ჩაიცივამ, ბილუ ბიძია, ამ წუთას!
- არა, თენგო ჩემო, წუხელ იმდენი გაჯახირე, იქნებ შეუძლოდ ხარ!
- ძალიან კარგად ვარ.
- აბა, არაფერი გტკივა?
- არაფერი!

„უყურე შენ, ახლაც არ ამხელს! — გაიფიქრა ბილუმ, — კარგი ვაყკაცი დაღგება ეს ბლარტი“, — შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა! — აბა, მე წავალ და სატივეზე დაგელოდები.



ასაშვებად გამზადებული ტივი თითქოს ტალღებზე კი არ ირწეოდა, ყოყმანობდა!.. და ბილუ სულგანაბული უმზერდა ტივს, რომელიც „ყოყმანობდა“, სანამ რაღაც ვადაწყვეტილებას მიიღებდა.

ამასთან ტივი გავდა შფოთვაში დამენათევს! საგულდაგულოდ დაგრეხილ საულლე წკნელებს ჭანი გოლეოდათ და აქა-იქ ნებაზე მიეშვათ მორები. თოკიც მოზომებულყოფი და ნალამბის გვირისტივით ვასდევდა ტივს,

ბილუს ერთ ხანს არც ვახსენებია, რომ წუხელ ჩქარობდა და ტივს ამიტომაც აკლდა სიმტკიცე. პირიქით, რაც უფრო მეტ ხარვესს ამჩნევდა, მით უფრო სჯეროდა, რომ ტივი... „მთელი ღამე შფოთავდა!“

„თენგოს მოსვლამდე ტივი უნდა გავამავრო!“ — ჩაილაპარაკა და წულა

შოთა აკოვია

შანანასწელი ტივი

გახიხადა, ძიქვაც. გაქათქათებული სა-
ცვალი კვირისთავებამდე აიკარწახა.

„საშქავურო“ მორზე სამწიკრა გააწ-
ყო, საგზალი და სამოსი ზედ და-
ჰკიდა. შემდეგ კოსილებს ორთაყვი-
რები მოარგო და ხაპს გამწეობა მოუ-
სინჯა.

ხაპმა შესძრა თუ არა, ტივი კიდევ
უფრო მოფამფალდა: „აფსუს! — დაი-
ჩივლა ბილუმ, — ნაჩქარევი საქმე და
შუშაბანდში გამოყვანილი კიტრი ალი-
კვალია; ვერც ერთს ჩაატან გემოს და
ვერც მეორეს!“



აი, ბილუ ამავრებს ტივს.

ასე დამყოლი არასოდეს ყოფილა
საულღე წნელი, არც სატივე თოკი
ყოფილა ასე დამყოლი არასოდეს... და
ბილუ ამავრებს ტივს, უკანასკნელ
ტივს!

არც სატივე ყოფილა აქამდე ასე ლა-
მაზი! ამ დილით ბევრი ვერცხლი
ურევია წყალში, იმდენად ბევრი, შეგი-
ძლია, მორევს კარაქივით ჩამოაჭრა
ტალღა.

ნიავექარი უბერავს.

ეს ნიავექარი კი არა, მდინარის ამო-
ნასუნთქია, დროდადრო გამოერევა კალ-
მაზის სუნნი, ხანაც წყლის მურიჟიან ზე-
დაპირზე აბოლებული ნისლის შუშ-
ხუნი.

მზე ამოიწვერა.. და ვერცხლისფერი
აკიაგებულმა შვიდფერმა შესცვა-
ლა. ახლა უფრო შესქელდა წყალი.
შიგ ოქრო გაერია.

გარშემო ყველაფერი იმიტომაა
ორმაგად ლამაზი, რომ ეს დილა თავ-
ზე ადგას უკანასკნელ ტივს.

კელაპტრების მავიერ ნაირფერი
სხივები აუნთია დილას! ამიერიდან
აღარ იქნება ტივი!.. აღარ იქნებიან
მეტივეები!.. და ეს ამბავი იმდენად
დიდია, მთელი სოფელი აქ უნდა იყოს
ამ დილით!.. თენგო კი იგვიანებს!

ყველა მეტივე ენგურს უნდა გას-
ცქეროდეს ამ დილით, მაგრამ არც
ერთი არ ჩანს.

„მეტივეობა კი ვასწავლე ყმაწვილ
კაცებს, — ფიქრობს ბილუ, — ოღონდ
გულით ვერ შევაყვარე თურმე! თვით
გუშინდელი თანაშემწეებიც — მურზა
და ჯერგე მეტივეობის აღსასრულს ისე
შეხვდნენ, თითქოს მათი შორეული ნა-
ცნობი გარდაცვლილიყოს და მეტი
არაფერი“.

— ეპეჰია, ბაბა! — იძახის ბილუ. —
არ მეგონა, მეტივეობის აღსასრულს
თუ შევესწრებოდი! ალბათ ისეთი
დროც მოვა, ხე-ტყის მასალაც არ
იქნება საქირო. რალაცით შესცვლიან
მერქანს, უკანასკნელი ფიცარი დაიხე-
რხება და... — ბილუ შეაშინა ამ სიტყ-
ვამ, — „უკანასკნელი ფიცარი“. მოე-
ჩვენა, ის რალაცით ჰგავდა „უკანასკნელ
ყანას“, „უკანასკნელ ბოსტანს“...

ფერდობზე თენგო შენიშნა. იგი მოი-
ჩქაროდა... და თითქოს მოიჩქაროდა
არა ტივის ასახსნელად, არამედ — გა-
სასვენებლად!

— ცოტა ხანს დაგეცადა, თენგო! არ
მოსულიყავი, ბიჭო, ჯერ! რა გეჩქა-
რებოდა! — ბილუს თვალზე ცრემლი
მოადგა.



ტივი ქვის ყორეში ჩაჭედულ მომ-
ცრო მორზე იყო გამობმული სამარ-
ქაფე თოკით. წყლის მოძალეზულ დი-
ნებას თოკი მშვილდის ლამბივით დაე-
კიმა.

თენგო ტივზე ამოვიდა თუ არა,
ლამბი შეთრთოლდა: „რა მგრძნობია-
რეა ტივი! — გაიფიქრა ბილუმ. — ცი-
ცქნა ბიჭის ნაბიჯსაც იგრძნობს და
სათვალავში ჩაადგებს!“

— თენგო, ამ ტივმა რა მითხრა,
იცი?

— რა გითხრა, ბილუ ბიძია?

— მერე გეტყვი. ახლა მიდი და ქვის
ყორე შეამსუბუქე!

ბიჭი ყორეს შიადგა. ლოდების გა-
დაგორებას შეუდგა და მორს თავი გა-
მოუჩინა. შემდეგ ადგილი შეინაცვლა,
რათა მეორე ბოლოც გამოეჩინა მორის-
თვის.

— აგრე არ უნდა! — დაუძახა ბი-
დუმ. — ცალ მხარეზე შეამსუბუქე
ყორე. დანარჩენს ტივი მოითავსებს:
დაცერავს მორს და დაითრევს.

თენგომ კიდევ რამდენიმე ლოდი გა-
დაავორა.

ჯერ ტყაცანი გაისმა, შემდეგ მორი
წამწმომის ისარივით შეტრიალდა აზვი-
ნული ქვების შუაგულში და ყორემ
გუგუნით იწყო დაშლა.

— ტივისკენ, ტივისკენ! — იყვირა
ბიდუმ.

თენგო გამოტრიალდა, ორიოდე ნახ-
ტომით გაჩნდა ტივზე. მაგრამ ისე და-
ფეთებულყოფო, კაცის ფერი არ ედო.

მომცრო მორი, რომელსაც „წელზე“
სამარქაფე თოკი ჰქონდა გამობმული,
ერთ ხანს ნაპირ-ნაპირ ათრია ტივმა.
სილაზე ხნული ვაჩინა მორმა, მერე,
საბელმა წყალში გადმოტყორცნა თუ
არა, თვინიერი მოზვერით გამოჰყვა
ტივს.

— მარჯვნივ უგანე, თენგო, მარჯვ-
ნივ!

თენგოს მხოლოდ მიბმულ ტივზე
უცდია ორთავიერის მოსმა: — მობანავე
ბიჭები დაეჭიდებოდნენ ორთავიერს
და ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ დაცე-
რავდნენ ტივს. ზოგჯერ ვაზომავდნენ
კიდევ, თითო მოსმით ვინ უფრო
შორს გადასწია ტივი. და აი, თამაშობა-
ში შექენილი ნამაქი სად გამოადგა.

— ახლა მარცხნივ, თენგო! კარგია,
ეყოფა!

ბიჭმა სული მოითქვა, ბიძას მოხელა
და გაუღიმა:

— წელან ამბობდი, ტივმა რალაც
მითხრაო, ბიდუ ბიძია!

ბიდუმ თვალი ჩაუკრა, თითქოს ანი-
შნა, „მაცალო“, დაიხარა, თოკი მო-
ზიდა, ტივზე გამოკიდული მორი მოი-
ხელთა და ყულფი ახსნა:

— ჰო, ტივმა მითხრა, ამ მორს მა-
დლობა ეკუთვნისო! ჩემი თოკი წუხელ
წყალს არ გაატანა, თუმცა ეს თოკიც
ქანჩითი უჭერდაო. ტივმა ესეც გამან-

დო: თენგომ გუშინ ქუსლი გაიჭრა, წყე-
ტიან ქვაზე, მაგრამ არ დაიკვნესაო,
აბა! სანამ მოხვიდოდი, ეს ტივი სულ
შენს ქებაში იყო. ოღონდ დაგინახა
თუ არა, პირში ქება ეუხერხულა და
გაჩუმდა.

ბიჭმა ხმამაღლა გაიცინა.

წყლის ვეება ტახტრევენზე მინანობ-
და ტივი. შემდეგ დაქანებულ დინე-
ბას დაჰყვა, ღარის წყალივით დაეი-
წროებულ იატოზე მოსხლტდა, გაშმა-
გებულ ზვირთებს ქეჩოზე მოექცა, ზა-
თქითა და განგავით ჩაათავა დაღმარ-
თი და როცა დამდოვრებულ სანაპი-
როს სამარქაფე უწვდინა, მდინარეს
ისე აათალა ტალღები, თითქოს ფენად
ქცეულ წყალში აპირებს განვევასო.

დაღმართზე თავაწყვეტილმა ტივმა
დავაკებულ მორევი განაგრძო ჯირითი
და შეფების ჯაჭვი აიღვენა კვალში.
ალაგ-ალაგ კუდმოქნეულ ზვირთებს
დაეხალა, შეფების კორიანტელი
ააფრქვიდა და თენგოს თავზე გადმოა-
ბერტყა.

ისევ ხმამაღლა გაიცინა ბიჭმა.
მიიჩქარის ტივი.

ნაირნაირი ქვებით მოკენჯილ სანაპი-
როზე აქა-იქ ბალახს ამოუხეოქავს.
რძიარძიები ჰალარასავით კიაფობენ
მეჩხერ სიმწვანეში. მდინარის ტოტებს
შორის გაჩენილი პატარ-პატარა ბორ-
ცეები მოიჩქარაინ ტივის შესახვედრად
და თან მოაქანებენ თხმელის ტანმოორ-
ჩილ ხეებს.

მიღის ტივი... და მის გარშემო ბრუ-
ნავენ ნაპირზე ჩაჭიკჭიკებული ქაცვის,
კოწახურისა და ტირიფის კორომები.
ჰალეებზე კანტიკუნტად გამოჩნდებიან
საბალახოდ მიშვებული ძროხები, ცხე-
ნები... ჩნდებიან და ისევ იკარგებიან
ბუჩქების, ბორცვებისა და ძეძვიანი
ფალავების მიღმა. და ცა და ქვეყანა
ფერხულს უვლის ტივის გარშემო.

შოთა აპოზია
უპანასაწელი ბივი

ტივი მდინარის შუაგულში მოექცა. ბილუმ და თენგომ ორთაყვირები ნებაზე მიუშვეს. სანამ ახალი ტოტი და გადასახვევი გამოჩნდება, არაფერია საზრუნავი და დასვენების საამო წუთი დგება ტივზე. ასეთ წუთს ნიაკჭარი სიგრილით ავსებს, ენგური — დულუნით, მზე — ათამამებული ფერებით, სანაპიროები — სურათებით და ერთი ამნაირი წუთი ხმელეთზე გატარებულ ათასობით წუთს უტოლდება.

და ბილუ სულგანაბული დგას ტივზე, რათა ეს სანეტარო წუთი ღრმად განიცადოს: „აგარაკზე გატარებული დღეები აღამიანს არ აკლდება“, — ავონდება სადღაც ყურმოკრული შეგონება, და თავად უმატებს: არც ტივზე გატარებული დღეები აკლდება აღამიანს!

თენგო საწინაო ორთაყვირთან დგას, გარშემო იხედება, თითქოს სანაპიროებზე ეძებს რაღაც უჩვეულოს და საოცარს. საოცრება კი სანაპიროზე სულაც არაა საქმზნი:

— თენგო, ტივი წყლის დინებას უსწრებს ყოველთვის!

— ეს როგორ! — გაიკვირვა ბიკმა.

— არ გჯერა? აბა, ნახე! — ბილუმ ტივს ნაფოტი წამოათალა და ტარაკვეცივით ისროლა.

ტივი მალე დაეწია ნაფოტს.

ბიკი გაოცდა.

— ახლა შენ ისროლე ის ნაფოტი!

თენგომ ნაფოტი შორს მოისროლა, ოღონდ ოღნავ განზე მოუვიდა. ტივმა მალე ჩამოიტოვა თეთრი ყვავილივით ატივტივებული ფოჩიანი ნაფოტი.

— ახლა ხომ გჯერა? — ნიშნის მოგებით შეეკითხა ბილუ. ხმაზე ეტყობოდა, ბიკის გაოცება ძალზე ეამა.

— კი მაგრამ ტივი წყალს მიაქვს და დინებას როგორ უსწრებს?

— უბრალოდ: იატოზე დაქანებული ტივი რომ აჩქარდება, მღოვრეში შესული ერთ ხანს ინარჩუნებს იმავე სიჩქარეს. ცოტაც და, კვლავ ხედება ახალი იატო, აჩქარება... და სულ ასე მისრიალებს და მისრიალებს, აბა! ის წყალი, ტივი რომ ჩავგავშვებინა, შუაგზაზეც არ

იქნება, ჩვენ რომ ზუგდიდამდე მივალვით!

— ვაჰ, ეს რა საიდუმლო მოტორი ჰქონია ტივს! — იძახის ბიკი. მორს უფრო დიდ ნაფოტს ათლის, გასტყორცნის წინ და უხარია, რომ ტივი ეწევა ნაფოტს. ეწევა და უსწრებს.

და ბილუს უხარია, ბიკს „რაღაცა“ რომ ასწავლა.

ძველ მეტივეს დაცდილი აქვს, ფრიად ნასიამოვნები რჩები, სხვას რომ დაასწავლი რაღაცას!

და ბილუს დღეიდან მოაკლდება ეს ერთი სიამოვნება: იგი სხვას ვერაფერს დაასწავლის!



აი, წიწმის მოსახვევიც გამოჩნდა. წუხელ სიზმარში აქ ნახა გარდაცვლილი მეტივე — ჯოტო...

„ეს უქანასკნელი ტივია, ჯოტო!“ — ახლა ფიქრში გაეხიტყვა ბილუ თანასოფელს. არც კი გახსენებია, რომ წყლის ახლოს მეტივემ გარდაცვლილი არ უნდა ახსენოს.

— უქანასკნელი?! — უკვირს ჯოტოს.

— აბა?!

— მერედა, რას უცდით ორთაყვირს შებერებულები ოსტატები? მიდით მთავრობასთან და უთხარით, რომ მეტივეები სჭირდება ქვეყანას, მეჯორგეებიც! „ჯოტო, ახლა მანქანებით დააქვთ მორები. დაცურებული ხე-ტყე ძვირი ჯდება თურმე. გარდა ამისა, მეტივეებს ყოველ წუთს ფათერაკთან ჰქონდათ საქმე“.

„ბილუ! — ხმამაღლა იძახის ჯოტო. — ფათერაკთან ჭიდილი აკაყებს აღამიანს. ძველმა მეტივემ ეს არ იცოდი?“ ჯოტო ტივზე ამოვიდა.

„ახლა ეს მითხარი, ვინც დაცურებას შეაბერდა, იმ ხალხმა რა ჰქნასო?“

„მოისვენონო, პენსია აიღონ და შვილიშვილებს ჩრდილში ეთამაშონო.“

ჯოტოს მხოლოდ გაუგონია „პენსია“. ...და ახლა, გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ, კითხულობს:

„პენსია რაღაა?“

„პენსია ნავია, ოღონდ წარმოიდგინე, ჩვენისთანა ადამიანებისთვის რანაირი იქნება ისეთ ნავში ჯდომა, სადაც არც ნიჩბის მოსმას გთხოვენ და არც იალქნის გაშლას!“

„მე მაგისთანა ნავში არ ჩავჯდები!“ — აცხადებს ჯოტო.

„არც მე!“ — პასუხობს ბიდუ და თვალზე ცრემლი ერევა. ახლა ბიჭმა რომ მოიხედოს, თავი მოეჭრება, ცრემლს დინახავს და უშეშველად იკითხავს, რა გატირებსო...

და ბიჭი რომ არ მოახედოს, ტივის გასწორებას ავალებს:

— მარჯვნივ უგანე, თენგო!.. ნამეტანი მოგივიდა, წიგ, ახლა ერთიორი მარცხნივაც გაუსვი! — და თავად ამჩნევს, როგორ უქანკალებს ხმა.

წინ ყალყზეშემდგარი ტალღებია, უჯან — ტივის სიფართო ზოლი რჩება და ტივი თითქოს აუთოებს ენგურს.

„ქადრებო, მუხებო, კობიტებო! უყურეთ და შთამომავლობას გადაეცით, როგორ აუთოებდა ტივი ენგურის ზედაპირს!“

შეიძლება არ დაგიჯერონ, მაგრამ მაინც უთხარიტ!“

კობიტები ირხვიან, ბიდუს გულისთქმას თანხმობით პასუხობენ.



ქალებზე აქა-იქ ნისლი დგას. „ის ნისლი წყლის შუაგულში რომ იდგეს, სასწაულს ნახავდა თენგო...“ — ფიქრობს ბიდუ... თხელი ნისლი, სიფრიფანა კლდესავით წყლის ზედაპირზე გაჩერებული, მართლაც საკვირველებაა: სანამ მიუახლოვდები, თითქოს გეშინია, იმ „კლდემ“ არ გადმოგავდოს ტივიდან. შეიჭრები შიგ და ნისლი ტყდება, ბორიალს იწყებს შენს გარშემო. საკუთარ ფეხებს ვერ ხედავ, რადგანაც მკერდამდე გწვდება ბურუსი. იხედები ძირს და სადღაც ქვემოთ, თითქოს თვითმფრინავიდან, ძლივს ამჩნევ მორებს.

მაგრამ ამ საკვირველებას თენგო უნახავს, რადგანაც ნისლი ქალებზეა მიმოფენილი.

მეტყვეობა ჯაფა ხომ არ იყო მხოლოდ, ნაირნაირ ჩარჩოში ჩასმული საარაკო სურათიც იყო...

„მერედა, რა მოშვიება იცის ტივმა, რა მოწყურება!“

ამიერიდან წყლის გემო არ ეცოდინებათ არც გაღმელებს და არც გამოღმელებს! გაეცინებათ კიდევ, რომ უთხრა, წყლის გემო არ იცითო.

და ოღონდ მაინც რომ გააგებინო, როდენი ცოდნა აკლიათ, შორიდან უნდა შემოუარო: ჯერ ეს უნდა უთხრა, საქმელს შიმშილი აძლევს გემოს და წყალს — წყურვილით, ამას დაგიჯერებენ.

შემდეგ ეს ანდაზაც უნდა მოიშველიო, — „თვალი სვამს და თვალი ჭამსო“, — და აქ საჭიროა კარგი მთქმელი და კიდევ უკეთესი გამგონე: მღელვარე მდინარეზე თვალი ისე სვამს წყალს, ვერც კი წარმოიდგენ, რომ გწყურია!

მეტიც, ტივზე არასოდეს იგრძნობ სიმშრალეს ხახაში. მხოლოდ ჰაერი გგონია ძალზე თხელი, ამიტომ მოხშირებულად სუნთქავ. ესაა და ეს!

ახალბედა მეტივეები წრიალებენ მორებზე, სწუხან და არც კი იციან, რა მოუვიდათ! გამოცდილი მეტივეები ეტყვიან, წყალი დალიეთო... და სიხარულით გაიხადრებიან ახალბედები: თურმე სწყურდათ და ვერ მიიხვდარიყვნენ!

აი, რანაირი მოწყურება იცის ტივმა. ხმელეთზე წყურვილს ჩვეულებრივად იგრძნობ, ტივზე კი — აღმოაჩენ!

და თუ რანაირია „აღმოჩენილი წყურვილი“ ამიერიდან არავის ეცოდინება! და არავის ეცოდინება, რა გემოელია შუა ენგურიდან პეშვით ამოღებული წყალი: ტივის ბოლოს არ შეიძლება წყლის აღება, კამკამაა, მაგრამ მო-

ზოთა აკოპია
შპანასკნელი ბივი



რის ნარეცხის ვემო აქვს. ტივის თავთან უნდა აიღო წყალი!

წყალი!..

მერე და განა ცისფერია? ხიფათის დროს წყალი შავია... მაგრამ ამას დაგიჯერებენ?! და საშიშროების წუთებში ყველაფერი იცვლის ფერს: აი, მდინარეში დადარაჯებული ტინი გელის... უახლოვდება და, ტინი მუქდება, რუხდება, შავდება, გაუსხლტები, მიიხედავ და თეთრია.

ეს მეტივეს გარდა არავინ იცის და არც დაგიჯერებენ, რომ უთხრა. არც ერთი კლდე შავი არაა შორიდან და ყოველი კლდე შავდება, როცა ტივი მიგაქანებს მისკენ.

არც ერთი კლდე არაა ცარცისფერი... და ყოველი კლდე თეთრდება, როცა ტივს შშვიდად გაატარებ მის წინ.

ასე ათეთრებდნენ მეტივეები კლდეებს ჯვარიდან — ოცარცემდე.

ამიერიდან ფერს აღარ შეიცვლიან კლდეები. და დღეიდან არავინ დაუჭერებს მოხუც მეტივეებს, რომ კლდეებიც და მეჩჩებიც წამდაუწუმ იცვლიან ფერს.

ჭადრებო, მუხებო, კოპიტებო! შეხედეთ უკანასკნელ ტივს!

ირხვიან გაგარების გაყოლებით აღანძული ხეები და ხელებივით იქნევენ გაბორჯილ ტოტებს:

- „მშვიდობით!“
- „მშვიდობით!“
- „მშვიდობით!“

მიირწევა ტივი და წნელის გრეხილი ხანდახან ახალთახალ ფეხსაცემლივით გაიჭრიალებს. გრეხილები ზოგჯერ კილოს შეუწყობენ ერთმანეთს. და ჭრიჭინობელას შორეულ მოძახილს წააგავს ხმა: „რა კარვად მდერის ტივი!“ — ფიქრობს ბილუ და ლამისაა ბიჭს ჰკითხოხოს, ტივის სიმღერა გესმის თუ არაო.

აი, ტივი დაქანებულ დინებას გაჰყვება და თავაწყვეტილი მიემართება მორევისაკენ. მარჯვნივ, ასეთივე ფაფარაყრილი ტოტი იჭრება მორევეში და

მათს შესაყრელზე ბობოქარი ტალღები იმგვარად ბრუნავს, წყალი მდულარე გეგონება.

— ახლა მაგრად იყავი, თენგო! — იძახის მოხუცი და მისი ხმა ტალღების გუგუნში ინთქმება.

აქოთქოთებულ მორევეში შეიჭრა ტივი და... ჯერ სამარჯაფე მორებმა იწყეს ყურყუმელოება, დანარჩენებიც მას მიჰყვა და ტივზე მოვარდნილმა წყალმა სამწკირაზე დაკიდულ სამოსსა და საგზალს შეხეფები შეაბერტყა.

ქაფიანმა, მიძიმე ტალღებმა ერთი გაიჯირითეს ტივზე, გაბანეს მორები... და ყმაწვილს მოეჩვენა, მორები კი არ ამოდიოდნენ წყლიდან, თვით ტალღებმა დაიწიეს ძირს. დაიწიეს ხენეშით, ქოთქოთით, გუგუნით.

— ბილუ ბიძია, ტივი როდისმე გადაბრუნებულა?

— გამიგონია, მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდა ტივი. ოღონდ ის „მაცნეტივი“ იყო, შვიდიოდე მორისაგან შეკრული. ოცმორიან ტივს კი ენგურიც ვერ გადააბრუნებს.

„მაცნე-ტივი!“ — ეს სახელი რამდენ რამეს ავონებს ბილუს... წყალი დიდობის შემდეგ წაიშლებოდა ძველი კალაპოტი, ახალი ტოტები ჩნდებოდა და სატივე გზის დასაზვერავად შვიდიოდე მსუბუქი მორისაგან შეკრავდნენ ტივს...

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე თავად ბილუს მიჰყავდა „მაცნე-ტივი“ და ეს რამხელა პატივი იყო!

ბილუ გზას დაზვერავდა, ყოველ მოსახვევს დაიმახსოვრებდა და „მაცნეტივის“ შემდეგ „მეწინავე ტივი“ მიჰყავდა.

საცა გამზადებულ ტივს შენიშნავდა, ხელებს გაშლიდა. მომყევითო! — და იგი იყო ტივების მთელი ქარავნის კაპიტანი! ამიერიდან კი არავის ესმომება ეს ამბავი... ვინმე დაწერდეს მაინც!

— თენგო! როცა დიდი და ნასწავლი გახდები, მეტივეების ისტორიას ვერ დაწერ?

ბიჭმა მოიხედა და გაიღიმა.

— კი არ გეხუმრები! ტივი ბრძოლა იყო, თენგოია, და მურე რანაირი ბრძოლა!

— რა ვთქვა, არ ვიცი, ბილუ ბიძია, ტივი მოგყავდათ, გასამრჯელოს იღებდით, ეს რა ბრძოლაა?!

— ჰაი, ჰაი! — სინანულით წამოიძახა ბილუმი. — ის ენა, რომელიც არ გეხმობს, სულ ერთი და იგივე სიტყვების გამეორება გკონია! მეტივეობის ენა რომ გცოდნოდა, მარტო ჯაფას და გასამრჯელოს კი არ დაინახავდი!

— რა ვთქვა, არ ვიცი, ბილუ ბიძია!

— ეს თქვი: გავიზრდები და მეტივეობის ისტორიას დავწერ-თქო! ჰო, იძლევი სიტყვას?

ბიჭმა მოიხედა და გაიღიმა.

— ღიმილიც პასუხია, და ძალიან კარგი პასუხი! წუთისოფელში მთავარია ღიმილი და ვისაც კაიკაცობის ქული ხურავს, მიწასაც გააღიმებს.

— ეს როგორ! — გაიცინა თენგომ.

— ძალზე უბრალოდ. მოხნავს, დაფარცხავს, დათესაქს — მიწა აყვავდება, — ეს ღიმილია!

სანაპიროზე სიშინლის ყანები ბიბინებენ. ტივი ზოგჯერ ისე ახლოს ჩაუვლის ყანებს, მემოროდე გლეხები ჩერდებიან, ხელს იქნევენ და გზას ულოცავენ ტივს, აქოჩრილ ხეთა შორის აქა-იქ გამოანათებს ალვა — ამოლტილი მწვანე სანთელი.

ალვა-ალვა ფალავა ისე დაბალია, თითქოს მდინარეს გატყუებას უპირებს ტყესა და კატაბარდებში.

მზერას იტაცებს ამოყრილი ჯიხურები, გოდლები, მავთულის ბადურები... და სანაპირო თითქოს დარბაზია, ტალღების გასაკავებლად მოგონილი ძველი თუ ახალი ფანდიზლუდისა და ფანდივალანის გამოსაფენი.

და ტივი „ათვალიერებს“ ამ გამოფენას.

— მარცხნივ უგანე, თენგო! ტივმა მხარი არ გაკრას ჯიხურს ან ბადურას,

თორემ ამდენი ნაჯაფი წყალში გადაუცვივდება სოფელს!

თენგო ეჭიდება ორთაყვირს და უხარია, რომ ვეება ტივი ემორჩილება. „გამოფენა“ ვანზე რჩება.

ვარშემო ისევ რიყეა.

აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად დგანან ქალები და აგროვებენ შეშას. დედამობილა ყმაწვილები ბანაობას თავს ანებებენ და უმზერენ ტივს.

„ალბათ, იციან, რომ ეს უკანასკნელი ტივია! — ფიჭრობს ბილუ. — აბა, უწინ ტივისკენ არც კი მოიხედავდნენ რიყელები და რუხელები“.

— ახლა მარჯვნივ, თენგო!

— მარცხენა ტოტი უფრო დიდი ჩანს, ბილუ ბიძია!

— ის მატყუარა ტოტია!

ბიჭს გაეცინა.

— მდინარის ტოტებშიაც გამოერევა მატყუარა?

— აბა, რა გეგონა! მატყუარა ტოტი ჯერ მდინარეა, შემდეგ ორად, სამად... ხუთად იყოფა და სულ ბოლოს ღელე შემოგრჩება ხელში. „მატყუარაში“ თუ მოხვდი, მშვიდობით! ტივი ღერა-ღერა უნდა დაშალო და ხელახლა შეჰკრა. აბა!

ნათქვამია: „ძალი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირე“. მატყუარა ტოტის ხსენება ნავსიანი აღმოჩნდა, ტივი სწორედ იქითკენ მიექანებოდა.

— მარჯვედ, თენგო, მარჯვედ! — ბილუს ზმა სავანგაშო ზარივით რეკდა, საწინაო ორთაყვირიც ციებცხელებიანივით თრთოდა წყალში, მაგრამ ტივი მაინც არ იშლიდა ურჩობას.

ბილუ ადგილიდან მოწყდა, უმაღლესი მოსტაცა თენგოს ორთაყვირი, რათა ტივი გადაეძალა და გააფთრებოთ დააჭიდა ხაბი ტალღებს. ამასობაში ტივი დაიცურა, შეტრიალდა და უკანა ორთაყვირი თავში მოექცა.

ბილუ მიხვდა, სად შეცდა: თავისი ორთაყვირი არ უნდა მიეტოვებინა, მაგრამ სინანული უკვე გვიანი იყო.

შოთა ახოზია
უპანასწელი ტივი

გამოცდილმა მეტივემ უმალ ივარაუდა, რომ ტივი წყალგამყოლ რიფს დაეხლებოდა... და ასეც მოხდა: მორეზმა გუგუნი ატეხეს, — ეს ტივის ქვეშ დატრიალდნენ ქვეები და კენჭები უთვალავ გორგოლაჭებივით. გამოქანებულმა ტივმა თითქოს წყლიდან ამოვარდნა ინდომა, ახვეტილი ღორღი გაიყოლია წინ, ერთი ამოიხენეშა, მორების ღრიჭობებიდან შესეფები ამოაფრქვია და გაჩერდა:

— ახავია, გუშა! — წამოიძახა ბილუმ და მწარედ გაიღიმა, — კიდევ კარგი, მატყუარა ტოტში არ მოვეყვივით!

ხმელეთზე სანახევროდ გამორიყული ტივი მარჯაფამ ოდნავადაც ვერ შეძრა.

— ახლა რა გვიშველის, ბილუ ბიძია? — დარცხვენით იკითხა თენგომ, რომელსაც თავი დამნაშავედ მიაჩნდა და უკვირდა, რატომ არ დამტუქსესო!

— ღამე გვიშველის!

— ?!

— ღამით წყალი მატულობს, აჰა! აი, ის თოვლი, — ბილუმ სვანეთის მთებისკენ გაიშვირა თითი, — მთელი დღე ხომ დნება, წყალი ღამით ჩამოაღწევს ბარში.

და თოვლი ერთბაშად იქცა საბუთად. ეს საბუთი მთებზე ძლივს ეტევა! და თენგოს უხარია, რომ ბიძამისის სიტყვებს შეუვალი დამაჯერებლობა ენიჭება.

სასაგზლე ჩანთები გახსნეს.

●
მზე გადაიხარა.

ბილუმ თანდათან უფრო მკაფიოდ იგრძნო ყრუ ტეხა. ტივზე რომ იდგა. ტკივილს არ გრძნობდა, არც სიცოცხლის წუთები აკლდებოდა მაშინ...

— თენგო, ცეცხლი დავანთოთ!

— ამ სიცხეში?! — თითქოს შორიდან ჩაესმა თენგოს ხმა.

— განა სიცხეა?!

— სიცხეა, ბილუ ბიძია, ნახე, რიყის ქვეები რა გავარვარებულა!

— მაინც დავანთოთ!

თენგო აგროვებს ფიჩხს, ანთებს ცეცხლს და ალისგულზე მიფიცხებულ ბილუს აზმორებს. ფიჩხი ნაპერწკლებს აფრქვევს, მაგრამ ცეცხლის ტკაცანი სულაც არ ესმის.

— ლაბადა მომახურე, ზურგს უკანაც ცეცხლი დამინთე.

ბიჭს რაღაც ენიშნა:

— ძალიან წითელი ხარ, ბილუ ბიძია!

— რა თქვი?

— ძალიან წითელი ხარ-მეთქი! — ხმაძლლა იმეორებს ბიჭი, მაგრამ ბილუს ძლივს ესმის.

მაღე აბრიალდა მეორე კოცონიც, მაგრამ ისიც უხმოდ აფრქვევს ნაპერწკლებს. ორცეცხლშუა ჩამდგარ ნახევრად შიშველ ბილუს ხვითქი გადასდის... ახლა ცეცხლს თავისი ხმა დაუბრუნდა, ენგურსაც...

— ავად ხომ არა ხარ, ბილუ?

— ნუ გეშინია!

— ამ ტოტს გადავცურავ და რამე წამალს მოგიტან, იქნებ ექიმის მოყვანაც შეეძლოს.

— აგერ, ექიმი! — ბილუმ ცეცხლზე მიუთითა — ეს ექიმიც მეყოფა.

ბილუმ ოფლი მოიწმინდა, თბილად ჩაიცვა და ბიჭს გაუღიმა.

მზე ჩადიოდა, — ვეება, შუქგაბორჯლილი და წითელი — მეტივეების მზე...

●
შებინდლა.

გორაკებზე ჩარიგებულ სახლებს მხოლოდ ანთებული ფანჯრები აჩვენდა აქა-იქ. მოგვიანებით კი ფანჯრებმა ისე მიყოლებით იწყეს ჩაქრობა, შეიძლება ბოლო თითზე ჩამოგეთვალა, რამდენი ოჯახი იძინებდა. ენგურის ღამეზე ჯერ ციციანთელების ლაშქარი წაუსია ჭალებს, შემდეგ ნისლი ამოიტყუა წყლიდან და სანაპიროზე მოჩვენებები დაასახლა.

ოდნავ ინათა. ეტყობოდა, მთვარე ამოდიოდა.

ქარმა დაჰპერა. ჭალების გაყოფებით



უცნაურმა ლანდებმა იწყეს რიალი... და ბილუს მოეჩვენა: მის წინ ჩანდა ის სიზმრები, რომელსაც ხედავდნენ, აი, იმ სახლებში ჩაძინებული ადამიანები.

და საოცარი იყო სახლებიდან გამოსული, ბორცვებზე და ქალებზე მომდინარე სიზმრები.

თენგიზ რაღაცას ჰყვება. ჰო, მათემატიკის მასწავლებელს სამიანი დაუწყებია მისთვის. სწუხს ბიჭი. ვილაცას აუვად იხსენებს, ვილაცას აქებს, ჰო, ინგლისურის მასწავლებელს აქებს: „გინდა ინგლისური ლექსი ვითხრა?“. „მითხარი!“ ამას ბილუს მაგიერ ვილაცას ამაბობს, მაგრამ მესამე რომ არავინაა რიყეზე?!

ბიჭი ცეცხლს აქეზებს. ოღონდ ნისლი ისე შესქედა, გეგონება ენგურის დუღუნი უღრანიდან მოდისო, ნისლი შარავანდელს აჩენს ცეცხლის გარშემო, მთვარის ქართასავით მოყვითალოს...

— წყალი უკვე მატულობს! — ჩაილაპარაკა ბილუმ.

— საიდან იცი?

— ხმაზე ვატყობ.

ბიჭს გაეცინა.

— არ გჯერა? აბა, ჩხირი ჩაარტყვი სილისა და ტალღის სამიჯნოზე!

თენგიზი სამიჯნოზე ჩხირი ჩაარტყო, ტალღებმა მალე შემოუარეს ჩხირს და წააქციეს.

თენგიზი ახალ სამიჯნოზე დასვა ხალიჩა. მალე იგივე გამოვრდა.

— იქნებ ნიაღვარი წამოვიდა! — შეშფოთდა ბიჭი.

— ნუ შიშობ! ნიაღვრის მაცნე მღვრიე წყალია. თანაც ნიაღვარს ისეთი ხმა აქვს, შორიდანვე გაგიბზარავს ყურს.

— მართლა?!

— მართლა მაშ!

— მერედა, რატომ აქვს ასეთი ხმა?

— „რა ვიცი“ — წამოცდა კინლამ, მაგრამ ამნაირი პასუხი სათაკილო ეჩვენა, დააყოვნა:

— აქ ცოტა სხვა ამბავია, თენგიზო! ნიაღვრის ხმას შიში აძლიერებს. აი, შენი შიში, ჩემი შიში! უკეთ გეტყვი:

თუ რამე გაშინებს, მისი ხმა უფრო ძლიერი გეჩვენება, ამიტომ ნიაღვრის ხმა შუა რიყეში მდგომს სულ სხვანაირად ესმის და ხმელეთზე არხინად მოსეირნეს — სხვანაირად. გისწავლია, ექო რას ჰქვია? შიში დიდ ექოს იძლევა, აბა! ერთხელ ცირკის ლომი გაიქცა ზუგდილში და მისი ღრიალი მთელს ქალაქს ესმოდა. მანამდე კი, გალიაში გამომწყვდეული ლომის ხმას იქვე, ახლიმახლო მოსეირნენი თუ გაიგონებდნენ.

ამასობაში ტივმა ამოიხვნეშა, თითქოს ძილს თავი დააღწიაო. შეირყა. მორების ქვემოთ ისევ ახმაურდნენ კენტებისა და ქვების უთვალავი გორგოლაჭები.

— ტივისაკენ, ტივისაკენ! — შეჰყვირა ბილუმ, მაგრამ თავად ვერ წამოდგა, მუხლმა უმტყუნა.

თენგიზი უკვე ტივზე იდგა.

— თენგიზო! მიატოვე მაგი მამაძალი ტივი! არ წავიღოს, წიე! — იძახდა ბილუ, მაგრამ მორების გრუხუნში ბიჭს არაფერი ესმოდა.

ტივი დაიცვრა. თანდათან შეანელა ხმაური და გაყუჩდა. ბილუ მიხვდა, მორები ღრმა წყალში მოექცა უკვე.

— ბილუ! — ნისლის უღრანიდან სასოწარკვეთით დაიძახა თენგიზი.

„ბიჭი დავლუბე!“ — გაიფიქრა ბილუმ და ისევ სცადა წამოდგომა. წამოიწია და თითქოს მუხლები გადაემსხვრა. სხვა სამველი არ იყო, ხოხვით გასწია მდინარისაკენ. როცა წყალში შესტოპა, მუხლები ერთბაშად გაუმრთელდა.

— ბილუ!

— ნუ გეშინია, აგერ მოგყვები! — ბილუმ მთელი ძალით მოუსვა მხარული.

— ბილუ! — ახლა როგორღაც ახლოდან ვაისმა თენგიზს ხმა, და მთვარისგან შეყვითლებულ ბურუსში ბიჭიც გამოჩნდა. იგი ცურვით მოაწვედა ნაპირისკენ.

— ეს რა გაგიბედავს, თენგიზო! რა-

ფოთა აკოვია
შაანასანილი ბივი



ტომ დამლუბე, წიე! რახან გავიტაცა ტივმა, დარჩენილიყავ ზედ! ვაიმე!

— ბილუ! — თენგო სულს ძლივს ითქვამდა — ნაპირზე დაბრუნდი, ბილუ, ახლავე დაბრუნდი! — და თენგო რაღაც ძალამ უკან დაქაჩა, — მე ტივზე თოკითა ვარ მიბმული, ამწუთას დავბრუნდები ტივზე და სადმე გავრიყავ! — უკანასკნელი სიტყვები შორიდან მოესმა ბილუს. — ჩემი შიში ნუ გექნება, ნუ!

„ეს რამ მოაფიქრებინა!“ — გაცოცხდა ბილუ. იმედიანად ვანაგრძო ცურვა. ყვითელ ბურუსში ტივიც დაღანდა.

ტივი ჯერაც ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა ნელ დინებას. გამოცდილმა მეტივემ კი შუა დინებისაკენ გასცურა, რომ უფრო სწრაფად დასწეოდა.

სანამ თენგო ტივზე არ დაბრუნდა, ბილუს კრინტი არ დაუძრავს.

— ეე-პეი! ის თოკი ჩემკენ ისროლე, თენგო! — დაუძახა ტივზე შემდგარ გაწუწულ ყმაწვილს.

ბიჭმა მხოლოდ ახლა მოიხედა:

— ეს რა ვაგიბედავს, ბილუ ბიძია! თავი რატომ დაიღუბე, ბილუ ბიძია!

— თოკი მესროლე-მეთქი!

— თოკს სად იპოვნე, ბილუ! სველია და წყალში ჩაიძირება.

— აბა, ცალი ორთაყვირი ახსენი ტივს და ჩემკენ გამოაჭენე! — ხუმრობა სცადა გასაჭირში ჩავარდნილმა, — ის ორთაყვირი ტივტივას მაგივრობას გამიწევს!

ბიჭი წამით ჩაფიქრდა. ორთაყვირს უმაღლ გამოაბა თოკი, ნასკვი მოუსინჯა. ბილუს ვაეხარდა, წყალი თბილი ეჩვენა: „უყურე, რა მოითქვა ამ ღლაპმა!“

ბიჭმა საბელგამობული ორთაყვირი წყალში გადმოისროლა.

ორთაყვირი ტალღებში ძლივს ჩანდა, მაგრამ ბილუს გზად და ხილად ჰყოფნიდა. ხელი ჩასჭიდა, როგორღაც თბილი ეჩვენა ორთაყვირის ტარი, თბილი და საიმედო.

ტივი აჩქარდა, თითქოს ორთაყვირის ხელიდან გამოტაცება დაუპირა ბილუს.

— ვერ მოვართვი! — ჩაილაპარაკებდა რიკაცმა. იგი ორთაყვირს გამოჰკვამლავდა შემდეგ თოკს ჩაავლო ხელი. ნელინელ მოკლდებოდა მანძილი ტივამდე, ბილუს ტანისამოსიც მძიმდებოდა თანდათან.

თენგო სამარქაფეზე იდგა, გამამხნეველად ყვიროდა და ბილუც შელოცვასავით იმეორებდა გულში: „საარაკო ვაქცაცი დაღება ეს ბიჭი, საარაკო!“

მაგრამ ბილუ ამობობდა თუ არა ტივზე და სულის მოსათქმელად ჩამოვდა, თენგო ისე აღრიალდა, როგორც ჭინჭრით ნაცემი ბაღლი:

— ვაიმე, ბილუ ბიძია! კინაღამ დაიღუბე, ბილუ ბიძია! ცოცხალი თუ ხარ, არა მჯერა, ვაიმე!

ბიჭი პირდაღმა დაეშო მორზე, ხელისგულეში თვალებზე აიფარა, ბლაოდა, ცახცახებდა. ზოგჯერ დაფეთებული წამოსწევდა თავს, მოხედვდა ბიძას და დაიღრიალებდა:

— ცოცხალი თუ ხარ არ მჯერა, ვაიმე!

— გეყოფა, გეყოფა! — ამშვიდებდა ბილუ.



„გეყოფა, გეყოფა!“, — რაღაც ამდაგვარს ბუყბუყებდა მორევიც. შემდეგ მორევი თითქოს სიმღერა წამოიწყო... სიმღერა წივილ-კივილში გადაიზარდა... კივილში რძლის ხმა გაარჩია ბილუმ... ყველაზე ხმაშალა კი ჰაღუ ჰკიოდა, ოღონდ ჰაღუს ძალიან გამოცელოდა ხმა: „ორმოცი წელი მიწაში იწეა, ალბათ ამიტომ გამოეცვალა“, — გაიფიქრა ბილუმ...

— ბილუ ბიძია, შენ რაღაცას ლაპარაკობ!

— მე?!

— ჰო, ვის ელაპარაკები?

— ვის უნდა ველაპარაკებოდე! — ბილუ ოღნავ გამოერკვა. — მოდი, ეს ტანსაცმელი გამხადე, გაწურე და ისევ ჩამაცვი.

— კი, მაგრამ ტივმა ნებაზე იაროს?

— იაროს, კისერიც მოუტეხია!
ბიღუ კანკალებდა...
თენგო ტანსაცმლის გაწურვას შეუ-
დგა:
— ლაბადა ნაპირზე დავრჩენია, ბი-
ღუ ბიძია!
— რიყეს ვუსახსოვრე.
— ქუდიც დავრჩენია.
— ქუდი, ენგურს ვუსახსოვრე.
— რომ ხუმრობ, მიხარია, ბიღუ
ბიძია!
— სიკვდილს ხელმარა კაცისა ეშინია,
თენგო!
— სიკვდილი რატომ ახსენე?
— თავი შემახსენა იმ მამაძალმა.
— ახლა ჩაიკვი, ჩქარა ჩაიკვი, თო-
რემ გაცივდებო!
ბიღუს ჩაცმა გაუჭირდა, თენგო მიე-
შველა.
წამოდგომა გაუჭირდა, თენგო მიე-
შველა.
— აი, ოცარცის კლდე გამოჩნდა,
თენგო!
— არა, ნისლია.
— კარგა, შვილო. კარგი!
ნისლი ალაგ-ალაგ თხელი იყო, მდი-
ნარის შოლალაზე ზედაპირს აჩენდა
მთვარიანში.
— მარჯვნივ უგაჲ, იმ რაქას არ და-
ვეჯახოთ, თენგო!
— ისიც ნისლია!
— კარგი, შენი ნება იყოს!
ბიღუს აგრჯოლებს. პაერი იმდენად
ცივი ეჩვენება, ჩასუნთქვისა ეშინია.
მორვეი ისევ იწყებს სიმღერას, შემ-
დეგ წივილ-კვილი აატორტმანებს სივ-
რცეს და ტივიც ქანაობს, როგორც
იატაკი მიწისძვრის დროს.

განა, რომელშიაც მიმღები ოსტატი
იჭდა, აელოთ... და ალბათ რაღაც კი-
დეე იყო მოსაშლელი და ასაღები, ამი-
ტომ ფუსფუსებდა ხალხი რეიდზე.
ელექტრონის მოჭარბებულ შუქზე იწვა
სიჩუმე...
მდინარის პირას ცეცხლი ენთო. ცეც-
ხლს ორნი უსხდნენ, უცებ შორიახლოს
ვილისი გაჩერდა. კაბინიდან ვილაცამ
გამოჰყო თავი და სმამალა იკითხა:
— ის ტივი ჯერაც არ ჩამოსულა?!
— აგერ, ამ წუთას ჩამოვიდა!
ვილისის კარი გაიღო, კაბინიდან
მალამა, ჭალარა კაცმა გადმოაბიჯა;
ბიღუმ დაცურების კანტორის ღირექ-
ტორი იცნო. ეამა.
ღირექტორმა ხელი მოიჩრდილა,
ალბათ ელნათურების ჩახჩახმა მოჭრა
თვალი:
— ეპ, ბიღუ ხარ? დღეს ლის გა-
გარიდან შევნიშნე ეს ტივი და სალა-
მოს რომ მითხრეს, ტივი არავის ჩამო-
უყვანიაო, შემეშინდა, რა არ ვიფიქრე!..
— შემდეგ მძლოლს შესძახა. შემთხვე-
ვით, ფოტოაპარატი ხომ არ წამო-
გიღიაო. მძლოლმა უარის ნიშნად თავი
გაიქნია.
— ეს ხომ უქანასკნელი ტივია! —
რაღაც ყმაწვილკაცური სიხარულით
თქვა ღირექტორმა, — დავდგებოლით
ზედ და სურათს გადავიღებდით.
თენგოს სატივე აესხნა და თოკი
ხელში იმგვარად ეჭირა, როგორც მესა-
ფლავეებს უჭირავთ ხოლმე კუბო სა-
მარეში ჩაშვების წინ.
ღირექტორი ჯვარში მიდიოდა თურმე
და უქანასკნელი მეტივეებიც ვილისში
ჩაისხა.
ვილისში ბნელოდა, ამიტომ ბიღუს
ტრემლი არავის შეუნიშნავს.
ღირექტორმა ხალისიანად განაგრძო
ლაპარაკი. თურმე უამრავი საქმე ჰქონ-
და: ჭალამბარზე მომუშავეთა გადაყვა-
ნა, კბილანა კონვეიერის გადატანა ჯვა-
რში...
იგი ფიქრში იყო გართული და მო-
ხუცი მეტივის კენესა ერთხელაც არ
გაუგონია.

●
შამგონის რეიდი უკაცრიელს ჰგავდა.
ვილაკეები კი ფუსფუსებდნენ სანაპი-
როზე. მაგრამ არც ერთი ტივი, არც
ერთი მორი არ ყვინთაობდა წყალში...
და რეიდი ამიტომაც ჰგავდა უკაც-
რიელს!
ჭალამბარი, მორებს სახერხისაკენ
რომ მიიქანებდა, მოეშალათ; ბუღურუ-

სალამი შენ, ჩემო რომანტიკავ!

სალამი შენ,
ჩემო რომანტიკავ,
შენმა დიდმა გულმა ისევ მომაკითხა,
სალამი შენ,
ჩემო რომანტიკავ!
ვიცოდი, ვიცოდი, როგორ დამტოვებდი.
გულს ტანჯვით ვიღებდი
და შენ გატოლებდი,
ვიცოდი, ვიცოდი, როგორ დამტოვებდი!
იყო ბევრი თოვლი,
იყო ბევრი წვიმა,
შენმა მოლოდინმა მაინც გამამბრწყინა.
როგორც ვარსკვლავითი —
იმგვარ გამამბრწყინა!
და აპა, მოხვედი —
ღირდა — მალოდინე,
ღონიერი ხელით უკრავ მელოდიებს.
ღვთაებრივსა და უკვდავ მელოდიებს,
ღირდა — მალოდინე.
ოღონდ დამაცადე: დავხსნა პაპირუსი,
გადავიხედო: ხომ კიდევ მოჩანს
მუჭი კვიპაროსი
და ზედ კვიპაროსზე მწვანე ასპიროსი.
ოღონდ დამაცადე...
ბინდში უკეთესია შენი ხმის გაგონება,
ამ ხმას ჩემამდე უწოდეს „შთაგონება“.
შთაგონება!
და ასლა ხელის ფათურით
დაწყვეტას ვუპირებ
არაშენეულს, ყოველგვარს უპიროს.
ოღონდ დამაცადე —
ხარ ისე ძლიერი,
ისე ანთებული
ცეცხლიან იერით,
დედას გეფიცები,
დედას გეფიცები,
ცოდვა ვარ, სულითგან, სულითგან
ვიცლები
და მკერდით ვეცემი მყინვართა შუბისტარს,
შროშანი წითელი,
წითელი
მომცვია უბითგან...

აქამდე მიყვარდა ჩურჩულის გაგონებაც.
ასლა ისე ჭკივი რეშმი შთაგონებას,
მაგრამ... რისათვის გაქვს ხელები ცხელი?
იქნებ გიჭირს რამე
და ველარ გშველი?
იქნებ გადაგიდრკა ძლიერი ფრთები?
იქნებ გაგიეთორდა ბავშვივით თმები?
იქნებ... ვერც მე მიცანი?
ჩამხედე თვალებში,
შენ ზე ამიტაცე,
მე... იქნებ დავეშვი?
ჩამხედე, ჩამხედე, მშვენიერ თვალებში,
შენგნით, შენგნით, შენგნით მშვენიერ
თვალებში!
მიცანი?... ჰეჰე! მიცანი! მიცანი!

ეს მე ვარ, მე ვარ —
არსი და მიზანი
შენი სიკეთისა, შენი სიღიღისა,
აპა, წამყვანე!
აპა, მიმითვისე!
მიაბე, გამახსენე
სად შეგზვდი პირველად,
რაღაც საკვირველად, რაღაც საკვირველად:
იქნებ შემოდგომით,
ოქროს შემოდგომით,
ფოთოლი მოცვივა მაშინ იმოდენი,
და ისე ცხელია მაშინ იმედები!
იქნებ თებერვალში? მთრთოლვარ
თებერვალში,
პირველ პეპელაში, სულის შებერვაში...
ჰო, ჰო, ასე მახსოვს
მგონი — თებერვალში.
მაშინ ნაწნავები მეყარა წელზე,
თეთრი დარაია მეხვია ყელზე
და გაგიუბული ვკიოდი ლექსებს...
და მატარებლიდან
ვწვდებოდი ტირიფებს
და ვხარხარებდი
ვახების ტირილზე.
და ნაწნავები მეყარა წელზე,
და გვირილები მეკეთა თმებზე.

და ისე მეწვოდა შიშველი ფეხები,
სირბილით მომდევნენ ქალწული
ვერხვები.

ჩვენ მაშინ შევხვდით
ვერცხლისფერ მცხეთაში,
ოქროგადაყრილ ფერფლის ტერეპტაში,
მცხეთაში, მცხეთაში;
იქ, თეთრ კიბეებზე იჯდა სერაფიტა,
დუმილდარღვეული გრილი წერაქვითა,
იქ, თეთრ კიბეებზე
ჯავრობდა სერაფიტა...
მას ფერხით დავეუბნე
ცისფერი რვეული,
რა შლეგი ვიყავი და გადარეული,
საყვარლად შლეგი და
და გადარეული.
ნეტავი იმ დღეებს!
იმ სერაფიტას!

მერე კიდევ გნახე,
მერე კიდევ გნახე,
თითქოს სევდიანი და მაინც ლაღი —
ორმოცდარტში მე კიდევ გნახე.
და ხალხს მორბოდა კალოსფერ

მინდვრიდან,

ბოლმიან ყელზე საყელოს იხსნიდა.
მორბოდა,
მორბოდა.
ტიროდა,
მღეროდა,
მღეროდა,
ტიროდა,
შენ მკერდი გაიკარ წითელი ტილოთი,
მანქანებს, — წელან რომ ხორბალი
უყარა, —

მისდევდა ქვეყანა, ჩემი ქვეყანა.
შენ მკერდი გაიკარ სისხლისფერ
ტილოთი,

ჩემთვის არ გეცალა,
ვმღეროდი, ვტიროდი...
მერე გაყენებდი წაქცეულ დედაბრებს,
დამით ვიჩოქებდი — და ისე გხედავდი.
მადლობა შენ, ჩემო რომანტიკავ,
იმ ღამეებისთვის, ჩემო რომანტიკავ,
იმ დღეებისთვისაც, ჩემო რომანტიკავ, —
რადგან ნედლი ვიყავ — ტოტი მანულისი,
და მაინც მივდევდი ხნულში ანუკულებს.
რადგან ნედლი ვიყავ — სუფთა გვირილა,

ცაცხახით ვისმენდი ღობიდან კივილებს
და ვეფერებოდი დავარდნილ დედაბრებს,
დამით ვიჩოქებდი,
გინმობდი,
გხედავდი,
გმადლობდი, ვკვირობდი ჩემთვის რომ
გეცალა,

და სიკეთისათვის გლოცავდი,
გლოცავდი.
აღარ მეშინოდა, რომ ვიყავ ტირიფი,
მზე შუბისტარიდან მიჭურვტლა ირიბად,
კოჭზე მეყურებოდა გრილი ნაბარი,
ურმებით მომქონდა მწვანე ზღაპარი —
თივების ზღაპარი.
სალამი შენ, ჩემო რომანტიკავ,
ჯარისკაცულმა ბარათმა მომაკითხა.
ბარათს მამის სუნი აქვს
და კიდევ მახორკის,
და კიდევ დენთის,
მომტანს ხვეწით ვაცილებ ასოებთან:
დალიე ერთიც,
ოჰ, კიდევ ერთიც!
ბარათს მამის სუნი აქვს და კიდევ დენთის!

მადლობა შენ, ჩემო რომანტიკავ,
ფოფინა სიხმრებმა მაშინ რომ მომაკითხა,
სწორედ მაშინ რომ მომაკითხა!
და მზეზე დამწვარი, მორცხვი მუხლებით
ჟამსა სამხრობისას ფრონისკენ გუხვევდი,
იქ გრილ სილაში შემეძლო თამაში,
ალმასის ნატეხი ბრწყინავდა თამაში
და ქარი მაგლეჯდა წელიდან თამასას,
ხეობის სუნი ბრუნავდა ქარში...
სალამი შენ, ჩემო რომანტიკავ,
წარსული წლების რომანტიკავ,
ბავშვივით მართალო რომანტიკავ!
შენ ზოგჯერ გციოდა, —
ჩემსავით გციოდა.
შენ ზოგჯერ გშოიდა, —
ჩემსავით გშოიდა,
ცარიელ კარადას,
ცარიელ უჯრებს
ცრემლებდამალული თვალებით უჯექ,
და მიბრძანებდი:
არა გაქვს უფლება
მცირეც დაიჩვილო,
იქ თავისუფლებას
დაფლეთით მკერდით,

სისხლიან გულებით
რაკი დარაჯობენ შენი ერთგულები.
არა გაქვს უფლება!
სუსტი მაჯებიდან მზიდავდი ზევით,
ქურებში გაგყავდი ამაყი მზერით
და გამარჯვებათა ბრჭყვიალა სალუტებს
ჩემი ფერადი სულიც დაუდე!
იმ ფერში ერთი მუქიც ერია
(იმ ფერს დავიწყება არ უწერია!) —
თითქმის ჩემი ტოლი,
თითქმის ჩემი კბილა
ტყვიამ ბალახებში როგორ წააწვინა.
თითქმის ჩემმა ტოლმა,
თითქმის ჩემმა კბილამ,
სასრჩობელაზე როგორ იქორწინა...
ეპეი, შენ, ჩემო რომანტიკავ
მათმა დიდმა გულმა ისევ მომაკითხა,
ისევ მომაკითხა!
გოგოს თმები ჰქონდა — ყანების ფერი,
ბიჭს თვალები ჰქონდა — ცხელი მზის
ფერი,

ალვა ტკრციალებდა,
ჰყვოდა ნუში,
თრთოლვით ხშიანებდა დაჭიმულ სულში:
„ესე არს ძე ჩემი საყვარელი!
ესე — ასული საყვარელი,
უკვდავების ტანჯულ მწვერვალებზე
სისხლიან ბილიკით აყვანილი.
ესე არს ძე ჩემი საყვარელი!..“
მგონი დამიმძიმდა საფრენი ფრთები.
გამიუხეშდა შრიალა ფრთები.
იასამინსფერ ღამით რომ ვწვები —

ვჩურჩულებ: უღვთო ყოფილა წლები
და შენ მომიტევე — ეს შენი ბრალა,
რამდენი ხანია — ჩემთვის არ გცალია,
ჩემთვის არ გცალია.
დახუჭულ თვალებით ძნელია ლოდინი,
ოდეს სხვებში მღერის შენი მელოდია,
და თითქოს ცარიელს,
და თითქოს მოღალულს
აღარ წამომაგდებს ღვთიური ორღანო,
დახუჭულ თვალებით ძნელია ლოდინი,
საყვარელ ღიმილით ასლები მოდიან.
ფოლადი, ფოლადი ზრიალებს ხმაში,
ღიმილი, ღიმილი იჭრება ქვაში,
იმდენი მზეები ანთია თვალში,
იმდენი ყაყაო შრიალა თმაში!
ასლები, ასლები მოდიან!
მე კი... უკვე მეწყება დიდი დაღმართები,
იქ, საღლაც ბოლოში ვიცი დაღამდება,
სიცოცხლის კანონით — ვიცი დაღამდება.
და უკანასკნელი ზრიალით, გუგუნით
ამაყად დავხურავ ჩემს საუკუნეს!

აი, ამას ჰკიოდა ჩემი შთაგონება
და იმგვარ მიხარია შენი ხმის გაგონება,
რომ: დედას გეფიცები, დედას გეფიცები,
ცოდვა ვარ — სულითგან, სულითგან
ვიცლები
და ნელა ვეხლები მწვერვალთა შუბისტარს,
შროშანი
წითელი,
ახალი,
მომცვივა უბითგან...



არკანზასის შტატის ქალაქ ლიტლ-როკის საპყრობილის ერთ-ერთ საკანში მხეცური ცემით მოკლეს 18 წლის ზანგი ჰაბუკი კერტის ინგრამი.

ინფორმაცია აწყობილი უაზი პეტიციით

რა მცხუნვარეა აგვისტოს მზე და
ალაყაფის დიდი ჭიშკარი,
ველარასოდეს ვერ იგრძნობ, კერტის.
საბურავების მღვრიე ხმაურში
ქოთქოთებს სიცხე
და უჭირავს მზისგულზე ბალი.

სიჩუმე წუთით,
კაცი მოჰკლეს!
შესდექ, სიკვდილო!
შესდექ, სიკვდილო, ხელები მაღლა!
ქოთქოთებს სიცხე,
როგორც თევზი გამომწყვდეული

აქვარიუმში,

აწყდება ხეებს,
ქუჩებს, აივნებს
და ითენთება, როგორც ხტუნვით
დაღლილი ბავშვი.

ველარასოდეს ვერ იგრძნობ, კერტის,
როგორ ვკითხულობ ახლა შენი სიკვდილის
ცნობას.

იძინე, ჩემო მეგობარო,
შენზე ფიქრობდნენ
და იფიქრებენ სიკვდილის შემდეგ...
სიჩუმე წუთით,
კაცი მოჰკლეს,
შესდექ, სიკვდილო!
შესდექ, სიკვდილო, ხელები მაღლა!

ისვრიან სადღაც,
ბალახებში გდია სიჩუმე...
სომბერეროსავით
მოიქნია მწვერვალმა მზე და
ისვრიან ისევ..

ირწევს ყანა,
ბავშვებივით არწევს თავთავებს.
ველარასოდეს ვერ იგრძნობ, კერტის,
როგორ შეაღო სიკვდილმა კარი
და დაუბრუნა დედას ცივი სისხლი და
ხორცი.

გარეთ კი ალბათ ვიცინოდით
მე და ელგარი,
გოგი და ლიზა...
გარეთ კი ყველა ვიცინოდით,
ვინც არ ვიცოდით
კერტის ინგრამის სიცოცხლის ფასი.
მაგრამ გათენდა და ცნობამ შენზე
ჩვენც შეგვაცია ღიმილი პირზე.
ამ დროს სიკვდილმა შეაღო კარი
და დაუბრუნა დედას ცივი სისხლი და
ხორცი.

ჩვენ არ ვიცინით,
შენ იგრძნობ, კერტის...
მიაქვთ მხეწვიებს
შეღამების მსუბუქი ნისლი
და ქუჩა-ქუჩა თეთრად ქარგავენ.

მე დავივიწყე შენი სიმორე,
თუ დამავიწყა უეცარმა სირცხვილის
გრძნობამ,

ასე მეგონა,
გვერდით სახლში ვიდაცას კლავენ
და კივილს შენსას
გვირიგებდა სადამოს ქარი.
გარეთ კი წვიმა დადიოდა
ძალიან დიდხანს

და ფოთლებიდან ქვაფენილზე სტოდნენ
წვეთები.

ძალიან დიდხანს
და აბიჯებდა დასვრეტილ ჩრდილებს.

მე ვიძინებდი
და მეგონა ვიღაცას კლავენ,
და გაფრთხილებად
გვირიგებდა შენს კივილს ქარი,
მე და ელიზას,
გოგის და ედგარს,
რომლებმაც მხოლოდ დღეს ვიწამეთ
სიცოცხლის ფასი.
გარეთ კი ვიღაც დადიოდა

შეწყდა კივილი,
დედამიწა ტრიალებს მაინც,
სომბრეროსავით
მოიქნია
მწვერვალმა მზე და...
ველი გასროლას
იმ სისხლის წილ,
შენ რომ დაღვარე.





(სურათები ლედაკალაქის ცხოვრებიდან)

რამდენი წლისა ვარ? რამდენისა და — ბარემ ოცდათვრამეტისა. მგონი ცოტა მეტისაც. თქვენ კი ალბათ, თავაზიანად შემნიშნავთ, რომ მე ბევრად ნაკლებისადაც გამოვიყურები? იცოცხლეთ, მაგ ქათინაურით მასიამოვნეთ. თუმცაღა, ოცდათვრამეტისა თუ ორიოდ წლით მეტისა კი არა, იქნებ მთელი ათასისაც ვარ. რადგან, ასე მგონია ჩემს თბილისს სწორედ საუკუნეებია ვიცნობ და ვეთაყვანები.

თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქია. თავს იმ უზუნელად ვთვლი, რომელიც პლენანოვის პროსპექტისა და კლარა ცეტკინის ქუჩის მიდამოებს მოიცავს.

პლენანოვის პროსპექტი სივრცე-სი-

განით არ გამოირჩევა, მაგრამ მტკვრის მარცხენა მხარეს მაინც ყველაფრით პირველია და ჩემთვის კი საერთოდ ყველა პროსპექტთა შორისაც პირველი.

ქვეყნად მრავალი სახელოვანი მე-თაური ქუჩაა. არის ნიუ-იორკის ბროდვეი, პარიზის ელისეს მინდვრები, მოსკოვის გორკის ქუჩა, ტოკიოს განზა, ლენინგრადის ნევის პროსპექტი, ათობით სხვა ცნობილი ავენიუ თუ სტრიტი, თვით თბილისშივე კი ნამდვილად უპირველესად აღიარებული ბრწყინვალე რუსთაველის პროსპექტი. მაგრამ თავისი ღირსება აქვს მოკრძალებულ პლენანოვის პროსპექტსაც, მით უმეტეს მისი მკვიდრების თვალში.



მე, პლენარის პროსექტის ერთ-ერთ შესართავზე, კარგარეთელის ქუჩაზე დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ბუდე ეს არის. ერთ ბიჭურ გულადობას მოყოლილი მარცხის შედეგად ფეხიც აქვე მოვიტეხე და ფანჯრის რაფას ხანგრძლივად მივეჯაჭვე. ამიტომ ახლა ჩემს ძალიან ჩვეულებრივ და უბრალო გარეგნობაში ყველაზე ნიშნული და თვალში მოსახვედრი ის არის, რომ ხეიბარი ვარ. ხოლო, რა არის ხეიბარის უპირველესი სანუკვარი ნატვრა ყველა ვითარებაში? რა არის და ის, რომ ხეიბარი არ იყო. მაგრამ ნატვრა და ოცნება რას გიშველის, თუ ექიმებმა ვერაფერი გაგიწიეს. ხელჯობანი დავრჩი. ეს კია, პირწავეარდნილი თბილისელი ვარ, თავითფეხებამდე თბილისელი ვარ და რით და როგორ არ ვიცი, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, პირველი შეხედვისთანვე შეიცნობთ ჩემს სადაურობას.

● მეგობრის ფასი მაშინ გავიგე, როცა მეგობრობა რა იყო, არც ვიცოდი. როცა ფეხმოტეხილი ტოლსწორებს გამოვეთიშე და ფიქრადაც არ მომივიღოდა, რომ კვლავინდებურად ველანასდროს ვინაევარდებდი.

თანაკლასელებს უყურადღებოდ არ დაუვუგდივარ. ყოველდღე თუ ჯგუფად არ მეწვეოდნენ, რომელიმე ურთი, დანარჩენთაგან მორიგედ გამომწესებულნი მაინც შემომიბრუნდა და რაც საშეცადინო იყო წვრილად ჩამიკენჭავდა. ასე რომ, მე დაუსწრებლივ უკვე მაშინ ვსწავლობდი, როცა დაუსწრებელ სწავლებებზე წარმოდგენაც არ მქონდა. რა თქმა უნდა რაკი იმხანად კუტივით ვიყავი, მეცადინეობას ხელს არ ვაკლებდი. გარეშე წიგნებშიც ბევრს ვებუდარაობდი და ჩემიქმად თვითონაც ვცოდვილობდი. ხშირად კი ქუჩას გავცქეროდი ნაღვლიანი და უნებლიეთ მთელი ქუჩის ცხოვრება ვიცოდი.

ქუჩაში ჩემს ყურადღებას, ბუნებრივია, უფრო გოგო-ბიჭობა, საერთოდ ახალგაზრდობა იმაურობდა. ყველაგან

კი გამოვარჩევიდი სამ მოზარდს. ერთი განუყრელ მეგობარს. ვახტანგს, მარს და ირაკლის.

სახელი სახელს ეხლოება. სხვადასხვა ერის ბევრი სახელი ჰგავს ერთმანეთს. ოდითგანვე ადამიანთა სხვადასხვა საშუალებით ურთიერთობის წყალობით სახელებსაც უხეტიალნიათ, გადაადგილ-გადმომადგილებულან. ამისდა მიუხედავად, მთელი რიგი ღრმად ეროვნული, აგრეთვე სხვათაგან მეტიჩრობით ძალად გადმოთრეულ ერთ-ორ სახელს გარდა, ბუნებრივი თავისთავადობით, მაგალითად, საქართველოში შემოსულ სახელებს აქაური მოქალაქეობრიობა მოუპოვებიათ და ძნელადღა გასარკვევია ვინ ვის დაესესხა. ადამიანთა მრავალი ლამაზი სახელი აქვს საქართველოს.

თუმცა ჩვენში კიდევ არიან „მაღალი კულტურის“ მემჩანები, რომელთა მეოხებით ერთობ მომრავლებულია აშკარად ყურით მოთრეული სახელები, მათი წარმოთქმა რომ ენას მოგატეხინებთ.

ხოლო უამთავლით გაქართულებულ ლამაზ სახელებს დღეს უპირველესად სახელოვანი წინაპრების პატივსაცემად ატარებენ მადლიერი შთამომავლები. მათ შორის: სახელს თბილისის პირველი რაინდი მოქალაქისა — ვახტანგ გორგასალისა; სახელს ოქროს ხანის მეფეთა მეფე დედოფლისა — თამარისა; სახელს დიდი პატარა კახისა — ერეკლე მეორისა. თორემ ლიპარიტსა თუ შადიმანს სულაც აღარ არქმევს დღეს ქართველი კაცი თავის შვილს. თუმცა, მართო სახელიც რა შუაშია? ჭუჭია გერქვას, გინდაც თავუნა, ოღონდ კაცი იყავ. ძალლიკა ერქვა ვაჟა-ფშაველას ხიმიკაურს, მაგრამ აბა თუ ვისმეს ჩამოუყვარდებოდა კაცობაში. სხანს, კაცი აკეთილშობილებს სახელს. ხოლო, თუ უკვე გაკეთილშობილებული სახელი გრგებია, ნუ შეარცხვენ მაინც.

● სამივე მეგობარი ჩემი ქუჩის სხვადა-

სხვა ეზოში, ოღონდ ერთ მწკრივში ცხოვრობდა. ჩემს მეზობლად კი არც ერთი მათგანი არ იყო. ისინი ერთ სკოლაშიც არ სწავლობდნენ, მაგრამ სკოლაში თუ სკოლის შემდეგ სულ ერთად იყვნენ და სხვა მათ არც არავინ ეტმასნებოდა.

მათ კინო, წიგნები, ხეტიალი და რომელიმე სადარბაზოს კიბეებზე ჯდომა უყვარდათ. ყველაზე მეტად — ხეტიალი. ერთი გაუვლიდა მეორეს, ორივე — მესამეს, ერთმანეთს რაღაც იდეალური საშუალებით გამოიხმობდნენ, ქუჩაში კი აიკინძებოდნენ, აჯაგნებოდნენ და წყნარი დუდუნით ალთას თუ ბალთას გაუყვებოდნენ. ჩვეულებრივ დღეებში საღამო ხანს ჩვენი ქუჩის შემოგარენზე გასეირნებას სჯერდებოდნენ. კვირაობით კი დილიდანვე გრძელ გზას დაადგებოდნენ — პლენხანოვის პროსპექტი, მარქსის სახელობის ორფა ხიდი, ჯორჯიაშვილის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი... იქ ყველა წიგნის მალაზიას საგულდაგულოდ მოსჩხრეკდნენ, რომელიმე კინოთეატრში დღის სეანსზე დასწრებასაც მოახერხებდნენ და ელბაქიდის დაღმართით დაეშვებოდნენ. ხანაც გზას თავიდანვე კვლავ პლენხანოვის პროსპექტით, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით გაუყვებოდნენ, ახალაგებულ ჩელუსკინელთა სახელობის ხილზე გავიდოდნენ, გმირთა მოედანზე თერთმეტსართულიან სახლთან ზემოთ აუზვევდნენ და ცნობილ საბურთალოს ბაზარში ზღვა ხალხს შეერეოდნენ. უკან კი ამჯერადაც ელბაქიდის დაღმართით ბრუნდებოდნენ, ოღონდ უკვე ლენინის ქუჩის მხრიდან.

მათი მოგზაურობის მარყუქი უმეტესად მარჯანიშვილის მოედანზე იკვროდა.

კარგარეთელის ქუჩაზე ისინი ბინდისასლა და დალილინი, მაგრამ კმაყოფილი სახით შემოაბიჯებდნენ. სახლში ზეზეურად ორიოდღე ლუქმას გადასანსლაოდნენ, და ისევ გარეთ და ერთად იყვნენ.

ახლა ისინი რომელიმე სადარბაზოს კიბეებს ეპატრონებოდნენ.

ეს ერთი ხანია, რაც მე საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ოთახის ტყვე შევიქენი, მთ ყველაზე უფრო ჩვენი სახლის სადარბაზო აიჩემეს. ჩვენ — მე და დედაჩემი, იმათივითვე პირველ სართულზე ვცხოვრობდით, ფანჯრიდან კისერწაგრძელებულს შემეძლო ხელით ტროტუარს შევხებოდი, ხოლო თუ ცოტა მეტს ვავიჯრებოდი, მხარმარცხნივ სადარბაზოს კიბის ზედა საფეხურსაც მიეწვდებოდი. კიბე სულ სამი საფეხური იყო და ჩამოსაჯდომად მოსახერხებელი.

ვახტანგი, თამარი და ირაკლი თაყიანთი გულითადი საუბრის მოსმენას არ მიშლიდნენ და ჩემი უდიდესი საამოვნებაც მათთვის სულგანაბული ყუჩრის გდება იყო. მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ასე იყო, ისინი თითქმის თვითონაც ცდილობდნენ ჩემთვის ამ ნეტარების მონიჭებას. მაგრამ ასეთ დროს მე კიდევ სხვა, სრულიად ძალდაუტანებელი, ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ხმაც მატკობდა. ეს, ჩემს უკან საღამე ჩვენი პაწაწინა ოთახის სიღრმეში (თუ მას სიღრმე ჰქონდა!) ხელსაქმით მიმჯდარი დედაჩემი ღიღინებდა. დედაჩემს არაფერი ელიღინებოდა. არ გვიღინებდა. ხელმოკლედ ვიყავით. მაგრამ ამ ღიღინით მე სევდას მიქარებდა და თვითონაც გულს აყოლებდა.

ეს ხმა, ღიღინი, უებარი იყო ჩემთვის, როცა უამინდობის გამო მე ფანჯარას ვერ გამოვალბედი, ან ვთქვით და ვამხებდა კიდევ, ოღონდ ჩემი საყვარელი სამეული რაიმე მიზეზის გამო თავის ადგილზე არ დამხედებოდა. თუმცა, თუ ისინი სადარბაზოს კიბეზე მოკალათებული არ იყვნენ, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ კოკისპირულ წვიმასა და ქარაშოტშიც კი ქუჩაზე მანც არ გამოჩნდებოდნენ.

გამოჩნდებოდნენ თუ არა და მე ფან-

გიორგი ველაშვილი
ჩემი თბილისი



ჯარაზე მომიკაკუნებდნენ და მადლიერებით გულაჩქარლებულს ხელში ძნელად საშოვარ დაფურცლულ წიგნს მომაჩეჩებდნენ. ამ საზრდოს არ მაკლებდნენ.

● თვითონ მათ, როგორც მრავალსა და მრავალს მათს ასაკში, ალექსანდრე დიუმა — მამა და ჯექ ლონდონი, ფენიმორ კუპერი და მიინ-რიდი აბოდებდათ.

უკვე ათეული წლებია მრავალი თაობა სიყვარულით ეწაფება ალექსანდრე დიუმა — მამის სათავგადასავლო წიგნებს, განსაკუთრებით მამაცი და მოხერხებული მუსკეტერების ამბავს.

ამბობენ, ბალზაკი ვერ იყოთ კეთილგანწყობილი ალექსანდრე დიუმა — მამისა და მისი ათოს-პორტოს-არამის-დარტანიანის მიმართ. მაგრამ, საფიქრებელი კია, მიუხედავად ამისა, ეს დიდი მოაზროვნე კაცი ჩუმჩუმად მაინც გატაცებით კითხულობდა წიგნებს სამი განუყრელი მუსკეტერისა და მათი გონებამახვილი და გულადი გასკონელი მეგობრის შესახებ.

ანდა რა ჰქონდა სადავო ბალზაკს დიუმასთან? ან ემილ ზოლა რად ესმოდა თავს ამ სახელოვან თანამემამულეს, როდესაც დაუნდობლად სთათხავდა მას სტატიაში — „ძეგლი ბალზაკს“. ამ სტატიაში ემილ ზოლა თავგამოდებით და, რა თქმა უნდა, სამართლიანად მოითხოვდა ბალზაკისათვის საფრანგეთში ძეგლის აგებას. ბალზაკს ძეგლი არ ჰქონდა და ისიც სამშობლოში, ეს უბრალო დანაშაული არ იყო.

გატაცებული მკითხველები და თანაც თავგამოდებული დამცველები ჰყავდა ალექსანდრე დიუმას ვახტანგის, ირაკლისა და თამარის სახით.

უბითა თუ ჯიბით კი ჯექ ლონდონის წიგნებს დაატარებდნენ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიუმას ვეება წიგნები ასე სატარებლად მოუხერხებელი იყო, მაშინ როცა ბრწყინვალე ლიტერატორად მოვლენილი ამერიკელი კე-

თილშობილი მაწანწალას და მეზღვაურის ნაწარმოებნი მეტწილად შეგებებით მცირე მოცულობისა იყვნენ. მათი სიმპათია ასე იმის მეოხებით იხრებოდა, რომ დიუმასთან რაინდობა აშკარად გაზღაპრებული, გატრიზებული იყო; ჯექ ლონდონის გმირები კი სპეტაკი სულისა და ძლიერი ნებისყოფის ნამდვილ ადამიანებად წარმოუდგებოდნენ. კიდევ, მათთვის მწერლის სახესაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს, საერთოდ მოზარდთა უანგარო მიკერძოებაა — სათაყვანებელი შემოქმედი მათ თვალში იერთაც ამალდეს. ისინი დიუმას კი კითხულობდნენ და დაუცხრომლადაც, მაგრამ ავტორის სურათს ჯერ არ წასწყდომოდნენ. მაშინდელ წიგნებს დიუმას სურათი ან საერთოდ არ ახლდა, ან თუ კი თავდაპირველად ახლდა, უკვე ვინმეს მიეთვისებინა.

სამაგიეროდ, ჰქონდათ ჯექ ლონდონის სურათები, საიდანაც მათ უყურებდა ახალგაზრდა კაცის თითქოს ოდნავ სევდიანი, დაღლილიც, მაგრამ მეტად ნათელგონიერი, სათნო და ლამაზი ეპიკაეტური სახე.

● ამ ეგრეთწოდებულ უშოვარ წიგნებს ისინი უმეტესად თავიანთს აჩემებულ საბურთალოს ბაზარზე შოულობდნენ. წიგნების იქაური მოხუცი გამყიდველები, ეს თავისებური ბუკინისტები, ერთომ კუშტად გამოიყურებოდნენ. ალბათ ეთაკილებოდათ, რომ უსახსრობის გამო უხვდებოდათ გაყიდვა წიგნებისა, რომელთაც წლების მანძილზე თანშეზრდილი მეგობრებგვით ესათუთებოდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

ჩემს მეგობრებს, იგივე ჩემს მეურვეებს მარტო ამ წიგნებზე არ დასდგომოდათ საქმე. ისინი საფუძვლიანად იცნობდნენ ყველა გამოჩენილ ქართველ მწერალს, და მათ მთავარ ნაწარმოებთ, აგრეთვე მდიდარ რუსულ ლიტერატურას. რაღა თქმა უნდა, რომ შეყვარე-



ბულნი იყენენ მიაკოვსკიზე და ეამა-
ყებოდათ, რომ იგი ბაღდადელი იყო.

მაგრამ სკოლისა თუ კინოს, ხანგრძ-
ლივი ხეტიალისა და ახლა კიდევ სადარ-
ბაზოს კიბეებზე საათობით ჭუჭქუკის
შემდეგ რომ თავი სულ წიგნებში
ჰქონოდათ ჩარგული, წიგნის ფასი და
სიყვარული არც ეცოდინებოდათ.

როგორც თითქმის ყველა ბიჭი, ვან-
ტანგი და ირაკლიც მწყრალად არ ყო-
ფილან ფეხბურთთან, და ხშირადაც გას-
წევდნენ ხოლმე სვანეთის უბანში, ძვე-
ლი სასწავლო დაწესებულების — სე-
მინარიის მოშანდაკებულ მოედნისაკენ.
ამ შენობისათვის, რელიეფური თვალ-
საზრისით, მეტად მომგებიანი ადგილი
შეუბრჩევიათ. უკვე ერთობ ინტენსიუ-
რი განაშენიანების დროსაც კი იგი კი-
დევ მეფურად გამოირჩევა მთელს იმ
მთავორიან და ვრცელ უბანში.

სემინარიის იმ მოედანზე დილიდან
მუქ ბინდამდე ყოველდღე ფეხბურთი
იყო გაჩაღებული და ვახტანგსა და
ირაკლისაც გამოჩენისთანავე თამაშში
ჩაირვედნენ ხოლმე გაღებულ ნორ-
ჩი მობურთალები. ხოლო სადავო ვი-
თარებაში მოედანზე გაკაპასებით გაჭ-
რას არ ერიდებოდა ისედაც ფიცხი და
გადარეული თამარი, რომ თავის მეგობ-
რების მხარე დაეჭირა.

სვანეთის უბანში ფეხბურთთან ერ-
თად ლახტიც ბატონობდა.

ვანტანგი და ირაკლი, როგორც ფეხ-
ბურთში, წრიდან ქამრის ატაცებაშიც
ვარგოდნენ და თამარი აქაც მათი სი-
მარჯვისა და გამბედაობის დაუდებარი
მეთვალყურე იყო.



ფეხბურთისა თუ ლახტის შემდეგ ისი-
ნი მთელი დაღმართიანი ცხრა იანვრისა
და რენინგერის ქუჩების, აგრეთვე კა-
ლინინის ქუჩის მცირე მონაკვეთის გავ-
ლით ახალგაყვანილი ტრამვის ხაზის
გაყოლებაზე თავს უკვე თავიანთ სამ-
ფლობელოში გრძნობდნენ.

მარჯანიშვილის ქუჩა, რომელიც ხან
„კირკა“ იყო, ხან ჟორესის სახელობისა,

ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ძარღვით
თუმცა არც სიგრძით, არც სიგანით
გამოირჩევა. მისი უპირველესი უპირა-
ტესობა ისაა, რომ იგი ყველაზე მოხერ-
ხებულია ხიდებამდე მიწვილი მტკვრის
მარცხენა და მარჯვენა ნაპირების და-
მაკავშირებელ ქუჩებს შორის.

ქუჩის მთავარი ღირსებაა მარჯანიშ-
ვილისავე სახელობის სახელმწიფო ანუ
უბრალოდ მარჯანიშვილის თეატრი,
რომელსაც თვით დიდმა კოტეშ მთაბე-
რა სული. თეატრის გარდა ხალხს აქ
იზიდავს ცენტრალური უნივერსალური
მალაზია და სხვადასხვა წვრილი სავაჭ-
რო წერტილები. უნივერსალური მალა-
ზია იზიდავს თვით თბილისელთ და მე-
ტად კი რაიონებიდან ჩამოსულთ. ამა,
როგორ შეიძლება თბილისში თუნდაც
ერთი დღით ჩამოვიდეს კოლმეურნე და
„უნივერსალს“ არ ესტუმროს?

ქუჩა ძირითადად ახლაც თითქმის
ისეთსავე იერზეა, როგორისაც იყო ამ
ოცდახუთი და მეტი წლის წინათ, იგივე
ძველი, თუმცაღა მაინც მყუდრო, შე-
ლამაზებული, მეტწილად დარაბებიანი
უთანაბრო სახლები დგას.

სამაგიეროდ, მოედანია სულ ახალი.
სხვადასხვა ძველ ნაგებობებს სამმხრივ
უკვე ადგილი დააცლევინა ერთი
მიმსგავსებულმა ახალმა დიდმა სახ-
ლებმა, რომელთა ქვედა სართულებში
განლაგდა ათობით მალაზია. სადაცაა,
აღბათ მეოთხე კუთხის ძველ შენობა-
საც ახალი შეენაცვლება, მაგრამ პლე-
ხანოვის პროსპექტისა და მარჯანიშვი-
ლის ქუჩის გადაკვეთაზე მოედნად წო-
დებული უწინდელი ფრჩხილისოდენა
ფართობი ახლა უკვე ნამდვილი მოე-
დანია.

ჩემი საყვარელი მეგობრების წარ-
მოდგენაში ეს ქუჩა და მოედანი გაიგი-
ვებული იყო, ერთ მთლიანობად ჩახა-
ტულიყო, რადგან ერთობლივ ორივეს-
თან იყო დაკავშირებული მათი არა ერ-
თი ამადლევებელი შეხვედრა — ამა თუ

აიორავი ვალაჟილი
ჩემი თბილისი



იმ სასიკადალო მოქალაქეებთან, რომელთაც იმავე ადგილებში გავლა უხდებოდა.

სწორედ აქ, რომელიდაც სადარბაზოში წვიმისაგან თავშეფარებულებს მათ ერთხელ ახალგაზრდული იერის რუხკოსტუმიანი და პორტფელიანი დარბაისელი კაცი მიჰმატებოდათ და მორიდებით ეთხოვა, ეგებ მეც ჩამომჯინოთო. შემებარ ყმაწვილებს გაწევგამოწევა კი არა, ადგილიდან წამოცვენა დაეპირებინათ, მაგრამ ტკბილ ადამიანს ამის ნება არაფრის გულისთვის არ მიეცა. იგი მიინცდამიანც სწორედ მათს შორის ჩატეულიყო და წვიმაზე თვალმიჩერებული თავისთვის თითქოსდა აღუღუნებულყო.

ვალაკტონი უკვე მაშინ იყო დიდი და მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოში ადგილდამკვიდრებული, და აბა, როგორ არ დაფეთდებოდა და სიამაყითაც არ აივსებოდა მასთან ამ მოულოდნელი სიახლოვით სამი მოზარდი, რომელთაგან თვითეული გაკვეთილებს შემდეგაც შთაგონებით წარმოსთქვამდა ხოლმე პოეტის ლექსებს, მეტადრე „ლურჯა ცხენებსა“ და „მე და ღამეს“.

იგივე მიდამოებში მათ პირველად დალანდეს ახალგაზრდული მარგალიტი, კეთილშობილი და ალალი რაინდი სპარტაკ ბალაშვილი, როცა ის იყო დამკვიდრდა ეკრანებზე მიხეილ ჭიაურელის „არსენა“. სპარტაკ ბალაშვილის შთამბეჭდავი გარეგნობისა და ხალასი ნიჭის წყალობაა, რომ ქართველ ხალხს თავისი საყვარელი სახალხო გმირის კეშმარიტი სახე შეექმნა ამ ფილმში.

მსახიობის დიდი გამარჯვება ყოველთვის ის კი არ არის, თუ რომელიმე როლს ახლებურად გახსნის. უდიდესი მიღწევაა, როცა წიგნისა თუ ზეპირსიტყვიერების აღიარებულ გმირს მსახიობი მოულოდნელად ზუსტად ისეთად დაგიხატავს, როგორადაც მანამდე საკუთარ წარმოდგენაში წარმოგსახვია. ასეთი იყო ელენე დონაურის ოთა-

რანთ ქვრივიც, დიდი ილიას შექმნილი ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებულ „ჩატეხილ ხიდშიც“. თანაც „ჩატეხილი ხიდი“ იგივე თეატრის მიერ წარმოდგენილ „ნინოშვილის გურასთან“ ერთად განსაკუთრებით საყვარელი და სასარგებლო იყო მოზარდებისათვის, რომელთაც ეს დადგმები სასკოლო მასალის შეთვისებაშიც ეხმარებოდა.

სპარტაკ ბალაშვილი და არსენა იმავე ეთვე გაიგივდნენ.

იმ დროს კი თვითეული მოზარდის საკვებარი უპირატესობა იყო, თუ მას სადმე თვალი მოეკრა ეკრანიდან გადმოსულ წვეროსანი ვაჟკაცისათვის. ასეც იტყოდნენ ხოლმე: „ბიჭებო! არსენა ვნახე“. სახლიდან, ბოჭორიძის ქუჩიდან კინოსტუდიისაკენ მიმავალი სპარტაკი გზად, როგორც წესი, მარჯანიშვილის ქუჩას იჩრევდა. მიაბიჯებდა იგი ამ, ან რომელიმე მახლობელ ქუჩაზე თავისი გრძელი ნაბიჯით და სათნო, იღუშალი ღიმილით და მას სიყვარულით თვალს მიადევნებდნენ მის დანახვაზე სასოებით გარინდებული თაყვანისმცემლები. მათ შორის კი, რა თქმა უნდა, ვახტანგიც, თამარიც, ირაკლიც ანუ ვატა, თარია, ირაყო, როგორც მათ საალერსოდ მიმართავდნენ სახლშიც და მთელ ქუჩაზეც. ერთობლივ სამივეს კი მოიხსენიებდნენ: სამეული, სამაია, სამინა და რა თქმა უნდა, სამება.

სოსო გრიშაშვილის ისინი ვალა მხარეს, რუსთაველის გამზირზე ხედებოდნენ. ხალხმრავლობაშიც უმაღლესი შეიმჩნეოდა ქუცმაცად მოარული თვალფაციცი და მოკრძალებული მგოსანი კიდევ ერთი ახალმოპოვებული განძით — ძველ-ახალი წიგნების მორიგი შეკრულით ხელში, რომელსაც ქაღალდში არასდროს ახვევდა.

— მგოსანო, ერთი ტურფა რითმა მინდა გაჩუქო, — ხმამაღლა შორიდანვე მიუმართავს ერთხელ სწორედ რუსთაველის პროსპექტზე ოპერის თეატ-

რის მოპირდაპირე წიგნის დიდი მაღაზიის წინ მისთვის ვინმე თავშენახულ ყარაჩოღელს.

— ვაჰ! შენ ხარ, კაცო? — სიხარულით შეუტყვინა იგი სოსოს, როცა ერთმანეთს მიახლოებთან, მაშინათვე ძველი ყაიდის ჩასპანდი კაცისთვის მოწიწებით ხელკავი გამოუღვია და ისინი გზას ერთად გულითადი საუბრით გაჰყოლიან.

ხან აქ და ხან იქ იმავე გაღმა მხარეს მათ თვალწინ გაკრთებოდა ხოლმე მეორე, თეთრწვერულვაშიანი იოსები, სანდომიანი და ამაგდარი მოხუცი განუყრელი ნაბღითა და კახური ქუდილი — იოსებ იმედამვილი ნამდვილი კეთილი თოვლის პაპა. ვინმე რომ თავს მოაბამდეს (ეს კი სულ ადვილი მოსახერხებელია), იოსებ იმედამვილის ზუსტი განსახიერება უნდა იყოს ჩვენში ნაძვისხეთა აუცილებელი სტუმარი თოვლის პაპა და ასეთი იერის მეკვლეს განსაკუთრებული სიამოვნებით აღიქვამს ყველა თაობის ქართველი ბავშვი.

რუსთაველის პროსპექტზევე, უმეტესად, რა თქმა უნდა, რუსთაველის თეატრის წინ დაბიჯებდა გოლიათი აკაკი ხორავა. აკაკი ხორავას, შემდგომში გიორგი სააკაძის მეტი რომ არაფერი შეესრულებინა, ძეგლად დიდი მოურავის განსახიერებაც ეყოფა.

ქუჩებში, აგრეთვე, არ შეიძლებოდა არ შეენიშნათ მათ ფაქიზი და ღიანი, წარმოსადეგი შალვა დადიანი; სადაც, მაგრამ მუდამ კოხტად ჩაქმული კოხტა ყარაღაშვილი, და კიდევ ვინ და ვინ არა.

ერთხელაც — მაშინ თბილისში ტროლეიბუსი სულ ახალი ხილი იყო — მეგობრები განსაკუთრებით ლამაზ სურათს შესწრებოდნენ. ტროლეიბუსში, რომელშიც ისინი კინოთეატრ „რუსთაველთან“ ასულიყვნენ და უკვე კიდევ მოექებნათ თავისუფალი ადგილები, მათი ჩათვლით ზუსტად იმდენი მგზავრი აღმოჩნდა, რამდენიც დასაჯდომი იყო. ის იყო მძღოლს ტროლეიბუსი უნდა დაეძრა, რომ უეცრად გულაჩ-

ქროლებული ნატო ვაჩნადე ამოვიდა ბადურა კალათით, და მის დანახვაზე უცებ და ერთობლივ ფეხზე წამოდგა ყველა მგზავრი, ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი. ისინი მოწიწებით შესცქეროდნენ დიდებულ ქალს და თვითუფილი სიხარულით ცას მიეწეოდა, თუ მაინც და მაინც მის მიერ შეთავაზებულ ადგილს ინებებდა იგი. ნატოს კი სკამი არ სჭირდებოდა, ძალზე მიიჩქაროდა, დასაჯდომად არ ეტალა. თუმცა ფეხზე იქნებოდა თუ არა, ხომ ერთი ფასი ჰქონდა, რაკი თავის მუხლის სიმარდვეზე აღარ იყო დამოკიდებული, მაგრამ მოჩქარე ხშირად მუხლის ჩახრას ვერ ჰგუობს. ამ შემთხვევაში კი ნატო უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. რომელი ერთის პატივისცემა უნდა მიეღო ან თავად რომელი მათგანისათვის დაედო პატივი თავისი მადლიერებით?

— უიმე, თქვენი ჭირიმეთ, — რამდენჯერმე თავისი ღრმა გულისეული ხმით უმწეოდ ამოსთქვა მან და დაჯდომაც ვერ მოახერხა.

მაგრამ გაჩერებამდე, სადაც ნატო ჩავიდა, და ჩავიდა მგონი უფრო ადრე, ვიდრე ჩასვლას აპირებდა, ისევ ფეხზე იდგა ყველა მგზავრი, ვინც მას თავდაპირველად ადგილი დაუთმო, და ასე გასინჯეთ, არ დამჯდარა არც ერთი ახალმომატებული მგზავრიც კი.

მათი ყურადღება მრავალ რიგით, მაგრამ თავისებურად გამოჩნეულ ადამიანსაც სწევდებოდა.

ერთ-ერთი ეზოს ჭიშკართან თავისი გამოხილი დაზვიანად მიუყუყულიყო მოხუცი ხარაზი, რომელსაც ხშირად, რომ იტყვიან, დავთრებს ურევდა საიდანმე მიზანსაცდენით გამოტყორცნილი ბურთი, მაგრამ იგივე ბურთს საფასურის გარეშე გულმოდგინედ უკოწიწებდა ხოლმე ცარიელზე დარჩენილ მობურთალ ბიჭებს.

იყო ვინმე წარმოსადეგი, თეთრულ-

გიორგი გელაშვილი
ჩემი თბილისი

ვაშაწებილი, ტანხმელი და მაღალი, ენაწყლიანი ჭარბავი კაცი განუყრელი ყაბალახითა და სარკესავით გაკრიალებული მსუბუქი ჩექმებით, რომელსაც ყოველი შემხედვარი ნაცნობისათვის მოეძებნებოდა უბოროტო შენიშვნა.

— დიმიტრისავით არ ავიფუხებია უღვაშები?

— რა ექვთიმესავით ჩამოგიშვია ეგ პატოსანი ცხვირი.

— ბესასი არ იყოს, არც შენ უჩივი უმადობას.

— მე და ჩემმა ღმერთმა, თანდოსაც შეშურდებოდა შენი ფესხაცმლის ჭრატუნი.

მისგან ამ შეხუმრებას საწყენად არავინ ღებულობდა, თუმცადა ეცნაურებოდა ჩვენზე ქუჩელების; დიმიტრის თუ ექვთიმეს, ბესასი თუ თანდოს ესა თუ ის ბედოვლათობა.

იყო მისი კბილა ფუმფულა და მელოტი ხითხითა მუსიკოსი, რომელიც ზაფხულში სადამოობით მუშტაიდის ღია ესტრადაზე ორკესტრში კლარნეტზე უკრავდა, ხოლო ბაღის დროებით დახურვიდან ახალი სეზონის დაწყებაჲდე სულ ერთთავად სხვა საშოვარზე დადიოდა იღლიაში ამოჩრილი განუყრელი საკრავით. ზაფხულში მუშტაიდში წასვლამდე მთელი დღე თავის პატარა ეზოში გაფენილ ფოჩებშემოძაოცულ, გაქუტულ ხალიჩაზე გორაობდა ტანთ მოშილიფებული და მთელი ყურადღება გამახვილებული ჰქონდა მომიჯნავე ეზოებში მეტიჩარა მამლების უღროო შეყვივებაზე.

— დაიკვლება დღეს ნატრიძეების ოქროსბიბილიანი.

— ჩაქნატუნდება დღეს ველიძეების ყვინჩილა.

— გაიბუტება დღეს მარდიშვილებს ღეზებიანი.

ქალაქის ეზოებში მაშინ ჯერ მკაცრად არ იყო აკრძალული ფრინველის ყოლა, მუსიკოსს არც დედლების კრიახი და ვარიების წიფწივი გამოეპარებოდა. მაგრამ პირის გემოს თვალსაზრისით ყვინჩილები უფრო იზიდავდა.

იყო ერთი შესანიშნავი წყვილი მელოდაც ქარხნის ოსტატი გოლიათი ვაჟი და მისი მუღმივი თანმხლები ტანკენარი ქალიშვილი. ვაჟი — ბუტუსტრა, უენო, ქალიშვილი კი — ენატრეტია და შპეტი. ვაჟი კრიჰაშეკრული და მოქუშული, მძიმედ დალაკებდა, ქალიშვილი მას თიკანივით ხან ერთ მხრიდან უხტოდა, ხან მეორედან და ერთთავად ექილიკებოდა. ვაჟს, სჩანდა, ქალიშვილისგან სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული, მაგრამ აშკარა იყო უიმი-სობა მაინც არ შეეძლო. ერთხელ ვაჟს ახალი კოსტიუმი შეეკეთნა. გამოსახსნელად მისული მკერავს არაფერზე შესდავებოდა და მზად იყო კოსტიუმი ყოველგვარი შესწორების გარეშე მიეღო. მაგრამ მოულოდნელად მისი მეგობარი გაჭირვეულეულელიყო, ხან მკერდი დაუწუნა, ხან მხრები და კიდევ რამდენჯერმე მისვლა დასჭირდათ. ვახვითქულმა მკერავმა ბოლოს, როგორც იყო, ყველაფერი ქალიშვილის გემოვნებაზე შეასწორა, შევებითაც ამოისუნთქა და ვაჟის გასაგონად თანაგრძნობით ჩაილაპარაკა:

— ღმერთმა გაძლება მოგცეს, ძმაო, კაი და შენ გყოლია.

ქალიშვილი ამაზე ერთი რიგიან-პირიანად გაკაპასებულა, მკერავი საკადრისად შეუჩვენებია და არც თავის მეგობრისთვის დაუკლია ჭინჭარი.

— აი ერთთავად პირში წყალი რომ დაგივუბებია, იმიტომაა ეს გამოცდილი ოინბაზიც კი ვერ მიხვედრილა, რომ შენი საცლოდ ვარ და ახალ კოსტუმზეც საქორწილოდ ვიზრუნე.

ქორწინების შემდეგ მათ ხასიათები სავსებით შეუთანაბრდათ.

იყო ვინმე „ქვეყნის მამიდაც“, ტკბილი და მარდი, ხალისიანი, მოკეკლუცო დედაბერი, რომელიც ყველა დღესასწაულზე დილაადრიან ხუსხუსით ჩამოუვლიდა ღამის მთელი ქუჩის ფანჯრებს, და მეზობლებს თუ უბრალოდ ნაცნობებს საუკეთესო სურვილებსა და ტკბილეულსაც მიუძღვნიდა.

იყო თვალბჩაცვენილი და ნადვლია-

ნი, უმეტესად წვერგაუპარსავი მხატვარიც; სახლმპართველობიდან მოსული გაურკვეველი ასაკის მჭახეხმიანი ქალიც, რომელიც მუდამ კისერზე ბოამოგდებული დაძრწოდა და ფაფარაყრილ ლომს ჰგავდა; ტანმძიმე, თითქოს გაშეშებული თმაშეთხლებული ბულალტერიც, რომელიც თვალებს ისე უცნაურად აბრუნებდა, რომ იფიქრებდით თავი ჩვეულებრივ მდგომარეობაში კი უჭირავს, მაგრამ ხის კენწეროს ხედავს; შუახნის ეშხიანი და გულგამლილი, პურ-მარილის მადლის მცოდნე კაცი, რომელიც საღამოს, თუ ზარბოშად იყო, ქუჩაზე ღიღინით შემოქანავდებოდა.

„მშვენი-ერთა ხელმწიფავ...“

— მართლაც, მშვენიერი გულისა მყავს სახლში, მე რომ მიტანს, — თან ალაღად აღსარებასაც წააბამდა ხოლმე სიმღერის ნაწყვეტს შემხვედრ ნაცნობთა საყურადღებოდ, — თუმცა იქნებ სახითაც ლამაზმანია ჩემი ოჯახობა, მაგრამ სირცხვილით თვალეებში რომ ვერ შემხედნია, როგორ დაგისურათხატოთ? გვეც არ იყოს, მამ რა იმღეროს კაცმა ია კარგარეთელის სახელობის ქუჩაზე? მე, იმის პატიოსან სახელს ვენაცვალე და იმის ლამაზ შუბლს ვეამბობრე; იყო, ახლახან სახელმოხვეჭილი და ნამდვილ გუნდში ჩარიცხული ჭაბუკი ფეხბურთელი, რომელზეც ყველაზე ნორჩი გულშემატკივრები ფრად ბეჯითად ირწმუნებოდნენ, მას დამანგრეველი ძალის გამო მარჯვენა ფეხით ბურთზე დარტყმა აკრძალული აქვსო; მულზე თმაჩეჩილი პარიკმახერი და საკინძეჩამოხეული მკერავი; ხანდაზმული ფაშფაშა პედაგოგი ქალი, რომელიც დროთა სვლას სასწავლო წლებით ანგარიშობდა; წერწება და მკვირცხლი სტუდენტი ქალიშვილი, რომელსაც ილიაში ხან ნახაზების გრაგნილი ჰქონდა ამოჩრილი, ხან ჩოგბურთის ჩოგანი, თითქმის მთელი დღის განმავლობაში მუხლის ჩახრა არ სჩვეოდა და განუწყვეტელი ტანტალის გამო ლაჯუნას ეძახდნენ.

იყო ვინმე მარტოხელა, უცოლო დაბერებული უსიტყვო კაციც. უცოლობის გამო რომ ნიშნის მოვებით არ გაეკენწლათ, ალბათ იმიტომ, ყველას ჯიბრზე თავს თვითონ სანიმუშოდ უვლიდა. თავად ირეცხავდა და იუთოებდა და ქუჩაში მუდამ რიგიანად გამოიყურებოდა. ცნობილი იყო, რომ მას რომელიღაც დაწესებულებაში უკიდურესად რიგითი თანამდებობა ეკავა, მაგრამ დაწესებულებას უიმისობა არ შეეძლო, საქმის ისეთი სამავალითოდ შემსრულებლის სახელი მოეპოვებინა. მისი ვატაცება კი ცირკი იყო. ცირკისკენ თითქმის ყოველ საღამოს ისე ბეჯითად და დროის თადარიგით მიეშურებოდა, როგორც დილით სამსახურსაყენ. ცირკში კი, წინა, უფრო მოხერხებული ადგილებიც რომ თავისუფალი ყოფილიყო, ის მაინც კუთვნილ სკამზე დასკუბდებოდა. სიცოცხე რომ ყოფილიყო (სიცოცხე კი ხშირად იყო. ცირკის სეზონი უფრო ზამთარშია და შენობა რატომღაც არ თბებოდა), ის მაინც გულაღად იჯდა და უყურებდა თითქმის გაზვიადებულ სანახაობას. ცირკს საკვირველებანი არ გამოეღევა. ცირკის როგორი სტაჟიანი მაყურებელიც არ უნდა იყოს, ისიც კი გაცოცებით წარბებს აკიმავეს ზოგიერთ იღეთზე. ამ კაცს კი აღარაფერი აკვირვებდა, მაგრამ უცირკოდ კი არ შეეძლო, ისევე, როგორც თურმე მის გარეშე არ შეეძლოთ სამსახურში. ცირკისადმი თავყანისცემაში იგი თვით კუპრინსაც კი გაუტოლდებოდა.

ვიღა არ იყო ჩვენს ერთ ბეწო ქუჩაზე!

თამარსა და მის მეგობრებს მრავალსხვადასხვა ასაკის ქალთა თუ კაცთა შორის მათთვის სამავალითო პიროვნებებიც ეგულებოდათ. ბევრ მათგანს ისინი სალმითაც კი არ იცნობდნენ, მაგრამ მოხიბლული იყვნენ მათი სიტყვაპასუხით, თავდაჭერით, ლაზათით, და

გიორგი გალაშვილი
ჩემი თბილისი

მათ ბაძვედნენ, ასე ვთქვათ, ქუჩაში შე-
ძენილ მასწავლებლად მიიჩნევდნენ.

ქუჩა ყარგია, საყვარელია. და არა
მარტო ქონებებით, ტროტუარებით,
ფილაქნით, ქვაფენილით, მწვანე ნარ-
გავებით, ვიტრინებით, საერთოდ მთე-
ლი იერით. ბევრი ქუჩა იმიტომაც ვიყ-
ვარს და ავიჩქმებია, რომ იქ დაფასე-
ბულ ან უცნობ, მაგრამ მოსაწონ ადა-
მიანს შეხვედრიხარ და გგონია, მას იმ
კაცის იერიც სამუდამოდ დამჩნევია.

ჩემი მეგობარი ყმაწვილებიც ამიტომ
უფრო მეტად ეტრფოდნენ თავიანთ
„სამოქმედო“ არეობებს. მათ თვითონ
ჯერ კიდევ პატარებმა გულწრფელი
ლექსიც კი მიუძღვნეს ქუჩებს, ლექსი,
რომელშიც უკვე ასაკში შესულებივით,
წინასწარ, შორი მომავლიდან გამოხე-
დეს თავიანთ ბავშვობას.

●

მეგობრებს დღიურიც საერთო ჰქონ-
დათ. იმ დღიურში მათ გარდა არავის
ჩაუხედნია, მაგრამ ვიცი, სქელი, ორად
მოკეცილი რვეული ერთ დღეს რომ
ერთთან იყო, მეორე დღეს — მეორეს-
თან, შემდეგ მესამესთან, ხელახლა
კვლავ თავიდან ჩამოტარდებოდა და
ერთთავად ასე ბრუნავდა. დღიურში
თვითეული მათგანი სამთა საერთო ში-
აბეჭდილებას შეიტანდა და თავის მხრივ
იმ მცირეს მიუმატებდა, რაც დანარჩე-
ნი ორის გარეშე განიცადა. ამრიგად,
მათ ერთმანეთის შესახებ იცოდნენ
ისიც კი, რასაც უერთმანეთოდ ყოფნა
მოიცავდა.

გარდა ცალკეული პიროვნებებისა,
მათზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენ-
და ადამიანთა რომელიმე გულითადი
ჩვეულებაც. ვთქვათ, ერთ-ერთი ეზოს ერთ-
ობლივ ყველა მამაკაცი, რომლებიც
კვირა დღით დიდის გულმოდგინეზი-
თა და შეხმატებლებით მთელი ეზოს
სამყოფი ხაშის თადარიგს იკერდნენ-
თბილისში სასადილოების ხაშს დიდა
დაფასება და პატივისცემა აქვს, მაგრამ
ოჯახურს, შინაურს მაინც მეტი. ოღონდ
შინ თუ გარეთ ხაშის დამზადება მამა-

კაცის ხელობაა, ყოველ შემთხვევაში
ისინი ამ, დიდის კერძის ვეება ქვაბთან
ფუსფუსისას ქალებს სიახლოვეს არ
იკარებენ, მათ ნიორის დანაყვასაც კი
არ ენდობიან.

დარიანში, კარგარეთელის ქუჩის რან-
დენიზე ეზოში, ღია ცის ქვეშ გამართულ
საერთო სუფრაზეც მამაკაცები ჩამოდ-
გამდნენ ხოლმე საკუთარი ხელით დამ-
ზადებულ ხაშს. თითო ჩამჩა თითო მათ-
ლაფას ავსებდა, თითო ჩლიქი კი ყვე-
ლას უნდა შეხვედროდა. ხოლო თვი-
თეული თავის მათლაფაში ბლომად და-
ნაყილ ნიორს გააზავებდა. ზომიერად
მარილს უხადა და შიგ ფაშარ პურს
ჩააბუებუებდა.

თამარსა და მის ბიჭებს მათზე ამის
გამო ეცინებოდათ.

დილაადრიან ახალ პურს ვერ შოუ-
ლობენ და თავს იტყუებენ თუ იჯერ-
ბენ, სხვასაც არწმუნებენ, ხაშს წინა
დღის პური უხდებოა. იმდენი მაგათ რა
ვუთხარი! ახალი პური ყოველთვის
სჯობს ძველს, კაი გახუხულსაც კი.

ამიტომაც, სამთავეს, საკუთარი თა-
ოსნობით, არა ერთხელ ახალი პური
მოურბენინებიათ მოსუფრალთათვის და
ფაშარი პურის ქომავნიც მეტი სიამო-
ვნებით შექცევინ ცხელსა და სურნე-
ლოვან თონყულს. თუმცაღა, იმ დროის-
თვის ხაშის საბაბით გადაკრულ თითო
ჭიქა ქაშის არაყის შემდეგ, ისინი
უკვე ღვინოსა და მწვადებზე, ცოცხალ-
სა და მწვანილეულ-მჭავეულზე გადა-
სული დახვედრიან და ყველაფერი ეს კი
მართლაც ჩვილ პურს მოითხოვდა.

ახლა უკვე საქმეში ქალებიც იყვნენ
ჩარეულნი და ნაშუადღევს სუფრის
ალაგებაც მათ უწევდათ. შექმნილიე-
ბული მამაკაცები კი ერთპირს გამოიძი-
ნებდნენ და მერე საღამო ხანს ისევ უკ-
ლებლივ ერთად ეზოში ან ქუჩაში ვა-
მოიკრებოდნენ თავთავიანთი სკამე-
ბით, სანარდოდ თუ საჭუჭკუოოდ.

ბიჭები და თამარიც პატივისცემით
შესციცნებდნენ ამ ხალისიან, ერთურთ
კეთილგანწყობილ ადამიანებს, მაგრამ

ხაშის მერე მათთვის. აღარ ეცალათ. დღისით უნდა ეხეტილნათ, საღამოს კი კინოთეატრს სწვეოდნენ.

თითქმის ყოველდღე კინოსურათის ნახვა მათი ჩვეულება იყო და მას ძვირად ღალატობდნენ.

პლენანოვის პროსპექტზე მაშინაც სამი მთავარი კინოთეატრი იყო — ახლანდელი „კომკავშირელი“, „ამირანი“ და „ოქტომბერი“. „კომკავშირელს“ თავდაპირველად „დარბაზი“ ერქვა, შემდეგ კი „ტემპი“. „ამირანი“ კი ჯერ „პალასი“ იყო, მერე „დამკვერელი“. მხოლოდ ერთხელ გადაინათლა „ოქტომბერი“, რომელიც ამ სახელის მიღებამდე „აპოლოდ“ იწოდებოდა.

„ოქტომბერი“ კარგარეთელის ქუჩისა და პლენანოვის პროსპექტის კუთხეშია და ამდენად ყველაზე ხელმისაწვდომი იყო თამარისა და მისი მეგობრებისათვის, სადაც ისინი თავს შინაურად და თითქმის მასპინძლებად გრძნობდნენ.

აქ, შეუვალი განცხადება, რომ ამა და ამ სურათზე ან სენსზე თექვსმეტ წლამდე ახალგაზრდები არ დაიშვებიან, მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა.

მაგრამ, მათი გუნების ფილმს ყოველთვის არა „ოქტომბერში“, არამედ სხვაგან, ვთქვათ, „ამირანში“ აჩვენებდნენ და დაბრკოლებაც ასეთ შემთხვევაში იჩენდა ხოლმე თავს.

სწორედ „ამირანში“, მაშინ გახმაურებული ფრანგული მხატვრული ფილმის — რენე კლერის „შიგ პარიზში“ ჩვენებისას შეეჩხენენ ისინი დაუძლეველ წინაღობას, უფრო სწორედ, შეეჩხენენ მას მართო ბიჭები, კინოთეატრის ერთი უქმური კონტროლიორის სახით, რომელმაც ბილეთების წარდგენისას ყარყატა თამარი კი გაატარა შეუდავებლივ, მაგრამ მჭივნარე მეციხოვნესავით გადაეღობა ჯერ ტანგაუშულელ ვახტანგს და ირაკლის — „თქვენ პატარები ხართო“.

გაწბილებულ ბიჭებთან ერთად, რა თქმა უნდა, უკან გამობრუნდა სამშვიდობოს გასული თამარიც.

● შემდეგ წელს კი აწვრილდნენ ბიჭებიც. ტანიც აიყარეს და დამშვენდნენ კიდევ:

თვალციმციმა და კისკასი, კოხტა თამარის გვერდით ისინი უკვე საესეებით შესაფერ თანმხლებლებად გამოიყურებოდნენ.

ბიჭებს ისედაც სივაჭიზე სჩვეოდათ, მაგრამ ტანის აყრასთან მეტი თავმოყვალა შეითვისეს. ეს განსაკუთრებით მათ ქოჩრებს დაეტყო.

ვახტანგს ღია წაბლისფერი თმა და თეთრი პირისახე ჰქონდა, ლურჯ, მინაბულ თვალეში ერთთავად ფიჭვი თუ ოცნება ედგა, ცოტას ლაპარაკობდა, სამაგიეროდ, გულუბრყვილო, ცნობისმოყვარე გამომეტყველებით სხვას სასაუბროდ განაწყობდა და მერე სიამოვნებით უსმენდა.

მასთან შედარებით ირაკლი შავგერმენად ჩაითვლებოდა, მით უფრო, რომ მზე უცებ და საფუძვლიანად ეკიდებოდა. თმაც მუქი წაბლისფერი ჰქონდა. თავისი თვალების ფერი კი თვითონაც ვერ განესაზღვრა და დაედგინა. ირაკლის ლაპარაკი შეეძლო და სწორედ ის აღამიანი იყო, რომელსაც ყველაზე მეტად უსწინდა ენას ვახტანგი და რომლის მოსმენაც მას ყველაზე მეტად უყვარდა.

იმ ხანად, რა უფლება მაქვს უკლებლივ ყველაზე განვაგრცო ჩემი ვარაუდი და ვთქვა მთელი თბილისის ჰაბუკებიო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თბილისის ჰაბუკების დიდი ნაწილი კი სიარულში ნამდვილად გიორგი შავგულიძეს ან ბორის პაიჭაძეს ჰბაძავდა.

ერთსაც და მეორესაც თავისებურად მოხდენილი, განსაკუთრებული, თუმცა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სიარული ჰქონდათ, უმცროსნი კი მაინც როგორღაც ერთდროულად ორივეს ჰბაძავდნენ. ამ ორთა, ორი

გიორგი გელაშვილი
 ჩემი თბილისი

ადიარებული და საყვარელი მსახიობი-
სა და ფეხბურთელის სიარულის ერთ-
გვარი ჰიბრიდი გამოემუშავებინათ. ლა-
მაზი სიარული კი ადამიანის სხეულის
ნატიფი ნაკეთივით ფასდება და მათი
ნაბიჯის კილო გაკრავდა ვახტანგისა და
ირაკლის სიარულსაც.

● დადგა დღე და ბიჭებმა თავის სი-
ცოცხლეში პირველად ჩაიცივეს კოსტუ-
მები, რომლებიც იგივე ჩასუქებულმა
და ქლოშინა მკერავმა გამოუწყო, ვინც
თავის დროზე სიმწრის ცრემლამდე
მიიყვანა მათი მეზობელი გოლიათი ვა-
ჟის ტანკენარმა და ენაკვიმატმა მეგობ-
ბარმა.

მკერავი, რომელსაც თავისი ხანგრ-
ძლივი მოხელოების მანძილზე თითიც
არ გაეკარებია ქალის ჩაცმულობისათ-
ვის, ვერც ახლა ასცდა ისევ ქალისაგან
წამებას. მწამებელი ამჯერად თამარი
იყო, რომელიც კოსტიუმების ყოველ
მოსინჯვაზე თავდაც შემკვეთივით თან
ახლდა ბიჭებს და ბიჭები რომ გატრუ-
ნული იყვნენ, ის ჰირვეული წუნმდებე-
ლივით უკირკიტებდა თვითველ ნაკე-
რავს თუ შენაკაცს.

ბოლოს შეკვეთას საშველი დაადგა,
მკერავმა თვითონ ჩააცვა ბიჭებს ზუს-
ტად ერთნაირი, ერთი რუხი ნაჭრისაგან
და ერთ ყაიდაზე შეკერილი კოსტიუმე-
ბი და მხრებზე ხელი დაუტყაპუნა.

— მშვიდობაში და სიხარულში, ჯეე-
ლებო. ამის გარდა კიდევ ერთი ასიო-
დეც გაგეცვიოთო, — ხელოსანმა თან
თვალი თამარისკენ გააპარა, რომელიც
რაკი დაარჩენებულყო, ახლა მშვიდად
და ყურადღებით მოდების დაქინძილ
ქურნალს ათვალეირებდა, და ჩაიჭირ-
ქილა, — ისე კი, რა გიჭიროთ, ისეთი
მზრუნველი მეურვე გყოლიათ, კაი მამ-
იდაც შემირცხვენია მაგასთან.

ბიჭებს ადრევეც თითქმის სულ გა-
ნუსხვაველად ეცვათ, ხაკის ხალათები
თუ უჯრულა პერანგები, მეზღვაურუ-
ლი ზოლებიანი და სპორტული მაისუ-
რები. საერთოდ, მაისურებით ქუჩაში

გასვლა მაშინ მიღებული იყო დღის
მოსაწონიც. შარველსაც უბრალო ნაქ-
რისას ატარებდნენ, მაგრამ აუცილებ-
ლივ ტოტებგანიერს, რომლებიც მი-
წაზე დასთრევდათ. მათ შშობლებს დი-
დი სახსარი არ ებადათ, მაგრამ იმით
მაინც უგებდნენ გულს თავთავიანთ
პირმშოს, რომ ერთნაირად მოსაგდნენ,
რაც ორივეს სანუჯვარი სურვილი და
ყველაზე დიდი სიხარული იყო.

თავიანთ პირველ კოსტიუმებში გა-
მოწყობილ ბიჭებს ისედაც ესამუშებო-
დათ უჩვეულო ჩაცმულობა, შებოქი-
ლებივით იყვნენ, როცა მათ მედიდური
მეურვის თანხლებით კარგარეთელის
ქუჩაზე შეაბიჯეს. აქ კი პირველადვე
თითქოს საგანგებოდ გარეთ გამოფე-
ნილ მეზობლებს თვალში მოხვდათ მათი
ჩაცმულობა და თავი სადღა წაეღოთ
არ იცოდნენ. მაგრამ თუ უფროსები მათ
რბილი, თავდაჭერილი ღიმილით შეხ-
ვდნენ, მათი მომდევნო თაობის წარმო-
მადგენლებმა — პატარა ოინბაზებმა მო-
ულოდნელად თავისებური ტუში დას-
ცხეს და ტუშს წკრიალა შეძახილიც
მოაყოლეს.

— ჩვენს არისტოკრატებს გაუ-
მარკოს!

ვახტანგსა და ირაკლის უცებ დას-
ცეცხლათ. ბოხჩები, რომლებშიც ძვე-
ლი ტანსაცმელი ჰქონდათ გამოკრული,
უმაღ ძირს დაყარეს და პატარა ეშმა-
კუნებს ქორივით დაუქროლეს. ხელი.
რა თქმა უნდა, არ უხლიათ, მათს მო-
ხელთებასაც კი არ ცდილან, მაგრამ
უფროსებისადმი შიში და რიდი კი შეა-
გონეს.

მაინც იმ დღიდან არისტოკრატები
შეერქვათ.

ის კია, ასე, გამოსაჯავრებლად მათ
არავინ, არც დიდი, აღარც პატარა არ
მიმართავდა, მხოლოდ უიმათოდ, მათს
შესახებ საუბრისას სასიყვარულოდ ამ
სახელითაც მოიხსენიებდნენ ზოლმე
ორივეს ერთად თანატოლები თუ უფ-
როსი ახლობლები.

თუმცა მაინც იყო ერთი, მთელს ქუ-

ჩაზე ერთადერთი ადამიანი, რომელსაც საოცრად ეჭაშნიკა და გუნებაში მოუვიდა ეს სახელი, და როცა მარტო იყვნენ, კიდევ მოუტიდებლად ექილიკებოდა მათ, პატივცემულო არისტოკრატებო, ლურჯთვალემა არისტოკრატო, თაფლისფერთვალემა არისტოკრატო.

მაგრამ ეს ადამიანი ერთადერთი იყო იმ მხრივაც, რომელსაც ტოლთა შორის არაფრის დიდებით არ გაუგულისდებოდნენ და ზედმეტ სიტყვას არ შეჰკადრებდნენ ვახტანგი და ირაკლი. თამარი მათი ყველა ფიქრი იყო და რაინდული თაყვანისცემის საგანი.

დღიური დღიურად, მაგრამ სკოლის ასაკის ახალგაზრდებს შორის, განსაკუთრებით გოგონებში ძლიერ იყო გავრცელებული ლექსის ჩასაწერი ალბომები; ალბომი უბრალო, პატარა. თითქმის უბის წიგნაკის ოდენა, ფერადფურცლებიანი და ყუაშიც ფერად ზონარ გაყრილი, მაგრამ მაინც ალბომი. თუ ალბომების მფლობელნი უმეტესად გოგონები იყვნენ, ლექსის ჩაწერა უფრო ბიჭებს ემარჯვებოდათ. იწერებოდა სხვათა და სხვათა ცნობილი ნაწარმოებებიდან თავისი ფიქრების შესატყვისად გადმოკეთებული ან საკუთრივ შეთხზული მიამიტი ლექსები.

თუმცა, თვითეულ ალბომის მფლობელ გოგონას პირველსავე ფურცელზე საკუთარი ხელით მკაფიოდ ჰქონდა ჩაწერილი ყბადაღებული ტაეპი —

როგორც უნამოდ ვარდი არ ვარგა
და უყვავილოდ გაზაფხულია,
ისე არ ვარგა მოწაფისათვის
გულს ჩაენერგოს სიყვარულია, —

მაგრამ მომდევნო ფურცლებზე ბიჭების ნაცოდვილარი რითმები მათ მაინც სულსა და გულს უფორიაქებდათ.

ადრეული ასაკის დღიური კი მიამიტი, ოღონდ უმანკო ცხოვრებისეული საბუთია. ლექსების ჩასაწერი ალბომი კი — სულაც გულუბრყვილო და ერთგვარად საჩოთირო ერთ-ერთი პირველი საკუ-

თარი მეურნეობა. და მაინც შერისხვისა და დაგმობის ღირსი არც ერთი არაა, ერთსაც და მეორესაც თავისებური გულის დაოკება და შეება მიუნიჭებია ახალგაზრდა ადამიანისათვის, ჰაბუკისთვისაც და ქალიშვილისთვისაც.

კარგარეთელის ქუჩაზეც იწერებოდა ლექსები ალბომებში.

აქაური ბიჭები თავს არ ზოგავდნენ, ერთმანეთს ფარულად ეჯიბრებოდნენ ადგილობრივი გოგონებისათვის ლექსების მიძღვნაში. ამ „საქმეს“ ხშირად, ასე განსაჯეთ, ეწირებოდა ძნელად შესაღვი ბურთიც და კოჭებიც, ლახტიც და ჩილკაჯოხიც და, რალა თქმა უნდა, სახვალეო ვაკვეთილებიც. გოგონები და ბიჭები ერთმანეთს მღელვარედ და მალულად საკუთარ, პირადობის მოწმობაში ჩასაკრავად გადაღებულ ფოტოსურათებსაც უძღვნიდნენ, რომელთა მინაწერი შთააგონებდა: „სკობს მომიგონო და დახედო, ვიდრე დახედო და მომიგონო“.

მაგრამ კარგარეთელის ქუჩის გოგონებთან უკვე მოდიოდნენ პირველი გარეშე თაყვანისმცემლები.

პირველად ფრთხილად მოევილინა და შემდეგ კი თანდათან შეეჩვია ქუჩას ვინმე წვრილი და მალად ყმაწვილი. თავზე ლელი — სწორად აზრდილი და მოულოდნელად შენაცრული თმა ედგა, სახე კი ისეთი ჰქონდა, თითქოს სულ ერთთავად ეცინება და სულ ერთთავად იმ წვალემაშია, სიცილი როგორმე შეიკავოსო. სანიმუშო სიფაქიზით და მოხდენილად ეცვა, ყოველ გამოჩენაზე ახალი პალსტუხი ეკეთა, ხოლო ფეხსაცმელები ისე ულაპლაპებდა, რომ სარკედ გამოადგებოდა.

ყველაზე მეტად მაინც პალსტუხი აძლიერებდა მისდამი ზიზღს.

ამირანი ფარსევლურად მიეტმანსა ქუჩას.

პირველ ხანებში თითქოს მხოლოდ სეირნობდა, ქუჩას მიამიტად აუვლიდა

პირობი გელაუზვილი
ჩემი თბილისი

და ჩაუვლიდა, შემდეგ რომელიმე ხეს მიეყუდებოდა; ბოლოს კი ქუჩის შუა წელზე ერთ-ერთ სადარბაზოში წინასწარ მზრუნველად ვაგებულ ვახუშტე ან ცხვირსახოცზე ჩამოჯდომა აიჩემა. ერთის შეხედვით თითქოს არაფერიო, მაგრამ რაღაც მანქანებით ყურადღების მიპყრობას ახერხებდა. ქუჩის დაპყრობა კი ნორჩი თაობის გულის მოგებით დაიწყო.

მოკალათდა ერთხელაც აჩემებულ სადარბაზოს კიბეზე, ღიაფერის თხელი პიჯაკის გვერდითი ხალვათი ჯიბიდან მოზრდილი ბლოკნოტი და რამდენიმე ფანქარი ამოიღო და ხატვა გამართა. სახეზე კმაყოფილება აღბეჭდვოდა, წყნარად და მსუბუქად თავისთვის სტვენდა კიდევ, ხატავდა კი ყველას და ყველაფერს, ვისაც და რასაც ირგვლივ ხედავდა.

ქუჩაში, რა თქმა უნდა, ბავშვები თამაშობდნენ. ბავშვებს კი თამაშზე ხელს ნებაყოფლობით განსაკუთრებულ მოვლენა, ვთქვათ, მოხეტიალ მუსიკოსის გამოჩენა თუ ააღებინებს. ახლა კი მათს წინაშე იყო საოცარი მოვლენა — მხატვარი, თანაც კოხტა, გულღია ახალგაზრდა, რომელსაც, სჩანდა, მათთვისაც დაეთმო ყურადღება. პატარები დაუყოვნებლივ შეეშვნენ თამაშს და მხატვარს გარს შემოერტყნენ. ფურცლებზე თავიანთი სახელები და თავიანთი თავი იცნეს და აღტაცებას ვერ მალავდნენ. ამასთან მხატვარი ენაწყლიანი და ხალისიანი ყმაწვილი გამოდგა. პატარებს მათი პატარა ბიოგრაფიები გამოკითხა, თვითელს გატაცებას მიუხედა და ამის შესატყვისად ახალ ფურცლებზე გაჩნდნენ წითელფლოტელები, დარტანიანები, მოცეკვავეები, ფეხბურთელები, შვილდოსნები, რომლებიც მათვე დაუთრია. გოგონებმა და ბიჭუნებმა სასოებით მიიღეს და შეინახეს ძვირფასი საჩუქარი, რომლებსაც მხატვარმა წინასწარ მიძღვნითი მინაწერიც გაუკეთა. მან, აშკარა იყო, მათი სახით საიმედო პატარა მეგობრები შეიძინა.

მაგრამ ქუჩაზე გარეშე ახალგაზრდის

შემოჩვევა და გაშინაურებაც ამავე გუნებაში არ მოსდიოდათ მხატვრის პირველ თაყვანისმცემლებზე რამდენადმე უფროსებს, კერძოდ, მეცხრე-მეათე კლასის ჭაბუკებს. ისინი გრძნობდნენ, რომ გულუბრყვილო ბავშვების გულის მონადირებით რაღაც მზაკვრული მიზნისკენ გზას მიიკვლევდა ეს ვიღაც პეწენიკი ამირანი. ოღონდ რა იყო მიზანი? ამას ისინი ჯერ ვერ ჩასწვდომოდნენ, თუმცა ეჭვი ჰქონდათ, ამირანი ის მელა იყო, რომელიც ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდა.

თვით კარგარეთელის ქუჩის ბიჭები კი ჯერ ისევ სხვა სიყვარულის ბურუსში იყვნენ. ქუჩაზე ყველა ბიჭს თავისი მიუწვდომელი სიყვარული ჰქონდა. პირველი სიყვარული იყო ეს. პირველი სიყვარული ის არ არის, მაინცდამაინც, როცა გულის ტოლს აირჩევ და მისთვის ჩუმად იღავე. შორეული, ასაკით ბევრად უფროსი მსახიობი ქალის სახე რომ არ გასვენებს და თვითონაც ვერ გაგივია, რა არის ეს, ისიც პირველი სიყვარულია, რაც შენი მომავალი ნამდვილი მეგობრის ღირსებას არ ბღალავს. ბიჭებსაც უყვარდათ ლიუბა ორლოვა, თამარ მაკაროვა, ალა ტარასოვა... და ვინ იცის კიდევ ვინ.

●
თბილისში თბილისელთათვის ყველა თვე კარგია და თებერვალი და მარტიც კი მოსათმენი. თებერვალსა და მარტში ქალაქში ხშირად სუსხიანი ქარი დათარეშობს. იქნებ, წინა, ზამთრის თვეებში მეთრ სუსხია ხოლმე, მაგრამ ჰაერი არ იძვრის და სიცივეც მძაფრად არ იგრძნობა. ახლა კი თავნება ქარი ძვალსა და რბილში ვატანს.

— ეს რა გიყი ქარი გვეტაკა, რა ჭირი და დარღუბალა აუტყდა, გეთყვით, — ისე შეიცხადებენ ხოლმე ყოველი თებერვალ-მარტის ჭირვეულობას თბილისელები, თითქოს ყველა წარსული თებერვალ-მარტიც ამგვარივე შლეგი არ ყოფილიყო.

უფრო ქალები წიწმატობდნენ. მე-



ტადრე ბაზრიდან ნავაჭრით გამოსული დიასახლისები, რომელთაც ტრამვის გაჩერებაზე ქარი სახეს უწვავდა; ტრამვაი კი ზოგჯერ მთელი ხუთი წუთი არ ჩანდა. ხოლო, რაკი იგვიანებდა, მას სხვა ცოდვასაც გაუხსენებდნენ. რამდენიმე წლის წინათ, როცა კალინინისა და კლარა ცეტკინის ქუჩებზე ტრამვის ხაზი გაჰყავდათ, ამ ქუჩების მცხოვრებნი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, გვეშველა, მარჯვე ტრანსპორტი ჩვენც გვეღირსაო.

კიდევ იმიტომაც აღრიან ვაზაფხულზე სუსხი ვანსაკუთრებით საგრძნობი, რომ ამ დროს გარეთ უსიამო ქარი დანავარდობს და აღარც ოთახებშია სითბო, რადგან მზის პირველ მატყუარა გამოჰყეტვისთანავე ერთგან დიასახლისებს თუნუქისა თუ სხვა სახის ღუმელები შეშისა და ნავთის დაზოგვის თვალსაზრისით ჰაიპარად აულაგებიათ, სხვაგან კი აგრეთვე მომჭირნე სახლთმმართველებს ცენტრალური ვათბობა შეუწყვეტიათ.

მაგრამ, თებერვალი დადგა — ხეში წყალი ჩადგაო, და თებერვალში რომ მცენარე სინედლის ფერს იბრუნებს, მარტში თავდაუზოგავ ყვავილობასაც იწყებს; იპენტება უპირველესად ნუში თუ ატამი. და ქალაქში ახლალა მოულოდნელად აღმოაჩენ, ხეხილი რა მრავლად ყოფილა. შეხედავ თუ არა ამ მოზღვავებულ ყვავილობას, ქარიც გავიწყდება და წვიმაც.

პირველად სწორედ წვიმა აშოშმინებს ხოლმე ქარს, ჯერ ნელა ჩამოსცრის, წმინდად ჩამოეჩეცავს, ქარს ოდნავ ფრთებს შეუკვეცავს, შემდეგ კი ზედოზედ რამდენჯერმე ბარაქიანად დასცხებს და ამ ფრთებს სულაც წააცლის. მერე, იორდა წვიმა თავდაც თანდათან ნელ ჩორთზე გადავა და ქალაქში რაშის ნახვითქარილა დარჩება.

ძებზე დაცვარული ნათურები ციმციმებდნენ და ტროტუარებსა და ქვაფენილზე მბუეუტავ შუქს აფენდნენ.

კლარა ცეტკინის ქუჩაზე ვაზუზული ტრამვის ვაგონები მირობდნენ.

ვახტანგი და ირაკლი კონსტიტუციის ქუჩით ლენინის სახელობის სპორტული დარბაზიდან ბრუნდებოდნენ. დარბაზში საკვეშირო შეჯიბრზე წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ტანმოვარჯიშეები შურა ჯორჯაძე, კოკა თაყაიშვილი, გოგი ბაბილოძე, და ბიჭებიც, კმაყოფილი ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს.

თავიანთი ქუჩის კუთხეში რძის ნაწარმის პატარა მაღაზიის წინ მოულოდნელად პრანჟია ამირანს შეეჩხენენ და სახეზე ღიმილი მყისვე გაუქრათ.

ამირანი მათზე ერთი წლით უფროსი იყო და უკვე სტუდენტიც. ვახტანგი და ირაკლი მას გაკილვით ასეც მოიხსენებდნენ — სტუდენტი თუმცა, დღესხვალ თვითონაც გახდებოდნენ სტუდენტები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი ამ სიტყვას სხვის გასაქაქებლად და საკუთრივ კი ენისა და გულის მოსაფხანად თუ იტყოდნენ. „სტუდენტი, ალბათ, ჰალსტუხი უქერსო“, — ამასაც ენისა და გულის ქაველის დასაცხრომად დასქენდნენ ხოლმე.

სტუდენტი ჩვეულებრივ კოპწიად და ფაქიზად ეცვა და არც სველი იყო. მაშინ როცა ვახტანგი და ირაკლი თავიანთ უბრალო, საყოველღეო მაღალ საყელოიან სვიტერებსა და სატინის შარვლებში იყვნენ და გვარიანად დაყიებულნიც. სპორტული დარბაზიდან მაღაზიამდე, სადაც ორივე მხარე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა და უნებლიეთ კიდევ შეყვინდა, დიდი მანძილი არ იყო, მაგრამ ბიჭებს ჩვეულებრივ აუჩქარებლივ ევლოთ და საკმარისად დასველებულიყვნენ.

რაც ხანია სტუდენტი კარგარეთელის ქუჩას შემოეჩვია, ვახტანგი და

ვიტორგი ველაშვილი
ჩიმი თბილისი

წვიმამ თანდათან იკლო და სადაცაა სულ გადაიღებდა. ელექტრონის ბო-



ირაკლი მას შორიდან ზვერავენდნენ, თავის მხრივ არც ამირანს დარჩენია ისინი შეუმჩნეველი, ერთმანეთს გან-გან ჯიუტი ვაცებებით ეზომებოდნენ, ხმა კი ჯერ არ გაეცათ.

ვახტანგი და ირაკლი სთვლიდნენ, რომ ზრდილობა და თავაზიანობა მოითხოვდა ლაპარაკი პირველს ამირანს დაეწყო, როგორც მათს სამფლობელოში უკითხავად შემოყალიბებულ გარეშე პირს. მაგრამ, ჩანდა, ამ აზრს არ იზიარებდა თვით სტუდენტი, რომელიც თავს არხეინად გრძნობდა და შინაურულად დაპარპაშებდა მათს ქუჩაზე. ისე იქცეოდა, თითქოს თავსაც არ გაუყადრებდა მასზე თუნდაც სულ მხოლოდ ერთი წლით უმცროს ჭაბუკებს და მათაც ეს ხეთქავდა გულზე.

ახლა უბრაოდ ვერ ჩაუვლიდნენ ერთმანეთს.

— შეგვევიანებია ამ ჩვენს ქუჩაზე.

— თქვენ კი დაგვევიანებიათ დაბრუნება ამ თქვენს ქუჩაზე.

— წვიმამ თუ შეგაშინა და გადაღებას თავშესაფარში დაელოდე. მშრალიცა ხარ.

— მართლაც იმის გმირი არა ვარ, რომ თუნდაც გაზაფხულის წვიმას თავი შევუშვირო.

— გაშინ გარეთ სულაც არ უნდა გამოდიოდე. წვიმა წვიმაა, მაგრამ უბრალოდ ჰაერმაც შეიძლება დაგკრას.

— მაგაშიც მართალი ხართ. თანაც სახლში კოტრიალს რა სჯობია. ოღონდ ამ თქვენი ქუჩის გარეშეც რომ ვერ ვძლებ.

— იმდენად, რომ ამ უამინდობაშიც კი იმეტებ შენს ნანებიერებ თავს?

— ასე გასინჯეთ.

შემტვენი — ვახტანგი და ირაკლი, რიგრიგად კბენდნენ, ხოლო ამირანი აღუდევლებლოვ იგერიებდა მათ გამოხდომებს.

სამივე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და ორი ერთს ზომავდა თვალით, ერთი იმ ორივეს.

— რომელი სახლი გიყვარს? — დამცინავი ღიმილიც გაიქრო სახეზე ვახ-

ტანგმა და აღევლებული შეაჩერდა მას. სტუდენტმა ვახტანგს თვალი შეხვალა. ში გაუყარა და თავდაც გამჭირადვი ღიმილი ტუჩებზე შეიშრო.

— სჩანს, შენთვის განურჩეველი არ არის, რომელიმე ერთი თუა ჩემი არჩევანი.

— რომელ სახლს ეწონები? — შეასხვავებრა მეგობრის შეკითხვა ირაკლიმ.

— რომელსაც ქუჩისკენ ფანჯრებზე ყველაზე ლამაზი ფარდები აქვს და რაფას ქოთნებით ყვავილები უმშვენებს, — ხუმრობის კილოზე მიუგო სტუდენტმა, — მე ასე მწამს, თუ ფანჯრებს გემოვნებით შერჩეული ფარდები და ნასათუთები ყვავილები ამკობენ, მათს იქეთ ფაქიზი სულის ადამიანი ცხოვრობს. ფაქიზი ადამიანი კი, თუნდაც სრულიად რიგითი, უბრალო იყოს, კაცობრიობის ღირსებაა. და მეც — ქვეყნის მოწინავე აზრის მატარებელ შვილთა შორის ერთ-ერთსაც, არ მაქვს უფლება არ მიყვარდეს ასეთი ადამიანი. მე, ის ადამიანი, თვით მის მიერ ნაპატივები ყვავილივით, ახალაფეთქებული ხეხილივით და ღამისეულ ნარნარა სიმღერასავით მიყვარს. ლამაზ გათენებასავით მიყვარს. მე კი ლამაზი გათენების მაღლი ვიცი. მე და დილის ყვავილები ყოველ ცისმარე თვალს ერთად ვახელთ. თუმცა ლოგინის დათმობაც მენანება. ლოგინში ნებეირობა მიყვარს. ქათქათა ლოგინში ჩაწოლა მიყვარს, რომ ჩაწვები და თითქოს იმტყრევა გახამებული ჩარსავი, ზეწარი, ბალოშისპირი.

ირაკლი ისმენდა და ჩუმჩუმად იციწინოდა.

ძლივს შესამჩნევი ღიმილი გაუქრთა ლურჯ თვალებში ვახტანგსაც.

— პასუხი გაგიგრძელდა, მაგრამ გეპატიება. როგორც მხატვარი, ცხადია, სულით პოეტიცა ხარ. — შენიშნა ირაკლიმ, სტუდენტს კი ალაღად გაეცინა.

— ნეტავი ქვეყნად აღიარებულ მებაირაღე ლექსთა შორის ერთი მანაც მე მეკუთვნოდეს.

— სცადე შენც ბედი ლექსებშიც, — შხაკერულად ურჩია ვახტანგმა, — ბავშვების ჭკუის ნახატებს თუ ახერხებ, იქნებ მათი მოსაწონი ლექსიც გააჯახირო.

— ვითომ? — ყასილი გულისყურით შეხედდა მას ამირანმა, — კალამმა რომ მიმუხთლოს?

— კალამი არაფერ შუაშია, — ვახტანგმა საფეთქელზე საჩვენებელი თითი მიიბჯინა — ამან არ გომუხთლოს.

— მეც მანდა ვარ! — უწყინრად და გულმოდგინედ თავი დაუქანტურა ამირანმა, — გაგონილი მაქვს, რომ მიზანშეწონილია ბავშვებისთვისაც დიდოსტატი მწერლები სწერდნენო.

— ახლა, სულაც დაგვაშუადამდა, — ჩაურთო საუბარში ირაკლიმ, — მივხედოთ ახლა ჩვენ ჩვენს ვხას.

— მივხედოთ, — ორივეს ამხანაგურად გაუცინა სტუდენტმა, — გატყობო, ჩემი თავი დიდად არ გსიამოვნებო, მაგრამ კიდევ ხშირად მნახავთ ხოლმე თქვენს ქუჩაზე.

— ყოველ შემთხვევაში, ფრთხილად იყავი, — შენიშნა ვახტანგმა.

— ფრთხილად? — გაიოცა სტუდენტმა, — რას უნდა ვერიდო? თქვენ? მერე და, თქვენ ხომ კაი ბიჭები ხართ — მე ასე გამიგონია. ეგეც არ იყოს, თავმოყვარეობის თვალსაზრისით ორნი ერთზე არ მოხვალთ და საითთაოდ კი, ბოლიში, მაგრამ მგონია ვერაფერს გახედოთ.

— მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — დაარღვა ირაკლიმაც, — ჭკუით იყავი. ამ ჩვენს ქუჩაზე სულ ლამაზი ფარდებია, ხოლო რაფებზე ნაირ-ნაირი ყვავილები. მათ იქეთ კი ვინ და როგორი ცხოვრობს, ჩვენ უკეთ ვიცით და ვაფასებთ კიდევ.

ორმა ერთი და იმ ერთმა ის ორი კვლავ მოზომეს თვალთ.

ამირანი გოგოლის ქუჩიდან ბრძანდებოდა და კონსტიტუციის ქუჩას აღმა აუყვავა.

ყველგან და თბილისშიც მაისია. მაისი ავადმყოფობაზე გამარჯვებულ კაცს ჰგავს, ხანგრძლივ ლოგინად ყოფნის შემდეგ რომ კვლავ სიარულს ეჩვენება და თან წამდაუწყუმ თავისთვის უმიზეზოდაც კი ეცინება.

თბილისში აკაციის ყვავილობამ როგორც არ უნდა დაიგვიანოს, მაისის შუა რიცხვებს არ გადასცდება. თეთრი მძიმე მტევნებით იტვირთება რტოები და მათი საამური სურნელი ქუჩებს ახალისებს, ხოლო ახალი გორგლებით დახუნძლული ჭადრები ბაზუაწვევრასავით ბურტყულებს ფანტავენ. ქუჩებში ნებიერად მიმომავალ ადამიანებს შორის კი კისკას გოგონებს და შუბლგახსნილ მოხუცებს იასამნები და ვარდები უჭირაეთ. ირგვება და ძველებთან ერთად პირველად ირწყვება ახალგაზრდა მცენარეები. პირველად ირწყვება თვით ქუჩებიც და ყვავილთა დამათრობელ სურნელებს ნიადაგის ოხშივარიც თავისას მატებს. მაისში, დაბინდებისას, უცაბედი შხაპუნა იცის, თითქოს და, სადაცაა სასიეროდ გამოშლილ ხალხს საგანგებოდ, საამდროოდ ჩაფიქრებულ სიკეთეს აწევს. ხოლო, როცა მოსიერნენი მართლაც მოეფინებიან ქუჩებს, მათ წვიმის წვეთები ჭადრების, აკაციების, ცაცხვების თუ ვერხვების საგულდაგულოდ დაღვრეპილი ფოთლებიდან და აცვივით კანტი-უენტად.

მტკვარი კი უკვე მოძალეულია და მღვრიე, მაგრამ ბიჭებს უკვე სადმე მაუღის კომბინატის მიდამოებში გასული წლის პირველი ჭყუმპალაობის სიამოვნებას ახსენებს.

ვახტანგმა და ირაკლიმ მტკვარზე საგულად კიტრის, პომიდორის და შავი პურის წაღება იცოდნენ. ჯერ კი მტკვარში არ ჩაისვლებოდა, კიტრისა და პომიდორის შემოსვლამდეც კიდევ დრო იყო და ისინიც სხვა ადგილებსა და სხვა საგზალს უნდა დასჯერებოდნენ.

სხვა ადგილები იყო მთაწმინდა და

გიორგი გელაშვილი
ჩემი თბილისი

წლის პირველი მშენება, ალბათ,

კომკავშირის ხეივანი, ბოტანიკური ბაღი, კუსა და მლაშე ტბები, სოფელი დილოში, ზოოპარკი, და, რა თქმა უნდა, ყველაზე უხვიასამნიანი სვანეთის უბანი. ბიჭებს იასამნები უყვარდათ. საგზალი კი — იგივე შავი პური, აგრეთვე ბრინჯა ყველი, ძეხვი და ლიმონათი. გზად, განაბირა ქუჩებში, გარიყულივით კენტად დასკუბული სოფლური ყაიდის ფიცრული დუქნები ხედებოდათ, რომელთა დაგვერდებულ ვიტრინებში ერთმანეთზე წაცმული ასანთის კოლონების ასხმულა მფილდევით მოედუნათ და თადივით დაედგათ ბუზის სახოცი წებოვანი ქაღალდებით მოფენილ სიბრტყეზე, და ბიჭებიც იქ იძენდნენ წასახემსებელს თუ პირის გასასველებელს.

მათ იზიდავდათ მოცოცხლებულ ბუნებაში ხეტიალი, მდელიოზე გაგორება, ბურთაობა, ჩანჩქერქვეშ გაოფლილი ხელპირის შეშვერა, შემდეგ კი უკვე ბინდისას ახალაკიაფებული ქალაქისაკენ მოზიბლული გარინდებით მხერა, მეტადრე — მთაწმინდიდან.

იშვიათად დაწერილა რაიმე პარისზე, რომ ელისეს მინდვრები არ მოიხსენიებოდეს, და აბა თბილისზე საუბრის დროს კი გვერდს როგორ აუვლი მთაწმინდას. ნაუბარსა და დაწერილს თავი რომ დავანებოთ, წარმოუდგენელია თბილისის მკვიდრი (მაშინ, როცა საქართველოს დედაქალაქის თვითეული სტუმარი პირველ ყოვლისა მისი დედამთისკენ მიილტვის) მთაწმინდაზე შეყვარებული არ იყოს.

მეგობრები მთაზე დაკიდულ ტრამვაის არ ეტანებოდნენ და კენწეროში მის კალთებზე დახლართული ბილიკებით აღიოდნენ. იქ სხვადასხვა მოხერხებულ ვადასახედს იპყრობდნენ და ვრცელ ტაფობში მკვიდროდ განლაგებულ უამრავ შენობათა შორის უპირველესად ყველაზე ნაცნობ და საყვარელ სახლებს გამოარჩევდნენ. მათ თვალწინ იყო ქალაქის ყველა უბანიც: ღრმა-ღლეუ, ნაძალადევი, კუკია, ჩუღურეთი, დიდუბე, საბურთალო, ვაკე,

ვერა, რიყე, ელია, ავლაბარი, დოღობაური, შავსოფელი, მამუკას სტრუქტურა კლდის უბანი, სეიდაბადი, სხვანიც; ფერხითთ კი სოლალაკი, ხოლო პირდაპირ ისევ და ისევ ყველაზე ახლობელი სვანეთის უბანი.

ბიჭები თან ხმადაბლა თბილისისა და თვით მთაწმინდის საქებარ ლექსებს წარმოთქვამდნენ, რომელთა დიდებული შემოქმედნი იმავე მთის კალთაზე სევდიანად მიმყუდროებულ პანთეონში განისვენებდნენ. სიმღერისაგან შორს იყვნენ. თუმცა თბილისისადმი სიძღვრებიც არ იყო მაშინ. იყო, ალბათ, მხოლოდ „ხველ თბილისში არ ვინ მყავდა ფანდია“ და „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო“.

ისინი დაღლილნი, დამშუენიცი, მაგრამ ღრმად ნასიამოვნები იყვნენ თავიანთი ყოველი ლაშქრობის შემდეგ. თუმცა, ამავე დროს, თვითეულს რაღაც გულს აკლდა, რაღაც მწვავედ სტკიოდა და თუმცა ცალკალკე არავითარი საიდუმლოება არ ჰქონდათ, ამას მაინც ერთმანეთს ვერ უმხელდნენ.

ორივეს სატიკვარი კი ერთი და იგივე იყო.

ერთი ხანია, იმდენად ვეღარ იყო ხოლმე მათთან თამარი, როგორც ადრე, როგორც მუდამ და ეს აღარდებდათ. ორივეს ამის მიზეზად როგორღაც და რატომღაც ის გოგოლის ქუჩელი პეწენიკი ამირანი ესახებოდათ. და არ უმხელდნენ ამას არათუ ერთმანეთს, სიტყვას არ სძრავდნენ თვით თამართანაც, როცა ის იშვიათად, მაგრამ მაინც კიდევ იყო ხოლმე მათთან.

მათ გულში სევდა დაგროვებოდათ, მაგრამ არც თამარი იყო კვლავინდებურად ხალისიანი. თუმცა ისიც ნათლად იგრძნობოდა, მისი მოულოდნელი თავშეკავებულობა იმდენად მოწყენილობას არ მიეწერებოდა, რამდენადაც დაბნეულობას, უფრო კი სინდისის ქენჯნას,

რომელსაც მეგობრების წინაშე განიდ-
დიდა.

ბურუსი ბოლოს და ბოლოს უნდა გა-
ფანტულიყო და გულახდილი საუბარი
მათ შორის მოხდა ერთ ნათელ საღა-
მოს ჩემი სახლის სადარბაზოს კიბეზე,
ჩემი თავისებური თანდასწრებით.

— მემღერით, ჩემო არისტოკრატე-
ბო? — მოფერებით მიმართა თამარმა
მასზე აღრე იქ ჩამომსხდარ ბიჭებს,
როცა მოულოდნელად გამოჩნდა და
შუაში ჩაჯდა, ხელები კალთაში ჩაიკ-
რიფა, თვალი კი ცაცხვის კენწეროს
მიაპყრო. ლაპარაკის დროს ხშირად მა-
ღლა ყურება სჩვეოდა, თითქმის სიტყ-
ვებს იქ პოულობდა, — ნუ ამითვალ-
წუნებთ. მე უთქვენოდ როგორ ვავძ-
ლებ. მე თქვენ აღმაკერ გამოხედვას
როგორ ავიტან. იმ ამირანს კი, თუ
თქვენ მეტყვით, სულაც დავითხოვ,
ჩვენს ქუჩას აღარც გავაკარებ.

— ჩვენ მაგას არ გეტუნებთ. —
ცივად ჩაილაპარაკა ვახტანგმა.

— რომ ვითხრათ, შენ მაინც ვერ
დაითხოვ. — ნაღვლიანი ღიმილით შე-
ნიშნა ირაკლიმ.

— ანუ, კი ვსურთ ფეხი ავაკვეთინო,
მაგრამ გგონიათ, რომ რატომღაც ვერ
გავაგდებ და მხოლოდ იმიტომ არ მეუ-
ბნებით, — დაასკვნა თამარმა, — გავაგ-
დებ.

— ნუ გააგდებ, — მშვიდად, ოღონდ
ისევ შუბლგაუხსნელად თქვა ვახტანგ-
მა. — ალბათ, კარგი ბიჭია, რაკი შენ
თავიდანვე არ გააგდე.

— მაინც სულერთია, აქედან გააგდებ
და სხვა ქუჩაზე შეხედებით, — ივარაუ-
და ირაკლიმ, — იაროს. შენ სულ რომ
არ გავგივარეულდე, ასე სჯობს.

— თქვენ კარგი ჩხვლეტიები ხართ, —
უცებ მოიმხიარულა თამარმა.

— შენ კი კარგი ჩუმჩუმმა ხარ, —
ერთ კილოზე მიუგო ორივემ.

ახლა თამარი იქეთ გაედავათ.

— წუხელ ფეხსაცმელები დაგიცვე-
თიათ.

— წუხელ? — ერთხმად შეიცხადეს

ბიჭებმა, — ღამით ფეხბურთს ვერ ვფორმულად
თამაშებდით.

— სამაგიეროდ გიცეკვიათ. ფეხსაც-
მელი კი ცეკვაში უფრო ცვდება, ვიდ-
რე ფეხბურთში.

ბიჭები მხილებული იყვნენ.

იმ ხანად, ევროპული ცეკვების მი-
მართ ბუნდოვანი დამოკიდებულების
შემდეგ ახალგაზრდობაში პირველად
ინერგებოდა „ფოქსტროტი“, „ტანგო“,
„რუმბა“. კარგარეთელის ქუჩაზეც ზო-
გან, ვისაც ბინის ფართობი ხელს უწყ-
ობდა, შემოიღეს საღამოობით ჯგუ-
ფად თავშეყრა და ცეკვების შესწავლა.
საქმე მაინც ვერ ეწყობოდა. ვაქებმა
მაღაც მოიმწვანოდა. დიდმა ქალი-
შვილებმა კი სიჯიუტე გამოიჩინეს და
ისინი, რაკილა თანამეწყვილეები შე-
მოეცალათ, პატარა ბიჭებს, მათ შორის
ვახტანგსა და ირაკლის დააკოწივალე-
ბდნენ.

თამარს ეს არ გამოპარვოდა და ბიჭე-
ბი მის წინაშე დამნაშავედ თავჩაქინდ-
რულები ისხდნენ. ის კი იცოდნენ, რომ
ცეკვა მეტად არ სცვეთდა ფეხსაცმელს,
ვიდრე ფეხბურთი, მაგრამ ამის მტკი-
ცებას აზრი არ ჰქონდა.



თამარი მანამდე თავის მშვენიერ გა-
რეგნობას უღარდელად ეპყრობოდა,
თხუზნია ბავშვმა რომ ძვირფასი სამოსე-
ლის მოფრთხილება არ იცის და დაუ-
ღვერად სცვეთს, ისე. ახლა ასაკმა კოხ-
ტობა მოსთხოვა და მანაც პეწი დაიტ-
ყო. ქუჩამ ქუჩის თვალად აღიარა. თა-
ვადაც უკვე გრძნობდა თავის უპირა-
ტესობას და მსუბუქად და მოხდენი-
ლად, თავმომწონედ დანარჩარებდა ტან-
კენარი და პირმზიანი, შეეუღლად ჩაშ-
ლილი რბილი თმა კი მხრებზე სცემდა.

ახლა მას თავის ქუჩელ თუ სკოლელ
გოგონებთან უფრო მეტი საერთო გაუ-
ჩნდა და ხშირად მათთან საიდუმლოდ
კურკურებდა.

ვახტანგი და ირაკლი ამას უფრო აღ-

ბიორგო ვალაჟვილი

ჩამი თბილისი

ვილად ეგუებოდნენ, ვიდრე თამარის რომელიმე სხვა ბიჭთან, თუნდაც ნაუცბათვე გამოლაპარაკებას.

თვითონ ისინი ერთი ხანია ჩოგბურთმა გაიტაცა და მუდმივი მაყურებლები გახდნენ შეჯიბრებებისა, რომლებიც თითქმის ყოველ საღამოს ეწყობოდა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე. აქ მათ, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი ჩოგბურთელების ლამაზ თამაშს თვალს ადევნებდნენ, ხიბლავდათ ისიც, რომ მაყურებელთა გრძელ, სადა მერხებზე კარგი საზოგადოება იყრიდა თავს. დიდი ხალხმრავლობა კორტებზე არასდროს შეიმჩნეოდა, ძირითადად ერთი და იგივე მაყურებელი იყო, თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობდა და თვითვე თავს შინაურულად გრძობდა.

გამოცდილ ჩოგბურთელებთან ერთად თამაშობდნენ ნორჩებიც, თითქმის ბავშვებიც კი და საკმაოდ ოსტატურადაც. ვახტანგს და ირაკლის სულმა ბევრჯერ წასძლია თვითონაც ეცადათ თავი, მაგრამ სწორედ ამ გვარიანად დახელოვნებული ნორჩებისა რცხვენოდათ და ჩოგანი ხელშიც არ აუღიათ. დიდი უბედურება არ იქნებოდა, თუ ისინი ახალბედათა კვალობაზე უსუსურნი გამოჩნდებოდნენ, მაგრამ შიშობდნენ, რომ ჩოგბურთში ხელმოცარულობას მათი ფეხბურთელობისთვისაც ჩრდილი არ მიეყენებინა.

თავიანთ, როგორც ფეხბურთელების სახელს, ისინი დიდად უფრთხილდებოდნენ. ისტორიის ღირსეულ კუთვნილებად იყო მიჩნეული ის თამაში, რომელშიც მეზობელ ბაქოს ქუჩის გუნდის კარში მაშინ პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე „დინამოს“ სტადიონზე კარგარეთელთა შუამარბმა ირაკლიმ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა, ხოლო წუთის შემდეგ მათივე მეკარის მაგიერმა ვახტანგმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია.

იმ თამაშს სხვა ქომაგთა შორის, ცხადია, თამარიც ესწრებოდა და სხვები რომ თამაშის შემდეგ ირაკლის და ვახ-

ტანგს სიმარჯვეს უქებდნენ და ცავდნენ, იგი მათს დამსახურებების თვის თავს მიაწერდა.

— ჩემი ეშხით იყო, რომ თავი გამოიღეს ჩემმა არისტოკრატებმა.

ვახტანგი და ირაკლი არა ერთი სხვა შეხვედრის გამირებიც იყვნენ, რაც შეიძლება სულაც არ სცოდნოდათ კორტებზე მოსიარულეთ და მათი უღიმღამო ჩოგბურთელობა რომ ენახათ, იქნებ საერთოდაც მოუქნელ ყმაწვილებად ჩაეთვალათ.

ისინი მხოლოდ მაყურებლებად რჩებოდნენ და მათ, სწორედ როგორც მაყურებელთა წინაშე, პირველად გამოინავარდა მოედანზე უცნობმა მოთამაშემ. ქალიშვილი, როგორც ჩოგბურთელი იყო უცნობი, თორემ თავიანთი თამარი გამოჩენისთანავე გაოცებით იცნეს ბიჭებმა. იცნეს და პირები დაადეს. თამარი მათ ჩოგნით ხელში არასდროს ენახათ და მისი ჩოგბურთზე დალაპარაკებაც კი არ სმენოდათ. ახლა კი ჩოგბურთელის თეთრ ჩაცმულობაში უფრო კოხტა და მოხდენილი, ვიდრე საერთოდ, იგი მსუბუქად, აზრიანად დაქროდა მოედანზე და ჩოგანსაც მარჯვედ ხმარობდა. ცხადად იგრძნობოდა გავლენა მათი ქუჩელი ლაჯუნა სტუდენტი ქალიშვილისა, რომელსაც სულერთთავად ხან ნახაზების გრავანილი, ხანაც ჩოგანი ჰქონდა ამოღლიავებული.

— ჩოგბურთი მე თქვენს პატივსაცემად შევისწავლე, — თვალთმაქცურად აუწყა მან თამაშის შემდეგ განცვიფრებულ მეგობრებს, — თქვენ მე ფეხბურთით მართობთ და ჩემის მხრივ რაიმე სანახაობა ხომ უნდა შემომეთავაზებინა! ჩვენი კარგი ლაჯუნა მე თავიანთი ინსტიტუტის მოედანზე მავარჯიშებდა, რომ შემდეგ თქვენს წინაშე ჩემი გამოჩენა სრული მოულოდნელობა ყოფილიყო.

ბიჭებმა მაყურებელთა შორის პირველად შენიშნეს ცალკე დამჯდარი ამირანიც. სჩანდა, ამირანი თამარის იმ მაღალ ვარჯიშებსაც ესწრებოდა, რაკი აქ მის პირველსავე გამოსვლაზე მობრ-



დანებულიყო. ბარემ ყვავილებიც მოე-
ტანა!

ჩანდა, ამირანმა საერთოდ უკვე უფ-
რო მეტი, ვაკილებით მეტი იცოდა თა-
მარის ასავალ-დასავალი, ვიდრე მათ,
მასთან შეზრდილმა ბიჭებმა. და რომ
კორტებიდან წასვლისას თამარი უხერ-
ხულ არჩევანში არ ჩავარდნილიყო, სა-
ნამ იგი გადაიცვამდა, ვახტანგმა და
ირაკლიმ პირველებმა დატოვეს იქაუ-
რობა.

ცხოვრებაში ანდაზასავით დაკანონე-
ბული ცილისწამებაც დამკვიდრებულა.
მაგალითად — გამოთქმა: ხარაზივით
ივინებაო. ომის წინადროინდელი გო-
გო-ბიჭებისათვის საკერებლიანი ფეხ-
საცმლის ტარება ჩვეულებრივი ამბავი
იყო. ამიტომ კარგად იცნობდნენ ხარაზე-
ბსაც. კარგარეთელის ქუჩელები ხარაზ-
თა შორის უპირველესად სცნობდნენ
თავიანთ საკუთარ ხელოსანს, ხანდაზ-
მულ ჩიფჩიფა მიხას, რომელიც თავისი
დაზგით ერთ-ერთი ჭიშკრის კუთხეში
იყო მიყუყული. რის ვინება თუ პირის
წაბილწვა! მიხა ტკბილი სიტყვისა და
დარბაისლური ბაასისთვის იყო დაბა-
დებული. აბა, ვინება როგორ შეეძლე-
ბოდა კაცს, კეთილ მოხუცს, რომელიც
თავის გამამწარებელ ბიჭებს ბურთსაც
და ფეხსაცმელსაც თვითონვე უკერებ-
და?

ხარაზების მიმართ მეორე ანდაზისე-
ბრი მტკიცებაც უხერხულია. ხარაზების
სუფრა! ვითომც — ვერაფერი სუფრა.
მაგრამ აბა გენახათ მიხასა და მისი მუ-
დმივი პურისმტის მეფხოვე ნიკას სუფ-
რა, შუადღის ხანს ზედ დაზგაზევე რომ
გააწყობდნენ ზოლმე საგანგებო სიფა-
ქიზითა და ზრუნევით. ბევრი და ჭრელ-
ჭრელი საქმელი არა, მაგრამ რაც ჰქონ-
დათ, ყველაფერი შერჩეული და სამ-
ყოფი. ძირითადად კი მოხარშული საქო-
ნლის ხორცი, დოში, გუდის ყველი,
მწვანელი, მყავე რამე და დაბრაწული
თონის პური. ერთი ბოთლი საფერავიც.
მიუსხდებოდნენ დაზგას და ტკბილი

ჭუჭკუთით ღინჯად შეექცეოდნენ. მხო-
ლოდ თითო ჭიქა რომ დაელიათ, განს-
ვენებული მშობლების მოსახსენიებელს
შაინც იტყოდნენ. სუფრა ლაზათიანი
ჰქონდათ და სახეზე სიკეთე ეფინათ.

მიხამ ზოგჯერ გახუმრება იცოდა. თუ
ვინმე თავზე დოგადოჯა დაადგებოდა
და აუხირდებოდა — გაქცევაზე ვარ და
ლამის ფეხშიშველი კი დავრჩიო, ამი-
ტომ ყველაფერი გადასდე და მე დამი-
კერო, იგი თვალწაჭუტვით ჩაიხიბთხი-
თებდა.

— მე რომ პენსიაზე გავალ, მაშინ რა-
ღა გეშველებათო.

პენსიაზე გასვლა დიდიხანია ეკუთვ-
ნოდა, მაგრამ ვერ გაებედნა, დაზგა-სა-
დგისიც არ ეთმობოდა. არც დასცალდა.
ერთ დღეს საკერებელში ნემსგაყრილი
ფეხსაცმელი ხელიდან გაუვარდა და
თავი მკერდზე ჩამოეკიდა. ზედ თავის
დაზგას დააკვდა.

ქუჩას ერთი ცოცხალი ნაწილი მოაკ-
ვლიდა.

ვახტანგს და ირაკლის ერთხელ, სა-
ღამოს, ნაწვიმარზე გამოვევლოთ სრუ-
ლიად ჩაბნელებულ და უჟაცრიელ ვე-
რის ხილზე და იმ შთაბეჭდილებას ასე
გადმოსცემდნენ:

— ხიდი გაძარცვული მოგვეჩვენაო.

და აი, რაღაც საერთო იყო მაშინ
მათი თვალით დანახულ ვერის ხილსა
და კარგარეთელის ქუჩას შორის მიხას
შემდეგ, როცა აღარც ხარაზი იყო და
აღარც მისი დაზგა.

ქუჩამ გულწრფელად დაიტირა ალა-
ლი ხელოსანი, ხოლო მისმა ერთგულმა
პურისმტემ, მისმა კბილა ნიკამ ჩუმი
ქვითინით გააცილა იგი უკანასკნელ სა-
სუფეველამდე, კუჩის სასაფლაომდე.

ქუჩის ლლი გოგო-ბიჭები ცხოვრე-
ბაში პირველმა სევდიანმა რინდმა მოი-
ცვა. განსაკუთრებით დაღონდნენ ნორ-
ჩი ფეხბურთელები, მათ შორის ვახტან-
გი და ირაკლი, რომელთაც მოხუცი ოს-

ვიორგი ვალაზვილი

ჩიმი თხილინი



ტატის მადლიანი ხელის ფასი ყველაზე უკეთ იცოდნენ. მერე და მერე კი იმა-საც მისწვდნენ გონების თვალთ, რომ მოაკლდათ მხოლოდ მარჯვე ხელოსანი კი არა, საოცრად გულთბილი ადამიანი. მათ პირველად შეიძინეს სიკვდილი და კაცთა ცხოვრების მიმართ მოუსვენარი ფიქრი აეკვიატათ.



ომს ისინი ის იყო საშუალო სკო-ლადამთავრებულნი, ჩვიდმეტ წელს ახა-ლგადამეტებულნი, და, რა თქმა უნდა კომკავშირელები დახვდნენ.

იმ დილით, როგორც უწინ, სამივე ერთად იყო. საუკეთესოდ ეცვათ, კოხ-ტად გამოიყურებოდნენ და თავს ლა-ლად გრძნობდნენ.

კვლავინდებურად ქუჩა-ქუჩა სახე-ტილოდ გასულიყვნენ.

მარჯანიშვილის ქუჩის ერთ მწვანეში ჩაფლულ ციციქა ეზოში ფოტოგრაფი ცხოვრობდა და მუშაობდა. ეზოში უამ-რავი ჭაბუკი და ქალიშვილი ხორხო-ცებდა და ძლივს ეტეოდა. რომელიღაც სკოლის გუშინდელი მეათეკლასელები საშუალო სასწავლებლის დამთავრების აღსანიშნავი ფოტოსურათის გადასაღე-ბად მოსულიყვნენ, ფოტოგრაფმა კი დიდხანს იწვალა, ვიდრე ოხუნჯი ბიჭე-ბი და მატრაკვეცა გოგოები დააცხრო და თავისი გემოვნების შესატყვისად დასხა. თამარმა და მისმა თანმხლებლებ-მაც იქ შერგეს თავი, ჯერ განვითქულ ფოტოგრაფსა და მის მოუსვენარ მრევ-ლზე იცინეს, მერე კი თავადაც ვა-დაიღეს სურათი.

იქედან კორტებს მიაშურეს, თამარი ცოტას წაითამაშებდა, შემდეგ კი საი-თაც ფეხები წაიყვანდა, იქეთ გასწევდ-ნენ. რატომაც არა? უკან დარჩათ გა-მოსაშვები გამოცდების მღელვარე დღე-ები, სკოლა საქებრად დაამთავრეს, გუ-ლში მზე ედგათ და სახეზე მზე ეფინათ. თუმცა უმადლესში შესვლა მათი სანუ-კვარი ოცნება იყო, მაგრამ ჯერ განც-ხადების შეტანაზე ფიქრიც არ უნდო-დათ. ახლა, საერთოდ, არაფერზე ფიქ-

რი არ უნდოდათ. სურდათ ერთხანს სულ შეუზღუდავი, სულ თავისი სიყვარულ-ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც.

გზად ჯგუფად მომავალ რამდენიმე ამხანავს შეეხუმრნენ, მათ კი უცნაუ-რად აღტინებული სამეულის სილადე გაოცებით შეიცხადეს, თითქოს ცივი წყალი გადასახეს, სინდისზე შეაყენეს. შემხვედრთ, ყველას სახეზე ერთნაირი უცხო, მძიმე ფიქრი და დაბნეულობა აღბეჭდოდათ და ეს მოულოდნელი კაე-შანი პირველადვე ვერ შენიშნეს თამარ-მა და მისმა ბიჭებმა. ხოლო, როცა შე-ნიშნეს, გულმა რეჩხი უყოთ და ამხანა-გებს თავადაც დაბნეული შეაჩერდნენ.

— ომი დაიწყო, — შემხვედრნი მიხ-ვდნენ ამბის ბაიბუტშიც არ იყვნენ თა-მარი და მისი მეგობრები და ერთდროუ-ლად რამდენიმე ყრულ ჩაილაპარაკა მათ საყურადღებოდ.

კარგ ამინდში გულს სიხალისე უსა-ბაბოდაც ენიჭება და საწყენი სიტყვა, ამბავი კი მას სწორედ ასეთ დროს გან-საკუთრებით მტკივნეულად ხვდება.

მშვენიერი ამინდი კი ნამდვილად იდ-გა. მაგრამ ირგვლივ ადამიანებს სახე მოქუფროდათ და გარემოსაც უცებ ელფერი შესცვლოდა, გაჰხუნებოდა.



დიდი სამამულო ომი, როგორც თავ-დაპირველადვე ამადლებულად, ამად-ელვებლად ეწოდა საბჭოთა ხალხის ერ-თსულთოვან აზვირთებას ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის წინა-შე, დიდი განსაცდელიც იქნებოდა, მაგ-რამ მთელი მისი არსი, აღუწერელი სიმ-ძიმე მაშინ, დასაწყისშივე ბევრს ვერ შეეძლო სრულად წარმოედგინა.

რადიომ და გაზეთებმა ყველგან ამ-ცნეს საბჭოთა ჯარების პირველი წარუ-მატებლობანი, მშვიდობიანი მოსახლეო-ბის დარბევისა და წამების ამბები.

ფრონტიდან დაშორებით ხალხში ერ-თგვარი გაურკვევლობა, დაბნეულობა იგრძნობოდა.

მაგრამ იყო დიდი იმედი.

იყო ხალხის უმაგალითო შეუპოვრობა და თავდადება.

იყო სტალინი.

სასწრაფოდ გამოშვებული კინოკურნალებით თბილისის ეკრანებზეც გაისმა შორეული ფრონტული ომებისანი „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ რადიოს ყოველდღიურ გადმოცემებში განსაკუთრებით ლევიტანის ამალელებელი ხმა ფასობდა.

ფრონტის ხაზს დიდი მანძილით დაშორებულმა თბილისმა, როგორ უშუალოდ ამშუუხებელმა ყველა ქალაქმა, დაბამ, სოფელმა, დასახლებულმა პუნქტმა ომუნახველად იგრძნო ომის სიმძიმე. ათი ათასობით თბილისელი მობილიზაციით თუ მოხალისედ ფრონტებზე გაემგზავრა, ხოლო ქალაქის უამრავი სკოლა, სხვა დაწესებულება სამხედრო ჰოსპიტლებად გადაკეთდა. დამკვიდრდა ერთიანი საბარათო სისტემა პურზე, ყველა სახის სურსათზე და მალაზების წინ აღამიანთა გრძელი რიგები გაიბა. ადრე თუ ყმაწვილთაგან ვინმე რძის რიგში იდგა, რათა უმცროსი და-ძმისთვის მიგრბენინებინა, ის რაინდად, რა თქმა უნდა, არ მიიჩნეოდა. ახლა კი მათი გამკლავი ჭაბუკები თვითონ იდგნენ პურისა თუ ხილფაფის, ნავთისა თუ ქაშაყის რიგში ნაღვლიან, კრიჭაშეკრულ მოხუცებთან ერთად.

ხმა დაირხა, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ფრონტის ზონიდან ბრმად გამოსხლეტილმა გერმანულმა თვითმფრინავმა ყუმბარა ჩამოაგდო და ქალაქში შუქშენილბვა იქნა შემოდებული. თბილისში ხალხი შეთხელდა კი არა — ნაცნობს კანტი-კუნტად და შეხვედებოდით. ქალაქში აღარ ღულდა და გადმოდებოდა ადრინდელი ხალისი და ჩანელებული და გაცარიელებული, განაბული თბილისი სვედიან სანახავს წარმოადგენდა.

კვლავინდებური ხალისი არ მოსდევდათ ქალაქში ცნობილ ხუმარა ადამიანებსაც. გენბავთ, ჩვენ ქუჩაზე მცხოვრებ თეთრულვაშაწყებოლ, ტანხმელ და მალალ ენაწყლიან ჭარმაგ კაცს, რომე-

ლიც განუყრელი ყაბალახითა და სარკესავით გაკრიალებული მსუბუქი ჩემბებით დაიარებოდა. როგორც ყველას, მასაც იერი და ჩაცმულობაც შელახოდა.

ერთხელ მას ჩემი ფანჯრის წინ ნღვლიანმა და თვალბეჩაცენილმა უიღბლო მხატვარმა გაანდო.

— უპაპირობობა უფრო მიჭირს, ვიდრე შიმშილი. ამიტომ ყუთში ნამწვებს ვაგროვებ. შემდეგ ნამწვებისაგან ერთი გახვევა მაინც გამომყავს და იოლად იმით გავდივარ.

— მე კი, ჩემო ძმაო, — დამნაშავესავით აღიარა ყაბალახიანმა, — გუშინ, რაც ხანი ომია, პირველად დაენაყრდი, სოფლიდან გამოგზავნილი ხორაგის წყალობით, და მრცხვენი. მგონია დანაშაულია ასეთ დროს ძღომისად კუჭის ამოვსება.

თვით ჩვენი ქუჩა სულაც დასაბრალოვდა. ჩვენს პატარა ქუჩაზე იმდენი მცხოვრებიც არ მეგონა, რამდენიც ფრონტზე წავიდა.

ჩვენსა თუ სხვა ქუჩებზე დღისით კაციშვილის ჭაჭანებაც თითქმის აღარ იყო, მალაზიების წინ მოთმინებით ატუხული დარღიანი მოხუცებისა და გაურკვეველი ფიქრებით შეპყრობილი ბავშვების გარდა.

ღამითა, აქა-იქ, გამოჩნდებოდნენ მცირერიცხოვანი ჯგუფები ხნოვან მამაკაცთა ან ახალშედრებულ ჭაბუკთა, რომელთაც ჯერ ჯარში გაწვევა არ უწევდათ, მათი სალაპარაკო ომი და მხოლოდ ომი იყო. თვითეულს გულზე წუხილი აწვა, მაგრამ ჰქონდათ ხოლმე იმედის ნაპერწკალიც — რომელიმეს ფრონტიდან სამკუთხა წერილი — მისი ახლობლის ცოცხლებში ყოფნის სავიზიტო ბარათი მოჰფრენოდა, გულში სიხარული ჩასწვებებოდა და სხვასაც ამხნეებდა.

საღამოობით ქუჩაში მოქალაქეთა შეჯგუფება და თამბაქოს მოწევა აღკ-

გიორგი ვალაშვილი

ჩემი თბილისი

ვეთილი იყო. მილიციელები მკაცრად უტატანებდნენ შეკრებილთ.

—მოქალაქენო, ნუ გაჩერდებით, დაიშალენით!

უშირდა და უმძიმდა თბილისს.

მაგრამ თბილისსა და თბილისელებს არასდროს არ გაუჭირდიდებიათ თავიანთი ყოფა, ნაკლებად სჩიოდნენ თავისას და მეტად განიცდიდნენ ფრონტისპირა ან უკვე მტრის მიერ დაპყრობილი ქალაქებისა თუ სოფლების და მათი მოსახლეობის უმძიმეს ხვედრს.



ერთ მტკაველ კარგარეთელის ქუჩაზე თვითეულ სახლში დღენიადაგ ომზე ფიქრს ისიც ამძაფრებდა, რომ აქ ყოველდღე მიდი-მოდიოდნენ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები.

კურსანტთა შორის სჭარბობდნენ ჯერ სულ პირტიტველი ბიჭები, რომელთაც თავი მხნედ ეჭირათ, ომახიანადაც მღეროდნენ, მაგრამ სახეზე ღიმოილის კვალცი კი არ აჩნდათ. ქალები, უმეტესად მოხუცები მათ თავიანთებევით ბრძოლის ქარ-ცეცხლში წარმოიდგენდნენ და თვალტრემლიანი მიაცილებდნენ. არ იცრემლებოდნენ ახალგაზრდები. ისინი უბრალოდ უშობლშეკრულნი იყვნენ. ოღონდ კურსანტებს განსაკუთრებული პატივისცემით, ძმური სიყვარულით უყურებდნენ. ბევრ მათგანს გასცნობოდნენ კიდევ, მაგრამ ნაცნობობის გაღრმავებას ვერ ასწრებდნენ, მწყობრში ყოველდღე რამდენიმე ნაცნობ კურსანტს ან მთლიანად მწყობრს საკლისობდნენ. მოხუცი ქალების წინათგარძნობა მართლდებოდა.

თამარი, ვახტანგი და ირაკლი ისევ სულ ერთად იყვნენ. თამარს, თავის მხრივ, ალბათ, წინათგარძნობა აწველებდა, ხვალ არა ხვალზევით ბრძოლის ქარ-ცეცხლში მას თავისი ძმობილეები წარმოედგინა.

ერთად კი იყვნენ, ოღონდ თავიანთ ქუჩაზე ნაკლებად, მხოლოდ საღამოობით სჩანდნენ. მანამდე, თურმე თითქ-

მის მთელი დღე ერთ-ერთი აჩემბუკობის ჰოსპიტლის წინ ტრიალებდნენ ქუჩაში და სარკმელებთან მომდგარ დაჭრილ მეომრებს თუ რამეში მათი თავი დასჭირდებოდათ, ისინი სამსახურისათვის მზად იყვნენ. დაჭრილები მადლიერი ჰყავდათ და მათდამი მზრუნველობაში ერთგვარ ნუგეშს პოულობდნენ. თუ თვითონ ჯერ ბრძოლის ველი არ ენახათ, სამაგიეროდ, როგორც შეეძლოთ, იქ უკვე ნამყოფთ პატრონობდნენ.

საღამოობით მოღუშულები ისხდნენ რომელიმე საღარბაზოში, თუ პირდაპირ ტროტუარის ნაწიბურზე და დანაპირს არ უხსნიდათ.



ცარციტა და ნახშირით ბატიფეხურად დაჩახანლი ვაგონები კვლავ და კვლავ მიაგორებდნენ ხალხს ფრონტებისაკენ.

ვახტანგი და ირაკლი მშობლების ერთად იყვნენ. თამარს კი ორი პატარა ძმა ჰყავდა. ვახტანგისა და თამარის მამები უკვე ფრონტზე იყვნენ, ხოლო ირაკლისა სამხედრო დანიშნულების წარმოებაში მუშაობდა და ჯარში არ გაიწვიეს. დედებს შვილების უჩვეულოდ ფიქრიათი სახე აწფოთებდათ და გულო საგულებს არ ჰქონდათ, ვაითუ ანაზღად გაგვისხლტნენ სახლიდან და ფრონტს მიაშურონო.

— არ ვავიპარებთ. სადაცაა ჩვენც გვიწევს სამხედრო კომისარიატში გამოძახება და წავალთ ისე, როგორც წესი და რიგია.

დედებისთვის ეს ვერაფერი ნუგეში იყო, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც იმედი ენასკვებოდათ, იქნებ მათი ვაჟების გაწვევამდე ომს ბოლო მოჰდებოდა, მაგრამ ჯერ სად იყო ომის ბოლო!

ირაკლი ორი თვით უფროსი იყო ვახტანგზე და პირველად მას გამოუძახეს კომისარიატში. უფრო სწორედ გამოუძახეს მხოლოდ ირაკლის, ხოლო ვახტანგს უწყებებისთვის არც დაუცდია და თავადაც გამოძახებულივით გაჰყვა მეგობარს.

მართლაც ირაკლის კვლად ივა ნე-
ბაყოფლობით შეეღია სანუკვარ ქო-
ჩორს, თითქოს ეს საკმარისი იქნებოდა,
რომ მისთვისაც ჯარისკაცის ტანსაცმე-
ლი ჩაეცვათ. მას კი მამაშვილურად
აუხსნეს, რომ ასე არ შეიძლება.

— მაგრამ არც ის შეიძლება, რომ
ჩვენ ერთად არ ვიყოთ,— აღელვებუ-
ლი შეეპასუხა ვახტანგი, — წარმოიდ-
გინეთ, ჩვენ უერთმანეთოდ არასდროს
არ ვყოფილვართ.

— რას იზამ, მეგობარო, — ომის პირ-
ველი დღეებიდანვე გავრცელებული
ნუგეშცემა მოიშველიეს კომისარია-
ტის მუშაკებმა ნადვლიანი თანაგრობო-
ბით, — ომია.

თავდადაპარსული ბიჭები წელმოწყ-
ვეტილი გავიდნენ კომისარიატის ეზო-
დან.

გოგოლის ქუჩაზე მათ ამირანის მო-
ძებნა არ ჯასძნელებიათ. სახლიდან გა-
მოიხმეს და კონსტიტუციის ქუჩაზე პუ-
რის ქარხნის წინ მყუდრო ტროტუარ-
ზე გაიმართლეს. გოგოლის ქუჩაზე თავ-
ვეამოდებული ბიჭები ცხოვრობდნენ.
ვინცობაა მათ შორის რომელიმესთან
სხვა ბიჭების შეტორღილება საეჭვოდ
მოჩვენებოდათ, შორიდან თვალს არ
მოაშორებდნენ და თუ მდგომარეობა
მოითხოვდა, მის დასაცავად კლდედ
აღიმართებოდნენ. მაგრამ იმ თავზეხე-
ლადებული ბიჭების უმრავლესობა ახ-
ლა ფრონტზე გაკრფილიყო, ხოლო
შინ დარჩენილ ამირანსაც არავინ ერ-
ჩოდა.

წვრილად, უგემურად ჟინჯლავდა. მა-
თი პირველი შეხვედრაც წვიმიანში მოხ-
და ღამით. ღამე იყო ახლაც და ისევ
წვიმდა. ამირანმა მოსულთ თამბაქო
შესთავაზა, სამივემ მოზრდილი ვახვე-
ვები დამრგვალეს და გააბოლეს.

— მე ზვალ მივდივარ, — ფიქრიანი
ღმილით თქვა ირაკლიმ ამირანის სა-
ყურადღებოდ.

— მეც მალე წავალ. — ბეჯითად
დაუმატა ვახტანგმა.

— უკვე? — დაიბნა და შეწუხდა
ამირანი, მიხვდა, საით წასვლაზე იყო
ლაპარაკი.

— უკვე, — დაუდასტურა ირაკლიმ,
— შენ კი სტუდენტი ხარ და ხელს არა-
ვინ ვახლებს.

— დავკრავ ფეხს და მე კიდევ მოხა-
ლისედ წავალ, თუ აქ დარჩენას დანა-
შაულად მითვლით, — აიღეწა ამირანი.

— საწყენად არ მითქვამს. უბრა-
ლოდ, რაც არის ის აღვნიშნე, — კეთი-
ლად გაუღიმა მას ირაკლიმ, — ყველა
ხომ არ წავა.

— თამარიც აქ იქნება. ასე უნდა
იყოს. — ვარაუდი და სურვილიც გა-
მოთქვა ვახტანგმა, — მაშასადამე, შენ-
თვის ჩაგვიბარებია. ფრჩხილიც რომ არ
წამოსტკივდეს, ისე დავგახვედრე.

— ოღონდ არც იმდენი ეცადო, რომ
ჩვენი თავი დაავიწყო, — მთლად თა-
მამად ვერ იხუმრა ირაკლიმ, — ჩვენ
მას არც დავთმობდით, მაგრამ ორნი
ერთმანეთში ვერ გავიყოფდით და შენ
იმიტომ გხვდა.

ვახტანგმა და ირაკლიმ ერთმანეთს
ნადვლიანად გაუღიმეს, ამირანს კი ხე-
ლი ჩამოართვეს და თავიანთი ქუჩისკენ
დაუყვანენ.

ბნელოდა, მაგრამ თამარი შორიდან-
ვე შეიციენს. თამარმა არ იცოდა, კომი-
სარიატში ყოფნის შემდეგ ბიჭები ამ
გვიანობამდე სად ჩაიყლაპნენ და ყვე-
ლა მათი აჩემებული ახლომანლო ადგი-
ლი შემოგობინა. ვერსად რომ ვერ მიე-
კვლია, ახლა თავიანთ ქუჩაზე დაბორი-
ალობდა და აღელვებული ქუჩის თავსა
და ბოლოს გაფაციცებით ზევრავდა.
თან გულში იმუქრებოდა, რომ როცა კი
გამოჩნდებოდნენ, საკადრისად შეუ-
ფუტხუნებდა.

მაგრამ ახლა, როცა ისინი წინ ეღ-
ნენ და რატომღაც სადღაც სხვაგან იც-
ქირებოდნენ, მუქარა ვერ აღუსრულა
და ისიც კი ვერ მოჰკითხა, სად იყვნენ
დაკარგული.

საერთოდაც არაფერი უთქვამთ შეხ-

გორგი ველაშვილი
ჩემი თხოვნი

ვედრისას. ერთხანს უძრავად და მღუ-
მარედ იდგნენ. მერე თამარი მათ შუაში
ჩაუღდა და ფეხათრევით დაიძრნენ. ნა-
ბიჯს წყნარი საუბარი შეუწყვეს და ქუ-
ჩა თავიდან ბოლომდე მრავალჯის
აზომ-დაზომეს. გვიანობამდე იარეს,
მაგრამ ქუჩის საზღვრებს ნაბიჯითაც
არ გასცილებიან. ბიჭები სველ ას-
ფალტს დასჩერებოდნენ და სათქმელს
ისე წარმოსთქვამდნენ, თამარი კი სი-
ტყვეებს ჩვეულებრივ თითქოს ზეცაში
ბოჟლობდა და მერეა ჩურჩულით ამ-
ბობდა.

თამარს დაწვებზე წარგალიტები უცი-
მციმებდნენ და წვიმის წვეთები იყო ეს
თუ ცრემლი, ვერ ვაიგებდით.

ირაკლის გამგზავრებიდან ორიოდ
კვირის შემდეგ უეტრად გაჰქრა ვახტან-
გიც. მას ჯერაც გაწვევა არ უწევდა,
ფრონტისკენ თავი თვითონვე გაემწესე-
ბინა, რასაც დედისადმი დატოვებულ
მცირე ბარათზე მისი ხელმოწერა ადას-
ტურებდა: „საბჭოთა კავშირის გმირო-
ბის კანდიდატი ვახტანგ...“

ელდანაკრავ დედას ცრემლიც არ გა-
დმოვარდნოდა. გარინდებული დასჩე-
რებოდა შვილის ნაჩქარევ ნაწერს. საბ-
რალო ქალს ფიქრისა და განსჯის უნა-
რი წართმეოდა, ხოლო მანუგეშებლად
შემოცვნილ მეზობელთა სიტყვები არ
ეყურებოდა და უაზროდ და უადგი-
ლოდ ელიმებოდა. ამბობდნენ, უკვე
თითქოს ხმამალა ვაცივებაც ეწადა,
მაგრამ ჯერხნობით თავის შეკავებას
ანერხებდაო.

არავინ იცოდა, როგორ და რა გზით
მიეღწია ვახტანგს ფრონტამდე და კი-
დეც მოხვედრილიყო მოქმედ არმიაში;
ეს რომ ნამდვილი იყო, დედისადმი მო-
წერილი მოკლე ბარათიდან ჩანდა. წე-
რილის კილო დაჯერებული და იმედიანი
იყო. დედას მხნედ ყოფნას ემუდარე-
ბოდა, ყველა მეზობელსა და ახლო-
ბელს სიკეთეს უსურვებდა, და მამისა
და ირაკლის მისამართს ითხოვდა.

მას დაუყოვნებლივ ყველამ, ვისაც

მართებდა, ათმაგი და ასმაგი სურვილები დაუბრუნეს და მამისა და ირაკლის ამბავ-მისამართიც საპასუხო წერილებს აახლეს.

ირაკლისაგან პირველი წერილი ვახ-
ტანგისაზე აღრე იყო მოსული და შემ-
დეგაც, შენაცვლებით, ხან სახლში ხან
თამარს აწვდენდა ხმას. თამართან ვახ-
ტანგის პირველი წერილიც მოვიდა. და
შემდეგ მოხალისე მებრძოლიც ხან დე-
დას და ხან თამარსვე კანტი-კუნტად
მინც ატყობინებდა თავის ამბავს. თა-
მარი მეგობრების დედებს ყურადღებას
არ აცლებდა, მათ, როგორც შეეძლო,
დარდს უმსუბუქებდა და სამივენი ახ-
ლა უფრო იმედიანად იყვნენ, ვიდრე
ბიჭების ფრონტზე წასვლის პირველ
დღეებში. დედებმაც და თამარმაც დი-
დად გაიხარეს, როცა შეიტყვეს, რომ
ვახტანგსა და ირაკლის მიწერ-მოწერა
გაებათ.

ხოლო, როცა მერე და მერე შინ ორი-
ვეს წერილებმა იკლო, ორივე დედა შე-
ძრწუნებული თამართან მიიჭრებოდა
და მას ეკვით თვალეში ჩააჩერდებო-
და — იქნებ ჩვენს თავს საშინელება
დატრიალდა: ჩვენ დაგვერიდნენ და
ფრონტიდან შენდა შეგატყობინესო,
რაკი მათი იქაური ამხანაგები ჩვენს გა-
რდა შენს მისამართსაც იპოვინდნენო;
შენ კი ჩვენ ჩვენი შვილების ამბავს აგ-
რეთვე გვიმალავო.

დედები ამას მხოლოდ თვალებით გა-
მოსთქვამდნენ. მხოლოდ თვალებითვე
პასუხობდა მათ თამარიც. თამარს ასეთ
დროს თბილი თანაგრძნობით უღიმოდა
თვალეში და მათაც ეკვი უქარწყლდე-
ბოდათ.

შვილი ძალიან ღრმადაა დედის გუ-
ლში.

დედის გონების თვალი კი იმასაც მის-
წვდებოდა ხოლმე, რომ მისი შვილი სხვა-
საც უღირს.

ევაკუირებულია მიმართ თბილისში
განსაკუთრებული თანაგრძნობა სუფევე-
და. სახლკარდარბეულ, პატიოსან და გა-
მრჩე ხალხს სხვაგვარად დახვედრა არც
ეკუთვნოდა. აღამიანური გულის სიტბო

სწუროდათ ლტოლვილთ და ეს კიდევ იპოვეს აქ.

დიდმა და პატარამ იცის თბილისის ლეგენდა. ქალაქის დაფუძნების საბაბად აღიარებული სიახლო. თბილისელთა სულის კეთილი აღმონაცენი და ღირსების უპირველესი თვისება გამხდარა. ეს, ადამიანის შინაგანი ბუნების უშვირფასესი სიმდიდრე დაუშურებლივ გადაეცემოდა თბილისში ერთისგან მეორეს ომის მკაცრ დროს.

ომი კი ჯერ არც აქეთ იყო, არც იქეთ. კვლავ მრავლად სტოვებდა საბჭოთა არმია ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს და კანტი-კუნტად იბრუნებდა ზოგიერთ მათგანს. ომის გამოძახილის კვლად თბილისი მოქუფრული იყო. მაგრამ შინაგან სითბოს მინც ინარჩუნებდა.

მე იხანად მეორედ ავიდგი ფეხი და დიდი ზნის შემდეგ პირველად გავჩაზუნდი გარეთ, ყუარჯნებით. მოგვიანებით ხელჯოხზე გადავდი, რომელიც სამუდამოდ შემრჩა.

თუმცა გარეთ კი გავდგი ფეხი, პირველ ხანებში სიარული მიჭირდა და მხოლოდ ჩვენს ქუჩაზე ვყურყუტებდი. მაინც გარემო-ვითარებას მეტს ვხედავდი და ვგრძნობდი, ვიდრე სარკმლის რაფაზე — იდაყვებამოწყვეტილი და მკერდდაბეგვილი.

სიკვილი აღრე შევიცან, ათიოდე წლის ბიჭს მამა ვარდამეცვალა. შავები ჩამაცევს და კუბოს გულამოსკენილი ზღუქუნით გავყევი. ახლა ქუჩაში შაოსნები ძალზე მებევრა. ოღონდ ისინი არ ქვითინებდნენ და არ მოსთქვამდნენ. რაკი კუბო არ ედგათ ან კუბოს არ მისდევდნენ, იქნებ კიდევ ჰქონდათ იმედი. იქნებ, ვისაც გლოვობდნენ, დასატირებელი არ იყო და სამგლოვიარო შეტყობინება გაუგებრობის შედეგი იყო. ან იქნებ, უკვე კიდევ დაეტრნათ და ცრემლი კი დასწრობოდათ, ეტირებოდათ და ტირილის ილაჯიც აღარ ჰქონდათ.

— გაუმარჯოს!

სალამი, თურმე, მე მეკუთვნოდა. ჩვენი ქუჩის კუთხეში გასტრონომიული მაღაზიის მოაჯირზე მკლავგადაწყობილი ვიდექი და გამოშტერებული თვითონაც არ ვიცი რას მივჩერებოდი.

ჩემს წინ თამარი იდგა, ჩვეულებრივ მოხდენილი, მაგრამ მაინც გამოცვლილი, მზემოკიდებული, სახეზე და მკლავებზე კანაქერცილი, გამხდარი და დაღლილიც.

— გამარჯობათ, თამარიკო! — სიხარულით შევცინე, — თქვენ სადღა ხართ? ააუ, რახანია აღარ დამინახიხართ.

თამარი უკვე მეორე კურსის სტუდენტი იყო, უნივერსიტეტიდან სხვებთან ერთად ერთი თვით კახეთის ერთ-ერთ რაიონში კოლმეურნეობის დასახმარებლად გაეგზავნათ, ის კი თავისი სურვილით მეორე თვეც დარჩენილიყო და მუშაობით თავი მოეკლა. დღესღა დაბრუნებულიყო და ჯერ ქალაქური სათუთი იერი არ დასტყობოდა.

ხუმრობის ცილოთი მიამბო ეს და უცებ თავით ფეხებამდე ყურადღებით შემათვალა, გვერდით მიყუდებულ ჩემს ყუარჯნებსაც გახედა.

— ამდამ მე და შენ ვისაუბროთ, კარგი? — მეგობრულად შემომთავაზა თამარიკო.

მე სიხარულითა და მადლიერებით ცას ვეწიე. მთელი ქუჩის სიამაყე თამარიკო ჩემთან მეგობრულ საუბარს ლამობდა და მე კი თითქოს მთხოვდა კიდევ, რომ დავთანხმებულყავი.

თამარიკო ერთი საათის შემდეგ მეწვია. მე მას სადარბაზოში დავხვდი, მორიდებით შინ შევიპატიყე, ღია სარკმელთან მომდგარმა დედაჩემმაც იგივე სთხოვა, მაგრამ თამარმა ანგარიშგასაწევი მიზეზით უარი უთხრა.

— აქ, სადარბაზოში საუბარი გვირ-

გიორგი გალაშვილი
ჩამი თბილისი



ჩენია. ბიჭების, ჩენი არისტოკრატების პატივსაცემად.

მისი ხმა უჩვეულოდ ნაღვლიანი იყო, ნაღვლიანად ამოიხსრა დედაჩემმაც და სარკმელი ფრთხილად მოხურა.

თამარი და მე კიბის საფეხურზე ჩამოვჯექით.

— მათი წერილი არ დამხვდა, — თავის ჩაფიქრებული კანტურით ცაცხვის წვეროს ახედა თამარმა. — ეს არის ეხლა მათთან სახლებშიც ვიყავი და არც დედებს მოსვლიათ რამე დიდხანია. სხედან გამოყრუებულ ოთახებში საბრალო ქალები და ჩუმად იღვევდებიან.

— იქნებ, სანუგეშებელი რამე მოვიგონოთ, — გული შემეძრა მე, — თუნდაც ტყუილი შევთხზათ, ოღონდ კი მათ დარღს გაუნელებდეს.

— ვერაფერს ვერ შევთხზავთ, ჩემო კარგო, — ამოიხსრა თამარმა, — აქ ტყუილი არ გასჭრის. ათას საბუთსა და მოწმეს მოგთხოვენ, უამისოდ არაფერს დაგიჯერებენ. მე ის და დამრჩენოდა, მათ სიმხნევე შევაგონე, თქვენ თუ დარდით თავს დაიძაბუნებთ და შვილებს სწული დახვდებით, ომის გადატანის მთელ სიხარულს ვერც თქვენ და ვერც ისინი ვერ ოხემებთ-მეთქი. ორივეს ცალ-ცალკე ვუთხარი ეს, მაგრამ ერთმაც და მეორემაც ერთნაირად მწარედ გამიღიმა პასუხად.

— ნეტავი კი მათი თავი მალე დამანახვა ჩვენს ქუჩაზე და მე თუნდაც ყავარჯნებითაც ვერასდროს მევლოს, — გული ყელში მომეჭინა, თამარიკომ კი მოულოდნელად მოიხალისა.

— მალე? გვიან იყოს! გვიან, რა თქმა უნდა, ასეც იქნება. მე და შენ კი წარმოვადგინოთ, რომ უკვე მათ შესახვედრად ვეშხადებით. ისინი, თითქოს აგერ უკვე შემოვლენ კიდეც ჩვენს ქუჩაზე. რითი შევხვდეთ? საჩუქრებით? ნურას უჟაცრავად. მე, პირადად მათ ღონიჭ-შემოყრილი გადავუდგები, ხელს არ ჩამოვართმევ, არ ვაგუცინებ, რაღა თქმა უნდა, არც ვაკოცებ, და მკაცრად ვუბრძანებ: აბა, ვაჟბატონებო, არისტოკრატებო, ამდენი და ამდენი ორდე-

ნისა და მედლის კავალრებო. იმეგობრულად დაურად, რაც ჩვენ თქვენზე გვაღარდეთ, ახლა თქვენ ჩვენ გვეფერეთ და გვეჭრელით, თავს შემოგვევლით და ფიანდაზად გაგვეგეთ!

— ასე გგონია — ერთად ჩამოვლენ? — ვანგებ მაიმითად ვიკითხე მე.

— წარმოვიდგინოთ, რომ ჩამოვიდნენ სხვადასხვა დროს, — ამყვა თამარიც, — მეც, რასაც მათ ერთად თქმას ვუბრძობ, ვეტყვი თვითეულს ცალ-ცალკე. მაგრამ ერთადაც ხომ კვლავ გამოჩნდებიან, როდესაც ისევ დაიწყებენ მთელ ქალაქში ხეტიალს და ჩვენ ქუჩაზე გვიანლა შემობრძანდებიან. მაშინ? მაშინ რითლა შევხვდეთ?

— მაშინ? — მე გულისთადი სიყვარულით შევხედე თამარს და, რომ ანაზად არ გადავხვეოდი კიდეც მშვენიერ ქალიშვილს, ჩემს გასახალისებლად თვითონ თავს რომ ისულელვებდა, თვალი სწრაფად მოვაცილე, — მაშინ მე მარტოლა შევხვდები იმათ და პირადად თქვენც შევხვდებით. თქვენ სამივე ხომ ისევ ერთად იხეტიალებთ. შევხვდებით კი უმდაბლესი მაღლიერებით, რომ ასეთი კარგები ხართ.

მე ჩემი წადილი — გადავხვეოდი და მეკოცნა — მხოლოდ გულში გავივლე და ამის გაფიქრებამაც კი ამბურძგლა, გადახვევით კი თვითონ თამარი გადამეხვია, ყელზე ხელი ალერსით შემომაჭდო და ლოყაზე ნაზად მაკოცა. ეს პირველად მაკოცა დედაჩემის გარდა ქალმა.

●
თამარმა მის სახელზე გამოგზავნილი ვახტანგისა და ირაკლის წერილები დამიტოვა, რათა მათს თაყვანისმცემელს მათი ფრონტული ცხოვრების შესახებაც მეტი მცოდნოდა. წერილებს რამდენიმე დღე აღელვებული კვითხულობდი. რამდენიმე დღე იმიტომ კი არ მოვანდომე, რომ წერილები ბევრი იყო. იმიტომ, რომ თვითეული რამდენჯერმე გადავიკითხე.

ეს ჩვეულებრივა წერილები არ იყო.

ეს ახალგაზრდა ადამიანების თავიანთი მტრწამსისადმი ურყევი ერთგულების სტრიქონები იყო.

იყო მათში მოკითხვაც, სურვილებიც, მოვინებაც, ოცნებაც, ხუმრობაც მაგრამ უმთავრესად იყო მაინც რწმენა, ოღონდ თავშეკავებულად, დამაჯერებლად გამოხატული.

ერთ წერილში ვახტანგი თამარს აფრთხილებდა: დედაჩემს ძველმანები და გატეხილ-გაბზარული ნივთები გადასაყრელად ვერ ემეტება ხოლმე. მე კი მათ ვერ ვიტან. ამიტომ შენ უნდა შეუჩინდე დედაჩემს და როცა ჩამოვალ სახლში გატეხილი და გაბზარული არაფერი დამახვედროთ. იატაკს მიყრილ-მოყრილი ფალასები მოაშორეთ, კარადის თავზე აჩონჩხილი რაღაც-რაღაცეები ჩამოყარეთ და სადმე მიმაღეთ. კიდევ: ზედადგარი არ დამხვედეს ეზოში ზედ შესკუპული გამურული სარეცხის ქვაბით. სარეცხთან დაკავშირებულ არეულობას ვერ ვიტან. თუმცა, რა იცით, როდის შევალე ჩემი ეზოს კარს და იქნებ სწორედ ჩემთან შეხვედრის საშუალების სარეცხი ჰქონდეს დედაჩემს, როცა მე მოულოდნელად მოვევლინები? ჯანდაბას! დამხვედეს ზედადგარი და გამურული სარეცხის ქვაბიც, ოღონდ თქვენ მშვიდობით დამხვდით.

ვახტანგისა და ირაკლის ძველი წერილების არა ერთხელ სიტყვა-სიტყვით წაიკითხვამ, თითქმის დაზეპირებამ, მით უფრო მომაწყურა მათს ახალ სამკუთხა ფრონტულ ბარათებში ჩაღრმავება. მაგრამ სად იყო ახალი?

მცნება — სასწაული იმიტომაც გავრცელებული, რომ ზღაპრული, გაზვიადებული შენათხვის გვერდით არსებობს. ზღბა ცხოვრებისეული საკვირველებანიც — უცნაური მოვლენები. სასწაულებრივი ამბავი კი ყოველთვის გასახარი არ არის.

აღრე, ვახტანგის ფრონტზე მოულოდნელი წასვლით ელდანაცემ დედამისზე ითქვა, რომ საბრალო გავიგებულნი

ქალი უაზროდ, უადგილოდ იღიმებოდა, ისე იყო, თითქოს ხმამაღლა გაცინებასაც აპირებდა, ოღონდ ჯერხნობით თავის შეკავებას ანერხებდაო.

მაგრამ მივიღა ის დღეც, როდესაც ქალმა თავი ვერა შეიმაგრა და მართლაც გადაიხარხარა მთელი შეძრწუნებული სამეზობლოს წინაშე.

ცნობა ცხოვრებისეულ საზარელ სასწაულს იტყობინებოდა.

რომელიღაც მდინარის გადალახვისას, სახლიდან წასვლის შემდეგ ერთმანეთის უნახავი რიგითი მეზობლი ვახტანგი და ოფიცერი მამა მოულოდნელად ერთ კარკაპზე აღმოჩენილიყვნენ და თავდავიწყებული შეძახილით ერთიმეორეს რომ მიჰხუტებოდნენ, მაშინ დასცემოდა კარკაპს მტრის ყუმბარაც, რომელსაც სხვებთან ერთად, ბედნიერებით გულაძეკრებული მამა-შვილისთვისაც მოესწრაფა სიცოცხლე.

ქალს კი — დედასა და მეუღლეს, სიცილით ხომ დაჰგუბებოდა და ახლა და გაეხსნა ჯებირი, ხშიერად და გაბმით განავრძობდა სიცილს და ვერა და ვერ ცხრებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ მას თავისი აღსასრული სულით ავადმყოფთა სამყოფელში ეპოვა.

ზარი დატრიალდა ირაკლის ოჯახშიც. ოღონდ უკვე ომის შემდეგ, მშობლები უკვე გამარჯვებული შვილის მოლოდინში იყვნენ გულის მოუთმენელი ცახცახით და მათ კი კარის ღრიჭოში მისი დაღუპვის დაგვიანებული ცნობა შემოუტუტრეს.

ირაკლი ტანკში დამწვარიყო და ისევე, როგორც ძმობილს, მასაც საფლავიც არ დარჩენოდა ამქვეყნად.

ქუჩაზე თითქმის ყველა ოჯახს რაიმედაგვარი დაღი დაამჩნია ომმა, მაგრამ ამ ორი მერცხალივით ბიჭის დაღუპვა პირად მძიმე მწუხარებად დააწვა გულზე და სამუდამო ტკივილად გააჰყვა ქალ-

გიორგი გელაშვილი
ჩემი თბილისი



სა თუ კაცს, განსაკუთრებით ბავშვებს. მათს თაყვანისმცემლებს.

ირაკლის მშობლებს ალბათ იმან გადატანინა მძიმე დანაკლისი, რომ შვილის დაღუპვის ამბავს ერთად დახვდნენ და ერთმანეთს გული უმაგრეს. თუმცა, ვაი ამ გულის გამაგრებას. გულსაკლავად საცოდავნი, და უმწეონი იყვნენ ახლა ნაადრევად გატეხილი, გამოყრუებული და ერთმანეთს შეჩერებული მშობლები. მალე ისინი სოფელში გადაიხვეწნენ.

თამარს მამა მშვიდობით დაუბრუნდა, მაგრამ უგანაკაწროდ არც მათ ოჯახს ჩაუარა ომმა. თამარს ბიძა დაეღუპა, დედის ძმა, მეზღვაური, პირველი რანგის კაპიტანი.

ომში ბიძა მეც დამეღუპა — მამის ძმა, ერთდერთი დარჩენილი ახლობელი ადამიანი მამის მხრიდან, მამაზე უმცროსი და მისი თაყვანისმცემელი, მისი სიყვარულით კი ჩემი და დედაჩემის მადამერთებელი კაცი, ეშხიანი, ლამაზულვაშიანი, ოღონდ ირაო, უცოლ-შვილო, ყუჩი, პურ-ღვინის მადლის დამფასებელი. ომში წასვლისას ეტლით გვეწვია, მე და დედაჩემს ჭრელ ბაღდაღში გამოკრული ხილი მოგვართვა, თან მოტანილი ერთი ბოთლი შინაური ღვინო ცერისოდენა ყანწით დასცალა. ყველა მშობლისა და მამიჩემის სახსენებელი თქვა, დედა-შვილს ხანგრძლივობა გვისურვა, სამშობლო ადიდა, ომში დაღუპულთა ხსოვნისა პურს აწვეთა და თვითონაც იმ გზას გაუდგა, რომელიც უკან ბევრს აღარ გამოუვლია.

მწუხარება იყო მთელს ჩვენს ქუჩაზე.

●
იღარა კი.

დადგა დრო და კავკასიონისა და თრიალეთის ქედების მთათა წვეროებმა ღრუბლები დაფხრიწეს და თბილისის თავზე ლამაზად მოილაკვარდა.

რაღა თქმა უნდა, ომის დროსაც უწყალობებია ბუნებას კეთილი ტაროსი, მაგრამ ადამიანებს მისი ეშხი არ უგრძენიათ და ხალისი არ მინიჭებიათ. ომის

დროს დარი სრულიად მოუღრმობდა უადგილობადაც კი ეჩვენებოდათ. ომის დროს დარს ფასი არ ჰქონდა. თუნდაც სულ გულისგამაწყალებლად ეყინებოდა. ეს მათ ყოფას უფრო შეეფერებოდა.

ახლა ომისგან მიყენებული ჭრილობების მიუხედავად ხალხს ლაყვარდი ცა შეუმჩნეველი არ დარჩა. ახლა დარი ის უებარი მალამო იყო, რომელიც ჭრილობას პირს მოუტრავდა.

ქალსა თუ კაცს ოთხი წლის მანძილზე პირველად გაუკრთათ სახეზე ღიმილი.

ცალკეულთა გულში დარდი არ წაშლილიყო, მაგრამ საყოველთაო შეებათ თვითელს თავის სატკივარს თუ პირწმინდად ვერ უშუშებდა, რამდენადმე უყუჩებდა მაინც.

ადამიანებმა გაღიებმა ხელახლა ისწავლეს.

ღიმილი უნებლიეთ დარდიან ადამიანსაც გამოეპარება.

გაღიებული ვნახე თამარიც.

ის და ამირანი პირველი მშვიდობიანი ზაფხულის ერთ კვირა დღეს პლენარის პროსპექტის მხრიდან ნელა მოუყვებოდნენ ჩვენს ქუჩას. ვაჟი გულიანი თხრობით ართობდა თავის ახალგაზრდა მეუღლეს. თამარს ეს, სჩანდა, სიამოვნებდა და ამირანს თვალებში შესცივინებდა.

თამარმა ანაზად მე შემნიშნა ჩემი სახლის წინ ატუზული და უცებ დაიბნა.

მეორე დღეს კი მან მარტომ საგანგებოდ მომიხელთა და დიდხანს ჩამტკეპროდა თვალებში.

— მე კიდევ მენატრება ხოლმე შენს სადარბაზოში ძველებურად ჩამოჯდომა. ახლა უკვე ამირანთან ერთად. — ყრუდ გაიღო მან ბოლოს ხმა და თვალი გამარიდა, — არც არაფერი მიშლის, რომ ავიხდინო ეს სურვილი, მაგრამ თითქოს მეშინია. უიმათოდ იმათ საყვარელ ადგილებზე ყოფნისა მეშინია. და, მგონი, თვითონ შენც გეშინია.

თამარს ცრემლები შეენიშნე და შეეწუხდი.

— ვაიმე! ნუ იტირებ, თამარო, შენ

იმთ წინაშე რა დანაშაული მიგიძღვის? პირიქით, მგონია, შენ შენი არისტოკრატიების საყვარელ ადგილებს თუ არ უღალატებ, ამით მათ ხსოვნას უფრო პატივს სცემ და სხვების თვალში თითქოს გააცოცხლებ.

— აი, უკვე შენც დაბრძენებულხარ, — ცრემლებს ნება მისცა და არც შეიშრო თამარმა, — მეც ეგრევე მესმის. მაგრამ თან კიდევ საშინელი ყრჟოლა მიტანს, როცა ჩვენულ ადგილებს კენტადლა ან სხვასთან ერთად ჩაუვლეო. ისეთ დღეში ვარ, რომ მგონი სულაც გავერიდები ამ ჩვენს ქუჩას.

— ნუ, თამარო, გენაცვალე, ნუ დააგდებ ამ ჩვენს ქუჩას, — აღელვებული შევევედრე მე და რაკი, თურმე დაბრძენებულიყავი, აზრი უფრო გავადრმავე, — შენც თუ ფეხი აიკვეთე აქ, ქუჩას თავისი ლაზათი სულ გაუხუნდება. გიმძიმს და ყრჟოლა გიტანს თქვენეულ ადგილებზე გავლისას? მართლაც ძნელია, საშინელებაა. ოღონდ ძვირფასი ადამიანის საფლავის ხილვაზე ამაზრზენი რა არის ამქვეყნად? მაგრამ გულწყვლარი ჭირისუფალი მაინც დადიან საფლავზე. ქუჩა კი ხომ საფლავი არ არის. ჩვენი ქუჩა ჩვენი ბიჭების დანატოვარი სამახსოვროა, ნუ გასწირავ.

— ეჰ, — ღრმად ამოიოხრა თამარმა და მწარედ ვაილიძა, — ნამდვილად დაბრძენებულხარ, მაგრამ ყველაფერს მაინც ვერ გამიგებ.

თამარი თავჩაქინდრული გამშორდა და მამინლა შეენიშნე ამირანი, რომელიც თურმე მოპირდაპირე ტროტუარზე ელოდა და დამნაშავესავით ფრთხილი ნაბიჯით შორი-ახლოს ვაკყვა.

დრო სწრაფად მიდისო? ვინა თქვა ეს — მიდისო? დრო მირბის, მიჰქრის. ომის წლებში იყო რომ გულისგამაწვრილებლად მიზოზინობდა, თორემ მერე მუხლში ქარი ჩაიყენა და ვაფრინდა.

დროის ამ შეუქმნეველ სრბოლას ქვეყნად კარგი ამბების მომრავლებას უნდა ვუმაღლოდეთ.

პირისაგან მიწისა აღგვილი ქალაქე-ბისა და სოფლების ახალი აღორძინება; საბარათო სისტემის გაუქმება;

ფულის რეფორმა და სურსათსა და სამომხმარებლო საგნებზე ფასების თანმიმდევრული დაკლება;

რაც მთავარია, ათასობით ომგადახდილთა შინ მშვიდობით დაბრუნება და მათთან ერთად კი ზოგ სახლში უკვე გამოტირებულთა სასწაულებრივ მოულოდნელი და ბედნიერი გამოჩენა, მკვდრეთით აღდგომა.

თვითეული ასეთი გამოჩენა კი თავმოსატყუარი ლოდინის გამხანგრძლივებელი იმედი მაინც იყო ყველა სხვა ოჯახისათვის, რომელთაც შინმოუსვლელნი ველარასდროს დაუბრუნდებოდნენ — ნამდვილი სასწაული, ან უმკვდრეთით აღდგომა არ მოხდებოდა.

ომგადახდილმა ქვეყანამ სწრაფად იწყო ჭრილობების მოშუშება და დანგრეულის აღდგენასთან ერთად კი ახლის შენებაც.

გამოჩნდა, რომ ომუნახველ თბილისსაც არ დასდგომოდა ხეირი ომის დროს. უადგილო ადგილას მომრავლებულიყო სხვადასხვა დანიშნულების სახელდახელო ნაგებობანი, ძველ მკვიდრ შენობათა უმეტესობას კი კედლებში ბზარი გასჩენოდათ, ეზოებს ჭიშკრები თუ მესერი მონჯდრეოდათ, ქუჩებს ასფალტი გასცვეთოდათ, ტროტუარები დაბრეცოდათ. ქალაქი განახლებას მოითხოვდა და მიჰყვეს კიდევ ხელი საქმეს.

განახლდა და მოუვიცივე ხალხით კვლავ პირთამდე აივსო დიდი მდინარე — პლეხანოვის პროსპექტი და მისი ყველაზე წყალუხვი ორფა შესართავი — მარჯანიშვილის ქუჩა.

მთელი თბილისი გახალისდა. ხალხი მოკოპწიავდა. თბილისი მოდების ამყოლი ქალაქია. მის მკვიდრთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, გამოსაჩენი ჩაცმა — დახურვა იტაცებთ. მაგრამ ზომიერებაც ხშირად ირღვევა. ჰყატელა

გიორგი ვალაშვილი
ჩამი თხოილი



და მყვირალა სამოსიც იჩენს ხოლმე თავს. თუმცა ძნელ საცნაურ კაბას თუ შარავლს აღსასრულიც მალე უდგება, ძველისა და ახალი მოდების ჰარმონიული შეწონასწორება ხდება და ქალი-შვილისა თუ ჭაბუკის ჩაცმულობა თვალს აღარ სჭრის.

თავის დროზე, ჩემს ვახტანგს და ირაკლის, თბილისის თავდავიწყებულ ბიჭობაში რომ იყვნენ, ქალაქზე აუცილებელი სიტყვის გაგონებაც გულზე ეკლად ეტობოდათ.

ქალაქში ესა და ეს მოუგვარებელიაო, თუ ვინმეს მათთან დაცდებოდა, ისინი მაშინვე შეუტევდნენ:

— ყველაფერი ხელის ერთი დაკვრით არ კეთდება. მოთმინება იქონიეთ. ან კიდევ:

— აგიხირობათ, მხოლოდ განიერი და ნათელი ქუჩები გვინდაო. ვიწრო და ყრუ ქუჩასაც თავისი ლაზათი აქვს.

ყველაზე დიდი სიყუთე ჩვენს ქალაქში ვაცხოველებული საბინაო მშენებლობაა. უამრავი ოჯახი შესახლდა ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში, ნაცნობ-მოკეთეთა მისამართები აირ-დაირია.

კარგარეთელის ქუჩიდანაც ბევრი სხვაგან გადაბარდა.

თამარი კი გოგოლის ქუჩასაც დაემშვიდობა.

მგონი საბურთალოში ცხოვრობს მშობლებითა და მეუღლით, ზუსტად არ ვიცი მისამართი, აღარსად შემხვედრია და არც მე მიძენია. ერთი ნატვრა მაქვს მხოლოდ, ნეტავი ვაგიგებდე ორი ვაჟი შესძენია და მათ ვახტანგი და ირაკლი ჰქვიათო!

ვახტანგი და ირაკლი...

არა, ნაომარი, შინ მშვიდობით დაბრუნებულნი თუ შინმოუსვლელნი არ დაუვიწყრია ხალხს.

ბევრგან მოეწყო და კიდევ და კიდევ ეწყობა შინმოუსვლელთა დიდების სტენდები; მათ სახელზე შენდება ბაღები; იმართება მათი მოსაგონარი საღამოები, შეხვედრები; ბევრი ქუჩა, სკოლა, ბიბლიოთეკა მათ სახელს ატარებს.

ვახტანგისა და ირაკლის სახელები ვერს ჰქვია.

მათ განსაკუთრებული გმირობა არ გამოუჩენიათ. ვერ მოასწრეს, თორემ თავს არ ზოგავდნენ საგმირო საქმეების ჩასადენად.

ოღონდ, ვინც კარგარეთელის ქუჩას მის ძველ მცხოვრებთაგან კიდევ შემორჩა, ისინი კი საპატიო მოკრძალებითა და მოწიწებით აცოცხლებენ თავის ქუჩაზე იმ ზრდილი და სათნობით სავსე, იმ საბრალე ბიჭების, თითქმის ცხოვრებაუნახველი ბიჭების სახელსა და სახეს.

კეთილმოწყობილი ბინით შეგვეცვალეს ჩვენი პატარა სორო მე და დედაჩემსაც. ახლა ვაკის ახალთახალ მაღალ და კოხტა სახლში ვცხოვრობთ, ოღონდ ისევ პირველ სართულზე. ეს თვითონ ჩვენ ვისურვეთ ასე, შეჩვეული ვიყავით. ჩვენთანაა ნაზიც. ნაზი ჩემი თანაკლასელი ჩუმი და გულისხმიერი გოგონა გახლდათ, რომელიც ყველაზე მეტ მზრუნველობას იჩენდა ჩემს „დაუსწრებელ“ სწავლაზე, როცა მე ფათერაკგადანახალი მოწაფე ხანგრძლივ მწოლიარე ან ფანჯრის რაფას მიჯაჭვული ვიყავი. ნაზი, როდესაც ერთხელაც თავითი მეჭადა და მორიგ ვაკვეთილებს მაცნობდა. მოულოდნელად მგრძნობიარე ჩურჩულით შენიშნა, რომ მე თურმე მეტად თეთრი და საერთოდ ძლიერ ლამაზი ხელის თითები მაქვს. თავად მე ამისთვის ანგარიში არასდროს გამეწვია ან ყურადღება არც მიმიქცია. გულწრფელი ქათინაური კი უსაზღვროდ შეამა, თუმცა ვიცოდი ჩემი თითების იმჟამინდელი მოხდენილობა იმით აიხსნებოდა, რომ გარეთ ვეღარ ვნაყარდობდი და ხელებს არავითარი ჯაფა არ ადგებოდათ.

მე და ნაზის უკვე მორბილი გოგონაც ვეყავი. მას თამარი ჰქვია და ნაზიმ იცის რატომაც.

კვლავ პირველ სართულზე ცხოვრება იმიტომაც მსიამოვნებს, რომ სადარბაზო ჩემი ფანჯრის გვერდითაა და მე ყოველთვის შემიძლია იქ გვერტბევით ჩამომსხდარი გოგო-ბიჭების ყივიყვი თუ

საქმიანი საუბარი ვისმინო. მათი სიზაღისე გულს სიზარულით მივსებს და თან შორეულ ნადვლიან მოგონებას აღმიძრავს, მახსენებს მოკლე და მყუდრო ქუჩას, თავსა და ბოლოში ღარის ჩამკეტი ფიცრებზეთ რომ აპფარვია მაღალი სახლები.

ასე ყოფილა, კაცს მშობლიური სახლი, სადაც ბავშვობა გაუტარებია, არასდროს ავიწყდება და ხშირად კიდევ ენატრება. სხვა სახლში რომ გადახვალ, ძველს მაინც მოინახულებ და მიესიყვარულები.

ისევ ის იერი აქვს კარგარეთელის ქუჩას, ოღონდ მე იქ ბევრ ძველ ნაცნობს ვეღარ ვხედავ. მაგრამ იმათ, ვისაც ვიდევ ვხვდები, არ ვეკითხები იმათზე, ვინც აღარ სჩანან. ვისაც ვეღარ ვხედავ, იქნებ აღარც არიან დედამიწაზე, იქნებ მიწის ქვეშ არიან და არ მინდა ამის გაგება. მინდა ვარწმუნებდე ჩემს თავს, რომ კვლავ არსებობენ, დაძაბუნდნენ, დაჩაჩანაკდნენ, მაგრამ მაინც არსებობენ.

როგორც ხეიბარი, მე ტრამვაიში, ტროლეიბუსსა თუ ავტობუსში წინა კარიდან ასვლის უფლებით ვსარგებლობ, მაგრამ კარგარეთელის ქუჩაზე არც ტრამვაის და არც ტროლეიბუსს თუ ავტობუსს არასდროს არ უვლიათ და მეც ისევ ჩემი ჩლახუნა ფეხით კვლავინდებურად ქვეითად ესერავ მას, თითქმის ყოველდღე.

კარგარეთელის ქუჩიდან გზას ჩემი ახალი ბინისაკენ პლენანოვის პროსპექტითა და ჩელიუსკინელთა ხილით მივუყვები.

ნუ გაგაკვირვებთ, რომ ჩემი მტკივანი ფეხის პატრონს მაინც ბევრი წაწალი მიწევს, ისიც სულ ქვეითად, და ვუძლებ კი. მაგრამ გამართლდა ჩემი მკურნალი ექიმის, დარბაისელი და გულისხმიერი გოლიათი ვაჟაკის ბეჭითი წინასწარმეტყველება, რომელმაც თავის დროზე გვარიანად დაშვებული ფეხი შემიკოწიწა: მეორე საღი ფეხისა რა

მოგახსენოთ, ოღონდ ეს ჩემი ნასათუთევი ქვედა კიდური კი არასდროს და გადალატებთო. ექიმმა მეც და დღეა ჩემსაც ასე გვითხრა, ორივეს გვეგონა, რომ გვანუგებებდა.

სამუდამოდ მადლიერი ვარ იმ ბრწყინვალე დასტაქრისა და თურმანიძის მალამოსი, რომელიც მან მოიმეველია.

რა ვუყოთ, რომ კოჭლობა მეტყობა, ხომ მაინც საკუთარი ფეხით დავდივარ? დავდივარ ის კი არა — ფეხით სიარულის ავადმყოფობა მჭირს, არ ვიღლები.

ვერ მომიწლებია, რომ ქვეყნად არ არიან ვახტანგი და ირაკლი, თბილისის გულმოუჭვრებელი ტრფილნი. თბილისი კი განახლდა, გაფართოვდა, ბიჭებს მოსანავარდებელი მიემატებოდათ, და თითქოს მე ვავსებ მათს დანაკლისს, როცა ქალაქის ძველ, მათეულ საყვარელ ადგილებში თუ მათს შემდეგ შენაძენ ქუჩებსა და მოედნებზე დავაბიჯებ.

ნუგეში ისლა ხოლმე მხოლოდ, რომ ესოდენ გამშვენებული თბილისით კარგი თაობა ხარობს. მეტადაც ეხაროს! თავადაც ხელი არასდროს დააკლოს მის კეთილდღეობას და იხაროს!

ჩვენი ახალი სახლის ბინადრებმა თავიდანვე, ასე ვთქვათ, დაზვერვისა და მოსიწვვის გარეშე, გულლიად გაიცნეს ერთმანეთი და კიდევ დაუახლოვდნენ, რომ იტყვიან, ერთმანეთს ჭირს სჭამენ. ქალებს ქალური საოჯახო საქმეები აკავშირებთ, მამაკაცებს კი სამსახურზე თუ გაზეთში წაკითხულის შესახებ საუბარი, ფეხბურთის (ბოლოს და ბოლოს თბილისის „დინამო“ ერთხელ მაინც უკვე იყო ქვეყნის ჩემპიონი და საერთოდ ხელწამოსაკრავი გუნდი არ ვახლავთ), ჭადრაკის (ნონა გაფრინდაშვილი!) ამბები და საერთოდ ახალი ამბები. ისინი უმეტესად ეზოში ხვდარა მცენარეებით დაბურულ ხალვათ და ტევაღ

გიორგი ვალაშვილი
ჩემი თბილისი



ფანჩატურში იკრიბებიან ხოლმე საღამოხანს და იქა ხმიერი საუბარიც, გაზეთის ხმაილა კითხვაც და ნარდიცა და ჭადრაიც. ჭადრაკზე მარტო საუბარი კი არა, თავდაც თამაშიც ემარჯებათ. ფეხბურთზეც კი მარტო ენის მოფხანას არ სჯერდებიან, ხანდახან ეზოს პატარა ბიჭებში გაერევიან, ბურთს გაედევნებიან, ზოგი მათგანი ძველ ოსტატობასაც ავლენს, თავისი ილეთებით ნორჩების გაკვირვებას ცდილობს. საერთოდ კი, სირბილს ორიოდ წუთსლა ახერხებენ და ფარ-ხმალს ჰყრიან. თან თავისთავს თვითონვე დასცინიან. რა ვუყოთ, ორმოც წელს მიტანებული მამაკაცები თავისთავის დაცინვას ეჩვევიან.

საუბარს და გართობას ხშირად იქვე ფანჩატურში მამაკაცური განცალკევებული მდორე ვახშამი მოსდევს. რესტორანში რომ იყვნენ, რომელიმე ერთი მოიკლავდა თავს დანახარჯის გადახდაზე, თუნდაც სულს იქით კაბიციც აღარ რჩებოდეს, ხოლო თუ წვეულებას სახლში გადაიხდიდა, სტუმარს წასახმარსანოვავებს არ გააჰაჰანებინებდა. აქ კი პურ-მარილი „ნივთიერი“ ფსონით იმართება. თვითუღს სახლიდან თავის წილ რა საჭმელ-სასმელიც მოეძებნება, ის გამოაქვს და სუფრაც ასე კოწიწდება.

საერთოდ, შეერთებული მეზობლური პურობა თბილისელთა ძველთა ძველი ლამაზი ჩვევა და ღრმად მოყვასური მოთხოვნისებაა.

ჩვენი ეზოს მამაკაცთა ერთობლივ შეხმატკბილებულ პურობაში მეც მათი ამქრისა ვარ.

ჩემი ერთი მეზობელი ეშხიანი ახალგაზრდა კაცია, შოთა. ახოვანი, მოხდენილი და ბუნებით გულგაშლილი. სამი შვილი ჰყავს, სამი პატარა ბიჭი და თავს ევლება. ხშირად იტყვის ხოლმე, ესენიც ჩემსავით კარგები უნდა გავხარდოო და თან სიცილით იგუდება ამის თქმაზე, თითქოს თავს დასცინის. არა-

და, მართლაც კარგია. მორცხვანაშვილი სათნო, საოცრად გამრჩე მეუღლე თვლებში შესციციენებს და მასზე უკეთესი ქვეყნად არავინ ჰგონია.

შოთა ჩემი კარის მეზობელია. მისი მშობლები და მასზე ორიოდ წლით უმცროსი, ჯერ გაუთხოვარი დაიც ჩვენსავე სახლში ცხოვრობენ, ოლონდ ბოლო, მეოთხე სართულზე, ამიტომ თითქმის ერთ ოჯახად არიან და ვერ გააჩვენებენ ვინ პირველ სართულზე იძინებს, ვინ მეოთხეზე.

თვითონ ხომ ბევრნი არიან, სადილსა და ვახშამს ერთად რომ შემოუსხდებიან, მაინც უსტუმროდ ვერ სძლებენ. ნამეტნავად სტუმართმოყვარე ოჯახის უფროსია, სახემცინარი, ჭადრა კაცი, ნამდვილი გოლიათი, ოჯახის ბურჯი.

ჯალაბობა კი შეჭხარის მეუღლეს. მშობელსა და პაპას. მოკრძალებული პატივისცემით შესცქერის მას ყველა, ვანსაკუთრებით კი მეუღლე. როგორც ხშირად ხდება ხოლმე. ამ გოლიათი კაცისთვისაც ბედს ცხოვრების მეგობრად ტანმორჩილი ქალი ურგუნებია.

ქალს თმაში, მიუხედავად ხნოვანებისა, თითო-ორთა ჭადრა გარეგია და სახეზეც აქა-იქ დამჩნევია წმინდა ნაოქი. საერთოდ, ყოჩაღად გამოიყურება, ოჯახის სიკეთეს მეუღლის განუწყვეტელ ზრუნვას უმადლის. შვილები, ქალიშვილიცა და ვაჟიც ტანადობით მამისაკენ არიან.

რძალსაც თავისი სიყვარული კი უღვივის მათი ვაჟის მიმართ, მაგრამ მოკრძალება და სასოება მეუღლის წინაშე უთუოდ დედამთილისაგან გადმოსდებია.

როცა ისინი ყველა ერთად არიან და სტუმრებიც ჰყავთ. მასპინძლები უთუოდ სიმღერასაც წამოიწყებენ. შოთა სიმღერაში მამასთან მაინც ვერ მოვა. მამას უტყუარი სმენა და საუცხოო რბილი ხმა აქვს და მისი სიმღერის მოსმენა ნამდვილი ნეტარებაა.

სიმღერა კი მთისა და ბარისა, ქალაქისა თუ სოფლისა იცინა, უამრავი სიმღერა იცინა: „გაფრინდი შავო მერცხა-

ლო“, „ბეოი კაკა“ „იმერული მგზავ-
რული“, „გუშინ შვიდნი გურჯანელი“,
„ჰასან-ბეგურა“, „ოდოია“, „ჩაკრუ-
ლო“, „ქალგულო“, „თეთრო ბატო“. ათასნაირი ლაშქრული, ყველა კუთხის
„მრავალკამიერი“ და კიდევ ვინ მოსთ-
ვლის რა და რა.

სხვა ღვაწლთან ერთად თბილისის
უცილობელი დამსახურება ისიც არის,
რომ ოდიტოვანვე აქ ყველა დიდებული
ქართული სიმღერა თავმოყრილა და
ბუღოვს.

ზოგნი შენიშნავენ ხოლმე, ბევრი
ქართული სიმღერა ერთმანეთს ჰგავსო.
ჰგავს? მერე—რა, რომ ჰგავს. ან უკეთ—
საქმეც ისაა, რომ ჰგავს. რა სიმღე-
რაა ის ქართული სიმღერა, თუ რაღაც
ნიშნით არ ენათესავება თავის „წინა-
პართ“ თუ „თანამედროვეთ“.

თანაც ქართულის სიმღერას მარტო
მოსმენით არ უნდა დასჯერდე, მარტო
მოსმენით მას სრულად ვერ აღიქვამ.
არსებითი მოწველობა აქვს უყურებდე
კიდევ სიმღერის შემსრულებელს, რად-
გან ამ დროს მღერიან თვალებიც, წარ-
ბებიც, სახის ყოველი ნაკეთი, მეტყვე-
ლად მოძრაობენ მხრები, ხელები, თი-
თები და ეს თავისუფლად, ოდნავ სვე-
დიანად მონარნარე თუ ლაღად აჭრილ
ხმასთან ერთად, უფრო შთამბეჭდავს
ხდის ჰანგს.

მამა-შვილაც აზრი და არსი, მთელი
განცდა იმისა, რასაც მღერიან, სახეზეც
ჰკაფიოდ აღებეჭდებათ და ენაც რომ არ
იკოლოთ, ყოველთვის მიაინც მიუხვდე-
ბით.

სტუმრებს, როგორც წესი, მამა და
შოთა აცილებენ და კარგა დიდ მანძილ-
ზეც, ყოველ შემთხვევაში ტროლეიბუ-
სამდე თუ ტაქსამდე. შემდეგ ღამის სუ-
ფთა ჰაერზე ცოტას თვითონაც გაისეირ-
ნებენ და სახლში წყნარი ბაასით ბრუნ-
დებიან ხოლმე. მამა კიბეზე ასვლაში
შვილის ხელის შეშველებას თაკილობს
და სვენებ-სვენებით, მაგრამ მიაინც და-
მოუკიდებლად აუყვება საფეხურებს.

ზოგჯერ ასეთ დროს მისთვის თანაგ-
რძნობით უკითხავთ:

— არ გიჭირთ მეოთხე სართულზე ას-
ვლა? ისიც უღიფტოდ.

ქარმაგი კაცი ხედებოდა, მის ასაკზე
მიანიშნებდნენ მეზობლები და ნადვლია-
ნად უღიმოდა.

— არ ვჩივი. ყოველ შემთხვევაში,
როცა ასვლა გამიჭირდება, მაშინ ჩამო-
სვლის ხალისიც აღარ მექნება და, მა-
შასადამე, აღარც ასასვლელი.

იგივე მეზობლები სულაც იმ აზრი-
საც იყენენ, რომ მეოთხე სართულზე
ახალგაზრდა შვილს უნდა ეცხოვრო,
ხოლო მის ბინაში პირველ სართულზე
მოხუცებს, მაგრამ მამას ამის გაგონე-
ბაც არ უნდა.

— არა. ჩემო ბატონო. მთელი ჩემი
სიყვარული შვილიშვილებზე გადამი-
ტანია და ისინი მე თვითონ ხიფათის
წინ დავაყენო? ჯერ ისეთები არიან, ერ-
თი რომ წაიქცეს, მეორე ვერ წამოაყე-
ნებს. ემანდ კიბიდან რომ დამიგორდნენ,
რა ვუთხრა მერე ჩემ თავს? არა. არა,
ჩემო ბატონო.

მეზობელთაგან ასე ერთი და იგივე
შეკითხვისა თუ რჩევის მიცემა მოხუცს
არ აღიზიანებს. მათ გამო კიბეზე შეყო-
ვნებულს მორიგი შესვენების საბაბი ეძ-
ლევა და ეს მას სავსებით აწყობს.



შოთა ჩემზე ბევრად ახალგაზრდა,
მაგრამ ბევრადაც ყოჩადი, მჩქეფარე
და ფხიანი ვაჟკაცია. ადამიანთან დაახ-
ლოება უყვარს, ჯდება ეხერხება და
მისი ეს თვისება ყველაზე მეტად მხიბ-
ლავს. გულწრფელობითა და ენაწყლია-
ნობით ყველას უცებ ატყვევებს და ისე-
თი შთაბეჭდილება რჩება, რომ თვი-
თეულ ახალგაცნობილს კიდევ თითქოს
გულს ეთანადრება მასთან მალე დაშო-
რება. ამ გულგაშლილობით მოეპოვები-
ნა მთელი სამეზობლოს სიყვარული.

ეზოში ყველა საერთო საქმის მოთა-
ვე და ავან-ჩავანიც შოთაა. ეზოში თან-

გიორგი ვალაშვილი
ჩემი თბილისი

ჩატურიც მისი თაოსნობითა და ოფლის-
ღვრით დაიდგა და შემდგომ იქ დამკვი-
დრებულ მამაკაცთა შორის პირველი
ურთიერთობის ძაფებიც მან გააბა.

ჩემი და შოთას ბინის ფანჯრები ქუ-
ჩის მხარესაც და ეზოსკენაც ერთმანე-
თის გვერდითაა და თუ ჩვენ გარეთ ვი-
ცქირებით (ფანჯრებიდან ჰერეტა კი
ორივეს ვატაკებთ, თითქმის ავადმყო-
ფობაა). შეგვიძლია ხმადაბლაც კი თა-
ვისუფლად ვისაუბროთ.

ჩვენს შუა მხოლოდ სადარბაზოა და
თუ იქ შეყუთულ ვაგობიჭებს უღურ-
ტული გაუმართავთ, ისიც კი არ გვიშ-
ლის. ერთი იმიტომ, რომ პატარები
თვითონ გვერიდებიან და ცდილობენ
შეტისმეტად არ იხმიანონ, და მეორეც
— ჩვენს საუბართან ერთად ჩვენ თვი-
თონვე გვსიამოვნებს მათი წყრილა
ხმების მოსმენა.

ძნელად ითქმის, ამას და ამას მე ვუყ-
ვარვარო. თამამად სათქმელია, მე ესა
და ეს მიყვარსო. შენი გულისა თვითონ
იცო და იმიტომ. შოთას კი — ებედავ
ამის თქმას — მგონი უყვარვარო. თუ
ფანჯრებიდან არ ესაუბრობთ, უცებ
სახლში მომევიტყობა, დამიჯდება და
მეთათსევერ მაამობინებს ეახტანგსა
და ირაკლოზე.

ჩვენი თვითეული „დასხდომა“ თითო
ჭიქის გარეშე არ გამოდის და ვახტან-
გისა და ირაკლის მოსახსენიებელს ის
მასწრებს. მე ამისთვის მისი უზომოდ
მადლიერი ვარ და ერთგვარად მადლიე-
რი ვარ საკუთარი თავისაც, რომ ჩემთ-
ვის ძვირფასი ადამიანების სიყვარული
სხვის გულშიც ჩამინერგავს.

დედაჩემს გამოუღველად აქვს ყოვე-
ლთვის ტარხუნისა და პიტნის ნაყენი და
შოთასაც განსაკუთრებით ეს სასმელე-
ბი უყვარს. სადღეგრძელოსაც — მო-
სახსენიებელს იმით წარმოვთქვამთ. ხო-
ლო ასეთ სადღეგრძელოს სევდა მოს-
დევს და მის გაფანტვასაც თვითვე იჩ-
ქარის. სიტყვა ნაყენის ხარისხზე გა-
დააქვს და დედაჩემს ხელს უქებს. იქვე
კი არც თავის დედის უნარს ივიწყებს,

უპირველესად დევეზელის დამზადებ-
ში.

დედასთან იგი მეგობრულად შეხმატ-
კბილებულია.

თვალს წყალს დავალევივებო, დაუ-
ბარებს ის დედას და კოხტად მოკაზმუ-
ლი ქუჩაში გავა. დედა მას ფანჯრიდან
მაინც გახედავს, ყველაფერი ხომ რიგ-
ზე აცვიაო, და სიტყვასაც დააწევს.

— დღესასწაულია, ბიჭო. ჩამოუარე
ახლობლებს, ნაცნობებს და ყვავილები
მაინც მიაართვი.

ბიჭი კი იბადრება და სიცილში საღ,
თეთრ კბილებს აჩენს.

— საღ არის, დედი, იმდენი ყვავილი,
რამდენიც მე ქალაქში ნაცნობი მყავს.

დედა მას ხუმრობით ქოქოლას დააყ-
რის.

ნაცნობ-მოკეთენი მართლაც ბევრი
ჰყავს, ქუჩაში საღამის მიცემას ვერ
აუღის, ხოლო შინ დაბრუნებული ოჯა-
ხის წევრებსა თუ მეზობლებს შორის
გულთბილად ჰყვება:

- ნიკო ტივაძემ დღეს ეს გააკეთა.
- ლეო ლოლაძემ კი ეს.
- ვანო არეშიძემ დღეს ეს თქვა.
- მათე ნინიაშვილმა კი ის.

მაგრამ ვინ იყო ან ლეო ან ნიკო ან
ვანო ან მათე — არავინ იცოდა.

ქალბებთანაც კარგი ამზანავობა იცის,
მათს შორისაც დიდი ნაცნობობა აქვს
და ყვავილები თუნდაც მარტო ქალე-
ბისთვის მიერთობა, ყველას მართლაც
ვერ ვასწავებოდა.

ისე კი, ქუჩაში ყვავილით გავლას
სხვა მამაკაცებით არ თაკილობს. ეს
რომ საძრახისი არ არის, კარვად იცის.
შინ სწორად ლამაზი თაიგულით ბრუნ-
დება და თავის მორცხვ მეუღლეს ახა-
რებს.

შოთა არათუ დღესასწაულებზე, უიმი-
სოდაც ბევრს დადის ქალაქში და მისი
თვითეული კუნჭული და ყველა თბი-
ლისური ახალი ამბავი იცის. როგორც
კი ყურს მოჰკრავს, სადღაც რაღაცის
მშენებლობა ან გზის გაყვანა დაუწყია-
თო, ისე გულდაგულ გაჰკრავს იქეთვე,



თითქოს საქმე მისი დამოწმების გარეშე ვერ დაიჭრებო.

ეს ბიჭი მთელი თბილისის განსახიერებად წარმომიდგენია. არც რაიმე მეთაურია, არც მით უმეტეს ქალაქის მერი, მაგრამ საკუთარი შინაგანი მოწოდებით გულშემატყვევრობს მას, და ამიტომ ასეთად წარმომიდგენია. ამ ბიჭმა ყველა ჩვენებურის აუვის გულთან მიტანა იცის, თვითულის უსაქციელობას განიცდის და ესეცაა მიზეზი ჩემს წარმოდგენაში ამ რიგითი მოქალაქის ჭეშმარიტად თბილისელად გაიდგალებისა.

ბოლოს და ბოლოს, მოქალაქეობაც ისაა, თუ შენს ქალაქს ეთაყვანები და მისი ადამიანების წარმატება გახარებხ, ხოლო ქალაქის წვრილმანი ხინჯიც კი ან რომელიმე თანამემამულის მანკიერება გულზე ეკლად გესობა. და ამ ხინჯისა თუ მანკის აღმოფხვრა უშუალოდ რომ არ მოეთხოვება, შინ მათ მაინც შეგებები.



თბილისი ბევრმა ქვით მოაჩუქურთმა. ბევრმაც ლექსით. ახლა იმას არ იკითხავთ, რამდენი ლამაზი სიმღერაა თბილისზე? რამდენი კომპოზიტორის ნიჭიერი ქმნილება ევლება მას თავს? მაგრამ თბილისის ამგდარნი არიან ისინიც, ვისაც წილად ვერ ხვდა მაღალი დეაწლი შეეწია მისთვის, ოღონდ მცირედი — რასაც თავიანთი შესაძლებლობითა და უნარით გასწვდენიან, მშობლიური ქალაქის ელფერისა და ღირსებისათვის გაშლილი გულით გაუციათ.

რაც თბილისს ვანუღლია (ამ ქალაქს კი თავს რაღა არ გადახდენია), ყოველივეს — ქვეყნისა და მისი დედაქალაქის სვე-ბედს მემისტორიენი გადმოგვცემენ. ქვეყნისა და მისი დედაქალაქის მრავალსაუქუნოვანი ისტორია ერთიანია. ხოლო თუ მემისტორიეთა ცნობა: ამ საუკუნეთა მანძილზე თბილისი ორმოცჯერ მაინც აოხრებულაო მტრის მიერ — თუნდაც მიახლოებითა, უკვე ესეც ერთი ქალაქისათვის უძძიმეს განსაცდელთა გრძელი ჯაჭვია. რაც მთავარია, ყვე-

ლა ამ შემოსევასა და დათრგუნვას მედგარმა ქალაქმა მაინც გაუძლო და რამდენჯერაც დაინგრა, იმდენჯერვე აღსდგა კიდევ.

თბილისელები პატევს სცემენ თავიანთი ქალაქის გმირულ წარსულს. წარსულისადმი მოკრძალება და აწმყოსადმი მაღლიერება ავალებს თბილისის თვითეულ მკვიდრს შეძლებისდაგვარად თავისწილ სიკეთე შეაწიოს მას.

თბილისში ხალისიანი და გულთბილი ადამიანები ცხოვრობენ. თბილისელები გამარკენიც არიან, საღმიანიც, სტუმართმოყვარენიც; ქალაქის უძველეს მკვიდრთა შთამომავალნი, თუ საქართველოს ყველა კუთხიდან სხვადასხვა დროს ჩამოსულნი, რომელნიც ისე იკრიბებინან და ახლობელი ხდებიან დედაქალაქში, როგორც დიდ ტბაში მათა კალთებიდან ჩამომდინარე მრავალი წმინდა ნაკადი.

მათ შორის ერთი მეცა ვარ და მე ისევ დაუღალავად დავალ თბილისის ქუჩებში, ჩემს ქუჩებში. გზად ბევრ ნაცნობს ვხვდები, ბევრსაც ისეთს, ვისთანაც საღამით არა ვარ, მაგრამ ვგრძნობ მათ კარგ კაცობას და გულში სინანულს გამოუთქვამ, რომ მათაც არ ვიცნობ. ისიცაა — ცოდვა გატეხილი სჯობია — ქუჩაში ყველა ნაცნობის შეხვედრა ერთნაირად არ გახარებს კაცს.

ქუჩებში მე არავის ვიხატავ, საგულდაგულოდ არ ვიხსომებ. მაგრამ ვინც ხშირად მხვდება, ის მესხიერებაში თავისთავად მრჩება. ამბობენ, სახელგანთქმული ინგლისელი მხატვარი ჰოგარტი, ტიპებს ქუჩაში ხელის ფრჩხილებზე იხატავდაო დასამახსოვრებლად, რაკი იმ შემთხვევაში საიმისოდ სხვა საშუალება არ გააჩნდაო.

ფრჩხილებზე დახატვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქალაქური ცხოვრების, ტიპების — მესობზე ყველა მხატვარი, ყოველ შემთხვევაში, ნიკო ფიროსმანი კი მუშაობაზე გატაცებით აღბეჭდავდა

გიორგი ვალაშვილი
ჩემი თბილისი



დღევანდელ თბილისსა და მის ადამიანებს.

განახლებული ყოფის საფერისად მხატვარი ბოლოს და ბოლოს შეეშვე-ბოდა სიმუქეს და ხალისიან ფერებში დახატავდა ახალ და ახალ შენობებს, ბალებს, ქუჩებს, უბნებს, იქნებ თვით მთელი ქალაქის ხედსაც.

ქალაქის მთლიანი ხედი კი ქართულ ნახატში ბევრი არა გვაქვს, რაც ჩვენი მხატვრების დიდი ნაკლია.

ქალაქი ცალკე ქუჩებია, ქალაქია წარმოდგენაში ხშირად ერთადერთი ქუჩაც. მაგრამ ქალაქს სრულად მაინც მისი მთლიანი ხედი შეგაგარძნობინებს. ქალაქის სახის აღქმას სიმაღლეები, კერძოდ მთებიც შევლის. თბილისს მთები არტყია ირგვლივ და ქალაქის ყოველმხრივ განჭვრეტის საუცხოო საშუალებას გაძლევენ. მთა მთას ჰგავს ზოგად მონახაზებში, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის კი მაინც ერთიმეორისგან განსხვავებულნი არიან. ასევეა თბილისის მთებიც. და როგორც სრულიად თავისებურია თვითეული მთა, ისევე სხვადასხვაა მათი სიმაღლიდან ქალაქის ხედი, თუმცადა ყოველი მხრიდან ანუ ყოველი მთიდან მომხიბლავი. მაშასადამე — მხატვრის შესანიშნავი სახროდოც.

დღევანდელ თბილისელ მოქალაქეებს მაინც მეტი სიყვარულით დახატავდა ბედრული მხატვარი — მუყაით და მეცადინ ადამიანებს, უბრალო კეთილ მცხოვრებთ.

განა, მაგალითად, არ მიიპყრობდა ფიროსმანის მახვილ ყურადღებას თბილისის ერთ-ერთ ჩემულ ქუჩაზე ფაქიზი მოხუცი ქალი და ცოტა არ იყოს უბრალოდ ჩაცმული, მაგრამ მუდამ სანიმუშოდ მოვლილი ბიჭი, ბებია და შვილიშვილი, რომლებიც ყოველ დღესასწაულ დილას ქუჩის ტელეფონიდან ისე მხურვალედ უსურვებდნენ ხოლმე ვიდაცას ყველა სიკეთეს, რომ მეც მათთან ერთად მთელი გულით მიანატრია — დმერთო, ახდომოდეთ-მეთქი. როგორც წესი, ლაპარაკობდა ჯერ ბებია, შემდეგ

ყურმილში ორიოდ გაუბედავ სიტყვას აღვზნებული ჩასჩურჩულებდა ხოლმე ფეხის წვერებზე შემდგარი ბიჭი, და სხვას რომ მიულოცეს და აამქს, ამით თვითონ მეტად გახარებულნი გახუხუსხუსდებოდნენ თავიანთი სახლისკენ.

მე მათ კიდევ ვიცნობდი და არც ვიცნობდი. ვიცნობდი მხოლოდ, როგორც ხშირად შემხვედრთ, ხოლო არ ვიცოდი მათი ვინაობა. წლების მანძილზე ასე იყო. ამასობაში დედაბერს ხნოვანება უფრო დაეტყო, სულ გაილია, ბიჭს კი ტელეფონთან ფეხის წვერებზე შედგომა აღარ სჭირდებოდა. მაგრამ ისევ სულ ერთად იყვნენ, ერთმანეთისა და აღთქმული სადღესასწაულო მილოცვის ერთგულნი იყვნენ.

მე მათში დიდ ადამიანურ გულის სითბოს ვხედავდი. წარმავალი ადამიანის გულის სითბოს ვხედავდი, რომელიც შთამომავალს კეთილმოყოფლად გადაეცემოდა.

ერთი ხანია კი აღარ დამილანდავს მის გულითადი ბებია-შვილიშვილი. იქნებ მათ სახლში ტელეფონი დაუდგეს, დასარეკად ქუჩაში დილაადრიან გამოსვლაც იმიტომ აღარ სჭირდებოთ? ნეტამც ასე იყო! მაგრამ, ვაითუ მოხუცი საბოლოოდ დასძლია ხანდაზმულობამ და უკვე შედერებული ბიჭი მარტოა დარჩა. ხოლო, მარტო დარჩენილი ბიჭი, მოკრძალებული და სათნო ბიჭი იმათთან, ვისაც ადრე ბებიასთან ერთად ულოცავდა, ახლა დარეკვას ვეღარ ბედავს და აჩემებულ ქუჩის ტელეფონსაც იმიტომ აღარ ეკარება.

კაცი კაციმ ცხოვრობსო, კაცი კაცი-თაო. და ეს რომ მართლაც ასეა, უბირველესად ადამიანის გულით გამოიხატება. გულისხმიერებით, გულის სითბოთი გამოიხატება. ყველა ქალაქშიც პირველ ყოვლისა მის მკვიდრთა ყურადღებიანობა გხიბლავს, როცა უცხოის ჩასულს არათუ ამომწურავ პასუხს მოგაწვდიან შეკითხვაზე, მიგასწავლიან რასაც ეეებ, არამედ თავიანთ სამსახურს თვითვე შემოგთავაზებენ. გულგაშლილი და ენაწყლოანი მასპინძელი რომ იყავ-

ში უხერხულად აწურულ, დამუნჯებულ სტუმარს უბრალოდ და შეუმჩნევლად გააშინაურებს, ისე.

არ შეგვსწრებივარ, რომ იმ კეთილ ბებიასა და მის შვილიშვილს ვინმე ჩამოსულისთვის სამსახური გაეწიოთ, ეთქვათ, ქუჩა მიესწავლებინოთ, მაგრამ ღრმად კი ვაშაჰს. თუ ასეთი შემთხვევა მიეცემოდათ, ვინც არ უნდა ყოფილიყო მათი ქალაქის სტუმარი, ისინი მას თავს შემოველებოდნენ.

ესაა სწორედ ყურადღება, გულისხმიერება და, მაშასადამე, გულის სითბოც.

მე უფრო ხელშესახები, უფრო თვალში მოსახვედრი მრავალი სიკეთე მინახავს ადამიანისა ადამიანის მიმართ ჩემს ქალაქში. მხარში ამოდგომა, ვატანა, ზედ გადაყოლა, გადაგება, მაგრამ სიკეთის ნიმუშად ეს ბებია და შვილიშვილი მოვიყვანე. ამათ თავისთვისაც არც სახსარი არც ილაჯი არ გააჩნდათ, მაგრამ მზრუნველი გულისყური მაინც სხვისკენ ჰქონდათ.

კაცს რომ სიკეთეს უკეთებ, მაგრამ თანაც მოკრძალებით, ეს ყველაზე მეტად დასაფასებელია.

ქვეყნად მრავალი თავმომწონე ქალაქი თუა, მათს შორის თბილისიცაა. კაცს, შეიძლება ბევრი ქალაქი გზიბლავდეს, მაგრამ შენი ყველას ვირჩევნია. საკუთარი ქალაქისადმი თითქოსდა მოკრძალებული ტრფობა, თვითეულის თავისთავადი ბუნებრივი მოთხოვნისებდა.

ჩემი უსაზღვრო ტრფობის საგანი ჩემი თბილისია. — თუმცა ამ სიყვარულში არც ვისმეს ვეცილები და არც ვეჯიბრები. საერთოდაც, არაფრისა და არავისადმი სიყვარულში არავის ვეჯიბრები. მით უმეტეს სამშობლოსადმი სიყვარულში, მშობლიური ქალაქისა თუ სოფლისადმი სიყვარულში. ამ მხრივ თვითეულს თავისი სიყვარული ყველაზე მაღალი და ძალოვანი ჰგონია. ასე, თვით თბილისელებიც, ვისაც თანაბრად და თავდავიწყებით უყვართ თავიანთი

ქალაქი, მის ქუჩებს შორის მაინც თავისეულს გამოარჩევენ და რამდენიც გინდა ედავე და უმტკიცე, მას ყველა სხვას მიმართ უპირატესობას მინიჭებენ.

თბილისი სიცოცხლესავით უყვართ და ეკუთვნით კიდევ, ვინც მასზე ზრუნავს.

ქვეყნის ავ-კარგი უპირველესად მის დედაქალაქს შეხებია. ამავე დროს დედაქალაქი თავისებური ყულაბაა, რომელშიც ქვეყნის ყველა ამბავი ინახება. ეს ყულაბა მხოლოდ აგროვებს და არაფერს კი არ გასცემს. თბილისს თავის მხრივ მთლიანად საქართველოს ცხოვრების ყველა ფურცელი დაუგროვებია და დიდ თვალშეუღვამ წიგნად აუკინძავს. ეს მისი უკეთილშობილესი ღვაწლია და მისდამი თანამემუღეთთა სასიებრივი თაყვანისცემის მიზეზიც.

რადგან ყულაბიდან არაფერი გაიქცემა, არც წიგნიდან არც ერთი ფურცელი ამოიხევა, ამდენად ყულაბაში მხოლოდ განძი უნდა ჩაეშვას, ხოლო წიგნში იგივე ღირებულების ახალი ფურცელი ჩაკერდეს. ასე, ვრი კიდევ აღუმაღლებს ღირსებას თბილისს და თბილისი კი მეტად ასახელებს ვრს.

ეს ზაფხულის ღამის ფიქრებია. გვიანი ღამისა. სახლში ყველას უკვე დიდიხანია სძინავს. რული მეც მეპარება. მაგრამ კიდევ ვფხიზლობ. ძილი ხომ მაცდურია, ოღონდ აგვისტოს ღამეც ძნელი დასათმობია, თუნდაც ქინწი გწყდებოდეს. ვინ არ მოუჯადოებია აგვისტოს ღამეს ისე, რომ გულით არ ენატროს, ერთი კი ძილი კიდევ დამაძლევინა და გარემოს ჰვრეტით დამატკობო!

ისიცაა, თბილისში ყოველგვარ ავდარს ადვილად ვეგუებ. ქარი მძულს და თბილისურ მარტის ქარსაც ვუძლებ, დეკემბრისასაც, როცა კედლებზე

გიორგი ზედაზვილი
ჩემი თბილისი

ნახევრად ავლევითი აფიშები გარეთ დარჩენილი სარეცხვით ტყლაშენით ფრიალებენ. იფხრიწებიან ცირკის მყვირაფა აფიშები და მათთან ერთად სულს რაფას ფეხბურთის უკანასკნელი აფიშაც.

ავვისტო კი ნეტარებაა.

ახლა ავვისტოს ღამეა. გვიანი ღამე. მშვიდი და მომხიბლავი.

მთელი დღევანდელი დღე მე და შოთამ ქალაქში ხეტიალს მოვანდომეთ. საღამოდან კი ჩვენ-ჩვენს გვერდით ფანჯრებთან მოვეწყვეთ, ვსაუბრობდით და რაც დღისით ფეხით მოვევლეთ, იმას ახლა სიამოვნებით შორიდან ვკვრეტდით. შოთაც ჩემსავით კიდევ უფრო გვიანობამდე შერჩებოდა ფანჯრის რაფას, მაგრამ უფროსმა ბიჭმა, პაპა ოთარის მოსახელე ექვსი წლის ოთიამ მაცდურით ლაქუციით გაიტყუა იგი ლოგინში. შოთასაც არ შეუძლია ბავშვების მუდარას არ დაჰყვეს. მეტიც, მათთან თამაშში თავადვე ლაღად ერევა, ხოლო როცა სახალწლო ნაძვისხის მორთვაა, მამა შვილებზე თავგამოდებით ირჯება და ხალისობს.

ოთია კი საკმაოდ ანგარიშგასაწყვეი, დაკვირვებულ და ცხოვრებაში ჩახედული ბიჭია. როცა სატვირთო მანქანამ ქუჩაში მახუთით გაჟღენთილი შაბლები ჩაატარა, მან თქვა: კაკლის მურაბის ხეაო. ხოლო ღამით ნათურების მძივებით მოსირმულ ცირკის შენობას გახედა და: მეფის ქუდიოაო, თამარ მეფისაო.

ქუჩას მარტოვა გავცქერი.

შორს, ქუჩის ბოლოში შეგვიანებული ახალგაზრდების სიმღერა ისმის. მე ცისა და ქალაქის ციმციმს მივჩერებივარ და ვედარც ვარჩევ რომელი ვარსკვლავების კიაფია და რომელი კიდევ ნათურებისა. ისინი თითქოს ერთმანეთში შეფანტულან. ჩემმა ერთმა მეგობარმა მთაწმინდიდან რომ ქალაქს გადმოჩედა, თბილისი გადმობრუნებულ ვარსკვლავიან ცას შეაღარა. რამდენად გამომსახველი გამოთქმაა ან პირველი აღმოჩენაა თუ არა ეს შედარება, არ

ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ეს სწორედ ღამით ქალაქს გავცქერი, როგორც ახლა.

ერთი დიდი წარმოების საამქროს უფროსს ვიცნობ, რომელსაც ქარხნის დირექტორმა თურმე საწარმოო თათბირზე შეუტია: „რა სულ ჩემი საამქრო და ჩემი საამქროო გაიძახი, ვინ დაგიმტკიცა!“ ჩემს ნაცნობ საამქროს უფროსს ეს დატუქსვა თუ გაქირდვა საწყენად არ მიუღია, თუმცა თავისებური, შეკითხვისებრი განმარტება ნიშნის მოგებით მიუტია: „თუ ჩემად იწოდება ჩემი ქუჩა, ჩემი ქალაქი, ჩემი საშობლო, რაც სრულად ბუნებრივადაც უღერს, რატომ არ შეიძლება იგივე ითქვას ჩემს საამქროზეც, რომელიც ოჯახივით მიყვარს?“

ამდენად ვებედავ მეც თბილისს ჩემი თბილისი ვუწოდო.

ბევრისა და ჩემიც.

ქუჩის ბოლოში ბიჭებიც თავიანთ თბილისს უმღეროდნენ.

რამდენი ვილაპარაკე! მაგრამ მაინც ცოტა ვთქვი.

თავი თუ შეგაწყინეთ, მომიტევეთ. ხეიბარს თავისი დანაკლისის შევსების წყურვილი აქვს. გინახავთ წყალში შეცურებული ცალფეხა კაცი? არა? მამ, იცოდეთ, ყველა ცალფეხა, თუ ის ზღვას ან მდინარეს შეეჩვია, საუცხოოდ ოსტატდება ცურვაში. თავის დანაკლისის ივსებს. მე ჩემულ საყვარელ ადგილებზე საუბრით ვივსებ ჩემს გულ-ნაკულობას. თუმცა ცურვასაც ვახერხებ. ჩემი ზღვა თბილისის ზღვაა. თბილისის ზღვაში უმეტესად ბიჭბუჭობა ჭყუმპალაობს. ბიჭბუჭობა მიყვარს, მაგრამ მათში ვერ ვერვები, მათგან მოშორებით ვირჩევ საცურაოს. იმიტომ ვერიდები, რომ თავიანთ ჭკუისად არ ჩამთვალონ ან ვინიცობაა ცურვა დამიწუნონ და ჩუმად დამცინონ კიდევ. თუმცა, თავი მათსავით ბავშვი მგონია — გული ასე მომდევს და რა ვქნა —

მაგრამ თვითონ ხომ ვიცი, სინამდვილეში მათ მამად ვეკუთვნი და რომელ მამას არ გაუჯარავს გულს, თუ შვილი მას მეტისმეტად შეუთამამდება.

თუ ვინმე მიიჩნევს, რომ სიტყვა გამიგრძელდა, მე მაინც ჩემსაზე ვარ — სრულად ვერ მოვესიყვარულე თბილისს. მეტი კი ვერ შევებდე მას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შვილი ვარ. ხოლო, მოკრძალებისა გამო შეიღს სათაყვანებელი მშობლისადმი მთელი სიყვარულის გამჟღავნება ვერ უხერხდება.

ასე ვარ მეც.
არა და, სადაც არ უნდა ვიყო, მადლიერების გრძნობით ერთთავად თბილისის ვეველები თავს.

მე თბილისი ერთი წუთითაც არ მეთმობა, თბილისიდან ვასვლა არ მიყვარს, მაგრამ რაკი ვასვლა მაინც მიხდება, თბილისში დაბრუნება ყველაზე მეტად მიყვარს.

④

ავტორის მობოდიშება:
უკვე დამთავრებულად მიჩნეულ ლი-

ტერატურულ ნაწარმოებს კიდევ ჩაკირკიტება თუ არგებს რამეს, თორემ ზიანს არ მიაყენებს. ამბობენ, ამას მხატვრობა ვერ იტანსო, სრულყოფის გადაშეტებულ წადილს ზიანი მოუტანია, არა ერთი ჩინებული ფერწერული ტილო წაუხდენია, ყოველ შემთხვევაში, დაუკნინებიაო. ასეთი სრულყოფა უფრო ხელყოფაა. ნაწერს კი ეს ხანგრძლივი „წამება“ მხოლოდ ამდიდრებს. თუ სწერ და სრულყოფის თვალსაზრისით გადათეთრებაც გვჩვევია, ყოველთვის მიაღწევ პირველ ნაწერის რამდენადმე მაინც გაუმჯობესებას. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სცნობ, რომ მეტი ხელახლება აღარაა საჭირო. ოღონდ ასე ვერ იჯერებ გულს და არც უკმარობის გრძნობა გეცლება, თუ წერის სავანი სამშობლოს ნაწილია, მისი დედაქალაქი და შენი კი მშობლიური ქალაქი. მეც თბილისზე ამ მონათხრობის გადაწერა არ დამზარებია, მაგრამ თან იმასაც ნივაკვლიე, რომ საყვარელ ქალაქზე წერას ვერასდროს გაასრულებ.



ს ტ უ მ ა რ ი

მსოფლიო უსმენს უცხო
ცივილიზაციის სიგნალებს...
სენსაციურა ჰიპოთეზა გაზეთებიდან.

1

შიადე სივრცეს მუცელზე ყური — დედის საშოში ნაყოფი იძრა.

დედამიწაზე, როგორც ცისფერ სანაპიროზე, ბოლთას სცემს დარის თეთრი ღრუბელი. დაფეთდა ცაზე მარტორქა — მთვარე, და პორიზონტი ქამარივით შეიხსნა ღამემ.

მიუგდე ყური შემკრთალ ნისლეულს — დედას საშოში ნაყოფი იძრა...

მარჩენალ ბიჭის მოლოდინში ღამდება ღამე. ჟღერენ ეჟენები შეთქმულებივით, და მზისფერ ჯოგში გარეული ურა მოწვევი მინდვრებს და ჭალებს სიცოცხლით ავსებს. აღებენ ჭიმკარს ურმის ჭრიალზე — ხომ არ დაბრუნდა უფროსი შვილი. ის თუ მოუტანს დაღლილ მშობელს შვინდივით ხორბალს, და აივსება სამზადის სხეენი ბროლის ბრინჯით და გაცეხვილ ღომით. მერე გამოცვლის გატეხილ კრამიტს და გადარეკავს მუშობლის ღორებს...

გახედე, ნახე! ვის უყეფს ძაღლი, ხომ არ დაბრუნდა უფროსი შვილი...

დედამიწაზე, როგორც ცისფერ სანაპიროზე, ღიმილითა და თმების სწორებით დაბალ ალაგეს მოადგა ქალი...

2

მოგარგებს თითზე ცისარტყელა ნიშნობის ბეჭედს, და როგორც ზღვიდან — გალუმპული ამოხვალ ციდან.

მე მინდა გქონდეს ნინოს ღიმილი, თეას თმები და ცის სათნოება.

ღია კარი — როდის მოხვალ, არავინ იცის... ღია კარი — ცისარტყელის შვიდფერი კარი.

ამოხვალ ციდან, როგორც ზღვიდან. უსაზღვროება ასევეა შენით. როგორც ზღვიდან — ამოხვალ ციდან.

ასეთი ტანი... სად მინახავს ასეთი ტანი... ასეთი მხრები. სად მინახავს ასეთი ტანი... სანდო ღიმილი... სად მინახავს ასეთი ტანი... საიდან მახსოვს ეს თვალები... ასეთი ტანი...

ამდენ სიმღერას რა მოისმენს — ღუღუნებს ჭალა; ამდენ მოძახილს რა გაუძლებს — ბუბუნებს ველი; ფეხზე დგომამ და მოლოდინმა მუხლებში ძალა გამომიღია. გეძებ. გიცდი. მომეცი ხელი.

შენა ხარ ჩემი! ამის! იმის! ყველასი! ჩვენი! სრულყოფილ-
ბაც. სიმახინჯეც. სულელიც. ბრძენიც. ზიზღი უსაზღვრო. სიყ-
ვარული. მალამო. სენი. მოხუცი. ბავშვი. საწამლავი. ყვავი-
ლის წვენი.

იღება კარი, ცისარტყელის შვიდფერი კარი, და როგორც
ზღვიდან — ამოდიხარ ცისფერი ციდან...

3

ამოირჩიე სამშობლო ჩემი: დონი და დნუპრი, ნოსტე და
გრემი; რა მნიშვნელობა აქვს თუმცა ამას, გარდა უბრალო პა-
ტივისცემის.

მე სანამ მოვალ, შენ თვითონ მოდი, რომ ვიყოთ ორნი: ტო-
ტი და ტოტი; ბუდე და ბუდე; ჩიტი და ჩიტი; გული და გუ-
ლი; ლოდი და ლოდი...

გადავიხადო იქნება ვალი, ცას გავეუსწორო იქნება თვალი,
და შევავედრო ნაგვემი სული — არ გაუთიშოს ხროცი და ძვა-
ლი...

ღამე და წვიმა, ღამე და თოვლი, ღამე და ქარი, ღამე და
ღამე დასრულდეს იქნებ... და სხვა — ახალი და უცნაური და-
იწყოს რამე...

გემუდარები, სამშობლო ჩემი ამოირჩიო — ნოსტე და გრემი!
რა მნიშვნელობა აქვს თუმცა ამას, გარდა უბრალო პატივის-
ცემის...

4

მწვავე ალგების ვისოსებიდან დააკვირდი ქვეყნიერებას, იქ-
ნება მიხვდე, რით ანსხვავებენ მეომრისა და მუიხრის ქუდებს.
რით განსხვავდება საკანი, კუბე; სასახლე, ციხე; კუბო და ყუ-
თი; რით განსხვავდება საწყალ ძლოკვისგან ასპიტი, კობრა და
ჟარარაკი; რით განსხვავდება შხამა-სოკო არყისძირასგან; რით
განირჩევა სოფლის საქვალე და სანებინჯოდ წორთული კორ-
დი...

სუპერობები, სუპერტრემლები და ულტრამოკლე ბელნიე-
რება...

და ჰგავს მეოცე საუკუნე ნოზარდს, რომელიც გულგრილად
ამსხვრევს სათამაშოებს...

მწვანე ალგების ვისოსებიდან დააკვირდი ქვეყნიერებას —
იქნებ შენ მაინც გაიგო რამე: რას ნიშნავს სისხლი — ვიეტნამ-
ში დაღვრილი სისხლი, ან ცრემლი — სადღაც შორს, შტა-
ტებში დაღვრილი ცრემლი...

რით განსხვავდება კრიპუჭისგან — იელის თაფლი, ფუტ-
კრისგან — ბუზი, ვარდისაგან — ანწლის ყვაილი;

მწვანე ალგების ვისოსებიდან დააკვირდი ქვეყნიერებას...

5

ვიღაცა მკლავზე, დაჭანგულ ისრით, წარსულის მძიმე ტკი-
ვილებს მიცრის, მაგრამ მე მაინც მაშინებს ომი და უმიზეზოდ
დაღვრილი სისხლი;

და დედამიწა, — ვეება ტირი — სადაც გასროლა არა ღირს
ძვირი, ვიღაცას ელის, ვიღაცას ეძებს, რაღაცას ამბობს, რა-
ღაცას ყვირის;

და ეს „ვიღაცა“ — შენა ხარ იქნებ... შორიდან ცისფერ
თავსაფარს მიქნევ; მე დაგახვედრებ ფრესკებს და ძეგლებს,
სახლებს და ხიდებს, ჰანგებს და წიგნებს;

სამშობლო — ჩემი ვნება და ჰობი! ჩემი სიცოცხლე — სან-
შობლოს თოფი! არ აუტოკედეს მემომარს ხელი! არ გაიბლან-
დოს ლულაში ობი!

შენ რით გაარჩევ ჩემსას და სხვისას! შენ რას გაიგებ — რა
არის ვიზა! შენთვის ერთია ქვეყანა მთელი: სინათლე მზისა,
სიმაღლე ცისა!..

სამშობლო — შემოდობილი ღობით! სამშობლო — ჩემი
ვნება და ჰობი! ჩემი სიცოცხლე — სამშობლოს ფარი! სამშობ-
ლოს ხმალი! სამშობლოს თოფი!

უცნაურ ფიქრად მიმძიმებ ფიქრებს; შორიდან ცისფერ თავ-
საფარს მიქნევ. მე დაგახვედრებ ფრესკებს და ძეგლებს, სახ-
ლებს და ხიდებს, ჰანგებს და წიგნებს!..

შენ ოღონდ მოდი!..

6

... და დედამიწის მოძრაობის საპირისპიროდ — შენს შესა-
ხვედრად გამორბის ბავშვი...

ასეთი გრძელი და სუსტი ჩრდილი, და ხმა — ასეთი უცხო
და ტკბილი... შენს შესახვედრად მოყვება იგი ცისარტყელე-
ბის გაცრეცილ ბილიკს.

საიდან! როგორ! როგორი! როდის! ჰო, მოდის, მაგრამ სა-
იდან მოდის! იშლება ველზე ყვავილი ეჭვის, ან ვისთან იყო!..
ან ვისთან მოდის!..

მიწა კი ბრუნავს, და ამ ბრუნვის საპირისპიროდ — შენს
შესახვედრად გამორბის ბავშვი...

დიიდი, თეთრი პუბლები თმაში; იმედი ეჭვით გაბზარულ
ხმაში; თეთრი ღრუბელი ბოინობს ახლა. შავი ღრუბელი ბო-
ლავდა მაშინ.

შენს შესახვედრად გამორბის ბავშვი.

გამორბის ბავშვი.

— ბავშვი!..

7

მიადე სივრცეს მუცელზე ყური — დედის საშოში ნაყოფი
ობრა...



გყინვარის ნათქვამი

გიორგი ლეონიძეს

ჭაღარა მათოვს,
სიკეთის შეკვლევ,
ან კი ვინ დარჩა სევდის გარეშე,
ცაში ორბეზმა კამარა შეჭკრეს
და თეთრი მკერდი შემომალეწეს.

ქარი ასკდება ქარაფს გნიასით
და იფანტება ღამის უკუნი,
ეს შენი ხმაა, თუ დარიალში
აბორგებული თერგის გუგუნო

მშურს ერთიბეწვა მთაწმინდის ბედი,
სადაც ვეება მკერდი დამალე,
დაგმშვენდებოდა სინათლე მეტი,
მე ვიქნებოდი შენი სამარე.

შენ იქნებოდი მნათობთან ახლოს,
ცაზე რომ აწერს შენს უკვდავებას...
და რაკი ბარში ლომკაცად სახლობ,
ინაღვლონ ჩემმა მუხლისთავეზმა!

—

მხატვრული თარგმანის შესაძლებლობათა და თავისებურებათა გა-
მოსავლინებლად უაღრესად საინტერესოა, როდესაც ერთ პოეტურ
ნაწარმოებს რამდენიმე მთარგმნელი პკიდებს ხელს. ამის უამრავი
მაგალითი არსებობს. ამჟერად მხატვრული თარგმანის საკითხებით
დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ ა. ბლოკის ცნობილი ლექ-
სის („Ты помнишь? В нашей бухте сонной...“) რამდე-
ნიმე თარგმანს.



Ты помнишь? В нашей бухте сонной
Спала зеленая вода,
Когда кильватерной колонной
Вошли военные суда.

Четыре — серых. И вопросы
Нас волновали битый час,
И загорелые матросы
Ходили важно мимо нас.

Мир стал заманчивей и шире,
И вдруг — суда уплыли прочь.
Нам было видно: все четыре
Зарылись в океан и в ночь.

И вновь обычным стало море,
Маяк уныло замигал,
Когда на низком семафоре
Последний отдала сигнал...

Как мало в этой жизни надо
Нам, детям, — и тебе и мне.
Ведь сердце радоваться радо
И самой малой новизне.

Случайно на ноже карманном
Найди пылинку дальних стран —
И мир опять предстанет странным,
Закутанным в цветной туман!

6 февраля 1914

●

გახსოვს ის წუთი? ზღვის ყურე თვლემდა,
თვლემდა მომწვანო წყლის ზედაპირი,
როცა კოლონა სამხედრო გემთა
შემოვიდა და შეკრთა ნაპირი.

ხომალდი იყო სულ ოთხიოდე
და გვაწვალებდა კითხვა ულვევი
და მედიდურად მიმოდინდნენ
მზით გარუჯული მეზღვაურები.

ქვეყანა გახდა უფრო წარმტაცი,
მაგრამ გემები უეცრად ისევ
ზღვაში შებრუნდნენ და შებარბაცდნენ
და თავი მისცეს ღამეს და ნისლებს.

ზღვა ისევ გახდა ჩვეულებრივი,
ხოლო შუქურის ცეცხლი მიმქრალი,
კვლავ აპარპალდა და დაღვრემილად
უკანასკნელად მისცა სიგნალი.

რა ცოტა კმარა, რა მცირე გვეოფნის,
რომ ბავშვებივით გული ვიჯეროთ
და გვიხაროდეს ამ წუთისოფლად
რამე ახალი თუნდ უმნიშვნელო.

ჯიბის დანაზე თუკი შემთხვევით
შორეულ ქვეყნის შენიშნე მტვერი, —
კვლავ გაიხსნება და გაეხვევა
ფერად ნისლებში სამყარო მთელი.

თარგმან ზოთა ნიჟინაიჩიჟა.

●

შენ გახსოვს ჩვენი ბუხტა მიძინარე
და აღტაცება შენ გახსოვს ჩემი,
როდესაც ნაპირს, როგორც მიძინარე,
მოადგა ოთხი სამხედრო გემი.

ვეღარ ვძღებოდით მათი ყურებით,
ათასი კითხვა აგვეკვიატა,
მზეზე დამწვარი მეზღვაურები
დააბიჯებდნენ ირგვლივ ზვიადად.

თითქოს განათდა მთელი პლანეტა...
და უცებ დავრჩით გულდაწყვეტილი:
უკან გაბრუნდნენ, ოკეანემ და
ღამემ ჩაყლაპა ოთხი წერტილი.

ისევ დაწყნარდა ზღვაც და ცხოვრებაც,
ძლივს ანათებდა შუქურა სივრცეს,
როცა დაბალმა სემაფორებმა
უკანასკნელი სიგნალი მისცეს...

მაინც რა ცოტა რამე გვახარებს
ჩვენ — ამ ცხოვრების პატარა ბავშვებს,
გულს ყველაფერი მოსწონს ახალი,
თვალი ყოველგვარ სიახლეს ამჩნევს.

და თუ უძველეს გალავანზედაც
მტვერი შენიშნა ათასწლეულის, —
ქვეყანა ისევ გალამაზდება
ფერად ბურუსში გამოსვეული.

თარგმან ანატოლ ჯანაშვილი



შენ ალბათ გახსოვს, უნდა გახსოვდეს:
მთელმხარე წყალი — მწვანე და ცივი,
მივიწყებული ყურე აღზევდა —
კრეისერების მოადგა მწკრივი.

ოთხივე თითქოს ნისლმა შებურა,
საამო იყო მათი ყურება,
დააბიჯებდნენ ჩვენს წინ მეფურად
მზეზე დამწვარი მესღვაურები.

სამყარო უცებ გახდა სხვაფერი...
გემებმა აღარ დააგვიანეს —
დატოვეს ჩვენი მყუდრო ნაპირი,
მიენდნენ ღამეს და ოკეანეს.

ზღვას ისევ ძველი მწუხრი ფარავდა,
შუქურის შუქი ძლივს გაიშალა,
როცა დაბალი სემაფორიდან
უკანასკნელი მისცეს ნიშანი.

ასე იჭრება ცხოვრების ბინდი,
რა ცოტა გვყოფნის მე და შენ — ბაღებს,
უცნაურია, რა ცოტა გვინდა.
რომ სიხარულით გულები გაღვდეს.

უცხო ქვეყნების სათუთი მტვერი
ჯიბის დანაზე შემთხვევით იცან —
და საოცრებად იხილავ მერე
ფერად ნისლებში გახვეულ მიწას.

თარგმან იოზარ აპიტაიზილია.

თვლემამორეულ პორტს თუ იხსენებ,
ნაპირთან მწვანე ზვირთების ტორტმანს,
მწკრივად დაწყობილ რუხ კრეისერებს
როდესაც კარი გაუღო პორტმა.

სულ ოთხნი იყვნენ. რას არ ვნატრობდით
და გვადელვებდა, რომ ჩვენს მასლობლად
ვხედავდით მზეზე დამწვარ მატროსებს
და ვაფასებდით მათ ქედმადლობას.

ქვეყანას სულ სხვა დაადგა შუქი,
მაგრამ მცირე ხნით და ჩვენ ვუყურეთ,
როგორ გვაქციეს გემებმა ზურგი
და შეუერთდნენ ზღვას და უკუნეთს.

მომაბეზრებელ პორტს დავუბრუნდით,
სადაც ბუტავდა მხოლოდ შუქურა
და სემაფორის მზერა უგნური
გულში ჩაიკრა ზღვამ და უკუნმა...

ჩვენ ვართ ბავშვები!.. ბავშვებს ცხოვრებამ,
რა ცოტა კმარა, რაღაც სიახლით,
რომ დაურღვიოს ერთფეროვნება
და შეუშფოთოს სულის წიადი.

საკმარისია, ჯიბის დანაზე
ვიხილოთ უცხო ქვეყნების მტვერი,
რომ ყველაფერი იქცეს ანაზღად
გაშლილი ატმის ბურუსის ფერი!

თარგმნა გივი ჰიგუპორმა.



ლადო მრალაშვილი

სტორის ხეობაში

ბანკისის ვიწროები თითქმის ზედ ბახტრიონთან მოდის. აქედან იწყებს განზე გასვლას ალაზნის ვაკე. მერე გაიწვეს თავის ბარაქიან მკერდზე ორწოხებში ნაომა არაზანს და ეს ათასგზის ჭირნახული წყალიც მდორედ მიწინაობს ერთხელ გაკვალულ კალაპოტში. გაივლის ზემო და ქვემო ალვანს, გაივლის ლალისყურს და მხოლოდ ფშავლის ბოლოში გამოუხტება დამთხვეული სტორი. საერთოდ, ალაზანი არ არის განუხტავი მარჯვენა შენაკადებით. მარცხენათი კი გაიხარია, მინგეჩაურამდე თავი აქვს მოხერხებული ფეთიანი წყლებით. სტორის შემდეგ გიყი ლოპოტა მოსდევს, შემდეგ ინწობა და შემოილი დურუჯი, შემდეგ... მაგრამ რა საჭიროა, მათი ჩამოთვლა, საკმარისია დახედოთ საქართველოს რუკას და მაშინვე თვალში მოგვხდება ირმის რქებივით ტოტემდაყრილი მდინარე.

მე რომ მკითხოთ, სტორის ხეობა ლეჩურის თავიდან იწყება, — იქ, სადაც ბროლად დაღვრილი სვიანა თავბრუს მტვრევით ეშვება სტორში.

...მძლოს გარდა კიდევ სამნი ესხნდვართ მანქანაში: თელავის რაიკომის პირველი მდივანი, მეორე მდივანი და მე. მანქანა ჭრის კაკლისა და ლაუნის ჭალას და არხეინად მიჰყვება მდინარის ნაპირებს.

მზე ლეჩურამდე მიიყვება. მერე კი მოიღრუბლა და სვიანასთან წამოწიწკლა კიდევ.

მიანც, ისე წვიდა წლევანდელი ზაფხული, თითქმის არ გამოუღარებია. შემოდგომაც ასე აპირებს.

— ეგეთი წელიწადი ჯერ არ მახსოვს კახეთში, — მეუბნება რაიკომის მდივანი ალექსანდრე ვარდოშვილი. — როგორ ჩამოიტარა თავპირი. ჯერ იყო და, სეტყვამ დააზიანა ვენახები, მერე ამ გაუთავებელმა წვიმებმა არ დააცალა დამწიფება მტევანს. ძლივს ავიდა ოც-

ოცდაერთ პროცენტამდე შაქრიანობა. საშუალოდ კი ჩვიდმეტი-თვრამეტი პროცენტია. რა ღვინოები უნდა დადგეს წელს? წელიწადი ისე არ გაეა, რომ სადმე სეტყვამ არ დაარტყას. ნამეტანი მოუვიდა. საუკეთესო მოსავლიანი სოფლები დასეტყვა. ართანში ხელახლა გასხლეს, მაგრამ რა, შეიძლება გაისადაც აღარ ივარგოს რქამ, ივრეა დაბეგვილი.

— ახლა ხომ არიან მესეტყვეები, მათი პუნქტები თითქმის მთელ კახეთშია გაბნეული.

— არიან, მაგრამ ზოგჯერ ასწრებენ, ზოგჯერ ვერა. სეტყვის ღრუბლები კი ივრე უცბად გამოტყვება ცივს იქიდან, გონს მოსვლასაც არ გაცლის.

— რას არ აცლის, კაცო. მთელი უბედურება ის არის, რომ სასროლი პუნქტები გარშემო მთებზეა დადგმული, — ჩაერია მძლო. — ერთი რომ აუტეხს ბათქა-ბუთქს, თავის ზონიდან გაავდებს და მეორეს მიუვდებს, — შენ ღიდი თავი გაქვს, იტირეო, ის მეორეც გამოუბათქუნებს და მესამეს მიუვდებს, მესამე — მეოთხეს და ეგრე დააწანწალგებენ გარშემო მთებზე. ბოლოს, რაი არ მოსვენებენ, ადგება ეს ღრუბელი, გაეცლება მთებს და გამწარებული, სეტყვისაც რომ არ იყოს, მაინც სადაც იშოვის სეტყვას და შიგ შუა ვაკეზე, ყველაზე კარგ ვენახ-ბაღებს დაუბაგუნებს.

— გეგმას მიანც გადავაპარბეთ, მაგრამ რა ბედენაა, ზღვა მოსავალი უნდა ყოფილიყო წელს, — სინანულით ამბობს მდივანი.

საშუალო ტანის, ჩახხული, ლამაზი კაცია ალექსანდრე, ჭკვიანური შუბლი აქვს და კეთილი თვალები. 1941 წელს დამათვრა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი და მაშინვე სამამულო ომში წავიდა. ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა იქიდან და ზემო სვანეთში გაამწესეს საბადოებზე, უბნის უფროსად. შემდეგ



სამმართველოს უფროსად დააწინაურეს. 1951 წლიდან კახეთში გადმოიყვანეს ფიქალ-მარმარილოს კომბინატის დირექტორად. აქ მუშაობდა 1962 წლამდე. მერე თელავის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეა, შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. ბევრს კითხულობს ალექსანდრე ახალი წიგნი არ გამოუპარება. თავათ ჩამოუვლის წიგნების მალაზიებს, როგორც კი მოიცილის.

— კახელი გლეხი მთელი წელი ნიშა ხარით ქედგაღუნული ჩაბნობს მიწას მზესა და წვიმას, ქარსა და ყინვას, მერე შეიდანდაც გამოტყვერება სეტყვა და ერთ წუთში მოსრავს ერთი წლის ნაოფლარს. კახეთი იყო მუდამ საქართველოს მოწინავე ფორპოსტი. მტრის პირველ იერიშებს ის ეგებებოდა და პირველ დარტყმებსაც ის იღებდა. ისტორიის უღმობელობამ გამოაწერთო კახელი გლეხის ხასიათი და სული მისი გააყიუტა, მკაცრი და კერბი ვახადა. და მე მინახავს კახელი გლეხი, გლეხი, რომელიც ვერ ვატყვია და ვერ ააცრემლა მურვან-ყურემ და შამახანმა, ჩინგიზ-ხანმა და კოჭლმა თემურმა, დასეტყველ ვენახში, სარის თავზე თავჩამოდებულ, წელში გადრეკილი და აცრემლებულ.

მანქანამ გალია ჰქალა და შეუყვია კლდეზე გაჭრილ გზას.

მართლაც სახობტენი არიან ჩვენი ინჟინერ-კონსტრუქტორები „კოლხონისში“ შექმნისათვის. თუ გაგიჭირდა, ჩართე მერე „აღუბლი-კატორი“, მერე მიუშვი სადაც გინდა.

სტორის ხეობა ულამაზესია საქართველოს ხეობებს შორის, აქეთ-იქით აყუდებულან თვალუწვდენი პიტლო კლდეები. აქა-იქ წაბლის წარაფები ჩამოსდევს მდინარის პირამდე. კლდეებზე რძისფერი ჩანჩქერები დასხლუტილან და მიექანებიათ თავქვე. ზოგან მოგლეჯილ ხეობაში ჩამზღვლეულ უზარმაზარ ლოდზე განმარტებულა ძალგანის თელამუში და ხარლადივით გარინდულა სივრიალში. დაბლა კი, სულ დაბლა, ქვის ვიწრო კალაბოტში წელ-გაწურული, გაყოფებული სტორი იღრინება, აწყდება აქეთ-იქით, ჰამს, კვნეტს, ღრინის სიბუბის და ჩვენამდე აფრქვევს სიბნელიდან. მირიად წინწყლებად გადმონადენ დუქს.

ფერები, შემოდგომის უთვალავი ფერები გაბნეულა ზედ. — ყანვისფერი კლდეებიდან მოკიდებული მთელი ხეობა ფერების ულამაზესი სიმფონიაა.

მე რომ მხატვარი ვიყო, აუცილებლად დაეხატავდი სტორის ხეობას. მთელი სიცოცხლეში ეყოფოდა იგი ერთ მხატვარს და კიდევ დარჩებოდა ათეულთათვის.

ჩვიდმეტი წელია აღარ ვყოფილვარ აქეთ. ჩვიდმეტი წლის წინ დაიწყეს თუშეთში გადამავალი საცალფეხო ბილიის გაგზავნება და სამანქანე გზა თორღვას აბანომდე მიიყვანეს.

თორღვას აბანო...!

რამდენიმე ლეგენდა და თქმულება დაკავშირებული ამ ადგილიან.

კველაზე პოპულარული მინც თუში ვაქაცის, — მონადირე თორღვას ამბავია. ერთხელ, ნადირობისას, ირემი დაჭრა თორღვამ.

დაჭრილი ნადირი სტორის სათავეებისაკენ გაიქცა და მიიმალა.

სისხლიან კვალზე მიჰყვა მონადირე. ბოლოს, ახლანდელი აბანოს ადგილას, თბილი წყლის გუბებში ნახა ჩაწოლილი.

მონადირემ ნადირი მოკლა და ძველი ნატყვიარი გაუსინჯა. კრილობა შემშრალბულივით ჩანდა.

თორღვა მიხვდა, რომ წყალი სამკურნალო იყო...

მას შემდეგ დაიძრა აქეთ ჯერ თუშეთი და მერე თითქმის მთელი კახეთი. ჩვენც ახლა თორღვას აბანოში მივდივართ... ალექსანდრეს გაუგია, რომ დაჟინებული წვიმებისაგან რამდენიმე ადგილას ნაშალი დაშვავებულა, გზა ჩაუტყავს და აბანოზე ავადმყოფები მოუმიწყვდებიან. დილასვე გამოუგზავნია ბულონური და სატვირთო მანქანა ხუთიოდე კაციით. შემდეგ გულმა მინც არ მოუთმინა, თავდაც ჩაჯდა მანქანაში და მეც, იმ დროს თელავში ჩასული, ამიყოლა და გამოუტია აბანოსკენ.

— ერთი რამ მაკვირვებს, — ეუბნები ალექსანდრეს, — რატომ უწოდებენ აქაურები თუშეთს მთა-თუშეთს? ბარის თუშეთი ხომ არ არსებობს? თუ ზემო და ქვემო ალვანს გულისხმობენ, ეს თუშეთი არ არი. კახეთში მანდა და ცოტადენი ლალისყურშია თუშები მხოლოდ. პანკისის თავში, ბირკიანში, ცხოვრობს ერთი თუ ორი კომლი კიდევ. მამ რატომ ეახიან თუშეთს მთა-თუშეთს? თუ აგრეა, მაშინ უნდა იყოს კიდევ: მთა-ხევსურეთი, მთა-ფშავი, მთა-სვანეთი და სხვები, რადგან კახეთში ხევსურები და ფშაველები უმარავია, სვანები სამეგრელოსა და აფხაზეთშიაც შემხვედრია.

— მე თვითონაც მიკვირს, — იღიმება ალექსანდრე, — მე მგონი ეგ აქაური დილიტანტების მოგონილი უნდა იყოს, — არც თუ ისე დიდი ხნის წინანდელი. გამოვარდება რომელიმე ყვითელწინსკარტა, დაგიწყობს: „ალვანი“ — „ალბანიდან“ მოდისო, მერე კი მიდი და მართე დისკუსია! ალბანიდან რომ მოდიოდეს, ქართული კაცი მას ალვანს კი არ დაარქმევდა, არამედ: ნალბანარს, ან საალბანოს, ან ალბანოს ან კიდევ სხვა რამეს, იღონდ არა ალვანს. უკიდურეს შემთხვევაში ალბანსვე დატოვებდა, რადგან ქართულ ენას არ ახასიათებს.

ლალო მალაზვილი
სტორის ხეობაში



ბ-ს ვ-დ ქეცვა. იმ დალოცვილს ერთხელ მაინც არ მოუსმენია სადმე:

„დიდ მინდორ ვადამატარეს — ხენი და ხენი ალვანი?“

არ ვამხელ, რომ არც მე ვამიგონია ეს ლექსი. მხოლოდ ამასღ ვასახურობ:

— მთა-თუშეთს მარტო საუბნარში კი არ ხმა-რობენ, ხშირად ჩვენს პრესაშიც წერენ ხოლმე. და მე დიდ შეცდომაღ მიმაჩნია ეგა.

— რა თქმა უნდა, შეცდომაა. აი, ეს ციხე თორღვას ციხედ იწოდება. ოღონდ არ ვიცი, რა კავშირი აქვს აბანოს აღმოჩენ თორღვასთან.

თავს ვყოფ მანქანიდან და შევეყურებ საღ-ლაც ღრუბლებში დაკარგულ ციხეს. რუხი ლოდები პირქვეშად იმზირებთან წაბლისა და წიფლის ფოთლოშეთხელებულ ტრეტებში. შორს გასდევს ვალანის ნამუსრევი. და ვაოცებული ვარ. საიდან, რა ხელმა აიტანა იქ ლოდები და კირ-ქვიშა, როცა ხელისგულის ოღენა ბილიკსაც ვერ იპოვი იქამდე ასაღწევს. თითქმის საქართველოს ყველა დიდ-პატარა ციხე-სიმაგრე მომივლია და მხოლოდ ფსიტრანის ციხე თუ მინახავს ეგრე მიუღგომელი თურღვას ხეობაში.

წარამბრა გვიკრიან ვზას კლდის წვერები-დან მოხეთქილი აქაფებული ჩქერები. მეორე მდვიანი ანზორ ჭავჭავიშვილი ნანობს:

— აფსუს, ფორტაპარატი დამაიფყდა!

პირხელი, სანდომიანი სახისა ანზორი, ახალგაზრდა და ყოჩაღი. ტოლები ვართ და სტუდენტობისას ერთად დავდიოდით ტანვარჯიშის სექციასზე, უნივერსიტეტში. ვინ იცის, რამდენჯერ ყოფილა აქეთ და მაინც თელი ვერ მოუწურებია ამ გრანდიოზული, პირქუში სილამაზისათვის.

ერთ ადგილას მთლად ჩანჩქერის ქვეშ გავ-ძვვრით. ტყვიასავით დაქანებულმა წყალმა წა-მით საშინელი დგრაალ-ხრიალით გადაგვიარა თავზე და შემდეგ სტორის ბნელ ხაზაში ჩაინ-თქა.

სვიანადან მოკიდებული წვიმის საცერი არ შეჩერებულა. მანქანა გაილუმბა და სიცივემ შემოატანა შიგნითაც.

უცერად წყლის ხივილს ბულდოზერის ტრაბტარბი გაერია და მალე გზაც გადაველობა მოსახვევში რკინის მხეცმა.

იძულებული ვიყავით უკან დავეხებია.

— გზა ბოლომდე გაწმინდეთ? — ეკითხება მდივანი მებულდოზერეს, როცა გვერდი უნ-და აქციო.

— თითქმის ბოლომდე გაწმინდეთ. ცოტა-ოფენი ნაშალიდაა დარჩენილი, აბანოდან სა-მას მეტრზე. ვერაფრით ვერ ავედი იქამდე და ნიჩხებით წმენდენ მუშები.

— მანქანა ვერ ავა?

— მანქანა იმას იქითაც წავა, ოღონდ გაწ-

მენდაა საჭირო. სატვირთო მანქანით მივინჯნა იქამდე მუშები და მანქანაც იქვეა.

კიდევ ერთ ადგილს მოგვიხდა გაჩერება: მთაში მიმავალი თუშები მთიდან მომავლებს შეხვედრიან. ტრადიციულად ჩამომტარან და მრუდე ყანწებით სწორ გზას ულოცავენ ერთ-მანეთს ოღროზლორზე. წითლად დამკრახუ-ლი სახეები წვიმისთვის მიუშვრიან. ნახე-ვარციდიან მაჯებზე ასხმულ ტროტებს ერთმი-ნეთს ევება ბეჭებზე უთათუნებენ და მწყემ-სურ მიეთ-მოეთს ჰყვებიან...

დასაპალნებული ცხენები და ჯორები უთავ-ბოლოდ დამდგარან ვაზზე. აინწუნიაც არ ავ-დეგენ ზედ მიმდგარ მანქანასა და გამბულ სა-ყვირს.

არც თავად მხედრებს ვაუბარტყუნებიათ ყური. ცალი თვალითაც არ გამოუხედავთ ჩვენ-სკენ.

ბრახლება ჩვენი მძღოლი, რაც ძალი და დონე აქვს აღმულებს საყვირს და პირდა-პირ მიიწევს მათზე.

ალექსანდრე აჩერებს მძღოლს და წყრება:

— უცნაური კაცი ხარ, დემერმანი, აცალე ხალხს დალაპარაკება და შეარგე ის ორიოდ ლუკმა ხმელი პური.

ბოლოს, როგორც იყო, ერთმანეთს კვლავ უსურვეს გზამვილობისა, თითო ყანწი კიდევ დაეცალეს და გავგატარეს.

გზა ერთ ადგილას უხვევს, ძირს ეშვება და ხეობას უახლოვდება. აქ გამოქიშული კლდე-კარიდან გამოვარდნილი წყალი უხარამზარ ლოს ურბენს გარშემო და მერე თავქვე გა-დადის ყირაზე. ლოდი რბილი ხავსითაა და-ფარული და ნაპირიდან მარჯვე კაცი ადვილად გადახტება ზედ.

ალექსანდრე მანქანას აჩერებს და მეტუნე-ბა:

— აი, მაგ ლოდზე ისხდნენ ვახტანგ კორინ-თელი და სუსქია მინდელი და ბულბულების კონცერტს უსმენდნენ.

— გეტყობა, ძალიან გიყვარს ვამსახურდია.

— ძალიან. ჭერ კიდევ სტუდენტობისას და-მეები მითევია მის წიგნებზე. ეგ რომ არ ყო-ფილიყო, ეგა და მიხეილ ჭავჭავიშვილი, უთუ-ოდ დიდზე დიდი დანაკისი იქნებოდა ახალი ქართული ლიტერატურისათვის.

მალე სტორზე ვალაჯულ ხილზე გავედით და ახლა მეორე ნაპირს კლდეებს შევეყუვეთ პი-რამბა. მცირე ხნის შემდეგ გზაზე ჩამოშვავე-ბულ ნაშალს მივადექით, სადაც ხუთიოდე კა-ცი ჩალიჩობდა. იქვე იდგა სატვირთო მანქანა.

ლურჯბაჭყალიანი კოჭლი კაცი გადმოხტა და შემოგვეგება:

— ეხლავე გავეშენდთ გზას.

კოჭლი კაცი კურორტ „თორღვას აბანოს“ დირექტორი — გიორგი დედაბერიშვილია. ოდ-ესლაც მას კილაობაში და სირბილში ტოლ

არ ჰყავდა. ყირიმში, მთელ დღეიზიაში პირველი სივრცეზე მსტრამელი იყო.

ალექსანდრე გზის გაწმენდას აღარ დაუცადა, გადმოვიდა და ფეხით გადალახა ნაშალი.

აქ, სტორის დადებული ზეობის სათავეში, ფეროკალოსა და კეპანეს მოვებს შუა, კახეთისა და თუშეთის საზღვართან, ზღვის დონიდან 1.750 მ. სიმაღლეზე, კლდეთა იდუმალი წიაღიდან გადმოქუხან ცხელი წყაროები. სიბო მათი 37 გრადუსია. ქიმიური შემადგენლობით სულფიდურია, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ ნატრიუმიათა. ამგვარი წყლები დღე დასაქურნალო იფექტს იძლევა რევმატიული და სხვადასხვაგვარი წარმოშობის სახსრების დაავადების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გულისა და სისხლძარღვთა სისტემის, ვენეოლოგოური და კანის ქრონიკული დაავადების შემთხვევებში. ამას ზედ დაუმატეთ საუკეთესო კლიმატი და ირგვლივითის მშვენიერი სანახაობა, რომელიც უქმურ კაცსაც კი ჩამომტირალ სახეს ჩამოხანს!..

ამ ჩვიდმეტი წლის წინ, ჩემი პირველი აქ ყოფნის დროს, კლდეში გამოტეხილი ერთადერთი აბაზანა იყო რამდენიმე კაცისათვის. შიგ ავადმყოფები ისე იყვნენ ერთმანეთს მიკრულნი, როგორც თევზები ტოფობისას. ახლა კი აქ, ხისა და შიფერის შვიდიოდე შენობა დაუდგამთ. ერთსართულიანი, დაბალჭერიანი და მცირე მოცულობისა.

სულ რაღაც ოცდაათიოდე კვადრატულმეტრიან ბინაში თორმეტი საწოლი ღვას, სადაც თითოეუ აქეთებენ საქმელს ავადმყოფები, იქვე ატარებენ მთელ დღესა და იქვე იძინებენ.

პრობლეტიული აუზები, მათ შორის ერთი — ემალისა, ხოლო ორი იქვე, კლდეში გამოჩორკნილი, ვერ აქმაყოფილებს ავადმყოფებს. მიუხედავად ამისა, მთელი კახეთი მოიჭევის აქეთკენ... ყველგან, სადაც კი ფეხი მოიკიდება, კლდეზე მიომბნეულა ფიჩხის ქოხნახები, კალთებგაცვეთილი ბრეზენტისა და ფარდავის კარკები. ერთმანეთს მიპყვრიან ქოხის კუთხეში მიუყუებული დედაბრები. სახეები ისე აუხვევიათ თავშლით, რომ იქედან ძლივს ბუტბუტ უფერული, ჩაფერფლილი თვალები. ახალგაზრდებსა და ჭარბაგებს შალეები და ტანსაცმელი დაუგორგლიათ ტანზე და ამ სიცივეში პოლინეზილითა კერპებზეთ სხედან. ერთ ადგილას კი ორი შეუპოვარი ტიკორას მისჯდომია და... უკვე იმასაც ადლებკარებულენ, თუ სადმე მკვარტლიანი ქვეც კი გლია საინვილოდან შავ ზღვამდე.

მხოლოდ ორი ექთანი და ორიც სანიტარი ემსახურება კურორტს, მაგრამ მხოლოდ ერთი ექთანი დაგვიხვდა ერთ ბარაკში.

მოქიფეებმა თვალს მოგვკარეს და მიგვიპატიეს. ჩვენ თავაზიანი უარი მოვასხენეთ. უცნაურია, მაგრამ არც ისინი გაჯუტებულან. იწევითა ქოხში ვიღაც ჭაბუკი დაგვხვდა. იწ-

ვა ბრუნენტის თხელ საწოლზე და კანკალედა. პალტო ზედ წაფარებინა. თავზე შალი მოებულა და სიციხით გათანჯული ძლივს ქმინავდა.

— ვაციებელია, — აგვისსნა კურორტის დირექტორმა. — აბა, მარტო მე რა უნდა ვქნა? ყველას როგორ ეყოფა ეს ბინა. მერე, ახლა საკმაოდ ცივა, მაგრამ მინც თავს არ ანებებენ მკურნალობას. მე განა წყალი შუშრის? ვეუბნები, უფრო ცუდია-მეთქი, — ვინ დაგოყრებს? იციან, რომ მაგათი მეზობელიც ამ დროს იყო და მინც განიკურნა, მაგისი ნათესავი ამ ნაიცილობი არ შეუშინდა სიცივეს და ისიც განიკურნა. ჰოდა, მთელი კახეთის ყველა კუთხიდან აწყდებიან აქაურობას. აწყდებიან, მაგრამ მე რა ვქნა. პირობები არა გვაქვს. 1951-53 წლებში, ზემდგომი ორგანოების დაავადებით, შედგა აქაურობის კომპლექსის პროექტი: სააბაზანო, სასტუმრო-ბანსიონატი და საკურორტო დარბაზი (პროექტი დამუშავდა კურორტოლოგიის ცენტრითა ინსტიტუტმა), მაგრამ დღემდე არაფერი ისმის. აბა, მე რა უნდა ვუშეგო? აი, მივალ და ექთანს ვეტყვი, სიციხის დასაწევი აბები თუ აქვს შემორჩენილი, მისცეს.

— ამ წუთში გამოგზავნე სანიტრები და საკაციო მალაზიის ნანგრევამდე გამოიყვანო. გზა უკვე გაწმენდილი იქნება და ჩემი მანქანით წავიყვან ბარში. სხვებიც გაფართობლე, რომ შეიძლება მალე მოთოვოს კიდეც და უფრო გაუბრდებო. — მერე მე მომბრუნდა. — აბა, წავიდეთ, თორემ ზედა, წვიმამ როგორ მოუხშობა? შეიძლება ნაშალი კიდე ჩამოშვადეს და ჩვენც აქ მოვყვით. თანაც, მინდა თელეში მზიურ ჩაგასწრო: ერეკლეს ძეგლის საძირკველს ვაყრევივით და მინდა დავხვდო, რას შერებთან.

— მაღლობა ღმერთს, — შევძახე და წინ წასულს წამოვეწეი. — ვაგხსენებიათ, რომ ოდესღაც ძეგლის აგება დააპირეთ. მაინც, რა იცით ხოლმე, თქვე დალოცვლილთა: მოჩინქნით, სადაც ჩააგდებთ ერთ გურანდავ ლოდსა და მერე ზედ მიაწერთ: „აქ ამა და ამ კაცის ძეგლი აიგება“. ვიმაართება მიტინგი, ფრიიანი სიტყვების სიროლა და ოვაციები. ვავა მერე ათეული წელი და ვიღაც მაღლიანი ვაიხსენებს, რომ ხავსით დაფარული ქვის მაგიერ იქ ძეგლი უნდა მდგარიყო. რა საჭიროა წინასწარი დაფ-ნალარა? — თქვენ ჭერ აავეთ და ჩვენ თუ მოგვეწონა, არც ტაშს დავამაღლით და არც ქებას.

ალექსანდრე იცინის და მეუბნება:

— რა არი ბიჭო, რომ ჩემი ბევრი რამ უკულმართად გეჩვენება?

ლადო მრეღაშვილი
სტორის ხმობაში



— მოყვარეს პირში უძრახეო, ხომ გავიგონია, ჩემო საშა?

ავადმყოფი შუაში ჩაივსით და ხილამდე ფრთხილად დაეშვით.

ალექსანდრემ მანქანა გააჩერა და მეუბნება:

— ამ წინაზე კურორტების სამმართველოს უფროსი ჰალაგანიძე, არქიტექტორი ზაალიშვილი, პედროგეოლოგი ჩიჩუა და მე ვიყავით აქა. დაეთვალე რაღა აქაურობა და შემობრუნდნენ, რომ სადაც ჯერ არს მოახსენებენ და დამეხმარებიან. მათი წინადადება იქნება: აიგოს სააბაზანო შენობა საათში 24 პროცენტობის გამტარუნარიანობით — ექვსი ინდივიდუალური და ორი საერთო აბაზანა. ამ ხილთან აშენდეს ორასსაფოლიანი საცხოვრებელი სახლი (მათ შორის მომსახურე პერსონალიც იგულისხმება). — შენ რას იტყვი, ივარგებს? აქედან ავტობუსით ივლიან აბაზანებამდე.

— რატომ არ ივარგებს? აქ რასაც კი წაუშაბებთ, ყველაფერი ივარგებს. მაგრამ მე უფრო სვიანასთან მგონია უკეთესი. მშენებრი სასმელი წყალი, დიდებული პლატო, ვეება ხეებით დაჩრდილული, ქვევით გზა და მდინარისპირა კაქლის ქალა, იქვე მდინარე და მისი სანაპირო!.. ღმერთივით ადგილია. ათითორმეტი კილომეტრი იქნება იქიდან აქამდე. გზა ზოგან ცოტა კიდეც გაფართოვდება, ასფალტი დაიგება და მერე ავტობუსი და მისი ჯანი: ნახევარ საათში აბაზანებზე იქნებიან ავადმყოფები.. მე შენ გეტყვი და, ცქერა მოებზრდებათ ამ ხეობისა. ხოლო თუ გზა მოასფალტდა, მერე შეიძლება ტურისტულ მარშრუტშიაც შეიტანოთ მთელი ეს ბუნების საოცრება.

— აბა, არ წავიდით?

— დამაცა, ერთიც შევხელო აქაურობას.

აქედან მერცხლის ბუდეებით მორღვანოთორღვას აბანოს ირგვლივ გაფანტული და კლდეს ატყებებელი ქოხმახები. და მიკვირს, ძალიან მიკვირს: ხალხს, რომელიც პირველყოფილი საშუალებებით მე-12, მე-13 საუკუნეებში კვეთადა ვარძიასა და გარეჯის საოცრებას, უფლისციხესა და დევის ხერელს, ახლა, მეოცე საუკუნეში, ატომის ეპოქაში როგორ უნდა გაუჭირდეს იმ კლდეზე ოთახებისა და აბაზანების გამოჭრა. მხოლოდ სიზარმაცე უკარნახებთ სპეციალისტებს, რომ ხელი არ მოჰკიდონ დიდებულ იდეას. არავითარი საშინაოება არ მოელის წყალს. პატარ-პატარა აფეთქებით არავითარი ზიანი არ მოუვა. სამაგიეროდ დიდებულ და ორიგინალურ კურორტს მივიღებთ.

დასანანია, ეს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე უსარგებლოდ იკარგებოდეს.

წყალი, რომლის თერმული სითბო 37 გრადუსია და დებეტი დღე-ღამეში 600.000 ლიტრი, უსარგებლოდ ინთქმება სტორის ზოგჯერ წმინდა და ზოგჯერ მღვრიე ტალღებში.

მე მკვარა: აქ რომ კეთილმოწყობილი კურორტი აშენდეს, მთელი საქართველო მოაწყდება. და არა მარტო საქართველო!..

პავა დიდებულო!

სამკურნალო წყალი — შეუდარებელი!

იდეა შესანიშნავი!

და ჩვენ კიდეც ერთი პირველხარისხოვანი კურორტი გვექნება, ორიგინალური ტიპისა!

ღმერთმანი, არც ძალა, არც თანხა არ უნდა დაიშურო ასეთი საქმისათვის!

და ვისურვებდი: მაღე სიტყვა თქვენზედა იყოს, ქართველო ინჟინრებო და სპეციალისტებო!



პახანს გორგენლი

ძირს ჩამოსული ლაქვარდები

თბილისში მამინებდნენ, ბათუმში ისე ცხელა, დიდხანს ვერ გაჩერდებიო. იღბალზე არც ისე დიდი სიცხეები დამხვდა, გრილიდა. ცხრას რაღაც წუთები აკლდა, მატარებელი ბათუმში რომ შევიდა. მზე უკვე დაუფლებოდა ირგვლივეს და ახლა უსასრულო ცის დაფონს აჩუქურთმებდა, თუმცა რაღაც მოჩუქურთმება უნდოდა აჭარის ოქროსფერ ლაქვარდებს!

„შესხდე, რა ცაა!
ესაა რაცა!“

გამახსენდა გალაკტიონის სტრიქონები. რა დიდბულადაა ნათქვამი! უყურებ და გგონია, ამ ცის საკვირველება, ერთის მხრივ, შავი ზღვის სიღიადეს ერწყმის, მეორეს მხრივ, აჭარის მთების სიამაყეს; ერთსაც და მეორესაც, თითქოს მალა ეწყვეა ზეცა, რათა უფრო სრულად გამოჩნდეს აჭარის მიწის ბრწყინვალეობა.

რკინიგზის სადღურებიდან გავედი და „მოსკვირის“ ავეწიე ხელი. გაჩერდა.

— საით მიბრძანდებიო, ბატონო? — ღამასწრო მძღოლმა. — მეჯინისწყლის კოლმეურნეობაში-მეთქი. მანქანის კარი მკვირცხლად გამოაღო, მეც იქით მივდივარო. კეთილი კაცი აღმოჩნდა მძღოლი. მძღოლი კი არა მეჯინისწყლის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელია თურმე, ხასელი — ხემილ, გვარი — ნაკანიძე.

სასტუმრო „პირველ მაისს“ რომ გავცდიო, მანქანა კოსტთან დამუხრუბა, ახალი ვაზეთები იყიდა, ზოგი მე გამომიწოდა. გახვით „კომუნისტის“ პირველ გვერდზე ნიკოლოზ ზარათაშვილის პორტრეტი და საიუბილეო კომიტეტის სხდომის ანგარიში იყო მოთავსებული. ხემილმა უცებ ჩაიკითხა სტრიქონები და თქვა: — მამ, მსოფლიო ზემომბს ჩვენი ტატოს იუბილეს! — წამით შეჩერდა, თითუბი მოიმარჯვა, — სამოცდაერთში ვაჭას აშბილვე აღინიშნა, სამოცდაექვსში — შოთასი. სამი იუბილვე მსოფლიო მასტაბით! არაა პატარა საქმე!..

ამ თარიღს ჩვენი ბრიგადაც დირსველად ხვდება, თავს არ შევირცხვენთ. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსავასოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“..

ხემილ ნაკანიძე ჯარიდან შოფრის მოწმობით დაბრუნებულა. სად არ შეუთავაზებიათ სამუშაო, მაგრამ ყველაზე უარი უთქვამს: შოლერი ვარ და ხსვა საქმეს ხელს არ მოვკვიდებო. კოლმეურნეობაში კი იმდენი მანქანები არ იყო, რომ ერთზე ხემილი დაესვათ. ბოლოს, დაპკრა ფეხი და ქობულეთში წავიდა, იქ დაიწყო სატვირთო მანქანაზე მუშაობა, დაიწყო, მაგრამ... ვული მაინც მეჯინისწყლის გზებისკენ მიუწევდა. საქმეს რომ მორჩებოდა, არ შეიძლებოდა ორ-სამ დღეში ერთხელ არ ჩაერბინა მშობლიურ სოფელში. ეამაყებოდა მშობლიურ გზებზე მანქანით აქროლებ-ჩაქროლებს, ეღიმილებოდა თანასოფლელებს. ისინი კი, ხემილ ნაკანიძეზე ნაწყენნი იყვნენ...

— რა ჯენა, მეგობრებო, სოფელში მიწლიდა მუშაობა, მაგრამ... — ცოტახანს შეჩერდებოდა ხემილი, მოსაუბრეებს ახეღ-დახედავდა და მერე გააგრძელებდა. — საცა ვარ, არ შევარცხენით, ბიჭებო!

ხემილი ისე გაუღებოდა ქობულეთისკენ მიმავალ გზას, მიღლიდა, თითქოს კმაყოფილი, ხსხვებ-ბრწყინებული, მაგრამ რატომღაც ეს კმაყოფილების ცეცხლი მალე ნელდებოდა. ჩავიდიდა ქობულეთში და ისევე სოფლისკენ წასვლის წყურვილი მძლავრობდა... ამ წყურვილის მოსაკლავად, მეორედ დღეს, თავისუფალ დროს იშოვიდა თუ არა, ქობულეთის ბაზარში შევიდიდა, აათვალ-ჩაათვალიერებდა დახლებს, ჩვენებურები ხომ არ არიანო. თუ ვინმეს შეხვდებოდა, სისარულით ცას ეწყოდა, გამოვლპარაკებოდა, ისე მოიკითხავდა სოფლის ამბავს, თითქოს დიდხანია, რაც იქიდან წამოვიდაო. საუბრით რომ გულს იჯერებდა, ჯინზე გაიკ-

რავდა ხელს და იქვე, სადმე შეუხვედნენ, ტკილად ნათქვამ სიტყვას მადლიანი სადღვერძელთი დაავადებებდნენ...

ასე მიდიოდა ხემიდ ნაკაშიძის ცხოვრება ქობულეთში. მაგრამ ერთ დღეს უცებ ყველაფერი შეიცვალა, შეტრიალდა, როცა ბაზრის შესასვლელთან თავის სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავიტო ცინცაძე შემოხვდა დალონებულ, წარბშვრული.

— ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა, დავით, ოჯახში...

— ოჯახში ჯანმრთელად ვართ, მაგრამ კოლმეურნეობის ერთ უბანზე მიჭირს, ხემიდი, კაცი არა მყავს ისეთი, რომ პირველ ბრიგადას გაუძღვეს, არადა, ხულ უკან მიდის ამ ბრიგადის საქმე.

როგორ, მშობლიურ სოფელს უჭირდეს და ხემიდი აღმა-დაღმა დააქროლებდეს მინქანას ქობულეთში?...

მეორე დღეს განცხადებით მიადგა ავტოკანტორის უფროსს, სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე. არ უნდოდა უფროსს ხემიდის გაშვება, მაგრამ მის სურვილს წინ ვეღარ აღუდგა, დაეთანხმა, ცოტა საყვედურიც შეაპარა, ამაზე თავიდანვე რატიმ არ იფიქრეთ. გამომშვიდობებისას კი პირდაპირ უთხრა, თუ გული შეგეცვლება და მინქანას დაუბრუნდები, ჩვენი კარი შენთვის ღიაა.

მეორე დღეს უთენია მიადგა ხემიდი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— პირველ ბრიგადაში გვიჭირს განსაკუთრებით, ხემიდი, — გულთბილ საღამთან ერთად შეაგება დავით ცინცაძემ.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! — მოუჭრა სიტყვა და იმ დღიდან შეუდგა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელობას.

ასალმა ბრიგადირმა დაწვრილებით შეისწავლა ბრიგადის მდგომარეობა და დასაკენა: პირველ ერისანს წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ მალე წესრიგი დამყარდა ბრიგადაში.

განა მოსათმენი იყო, რომ ნაკვეთში მისვლა და იქიდან მოსავლის გამოტანა პრობლემას წარმოადგენდა, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში? გამგეობის კრებაზე გაიტანა საკითხი. პირდაპირ განცხადდა: თუ გზებზე არ შევაკეთებთ, ჩვენს შრომას არაფერი ფასი არ ექნებაო.

მინერალური სასუქებისა და აგროწიგების გამოყენების საკითხში, ცოტა არ იყოს, სიმწიფეს წააწყდა. თითქმის მთელი წელიწადი დასჭირდა, რომ ბრიგადის წევრები დაეწიგებინა მინერალური სასუქების სიკეთეში...

ბრიგადა წელში გაიმართა, რაკი ერთხელ აეწყობ საქმე, მერე სულ წინ მიდიოდა...

გამოჩნდა მეჯინისწყალი. ღამიანი ორსართულიანი ხალციხი და მის სახურავებზე აღმართული ტელევიზიის ანტენები ცხადყოფენ, რომ სოფელი ღონივრად დგას ფეხზე. ელექტროსუქი, რადიო, კეთილ-

მოწყობილი გზა, კინო, სკოლა, მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი...

ხემიდმა მამიკნე გადაუსვია, ნაყოფით დახუნძლულ მანდარინებში გამოიჩნდა საშუალო ტანის, შუასანს მიტანებული კაცი, ხელში თოხი ეჭირა.

— პირველი ბრიგადის სიამყავა, ამ ციტრუსებს ეს უკლის, რამიზი ქაჯაია!

განა მოგიტომეს გული, რომ არ დალოცო იმ აღამანების მარჯვენა, რომელმაც ასე ააყვავა და აღამშვენა აჭაურობა?

1945 წელს რამიზი ქაჯაია წითელი არმიის რიგებიდან დაბრუნდა.

— ოჯახში ცუდად არა ვგაქვს საქმე დაყენებული, დაიხვეწე, ნათესავები მიიანახულე, ტოლ-მეგობრებში გაიარ-გამოიარე, — უთხრა დიდალუიანიზე გაღვიძებულ შეილს ნურჩინგმა და საწოლთან ტანისამოსი დაუწყო.

რამიზმა გაუღიანა დედას, შუბლზე აკოცა, გამოალო კარი და არაფერი უთქვამს, თუ საით აპირებდა წასვლას. არც დედას უკითხავს. აბა, რას იფიქრებდა ნურჩინგე, თუ რამიზი მეორე დღესვე კოლმეურნეობის კანტორაში წავიდოდა.

კანტორაში თავმჯდომარე დახვდა.

— სად დავიწყო მუშაობა? — მისალმების შემდეგ იკითხა რამიზი ქაჯაიამ.

თავმჯდომარემ გაკვირვებით შეხედა რამიზს და უთხრა, რა გეჭკაბება, ცოტახანს დაისვენეო.

არ ინება ომგადასწორდა ჯარისკაცმა დასვენება, ისე, ნანატრივით კი იყო მოსული რამიზი. თავმჯდომარე მთელი კვირა იმაზე ფიქრობდა, ვისთვის მიენდო პირველი ბრიგადის ერთი ნაკვეთი, რომელიც ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა.

ამ ნაკვეთს ჯარში წასვლამდე კარგად იცნობდა რამიზი. მჭირა, არაფერი მიღის, ციტრუსის პლანტაციაც ტყილია აქ გაშენებული, ესმოდა სოფელ მაშინ. გულში გაივლო, რადა ამ გამოფიტულ ნაკვეთში მიშვებს, ამოდნა სოფელში სხვა ვერაფერი ნახა ისეთი, რომ კაცი არ შერცხვესო! ჯერ უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, არ გამოგა ღამაშიო. ცოტახანს დაფიქრდა, ასწონ-დასწონა. სდუმდა თავმჯდომარეც, თავს უხერხულადაც კი გრძნობდა, რომ ასე მიმე საქმე შესთავაზა ჯარიდან ახალდაბრუნებულს. — მოდი, სხვა ნაკვეთს მიგანდობთ, გაიფიქრა. რამიზმა დაასწრო:

— თანახმა ვარ, ბატონო!

არ გასულა ორი წუთი, კანტორაში პირველი ბრიგადის ბრიგადირი ხემიდი ნაკაშიძე შემოვიდა, რამიზი ქაჯაიას გადაეხვია, მიუღო რამიზს დაბრუნება, მერე თავმჯდომარეს კითხვა:

— იმ ბაღს რა გუყოთ?

— რამიზი გეტყვის, — მოუჭრა თავმჯდომარემ. მისხვდა ბრიგადირი, რამიზი იყო საქმე, რამიზს დიმილეთ შეხვდა, თან დასინა:

— ჯარგოფილი კაცს არაფერი გაუჭირდება! რამიზი ქაჯაია კანტორიდანვე მასზე გააპროუნე-



ბულ ნაკვეთისკენ გაემურა. ჯერ ნახევარი გზაც არ
 ჰქონდა გავლილი, რომ ბრიგადირი ხემიდ ნაკაშიძე
 წამოვიდა.

— ნუ გეშინია, რამიზ, გვერდში ამოგიდგებით.
 რამიზს ხმა არ ამოუღია, გაიღიმა მხოლოდ.
 მიუახლოვდნენ ბაღს. შორიდან მანდარინის ხე-
 ები ახალდასტეცილივით გამოიყურებოდა, გაძარ-
 ცული და ძირს დაშვებული ტოტები უდიდამოდ
 ჰგანობდნენ.

— სულ რამდენი ძირია? — იკითხა რამიზმა.
 — სამასოცდათხუთმეტი იქნება!
 რამიზ ჰაჯაიამ პატარა ბორცვი შენიშნა, ჯოხით
 გაჩიჩქნა.

— ხემიდ, ეს, მგონი, მინერალური სასუქია, არა?
 ხემიდმა თავი გააქნია და გულისტყვილით მი-
 უკო:

— სასუქია!
 — მერე, აქ რატომ ყრია?
 — ეტყობა, ბაღში არ შეჰქონდათ, აქ ყრიდნენ...
 ერთადერთი ძირი მანდარინი ამდენ ხეებს შო-
 რის ყველაზე უკეთესად გამოიყურებოდა, რადგან
 სასუქის ბორცვთან ახლოს იდგა.

ბრიგადირმა ერთხელ კიდევ გაუმეორა, აბა შენ
 იციო, და წავიდა. რამიზმა ხალათის სახელოები აი-
 კეცა და ხმელი ტოტების გაცლა დაუწყო ხეებს.
 საღამომის შეუსვენებლივ იტრიალა ბაღში. დედა
 რომ არ მისულიყო, ალბათ კიდევ დიდხანს დაჩ-
 ჩებოდა.

ნურჩირჩიკი წაეხმარა. დაბინდებამდე იმუშავეს.

* * *

საქმე წინ მიდიოდა...
 სასუქი შეიტანა, ერთიანად გადაბარა ბაღი, თოხ-
 ნაც თავის დროზე ჩაატარა, მერე, განა ერთხელ,
 სამჯერ გათოხნა, ზუსტად იცავდა შეწამვლის ვა-
 დებს, არც ადრე დაიწყებდა, არც გადააცილებდა.
 პლანტაციას თანდათან უკეთესობა დაეტყო, ფერი
 მიეცათ, ფოთლები დაუმსხვილდათ, ტოტები გაუმა-
 გრდათ. გამიზნდა პირველი ნაყოფიც, კარგი პირი
 უჩანდა მოსავალს.

დღე და ღამე არ ეძინა რამიზს.
 დაიწყო კრეფა. დიანჯარიშეს და მოსავალმა
 თხუთმეტ ტონამდის მიადგინა. რამიზ ჰაჯაია ახლა
 კი გაიმართა წელში. ნურჩირჩიკმა შეიღს მარჯვენა
 დულაოცა. ეს კი რამიზისთვის ყველაზე დიდი ჯი-
 ლდო იყო.

... იმატა ჰაჯაიების ოჯახის შემოსავალმა. რამი-
 ზმა სამოსახლო ნაკვეთი ითხოვა. ბევრ ადგილას
 შესთავაზეს, მაგრამ ყველაზე უარი განაცხადა.

— თუ მომცემთ, ჩემზე რომ გააბიროვნებული გეგონებოდა
 ღია, იმის ახლოს მომეცით, თუ არა და, არსად არ
 მინდათ.

არ აწყენინებს რამიზს.
 სულ მალე ორსართულიანი სახლი წამოჭიმა. მე-
 ზობელ სოფელ მახოში ერთი ქალი მოსწონდა,
 სიყვარული გაუმთლია და საქმეც გაიჩარხა. თლონდ
 ქალმა უსაყვედურა: თუ ასე გიყვარდი, რატომ აქამ-
 დე არ მიმხედლიო.

გაჩაღდა ქორწილი. აინთო კიდევ ერთი ქარ-
 თული კერა. წელიწადმა არც კი გაიარა, რომ დაი-
 რწა პირველი აკვანი, პირველ ბავშვს მეორე მოჰ-
 ყვა, მეორეს — მესამე, მეოთხე... ამან კიდევ უფ-
 რთ გაახალისა ოჯახი...

— მართალია, თხუთმეტი ტონა მივიღეთ, მაგრამ
 ამაღე გაჩერება ახლა აღარ შეიძლება, — გაუმთი-
 ლა გულში ნადები მეუღლეს, ეთერმაც მხარი აუბა
 ქმარს.

სამჯერ კი არა ოთხჯერ უნდა გაითხოვოს ბაღი;
 აქამდე თუ წელიწადში ოთხჯერ შეწამვლიდა ხეებს,
 გადაწყვიტა ექვსჯერ შეეწამლა. სასუქებიც დროზე
 შეეტანა ნაკვეთში, როცა დამატებითი საკვების
 მიცემა იყო საჭირო. ასეც მოიქცა. საქმე საათივით
 აეწყო.

წამოვიდა თოვლი თუ არა, რამიზი, მეუღლესთან
 ერთად, მანდარინის ხეებთან ტრიალებდა, როგორც
 კი თოვლს დასდებდა ტოტებზე, მაშინვე ჩამობერტ-
 ყავდნენ; ბოლოს, გაიძრწა წამთარი, დადგა ნანა-
 ტრი გაზაფხული; ხეებმა კვირტები გამოიტანეს,
 მზე სხივებს არ აკლებდა და რამიზი მოვლა-პატ-
 რონობას. მოვიდა ოქროსფერი შემოდგომაც, რამიზ
 ჰაჯაიამ ოცი ტონა მანდარინი მოგროვდა. ეს უკვე
 დიდი გამარჯვება იყო — შრომის წითელი დროშის
 ორდენით დაშვენდა მკლავდლოცვილი ვაკაციის
 მკერდი.

ხემიდ ნაკაშიძის ბრიგადა ახლა მართლა გაიმარ-
 თა წელში, მხარში ამოუდგა მოწინავე ბრიგადებს.
 სოფელს უკვე თამამად შეეძლო მხარი გაესწო-
 რებინა ბათუმის რაიონის მოწინავე კოლმეურნეო-
 ბებისათვის.

* * *

უკვე კარგა შეღამებულში დაეტოვე მეჯინისწყა-
 ლი. ვარსკვლავიან ცას გავდა მანდარინით დაბუნძ-
 ლული ხეები. ამ ხეებს შორის თეთრად გაბადრული
 მთვარე, ასე მეგონა, რამიზ ჰაჯაიას თამაშევერცხლი-
 ლი დედა ნურჩირჩიკი იყო და შეიღის გამარჯვებით
 ხარობდა.





ლენინიანა

მარიკა სილაგაძე

ოცდაექვსი ლეგენდარული კომისიის ნათელ ხსენას უძღვნის ავტორი ამ მცირე ნაშრომს.

აღიოზა ჯაჟაკიძე — „მაგარიკალიზმისა და ეპიკრიოკრიზისის“ პირველი ჩამონახაზი

რუსეთის პირველმა რევოლუციამ ძველი სა-მყარო მძლავრად შეარყია, მაგრამ ვერ მოე-რია და უკან დაიწია, აზვირთებულ ათასეულ-თა ბობოქარი დინებები ჰკარგავდნენ ინერცი-ას და იშლებოდნენ. მემბოზე სული ფიზიკურ ტყვეობებს ნელ-ნელა უყუჩდებოდა. ცარიზმი თრგუნავდა და სწურავდა ხალხთა იმედებს. „სტალინის ყელსაბამებზე“ ცივდებოდა საუ-ვეთესო რევოლუციონერთა გულები. უიმედო-ბა დააბიჯებდა რუსეთის თვალწევდენელ სივ-რცეებზე.

როგორ შეხედდროდნენ ხვალსდელ დღეს? კვლავ ბრძოლა თუ უარყოფა ყველაფრისა რაც მოხდა?

აი კითხვები, რაზედაც პასუხი უნდა გაე-ცათ პროლეტარული მოძრაობის თეორეტიკო-სებს.

ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა რევოლუციის დამარცხებით ისარგებლეს და რუსეთში ააღო-რძინეს რეაქციულ-იდეალისტური ფილოსოფი-ური მიმდინარეობა—მახიზმი, რომელმაც უარ-ყო სინამდვილე მისი ობიექტური კანონზომი-ერებებით და მოაზროვნე ადამიანი საკუთარი ინსტიტუტებით მოარულ არსებად წარმოად-გინა. იმედგაცრუებისა და მელანქოლიის ბუ-რუსში თანდათან გამოკვეთეს „ყოვლისშემქ-ლე“ არსება—ღმერთი და შეეცადნენ მარქსიზ-ში შეეერთებინათ არლიგიასთან (ბაზაროვი, ლენინარსკი და სხვ.). ამ მიზნით მათ ფილო-სოფიური მატერიალიზმი „მოკველებულად“, ხოლო დიალექტიკა „მისტიკად“ გამოაცხადეს. მოკლად იქცა მარქსიზმის წინააღმდეგ ლაშქრო-ბა მისი „შესწორებისა“ და „გაუმჯობესების“ მიზნით.

მახიზმი რუსეთს მოეკლინა, როგორც რევო-ლუციანზე უარისთქმის ფილოსოფიური დასა-

ბუთება, რაც ყოველი ოპორტუნისტის, ოტზო-ვისტის, ლევიდატორის, მარქსიზმის ყოველ-გვარი ფალსიფიკატორის იდეურ პოზიციებს ამავრებდა.

ვ. ი. ლენინი მუშათა კლასის ამ მოღალატურ თეორიასა და პრაქტიკულ საქმიანობას დაუპი-რისპირდა თავისი ფილოსოფიური შრომით— „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რო-მლითაც ბრწყინვალე მოიგერია ბურჟუაზი-ული იდეოლოგიების — რევოზიონისტების ყვე-ლა შემოტევა და დაიცვა მარქსიზმის ფილოსო-ფიური საფუძვლები. „მატერიალიზმსა და ემ-პირიოკრიტიციზმში“ წამოყენებულ ყოველ დე-ბულუბას მხურვალედ დაუპირეს მხარი ლენი-ნური გვარდიის იტეობა ბრწყინვალე წარბო-მადგენლებმა, როგორც იყვნენ: ი. ბ. სტალინი, ვ. ე. ვოროჟსკი, ი. ა. თედოროვიჩი, ს. გ. შაუ-მიანი, ვ. ე. რუძუტაი, ნ. ა. სკრიპნიკი და სხვ.

ვ. ი. ლენინის მიოგრაფიაშიც, თხზულებათა მე-5 გამოცემის მე-18 ტომის შენიშვნაშიც სპეციალურად მითითებულია, რომ „მატერია-ლიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ შესახებ პრესაში ბოლშევიკების მხრიდან პირველი გა-მომხმამურება იყო 1909 წლის 5 ივნისს ვ. ე. ვოროჟსკის მიერ გაზეთ „ოლდესსკოე ობორრე-ნიეში“ მოთავსებული შენიშვნა მაქს ფერტო-რისს წიგნზე „ბუნებისმეტყველება და მსო-ფლმხედველობა“, რომელშიც ავტორმა დაახა-სიათა ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური შრომაც. მაგრამ რევოლუციონერ პუბლიცისტთა ლი-ტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა თან-დათან გვარწმუნებს, რომ ვ. ი. ლენინის ფი-ლოსოფიურ შრომებზე პრესაში გამოსულა კაე-კასიელმა ბოლშევიკებმა გაცილებით უფრო ადრე მოახერხეს, ვიდრე ამათ „ოლდესსკოე ობ-ობრენიე“ შეძლებდა.

1909 წლის 19 მაისს ბაქოში გამომავალმა მენშევიკებმა გაზეთმა „ბაქინსკიე ვესტიმ“ გამოაქვეყნა 145 სავახუთო სტრიქონიანი რეცენზია „ვლ. ილინი, მატერიალიზმი და ემპირიო-ლოკალიზმი, კრიტიკული შენიშვნები ერთ რაქტიკულ ფილოსოფიაზე“, რომელიც მთავრდება ბელად ხელმოწერით „ტ.-ნი“.

ვინ იყო ამ რეცენზიის ავტორი?

რეცენზიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი თანმიმდევრად ლენინელი ბოლშევიკია. ბაქოს პროლეტარიატს ამ დროს სათავეში ედგნენ ლენინური გვარის მგზნებარე ბოლშევიკები ი. სტალინი, ს. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, ე. ფილუტოვი, მ. ახიზბეგოვი და სხვ.

რეცენზიიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ახლოს იცნობდა ვ. ი. ლენინს. მან იცოდა, რომ ფილოსოფიური შრომის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ ავტორი ვლ. ილინი იყო ვ. ი. ლენინი და არა სხვა ვინმე. ამავდროს რეცენზიის ოპორტიუნობა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი ბაქოში იმყოფებოდა 1909 წლის 13 მაისს, როდესაც პრესაში გამოქვეყნდა ცნობა ვლ. ილინის წიგნის ბაქოს მალაჩივში მიღების შესახებ. სამედლო ვიფიქრობთ, რომ ამ რეცენზიის ავტორმა იმავე დღეს შეიძინა წიგნი იმ ვარაუდით, რომ მასზე დაეწერა სავახუთო მასალა. სხვაგვარად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ერთ კვირაში მომზადებულიყო სრულყოფილი რეცენზია ისეთ ვრცელ და რთულ წიგნზე, როგორიც ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ცნობილია, რომ მენშევიკური გაზეთის „ბაქინსკიე ვესტიმ“ რედაქციასთან ბოლშევიკებიდან ახლოს იმყოფებოდნენ ალ. ჯაფარიძე და ბ. ქენინანცი. ამ დროისათვის ბაქოში მყოფ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ საკუთარი ორგანო, რომელმაც ისინი თავიანთ ხმას მიჰმდებნენ ბაქოს პროლეტარიატს. ასეთ პირობებში ბოლშევიკები ახერხებდნენ ლეგალური პრესის გამოყენებას, ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გაზეთებში პერიოდულად იბეჭდებოდა ალ. ჯაფარიძის, ს. შაუმიანის, ბ. ქენინანცის და სხვათა წერილები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ი. ჯაფარიძეს რეცენზიის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ დასერიდა პოლემიკა ეწარმოებინა ბურჟუაზიულ გაზეთებთან („კასპი“, „ბაქო“, „პრობისლოვი ვესტნიკი“), რომლებიც პროვოკატორულ შეითხებებს აძლევდნენ მას, როგორც ბურჟუაზიულ გაზეთებში მომუშავე ბოლშევიკს — რომელიმე გაზეთისათვის ცნობების მიცემა ამ გაზეთისათვის მხარდაჭერას უღებდა თუ არა?

ალ. ჯაფარიძე გაზეთ „ბაქინსკიე ვესტიმ“ ფურცლებიდან მათ უპასუხებდა, გამოჩალოს შექმნილ ვაშტაში არის დასაშუები პროლეტარულ ორ-

განიხაიკებში მყოფი პირების მონაწილეობა ბტმ რეუაზიულ პრესაში. ეს თათქოს თავის მართლბაც იყო, რადგან „ბაქინსკიე ვესტიმ“ ალ. ჯაფარიძის ხელმოწერით დაბეჭდა ოთხი დიდი სავახუთო მასალა, რამაც შეიწირა კიდევ ბურჟუაზიული ლეგალური გაზეთი „ბაქინსკიე ვესტიმ“. ამის შესახებ 1909 წლის 16 ოქტომბერს ბაქოს ოხრანის განყოფილების უფროსი თბილისის გუბერნიის ქანდაჩმერის სამმართველოს უფროსს სწერდა:

„...ბაქოს კომიტეტი ჯაფარიძემ მალე დაიკავა ხელმძღვანელი მდგომარეობა, რისთვისაც მისი ინიციატივით აღვილობრივმა ორგანიზაციამ მისცა მას სახსრები ლეგალური გაზეთის გამოსაცემად, სახელწოდებით „ბაქინსკი რაბოჩი“. გაზეთი წარმოადგენდა ბაქოს პროლეტარიატის საკრიოებათა გამომატეცლს და ხელმძღვანელობდა ჯაფარიძე. მასში ათავსებდა თავის სტატიებს. სტატიათა მავენ მიმართულების გამო ბაქოს ქალაქის უფროსთან ჩემი წარდგინებით გაზეთი მიმდინარე წლის ბოლოს დაიხურა. მალე დახურული „ბაქინსკი რაბოჩის“ შემდეგ გამოვიდა ახალი ლეგალური გაზეთი „ბაქინსკიე ვესტიმ“, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ დაიხურა იმავე მიზეზებით. მართნ ჯაფარიძე დაუცხრომელ ავტორიას იწყებს საკუთარი გაზეთის ტექნიკისა და გამოცემისათვის საკირო თანხის შეაგროვებლად“...

ალ. ჯაფარიძის უამრავ ლიტერატურულ და პარტიულ ფსევდონიმებს შორის ცნობილია მისი ხელმოწერები: „ა. ტ.“, — „ტ.-ნი“, „ა. ტ. რინი“, „ალ. ტამარინი“, „ა-მა ტამარინი“, „ალ-ტარი“, „ტამარინი“ და სხვ. ამ სახელებით ჯერ კიდევ 1905 წლიდან იცნობდნენ მას ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუჰსკიაი. თუ რსდმპ (ბ) მესამე ყრილობაზე ალ. ჯაფარიძე მონაწილეობდა ა. ვოლუბევის სახელით, ნ. კ. კრუჰსკიამ იცოდა მისი მეორე ფსევდონიმი „ტამარინი“. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნ. კ. კრუჰსკიაი ყრილობის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ 1905 წლის 27 ივნისს კავკასიაში მყოფ ბოლშევიკს დ. ს. პოსტოლოვსკის ქენედლიდან სწერდა: „ზემლიარკა ვაემცეზეა პიტერში, რუმენისაგან (ბ. მ. ქენინანცი) ლეონოვისაგან (მხა ცხაკაია), ტამარინისაგან, კაენევისაგან არაფერი იმის“. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ფსევდონიმი „ტამარინი“ და მისი შემოკლებული სახე „ტ.-ნი“ არ შეიძლება იყო ფილიკო ბ. ქენინანცის ფსევდონიმი, რომელმაც „ბაქინსკიე ვესტიმი“ რამდენიმე ინფორმაცია დაბეჭდა. აგრეთვე უნდა გაითვალისწინოთ ბ. ქენინანცის სულიერი ტაცილები, რაც რეკლუციის უპანდახევაჲ გააღვივა მასში. ამიტომ ცხადია ბ. ქენინანცის პროლეტარული მომარო-

მარიამ სილაგაძე
 ალიოზა ჯაფარიძე — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტი



ბის ფილოსოფიაზე არ შეეძლო ასეთი შეპარ-
თებით დაწერა რამე.

გარდა ზემოთქმულისა, საეარაუღებელია, რომ
ახალ წიგნზე რეცენზიის დაწერა გახეთს დაე-
ვალბენია იმ პირისათვის, ვინც ყველაზე ავტო-
რიტეტულია წიგნში წამოჭრილი საკითხების მი-
მოხილვაში. ამ დროისათვის ალ. ჭავჭავაძე ბა-
ქოში ცნობილი იყო, როგორც ბრწყინვალე მათე-
მატიკოს-რევოლუციონერი, რომელიც შესანიშნავ-
ად ფლობდა კალამს და არა ერთი და ორი საუ-
კეთესო სტატია მოუთავსებია მისივე ინიციატი-
ვით დაარსებულ გაზეთებში („გულკოც“, „ბა-
კინსკი რაბოჩი“, „ბაკინსკი პროლეტარი“). ამას-
თან ალ. ჭავჭავაძის ლონდონის ყრობობიდან პი-
რამდე ნაცნობობა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან. ამი-
ტომც ცხადია, აღნიშნული რეცენზიის ავტორობ-
ის ყველა ვარაუდს მხოლოდ ალ. ჭავჭავაძე აკ-
მაყოფილებს. ვისაც კი წაუკითხავს „ბაკინსკი
რაბოჩის“, „გულკოცის“, „ბაკინსკი პროლეტარი-
სა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყ-
ნებულ ალ. ჭავჭავაძის სტატიები, ის კიდევ
ერთხელ დარწმუნდება, რომ „ბაკინსკო ვესტ-
ში“ გამოქვეყნებული რეცენზია ეკუთვნის ალ-
იოზა ჭავჭავაძის. ამას მოწმობს რეცენზიის ენა,
წერის მანერა და ზოგიერთი ის თავისებური
გამოთქმა, რომელიც ჭავჭავაძის სხვა სტატიებ-
შიც შეორდება.

რეცენზია თავისი შინაარსით დღესაც ვატიუ-
ნარი, ვასოცარია, ხოლო რევოლუციის უკან-
დაბევის პერიოდში, როდესაც ბევრი საუკეთესო
რევოლუციონერი მარქსიზმის შემოქმედებით
განვითარების ყალბ გზას დაადგა, ალ. ჭავჭავაძე
არაჩვეულებრივი ინტელიციით გრძნობს, მახვილი
თვალთ ხედავს და პირთუნელი მსაჯულივით
არჩევს პროლეტარულ საქმის მტერთა და მოყ-
ვარეთა საქმიანობას.

1909 წელს, იმდღეაქრებების პერიოდში ალი-
ოზა ჭავჭავაძემ ვ. ი. ლენინს ამ ნაშრომში დაი-
წინა სწორედ ის, რაც საჭირო იყო ჩვენი საუ-
კუნის 10-იანი წლების დასაწყისისათვის. ეს იყო
მომკრახობის აუცილებლობა, უმიდლობის ჰაობი-
დან თავის დასაღწევად სამყაროს ობიექტური
განსჯა და საკუთარი ძალის შეცნობა, ამათი-
დან, იმდღეაქრებიდან, დღერთათყვანისწყე-
ლობიდან თავის დასხნა.

ალიოზა ჭავჭავაძემ რეცენზიაში გვერდი
აუარა წმინდა ფილოსოფიურ მსჯელობებს და
წინა პლანზე წამოსწია დიალექტიკური მატე-
რიალისმის სწორედ ის საკითხები, რაც უშუა-
ლოდ პროლეტარულ მოძრაობას შეეხებოდა. ეს
არის ადამიანის ცნობიერებაში ობიექტური სამ-
ყაროს ასახვა, შემეცნების დიალექტიკური ხა-
სიათი, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და სა-
ზოგადოებრივი ყოფიერების ურთიერთდამოკე-
დებულება და სხვ.

რეცენზენტს ესმის, რომ ფილოსოფიის დარგ-
ში ვ. ი. ლენინის გამოსვლა იყო კემშარბტი

ბრძოლა იდეოლოგიაში. ფილოსოფიურ რეცენზიაში
მინებით ასახული იყო ნამდვილი ცხოვრება. მა-
ტერიალისტებისა და იდეალისტების სახით აქა-
ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ წმინდა მარქ-
სისტები და მარქსიზმის ფალსიფიკატორები. ამ-
იტომ რეცენზენტი, ცხადია, ამ იდეოლოგიურ
ბრძოლაში ყოველთვის ინარჩუნებს ტენდენცი-
ურობას და ცლილობს რეცენზიით მდალი შე-
ფასება მისცეს „მატერიალისმსა და ემპირიო-
კრიტიციზმს“. როგორც მარქსიზმის ფალსიფი-
კატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ბასრ იარაღს.
ალიოზა ჭავჭავაძე ვ. ი. ლენინს თვლის უკანას-
კნელი ორი საუკუნის ფილოსოფიაში ყველაზე
დღილი ერთიციის მქონე პირიყვანად, რომე-
ლიც აგრეთვე კარგად იცნობს თანამედროვე ბე-
ნებისმეტყველებას. აქედან გამომდინარე, რე-
ცენზენტი დიდ შეფასებას აძლევს ავტორის მი-
ერ გამოთქმულ დებულებებს და ამბობს, რომ
იგი „ყველაზე კემშარბტიდ აჩვენებს, რომ ეს
მოდული „ახალი“ მიმართულებები ფილოსოფი-
აში, ახლოს არიან თავიანთ სიჭაბუკესთან და
წარმოადგენენ ბერკლისა და ოუმის შეხედულე-
ბათა უბრალო გადაღმქვას“.

რეცენზიიდან ჩანს, რომ მის ავტორს ღრმად
სჯერა ვ. ი. ლენინისა. რეცენზია წარმოადგენს
ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ შრომაში წამოყე-
ნებული დებულებების პოპულარიზაციის პირ-
ველ ცდას.

ალიოზა ჭავჭავაძემ ვ. ი. ლენინის „მატერია-
ლისმი და ემპირიოკრიტიციზმი“ შესანიშნავად
გაიგო და „ბაკინსკო ვესტის“ მკითხველებს
რეცენზიით გასაგებად მოუთხრო ამ წიგნში წა-
მოყენებული საკითხები. ეკრძოდა ის, რომ მახის,
ავენარიუსისა და ბეკოლდის მოძველებული
შეხედულებანი უარყოფენ რეალურად, ნამდ-
ვილად არსებულ სამყაროს და ყველაფერი დამ-
ყავთ შეგრძნებათა კომპლექსებამდე, ამიტომ ის
რეაქციულია მარქსისტების ფილოსოფიისა და
ნაწილობრივ კანტის „შეუცნობადი“ ფილოსო-
ფიის მიმართ.

ალიოზა ჭავჭავაძის ამ მომენტში შესანიშნა-
ვად აქვს მომარყვებელი ვ. ი. ლენინის ბრწყინ-
ვალე გამოთქმა: „ჩვენი მახისტების მიერ ზან-
ტის კრიტიკა, არის პურიშკევიჩის მიერ კადე-
ტების კრიტიკა“. აქ არაფერია პარადოქსული,
უბრალოდ, კანტი და კადეტები თავიანთი მღგო-
მარეობით შედარებულია ერთმანეთთან. რეო-
ლუციის უკანდაბევის პერიოდში ყველაზე ნა-
ლებად კადეტებს ენდობოდნენ. მენშევიკები
(პურიშკევიჩი) კადეტებს საყვედურობდნენ,
რომ თითქმის ისინი მეტისმეტად დემოკრატები
იყვნენ, ხოლო ბოლშევიკები კი იმის გამო არ
ენდობოდნენ, რომ დემოკრატები არ არიანო.
ასევე კანტს, როგორც დუღოსტს, ორივე მზრ-
დან აკრიტიკებდნენ: იდეალისტები (მათ შორის
მახი) — მეტრისმეტად მატერიალისტობის გამო,
ხოლო მატერიალისტები — არა საკმარის მატე-
რიალისტობის გამო.



ისე როგორც „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ ავტორი, რეცენზენტიც სასტიკად ამბობდა მახისა და ავენარისის რუს მოწაფეებს ბოგდანოვებს, ბერმანებს, იუშევიჩებს, ბაზაროვებს, რომლებმაც „ვითომ“ ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი იდეების გამოტყობისათვის და მისი შემდგომი განვითარებისათვის რუს მკითხველთა თავში მარქსიზმის გასაღებები ქაოსი შეიტანეს და ნაწილელი „ფილოსოფიური რევიზიონიზმი“ განვითარეს.

ალიოშა ჭაფარიძის გაგებით სწორედ ამ დაბნეულობის, მარქსიზმის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ე. ი. ლენინის წიგნს, რადგან იგი ნათლად და მკაფიოდ ახასიათებდა მარქსიზმის მომღვრებას და მახის შეხედულებებსაც. ამავე დროს, გარკვევით, რელიეფურად ავლებდა ზღვარს მატერიალიზმისა და იდეალიზმს შორის.

„მართალია,—წერს ალიოშა ჭაფარიძე,—მარქსისტული ლიტერატურა რუსულ ენაზე ძალზე მდიდარია, მაგრამ არ შეიძლება არ მივესალმეთ ილინის წიგნს გამოჩენას, მასში ჩვენ ვხვდებით შესანიშნავ იარაღს მკრებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც ამ უკანასკნელ დროს სახელგანთქალ მკითხველს ჰკვებავდნენ ჩვენი მახისტები“.

რეცენზიის დასკვნით ნაწილში ალიოშა ჭაფარიძე იმედს გამოთქვამს, რომ ეს წიგნი უაღრესად დიდ სარგებლობას მოუტანს იმათ, ვისაც არ აქვს საშუალება დამოუკიდებლად გაეცნოს ფილოსოფიის ძირითად საკითხებში. „აღნიშნული წიგნის წაყითხვის შემდეგ საშუალო მკითხველისათვის მნიშვნელოვნად გაადვილდება როგორც მარქსიზმის, ისე მახიზმის შესწავლა“.

ალიოშა ჭაფარიძე მოხიბლულია ე. ი. ლენინის მხატვრული გამოთქმებით, რომლებიც არაჩვეულებრივი ელვარებით ახასიათებენ მღვამარეობას და მოვლენებს: ხშირად თავის რეცენზიაში მოჰყავს ე. ი. ლენინის ეს გამოთქმები— „იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ძველი შეცდომები“, „ბურჟუაზიის გადაღვევა“ „პლაკატობა ბერკლიდან“, „რეაქციული ფილოსოფია“, „უტოპიური მეცნიერებები“, „ფილოსოფიური რევიზიონიზმი“, „ტურგენევის ევროპილოგია“, „გოგოლის პეტრუშკები“, „ფილოსოფიური მენშევიკები“ და სხვა.

ე. ი. ლენინის ფილოსოფიური შრომის — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტი ალიოშა ჭაფარიძე პროფესიონალის თვლით მიმოიხილავს აღნიშნულ წიგნს და მკითხველებს სთავაზობს თავის შეხედულებებს როგორც სარეცენზიო წიგნზე, ისე წიგნში განხილულ საკითხებზე. რეცენზენტი თავის დებულებებს სრულყოფს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმიდან“ მოყვანილი ციტატებით.

ვეფქრობთ, ე. ი. ლენინის ფილოსოფიური შრომაზე — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმზე“ ალიოშა ჭაფარიძის ეს რეცენზია მნიშვნელოვანია იმის მართლ თავისი ოპერატიულობით, რამედ თავისი მხატვრულობითა და მაღალი დეურობით.

ვლ. ილინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი.

კრიტიკული შენიშვნები ერთ რეაქციულ ფილოსოფიაზე.

ახლანდელ გამოვიდა ვლ. ილინის (ლენინის) დიდი მოცულობის წიგნი, მიძღვნილი მახის, ავენარიუსისა და მათი რუსი მოწაფეების კრიტიკისადმი. უკანასკნელი ორი საუკუნის ფილოსოფიური ლიტერატურაში სოლიდური ერთდროის მქონე ავტორი, რომელიც აგრეთვე კარგად იცნობს თანამედროვე ბუნებისმეტყველებას, ყველაზე უკუშარბილად აჩვენებს, რომ ეს მოდერნი „ახალი“ მიმართულებები ფილოსოფიაში, ახლოს არიან თავიანთ სიჭაბუკესთან და წარმოადგენენ ბერკლისა და იუმის შეხედულებათა უნერალ გავლენებს. ამგვარად, მათ აქვთ ოპია წლის წარსული, მახის, ავენარიუსის: პეკოლდტის და კომპ. შეხედულებანი რეაქციულია არა მარტო მარქს-ენგელსის მეცნიერულ ფილოსოფიისთან, არამედ ე. კანტის (შეუცნობადი) ფილოსოფიის მიმართაც. „უახლესი პოზიტივიზმი“ ამ წარმომადგენლების მიერ სრულიად უარყოფილია „საგანი თავისთავად“. რეალური, ნამდვილად არსებული სამყარო შეცვლილია შეგარბნებათა კომპლექსით. მათი ცნობილი წარმომადგენლის—მახის ზოგიერთი ადგილი განუწყვეტელი პლაკატობაა ბერკლიდან. „არც ერთი მოსაზრება, აზრის არც ერთი ნაპერწკალი აქ არ არის, გარდა იმისა, რომ ჩვენ შევიგარბნებთ მხოლოდ ჩვენს შეგარბნებებს. მათი ფილოსოფია—სახსხვაობაა დაბნეული იდეალიზმისა, შავალითა ეკლექტიკურ-მთხოვრული ნამცეცობისა, რომელზედაც დამსახურებული სიძულელით ლაბარაკობდა ენგელსი“. მას მივეყვართ სოლიდისიზმთან. „უახლესი პოზიტივიზმის“ უკანასკნელი სიტყვა სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფიური ობსკურანტიზმი, — სუბიექტური იდეალიზმის აბსურდამდე დასული, „ფიდეიზმის ის ძველი ფორმული“, რომელიც ამხილა ჭერ კიდევ ფიფიბაზმა. იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ძველი შეცდომები მათ ბურჟუაზიან სიტყვათა ქაოსში ახვევს.

მარიკა სილაბაძე

ალიოშა ჭაფარიძე — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტი

მომაკვდინებელ, საოკრად ნათელ კრიტიკასთან ერთად ავტორი პარალელურად ანვითარებს დიალექტიკური მატერიალიზმის შეხედულებებს განსახილველ საკითხებზე. იგი მთელ თავის ყურადღებას უთმობს ყოფიერების ცნობიერებასთან დამოკიდებულების საკითხს, რომელიც უფსკრულადაა ჩაწოლილი იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის.

რუსმა მახსიებმა, ემპირიომონისტებმა, ემპირიოსიმბოლისტებმა და სხვებმა, ყველა მათ, ბ. ბ. ზოგდანოვეზმა, ბახაროვეზმა, იუშევიჩებმა; ბერძენებმა, კომპ., ლენინის თქმით, თავისთვისაც კი ვერ აითვისეს მახის და ავენაროუსის შეხედულებანი, მაგრამ ისინი ხშირად იყენებენ მას, ვითომ ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი იდეების განმტკიცებლისათვის და მისი შემდგომი განვითარებისათვის. მარქსიზმის სახით ისინი მკითხველებს აწვდიან ნამდვილ—თუ ავტორის სიტყვებით გამოვხატავთ.—ხარახურას, „რალაც დაუჭერებელს, აღრეულს, საზიზღარსა და რეაქციულს, ყველაზე უღმერთო არეულობის უძირო უფსკრულს, ყველაზე საშინელ გაუგებრობას“. მათ ემინიათ აშკარად დაუპირისპირდნენ მარქსსა და ენგელსს და ამიტომ გულდაგულ მაღავენ მარქსიზმიდან თავიანთ განდგომას. ამით ისინი აწყობენ ნამდვილ გაღაშებებს მარქსიზმის წინააღმდეგ, ისინი ანადგურებენ დიალექტიკურ მატერიალიზმს. მიმართავენ პლენანოვის კრიტიკას, თითქოს პლენანოვს ვერ გაეგოს მარქს-ენგელსი და დაემახინჯებინოს მათი შეხედულებები განსაკუთრებით ერთი საკითხის გაგებაში—„საგანი თავისთავად“. ამით მათ განაკითარეს ნამდვილი ფილოსოფიური რევიზიონიზმი.

ილინის თქმით—ზოგდანოვი, იუშევიჩი და კომპ. უტყვიან მეცნიერებია, მხოლოდ „გოგოლისეული პეტრუშკები“, „ტურგენევის ვორი-

შილოეები“, „ფილოსოფიური მენსიკოეები“. ისინი პლენანოვის წინააღმდეგ თინბაშისა და რქსიზმს აკრიტიკებენ არა მარცხნიდან, არამედ მარჯვნიდან. „ჩვენი მახსიებების მიერ კანტის კრიტიკა არის პურიშევიჩის მიერ კადეტების კრიტიკა“.

მართალია, მარქსისტული ლიტერატურა რუსულ ენაზე ძალზე მდიდარია, მაგრამ არ შეიძლება არ მივესალმოთ ილინის წიგნის გამოჩენას. მასში ვხედავთ შესანიშნავ იარაღს მკრეხელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც ამ უკანასკნელ დროს საშუალო რუს მკითხველს კვებავენ ჩვენი მახსიებები. ისინი არასწორად გადმოგვცემენ მახს, ავენაროუსს და სრულიად ამახინჯებენ მარქს-ენგელსის სწავლებას.

ეს წიგნი არ წარმოადგენს იდეალიზმისა და მატერიალიზმის სისტემების ჩამოყალიბებულ თხრობას, მაგრამ ის დიდ სარგებლობას მოუტანს საშუალო მკითხველს, რომელსაც არ აქვს საშუალება დამოუკიდებლად გაერკვეს ფილოსოფიის ძირითად საკითხებში, ამ წიგნში კი იგი შესანიშნავად არის გადმოცემული. აღნიშნული წიგნის წაკითხვის შემდეგ საშუალო მკითხველისათვის მნიშვნელოვანად გადავიღება როგორც მარქსიზმის, ისე მახსიზმის შესწავლა. წიგნი მხოლოდ ამ საშუალო მკითხველისათვის არის დაწერილი, რადგან მათ, ვინც მარქსიზმს პირველ წყაროებით იცნობს, დიდი ხანია უკვე აღარ სჭერათ მახის, ავენაროუსისა და მათი რუსი მიმდევრების.

საშუალო და რიგითი მკითხველისათვის მომლელი არ იქნება ის მრავალრიცხოვანი გამოკრებანი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ უხდება ავტორს აზრის ნათლად გამოსახატავად, რათა უფრო გარკვევით, რელიეფურად გაელოს ზღვარი მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის.

საქართველოს ქრონიკა

ზურაბ ჟიჟინაძე

«არ შეამოკლოს ქართული»...

«Где начало того конца, которым оканчивается начало?»

მკითხველის წინაშე არღი თაყაიშვილის ორი წერილი „არქაიზაციის“ თაობაზე. პირველი დაწერილია საკუთარი ინიციატივით. მეორე, შეიძლება ითქვას, აუცილებლობით, პირველში გამოთქმული დებულებების განსამართლად, რადგან, მისივე აზრით, „ოპონენტები“ კარგად ვერ გარკვეულან ავტორის პოზიციას. კრიტიკოსი ორივე შემთხვევაში თავისუფალი იყო, მას სრული შესაძლებლობა ეძლეოდა უფრო ცხადად გამოეთქვა საკუთარი შეხედულება; მოსალოდნელი იყო მოეხმო ახალი არგუმენტები, უფრო ვრცლად წარმოედგინა განსახილველი მასალა, განრულად განეხილა თარგმანები (რაზეც ადრე, პირველ წერილში, რატომღაც უარი თქვა), და, რაც მთავარია, აეცდინა წინა წერილში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები და ლოგიკური შეუსაბამო-ბანი.

მე შევეცდები გავარკვიო სამი რამ: 1. რამდენად ლოგიკურია ორი წერილის ავტორი საკუთარ გამოხატვაებში, 2. რამდენად შესაძლებელია გამართლდეს ავტორის პოზიცია იმ არგუმენტებითა და ანალოგიით, რომელთაც იგი მოიხმობს და 3. რამდენად სწორია ავტორის პოზიცია „არქაიზმის“ საკითხში, როცა საქმე ეხება ძველთაძველ, ხუთმეტასაუთუნოვან ქართულ სამწერლო ენას.

საბოლოოდ სამივე კითხვა ერთი კითხვის ქვეშ იყრის თავს: შესაძლებელია თუ არა საერთოდ დასაბუთდეს ის შეხედულება, რის დასაბუთებასაც ორი წერილის მანძილზე ცდილობს არღი თაყაიშვილი.

ვიღრე საკითხის არსებით მხარეზე გადავიდოდე, მკითხველს შევახსენებ, რა კვალიფიკაციას აძლევს კრიტიკოსი მთარგმნელებს და მათი თარგმანების ენას: „ზემოთ აღნიშნულ მთარგმნელებთან კი გვაქვს მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმამლემდე აყვანილი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ“ („ისიკარი“ № 4, გვ. 126), „არქაიზაციის მძაფრი განცდა“ (№ 4, გვ. 125), „არქაიზმებისაკენ ასეთი მკვეთრი ორიენტაცია“ (№ 4, გვ. 127), „მეტისმეტი გაჭრათულება“ (№ 4, გვ. 125), „პირწაარდნილი არქაიზმი“ (№ 4, გვ. 139), „ძველი ქართულიდან გადმობიზნული“ (№ 4, გვ. 133), „დღევანდელ მეტყველებაში შემოჭრილი“ (№ 4, გვ. 133), „დასტურდება აგრეთვე ხმარებიდან საერთოდ ამოღებული და წარსულს ჩაბარებული ფონდი“ (№ 4, გვ. 134), „ამათგან მცირე ნაწილი საერთო-სახალხო ენაშიც კი არის შემოღწეული“ (№ 4, გვ. 137), „უკუღმა“ წერალაპარაკის ნაშთები“ (№ 4, გვ. 132), „სალიტერატურო ენის ნორმებიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში“ (№ 4, გვ. 135), „ენის ერთ სისტემაში იჭრება სხვა სისტემის სემანტიკური ღირებულებანი“ (№ 4, გვ. 137).

ყველაფერი ეს ნათქვამია მშობლიური ენის მიმართ, რომლის თავგამოღებულ დანაცვლად გვევლინება ზემოთმოყვანილი ფრაზების ავტორი; ნათქვამია აგრეთვე მთარგმნელთა იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც იგი „მოწინავე ფრთად“ იხსენიებს. აღარაფერს ვიტყვი ამ ფრაზების ეთერ მხარეზე, მაგრამ ცხადია,



რომ მათში გამოხატული აზრი ავტორს უკვე დამტკიცებულ ჰქონდა, მიხარია. მისი ღრმა რწმენით, ორივე წერილი ამ უცნაურ და გამოთქმული აზრების უეჭველი დასაბუთებაა. და ბოლოს: „არ არის ძველ ძველებსა და სულხან-საბას ლექსიონში არც ერთი საინტერესო სიტყვა, რომელსაც ახალგაზრდა მთარგმნელთა ენაში ადგილი არ ეპოვოს“ (№ 4, გვ. 134).

ორი რამ ითქმის ამ ფრაზის შესახებ: ან ავტორი წინააღმდეგობაში ჩაყარდნოდა (სხვა შემთხვევაში დაწერდა: „არც ერთი არქაული სიტყვა“) ან უნებურად გასცა თავი და მთარგმნელების პოზიციას ვადავიდე: მთარგმნელებით ხომ იმ აზრის არაინ, რომ ეს სიტყვები ს ა ინ ტ რ ე ს ო ა. თუ კრიტიკოსიც საინტერესოდ თვლის მათ, რა უშლის ხელს, მისი აზრით, მათ გამოყენებას?

მას შემდეგ რა ჩამოთვლის მის მიერ არქაულად მიჩნეულ სიტყვებს (ბინარი, ზილი, უზირი, ხენეში, ძნობა, ნაქრტინი, მთიები...), ასეთ განმარტებას იძლევა: „შეტის დასახელებას აზრი აღარ აქვს, რადგან ახალგაზრდა მთარგმნელთა არქაული ლექსიკონს მარაგი ამოურწყავია. იგი ალბათ თავისუფლად გასწვდება სულხან-საბას „სიტყუესკონის“ ხელა ლექსიკონს“ (№ 4, გვ. 138). (უკანასკნელი ფრაზა აშკარად ირონიულია).

სხვაგან კი წერს: „დალექტიზმებთან, ნეოლოგიზმებთან და ბარბარიზმებთან ერთად მის (არქაიზმს. ა. თ.) ეუყურებთ, როგორც ენის გამდიდრების ერთერთ და უ შ რ ო ბ ე ლ წყ ა რ ო ს (ხაზი ჩემია. ზ. კ.). ოღონდ ვიზო-ულობით მის მიმართ თავშეკავებულ დამოკიდებულებას, მხოლოდ საკურობების შეზღვევაში გამოიყენებას“ (№ 4, გვ. 150; № 8, გვ. 127).

მეთხებლმა განსაჯოს, რაღა ის „დაუშრობელი წყარო“, რომლის მიმართ თავშეკავებას გამოვიჩნეთ, იმათივე დაეშრობთ? რაღა თქმა უნდა, მთარგმნელების „არქაული ლექსიკონის მარაგი ამოურწყავი“ იქნებოდა, უკეთეს იგი ენის გამდიდრების „დაუშრობელი წყარო“.

ერთ-ერთი ანალიზის შემდეგ კრიტიკოსი ასკვნის: „უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოებებს სტილისტურად, მაღალ დონეზე გამართვის ამოცანა მიღწეულია. უცხო (ძველი) სურნელისა და აღნაგობის სიტყვები სამკაულბეჭით არიან გაბნეული ენობრივ ქსოვილში, მეტ სიღარბა-ისლეს აძლევენ სათქმელს. მისი ესთეტიკურად აღქმის ბარწყინვალე (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ფონს ქმნიან“ (№ 4, გვ. 138).

ასეთი შეფასებისათვის, თუ იგი ირონიულად არ არის ნათქვამი (ექვს იწვევს პირდაპირი ვაგებთ ნახშირი „ბრწყინვალე“, რომელიც ენის ესთეტიკური შეფასებისას მხოლოდ გადატანილი მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს), მთარგმნელები მაღალს მოახსენებენ კრიტიკოსს: ჰომეროსი, პლატონი, დანტე, თავორი და

სხვანი დარბაისლური ენით ამტკიცებენ მათსავე ქართულად, არც ბრწყინვალე დაძველებათ. „სტილისტი მოემი“, რომელიც ნაკლად უთვლიდა საკუთარ თავს „არ მქონდა ენის ბრწყინვალეების ტალანტი“ ასერიგად ვერ გაართმევდა თავს ამ საქმეს. და მით უფრო საკრიტიკოა, რომ კრიტიკოსი მას მთარგმნელების საწინააღმდეგოდ ალაპარაკებს, რაც თვით მოკმს არასოდეს მოუფიქროდა აზრად. ხომ იქვე აგრძელებს მოემი: ბრწყინვალეების ტალანტი მომწონდა სხვათთან, მაგრამ დღი დღით მის გადასარმვას ვერ ვახერხებდით (№ 4, გვ. 138).

მაგრამ სრულიად მოულოდნელად ამ „ბრწყინვალე“ შეფასებიდან კრიტიკოსი უკან იხეხს და მეორე ამბავშივე წერს: „ძველი „მკვლარი“ ელემენტების უკარად შემოტანა და გაციცხლება კი იწვევს ნაწარმოებში მეორე, მხატვრული პლანის მეტრსტელად წინ წააოწყვას. მაგრამ ამ მხრივაც მიზანი მიუღწეველი რჩება“.

ყარ ერთი, უკეთეს მკვლარი ელემენტების გაციცხლება შედლეს მთარგმნელებმა, რაღა სადავო: მიზანი მიღწეული ყოფილა.

შემდეგ, თუ ვიკითხავთ რატომ დარჩა მიზანი ნაწილობრივ მიუღწეველი, გვიპასუხებს: „მაგრამ არ დაგვაიწყვეს, რომ ენას მხოლოდ ექსპრესიული ფუნქცია არა აქვს. მისი უპირველესი მოვალეობაა იყოს კომუნიკაციის მოქნილი იარაღი. განმაცვიფრებელი მოსარებაა: „ენა კომუნიკაციის მოქნილი იარაღია“. ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ რომელი ფუნქციაა უპირატესი სიტყვაჯამულ მწერლობაში? ვანა შეიძლება ითქვას, რომ აქ კომუნიკაციის ფუნქცია მთავარია, ხოლო ექსპრესიული — მეორეხარისხოვანი? მხატვრულ ლიტერატურას ხომ იმის გამოც ეწოდება მხატვრული, რომ აქ ენა ესთეტიკური ფუნქციონირებს უპირატესად. მეტა: კომუნიკაცია აქ ესთეტიკას ემსახურება, ხშირად ეწიერა კიდევ. ა. თაყაიშვილის წერილებიდან ირკვევა, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ გადამოიკება აზრი, ოღონდ იგი ყველა სათვინს გასაგებელი იყოს. ამასთან კავშირში შემოქმედის „ყოველდღიური მეტყველების“ ცნება და დანიშნებით ამტკიცებს ღია კარს:

„მასწავლამ, არქაიზმის პირველი ნიშანი ყოფილა ის, რომ აღარ გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში“ (№ 8, გვ. 129).

„სხვადასხვა მიზეზით უფრო მეტად მოქმედების რადიუსი, თანდათან პასიურნი ხდებიან და ბოლოს ტოვებენ ცოცხალი მეტყველების სფეროს“ (№ 8, გვ. 128).

„მამინ ამ სიტყვებთან უმეტესი არქაიზმად უნდა მივიჩნიოთ: არქაიზმი მათგანი სასაუბრო მეტყველებაში აღარ იხმარება“ (№ 8, გვ. 131).

ერთგან „მოპონეტებს“ კაცხავს: „მათ მიიღეს, რომ ეპოეტი „ხმარებიდან გამოსული“



უსამართლოა და ჭვარს უსვამს ამ სიტყვათა საერთოდ არსებობას. მაგრამ ისინი არ დაუცვირდნენ (ან არ უნდოდათ დაყვირებოდნენ). თუ ენის რომელი სფეროდან ვადავს არქაიზმები. ესაა ცოცხალი მეტყველება, ჩვენი სასაუბრო ენა“ (№ 8, გვ. 128).

უცნაური საყვედურია! რისთვის დასჭირდა კრიტიკოსს „სასაუბრო მეტყველებას“ მოშველიება? რამდენადაც მასსთვის პირველ წერილში მას ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს. „ობონენტებმა“ თავიანთ წერილებში ლექსიკონებისა და თანამედროვე ლიტერატურის საფუძველზე დაუხსნათეს კრიტიკოსს, რომ აღნიშნული ლექსიკა არ არის „ხმარებიდან გამოსული“; რას წარმოადგენდნენ ისინი, რომ ა. თაყაიშვილი მხატვრული თარგმანების განხილვისას ყოველდღიურ მეტყველებას გულისხმობდა? მის მიერ გაანალიზებული თარგმანები ხომ სალიტერატურო ენაზეა შესრულებული? მთარგმნელებს კრიტიკოსის მიერ მოქმედებულად და „მკვდარად“ გამოცხადებული ლექსიკა მართლაც მოქმედებულად და „მკვდარად“ რომ მიეჩნიათ. ერწმუნოს მათ ა. თაყაიშვილი, არც გამოიყენებდნენ მას. საკითხავია, ვის ესხმის ან ვისგან იცავს თავს კრიტიკოსი? მთარგმნელები სასაუბრო ენაზე არ თარგმნიდნენ და არც მოსვლიათ აზრად, რომ ვინმე ასეთ უცნაურ პრეტენზიას წაუყენებდათ, — ყოველდღიური ხმარებიდან გამოთხუღ სიტყვებსა და გამოთქმებს რატომ ხმარობთ.

ჭეშმარიტოყვანილ ფრაზაში კი კრიტიკოსი უკვე მთარგმნელებს ეთანხმება; იგი ხომ საკუთარი ნებით წერს: „სიტყვა თუ სასაუბრო მეტყველებაში ვაჭრა, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მან საერთოდ შეწყვიტა არსებობა (მხოლოდ საუბარში დადასტურებული ერთეულებით რომ ამოიწურებოდეს ენის ლექსიკური ფონდი, მეტად საეკალაო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდი)“ (№ 8, გვ. 128). უკანასკნელი ფრაზა აეტორს ფრჩხილებში რომ არ ჩავსვა და ვაეღრმავებინა მასში გამოთქმული აზრი, ბევრ გაუგებრობას იცილებდა თავიდან. ამის ნაცვლად აი როგორ მოიქცა:

„მე ჩემს წერილში მათი თარგმანიდან შავად გამოიყავი ისეთი სიტყვები და გრამატიკული ფორმები, რომელთა უმრავლესობა (ამაში თვითონაც დამეთანხმებიან) აღარ იხმარება ყოველდღიურ მეტყველებაში. ამით მინდოდა ხაზი გამესვა ამ ფაქტისათვის, თუ ენის ლექსიკის რა უქვეყლეს ფენაზე (და თანაც რა დღი და ღობით, — ეს არსებითია) ამხეილებენ ყურადღებას ისინი“ (№ 8, გვ. 128).

რატომ ჰკონია ა. თაყაიშვილს, რომ თუ სიტყვა ყოველდღიურ მეტყველებაში აღარ იხმარება, უსათუოდ „ლექსიკის უქვეყლეს ფენას“ ვანუქეთენება; „ღმერთი“ და „კაცი“ სწორედ

ამ ფენიდან მოდის, მაგრამ ყოველდღიურ მეტყველებაში მიიწე იხმარება და ვის მოუფრიალდა მათი „არქაიზმებად“ გამოცხადება?

მე მაინც კითხვას შევებრუნებ კრიტიკოსს: ვის მეტყველებაში აღარ იხმარებიან მის მიერ შავად გამოყოფილი სიტყვები და გრამატიკული ფორმები? ვისი სალაპარაკო მარაგით სურს მას შეზღუდოს სალიტერატურო ენა? ვისი მეტყველების ფონზეა შესაძლებელი სალიტერატურო ენაში ნახმარი „არქაიზმების“ შავად გამოყოფა?

რაკი დამტკიცებულად ჩათვალა მთარგმნელთა „არქაული პოზიცია“, კრიტიკოსს მიზნად დაესახავს უცნაური სურვილი — აიყენოს „რამდენად ბოლომდე თანმიმდევრული არ არიან მთარგმნელები არქაიზაციის მიმართ და რატორ უშლის ხელს ამ პრინციპის დარღვევა მასლის მთლიანობაში აღქმას“ (№ 4, გვ. 139).

თორმე, ნუ იტყვით, მთარგმნელებს რომელთადაც „გვაქვს მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმძლედმე აყვანილი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ“, ერთი დასრულებული მონაცემითი კი არ გაუშვართათ ძველქართულად.

ამ მსჯელობას კრიტიკოსი „თითქოს პარადოქსულს“ უწოდებს, მაგრამ ჩემი ფიქრით, თითქოს პარადოქსული კი არა, კუშმარტიად პარადოქსულია, მით უმეტეს, რომ ერთი ხელისდაკერით არდევს მის ორსავე წერილში „დასაბუთებულ“ აზრს მთარგმნელების არქაიზმების თაობაზე.

აი, მისი ანალიზი: „მე გვიპტელთა გვერდით და მკუნარი იყო მოსლოდნელი“. (მთარგმნელთა: „დამკუნარი“).

„თვისი სახელი“ უფრო სტილი ჩაქდებოდა და ძველი ნორმის თვალსაზრისითაც გაიწყობოდა“ (თარგმანში სწერია: „დაე, მან თავად ვავიმედანით თვისი სახელი“).

ამ საქმიანობას კრიტიკოსი „ძველი ქართულის მიხედვით ვაჩალებს“ უწოდებს.

საკითხავია, რატომ საყვედურობს მთარგმნელებს კრიტიკოსი, მათ ხომ არც უცლიათ ტექსტის გაწყობა ძველი ქართულის ნორმების მიხედვით? აქედან მხოლოდ ეს ჩანს: კრიტიკოსი მისდა უნებურად მთარგმნელთა პოზიციაზე გადადის, — კრიტიკოსი გადაპარბებული არქაიზაციის მოწინააღმდეგეა, ისევე როგორც მთარგმნელი, რომელიც ფრაზას მთლიანად „ძველი ნორმის თვალსაზრისით არ აწყობს“. დამტკიცდა ის, რისი დამტკიცებაც მიზნად დასახული არ იყო: ახალგაზრდა მთარგმნელების ენა არ ყოფილა არქაული, „დაღოკებული სურვილი“ რაღაც ძალით დაოკებულა.

ზურაბ კინაძე

„არ უპამოკლოს ძართული...“



რომ ერთი დასრულებული პერიოდიც კი არ გაუმართავთ არქაულად...

ეს უნებლო წინააღმდეგობა მხოლოდ იმის შედეგია, რომ კრიტიკოსმა თვითნებურად დააყენა მთარგმნელი „არქაიზაციის პრინციპზე“, და რაკი ტექსტებმა ეს არ დაუდასტურეს, მთარგმნელი თვით გახდა კრიტიკოსის ვაჟიკების მსხვერპლი: ბოლომდე რატომ არ ვაქვს ეს პრინციპი დაცული, ჩემს აკვირებულ აზრს რატომ არ ეთანხმებით?!

საინტერესოა, რა დაკენას გამოიტანდა კრიტიკოსი ქვემოთ მოყვანილი ფრაზების თავისებური ანალიზის საფუძველზე, იქნებოდა თუ არა ვიორტი მერტლუე თანმიმდევრული არქაიზტი, ამ მოდერნისტი: რამეთუ ცათა შემოქმედი და ანგელოსთა დამზადებელი და ქვეყანისა დამამტკიცებელი და ზღვითა დამამყარებელი, და წულილაღთაცა საქმეთა მოქმედე ხარ; ან რას იტყვის სახარების თარგმანზე: „მოვიდა ძე ვაცისა, ჰამს და სვამს და იტყით: აჰ, კაცი მკამელი და მსუმელი ღვინისა და მევობარი მეზვერეთა და ცოადვილთა (ლუკა, 7, 34); ყუველივე მის მერს შეიქმნა და თვისნიერ მისა არცა რაი იქმნა, რაოდენი-რაი იქმნა“ (იოანე, 1, 6-7).

მე მგონი, მებატეობა თუ ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ დავიცავი „შავით“ გამოყოფის პრინციპი, რადგან თვით ამ პრინციპის ავტორიც არ არის ბოლომდე თანმიმდევრული: ბართაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“ გამოჩენილი ისეთი „ერთეულები“, როგორცაა — „უმსხვევრალა წადილს სამოთხისა მშვენიერება“ (დღეს იტყვიან: სამოთხის მშვენიერება სურვილს ანავალა), „იხილა“ (დღეს ამბობენ: დაინახა), „არა დაპქროლონ“ (დღეს საუბარში იტყვიან: არ დაუბერონ), „რაც ვიზრახო მე“ (დღეს: რასაც მე გავიფიქრებ). — განა ესაა დღევანდელი სასაუბრო მეტყველება?

ეს კიდევ არაფერი. „ჩემი ლოცვის“ პასტერნაკისეულ თარგმანშიც აღმოაჩინა მან არქაიზმები: отец небесный, отцу родному, пристань тихую, პასტერნაკის ორგინალურ ლექსებში კრიტიკოსი უფრო მძაფრ „არქაიზმებს“ იპოვნის («где дней порвалась череда», «гражданской плыл панихидой») და სხვა მრავალი, ძენაც არ არის საჭირო). განა ვისმე ახრად მოუვა. ეს ფაქტები რუსული სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევად შეაფასოს? აი სადამდე მიდის ფორმალისტურ-გრაზმაცული ანალიზი პოეტური ენისა.

ასევე თანმიმდევრული არ არის კრიტიკოსი, როდესაც ქვემოთმოყვანილ სტრუქტურაში შემდგენიარად გამოჰყოფს „არქაიზმებს“: „უკვრატ-ლი ხრწნადისგან შემტრეცებულ სიცოცხლეს ჩემსას და შევიცანი წარამავალი წუთოსველს“ (№ 4, 139). თუ თანმიმდევრული იქნებოდა,

ამ სტრუქტურაში ყველა სიტყვა „შავად“ უნდა გამოყოფილიყო. რა დამავა სიტყვებმა „შევიცანის“ „წარამავალი“, — ვინ ხმარობს ამ სიტყვებს ყოველდღიურ საუბარში? თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, „წუთოსიველიც“ მალე არქაიზმად იქცევა, ვითარცა „საამისოდ გამზადებულ“.

ახლა ვეითხებოთ რატომ უეჭვინებს კრიტიკოსი მთარგმნელებს, ძველქართულში თანმიმდევრულნი არა ხართო. კვლავ ერთი უცნაური აზრის დასამტკიცებლად, რომელიც ისევ ავტორის წინააღმდეგ მიდის:

„ეს ფაქტები მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ ძველი ქართულის ნორმები მთარგმნელთათვის არც ისე ორგანულია. როგორც კი ყურადღება მიუღწევია, დაეარება კონტრალი, ქვემოთობერად ხდება ახალ, „მშობლიურ“-ფორმათა ამოტივტივება“ (№ 4, გვ. 140).

ავტორის მსჯელობიდან გამოდის, თითქმის ძირითადი ფონი თარგმანისა ძველქართული იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში რის ფონზე ამოტივტივდება (თუ ის მართლაც ამოტივტივდება) „მშობლიური“? ისე „უცხო ენის“ ფონზე, რომელიც ძირითადია. თუმცა ავტორისავე თქმით, არაორგანულია და „შესწავლილის შთაბეჭდილებას ტოვებს“. მაშასადამე, ძირითადი ტექსტი ხელოვნური ყოფილა, ცნობიერი კონტრალითა და ნაძალადევად დაწერილი, მხოლოდ აქა-იქ იჩნეს თავის მშობლიური ნაჯადი, მხოლოდ აქა-იქ. მაგრამ კრიტიკოსი არც კითხულობს, თუ რა მანქანებით შეძლეს მთარგმნელებმა მათთვის არამშობლიურ ენაზე წერა (თარგმან უცხო ენიდან ნაკლებად უცხო ენაზე!). ასე ხელოვნურად და ძალდატანებით თარგმნილია თურქ „ფედონი“, „ნადიმი“, „მპავავატ გიტა“, „გერტანჯალი“, ისაკიანის პოეზია და სხ.

თუ ეს ასეა, რატომ პირდაპირ არ აცხადებენ ა. თაყაიშვილი ამ თარგმანების ენას ძველი ქართული ენის პაროდიად?

ნუთუ დარწმუნებულია კრიტიკოსი, რომ უკეთეს სხენებული მთარგმნელები მოისურვებდნენ ძველქართულად წერას, გაუპირდებოდათ მისი ათვისება? (შეცდომებისაგან არც ახალ ქართულზე წერისას არის ვინმე დაზღვეული). ბოლოს და ბოლოს ლაინტურის სწავლობენ და შემდეგ დისტრატციას წერენ ამ ენაზე, ოპონენტებზე ლაინტურად ეპაფერებიან დისტრანტებს. რად გაპირდებოდა ძველი ქართულის სრულყოფილად შესწავლა? ზოგიერთმა უცხოელმა ქართველოლოგმა კლასიკური ქართული უკეთ იცის, ვიდრე სისაუბრო ქართული.

დღეს არავინ ცდილობს აღადგინოს ძველი ქართული მიეღო მისი სისრულით, — სინტაქსური კონსტრუქციებთანა და მორფოლოგიური ნორმებით. სწორედ ეს იქნებოდა ნამდვილი არქაიზაცია, ანტონის სკოლის ენობრივი პო-



ზიცია. ამიტომ მისამართისა ადენილი გამაფრთხილებელი შესვენება „გასულ საუკუნეში ამავე პოზიციისათვის ბრძოლის შედეგებისა“ (№ 8, გვ. 141).

ეს ვაფრთხილება ფუძე რომ არ გამოდგეს, კრიტიკოსი მთარგმნელებისაგან დაყინებით მოითხოვს „არქაისტობის“ აღიარებას:

„სხვათა შორის, ბ. ბრეგვაძე ღიად ტოვებს საკითხს: მიაჩნია თუ არა მას არქაიზმებად ის სიტყვები, რომლებსაც ასეთად თვლის „განმარტებითი ლექსიკონი“? თუ ის თანმიმდევრული არქაისტია, არ უნდა მიაჩნდეს. ჩვენს ექვს ალექსებს მისი ციტატის ბოლო პუნქტი: „... მუდამ იხმარებოდნენ და იხმარებიან ქართულ მწერლობაში“ (№ 8, გვ. 130).

საიდან დასკვნა ა. თაყაიშვილმა, რომ ბ. ბრეგვაძე თანმიმდევრულ არქაისტად თვლის თავს? და თუ თვლის, რატომ არ უნდა მიაჩნდეს არქაიზმებად „განმარტებითი ლექსიკონის“ არქაიზმები? მაგრამ ხომ უკვე გამოიარკვა, რომ არცერთი მთარგმნელი არ არის თანმიმდევრული არქაიტი, რადგან ერთი დასრულებული მონაკვეთიც კი არ გაუმართავთ არქაულად. რა ექვს უნდა ალექსებს ბ. ბრეგვაძის ციტატის ბოლო პუნქტი: „მუდამ იხმარებოდნენ და იხმარებიან ქართულ მწერლობაში“? ბ. ბრეგვაძისათვის ხომ მთავარი ყოფილა, რომ ეს ლექსიცა იხმარებოდა და იხმარება ვანერჩევლად „განმარტებითი ლექსიკონის“ იარაღყევისა.

მთელი დავა თურმე ამ იარაღის ვარსკოტობილეს და მსჯელობაში კვლავ შემოდის სრულიად უადგილო „ყოველდღიური მეტყველება“:

„როგორ მოვიქცეთ ახლა: არ ჩავთვალოთ ეს სიტყვები არქაიზმებად, იმიტომ რომ დღესაც იხმარებიან? სად იხმარებიან მერე, ყოველდღიურ მეტყველებაში? არა, სიტყვაჯანმულ მწერლობაში. მერე ვინ თქვა, რომ არქაიზმის, როგორც ზომიერი ბერძნის (და არა წამყვანი, მამობრავებელი ტენდენციის) გამოყენება აკრძალულია სიტყვაჯანმულ მწერლობაში? არავის არ უთქვამს“ (№ 8, გვ. 131).

სწორედ ასეთ მსჯელობებზეა ზედგამოკრალი „ცნობილი პუნქტი“ კოხმა პრეტორიის აღორზნებლიდან: «Где начало того конца, которым оканчивается начало?».

„არავის არ უთქვამს“. მართლაც არავის უთქვამს, არ უთქვამთ ეს არც „ახალი ცხოვრებისა“ და „ახლ-ალა-მარის“ მთარგმნელებს, რომლებიც სასაბურო ენაზე არ თარგმნიდნენ; არც ა. თაყაიშვილს უთქვამს, მაგრამ ეს თქვა მისმა „ენობრივ-სტილისტურმა ანალიზმა“. არქაიზმი ყველა შემთხვევაში იციკება; არაერთი შედგავით სტილისტურ ბერბად გამოყენებისათვის! ამ პუნქტის საგანგებოდ ქვემოთ განვიხილავ.

კიდევ ერთი კრიტიკოსისგული დაკვირვება:

„ჩვენ წარმოვადგინეთ ლექსიკონის ის სახეობა (ლაპარაკია სიტყვებზე: „ჩნდა“, „ლიდებდა“, „ქნება“, „ხტება“, „ხტული“ და სხვ. წ. კ.), დღევანდელ ფორმებთან შედარებით რომ გამოიყურება არქაულად. ეს არის სალიტერატურო ენის ნორმებიდან მეოთხედრად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში. ზოგ შემთხვევაში გვეგონა, კორექტურულ შეცდომასთან გვეჭონდა საქმე, სანამ ლექსიკონებში არ შევამოწმეთ საეჭვო ერთეული“ (№ 4, გვ. 135).

უცნაური აზრების კიბუხა გვიწევს! „არქაიზმის“ ცნებას მივმატა კიდევ ერთი ნიშანი: სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევა (საკითხვია ისიც, თუ სად, რომელ ლექსიკონებში შეამოწმა კრიტიკოსმა „საეჭვო ერთეულები“, რომლებიც ასე გვანან კორექტურულ შეცდომებს)?

აქამდე ცნობილი იყო, რომ ენის ნორმებიდან გადახვევა გულისხმობდა გრამატიკული და მართლწერის წესების დარღვევას. ახლა კი არქაიზმიც ამ რიგის შეცდომად მოგვეჩინა და ამრიგად, მისთვის უკვე სალიტერატურო ენაშიც აღარ დარჩა ადგილი, რომ აღარადერო ვთქვათ ყოველდღიურ სასაბურო მეტყველებაზე.

გამოაცხადა რა არქაული ლექსიცა „სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევის შესანიშნავი ნიმუში“, ავტორი განაგრძობს: „ჩვენ ისიც მოგვეხსენება, რომ ასეთ ექსპერიმენტებს ერთგვარი მწერლური გამართლება აქვს — მარქსის მისწონის, რომ ლასალი ლექსებულად არღვევდა ლექსთწყობის წესებს, ტურგენევი აღტაცებული იყო გერკენის უფუნურებამდე არასწორი ენით, ბალი ამბობს, რომ ენის ჩვეულ ფორმათა დარღვევები ექსპრესიულობას ემსახურებიან...“

რა კავშირშია ყოველივე ამასთან „არქაიზმები“, რაც კრიტიკოსის მთავარი თემა უნდა ყოფილიყო? თუმცა თვითონვე ამბობს ქვემოთ: „მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მარქსიც, ტურგენევიც, შ. ბალც ამ გადახვევებში გულისხმობენ არა არქაიზმებს, არამედ საერთო-სახალხო ენის ელემენტებს, იმ სფეროს მასალას, რომელშიც ენის განვითარების პერსპექტივა მეტად ჩანს“ (№ 4, გვ. 135).

ამ განმარტებამ სრულიად უადგილო გახადა მთელი წინა მსჯელობა: ევრაფერი დაამტკიცა და საგანი უფრო გააზნდოვანა.

შეითხველმა განსაჯოს, როგორ ეგუება ერთმანეთს ეს ორი კვალიდევაცია — მთარგმნელთა ენაზე „დაკვირვების“ შედეგი:

1. „ეს არის სალიტერატურო ენის ნორმე-

უწარბა კინება

„არ შეამოკლოს ძართული...“

ბიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში" (თვით კორექტორული შეცდომის ილუზიამდე).

2. „უცხოური დღის მეტრებმა გაქართულებამ მიიყვანა მთარგმნელები ერთგვარ დალაპარაკებამდე“ (მეტრები გაქართულება ავტორის მსჯელობაში არქაიზაციის ტოლფასია, რითაც, მისდა უნებურად, „არქაიზაციას“ საცხებით დადებითი მნიშვნელობა ენიჭება), ამ უნებურ აღზრთანა კავშირში კიდევ უფრო უცხოური შეხედულება, რომლის მიხედვით თურმე „ლექსის ხელოვნურობა და ფრაზების არაქართული კონსტრუქციები შესანიშნავად მოერგება ბოლა უილდის თავისებურ წლავას“ (№ 4, გვ. 146). ხოლო ზ. ვამსახურძის „დიდი გემოვნებით შესრულებული“ თარგმანი, რომელიც „გამართლდა მაღალმატერულად“ (მისი სიტყვებით), მხოლოდ იმას გამო იყოსება, რომ „ტრევეს ორიგინალური (ოღონდ ძველი) ძეგლის შთაბეჭდილებას“ (იქვე).

დასასრული არა აქვს კრიტიკოსის წინააღმდეგობებს; მაგრამ მე ამ უქანასწელო მაგალითთა დავასრულებ:

„ჩვენ არ შეგვებით მთარგმნელთა ოსტატობის სხვა მხარეებს, არ გამოვიკვლევთ მათს მხატვრულ-ინდივიდუალურ სტილს (ენის შესწავლას მეორე ასპექტი)“ (№ 4, გვ. 127), მაგრამ როგორც მისი ორივე წერილიდან „ორივეა“, ამ მთარგმნელთა თურმე არც კი განიხილოთ „მხატვრულ-ინდივიდუალური სტილი“. რადგან, ვითარცა „პირწვერდნელი არქაისტები“, სისტემატურად სარგებლობენ იმ „მითოიური მასალით, რომელიც ძვეს ჩვენგან დამოუკიდებლად და ყველას აქვს მისთა სარგებლობის უფლება“, და რომელიც „არ ქმნის ინდივიდუალურ-მხატვრული სტილს სპეციფიკას“.

ამის შემდეგ სრულად მოულოდნელად აცხადებს: „ამრიგად, მთარგმნელთა ინდივიდუალობის მთავრად წარმოჩენა (ხაზო ჩემია. ზ. კ.), მისი პრეტენზია დადგეს ავტორის ყურადღების დონეზე (სტილი ავტორისაა. ზ. კ.), იწვევს მკითხველის გაღიზიანებას“ (№ 4, გვ. 138). აქ, ჩემი ფიქრით, ზედმეტია რაიმე კომენტარი.

ამ წინააღმდეგობებით გაორებული კრიტიკოსი შესდგომია თარგმანების ენობრივ ანალიზს.

გადავდივარ კრიტიკოსისეული ანალიზის ანალიზზე.

მას ფართო გეგმა დაუსახავს: „ჩვენ შევეცდებით დასახელებულ მთარგმნელთა დიდძალი სალიტერატურო მასალის ანალიზზე, აგრეთვე ცნობილ ლიტერატორთა შემოქმედებით გამოცდილების მოშველიებით ვაჩვენოთ, რამდენად ბოლომდე გამართლებული არაა არქაიზებისაყენ ასეთი მკვეთრი ორიენტაცია“ (№ 4,

გვ. 127). ჩემი მხრივ ვეცდები, კრიტიკოსის დაკვირვებათა მოშველიებით ვაჩვენო, რამდენად გამართლებული არაა მისი პოზიცია.

არაფერს ვიტყვი იმის თობაზე თუ რამდენად არასამართლიანია ა. თაყაიშვილი, როდესაც მთარგმნელებს საყვედურობს, თქვენს თარგმანებში „კლასიციოსთა ცნობილი ინტონაციები მოისმისო“ (№ 4, გვ. 128). ნაქლებ საინტერესოა იოტაციისა და ვორტუციტული თანხმოვნების (ეანა, სუნელოვანი და სხვ.), გამოსულითი და მიწვევითი ბრუნვების (მაღლით, ბეოტიას, მოსოვს და სხვ.), ნართანინი მრავლობითის, პოსტპოზიციური წყობის (მისი ევოლიუციითი) „უქელმა წერა-ლაპარაკი“, „ოდესდაც ქართულში სიტყვის თავიკდურად დამჯდარი ჰაეს-ს“ (თითქოს არ არსებობდნენ დღეს სიტყვები: ჰიმნი, ჰარმონია და მისთანანი, თითქოს ჰომეროსი უფრო ძველი ფორმა იყოს, ვიდრე უმირროსი) და სხვა ამ რიგის მოვლენების შესახებ საუბარი (ამ ფორმებით სავსეა ჩვენი ძველი და ახალი დროის პოეზია და პროზა, და არა მხოლოდ სტალისტური მიზნებისთვის ინმარებანი).

მაგრამ საველისხმოა კრიტიკოსის ცდა — „დაამტკიცოს“ განსახილველ თარგმანებში „არქაული ფორმების“ თვითმიზნური გამოყენება. ისიც კი არ სურს დაიჭეროს, რომ მთარგმნელები ასეთ ფორმებს ზოგჯერ სტილისტური მიზნისთვის იყენებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში რას ერჩის ამ ფრაზებს: „მას ეამსა შინა მივლილი ამხდრებულა“ („ახალი ცხოვრებიდან“), „მან გამომიგზავნა შემოდგომის კაბა“ (სველინური ლირიკიდან), „და მეგობარი გელსა შოგან გაუჩინარდნენ“, „ამა სოფელში მწირად დავედვიარ“. (ისაყაინი), „მტკიცედ ვიდევით, ვაოტებდით მტერს უმლიერესს“ („ოდისიადან“), რატომ ჰვინთა კრიტიკოსს, რომ მის მიერ არქაულად ჩათვლილი ფორმები სტილისტური დანიშნულებით არ არიან ნახმარნი ამ ფრაზებში?

არქაულია და გაუმართლებელი: „მსიენარე მეგულა წარიტაცა ჩემი უმანკო კრავი“ („ბატონ ვერო მუნიარის აზრებიდან“); არც კი თვლის საჭიროდ აცნობოს მკითხველს, რომ ამ ფრაზას მეთუდაზნოე ბერი წარმოთქვამს; იქნებ მკითხველი მაინც დარწმუნებულიყო, რომ ამ კონტექსტში წარიტაცა ვერ შეეცდის წარიტაცა-ს.

არქაულია და გამართლებია არ ეძებნება: „ვარდასახლებს გზაზე მიმავალს თან მიმყევ-და ეკაოლი იმვი“ („ფედონიდან“); რატომ მალავს კრიტიკოსი, რომ ამ სიტყვებს სიყველელად გამაზღებელი სოკრატე „სულის გარდასახლების“ შესახებ ლაპარაკობს, რომ აქ მოიყურებო იქნებოდა „ვადასახლებს“?

აი, მისი თვითმიზნური ანალიზის ნიმუში: „პორტო აღდგა და განმარტვა მე“ („გილ-

გამეჭი). აქ დღევანდელი გაქტრდება კი არ იფელისხმება, არამედ უბრალოდ, ვარკვეული მსაზრებოთ, ტანისამოსის ვახდა“ (№ 4, გვ. 137). რატომ ბოლომდე არ უტყდება მკითხველს კრიტიკოსი, თუ რა „გარკვეული მოსაზრება“ ამოქრავება ბოროტ სულს გილგამეშის მიმართ? ებოსის „ნაკუთვლისეულ“ მხატვრულ გამოცემაში კი ამ ადგილას სწერია: „ნაჯახი ჩემი — იმედი ჩემი, ხნჯალი ჩემი — დამცველი ჩემი, საზვიემო სამოსი ჩემი — კახა სასურველი ჩემი! ბოროტმა სულმა ჩემგან წარბაცა“. გვ. 61).

„და შტერად დამდგართ ერთმანეთი არა გეწყინდება“ (ვან ევი). ანალიზი: „აქ ისეთი ფორმაა, რომელიც მივანისნება ახალი ქართლის შტერებე და არა ძველქართულ მიოტერება, მიცქერაზე: და ცქერად დამდგართ...“ (№ 4, გვ. 137).

სრული გაუგებრობაა. მიოტერება ძველქართლისეულია? პირველად მესმის. მაგრამ მთავარი ისაა, რომ შემოთხოყვანილი სტრაიონი კრიტიკოსმა თავისი ტენდენციური ანალიზის გასაადვილებლად კონტექსტს მოწყურება. რატომ დღემალა მკითხველს, თუ რაზეა საუბარი ამ ლექსში? აი რას ამბობს ვან ევი: „შეეცქერი მე მივებს და მიკერებენ მთემი მდღეზარედ და შტერად დამდგართ ერთმანეთი არა გეწყინდება“. თორმე აქ „ცქერად დამდგართ“ უფრო „სტილი ჩაქვებოდა“ ვეიხსენებდი ვეა-ფშაველას, მაგრამ მას ა. თაყაიშვილი ძველი დროის მწერლად თვლის რუსთაველთან, საბასთან, გურამიშვილთან, ბარათაშვილთან, ყაზბეგთან და მაჩაბელთან ერთად (№ 8, გვ. 130).

„ვანსხევაება მხოლოდ ისაა, რომ ოქრო-ვერცხლი მყარი არის, ეს კი თხიერი“ (ბაიამი). კრიტიკოსი შენიშნავს: „ჩვენ ისე შევეჩვიეთ ძველი მნიშვნელობით სიტყვის მოწოდებას რომ თხიერი აქ შესაძლებელია ტიკად მივიღოთ“ (№ 4, გვ. 137). დიდხანს ვეძებ ეს სტრაიონი ზაიამთან და ბოლოს აბუ-ნეუასთან მივაგენი („აღმოსავლური ლირიკა“, გვ. 16). მაგრამ საკითხავია, ვისი სახელით ლაბარკობს კრიტიკოსი? ვინ რას შეეჩვია? მე ვგონი, ა. თაყაიშვილი შეეჩვია „არქაულ“ სიტყვების ძენას, თორემ აბუ-ნეუასის ლექსში ყველა სიტყვა ახალი მნიშვნელობითაა „მოწოდებული“: „აივსო სასმელით მერინახეთაივის ოქრო და ვერცხლი და როცა დღინო დემსგავსა ოქროსა და ვერცხლს. მე ვთქვი: მიოხარით, ოქრო მათ შორის რომელია, რომ შეეადართ? მსგავსად ელვარებს მათი ფერი, ვანსხევაება მხოლოდ ისაა, რომ ოქრო-ვერცხლი მყარი არის, ეს კი თხიერი“.

„პეგის — არსებობს, იწყობება. საწყისი არ უდასტურდება“ (№ 4, გვ. 137). ასეთი „ნაკლოვანი“ ყოფილა ეს სიტყვა. მეორე არგუმენტი

ამ სიტყვის წინააღმდეგ ის ყოფილა, თომქონის იგი ვაზეთის ფურცლებზე უტხო სხეულად გამოიყურებოდა. (№ 8, გვ. 131). დავეთანხმები აქ ავტორს, მაგრამ თავადაც დამეთანხმოს, თუ ჩვენი ვაზეთების ფურცლების ენობრივ ფონს კრიტიკრემად ვერ ჩავთვლით. მაგრამ რატომ არაფერს ამბობს კრიტიკოსი ისეთ ტექსტზე, სადაც სიტყვა „სტილი ზის“ და ძნელად თუ შეიცვლება მისი რომელიმე სინონიმით. მას თავისი გამართლება აქვს:

„...ერთსახოვანი, ღვთაებრივი მშენიერება, რომელიც თავისთავადა, თავის თავში ჰკეის და, ამდენად, არც მიწისაა, არც ცისა“ (პლოტინი, „მშენიერებისათვის“, ბ. ბრევეასის მიერ თარგმნილი, „მნათობი“, 1966, № 9). შეადარეთ ამას დიონისე არეოპაგელის ეფრემ მიკრისტელის ტექსტი: „და ყოველთა მიმართ წინაგამომავალ არს და ჰკეის თავსავე შინა თვისსა... და არც იძრვის, არცა დვას“ (შრომები, გვ. 65, 31-33). ქართველი უნდა ამყობდეს იმ უპატივს, რომ XI საუკუნიდან მონღოლნარე ტრადიციად დღესაც ცოცხალია, რომ ჩვენს ხანაში პლოტინის ქართული თარგმანი დაახლოებით იმავე ენობრივ სამოსელში შეიძლება წარმოვევიდვას, როგორც ჩვენს წინაბრებს დიონისე არეოპაგელის ნაწერებზე.

რა უშლის ხელს „პეგის“ ხმარებას? მხოლოდ ის გარემოება რომ მას გრამატიკული საწყისი „არ უდასტურდება?“ ან ძველ ტექსტებში რომ „დასტურდება?“ უბადრუკი არგუმენტები!

გაუგებარია კრიტიკოსის მსჯელობა „მეტრფის“ მიმართ. პირველ წერილში ეს სიტყვა უხებულ ნეოლოგიზმად („ძველი მიმღობის ანალოგიით გავთებულად“ ჩაუთვალა მთარგმნელს. რაკი „მეორე ოპონენტის“ პასუხამდე მისთვის უტნობი იყო „მეტრფის“ პეტრიწისგან წარმოშობა. ამ სიტყვის გამო ა. შანიძის ციტატით პეტრიწსაც ესმის თავს: „მის სახელს უკავშირებენ იმ ბერძნული კონსტრუქციებისა და მიმღობიანი ფორმების შემოტანას, რომელთაც ისევე დაამძიმეს ბუნებრივი განვითარების გზაზე გასული ქართული ენა“ (№ 8, გვ. 126). ვანა ეს ითქმის „მეტრფის“ შესახებ? ნუთუ ხელაღწერია „მემტრულ“ „საქურბლის“ ვგერდით? პეტრიწის არც უცდია „მეტრფეში“ მამრობითი სქესის მნიშვნელობა ჩავიღო, ამიტომ უდაგილია აქ მეფამეფეს ანალოგია. „მარადის მეტრფი, საუკეთესო მხედლი“ — ამას ამბობს ფილოსოფოსი („ქებათა ქების“ მთარგმნელმა ეს სიტყვა პირობითად გამოიყენა, რათა ქალ-ვაყის დიალოგში გარჩეული ყოფილიყო ქართულად უთარგმნელი

ზურაბ კიანაძე

„არ შეამოსკლოს მართული...“

ებრაული სიტყვები. ქალი ტრფობის საგანი — სატრფო, ვეი ტრფობის სუბიექტი — მეტრფე).

კრიტიკოსი თავისუფლად ხმარობს ტერმინებს „გამოსვლითი და მიწვევითი“, „გზიანებითი“, და არც ახსენდება პეტრიწის პრიორიტეტი მსგავს ფორმთა დამკვიდრებაში. არა მგონია, პირველად ხმარებისას ისინი გარეშე კაცის ყურს უჩვეულოდ არ მოხვედროდნენ. იქნებ თქვას კრიტიკოსმა, რომ ეს ფორმები „ენისშიერი არქაიზმებია“ და მათ დამკვიდრებაში (წინააღმდეგ ყოველგვარი ნორმებისა) პეტრიწის სკოლის მწერლებსა და მთარგმნელებს მცირე წვლილი მიუძღოდეთ?

სრულიად გასაგებ ფრაზას „აბატი კუნიარი უბრალო და უმოკარი კაცი იყო“ არქაიზმებზე ჩასაფრებული კრიტიკოსი ასეთ მაცუთუნებელ განმარტებას ურთავს: „თითქოსდა ასე უნდა წავიკითხოთ ფრაზა: აბატი კუნიარი ერთი ვინმე უბრალო (простой ან скромный) და უმოკარი (შუპოვარი) კაცი იყო. მაგრამ აქ თურმე ძველი მნიშვნელობებია: უბრალო — უღანაშულო (ბრალის არ მქონე) და უმოკარი — ღარიბი, უქონელი (ვისაც არაფერი მოეპოვება)“ (№ 4, გვ. 136). რა ანალიზია ეს? რა ვლინდება? მხოლოდ კრიტიკოსის ავეიატებული სურვილი, ყოველ „სავეუო ერთეულში“ არქაული მნიშვნელობა ამოიკითხოს. უბრალო ციტირებულ ფრაზაში თავის ადგილზეა და რა უეუყო, რომ იგი „უღანაშულოსაც“ ნიშნავს და „მარტივსაც“; ან ვის აერევა უმოკარი შეუპოვარში, თუ არა უცხოელს, რომელიც ეს-ესაა იწყებს ქართლის შესწავლას? (იმევე „ციცქარი“ სადაც ა. თაყაიშვილი თავის წერილებს აწვეყნებს, მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია დახასიათებულა, როგორც „ღაჩაგურულთა და უპოვართა დაუცხრომელი ქომაგი“ (№ 6, გვ. 149).

იქვე ჩანს მისი ავეიატებული მიზანი — არქაიზმზე დადარჯება: მკითხველს აგზავნის „არქაიზმულ“ ოთხთავისავე, თითქოს „ახალი იღუმში“ თარგმანების შემდეგ სიტყვა მცარე ქართულში აღარ იხმარებოდეს მისი ძირითადი მნიშვნელობით. მეორე წერილში კვლავ იმეორებს ამ უცნაურ შეხედულებას და „ასახუთებს“ კიდევ: „მე ვფიქრობ უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვექცეთ ენაში მიმდინარე პროცესებს, სიტყვის სემანტიკურ პლანში ჩვენს თვალწინ მომხდარ ძვრებს“ (№ 8, გვ. 131).

თითქოს სემანტიკური ძვრის შედეგია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ფეხბურთელს შეკარე ვწოდება, თითქოს ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ჩაიყვალა სპორტულ ტერმინოლოგიაში. ნუთუ ასეთივე ბედი მოვლენ სიტყვებს: კარი, მიწდორი, ბაღე, ძელი...? ან იქნებ პირიქით მოხდეს, სემანტიკური ძვრებს

შედევად მომავალში სპორტულ მოედნებზეც კარე შევიყარა შეცვალს? ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ისიც მოხდა, რომ სპორტული ტერმინოლოგიის ფონზე განიხილება პლატონის ქართული თარგმანი. (რა დღეში უნდა ჩაეარდეს რუსულად მოლაპარაკე ადამიანი, რომელსაც СУДЬЯ ზეგუდა სტადიონზე და სასამართლოშიც. არკვიოს, ვისთან აქვს საქმე, მსაჯთან თუ მოსამართლესთან).

მე არ მეგულება მკითხველი, რომელიც სიტყვას უცნობო დოკუმენტის არქონედ ვაივებს დანტეს მშვენიერ სტრუქტურში: „ალბათ უცნობის მიჩნისფერი მგლო სახეზე“. (აქ უკვე კანცელარიის ტერმინოლოგია იწყებს „ამოტიტიკვებას“).

ყოველგვარი მოლოდინს გარეშე ასე სურს კრიტიკოსს (საყუთარი გემოვნების წინააღმდეგ) აღნიშნული სიტყვის გაგება (№ 4, გვ. 136). არ მინდა უმეტრებაში ჩაუვთვალო მას ამგვარი ანალიზი, რომელსაც იგი „არქაიზმში“ გაუღრბობელთათვის აწარმოებს.

კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ მთარგმნელები მკითხველს „ყოველ ფეხის ნაბიჯზე აისბერგებად უხვედრებენ“ „მისთვის უცხო და უჩვეულო სიტყვებს“ (№ 8, გვ. 131).

თუ ა. თაყაიშვილისთვის გასაგებია ეს სიტყვები, რატომ ჰგონია, სხვისთვის უსათუოდ უცხონი და უჩვეულონი იქნებიან? პასუხად იტყვის: მათს ყოველდღიურ მეტყველებაში აღარ იხმარებიანო. არაერთგვარის ფეხვებით ამგვარ პასუხს (№ 8, გვ. 128, 129, 130...). მაგრამ სხვა პასუხიც მზადა აქვს: „მხოლოდ საუბარში დადასტურებული ერთეულებით რომ ამოიწურებოდეს ენის ლექსიკური ფონდი, მეტად საეალოო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდიო“ (№ 8, გვ. 128). სასტრუქლო იქნებოდა დაემატებინა, რომ არც მკითხველის ლექსიკური მარაგი უნდა ამოიწურებოდეს სასაუბრო ენით, რომ საეალოო მდგომარეობაში არ ჩაეარდეს იგი. ასეთი სურვილი რომ ჰქონოდა კრიტიკოსს და რწმენა, რომ ეს შესაძლებელია, აღარ შეუღებოდა ამ ფუძ ანალიზს.

მაგრამ იგი შეუპოვრად ებრძვის „აისბერგებს“ და დაეინებით „შიფრაჟს“ მათ. ასეთი „აისბერგება“ ცხოველი. — თითქოს „ცხოველი სული“, „ჰა ცხოველი წყლისა“, „ცხოველი შეხება“ მიუტყვევებელი არქაიზაციის ნიმუშებია, ხოლო „ცხოველი გრძნობა“ ერთადერთი დასაშვებია „ენისშიერი არქაიზმი“; საზრდელი, — თითქოს ვისმე „გასაზრდელოში“ აერევა, როდესაც წაიკითხავს ფრაზას: „საზრდილს და სასმელს ერთდღეს თვის ერთადღე ამხადებს“; ტალანტი ფულის ერთადღე მნიშვნელობით; — თითქოს საჭირო კონტექსტში თანამედროვე „თუმანი“ შეცვლიდეს მას; დედეება, — როცა ნაგუ-



ლისხმევია „თესლის გაღვივება“ და არა „უცე-
ხლის გაღვივება“; ხე ტ ბ ა, — თითქოს მეს-
ლიმანური სარწმუნოების ეს რიტუალური სიტ-
ყვა იგივეა, რაც „დაშვიდრებულო“ ხე ტ ბ ა;
ვაუგებარია აქ კრიტიკოსის შენიშვნა: „გაო-
დის, რომ ამ სიტყვას ხელმოკრულ ესესხუ-
ლობა, ილინდ სხვა ფორმით(?)“ — (№ 4,
გვ. 135).

„ასევე დასტურდება: სიღბილით (სირ-
ბილით), მშვირნა (ფშვირნა), გოღვიან
(გვღვიან), მთოეარე (მთფარე)...“ (№ 4,
გვ. 135) და სხვა „სალიტერატურო ენის ნორ-
მებიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშ-
ნავი ნიმუშები“.

„ასევე დასტურდება: შეფრფინავს
(შეჭხარის), ვოუფლო (ვიბატონო),
მოწყლეს (დაჭრეს), დაივცე (ჩაიჭრე)...
(№ 4, გვ. 138) და სხვა მრავალი „გაუგებ-
რობანი“.

უკველივე ეს თურმე მკითხველს აბნევს და
შეკონიჭებს შეპყავს.

„უფლისწული ისედაც არქაიზმია, სე-
ფეწული კი — არქიარქიზმი!“ (№ 4, გვ.
147). რატომ? თუ ვეკითხებთ, ალბათ მოგვი-
გვებს: უფლისწულები დღეს აღარ არიან, მით
უწებებს სეფისწულნი... თურმე ბრინცი
არსებობს, ხოლო უფლისწულს „ვა-
მართლება არ ეძებნება“.

ასევე „გაუმართლებელი არქაიზმია“:
„უფალმან ჩვენ ვერბოა სიქველეთა
საყოფად“ (იქვე). რატომ? თუ ვეკით-
ხებთ, ალბათ გვიასუხებს: დღეს დმერთია,
უფალი დრომოკმელიაო. ნუთუ სიქველე
და ქველის სიქველე დრომოკმელია და
უკვე წარსულს ჩაბარდა?

დიდი იშვით უფროებს კრიტიკოსი „გალობა-
თა ამო სალბუნს“ („ვადატანიოც ვაუგებარ-
ია“, № 4, გვ. 142), დაეანებას და მოვანებას
(„იქნებ მყუდროება?“ იქვე), დაუწებასა და
გონის დაუწებას („სომ ბგერობრევად და-
დინჯება-ის ჰეაესს“ № 4, გვ. 141) და სხვა
„საეჭვო ერთეულებს“.

„ბუნდოვან შთანქლილებას ტოვებს კონ-
ტექსტის მიხედვით ავრთვე“ — ანუ აცხადებს
კრიტიკოსი და კონტექსტის გარეშე (ალბათ
შინის გამო, ვა თუ მკითხველი მიხედვით)
ჩამოთვლის: მგმობელი და მოყიენე-
ბა („ახალი ცხოვრებიდან“); ცადაქნილი,
გესავ, უგმერენ, წარებით („აბუ-
ლა-შაბარბანი“)... და მრავალი სხვა სიტყვას
კონტექსტიდან ამოწყვეტით (გვერდის მიუ-
თითებლად) აწვდის „საშუალო ინტელიგენტ“
მკითხველს თვითნებური კომენტარებითურთ.
სწორედ კონტექსტის უგულვებელყოფის გა-
ნო მოიჩვენა მას საუთარო სახელი ანგე-
ლუსი („ბატონ ევრომ კუნიარის აზრები-
დან“) „ანგელოსის“ არქაულ ფორმად, თუმცა

კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი სიტყვების
ძველქართულ ტექსტებში არც კი მოიპოვებოდა
(უმაღლესი ლათინური angelus უნდა გახსენებო-
და).

ზენაარს მოაყვება ვრცელი ეტიმოლო-
გიური ექსკურსი ირანულ-ქართული ენობრივი
ურთიერთობის სფეროდან, რომ „იგი სპარსუ-
ლი წარმომავლობისა და განიხა ყველა ზე-
მით დასახელებული მნიშვნელობა, გარდა
დმერთ-ისა“, რომ „ზენაარი ძველ ქარ-
თულში ძირითადად ფიცის-ს ფარდა“ და
„ძველი წყაროები არ იცნობს ამ სიტყვას
დმერთის მნიშვნელობით“ (№ 4, გვ. 141).
თითქოს „ზენაარის“ ამგვარი მნიშვნელობა
რომელიმე მითაგმნელის მოგონილი იყოს!
ვახსენოს კრიტიკოსმა „ძველი წყარო“ —
გურამიშვილის „დავითიანი“: „დიდთა კირთა-
ვან ენებულთ ოღეს მცნა მამამ ზენარა...; ბა-
რათაშვილის: „ზენაართ სადგომს, რომ დაშ-
თოს აქ ამოიება“; „ახალი წყაროები“ — 3.
ცახელი: „ყვირის და თან გმობს ზენარის,
მისთვის ამ ბედის დამდგენს“; გრიშაშვილი,
შანშიაშვილი; ბარნოვი, რომლის რომანებში
ხშირია ეს სიტყვა სწორედ „უზენაესი არსე-
ბის“ მნიშვნელობით; თ. ჩხეიძის რომანი „დ-
მართ-დაღმართი“. ვასულ წელს ევრნად
„ცისკარში“ დაბეჭდილი. თვით ა. ჭივილევა-
ვის „დანტეს“ ქართულ თარგმანში, რომელსაც
არაერთგვარის იმოწმებს კრიტიკოსი, ზენაარი
მის მიერ დაუწუნებული მნიშვნელობით შეგხე-
ვებათ 41-გვერდზე, რაღა დაშავა „პაავაბ-
გიტამ“: „ამ რწმენით განმტკიცებულთ ეველ-
რება ზენაარს იგი“. ის მაინც ეთქვა კრიტი-
კოსს, რომ ეს გადაზრება „ენისმიერია“, უკე-
თუ. მისევე აზრით, სემანტიკურ პროცესში ვა-
მორიცხებულია „ავტორისეული“ ნება.

როდესაც კრიტიკოსს ხელს აძლევს, რუსთა-
ველის მიერ ნახშირი მნიშვნელობა კანონია,
ვეთუ არა — რუსთაველიც ცდებდა: „მღმობ-
ელი მისთვის მოულოდნელი მნიშვნელობით
წარმოგვიდგება“ (№ 4, გვ. 141). მე კი ვიტ-
ყოდი: რა მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს
მორფოლოგიურად „მღმობელს“, რუსთაველის
ბრწყინვალე სტრიქონში „დადასტურებული“
მნიშვნელობა აღარ უნდა იყოს მოულოდნე-
ლი (ა. თაყაიშვილისთვის უტყვო არ უნდა იყოს,
რომ დღევანდელ სალიტერატურო ენაში არც
ისე იშვითად იხმარება თანამობა —
сострадание თანამლობელი — со-
страдающий ეს მოვლენა უფრო ნეოლოგიზ-
მია, ვიდრე არქაიზმი).

უეშმარტად „მოულოდნელია“ ენათმეც-
ნიერისაგან ამგვარი განმარტების მოსმენა:
„სიტყვა იქნის ახალ, ზოგჯერ საპირისპირო

ზურაბე კინაძე

„არ შავამოკლოს ძაბრთული...“



მნიშვნელობებს. რაღა შორს წავიდეთ: ძველი ქართლის განკაცება დღეს დაკაცება-ს ნიშნავს“ (№ 4, გვ. 136). ძველა ამაზე შორს წასვლა იმის თქმა ხომ არ სურდა ავტორს, რომ ძველად განკაცებას „დაკაცების“ მნიშვნელობა ჰქონდა? თუ ასე ფიქრობს, მივაწვდი პიზნოგრაფიდან: „დადაცათუ განკაცნა, არა შეიცვალა ერთობა ბუნებათა, არცა საუერო იყო განკაცება“, „პირველ საუუენეთა სიტყვა განკაცნა და დამევიღრა ჩვენ თანა დღეს ვითარა კაცი“ (მტბევაირი). ეს სიტყვები ნათქვამია ქრისტე-დმერთის განკაცების შესახებ. განკაცების დღეს ამასვე ნიშნავს და დაკაცებასთან არავითარი აზრობრივი კავშირი არა აქვს.

„დაკოდლი ძველ ქართულში დაქრილს ნიშნავს, დღეს — დასაქურისებულს. ამიტომ ცოტა უხერხულად ეღერს იგი ასეთ კონტექსტში: „ვიც დამკოდაცა და, თუ არ მეგობრის და ამზანავის სულთქმა ბოროტი“ (ფ. ისააკიანი) № 4, გვ. 137. თუ ასეა, გალაკტიონი ძველი ქართული პოეტი ყოფილა, თუ არა და ეს სტრაქონიც უხერხულად უნდა ეღერდეს: „გაისმა შორი სროლის ხმა თმაში და მონადირემ დაჯოდა შველი“. ვისი ბრალია, თუ მკითხველი კონტექსტში ვერ გაერკვევ? ი. ნონევილთანაც შეხვდებით: „ერთი შეხედვით ვეჯაკების გულეხს დაქოფდლი“. ამ ლექსში („შენ საქათველოს დელოფლობა დავმეუნდებოდა“) სხვა „არქაიზმებიც“ მრავალადა: „თელთა ციალით“, „სპათა შენთა“, „ქაშეთის“, „ეამთა შარავხა“, „მარადეამს“, „და ვით დიდება აჟ გარდასულ საუუენეთა“. კრიტიკოსი იტყვის, ამით არ უქმდება ჩამოთვლილი „ერთეულების“ არქაულობა, სტილისტური მიზნებისათვის მათი ხმარება არავის ეკრძალებათ. მაგრამ მისი ორივე წერალი ამტკიცებს, რომ ნიშანში ამოდებულ მთარგმნელებს ეს ეკრძალებათ. Quod licet Iovi, non licet bovi. ეს ანდახა დაახლოებით ამგვარად გადმოითარგმნება: რაც ორიგინალურს ეპატიება, თარგმანს არ ეპატიება.

თვითმიზნური ანალიზის სტიქიაში მყოფ კრიტიკოსს სრულიად ავიწყდება საკუთარი დევიზი „არქაიზმი — ზომიერი სტილისტური ხერხი“:

„სპეტაკი ძველ ქართულში თეთრს ნიშნავდა: სპეტაკი სამოსი — თეთრი სამოსი. დღეს სპეტაკი რამდენადმე ვიწრო მნიშვნელობით იხმარება, ისიც ორიოდე სიტყვასთან: სპეტაკი აღამიანი, სპეტაკი გული, სპეტაკი შუბლი (უღრას წმინდას, ნათელს). ამიტომ, როდესაც ძველქართული გავებთ აღვადგენთ მას, ერთგვარად გაუგებრობას იწვევს“ (№ 4, გვ. 136). „ვანმარტებით ლექსიონი“ მიიწვ ვახუშტაძე-

და, სადაც ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა მოცემულია: ძალიან თეთრი. (თუკითხვით მეორე კლასის „ქართული ენის“ მკითხველებმაც იციან რას ნიშნავს „სპეტაკი ზამთარი“ და „სპეტაკი თოვლი“). მაგრამ დავანებთ ამას თავი. საქმე ეხება „ახალ ცხოვრებას“.

ენას სტილისტური ანალიზისას კრიტიკოსს არც ახსენდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს დენტესათვის ფერს და კერძოდ სამოსის ფერს. როდესაც ლაბარაკია მკატრრებ „ხელახლა მომევიღონა იგი უსპეტაკესი ფერით მოსილი“, — ნეთუ სიტყვა „უსპეტაკესი“ ერთბაშად არ გამოხატავს როგორც ამ ასულის სამოსის ფერს, ისე მის ზნეობრივ სისპეტაკეს? ვერც იტალოურ დენდანიშო (bianchissimo) და ვერც რუსულ თარგმანში (белоснежный) მიიღწეოდა ეგზომი ღრმა ლაკონიზმი. ამის საშუალებას იძლევა დღევანდელი სპეტაკის სემანტიკა, რომელიც — ანატოლ ფრანკს სიტყვებით რომ ვთქვათ — ადებუდილა წარსულ ხმარებათა მასსოგრობით. ამგვარადვე ქართული ლექსიცა ვამოხუტრებულა მრავალსუუენოვანი კონტექსტით და დღემდე მრავალფერო ნიუანსებით ცოცხლობს. ამას შენარჩუნება უნდა და არა მიტკმალვა იმ საბაბით, დღეს ახალი შესატყვისი გვაქვსო.

რა მწერლის ან მთარგმნელის ბრალია, თუ რომელიც სიტყვა იშვიათად იხმარება? ყოველ ასეთ იშვიათ სიტყვას კრიტიკოსი უფრო ხის, როგორც ახალმობლ მონსტრს. უკეთეს შემთხვევაში ცარიელ „სიტყვა-სამკაულად“ ეჩვენება იგი. ამის მიუხედა მისა არასწორი შეხედულებები საერთოდ ენისა და კრიტიკულ მხატვრული ენის ბუნებაზე, მონური მორჩილება „სემანტიკური ძვრების“ მიმართ, არესთეტიკური და არამომეკმედებითი დამოკიდებულება სიტყვისადმი. ყოველივე ეს თავს იჩენს მის მიერ ჩატარებულ ანალიზში. სხვის რასღა მივაწეროთ მათინ ამგვარი „ენობრივ-სტილისტური“ დაკვირვებანი:

„ხმარებიდან გამოსულა მორფოლოგიური ინვენტარი“ (№ 8, გვ. 129). „მრავლობითის ძველი და ახალი ფორმების ზომიერი მონაცვლეობა არ დევნს სტილისტის ერთდვროვნებას და თხრობის მდორე და მწყობრულ დინებას მნის“ (ხაზი ჩემია. ზ. კ.) № 4, გვ. 131; „დამხმარე სიტყვებს „ენში ექსპრესიული ფუნქცია არ აქისრიათ და მხოლოდ „სტენოური პერსონალის“ როლს ასრულებენ“ (№ 4, გვ. 139); „ხშირად ფუქეში თანხმოვანი არაა, ან, პირიქით, „ზედმეტია“. ზოგჯერ კი გაღამეულია, ან სხვითაა შეცვლილი“ (№ 4, გვ. 134); „ფონეტიკური პროცესებია აგრეთვე სავარაუდო ზოვიერთ სახელთა ფუქების დღევანდელ ეკვივალენტებში“ (№ 4, გვ. 135); „ასრებიოთებს წინ უღვას ზენე-



ბი და ერთ ფრაზაში რამდენიმე ტოლი მო-
ნაკეთის მოსალოდნელობა» (№ 4, გვ. 131);
„ბიბლიზმებისათვის წინასწარმეტყველებრო-
ბის მინიჭების ფაქტი» (№ 4, გვ. 144); „ბიბლი-
ური სიღინჯის ენა» (№ 4, გვ. 143); „ზნების მე-
ტი წილი ქართული ძირისა, მაგრამ ეტიმოლო-
გიურად არც ისე იოლი გასაშიფრია» (№ 4, გვ.
137). — ნუთუ საკმარისი არ არის, რომ სიტყვი-
ბი ქართული ძირისა? თითქოს ვადამწყვეტი
მნიშვნელობა ჰქონდეს მათ ეტიმოლოგიას!

ასეთ ანალოზს, ცხადია, სასურველი შედეგი
ვერ მოჰყვებოდა; ვერც „არქაიზმის“ პრობლე-
მა ვადამწყვებოდა ამ მეთოდით. მაგრამ ჩვენ
დავინახეთ სხვა შედეგი: მთელი მისი თეორიუ-
ლი მსჯელობიდან და ანალიზიდან ასეთი დას-
კენა გამოდის:

არქაიზმია ყოველი სიტყვა ან გამოთქმა,
რომელიც არ იხმარება ყოველდღიურ მეტყვე-
ლებაში. Ergo, არქაისტულია პოეზიისა და
საერთოდ სიტყვაჯამული მწერლობის ენა,
რასაც არ ხმარობენ ყოველდღიურ საუბარში.

ფანტასტიკური განსაზღვრება! მაგრამ ხომ
ფაქტია, რომ ამ პრინციპით არის განხილული
აღნიშნული თარგმანების ენა?

* * *

ა. თაყაიშვილი რომ არ გამოყვებოდა უნა-
ყოფო ფორმალისტურ ანალოზს, მიუღო ეს
ნათარგმნი პროდუქტია ენარბული მნიშვნელობით
განლაგებონა (რაზეც შეგნებულად უარი თქვა
გამოკრების თაიდან აცილების მიზნით, თუმცა
ცა გამოკრებას მაინც ვერ ასცდა), შინაარსის
საფუძველზე განვიხილა თარგმანების ენობრივი
ქსოვილი, მაშინ ვერ იტყოდა — პლატონი, დან-
ტი, თაგორი და სხვა ავტორები ქართულ თარგ-
მანებაში შეუფერებელი ენით ამეტყველდნენო.

„მაგავატ გიკას“, „ენეადებისა“ და „ახა-
ლი ცხოვრების“ სელისკვეთება მითითებს
სრულად თავისებურ „ენას“, რომლის სემან-
ტიკა აღბეჭდილია ძლიერი ეთიური ნიუანსით;
თანადროული სეკულარიზებული სამეტყველო
ლექსიკა აქ სწორედ შეუფერებელი იქნებო-
და.

ვადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონ-
დეს იმას, თუ რა ენობრივი პოზიციებზედნაა
დაწერილი თაგორის „გიტანჯალი“. ამ ჰიმნებ-
ში წყაყაანია რელიგიური პათოსი, და, ჰუნებ-
რივია, მთარგმნელის განცდაში ფსალმუნის
ინტონაციები უპირატესობდნენ. სწორედ ეს
იქნებოდა მართებულ გზა აღქმავატური თარ-
გმანისაყენ, და არა უნაყოფო ცდა იმის მი-
საღწევად, რომ ქართულ მკითხველს ბუნვა-
ლური მენაეის ველით განეცადა „გიტანჯა-
ლის“ ჰიმნები. რა მაგალითი უნდა იყოს აქ
უფერტული რუსული თარგმანი? თუ გნებავთ
შეადარეთ: „აქ არის შენი საყუდარი — და-
ვანებულად ფერხისი შენნი უსასოქმენილი და
უპოვარია, გლახაკთა შორის“. «Вот подножие

твое—стоны твои покоятся среди самых
бедных, самых сирых, самых обездолен-
ных». ა. თაყაიშვილი კი მთარგმნელს სთავა-
ზობს: „აქ თითქოს კედევ დასკვენებულან
უკეთ ეგუება“ (№ 4, გვ. 142). იქნებ „გიტანჯა-
ლი“ და „მებაღა“ მართლა სასაუბრო ენაზეა
დაწერილი? აი, რას ამბობს თვითონ თაგორი
1912 წელს „ავტობიოგრაფიაში“: „... ხოლო
მისი საუბრის (ლაპარაკია სოფლის ერთ მას-
წაულებელზე. ზ. კ.) მაღალი სტილი ზურგს
უქან უფროსების სიცილს იწვევდა. ზოგიერთი
მისი მაღალფარდოვანი თქმა ჩვენს სახუმარო
საოჯახო ლექსიკონშიაც შევიდა. თუმცა ვეუ-
ნობ, რომ დღეს მის გამოთქმათა მანერა უც-
ნაური გჩვევებოდათ. ბუნვალური ლიტერატუ-
რული და სასაუბრო ენა უწინ იმდენად დამო-
რბებული იყო ერთმანეთს, როგორც ცა და დე-
დამიწა. ეს უქანასენელი ათეული წლებია,
რაც ისინი უფრო და უფრო უხანოვლებიან
ერთმანეთს.“ როგორც ამონაწერიდან ჩანს, სა-
საუბრო ენა მიხანოვებია სალიტერატუროს, და
არა პირველ.

ნაკლები მნიშვნელობა აქვს მთარგმნელისათ-
ვის აგრეთვე დანტეს ენობრივი პოზიციის.
მნიშვნელოვანია ის, თუ რა წარმოადგენს მისი.
ნაწარმოების თემას. „ახალი ცხოვრება“ საბრ-
ინდო რომანი არაა; იგი, თუ შეიძლება ასე
იოქვას, სიმბოლური ჰავიოგრაფიაა, სადაც
იხილება რვა ხილვა და პერსონაჟად თვით
სიყვარული (Amore) გვევლინება. ა. თა-
ყაიშვილი მთარგმნელებს საყუდერობს, თარ-
გმანში მველი ქართულის ინტონაციები მოის-
მისო. რა მაგალითი უნდა იყოს „ახალი ცხოვ-
რების“ რუსული თარგმანი? არ შევალ იმის
განხილვაში, თუ რა უპირატესობა აქვს ქარ-
თულ „ახალ ცხოვრებას“ (ეს ცალკე თემას).
მაგრამ აქ მაინტერესებს, რა ინფორმაციის
აწვდის მკითხველს ა. თაყაიშვილი დანტეს
ენობრივი მრწამსის შესახებ: ტრაქტიკიდან
De vulgari eloquio ჩამდენიმე ტენდენციურად
შერჩეულ ფრაზას უპირისპირებს მთარგმნე-
ლებს და ასკენის: აი, რა დემოკრატიულ პო-
ზიციებზე იდგა დანტეო. თავად მკითხველმა
განსაჯოს, რას ამბობს დანტე კრიტიკოსის სასარ-
გებლოდ:

„... ამბობად, წარჩინებული ვულგარე (Vulga-
re illustre) თავის თანამსგავს ადამიანებს
ეძებს, როგორც სხვა ჩვენი ზნენი და ჩვეუ-
ლებანი: დიდებულება ძალმორქმულთ ეძებს,
ძოწეული სამოსი — კეთილშობილი. ასევე ეს
ენა შთავონებთა (ingenio) და ცოდნით
მომადლებელი ეძებს, ხოლო სხვებს უყუა-
დებს, როგორც ქვემოთ ვახლება ცხადია... ვე-
რავინ იტყვის, ეს ენა მთელთათვის იყოს

ზურაბ კიკნაძე

„არ შეამოკლოს ძარბული...“



შესაფერისი, რადგან ურჩეულესი (optimae) აზრები მხოლოდ იქ იბადება, სადაც ცოდნა და შთაგონებაა. ამიტომ ურჩეულესი ენა არ შეეფერება მდამბურღელ მოლაპარაკეთ (rusticana tractantes)...

ურჩეულესი ენა მხოლოდ მათ შეეფერის, ვინც შთაგონებითა და ცოდნითა მონადულბული; ამიტომ არა ყველა მელექსეს, რომელთაც უმეტესნი უმცირად და შთაგონების გარეშე მელუქსეობენ. შეუფერის ეს ურჩეულესი ენა, ანუ ურჩეულესი ვულგარე...“ (11, თ. 1). „ეინითაჲნ ის ენა, რომელსაც წარჩინებულს (illustre) ვუწოდებთ, ურჩულესი ენა ყველა vulgare-თა შორის, ამიტომ ურჩეულესი საგნებია ღარსი ამ ენაზე შექებისა (11, თ. 2).

განა აქედან ის ჩანს, რომ დანტე თავის „ურჩეულეს საგნებს“ სასაუბრო ენაზე გამოხატავდა? ან, რომ მას დემოკრატიული პოზიცია უჭირა ენის საკითხში, როგორც ამას კრიტიკოსი ამტკიცებს? „ველგარე“ მართლაც უპირისპირდება ლათინურს, მაგრამ არა როგორც არაქულს. არამედ როგორც არა-ეროვნულ ენას (კონ იტყვის, რომ თანამედროვე ქართული უპირისპირდება ძველქართულს, როგორც არაეროვნულს?). მაგრამ, რაც მთავარია, vulgare illustre უპირისპირდება მდამბურღელ მოლაპარაკეთა ენას (rusticana tractantes). დანტე ენა ურჩეულესია სხვა vulgare-თა შორის, და საესენით შეესაბამება მისი პოეზიის ენას. იმავე წიგნში დანტე წერს: „უეთუ საჭირო ვახლება ქება ტრაგიკულ ტონში, უნდა ავირიოთ vulgare illustre და დავუერთო კანცონს. უეთუ კომიკური რამ გვირდა შევთხზათ, მაშინ საშუალო ან დაბალი მეტყველება უნდა ავირიოთ“. „ტრაგიკული უმადლესია სტილითა შორის“. ამავე ნაშრომში დანტე ამხელს იმ ტრასკანელ პოეტებს, რომლებიც წერდნენ არა წარჩინებულ ვულგარე-ენაზე, არამედ მათსავე ქალაქების ენაზე. ღირსებად უთვლის რომანულ პოეტებს, ფავენტინო ტომაზოსა და უგოლინო ბუჩჩოლის, რომელთაც თუთაინთ პოეზიაში უარყვეს ადგილობრივი კილო.

დანტეს ამ ტენდენციას სრულიად არ შეესაბამება კრიტიკოსის ნათქვამი: „აი, ასეთი ხალხური საწყისებში ნაწაზრდობები პოეტის ვალპორტანა ამაღლებული, ბიბლიური სიღინჯის ენით მთლად გაპართლებული არ გვეჩვენება. მით უმეტეს, რომ იგი კლერიკალურ ლიტერატურას და ეკლესიის დოგმატურ პრინციპებს განსაკუთრებულ პატივს არ სცემდა“ (№ 4, გვ. 143).

რაც შეეხება უხერხულად გამოთქმულ „ბიბლიური სიღინჯის ენას“, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ბრიტანეთის ბიბლიური საზოგადოება „ძველი და ახალი აღთ-

ქმის“ წიგნებს ვარდა სისტემატურად ბეჭდის. ერთადერთ საერო ნაწარმოებს „ლესკეის კომედიას“. ეს არ არის შემთხვევითი და გარეგანი ფაქტი.

თუ კლერიკალურ ლიტერატურაში კრიტიკოსი წინადასამების თხზულებებს გულისხმობს. მათ შორის მოხედება დანტესათვის სათაყვანებელი დიონისე არეოპაგელი, ალბერტ დიდი, თომას აკვინელი და სხვანი. თუ ეკლესიის დოგმატურ პრინციპებში საღვთო წერილის გულისხმობას, გაიხსენოს, რომ „ღვთაებრივი კომედია“ და „ახალი ცხოვრება“ საყვება ბიბლიის ლათინური ფრასებით, მათი იტალიური თარგმანებით (მათ შორის „მამოჩელინო, რომელი ხარ ცათა შინა...“). ეს ყველაფერი გადმოცემულია როგორც ჭერ არს. „ბიბლიური სიღინჯის“ თუ „ადელეების“ ენით.

თუ კლერიკალურ პაპებს გულისხმობს, რომელთაგან არაერთი მოახვედრა დანტემ ჯოჯობეთში, კრიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ დანტეს დროს და საერთოდ შუა საუკუნეებში მრავლად იყვნენ პაპებს გარდა „ანტიპაპები“, და მათი „კრიტიკა“ ეკლესიის პრინციპებში დაქვემდებარს არ მოასწავებდა. განა უტნობია კრიტიკოსისთვის ის ფაქტი, რომ დანტე დაკრძალეს რავენის ერთ-ერთი ეკლესიის ეზოში, და შემდეგ დიდხანს ეცალებოდნენ მისი ნეშტის გამო ერთმანეთს ფლორენციელი და რავენელი ბერები, რომ თეთი რომის პაპიც ჩარეული იყო ამ საქმეში?

რაც შეეხება პლატონისა და სხვა ელნი ავტორების ენას, საქმის ნამდვილი ვითარება აქ ასეთია:

ხალხის სალაპარაკო ენისაგან განსხვავებით არსებობდა ხელოვნური დიალექტები, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურაში იხმარებოდა, განსაკუთრებით პოეზიაში; ეს იყო შერწყმა რომელიმე ცოცხალი დიალექტისა მის არაქულ ელემენტებთან. უძველესი ლიტერატურული ენა, რომელზედაც დაწერილია „ილიადა“ და „ოდისეა“, წარმოადგენს ხელოვნურ ენას, იონური და ეოლური დიალექტების ნაზავს. ეს არის ე. წ. ებური ანუ პომერული ენა.

ნაკლებად ხელოვნურია პროზაული ლიტერატურის ენა, განსაკუთრებით ატიკური, თუმცა ესეც სამწერლობოა, და საესენით არ ემთხვევა იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა მაშინდელი ატიკის მოსახლეობა. ეს არის პლატონის ენა. წინააღმდეგ ამისა, იონური პროზის ენა, რომელზედაც პეროპოტე წერდა, უკვე საესენით ხელოვნურია.

საერთო ენის (კონიე) ეპოქაში ლიტერატურული ენა აგრეთვე წარმოადგენს ცოცხალი ენის ნარეკს ძველ ატიკურთან, — ნარევი განსხვავებული პროპორციისა ავტორის განვითარებისა და გამოცემის კვალობაზე. ეს ყველაფერი უწერია სობოლუესკის, კლასიკური ენე-

ბის დიდ მცოდნეს, თავისი „ქველბერძნული ენის“ წინასიტყვაობაში. ესაა ელინისტების საერთო აზრი, ფაქტური ვითარებიდან გამომდინარე.

მთელი ეს ლიტერატურა „ემპირიულად ძვეს“ და ა. თაყაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველას აქვს მისით სარგებლობის უფლება“.

ახლა ვითხოთ კრიტიკოსს, რა ენაზე უნდა თარგმნილიყო ელინი ავტორები, დანტე და თავიერი, თუ არ ზოგადქართულზე, ზედართულ ენაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს ჩვენი ენის ძველსა და ახალ შრეებს. აქ დიალექტების შემოღობის მხოლოდ არქაიზმების მხრეგული კრიტიკოსი სხვა მხრისაგან რომ დაეკვირვებოდა ამ თარგმანების ენას, მასში „ზოზიერი“ დიალექტიზმებსაც საკმაოდ აღმოაჩენდა. მაგრამ რაღა გვეთქმის, როდესაც მისივე აზრით ძველი შეუთავსებელია ახლის გვერდით?

ა. თაყაიშვილის მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან სხვა ენებისათვის გამოზადებული ცნება არქაიზმისა ხელოვნურად მოუყენა ქართულ ენას, რის შედეგადაც მრავალი ენობრივი ფაქტი, და თვით ჩვენი პოეტური ენა არაქალაქად გამოიქნა. ეს ასეც არის, უკეთუ არქაიზმის ცნებაში სიძველის შინაარსის ვიგულისხმებთ. მაგრამ ა. თაყაიშვილის წარმოდგენაში იგი მოძველებულთან და გაუგებართანაა გათანაბრებული, რაც რელიტური ვითარებაა. არ შეესაბამება.

ქართული ენობრივი სინამდვილის მიმართ „არქაიზმი“ განუსაზღვრელი ცნებაა: ის, რაც არქაიზმისა სალაპარაკო ენისათვის, არ არის არქაიზმი სამწერლო ენისათვის; რაც პროზისათვის არქაიზმია, პოეზისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. რასაც სამწერლო ენის მიმართ არქაიზმად ჩათვლიან, არ იქნება არქაიზმი ფშვიგურბრუნისა ან ფერეიდუნელისათვის.

„არცერთ ენას არა აქვს იმდენი შესაძლებლობა არქაიზმების თავისუფალი და უმტკივნეულო გამოყენებისა, რამდენიც ქართულ ენას“ (მ. ძიძიგური). ეს „თავისუფლება“ და „უმტკივნეულობა“ ქართულ ენაში არქაიზმის ადრთხს განსაკუთრებულ დონეზე აყენებს, ვიდრე ეს შესაძლებელია სხვა, დღესდღეობით არსებულ ენათა სინამდვილეში. რუსული სამწერლო ენა თითქმის მთლიანად კონცენტრირებულია XIX საუკუნის კლასიკურ ლიტერატურაში: აქ გვიანტური ძალისხმევით იქცა იგი აღსაკრურად. რუსულითვის არქაიზმია XVIII საუკუნის ენა. ხოლო ჩვენი სიტყვიერების დროული დიაპაზონი ვაცილებით ფართოა: ქართული მწერლობის ძირითადი ფასეულობანი მოქცეულია თითქმის მთელი ჩვენი ისტორიის ფარგლებში. შუა საუკუნეებსა და ჩვენს ხანას შორის. ამიტომ შეცდომა იქნება, თუ ჩვენს „არქაიზმებს“ რუსული ენის „არქაიზმებს“ გავტოვებთ. არ უნდა გავგვიკრიდეს, თუ თა-

ნამდროვე რუსი მწერალი არქაიზმებს მხოლოდ სტილისტურ ხერხად იყენებს, ხოლო ქართველი მწერლის ენაში ძველი ლექსიკა ამ მიზნებით არ იზღუდება. მისი გასაქანი უფრო ფართო და ამას ამჩნევს ყველა, ვინაც კი საქმე ჰქონია ჩვენს მწერლობასთან და საერთოდ ჩვენს ყოველდღიურ ყოფასთან. არქაიზმი, რომელიც ცოცხლობს და ქმედითაა, უკვე აღარ არის არქაიზმი. ეს ცნება ქართულისათვის სრულიად განსხვავებული ოდენობაა და ამის დაზუსტება იყო საჭირო.

ა. თაყაიშვილის მეორე მნიშვნელოვანი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას ძველი ქართული მწერლობის ენა ახალ ქართულთან საპირისპიროდ სხვა სისტემადა მიიჩნია: „ენის ერთ სისტემაში იჭრება სხვა სისტემის სემანტიკური ლირებულებანი, რაც კონფლიქტში მოდის არსებულთან და იქცევა გაუგებრობის წყაროდ“ (№ 4, გვ. 137). თუ ეს ასეა, მთელი ჩვენი მწერლობა ამგვარი კონფლიქტებითა და გაუგებრობებით აღსავსე ყოფილა.

ზოგჯერ კრიტიკოსი იმდენად შორს მიდის, რომ ჩვენი წინაპრები ლამის ჩვენგან განსხვავებულ ვერა და გამოაცხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რას უნდა ნიშნავდეს ეს ანალოგია, ქართული სინამდვილის მიმართ მიყენებულ: „ერთმანეთის ესმით აგრეთვე სლავ ხალხებს: დასავლულებს — ბულგარელებს, პოლონელებს, იუგოსლავებს, ჩეხებსა და სლოვაკებს; აღმოსავლულებს — რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, მაგრამ სხვადასხვა ენის წარმომადგენლებად ითვლებიან“ (№ 8 გვ. 136). აქ ჩამოთვლილი სლავი ხალხები ხომ დამოუკიდებელი ერებია, რომელთაც საკუთარი ელტურა აქვთ და საკუთარი ისტორია გამოუფლიათ. მაგრამ ჩვენ და ჩვენს წინაპრებს გვაქვს ერთი ცხოვრება — „ქართლის ცხოვრება“ და ერთი ენა — ქართული ენა. შეცნობებმა, რომელსაც უღარესი სიზუსტე და გამოწვლილა ევალება, „ენის ცხოვრებაში“ შესაძლებელია კიდევ მეტი პერიოდეზი და ფენები გამოიყოფს. მაგრამ ეს დაყოფა ნაყლებად შეხება ცოცხალ ენობრივ ადრთხს. ხოლო ეს ადრთხ გრძნობს, რომ ძველი ქართული იგივე მშობლიური ქართულია, ოღონდ განსხვავებული ნიუანსით აღბეჭდილი.

განსხვავებულ სისტემის ბრალი არაა პეტრიწის, ვერც მცირისა და სხვა ფილოსოფოს ავტორთა მართლაც ძნელი და გაუგებარი ენა. პეტრიწის „არისტოტელისა“, მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური საგანი მოითხოვდა განსაკუთრებულ „ენას“. და იგი თვის დროულ სპეციალურად განსწავლული მკითხველისთვის

ზურაბ კიკნაძე
„არ შამამოკლოს ძართულში...“



იყო გამიზნული. პეტრიწი, ამ საქმის პიონერი, ამოშავებდა ჩვენი ფილოსოფიური ტერმინოლოგიას, და რა ვასაკერია რომ დღეს საგანგებო შესწავლის გარეშე ძნელია მის სემანტიკაში ჩაწვდომა. სპეცილიზებული ენა, მით უმეტეს თუ მასზე გადმოცემულია ურთულესი თეოლოგიური პრობლემები, მკითხველთა ფართო წრისათვის ყოველთვის გაუგებარი იყო და იქნება. თუმცა პეტრიწის სკოლის ნამოღვაწეებიდან ბევრი რამ შემოიჩა ჩვენს დრომდე.

მაგრამ გამკვირვალეა უარესად პირველი ქართული ძველი „შუშანიის წამება“, „სიბრძნე ბალავარისა“, „მამათა სწავლანი“ (იონან ოქროპირისა და სხვათა ქადაგებების ქართული თარგმანები), იონან მოსხის „ლიმონარი“, „ვისარამიანი“, საბა ორბელიანის ქადაგებანი, რომლებიც სწორედ ხალხის მიმართ იყო წარმოქმნილი და არა თითოთოროლა განსწავლულისათვის. კრიტიკოსი შეცდებდა, თუ იფიქრებს, რომ ძველად ხალხი კლასიკურ ენაზე მეტყველებდა. თუ ძველი აღქმის წიგნები გაუგებარია, ამის ბრალია მათი უხეირო, აზრობრივი და კორექტებული შეცოთმებით სავსე გამოცემა. დამახინჯებული ენა ყოველთვის გაუგებარი იყო და იქნება.

ა. თაყაიშვილს კი ძველი ქართლის „ბუნდოვანებაში“ ეჭვი არ ეპარება, და მკითხველს სახარების ცნობილი ფრაზის საკუთარი რედაქციით ამინებს: „მუდგარო, ათივე ცხეღარი შენი და ვიდრედე!“ თითქოს ასეთი „მისტერიული“ იყოს ძველი ქართული ენა და მის კვალზე „არქაისტული თარგმანებიც“. მსგავს შემთხვევებს ზემოხსენებულ ძველ ტექსტებშიც იშვიათად შევხვდებით, კიდევ რომ შევხვდეთ, — რა სათაქილოა „სიტყვისკონაში“ ჩახედვა (რასაც ასე უფროსხის კრიტიკოსი), თუ კი რეატომი „განმარტებით ლექსიკონში“ ვიხვდებით ხოლმე (ისიც უნდა ითქვას, რომ მშობლიური ენის სრულყოფილი ცოდნა კაცს დედის მუცლიდან არ დაჰყვება).

ქართული სალიტერატურო ენა დიდად შეეცავა 1500 წლის მანძილზე. მაგრამ ამ ცვლილებებს იგი იმდენად არ გარდაუქმნიათ, რომ „სხვა“ ან „უცხო“ ენად ქვეულოყო. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი ლიტერატურის ერთიანი ღერძი, ერთიანი სტრუქტურითა და ძველი ჰიმნოგრაფიიდან ვიდრე რუსთაველამდე; ჰიმნოგრაფიიდან და რუსთაველიდან ვიდრე გურამიშვილამდე; ჰიმნოგრაფიიდან და რუსთაველიდან ვიდრე ბარათაშვილამდე; რუსთაველიდან, გურამიშვილიდან და ბარათაშვილიდან ვიდრე ილია ჭავჭავაძემდე, აყაყ წერეთლამდე და ვაჟა-ფშაველამდე; რუსთაველიდან, ბარათაშვილიდან ილია ჭავჭავაძიდან, აყაყ წერეთლიდან და ვაჟა-ფშაველადან ვიდრე გალაკტიონ ტაბიძემდე... ესაა ჩვენი სულიერი

კულტურის ბერბემალი, ჩვენი ერის მშენებელი ში ჩადგმული. მის წიად დაუცხრომლად გაიარის მშობლიური ინტონაციები. ამის ძალით თანადროულში კვლავ ცოცხლობს ძველი და ძველისძველი: ეს ტრადიციულობა ფაქტია და სხვა საკითხია, შეგვიძლია თუ არა მისი ასანა.

სალიტერატურო ენის კონსერვატიულობა (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) ცალკეულ მწერალთა კაბრიზი არასოდეს ყოფილა: წინააღმდეგ ძველი გადამწყვეტის ტენდენცია, იგი უდიდესი ფაქტორია, რაიც შესაძლებლად ხდის ინტეგრალური სამწერლო კულტურის არსებობას და შენარჩუნებას. ამის გარეშე მოიშლებოდა „დროთა კავშირი“ ერთიანად დასახული მწერლობისა და ენის თანმიმდევარ პერიოდებს შორის.

სწორედ ჩვენი წარსული კულტურის სიტუაციისთვის არის ნიშანდობლივი რუსი პეტრის ნათქვამი: **Отлучение от языка для нас равносильно отлучению от истории.** (მანდელშტამი). მშობლიურის გაუცხოება უკვე მომხდარი ფაქტია იმ ენათმეცნიერის შეგნებაში, რომელიც გამოთქვამს სურვილს „რა სჯობია, აღორძინდეს ჩვენი დიდებული წინაპრების მეტყველება, გვესმოდეს ენა, რომელზეც ითარგმნა „ბიბლია“ და „საღვთო წიგნები“, კვლავ ვიგრძნოთ უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“ და გენიალური „შერანის“ სტრიქონების სურნელი!“ (№ 4, გვ. 126). თითქოს რუსთაველი და ბარათაშვილი არქივის მტრები იყოს დაფარული და მათი სტრიქონების სურნელს დღეს ვეღარავინ გრძნობდეს! შემდეგ ეკითხება მთარგმნელებს, რომელთა ენაში, მისივე აზრით, სხეულებულ პოეტთა ინტონაციები მოისმის: „ბოლოსდაბოლოს, ვისთვის თარგმნით თქვენ?“ (№ 8, გვ. 140). მე ამგვარად შევეტრუნებ კითხვას: ვისთვის წერდნენ რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი, მის მიერ „არქაულად“ მონათლული მწერლები?

ა. თაყაიშვილის მესამე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ენის კანონებს გარდღეულ მწიფელობას ანიჭებს, რომ მისთვის ენა „ემპირიულად ძველს“ და თვითონებით ვითარდება. რას ნიშნავს: „თვით ენის (და არა მწერლის!) არქაიზმები. სწორედ ენამ შეინარჩუნა ძველი ფორმები და საერთო-სახალხო საკუთრებულ აქცია“ (№ 8, გვ. 125). კრიტიკოსი ენის ფენომენის მართლაც იმ „არქაულ“ გავებას ეყრდნობა, რომლის შესახებ ერნსტ კასირერი, გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, წერს: ასეთი შეხედულება ადამიანის მეტყველების განვითარებას ისე გვეისახავს, თითქოს იგი ფზიკური ავიცილებლობა ან მეტაფიზიკური ფატალიზმის მავარი რამ იყოსო. თითქოს ადამიანს ძალი არ შესწევდეს ჩაერიოს ენის განვითარებაში. („მიმოხილული“ 4-5, 1968, გვ. 21).



მაგრამ არსებობს ის აზრიც, რომ ენობრივი პროცესი მთლიანად დამოკიდებულია ადამიანის აქტივობაზე. ენა მხოლოდ ემპირიული მოვლენა არ არის, იგი ერთსა და იმავე დროს სულიერი მოღვაწეობის იარაღიცაა და სფეროც. წინააღმდეგ შემთხვევაში თავზე მოხვეული ემპირიული სინამდვილე თავისი გარდუვალი კანონებით შეუძლებელს გახდის სავითოდ სიტყვიერ შემოქმედებას. როდესაც ამბობენ, რომ ენა ძლიერია და აზრის გამოხატვის მოქნილი საშუალება, არ იგულისხმება, თითქოს იგი რაღაც დამოუკიდებელ ორგანიზმს წარმოადგენდეს და საკუთარი სიცოცხლით ცოცხლობდეს. ენის სიძლიერე გულისხმობს უპირველეს ყოვლისა მასზე მოლაპარაკე კოლექტივის ინტელექტუალურ ძალმოსილებას, მხოლოდ მინებულ პიროვნებას ძალუძს მიანიჭოს ენას რაიმე ღირებულება. განსაკუთრებით ლექსიკის სფეროზე ითქმის ეს. სულიერი მცონარების შედეგად „თავის ნებაზე“ მიშველებული სემანტიკური პროცესი იმდენად დაბლა შეიძლება დაეშვას, რომ მის უქუშეკცევას ვერავითარი ენათმეცნიერება ვეღარ უშველის. მით უმეტეს საშიშია ეს ინერტიულობა, რომ თურმე ბუდაგოვის აზრით (ა. თაყაიშვილი ეყრდნობა მას) არსებობს საარქაიზმოდ გამზადებული ლექსიკა. ისდა დარჩენია მეტყველ ადამიანს უღარაჯოს მის თანდათანობით კვდომას (რათა შემდეგ სტილისტიურ ხერხად გამოიყენოს მხოლოდ), რადგან ვერაფერი დამოუვს თურმე ამ „დამაძველებელ“ კანონებს. მაგრამ უკეთუ გაცნობიერებული გვაქვს ლექსიკური მარაგის დამკველების ტენდენცია, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ხელთაა მისი შემკავებელი საშუალება.


ახლა განვსაჯოთ, რა მოვლის სამწერლო ენას, უკეთუ მას სალაპარაკო ენის დონიდან განვსაზღვრავთ. რას მოგვცემს თავშეკავება ლექსიკის უძველესი შრეების მიმართ, რომელთა შორის ჩამარხული ნიუანსები ახალ წარმონაქმნებთან ერთად მრავალფერო სამყაროს სურათს გამოავსიან?

მო წერდა საბა ორბელიანი, მაგრამ უდაგველ არ იქნება აქ მოვითხოვო მისი სიტყვიერება. „თუცა უბაღო სახელი აღმოიხოცოს, მერმელა უდარესი მოაკლდეს უდარესსა და დმერთი და დარჩეს უკეთესი და სხუა არარა, და შემცირდების ენა ქართული“. თანმიმდევრული „გაახალქართულების“ შედეგად უმაღლმე რთი ამოვარდება ქართული ენიდან, ეს „არქიარქული“ სიტყვა, მას მიჰყვება უდარესნიც და საბოლოოდ შეგვრჩება აკაცი აკაციეონის „ყოვლითქმელი“ ТОГО-ს რაიმე ქართული შესატყვისი.

ჩვენ უკვე იმ ხანაში ვართ, როდესაც დიდიქტები და სალაპარაკო ენა სამწერლო ენის გავლენას უნდა განიცდიდეს. დრო იყო, როცა ქართულ სამწერლო ენას სასაუბრო მეტყველება დედათ საფუძვლად. მაგრამ დღეს ორიენტაცია სამწერლო ენისკენაა მიმართული. ეს ბუნებრივია. წიგნური კულტურის უდარესი განვითარების საუკუნეში (ვითავისწინებთ რამომავალ პროგრესს ამ საქმეში) პირუქუ პროცესი წარმოუდგენელიცაა. ამიტომ გაუმართლებელია მავან ემპირიულ სუბიექტზე დაყრდნობა, როცა საქმე ეხება ზედროული, ზოგადქართული ენის მარაგს, სადაც ძველქართული ლექსიკა ცოცხალ ნაშთად შემოდის. მხოლოდ იდეალური სუბიექტის მახსოვრობაზეა დამოკიდებული, რაზომი სიცხოვლით შეინახება იგი და ნეშტად არ იქცევა.

იგი ისედაც განუშორებელია ყოველი განათლებული ქართველის ენობრივი შეგნებისგან. მოაზროვნე, მწერალი თუ მთარგმნელიც კლავ და კლავ მიუბარუნდება ამ „წყაროს დაბემდულს“. ნუთუ ლიტონი სიტყვებია შთაგონებული „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, სადაც ჩვენი ენის დროული მასშტაბი ქვეყნის აღსასრულით არის გაზომილი? დღეს ჩვენ ვცოხხულობთ ათი საუკუნის უკან დაწერილ წინასწარმეტყველებას და ერთი სიტყვაც არ გვრჩება გაუგებარი. ნუთუ რაღაც წილი წინასწარმეტყველებისა არ მართლდება ამ ფაქტით?





ა. კოლოსკოვი

«კონტის ტრაგედია»

3

წინამდებარე თავში ჩვენ სრულად არ გვიწყობია ის მწარე წუთები, რომელთა განცდა და ვადატანა მოუხდა მიაკოვსკის და ისიც იმ პერიოდში, როდესაც იგი თავის საუკეთესო ნაწარმოებებს ქმნიდა. ჩვენ კიდევ ვიტყვი, რა განსაკუთრებული სიძიძი და სიძნელეები ახლდა პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს, კვირებს, დღეებს, ახლა კი შევეხებით ტრაგედიის მეორე მხარეს.

პირველი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიაკოვსკი არ იყო იზოლირებული ლიტერატურულ წრეებში. ჰყავდა ამხანაგები, თანამოსაგრენი, მეგობრები. ყოველ შემთხვევაში, ასე გვესახება პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება, როდესაც ვკითხულობთ მოგონებებს მის ირგვლივ.

1963 წელს გამოვიდა სქელტანიანი წიგნი „ვ. მიაკოვსკი თანამედროვეთა მოგონებებში“. წიგნის ავტორთა საემოოდ დიდ ნაწილს პრეტენზია აქვს, თავი გამოაცხადოს მიაკოვსკის „უახლოეს“ მეგობრად. იმავე წიგნში ვხვდებით ნ. სერებროვის (ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტიხონოვის) მოგონებებს. ნ. სერებროვი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი გამოცემლობისა „პარუს“, სადაც 1916 წელს გამოვიდა მიაკოვსკის პირველი კრებული — „უბრალო, როგორც ბღაილი“. ნ. სერებროვის არ მოაქვს თავი მიაკოვსკის მეგობრად. აი, რას მოგვითხრობს იგი.

„მიაკოვსკის ბევრი მეტრი ჰყავდა. პოეტი მათ „ბურჟუებს“, „მეშინებს“, „უარმაცევტებს“ და „ვიგინდარებს“ უწოდებდა. ისინი დევნიდნენ მას პრესაში, რობროზებდნენ მის პიესებზე, მეგობრულად ეუბნებოდნენ, შენი ნიჭი დაიშრითაო და მწაკერულად ეკითხებოდ-

ნენ, როდის მოიკლავ ბოლოს და ბოლოს თავსო.

გორკის არა ერთხელ უთქვამს მიაკოვსკისთვის; ბრძოლაში თავს მულამ მეტოქეზე ძლიერად უნდა გრძობდეთ, მაგრამ პოეტი ყოველთვის როდი მიჰყვებოდა ამ რჩევას.

ესტრადაზე და, საერთოდ, სახლში გამომწვევად ეჭირა თავი, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ღამე გაუტებია სევდისაგან, შუალაული თავმოყვარეობისაგან დატანჯულს, საკუთარ ნიჭსა და ძალაში დაიკვებულს.

ერთი ასეთი უძილო ღამეთაგანი იყო, მოსკოვში რომ შეხვდეთ მას. უწარმაწარი შავი კაპარჩივით წამოშენა ზემოდან, ღუბანიანიდან. ნეგლინაიაზე შევეჩახეთ ერთმანეთს.

— ახი წელია არ შემხედვინიხართო.. რატო არ შემოავლით ხოლმე?

მოსკოვის ქუჩებს ვაყუევით და გათენებამდე ვიარეთ: ხან ის მაცილებდა პრეჩისტენკაზე, ხან მე მას ღუბანიკაზე.

მოსკოვს ეძინა. მთელ ქალაქში მხოლოდ ჩვენ ორნი ვლანარაკობდით და ორთქლმავლები თუ გაპკიოდნენ ვაგზებზე.

„ჩანდაბას — გუფუნებდა ის და ამერიკული ფხესხამლის ღანჩას ძალუმად ურტყამდა მოხვივის ქსჩას, — კმარა პუშკინით ჩემი დაყვედრება... მომბეჭრდა... სახელი და დიდება სიკვდილის შემდეგ მოვა. მკვდარსაც სიკვდილის შემდეგ ეჭრდება წვერი... სიცოცხლეში მე წვერს ვიპარავ.“

პუშკინის წვერი გრძელია. უკვე საუფუნო ვარცხნიან, ჩემი პელინსკი კი სადაა? ვინაა ვიანეშკი? მეგობრები?.. მე არა მყავს მეგობრები...

— ჩანდაბას! — გაჰყვიროდა და ტვერსკა-



იას ხელჯობით ხვრტდა. მიაფუროხეო! — ად-
ვილი სათქმელა... მე აღარ ვიფუროხებო,
სისხლს ვაღებინებ...¹

ღიან, მიაკოვსკის ჰქონდა უფლება შური
აღძროდა პუშკინის მიმართ. პუშკინს ჰყავდა
არა მარტო ბელინსკი, რომელმაც სიცოცხლე-
შივე შეაფასა პოეტის გენია, ჰყავდა არა მარ-
ტო ვიანუშკი, არამედ ბევრი სხვა გულწრფე-
ლი მეგობარი და თანამოსაგერ ლიტერატუ-
რულ ბრძოლაში — ექუოვსკი, ბატიუშკოვი,
დელივიე, კიუხნელბეკერი, რილევი, პუშკინი,
ბარიატინსკი, იაზიკოვი...

მიაკოვსკის მეგობრებს შორის კი არავინ
იყო ისეთი, ვისაც ისევე ეყვარებოდა პოეტი,
როგორც, მაგალითად, პუშკინს უყვარდა პუშ-
კინი. პუშკინი გადასახლებიდან იწერებოდა:
„მე მგონი, ჩემი თანდასწრებით რომ მომხდა-
რჩეთ ეს უბედურება და მე კ. დანზასის აღ-
ვილზე ვყოფილყავი, საბედისწერო ტყვიას სა-
კუთარ მკერდს მიუღწერდი. გამოენახვდი სა-
შუალეხას, გადამერჩინა პოეტი — მეგობარი,
რუსეთის დიდება და სიამაყე...“

ბევრი მათგანი, ვინც თავს მიაკოვსკის მე-
გობრად რაცხდა, თითი ისინიც კი, ვისაც პო-
ეტი თავის მეგობართა რიცხვს მიაკუთვნებდა,
სინამდვილეში ცრუ მეგობრები აღმოჩნდნენ.

თავის „განმარტებით ლექსიკონში“ ვლადი-
მერ დალი ასე ხსნის სიტყვას „МНИМЫЙ“ „მზო-
ლოდ და მზოლოდ წარმოდგენაზე დაფუძნებუ-
ლი, არაჰუმარტი, არანამდვილი, ფუქი და
წარმოსახვითი, მოჩვენებითი და ცრუ“. ეს გან-
მარტება ზედმიწევნით მიესადაგება მიაკოვსკის
იმ მეგობრებს, რომლებზედაც ქვემოთ გვექნე-
ბა საუბარი. ღიან, აუცილებელია, ვილაპარა-
კოთ ამ მეგობრებზე, გამოვთქვათ მათ შესახებ
აზრი; ფაქტებზე და დოკუმენტებზე დაყრდნო-
ბით გამოვავლინოთ მათი ნამდვილი, ჰუმარ-
ტი სახე და ამის შემდეგ ჩამოვხსნათ დიდი
პოეტის მეგობრებს მოჩვენებითი დიდების ცრუ
შარავანდელი, ყველაფერი ეს გამოწვეულია
შემდეგი გარემოებით.

მიაკოვსკის ზოგიერთი მეგობარი (ჭერჯე-
რობით ბრჰუალეების გარეშე ვიხმართო ეს სი-
ტყვა) პოეტის სიცოცხლეშიც ბოროტად იყე-
ნებდა მის ნდობას. მიაკოვსკის სიკვდილის შემ-
დეგ კი დიდი პოეტის სახელით პირადი განდი-
დებნისათვის სარგებლობდა, არ ერიდებოდა
ფაქტების დამახინჯებას.

ჭერჯერობით დვასახელებით ერთ აღმაინს.
ესა ოსბ ბრიკი. ზოგიერთი ისე წარმოგედ-
გენს საქმეს, თითქოს ოსბ ბრიკი, არც მეტი,
არც ნაკლები, მიაკოვსკის მოძღვარი, იდეური
დამრიგებელი ყოფილიყოს, ღიან, ღიან, ეს
ხუმრობა არ გვგონოთ. ერთხელ ლ. და
ო. ბრიკების ახლობელმა მწერალმა კითხვაზე,
ვინ იყო ოსბ ბრიკი და რით იყო დაკავში-
რებული მიაკოვსკისთან, უყოყმანოდ უპასუხა:
„ოსბ ბრიკი მიაკოვსკისათვის იგივე იყო, რაც
ჩაპაევისათვის ფურმანოვი“.

ზედმეტად მიმნდობ ნ. ასევეს ბრიკი „სიბრ-
ძნის წყაროდ“ მიანდა და ამბობდა: „ბრიკი
შესანიშნავად ფლობდა როგორც ხელოვნების
თეორიას, ისევე მარქსიზმის კლასიკოსების
მოძღვრებას“. ბრძნად და თეორეტოსხად
წარმოგვიდგება ო. ბრიკი ვ. შკოლესკის მოგო-
ნებებშიც: „ბრიკი უმთავრესად ყველაფერს
თეორიულად არკვევდა“. შეიძლება შევხედეთ
ისეთ განცხადებებსაც, თითქოს „მიაკოვსკის
ერთადერთი მრჩეველი, რომელსაც ის უფრო
ენდობოდა, ვიდრე საკუთარ თავს, იყო
ო. მ. ბრიკი“. 1958 წელს კრებულში „ახლო
მიაკოვსკის შესახებ“ ლ. ბრიკი წერდა: „ოსბ
მაქსიმეს ძე ჩემი პირველი ქმარი იყო. ცამეტი
წლისა შევხვდი მას, ეს მოხდა 1905 წელს. გიმ-
ნაზიამი, სადაც მე ვსწავლობდი, ის პოლიტ-
ეკონომიის წერს ხელმძღვანელობდა. ექორწი-
ნეთ 1912 წ. როდესაც ვუთხარი, მე და მია-
კოვსკის ერთმანეთი გვიყვარს-მეთქი, ჩვენ ყვე-
ლამ გადავწყვიტეთ, არასდროს არ დავშორებ-
ბოდით ერთმანეთს, მიაკოვსკი და ბრიკი უკ-
ვე მაშინ იყვნენ ახლო მეგობრები, მათ აკავ-
შირებდათ იდეური ინტერესები და ერთობლი-
ვი ლიტერატურული მუშაობა. ასეც მოხდა,
ჩვენც ცხოვრება, სულიერად და მეტ წილად
ტერიტორიალურად ერთად გავატარეთ“.

დადგა დრო გავარკვოთ, რა არის ამ სიტყ-
ვებში მართალი და რა — ტყუილი. მართალია
ის, რომ ორი მათგანი — ლ. ბრიკი და ო. ბრი-
კი „სულიერად, და უმეტეს შემთხვევაში ტე-
რიტორიალურადაც“ (ო. ბრიკის სიკვდილამდე-
1945 წელს) ერთად ცხოვრობდნენ. მერე მა-
იკოვსკი? 1916-1917 წლებში იგი პეტროგრად-
ში მსახურობდა, ცხოვრობდა სასტუმროში და
რამდენიმე ხანს ბრიკების ბინაშიც. 1919 წელს
პოეტი გადავიდა მოსკოვში და ლუბიანსკის გა-
სასვლელში მიიღო ბინა. 1926 წელს მან ბინა
მიადებინა ბრიკებს გენდრიკოვის შესახვევში.
თეთონად ჰქონდა იქ პატარა ოთახი, მაგრამ
უმეტესად მინც ლუბიანსკაზე ცხოვრობდა და
მუშაობდა. არც ისაა მართალი, თითქოს მია-
კოვსკი და ბრიკები „სულიერად“ იყვნენ და-
კავშირებულინი.

ენახთო, რას წარმოადგენდა სინამდვილეში
ო. ბრიკი. იგივე ვ. შკოლესკი, რომელიც მო-
აზროვნედ და თეორეტოსხად გვისახავს ბრიკს,
გუაუწყებს, რომ იმ დროისათვის, როცა მა-
იკოვსკი გაცნო, „ოსბ ბრიკი არაფერს წერ-
და და ლიტერატურაც ეზიზღებოდა“. ლ. ბრი-
კი, რომელიც ამ დროისათვის უკვე ო. ბრი-
კის ცოლი გახდა, ასე ავსებს ამ ცნობას:

1. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტომი 65.
ახალი მიაკოვსკის შესახებ. სსკე მას გამომ-
ცემლობა. მოსკოვი, 1958, გვ. 101.

ბ. კოლმსკოვი
„პომტის ტრაგედია“



„მანამდე ლიტერატურისადმი პასიურად ეწყვიტო განწყობილი. მართალია, სტუდენტობის დროს, ჭერ კიდევ მანამ, სანამ დაქორწინდებოდა, ოსიამ და მისმა ორმა ამხანაგმა ვანიზრახეს ფულის გაკეთება და დაწერეს რომანი სათაურით — „შებრძოლთა მეფე“. რომანის დაბეჭდვა ნაწილ-ნაწილად გადაწყვიტეს, პირველმა ნაწილმა, რომელსაც გარეყანზე შესაბამისი სურათი ჰქონდა, მეგავთეების მოწონება დაიმსახურა, მეორე ნაწილი ცოტა დაგვიანებით გამოვიდა და უფრო ცუდად გასაღდა, მესამე კი მეორე ნაწილის გამოსვლიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ ჩააბარეს. ვახეთის გამოცემელმა ავდებულად დახედა ხელნაწერს და თქვა: „მე რომანი მეგონა, ეს კი უბრალოდ აბლაბუდაა“.

სამუშაო ხელისუფლების პირველ წლებში მოხერხებული ბრიკი გაზეთ „ისკუსტვო კომუნის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია ვახდა. ეს ვახეთი პეტროგრადში გამოვიდა. მე სტუდენტი კიდევაც ამტკიცებდა, რომ „ისკუსტვო კომუნის“ სწორედ ბრიკი გამოსცემდა, ვახეთი ფსევდონიმით ცხიხაძის იტარებდა, ხელოვნების საერთოში წაიშვებოდა, უხეში უტილიტარობით გამოირჩეოდა. შეიძლება ითქვას, რომ ვახეთის მცდარი მიმართულება ყველაზე მკვეთრად ო. ბრიკის პუბლიკაციებში გამოვლინდა.

მაიაკოვსკიმ, როგორც ცნობილია, ვახეთში „ისკუსტვო კომუნი“ რამდენიმე ლექსი დაბეჭდა, მაგრამ რა რაგ ვანსხავებული იყო მისი და ო. ბრიკის აზრები ხელოვნებაზე.

„ისკუსტვო კომუნის“ პირველ ნომერში, პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო მაიაკოვსკის ლექსი „ბრძანება ხელოვნების არმიას“ ხოლო გვერდით ო. ბრიკის წერილი „დრენაეი ხელოვნებას“. თავის „ბრძანებაში“ — ახალ ვახრდულს, ლაღ, რევოლუციური აღმადგენით აღსავსე ლექსში — პოეტი მოითხოვდა, რომ ხელოვნება მასობრივი, სახალხო გამხდარიყო:

Довольно грошовых истин,
Из сердца старое вытри.
Улицы — наши кисти .
Площади — наши палитры.

ის წუხდა: «Книгой времени тысячелетней революции дни не воспеты», ლაპარაკობდა ხელოვნების უდიდეს შთამავრებელ რღობზე სოციალიზმისათვის ბრძოლაში:

Это мало — постронить парами,
распушить по штанине канты.
Все совдепы не сдвинут армий,
если марш не дадут музыканты.

ხოლო საითკენ მოუწოდებდა, რას აცხადებდა ო. ბრიკი წერილში, რომელიც მოთავსებული იყო მაიაკოვსკის „ბრძანების“ გვერდით? აი მისი ძირითადი მოტივები: „პროლეტარიატი-

სთვის იღვა — არაფერია, კიდრე იგი ხორც შესხმული არაა, განხორციელების გზაზე დგას“, საჭიროა შევექმნათ „არა იდეების კორინტელი, არამედ მატერიალური ნივთი“, „არა იღვა, არამედ რეალური ნივთია ყოველგვარი კემპარტი შემოქმედების მიზანი“.

არანაკლებ საუფლისხმოა მეორე შემთხვევაც. გამოაქვეყნა რა „ისკუსტვო კომუნის“ მეორე ნომერში ლექსი „სისიარული ნადარეგია“, სადაც აღვილი ჰქონდა მცდარ პოლემიკურ გამოხდომას „გენერალ კლასიკოსთა“ წინააღმდეგ, მაიაკოვსკი დაეშურა გამოცხადებულ ნაწილში და უხევი ორი კვირის შემდეგ იმავე ვახეთის მეოთხე ნომერში დაბეჭდა ლექსი „ჩქითა მხარეს“, სადაც ნათლად და გასაგებადაა განმარტებული, რომ მის მიერ „გენერალ კლასიკოსთა“ უარყოფა მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, მათ წინააღმდეგ, ვინც რევოლუციის უბირისპირდებოდა: **За цельность Венеры... Готовы щадить веков камарилью** — წერდა ის მათზე. ლექსი თავდებოდა მკვეთრად გამობტული აზრით:

Когда ж
прорвемся сквозь заставы,
и праздник будет за болью боя, —
мы
все украшенья
расставить заставим —
любите любо!

„ისკუსტვო კომუნის“ იმავე ნომერში გამოაქვეყნდა ო. ბრიკის წერილი „გადარჩენილი ღმერთი“. მაიაკოვსკის საწინააღმდეგოდ ბრიკი დაიწინებით უარყოფდა კლასიკურ ხელოვნებას. გულმოსული ამბობდა, რომ ძღვეამოსილ პროლეტარს ეშინია „ფეხი შედგას“ სილაპარაკის ტაძარში და დაიხსნოს ხელოვნების ღვთაება. ის აღშფოთებული იყო მით, რომ „სისიარულის არ მცოდნე რევოლუციონერი გაცხარებით იცავს პუშკინს, რაფაელს, მიქელ ანჯელოს და ხელოვნების სხვა „წმინდა მამებს“. მართალია, წერილში ნათქვამია, რომ არაფერ არ აპირებს პუშკინის თხზულებათა განადგურებას, არც რაფაელის სურათების დაწვეს, არც მიქელ ანჯელოს ქანდაკებათა დამსხვრევას“, რომ „ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ სიწმინდის შარავანდელზე. მაგრამ შემდეგ წერდა: „საჭიროა ყოველდღე ვაფუროთხოთ ხელოვნების საკურსიხეველს“ — თქვა მარინეტემ. ის მართალია. მეტისმეტად მოჭარბდა წმინდანობა, მოჭარბდა კერპოთავაყნისმცემლობა ჩვენს დამოკიდებულებაში ხელოვნებისადმი, მეტისმეტად ნაკლებია შეგნებულ მიდგომა და საღი კრიტიკა“. ბრიკს ერთიმეორეზე მოჰყავდა იტალიური იმპერიალიზმის იდეოლოგიის მარინეტის ციტატები იმაზე, რომ ძველ სურათში შეიძლება დაინახო მხოლოდ „მატერის მამიე კრუნჩხვა“, რომ ძველი სურათით აღტაცება — ნიშნავს, ჩვენი



გრძნობების საწესდებ ურნაზე დანთხვეას და ა. შ.

შემდეგში, როდესაც მიაიკოვსკიმ დაარსა ჟურნალი „ლევნი“ მერე კი „ნოვი ლევი“, თ. ბრიკი ამ გამოცემათა მუდმივი თანამონაწილე ხდება, მისი პოზიცია ხელოვნების დარგში კი, მიუხედავად მცირეოდენი ცვლილებებისა, ძირითადად მაინც იგივე — ვულგარიზატორული და ანტიმარქსისტული დარჩა...

„ლევნი“ და „ნოვი ლევი“ მიაიკოვსკის სურდა გაეერთინებინა ძალები, რომელნიც დაეხმარებოდნენ დაეცვა რევოლუციური, პარტიული ხაზი ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მაგრამ, საუბედუროდ, პოეტი ზედმეტად ენდობოდა ბრიკს. მას, ბრიკს, ლევის თეორიული ძალების ერთგვარი ორგანიზატორის როლი ეკუთვნოდა და ამ ძალებს იგი თავის მსგავსთა, თავის თანამოაზრეთა შორის დაეძებდა. აქედან მომდინარეობს მკვეთრი წინააღმდეგობანი მიაიკოვსკის რევოლუციურ პრაქტიკასა და როგორც ძველი, ისევე „ახალი“ ლევის თეორეტიკოსთა ვულგარიზატორულ, ლეკვიდატორულ შეხედულებათა შორის. და ისევე ეხედვით თ. ბრიკს ანტიმარქსისტული ვულგარიზატორობის „მოწინავე“ პოზიციებზე. წერილში „ე. ვ. ფორმალური შეთოლი“ ბრიკი ამტკიცებდა, რომ „არ არსებობენ პოეტები და ლიტერატორები, არსებობს პოეზია და ლიტერატურა“, რომ „პოეზიის ისტორია — სიტყვიერი გაფორმების საშუალებათა განვითარების ისტორიაა“. წერილში „არა თეატრში, არამედ კლუბში“ ლაპარაკობდა რა ვ. მიერეპოლისის წარუმატებლობაზე შიგნიდან „აეფეთქებინა“ თეატრი, ბრიკი ირონიულად აცხადებდა, რომ სულაც არაა საჭირო მისი აფეთქება: „დე იდგეს, როგორც ძველი დროის ხელოვნების საბრძოლო ძეგლი“. მას მიაჩნდა, რომ მუშებისათვის კლუბიც საკმარისი იყო, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მივცეთ მათ ცირკი და ესტრადო. წერილში „სურათიდან ჩითამდე“ ბრიკი ამბობდა, რომ „სურათი კვდება“, რადგანაც ის „განუტყუვდა და დაკვირვებული კამბრალისტური წყობილების ფორმებთან“ და ამტკიცებდა, რომ „შემოქმედებით ყურადღების ცენტრში ახლა ჩითი ექცევა“, „დაზგური სურათი, — წერდა ბრიკი, — არა თუ არ სჭირდება ჩვენს თანამედროვე მხატვრულ კულტურას, არამედ წარმოადგენს მისი განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძლიერ დამამუხრუტეველს“. წერილში „შხამსაწინააღმდეგო“, ბრიკი მოითხოვდა გაემყვებინათ კინო და ყველაფერი ემოციური, და დაეტოვებინათ მხოლოდ შიშველი ფაქტი: „საჭიროა სრულიად გულახდილად ითქვას, რომ კინოფილმში ჩვენ არ ვაპირებთ აღძვრათ მაყურებლის სიხარულის გრძნობა, ან მწუხარება, ჩვენ ვინადა ვაჩვენოთ მხოლოდ საჭირო ფაქტები და მოვლენები“.

თავის ცალკეულ პუბლიკაციებში ბრიკი უპირისპირდებოდა მიაიკოვსკის, მის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზს. მან დაბეჭდა „ნოვი ლევი“ წერილი ფადეევის რომანზე „განადგურება“, სადაც მტად უარყოფითად ეხმაურებოდა ამ რომანს, მიაიკოვსკიმ კი განაცხადა: „ფადეევის „განადგურება“ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაქტებისმოყვარული დენკანის ჩანაწერები“ და ამით აშკარად უარყო ბრიკის გამოხმარება და მისი თეორიული დაყრდნობა შიშველ ფაქტებზე. ვ. შკლოვსკი, იხსენებდა რა ლევის პერიოდს, წერდა:

„ლევნი პოეზიას მიჰყავდა ხელოვნება. ბრიკი წინააღმდეგი იყო პოეზიის და პოეზიის. ის ამბობდა: „პოეზია საერთოდ არ არის საჭირო“.

მაშ რა არის საჭირო? გავითი. მუშათა აუდიტორიაში მას პასუხობდნენ: კარგი, დილით გავითი. საღამოს კი, რა? საღამოს — საღამოს გავითი.

ბევრი იცნობდა ბრიკს არა მარტო როგორც ფორმალზმის თეორეტიკოსს, არამედ როგორც უბრინციბო საქმოსანს. ა. ე. ლუნჩარსკიმ ლევის შესახებ დისპუტზე ასე დადასთანათა თ. ბრიკი: „განა ცხადი არ არის, ვისთან გვაქვს საქმე? ეს არის ადამიანი, რომელსაც არავითარი მრწამსი არ გააჩნია...“

და აი, აღარ არის მიაიკოვსკი. ოსო ბრიკი ერთიმეორეზე აქვეყნებს წერილებს, სადაც პოეტი გამოჰყავს რაღაც ზერელე განათლების მქონე პოლიტიკურ ბეცად და უსინდისოდ ახვევს მას საკუთარ ცოდვებს.

წერილში „მიაიკოვსკი — რედაქტორი და ორგანიზატორი“ ბრიკი გულმოდგინედ იხსენებს მიაიკოვსკის ხელისმწერას თავისი ხელისმოწერის გვერდით კანცელარულ ქაღალდებზე, აკისრებს მას წვერილმან საქმეთა შუამავლის როლს და მარჯვედ უელის გვერდს მიაიკოვსკის მთავარ დანიშნულებას, იმას, რომ იგი დიდადი სოციალისტური რევოლუციის პოეტი და მეტროლი იყო, მოჰყავდა რა მიაიკოვსკის ცნობილი სიტყვები: „უნდა მივესალმოთ ახალ ხელისუფლებას და კონტრადიქციულად მასთან“, — ნათქვამი პოეტის მიერ 1917 წლის 17 (30) ნოემბერს, ბრიკი წერდა: „იმ დროისათვის მიაიკოვსკიმ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეიგნო იმ დიდ ამოცანათა არსი, რომელიც იღდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ჩვენი ქვეყნის კულტურული და, კერძოდ, მხატვრული ცხოვრების ვარაძქმნის საქმეში. საჭირო გახდა მთელი შემოქმედებითი ცხოვრების გამოცდილება, რათა აღმოფხვრილიყო გვერეთწოდებულის. „მემარცხენე“ ხელოვნების ცრურწინა“. ბრიკი

ა. კოლმსკოზი
„კომიტის ტრაზედია“



ივეკ ამტკიცებდა, თითქმის მიაკოვსკის „ესთე-ტრატორ შეხედულებებში იყო ყველაზე მეტი შედეგობები“, და უპირველეს ყოვლისა, „კულტურული მემკვიდრეობისადმი ლენინური დამოკიდებულების გაუფერობა“, რომ მეტად ძლიერია „მემარცხენე“ ხელოვნების ცრუ პრინციპები, და თითქმის მიაკოვსკი დაეადებულ იყო „კულტურაზე წვრილბურჟუაზიული ანარქისტული შეხედულებებით“, რაც მას თავდაპირველად არ აძლევდა „საშუალებას ბოლომდე ჩაწვდომოდა პროლეტარული რევოლუციის არსსა და ამოცანებს“. მაგრამ არსებითად ხომ ამავეს ამბობდნენ მიაკოვსკიზე პოეტის მტრები.

მეორე წერილში, მოჰყავდა რა მიაკოვსკის იგივე სიტყვები: „საჭიროა მივსიალმოთ ახალ ხელისუფლებას...“ — ბრიკი ასეთ კომენტარს უკეთებდა მათ: „პოლიტიკურად ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ მიაკოვსკიმ ერთბაშად ვერ შეძლო კონკრეტული, საქმიანი კონტაქტების დამყარება საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან“. თურმე „უბრიველეს ყოვლისა, საჭირო იყო შეთანხმება განათლების სახალხო კომისართან ამხანაგ ა. ვ. ლუნაჩარსკისთან“, მაგრამ „შეთანხმება“ ვერ მოხერხდა, და იმედგაქრუებული მიაკოვსკი, რადგან „პეტროგრადში „მემარცხენე“ ხელოვნების პროპაგანდისათვის სხვა გზები ვერ გამოიყენა“, გაემგზავრა მოსკოვს, სადაც დ. ბურლიუთან და ვ. კამენსკისთან ერთად სცადა ელაპარაკა ხალხთან ლუნაჩარსკის ჩაურევლად. ბრიკი დაცინვით ამბობს „საუბარი ხალხთან“ მიმდინარეობდა „პოეტთა კაფესა“ და კაფე „პიტო-რსკისა“ ესტრადიდან.

სინამდვილეში მიაკოვსკის არავისთან შეთანხმება არ ესაჭიროებოდა: მან დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის მუშაობა რევოლუციის პირველ დღეებიდანვე. „წუფელი სმოლნოში. ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მომხვდებოდა“, — ნათქვამია მის ავტობიოგრაფიაში. შემდეგშიც განაგრძობდა თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან. უკვე 1917 წლის დეკემბერში გამოვიდა მისი პოემა „ომი და მშვიდობა“, შემდეგი წლის თებერვალში კი — პოემა „დაძინანი“ და მეორე, სრული გამოცემა პოემისა „შარლოანი ღრუბელი“. გარდა ამისა, მიაკოვსკი მუშაობდა „მოსტერია-ბუფზე, დაწერა სამი კინოსცენარი და თეიონად თამაშობდა ეკრანზე. რაც შეეხება მის გამოსვლებს მოსკოვში, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, აი ისინი: 1917 წლის 30 დეკემბერს (1918 წლის 12 იანვარს) — პოლიტექნიკურ მუზეუმში. დეკემბრის ბოლო რიცხვებში — ცირკში, 1918 წლის 2 (15) თებერვალს, 27 თებერვალს, 16 მარტს, 23 მაისს — პოლიტექნიკურ მუზეუმში.

ო. ბრიკმა, რომელიც ტრამპიზობდა მიაკოვსკისთან სახალხოვით, მთელ რიგ წერილებში

გამომავლად, რომ მას არასდროს — არც პოეტის სიცოცხლეში, არც სიკვდილის შემდეგ — არ ესმოდა მისი. ბრიკმა ვერ შეძლო ნაწარად შეეფასებინა პოეტის უმოთავერის ნაწარამოებები. მიაკოვსკის ოქტომბრის რევოლუციამდე დაწერილ ლექსებში იგი ხედავდა „მხოლოდ ანარქიულ ბუნტარულობას“, ხოლო როდესაც განიხილავდა ბოლო წლების ნაწარამოებებს, უსაყვედურებდა პოეტს: „კარგას!“ რიგ თავებში ლირიული სინაზე თითქმის მოღუწეულობის მიჯნაღდა მიყვანილო. მიაკოვსკის მეორე შესანიღვა ნაწარამოებში — პოემას „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ — ბრიკი ამგვარად ეხმურებოდა: „მესიანობის“ კვალი, რომელიც მეტად დამახასიათებელია მიაკოვსკის რევოლუციამდელო პერიოდის შემოქმედებისათვის, პოემა „ლენინშიც“ შეიმჩნევა... ის სტროფები, რომლებიც ლენინს „მხსენებდა“ ასახევენ, იდეალისტურია. მათში მიაკოვსკიმ ვერ შეძლო ეპოვანა პოეტური ფორმულირებანი პროლეტარული ბეღლის საწინათვის. ბრიკი ბრალს დებდა მიაკოვსკის იმაში, რომ პოეტი ზოგჯერ „მეტისმეტად მძაფრად გამოხატავდა პირად რეაქციას ბურჟუაზიულობის ყოველ გამოვლენაზე ჩვენს საბჭოთა ყოფაში, და ამტკიცებდა, თითქმის მას არ ეხერხებოდა კულტურული მემკვიდრეობის მკვეთრი გამოჭენა კულტურული ეპიგონობისაგან“ და ა. შ. და ა. შ.

რაგორღა შეიძლება ო. ბრიკი მიაკოვსკის მიაკოვსკის მეგობართა რიცხვს და ამასთან ამტკიცო, რომ მათ „იდეურ ინტერესთა ერთიანობა აკავშირებდათ“?

იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ მთვანზეც, ვინც პოეტის „უახლოეს“ მეგობრად თვლიდა და თვლის თას.

მეგობრებში მიაკოვსკის მხოლოდ კარვის დანახვა სურდა. მზად იყო ხელი შეეწყო ყველასთვის, ვისაც კი რაღაც ტალანტი, ნიჭის რაღაც ნატამალი მინც გაჩნდა, და მართლაც ხელს უწყობდა. მხარში იდგო თავისი ავტორიტეტით. საკუთარი სახელით იფარავდა თავდასხმებისაგან. ისინი კი რით უხდიდნენ სამაგიეროს? გააკეთეს კი მიაკოვსკის მეგობრებმა რაიმე ისეთი, რომ აესახათ პოეტის მრავალმხრივი საქმიანობა, შემოენახათ მისი სახე შთამომავლობისათვის? ვინ იზრუნა იმაზე, რომ სტენოგრაფიაზე ჩაეწერათ მისი ერთი გამოსვლა მინც? ვინ იზრუნა ჩაეწერა მისი ხმა, ლექსის განუმეორებელი კითხვა, ვინ იფიქრა იმაზე, რომ პოეტი კინოჭარნიკაში გადაეღოთ? არავინ. რასაკვირველია, მიაკოვსკის ნამდვილი მეგობრებიც ჰყავდა. ბავშვობისა და სიკვდილის მეგობრები, უახლოესი ამხანაგები პარტიულ სამუშაოზე: მ. კისელიოვი, ხ. ნ. სტავრაკოვი, ნ. ი. ხლესტოვი, ი. ბ. კარახანი, ვ. ი. გეგერი. კარგი მეგობრები ჰყავდა პოეტს ქართულ მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა

შორის — პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიჭოვანი და სხვები, რომელნიც მიაიკოვსკის საქართველოში ზედმოადნენ, როგორც თავის უახლესს ამხანაგს. ჰყავდა მისიყვარულე დედა ალექსანდრა ალექსის ასული, დები — ლუდმილა ვლადიმერის ასული და ოლა ვლადიმერის ასული. მაგრამ ეს ქვეშაირიტი მეგობრები, დედა და დები ათვალწუნებულნი იყვნენ მისი „უახლოეს წრეში“, სადაც უმთავრესი აღმძვინკველი იყო. ბრიკეზს ეკავათ „მამა, — წერდა ვ. შულოვსკი ოსიპ ბრიკეზს — ხელთ უპყრია მიაიკოვსკის დიდება“. არავის აწუხებდა ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც პოეტი წლების განმავლობაში განიცდიდა.

4

ახლა კი მივმართოთ პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებს და დღეებს.

ცნობილია, რომ მიაიკოვსკის შეუყვარდა ტ. ა. იაკოვლევა და მოინდომა საფრანკეთიდან სამკურთაო რუსეთში მისი ჩამოყვანა. ამ მიზნით 1929 წლის ოქტომბერში იგი პარიზში ამირებდა წასვლას, მაგრამ მოულოდნელად, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, არ მისცეს გამგზავრების უფლება. ეს მეტად მწვეველ ტყვილი იყო პოეტისათვის. არა მარტო იმიტომ, რომ შესაძლებლობას ვერაფერად შეხვედროდა საყვარელ ქალს, არამედ იმიტომაც, რომ ეს უარი, არსებითად, პოლიტიკურ უნდობლობას ნიშნავდა. სწორედ ასეთნაირად იქნა ეს გავებული ლიტერატურულ წრეებში, რამაც დაუყოვნებლივ იჩინა თავი მისი არაკეთილმოსურსენთა, ფარული და აშკარა მტრების მხრიდან. წესად იქცა წერა მიაიკოვსკიზე ავადმუთუბი ტონით.

პოეტის სიკვდილამდე ორი თვით ადრე, 1930 წლის იანვარში ჟურნალში „ხევედა“ გამოქვეყნდა ბ. ბუხშტაბის რეცენზია მიაიკოვსკის ლექსების წიგნზე „სპილოები კომპაჟშირში“. „ყველაზე უკეთესი, რაც შეიძლება ვთქვათ ამ წიგნზე, ისაა, რომ მასში არის რამდენიმე გონებაშილიური სტრიქონი... ჩვენ ვხედავთ რომ დიდი პოეტი იმყოფება პოეტური გახრწნის მიჯნაზე“, — წერდა ბუხშტაბი. იგი ამტკიცებდა, რომ მიაიკოვსკის ლექსების საზოგადოებრივი მნიშვნელობა მეტად საუკუთა და „იქვე უფრო მეტად საუკუთა მათი მხატვრული ღირებულება“, რომ წიგნში „ლექსების მავივრად გარითმული სტატიები“. „ამ კრებულის მხატვრული დაუდევრობა არ შეეფერება მიაიკოვსკის“, — დაუსაბუთებლად ამბობს კრიტიკოსი. ავტორი რეცენზიას ამთავრებს ირონიული ფრაზით: „გულს გტკენს ამ პატარა წიგნის კითხვა“. და ეს მასწინ, როდესაც კრებულში, სხვა ლექსებთან ერთად, შეტანილი იყო ღრმად პატრიოტული და მაღალ პოეტურ დონეზე დაწერილი „ლიონისსხმელ ივან კოზირევის ნამბობი ახალ ბინაში ჩასახლების შესახებ“, პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო სატი-

რული ნაწარმოები „მსახური“, მეტად ძლიერად ლირიკულ-პუბლიცისტური ლექსი „მარტისთვის თავი მოიწამლა“, „მარში-თავდაცვა...“

ყვეებზეთ დაესხნენ თავს კრიტიკული „უპასუხისმგებლო ტუჩებფართხუნები“ მიაიკოვსკის პიესას „აბანო“. პიესა დაიდგა 1930 წლის იანვრის ბოლოს ლენინგრადის სახალხო სახლის თეატრში. მარტის შუა რიცხვებში კი მეიერჰოლდის თეატრის სცენაზედაც ბევრი პირის დამოწმებით, ავტორისეული კითხვის დროს „აბანო“ განუწყვეტელ სიცოცხლეს იწვევდა, თეატრში კი, როგორც ერთგან, ისე მეორეგან წარმატება არ ჰქონია. დამდგმულეებმა, მათ შორის მეიერჰოლდმა, ვერ გაიგეს პიესა. ვერ შეძლეს მისი შინაარსის გახსნა.

მიაიკოვსკი მძიმედ განიცდიდა ამ მარცხს. ი. ვ. ილინსკი, პიესა „აბანოს“ ერთერთი შემსრულებელი (მეიერჰოლდის თეატრი). მოგვიხსნის: „სექტალების შემდეგ, რომელიც არც თუ ისე გულთბილად იქნა მიღებული მკურნებელთა მიერ (მიაიკოვსკი ამას ავადმყოფურად განიცდიდა), პოეტი მარტო იდგა ვესტიბიულში, გაატარა თეატრიდან გამოსული მთელი ამოდენა ხალხი და თვალეებში უტყვეროდა ყოველ მათგანს.

„აბანოს“ დადგმასთან დაკავშირებით მიაიკოვსკის მწვეველ განცდებს იხსენებს მეიერჰოლდის თეატრის მსახიობი მ. ფ. სუხანოვაც: „თეატრში, სექტალებზე „აბანო“, მიაიკოვსკი ყვერ კიდევ აპირდა პირველ დეკლამში დადიოდა. ამბობდა, სექტალები ჩავარდათ, დაღონებულნი იყო, ვერ ისვენებდა, თვალეები კი, რომლებსაც ისე შევძლოთ გეჭიროთ ადამიანისათვის, თითქოს სულში ყველაფერს ხედავდნენ, — ახლა აღარავის უტყვერდნენ. ხშირად შეიკიხებუნებდაც კი არ პასუხობდა. მე გვგონა, მისი უტუნებობის მიზეზი პრესაში გამოქვეყნებული წერილები იყო „აბანოს“ თაობაზე.

რაც შეეხება თვით პრესას, უფრო სწორად კრიტიკოსებს, მათ თავიანთი ცეცხლი მიმართეს არა დადგმის ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, — არა „აბანოს“ უნდელი და მცდარი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ სცენაზე, არამედ გაილაშქრეს თვით პიესისა და მისი ავტორის მიმართ. სიმ. დრეიდენი წერილში „ლენინგრადის სახალხო თეატრში“ ამტკიცებდა „აბანოს“ დადგმის შესახებ, პიესა ხალტურულად სახელდახელოდა გაცეთებელი. კრიტიკოსი, რომელიც თავის ვინაობას ინიციალებით „ე. ბ.“ ფარავდა, წერდა, რომ „აბანო“ — „დავინებული დემონსტრაციაა აიტაცისა, დროთა მსვლელობა რომ გამოეპარა. მ. იანკოვსკი გახარებული იყო, რომ „მიაიკოვსკის პიესა მთელი თავისი საუკუთა ღირსებებით წარმოვიდგა“. ვ. ერმილოვმა სხვადასხვა გამოცემებში

ბ. კოლოსოვი

„კომეტის ტრაგედია“



დაბეჭდა ორი უარყოფითი გამოხმაურება „აბანოზე“. ჯერ კიდევ სენაზე მის გამოჩენამდე, გამოქვეყნებულ ნაწყვეტზე დაყრდნობით დაასკვნა, ითქვას „პოზედონოსიკოვის მთელი ფიგურა სიერთოდ აუტანლად ყალბია“ და რომ „აქ, მთავრობისთან უდავოდ ეღერს ყალბი „შემარცხენე“ ნოტა. მთავრობის სიკვდილამდე ერთი თვით ადრე „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა ან. ჩაროვის რეცენზია, სადაც ის წერდა „აბანოს“ შესახებ, რომ პიესა „მართლაც ცუდი გამოვიდა“ და მისი „დადგამც კი არ ღირდა“. მაგრამ ეს ხომ დაბეჭდილი იყო სწორად იმ განვითარების, რომელიც მთავრობის ასე უყვარდა და რომელსაც ამდენი ძალა და ნიჭი ღებოდა!

მთავრობის ყოველივე ამ გამოხმაურებასა და ცილისწამებებზე მხოლოდ ვ. ერმილოვის უპასუხება:

**Сразу
не выпарить
бюрократов рой.
Не хватит
ни бань
и ни мыла вам.
А еще
бюрократам
помогает перо
критиков —
вроде Ермилова...**

დანარჩენი კი — ათეულობით და ასეულობით დიდი და პატარა ზომის წერილი, რეცენზიები, მტრული გამოხმაურებები, ცილისწამებულური სტატიები — უპასუხოდ დარჩა. „უპასუხისმგებლო ტუჩებფართხუნები“, ანდა, როგორც მათ ახლა მთავრობის უწოდებდა — „ჩასაფრებელი კრიტიკები“, შიგ გულში უმინებდნენ პოეტს და ასე გრძელდებოდა მის სიკვდილამდე. განუთების, ეურნალების, წიგნების ფურცლებიდან დევნი გრძელდებოდა აუდიტორიებში, სადაც პოეტი გამოდიოდა. გულღვარძლიანი ობიექტულები აძლევდნენ მას პროვოკაციულ შეკითხვებს, აწვიდნენ შეურაცხყოფელ ბარათებს.

რაოდენ საჭირო იყო ასეთ პირობებში მეგობრული თანაგრძნობა. სწორედ მაშინ დაინახა მთავრობის, რომ ნამდვილი ლიტერატურული მეგობრები არა ჰყოლია.

ჩვენ უკვე ვახსენეთ ის უთანხმოებანი, რომლებიც არსებობდა მთავრობისა და მის თანამოსაგრეთა შორის ლეფში. მხატვართს ს. ი. აღლივანკინმა, რომელიც მთავრობისთან ერთად რეკლამაზე მუშაობდა, ასე დაახასიათა პოეტის მდგომარეობა ლეფში: „მისი მოქმედება ყოველთვის მეტად პრინციპულ ხასიათს ატარებდა. მის ხასიათში არ იყო რაიმე წყროლმანური, ჭკუფობრივი. მის გარშემო კი ხშირად იქმნებოდა სწორედ ჭკუფობრიობის ატმოსფერო.“

მე მეჩვენებოდა, რომ ვლადიმერ ვლადიმე-

რის ძე მარტო იყო თავის თანამოსაგრეთა შორის ლეფში. ის როგორღაც თავისთვის იყურებოდა თუმცა ამ ჭკუფის ხელმძღვანელს, ლიფსის წარმომადგენელს.“

ეს განსხვავება მთავრობისა და ლეფის სხვა წევრებს შორის კიდევ უფრო მკაფიოდაა ნაჩვენები ე. ა. ლავინსკაის გამოუქვეყნებელ მოგონებებში. ლავინსკაია მონაწილეობას ლეფში ლობდა ლეფის საქმიანობაში. აღწერს რა ლეფის ერთ-ერთ კრებას რომლის ხელმძღვანელობა რატომღაც ლიტერატურულ საქმიანობისაგან შორს მდგარა ლ. ბრიკმა იცისრა, ლავინსკაია იგონებს:

„არასოდეს ასე ცხადად არ დამინახავს ის კედელი, რომელიც არსებობდა მთავრობისა და ბრიკებს შორის. გამახსენდა ოსიას ყბადღებული ფრაზა: „ყველაზე უკეთესი, რაც ოდესმე დაუწერია ვალოდიას — ესაა «Нигде, кроме, как в Моссельпроме!» ამასთან, სერგეი ტრეტიაკოვის ფანტიკური ჩიხინა, რომ თავი უნდა მივიანებოთ ლექსებისა და პოემების წერას, რომ საჭიროა ფაქტების ფიქსირება, აუცილებელი და მნიშვნელოვანი მხოლოდ ეს ყოველისშემძლე ფაქტები და ქრონიკაა. ან ბრიკია ლაქლაქი იმაზე, რომ აღჩინდელ ნაწარმოებებს მეტი სიმამფრე და სიმამხილე ჰქონდათ (კრუჩონინი დღემდე იცავს ამ თვალსაზრისს), ახლა კი ცხოვრება სხვაგვარ მოთხოვნებს აყენებს, თუ მაინცდამაინც ლექსები უნდა დაიწეროს, მაშინ ისინი ავტოფურცლები უნდა იყოს, ხოლო ლირიკა-ტივილი, სატირა-ყოველივე ის რაც სისხლთაა დაწერილი, ეს ყველაფერი ბრიკისათვის მხოლოდ „თავშესაქცევა“ა. საჭირო იყო მთავრობის შეჩერება და მასაც აკავებდნენ.“

მე, არსებითად, არ მახსოვს რაიმე განსხვავება ტრეტიაკოვისა და ბრიკის იმ თვალსაზრისთან შორის, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობის ლექსები „მოძველდა“ და ემოქსიაც რაღაც სხვა სჭირდება, და 1930 წელს გავრცელებულ ფრაზას შორის იმაზე, რომ „მთავრობის გამოცხადება“ შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო საშინელი ის იყო, რომ ტრეტიაკოვი და ბრიკი — მისიანები იყვნენ, ამაში იგულისხმება სახლი, სადაც ყველაზე უფრო ახლობელი აღამიანები გვეუბრება, რადღაც გარეთ არაკეთილმოსურნეები და მტრები — საკმარისად არიან.

დიახ, რა თქმა უნდა, ეს იყო სწორედ ყველაზე უფრო საშინელი მთავრობისათვის, რომელსაც ასე სჯეროდა, მეგობრების. სწყუროდა ენახა თავის გვერდით თანამოსაგრეთს სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლაში.

ტრეებს რა ლეფს, პოეტი აარსებს ახალ ლიტერატურულ ჭკუფს რეფს (ხელოვნებათა რეკოლუციური ფორმტი), რომელშიც შევიდა ლეფის წევრთა ნაწილი, მათ შორის ნ. ასეევი, ს. კირსანოვი, თ. ბრიკი. მაგრამ მალე მთავრობის დაარწმუნდა, რომ შემდგომი წინსვლა ამ



პატარა გვფთვით შეუძლებელი იყო, დაშალა რეფი და შევიდა პპრა-ში. აი, აქ — კი საბოლოოდ ირკვევა პოეტის მეგობართა ფასი: ისინი, როგორც ერთი, აღდგენენ მთავრობის წინააღმდეგ იმიტომ, რომ იგი შევიდა პპრა-ში რეფის სხვა წევრებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ამგვარად, — მოგვიტობს ამ პერიოდზე ნ. ასევე — ლევის ყველა ყოფილმა თანამშრომელმა, რომლებიც შემდგომში რეფში გადავიდა, გაილაშქრა პოეტის ერთბაშად შექმნილ მოქმედებათა წინააღმდეგ, გადაწყვიტეს მიხედვით რეფის მთავრობის, რომ ისინი არ იქონებდნენ რეფის დაშლის და ამხანაგების გარეშე პპრა-ში მის შესვლას.

იმ დროს ჩვენთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი ვლადიმერ ვლადიმერის ძის მოქმედებაში, რადგანაც მაშინ კიდევ არ ვიცოდით ის, რაც ვიცით ახლა. რაც მთავარია, წარმოდგენაც არ გვქონდა, რა სიმწარე ჰქონდა დაგუბებულ სულში. იგი ხომ არასდროს არ ჩიოდა თავის „უბედურებებსა და წყენახზე“.

მთავრობებმა პპრა-ში შესასვლელად განცხადება 1930 წლის თებერვალში შეიტანა. მასი „მეგობრები“ კი — რეფელებიც და ლეფელებიც — ფაქტიურად ბევრად ადრე აჟანყდნენ. პპრა-ში შესვლამდე რამდენიმე თვით ადრე, როდესაც რეფი არ არსებობდა, მთავრობებმა დაიწყეს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 20 წლისთავისათვის გამოფენის მომზადება. არც ერთმა მისმა მეგობარმა არ ისურვა დახმარება და პოეტს. ლ. ბრიკი მის მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერებში, რომლებიც გამოფენის მოწყობის დროს ეხება, 1929 წლის 29 დეკემბერს აღნიშნავს: „ვ. დილიდან საღამომდე სირბილში ატარებს. შუალამდე ზინა სვეშნიკოვასთან ერთად აწესებს სავაჭრო ალბომებს“. შემდგომ ლ. ბრიკი ასხენებს ვიღაც ბიჭებს, რომლებმაც გადაწყვიტეს გაეკეთებინათ იმ ვიტრინაზე, სადაც მოთავსებული იყო გაზეთები პოეტის ლექსებით, წარწერა: „მთავრობის გაუგებარია მასებისათვის“.

აი ასე: ვიღაც ზინა სვეშნიკოვა, რომელიც არასდროს არ აცხადებდა თავს მთავრობის მეგობრად, ვიღაც უცნობი „ბიჭები“ ეხმარებოდნენ პოეტს გამოფენის მოწყობაში, რომელსაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ლ. ბრიკისათვის, როგორც ეს მისი მოგონებებიდან ჩანს, მთავრობის გამოფენა მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარი „თამაში“ იყო. მხოლოდ ლ. ბრიკი თავის მოგონებებში ისე წარმოგვიდგენს საქმეს, თითქოს მთავრობის „ბრძოლისაგან გადაიღალა“, თითქოს მას „მოესურვა ცოტა სიმყუდროე და ოღნაეი შემოქმედებითი კომფორტი“, და მოაწყობა გამოფენა, რათა ხალხს „ვიტრინაში“ მისი ნიჭი“.

თუმცა თვით მთავრობის თქმით გამოფენა მოწყობა იმისათვის, რათა „ეჩვენებინა, რომ

მწერალი — რევოლუციონერი — არაა საზოგადოებისაგან განდგომილი, ვისი ლექსებიც იწერება წიგნაკში და შემდეგ მტვერი ედება თაროებზე, არამედ მწერალი-რევოლუციონერი არის აღამიანი ყოველდღიური, საქმიანი ცხოვრებისა (და) სოციალიზმის მშენებლობის მონაწილე... ვაჩვენოთ, რომ ჩვენ დასასვენებლად არა გვცალია, რომ საჭიროა დღიანი დღემდე, თავიუღებლად მუშაობა კალმით“.

ეტყობა, სხვა „მეგობრებიც“ ბრიკის აზრისა იყვნენ გამოფენის მოწყობაზე. „ვლ. ვლ. ნაწყენი იყო, რომ არავინ ეხმარებოდა გამოფენის მოწყობაში, და მთელი სამუშაოს შესრულება თვითონ მოუხდა, — იგონებდა შემდეგ მთავრობის შოფერი ვ. გამაზინი. — და თუმცა მის გვერდით რამდენიმე ახალგაზრდა ენთუზიასტი — მხატვრები და ლიტერატურული წრის წევრები — აღმოჩნდა, სინამდვილეში მთელი უზარმაზარი სამუშაო: მასალების — წიგნების, პლაკატების, გაზეთების, რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობის საარტივო საქმეების, ფოტოების, აფიშების — შეგროვება და მათი ექსპოზიცია ფედერაციის კაბუბის რამდენიმე ოთახში თვითონ იკისრა. თვითონ აწყობდა სტენდებს, ალაგებდა ექსპონატებს“.

როდესაც მთავრობებმა დაშალა რეფი და შევიდა პპრაში, ვერტოფილემებმა მეგობრებმა ბოიკოტი გამოუცხადეს და მასთან შეხვედრები შეწყვიტეს. სემიონ კირსანოვმა დაწერა ლექსი „ხელის ფასი“. მისი შინაარსი რომ გავიკეთო საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი. 1926 წელს მთავრობებმა გამოაქვეყნა მრისხანებით აღსავსე ლექსი „მექრთამები“, სადაც წერდა:

**Я
белому
руку, пожалуй дам,
пожму, не побрегаж ею.
Я лишь усмехнусь:
— А здорово вам
наши
намыляли шею! —
Укравшему хлеб
не потребуешь кар.
Возможно
простить и убийце.
Быть может, больной,
сумашедший угар
в душе у него
клубится.
Но если
скравший
этот вот рубль
ладонью
ладонь мою тронет,**

**ბ. კოლმსკოვი
„კომეტის ტრაბედა“**



я, руку помыв,
кирином ототру
поганую кожу с ладони.

და აი, სემიონ კირსანოვი, რომელმაც მაიკოვსკის შესვლა პპრა-ში დეზერტირობად შეაფასა, 1930 წლის 8 თებერვალს „კომსოლო-სკია პრავდაში“ ბეჭდავს ასეთ სტროფებს:

Дезертир,
бегущий с фронта стройки,
мне — не друг,
а враг по крови нам.
И сейчас,
кричащий эти строки,
Я руки
такому
не подам.

Ренегат,
предавший
дело класса,
ставший тылом
к будущим годам,
Мне не друг!
Готов дыханьем клясться
Я руки
такому
не подам!

Хитрый волк,
бежавший за границу
к банками
зажатым городам,
мне не друг,
покуда жизнь хранится,
я руки
такому
не подам!

Спекулянт, снимавший сливки
с жизни,
мне не друг!
И этим господам,
брезгуя прикосновеньем
к жизни слизи,
я руки
и пальца не подам!

Если же друг, вчера нуждаясь
в друге,
я сегодня,
усмехая рот,
и держа
по швам
с презреньем руки —
другу,
мне,
руки не подает,
пусть
оскрепки дружбы
копшатся!

Пемзой гризть!
Бензином кисть облить,
чтобы все
его рукопожатыя
со своей ладони соскоблить.

ე. პერცოვი, რომელიც სხვა ლექსებთან ერთად ოპოზიციასში უდგა მაიკოვსკის, ასეთ კომენტარს უკეთებს ამ ლექსს: „ფართო მკითხველმა არ იცოდა, თუ რა გარემოებებით გამოწვეული და ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს ლექსი (მაიკოვსკის სახელი კირსანოვს არ უხსენებია), მაგრამ ქვეტექსტი ნათელი იყო პოეტის თანამედროვეთათვის (ლექსი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გვერდზე“) და, რასაკვირველია, თვით მაიკოვსკისთვისაც.“

გამოფენის დღეებში და თვით გამოფენაზე მაიკოვსკი ძველებურად და, შესაძლებელია, უფრო მეტადაც, განიცდიდა რომ აქ არ ესწრებოდნენ მისი ლიტერატორი მეგობრები. გამოფენამ წარმატება პოვა მკითხველთა შორის. მწერლები კი უყურადღებოდ შეხვდნენ მას, თუმცა სტენდები მწერალთა კლუბში იყო გამართული. „ლიტერატურული ვახუთი“ იუწყებოდა: „გამოფენას ესწრებოდა, უმთავრესად, ახალგაზრდობა. მწერლებიდან თითქმის არავინ ყოფილა.“

გამოფენასთან და მაიკოვსკის ლიტერატურული საქმიანობის ოცი წლისათვის დაჯავშრებით გაიმართა საღამო. ცნობილი ქართველი კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე ამის შესახებ მოგვითხრობს:

„საღამო დაიწყო... ვიღაც ახალგაზრდამ სიტყვა ითხოვა. ილაპარაკა, როგორც შეველო, მაიკოვსკის შემოქმედების მნიშვნელობაზე.“

პოდა, სულ ეს იყო.
— რა ექნათ, ამხანაგებო! — მიმართა ვლადიმერ ვლადიმერის ძემ დარბაზში მყოფთ, როგორც ხედავთ, არც ისეთი დღეა, რომ თავი შეგაწყინოთ ლამაზი სიტყვებით. ერთადერთი, რაც შემიძლია ახლა, ეს ისაა რომ წაგიკითხოთ ჩემი ახალი პოემა „მთელი ხმით“.

არა მგონია, შევძლო რაიმე შედარებით გადმოვცეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც მისმა კითხვამ მოახდინა. ბერკტერ მომისმენია მისთვის, მაგრამ ასეთი — არასოდეს მინახავს. უცველი სიტყვა გრდემლივით სცემდა.

დარბაზი სახანვეროდ ცარიელი იყო. ჭგუფებად და ცალ-ცალკე ისხდნენ ახალგაზრდები და შემთხვევითი ადამიანები...

აქ არ იყო კირსანოვი, ასევე, კრუჩონიხიცი კი არსად ჩანდა. სადღაც უკან მარტო იჯდა ისიპ ბრიკი“.

გამოქვეყნებულ დღიურებში ლ. ბრიკმა ასე ასახა იმ საღამოს შთაბეჭდილება: „გ. ვადილილია, ლაპარაკობდა საშინლად დაქანცული. ზოგიერთი გამოვიდა სიტყვით, შემდეგ ვ-მ. წაიკითხა ახალი პოემის შესავალი. ძალიან დიდი



შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ნაწერს კითხულობდა და ისიც ნაძალადევადა.

ორი კვირის შემდეგ კი ლ. და ო. ბრიკებმა, რომლებიც თავიანთ თავს მთავარი მთავრობის უახლოეს მეგობრად, უფრო მეტიც — მასთან ერთიანი „კომუნისტური ოჯახის“ წევრებად თვლიდნენ, საზღვარგარეთ ვასწიეს ხანგრძლივი ვადით სამოგზაუროდ. გამგზავრების წინ ლ. ბრიკმა მთავრობის ოჯახი მოინახულა და შესწავლა მის დედასა და დებს:

„ვალოდია აუტანელი გახდა. მე ისე ძალიან დავილაღე. და ოსიასთან ერთად გადავწყვიტეთ გავემგზავროთ ლონდონში, დედასთან“.

შემდეგში 1930 წლის 14 აპრილს ტრაგედიის ერთ-ერთ მიზეზად ბრიკის მეგობრებს უახლოესი აღმანიშნების გამგზავრება მიჩნდათ. გადაკრით ამბობდნენ, ბრიკები რომ ამ ქოფილიყვნენ, არაფერი მოხდებოდაო. მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ ლ. და ო. ბრიკების როლი მთავრობის ცხოვრებაში. ის დიდი ხანია ან, შეიძლება, ყოველთვისაც. უცხო იყო მათთვის პოეტი „უახლოეს მეგობართა“ შორის მუდამ მართო იყო.

ე. ა. ლავინსკია, რომელიც წლების მანძილზე ავირდებოდა მთავრობისა და მის „უახლოეს მეგობართა“ ცხოვრებას, თავის მართლსა და სეველით აღსაესე მოგონებებში მოკვიტობს:

„რა მართობის გრძობდა მთავრობე თვისიანების წრეში! ეს დავასკვენი საკუთარი დაკვირვებით და ამხანაგებთან საუბრებითაც. მას მართლმართო მიჩქონდა თავისი ტვირთი და არ შეეძლო, ნაწილობრივ მაინც მეგობართა მხრებზე გადაეტანა ამ ტვირთის სიმძიმე...“

მთავრობის თავის წრეში — ეს იყო ვიწროლუფური საქმიანობა, სიყვარული ლილიასადმი, რომელსაც, ისევე როგორც ოსიას, ყოველივე ახლის მიმართ ჰქონდა გემოვნება: ლექსის, რიტმის, ხმის, დიდების მიმართ (ეს ყველაზე მეტად), და არა ჰქონდა იმის მტრად გაგება რომ მთავრობის ლექსები მართლაც სისხლით იყო ნაწერი“.

ბოლო თვეების და კვირების მანძილზე მთავრობის ძლიერ გადაიღლა. ამავე დროს გრიპითაც ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, გამოხდომები მის წინააღმდეგ ერთი დღითაც არ შეწყვეტილა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პოეტის მიმართ წინასწარგანზრახული პოლიტიკური დისკრედიტაციის ხასიათს ატარებდა.

1930 წლის აპრილის პირველ რიცხვებში დაიბეჭდა მეორე ნომერი ჟურნალის „პეჩატ ი რევოლუცია“ მთავრობის პორტრეტით გარეკანზე და რედაქციის მისალმებით:

„მე ვ. მთავრობის — დიდ რევოლუციურ პოეტს, პოეტური ხელოვნების შესანიშნავ რევოლუციონერს. მუშათა კლასის დაუღალვე პოეტურ თანამებრძოლს. მსურველედ მიესალმებით“.

მემა „პეჩატ ი რევოლუცია“ მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 20 წლისთავთან დაკავშირებით.

პოეტმა იცოდა ამის შესახებ, რედაქციიდან აცნობეს, მაგრამ სახეგამის დირექტორის ა. ხალატის განკარგულებით, 9 აპრილს პორტრეტი და მისალმება ამოღებული იქნა უკვე დაბეჭდილი ტირაჟიდან. მოსკოვის პლენარის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში გამართულ საღამოზე, შესვენების დროს, მთავრობის აჩვენეს ჟურნალიდან ამოგლეჯილი პორტრეტი მისალმებასთან ერთად.

როგორც ვ. ი. სლავისკი ვაღმოვეცემს, მთავრობის საღამოზე ძალზე ავადმყოფი მოვიდა. კითხვებზე „როგორ გრძობობ თავს, ამხანაგო მთავრობე? ძლიერ მიუჯო: „ცუდად. ვავადმყოფობ. გრძობი მჭირს“. სლავისკის შემონახული ჩანაწერის მიხედვით, მთავრობემ ცალკეულ მსმენელთა შემოტყვის საშაუსოდ თქვა: „როდესაც მოვეკვდები, გულაუყუებულო, ატრემლებულნი წაიკითხეთ ჩემს ლექსებს (ზოგიერთნი იციან). ახლა კი, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემზე ბევრ სისულელეს საშაუსობენ. ბევრს მლანდავენ... რაც კი ითქმება და იწერება ცოცხალი პოეტების შესახებ, იმასთან შედარებით, ჩემზე ყველაზე უფრო მეტად გრცელდება სისულელები“.

და მაინც ბევრნი და ბევრნი ამტკიცებენ, რომ უკანასკნელ დღემდე არავის უფიქრია მომავალ კატასტროფაზე. აი, რას იუწყებოდა 1930 წლის 15 აპრილს ვაჭით „ივერნია“ მოსკოვში მთავრობის ბოლო დღეების შესახებ:

„...ვის შეეძლო ჩერ კიდევ გუშინწინ ფიქრი იმაზე, რომ ერთი დღის შემდეგ მწერალთა კლუბის შესასვლელში შავარშიბიანი სამგლოვიარო დროებით იქნებოდა გამოკიდებული, რომელნიც სეველიანად მოვეგონებენ, რომ ამ საკონფერენციო დარბაზში ასვენია ვლადიმერ ვლადიმერის ძე მთავრობის ცხელი. ვის შეეძლო ამაზე ფიქრი ჩერ კიდევ გუშინწინ? არაფერი არ მიგავინსებდა ასეთ დასასრულს. 12 აპრილის დღეს — იმ დღეს, რომელითაც დათარიღებულია მთავრობის სიკვდილისწინა წერილი, ის მწერალთა ფედერაციაში იყო და სხვებთან ერთად იხილავდა კანონრომებს საავტორო უფლებებზე. იმავე 12 აპრილს — ნაშუადღევს ის იცავდა ამ კანონრომებს ხახვოსაშუბის სნდომაზე.“

12 აპრილს ტელეფონით ათანხმდა თავისი გამგზავრების საკითხს მწერლებთან ერთად ლენინგრადში, 14 აპრილს დღისათვის მთავრობის თავის ბინაზე დანიშნული ჰქონდა საქმიანი შეხვედრა მწერლებთან“.

ნატო ვანნაძის მოგონებებში კეთილშობილთ: „სიკვდილის წინა დღეს მთავრობის შეხვე-

ა. კოლმსკოვი
„პომბის ტრაგედია“



ვლთ მე და ნიკოლოზ შნაგელაია მწერალთა კავშირში. ამრა კიდევ არ უხვებნებდა. ვლადიმერ ვლადიმერის ძე ცუდ ხასიათზე იყო.

განა შემძლო თუნდაც წუთით წარმოემდგინა, რომ მეორე დღეს მას ცოცხალს ვეღარ ვნახავდი?

მაიაკოვსკი და სიკვდილი?.. ეს რაღაც შეუსაბამოა...“

ასე ლაპარაკობდა ყველა, ვინც შეხვდა მას 13 აპრილს და უცებ...

მიხვც რა მოხდა 1930 წლის 14 აპრილს?

როგორც მკითხველს ახსოვს, ჩვენ უარყვავით ბოროტმშობელური მონაჩახსი, თითქოს მაიაკოვსკის ტრაგედიას საფუძვლად ედვა უთანხმოება საბჭოთა სინამდვილესთან. ჩვენ აგრეთვე უარყვავით მტკიცებანი, თითქოს პოეტის სიკვდილის მიზეზი მდგომარეობდა თვითმკვლელობისადმი მიდრეკილებამი.

მაიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარემოებათა გადმოცემისას, რაც გვეხმარება მისი ტრაგედიის გაგებაში, მივფიქროვით იმ ხან-ხრძლივ, მრავალწლიან დევნაზე, რომელიც თან ახლდა პოეტის დაძაბულ, დამქანცველ მუშაობას; აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ ცუდ გარემოცვაში მოუხდა ყოფნა. ბევრი მათგანი, ვისაც ის მეგობრად თვლიდა, ცრუ მეგობარი აღმოჩნდა; ჩვენ ყურადღება გვაქმავილეთ აგრეთვე იმაზე რომ, პოეტის პირადი ცხოვრება არ იყო აწყობილი.

მაგრამ გვაღელვებს და გვაფიქრებს არა მარტო ტრაგედიის სხვადასხვა მომენტები, არამედ მისი ხასიათიც. საქმე ისაა, რომ სიკვდილის დღიდან მოყოლებული დღემდე, პოეტის დაღუპვის ირგვლივ იდუმალი, ქარავმული, ატმოსფერო სუფევს.

1930 წლის 24 აპრილს, გაზეთში „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, რომელიც ლენინგრადში გამოვიდა. გამოქვეყნებული იყო მწერალ ნიკოლოზ ნიკიტინის წერილი „შეცდომა?“ აი როგორი ფიქრები აღეძრა ავტორს მაიაკოვსკის სიკვდილთან დაკავშირებით:

„ამბობენ — შეცდომააო. ვინ იცის? ვფიქრობ — ისიც ხომ მანქანა არაა. ანდა მოძრაობის, კვების, წვის აგრეგატი.
„წესი“ უსაძაგლესი.
მაგრამ ჩსუბის შემდეგ მუსტები ვიქნით? ესეც არაა, ამხანაგებო, წესი...
დადრე კი რას უყურებდით? ვინ ჰყავდა გვერდით?
პოეტის მეგობრები“...

წერილში „რა მოხდა?“ 1930 წლის 17 აპრილს მიხეილ კოლცოვი წერდა: „არ შეიძლება ნამდვილ, სრულფასოვან მაიაკოვსკის პასუხი მოეთხოვოთ თვითმკვლელობისათვის. ისროდა ვიღაც სხვა, შემთხვევითი, დროებით დაუფლებული პოეტის, საზოგადო მოღვაწის, რევოლუციონერის ფსიქიკას. ჩვენ, მაიაკოვსკის თა-

ნამედროვენი, მეგობრები ვითხოვთ რეგისტრაციას ვაატაროთ ეს ჩვენება“.

უქრნალ „ლიტერატურნაია უნობას“ მიერ 1934 წელს გამოქვეყნებულ საუბარში ნ. ასევე იგონებს: ჩვეულებრივ მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებზე წერილობით შეკითხვებს იძლეოდნენ „მანც რა მოხდა? რატომ? როგორ ავხსნათ ეს გაუგებარი სიკვდილი?“ და როდესაც საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ვეფიქრდებოდა ამ კითხვებს, მეტად სხვადასხვავარი და ერთმანეთის საწინააღმდეგე აზრები შეხადებოდა“.

ამ სამი წლის წინათ, პოეტის სიკვდილის წლისთავზე, ნ. ასევემა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოაქვეყნა დაუმთავრებელი პოემის ნაწყვეტები, სადაც მაიაკოვსკისადმი მიმართული ასეთი სტროფებია:

**Ничего, что губы, оледенев,
Обронили октябрьской лстывы слова.
Я останусь с тобой наедине:
Расскажи мне: кто в этом виноват?**

**Ничего, что воском сплылась ладонь,
Ничего, что грозен глаза пожух,
Разбудий молчанье на сотни ладонь,
Я ухо к ране плотней приложу.**

**Я знаю, что, к сердцу свинец неся,
Поднимая стотонную сталь ствола,
Ты нажим гашетки нажал не сам,
Что чужая рука твою вела.**

**Что какой-то вымуштрованный
гипнотизер,
Запропавший за сплывшиеся этажи,
На тебя ненавистный оставил взор
И в безволье крикнул тебе: не дыши!
Что за нами повсюду ведет наган
Неуловимая тень врага,
Что и так и этак в твоём лице
Напоследок песня взята на прицел.**

**Ничего, что губы, оледенев,
Обронили лстывы октябрьской слова,
Я останусь с тобой наедине:
Расскажи мне: кто тебя — наповал?!**

ლ. ბრიკმა გამოაქვეყნა სტატია „წინადადება მკვლევარებს“. ამასთან დაკავშირებით პოეტის და ლ. მაიაკოვსკაია წერდა: „რა გასაკვირვებელია, რომ დღესაც ბევრი კითხულობს, რა ვითარებაში მოხდა მაიაკოვსკის სიკვდილი. სამწუხაროდ, ამ გარემოებათა გამოარკვევას ხელს უშლის ის, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოგონება, რომლებიც ნათლპყოფენ, იმ მიზე ვითარებას, რომელშიც ცხოვრობდა ჩემი ძმა, ვითარებას. რომელიც განსაკუთრებით გარ-



თულდა მისი ცხოვრების ბოლო წლებში, როდესაც მას ტატიანა იაკოვლევა შეუყვარდა და მისი ცოლად შერთვა მოინდომა, ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი რჩება. მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ახლა, სანამ ცოცხალია ბევრი იმათგანი, ვინც მიაიკოვსკის იცნობდა, ჩატარდება მისი სიკვდილის გარემოებათა გულდამით გამოკვლევა, ძალიან ბევრი რამ ნათელი გახდება ჩვენთვის და, ასეთი გამოკვლევა, რასაკვირველია, კიდევ ერთხელ უარყოფს ცრუ ვერსიას პოეტის თვითმკვლელობისადმი მიძღვრილების შესახებ“.

ხანდახან ამბობენ: რა ვეძებოთ, რა გამოვიკვლიოთ? მიაიკოვსკიმ ხომ „სიკვდილისწინა წერილში“ ყველაფერი თვითონ ახსნა. მაგრამ წერილი 12 აპრილითაა დათარიღებული, თვითმკვლელობა კი 14 აპრილს მოხდა. ამავე დროს ცნობილია მიაიკოვსკის საუბრის ეგრეთწოდებული „გეგმა“ ვ. პოლონსკაისთან, რომელიც, როგორც ჩანს, აგრეთვე შედგენილია 12 აპრილს. მასში ნათქვამია: „მე არ დავასრულებ სიცოცხლეს, არ მივანიჭებ ასეთ სიამოვნებას მხ. თეატრს“.

ამ ნაშრომის ავტორი ესაუბრა ზოგიერთ პირს, რომელნიც შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდნენ 1930 წლის 14 აპრილს, დილით. მათი დამოწმებანი მეტად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ბევრის ახსნა შეეძლო წინასწარი გამოძიების მასალებს. მაგრამ ისინი არ შემოუნახათ.

ვ. პეტროვი, ეხება რა პოეტის სიკვდილს, 1966 წელს მიაიკოვსკიზე გამოსულ წიგნში, წერს:

„მე არ ვთვლი, რომ მასალები, რომლებიც

ეხებიან მიაიკოვსკის სიკვდილის საკითხს, მთლიანად შესწავლილია: ბევრი რამ ჯერ კიდევ ცნობილი არ არის. და აი კიდევ რა: მომავალი ისტორიკოსი ბევრად უფრო თავისუფლად, ვიდრე თანამედროვე, შეძლებს პოეტთან დაკავშირებულ ადამიანთა მიმართ, ელემენტარული ტაქტის დაურღვევლად შეაფასოს მათი ადგილი და მნიშვნელობა მიაიკოვსკის ბიოგრაფიაში“.

ჩვენთვის უცხო არაა ტაქტის ცნება. მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტის შეტანა ვერ შეეძლებოდა ამ პუბლიკაციაში, რადგანაც ისინი დაკავშირებულია „ცოცხალ ადამიანებთან“, მაგრამ განა შესაძლებელია კიდევ ღუმილი, როდესაც ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის უდიდესი პოეტის სიკვდილის საიდუმლოებაზე?

მიაიკოვსკიმ, „აბანოს“ განხილვაზე გამოსვლისას 1929 წლის 23 სექტემბერს, თქვა: „რაც შეეხება პირდაპირ მითითებაზე, ვინაა დამნაშავე და ვინ არ არის, ასეთი აგიტაციური გადახრა მაქვს, არ მიყვარს, როდესაც არ ესმით ეს. მე მინდა გულახდილად ვთქვა, ვინაა არამზადა“.

„ჩვენც იმ პოზიციებზე ვდგავართ და ვთვლით რომ პოეტის ტრაგიკული სიკვდილის გარემოებათა გამოკვლევაში არაა საჭირო ეხელმძღვანელოთ ტაქტის დაცვის მოტივებით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, ვინაა დამნაშავე, ვინაა არამზადა“. ჩვენ ვიცით, რომ ესენი იყვნენ მიაიკოვსკის მტრები, კომუნისტების მტრები, თუმცა, არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, ვინ მოამზადა ტყვია, რომელმაც დადუპა დიდი პოეტი. მაგრამ დარწმუნებული ვართ, ეს დროც მოვა.





ჩვენე ქვეთარაქე

რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“

შოთა რუსთაველის დაბადებიდან რვაასი წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ანალიზი გაუკეთდა და შეჯამდა რუსთველოლოგიაში მოპოვებული წარმატებები, დაისახა აგრეთვე ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში გადასაქრელი პრობლემები. ბევრი გაკეთდა და კიდევ მეტი გაკეთდება უკვდავი «ვეფხისტყაოსნის» იდეებისა და მხატვრული თავისებურებების შესწავლისათვის, პოემის ტექსტის დადგენისა და ენობრივი ქსოვილის ანალიზისათვის, დიდა პოეტის ვინაობის გამოკვლევისა და სახელის უკვდავ ოფისათვის.

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველმაც მთლიანად გაიზიარა მსოფლიოს გენიოსთა ბელი და უბედობა. სხვათა შორის, მისი სახელი და სადაურობა, გვარი თუ ზედწოდება დღემდე სადავო და საპოქმანებია. თუმცა ორას წელზე მეტია ქართველი ხალხი თავის საამაყო პოეტს უწოდებს რუსთაველს და მთელი კულტურული მსოფლიოც შეეჩვია ამ ფორმას, რაც, რასაკვირველია, არაა შემთხვევითი და მას დიდი აზგარიში უნდა გავუწიოთ.

რუსთაველ ფორმას პირველად ანტონ კათალიკოსთან გვხვდებით, მანამდე ტრადიციით რუსთველი იხმარებოდა. ვაპოჩინილმა მწიგნობარმა და ფილოსოფოსმა ანტონ პირველმა ბევრი რამ იცოდა რუსთაველისა და საერთოდ ძველი ქართული კულტურის შესახებ. როგორც დადგენილია, მას ხელთ ჰქონია ზოგი ისეთი ძველი და საბუთი, რომლებიც მომდევნო ტრავიკულმა შემთხვევებმა გაანადგურეს.¹ მოუხედავად ანტონ პირველის არასწორი პოზიციისა ქართულ

ლი სალიტერატურო ენის განვითარების საკითხში, მან დიდი კვალი დააჩნია ქართული ენის შესწავლას თავისი ვრცელი გრამატიკით და სხვა შრომებით. ამიტომ არ შეიძლება ნდობით არ მოვეყიდოთ რუსთაველ ფორმას, რომელიც ლიტერატურაში პირველად, როგორც ჩანს, მან იხმარა, და იგი შემთხვევითად ან თვითნებურად მივიჩნიოთ. დამახასიათებელია, რომ XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გუგუაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ბევრი სხვა), XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერები და მწერლები (ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, მიხეილ ჯავახიშვილი...), პოემის ათეულობით ძველი და ახალი გამომცემელ-რედაქტორები, ასევე მთლიანად თანამედროვე მწერლობა, პრესა და ფართო საზოგადოება მხარს უჭერენ და ხშირობენ რუსთაველს, ეგვივა მიღებული რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში.

ფორმა რუსთაველი საქმოდ გავრცელებული იყო, როდესაც 1934 წელს იუსტინე აბულაძემ აღმარა რუსთაველ ფორმის აღდგენის საკითხი და მოითხოვა მისი ხმარების დამკვიდრება.⁴ მაგრამ ამის წინააღმდეგ იმთავითვე გამოვიდა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც თა-

2 ნ. მარი თუმცა სხვადასხვაგვარად წერდა (რუსთაველი, შოთა ივ რუსთავი...), მაგრამ არასოდეს უხმარია რუსთველი: Н. Я. Марр. Об истоках творчества Руставели и его поэме, გამოსცა ი. მეგრელიძემ, თბილისი, 1964, გვ. 251.

3 კ. ქეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 32, 54; შდრ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941, გვ. 109.

4 ვახუთი «კომუნისტი», 1934, 24 ოქტომბერი.

¹ ილ. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ: ენიმის მოაზრება, ტ. III, 1938, გვ. 205.



ვისებურად დასაბუთა რუსთაველის ხმარების უპირატესობა. 1937 წელს საიუბილეო კომიტეტმა მიიღო და დღემდე საყოველთაოდ კიდევ იხმარებოდა რუსთაველი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1937 წლიდან დღემდე არ აღმოჩენილა არავითარი საბუთი, რომელსაც შეეძლო გაებათილებინა რუსთაველ ფორმის ხმარებამ. დღეს ფაქტობრივ განახლდა ძველი დავა: მკვლევართა მცირერიცხოვანი ჯგუფი მხარს უჭერს პოემის ავტორის ზედწოდების თითქოსდა ძველი ფორმა — რუსთაველის — დატოვებას. ხოლო უმეტესობა, რომელსაც ეთანხმება მთლიანად ჩვენი პრესა და თანამედროვე მწერლობა, იცავს რუსთაველის (ასევე: რუსთაველური, რუსთაველობა) ხმარების უპირატესობას⁴. ეს დავა რომ კაპიტულტური აკადემიზმის ფარგლებს არ გასცილებულა, აჯობებდა და შეიძლება აღარავთერი გვეთქვა, მაგრამ საქმე ის არის, რომ უკვე ვრცელდება ორნარი ფორმა: საიუბილეო დღეებისათვის გამოცემული წიგნების ერთ წყებას აწერია რუსთაველიმ, მეორეს კი რუსთაველი. უფრო მეტიც: ერთსა და იმავე წიგნს გარედან რუსთაველი აწერია, სატიტულო გვერდზე რუსთაველი⁷, ანაათან კიდევ რუსულად რუსთაველი. ეს კი მეთისმეტე და ეროვნულ დიქციურებს, რომ შესაწ-

ყარებელი იყოს! უცხო კაცს (და გამოუცხვლობით შინაურსაც კი) შესაძლოა იხეთი შეხედულებები შეეჭმას, თითქოს ორი გვარის სხვადასხვა პიროვნება იყო: რუსთაველი და რუსთაველი, თითქოს ისევე განსხვავებული ფორმები გვექნოდა, როგორც ცნობილია გვარები: ბერძენიშვილი და ბერძენიშვილი, ქვერტელიძე და ქვერტელიძე, ლორდლაძე და ლორდლაძე ან კიდევ თორაძე-ტორაძე, ბრეგვაძე-ბრეგვაძე, ბერაძე-ბერაძე-ბერაძე და მსგავსი სხვა.

რუსთაველი ცნობილია ქართული ისტორიული წყაროებიდან. ტრადიციით ძველ შედეშულ ფორმას ხმარობდნენ საეკლესიო მკვლევები: მაგალითად, XVII საუკუნეში იხსენიება სამი რუსთაველი: ზაქარია, იოსებ და მათეო. ვარკვეულია აგრეთვე, რომ თავის დროზე ის სითანოდ თანამედრობის ანუ სახელად აღნიშნავდამ და, როგორც ხშირად ხდება, შემდეგ შესაძლოა გვარის სახელადაც ქვეყელიყო (შდრ. მეტუცა, მენაბდე, კალატოზი... პარალელურად ახალი: მენაბდეშვილი, კალატოზიშვილი, მენარკიშვილი...).

პოემაში რუსთაველი ორჯერ იხსენიება პრილოგში: დაეჯე, რუსთაველიან გავლექსე, მისთვის გულ ლახვარ-სობილი (7); მე, რუსთაველი, ხელობითა ვემ საქმეთა ამა დარი (8).

ორჯერვეა ნახმარი ეს ფორმა ეპილოგში: ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველი-

1 მიხეილ ჯაფარიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1964, გვ. 426-27; შდრ. ვ. ბერიძე, რუსთაველოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1961, გვ. 7.

2 იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ადრეც ცნობილი წარწერა რუსთაველი არ იძლევა საფუძველს, რომ აქ ამოვიკითხოთ შინადაშინი რუსთაველი. დაქარაგმებული ფორმა შეიძლება სხვაგვარადაც გაიხსნას: ს. ა. ა. ხ. ნიშვილი, შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტერი, „შინათობი“, № 2, 1961, გვ. 118-119.

3 ა. შანიძე, ა. ბარამიძე, რუსთაველი თუ რუსთაველი? ვაზ. „კომუნისტი“, 1961, № 8 (გვ. 4); ა. შანიძე, რუსთაველი თუ რუსთაველი? „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 260-268; მისივე, ანტონ I-ის ვაგენა სალიტერატურო ქართულზე: ძველი ქართული ენის კათედრის შრ. 9, 1964, გვ. 34. შდრ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 39.

4 ვ. თ. ფურია, ი. გიგინეიშვილი, სასოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1941, გვ. 134.

5. მ. გ. გ. ლ. ი. მ. რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მართლწერა: „ლიტერატურული გახეთი“, 1962, № 22 (25. V), გვ. 2; მ. ა. ლ. ა. ი. მ. რუსთაველი ფორმა რუსთაველი: ვაზ. „ქეთათაისი“, 1966, № 15 (22. II); მისივე, შოთა რუსთაველის ენისათვის: იქვე, 1966, № 59 (25. III).

5 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966 (სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი); ქართული მწერლები შოთა რუსთაველს, გამოცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1966.

6 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1966; თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1966.

7 შოთა რუსთაველი ის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი: შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, გამოცემა „მეცნიერება“, თბილისი 1966.

8 საინტერესოა თ. ბაგრატიონის მოსაზრება: რუსთაველი „ქალაქისა და გარემოსა მისისა მთავარი იყო და თვითცა მუნებური“; თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 5; ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38-41.

იხანე ძამთარაძე
რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“



სად ამისა (1665); ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-მუეშრობელსა (1669).

რას წარმოადგენს რუსთველ, რუსთაველ ფორმები, როგორია მათი აღნაგობა და ისტორია?

როგორც დადგენილია, ხმოვანი თავსართ-ბოლოსართის დართვის შედეგად ქართულ სიტყვაში ხდება ფუძისეული ხმოვნის დაყარგვა. მაგ., კედლის, საკედელ... თითქოს ასევეა საღებრობის - ელ სუფოქის დართვისას: უბანი, მაგრამ: უბნის, უბნელი. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ყოველთვის ასე არაა. საერთოდ კი ფუძისეული ხმოვნის დაყარგვის უფრო მეტი შემთხვევებია ცნობილი ძველი ქართულის ზოგიერთი ძეგლიდან, ვიდრე საშუალო და ახალი ქართულიდან: ძველ ქართულში იყო: ევ-შაი-ვეშისა, მკერდი-მკრდისა, მოწაფე-მოწფისა, ერისთავი-ერსთვისა, თავი — აქედან ნაცვალსახელია თვისი... მაგრამ ეს არ იყო სისტემა: ბევრ შემთხვევაში თანაბრად გავრცელებული იყო შეუქუმშივეი ფუძეები მტერის, ამბავის, მდღელის, ხოლო ყველაზე უფრო გავრცელებული სიტყვა ჭვარი ჩვეულებრივ უქუმშველია (ჭუარისაგან: მარკ. 15, 46; ჭუარი: მთ. 27, 40) და დღესაც ასეთი რუგვაა: ჭვარის მონასტერი და ჭვარის მონასტერი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი დიალექტური წრიდან მოდის ბრუნდიტულად ესა თუ ის (შეუქუმული ან შეუქუმშივეი) ფორმა და რომელი პერიოდის არის ისტორიული განვითარების მიხედვით სათანადო ფუძე. ეს არის ყველაზე სწორი თვალსაზრისი ანალოგიური ფორმების ახსნისათვის.

ამგვარად, თუ ოდესმე ცალკე ან კომპოზიტში ფუძე თავ იკუმშებოდა (თავი: თვისი, ერისთავი: ერისთვისა), ამასთან დაკავშირებით მონალოდნელია თეორიულად გეკონოდა აგრეთვე: რუსთავი: რუსთისა, რუსთველი, თუმცა XII ს-ისა და შემდგომი ეპოქის ქართული ენის ისტორიის ფაქტები მას აღარ გვიდასტურებს, პირიქით: ჰილრონიმიკა-ტოპონიმიკისა და ონომასტიკონის უამრავი ძეგლი მასალა მხარს უჭერს რუსთაველ ფორმის კანონზომიერებას და შესაძლებელ არსებობას. მოკლედ თითოეულ მათგანზე:

ტოპონიმიკა. მეტყველება რთული სოციალური პროცესია, რომელსაც საზოგადოება მტკიცე დარაჯად უდგას და იცავს ნებისმიერი ცვლილებისაგან, მაგრამ ფონეტიკაში დიდი ხნიდან ცნობილი ფაქტია, რომ კოარტიკულაციის პროცესში ხშირად ხდება მეტყველების ერთგვარი მოდუნება, სიტყვის წარმოთქმა არასრული ფონეტიკური სტილით. ამის გამო და აგრეთვე მახვილისა და ინტონაციის თავისებურება მოქმედების შედეგად დროთა განმავლობაში სიტყვას თავდაპირველი სახე ეცვლება, შეცვლილი ფორმა კერძო-ტოპონიმიკა, მოგვეპოვება ცალკეულ კლასებში გავრცელებულ გავრცელებულ და გაბატონდეს. შესწავლილი რომ იყოს საქართველოს ისტორიული და თანამედროვე ჰილრო-ტოპონიმიკა, მოგვეპოვება სათანადო ლექსიკონები, მაშინ ასეთი მაგალითების ჩამოთვლა ასეულობით შეიძლება. ამჟამად ეს სახელდახელოდ შერჩეული ნიმუშებიც სარწმუნოა, თუ რა დიდი ცვლილება განიცადა ადგილის სახელებმა ქართულში:

იყო: ვარდის ციხე ვარციხე
ნიკოლოზ წმიდა ნიკორწმინდა
ეცსტათე წმიდა ერთაწმინდა
ქუთათისი, ქუთათელი ქუთაისი, ქუთაისელი ბალახოვანი, ბალახვანი ბალახოანი (ქუთაისშია)
სირთა რუა სიქთარვა (თერჯოლის რ.)
ცხენთა რუ ცხენთარო (ზესტაფონის რ.)

ბევრი ამგვარი ადგილის სახელი მოხსენებულია მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში, ისტორიულ საბუთებსა და თხზულებებში: დღევანდელი ფარსხანაყანევი (წყალტუბოს რ.) სამშალო ქართლის წერტილით ძეგლებში დიქსირებულია ფარსხან უანევის სახით: დღევანდელი თერჯოლა მიღებულია თეთრი ბეჟოლსაგან (ბეჟოლა იგივეა, რაც თუთა ანუ ფურცელი). თინჯლის თავდაპირველ სახეობად ჩანს თინჯანი, ხოლო ქიზიყის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტია დადასტურებული: ქიზიკი, კისიყი, კიზიყი, ხიზიყი, კიზიყი, ყიზიყი, ქისიყი.

დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის არა მარტო ადგილობრივი, არამედ შემოსული გეოგრაფიული სახელებიც: რუსული Сибирь ქართული ციბირია... ამგვარად, ხშირი ხმარება სახელს ფორმის უცვლის, ხეწვეს, უფრო შესაგუებელს ხდის ენის თანამედროვე ნორმებისადმი. ნიკოლოზ წმიდისა და ეცსტათე წმიდის შეცვლა ნიკორწმინდა, ერთაწმინდა ფორმებით და სხვა ასეთები ენის განვითარების კანონზომიერების შედეგია.

ონომასტიკონი. ქართული ენის ისტორიაში საზოგადო სახელებსა და ზნენებს ფონეტიკური გავრცელების შივიც ძალიან ცოტა ცვლილება განუტედა. იყო და არის: დაქრძალა, აუკრძხა;

2 ნ. ბერძენიშვილი, წყალტუბოს ისტორიისთვის: სმამ, IV, № 7, 1943, გვ. 715.

ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისთვის XII—XVIII სს, I, 1964, გვ. 121, 33, 243, გვ. 220.

1 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 29-30 შემდგ.



ეკადრა, შევედრა, მოძღვარი, სახლი, საუნჯე, სასწაულო, საბრძანებელი... მაგრამ ეს არ იქმნის საკუთარ სახლებსა და გვარებზე. საკუთარი სახელები და გვარები ყველაზე ხშირად იხმარება ყოველდღიურ მეტყველებაში. ზოგჯერ მოფერებით და აღერსით, ხან კიდევ დაძინებით თუ ზიზღით ეს სახელები ნაირ-ნაირ ფორმებში იღებენ; მხატვრულ ლიტერატურასა და დოკუმენტებში ფიქსირებულია ზოგი აინტერესო ფორმა. აქ საქმარისია მოვიფიქროთ რამდენიმე:

იყო:	არის:
ეფთჳში	მქეთოჲ
ბეროზ: Hd-8731.2 1486 წ.	შდრ. ბეროზაშვილი
ზედგან; ზედგინისძე: ქართ.	
სპარს.	ზედგენიძე
საბუთ.3 198. 1698 წ.	
ბარლამ	ვარლამ
ნიკოლაზ, ნიკოლოზ	ნიკოლოზ, ნიკო
ღმერთისა: Hd-10138. 1598 წ.	
	ხეთისა, ხეთისა
სეიმონ, სიმეონ, სიმონ	სეიმონ, სიმონ
შიომ: Hd-4149. 1689 წ.	შეო
ელია, ანტონი	ილია, ანტონ
ღემეტრე, იოვანე	ღემეტრი, ივანე.

მე რე ს მონასტრის ცნობილი წინამძღვარა ფებრონია ქართველმა ხალხმა შემდეგში თავისებურად „მონათლა“ (მოხდა დისიმილაცია) და თებროლედ შეცვალა, შემოკლებით თებრო; იერუსალიმის ჭვარის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია მკციის ძე ბეშენ და ჩხეტის ძე რუსი,⁴ იგივე ფორმები მეორდება ალექსანდრე მეფის 1488 წლის წყალობის წიგნში (Hd-8731): მკციძე სარგის, ჩხტიძე ივანე. ესენი წინაპრები არიან დღევანდელი მხეიძეებისა და ჩხეიძეებისა.

ჭერ კიდევ XVII ს. საბუთებშია მოხსენებული ვინმე გიორგი თადღირიძე, ნაწარმოები ფუძეებისაგან თადღირ, თადღირ „ვარსკვლავი“.

1 „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳშისი“ სამ ვარიანტს გვიდასტურებს: ეფთჳში (59,28), ეფთჳში (47,109), ეფთჳშე (15,5).

2 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ეყევილიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები.

3 გამოსცა ვ. ფუთურაძემ, თბილისი, 1955.

4 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI—XVII სს, თბილისი, 1962, გვ. 10, 117.

„გვირგვინი“⁵ მაგრამ დღეს ამ გვარის სახელი ნორმალური ფორმაა თადღირიძე. ასევე: დედისაძე (Sd-1156), ახლა არის დედისაძე, იყო მაჩაიძე (საქ. სიძვ. III, 257. 176⁵ წ.), არის მაჩაიძე. იონან-ძე-საგან არის მიღებული იმნაძე, ამონისშვილისა და ხელმოკლძისაგან — ამონაშვილი და ქეოკლიძე. ეპკვი არაა, რომ შაჰინშაჰი უნდა ყოფილიყო წინარე სახე შანშე → შამშე სახელისათვის, ხოლო შაჰინშაჰიშვილი — გვარებისათვის შანშაშვილი, შანშაშვილი. მსგავსადვე იერუსალიმის ჭვარის მონასტრის აღაპებში მოხსენებული ირუბაქიძე (გვ. 87), ბოცოას-ძე (გვ. 67) უდავო წინაფორმებია შემდგომი რობაქიძე, ბოცვაძე გვარის სახელებისა.

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ სანაოდო ფონეტიკური ცვლილებები მოხდა სხვა გვარებშიც. იყო სახელი ღვინომა (შდრ. გიორგობა: გიორგობიანი) და აქედან გვარი ღვინობაძე → ღვინოფაძე (Qd-6942. 1766 წ.), აწინდელი ღვინოფაძე (ღვენოფაძე), ძველი ღოღაბერიძე, ჩოღაყაშვილი, გარეყანიძე დღეს დამკვიდრებულია ცვლილებით: ღოღაბერიძე, ჩოღაყაშვილი, გარაყანიძე.

ს. ჭანაშიამ აღნიშნა ბოლოკიდურა ნ თანხმოვნის დაკარგვის ფაქტები -იანზე დაბოლოებულ გვარებში.⁷ მართლაც, ძველ საბუთებში იხსენებებიან ქაჩაიანი (ი. ბარათაშვილი, ცხოვრება — ანდერძი, 87, 1768 წ.) და გაბუნაინი (სვანეთის ისტორიული ძეგლები, II, 96, XIV-XV სს), ხოლო დღეს ცნობილია ქაჩაია, გაბუნია.

აღარ შეეჩერდებით იმ ცვლილებებზე, რაც სადატურის სახელთა წარმოებაში მოხდა: იურუისისაგან მროველი, ახლა რუისელი; ეგვიპტე — მეგვიპტელი, ახლა ეგვიპტელი; ტფილისი — ტფილელი, ახლა თბილისელი... ყველაფერი ეს გვიჩვენებს დიდ ცვლილებებს გეოგრაფიულ და გვარის სახელთა წარმოებაში. ტომონიმი რუსთავი მართლმსაზღვრელიანი კომპოზიტია, რომელშიც შედის ტოპოლექსემები რუ და თავი. ადგილის სახელად გამოყენებული ამ ტონის კომპოზიტები ბლომად მოიპოვება საქართველოში და ცნობილია როგორც დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

5 ა. შანიძე, ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყენილი ადგილის გაგებისათვის: თსუ შრ., ტ. 99, 1962, გვ. 248.

6 ი. ქავთარიძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს, I, 1964, გვ. 211.

7 ს. ჭანაშია, შრომები, ტ. III, 1959, გვ. 40-41.

ივანე ჯავახიშვილი
რუსთაველი და „მეფისცხარისანი“



დაყოფით, ასევე ძველი ისტორიული საბუთებიდან, ვახუშტის გეოგრაფიული აღწერიდან, „ქართლის ცხოვრებიდან“...

ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ისეთ კომპოზიტივებზე, რომლებშიც შედის სიტყვები თავი და რუ ცალ-ცალკე ან ორივე ერთად:

1. კომპოზიტის პირველი წევრი მხოლოდ მხოლოდ რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშია:

ქალისთავი: Ad-2218. 1510-48 წწ. (სოფელია ქიშორას ვაღბა):

წყაროსთავი: Ad-81. 1202 წ. (წყაროსთავის ეკლესია ჭავჭავთში ააშენა დამი: ქც 205, 18);

ჩაქვისთავი: ისტ. გეოგრ. და ტოპონ. 218; **ლორისთავი:** ღორისთავი სამძღვარი: იქც-232 (ზღრ. ციხესა ღორისთავისა: ვახუშტი, 50);

წალულისთავი: Hd-834. 1681 წ. (მეფეთა სადგომი იყო დავით აღმაშენებლის დროს: ქც 324, 19); **ლომისთავი:** ქც 265, 14;

ვენახისთავი: Hd-834. 1681 წ.; **აბოცისთავი:** ვახუშტი, 50;

გველისთავის მთა: **კობისთავი:** იქვე, 131, 148; 149; 161;

ხილისთავი, კამეჩისთავი და ა. შ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკიდან ცნობილია რუსთავი, რუათავი, რუთათავი, ფოცოლათავი, ვანითავი, ჩანჭკრითავი.² შინაარსით განსხვავებული ხელობის (თანამდებობის) სახელები ციხისთავი, ერისთავი, ხევისთავი ანალოგიურად არის ნაწარმოები.

2. კომპოზიტის პირველი წევრი ძველ მრავლობისშია:

შაშინათავი: ისტ. გეოგრ. და ტოპ. 241; ასევე: **სიქთარვა** (← სირთა რუა), **ცხენთარო** (← ცხენთა რუ).

3. მასზღვრელ-მასზღვრულიან კომპოზიტში რიგი შებრუნებულია და კომპონენტის (თავის) მნიშვნელობაც სხვაგვარია: მართლმსაზღვრელიანი თავი აღნიშნავს სათავეს, დასაწყისს; წვეროს, მწვერვალს, აქ კი — მთავარს: სოფელი თავრუ: Hd-6858. 1654 წ.), ე. ი. მთავარი რუ.

4. იშვიათად არის აგრეთვე გამოყენებული მარტო რუ ნაგენეტივარ ფორმითა მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში:

რუისი, რუვისი: Hd-8712. 1398 წ.; **რუეთი:** Ad-3. 1190—1207 წწ.

რუსთავი თავისთავად ძველი კომპოზიტი არ

ჩანს. მასში ნათესაობითი ბრუნვის ახალგაშენებულ შუალ ქართულში ჩასახული ფორმა, მსგავსად რუსპირისა (რუსპირი: Hd-9719), რომელიც სოფელი ჩანს XVII ს. რაჭაში. ასე, რომ მოსალოდნელი იყო ძველი წარმოებით რუსისთავი, რუასთავი; ადგილთაგან რუასთავისათა: ასურელ მოღვაწეთა ცხ., იღ. აბულაძის გამოც. 168, 5. ამგვარადვე დღემდე გვაქვს შემორჩენილი სოფლის სახელწოდებებში: რუისპირი, რუისბოლო (ჯახეთში). ძველ ქართულში სწორედ ამგვარი წარმოება იყო სხვა შემთხვევაშიც: ნუ უკუ შეიკრებიან ეკალთაგან ყურაქენი ანუ ყუროსთავისაგან ლედუ (მათ. 7, 15), **კუროსთავი** ამჟამად **კუროსთავი** ფორმით იხმარება და ნიშნავს ლურსმანა ეკალს.³

მასასადავად, ძველი წარმოება რუსისთავი თუ არ დასტურდება დოკუმენტურად, აუცილებელი არაა ვივარაუდოთ, რადგან ნათესაობით-მოქმედებითში XII საუკუნიდან თანდათან გრცელდება და XVI-XVII სს მკვიდრდება ხმოვანფუძიან სახელთა საშუალ ქართულში ცნობილი ტიპი — დიფთონგამარტივებული, ბრუნვის ნიშნადკარგული: რუ-ს. რუ-თ. რუ-თი.⁴ რუსისთავი ან ამ დროს გაჩნდა, როცა ბოლომდევნიან სახელთა ამგვარი ბრუნება იყო, ან მოხდა ძველი წარმოების კორექცია ახალ მდგომარეობასთან. ამ ხანებში ევლარც შეკუმშულ ფუძეს ვივარაუდებთ, რადგან ამიერიდან ხშირად ვხვდებით დიალექტური წარმოშობის ურედექციო ფუძეებს, მასასადავად: რუსთავის (და არა რუსთვის), რუსთაველი (და არა რუსთველი). ამგვარად, სახელთა ბრუნვის ფორმა და ფუძის კუმშვის საყიფი ხმოვით დწყებული სუფიქსის დართვით ერთ ღონეზე უნდა ვანვიხილოთ, მათ ერთმანეთს ვერ დავაშორებთ.

დამახასიათებელია, რომ წარმოებულ ფუძეში, როცა თავ სიტყვის შემცველ კომპოზიტა ერთვის ხმოვინანი აფიქსი, სახელი არ იკუმშება:

სოფელი თახვინთავის მიწა: Hd-6777 1671 წ., **სამთავისი; სამთავნელის** სამწყსო: Ad-599; 604. 1459 წ., ისიფორე **სამთავნელი:** ქც 208,4; ანტონი **გლონისთავის** ძე: ქც 122,25 („ბასილი ეზოსმოდღარი“).

რაც შეეხება გვარად ქცეულ თანამდებობის სახელ ერისთავს, მასში თავ კომპონენტი ძველ

1 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, თბილისი, 1964, საჭ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ვაშოსავმად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ.

2 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი, 1959.

3 ა. მ. ყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 42. ზღრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1959, გვ. 278.

4 არს. ჩიქობავა, სახელთა ბრუნვის ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობისა და მოქმედების ფორმანტთა ევოლუციისათვის: კრებ. სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ბუნებაში, I, თბილისი, 1956, გვ. 239-264.



ქართულში ზოგჯერ იყენებოდა და გვიწოდებოდა **ერისთვის**, ასევე საშუალო ქართულშიც, თუმცა ტენდენცია შეუქუმში ფორმებისკენაა:

ერისთვის ქალს: საქ. სიძე. II, 124. XVIII ს.; არაგვის ერისთვის. შვილი ელიზბარ: ეკ. ისტ. II, 111.1794 წ., ერისთვანთა შვიდი მოვიკითხე Sd — 3542. XIX ს.; მაგრამ: ერისთავი შვილი გოგია: Sd — 1171. 1807 წ.

შეშასადავ, ერისთავ ფუძე ძველი ქართულის სათანადო დიალექტურ ჯგუფში ისევე, როგორც ნაცვალსახელი **თავისი** → **თვისი** (თვისი), იქმნებოდა, მაგრამ არა ყველანაირად ყოველთვის. ამის შედეგია, რომ ახალ ქართულში დამკვიდრებულია შეუქუმში ფორმები: **ერისთავის, თავისი** (ლექსებში იშვიათად შეიძლება იხმარებოდეს **თვისი**). ამის საფუძველზე საგვებით შეცალგებელია ვთქვით, რომ **რუსთავ** ფუძეშიც ანალოგიური პროცესი გვიწოდება. მართალია, **რუსთავ** ტიპის არც ერთ ზემოთ განხილულ კომპოზიტში არ დასტურდება ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა, მაგრამ შესაძლოა ჩვენთვის უცნობი ტერიტორიული დიალექტის ნორმა იყო ერთ დროს - ელ. ბოლოსათისმიერი რედუქცია: „რუსთავ-ელ → რუსთავ-ელ: ესმა ეპისკოპოსსა რუსთაველსა: ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. I, 171.11. (შდრ. წილკანი: წილკანი: იშვანია: იშხნელი; ვაშლოვანი: ვაშლოვანი || ვაშლოვანი). არის შემთხვევები, როცა -ავ დაბოლოებიანი ზოგი სახელი ბრუნებისას იქმნებოდა (კარავი — კარავ-ის), მაგრამ უმეტესობა უკუშეხება: მანავი—მანავის, მანავ-ელი; ასევე: კორსაკელი, ცურტაველი და შემდეგში ანალოგიური ფუძეებიდან ნაწარმოები გვარები: ბარდავ-ელი-ძე (დარსაველიძე) და სხვა.

XII-XVIII სს ქართული ისტორიული საბუთებისა და მხატვრული ლიტერატურის ძეგლების შესწავლა გვარწმუნებს, რომ სახელთა ფუძეში ხმოვნის რედუქციამ წინა პერიოდთან შედარებით საგრძნობლად იყო, თანდათან გავრცელდა და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონდა ურედუქციო, სრულხმოვანი ფორმები. იყო: **სიგლის, სიგლით, მეკრე...** გავქვს: სიგელის, სიგელით, მეკარე...¹

ამ ტენდენციას აღრევე აუბა მხარი **რუსთავ** ფუძისაგან ნაწარმოებმა და მისი ტიპის სხვა სადატურობის სახელებმა. კიდევ რომ ერთადერთი ყოფილიყო ქართულში **რუსთაველი**, იგი კანონზომიერად შეიცვალა ხალხის მეტყველებაში **რუსთაველ** ფორმით. ასე, რომ ძალიან დიდხნის ტრადიცია აქვს მას და ამით აიხსნება, რომ ახალ ქართულში საყოველთაოდ გაბატონებულია შეუქუმში **რუსთაველის** („რუსთაველის ბეჭედივით დგას თბილისის გალავანი“;

ი. გრიშაშვილი, თხზ. 1949 წ., გვ. 66), **რუსთაველი** ისევე, როგორც სადატურობის -**ელისთვის** ნაწარმოებ ბევრ სხვა გვარში: იშხნელის, კეცხოველის, მოზდოველის, ზანდუკელის, ბოტკოველის, კორსაკელის, კორინთელის, მებრეველის, კარგარეთელის (და არა მებრეველის, კარგარეთელის და მისთ. შდრ. აგრეთვე წითელი, წითლად, მაგრამ: გვერდწითელი). თუ **რუსთაველ** ფორმას დავეუქრდით მხარს, მაშინ თანამიმდევრული უნდა გყოფილიყო და გვეხმარა **რუსთავლის** ისევე, როგორც ამას მიმართავენდენ არჩილ მეფე და სხვები („ნანუჩას **რუსთავლის** ნათქვამში ბევრი რამ ჩაუტრევია“).

ამგვარად, არც ერთი წყაროდან არ მტკიცდება დოკუმენტურად, რომ **რუსთავ** ტიპის კომპოზიტში XII და მით უფრო მომდევნო საუკუნეებში ხმოვანი იკარგებოდა. თვით **ერისთვის** ფორმაც კი სრული საბით ვაგრცელდა—**ერისთვის** და შოთა რუსთაველის დროინდელი მემორიალზე გვაქვს ანტონი **გლონისთვის**-ძეს და არა **გლონისთვის**-ძეს! მასთანავე, ვარაუდს ვარდა, სხვა რა საბუთი ვაგვრება **რუსთაველ** ფორმის ხმარების სასარგებლოდ? მართოდენ ავტორისეული გამოთქვამი: „მე, **რუსთაველი**, ხელობითა ექმ საქმეთა ამა დარი“. ავტორი უწოდებს თავის თავს ასე და არა სხვაგვარად, შოთა ასე წერს!

მართალია, თავის დროზე ბევრს არავის გაუზიარებია მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგის არარუსთაველურობის თაობაზე, 4 ეპილოგის შესახებ კი ვარკვეული მკვლე

3 ტრადიციით შექუმული ფორმებია გვარებში მახაბლის, წერეთლის, მაგრამ შეუქუმ-შვიც არაიშვიათია („გავსცქერ არეს უხინჯოს და უნაღლოს, წერეთლის დინჯ შედროგივ გადაშლილს“: ი. გრიშაშვილი, თხზ. 1949, გვ. 62); ასევე ისტორიული ტრადიციის გადმონშთია სამახაბლო, საწერეთლო (და არა სამახაბულო, საწერეთლო), მრავლობით რიცხვში კვლავ ახლებური წარმოება: მებრეველები... თბილისელები, ბოლნისელები, ლავადებელები (და არა ლავადებელები).

4 ასეთი მოსაზრება გამოთქმული ჰქონდა დ. კარიჭაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ 1903 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, გვ. VIII-XII; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა, ეურნ. „განათლება“, № 6, 1913, გვ. 412-424; შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 88; მისივე, ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა: ეურნ. „მნათობი“, № 7-8, 9-10, 1931, გვ. 152-154; ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოს-

იხანე ჰაშთარაძე

რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“

1 ი. იშხანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 31.

2 ი. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164-167.



გამოთქმული, თუმცა ეს კი არის, რომ ებილო-
გის დამწერიც ადისტურებს პოემის ავტორად
რუსთაველს.¹ მაგრამ ერთი საკითხი მაინც ის-
მის: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორგრაფი არა გვაქვს,
აქ კი რუსთაველ ფორმის ავტორგრაფისათვის
შესაფერისი ნდობით ეყარობიან. მაშინ რა დაა-
შავა პოემის სხვა ადგილებმა, რომელთა ენის
გრაზმარულ-ლექსიკური ფორმების გასწო-
რებაზე და საერთოდ ტექსტის დადგენაზე სხვა-
დასხვა ხელნაწერის ტექსტებით თუ სხვა რეა-
ლიების გათვალისწინებით ამდენი დრო და
ენერგია დაიხარჯა? ვანა ხშირად იძებნება ექვ-
მიუტანელი საბუთი შოთასელის ვასამიჯნავად
და არაშოთასელის უარსაყოფად?²

ჯერ ერთი. ისტორიიდან არა ერთი და ორი
შემთხვევაა ცნობილი, როცა ესა თუ ის მწე-
რალი ან მეფე თავის გვარს და წარმოშობას
სხვადასხვანაირად აღნიშნავდა (მაგალ. ძველი
ირუბაქის-ძე, ახალი რობაქიძე...). საქართველოს
მეფეები, თუ თითონ არ იყვნენ დარწმუნებუ-
ლი, ყოველ შემთხვევაში სხვას არწმუნებდნენ,
რომ იგივე უძველესი ებრაული სამეფოს შთა-
მომავალი იყვნენ და თავიანთ გვარს ამისდა
შესაფერისად უწოდებდნენ **იესიან-დავითიან-
სოლომონიან ბაგრატიონი**, თანაც არაერთი
შემთხვევა, როცა **ბაგრატიონი** ისტორიულ სა-
ბუთებში ვადაკეთებულ-ვადასხვაფერებულა,
რასაც, თავისი ფუნქციურ-გრაზმარულ კა-
ნონზომიერებაც შეიძლება დაეძებნოს.² საბუ-
თის საკუთარ (მეფისეულ) ხელმოწერას ხში-
რად სათანადო ბეჭედს უხსის ხოლმე:

...სოლომონიან-დავითიან ბაგრატიონს მეფე-
სა აღწესნდრეს... წინაშე მოვიდეს: 1413-1444
წწ სიგელი: საქ. სიძე. II, 1909 წ., გვ. 35.

ჩუენ, ღთიე აღმართებულმან, ღთიე დამყა-
რებულმან და ღთიე გურგუენისანმან, იესიან-
დავითიან-სოლომონიან ბაგრატიანმან, მეფეთ-
მეფემან, ქელმწიფემან პატრონმან შანნავაზ:
1676 წ. საბუთი: საქ. სიძე. II, გვ. 137;

ჩუენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრა-
ტიანმან, ორთავე სრულად საქართველოს და
ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ-მქონებელმან, პატ-
რონმან მეფემან მყოფემან პირაკლემ: 1668 წ.
სიგელი: საქ. სიძე. I, 1920, გვ. 13;

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ვინ ამ-
ბობს რომ, მაგალითად, სოლომონ იმერტ მეფე
იყო პანკრატიანი ან ბაგრატიონიან და მისთ.
ან: ერეკლე მეორის ანუ პატარა კახის ნაცვლად
უფრო სწორია და უნდა ვიხმაროთ **იესიან-**

დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონი ერეკლე
ამგვარადვე, კიდევ რომ ერთადერთ და სრულ-
გრამატიკულ წარმოებად მივიჩნიოთ რუსთავე-
ლი. მეორეაბრის კუთვნილებად უნდა ჩაით-
ვალოს. მეორეაბრის საუკუნიდან დღემდე უკ-
ვე შეიქმნა გარკვეული ტრადიცია რუსთაველ
ფორმის გავრცელებისათვის. თანაც უნდა ითქ-
ვას, რომ მთლად უკრიტიკოდ ვერ მოვეყარე-
ბით რუსთაველ ფორმის ხმარების ძველ ტრა-
დიციას. ცნობილია, რომ ძველი მწიგნობრული
სკოლები დიდი სიფრთხილით და პატივისცემით
ეყარობდნენ, ზოგჯერ კი ბრმადაც მიჰყვებოდ-
ნენ ტრადიციულ ფორმათა ხმარებას. თითქმის
მთელი თითხმები უკუყვანის განსწავლობაში აზ-
მარებოდა ქართულ მწერლობაში არასწორი
ფორმა **სღვა** და მხოლოდ XVIII-XIX სს გა-
ბედეს ეხმართ სწორი **სვლა** (შდრ. ვალს);
XI-XIII სს სიველ-გუჯარების ერთ წყებაში
რომელიც სკოლის უწესის შედეგად **შვილის**
ნაცვლად არასწორად წერდნენ **შკლი**. ესეც
ტრადიციის მცდარი გავების ნაყოფი იყო.

წიგნური ტრადიცია ხალხურ ზეპირმეტყვე-
ლებაზეც მოქმედებს. ამით აიხსნება, რომ ხალ-
ხური შემოქმედება იცნობს რუსთაველსაც და
რუსთაველსაც.³

თუ ოდესმე იყო შექმნილი ფუძე რუსთავე-
ლი და აღდგა სრულხმოვნიანი (შეუქმნავე)
ფორმა რუსთაველი, აქ ანტონ პირველის შე-
მოღებულ ირაციონალური თანხმომანთვასაყა-
რი კი არაფერ შუაშია, არამედ ამაში ვლინდ-
ება ქართული ენის ის ტენდენცია, რომელმაც
თავი იჩინა მეტ-ნაკლებად ენის განვითარების
ყველა სფეროს და რომელმაც ანალოგიურ
შემთხვევებში საფუძვლად უქნეს ფონეტიკური
კანონზომიერება: გავრცელდეს და დამკვიდრ-
დეს სრულხმოვნიანი ფუძეები. ჩანს, ამითაც
აიხსნება, როცა ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელ-
თა ფუძეში გაჩნდა ხმოვანი: ძველ საბუთებშია
ზრბითი, 2 ტრძნისი, ახლა ზირბითი, ტირძნანი...

მაშასადამე, ქართულ ენაში საკუთარი სახე-
ლები და გვარები, ასევე გეოგრაფიული სახე-
ლები ნელ-ნელა განიცდის შესამჩნევ ცვლილ-
ებას. ასეთი ცვლილება განიცადა პოემის ავტო-
რის გვარმა (ან ზედწოდებამ) რუსთაველა →
რუსთაველი და პოემაში გამოყვანილი მოქმედი
პირების სახელწოდებებმა: თინათან — თინა,

ნის⁴ პრობლემის გარშემო: საისტორიო მოსაზრე-
ბები, 1924, გვ. 121-161. საბრძოლვერის მოსაზრე-
ბები გარჩეულია: გ. იმე და შვილი, რუს-
თველოლოგია, თბილისი 1941, გვ. 120-122,
135, 136, 198.

¹ ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38.
² ი. ქაეთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 345.

³ მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსა-
ნი, 1937, გვ. 236; ი. მერელიძე, რუსთაველი
и фольклор, 1966, გვ. 29, 32, 39.

⁴ 1570 წელს სიმონ მეფემ უბოძა სოფელი
ზ რ ბ ი თ ი დოღენჯი თელაველის (Qd-1673),
ხოლო იგივე სოფელი, მაგრამ ახალი სახით
ზ ი რ ბ ი თ ი, ნაზარალი ხანმა უბოძა მანუჩარ
მეთერთმევილს: მასალები ისტ. გეოგრ. და ტო-
პონიმიკისათვის, I, თბილისი, 1964, გვ. 99).



ფატმანი — ფატმა (შდრ. ასევე ტარია და სხვა ქვემოთ).

შემდეგ, ავტორის მიერ **რუსთველ** ფორმის ხმარებას გარკვეულწილად განაპირობებს მეტრის საჭიროებაც. მთლიანად სტრიქონი „მე, რუსთველი, ხელობითა...“ გამართულია კლასიკური მეტრიკის ერთ-ერთი ტერფით, კერძოდ მეორე პეონით: **მე** ნაცვალსახელის გამოყენება აქ ინარჩუნებს მაღალ შაირს, მისთვის ნიშანდობლივ ტერფსა და მარცვალთრაოღუნობას²; პოეტს თავისუფლად შეეძლო ამ ნაცვალსახელის გარეშე ეხმარა: „რუსთაველი ხელობითა ექიმ საქმეთა ამა დარა“³. ისე რომ მეტრული წყობა შეენარჩუნებინა. მაგრამ იმდროინდელი წესის მიხედვით აუცილებელი იყო, რომ ვინაობის დაწერისა და საბუთის თუ თხზულების შედგენის დროს გარკვევით და, რაც შეიძლება, სრულად დაწერილიყო ყველაფერი. სამწუხაროდ, ბევრმა ადრინდელმა თხზულებამ ამ სახით ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ტრადიცია და წესი უდავოა. მაშასადამე, **მე** (ან ჩვენ) ნაცვალსახელს უნდა მოჰყოლოდა დანართი, ამ შემოხვევაში **რუსთველი**: მე. **რუსთველი** (მეტრულ წყობაში „მე, რუსთაველი“, შეუძლებელია). XII-XVIII სს არც ერთი ოქმი და სიგელი, თხზულება და საბუთი, უფრო ადრინდელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არაა ამის გარეშე: „ჩუნენ... მეფეთ-მეფემან სვიმონ; ჩვენ... მეფეთ-მეფემან სვიმონ“ (ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. გვ. 1, 9, 19, 34) — ეკითხულობთ სიმონ მეფის წყალობის წიგნებში და სიგელებში.

ან კიდევ, აი როგორ წერს სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონის“ ანდერძ-ნამკვი: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ქაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა და მოც ამა წიგნსა ზედა“. შეადარეთ ამევე წიგნს დართული curriculum vitae: „ამა წიგნისა მომღაწებელსა სულხანსაბა ორბელიანსა ლოცვით მოიქცნებდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმისა წულსა, საქართველოს მსახურის პატრონის ორბელის ძესა“³.

მართალია, შოთა მეტრის გულისათვის უხეშად არ არღვევს ქართული გრამატიკის ნორმებს, მაგრამ საჭირო შემთხვევაში პარალელურ ფორმათაგან ნაცვლებავარტელებულისა და ზო-

გერ ხელოვნების (საკუთარი ნეოლოგიზმების გამოყენებას არ ერიღება: მეტრისთვის უნაცვალსახელს ბეგრებს, ზოგჯერ ავლებს ან უმატებს თანხმოვნებს, თუმცა ფრთხილად და ზომიერად და ამით ლებულობს კლასიკურ რითმას:⁴

მოეწერა: „რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიერსა“.

გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერსა (401; შდრ. ასევე 1418).

სრულფასოვანი რითმის საჭიროება აუცილებელს ხდის ზოგი საკუთარი სახელის დამკვიდრებული ფორმის ცვლილებას და ენის ნორმებზე ერთგვარ ძალდატანებასაც კი. ასე, მაგალითად, გავრცელებული **ტარიელი** და **როსტევეანი** პოემაში **ტარია** და **როსტან**, **როსტენ** ფორმებთანაც არის ნახმარა:

ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია, დიდხან ვერა თქვა; სეცდამან გული შეუპყრა, დარია (346);

იყო აზაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სეიანი (32), მაგრამ:

არ შეექმნა დარბაზობა მას დღე როსტანს გულგამწყარალსა (813);

როსტენისთვის წაატანა საღვწოდ ტურფა ჟუბაჩები (1658).

რაც შეეხება საერთოდ სახელთა ფუძემდებელ შეუქმნულ და შეუქმნავად გამოყენებას, ამ მხრივ კიდევ უფრო სარწმუნო ჩანს **რუსთაველ-რუსთველ** ფორმათა პარალელური გამოყენების (და არსებობის) შესაძლებლობა იმ მრავალრიცხოვანი მაგალითის ანალიზით, რასაც პოემაში ვხვდებით და რასაც, როგორც ცნობილია, მეტრული წყობის თავისებურება, სრულფასოვანი რითმის საჭიროება განაპირობებს:

ევონივარ ვინმე ვაჟარი, პატრონი ქარავენისა,

მე ვარ ჰასაპეტი მალღისა მეფისა როსტევეანისა (1262). მაგრამ:

ვაჟარი ვინმე პატრონი არს ქარავენისა დიდისა (1073).

შეუქმნულ და შეუქმნავ ფუძეთა ხმარება განსაზღვრავს მარცვალთა რაოდენობას, ქმნის ერთ-ერთ საფუძველს მაღალი და დაბალი შაირის წარმოქმნისათვის.

1 ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა. ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. გვ. 16, 114, 128, 248-49.

2 ბ. ბ ე რ ა ძ ე, ქართული ლექსის ბუნებისათვის: „მნათობი“, 1944, № 3, გვ. 142-143; შდრ. ვ. ბ ე რ ა ძ ე, რუსთველოლოგიური ეტაუდებო, თბილისი, 1961, გვ. გვ. 40, 44, 96, 117.

3 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 01, გვ. 477.

4 ვ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 201; შ. ლ ლ ო ნ ტ ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 133.

5 ბ. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. „მნათობი“ № 3, 1944, გვ. 142.

ივანე ჯავახიშვილი
რუსთაველი და „მეფისტიქოსანი“



რამაზს ვარქვი: „შემიგნა საქმე შენი
სიმუსხალე,
აწ ეგრეცა შეპყრობილმან თავი
გამოიმართალე.
სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა ხელთა
მომათვალე,
თავაა შენი შეეცოდება მემცა ზედა რად
წავსთვალე (450).

ასეთივეა: საომარად (445) || საომრად (441);
ბრტალითა (911) || ბრტლითა (842), ამბავითა
(1327) || ამბითა (398), გამტეხელად (445) || გამ-
ტეხლად (1484), მირჩეულად (186) || მირჩეულად
(1401) და მრავალი...

ერთი სიტყვით, შექმმულ და შეუქმმავე
ფუძემან პოეტი თავისუფლად მოუშარჯევებს
ხოლოშე თუქვესმეტარცვლიანი შიარის რიტმული
წყობის ვარიაციებს.

ეპტორი ამავე მინით გახედულად იყენებს
აგრეთვე სხვა გრამატიკულ საშუალებებსაც:
მოთხრობითი ბრუნვის ძველ (-მან დაბოლოე-
ბიან) და ახალ ნორმებს. 1 - ავ სუფიქსიან ზმნა-
თა პირველი თურმეობითის დიალექტურ წარ-
მოშობას (დამისახავს || დამისახიავ), მოძღობა-
თა ერთნაირი მნიშვნელობის სხვადასხვა ფორ-
მის (მაქებელად: 1048, მქებარე: 530, მაქება-
რად: 774), ნაცვალსახელთა ახალ სახეობებს
(ყოველი: 19; 1247; || ყოველი: 143; 311) და
ასე შემდეგ.

მასასადაშე, ამ სიბრტყეზე უნდა განვიხილოთ
შექმმული რუსთველ ფორმის ხმარება, რო-
გორც მეტრის საკიროებით გამოწვეული არჩე-
ვანი არსებული რუსთაველ ფორმის საბრისპი-
როდ. მართალია, ძველი ტრადიციები და იწო-
მსტიკონი ძველი ფაქტების შესახებ მსჯელო-
ბებისას უცვლელად რჩება და ვამბობთ: იოვა-
ნე (და არა ივანე) - ზოსიმემ დაწერა „ქე-
ბაა და დიდებაა ქართლისა ენისაა“: აღრე-
ფეოდალურ ხანაში შავი ზღვის სანაპიროზე გა-
შენებული იყო ცხუმი || ცხომი ანუ დღევანდელი
სოხუმი, მაგრამ ყველა ეს და სხვა ამგვარი ის-
ტორიის ფაქტი. რუსთაველს ამ განზომილებით
ველარ მიუღღებთ: ის ხალხმა გაიპარა გვარის
სახელად და თავის ხმარებაში შეეცალა ისევე,
როგორც ზემოთ განხილულ საკუთარი სახე-
ლები და გვარები. შეიძლება დავასკვნათ:

ქართული ენის განვითარების გარკვეულ პე-
რიოდში, რომელიც დიალექტურ ჯგუფში
თავ ფუძე ცალკე იკუმშებოდა (შდრ. ნაცვალ-
სახელი თვისი და თანდებული -თვის) და კომ-
პოზიტშიაც: ერისთავ: ერისთვის; ასევე შესაძ-

ლოა შექმმულიყო იგი ადგილის სახელმწიფო
მისგან ნაწარმოებ სადასტორობის სახელში: რუს-
თავი: რუსთვის, რუსთველი-ი, რომელიც გამო-
ყენებული იყო თანამდებობის (ხელობის) აღ-
სანიშნავად, ხოლო შემდეგ შესაძლოა გვარა-
დაც ქვეუთელიყო. მაგრამ ამგვარი კუმშვა ჯერ
კიდევ ძველ ქართულში არ იყო საყოველთაო,
ხოლო XII-XVIII საუკუნეებიდან სრულებით
აღარ გვხვდება. გავრცელებულია რუსთვის
(და არა რუსთვის), წყაროსთაველი (და არა წყა-
როსთველი) გლონისთავისძე (და არა გლონის-
თვისძე).

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა მეტროსთვის
გამოიყენა ტრადიციულ შესაძლებელსაგა-
რუდლებული ძველი შექმმული ფორმა, რაც
ტრადიციითვე იხმარებოდა XVIII საუკუნემდე;
ქართული ენის განვითარების კანონზომიე-
რება ინახავდა და ხალხიც ხმარობდა რუსთა-
ველს, რაც იმდენად გავრცელებული ყოფილა,
რომ მისთვის ახგარში გაუწვეია არქაული
ფორმების მოყვარულ და დამცველ ანტონ კა-
თალიკოსსაც კი, რომელსაც, სხვათა შორის, ძა-
ლიან ყარგად ესმოდა სახელის ფუძეში ხმოვნის
„სპაზმის“ (იხ. ლარსატიკა, გვ. 9-11) შემ-
თხვევები. დღეს უნდა ვიხმაროთ ახალი, თა-
ნამედროვე სალიტერატურო ენის განვითარ-
ების კანონზომიერებისათვის შესატყვისი,
სწორი და გავრცელებული ფორმა რუსთაველი,
რომელიც საყოველთაოდ დამკვიდრებულია ქარ-
თულში და მიღებულია უცხო ენებში.

„ვეფხისტყაოსნის“ მართწერისათვის. პოემის
სახელის მართწერაში, როგორც მოსალოდნე-
ლი იყო, ისტორიულად გარკვეული ცვლილება
მზხდა; თანამედროვე მართწერა (ერთად და იწო-
წერა) დადგინდა 1937 წელს, დასაბუთდა ენაბ-
რივად და გავრცელებულიც არის დღეს, მან
ხმარობს უმეტესობა. 3

ვეფხისტყაოსანი შედგება ვეფხე და ტყავ
ფუძემებისაგან, წარმოებული სიტყვებისაგან.
ძველი ფორმა ვეფხი, ეს ფორმა შემონახულია
ქართულში ჯერ კიდევ XVIII საუკუნემდე, ასე
ხმარობს ამ სიტყვას სულხან-საბა ორბელია-
ნიც. ხალხურ მეტყველებაში ამ ფუძეს ჩაერთო
ვ და მივიღეთ ახალ ქართულში ლაბიალიზაცი-
ის ფორმა ვეფხვი, რაც პოემის სახელწოდება-
ზეც გადაიტანა და იხმარა აკაკი წერეთელ-
მა („ვეფხისტყაოსანი“; იხ. აკაკი, ტ. XI, გვ.
90-93). მაგრამ ეს სასურველი არაა.

3 ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. გ. ვ. გ. ი. ნ. ი. შ. გ. ი. ლ. ი.
სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი,
1941 გვ. 66; ი. შ. ე. გ. რ. ე. ი. ძე, რუსთავე-
ლისა და „ვეფხისტყაოსნის“ მართწერა: ლიტ.
გაზეთი, № 22, 1962; რ. შ. ა. მ. ე. ლ. ა. შ. ი. ლ. ი.
შ. რუსთაველის პოემის სათაურის მართწერა-
ისათვის: გაზ. „სახალხო განათლება“ № 29 (20.
VII), 1966, გვ. 3.

1 ვ. ჭ. უ. მ. ბ. რ. ი. ძე, მოთხრობითი ბრუნვა
„ვეფხისტყაოსანში“: სალიტერატურო ენა და
მწერლობა, 1962, გვ. 187.

2 ი. ი. მ. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული პოეტური
ენის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 35.

ტყაოსანი ნაწარმოებია ტყავისაგან ისევე, როგორც მანდილოსანგან მანდილოსანი, და ნიშნავს იმასვე, რასაც ტყავიანი, ე. ი. ტყავის მქონე, ვინც ტყავს ატარებს („მას ტანსა კაბა ემოსა ვარე-თმა ვეფხისტყავისა, ვეფხის ტყავისვე ქუდივე იყო სარქველი თავისა“: 85). ფონეტიკური წესის გამო, ოს წინ ვ იკარგება საერთოდ: თავი: თაოსნობა, პატივი: პატიოსნება, ხევი: ხეობა და ა. შ. ამდენად, შეცდომაა ვეფხის ტყაოსანი, რაც იხმარა მიხეილ წერეთელმა.

წარმოების მხრივ ვეფხისტყაოსანი მართლმსაზღვრელიანი კომპოზიტია, იმგვარადვე ნაწარმოები, როგორც ქინძისთავი, ერისთავი, ჭირისუფალი, გულისსურიანი, გულისხმიერი ან ბრუნვის ნიშანამოკვეცილი მამულიშვილი, სახლიკაცი... აღნიშნული სახელები ერთად იწერება მაშინაც, როცა საწარმოებელი აფიქსები დაერთვის: ქინძისთავებიანი, საერისთავო, ჭირისკაცული, უჭირისუფლოდ, საჭირისუფლო... ასევეა „უეფხისტყაოსნოდ აღარ შეიძლება ქართველის სულიერი არსის წარმოდგენა“ (ლ. ვოთოა, ვეფხის წიგნი და სექტიცხოველის სამყარო: „კომუნისტი“, 24. X. 66, გვ. 3).

აქ ყველგან ერთ ცნებასთან გვაქვს საქმე, ცალკე აღარ გაიარება ჭირი და უფალი, ამიტომ ერთად იწერება ისევე, როგორც ეს გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულიან კომპოზიტებში, რომელთაგან ბევრი ქართული ენის ძველისძველი ლექსიკური ფონდის კეთვნილებაა: ხელარგნოსანი, ხელჯოხიანი, შუბლსხივოსანი, შავფრთოსანი, შავცხენიანი, მესამეთანრიგოსანი, მაღალხარისხოვანი, ყვითელნისკარტიანი, ერთაქტიანი, უხვნაყოფიანი, ხელბარაქიანი და მრავალი მისთანა.

ვეფხისტყაოსანიც ერთცნებიანი მართლმსაზღვრელიანი კომპოზიტია, ამიტომაც, რომ მსაზღვრელი შთლიანად მას დაერთვის და არ გაიყოფა: „აღიდებული ვეფხისტყაოსანი“, „უკუდავი ვეფხისტყაოსანი“ და ა. შ. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ ერთად უნდა ვწეროთ.

ჩვენ არ ვიცით, როგორ წერდა ამ სიტყვას შოთა რუსთაველი, მაგრამ კიდევ რომ ვიცოდეთ, დღევანდელი ნორმებისთვის მას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა. თუ ხელნაწერში ეს სიტყვა დეფისითაა, არც ეს გამოდგება დღეს პოემის სახელწოდების დეფისით დაწერის საბუთად. ჭერ ერთი: ორთოგრაფია რაიმე მხრივ ყველგან და ყოველთვის იცვლება საუკუნეების განმავლობაში; მეორე: დეფისი, ჩვეულებრივ, და კავშირს ცვლის: „ადგილ-მამული“=ადგილი და მამული; ბოლ-ხადახშოსანი=ბროლისა და ხადახშოს მქონე; ლეილ-მაჯუნიანი=წიგნი ლეილისა და მაჯუნის შესახებ; იოსებ-ზილიხანიანი=იოსებისა და ზილიხანს (ანუ ზილიხანის) სიყვარულის თავგადასავალი და ა. შ.

დღევანე ზოგჯერ იგუეობის ნიშანი ან განმარტების მაგიერია: სულხან-საბა (ორბელიანი)=სულხან, იგივე საბა, ე. ი. საბა სულხანყოფილი (ორბელიანი); ბარამ-გურიანი=ამბავი ბარამისა, რომლის ბედი დაკავშირებულია კანჯართან ანუ სპარსულ გურისტან.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ დეფისით დაწერა გაუმართლებელია, ის უნდა ვწეროთ ერთად, ამ წესს უნდა დაემორჩილოს ყველა. არაფერი დაშავდება, თუ შევთანხმდებით, დავუშვებთ გამოჩაყლის და, როგორც საყოველთაოდ ცნობილს, მას წინწკლებში არ ჩავსვამთ.



მანანა ასათიანი

იოსებ თბილელის «დიდმოურავიანი»

გიორგი სააკაძეზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ორგვარი აზრი იყო დამკვიდრებული; ერთნი უბაღლო პატრიოტად, სამშობლოს ერთგულ შვილად თვლიდნენ, მეორენი — მოღალატედ, სამშობლოს გამყიდველად.

„დიდმოურავიანის“ ავტორის მიზანია გაფანტოს ის ცალმხრივი შეხედულება, თითქოს სააკაძე იყო „მოღალატე, ურჩი, მეფეთ ტახტის მაქცევი“.

1606 წლის დასაწყისში გარდაიცვალა გიორგი — ქართლის მეფე და 14 წლის ლუარსაბ II გამეფდა. ლუარსაბ მეორეს მეფობასთან არის დაკავშირებული გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ლუარსაბ მეორის გამეფებისას „...მძიმე მდგომარეობაში იყო ქართლი. თურქების წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი ომების შედეგად ქვეყანა გაჩანაგებული, მოსახლეობა შემცირებული და გაღარიბებული, ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებული და ფეოდალური ანარქია გაძლიერებული იყო. ქვეყანას მტკიცე ხელი და დიდი ორგანიზატორი სჭირდებოდა. ასეთი იყო გიორგი სააკაძე“¹.

საკაძე ლუარსაბის გამეფებისთანავე მისი უახლოესი მრჩეველი გახდა. მალე იგი თბილისის ამირთ-ამირად ანუ მოურავად დაინიშნა. მოურავს ეკითხებოდა ქალაქის ყველა საქმე: საეპრო და სახელოსნო, ნუსხების დაწესება და ბაჟის აკრეფა, გადასახადების განაწილება და აღება, სამოსამართლო საქმეების გარჩევა, უცხოელი სტუმრების დაბინავება, მათზე ზრუნვა და სხვა მრავალი.

საკაძე, როგორც ვახუშტის ცნობიდან ვიცით, ვარდა თბილისისა და ცხინვალისა, დეა-

ლეთის მოურავიც ყოფილა. ამის გამო, იგი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებითაც დიდად განსხვავდებოდა თბილისის ჩვეულებრივ მოურავთაგან.

იოსებ თბილელს სააკაძის ცხოვრების აღწერა 1609 წლის ტაშისკარის ომით დაუწყია.

XVII საუკუნეში სამცხე-საათაბაგო ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. მაგრამ იქაური ქართველები ქედს არ იდრეკდნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ მტრის განსადევნად. ამ ბრძოლას სათავეში ედგა სამცხის ათაბაგის ძვირეი ელენე, სიმონ პირველის ქალიშვილი. ქართლის ჯარების დახმარებით ელენემ შეხალო ახალციხის განთავისუფლება და ციხესიმაგრის დაკავება. ქართლის სამეფოს მესვეურებს კარგად ესმოდათ ის დიდი საფრთხე, სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა გაბატონების შედეგად რომ ემუქრებოდათ.

1609 წლის ივნისში, ქართლში შემოიჭრა ოსმალთა ჯარი, რომელთა რიცხვი 2.000 ყირიმელი თათარი იყო, საერთოდ კი ჯარის რაოდენობა 60000 კაცამდე აღწევდა.

თბილელის პოემაში აღწერილი თათარ-ხანთან ბრძოლის დეტალები ასე წარმოგვიდგება: კველაში დატყვევებული ბერი თევდორე სულგრძელი ამოიჩნდა, მტერს გზა აუბნია: ცხირეთზე კი არ გაუძღვა, არამედ ქვენადრის გზით ერთაწმინდისაკენ წაიყვანა. ამასობაში მეფეს შეატყობინეს მტრის ჯარის მოძრაობის ამბავი. გიორგი სააკაძემ დიდი მოსაზრებულობა გამოიჩინა — მეფე ცხირეთში დატოვა, თვითონ კავთისხევს წავიდა და 400 მეომარი შეკრიბა. სააკაძემ შიკრიკები გაგზავნა: მუხრანბატონო, დელუ-მამაღ-ხანი, ამილახვარი და სხვა სარდლები დაიბარა.

პირველი ბრძოლა ახალქალაქის ახლოს გაიმართა:

¹ გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, 1964, გვ. 64.



ნიაბთ პოლოს სხერტა ჰქვიან. არის რამე მცირე
 შაზას ეახლდი, იქ წინ დავხვდი, გული
 გვაქვს და მცირე ძალა.
 ზაქარიას იარალი მასთან მოსდევს, მოვლენ
 მალა,
 მორწყულს ხსულში შემოცვივდეს, სისხლი
 მათი იქ გამშრალა 1.
 გვ: 141.

სხერტას სანახებში დამარცხებული მტერა
 მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირს აჰყავ, სოფ-
 ლებს, აწიოვებდა. მტერს შემოსევის ამბავი
 ცხირეთიდან სამუხრანოს, საერისთავოებს აც-
 ნობეს და მუხრანბატონებსა და ერისთავებს
 დაავალეს თავიანთი ლაშქრით სურამს მისუ-
 ლიყვენს.

თათრებმა გორის ხიდზე გადასვლა დააბი-
 რეს, მაგრამ გორელმა ტურტერამ მტერს ეს ხი-
 დი ჩაუწვრიო. მაშინ მტერმა სოფლებს მიაშურა
 „სად ვინ მოხელეს, მოსწყვიტეს, ტყვე ჰყვეს
 და მოაოხრეს“ (ვახუშტი). მათ უკან კვალდა-
 კვალ სააკაძის რაზმი მისდევდა. ოსმალებმა
 სოფ. ბრბონას მიადწიეს და იქ დაიბანაყეს.
 ქართველების ჯარი სააკაძის მეთაურობით
 ახალდაბაში ჩავიდა. ხიდი მოდიდებულ მტკვარს
 წაედო. წყალში გასვლა კი ძალზე სახიფათო
 იყო. დილაღრიან ცხენებზე ამხედრებული
 ჯარი ცურვით გადავიდა მტკვარზე. ახლა მტერს
 ახალციხისაკენ გაასვლელი გზა გადაჭრილი
 ჰქონდა. შალვა ქსნის, ერისთავი კორტანეთს
 დადგა. ბრძოლის წინა დღეს სამხედრო თათბი-
 რი გაიმართა — თათბირს ლუარსაბ მეფე ხელ-
 მძღვანელობდა. თათბირის სავანი მტერთან შებ-
 მის დრო და პირობები იყო. ნუგზარ ერისთავ-
 მა ღამით ლაშქრობა ურჩია ქართველებს.

საკაძემ ომის შესანიშნავი გეგმა წამოაყუ-
 ნა:

დილაზედა რაზმი ვაწყოთ, მათკენ ვიქმნეთ
 ჩვენ წახრილი,
 სადაც დგანან, აქეთ ნაპირს წაუვლია იმათ
 თხრილა,
 იმას ასრე გარდავიდეთ, აბრენ იქმნას გან
 გახრილი
 გარ მოვიგზნათ დახოცილი, როგორც დოლაბს
 ეღვას ხრილი.
 (60)

ქვიშვითის ეპოპის დროს სააკაძემ უდიდესი
 მხედართმთავრული ნიჭი გამოიჩინა; რის გამოც
 მისი ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა.

ამ ომის შემდეგ სააკაძე ლუარსაბის დაახ-
 ლოვებული პირი გახდა.

ბუნებრივია, რომ აზნაურის ასეთი აღზევება
 არ მოსწონდათ ძირძველ თავადებს.

ამ დროისათვის ქართლი სააკაძის ენერგულ-
 ნობისძიებითა შედეგად საკმაოდ მოღონიერე-
 ბული ჩანდა. ადრე ვადადგარი მთიელები ახ-
 ლა მეფეს მორჩილებდნენ. ქართლის სამეფო ან-
 გარიშვასაწვე ძალად ვადაიქცა. შემქნილი ვი-
 თარება შაჰ-აბასის თვალს არ გამოაბრუნა. ქარ-
 თლის თანდათან მოღონიერება მოსვენებას
 უკარგავდა შაჰს. მას არასოდეს დაუვლია ცდა,
 ერთი მხრივ ქართლ-კახეთის წასაკიდებლად,
 ხოლო მეორე მხრივ — თვით სამეფოებს შო-
 რის განხეთქილების შესატანად.

1611 წელს, ტაშისქარის შემდგომ „მესა-
 მეს წელსა“, შემოდგომაზე გიორგი სააკაძემ
 სოფ. ნოსტურის დიდი ზეიმი მოაწყო. თბილ-
 ლის (და საერთოდ ქართული წყაროების) მი-
 ხედვით პირველად, თითქოს სააკაძის და აქ
 იხილა ლუარსაბმა; არაქელას თქმით „ამ დროს
 მეფე ლუარსაბი გატაცებული იყო მოურავის
 დით, თავდავიწყებით უყვარდა ის და ფარუ-
 ლად დადიოდა მასთან“ 2.

თბილეს საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღ-
 წერილი ლუარსაბის გაიფურტებისა და ქორ-
 წინების ამბავი. სააკაძე უარზე იდგა, არ უნ-
 დოდა მეფისათვის თავისი და მიეთხოვებინა.
 ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის აზრით,
 სააკაძის წინააღმდეგობა ერთგვარი „ხერხი
 იყო. იმ ბრძოლაში, სააკაძესა და დიდ ფეოდა-
 ლებს შორის რომ წარმოებდა, ძალიან დიდი
 მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ ვის მხარეზე აღ-
 მოჩნდებოდა მეფე. ლუარსაბმა იქორწინა სა-
 აკაძის დაზე. ლუარსაბის დედას, დედოფალს
 თამარს „რა სცნა ქორწილი დაუმომიდა დრი-
 ად, მაგრამ ვეღარა გააწყო რა და მოიყვანა
 ქალი ტურფად. შეეწიერა და ჰყვანდა თვესა
 რაოდენსამე“ (ვახუშტი)

ხუთი თუ ექვსი თვის შემდეგ თავადებმა მე-
 ფე აიძულეს გაეგდო სააკაძის და. მეტე ლუ-
 არსაბს სააკაძის თავიდან მოშორება მოსთხო-
 ვეს. მოეწყო პირველი შეთქმულება სააკაძის
 წინააღმდეგ.

1612 წლის 20 მაისს, წავისში მოიწვიეს სა-
 განგებო სხდომა. დარბაზობაზე ირჩეოდა გი-
 ორგი სააკაძის საკითხი. მეფე აიძულეს ევალა-
 ტა გიორგისთვის, ყარაიას დაბარებინეს და
 სიყვარული დასჯა გადაუწყვიტეს. დარბაზის
 სხდომას ესწრებოდა ფარეშთუხუცესი ბააკა
 ხერხეულიძე, რომელმაც დარბაზის ერის ვადა-
 წყვეტილება გასცა.

რისთვის გაიმეტეს ასე უწყალოდ სააკაძე?
 ფეოდალურ საქართველოში ქორწინება და-

2 არაქელა, მასალა ისტორიისათვის ივერია,
 1885, № 7, გვ. 62.

1. „დიდმოურავიანის“ ტექსტი მითანილია
 1939 წლის გამოცემიდან.

მანანა ასათიანი
 ირსაბ თბილელის „დიდმოურავიანი“



ფუნქციონირებს იყო გარკვეული სოციალურ პრინციპზე — თანასწორს თანასწორი უნდა შეერთო. ეს წესი პირველად ლაშა-გიორგიმ დაარსდა, ლუარსაბ მეორემ კი ყველას გადააქარბა — აზნაურის ქალი შეერთო. მაგრამ „შირთიად მინც ის იყო, რომ გიორგი სააკაძის პოლიტიკური მიზანწრაფვა არ შეესაბამებოდა რეაქციულ თავდათა პოლიტიკურ შეხედულებებს და ბრძოლა მათ შორის სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა“¹.

მეფის განკარგულებით ყველა ვასაქციევი გზა იქნა შეკრული. სააკაძემ ოჯახის წევრების გარდა, ექვსი ყმა აზნაურიც ახლდა. ლტოლვილები დიდგორის გზით წაიხდნენ, ღამით კარსანის თავს დაიბანაკეს, დანაყრდნენ და ვინაიდან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, სააკაძემ სიმამართან — არაგვის ერისთავთან, დღეშეთში გადაწყვიტა წასვლა.

გიორგი სააკაძის სიმამრი, განთქმული ფეოდალი ნუგზარ არაგვის ერისთავი 1602 წლამდე კახეთის მეფეს ემორჩილებოდა. შემდეგ ქართლის ვასალი გახდა.

სააკაძე და მისი თანმხლებნი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყვნენ ჩამომხდარი, ხოლო დღეშეთის წასასვლელად მტკვრის მარცხენა ნაპირზე გასვლა იყო საჭირო. ერთადერთი ხიდი — მეფის ხელისუფლათა საგანგებოდ გაემაგრებინათ. გიორგის უნდოდა ხმლით გაეკარვა გზა. თანხლებმა პირებმა დიდმოურავს არ მოუწონეს ეს განზრახვა და მტკვარში შესცურეს. მისაქციელში მათ თვით ნუგზარი შეეგებათ და დღეშეთში აიყვანა.

იქ სიძე-სიმამრმა ითათბირეს და შაჰ-აბასთან წასვლა არჩიეს. ეს მოხდა 1612 წელს. შაჰ-აბასმა მომენტურ კარგად შეაფასა: „მეველ დამიხვდა კეთილად არა გუნებდა წუყრომელი“. ისევ პირობებში, როცა აბასს უკვე დასახული ჰქონდა მომავლის გეგმა, საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ერისთავი ძალზე გამოსადეგი იყო. ასევე საჭირო იყო გიორგი სააკაძის მიხმრობაც. ქართველებმა სპარსეთის შაჰს თვითონ ჩაუდგეს ხელში საქართველოსათვის მეტად საჭირო კაცი.

1614 წ. შემოდგომაზე ირანის ჯარები საქართველოსაკენ დაიძრნენ. პირველი და უკანასკნელი დიდი შეტაკება ცალეთის ახლოს მოხდა. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ქართლისაკენ გასასვლელი გზა მინც გააფუს.

შაჰ-აბასი და მისი ჯარი 50 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ კახეთში და, რაც შეეძლოთ, აოხრებდნენ. ქართლიდან თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთში გადავიდნენ. აბასმა იმერეთის მეფეს მოსთხოვა ლუარსაბისა და

თეიმურაზის გაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმერეთის განადგურებით ემუქრებოდა.

ბოლოს შაჰმა ხელი აიღო იმერეთის ხელში ჩაგდებაზე და მთელი ყურადღება ლუარსაბზე გადაიტანა. შადიმან ბარათაშვილმა შესწლო ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანა. შაჰმა ლუარსაბს რჯულის ტეცვლა მოსთხოვა. არაგვითარმა მუქარამ და ტეცვლა სიტყვამ არ გასჭრა. ლუარსაბი შინა, „საპატიო“ პატიმრობიდან ნამდვილ პატიმრობაში გადაიყვანეს.

1615 წელს კახეთში აჯანყება მოხდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დავით ჯანდიერი, აბასმა კახეთის აჯანყების ჩასაქრობად 15.000-იანი რაზმი გამოგზავნა. ეს ჯარი განადგურებული იქნა თეიმურაზის მიერ.

1616 წელს შაჰმა კვლავ ილაშქრა საქართველოში. ქართლში მან მმართველად ბაგრატ-ხანი დანიშნა, ხოლო კახეთი კვლავ ნანგრევებად აქცია.

1619 წელს ვარდაცვალა ბაგრატ-ხანი. ქართლის მეფობა მისმა მცირეწლოვანმა შვილმა სიმონმა მიიღო. აბასმა სიმონს ქართლში სააკაძე გამოაყოლა.

იმდროინდელ ქართლში სრული ანარქია სუფევდა. ფეოდალები თავთავიანთ მამულში ჩაკეტულიყვნენ და მხოლოდ საკუთარი სამფლობელოების გაზრდა-გაფართოებაზე ზრუნავდნენ. სააკაძემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქართლის საქმეების მოწესრიგებას.

გიორგი სააკაძე, როგორც ჩანს, მოსალოდნელი აჯანყებისათვის სავარყო მოკავშირესაც ეძებს. სწორედ ამ პერიოდში მოხდა სააკაძის ქალიშვილისა და ფარად-ფაშას ქორწინება. ფარად-ფაშას, რომელიც ოსმალეთის მოხელე იყო, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო სააკაძე ოსმალეთთან დაეკავშირებინა.

ამ დროს კახეთს მართავდა ფეიქარ-ხანი. თეიმურაზი ოსმალეთში იყო და დახმარების მიღებას ცდილობდა. თეიმურაზის გაუტყნობითა და მისი ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირით გაყოფებულმა შაჰ-აბასმა თეიმურაზის ოჯახის წევრებზე იძია შური. თეიმურაზის ვაჟები დაასაჭურისა, ხოლო დედა — ქეთევანი სიკვდილით დასაჯა. 1622 წელს აბასმა სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ მეორეც.

შაჰ-აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა მთლიანად გაეწყვიტა ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ამ მიზნით მან დიდი არმია შეადგინა, რომლის უფროსდაც წარმოშობით სომეხი ყარაიხა-ხანი დანიშნა, რომელსაც კახელების მთლიანი გაწყვეტა და ქართველებს ირანში ჩარეკვა დაევალა. სააკაძე მის მრჩეველად იქნა დანიშნული.

ოფიციალურად ყარაიხა-ხანი მშვიდობიანი მიზნით მიდიოდა საქართველოში: ისა-ხან ყორჩიბაშის ასული ჯაჰანბანუ მიჰყავდა. იგი სიმონ-ხანზე უნდა დაეკორწინებინათ.

¹ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 11, 1965, გვ. 285.



1625 წელს თბილისში დიდი ქორწილი გადაიხადეს. ქორწილის შემდეგ ყარაჩხა-ხანი თავისი ლაშქრით ალაიანის ველზე დაბანჯანდა. იგი თავისი პირველი ამოცანის კახელების გაწყვეტის სამზადისს შეუდგა. სააკაძეს ადრევე სცოდნოდა ეს ამბავი და ზურაბ ერისთავთან ერთად გადაწყვეტიდა სამშობლოს დახსნა.

საკაძემ ყარაჩხა-ხანის ნებართვით ქართლის თავადები თავისთან დაიბარა. თითქოსდა შაჰის დანაბარების — ქართველების გადასახლების საქმის მოსაგვარებლად.

გიორგიმ და ზურაბმა ქართლის მესვეურებს აჯანყების გეგმა გააცნეს.

დათქმულ დროს აჯანყებულები უეცრად უნდა შემორტყმოდნენ ირანელთა ბანაკს; ხოლო გიორგის, რომელიც იმ დროს ბანაკში იქნებოდა, მოულოდნელი დარტყმით ქარის სარდლობა უნდა დაეხოცა. სააკაძემ არა მარტო თავისი სიცოცხლე შეავდო სასწორზე, არამედ — თავისი შვილებისაც. ერთ-ერთი ვაჟი — პაატა შაბაბასთან იყო მძევლად, ხოლო მეორე ვაჟს მამასთან ერთად უნდა ვადაეტანა აჯანყების მთელი სიმძიმე.

გიორგის გეგმა ბრწყინვალედ განხორციელდა ყარაჩხა-ხანისა და მისი ლაშქრის გაწყვეტის შემდეგ, მოუთრავმა სულის ამოთქმის საშუალება არ მისცა მტერს. არაქელა გვიამბობს: „1625 წელს მოურავი ეომა ყიზილბაშებს, დახოცა მრავალი, ყარაჩხა-ხანი, უსუფ-ხანი და ყაზა-ხანი მოკლა“¹.

ამის შემდეგ სააკაძემ თბილისი აიღო და ციხეს ალყა შემოარტყა. შემდეგ ზურაბ ერისთავთან ერთად კახეთში გადავიდა და ფეიქარხანს დაედევნა. ფეიქარ-ხანმა და სიმონ-ხანმა გაქცივით უშველეს თავს.

საკაძემ კარგად იცოდა, რომ ქართლ-კახეთს ირანის წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდა და დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. სააკაძის ელჩები ოსმალეთში 1625 წლის 3 ივლისს ჩასულან, მაგრამ ქართველები კვლავ მარტონა აღმოჩნდნენ ირანის წინაშე.

შაჰმა, თავისი სიძის, ისახან ყორჩიბაშის ხელმძღვანელობით, შეკპარა უზარმაზარი არმია, რომელიც საქართველოში 1625 წლის ივნისის ბოლოს შემოვიდა. ქართველებს შორის მტერთან შებმის თაობაზე არათა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. სააკაძე მოითხოვდა დაცედათ, რათა მტერი თვითონ გადასულიყო შეტევაზე. სააკაძის აზრით, დიდი სიციხის გამო, ქართველებს გაუჭირდებოდათ მშობლის დაბალ ველზე ომი. რაც უარყარია, კოჯორ-ტაბახმელას ვიწრო ხევებთან მტერს არ ექნებოდა მთელი თავისი ძალების გაშლისა და გამოყენების საშუალება. სამხედრო თათბირის გადაწყვეტილებით:

ომი მეორე დღესვე, ე. ი. 1625 წლის 2 ივლისს დაიწყო. იმ დღეს 10.000 ქართველი 14.000 ყიზილბაში დაეცა ბრძოლის ველზე. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ იარაღი მაინც არ დაუყრიათ. ისახანმა თავისი ჯარიდან 12.000 კაცი გამოჰყო, სათავეში ირანის საუკეთესო სარდლები ყაზა-ხანი და კისრო-მირზა ჩაუყენა და გავზანდა არშის ციხის ასაღებად, სადაც დაბატონებული იყვნენ ანდრუყაზარ ამილახვარი და მისი მეუღლე ყორჩიბაშის ასული. ზურაბ ერისთავი დათანხმდა გეტარებინა სპარსელების ჯარი არაგვის ხეობაზე იმ პირობით, თუ ისინი არაგვის მოსახლეობას ხელს არ ახლებდნენ და უკან სხვა გზით დაბრუნდებოდნენ.

ზურაბის განცდვამა დიდი დანაკლისი იყო სააკაძისთვის. სააკაძემ ვერ შესძლო მტრის გამკლავება და სპარსელებმა დაიხსნენ ტყვეები არშის ციხიდან. სააკაძემ ქსნის ხეობა შეერა. გიორგის მოეხმარნენ ზურაბის ძმები დათუნა და გიორგი. ისე ქსნის ერისთავი და ქიხოსრო მუხრანბატონი. მტერი ალყაში მოექცა. ყაზა-ხანი ტყვედ ჩაეარდა.

„ზოსრო მირზა მე გავხსნად ხელმწიფესთან გამოჩენითო“, — ათქმევინებს სააკაძეს თბილელი.

ქართლის თავადებისაგან შერისხული და გარიყული სააკაძე სამცხეში ჩავიდა 1625 წ. ზაფხულის გასულს. სააკაძემ სამცხის ჯარების დახმარებით სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშები: ზედიზედ ვათავისუფლა: აწყური, ბერთვისი და სხვა ციხეები. სამცხიდან სააკაძე ეახლა იმერეთის მეფეს გიორგის. გიორგი მეფემ გადაწყვიტა დახმარებოდა სააკაძეს.

1626 წლის ვაზაფხულზე სააკაძე ქართლში გადავიდა და შეუდგა ქართლ-კახეთის ყიზილბაშთაგან გაწმენდას. თეიმურაზი სააკაძეს მხარში ამოუჭრა. სააკაძის საქმიანობამ და დიდმა ბრძოლებმა დიდების შარავანდედით შემოსეს იგი. სააკაძის ასეთი განდიდება არ მოსწონდა ექვთიმ თეიმურაზს. სააკაძის საქმიანობით უკმაყოფილო იყო დიდი ფეოდალი ზურაბ ერისთავიც. კიდევ ერთხელ მოეწყო შეტევლება სააკაძის წინააღმდეგ, საბოლოოდ გაიყდა ურთიერთობა თეიმურაზსა და გიორგის შორის. თეიმურაზი იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. ქართლის გამგებლად დაინშნა ქიხოსრო მუხრანბატონი. გიორგის მიინც არ ასცდა თეიმურაზთან შეტაკება. 1626 წელს მოხდა მშათაშორის ომი ზაბაღეთთან. სააკაძე დამარცხდა, მან ოსმალეთს მიაშურა, სადაც ცალბატი მოკლეს.

დიდი მოურავის ეს ტრაგიკული თავდასახალი აუღია ნაწარმოების თემად სააკაძის „თვისისა და ტომს“ თბილელს. ისევე თბილელი

1. არაქელა, მასალა ისტორიისათვის, ივერია 1885, №—7, გვ. 67.

მანანა ახათიანი
იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“



პოემაში ეხება ვიორჯი სააკაძის პირადი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველა მხარეს.

იოსებ თბილელს მიზნად დაუსახავს სააკაძის რეაბილიტაცია. ამ მიზნადსახელობამ განსაზღვრა პოემის მხატვრული სტრუქტურა. ავტორმა არჩია მონოლოგის ფორმა და ვიორჯი სააკაძეს მოათხოვნიდა თავისი თავგადასავალი. „მონოლოგის ფორმა (ეს განსაკუთრებით პირველ ნაწილზე ითქმის), საშუალებას აძლევს პოემის ავტორს მეტი უშუალოდობით წარმოგიხაოს თავისი გმირი, დაგვიჩაბოს ცოცხალი და რეალური სურათები“¹.

თბილელი სააკაძის მრავალ დადებით თვისებათაგან ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს სააკაძის პატრიოტიზმზე. ავტორი ვიორჯი სააკაძეს გვიხატავს, როგორც უბაღლო პატრიოტს, სამშობლოს ბედნიერებისათვის მზრუნველ და მოჭირნახულე ადამიანს. მან საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას შესწირა თავისი უსაყვარლესი ვაჟი პაატა.

რაც ქართლისათვის მე ვპქენი, ცოტა რამ
გაკდრო მცროხილი,
ტყუილს ვერ ვიტყვი, იმისთვის არს ბევრი კაცა
სწროხილი;
მეც მემკვიდრე ვარ ამ ალაგს, არ შემოსწრებით
ხმოხილი,
ზოგჯერ უქნელი საქმე ვპქენი, გავტყუხი რაზმა
წყობილი 251

ვიორჯი სააკაძეს მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეიც ერთხმად ახასიათებენ, როგორც დიდ მოღვაწეს, გამოჩინულ სარდალსა და განსაკუთრებული პირადი მამაცობით დაჯილდოებულ პიროვნებას.

საკაძემ თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ბრძოლაში გაატარა. „ბრძოლა, ომი, ჯაჭვი, ზუჩი, შუამი, ლახტი, ხმალი, მკვეთი“ — აი, ვიორჯი სააკაძის მუდმივი თანმზლებნი, მისი კირისა და ლხინის განზიარებულნი.

თავდადებულ მამულშიშეილს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ მისი თანადროული საზოგადოების ერთი ნაწილი აშკარა უმადურობას იჩენდა სააკაძის ღვაწლისადმი.

ვიორჯი სააკაძის მიმართ ერთ-ერთი დიდი ბრალდება იყო „მეფისა და სამშობლოს“ დალტვი. „დიდმოურავიანი“ სააკაძე გვევლინება უბაღლო პატრიოტად და „პატრონმყოფი“ ინსტიტუტის დამცველად: „პატრონმობა განა ჩვენ-გან, იცით ზეცით დასახულა“.

ვიორჯი სააკაძე — ეს შეუდარებელი სარდალი თეიმურაზს თავისთავზე მაღლა აყენებს და ქედს იხრის მისი ვაჟკაცობის წინაშე. სა-

აკაძისათვის თეიმურაზის ბრძანება ყოველთვის იყო გარდღეული კანონი. პოემის მთელი სტროფები (243, 259, 255) გადმოგვცემს სააკაძის უანგარო სიყვარულს მეფისადმი.

ვიორჯი სააკაძე მწვეველ განიცდიდა, როცა მასა და თეიმურაზს შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

ზოგთ ბეგრატოვანთ აძრე სკირს, არ ახონანს
სამსახურია;
რაგინდ რომ ბევრი ამო, ბოლოს არ გივლინ
ყურია,
მაბეზლარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის
რომ აქვს შურია,
ვის რა ვაოდ ქართლშია, მეც რომ მექვამა
პურია?! 279

„მაბეზლარობა“, „ბოროტთა ცუდი ენა“ არა ერთხელ ისმის „დიდმოურავიანში“, როგორც მიზეზი სააკაძის დაღუპვისა.

საკაძის ტრაგედიის მიზეზად იოსებ თბილელს მიაჩნდა აგრეთვე მეფე ლუარსაბის მიერ სააკაძის დის შერთვა. სოციალური უთანასწორობა ამ ნათესაობისა. „დიდმოურავიანის“ მიხედვით სააკის პიროვნების ტრაგედია გამოწვეულია მისი სოციალური წარმოშობის მიზეზით. ჩვენ სახეებით ვეთანხმებით ვიორჯი ლეონიძეს, რომელიც წერს: „ფაქტიურად ჩვენ აქ საქმე გვაქვს დიდ სოციალურ კონფლიქტთან. ჯერ კიდევ მეფექსმეცხე საუკუნეში, აღორძინებული და ახლა უკვე გამაგრებული აზნაურთა და დაბალი ხალხის დიდი პოლიტიკური ვაჟუნების შეჯახებასთან ფეოდალური პევემონიის მხრივ“¹.

გმირი, სმეტაკი და უანგარო სააკაძე სასურველი ძმა და მეგობარია. როგორც ყველა ნამდვილი ვაჟკაცი, სააკაძე იყო ღვინისა და სმის ტრფიალი.

საკაძე ყველას უწყვიდა დახმარების ხელს, ეისაც უყვარდა თავისი მამული. ამავე დროს იყო უბაღლო მასხიძეული.

თბილელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ბედის წერას: პოემაში მეტად შესამჩნევია ეკლესიური მორალის მბრძანებლობა. სააკაძე წარმოდგენილია, როგორც ბიბლიური წიგნების დიდი მცოდნე. „ცხადია, ასეთი ვატყებთა ეკლესიური სახელებით, ეკლესიური იდეოლოგიით უფრო ტფილელის მიტროპოლიტის რელიგიურ განწყობილებებს გვიმგავანებს. ვიდრე დიდებული მხედრის ვიორჯი სააკაძისა“².

1. ი. ტფილელი, დიდმოურავიანი, 1939, გ. ლეონიძის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 111.

2. გ. ლეონიძე, „დიდმოურავიანი“ 1939 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 21.

1. ს. ცაიშვილი, „დიდმოურავიანი“, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 124.



„დიდმოურავიანი“ შედგება თეთრმიწიკი კარისაგან. მასში 484 სტროფია. სამი სტროფია პროლოგი, ხოლო 475—484 სტროფი კი ეპილოგი.

პროლოგში იოსებ თბილელი გვეუბნება, რომ „დიდმოურავიანი“ დაწერილია მეფის არჩილის ბრძანებით. არჩილს უბრძანებია იოსებ თბილელისათვის „განემართა“ გიორგი სააკაძის მოღვაწეობა.

პოემა კომპოზიციურად იყოფა ორ ნაწილად: პირველი მონოლოგიით აღწერილია სააკაძის თავის მართლმადიდებლურ აზრებთან და მთელი თავგადასავალი მოურავისა თეიმურაზის ქართლ-კახეთში გამეფებამდე. მეორე მონოლოგიით — ოსმალეთს გადახეწილი და დაღუპული მოურავი ანდერძით გვესაუბრება თავის განუხორციელებელ მიზნებზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე და დაუმსახურებელ ხვედრზე.

გ. ლეონიძის აზრით: „პოემის მთავარი ღირსება მის ხალხურობაშია. სადა, მოკვეთილი, ცოცხალი სიტყვა პოემის უპირველესი სამკაულია“.

იოსებ თბილელი არჩილის სკოლის წარმომადგენელია. „არჩილი იცავს რეალისტური თვალსაზრისით გამუქებულისა და პურისტული სტილით დამუშავებულ ნაციონალურ თემატიკას. არჩილი ამ თავისი შეხედულებებით მოწინავე ნაციონალური დასის იდეური ზრახვების გამომხატველი ხდება. და ცხადლივ ოპოზიციურად უდგება თეიმურაზის მიერ განმტკიცებულ ლიტერატურულ მიმართულებას“¹.

თბილელი მაქაძეების დიდი ისტატია, როგორც გიორგი ლეონიძე აღნიშნავს: „484 სტროფიდან პოემაში 52 მაქაძური სტროფია. ე. ი. 208 მაქაძური რითმა“.

აღორძინების და გარდამავალი ხანის მგოსნები ხშირად იყენებენ რუსთაველის მხატვრულ ხერხებსა და ლექსიკურ მასალას. რუსთაველიდან გამოდიან „აღორძინების და გარდამავალი ხანის პოეტები, როდესაც სიმშვიდეს, სიღინჯეს მიიჩნევენ ბრძენი ადამიანის დამახასიათებელ თვისებად. იოსებ სააკაძე უხვად სარგებლობს რუსთაველის მხატვრული ხერხებითა და აფორიზმებით.

ცნობილია, რომ „რუსთველი, როგორც პოეტი ხშირად მეტაფორულად მეტყველებს და მეტაფორულად აზროვნებს“². რუსთაველის პოეტურ ენაში დამკვიდრებული საამეტაფორო სახეები: ვარდი, ნარგისი, მელნის ტბა და სხვა. ათვისა XVI—XVIII საუკუნეების ქართულმა მწერლობამ.

თბილელის პოემაში შეინიშნება ეფესისტყაონის მოტივთა და შეხედულებათა გავლენა. რუსთაველი: „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

თბილელი: „თქმულა: სიტყვა სასარგებლო უკეთ იცის სხვამან სხვისი“. მოყვრისა და მეგობრისთვის თავდადებას მოითხოვს რუსთაველი. ამასვე ქაღაგებს თბილელიც:

კაცმა კაცს გული მიანდოს ერთ პირად დასანდობელად,
მას მისთვის ცრემლი სდიოდეს უწყვეტლად,
გუშურობელად,
მისთვის ხმალს ხელი ანებოს მტერხედა დასაშორებლად,
თავი ვასწიროს საკვდავად, სანთლურებ დასადნობელად! 1381

რუსთაველი: „რა მისპირდეს მაშინ უნდა ვონებანი გონიერსა“.

თბილელი: „როდეს გასპირდეს, საქმისა კაცი ხამს გამაბედავად“. ან კიდევ: „გაჭირების დროს კაცს უნდა, რომ შერჩეს ჭკვა და გონება“.

რუსთაველი: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩეენია სულსა, გულსა“.

თბილელი: „აჟა კაცსა ავი სიტყვა, დაბეზლება უჩანს უნჯად“.

პოემაში ხშირად ვხვდებით ეფესისტყაონის გმირთა სახელებს. „თუ თბილელი არჩილის მიმღევიარია თემატიკის სფეროში, თემის პოეტურად დამუშავების დროს იგი რუსთაველის განუზომად გავლენას განიცდის“³. ზოგჯერ თბილელი მთელ რიგ ეპიზოდებს ამუშავებს ეფესისტყაონის მსგავსად.

XVI—XVIII საუკუნის მწერლები წუთისოფლის მუხტობისა და გაუტანლობის თემას რუსთაველური ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოსცემენ.

ვაი, სოფელო, უხანო, დრონი აღარ დამეც, არა.

იოსებ თბილელს გამოუყენებია რუსთაველის მზა-მზარეული რითმები:

ვისაც სიჯაბენ შევატყვი, მასცა შეგმატი გულია
მეგვიდრე მკვიდრხედ მოვიდეს, ვინ იყენენ დაკარგულია,
სიხარულისა ღღე გვჭონდეს, ვით წყლისძირს ალვა რგულია,
ამ დღეებისა შემსწრობი სეველით ვარ დადაგულია! 348

³ ს. ციპიშვილი, დიდმოურავიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1965 წ. გვ. 425.

მანანა ხახთიაანი
იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“

¹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 180.

² ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 181.

ვეფხისტყაოსნის ავტორის რელიგიური მრწამსის ვარკვევისათვის მნიშვნელოვანია აფორიზმი „გონებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“ (190, 4). რუსთაველი იმ აზრს ატარებს, რომ ადამიანის გამარჯვება დამოკიდებულია გარჯაზე და ღვთის სურვილზე:

„ზედი, სვე და გამარჯვება, იქნას კაცზე, რაც მოხსდების“.

„დიდმოურავიანში“ უხვად მოიპოვება სენტენცია-აფორიზმები.

„ზევს თავადს მიუბილდება ჩემებრივ აზნაურობა“.

„ვიზედაც რომ სიკეთე ვქენ, მე შემექნა ზიანია“.

„ვეფხესა ადვილ ვინ შეიპურობს, ან ვინ შესწვდა ცას მარჯანსა“.

„დიდმოურავიანი“ დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი რუსთველური შაირით. თექვსმეტმარცვლიანი შაირი მომდინარეობს ქართული ხალხური შემოქმედებიდან. რუსთველის შემდეგ შაირი გახდა ლექსის ვაბატონებული მეტრი. თბილელის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი ცდილობს ცოცხალი, ხალხური

სასაუბრო ენით გამაღიღროს თავისი პოეტური მეტყველება.

„დიდმოურავიანს“ განუცდია აგრეთვე კურთხეულბათა გველენაც (მაგ.: ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი.).

აღორძინების ხანის მწერლები თეორიულად სასულიერო მწერლობას ანიჭებენ უპირატესობას საეროსთან შედარებით, პრაქტიკულად კი თვითონ საერო თემებს მიმართავენ.

რასაკვირველია, ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით თბილელმა დიდი დანაშაული ჩაიდინა „დიდმოურავიანის“ დაწერით, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „დიდმოურავიანი“ დიწვერა მავინ, როცა არჩილი აცხადებდა:

„სალეთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით საშიროს ინახედნენ სტავრის ბუღით ან ნახლობით“.

თბილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ ნაციონალური ეპოქის შესანიშნავი ძეგლია: პოემა საუკეთესო ფაქტია XVIII ს. ახალი ლიტერატურული ენის სიმღერისა და ამავე დროს ეროვნული თვითშეგნების ზრდისა.



ლავით ბაგრაგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხვედრებთან დაკავშირებით

XVIII ს-ის მეორე ნახევარში, სახელდობრ, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში საქართველოში მნიშვნელოვან პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. რუსეთის გზით განათლების სიო აღწევს საქართველოსაც და ერეკლეს იდეალი — ქვეყნის ევროპულად განვითარება—თანდათან სიცოცხლისუნარიანი ხდება. ეს გარემოება კარგად შეუნიშნავს საქართველოში მოღვაწე (1783-1787) რუს პოლიტიკოს ბურნაშევის თავის წიგნაკში „Картина Грузии“.¹ ახასიათებს რა ერეკლეს, იგი აღნიშნავს, რომ „Ираклий... ни к чему однако-ж так не стремится, как преобразовать народ свой по европейски“ (გვ. 10). რუსი პოლიტიკოსის ამ სიტყვებში სრული ქვეშაობრივად გამოსჭვივის. მართლაც, იმეამინდელ „ქართულ მწერლობაში თანდათან იკვლევდნენ გზას მეტნაკლებად მოწინავე შეხედულებები, სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები“². ქვეყნის წარმატებით განვითარებასთან ერთად „ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც რუსეთშიც, უმეტესად პოპულარული შეიქმნა კერძოდ, ის შეხედულება, რომ ქვეყანას იხსნის განაოლებული აბსოლუტიზმი ანუ სოციალური წოდებებისაგან დამოუკიდებელი, შეუზღუდველი მონარქია, რომლის სათავეში უნდა იყოს განათლებული, გონიერი მეფე. ფეოდალური სამეფოს გასაძლიერებლად მან უნდა ვაატაროს ზოგჯერ რეფორმა. შეუზღუდოს მთავარ-თავადები, ცენტრის დემორჩილოს მათი სამფლობე-

ლობები, ხელი შეუწყოს ვაჭრობას, მრეწველობას, ცოდნის გავრცელებას. პრაგმატული საქართველო მზად იყო სწორედ განათლებული აბსოლუტიზმი დაეცვა“ (გვ.338).

ერეკლე II თავისი პოლიტიკური იდეალით (განათლებული აბსოლუტიზმი) მართო არ იყო. „მასთან იყო ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. იმ დროს ბევრს ესმოდა, თუ რა იყო საქართველოს ამდენი უბედურების მთავარი მიზეზი. კარგად არჩევდნენ ევროპულა წესების უპირატესობას და ამ წესების საქართველოში გადმონერგვას ცდილობდნენ“¹.

გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წესწესობების ერეკლესეულ მისწრაფებაში განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მეთოდურობით გამოირჩეოდა მისი შვილიშვილი დავითი. იგი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII უფროსი ვაჟიშვილი იყო და მამის გარდაცვალების (1800 წ. 28 დეკემბერი) დროიდან საქართველოს ტახტის დაუღალავი მძიებელი. მან თავის მამასთან ითანესთან ერთად გიორგი XII დაველებით შეიმუშავა კანონრეგულაციები საქართველოს საზოგადოებრივი, ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაღაბლის მიზნით. ამ საკოდფიკაციო მუშაობას დავითისათვის უნდა მიეცა ერეკლესა და მისი ოცნების თეორიული საფუძველი. მაგრამ 1801 წლის 12 სექტემბრის ისტორიული აქტით დავითმა დაკარგა სამეფო ტახტი და ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა. მართალია, დ. ბატონიშვილი ამის შემდეგაც ინტენსიურად შრომობდა საქართველოს სახელმწიფო წესწესობების

¹ С. Д. Бурнашев. Картина Грузии. Тб., 1896.

² ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, I. თბლისი, 1958, გვ. 338.

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბლისი, 1965, გვ. 239.

რადიკალური რეფორმების გატარების მიმართულულებით, მაგრამ მის გულწრფელ მეცადინეობას ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის საქმეში მარტოოდენ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. პრაქტიკულად კი მისი პოლიტიკური მიზნები განუხორციელებელი იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან ქართული ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო, რომელშიც ძალზე დიდად განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მოვლენათა შემდგომი მსვლელობა. ამიერიდან საქართველოს პრაქტიკულ განვითარებას ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებდა, რადგან ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის (ეროვნული და სოციალური ჩაგვრის) მიუხედავად, სწავლასა და განათლებას მოწყურებულ ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენციას გაეხსენა ვნა რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში სწავლის მისაღებად.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანაში ჩვენში არ არსებობდა უმადლესი სასწავლებელი. ქვეყანამ, რომელშიც ენტანჯ VI-ის რუსეთში გადასახლებით ძალზე მძიმე ზარალი განიცადა, ერთბაშად მწვევედ იგრძნო სამეცნიერო კადრების ნაკლებობა. მათი რიცხვი ფრიად შემცირდა, ამიტომ ქართული ისტორიული მეცნიერება და აზროვნება ქართველოლოგიის სხვა დარგებთან ერთად, წარსულში რომ ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია ჰქონდა, XIX ს-ის პირველ მეოთხედში შეჩერდა. იმეამად საქართველოში თითო-ორილა მწიგნობარი თუ მოიძებნებოდა, რომელსაც შეეძლო ისტორიული მეცნიერების განვითარება.

იმეამინდელი ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია დავით ბაგრატიონი (1767—1819), თავისი დროისათვის საქმოდ ღრმა და ფართოდ განათლებული, ძალზე ნიჭიერი და დაკვირვებულის, ევროპულ კულტურას დაუფლებული მოღვაწე, დასავლეთევროპულ, რუსულ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას გაცნობილი დავითი დიდ ერთდღივასა და ცოდნას ამტკიცებდა, ისტორიის გარდა, აგრეთვე ფიზიკაში, სამართლისმცოდნეობაში, პოეზიაში, ფილოსოფიაში. ლექსიკოგრაფიაში და ენათმეცნიერებაში. ყველა აქ ჩამოთვლილ დისციპლინაში დავით ბატონიშვილს თავისი მეტ-ნაკლები წვლილი აქვს შეტანილი, მაგრამ მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანს მანდღამანდც ისტორია და სამართლისმცოდნეობა შეადგენდა. აქ იგი საკმაოდ კომპეტენტური მეცნიერი იყო და იმეამინდელი ლიტერატურის საფუძვლიანი მტოდენ.

ფართო ერუდიციამ და განათლებამ დავით ბატონიშვილს XIX ს-ის გარიყრეაზე, სახელდობრ, 1800 წელს შეაძლებინა მსოფლიო ისტორიის თავისებური ნარკვევის ქართულ ენა-

ზე შედგენა¹. როგორც ამ ნაშრომის წინასიტყვი-ობიდან ჩანს, იგი ძირითადად შედგენილი იყო ფილა რუსული და ქართული საისტორიო ლიტერატურის მიხედვით და 6 თავად იყოფა. ამ თავებში მოთხრობილია ასურეთის, სპარსეთის, საბერძნეთის, რუსეთის, რომისა და საქართველოს ისტორია. იგი მსოფლიო ისტორიის ერთგვარ ცნობარს წარმოადგენს და ძალზე შეკვეცისად და მარტივი თხრობით გადმოკვეცმა აღნიშნულ ბალთა წარსულ ცხოვრებას. ესაა არსებითად პოლიტიკური ისტორიის გადმოცემის მეტად სუსტი და უფერული ცდა. ცხადია, ისტორიულ ნარკვევს აბსოლუტურად არ აქვს მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა. მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ეს თხზულება შეიძლება ჩიითვალოს დადებით მოვლენად, რამდენადაც იგი ამავილებს ყურადღებას აღნიშნულ ხალხთა ისტორიის შესწავლისადმი. ამასთან ისტორიული „ნარკვევი“ დავითის პირველი ცდაა ისტორიის დარგში მუშაობისა, რის გამოც მას ჩვენ დიდ პრეტენზიებსა და მოთხოვნისებებს ვერ წაუყუყუებთ.

შედარებით უფრო საინტერესოა და მოვლენებითა და ფაქტობრივი მასალით მდიდარია დავითის «История Грузии». ეს ნაშრომი სამი რედაქციითაა ცნობილი, რომელთაგან მეორე, ბეჭდური სახით არის გამოცემული პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1805 წელს. როგორც პირველი, ისე მეორე (ავადემიურთ) რედაქცია მიძღვნილია გენერალ-მაიორ ს. ა. ტუჩკოვისადმი

«Сия книга сочинена для господина генерал-майора Тучкова» — აღნიშნავს ავტორი და ცალკე ფუთელზე შემდეგს ვაუწყებს: «Милостивый государь мой! Сергей Алексеевич. Усердно желая доказать Вам на самом деле, ту искреннюю дружбу, которую со дня моего с Вами знакомства питаю в себе, долгом моим почел я исполнить предложение Ваше, относительно сочинения Грузинской истории, которое первое издание казалось Вам недостаточным. Я сочинив оную вновь, хотя и кратко, но с довольными нужных обстоятельств пояснениями; приношу Вам истинному моему другу, и надеюсь, что Вам не будет неприятным найденный во оной недостаток, в разсуждении языка и некоторых терминов, зная, что язык сей для меня не природный, но по случаю приобретенный. Ваш покорный слуга царевич грузинский Давид».

¹ დავითი. ისტორიული „ნარკვევი“, თბილისი, 1800.



ბუნებრივად იბადება კითხვა — ვინაა ეს სერგი ტუჩკოვი და ჩატომ მიუძღვნა მას დ. ბაგრატიონმა თავისი წიგნი «Краткая история о Грузии со времен первого во оной населения». როგორც დავითის სიტყვებიდან ჩანს, ს. ტუჩკოვი ბატონიშვილის გულწრფელი და ჰუმანიტარული (Искренняя дружба, истинному моему другу) მეგობარი ყოფილა.

სერგი ალექსის ძე ტუჩკოვი ფრიად განათლებული და ნიჭიერი სამხედრო სარდალი ყოფილა. იგი დაბადებულია 1766 წელს მოსკოვში ცნობილი სამხედრო ინჟინრის ალექსი ტუჩკოვის ოჯახში. 17 წლისამ ბრწყინვალედ ჩააბარა საოციტრო გამოცდები და მიღებულ იქნა არტილერიაში პრაპორშჩიკის თანამდებობაზე. ამასთან ს. ტუჩკოვი სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდ დროს ესწრებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ „სიტყვიერების მოყვარულთა“ (საზოგადოებისა, ა. ბ.) სხდომებს (собрание любителей словесности), სადაც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (1789) გავლენით, სტუდენტები თავისუფალ აზრებს გამოთქვავდნენ და ოცენობდნენ უკეთეს ცხოვრებაზე¹. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე, როგორც ამას გადმოგვცემს საკუთრივ ს. ტუჩკოვი, გამოჩენილ რუს რევოლუციონერ განმანათლებელს ა. რადიშჩევს წაუკითხავს თავისი თხზულება «Веседа о том, что есть сын отечества», რომელიც დიდი გაჭირვებით დაუბეჭდავს მას ამ საზოგადოების ეურნალში 1789 წლის დეკემბრის თვეში (გვ. 42). ეს თხზულება დაწერილია რევოლუციური პატრიოტიზმის სულისკვთებით.

იმავე 1789 წელს ა. რადიშჩევს დაუმთავრებია და თავისავე გამოცემლობაში დაუბეჭდავს საყოველთაოდ ცნობილი რევოლუციური ნაშრომი: «Путешествие из Петербурга в Москву». ამ ნაშრომს ს. ტუჩკოვი შემდეგნაირად ახასიათებს:

ამ წიგნში «с великою вольностью, в сильных выражениях писал он противу деспотизма. Книга сия написана была прозою, но заключала в себе оду на вольность, сочиненную им стихами. Оная начиналась сими словами:

О вольность, вольность, дар бесценный!
Позволь, чтоб раб тебя воспел».

სწორედ ამ „სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების“ წევრი იყო ს. ტუჩკოვი. ამ უკანასკნელის პათეტური ტონი გვაფიქრებინებს,

რომ მისი ავტორის სახით ჩვენ რუსი რევოლუციონერის პატრიისმეგმელთან და მისი აზრების გამოხატებულთან უნდა გვევინდოს საქმე. ამდენად ს. ტუჩკოვი პროგრესული მიმდინარეობის წარმომადგენლად უნდა ჩავთვალოთ რუსულ ლიტერატურაში.

ნიშანდობლივია, აგრეთვე, ს. ტუჩკოვის ცნობა ამ საზოგადოების შემდგომი ბედის შესახებაც. «во Франции — აღნიშნავს იგი. — началась же тогда революция (გველისხმება 1789 წ. ა. ბ.) и дух вольности начал проникать в Россию, а потому не только все иллюминатские, мартинистские и масонские собрания, но даже и собрание любителей словесности были строго запрещены» (გვ. 42). მას შემდეგ, რაც ა. რადიშჩევი აღნიშნული წიგნის გამო დააპატიმრეს (1790) და გადაასახლეს ციმაბრში, ხოლო „საზოგადოება“ დახურეს, ს. ტუჩკოვი უნებლიეთ ჩამოშორებია მას, თუმცა ბოლომდე დარჩენილა დემოკრატიული იდეების გამტარებლად.

1783 წლიდან იწყება ს. ტუჩკოვის მეტად საინტერესო და მოვლენებით მდიდარი ცხოვრების გზა. 1801 წლის დასაწყისიდან იგი უკვე საქართველოშია, ხოლო 1802 წლიდან სამოქალაქო საქმეების გამგებლად იყო თბილისში გენერალ-მაიორის წოდებით. თბილისში იგი გაცნო და დაუახლოვდა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII უფროს შვილს, რუსეთის გენერალ-ლეიტენანტს დავით ბაგრატიონს. ამ უკანასკნელსა და ს. ტუჩკოვს შორის გაიბა მეტად მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა ვიდრე დავითის გარდაცვალებამდე (1819). საფიქრებელია, რომ 1802 წლიდან, კარგად ინფორმირებული დ. ბატონიშვილის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ იდეალებში (განათლებული აბსოლუტიზმი), კიდევ უფრო მეტად გაუღვივებდა მას ინტერესს როგორც ვოლტერის — განათლებული აბსოლუტიზმის ამ დიდი მქადაგებლისა და დამკვიდრის, — ისე საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონ ბონაპარტის მიმართ.

ს. ტუჩკოვი განსაკუთრებული სიმპათიითაა გამსჭვალული დავითისადმი. იგი თავის ძალზე საინტერესო წიგნში «Записки» არ მალავს თავის კეთილგანწყობილებას და პატივისცემით იგონებს დავითთან გატარებულ დროს (გვ. 175, 185 — 187, 263 — 264). ს. ტუჩკოვი დიდი აზრისა იყო დავითზე, მას ნიჭიერ და გონიერ აღიბინად მიიჩნია ქართველი ბატონიშვილი და უთხოვია მისთვის „საქართველოს ისტორიის“

ბრჩილ ბაბრამიძე
დავით ბაბრამიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შინაგულმგობათა საკითხისათვის

¹ Записки Сергея Алексеевича Тучкова. Под редакцией и со вступительной статьей К. А. Военского, СПб., 1908, გვ. 42.

შედგენა რუსულ ენაზე. ს. ტუჩკოვს, ვითარცა განათლებულ ადამიანსა და საქართველოში მოღვაწეს, განსაკუთრებით აინტერესებდა ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრება და დავითის „ისტორიის“ მეორე რედაქციის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ ბატონიშვილს დაუწერია კიდევ ამგვარი ნაშრომი თბილისში 1801 წელს.

ეს ხელნაწერი შესავლის გარდა 63 გვერდისაგან შედგება და არსებითად „ისტორიული ნარკვევის“ პრინციპზეა აგებული. აქ ორიგინალური და საინტერესო არაფერია და ფიად მარტვალა და მატიაინსებურად გადმოცემულია ქართველი ხალხის ისტორია უძველესი ხანიდან ვიდრე რუსთა შემოსვლის დრომდე. ხელნაწერი, ცხადია, ს. ტუჩკოვის გაზრდილ მოთხოვნებზეა და ინტერესს საქართველოს ისტორიის ღრმად შესწავლისათვის ვერ დააკმაყოფილებდა. მართალია, ეს გარკვევა რუს გენერალს არსად არ აქვს აღნიშნული, მაგრამ დავითის „ისტორიის“ მეორე აკადემიურ გამოცემაში და დღევანდელ ვანცალება («первое издание казалось Вам недостаточным») გვაფიქრებინებს, რომ ამ ნაშრომით დავით ბატონიშვილი თვითონაც არ უნდა ყოფილიყო მონაცდამაინც კმაყოფილი და პირველად შემოთხვევითანავე ასწორებს და შესაძლებლობის ფარგლებში აფართოვებს თავის «История Грузии»-ს, რომლის ბეჭდური რედაქცია გამოცემულ იქნა პეტერბურგში 1805 წელს. ეს ნაშრომი საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ავტორისავე წინამორბედ საისტორიო ნაწარმოებთა შორის, თუმცა არც იგია მთლიანად დაზღვეული ნაკლოვანებათაგან.

წინამდებოლი და საკულისხმოა ამ ნაშრომის გამოცემის ისტორია. ს. ტუჩკოვი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს დავით ბატონიშვილის „ისტორიის“ გამოცემის ამბავს.

1805 წლის ბოლოს ს. ტუჩკოვმა დატოვა საქართველო და პეტერბურგს მიაშურა, სადაც იმეზად (1803 წლიდან) ცხოვრობდა დავით ბავრატონი. «Грузинский царевич Давид (დაყოფა აქ და ქვემოთ ავტორისა ა. ბ.).

старший сын последнего царя, узнав о моем туда приезде, сделал мне посещение и привез пять экземпляров сочиненной им и посвященной мне книги под названием: «Краткая Грузинская История», напечатанной при С.-Петербургской Академии. Я, надеясь получить от него более, раздарил их моим знакомым и просил у него еще. Он дал мне только два экземпляра, сказав, что у него самого мало осталось. Так как меньшая сия книга довольно любопытна, то тщетно старался я купить несколько таких же экземпляров в книжных лавках. Полагая, что все экземпля-

ры оставлены им по каким ни есть видам в академической типографии, я поехал туда, но и там их не нашел. Этот вопрос же мой, куда царевич употребил все экземпляры его книги, типограф отвечал мне: «когда наборка оной приходила к окончанию, то спрашивал я царевича: сколько экземпляров прикажет он отпечатать, — полный завод или половину; т. е. 1.200 или только 600. На сие царевич сказал: „пятьдесят, не более; этого количества довольно для меня и для моих приятелей“. Теперь, когда я сие пишу, царевич скончался, а у меня находится только один экземпляр, которого постараюсь я при удобном случае сделать второе издание» (გვ. 263).

მატანილი ამონაწერი საკმარის წარმოადგენს იძლევა დ. ბატონიშვილის შინაგანი ბუნების შესახებ. მის შესაძლებლობა ჰქონდა თავის ისტორია 1200 ცალის რაოდენობით დავსტამა, მაგრამ უმცირესი ტირაჟით დაკმაყოფილებულა. რას წარმოადგენს თავისთავად აღებული ეს ნაშრომი და რა მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარება იგი? დავით ბატონიშვილის „ისტორია“ შეიცავს საქართველოს წარსულის თანამიმდევრული რომანტიკული დავგადასავლის მოკლე თხრობას უძველესი ხანიდან რუსთა მმართველობის დამყარებამდე, იგი ორი ძირითადი თავისაგან შედგება, ე. წ. „შესავლისაგან“ და „ქართველთა ისტორიისაგან მეფეთა შესახებ“. ეს ორი თავი თავისთავად იყოფა მრავალ (45) პარაგრაფად. აქედან პირველი თავი 14 პარაგრაფს შეიცავს, ხოლო მეორე დანარჩენ 31 პარაგრაფს. პირველ თავში საუბარია მეფობის წინამორბედი ხანის საქართველოს ისტორიაზე, ე. წ. „მამასახლისთა მმართველობის პერიოდზე“, რომელსაც ჩვენ, დავითის ნაშრომთა (ნარკვევი: «История Грузии») ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე ტერმინით პირველყოფილთემურ წყობილებად განვიხილავთ.¹ მეორე თავი კი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან XIX ს-ის დსაწყისამდე მონარქისტული სულისკვეთებით. ეს უდიდესი ისტორიული პროცესი (22 ს-ე) მოცულობის მიხედვით 115 გვერდს ითვლის და მეტად ძუნწად გადმოგვეცემს აღნიშნულ საუკუნეთა ისტორიას. ამასთან, ნაშრომის თითქმის მთელ მანძილზე ძირითად წყაროდ გამოყენებულია „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშ-

¹ ქართულ ისტორიოგრაფიაში დავითის „ისტორიის“ სათანადო აღილებში გვაროვნული წყობილების ამსახველი სურათი პირველად შენიშნა პროფ. შ. მესხიამ. იხ. „მნათობი“, № 8, 1950, გვ. 164.



ტის „ისტორია“. ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, რომ ჩვენი ავტორი სარგებლობდა აგრეთვე რუსულად ნათარგმნი დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიიდანაც, თუმცა ამგვარი ლიტერატურა არც მოითხოვებოდა და ერობმ მცირეცაა. წყაროებიდან დამოუკიდებლობა ეტყობა 43-45 პარაგრაფებს, რომლებშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია XVIII ს-ის მეორე ნახევარში; იგი იმ მხრეზეა საუბრადობელი, რომ ავტორი ზოგიერთ მოთხრობილ ამავთა თვითმსილველი და მონაწილეა. ნაშრომი თხრობითი, მატინისებური სტილითა დაწერილი და კვლევითი ნაწილი მეტად მცირეა. მიუხედავად ამ ნაკლისა, დ. ბაგრატიონის „ისტორია“ XIX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ ცდას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის სისტემატური გადმოცემისა და მასში აქა-იქ შინაგანი ისტორიის ამბებსაც ვხვდებით ხოლმე.

რაც შეეხება დ. ბატონიშვილის რიგით მესამე სპეციალურ ნაშრომს საქართველოს ისტორიის ხაზით, კერძოდ, მის «История Грузии»-ს, იგი დაწერილია პეტერბურგში 1816—1817 წლებში და მიძღვნილია გენერალ ა. პ. ერმოლოვისადმი, რომელიც, როგორც ცნობილია, 1816 წლის ოქტომბრიდან დანიშნულ იქნა საქართველოს მთავარმართებლად.

«История Грузии»-ც იწყება საქართველოს ლეგენდარული ხანიდან და მთავრდება 1816 წლით. იგი, წინა ორი რედაქციისაგან განსხვავდება ფაქტურით მასალის შედარებით სიღრმით, სახელდობრ, აქ დამატებულია ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს ძველი ისტორიისათვის და აგრეთვე ის პარაგრაფებიც, რომლებიც მოგვიანობენ საქართველოს ისტორიის ამბებს 1800 წლიდან 1816 წლამდე. ხელნაწერი ნაშრომი არსებითად იმავე პრინციპზეა აყვებულა, რაზედაც წინამორბედი «ისტორიებზე», თუმცა პარაგრაფების რაოდენობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტადაა გაზრდილი. ასე, მაგალითად, თუ მეორე რედაქცია 45 პარაგრაფს შეიცავდა, ახალი შეგებულ-შესწორებული ვარიანტი 130-დეა გაზრდილი და მასშაბამე, 85-ით მეტია მეორესთან შედარებით. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული ხელნაწერი საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდისათვის საერთოდ გაზრდილია (ეთნოგრაფიული მასალებით), იგი მაინც ახალს არაფერს არ იძლევა. ხელნაწერი, სამწუხაროდ, არაა გამომცემული და თავისი შინაარსით, მის უკანასკნელ ნაწილში (1800—1816) ძალზე უახლოვდება დავითისავე მიერ ქართულ ენაზე დაწერილ „ახალ ისტორიას“.

ამრიგად, დავითის «История Грузии»-ს ეს ახალი, მესამე ვარიანტი სიანტიერესო გამოკვლევათა თავისთავად და იგი ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ყურადღებას მიიქცევს. მაგრამ იმის გამო, რომ მასში ჩვენი საკითხისა-

თვის ახალი არაფერია. ამიტომ ჩვენს შემდგომ მუშაობაში ყოველთვის ვიხედავდებით დავითის „საქართველოს ისტორიის“ მეორე აკადემიური რედაქციით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ეს ნაშრომი გარკვეულად ამჟღავნებს ავტორის როგორც დემოკრატიულ, ისე კლასობრივ პოზიციებსაც, თუმცა კლასობრივი, რა თქმა უნდა, ამჟღავნებს პარობს დემოკრატიულს. აქ ეს ორი დამოუკიდებელი რაღაცეა დაწინააღმდეგო თვალსაზრისი ერთგვარი თავისებურებითაა შერწყმული ერთმანეთში და, ცხადია, ავტორის მსოფლმხედველობის ევლექტრობაზე მოითხოვს. დემოკრატიულია, მაგალითად, ფაქტი დავით ბაგრატიონის შეხედულებისა ქართველ ტომებში პირველყოფილ-თემური წყობილების არსებობის დანახვის შესახებ. მართალია, ეს პრობლემა დავითს მიეუბნება ისტორიითა და სიციხადით არა აქვს გამოკვლეული, თუნდაც იმგვარად, როგორც ეს მის უმცროს ძმას თეიმურაზს აქვს ნაწევნები კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე საფუძველზე, მაგრამ XIX ს-ის პირველ ხუთი წლებში ამ საზოგადოებრივი წყობილების წყაროებში დანახვისა და აღიარების ფაქტი იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, რომ დავითი დემოკრატიული და თავისუფალი აზროვნების ისტორიკოსად ვიცნობთ. მაგრამ, სამწუხაროდ, დავითმა სწორი პოზიკია ამ საკითხშიც ხოლომდე ვერ გაატარა. მართალია, მან მიუთითა საქართველოში „მამასახლისობის“ ცერისა, საზოგადოებისა, იგივე პირველყოფილ-თემური წყობილებისა ინსტიტუტის არსებობაზე, მაგრამ მათი არჩევითობა ახანა „უძველესი და უძლიერესი გვარის“ მემკვიდრეობით ფუნქციად. მამასახლამე, დავითის აზრით, „მამასახლისობა“ სოციალური, მემკვიდრეობითი, დინასტიური ინსტიტუტი ყოფილა. სწორად აქაა ამჟღავნებამოკვლეული დ. ბაგრატიონის კლასობრივი თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი უშლიდა მას ხელს საკითხთა სწორი, მეცნიერულ გადაწყვეტაში.

დ. ბატონიშვილი ისტორიკოსის უმთავრეს პირობად მიიქცევს პირობასა და სიმართლის მიქმელობასა თვლის. ამის იგი მრავალჯერ აღნიშნავს სხვადასხვა დროს დაწერილ ეპისტოლარულ წერილებსა თუ „ისტორიაში“. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ თავის კერძო წერილში დავითი მიუთითებს, რომ: «...Всю обявляю... истину... ибо... истина есть первейший и важнейший пункт, а для меня сильнейший долг»¹. ამგვარი ხასიათისაა აგრეთვე და-

¹ И. Ениколопов. Царевич Давид о Рейнгерсе. Мსკი, ნაკვ. 29, 1951, გვ. 290.

არჩილ ბარამიძე
 ღვთისმშობლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღმრთაუფლებათა საპროტესტისათვის



ვითს „ახალ ისტორია“-ში მითითება იმაზე, რომ იგი აღწერს „ყოველივე ქვეშაირტებსა და უნაკლებლად“.

პოსტულირებული ადგილებიდან ჩანს, რომ ჩვენი ავტორი „საქართველოს ისტორიაში“ სწორად ამ მეთოდოლოგიურ პრინციპს ეყარება და ცდილობს არ უღალატოს ისტორიულ ქვეშაირტებს. ამის მიუხედავად, მისი „ისტორია“-ში მინც დაწერილია წარსულის რომანტიკული სულისკვეთებით და დავითის მონარქისტული იდეებითაა გასხივსნიებული. მართალია, ამ ძალზე საყურადღებო ძეგლში სისტემის სახით არ არის ჩამოყალიბებული ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებული და დავითის მიერ სხვა ნაშრომებში განვითარებული ქართველი მეფის აბსოლუტური ერთმმართველობის იდეა, მაგრამ „ისტორიას“ მთელ მანძილზე წითელი ხაზივით გასდევს მეფეთა უფლების შეუზღუდველი მმართველობის ტენდენცია. ქართველ მეფეთა ძალაუფლება წარმართავს ხალხს განვითარების ისტორიულ მსვლელობას. მასში აშკარად ჩანს მარტოოდენ მონარქისტული, ერთპიროვნული მმართველობის იდეა და მისი ავტორისეული იდეალიზაცია. დავითი თავის „სამართალში“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „მეფე არს თვითმართლმადიდებელი, თვით დესპოტი და სჯულისმდებელი“¹. მაშასადამე, დავითის აზრით, მხოლოდ მეფეს უნდა მიეწეროს მმართველობის მთელი ძალაუფლება, იგი აბსოლუტური მონარქი და თვითმპყრობელია. აქედან გამომდინარეობს დ. ბატონიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალიც — „განათლებული მონარქის“, იგივე „განათლებული აბსოლუტიზმის“ ისტორიული იდეა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დავითის პოლიტიკური იდეალის — „განათლებული აბსოლუტიზმის“ საკითხი მთელი სიმკვეთით პირველად დასვა დოც. დ. ფურცელაძემ „სამართალი ბატონიშვილის დავითისას“ შესავალში (გვ. 5—44). ჩვენი აზრით, ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ამ მიმართულებით საცხებით დამაჭრებელია. ჩვენი მიზანია გავიზიაროთ დ. ბატონიშვილის თაობაზე არსებული ახალი თვალსაზრისი და ზოგიერთი კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე დავადსტურით შემოთავაზებული მოსაზრებების სამართლიანობა.

ქართველი მეფის მონარქიულობის იდეა კიდევ უფრო მკვეთრად აქვს ჩამოყალიბებული იმა ნაწევრები დავითის თავის ნაშრომში: «О лучшем устройстве Грузии». იგი წერს: «Грузия, как и все прочие известные народы выводит свое начало от самой

отдаленнейшей древности. Грузия, в начале имела правление народное, потом имела она правителей, или судей, в коих заключалась власть законодательная, а с эпохи разделения, последовавшего по смерти Александра великого, сделалась уже совершенно государством монархическим и стала управляться царями (დაყოფა ჩემია, ა. ბ.).

В продолжении сего времени Грузия имела непрерывный союз с сильнейшими соседственными народами, смотря по обстоятельствам и чрез несколько столетий при всех отечественных преимуществах была в покровительстве Персидского престола. Незыблемость малочисленного и окруженного отовсюду хищными врагами царства Грузинского, ограждалась твердо древним персидским установлением, по коему царю грузинскому наследственно присвоено было звание великого наместника монархии Персидского. Почему в случае ежели бы пресеклось поколение государей из рода Софи, то царь Грузии яко вассал Персидской державы и родственник дому Софийскому, как по вышепомянутому тамошнему коренному постановлению, так и утвердившемуся мнению в Персии, в народе, должен наследовать престол и принять правление до открытия ближайшего наследника из рода царствовавшего поколения Софи. Постановление сие царство Грузинское поставляло в совершенной безопасности со стороны Персидского государства, а вместе с тем покровительство и силы персидские удерживали покушение других держав и горских хищников к вторжению в ее пределы. В таковом положении Грузия оставалась до деда моего царя Ираклия» (გვ. 128).

შემოთავაზებული თვისთვად ლაბარაობს იმ გარემოების სასარგებლოდ, რომ დ. ბაგრატიონის პიროვნებას ახასიათებდა მონარქისტული ტენდენციები. «О лучшем устройстве Грузии»-ს არსებითი ლიტმოტივია სწორედ იმისი დასაბუთება, რომ საქართველოში რუსული მმართველობის სისტემა მისი უნადავობის გამო დასაგმობია, იგი ვერ გამოხატავს ქართველი ხალხის ისტორიულ ინტერესებს, ხოლო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა კი დროული და რეალურია. იგი ამოწმებს 1783 წლის ისტორიულ ტრაქტატს (გვ. 129) და მოითხოვს იმ პირობების აღდგენას, რასაც ითვალისწინებდა ეს უკანასკნელი, თუნდაც ქართველ

¹ სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკლევია დიურთო დ. ფურცელაძემ. თბ., 1964, გვ. 221.



ლი მონარქიის ხელსუფლების განახლებების ფასად¹. როგორც აბსოლუტური მონარქიის ტრადიციებზე აღზრდილი, დავითის იდეალია მისი აღდგენა საქართველოში ქვეყნის განვითარებისათვის. «На определенной стадии развития феодального общества, — აღნიშნავს აკად. ვ. ვოლგინი — абсолютная монархия является политической формой содействующей развитию производительных сил»². დავითს კარგად ჰქონდა შეგნებული ის გარემოება, რომ საქართველოს სავარაუდო ძალთა სისუსტე და ქვეყნის პოლიტიკური ჩიხიდან თავის დაღწევა მართოდენ პროგრესულ რუსეთს შეეძლო საქართველოს მეფის მესვეურობით. იგი თავისი შაბის ერეკლე II შტავსად ქვეყნის წარმატებით განვითარებას მის „გავეროპელებაში“ ხედავდა. ამიტომ დავითი მიმართავს XVIII ს-ის 70-იან წლებამდე დასავლეთ ევროპაში, სახელობრ, საფრანგეთში, დიდად პოპულარული სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების ე. წ. „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეების შესწავლას და მის გადმოწერვას ქართულ სინამდვილეში, რომლის თეორიული მოძღვრების განვითარებას ძალზე შეუწყობ ხელი ფრანსუა-მარია ვოლტერმა. „ამ მიმდინარეობის თეორეტიკოსები — განმარტავს ე. ვოლგინი, — მოითხოვდნენ „პროგრესულ რეფორმებს“, „ბუნებრივი კანონების განხორციელებას“, „უზურბაგიების“ აღკვეთას და ფეოდალური თავდაზნაურობის „თავისუფლებას“. ამ რეფორმათა განხორციელებას ისინი „განათლებულ მონარქს აცხადებდნენ“ (გვ. 11).

ვ. ვოლგინი „განათლებული მონარქიის“ დიდ დამცველად და თეორეტიკოსად მიიჩნევს სწორედ ფ. ვოლტერს. ეს უკანასკნელი «Весьма высоко оценивал исторические заслуги абсолютизма в деле борьбы с ненавистной ему «феодальной анархией»» (გვ. 11). და ვ. ვოლგინს ფ. ვოლტერიდან მოაქვს ის ფრიალ დამახასიათებელი ადგილები, რომლებიც მკაფიოდ ადასტურებენ ფრანგი ფილოსოფოსის სიმბათიებს სახელმწიფო მმართველობის ამ ფორმისადმი.

«Вольтер не раз высказывал ту мысль, что необходимые для общества реформы осуществит государь, проникший философскими идеями. «Самое счастливое для людей, — заявлял он, — когда государь философ». «Добрый король есть лучший подарок, какой небо может дать земле». От государя-философа Вольтер ожидал покровительства

просвещению и просветителям, борьбы с суеверием и нетерпимостью, ликвидации серважа и других пережитков феодализма, содействие экономическому прогрессу. В течение некоторого времени таким государем-философом он считал Фридриха II. Он идеализировал внутреннюю политику Екатерины II, видя в ней образец просвещенного реформаторства» (გვ. 11). ასრტლებს რა თითქმის მსჯელობას ფ. ვოლტერის დამოკიდებულებასადმი „განათლებული აბსოლუტიზმის“ მართ, ვ. ვოლგინი დასკვნის, რომ: «Все это — и многое другое — действительно оснований признать Вольтера сторонником «просвещенного абсолютизма» (გვ. 11).

როდესაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში ლაპარაკობენ ხოლმე დავითის „ვოლტერიანობის“ შესახებ, ჩვენს აზრით, ქართველი ბატონიშვილის „ვოლტერიანობის“ ერთ-ერთი ძირითადი წყარო სწორედ ფ. ვოლტერის ამ „განათლებული აბსოლუტიზმისადმი“ სიმბათიეშია სამიხველი.

„განათლებული აბსოლუტიზმის“ ვოლტერისეული იდეები დიდად პოპულარული გახდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. იმპერატორ ეკატერინე II, რომლის დროს რუსეთი იქცა აბსოლუტური მონარქიის ტიპურ სახელმწიფოდ, პირად მიწერ-მიწერას აწარმოებდა ფ. ვოლტერიან (1763 — 1778). ეს უკანასკნელი აღფრთოვანებული ეკატერინეს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკით, განათლებულ რეფორმატორად სხავდა რუსეთის იმპერატორს და არიგებდა მას განათლებული მონარქიის გზით სახელმწიფოს წარმართვას. მაგრამ მალე გამოამჟღავნა, რომ ფ. ვოლტერის იდეების „ისტორიულ ფუნქციას“ სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენები და ეკატერინემაც რადიკალურად შეცვალა თავისი დამოკიდებულება იმჟამად უკვე გარდაცვლილი ფრანგი ფილოსოფოსის იდეათა მიმართ. მან გასცა განკარგულება «не печатать новое издание сочинений Вольтера без цензуры и апробации московского митрополита» (გვ. 35).

მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებში აკად. მ. ნეკჩინამ გამოქვეყნა ფრიალ საყურადღებო

³ М. В. Нечкина. Вольтер и русское общество. «Большевик», № 22 (ноябрь), 1944, гв. 33.

¹ სამართალი, გვ. 037.
² В. П. Волгин. Политические идеи Вольтера. «Известие АН СССР. Серия истории и философии». № 1, 1945, гв. 4.

პრიკლ ბარამიძე
 ღაპით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შემადგენლობათა საკითხისათვის



გამოკვლევა ფ. ვოლტერისადმი რუსი საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ. ამ გამოკვლევაში მან მიუთითა რუსული ვოლტერიალობის შთელ რიგ სპეციფიკურ თავისებურებებზე და დაბეჭდილებით წათვლილ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ფ. ვოლტერის მიმართ. მ ნეჩკინას დასკვნით:

«...Широко были восприняты идеи Вольтера разными общественными слоями России. Историческая почва для этого была готова» (გვ. 35). ამის შემდეგ მ. ნეჩკინა აკონკრეტებს თავის დასკვნას და წერს:

«Разумеется, историческая функция вольтеровских идей была глубоко различна в разных общественных слоях. Социальные слои, бывшие носителями нового (набо эвტორისა, ა. ბ.) в историческом процессе — представители поколения дворянских революционеров, разночинцы — воспринимали по-своему мысль новой идеологии: главным для них было сокрушение старого мира, феодально-крепостнических устоев. Но многочисленные представители аристократии, забавляясь блеском вольтеровского остроумия, не подозревали, какое политическое значение оно имеет. Однако его действие проявилось во Французской буржуазной революции. Французская революция была идейно подготовлена трудами Вольтера, энциклопедистов и других великих философов — просветителей XVIII века. Большинство из них, в том числе и сам Вольтер, не предполагало этого, но такова была их объективная роль.

А. С. Пушкин дал простую и глубоко верную формулировку, сказав, что Вольтер «умов и моды вождь». Он уловил наличие двух существенно различных течений в русском вольтерьянстве: вольтерьянской «моды» и глубокого умственного движения. Дворянская «мода» схватывала блестящие формы творчества Вольтера, уклоняясь от разрушительного значения вольтеровских идей, направленных против старого мира. Но одновременно с «модным вольтерьянством» существовало движение умов-глубокое идейное течение в русской жизни, несшее в себе идеологию разрушения феодально-крепостнических отношений. Это идейное течение боролось за продвижение своей родины вперед.

Французская буржуазная революция размежевала эти течения. Переуланная русская аристократия оторвалась от своего кумира и спешно вынесла бюсты Вольтера из дворцовых зал и кабинетов на чердак. ...«Массовый» откат русской аристократии от вольтерьянства начался именно с Французской революции» (გვ. 35).

ამ ვრცელი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ იმეამდელ რუსეთის საზოგადოებაში ორი დამეტრალურად განსხვავებული მიმართულება არსებობდა ფ. ვოლტერის იდეებისადმი დამოკიდებულების საკითხში. მისი ფილოსოფიის ათვისებაში «რუსეთის წრეებში» სხვადასხვა საწყისებშიდან გამოდიოდნენ. უმაღლესი არისტოკრატია «ვოლტერის მავილიზონიერული ბჭყინვანებით იქცედა თავს» და არ უკვირდებოდა მის «პოლიტიკურ მნიშვნელობას». ხოლო რახნო-ჩინებლები კი, არსებულ წყობილების დამხობაზე ოცნებობდნენ.

ამრიგად, ფ. ვოლტერის შემოქმედება თავისებური წყარო იყო სხვადასხვა მიმართულებათა წარმომადგენლებისათვის. ცხადია, იმეამდ რუსეთში მცხოვრებ (1797—1799) დავით ბატონიშვილს, სამხედრო სამსახურში რომ იმყოფებოდა პრეობრაჟენსკის პოლკში და მკვიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის უზენაეს არისტოკრატიასთან და იმპერატორ პავლე I-გან საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის დამტკიცებას ელოდა, ბუნებრივია, ფ. ვოლტერი მოეწონებოდა როგორც «მავილიზონიერი» მწერალი და «განათლებული აბსოლუტიზმის» იდეოლოგი. ხოლო იმის წარმოდგენა, რომ დავითს გაიტაცებდა მაინცდამაინც ფ. ვოლტერის «რევოლუციური იდეები», ე. ი. არსებული ფეოდალური წყობილების, ვითარცა მონარქიული, ერთპიროვნული მმართველობის ფორმის მსხვერველ-განადგურება, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგან ქართველი ბატონიშვილი მონარქიის მომხრე იყო და ნიადგ საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებაზე ოცნებობდა. მაშასადამე, დავითის ფ. ვოლტერით გატაცება, ჩვენი აზრით, ასახეილია ფრანგ ფილოსოფოსის არა «რევოლუციური იდეებით», არა არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამსხვერვით, არამედ საქმიოდ უბრალო ფაქტით, რომელიც, ლ. ასათიანსა არ იყოს, შესაძლოა ორი სიტყვით იქნას გამოხატული: «განათლებული აბსოლუტიზმი».²

რაც შეეხება დ. ბატონიშვილის გატაცებას «საფრანგეთის რევოლუციით» და ნაპოლონ ბონაპარტით, ეს საკითხი, ცხადია, ახსნას საქართველს და ჩვენც მის კვლევა-ძიებას შევუ-

¹ М. В. Нечкина, დასახ. ნაშრ., გვ. 30—39.

² ლ. ასათიანი, ვოლტერიალობა საქართველოში, თბილისი, 1933, გვ. 20.

გებით. საკითხი დ. ბაგრატიონის სიმპათიათა შესახებ, როგორც საფრანგეთის რევოლუციის, ისე ნაპოლეონისადმი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ახალი არ არის. იგი პირველად დასვა ერიწოვმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში. მან ეურნალ «Кавказский вестник»-ში (№ 1, 1900) დაბეჭდა წერილი სათაურით: «Грузинский наследный царевич Давид Георгиевич» (გვ. 84 — 90), სადაც აღნიშნა ქართველი ბატონიშვილის განსაკუთრებული ინტერესები საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის მიმართ. მისი სიტყვით: Его (დავითს. ა. ბ.) особенно занимали Французская революция и личность выдвигавшегося тогда Наполеона Бонапарта. Впрочем, к этому еще вернемся» (გვ. 87). სამწუხაროდ, ა. ერიწოვის სტატია დასრულებული არ არის; ავტორი მკითხველს ჰპირდებოდა მის ვაგრძელებას (продолжение будет, გვ. 90), მაგრამ დაიბრუნა არ შესრულა. ჩვენ ბევრი ვეძებეთ ა. ერიწოვის არქივში (ინახება ერევანში «მეტენადარანი») აღნიშნული სტატიის ხელნაწერი, მაგრამ უშედეგოდ. ჩანს, ავტორს იგი დაუმთავრებელი დაუტოვებია (იგი გარდაიცვალა თბილისში, 1902 წ.).

ამრიგად, ჩვენთვის უცნობია ავტორის წინამძღვრები დავითის დიდი გატაცებისა საფრანგეთის რევოლუციითა და ნაპოლეონის პიროვნებით. ერთად-ერთი სავარაუდო წყაროა, ალბათ, «აქტებში»¹ დაცული ცნობები დავითის შეხედულებათა შესახებ ნაპოლეონზე. ასეა თუ ისე, ა. ერიწოვის პოზიციები ამ საკითხში ჩვენთვის მაინც ნათელია: მისი აზრით, დავითი დიდად იყო გატაცებული ნაპოლეონის პიროვნებით. დ. ბატონიშვილის სიმპათიები ფრანგი მხედართმთავრისადმი იმეფინდელ საქართველოში იმდენად იყო ცნობილი, რომ ეს ფაქტი მკაფიოდ არის არეკლილი «აქტებში». იქ 1801 წლის 8 მარტით დათარიღებულ ერთ-ერთ პატიკში გენერალ-მაიორი ი. ლაზარევი ატყობინებს მთავარმართებელ გენერალ-ლეიტენანტ კ. ენრიხს, რომ:

«Царевич же Давид весьма теперь пасмурен, ибо он не так ожидал как делается, и я замечаю в нем, что он весьма предан Французским нынешним постановлениям и всегда vychаляет Бонапарта, что он весьма славно сделал революцию»¹. ამის გარდა «აქტებში»² დაცულია აგრეთვე პოლონელი ა. სოკოლოვის კორესპონდენციაც: დავითი «Хочет видеть Европу и особливо Францию. В разговорах его весьма заметен восторг к Бонапар-

те, к коему он исполнен почтительного удивления»².

დ. ბაგრატიონი რომ ნაპოლეონის მაქებარია და მისი პოლიტიკური კურსის თაყვანისმცემელი, ეს ჩანს აგრეთვე ერთი არაპირდაპირი ცნობის ანალიზითაც. 1800 წლის 24 ოქტომბერს დავითი საქართველოში სუიჯ გრაფ აპოლონ მუსინ-პუშკინს წერს წერილს დოქტორ იაკობ რეინეგის საქმიანობის შესახებ ერეკლე II-ის კარზე. 1780 წლის ზაფხულში ი. რეინეგის ერეკლეს სტუმრად ჰხლებია კოჯორში და სხვათა შორის უთქვამს:

«Сие весьма мое не забытое слово, боже мой, французы хотят одно великое дело сделать, однако-ж шамешало. И так когда я вижу нынешнюю французскую революцию, то весьма мне воображается не об ней ли он тогда говорил и хотя потом весьма много мы его спрашивали, что такое хотели сделать французы, однако, никогда он нам о том ничего не сказал»³.

ი. რეინეგის პიოტრალიაში ოდნავ ჩახედულისათვისაც კი ცხადია, რომ ეს უკანასკნელი 1779 წლისათვის ჩამოსულა საქართველოში და მცირე დამონაყლისის გარდა აქ დაუყვია 1783 წლამდე. 1784 წლიდან ი. რეინეგის პეტერბურგში გადასახლებულა და იქვე გარდაცვლილა 1793 წელს. მაშასადამე, ი. რეინეგის არ შეეძლო მხედველობაში ჰქონოდა ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ფაქტი, რომელიც მისი ნაამბობიდან სულ კოტა 19 წლის ვასლის შემდეგ მოხდა, და რომელიც ისტორიაში 1799 წლის 18-19 ბრემერის (8-9 ნოემბერი) სახელწოდებითაა ცნობილი. ი. რეინეგის ნაამბობში რაღაც სხვა ამბავი იგულისხმება და არას შემთხვევაში ნაპოლეონის მიერ სამხედრო გადატრიალების მოხდენის ფაქტი. დ. ბატონიშვილი კი, იმდენად დაბრმავებულია ნაპოლეონის „რევოლუციით“, რომ ი. რეინეგს მიაწერს იმ ამბის წინასწარ განჭვრეტას, რაც მხოლოდ 19 წლის შემდეგ მოხდა. ნაპოლეონის „რევოლუციაზე“⁴ აქცენტს გადატანა, ცხადია, დავითის უნებლო შეცდომას წარმოადგენს, თუმცა იგი ასევე შეგნებულად არ ასახელებს ფრანგ უსურპატორს, რომ ამით წერილობითი სახელი არ მისცენ ხელთ მის პოლიტიკურ აგენტებს ნაპოლეონისადმი მის უდიდეს თაყვანისცემაში, მაგ-

² И. Ениколопов. Царевич Давид о Ренессе. Мск., ნაკვ. 29, 1951, გვ. 292-293.

³ А к т ы, ტ. II, 1948, გვ. 68.

არჩილ ბარამიძე
დავით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მხედველობათა საკითხისათვის

¹ А к т ы, ტ. I, 1866, გვ. 329. დაყოფა აქ და ქვემოთ ჩემია.



რამ, ცხადია, ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი გვეთქვა, რომ თითქმის დავითი ნაპოლეონს არ-სად სახელით არ იხსენიებს. ამ მხრივ მეტად საველისხმოა მის „ნარკვევის“ ბოლო გვერდ-ზე სრულიად მოულოდნელი მოხსენიება ნა-პოლეონისა. ლაპარაკობს რა გიორგი XII-ის შესახებ იქვე წყვეტს მასზე თხრობას და ყო-ველგვარი მოლოდინის გარეშე გადადის საფ-რანგეთზე «ფრანციასაჲ შინა მონდა აღრეუ-ლებაი, ესრეთი, რომელ მოკლეს მეფეი ერ-თა, და იქმენ რესპუბლიკად, წულსა ჩღებ (=1792) და ევროპელთაჲა შეედუთა ფრია-დი არრეულეზაი, და დაიყარეს და ფრანციე-თა იტალიაი ყოვლადაჲ, და ეგვიპტიეჲა მზე-დართმძლუანეთა ბუნაპარტე ლენერალისათა ივლისის 8 (=8), წულსა ჩღებ (=1798)».

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული აშკარად ცხადყოფს, რომ დ. ბატონიშვილი ნამდვილად ყოფილა გატაცებული ნაპოლეონ ბონაპარტეს პიროვნებით და მისი მომავალი აბსოლუტიზ-მით. სამწუხაროდ, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ (ეპისტოლარულ, მემუარულ) წყაროებში ამ ძალზე ნიშანდობლივი ცნობების მეტი არაფერია დაცული დავითის დამოკიდე-ბულებას რომ ამუღანებდეს ნაპოლეონისადმი. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მეტად მწირი წყაროებზე კი, ვფიქრობთ, საქმარის საფუ-ძვლის იძლევა იმისათვის, რათა დავადასტუროთ დავითის ეგოდენი სიმპათიები ფრანგი მზე-დართმძლურისადმი. მაგრამ ბუნებრივად იბადე-ბა კითხვა — რაში მდგომარეობდა დ. ბატონი-შვილის სიმპათიები ნაპოლეონისადმი? ჩვენი აზრით, ორ არსებით ფაქტორშია საქმენი ნა-პოლეონისადმი დავითის ამგვარი დამოკიდებუ-ლება.

დავითის თაობაზე არსებული მწირი ბიოგრა-ფიული ცნობების ერთი თვალით გადავლებაც კი საქმარისა, რათა დაერწმუნდეთ მისი ნიჭი-სა და ლტოლვისადმი სამხედრო საქმის მიმართ. ასე, მაგალითად, გენერალი პ. პოტიომკინი 1784 წელს, ახასიათებდა რა ერეკლეს ოჯახის წევ-რებს, აღნიშნავდა, რომ გიორგის უფროსი შვი-ლი «Давид был 17 лет, казался не глуш и при свойстве яром являет быстроту ума, особую смелость и охоту к вой-не» (დაყოფა ჩემია, ა. ბ.)! ამასვე აღასტუ-რებს ბურნაშევი:

«Старший сын его (გიორგი XII-ისა, ა. ბ.)

¹ П. Б. Бутков. Материалы для но-вой истории Кавказа. Ч. II, СПб., 1869, გვ. 157.

² С. Д. Бурнашев. Картина Грузин Тифлис, 1896, გვ. 11.

князь Давид, 20 лет, при свойстве яром мерно яром являет великую быстроту ума, особую сметливость и охоту к войне и крайнее желание познать европейскую военную науку» (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.)² დავითის სამხედრო დამსახურებათა აღმწესხველი თ. ბაგ-რატიონი (მისი ღვიძლი ძმა) კი, მთელ ტრაქ-ტატს ქმნის მის საომარ ღირსებათა და დამსა-ხურებათა შესახებ.

ცხადია, დ. ბაგრატიონის ლტოლვას «ევრო-პული სამხედრო მეცნიერების» შემეცნებისა-კენ, განაპირობებდა, ერთი მხრივ, მისი პაპის ერეკლე II-ის სამხედრო მოღვაწეობის მაგალი-თი, ხოლო, მეორე მხრივ, შედარებით მოგვიან-ნებით შორეულ საფრანგეთში იქამად აღხვეყ-ბულ გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს საქმიან-ობა. დავითი, როგორც ჩანს, მოხიბლული იყო ნაპოლეონის გამოჩენილი მხედართმთავრული ნიჭიერებით, რაც გამოამჟღავნა ამ უკანასკნელ-მა სწორედ 1793 — 1799 წლებში. 1799 წლის 18 — 19 ბრიუმერი ფრანგი სარდლის აღხვეყ-ნილი — სამხედრო ვადატრიალღებს — კულმინა-ციური წერტილია, რის შემდეგ 1804 წლიდან ნაპოლეონმა თავისი თავი იმპერატორად გამო-აცხადა და დაამყარა «აბსოლუტური მონარქია» (განათლებული აბსოლუტიზმი). სწორედ ნა-პოლეონის მიერ დამყარებული პოლიტიკური წყობილებიან და სამხედრო ნიჭის თავყენის-მცემელია დავითი და აღფრთოვანებულია იმით, რომ «он весьма славно сделал революцию». აქაც, მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს დავითის პოლიტიკური იდეების შეგნებულ თანხვედრასთან ნაპოლეონ I-ის პრაქტიკული საქმიანობისადმი. და იგია მისივე მეორე და არ-სებითი წყარო.

ამრიგად, ზემოთქმული უფლებს გვაძლევს გავიზიაროთ და შემდგომ ვანგავითაროთ ქაი-რთულ ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტო-რიოგრაფიაში (იურისპრუდენციაში) გამოთქმუ-ლი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავით ბაგ-რატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალ-საზრისი ემყარებოდა «განათლებული აბსოლუ-ტიზმის» იდეებს. მას მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოება არ მიაჩნდა იმის ღირსად, რომ ამ უკანასკნელს მიეღო სახელ-მწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფ-ლება. დავითს, თავისი კლასობრივი ინტერესე-ბიდან გამომდინარე, ასეთად მარტოოდენ «გა-ნათლებული მონარქის», ე. ი. გონებისა და ძა-ლუფლებების გამაერთიანებელი პიროვნება მი-აჩნდა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხალხის სუ-ლიერ და გონებრივ წინამძღოლობას იკისრებს. ესაა, რა თქმა უნდა, მეფე-მონარქი, ამ სიტყვის ფეოდალური გაგებით.



სოციალიზმი

თავმოკა შალიაიანი

ჩემი სსოპრების ფურსლები

„ჩემი ცხოვრების ფურსლები“, ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც გამოჩენილმა მომღერალმა, თედორე ივანეს ძე შალიაინმა, თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა.

უკიდურესად ღარიბი შალიაინი ბავშვობაში ეკლესიებსა და ქორწილებში სიმღერით შოულობს ლუქმაპურს. მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, ხან ღურგლობას სწავლობს და ხან ხარაზობას, მაგრამ სიმღერის უნის აყოლილი ქაბუჯი ტოვებს მამისეულ სახლს და ბედის საძებრად მიემართება. იწყება დაუსრულებელი სეტიალი ქალაქიდან ქალაქში, დასიდან დასში. უსახსრობით განაწამები, შიმშილით დაოსებული შალიაინი თბილისშიაც ჩამოდის. კეთილი აღამიანების წყალობით აქ ღებულობს პირველ მუსიკალურ განათლებას. აქ განიცადა პირველი და დაუიწყარი სიყვარულიც.

უსატოვო რჩევით შალიაინი თბილისიდან მოსკოვს მიემგზავრება. იწყება შალიაინის დიდი თეატრალური ცხოვრება. იგი გამოდის მოსკოვისა და პეტერბურგის ოპერის თეატრებში. შალიაინის უდიდესი ტალანტი საერთო აღიარებას პოულობს. პირველი რუსი მომღერალი, რომელიც „ლა სკალას“ თეატრმა მიიწვია, შალიაინი გახლდათ. უბადლო ბანის მქონე მომღერალი, ასევე უბადლო მსახიობიც იყო.

წიგნში დიდი მხატვრული სიძლიერითა და სიმართლით არის გადმოცემული ამ დიდი მსახიობის რთული ცხოვრების გზა.

ვებქდავთ შალიაინის წიგნის იმ ნაწილს, სადაც მისი თბილისში ცხოვრებაა აღწერილი.

ბაქოში კვლავ უსაქმოდ და ულუქმაპუროდ დარჩი. უმეტესად ზღვის გამტყნარებული წყლით ვიყვებობოდი, რომელსაც მთელი ქალაქი სვამდა. გამეფდა არნახული ქაოსი. ხელოსუფლება გაიქცა. ქალაქის მკვიდრნი შემოდგომის ბუზებივით იხოცებოდნენ. ცხოვრება ჩაკედა. მხოლოდ ვაგზალში იყო გაცხოველებული მუშაობა, თუმცა სამუშაო მე იქაც ვერ ვიშოვე. ირგვლივ საშინელი ყაყანი და ზრიალი იდგა.

უეცრად ბედმა გამიღიმა: ქუჩაში ჩითის თავსაფარი ვიპოვე, ერთ კიდეში ოთხი უზალ-ოთხი იყო გამოსკენილი. მაშინვე თათრების ღუქნისაკენ გაეჭანდი და ლულა-ქაბაბით გამოვძეხე. ცოტა რომ მოვმაცრდი, ისევე ვავზალს მავაშურე. დარჩენილი ფული კონდუქტორს

შევთავაზე და თბილისში ჩაყვანა ვთხოვე. კონდუქტორი მაღლიანი კაცი გამოდგა, მხოლოდ ექვსი შუური გამომართვა. პოდა აი, საბარგო მატარებლის სამუხრატუო ბაქანით თბილისს მოვალწიე.

ქალაქში ჩამოსვლისთანავე გავიგე, რომ სემიონოვ-სამარსკი თბილისში იყო. ისიც მითხრეს, ოფიცერი კლუჩაროვი ბათუმში გასამგზავრებლად საოპერო დასს აყალიბებსო. შევხვდი გუნდის მომღერალ ნეიბერგსა და ორ ამხანაგს, რომელთაც ბაქოში დამტოვეს.

დიდმარხვა იდგა. რუსულად სიმღერა გვეკრძალებოდა, ამიტომაც დასი იტალიურად მოინათლა, თუმცა მთელ დასში ორად ორი იტალიელი გვერია: ორკესტრის ფლეიტისტი და ჩემი ბაქოელი ნაცნობი, გუნდის მომღერა-



ლი პონტე, ძალიან კეთილი და კარგი ადამიანი.

მალე ოპერა „ნორმანი“ ოროვეზოს შესრულება დამაველეს. მთელი პარტია იტალიურ ენაზე გადაყურებ რუსული ასოებით. წარმოდგენილი მაქვს, რა საამო მოსასმენი იტალიურით ვიმღერებდი.

ბათუმიდან ქუთაისში გადავბარვდით, სადაც ღირსეულად ვმღეროდი კარდინალისა და ვალენტინის პარტიებს. მაგრამ მალე რომელიღაც არტისტმა, — ემპეკმა დალაზეროს მისი თავი, — დაისი უფროს კლუჩაროვს ცოლი მოსტაცა და ქალთან ერთად ქუთაისიდან გაიპარა. დასი დაიშალა.

კე და ჩვენი გუნდის მომღერლები: ნეიბერი, კრივოშინი და სესინი თბილისში დავბრუნდით. ოთხივენი ერთ ბინაში მოვეწყეთ. სესინი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით. სადაც არ უნდა წასულიყო მაშინვე საცოლეს გაიჩინდა და მთელ დღეებს მისთან ატარებდა, იქვე ჭამდა და სვამდა. ის კი არა, აქაოდა სასიძო კაცი ვარო, ზოგჯერ ქალის მშობლებს სესხად ცოტაოდენ ფულსაც კი დაციცდლავდა ხოლმე. საცოლე, რასაკვირველია, თბილისშიც გაიჩინა. სიშარატე ვითხრათ, ეს ჩვენსთვისაც ძალიან ხელსაყრელი იყო. ქალის ოჯახიდან თითქმის დღენიადგ მოჰქონდა კატლები, ხილი და პური. გროშებითაც ხომ არა ერთხელ გაუმართავს ხელი.

სამწუხაროდ, სესინი თბილისში არ გაუმართლდა. გაჩაჩხული საქმე რატომღაც მალევე ჩაიშალა და სესინი ქალაქიდან გაიპარა. ძალიან გაგვიკვირდა უსიძეკაცოდ.

ჩემი ამხანაგები მალე მოეწყვნენ სამუშაოზე. მე კი როგორც უფროსი ზარმაცი და უგერვილო დეარნი მარტლდმარტო, მშიერ-მწყურვალი. დიასახლისი კეთილი ქალი აღმოჩნდა და ქირის გადახდას მაინცდამაინც არ მაძალბდა. ამდენი უბედურობისგან გამოლენჩებული ძილდა ვეგდე. როცა გძინავს, საქმელიც აღარ ვინდა. ერთხელ როცა გიძინებდ 48 საათზე მეტრ მძინა.

ორ-ორ დღეობით შიმშილს ნაჩვევი ვახლდით, მაგრამ ახლა სამი და ზოგჯერ ოთხი დღეც მომიწია ულუგმასურად დარჩენა. ამას კი ნამდვილად ვეღარ ვუძლებდი.

სამუშაოს ვეძებდი, მაგრამ არაფერი გამოდოდა, მეცვა ძველი, დახვეული კოსტუმი, საცელები კი სულაც არა მქონდა, თუმცა შლაპა თავზე მაინც მედო. მახსოვს, ერთხელ, სახერხე ქარხანაში შევედი. ჩემი შლაპის დანახვაზე მუშებს სიცილი წასკდათ, — „ბატონი მობრძანებულა!“

შიმშილი განსაკუთრებით მძიმეა თბილისში, სადაც ყველაფერს ქუთაში სწავვენ და ხარშავენ. ყნოსვას ათასგვარი სურნელი გიძინებინებს.

სასოწარკვეთილებაში ჩავეარდი, მზად ვეგებდებოდი მემათხოვრა, მაგრამ როგორღაც ვერ ვაგებდებოლოს თავის მოკვლა განვიზრახე, ვფიქრებ, შევალ იარაღის მაღაზიაში, მოვითხოვ რევოლვერს და ტყვიას თავში ვიხბო-მოთქი. ახლარასაკვირველია, ვგძინობ, რომ ეს სულელური, განუხორციელებელი ამბავია, მაგრამ მაშინ თავის მოკვლა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. ვანა სიცოცხლე არ მინდოდა, მაგრამ როგორ მერჩინა თავი?

აი, უკვე იარაღის მაღაზიის კართან ვდგავარ, უეცრად ნაცნობი ხმა შემომესმა. მოვიხედე, ჩემს წინ იტალიელი პონტე იდგა.

— რა მოგივიდა? რასა ჰკავხარ? — შეშფოთებით შემეკითხა.

ტრილიო მომიბოდა, პასუხი ვერ ვავეცი. ბოლოს როცა ვაგო, ოთხი დღის მშვიერი ვიყავი, შინ წამიყვანა. პონტეს მეუღლე მაკარონით გამიმასპინძლდა. დიასახლისისა ძალიან მერიდებოდა, მაგრამ მაინც უზომოდ ვეახელით.

იტალიელთან შეხვედრამ, მისმა გულთბილობამ, მაკარონმა, ძალა შემმატა. მეორედ დღეს სადაც აფიშა ენახე, ქალაქის ერთ-ერთ ბაღში სტენის მოყვარეთა სპექტაკლის დადგმას იუწყებოდნენ. მაშინვე ბალისაყენ გავექანდი, ბაღის შესასვლელთან ცირკის მსახიობივით ექსცენტრულად ჩაცმული კაცი შემომხვდა. უცნობმა რატომღაც ყურადღება მომაქცია, გამომკითხა ვინაობა, სად და როგორ ცეცხრობდი. მეც ყველაფერი ვუამბე. მაშინ ამ კაცმა, რომელიც მსახიობი ობოტინი აღმოჩნდა, ხეივანში გამიხმო და რაიმე სიმღერის შესრულება მოხვდა.

— რუსული კოსტუმს მოგეცემ და ამ ბაღის დღია სტენაზე იმღერე, — შემომთავაზა სიღერის მოსმენისთანავე.

ვიწრო და უხეირო ბაღს ხალხიც ნაკლებად ეტანებოდა, მაგრამ მე მაინც დიდი გულმოდგინებით ვმღეროდი. გამოვდიოდი კვირაში ორჯერ. ყოველ გამოსვლაში ორ მანეთს მაძლევდნენ. სწორედ ამ გავეიანი ამიერკავკასიის გზათა სამმართველოს თანამშრომლები. მე „გამასპინძლებაზე“ მათ ანგედოტებს ვუყვებოდი. მერე ჩემი აწყწილი ცხოვრების ამბებიც ვაგებოხარე. ჩემს გულახლოდ ნაამბობს საერთო თანაგრძნობა მოპყვა. ხოლო როცა საკანცელარო საქმეში ჩემი განსწავლულობა გაიგეს, მაშინვე განცხადება დამაწერინეს გზათა სამმართველოს ბუღალტერიის სახელზე.

ასე მოვეწყვე კანცელარიის მწვერის თანამდებობაზე. თვეში 30 მანეთი დამენიშნა. ჯამაგირმა სწორედ სულზე მომიხსრო, რადგან მაშინ უკვე მარტო აღარ ცეცხვობოდი. სამსახურში მოწყობამდე გავეიანი გუნდის მობღერალი ქალიშვილი. მეტად ლამაზი, მაგრამ, სამწუხაროდ, საოცარი ლოთი, მარია შულცი. როცა ძალიან მიკვირდა და ვშომშილობდი, ამ



ქალმა თავისი ბინა შემომთავაზა. ქალშვილი ძალიან მომწონდა.. თუმცა ლოთობისგან სახე უკვე შეშუბებული ჰქონდა, თან რაღაც უსიამოლოდ, მეტისმეტად თამამად იქცეოდა. ვგრძნობდი, რომ ამ უბედურ ქალს სათნი და კეთილი გული ჰქონდა. ჩვენი ერთ ოთახში ცხოვრება, ცოლა არ იყო, უხერხული იქნება-მეთქი, — ეუპასუხე, როცა ქალმა ხელშეორედ მიმიპატივა.

— აბა უხერხული რა არის! როცა თქვენ დაიწყებთ ტანსაცმლის გახდას, მე მივბრუნდები, ჩემი გახდისას კი თქვენ იბრუნეთ პირი, — ნახა გამოსავალი ქალმა.

მტკიცება დამაჯერებლად მეჩვენა და მეც მარია შულცის პაუაინა ოთახში გადავბარდი. მარის ერთერთ კედელთან მიდგმულ საწოლზე ეძინა. მე კი მეორე კედელთან, იატაკზე დაფენილ ძველმანებზე ვათვიედი ღამეს.

მოგვხსენებთ, ერთი კვირის შემდეგ თავი დავანებეთ ყოველგვარ მიტრიალებამ-მეტრიალებას. ქალს ცოტაოდენი დანაზოგიც ჰქონდა, რომელსაც სულ მალე გამოუყვანეთ წირვა. მერე ქალმა თავის ტანსაცმელსა და ზეწურებს დაუწყო დაგირავება. ბოლოს ისე გაგვიჭირდა, ჯურღმულში ამოვყავით თავი, რომელშიც სინათლე კარის ზემო ლირისს შუშვან აღწევდა მხოლოდ. სირცხვილით ვიტანჯებოდი, ქალის ხარჯზე ცხოვრება მეთაკილებოდა. პოდა, წარმოიდგინეთ, ამ დღეში მყოფს, რა სიხარულს მომანიჭებდა საკუთარი ხელფასის გაჩენა. ახლა უკვე „ოჯახურად“ ცხოვრობდი. მე სამსახურთან ვბრუნდები, მარია ნათქურაზე ბორშის ამზადებს და თან ღლინებს, სარდაფიც დავგილ-დაწუნდილია.

წელ-წელა საოჯახო ნივთების შეძენაც დაიწყეთ, მაგრამ მარიას ლოთობას კი ვერ შევეგუე. ქალი თითქმის ყოველ საღამოს თერბოდა. როგორ არ ვემუდარებოდი, დაანებე თავი არყის სმას-მეთქი. გული მიკედებოდა შოვრალს რომ ვხედავდი. სიმართლე ვითხრათ, მისაც ძალიან უნდოდა ამ საშინელ სუნს გადაჩვევოდა, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნიდა. ჩემმა თხოვნამ მხოლოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ არაყს ახლა საწოლის ქვეშ მალავდა. სვამდა ღამ-ღამობით, როცა მეძინა, ასე ეცხოვრებოდა იმ ცხოვრებით, რომელშიაც ზოგი რამ სასიამოვნოც იყო, თუმცა ასეთ ცხოვრებას თვით მტერსაც კი არ ეუსტურებდი.

უთუაბრობა ძალიან მივირდა და როცა ერთმა ამხანაგმა კონცერტში მონაწილეობა შემომთავაზა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. კონცერტი თბილისიდან ორმოცე კილომეტრით დაშორებულ, აგარაკ კოჯორში უნდა გაგვემართა. ორდღიანი შეგებულება ავიღე და კოჯორისკენ მიმავალ გზას ამხანაგებთან ერთად ფეხით დავადექი. ჩვენს რეაქციან ჯგუფს ლობტარი კარლ ვენდი ხელმძღვანელობდა.

კარგი ადამიანი და შესანიშნავი ლობტარი იყო, მაგრამ ისიც გამოუწერებელი გახდა.

კოჯრელთა უდიდესი გულგრილობის შედეგად კონცერტი ჩაიშალა. ჩვენდა საუბედუროდ, ზეცაც განჩისხდა. წააზვიდა არნახული დღეგამა, ამოვარდა გრიგალი, ერთი სიტყვით, სტიქიური უბედურება დავგატყდა თავს.

ჩემს ცხოვრებაში რამდენნაირი წვიმა არ მინახავს, მაგრამ ასეთი საშინელება არასოდეს განმიცდია. ილუწებოდა ხეები, ცვიოდა ქვები, მთებს ლეკოთქავი ჩამოსდიოდა. ისე ასხამდა, თითქოს ცოცა ვადმოპირქვევსო. ქარი ხან აქეთ მივგავდებდა და ხან იქეთ, მაგრამ მაინც არ შეეჩერებულუვართ. სამსახურში დავვიანებინა შიშით წარლენასაც არ შეუვშინდით. დავვიანებინა ყველაზე მეტად მე მეშინოდა, წინაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევდით. ქარსა და წყალს უფსკრულში რომ არ გადაეჩეხეთ, ზოგჯერ მივბოზადვით კიდეც: მადლობა ღმერთს, ქალაქს უფნებლად მოვალწიეთ. შევშრი თუ არა, მაშინვე სამსახურში გავქანდი, მაგრამ შუადღიანს ყელის ტყვიელი ვიგრძენი და საშინლად შემაცივა. სასწრაფოდ რკინგზის ლაზარეთისაკენ გამაქროლეს და ცალკე ოთახში მომათავსეს. თურმე დღითერთი ვიყავი ავად.

„ხმა დამეკარგება“ — ეფიქრობდი შეუფოთებული, ვეღვავედი იმაზეც, რომ მარიამ არაფერი იცოდა და შეწუხდებოდა. როგორც იქნა, მარიასთან ბარათის ვაგზუნა მოვახერხე, მაგრამ, რად ვინდა, ახლოსაც არ მომეკარგა.

დამტანჯველი, პირდაპირ გულისგამაწერილებელი მოწყენილობა სუფევდა ლაზარეთში. ჩემი არსებობა, მგონი კიდეც დააფიქვდით. ექიმი არ მნახულობდა. დღე დღეს მისდევდა, მე კი პატარის ხალათში გამოხვედული უპატრონოდ ვეგდე ლოგინში. გამპყვედნი რაღაც წყალწყალა სუხს, მაშინ როცა მგელივით შშიოდა და თავს სრულიად ჩანმრთელად ვგრძნობდი. ვიხვეწებოდი, გამიშვით, უკვე კარგად ვარ მეთქი. დარაგმა კი ასე დამამშვიდა: — დიაცა, ერთ კვირაში მოვა ექიმი და მაშინ შეიძლება გაგიშვან კიდეც! „ეშმაკსაც წაუღიხარო!“ — შეუუკრთხე გუნებაში და გაქცევა გადაეწყვიტე. ჩემად შეგვიერი საკუტნაობი, სადაც ჩემი ტანსაცმელი მგვეულებოდა, ფციფუცივით გამოვიცვალე და ფანჯრიდან ვისკუმე.

მაგრამ როცა მეორე დღეს სამსახურში გამოვცხადდი, სამუშაოზე არ დამიშვეს. ლაზარეთს ეცნობებინა, — შალიაბინი ლაზარეთიდან გაიპარაო.

გამწარებულმა, უფროსთან ლამის ვიტყვი, უშტკიცებდი კენჭითთა ვარ და ლაზარეთში

თემდღორე შალიაბინი

ჩემი ცხოვრების ფურცლები



რატომ უნდა ვიწვევ-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა ექიმთან გამგზავნეს, რომელმაც დაადასტურა ჩემი გამოჩანჩურთელება.

ერთ მშვენიერ დღეს, სემიონოვ-სამარსკის წერილი მივიღე, სამარსკი მწერად, — თუ გინდა ყაზანის ოპერაში, თვეში ას მანეთიანი ხელფასით, მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლად მოგაწყობო. თან გზის ფულად ავანსის გამოგზავნასაც მპირდებოდა. სიხარულ-ით აღტაცებულმა მაშინვე დებეშით ვუპასუხე: „ველოდები ავანსს“. მართლაც, სულ მალე ყაზანიდან ოცდახუთმანეთიანი მომივიდა.

სამსახურს იმავე დღესვე დავეთხოვე და მარიასაც გადაჭრით განვუცხადე, ყაზანში მივდივარ-მეთქი. მართალი ვითხრათ, მარია ძალიან მეცოდებოდა, მაგრამ თეატრი ჩემთვის ყველაფერი იყო. ვეიღო ერთი ქილა კაკაო, მოვახარშეინე მარიას და გამოსათხოვარი ქეიფი გავემართეთ.

მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი ამბავი. ჩემი თანამშრომლები თავიდანვე მეჩინებოდნენ, ასეთი კარგი ხმის პატრონი რატომ უსატოვთან არ მეცადინებო. უსატოვი სიმპერატორო თეატრის ყოფილი მსახიობი გახლდათ და იმეამდ თბილისში მოღვაწეობდა, როგორც სიმღერის მასწავლებელი-პროფესორი. ჰოდა, მეც სწორედ თბილისიდან გამგზავრების დღეს გადავწყვიტე ამ პროფესორთან მისვლა და ხმის ვასინჯვა.

ვიფიქრე, რას ვკარგავ, მოდი ვცდი, ერთს მეც მივალ იმ უსატოვთან-მეთქი!

ვთქვი და წავედი. მომღერლის ბინაში შესვლისთანავე ფეხებში დარუნმა ძაღლების გროვა მეცა. ცოტა ხნის შემდეგ კი დაბალი, ოპერეტის ყაჩაღივით უღვამვადაგრებილი, სუფთად პირგაპარსული, ჩამგვავლემული კაცი გამოვიდა.

— რა გნება? — არცთუ მაინცდამაინც ალერსიანი ხმით მკითხა მან.

მეც ავუხსენი მისვლის მიზეზი.

— რა გაეწყობა, რაკი გსურთ მოდიეთ ვიყვიროთ!

მასპინძელმა სასტუმრო ოთახში შემეპატიჟა, თვითონ როიას მიუტოვა და რამდენიმე არბეჯიო ამაღებინა. ჩემი ხმა კარგად ეღერადა.

— კეთილი, რომელიმე ოპერიდან ხომ არაფერს მღერით?

მამინ დარწმუნებული ვახლდით, რომ ბარატონი მქონდა და ვალენტინის არიის შესრულება გადავწყვიტე. სიმღერა დავიწყე, მაგრამ როცა მაღალი ნოტი ავიღე ფერმატო გავაკეთე. პროფესორმა დაკვრას თავი ანება და ფერდში თითი მკრა. სიმღერა შევწყვიტე. ჩამოვარდა უხეზული დუმილი. უსატოვი კლავოშებს დაკურებდა, მე კი მას მიგრეებოდი.

რა ცუდად გამოვივიდა, ვფიქრობდი მწუხრებულად. დამტანჯველ ლოდინს ვერ გავუძლედი და ვკითხე:

— რას მტყუვით, შეიძლება ვისწავლო სიმღერა?

უსატოვმა შემომხედა და მტკიცედ მითხრა: — უნდა ისწავლოთ.

მაშინვე გაემხიარულდი და უსატოვს ყველაფერი ჩაუვუთქვე, — ყაზანში ვაპირებ გამგზავრებას. თვეში ასი მანეთი მექნება. ხუთ თვეში ხუთას მანეთს მივიღებ. ასი მანეთით თავს გავიტან როგორმე, დარჩენილი ოთხასი მანეთით თბილისში დავებრუნდები და სწავლას დავიწყებ-მეთქი..

— დაენბეთ თავი მაგ წილადობილს! — შემაწყვეტინა უსატოვმა, — ვერაფერსაც ვერ მოაგროვებთ! თანაც, ღმერთმა უწყის, მოგცემენ კია რამეს! მაგ საქმეებისა ცოტა მეც გამეგება! აქ დარჩით და ჩემთან მიეცადინეთ, სწავლას ქირას არ გამოაგროვებთ.

ჩემი ვაპოვებას საზღვარი არ ჰქონდა. პირველად ვხედავდი ადამიანისადმი ასეთ დამოკიდებულებას.

თუ გინდა, შენს უფროსს წერილს მივწერ და სამსახურშიაც აღდადგენს, ჩემი კარგი ნაცნობია და უარს არ მტყუის, — განავრძობდა ისევ პროფესორი.

რალს დავიციდილი სიხარულისგან ფრთაშესხმული ჩემს უფროსს გამოვექიმიე და უსატოვის წერილი გადავეცი, მაგრამ ჩემი ადგილი უკვე დაკავებული აღმოჩნდა. გულშემოყრილი ისევ უსატოვთან დავებრუნდი.

— რა გაეწყობა, სხვას უნდა მივმართო, — მითხრა მან და ახლა აფთაქისა თუ საფთაქო საწყობის მფლობელთან გამავაგენა. აღმოსავლური გარეგნობის აფთაქარი წერლის წაკითხვისთანავე შემეკითხა:

— რომელიმე სხვა ენა ხომ არ იცით?

— უკრაინული, — მიუთხე საჩქაროდ.

— არ გამოდგება. ლათინური?

— არა.

— სამწუხაროა, მაგრამ ჩემგან ყოველთფერად ათ მანეთს მაინც მიიღებთ. ახლა კი ორი თვისა წინასწარ იხებთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ რა უნდა გავაკეთო?

— არაფერი. სიმღერა უნდა ისწავლოთ, რისთვისაც მე თვეში ათ მანეთს გადავიხდით.

როგორღაც ყველაფერი ზღაპარსა ჰგავდა. ერთმა კაცმა უფასოდ უნდა მასწავლოს, მეორემ კი ამისათვის ფული მიხადას. ყაზანიდან გამოგზავნილ ავანსიანად ახლა ორმოცდახუთი მანეთი მქონდა. უსატოვმა უკეთეს ოთახში გადასვლა და ჰანინოს დაქირავება მიბრძანა. ავანსი რომ უკან დამებრუნებინა, უსატოვს დავალებას ვეღარ შევასრულებდი.

მეც ავდექი და ყაზანში წერილი გავაგზავ-



ნე, ვითომდა ჩემი უცარი და მძიმე ავადმყოფობის გამო ვეღარ მივიღიოდ.

რასაკვირველია, ასეთი საქციელი ვერ არის კარგი ამბავი, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ხშირად უფრო ცუდ საქმეებს ადამიანები გაცილებით მღაბალი მიზნებისათვის სჩადიან.

* *

შინაური საქმეები ვერ მქონდა მიინცდამარად კარგად. ჩემი მეგობარი ქალი სულ უფრო და უფრო ანჩხიდა და თავშეუპყვებელი ხდებოდა. ვერაფერი გავაწყვე. მთვრალი ძალიან ჭირვეულობდა. უზომოდ შეწუხებულმა არმდენჯერმე გაქცევაც კი განვიზრახე. ერთხელ, ჩვენს ეზოში მცხოვრებ გოროდოვის მეუღლის წაჩხვება. ვარსებულმა დედაცაც — მა მარიას ქალისათვის სამარცხენო სახელი წასძახა. ამაზე გავჯავრდი და ლანძღვა-გინება აღარც მე დავაკელი. საღამოს თვითონ გოროდოვი გამოგვეცხადა. ჯერ მუქარით ამიკლო, ციმბირს უკან დაგატოვებინებო, მერე საცემრადაც მომეარდა. მართალია, პოლიციელების ძალიან მეშინოდა, მაგრამ მაინც შემომეღობა. აი, სად გამომადგა ყაზახური ხელჩართული ბრძოლების გამოცდილება.

სახლი, სადაც მე და მარია ცხოვრობდით, საოცარი ყიდიის ხალხით იყო სავსე. ამ ხალხს ყველაფერი აინტერესებდა საკუთარი თავის გარდა. ზოგიერთს განსაკუთრებით ჩემი ამბები აინტერესებდათ. ასე მაგალითად, ერთ წვეროსან მკაცრი გარეგნობის კაცს, რომელსაც ერთთავად თეთრი ბლუზა ეცვა და თითქმის ყოველთვის შეზარბოვებული იყო, საოცრად უყვარდა თავისი ძალიან ჩემზე მოსისიანება. ამ კაცს თავი ისე ეჭირა, თითქოს მთელი ქვეყანა საოცრად მოზნებოდადეს, — განსაკუთრებით კი მე. დიდი და ავი ძალი ჰყავდა. როგორც კი ეზოში გავლილ დამინახავდა, მაშინვე ძალს მომისიანებდა.

— არიქა, ჰექტორ! ეცი მაგ ოხერს! სი, მაგ შარლატანს!

ძალი აუჩქარებლად მიახლოვდებოდა. შიშით კედელს გატყრო, მუდარით სავსე თვალებით ხან ძალს მიეჩერებოდა და ხან მის პატრონს. კაცი დმოვდა. ძალიც პატრონს ბაძავდა. სიმართლე გითხრათ, ეს გართობა სულაც არ მომწონდა, თვითონ ის კაცი კი რაღაც გაურკვეველ შიშსა მგვრიადა.

განსაკუთრებით იმ დღეს შემომიჩნდა, უსატოვან წასასვლელად რომ ემზადებოდი. დილით, მართლაც ბევრი ვიმდრეე. ოთახიდან რომ გამოვდიხარ, უცერად კიბის თავიდან მრისხანედ დამაძახა:

— დოკენად უნდა წასულიყავი, შე ეშმაკის კერძო, შენა! შენ კი აქ ხალხს მოსვენებას არ აძლევ, ნამდვილი არამზადა ხარ და მეტი არაფერი!

მაშინვე სარდაფში შევხვეერი. მიმძიმდა ამ ველურ ხალხში ვაძლუბა, მარიას ქცევა ხომ სულ მთლად აუტანელს ხდიდა ჩემს ცხოვრებას. ყველას ეჩხუბებოდა. არყისათვის ჰყიდა ნივთებს.

ერთხელ, რომელიღაც სამიკიტნოს წინ ჩაეარა და რას ვხედავ: მარია ლეკურს უვლის, სამიკიტნოში თავშეყრილი კი ხორბოვობენ, ჩემეტენ და ედელაუენებიან საცოდავსა და გალემოდ დედაცაც. მაშინვე შინ წამოვიყვანე, მაგრამ ახლა აღარც მე დამინდო, მაგოროდ ეღარძლიანდ მომხაზებო: როცა მამაცი ქალის ალერსით ტკებდა — სამავიგრო სარგებელი ქალმაც უნდა ნახოსო. შენისთანა უნიფხო რა ხეირს დამაყრის, სადაც ვინდა წაეთრიეო. საშინლად წაიჩხვებო. მარიამ თბილისში დარჩენა აღარ ისურვა და ბაქოში გადაბარგდა. გული დამწყვიტა მარიასთან დამორებამ. ეს ქალი იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც ძირსა და ლხინს ვუზიარებდი. ვერ ვიტყვი მაღიან მიყვარდ-მეთქი, ვფიქრობ, დოდად არც ის ფეთდებოდა ჩემი გულისათვის, ჩვენ მხოლოდ ერთნაირი ბედი გვაკავშირებდა, ეს კავშირი კი უღაოდ მტკიცე და მეგობრული იყო. თანაც ქალი ჩემთვის მუდამ იყო ის ძალი, რომელიც გულში მხოლოდ საუკეთესო გრძნობებს აღმიძრავდა.

უსატოვან მეცადინეობის დროს მისი მოწაფეები, დაახლოებით თხუთმეტოდ კაცი გავიცანი, სხვადასხვა მდგომარეობისა და შეძლების ხალხი: ოფიცრები, ჩინოვნიკები, მანდილოსნები. მათ შორის იყო იოსებ კომაროვსკი, იგი ახლა დიდ თეტრში რეჟისორის თანაშემწედ მუშაობს, ბანი სტარჩენკო — საოცრად თავდაჯერებული და თითქმის სასაცილომდე თავმოყვარე კაცი. უსატოვის მოწაფე გახლდათ პავლე აგნიეცევიც, რომლის შესანაშნავმა ხმამ და ხალხში თავის დაქერის დარბაისლურმა მანერამ თაიდანვე მომაჩაღოვა. სამწუხაროდ, აგნიეცევი შემდეგ სულთ დაავადდა.

უსატოვის სახლში ჩემთვის ყველაფერი უცხო და უჩვევი იყო: ავეჯი, პარკეტის იატაკი, თვით ჩაი და ბუტერბროტეც კი, ასე ჩინებულად რომ ამზადებდა ჩემი მასწავლებლის მეთულე, მარია პეტრეს ასული.

ძალიან გამაყვირვა იმანაც, რომ მოწაფეები სრულებით არ ეკრძალებოდნენ პროფესორსა და მის მეთულეს. ის კი არა, ხარხარებდნენ კიდევ მათი თანდასწრებით. ჰყებოდნენ ნაირნაირ ამბებს. საერთოდაც, ისე თავისუფლად ეჭირათ თავი, თითქოს შეხუმრებული თანატოლები ყოფილიყვნენ. ასეთ დამოკიდებულებას პირველად ვხედავდი და ძალიანაც მო-

თავდროა უალიანი
ჩემი ცნობების ფურცლები



შრონდა, მაგრამ მე თვითონ ვერა ვებდავდი, იმ დროს მეტად ჩამოვლეთილი და უძიკიანი ვახლოდი. ახანოში ზშირად დავდიოდი, მაგრამ სუფთად ყოფნას მაინც ვერ ვახერხებდი. მქონდა ერთადერთი პერანგი, რომელსაც თვითონვე ვრეცხდი მტკვარში და მერე ლამაზე ვაცხუნებდი, რომ შიგ შევიღარდ ჩაბუდებულ მკებნარები დამეხოცა.

ერთხელ გავეთილზე თვითონ უსატოვმა მითხრა:

— იცით რა, შალიაპინ, თქვენ საკმაოდ არასასიამოვნო სუნი გდით. მე ბოდიშს ვიხდით, მაგრამ მინდა რომ იცოდეთ! ჩემი მეუღლე საცვლებსა და წინდებს მოგვცემთ და როგორმე მოწესრიგდით!

შეპრცხვა და როგორ შემრცხვა, ცრემლიც კი მომგროა. მაშინ ჯერ კიდევ არ მესმოდა, რომ აღმანივები, როცა სიკეთეს ვაეკეთებთ, მის ფორმას აღარ დაეცემათ. ჭაღალში ვახეველი საცვლები ავიღე და მთორე გავეთილზე დაბანილ-დავარცხნილი გამოვცხადდი. უსატოვმა ახლა სადილად მიმიწვია. მიპატივებისათვის დიდი მადლობა გადავუხადე, მაგრამ სადილად არ დავრჩი, — ეს უკვე აღარ შეიძლო. ვიცოდი როგორიადც სადილობდნენ უსატოვები. სუფრას გოგონა ემსახურებოდა, შემოქონდა ათასგვარი თევზი. მაგიდაზე ეწყო დანები, ჩანალები, კოვზები. დღერთმა უწყისი, რა რისთვის იყო საჭირო, რომელი დანით რა უნდა გავკეპო?

უსატოვმა შემდეგ მაინც მოახერხა ჩემი სადილად დატოვება. დავრჩი, მაგრამ, ნეტა იცოდეთ, რამდენი წამება ვანეციადე. ისეთი საშემღებები შემოქონდათ, ჩემს დღეში თვალიც რომ არ მომიკრავს, მათი ჭამის წესებზე ხომ წარმოდგენა არა მქონდა. მათლაფაში რალაც მწეანე სითხე ესხა და შიგ მაგრად მოხარშული კვერცხი ეტრავდა. მეც ავიღე და კვერცხს კოვზი დავაჭირე. კვერცხი მათლაფიდან ამოხტა და მაგიდაზე გაგორდა. გაგორებულ კვერცხს მაშინვე ხელი ვტაცე და ისეც მათლაფაში ჩავავდე. ჩემი ოპერაციებით გაოცებულ თანამესუფრეთ, თუმცა არაფერი უთქვამთ, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ სასტკიად მძრახავდნენ. ბეგრჯერ დამედინა ასეთი სიმწრის ოფლი, ბოლოს, რასაკვირველია, მეც ვისწავლე ჭამასის წესები. ახლა უკვე აღარ ვაყენებდი უხერხულ მდგომარეობაში თანამესუფრეთ ჩემი უსაქციელობით, აღარ ვყოფდი სამარილეში თითებს და კბილებში გაჩხერილ ხორცს ფრჩხილებით აღარ ვიცლიდი.

უსატოვს ერთი ფრიად კეთილშობილური ჩვეულება ჰქონდა. ამგვარ ამბებზე საოცრად მომხიბველი უბრალოებით მივიითიებოდა, თუმცა მე მაინც ჩემი მეპართებოდა.

— შალიაპინ, სადილობის დროს ცხვირს ნუ

ასრუტუნებ! — მალიმალ მეტყოდა ხოლმე მაშაში გართულ ყმაწვილს.

ახა როგორ არ მესრუტუნებინა, ცხელსა და გემრიელ საჭმელს ვჭამდი, ცხვირსახოცი კი არა მჭონდა.

— დანით ჭამა არ შეიძლება, პირი გავკეპრება, მაგიდასთან გამართული იჭექი, თევზს დანით არ შეეხო, — მეჩინებოდა დღენიადაც. ერთი სიტყვით, გულმოდგინედ მასწავლიდა მალაღ საზოგადოების ჩვევებს.

ერთხელ უსატოვმა „ფენელიდან“ ერთი არიისა და ბახმეტევის რომანისის „წვერო, ჩემო წვეროს“ შესწავლა დამავალა. ნაწარმოები რომ შევისწავლე უსატოვმა გრიზოვდოვის ქრახზე, არწრუნის სახლში მოთავსებულ მუსიკის მოყვარულთა წრეში გამაგზავნა. ამ წრეში იმართებოდა მოსწავლეთა და მოყვარულთა სპექტაკლები. იგი ცნობილ „თბილისის არტისტული წრისაგან“ დამოუკიდებლად არსებობდა. წრეში ბევრი მოყვარული გავიციანი და მუდამ ვესწრებოდი წრის ყველა მეცადინეობას. ერთ-ერთი კონცერტზე პაეროვან კახაში გამოიწყობილმა, შავთვალა, პენსიანანმა გოგონამ ბრახუნის რომანისი იმღერა:

გასწი, გასტურე, ჩემო გონდოლვა,
მალთი დავანათის მოვარე მცინარე,
შენც ბარკაროლავ, გადაიქროლე
მიძინებელი, მშვიდი მდინარე...

მომღერალი ზებუნებრივ მზეთუნახავად მომეჩვენა. მოვიხიბლე მისი პატარა, მოქნილი ხმით, აღარაფერი მახსოვდა, ტაშს თავდავიწყებით ვუკრავდი. კონცერტიდან აღტაცებულ დავბრუნდი. სხვათა შორის ისიც დავინახე თუ ვიღაცა როგორ ეამბოზა მომღერალ გოგონას ხელზე.

— ეჰ, რას იზამ, ქვეყნად ასეთი ბედნიერებიც არსებობენ, — გავდიქრე გულდაწყვეტილმა.

რამდენიმე დღის შემდეგ უსატოვმა მითხრა, ამ წრის კონცერტებზე შენც გამოიხალ, რისთვისაც წრე სტეპენდიას დაგინიშნავსო. თვითონ მან კი ფრაკი მაჩუქა. უსატოვი პატარა და მსუქანი კაცი იყო, მე — გრძელი და გამხლარი. საბედნიეროდ, მეკრავი ძმაკაცები მყვანდნენ და ფრაკი საკმაოდ კარგად მოართვეს ჩემს აწოწილ ტანს.

დაეკა წრეში ჩემი პირველი დებიუტის დღეც. გამოვედი სცენაზე და რიხიანად დავიწყე: „წვერო, ჩემო წვერო“. ხალხმა სიცილი დაიწყო, მაგრამ რალაც სხვანიარი, უწყინარი სიცილით იცინოდნენ, ვიდიქრე, ალბათ, ჩემს ფრაკს დასცინიან-მეთქი, თურმე მე დამცინოდნენ: კაცს სახეზე დინდლის ნასახიცი არ გამანინდა და წვერზე ისეთი გრძნობით კი ვმღეროდი. თურმე, სცენიდან სულ პატარა ბიჭსა ვვავდი. სიმღერის დამთავრება და ტაშის გრი-



ალი ერთი იყო. უცერად ხალხში ის ქალიშვილიც დაეინახე, წინა კონცერტზე რომ მომავალდგა. „აი, ვის უნდა ვემღერო“ — გადაწყვიტე გუნებაში. მაგრამ რა ვიმღერო? ბისზე „ტრფობას მორჩილებს ყველა ასაკი“ შევასრულე. მომეჩვენა, რომ ქალიშვილი სხვებზე უფრო აღფრთოვანებული უყრავდა ტაშს.

კონცერტების შემდეგ ტყეები იმართებოდა. აკომპანიატორმა ქაქაძემ იმ ქალიშვილის გაცნობა შემომთავაზა. უსტავყოლ შენს მიუყვები. ვაკრიალბულ იტაკულ ფეხებს გარდიგარდმო ვაბიჯებდი, მუხლები შეეკეტებოდა. დარბაზი გადავჭკვრიო. ქალიშვილმა აღერსიანად ჩამომართვა ხელი და ქათინუტები დამაყარა. საოცრად დანებული რაღაც შეესაბამო პასუხებს ვაძლევდი.

— „რა სულელი ვარ, რა მოუქნელი! — გული მომდიოდა საკუთარ თავზე.“

დამიჭერეთ, თბილისიდან არხანგელსკში ფეხით გამაცილეო რომ ეთხოვა უსათუოდ დავთინხმდებოდი; არ ვიცოდი სად ცხოვრობდა, თორემ მის ფანჯრებს არ მოვშორდებოდი. ერთი სიტყვით, ახალგაზრდული ძალითა და გატაცებით შემეყვარა.

იმევე საღამოს წრის ერთმა წევრმა, იტალიელმა ფარანამ, მეტად სასიამოვნო ამბები მახარა: წრე ყოველთაგანთა თხუთმეტ მანეთს გადაეხდისო. თან მთხოვა, შეძლებისდაგვარად დავეხმარებო. სიხარული დავთინხმდი. მართლაც, ამის შემდეგ წრეს არ ჰქონია რაიმე წამოწყება, რომ მე საქმიანი მონაწილეობა არ მიმეღოს. ვმღეროდი კონცერტებში, ვთამაშობდი დრამებშიც. ვაწვასხიერე ნესჩასტოვეცი — „ტყეში“, პეტრე — „ნატალა-პოლტავისში“.. ვდგამდი ლეკორაციებს, ვწმენდდი ლამაზებს, განვაგებდი ბუტაფორიას, ერთი სიტყვით სინდისიერად ვმუშაობდი.

რა თქმა უნდა, უსატოვთან ისევ ვმეცადინებოდი. პრიფესორი მეტად მეცატიო კაცი იყო და მოწაფეებს, განსაკუთრებით ჩემსთანებს, ნაკლებად ებოდიშებოდა. როცა რაიმე კარგად არ გამოდიოდა, ქილიდან სადირიგორო ჭოხით ბურუნთს ვაღმოჩქევედა და ხმაურით შეიუსუნთქავდა, ან კიდევ თითის სისხო პაპირისს გააბოლებდა. ყველაფერი ეს მისი უკმაყოფილებისა და ვაღიზიანების აშკარა ნიშნები იყო.

როგორც კი შეამჩნევდა, მოწაფეს ხმა უსუსტლებო, მაშინვე გულზე ხელს მიართავდა და ვაჯერებული ხმამალა დასძახებდა:

— დაყრდნე! ეშმაკმა დასწყველოს თქვენი თავი, დაყრდნე!

დიდხანს ვერ მივხვდი რას ნიშნავდა ეს „დაყრდნე“. თურმე, საჭირო იყო ხმის სუნთქვაზე დაყრდნობა, მისი კონცენტრირება.

წრეში მუშაობით გატაცებულს, სიყვარუ-

ლის განცდებიც დამემატა და ცოტა არ იყოს მეცადინეობას ვუყვლი. ვაკვეთილებს ძველებური სიბეჯითი ველარ ვამზადებდი. ვასპირში ჩავარდნილმა ხერხს მიემართე; დადაშლილ ნოტებს ფორტეპიანოზე ვდებდი. თვითონ, თუმცა უკან ვდგებოდი, მაგრამ მინდ ვაბერხებდი ნოტებში ჩაჰყეტას. უსატოვი ეშმაკობას მიმიხვდა. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემსა და ნოტებს შორის მოხერხებულად ჩაგდა და ნოტები დახურა. სიმღერა შეწყვიტე. ვიყვარდეს, მაშინ იმან მითაქა და მლანდა:

— სულ აღარაფერს აკეთებ, შე უქნარა, შენა!

ამგვარი წამება გოლო ხანებში საკმაოდ ხშირად მეორდებოდა და იძულებული ვაჯბდი თავდაცვაზე მეზრუნა. ინსტრუმენტი კედლიდან ისედაც მოშორებით იდგა, მაგრამ ერთი გოჯით კიდევ გამოეწიე, რომ უსატოვის ჭოხის მოქნევაზე ფორტეპიანოსა და კედელს შორის შეემგვარალიყავი. იგი სქელი კაცი იყო და ჩემამდე ვერ აღწევდა. გულს მხოლოდ ყვირილითა და ფეხების ბაკუნით იოხებდა. ერთხელ ისე ძალიან ვაუკავრე, ნოტები მომიქნია და ვაკოფებულმა დამახა:

— გამოძვერი, შე შეჩვენებულო, გამოძვერი! მაგ ოინსაც მიგიხვდი!

როცა გამოვედი, სულ ჭოხით ამაურელა და ვაკვეთილი ისევ თავიდან დამაწყებინა.

უსატოვან შემდეგი შეხვედრის დროს მუდამ ვიგონებდი ამ ხელჯოხიან ვაკვეთილებს და გულიანადც ვხარხარებდით. კარგი აღამიანი იყო ჩემი მასწავლებელი!

მუსიკალური წრის სპექტაკლისათვის ობერა „ალის“ მესამე მოქმედება მომამზადებინა. შევისწავლე აგრეთვე მეფისტოფელის სერენადა და ტრიო. ეს ათონხილი, გრძელი კაცი, მეტად სასაცილო გჩანდი მეფისტოფელის კოსტუმში. რაც შეეხება სიმღერას, ის კი ნამდვილად მოეწონათ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეწისქვილის არიამ.

ახლაც მახსოვს როგორი შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა დარბაზში როცა პირველი ფრაზა ვიმღერე.

სიმღერა რომ დავამთავრე, ხალხმა დიდი აპლოდისმენტებით დამაჯილდოვა, ის კი არა, ფეხზედაც კი წამოდგნენ. მეორე დღეს გავუთ „აკაკაზში“ წერილი დიბეჰკდა. ავტორი ცნობილ მომღერალ პეტროვს მადარებდა. წერილის ვინმე მესანგრე ოფიცერი — ყორღანოვი აწერდა ხელს. ყორღანოვი მუსიკის დიდი მოყვარული და პატივისმცემელი ვახლდათ. შემდეგ მან ბეოხოვერზე წიგნიც კი დაწერა.

გავთუმი მოთავსებულმა წერილმა ამაღელვდა. ვიგრძენი, რომ მოხდა რაღაც არაჩვეულებრი-

თეიმურაზ შალიაბიძე
ჩემი ცნობრების ფურცლიანი



ვი, მოულოდნელო, ისეთი, რაც ფიქრადაც არასოდეს მჭონია, სიმაართლე ვითხრათ, თავადც ვეგრძნობდი, რომ მეწვისქელიის არია კარგად ვიმღერე, უკეთესად, ვიდრე ოდენსე მიმღერა. მოუხედავად ამისა, მაინც ვთვლიდი, რომ წერილი აზვიადებდა ჩემს ნიჭიერებას, უხერხულობა და შიში მომგვარა ან პირველმა ნაბეჭდმა ქება-დიდება. ისიც ვიგრძენი, რომ ამიერიდან ბევრად მეტი მომეთხოვებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, უსატოვიც კი მაქვდა: — რაო, ცუდლუტო? — მითხრა და ბეჭეზე ხელი მომიტოხუნა, — ასე უნდა, მაშ! აი ასე!

ის კი მაინც ვერ გავუხედე მეტყვა, ყორღანოვის წერილი წაიკითხე-მეთქი. ვახერხებდი ქალოშვილთან შეხვედრებსაც. გოგონას ოლა ერქვა. დედასთან ცხოვრობდა ერთ ბატარა და ლამაზ ბინაში. მამა წაფიცი ვეჭილი ჰყავდა. ქალოშვილს, რატომღაც, მამა მულგარლად ექცეოდა, ოლდას დედა, ეს ფრიად უხრალო ქალი ცხოვრებას მეტისმეტად რეალურად უყურებდა. მალე შეეამჩნე, დედას ის მდიდარი სომხები მოსწონდა, მის ქალოშვილს რომ ეარშიყებოდნენ. სიმაართლე ვითხრათ, ამ ქალში იყო რაღაც უცნაური, შეიძლება ითქვას ზიზღის მომგვრელიც კი.

ოლა პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა. უკრავდა რთილზე. ქალოშვილი გატაცებით მიყვებოდა და ოსტატურად ასურათხატებდა პეტერბურგის მშვენიერებას. ოლა ძალიან საინტერესო და კარგი გოგონა იყო, მაგრამ გამოხედა ჰქონდა მეტისმეტად გორიზი, თითქოს „აბუჩად ამგდებიც“ კი.

მასთან სიარულს მოეუხშირე, თუმცა დედამის დიდად არაფრად ემიტნავებოდა ეს ამბავი. ოლა ჩემი აკომპანიატორი იყო. გულახილად ვამბობ, მე უფრო მეტად მიყვარდა, ვიდრე მას ვუყვარდი. იმასაც ვატყობდი, რაღაც უშლიდა ხელს ყოფილიყო ისეთივე თავდადებული ტრფიალი, როგორც მე ვახლდით. მოუხედავად ამისა, ჩვენმა ურთიერთობამ მალე საყვებით ჩამოყალიბებული ხასიათი მიიღო.

ქალმა გული გადამისხნა, მითხრა რომ რომანი ჰქონდა მისთვის ყველაზე საყვარელი რომანისის, „იციურე, ჩემო გონდოლას“ დამწერ კომპოზიტორთან.

— ახლა იგი ამერიკაში ცხოვრობს, — მითხრა ბოლოს.

ფიფქრე, ჩვენს შორის გულწრფელი დამოკიდებულების არსებობას, ალბათ, ეს ამბავი უშლიდა-მეთქი ხელს. უკვე ყველაფერი ვიცოდი საყვარელი არსების შესახებ, ვიმედოვნებდი უფრო დამიახლოვდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მაფორიაქებდა დედამისის მოწყალე დამოკიდებულება მდიდარი სომხებისადმი, საშინლად ვეჭვანობდი. ერთხელ, ისიც კი მომეჩვენა, თითქოს ოლა განგებ, ჩემს დასახენ-

ვად უკრავდა შეცდომით. გაბრაზებულმა ეტყუა, რომ ეს ვერ შევკრავე და საკმაოდ მეკახედ მამხობდა:

— აღარ მინდა თქვენთან მეცადინეობა!

ოლამ კამფეტების ყუთი მესროლა და ოთახიდან გავარდა. მარტო დავრჩი. თავზარდევებული ვიყნობდი ვერ მოვსულიყავი. მოულოდნელი და უცნაური იყო ჩემთვის ეს ყველაფერი. აღამიანმა, ვისაც უფაქიზესი სულის პატრონად ვრაცხდი, რომელიც უდაოდ ჩემზე ინტელიგენტი იყო, როგორც ძალღს სახეში მესროლა, რაც კი ხელთ მოხვდა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან გამოვედი და შინსკენ გავწიე. ვგრძნობდი, რაღაც გამოუსწორებელი რომ მოხდა. ირგვლივ თითქოს წყვედიადი გამეფდა. კარგა ხნის, ოლდასთან შეხვედრის განახლებამდე, თავს მოწამლეოვით ვგრძნობდი, ვერ ვიძინებდი, საწოლი თითქოს გვერდით ირწიოდა. ბოლოს მაინც ველარ გავქელი და მისკენ გავეშურე, ქალი ქუჩაში შეხვებდა, პირველი მომიახლოვდა, ხელი გამომწოდა და მეგობრულად მოხვდა: ნუ მიამტკვე ყურარდლებას ჩემს სულელურ აფეთქებას. ასე შევგრაგდით.

მაგრამ სულ მალე უფრო სულელური ამბავი დაგვემართა, ერთხელ, მე და ოლა ერთხელ საღდაც მივემგზავრებოდით. უცერად ოლდას დედას მოეკარით თვალს. ქალოშვილ დაგვიანა. მან ჭერ კოდეე არ იცოდა, ჩვენი მოკიდებულების შესახებ. ცოტა არ იყოს შეეწუხდით. მალაზიანა რაღაც ვიყიდეთ და ისევ შინ დაებრუნდით.

კარი დავეტილი დაგვიხვდა. ეტყობოდა, დედა ჭერ არ მოსულიყო. სამოგარი დავდგი და დედის მოლოდინში მშვიდი მასლაით გავაბით. ვუყვებოდა, როგორ ძალიან მიჭირდა სხვის ხარზე სწავლა, უკვე გულით მსურდა სცენაზე მუშაობა. ისიც ვუთხარი, თუ ვინცოთხა ქალაქიდან გამგზავრება მომიხდა, უსათუოდ წამომეყვი, მარტო არ დამტოვო-მეთქი.

სწორედ ამ დროს, საწოლის გვერდით, კარადის უკან უცნაური ხმაური გაისმა, თითქოს რაღაც გასკდაო. მაშინვე კარადას მივცივი. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა კარადის უკან დამალული ოლდას დედა დავინახეთ. ჩვენი საუბრის მომენითა და დამალვის გამოაშკარავებით აღშფოთებულმა ქალმა სულ სკამი გვირტყა მე და ოლდას.

— წადი, რაღას უდგახარ, — დამძახა ოლდამ. მეც გავეცალე იქაურობას. მიველი გზა შეშლილივით ვხარხარებდი. სამხიარულო აბაბა მქონდა, მაგრამ ვიცინოდი ნერვიული დამაბვისაგან. გული მწყდებოდა ჩემს სიყვარულზე, ასე უხეშად რომ სთელავდნენ.

მეგონა ამ ამბის შემდეგ ოლა დედასთან აღარ გაწერდებოდა და წერილი მიგწერე. ვთხოვდი, ვაღმოსულიყო ჩემთან. ვუმტყიცებდი, თავის გატანა 35 მანეთითაც შეიძლება-

მეტეი. ეს იყო მთელი ჩემი მაშინდელი შემოსავალი. ოღონდ წერილზე არ მიბასუხა, ჩემი ექვები გამართლდა, ოღონდ დედას შერიგებოდა. მერე მეც განვაახლე ქალიშვილთან ურთიერთობა, მაგრამ ჩემი ახალგაზრდული რომანტიზმი უკვე ექვებისა და უნდობლობის ღრუბლებმა შთანთქმა.

ზაფხულის მიწურულს ხმა დაირბა, ზამთარში ლუბიმოვისა და ფორტატის ოპერა გამოვიხაზინის თეატრში. თავიდან ბოლომდე მაშინ არც ერთი ოპერა არ ვიციოდი, მაგრამ უსატოვს მაინც ვკითხე, — თეატრში მოწყობა ხომ არ ვცადო-მეთქი.

— რატომაც, არა, ვცადოთ! ჩემთანაც იმეცადინებ და სცენაზედაც იმღერებ. მხოლოდ, იცოდე, რამდენიმე ოპერა უნდა შეისწავლო, „აღი“ და „ფაუსტი“ შენი მარჩენალი ოპერებია. ასევე უნდა მოამზადო ოპერა „სიცოცხლე მეფისათვის“.

მართლაც, სამივე ოპერა შევისწავლე. ერთ მშვენიერ დღეს, უსატოვს ლუბიმოვი ეწვია, რომ ჩემი და აგნივეციის სიმღერა მოესმინა. მას მხოლოდ აგნივეციე მოეწონა და დაუდო კონტრაქტი. თვეში ორმოცდაათი მანეთის ანაზღაურებით. მე არ მომიწონა, თუმცა „აღის“ სწორედ ის მესამე მოქმედება ვიმღერე, რომლის გამოც ასე ძალიან მაქვს.

„სცენაზე სათამაშოდ ვასვლას ალბათ, ჯერ კიდევ ბევრი მიკლია“, — ვფიქრობდი დადარდინებული.

ეტყობა ლუბიმოვს ვილაცამ ურჩია მუსიკისმოყვარულთა წრეში განმეორებით მოვესმინე. მართლაც, ვიმღერე წრეში და ლუბიმოვის მოწონების ღირსიც ვახვდი.

შემიძლია თვეში ას ორმოცდაათი მანეთი მოვცეფ, — განმიცხადა სიმღერის მოსმენის შემდეგ ლუბიმოვმა.

„ბოქოს, ვეთომ ნახევარს კი არ ვიყაბულებდი“ — გავიფიქრე გუნებაში

კონტრაქტი დავეთ და რეპეტიციებზე სიარული დაიწყო. ერთხელ ისიც გავიგონე, დარტყორი ტრუფი ვილაცას რომ ეუბნებოდა:

— რა ქარქი ქმა აქვს ამ ქმაცვილს!

უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული.



სეზონი ოპერა „აიდათი“ დაიწყო. სპექტაკლი შესანიშნავად მიდიოდა, მაგრამ უეცრად ამერიისი კაბის შლეიფით დეკორაციას ისე გამოვლო, რომ ქალმა თავი ვეღარ აიშვა. მე უზუნაესი ქურუმი ქალს მივეშველე და შლეიფი ავუწიე, რისთვისაც მეორე დღეს გაზეთში მკაცრი საყვედური მომარტყეს: ყოვლად დაუშვებელია უზუნაეს ქურუმს ამერიისის შლეიფი ეჭიროს ხელში, — წერდა რეცენზენტი.

მაღე ბანის მთელი რეპერტუარი მე დამაწვა მხრებზე. თვითონაც რომ არ ველოდი, ისე დავივირე პირველი ადგილი. ამ ამბავს

განსაკუთრებით „ჯამბაზების“ დადგამა შეუწყო ხელი. ლეონკოვალოს ეს ოპერა პირველად მაშინ დაიდგა თბილისში. ტონოს როლი ადვილად მოერგო ჩემი ხმის დიაპაზონს და საკმაოდ კარგადაც ვასრულებდი. ოპერა ხშირად იდგებოდა და დიდი წარმატება ხვდა წილად.

როდეს ზედიზედ ვაცობდი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, — დღეს მოცემული როლი ხვალ შემისრულებია. სცენას შეჩვეული რომ არ ვყოფილიყავი და თავის დაპერის ჩვევა არ მქონოდა გამომუშავებული, ასეთი ნაჩქარევი და დამაბული მუშაობა უსათუოდ დამლუბავდა. მაგრამ მე ხომ კარგა ხნის „თეატრალი“ ვასლდიო, უკვე მქონდა გაბეჭდილი მოქმედების უნარი, აღარ ვიზნოდ. თან ისე ძალიან მიყვარდა ჩემი საქმე, რომ არ შემეძლო მას აგდებულად მოვქცეოდი. ახალი როლების შესასწავლად სხვა დრო რომ არა მქონდა, დამეგუს ვათენებდი. ჰაიპირად ვსწავლობდი. ყოველი ახალი როლი ჩემს სულსა და გულს ხვდებოდა.

კვლავინდებურად განვაგრძობდი უსატოვთან მეცადინობას. მსწავლეულები ხან მაქებდა, ხან კი სასტიკად მტუქსავდა. ყოველთვის ყურადღებითა და სიყვარულით ვისმენდი მის შეგონებებს, ამ კაცმა წამეძღვანა ამომართია და უანგაროდ მხარჯავდა თავის შრომას, ვნერგაისა და ცოდნას. შეიძლება ითქვას რომ იგი სიმღერას მექანიკურად გვასწავლიდა, ტექნიკის გარეგნული ზერზების საშუალებით, მაგრამ ვატყობთ უყვარდა მუსიკა და მისი დიდი მოვლენეც იყო. ხშირად შეგვიყრდა ხოლომე მოწაფეებს და ამა თუ იმ მუსიკალურ ნაწარმოებზე ვეცხატებებოდა. ვეცხინდა მის ღირსება-ნაყოფანებებს. ყველაფერი ეს ზრდიდა, ხვეწდა ჩემს გემოვნებას.

მუსიკალურ წრეში ოპერა „ბორის გოლუ-ნოვიდან“ ფუნდუქის სცენა განვასახერხეთ. მე ბოქაულის როლს ვასრულებდი. ჰოდა აი, როცა ვარამმა თავისი მძიმე, ერთი შეხედვით შეუსაბამო სიმღერა წამოიწყო, ვიგრძენი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა ჩემში. ამ თავისებურმა მუსიკამ უეცრად ნაცნობი და მშობლიური განმაცდევინა. მომჩვენა, რომ ჩემ დახლართულ, მძიმე ცხოვრებას სწორედ ეს მუსიკა ახლდა თან, ცხოვრობდა ჩემს სულში, უფრო მეტიც — მისით სავსე იყო სამყარო, რომელსაც მე ვიცნობდი. ახლა ასე ვლაპარაკობ, მაშინ კი კეწნისა თუ სიხარულისმაგვარი რაღაც განცდა დამეფუტა. მინდოდა მეცინა, მეტორა. პირველად ვიგრძენი, რომ მუსიკა იყო ხმა სამყაროს ხელისა, მისი უსიტყვო სიმღერა.

„საქმისადმი იმაზე მეტი ერთგულების გამო-

თეზვორე შალიაბიძე
ჩემი ცხოვრების ფორცვლიბი



ჩენისათვის, ვიდრე ჩემგან ელოდნენ“ სეზონის ერთ ბოლო დღეს ბენეფისი მომცეს. აქლემივით ამტანი ვახლდით. შემქმნო, დღე და ღამე შეუსვენებლო მემღერა. სიმღერით ასეთი გატაცებისათვის ბევრჯერ გამოვუღვივარ სახლის პატრონებს.

სწორედ ბენეფისის წინა დღეს გარდაიცვალა თბილისის კომუნდანტი, გენერალი ერსტი. ეს კაცი, ჩონჩხს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ძვალი და ტყავივით, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. სახეზე მიწისფერი ედო, თვალებიც საოცრად უსიციცლო ჰქონდა. ამ კაცზე უმარავ, ერთი მეორეზე უფრო სასაცილო ანგვლოტებს ჰყვებოდნენ.

ერსტი თეატრის ხშირი სტუმარი იყო და ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას, ორკესტრის ზემოთ, ლოჯიაში იჯდა ხოლმე, ზუსტად დასარტყმელი საყრდენის თავს. ჰოდა, ერთხელ შეუმჩნევია, რომ საყვირები ცოტას უტარავენ, უფრო ხშირად დღეიან. ყველაფერი ეს დაუშვებელ უწესობად მოსჩვენებია, მაშინვე თეატრის დირექტორი გამოუძახნია და გაკვირვებით უკითხავს:

— ეითომ რატომ არ უტარავენ ეს საყვირები?

— ამით პაუზა აჭეთ.

— რა? ჯამაგირსაც პაუზებით იღებენ?

— ჯამაგირს მთლიანად იღებენ, ისე, როგორც სხვები.

— გაისარკეთ და გადაეცით, რომ შემდეგში უპაუზებოდ დაუტარან ვერ ვიტან ზარმაცებს!

ერთ-ერთ სადამოს, როცა მე გრემინს ვმღეროდი, გენერალი ჩემით დიანტრესესებულა და ვილაცისთვის უკითხავს:

— ვინ არის ეს ყმაწვილი?

გენერალს, რასაკვირველია, მოახსენეს ჩემი ვინაობა.

— ჰმ... საოცარია, გენერლის ოჯახიდან მგონა, რა მშვენივრად თამაშობს გენერალს.

მერე ჩემთან შემოვიდა კლისებში. დიდად შემაქო, მაგრამ შენიშვნაც მომცა. კოსტუმი სრული არ არის — აუცილებელი ორდენები გაკლიათ.

— ხელთათმანიც არ გივარგათ. შემდეგი სპექტაკლისათვის მე თქვენ ხელთათმანებსაც მოგცემთ და ორდენებსაც.

მართლაც, წარმოდგენის დაწყებამდე კარგა ხნით აღდრე გენერალი თეატრში მოვიდა და კოსტუმის ჩაცმა მიბრძანა. ჩაცმის დროს ხან მუცელში მკრავდა თითს, და ხან ზურგში, როცა გამოვეწყვე, ბრძანებები დამაყარა:

— მარცხნისაკენ! ზურგისაკენ! ნაბიჯით იარ! სამხედრო ყადაღზე ლარჩივით გაჭიმული წაღმავ უკლმა ვტრიალებდე, რითაც გენერლის მოწონება დავიმსახურე.

მერე ცხვირსახოცში გახვეული ვარსკვლავი და ჯვარი ამოიღო, ვულზე დამიხნია და დარცხენით მითხრა:

— იცით, რა შალიაპინ, მერე უნდა ეგვიჩვენო რუნოთ ეს ორდენები!

— რა თქმა უნდა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

გენერალმა თითქოს უფრო დაირცხვინაო:

— აქ ერთი მსახიობი იყო, — ისიც ბანი. მე ორდენები მივეცი, მან კი... არ ვიცო ღვიწინს გადააყოლა თუ სად წაიღო, ეშმაკმა უწყის მისი თავი! ის კია, რომ აღარ დამიბარუნა.

აი, სწორედ ეს უცნაური კაცი გარდაიცვალა ჩემი ბენეფისის წინა დღეს. შემეშინდა, ალბათ, სპექტაკლს გადადებენ-მეთქი, მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა, სპექტაკლი არ გადადგეს.

ბენეფისის უმარავი ხალხი დაესწრო და დიდი წარმატებითაც ჩაიარა. ოქროს საათი და ვერცხლის თასი მაჩუქეს, ფულადი შემოსავლიდან კი სამასი მანეთი მიმოწინა.

უსატოვმა ძველი, ოდესღაც მისდამი მიძღვნილი დადნის გვირგვინის ლენტზე წარწერა წაშალა, ჩემი გვარი დააწერა და გვირგვინი მე მომართვა. ამით ყოველთვის დიდად ვამაყობდი.

სეზონი დამთავრდა. ამის შემდეგ რაღა ვაქეთო? ამ ფიქრებმა ჩვენი არტისტული ცხოვრების ცენტრში, მოსკოვში წასვლის სურვილი გამოიჩინა. უსატოვმა განზრახვა მომიწონა და წერილებიც დამიწერა საიმპერატორო თეატრების კონტორის მმართველ პჩელნიკოვთან, დირიჟორ ალტანთან, ბარცალთან, რეჟისორთან და კიდევ ვილაცასთან.

შუა მისის ერთ მშვენიერ დილას მე და აგნიეცევი საფოსტო სადგურში მივედი. აგნიეცევის ოპერაში არ გაუმართლდა და სიმღერა შუა სეზონში მიატოვა. სადგურზე ოღლა და მისი დღეც გამოვიდნენ. ოღლას იქაც დავეწყე ზვეწვა რუსეთში დამოწყევი-მეთქი, მაგრამ ქალმა ამჯერადაც უარყო ჩემი წინადადება, მისი დამოკიდებულება ჩემდამი უკვე კარგა ხანია იმ ცნობისმოყვარეობას ჰგავდა, ცირკის ჯამბაზს რომ შეჰყურებს ზოლზე მაყურებელი: ამაღამ მოიტებს კისერს თუ ზვალ. თუმცა ვგრძნობდი ამ გულსატკენ დამოკიდებულებას, მაგრამ ქალი მაინც ძალიან მიყვარდა. როცა ცხენებმა, ოღლას სახლს ჩაუჭროლეს და საქართველოს სამხედრო გზას დავადექით, გული საშინელი მტანჯველი ტკივილებით შემეკუმშა.

პირველად ვგზავირობდი საქართველოს სამხედრო გზით, მისი ზღაპრული მშვენიერების შესახებ ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი, მთელი გზა ეტვიროდი. ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა კიდევ ამზანავისა, რომელიც ასე ცდილობდა ჩემს დაწყნარებას. კაცისიონის დიდებულმა სილამაზემ მხოლოდ ანანულს შემდეგ ვასჭრა და მეც ოდნავ დაემშვიდღე.

გამოჩენილ ქართველ საბჭოთა პოეტს იოსებ ნონეშვილს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ციცისკრის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია და მკითხველთა მრავალათასიანი კოლექტივი სულითა და გულით ულოცავენ პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებენ დიდ წარმატებებს ცხოვრებასა და შემოქმედებაში.



გიორგი ნაგროვნილი

ეპოქის მხარლამხარ

არ ვიცი ვინ წარმოსთქვა ეს ფრაზა პირველად, მაგრამ საქმაოდ ხშირად გაიგონებთ, პოეტი ელჩია თავისი ქვეყნისაო. როცა იოსებ ნონეშვილის ლექსების კრებულს ათვალეირებთ, ბუნებრივად გახსენდებათ ეს სიტყვები. მართლაც და, მსოფლიოს რომელ ქვეყანას დაასახელებთ, რომ იოსები მას არა სწვეოდეს, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი თავისი სამშობლოსი, საბჭოთა საქართველოსი, მისი გულმხურვალე პატრიოტი, მისი გულწრფელი მესიტყვე და პოეტი. სად არ ყოფილა ის, სად არ ჩაუტანია ქართული საღამო და გამარჯვება! მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტმა ლამის მთელი დედამიწა შემოიარა — რომი და ბერლინი, პრაღა და ვარშავა, დელი და ბომბეი, ბეირუთი და დამასკო, ნიუ-იორკი და ვაშინგტონი და კიდევ ვინ მოსთვლის!

ამ გაუთავებელმა მოგზაურობამ დიდად გაამდიდრა იოსებ ნონეშვილის პატრიოტული პოეზია; სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, ოცნებაში ქართლკახეთის ველ-მინდვრებს, რაჭისა და აჭარის მთებს შეჰხარის, მუდამ ახსოვს თავისი ხალხის დანაბარები — იბრძოლოს სიკეთისა და სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის წმინდა იდეალების დასამკვიდრებლად; და როგორი სასიხარულოა, რომ ქართველი პოეტის ხმაც მთელი ძალით და ძლიერებით ისმის მსოფლიო პოეზიის იმ დიდ ორკესტრში, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ბოროტისა და ბნელის დასათრგუნად არის ახმანებული. ნონეშვილი წერს მსოფლიოს ხალხთა ტკივილებსა და ჭრილობებზე, წერს მათზე, ვისაც ჯერ კიდევ ქედზე ადგას იმპერიალიზმის უღელი, წერს მათზე და თავისი ხალხის თანაგრძნო-



ბა მიაქვს მათთან. პოეტის საღებავები აქ მუდამ ორიგინალური და ცოცხალია; მე აქ მინდა გავიხსენო მისი „ნიაგარა“... პოეტი მოუხიბლავს ბუნების ამ უცხო სანახაობას, მას თვალი ვედარ მოუწყვეტია ცისფერი ტალღებისათვის, კლდეებზე რომ იმსხვრევიან... პოეტს აქვს სამყაროს სილამაზის უმძაფრესი შეგრძნობა და მას ეჩვენება, რომ აქ წყალი კი არ მოდის, ტალღებად მოღვლევენ დოლო და ასკილი, გვირილა და გულისაბა, ყველა ბილიკები იქაური მთაბარაში, მამაზეციურს კვება ცელით რომ მოუთიბავს და წყლისათვის გამოუტანებია. მაგრამ ნამდვილი პოეტისათვის ბუნება განუყოფელია ისტორიისაგან, ის ცალკე, გამოთიშულად არ შეიმეცნება; ნიაგარას მიდამოები მარტო ლამაზი პეიზაჟი როდია, ის ადამიანთა ტანჯვის, ბრძოლის, სიხარულის, სასოწარკვეთისა თუ იმედების ასპარეზიც არის. ეს გაგება ბუნებისა ოდითგანვე ტრადიციულად დამკვიდრებული იყო ქართულ პოეზიაში, სადაც მარაბდა თუ ყრწანისი არასოდეს არ იყო მარტო ყვავილებით აჭრელებული მინდორი, არამედ ბრძოლის ველიც, სადაც ხალხის ბედი წყდებოდა; მდინარეები იმაზე უფრო მეტს მოუთხრობდნენ პოეტს, ვიდრე ამას უბრალო მგზავრის ყური მოისმენდა. ისინი ბუტბუტებდნენ თავიანთ იდუმალ ენაზე; და პოეზია იყო გზა, საიდანაც ეს ხმა ხალხის გულამდე აღწევდა. ასე აისახებოდა პეიზაჟი ქართულ პოეზიაში, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა მოწინავე მოქალაქეობრივი იდეებით. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ასეთი გაგება პეიზაჟისა მარტო ქართული პოეზიის ნიშანთვისება იყოს, მაგრამ ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ნონეშვილს ქართველი პოეტის თვალი უცნა შეეხება პირველად ნახული უცხო სამყაროსათვის, საგნისა თუ მოვლენისათვის, იქნებოდა ის ქალაქი, მთა თუ მდინარე. და ეს ასეც მოხდა — ნონეშვილის ამ ლექს-

სებში იგრძნობა ძველი ქართული პოეზიის ფესვებიც და თანამედროვე მწერის ღრობის ადამიანის ძლიერი გულისფეთქაც; და აი, ნიაგარას წყალვარდნილის ხმაურსა და ზრიალში მას აგონდება, რომ ეს ძველი იროკეზების სამშობლოც, კერა იმ ტომის ადამიანებისა, რომლებიც გაწყვეტეს ინგლისიდან გამოძევებულმა პურიტანებმა, ხოლო გადარჩენილები რეზერვაციებში ჩაქეტეს. ბუნების ხილვა აქ უშუალოდ და ორგანულად ერწყმის ისტორიულ ასოციაციებს; წყალვარდნილების ხმაურსა და ზრიალში, ტალღების ქუხილში პოეტს ჩაესმის აქ გაწყვეტილ თაობათა კენესა და წუხილი, ესმის მათი საბრძოლო შემართების ყიჟინა და ხშიანობა:

იქნებ ინდიელთა ტომები მოდიან
კლდეების ღარტაფით, მწვერვალთა უბით?!
თავზე სირაქლეშის ფრთები უფრიალებთ,
ხელში უპრიალებთ მშვილდი და შუბი.

ფიქრში იღვიძებენ და ახლოს მოდიან ნაცნობი გმირები, ჩვენი ზმანებების აღრინდელი თანამგზავრები — ჩინგაჩგუკი და უნკასი, უა-ტა-უა, ულამაზესი საცოლვე ტომის ბელადისა, იმათი შთამომავალნი, ვისაც ოდესღაც ეკუთვნოდა ეს ტყეები, მდინარეები და პრერიები. პოეტის სტრიქონებს და მის მიერ ხილულ ნიაგარას ამ სამყაროში გადაყვავართ. აქ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა:

იქნებ ღრუბლებიდან ანთებულ ისრებს,
ზედიზედ გვიშენს პაიავტა?!
ისევ და ისევ,
ისევ და ისევ,
ამ ისრებს
ბოლმას და რისხვას ატანს.

აქ არის ნამდვილად დიდი პოეტური ხილვა, სილამაზის დიდი და ჭეშმარიტი გრძნობა, ასე ბუნებრივად გადაწული ადამიანურობისა და ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრების პათოსთან. ასეთი გაგება სიცოცხლისა, სამყაროსი, ისტორიისა და აწმყოსი არის შესანიშნავი წარმატება ახალი ქართული საბჭოთა ლირიკული პოეზიისა და იოსებ ნონეშვილი უდავოდ მისი შესა-



ნიშნავი და კარგი ოსტატია, მისი ერთი შემოქმედთაგანი.

ნიაგარადან გზა ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს ცათამბჟენებისაკენ მიდის. და აი, პოეტის ცდილობს გადმოგვეცეს თავისი შთაბეჭდილებანი, რომელიც მას კაპიტალისტური საშუალოს დიდ ქალაქებში მიუღია. ლექსს თავისი მკაცრი კანონი აქვს — აქ ფართო განზოგადებებს ვერ გაჰყვები, აქ უბრალო მხატვრულმა სახემ, ერთმა უბრალო შტრიხმა უნდა დაიტოს დიდი აზრი, მოგვეცეს წარმოდგენა იმაზე, რაც ყველაზე უფრო ნიშნეულია კაპიტალიზმის ცივილიზაციისათვის. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ პოეტმა იპოვნა ყველაზე ზუსტი სიტყვები, ყველაზე უფრო დამტკევი და შინაგანი აზრით სავეს სახეები. სწორედ ამით გამოირჩევა იოსებ ნონეშვილის „ცათამბჟენები“. მაღალია ცათამბჟენები, ლამის ღრუბლებამდე ატყორცნილან, მაგრამ თურმე უფრო მაღალია ლურჯი კიპარისი, ეს ჩუმი ლოცვა მიწისა და სიცოცხლისა, პოეტი აქ იხსენებს თავთავთა შრიას, შხაპუნა წვიმას, ყვავილთა დაღანს, მოცელო ბალახს, რომელსაც შორეული ცისა და წვიმების სუნი გამოჰყოლია, იხსენებს მზესუმზირებს, დილით ბავშვებივით ცერებზე რომ დგებიან და ისე ეგებებიან მზეს, იხსენებს ყოველივე ამას არა იმიტომ, რომ ბუნების პირველყოფილი მშვენიერება და უშუალობა დაუპირისპიროს საერთოდ ცივილიზაციას, არამედ მზის სინათლეზე გამოიტანოს და დახატოს კაპიტალისტური ცივილიზაციის შინაგანი წინააღმდეგობანი. პოეტური მეტაფორა (შენობები — ხეები) აქ იძენს თავისებურ შინაარსს, იძენს დიდ სოციალურ ძღვრადობას. ეს კეთილი ხეები არ არის და პოეტიც ასე მიმართავს მათ:

არც იცით სად არის თქვენ თქვენი მებაღე, ვინც ფესვი გავიდგათ, ვინც მაღლა აგწიათ, ჩრდილს როდი შიამუდენთ, კეთილი ხესავით, იქნება უპერო, მაშვრალი კაცია.

ქალაქის პეიზაჟი პოეტმა აქ ასახა კეთილისა და ბოროტის, ბნელისა და

ნათელის მრავალსაუქუნოვანი ბრტყლის ასპექტში და იპოვნა მშვენიერ მხატვრული სახე, რომელმაც ერთ სიტყვაში გამოხატა დიდი სათქმელი. ეს სიტყვა — ბაბილონია.

ათასი ფიქრი გაქვთ თამამი, თავნები, ათასი თვალი გაქვთ ყვითლად რომ გივლავთ. ათასი თვალი გაქვთ, მაგრამ ეგ თვალები, ერთმანეთს უცქერენ ხარბად და ცბიერად.

ო, ნუ ყელყულობთ, რომ ძვლები სხვაგვარი გაქვთ მართლაც მაგარი, ნაგები ლოდებად... განა ბაბილონზე ხართ უფრო მაღალი და უფრო მაგარი? გაშორით განგებამ იმ გოდლის გოდება.

ამ ლექსებში იოსებ ნონეშვილი დგას მათს მხარდამხარ, ვინც იბრძვის საქვეყნო მშვიდობისათვის, დედამიწაზე სამართლიანობის დამკვიდრებისათვის; ამ თემას ეძღვნება მისი ლექსები „ვიცოთ გულდა“, „ყური დავუგდოთ“, „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“, „ბეირუთში“, „შეხვედრა“, „გოეთეს მუზეუმში“, „ღამე ბენარესში“, „როცა შენ ცეკვავ“ და მრავალი სხვა.

პოეტი წერს იმაზე, რაც უნახავს, რაც განუცდია. მას კი ბევრი რამ უნახავს — ის ოცდაათი წელი, რომელიც ნონეშვილის სამწერლო მოღვაწეობას მოიცავს, სავეს იყო დიდი ისტორიული ძვრებით, დიდი ეპოქალური მოვლენებით. და ყოველივე ამან თავისი კვალი დატოვა პოეტის შემოქმედებაში. იოსებ ნონეშვილი სრულიად ახალგაზრდა პოეტი იყო, როცა სამამულო ომი დაიწყო. იმ დღეებშივე მან ჯარისკაცის მახარა ჩაიცვა და მისი ლექსიც იქცა მგზნებარე საბრძოლო მოწოდებად; ჩვენი მკითხველისათვის მუდამ საამაყოდ მოსაგონარი იქნება პოეტის ის ნაწარმოებები, რომლებშიც აისახა ჩვენი მამაცი მხედრების, ქართველი ვაჟაკების საბრძოლო შემართება, შინ დარჩენილთა თვედადებული შრომა, წმინდა სიყვარულის ის დიდი გრძნობა, რომელიც აერთიანებდა პოეტისა და

გიორგი ნაბროშვილი
 ეპოქის მხარდამხარ



მხედრის, ფრონტზე მებრძოლისა და დაზვასთან მდგომი მუშის, დიდისა და პატარის გულებს. ნონეშვილის ლექსებში მთელი ძალით, მთელი თავისი სიწმინდით გამოჩნდა ხალხის გაუტუტებელი სული, გამოჩნდა არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ ისტორიული ტრადიცია ქართული რაინდული თავდადებისა, რომელმაც სასწაულები მოახდინა სამამულო ომის ფრონტებზე, სადაც ქართველი ჯარისკაცები, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, იცავდნენ მთელი კაცობრიობის მომავალს, იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

იოსებ ნონეშვილის ომისდროინდელი ლექსები („ოთხი ძმა ლესელიძე“, „ადექ, აიღე ფრანგული“, „ბარათი ფრონტიდან“, „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკიაიზე“ და სხვ.) გამოირჩეოდნენ დიდი შთაბეჭებითი ძალით. 1944 წლის ბოლოს, საახალწლოდ დაწერილ ლექსში პოეტი ამბობდა:

ვადღებრძელოთ ბრძოლის ქარში
ვისაც დროშა მოაქვს ახლა,
ვინც ახალწლის გარიჟრაჟი
სანგარიდან დაინახა;
ვისაც ქარი უწეწს კალთებს,
არ ეღლება ბრძოლით ხელი
და ნისლიან ღამეს ანთებს
მოქნულ ხმლის ცისარტყვიით.

გულწრფელი და ღრმა მწუხარებაა პოეტის სტრიქონებში, როცა ის იგონებს იმ მებრძოლებს, რომლებმაც მამულის დასაცავად სიცოცხლე გასწირეს, როცა ის მკითხველს მოუწოდებს სიყვარულით გაიხსენოს

... ისიც, ვინც დღეს ვეღარ ზელობს,
მუხლმავარი, ვით არსენა,
საყვარელი საქართველო
სიკვდილის წინ ვინც ახსენა.

1944 წელს დაწერილ ლექსში „მაისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვა-

ხარა“ წარმტაცი ფერადებით არის დახატული, როგორ მოდიოდა, როგორ ყოველდღიურად ახლოვებოდა საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება. ამ გამარჯვებას სჭედდა მთელი ხალხი და პოეტის მართალ სიტყვას აქ მცირე როლი როდი ჰქონდა მიკუთვნებული; პოეზიაც მაშინ ომში იყო, და სინათლის გამარჯვებისათვის იბრძოდა.

ომის დამთავრების შემდეგ იოსებ ნონეშვილმა გამოაქვეყნა პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, რომელშიაც მან მკაფიოდ გამოაჰქვეთა ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილის — ზოია რუხაძის მუღამ წარმტაცი სახე. ეს არის ნაწარმოები ერთ ადამიანზე კი არა, მთელ თაობაზე, მთელს ჩვენს მშვენიერ ახალგაზრდობაზე, რომლისათვისაც ყველაზე მაღალი მცნება — სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობაა.

პოეტის ლირიკული ლექსების მთავარი თემა — საქართველოა, მისი წარსული და აწმყო, მისი თვალწარმტაცი პეიზაჟები, მისი შესანიშნავი ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები; პოეტი გვიხატავს მათს ფიქრებს, გრძნობებს, მათს მდიდარ სულიერ სამყაროს. მისი ლექსები თბილისურ შემოდგომაზე თუ ყამირზე წასულ ქართველ ქაბუკებზე, გუთნისდებებზე თუ მეჩაიეებზე, მისი ლექსები სიყვარულზე, სილამაზეზე — უაღრესად პოპულარულია ჩვენს ხალხში. ეს აიხსნება იმით, რომ პოეტის სიტყვა მუდამ მართალია, გულწრფელი, უშუალო, მის ლექსში იგრძნობა ლაღი ტემპერამენტი, ის სითბო და ინტიმი, რაც ქართული ნაციონალური ხასიათის ნიშან-თვისებას წარმოადგენს. იოსებ ნონეშვილი ეკუთვნის ქართული სიტყვის იმ მოწინავე ოსტატთა რიცხვს, რომლებიც ჰქმნიან და რომლებსაც წინ მიჰყავთ ახალი ქართული საბჭოთა პოეზია.



წიგნაკოს საქყროვი

გერამ ბათიაშვილი

« ა ს ი ა »

(ი. ტურგენევი, „ასია“, გამომც. „ნაკადული“, 1968 წ.)

საუკუნე და ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ი. ტურგენევი „ასია“ შექმნა. რამდენი თაობა წაიდა, რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ეს მოთხრობა არ ქცეულა მხოლოდ გარდასული საუკუნის ადამიანთათვის საინტერესო ნაწარმოებად.

ზუსტად დაწერის დღიდან 110 წლის შემდეგ გამოცა „ნაკადული“ „ასია“. გამოცემა კარგი წიგნი და მისასალმებელი საქმეც გააკეთა. რასაკვირველია, თავის დროზე, ტურგენევის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისას, ეს მოთხრობა სათანადო ადგილს დაიპყრდა მრავალტომეულში, მაგრამ საქმისაა, ამჟამად ვაცილებით მეტი ადამიანი წაიკითხავს ამ ჩინებულ ნაწარმოებს, ვიდრე თხზულებათა სრულ კრებულში. ვიმეორებო, კარგ საქმეს აკეთებს „ნაკადული“, დიდ მწერალთა ერთი შეხედვით უჩინო, მაგრამ მწერლის მსოფლმხედველობის გასარკვევად მნიშვნელოვან თხზულებებს დიდი გულსისუფრით რომ აწვდის მკითხველს.

პრობლემების მიხედვით „ასია“ ტურგენევისავე ცნობილი რომანის „რუდინის“ ერთგვარი ვარიაცია თუ თემის შემდგომი დრამა დამუშავებაა. „რუდინის“ დამთავრებიდან სამიოთხი წლის შემდეგ ტურგენევი კვლავ მიუბრუნდა ე. წ. ზედმეტი და გზაბნეული ადამიანის პრობლემას. მან ერთხელ კიდევ მოინდომა ეჩვენებინა გუშინ გაინტელიგენტებული მემამულე, რომელიც აღარც ზეირიანი მემამულე იყო და აღარც კარგი ინტელიგენტი. ასეთი ახალგაზრდობა უმთავრესად უცხოეთის შორეულ გზებზე პოვებდა სულიერ სიმშვიდეს. ასეთია „ასიას“ ერთ-ერთი პერსონაჟი ნ. ნ. ხოლო

ნაწარმოების ცენტრალურ ფიგურას ასიას, რომელიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ ჰყავს დახატული ავტორს, ამ მხრივ რაიმე კლასობრივი ხასიათის კომენტარი არ ეძლევა. ი. ტურგენევისათვის მთავარია ასიას შინაგანი სამყარო, მწერალს აინტერესებს, როგორ იღვიძებს ამ ერთგვარად ექსტრავაგანტული ბუნების გოგონას სულში სიყვარული და, რაც მთავარია, როგორ იოცებს იგი თავის გრძნობას, როგორ წარმართავს მას, რაოდენ პოეტურია ამ ადამიანში სიყვარულის განცდა. სწორედ ასიას მეოხებით ნაწარმოებში განთენილ ამ პოეტურობაზე მიუთითებდნენ თავის დროზე ჩერნიშევსკი და ნეკრასოვი, როცა „ასიას“ ღირსება-ნაკლოვანებებს განიხილავდნენ. დღესაც „ასია“ იკითხება, როგორც პოეტური ელეგია სიყვარულსა და ცხოვრებაში თავის მისიაშეუცნობელ ადამიანზე. ი. ტურგენევი არ განეკუთვნება ე. წ. იოლად სათარგმნ ავტორთა რიცხვს. ავტორისეული თბრობის მინერა და უადრესად კოლორიტული რუსული პოეტურობის მისი ნაწარმოებების ვალმოქართულებას. ეს გარემოება კარგად გაითვალისწინა „ასიას“ მთარგმნელმა ელენე ქართველიშვილმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთარგმნელმა სძლია მის წინაშე მდგარი სირთულენი და სრულყოფილი თარგმანი შესთავაზა ქართველ მკითხველს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთარგმნელს კიდევ მეტი ყურადღება რომ გამოუჩინა, შეიძლებოდა ზოგიერთი ფრაზა უფრო გამართული სახით გვეჩლია. თარგმანს ერთგვარად ჩრდილს აყენებს ამგვარი ფრაზები: „ეცხოვრობდი უდარდელად, ვაჟთებდი რახაც მინდოდა“, (გვ. 5), „ჩემი გულის



იარა არც ისე ღრმა იყო, მაგრამ მოვალეობად მივიჩნეე მივცემოდი დროებით სევდასა და განმარტობას“ (გვ. 6), „ძალდატანებითაც კი ვძლევდი ოცნებას ჩემს ვერაგ ქვრივზე“ (გვ. 7), „მამას ვარდა სხვა მასწავლებელი არა-ეინ ჰყოლია“ (გვ. 30), „იმანაც მიამბო, რა გა-აყეთა ჩემს აქ არ ყოფნაში“ (გვ. 27).

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ბანალური ფრაზა რომ ვიხმართო, ხსენებული ხარვეზები სრულიადაც ვერ ამცირებენ თარგმანის ღირსებას. ამ წიგნს დიდი მწერლის სახელოვანი იუბილეს დღეებში მაღლიერებით მიიღებს ქართველი მკითხველი.

თაგავ ჭილაქი

«მოზი დიკი» ქართულად

ჰერმან მელვილი — «მოზი დიკი»
მთარგმნელები გივი გეგეჭკორი და
ტარიელ ჭანტურია
რედაქტორი მ. მექმარიაშვილი
გამომცემლობა «ნაკაულთი», 1967 წ.

ჰერმან მელვილი დიდი მწერალია. მის წიგნ-ში, ისევე როგორც ყველა ჰუმანიტარულ ნაწარმოებში, აღმამანის სულს ბევრი საიდუმლოა ამოხსნილი და გამჟღავნებული, იღონდ ისე პოე-ტურად, რომ თავის საიდუმლო იერს ბოლომდე ინარჩუნებს.

ამ წიგნის ორი მთავარი წყარო—უფრო სწო-რად—შთაგონების ორი ძირითადი კერა—ბიბ-ლია და შექსპირის შემოქმედებაა, თუმცა ის ცოცხალ ორგანიზმივით იწოვს და ითვისებს ყველაფერს, რაც აღმამანის გონებას მანამდე შეუქმნია და დაუგროვებია. ბიბლიისაგან მელ-ვილიმა ინტონაცია და თხრობის მანერა აიღო, შექსპირმა კი ხასიათების გამოქვეყნება ასწავლა.

მელვილი «ეკლესიასტეს» «მწუხარების თხელ», ნუქდ ფოლადს» უწოდებს. «მოზი დიკი» მწუ-ხარე წიგნია, მაგრამ «ეკლესიასტეს» ღვიძლი შვილი მაინც არ არის, ის ამაოების ზღვიდან მზისკენ აღერილი შტოა, სიცოცხლის უსაზღვ-როებით ვაბრუებული.

ეს წიგნი სამ ვეშაპზე დგას, ისევე როგორც დედამიწა ძველი აღმამანის წარმოდგენაში. ეს სამი ვეშაპია: ბროზა, პოეზია და დრამატურგია, სწორედ ღრუბლებივით უზარმაზარი, ავტორის მეტაფიზიკური წარმოდგენები გვაძლევენ ასე-თი შედარების ხმარების უფლებას. ეს წიგნი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ლი-ტერატურისმცოდნის მიერ საგულდაგულოდ გამაგრებული ბროზისა და პოეზიის საზღვარი არც ისე მყარია.

ამ წიგნის მთავარი გმირი აქაბია. «ყოველი ჩვენგანი აქაბიაო»,—ამბობს ავტორი. აქაბი ერთი შეხედვით მწუხარე სახის რაინდს გვაგო-ნებს, ბოროტებს ებრძვის და წამებული—ბედ-

ნიერია, როგორც ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ასეთი ბრძოლის გრანდიოზულობა უგრძენია. სწორედ ამიტომ ის საკვირველი ძალითა და ენ-ერგიით მუხტავს ყველას, ვინც კი მის გვერდი-თაა, რადგან თავისი ეკლიანი ფრთები მათ სულ-ში თავისუფლების ინსტიქტს აღვიძებს.

«მელოდერი, რაც გონებას აბნელებს და სტანჯავს, რაც დაშინებულ წყალს ამღვრავს და ადრევეს, ყველა მავნე და დამღუპველი ჰუმანი-ტარება, ყველაფერი, რაც ძარღვებს გუოწმავს და გონებას გვიფიტავს, ცხოვრებისა და აზრო-ვნების მთელი ეს უაზრო ორომტრიალი,—მთე-ლი ბოროტება გადარეული აქაბის წარმოდგენა-ში შურის საძიებლად ხელმისაწვდომი და ხი-ლული მოზი დიკის საშუალებით იქცა. ვეშაპის თეთრ კლზე დაანთხია მთელი თავისი ვაშაპე-ბა და სიძულვილი, რაც კაცთა მოღვმას იდა-მიანის დროიდან უგროვებია». მოზი დიკი—თე-თრი ვეშაპი—მშვენიერია, ძლიერი და დიდე-ბული, იმდენად იმქვეყნიური, თითქოს ამ წი-გნში პირდაპირ ჯოჯოხეთის ოკეანიდან შემოვარ-დნილიო. ის უფრო ღვთაებრივი ძალაა, ვიდრე სტიქიის ნაწილი და ამიტომაც აქაბის გიგურტი გზნება «იაკობის ღმერთთან ჰიდლის ჰგავს. თი-თქოს აქაბი ბიბლიური იონაცაა, წამიერი სი-სუსტის გამო საკუთარი თავი რომ შეზიზღე-ბია და ამ ზიზღის საშინელი ტვირთი ახლა მხო-ლოდ შურისძიებას თუ შეუძლია რომ მოაშო-როს. მისი სხეული დარღს მარილივით გამოუხ-რავს, შერჩენია სული, რომელიც ახლა სხვა არ-ადგირა თუ არა გასატყორცნად შემართული ბა-რჯი—ალაბაა, კუშტი და მომაცდინებელი.

როჩარდ კერინგტონი წიგნში «ზღვის ბიოგრა-ფია» წერს: «ცრუმორწმუნეობაზე დამყარებუ-

ლი არც ერთი სასწაული ისე არ აღდგებეს აღმამის წარმოდგენას, როგორც რეალური ცხოვრების სასწაულებიო“. „მოზი დიკი“ სწორედ ცხოვრებისეულ სასწაულებზე, აღამაინათ ტანჯვასა და სიდიადეზე მოგვითხრობს. ვანა მართლაც სასწაულებიო არ ბრწყინავს ნახევრად გველურებული, გაწამებული აღამაინების სულიერი სინაზე. გაიხსენით თუნდაც კვუაზე შეშლილი ზანგი ბიუს პიპისა და აქაბის ამბავი. აი აქაბის სიტყვებიც: „აჰა, მოხბედეთ აქეთ და თქვენ იხილავთ, როგორ სტოვებენ ყოველმხილველი ღმერთები წამებულ აღამაინს და თქვენ იხილავთ, რომ აღამაინი, მიუხედავად თავისი სიკეთისა, მიუხედავად იმისა, რომ თავად არ უწყის არაა იქმს, მაინც აღსავსეა სიყვარულისა და მადლიერების ნეტარი ნიჭით. წაიადეთ! მე ეს შავი ხელი იმპერატორის ხელზე უფრო მეაძაყება“. ვანა ვინმეს დაიფიქვდება სამი მეზარეულებზე: ქვიქვიკი, თემსტოგო, თემსტოგოს ზღვიდან ამოწვდილი ხელი, ჩაძირული ხომალდის ანძაზე დროშას რომ ამარგებს!

გვოაცებს მეღვილის ასოციაციების მოულოდნელობა და სითამავე. მთელი ქვეყანა თითქოს ხელისგულზე ედოს და ზემოდან დასცქეროდეს. ის ყველაფერს ერთდროულად ხედავს—ჩრდილოეთის ოკეანის ყინულოვან სივრცეს და სამხრეთის ზღვების მოღისებურ ბიბინს.

სახისა თუ პასაჟის ხატვის შინაგანი ფსიქოლოგიური რეალობი უღერესად მკაფიოა. აი ვეშაპმონადირის სიზმარი: „მე მიხილავს ანგელოსთა გრძელი რაუბები. იდგენენ ისინი სამოთხეში და ხელები სპერმაციტთან ჭურჭელში ეწყითა“. სხვა რა უნდა დაესაზმოს ვინმის ქონის მძიხებელს, რომელსაც ზღვა ენით აწერულ ტანჯვას აყენებს, თუ არა სამოთხისეული სამშვიდ და სპერმაციტით საყვარელი კასრი!

მეღვილის შედარება პოეტურია და შეიძლება ამიტომაც ზუსტი. ჭვილის, რომელსაც ვეშაპს სტყორცნიან „თასამამომულ მწვეარს“ აღარებს.

აი, ზღვაზე წამით ჩამოვარდნილი სიმშვილის სურათი:

„ახლა თბება გაჩაღებული და მითხველებმა ახლადღაზინულ ბალახზე დაიძინეს“.

მეღვილის ფრაზა ტევადი და ემოციურია: „ვეშაპის სისხლი უფრო ცხელია, ვიდრე ბორჩნოს მცხოვრების სისხლი შუა ზაფხულში“.

ანდა: „მთელი ქალაქის გარშემო, როგორც მდუმარე გეშაგების საგუშაგოზე, ოკეანის ჭერტით თავდავიწყებულ მოკვდავთა ურიცხვი ურდო ღვას“.

საერთოდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდებული პროზა პოეტის ხელითაა დაწერილი. ამ წიგნის ყოველი შტრიხი ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებითაა გაპირობებული:

„სასაბილო სანახავეა თავის ბატონთან ერთად მოსიერნი ვეშაპების ჰარამხანა. მალალი

წრის უსაქმურებოვით ისინი მუდამ ფაციფუცი არიან და უქმად გამოედევნებიან ხოლმე ველგვარ სიახლეს“.

ამ წიგნის ქართულად მთარგმნელებს ნამდვილად დიდი შრომა გაუწევიათ. რაც მთავარია, წიგნი თანამედროვედ უნდას, დღევანდელი კაცის მიერაა თარგმნილი, ყოველგვარი ლიტერატურული მანქვა-გარეხის გარეშე. მსოფლიო ლიტერატურაში არ არსებობს არც ერთი ძველი თუ ახალი წიგნი, რომლის თარგმნაც დღევანდელი ქართველითა არ შეიძლებოდა. ამ წიგნის ქართული ტექსტი კიდევ ერთხელ მიგვანოშნებს, თუ რა მდიდარია ჩვენი დღევანდელი ენა, მიგვანოშნებს-მეთქი იმიტომ ვაპობო, რომ, სამწუხაროდ, წიგნის ყველა ადგილი ერთნაირად არ ეღერს. არის მთელი თავები, უზარმაზარი მონაკვეთები, სადაც ტექსტი თავისუფლად სუნთქავს. მაგრამ მათ გვერდით გვხვდება გაურბნად ფიქრებოვით უხეში და შერატქილი მინასაველი გაუმჭვირვალე ადგილები. კარგია, რომ მთარგმნელები თამამად ხმარობენ უცხო სიტყვებს, განსაკუთრებით ისეთ ტერმინებს, რომელთა შესატყვისებზე ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ, ალბათ, ტექსტის ინერტიოთ ვალაღებულნი, კარგვენ სიფხისლეს და ვერ ამჩვენენ როგორ ევაზრებათ ასეთი ფრაზები:

„ორივე ვეშაპის სხეული კიჩოს გადაღმა, წყალში დარჩა, და ორი თავის სიმძიმით ტელში გადრეკილი ხომალდი ისე ირწყოდა წაღვლებზე, როგორც სასაბაღუნე გორი, რომელიც ძლივს მიჩაჭაქებდა ვატენილი ხურჯინის სიმძიმისაგან“ (გვ. 463).

„სულაც არ ვეჭობოდნენ ამგვარ ბუნდოვან მიზეზთა გამო ფეხ შეეტანათ იმში...“ (გვ. 274).

„ალბათ მისი დედოკო საინტერესო მდგომარეობაში მყოფი დაცუარდა...“ (გვ. 472).

„წინა ერდოზე სხვადასხვა მდგომარეობაში დგანან...“ (გვ. 254).

კარგი იქნებოდა, გამოიკვებლობას წიგნისთვის სარჩევიც რომ დაერთო.

„მოზი დიკის“ თარგმნითა და გამოცემით ნამდვილად კარგი საქმე გაყეთდა. სასიამოვნოა, რომ გამოიკვებლობა „ნაკადულს“ საჭირო წიგნების გამოცემა უკვე ტრადიციად აქვს ქვეულის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის ეგრეთწოდებული „საკითხავი“ წიგნი, რომელიც უტანური თავგადასავლებითა და ფათურაკებით ეგოტაცებს მკითხველს, თუმცა ამ წიგნს ფათურაკები არ აყლია. შეიძლება ავტორის ცოდნამ და ერდულიცამ შეაერთოს კიდევ მკითხველი, ზოგს შეიძლება სწორედ ამის გამო მოსაწყენადაც კი მოეჩვენოს იგი. მაგრამ მოთმინებით აღეჭურვილი ქართველი მკითხველი, ვინც ამ წიგნის მეტად ოსტატურად დახალართულ ლაბირინთს ბოლომდე ვაივლის, იმდენ რამეს ვაიგებს, იმდენ რამეს ეგრანობს, ისეთი უხევი ჩაეღვრება სულში, რომ თანათულად მაღლიერი დარჩება მთარგმნელებისა.

„ქიქნის“ ფოსტოვანი

გრიგოლ ზარდალიძე

პინ თქვა «ქიქნილ!»

1968 წლის № 5 „ცისკარში“ გამოქვეყნდა დავით გოგოჭუბურის წერილი „ადვილ ნუ იტყვი...“ ეს გახლავთ კრიტიკული განხილვა ჩვენი სტატიისა „ბევრით ვკობივარ სხვასაო“ (ვახუთი „თბილისი“, 1967 წ. 11 სექტემბერი). ჩვენს წერილში გამოთქმულია ფრიად მოკრძალებული მოსაზრება ერთ ხალხურ ლექსზე „თუში ვარ...“ ამ ლექსის შესახებ ზოგიერთი მოსაზრება გამოთქმეს მთის ფოლკლორის საუკეთესო მცოდნეებმაც. სწორედ ხალხის წარმომადგენლებს აქვთ უფლება, გარკვეული კორექტივი შეიტანონ ხალხურ ლექსში, მით უმეტეს, რომ ხშირად ადვილი აქვს ტექსტის დამატება-გამოკლება და დამახინჩებას.

დ. გოგოჭუბურის აზრით ლექსი „თუში ვარ...“ თუშური კი არა, ხევსურული წარმოშობის ყოფილა, თუმცა საამისო საბუთი მას არ გააჩნია. „საიდან სადაო, წმინდა საბაო“, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

მივყვით ფაქტებს. ჯერ ერთი, ჩვენს წერილში არსად არ არის ნათქვამი, რომ ლექსი თუშური წარმოშობისაა. „აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, თუშეთსა და ფშავეში ბოპულარულია ხალხური ლექსი „ბახტრიონის გმირებზე“, — ვწერთ ჩვენ. რად დისკირდა მეცნიერებმა კანდიდატს დ. გოგოჭურს ჩემთვის ასეთი ბრალდების წამოყენება? ალბათ ფიქრობდა, „გაღმა ვაფედავებ, გამოღმა შემჩემაო“. სხვააირად ვერ ავხსნი თ ამ ფაქტს.

უცილობელი ფაქტია, რომ ლექსი ხალხურია, მაგრამ უფრო მეტად თუშეთში გავრცელებული. ეს ვსაბუთებთ. ბახტრიონით პირველ რიგში თუშები იყვნენ დაინტერესებულნი (საბოლოოების გამო) ისინი იყვნენ ბრძოლის ინიციატორები და წამომწყებნი. ეს ძალიან კარგად ჩანს თვით პოემა „ბახტრიონიდან“ და ვაქვს წერი-

ლებიდან, ალბათ ამიტომ მიანიჭა ვეამ ერთგვარი უპირატესობა თუშებს.

სანათასთან საუბარში მგზავრი ამბობს:

დაჯარდნენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია.
პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის
ზეზვიანი საოკარია.

მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს მზირადა...
...ვეშვეკლეთ, ფშაველ-ხევსურნი,
ბარზე თათრები ხარობენ...
...ხევსურეთს მინდა ვადასვლა,
მეტი არ არის ჩარაო:
მიტანა უნდა იმ ამბავს,
რაც ზეზვამ დამაბარაო.

განა ნათელი არ არის რომ თავი და თავი თუშნი იყენენ? თათრები სწორედ მათ მიწაწყალზე პარპაშობდნენ და ამიტომ დახმარებისათვის ფშავესურეთ მიმართეს. მაგრამ ეს არ არის არსებითი. არსებითი ის არის, რომ ფშავეშიც არის ამ ლექსის ვარიანტი, თუმცა ხალხურმა თქმულებამ ბახტრიონის ბრძოლის არც ერთი გმირის სახელი არ შემოგვინახა. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ ლიტერატურულ წყაროში არ არის დადასტურებული ამ ლექსის ხევსურული წარმოშობა, ეს მოსაზრება მხოლოდ დ. გოგოჭურის ფანტაზიის ნაყოფია.

მეორე ბრალდება, რომელსაც დ. გოგოჭური გვიყენებს. „ბახტრიონის“ გმირებთან არის დავკავშირებული. ავტორი წერს, რომ მე „გვეფშაველას ფანტაზიით შექმნილ ბახტრიონის გმირებს მივუთითებ“ და რომ „ტენდენციური ინფორმაციების წყალობით მკითხველი შეცდომაში შემყვანს და ზემირი ჭოგებით ვკამათობ ისიც ვაქვს წინააღმდეგ“. ჯერ ერთი,



ჩვენ ვეას კი არ ვეკამათებთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ვეყარდნობთ მას. კრიტიკოსმა რატომღაც ვერ შეამჩნია ჩვენს წერილში ვეას ნათქვამი. ამიტომაც იძულებული ვართ ვავიშვროთ იგი.

„ბახტრიონი, მავალითად, რამ დამაწერინა? რა მასალა მქონდა ხელთ? საიდან წარმოიშენენ პოემის გმირები? ხალხური თქმულება დამწერლობით მასალას არავფერის იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროის მებრძოლთა სახელებიც დეკარგულია, ვარდა ზეზვასი (თუშია)... ხოლო გმირები პოემის—ლუხუმი, ხონარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, ვარდა ზეზვასი ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ ამით მივლოთ რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლებში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლას. ისინი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლებში, სხვა დროს“. ან კიდევ „ორივე გმირი სუმელჯი და სანათა მე შეურიე „ბახტრიონის“ გმირებში. სანათა როგორც ვენით, სიტყვით გამამხნევებელი დღაც და სუმელჯი კი, როგორც თავისი ქვეყნისათვის მებრძოლი ვეყავი. კვირია და ლელა არიან საყუთარი ფანტაზიის ნაყოფი. იმათი ხსენება არც ქართულ ლექსში და არც ზეპირსიტყვიერებაში არსად მოიპოვება“.

მე მგონი კომენტარი ზედმეტია. დ. გოგოჭუერი მე მომაწერს იმას, რასაც თვით ვეყა სწერს, მაშინ ვინ ვეკამათება ვეყას, მე თუ პატიცემული კრიტიკოსი?

დ. გოგოჭუერი აღნიშნავს, ვეყა ჭერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ილიამ 1885 წელს აღ. ყაზბეგისაგან ჩაიწერა ამ ლექსის ვარიანტი და ვეც ლექსი გამოაქვეყნენს „ივერიაში“ ა. ხახანაშვილმა და დ. ურბნელმა.

ნულთ ვეყამ არ იცოდა ილიას ჩანაწერები ან ხახანაშვილისა და ურბნელის სტატიები? იცოდა და სეკამოდ კარვადაც, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დ. გოგოჭურის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს:

1885 წ. ა. ხახანაშვილი წერილში („ივერია“ № 220 და არა 144, როგორც დ. გოგოჭურის ჭკონია), „ბახტრიონის აღება“ (თუშეთში ვეყოფილი) წერს, თუ როგორ შევიდნენ პირველნი თუშეთში ბახტრიონის ციხის ვალაყანში და როგორ დათალა პალეოლი ზეზვამ საფეხურებისათვის. ამას ადასტურებს თვით ვეყა:

თუშ შაიჭირვეს ძალიან,
კრემლით ატირდნენ ცხარითა.
თავით დაურქვეს დროშია
მისივე შუშის ტარითა

ახლა მოვესმინოთ დ. ურბნელს, რომელსაც დ. გოგოჭუერი იმოწმებს.

დ. ურბნელი „ივერიაში“ (1888 წ., № 228,) თავის წერილში „ზეზვა და ბახტრიონის აღება“ წერს: ლექსებიდან სჩანს, რომ ხალხს მარტო

ბახტრიონის აღება და თუშე ზეზვა ვაფორინდულის გმირობა დაუხსომებია. ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო... ხალხის მახსოვრობა უფრო დიდი მატინა და ეს არ უნდა დავივიწყოთ“. ამასთანავე, დ. ურბნელი აკრიტიკებს ა. ხახანაშვილს, მან სწორად ვერ ვაიგო საყუთი და ყურმოკრულ ამბებს იმოწმებსო. აღნიშნული ორი სტატია სწორედ ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაშთი კანონიკი არაა დამძრული ლექსის ხეყსმარული წარმოშობის თობაზე და ვინსაყუთრებით ხაზგასმულია თუშების როლი ბახტრიონის აღებაში. ვფიქრობთ, დ. გოგოჭური თავისი მცდარი დებულების დასამტკიცებლად არა სწორს ვზას დაადვა და შეცდომაში შეიყვანა მკითხველი.

ბრალდება მესამე. დ. გოგოჭური წერს: „ვისთვის ან რისთვის არის საკუთო ყველაფერი ეს, ვანა რა მწინველობა აქვს ვალავანზე გოგოლაური ვადაბტა, ხონარეული (უნდა იყოს ხონარეული) თუ ვაფორინდული. ისტორიული ფაქტი ხომ ის არის, რომ ისინი ყველანი ვადაფრინდნენ ვალავანზე“. აი თურმე რა აწუხებს დ. გოგოჭურს? ჭერ ერთი, ყველანი ერთად როგორ ვადაფრინდებოდნენ ვალავანზე, მეორე — თუ ისტორიული ფაქტია, მაშინ სინამდვილეს ნუ დავამახინვებთ, მესამე და მთავარი — ვეყა, ხახანაშვილი, ურბნელი და ხალხური თქმულებით თუშებისა და მათი ბელადის ზეზვას სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

ბრალდება მეოთხე. დ. გოგოჭურს მიაჩნია, რომ ჩვენ ტენდენციური ინფორმაციები ვეყავედა, მათ შორის „ვიღაც ვეტყუვევ“. ეს ინფორმაციები ვახლავან აწ ვანსვენებელი რევაზ იჭირაული (85 წლის თუშე) მსეცვანი მონარდორ სამსონ ინაურბიძე, სოფელ ომალოს სეოლის ყოფილი დირექტორი აღ. ბახტარიშვილი და სატყუო ინენიერი აბრამ ბართიშვილი. პატიცემულ კრიტიკოსს უნდა მოვასვენოთ, რომ სწორედ ეს არის ხალხი, ესენი არიან ხალხური პოეზიის უხადლო მცოდნენი, თუმცა არც ერთი მეცნიერებათა კანდიდატი არ არის.

დასასრულ ჩვენ ვწერთ, რომ „თუშებს, ისე როგორც ფშავ-ხეყსურებს უწინ ვევათ ტანსაცმელი, რომელსაც ალავარს (ტალავერს) უწოდებდნენ“. დ. გოგოჭური ღია კარებს ამტერვეს და ვეკითხნებებს, თითქოს ჩვენ ტალავარი თუშურ სიტყვად მივეჩინდეს. რა არის ეს, ფაქტების ვანებე დამახინვება თუ ცილისწამება? ერთიც და მეორეც. ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ კრიტიკოსის მკვახე, არამეგობრულ ტონზე. ერთი რამ კი ცხადია: დ. გოგოჭური რომ მეტო დავიწრებით მოჰკიდებოდა საქმეს, გულისყურით წაეკითხა პოემა „ბახტრიონი“ და სხვა არსებული მასალები, მაშინ მას არც „ივერისი“ ნორბედა აერეოდა და არც ფაქტებს დამახინვებდა.

კრიტიკა მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა ის ობიექტურია, მართლაც — ადვილ ნუ სტყვიით!

უმჯობესება

აშშ

პოლ ნიუმანი:
„პროვალნი ამერიკელი
გაზლია“

პოლიციური კინოგარსკვლავი პოლ ნიუმანი ამერიკის შერტებულ შტატების ხელოვნების სხვა მოღვაწეებთან ერთად პროტესტს აცხადებს ჯონსონის პოლიტიკის წინააღმდეგ. უწინააღმდეგოდ „პლიგოზის“ კორესპონდენტთან საუბარში ნიუმანი განაცხადდა: „ვიტანამის ომი, ჩემი აზრით, არა მარტო არაკანონიერია, არამედ ამორალურიცაა. ამდენი უღანაშაულო ხალხის დახოცვა აღმაშფოთებელია“.

უწინააღმდეგოდ კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა მსახიობს.

„როგორც ცნობილია, მარლონ ბრანდომ დაამთავრა თავისი ბოლო ფილმი და განაცხადა, რომ მთელი თავისი ენერჯიას მოახმარებს ჯანგების პრობლემის საკითხს ამერიკის შერტებულ შტატებში. რას იტყვით ამის შესახებ?“

„მე ვაპყობ მარლონ ბრანდომი. მას სურს დამტკიცოს, რომ თეთრკანიანები არა მარტო აღშფოთებული არიან ჯანგების მდგომარეობით, არამედ იბრძვიან კიდევაც მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

„თქვენ დაინტერესებული ხართ ჯანგების პრობლემით. მისი განხორციელების რომელი გზა მიგაჩნიათ უფრო ეფექტურად?“

„არსებობს ორი გზა — კანონიერი, რომელმაც დიდი ხანია დაამტკიცა თავისი უეფექტობა და გზა — რეალური, პრაქტიკული მოქმედებისა. ახლა, როდესაც 16-დან 26 წლამდე ასაკის ჯანგების 22 პროცენტი უმუშევარია, მთავარი პრობლემაა მათი დაკმაყოფილება“.

„ჩემი აზრით, თქვენ ამართლებთ ძალადობას ჯანგების მხრიდან?“

„არა, მე არა ვარ ძალადობის მომხრე, მაგრამ თუ გადავხედავთ ამერიკის ისტორიას, ყველა პოლიტიკური გამარჯვებას თან სდევდა ძალადობა. და დღეს ვაცდლებით მეტი ფაქტებია ძალადობისა, ვიდრე უწინ“.

„კინგის მკვლელობას თქვენ მიაკუთვნებთ ამგვარი მოქმედების შედეგს?“

„რასაკვირველია. ეს არის თეთრი რასიზმის შედეგი, და ასეც რომ არ იყოს, თუ ჩვენს ქვეყანაში მკვლელობა ვახდებდა პოლიტიკური ბრძოლის მეთოდი, ეს იმას ნიშნავს, რომ დადგა დრო გადავხედოთ მთელ ჩვენ პოლიტიკურ სისტემას“.

„თქვენთვის ცნობილია, რომ სექს-ვარსკვლავად

გთვლიან. როგორ უყურებთ ამ ამბავს?“

„ჩემი სურვილია ყველამ გაიგოს, რომ სხვა ღირსებებთან ერთად მე მაქვს ქქუა, გრძნობა, ტალანტი, პოლიტიკური შეხედულებები. ჩემი ოცნებაა მომიგონონ, როგორც თავმდაბალი, პათიოსანი ადამიანი, რომელიც ყოველთვის იყო აღამიანებთან და ცდილობდა ხელი შეეწყოს მათი ურთიერთგაგებისათვის. ყოველი ადამიანი უნდა ისწრაფოდეს ამისკენ, ვს ყველაზე მთავარია ცხოვრებაში“.

ბრაზილია

ცნობილი

სურთომოდღვრის
წიგნი

გამოვიდა ცნობილი ბრაზილიელი არქიტექტორის ოსკარ ნიმიეირის წიგნი „თითქმის მემუარები“. წიგნში მოთხრობილია ავტორის ცხოვრებაზე, მუშაობაზე, ფიქრებზე, აღამიანებთან ურთიერთობებზე.

სახელგანთქმული ხუროთმოძღვრის, ოსკარ ნიმიეირის პროექტით აშენდა ახალი დედაქალაქი ბრაზილია, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა პარიზში, ქალაქი გრასის სამხრეთ საფრანგეთში, გა-

ერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა ნიუ-იორკში, უნივერსიტეტი განაში და სხვა.

წიგნში ნიმიერი გულისხმობს იგონებს ქალაქ ბრაზილიის აეროპორტის მეტად ორიგინალურ პროექტს, რომელიც დაიწყო, როგორც „კომუნისტური“, სამაგიეროდ მოიწონეს სხვა არქიტექტორის უცემოვნო პროექტით.

როგორც ბრაზილიის პრესა იტყობინება, ოსკარ ნიმიერის მემუარები მეტად საინტერესო წიგნია მეთხველითა სხვადასხვა ფენებისათვის.

ესპანეთი

იბაროლას კალაზ ცინიტი მშუპრებანი

როგორც პრესა იტყობინება, ფრანკისტულ ხელისუფალთ განზრახული აქვთ 12 წლით დააპატიმრონ ცნობილი ბასკი მხატვარი აგუსტინ იბაროლა და მისი ძმა ხოსე მარია. მათ წინააღმდეგ შედგენილია ყალბი, პროვოკაციული ბრალდება. თითქოს 1967 წლის მაისში ბილბაოს მცხოვრებთა ერთ-ერთი დიდი მანიფესტაციის დროს, „ისინი თავს დაესხნენ პოლიციას“. ძმები დაიპირეს და გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს. მას შემდეგ პატიმრობაში იმყოფებან. მხატვარი შეუპოვრად იბრძვის მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. 1947 წელს აგუსტინმა მოაწყო თავისი ნამუშევრების პირველი გამოფენა და სხვა მხატვრებთან ერთად ღიარა ბასკეთის ბერძნ სოფელი. თავის ნახატებში იგი გამოხატავდა უბრალო ადამიანების ცხოვრების ტრაგედიას. მიუხედავად მრავალჯერ და-

პატიმრებისა და წაშებისა, მხატვარი განაგრძობდა ბრძოლას. 1962 წლის სექტემბერში პოეტ ვრლანი დე ნიკოლასთან, ხოსე მარია იბაროლასა და სხვებთან ერთად აგუსტინ იბაროლას სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა ხანგრძლივი პატიმრობა. მხატვრის ნიერცხეში არალეგალურად შესრულებული ნახატები დიდი პოპულარობით სარგებლობდა — პარიზში, ლონდონში, ამსტერდამში, ბრიუსელში.

სოფლიო პროტესტის შედეგად იბაროლა გაათავისუფლეს პატიმრობიდან. ახალმა მუქარამ კვლავ აღაშფოთა ესპანეთი. პარიზში შეიქმნა მხატვრის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ პიკასო, კარლოს ალვარესი, ანდრე მასონი, ბერნარ ბიუფე და სხვები.

ინგლისი

ვანესა რედგრევის ბიძაშვიდი

ცნობილი ინგლისელი მსახიობი ვანესა რედგრევი, რომელსაც განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა ანტონიონის ფილმმა „ფოტოგადიდება“, გადაღებებთან დაკავშირებით აშუაშად იტალიაში იმყოფება. იტალიელი რეჟისორი ელიო პეტრი იღებს ფილმს „მუდრო ადგილი სოფელში“, რომელშიც ვანესა რედგრევი მთავარ როლს ასრულებს.

არც თუ იც დიდი ხნის წინათ ლონდონში, ამერიკის შერთებული შტატების საელჩოს წინ გამართულ დემონსტრაციაში რედგრევიმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას ვიეტნამში, ამერიკის პრესა თავს

დაესხა მსახიობს. მიუხედავად დიდი მუქარისა, ვანესა კვლავ შეეცადა ჯრი გამოეთქვა ამერიკელთა აგრესიავე ვიეტნამში იმ პრესკონფერენციავე, რომელიც რომში თვითონ მოაწყო უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

„მე მინანია, — განაცხადა ვანესა რედგრევიმა. — რომ ჩვენ დროში ყოველი ადამიანის წმინდა მოვალეობა იბრძოლოს მშვიდობისა და მეგობრობისათვის. სწორედ ამ მიზეზით ვმოაწილეობდი ან კვლავაც მივიღებ მონაწილეობას ყველა იმ მანიფესტაციაში, რომლებიც ამ მიზანს ემსახურებიან. მე პროტესტს ვაცხადებ ყოველგვარი ომის წინააღმდეგ, ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, ჯონსონის პოლიტიკისა და ამერიკის შერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ მშვიდობიანი ქვეყნების საქმეებში. ეს სანტო-დომინგო იქნება, თუ ვიეტნამი.“

იმ ამერიკული კინოფორმის მფლობელებმა, რომელთაც ვანესა რედგრევის დადებული აქვს კონტრაქტი, და რომელიც აფინანსებს ფილმს „მუდრო ადგილი სოფელში“, ურჩიეს მსახიობს გაჩუმებულიყო იმ მიზეზით, თითქოს მისი საქარო გამოსვლები ხელს უშლიდეს ფილმების პოპულარიზაციას.

სხვადასხვა მოსაზრებების გამო, კერძოდ იმის გამო, რომ ფილმში მონაწილეობს მისი ახლო მეგობარი, დამწყები მსახიობა ფრანკო ნერო და ვანესას არ უნდა ხელი შეუშალოს მის წარმატებას. მსახიობმა ვერ შეძლო კონფლიქტის გამწვავება და იძულებულია გაჩუმდეს. ყოველ შემთხვევაში თავი შეიკავოს მანამ, სანამ ვადა არ გაუვა ამერიკის შერთებული შტატების კინოფორმისთან დადებულ მის კონტრაქტს.

საბერძნეთი

ვასილის ვასილიძის
საფორმლოს ტრავმების
შესახებ

ვასილის ვასილიძის შვიდი წიგნის ავტორია. იგი ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატია საბერძნეთში. 1961 წელს 28 წლის ვასილიძის მიენიჭა ლიტერატურული პრემია „თორმეტთა პრემია“. სამშობლოდან გაქვევებული მწერალი ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში. საბერძნეთში მისი გვარი „პოლიტიკურ დამინაშავეთა“ შავ სიაშია შეტანილი.

საფრანგეთში ახლახან გამოვიდა ვასილიძის წიგნი „ტრილოგია“, რომელშიც შესულია სამი პატარა რომანი: „მცენარე“, „ქა“, და „ანგელოს ანგელიდის“.

„ფიგარო ლიტერერის“ კორესპონდენტთან საუბარში

რში ვასილიძისმა განაცხადე: „მართალია, ჩემს რომანებში ბევრი ალეგორიაა, მაგრამ ყველა ალეგორიის ფუძე დღევანდელი საბერძნეთის სინამდვილეშია. „თორმეტთა პრემიას“ საბერძნეთში ახლა აღარავის მიაკუთვნებენ, ვინაიდან კანონი კრძალავს ხუთზე მეტი კაცის თავშეურას. ახლა წიგნებს წერენ პოლიკოვნიკები. სახელმწიფოში ბატონობს თვითნებობა. თუ თქვენს მოელვარე თვალეზში ამოიკითხეს კომუნისმიზმის გამარჯვების იმედი, შეიძლება დაგიპირონ კიდევ“.

მწერალს სწამს და სჯერა ბერძენი ხალხის ძლიერების, მისი გამარჯვების.

საფრანგეთი

პოლ ელუარის

მიმდინარე წელს საფრანგეთში პირველად გამოვი-

და პოეტი კომუნისტი, პოლ ელუარის ლექსებზე სრული კრებული ორ ტომად. წიგნში შესული ლექსები დათარიღებულია 1918 წლიდან 1952 წლამდე.

პოეტის მეგობარი ლუსინე შელერი ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა ამ კრებულზე. გაზეთ „ლუმინიტი“ შელერი წერდა: „მე ვცდილობდა ყველა ისტორიული და ლიტერატურული ფაქტი აღმედგინა, რათა ლექსები სათვის თავ-თავისი ადგილი მიმეჩინა. ელუარის მთელი პოეზია გამსჭვალულია თავისებური, განუმეორებელი სიმღიერით“.

„ლეტრ ფრანსეზის“ მიმომხილველი წერდა: „მკითხველები დიდი ხანია ელოდნენ ელუარის თხზულებათა სრული კრებული გამოცემას. ეს ორი ტომი დიდად შეუწყობს ხელს ელუარის შემოქმედების შესწავლას“.

ქურნალი გააფორმა დ. ზარაფიშვილმა

ვ. ი. ლენინი. ლინოგრაფიურა ა. კალაშნიკოვისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუხანოვის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პარკის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/X-68 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 34.77. უე 02539. ტირ. 16.900.

საქ. კ კვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატო. თბილისი, ლენინის 14.

6 26/193



ՅՆՆՈ 60 ՅՅՅ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ


«ЦИСКАРИ»

издательство
«М Е Р А Н И»
ИНДЕКС 76236

11.11

11

1968



ის ჩვენთანაა, ლენინი,
ის მხეებზე იცოცხლებს დიდხანს.
ის სიტყვას არ აძლევს აგრესორს,
ის ომებს არ აძლევს სიტყვას.

შორს უსამართლო ომები,
ცად რისხვის გარდამკლენი.
მხოფლიოს ხაღხს უნდა მძეიდობა,
მხოფლიო ტაძს უკრავს ლენინს.

სესია

138

ბავოციების მეთორმეტი წელი

11

ნოემბერი

1968

თბილისი



ლიტერატურულ-მსახვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

პოეზია

- 3. ზაურ ბოლქვაძე. წითელი მოედანი. ლექსი
- 18. ნაზი კილასონია. საღამო შენ, ჩემო რომანტიკავ! ლექსი
- 21. ვანო ჩხიკვაძე. ინფორმაცია ავტობიოგრაფიული შავი ანტიტიმ. ლექსი
- 64. ტარიელ შანტური. სტუმარი. ლექსი
- 67. გიორგი გიგაური. მყინვარის ნათქვამი. ლექსი
- 68. ალექსანდრე ბლოკი. ТЫ ПОМНИШЬ? В НАШЕЙ ВУХТЕ СОННОЙ... ლექსი. თარგმნეს: შოთა ნიშნიანიძემ. ვახტანგ ჭავჭავაძემ. ემზარ კვიციანიშვილმა. გვი ბეგეკორმა

პროზა

- 4. შოთა აბოგია. უკანასკნელი ტივი. მოთხრობა
- 23. გიორგი გელაშვილი. ჩემი თბილისი. მოთხრობა
- ნარკვევი
- 72. ლალა მგელაშვილი. სტორის ხეობაში
- 77. ვახტანგ გორგანელი. ძირს ჩამოსული ლაქვარ-ღებე

ლენინიანა

- 80. მარია სილაგაძე. ალიოზა ჯაფარიძე — „მატერნილიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტები

სადისკუსიო ტრიბუნა

- 85. ზურაბ კიკნაძე. „არ შეამოკლოს ქართული...“
- წერილები
- 100. ა. კოლოსკოვი. „პოეტის ტრაგედია“.
- 112. ივანე ქავთარაძე. რუსთაველი და „მეფისტაქო-სანი“
- 122. მანანა ასათიანი. იოსებ თბილელის „ღმრთო-რავინანი“
- 129. არჩილ ბარამიძე. დავით ბაგრატიონის საჯობადო-ეპრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა საკითხის-თვის

ხელოვნება

- 139. თევდორე შალივაიანი. ჩემი ცხოვრების ფურცლები. თარგმნა ეთერ კეჭელაძემ
- ჩვენი კალენდარი
- 149. გიორგი ნატროშვილი. ეპოქის მხარდამხარ
- წიგნების სემპაროვი
- 153. ზურაბ ბათიაშვილი. „ასია“
- 154. თამაზ შილაძე. „მოგი დიკი“ ქართულად „ცისპრის“ ფოსტიდან
- 156. გრიგოლ ზარდალიშვილი. ვინ თქვა „აღვილი“
- 158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
 ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ზურაბ ასათიანი,
- აკაკი ბაქრაძე,
- გივი ბეგეჭორი,
- ზურაბ გვირგვინი,
- მერაბ ელიოზოვი,
- კარლო კალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პაპორია
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ წერეთელი,
- ნოდარ წულუკიძე,
- ტარიელ შანტური,
- სერგი შილაძე,
- თამაზ შილაძე,
- ლავა ჯანაშია.

წითელი მოედანი

კაცობრიობის დადებას და იმედებს იტყვს,
მილიონების გულები და ფიქრები ელტვის,
ამხანაგებო! ყური უგდეთ მოედანს წითელს,
სწორედ აქ ფუტყავს ჩვენი დიდი პლანეტის მკერდი.

მას ბევრი ახსოვს გამარჯვების დიადი ჰიმნი,
პარტიის ჰიმნი, გრიგალებში გამოვლენილი.
ორმოცდაერთის იმ მრისხანე ოცდაორ ივნისს
მავსოლუემის ტრიბუნაზე იდგა ლენინიც.

ახსოვს საბჭოთა მეომრების ფიცი მარადი
და ტრიბუნიდან ვაჟკაცურად ნათქვამი სიტყვა,
ისტორიული ნომბერის ახსოვს პარადი,
რომელიც შემდეგ შემართების ლეგენდად იქცა.

წითელ მოედანს კრემლის დიდი სიმაღლე შეენის,
სულში სამშობლოს სადიდებელ ჰანგებს რომ აქსოვს,
ახსოვს ტრიუმფი გამარჯვების მაისის ჩვენის,
კოსმოსის გმირთა გამარჯვებით შემოსვლა ახსოვს!

გულებში შრომის და გმირობის სიმღერებს გვინთებს,
მილიონების უწმინდესი ფიქრები ელტვის,
ამხანაგებო, გაუმარჯოს მოედანს წითელს —
სწორედ აქ ფუტყავს ჩვენი დიდი პლანეტის მკერდი.





ყანასნელი ზივი

როცა საწყენ ამბავს გაიგონებდა, ბილუს მაშინვე ცრემლი შეუღლიტინებდა და ცხვირს დააცემინებდა.

ასე დაემართა ახლაც. გაიგონა თუ არა, ამიერიდან წყდება ენგურზე ხეტყის დატურება და მეტივეებმა ხელობა უნდა გამოიცივლონო, ცხვირი ზედზედ დააცემინა.

ეს ამბავი ახალგაზრდა მეტივეებმა — მურზამ და ჭერვემ მოუტანეს ჯვარიდან, დატურების მესვეურებს გამოეცხადებინათ: ვისაც ტივი აქვს, დაატუროს, სანამ კიდევ დრო არისო.

ბილუს კი იმედი ჰქონდა, საგაისოდ თუ არა, წელს მაინც იქნებოდა საჭირო ტივიცა და მეტივეც. იცოდა, რეიდის მშენებლებმა ბავირის იმნაირი ბა-

დე გაჭიმეს ენგურზე, არამც თუ მორებს, ნაფოტსაც არ გაატარებდა, მაგრამ მდინარის სანაპიროები ჯერაც მორებით იყო მოფენილი. ისინი ენგურმა აღრე გაზაფხულზე, ბავირების გაკომვამდე, გამოსტაცა რეიდის მშენებლებს. ჰოდა, იმ ზღვა ხეტყეს დატურება არ უნდოდა?

მაგრამ თავაკაცებს ეთქვათ: წყალი რომ დაიკლებს, იმ მორებსაც მანქანებით წავიღებთო და ბილუს გული დაწყდა.

ძველი მეტივე განსაკუთრებით იმან შეაშფოთა, გამზადებული ტივი არ ჰქონდა.

გადაწყვიტა, იმ დღესვე შეეკრა ტივი. მზეს ახედა, ნაშუადღევი იყო.

თითქოს ნიშნის მოგებით გაუღიმა მზემ:

„ვერა, ვერ მოასწრებ ტივის შეყვრას!“
„აბა, ვნახოთ!“

● ბილუს დაცლილი ჰქონდა, ახალსადა-რდელს ცოტად თუ ბევრად აქარვებდა ძველი, უფრო სამწუხარო ამბის გახსენება. ამიტომ, როცა ენგურისკენ წყვილ კამეჩს მიერეკებოდა, ძველ ცეცხლს წაეპოტინა: ახალგაზრდობისას გარდაცვლილი პირველი მეუღლე გაიხსენა: „ვაი, შე საცოდავო ჰადუ!“ — მერამდენედ იმეორებდა ოდესღაც ქვითით წარმოთქმულ სიტყვებს.

მერედა, რა „თოლისკვამი“ იყო! ობლობაში გაზრდილი, მასავეთ ობოლ ბილუს ამოუდგა მხარში და... „ვაი, შე საცოდავო ჰადუ!“

ენგურს რომ მიადგა, გულზე მოეფონა.

„მეტივემ წყლის პირას სიკვდილი არ უნდა ახსენოს, არც გარდაცვლილები უნდა ახსენოს“ — არიგებდა პაპა. ბილუმ არც ახლა უღალატა ამ შეგონებას და ნაღვლიანი ფიჭრი შეწყვიტა.

— გამარჯობა, ენგურო!

— გაგიმარჯოს, ბილუ!..

ბილუს მარტოობისას ენგურთან „მასლაათი“ უყვარდა. ცხადია, ასეთ დროს მდინარის სათქმელსაც თვითონ მოაბამდა თავს, დარჩეულ სიტყვებს გამონახავდა საამისოდ.

„მეტივეებმა ხელობა უნდა გამოიცვალონო, ალბათ, გაიგებდი, ენგურო!“

— „მერედა, ამან დაგალონა, ბილუ? ზოგიერთი კაცი საცერივითაა, მარტო ერთი საქმისთვის გამოდგება. ჰოდა, ვინც საცერი არაა, სხვა რამეში უნდა ივარგოს!“

— „მართალი ბრძანებაა, მაგრამ მოგხუცდი, ენგურო, რაღა დროს ჩემი ხელობის შეცვლა! აგერ, ამ კამეჩებმა იციან, დღეს რატომ არ ვიყავი ჯვარში.“

— „რატომ არ იყავი?“

— „არ მინდოდა ჩემი ყურით გამეგონა, მეტივეები აღარავის დასჭირებდაო.“

— „რას იზამ, ბილუ, წარსული მტკლევ პერანგივითაა, დღევანდელ დღეს ვერ გამოადგება ის პერანგი და რას იზამ!“

— „მე კი ის პერანგი მირჩენია, ჩემს ზომასზეა გამოჭრილი.“

— „გმონდეს ბილუ ის პერანგი, ოღონდ ნუ გამოაჩენ. სადმე საკუჭნაოში შეინახე!“

„უყურე, რას მეუბნება ენგური!“ — ახლა კამეჩებს მიუბრუნდა ბილუ. ოღონდ ხმაში ბზარი ეტყობოდა. ძველი მეტივე ძველებურად ველარ ხუმრობდა.



აქოჩრილ ტალღებში ზოგჯერ ნაპერწყალი გაიკიაფებს... მაგრამ ციკინათელსავეთ ცივია ის ნაპერწყალი, და მაინც, ტალღების ქეჩოდან ბუნა-ბუნად წამოშლილი ცინცხლები მოტკაცუნე კერიის შთაბეჭდილებას ქმნის და ბილუს ესეც ეყოფა, რომ ძვლები გაუთბეს.

— ეს უქანასკნელი ტივი იქნება, კამეჩებო! — მოხუცს ხმა უქანკალებს.

პირველ წუთებში, როცა სატივე მორებს მარტოკამ დაჰკიდა ყვეარი, თანაშემწეების — მურზასა და ჯერგეს ხელი ინატრა. ახლა კი უხაროდა, რომ ისინი არ იხმო და უკაცრიელ რიყეზე თავისუფლად შეეძლო კამეჩებთან მასლაათი:

— ეს თვრამეტი მორი, კაი თვრამეტ მძას არ ჰგავს? ჰა, როგორ იტყვიო! — ბილუ ხუმრობდა, მაგრამ მისი კილო რაღაცნაირად წააგავდა მოთქმას.

მორები მდინარის პირას ისე მოხერხებულად დააწყო, ბერკეტის თითო ბიძგი და ყოველი მათგანი წყალში მოადენდა ტყაპანს. ყვეარს უღელა ახადა.

უღელი ახლა უფრო მძიმე ეჩვენა. ჩამოჯდა, სული მოითქვა, მოეჩვენა, ტალღები ჩვეულებრივზე მეტად ქო-

შოთა აპოზია
შპანასკნელი ბივი

თქოთბდნენ და ენგური რაღაცაზე წუხდა.

— ერთგან მდინარის ტოტს კალაპოტი ეცვალა, კოწახურის ბუჩქს შესჭიდებოდა გაშმაგებული ტალღები... და კოწახურის ბუჩქი წუხდა.

მომწვანო, ხშირი ფოთლებით აბოლბებული ქაცვის ბუჩქები ჰირისუფლებივით იდგნენ კოწახურის გვერდით. ერთ მათგანს ალისფერი ნაყოფი დაეყარა და მეტივეებისაგან მიტოვებული ცეცხლივით ბრიალებდა ზედ წყლის პირას.

„დაიღუპა ეს საწყალი ქაცვი, ლამაზი კია!“

და მოეჩვენა, ქაცვის ალისფერი ნაყოფი ერთბაშად გაუფერულდა: შიში ხომ ყველაფერს აუფერულებს!..

ბიღუმ იცის: დადლილობა უჩინარი ლურსმანი, საცა ზიხარ, იქვე მიგალურსმავეს, ძველი მეტივე ახლა ჯირკვზე კი არ ზის, მილურსმულია მასზე, ამიტომაც უჭირს წამოდგომა. ერთი ორჯერ წამოიწია, მაგრამ ამაოდ.

მოგვიანებით წამოდგა. ლამაზტარიან ჩენგს ფხა მოუსინჯა. პირველად აპირებდა წესის დარღვევას: ახლავე უნდოდა, საყუღუფეები ამოეჭრა მორის თავებზე.

კარგად იცოდა, ვეება მორი, ასე მშვიდად რომ წევს ხმელეთზე, გაუხედნელი კამეჩივით ურჩია წყალში. მორს ორი პირი აქვს — საწყლისო და საცისო. ახალბედა მეტივეებმა ეს არ იციან, საყუღუფეს ხმელეთზე ამოჭრიათ. მორი კი წყალში გასწორდება და ამონაკრის ქვეშ მოიქცევა.

გამოუცდელნი ასეთ დროს დაეჭიდებიან მას და საწყლისო პირს ცისკენ მოუქცევენ, ხელმეორედ რომ არ დასჭირდეთ საყუღუფეს ამოჭრა. ის კი არ იციან, ამნაირად გადმოპირქვევებული მორი ტივს თუ მიაბი, მანამ არ მოისვენებს გზაში, სანამ წკნელსაც არ დაღრღნის და თოქსაც.

ბიღუ შეეყოყმანდა: მორის საცისო პირს ხმელეთზე ვერ მიაგნებ, წყალში კი დამხმარე დასჭირდება!

და გაახსენდა ანდაზა: კენტ წელი მესიაკონმაც ვერ მიაღობაო. ჩამავალმა მზემ გაუღიმა:

„ბიღუ! ხომ ვერ მოასწარი ტივის შეკვრა?“

„მოვასწრებ, თენგოს დავიხმარიებ და მოვასწრებ! ტივის წყევანაშიც დავიხმარიებ თენგოს, აბა, რა გეგონა!“

ენგურის ჭალებზე ჩამოწოლილ დამეს ღრმად ეძინა თხელი ნისლის საბანში, როცა ბიღუმ და თენგომ ტივის შეკვრა მოათავეს.

ურაშის მთიდან სავსე მთვარე ამობრწყინდა:

„ყოჩაღ, ბიღუ! მზეს ვეტყვი, ტივის შეკვრა რომ მოგისწრია.“

„ნუ შეწუხდები! ხვალ დილით თვითონ არ ნახავს?“

იმ დამეს ბიღუს დაეისობრა: კიდიო კიდე სანთლები ენთო ენგურის ნაპირებზე და მათი მოყვითალო შუქი მიაცილებდა უქანასკნელ ტივს.

წიწიშის მოსახვევთან ურთხმელის მორს ხერხავდა გარდაცვლილი მეტივე ჯოტო.

სისოხერხი წიოდა ურთხმელის ტანში და ისეთ წითელ ნახერხს აფრქვევდა, მორს თითქოს სისხლი სდიოდა.

„ეს უქანასკნელი ტივია, ჯოტო!“ — დაუძახა ბიღუმ და საკუთარი ხმა ვერ იცნო.

ჯოტო შეჩერდა და ნაპირზე ყველა სანთელი ერთბაშად შეტორტმანდა, ისინი თურმე გარდაცვილ მეტივეებს ეკავათ ხელში.

„ოო, რამდენ მეტივეს უტხოვრია ამ ქვეყანაზე!“ — გაიკვირა ბიღუმ.

„ო-ო!“ — ამოიკენესა სანთლებით აბრიალებულმა სანაპირომ.

„ხმა გამოგცვლია, ბიღუ“, — ეს ჯოტო აღებდა პირს, მაგრამ ვიღაც უცხო ლაპარაკობდა.

გარდაცვილ მეტივეთა შორის მრავალი ნაცნობი შენიშნა ბიღუმ. ისინი

აღებდნენ პირს, მაგრამ სიტყვების ნაცვლად რაღაც რახრახი ისმოდა.

გაეღვიძა. რიჟრაჟი ახლოვდებოდა. ტანში ყრუ ტკივილებს გრძნობდა.

წამოდგა. არაყი დაისხა და დაყნოსა; არ ეამა. ახლა კონიაკიც დაყნოსა; კონიაკს თითქოს თავლის სუნი ასდიოდა.

სპირტეულის სუნი ბილუს თერმომეტრის მაგვირობას უწევდა: როცა ტანში „უქმურის ფათურს“ იგრძნობდა, ღვინოს ან არაყს დაყნოსავდა. შეცვლილი ეჩვენებოდა სასმელის სუნი და უკვე იცოდა, სიტყე ჰქონდა.

„ნამდვილად ავად ვარ! — გაიფიქრა შეცბუნებულმა, — ტივი მაინც უნდა წაიფიყნო“.

ჩაცმას შეუღდა. სამგზავრო თადარიგი ისე ფრთხილად მოითავა, თითქოს შინიდან გაპარვის აპირებდა.

„შვილიშვილსაც უნდა ვაკოცო!“ — გაიფიქრა და ოთახის კარი ქურღულად შეაღო.

პატარა ბიჭუნა აკვირდნენ ამოეყვანათ და ლოგინში მშობლების გვერდით იწვა. სამივეს ღრმად ეძინა.

„ჯიმა-აჯამი, რა ექნა ახლა? — გაიფიქრა ბილუმ, — რძალმა რომ გაიღვიძოს, შერცხვება. ამას მაინც ვაკოცებ!“ — და სარწვევლაზე დაკიდულ პაწაწინა პერანგს წაუპოტინა.

პერანგს რძისა და ბაღლის ოფლის სუნი ასდიოდა.

ძმის ეზოში შეალაჯა.

თენგოს აივანზე ეძინა. ეტეობოდა, მოკლე ტახტი ეპატარავა და ფეხები პირდაპირ რიკულზე დაეწყო.

ბილუმ მაშინვე შეამჩნია ჭრილობა მარჯვენა ქუსლზე. ღია ჭრილობაზე რაღაც ფხვნილი დაეყარათ. ნაყონ სისხლს ფხვნილი გაეჭევაებინა, კაჟისფერად შეედგა.

— ეს ალბათ წუხელ დაემართა და არ გამიძინა! მაგრამ ვაქცაცი დადგება ეგ მამაძალი! ხუმრობა როდია, თხუთმეტობდე წლის ყმაწვილს წვეტიანმა ქვამ ასე გაუბასროს ქუსლი და

ერთიც არ დაიკვნესოს!.. ცოტათი კოჭლობდა აქეთობას, და აი, თურმე რატომ!

ბილუ ყოყმანობდა, გაეღვიძებინათ თუ არა ბიჭი... ამასობაში თენგომ თვალი გააჭყიტა, თავი წამოსწია და ნაჭრილობებს რომ ისინჯავდა, ბილუც დაინახა.

- გამარჯობა, ბილუ ბიძია!
- იღვებრძელე, თენგო!
- ამ წუთას ჩაიცივამ, ბილუ ბიძია, ამ წუთას!
- არა, თენგო ჩემო, წუხელ იმდენი გაჯახირე, იქნებ შეუძლოდ ხარ!
- ძალიან კარგად ვარ.
- აბა, არაფერი გტკივა?
- არაფერი!

„უყურე შენ, ახლაც არ ამხელს! — გაიფიქრა ბილუმ, — კარგი ვაქცაცი დადგება ეს ბლარტი“, — შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა! — აბა, მე წავალ და სატივებე დაგელოდები.

ასამებედ გაშადებული ტივი თითქოს ტალღებზე კი არ ირწეოდა, ყოყმანობდა.. და ბილუ სულგანაბული უმზერდა ტივს, რომელიც „ყოყმანობდა“, სანამ რაღაც ვადაწყვეტილებას მიიღებდა.

ამასთან ტივი გავდა შფოთვაში დამენათევს! საგულდაგულოდ დაგრეხილ საულლე წკნელებს ჯანი გლეოდათ და აქა-იქ ნებაზე მიეშვათ მორები. თოკიც მოზომებულყოფი და ნალამბის გვირისტივით ვასდევდა ტივს,

ბილუს ერთ ხანს არც გახსენებია, რომ წუხელ ჩქარობდა და ტივს ამიტომაც აკლდა სიმტკიცე. პირიქით, რაც უფრო მეტ ხარვესს ამჩნევდა, მით უფრო სჯეროდა, რომ ტივი... „მთელი ღამე შფოთავდა!“

„თენგოს მოსვლამდე ტივი უნდა გავამავრო!“ — ჩაილაპარაკა და წულა

ფოთა აკოვია
შპანასანელი ტივი.

გახიხადა, ძიქვაც. გაქათქათებული სა-
ცვალი კვირისთავებამდე აიკარწახა.

„საშქავურო“ მორზე სამწიკრა გააწ-
ყო, საგზალი და სამოსი ზედ და-
ჰკიდა. შემდეგ კოსილებს ორთაყვი-
რები მოარგო და ხაპს გამწეობა მოუ-
სინჯა.

ხაპმა შესძრა თუ არა, ტივი კიდევ
უფრო მოფამფალდა: „აფსუს! — დაი-
ჩივლა ბილუმ, — ნაჩქარევი საქმე და
შუშაბანდში გამოყვანილი კიტრი ალი-
კვალია; ვერც ერთს ჩაატან გემოს და
ვერც მეორეს!“



აი, ბილუ ამავრებს ტივს.
ასე დამყოლი არასოდეს ყოფილა
საულღე წნელი, არც სატივე თოკი
ყოფილა ასე დამყოლი არასოდეს... და
ბილუ ამავრებს ტივს, უკანასკნელ
ტივს!

არც სატივე ყოფილა აქამდე ასე ლა-
მაზი! ამ დილით ბევრი ვერცხლი
ურევია წყალში, იმდენად ბევრი, შეგი-
ძლია, მორევს კარაქივით ჩამოაჭრა
ტალღა.

ნიავეჩარი უბერავს.
ეს ნიავეჩარი კი არა, მდინარის ამო-
ნასუნთქია, დროდადრო გამოერევა კალ-
მახის სუნნი, ხანაც წყლის მურიჟიან ზე-
დაპირზე აბოლებული ნისლის შუშ-
ხუნი.

მზე ამოწვერა.. და ვერცხლისფერი
აკიაგებულმა შვიდფერმა შესცვა-
ლა. ახლა უფრო შესქელდა წყალი.
შიგ ოქრო გაერია.

გარშემო ყველაფერი იმიტომაა
ორმაგად ლამაზი, რომ ეს დილა თავ-
ზე ადგას უკანასკნელ ტივს.

კელაპტრების მავიერ ნაირფერი
სხივები აუნთია დილას! ამიერიდან
აღარ იქნება ტივი!.. აღარ იქნებიან
მეტივეები!.. და ეს ამბავი იმდენად
დიდია, მთელი სოფელი აქ უნდა იყოს
ამ დილით!.. თენგო კი იგვიანებს!

ყველა მეტივე ენგურს უნდა გას-
ცქეროდეს ამ დილით, მაგრამ არც
ერთი არ ჩანს.

„მეტივეობა კი ვასწავლე ყმაწვილ
კაცებს, — ფიქრობს ბილუ, — ოღონდ
გულით ვერ შევაყვარე თურმე! თვით
გუშინდელი თანაშემწეებიც — მურზა
და ჯერგე მეტივეობის აღსასრულს ისე
შეხვდნენ, თითქოს მათი შორეული ნა-
ცნობი გარდაცვლილიყოს და მეტი
არაფერი“.

— ეპეჰია, ბაბა! — იძახის ბილუ. —
არ მეგონა, მეტივეობის აღსასრულს
თუ შევესწრებოდი! ალბათ ისეთი
დროც მოვა, ხე-ტყის მასალაც არ
იქნება საქირო. რალაცით შესცვლიან
მერქანს, უკანასკნელი ფიცარი დაიხე-
რხება და... — ბილუ შეაშინა ამ სიტყ-
ვამ, — „უკანასკნელი ფიცარი“. მოე-
ჩვენა, ის რალაცით ჰგავდა „უკანასკნელ
ყანას“, „უკანასკნელ ბოსტანს“...

ფერდობზე თენგო შენიშნა. იგი მოი-
ჩქაროდა... და თითქოს მოიჩქაროდა
არა ტივის ასახსნელად, არამედ — გა-
სასვენებლად!

— ცოტა ხანს დაგეცადა, თენგო! არ
მოსულიყავი, ბიჭო, ჯერ! რა გეჩქა-
რებოდა! — ბილუს თვალზე ცრემლი
მოადგა.



ტივი ქვის ყორეში ჩაჭედულ მომ-
ცრო მორზე იყო გამობმული სამარ-
ქაფე თოკით. წყლის მოძალეზულ დი-
ნებას თოკი მშვილდის ლამბივით დაე-
კიმა.

თენგო ტივზე ამოვიდა თუ არა,
ლამბი შეთრთოლდა: „რა მგრძნობია-
რეა ტივი! — გაიფიქრა ბილუმ. — ცი-
ცქნა ბიჭის ნაბიჯსაც იგრძნობს და
სათვალავში ჩაადგებს!“

— თენგო, ამ ტივმა რა მითხრა,
იცი?

— რა გითხრა, ბილუ ბიძია?

— მერე გეტყვი. ახლა მიდი და ქვის
ყორე შეამსუბუქე!

ბიჭი ყორეს მიადგა. ლოდების გა-
დაგორებას შეუდგა და მორს თავი გა-
მოუჩინა. შემდეგ ადგილი შეინაცვლა,
რათა მეორე ბოლოც გამოეჩინა მორის-
თვის.

— აგრე არ უნდა! — დაუძახა ბი-
დუმ. — ცალ მხარეზე შეამსუბუქე
ყორე. დანარჩენს ტივი მოითავსებს:
დაცერავს მორს და დაითრევს.

თენგომ კიდევ რამდენიმე ლოდი გა-
დაავორა.

ჯერ ტყაცანი გაისმა, შემდეგ მორი
წამწმომის ისარივით შეტრიალდა აზვი-
ნული ქვების შუაგულში და ყორემ
გუგუნით იწყო დაშლა.

— ტივისკენ, ტივისკენ! — იყვირა
ბიდუმ.

თენგო გამოტრიალდა, ორიოდე ნახ-
ტომით გაჩნდა ტივზე. მაგრამ ისე და-
ფეთებულყო, კაცის ფერი არ ედო.

მომცრო მორი, რომელსაც „წელზე“
სამარქაფე თოკი ჰქონდა გამობმული,
ერთ ხანს ნაპირ-ნაპირ ათრია ტივმა.
სილაზე ხნული ვაჩინა მორმა, მერე,
საბელმა წყალში გადმოტყორცნა თუ
არა, თვინიერი მოზვერით გამოჰყვა
ტივს.

— მარჯვნივ უგანე, თენგო, მარჯვ-
ნივ!

თენგოს მხოლოდ მიბმულ ტივზე
უცდია ორთავიერის მოსმა: — მობანავე
ბიჭები დაეჭიდებოდნენ ორთავიერს
და ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ დაცე-
რავდნენ ტივს. ზოგჯერ ვაზომავდნენ
კიდევ, თითო მოსმით ვინ უფრო
შორს გადასწია ტივი. და აი, თამაშობა-
ში შექენილი ნამაქი სად გამოადგა.

— ახლა მარცხნივ, თენგო! კარგია,
ეყოფა!

ბიჭმა სული მოითქვა, ბიძას მოხელა
და გაუღიმა:

— წელან ამბობდი, ტივმა რალაც
მითხრაო, ბიდუ ბიძია!

ბიდუმ თვალი ჩაუკრა, თითქოს ანი-
შნა, „მაცალეო“, დაიხარა, თოკი მო-
ზიდა, ტივზე გამოკიდული მორი მოი-
ხელთა და ყულფი ახსნა:

— ჰო, ტივმა მითხრა, ამ მორს მა-
დლობა ეკუთვნისო! ჩემი თოკი წუხელ
წყალს არ გაატანა, თუმცა ეს თოკიც
ქანჩითი უჭერდაო. ტივმა ესეც გამან-

დო: თენგომ გუშინ ქუსლი გაიჭრა, წვე-
ტიან ქვაზე, მაგრამ არ დაიკვნესაო,
აბა! სანამ მოხვიდოდი, ეს ტივი სულ
შენს ქებაში იყო. ოღონდ დაგინახა
თუ არა, პირში ქება ეუხერხულა და
გაჩუმდა.

ბიჭმა ხმამაღლა გაიცინა.

წყლის ვეება ტახტრევენზე მინანობ-
და ტივი. შემდეგ დაქანებულ დინე-
ბას დაჰყვა, ღარის წყალივით დაეი-
წროებულ იატოზე მოსხლტდა, გაშმა-
გებულ ზვირთებს ქეჩოზე მოექცა, ზა-
თქითა და განგავით ჩაათავა დაღმარ-
თი და როცა დამდოვრებულ სანაპი-
როს სამარქაფე უწვდინა, მდინარეს
ისე აათალა ტალღები, თითქოს ფენად
ქცეულ წყალში აპირებს განვევასო.

დაღმართზე თავაწყვეტილმა ტივმა
დავაკებულ მორევი განაგრძო ჯირითი
და შეფების ჯაჭვი აიღვენა კვალში.
ალაგ-ალაგ კუდმოქნეულ ზვირთებს
დაეხალა, შეფების კორიანტელი
ააფრქვიდა და თენგოს თავზე გადმოა-
ბერტყა.

ისევ ხმამაღლა გაიცინა ბიჭმა.
მიიჩქარის ტივი.

ნაირნაირი ქვებით მოკენილ სანაპი-
როზე აქა-იქ ბალახს ამოუხეოქავს.
რძიარძიები ჭალარასავით კიაფობენ
მეჩხერ სიმწვანეში. მდინარის ტოტებს
შორის გაჩენილი პატარ-პატარა ბორ-
ცეები მოიჩქარაინ ტივის შესახვედრად
და თან მოაქანებენ თხმელის ტანმოორ-
ჩილ ხეებს.

მიღის ტივი... და მის გარშემო ბრუ-
ნავენ ნაპირზე ჩაჭიკჭიკებული ქაცვის,
კოწახურისა და ტირიფის კორომები.
ჭალებზე კანტიკუნტად გამოჩნდებიან
საბალახოდ მიშვებული ძროხები, ცხე-
ნები... ჩნდებიან და ისევ იკარგებიან
ბუჩქების, ბორცვებისა და ძეძვიანი
ფალავების მიღმა. და ცა და ქვეყანა
ფერხულს უვლის ტივის გარშემო.

უოთა აპოზია
უპანასაწელი ბივი

ტივი მდინარის შუაგულში მოექცა. ბილუმ და თენგომ ორთაყვირები ნებაზე მიუშვეს. სანამ ახალი ტოტი და გადასახვევი გამოჩნდება, არაფერია საზრუნავი და დასვენების საამო წუთი დგება ტივზე. ასეთ წუთს ნიაკჭარი სიგრილით ავსებს, ენგური — დულუნით, მზე — ათამამებული ფერებით, სანაპიროები — სურათებით და ერთი ამნაირი წუთი ხმელეთზე გატარებულ ათასობით წუთს უტოლდება.

და ბილუ სულგანაბული დგას ტივზე, რათა ეს სანეტარო წუთი ღრმად განიცადოს: „აგარაკზე გატარებული დღეები აღამიანს არ აკლდება“, — ავონდება სადღაც ყურმოკრული შეგონება, და თავად უმატებს: არც ტივზე გატარებული დღეები აკლდება აღამიანს!

თენგო საწინაო ორთაყვირთან დგას, გარშემო იხედება, თითქოს სანაპიროებზე ეძებს რაღაც უჩვეულოს და საოცარს. საოცრება კი სანაპიროზე სულაც არაა საქმზნი:

— თენგო, ტივი წყლის დინებას უსწრებს ყოველთვის!

— ეს როგორ! — გაიკვირა ბიკმა.

— არ გჯერა? აბა, ნახე! — ბილუმ ტივს ნაფოტი წამოათალა და ტარაკვეცივით ისროლა.

ტივი მალე დაეწია ნაფოტს.

ბიკი გაოცდა.

— ახლა შენ ისროლე ის ნაფოტი!

თენგომ ნაფოტი შორს მოისროლა, ოღონდ ოღნავ განზე მოუვიდა. ტივმა მალე ჩამოიტოვა თეთრი ყვავილივით ატივტივებული ფოჩიანი ნაფოტი.

— ახლა ხომ გჯერა? — ნიშნის მოგებით შეეკითხა ბილუ. ხმაზე ეტყობოდა, ბიკის გაოცება ძალზე ეამა.

— კი მაგრამ ტივი წყალს მიაქვს და დინებას როგორ უსწრებს?

— უბრალოდ: იატოზე დაქანებული ტივი რომ აჩქარდება, მღოვრეში შესული ერთ ხანს ინარჩუნებს იმავე სიჩქარეს. ცოტაც და, კვლავ ხედება ახალი იატო, აჩქარება... და სულ ასე მისრიალებს და მისრიალებს, აბა! ის წყალი, ტივი რომ ჩავგამვებინა, შუაგზაზეც არ

იქნება, ჩვენ რომ ზუგდიდამდე მივალდეთ!

— ვაჰ, ეს რა საიდუმლო მოტორი ჰქონია ტივს! — იძახის ბიკი. მორს უფრო დიდ ნაფოტს ათლის, გასტყორცნის წინ და უხარია, რომ ტივი ეწევა ნაფოტს. ეწევა და უსწრებს.

და ბილუს უხარია, ბიკს „რალაცა“ რომ ასწავლა.

ძველ მეტივეს დაცდილი აქვს, ფრიად ნასიამოვნები რჩები, სხვას რომ დაასწავლი რალაცას!

და ბილუს დღეიდან მოაკლდება ეს ერთი სიამოვნება: იგი სხვას ვერაფერს დაასწავლის!



აი, წიწმის მოსახვევიც გამოჩნდა. წუხელ სიზმარში აქ ნახა გარდაცვლილი მეტივე — ჯოტო...

„ეს უქანასკნელი ტივია, ჯოტო!“ — ახლა ფიქრში გაეხიტყვა ბილუ თანასოფელს. არც კი გახსენებია, რომ წყლის ახლოს მეტივემ გარდაცვლილი არ უნდა ახსენოს.

— უქანასკნელი?! — უკვირს ჯოტოს.

— აბა?!

— მერედა, რას უცდით ორთაყვირს შეებრებული ოსტატები? მიდით მთავრობასთან და უთხარით, რომ მეტივეები სჭირდება ქვეყანას, მეჯორგეებიც! „ჯოტო, ახლა მანქანებით დააქვთ მორები. დაცურებული ხე-ტყე ძვირი ჯდება თურმე. გარდა ამისა, მეტივეებს ყოველ წუთს ფათერაკთან ჰქონდათ საქმე“.

„ბილუ! — ხმამალა იძახის ჯოტო. — ფათერაკთან ჭიდილი აკაყებს აღამიანს. ძველმა მეტივემ ეს არ იცოდი?“ ჯოტო ტივზე ამოვიდა.

„ახლა ეს მითხარი, ვინც დაცურებას შეაბერდა, იმ ხალხმა რა ჰქნასო?“

„მოისვენონო, პენსია აიღონ და შვილიშვილებს ჩრდილში ეთამაშონო.“

ჯოტოს მხოლოდ გაუგონია „პენსია“. ...და ახლა, გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ, კითხულობს:

„პენსია რაღაა?“

„პენსია ნავია, ოღონდ წარმოიდგინე, ჩვენისთანა ადამიანებისთვის რანაირი იქნება ისეთ ნავში ჯდომა, სადაც არც ნიჩბის მოსმას გთხოვენ და არც იალქნის გაშლას!“

„მე მაგისთანა ნავში არ ჩავჯდები!“ — აცხადებს ჯოტო.

„არც მე!“ — პასუხობს ბიღუ და თვალზე ცრემლი ერევა. ახლა ბიჭმა რომ მოიხედოს, თავი მოექცრება, ცრემლს დინახავს და უშეშვლად იკითხავს, რა გატირებსო...

და ბიჭი რომ არ მოახედოს, ტივის გასწორებას ავალებს:

— მარჯვნივ უგანე, თენგო!.. ნამეტანი მოგივიდა, წიგ, ახლა ერთიორი მარცხნივაც გაუსვი! — და თავად ამჩნევს, როგორ უქანკალებს ხმა.

წინ ყალყზეშემდგარი ტალღებია, უჯან — ტივის სიფართო ზოლი რჩება და ტივი თითქოს აუთოებს ენგურს.

„ქადრებო, მუხებო, კობიტებო! უყურეთ და შთამომავლობას გადაეცით, როგორ აუთოებდა ტივი ენგურის ზედაპირს!“

შეიძლება არ დაგიჯერონ, მაგრამ მაინც უთხარიტ!“

კობიტები ირხვიან, ბიღუს გულისთქმას თანხმობით პასუხობენ.



ქალებზე აქა-იქ ნისლი დგას. „ის ნისლი წყლის შუაგულში რომ იდგეს, სასწაულს ნახავდა თენგო...“ — ფიქრობს ბიღუ... თხელი ნისლი, სიფრიფანა კლდესავით წყლის ზედაპირზე გაჩერებული, მართლაც საკვირველებაა: სანამ მიუახლოვდები, თითქოს გეშინია, იმ „კლდემ“ არ გადმოგავდოს ტივიდან. შეიჭრები შიგ და ნისლი ტყდება, ბორიალს იწყებს შენს გარშემო. საკუთარ ფეხებს ვერ ხედავ, რადგანაც მკერდამდე გწვდება ბურუსი. იხედები ძირს და სადღაც ქვემოთ, თითქოს თვითმფრინავიდან, ძლივს ამჩნევ მორებს.

მაგრამ ამ საკვირველებას თენგო უნახავს, რადგანაც ნისლი ქალებზეა მიმოფენილი.

მეტყვეობა ჯაფა ხომ არ იყო მხოლოდ, ნაირნაირ ჩარჩოში ჩასმული საარაკო სურათიც იყო...

„მერედა, რა მოშვიება იცის ტივმა, რა მოწყურება!“

ამიერიდან წყლის გემო არ ეცოდინებათ არც გაღმელებს და არც გამოღმელებს! გაეცინებათ კიდევ, რომ უთხრა, წყლის გემო არ იცითო.

და ოღონდ მაინც რომ გააგებინო, როდენი ცოდნა აკლიათ, შორიდან უნდა შემოუარო: ჯერ ეს უნდა უთხრა, საქმელს შიმშილი აძლევს გემოს და წყალს — წყურვილით, ამას დაგიჯერებენ.

შემდეგ ეს ანდაზაც უნდა მოიშველიო, — „თვალი სვამს და თვალი ჭამსო“, — და აქ საჭიროა კარგი მთქმელი და კიდევ უკეთესი გამგონე: მღელვარე მდინარეზე თვალი ისე სვამს წყალს, ვერც კი წარმოიდგენ, რომ გწყურია!

მეტიც, ტივზე არასოდეს იგრძნობ სიმშრალეს ხახაში. მხოლოდ ჰაერი გგონია ძალზე თხელი, ამიტომ მოხშირებულად სუნთქავ. ესაა და ეს!

ახალბედა მეტივეები წრიალებენ მორებზე, სწუხან და არც კი იციან, რა მოუვიდათ! გამოცდილი მეტივეები ეტყვიან, წყალი დალიეთო... და სიხარულით გაიხადრებიან ახალბედები: თურმე სწყურდათ და ვერ მიიხვდარიყვნენ!

აი, რანაირი მოწყურება იცის ტივმა. ხმელეთზე წყურვილს ჩვეულებრივად იგრძნობ, ტივზე კი — აღმოაჩენ!

და თუ რანაირია „აღმოჩენილი წყურვილი“ ამიერიდან არავის ეცოდინება! და არავის ეცოდინება, რა გემოელია შუა ენგურიდან პეშვით ამოღებული წყალი: ტივის ბოლოს არ შეიძლება წყლის აღება, კამკამაა, მაგრამ მო-

ზოთა აკოპია
შპანასკნელი ბივი



რის ნარეცხის ვემო აქვს. ტივის თავ-
თან უნდა აიღო წყალი!

წყალი!..

მერე და განა ცისფერია? ხიფათის
დროს წყალი შავია... მაგრამ ამას დაგი-
ჯერებენ?! და საშიშროების წუთებში
ყველაფერი იცვლის ფერს: აი, მდინა-
რეში დადარაჯებული ტინი გელის...
უახლოვდება და, ტინი მუქდება, რუხ-
დება, შავდება, გაუსხლტები, მიიხედავ
და თეთრია.

ეს მეტივეს გარდა არავინ იცის და
არც დაგიჯერებენ, რომ უთხრა. არც
ერთი კლდე შავი არაა შორიდან და ყო-
ველი კლდე შავდება, როცა ტივი მიგა-
ქანებს მისკენ.

არც ერთი კლდე არაა ცარცისფე-
რი... და ყოველი კლდე თეთრდება, რო-
ცა ტივს შშვიდად გაატარებ მის წინ.

ასე ათეთრებდნენ მეტივეები კლდე-
ებს ჯვარიდან — ოცარცემდე.

ამიერიდან ფერს აღარ შეიცვლიან
კლდეები. და დღეიდან არავინ დაუჭე-
რებს მოხუც მეტივეებს, რომ კლდე-
ებიც და მეჩჩებიც წამდაუწუმ იცვლი-
ან ფერს.

ჭადრებო, მუხებო, კოპიტებო! შეხე-
დეთ უკანასკნელ ტივს!

ირხვიან გაგარების გაყოლებით აღ-
ანძული ხეები და ხელებივით იქნე-
ვენ გაბორჯილ ტოტებს:

- „მშვიდობით!“
- „მშვიდობით!“
- „მშვიდობით!“

მიირწევა ტივი და წნელის გრეხილი
ხანდახან ახალთახალ ფეხსაცმელივით
გაიჭრიალებს. გრეხილები ზოგჯერ კი-
ლოს შეუწყობენ ერთმანეთს. და ჭრი-
ჭინობელას შორეულ მოძახილს წააგავს
ხმა: „რა კარვად მდერის ტივი!“ — ფიქ-
რობს ბილუ და ლამისაა ბიჭს ჰკითხ-
ოს, ტივის სიმღერა გესმის თუ არაო.

აი, ტივი დაქანებულ დინებას გაჰ-
ყვია და თავაწყვეტილი მიემართება მო-
რევისაკენ. მარჯვნივ, ასეთივე ფაფა-
რაცილი ტოტი იჭრება მორევში და

მათს შესაყრელზე ბობოქარი ტალღები
იმგვარად ბრუნავს, წყალი მდულარე
გეგონება.

— ახლა მაგრად იყავი, თენგო! — იძა-
ხის მოხუცი და მისი ხმა ტალღების
გუგუნში ინთქმება.

აქოთქოთებულ მორევში შეიჭრა ტი-
ვი და... ჯერ სამარჯაფე მორებმა იწყეს
ყურყუმელოება, დანარჩენებიც მას
მიჰყვია და ტივზე მოვარდნილმა წყალმა
სამწკირაზე დაკიდულ სამოსსა და საგ-
ზალს შეხეფები შეაბერტყა.

ქაფიანმა, მიძიმე ტალღებმა ერთი გა-
იჯირითეს ტივზე, გაბანეს მორები... და
ყმაწვილს მოეჩვენა, მორები კი არ
ამოდიოდნენ წყლიდან, თვით ტალღებ-
მა დაიწიეს ძირს. დაიწიეს ხენეშით,
ქოთქოთით, გუგუნით.

— ბილუ ბიძია, ტივი როდისმე გადა-
ბრუნებულა?

— გამიგონია, მხოლოდ ერთხელ
გადაბრუნდა ტივი. ოღონდ ის „მაცნე-
ტივი“ იყო, შვიდიოდე მორისაგან შეკ-
რული. ოცმორიან ტივს კი ენგურიც
ვერ გადააბრუნებს.

„მაცნე-ტივი!“ — ეს სახელი რამ-
დენ რამეს ავონებს ბილუს... წყალ-
დილობის შემდეგ წაიშლებოდა ძველი
კალაპოტი, ახალი ტოტები ჩნდებოდა
და სატივე გზის დასაზვერავად შვიდიო-
დე მსუბუქი მორისაგან შეკრავდნენ
ტივს...

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე
თავად ბილუს მიჰყავდა „მაცნე-ტივი“
და ეს რამხელა პატივი იყო!

ბილუ გზას დაზვერავდა, ყოველ მოსა-
ხვევს დაიმახსოვრებდა და „მაცნე-
ტივის“ შემდეგ „მეწინავე ტივი“ მიჰ-
ყავდა.

საცა გამზადებულ ტივს შენიშნავდა,
ხელებს გაშლიდა. მომყევითო! —
და იგი იყო ტივების მთელი ქარავნის
კაპიტანი! ამიერიდან კი არავის ესმო-
მება ეს ამბავი... ვინმე დაწერდეს
მანც!

— თენგო! როცა დიდი და ნასწავლი
გახდები, მეტივეების ისტორიას ვერ
დაწერ?



ბიჭმა მოიხედა და გაიღიმა.

— კი არ გეხუმრები! ტივი ბრძოლა იყო, თენგოია, და მურე რანაირი ბრძოლა!

— რა ვთქვა, არ ვიცი, ბილუ ბიძია, ტივი მოგყავდათ, გასამრჯელოს იღებდით, ეს რა ბრძოლაა?!

— ჰაი, ჰაი! — სინანულით წამოიძახა ბილუმი. — ის ენა, რომელიც არ გეხმის, სულ ერთი და იგივე სიტყვების გამეორება გკონია! მეტივეობის ენა რომ გცოდნოდა, მარტო ჯაფას და გასამრჯელოს კი არ დანიხავდი!

— რა ვთქვა, არ ვიცი, ბილუ ბიძია!

— ეს თქვი: გავიზრდები და მეტივეობის ისტორიას დავწერ-თქო! ჰო, იძლევი სიტყვას?

ბიჭმა მოიხედა და გაიღიმა.

— ღიმილიც პასუხია, და ძალიან კარგი პასუხი! წუთისოფელში მთავარია ღიმილი და ვისაც კაიკაცობის ქული ხურავს, მიწასაც გაღიმიებს.

— ეს როგორ! — გაიცინა თენგომ.

— ძალზე უბრალოდ. მოხნავს, დაფარცხავს, დათესაქს — მიწა აყვავდება, — ეს ღიმილია!

სანაპიროზე სიშინდის ყანები ბიბინებენ. ტივი ზოგჯერ ისე ახლოს ჩაუვლის ყანებს, მემოროდე გლეხები ჩერდებიან, ხელს იქნევენ და გზას ულოცავენ ტივს, აქოჩრილ ხეთა შორის აქა-იქ გამოანათებს ალვა — ამოლტილი მწვანე სანთელი.

ალვა-ალვა ფალავა ისე დაბალია, თითქოს მდინარეს გატყუებას უპირებს ტყესა და კატაბარდებში.

მზერას იტაცებს ამოყრილი ჯიხურები, გოდლები, მავთულის ბადურები... და სანაპირო თითქოს დარბაზია, ტალღების გასაკავებლად მოგონილი ძველი თუ ახალი ფანდიზლუდისა და ფანდივალანის გამოსაფენი.

და ტივი „ათვალიერებს“ ამ გამოფენას.

— მარცხნივ უგანე, თენგო! ტივმა მხარი არ გაკრას ჯიხურს ან ბადურას,

თორემ ამდენი ნაჯაფი წყალში გადაუცვივდება სოფელს!

თენგო ეჭიდება ორთაყვირს და უხარია, რომ ვეება ტივი ემორჩილება. „გამოფენა“ ვანზე რჩება.

ვარშემო ისევ რიყეა.

აქა-იქ ჯგუფ-ჯგუფად დგანან ქალები და აგროვებენ შეშას. დედამობილა ყმაწვილები ბანაობას თავს ანებებენ და უმზერენ ტივს.

„ალბათ, იციან, რომ ეს უკანასკნელი ტივია! — ფიჭრობს ბილუ. — აბა, უწინ ტივისკენ არც კი მოიხედავდნენ რიყელები და რუხელები“.

— ახლა მარჯვნივ, თენგო!

— მარცხენა ტოტი უფრო დიდი ჩანს, ბილუ ბიძია!

— ის მატყუარა ტოტია!

ბიჭს გაეცინა.

— მდინარის ტოტებშიაც გამოერევა მატყუარა?

— აბა, რა გეგონა! მატყუარა ტოტი ჯერ მდინარეა, შემდეგ ორად, სამად... ხუთად იყოფა და სულ ბოლოს ღელე შემოგრჩება ხელში. „მატყუარაში“ თუ მოხვდი, მშვიდობით! ტივი ღერა-ღერა უნდა დაშალო და ხელახლა შეკრა. აბა!

ნათქვამია: „ძალი ახსენე და ჯობი ხელში დაიჭირეო“. მატყუარა ტოტის ხსენება ნავსიანი აღმოჩნდა, ტივი სწორედ იქითკენ მიექანებოდა.

— მარჯვედ, თენგო, მარჯვედ! — ბილუს ზმა სავანგაშო ზარივით რეკდა, საწინაო ორთაყვირიც ციებცხელებიანივით თრთოდა წყალში, მაგრამ ტივი მაინც არ იშლიდა ურჩობას.

ბილუ ადგილიდან მოწყდა, უმაღლესი მოსტაცა თენგოს ორთაყვირი, რათა ტივი გადაეძალა და გააფთრებოთ დააჭიდა ხაბი ტალღებს. ამასობაში ტივი დაიცურა, შეტრიალდა და უკანა ორთაყვირი თავში მოექცა.

ბილუ მიხვდა, სად შეცდა: თავისი ორთაყვირი არ უნდა მიეტოვებინა, მაგრამ სინანული უკვე გვიანი იყო.

შოთა ახოზია
უპანასწელი ტივი

გამოცდილმა მეტივემ უმალ ივარა-
უდა, რომ ტივი წყალგამყოლ რიფს
დაეხლებოდა... და ასეც მოხდა: მორე-
ბმა გუგუნი ატეხეს, — ეს ტივის ქვეშ
დატრიალდნენ ქვები და კენჭები უთვა-
ლავ გორგოლაჭებოვით. გამოქანებულმა
ტივმა თითქოს წყლიდან ამოვარდნა
ინდომა, ახვეტილი ღორღი გაიყოლია
წინ, ერთი ამოიხენეშა, მორების ღრი-
ჭობებიდან შესეფები ამოაფრქვია და გა-
ჩერდა:

— ახავაია, გუშა! — წამოიძახა ბი-
დუმ და მწარედ გაიღიმა, — კიდევ
კარგი, მატყუარა ტოტში არ მოვეყე-
ვით!

ხმელეთზე სანახევროდ გამორიყული
ტივი მარჯაფამ ოდნავადაც ვერ შეძრა.

— ახლა რა გვიშველის, ბიდუმ ბიძია?
— დარცხვენით იკითხა თენგომ, რო-
მელსაც თავი დამნაშავედ მიაჩნდა და
უკვირდა, რატომ არ დამტუქსესო!

— ღამე გვიშველის!

— ?!

— ღამით წყალი მატულობს, აჰა!
აი, ის თოვლი, — ბიდუმ სვანეთის მთე-
ბისკენ გაიშვირა თითი, — მთელი დღე
ხომ დნება, წყალი ღამით ჩამოაღწევს
ბარში.

და თოვლი ერთბაშად იქცა საბუთად.
ეს საბუთი მთებზე ძლივს ეტევა! და
თენგოს უხარია, რომ ბიძამისის სიტყ-
ვებს შეუვალაი დამაჯერებლობა ენიჭე-
ბა.

სასაგზლე ჩანთები გახსნეს.

●
მზე გადაიხარა.

ბიდუმ თანდათან უფრო მკაფიოდ
იგრძნო ყრუ ტეხა. ტივზე რომ იდგა.
ტივივს არ გრძნობდა, არც სიციც-
ხლის წუთები აკლდებოდა მაშინ...

— თენგო, ცეცხლი დავანთოთ!

— ამ სიცხეში?! — თითქოს შორი-
დან ჩაესმა თენგოს ხმა.

— განა სიცხეა?!

— სიცხეა, ბიდუმ ბიძია, ნახე, რი-
ყის ქვები რა გავარვარებულაი!

— მაინც დავანთოთ!

თენგო აგროვებს ფიჩხს, ანთებს
ცეცხლს და ალისგულზე მიფიცხებულ
ბიდუმს აზმორებს. ფიჩხი ნაპერწკლებს
აფრქვევს, მაგრამ ცეცხლის ტკაცანი
სულაც არ ესმის.

— ლაბადა მომახურე, ზურგს უკა-
ნაც ცეცხლი დამინთე.

ბიჭს რაღაც ენიშნა:

— ძალიან წითელი ხარ, ბიდუმ ბი-
ძია!

— რა თქვი?

— ძალიან წითელი ხარ-მეთქი! —
ხმამალა იმეორებს ბიჭი, მაგრამ ბი-
დუმს ძლივს ესმის.

მაღე აბრიალდა მეორე კოცონიც,
მაგრამ ისიც უხმოდ აფრქვევს ნაპე-
რწკლებს. ორცეცხლშუა ჩამდგარ ნა-
ხევრად შიშველ ბიდუმს ხვითქი გადა-
სდის... ახლა ცეცხლს თავისი ხმა დაუ-
ბრუნდა, ენგურსაც...

— ავად ხომ არა ხარ, ბიდუმ?

— ნუ გეშინია!

— ამ ტოტს გადავცურავ და რამე
წამალს მოგიტან, იქნებ ექიმის მოყვა-
ნაც შევძლო.

— აგერ, ექიმი! — ბიდუმ ცეცხლზე
მიუთითა — ეს ექიმიც მეყოფა.

ბიდუმ ოფლი მოიწმინდა, თბილად
ჩაიცვა და ბიჭს გაუღიმა.

მზე ჩადიოდა, — ვეება, შუქგაბო-
რჯლილი და წითელი — მეტივეების
მზე...

●
შებინდლა.

გორაკებზე ჩარიგებულ სახლებს
მხოლოდ ანთებული ფანჯრები აჩვენდა
აქა-იქ. მოგვიანებით კი ფანჯრებმა ისე
მიყოლებით იწყეს ჩაქრობა, შეიძლე-
ბოდა თითზე ჩამოგეთვალა, რამდენი
ოჯახი იძინებდა. ენგურის ღამეზე ჯერ
ციცინათელების ლაშქარი წაუსია ჭა-
ლებს, შემდეგ ნისლი ამოიტყუა წყლი-
დან და სანაპიროზე მოჩვენებები დაა-
სახლა.

ოდნავ ინათა. ეტყობოდა, მთვარე
ამოდიოდა.

ქარმა დაჰბერა. ჭალების გაყოფებით



უცნაურმა ლანდებმა იწყეს რიალი... და ბილუს მოეჩვენა: მის წინ ჩანდა ის სიზმრები, რომელსაც ხედავდნენ, აი, იმ სახლებში ჩაძინებული ადამიანები.

და საოცარი იყო სახლებიდან გამოსული, ბორცვებზე და ქალებზე მიმოფანტული სიზმრები.

თენგიზ რაღაცას ჰყვება. ჰო, მათემატიკის მასწავლებელს სამიანი დაუწყებია მისთვის. სწუხს ბიჭი. ვილაცას აუვად იხსენებს, ვილაცას აქებს, ჰო, ინგლისურის მასწავლებელს აქებს: „გინდა ინგლისური ლექსი ვითხრა?“. „მითხარი!“ ამას ბილუს მაგიერ ვილაც სხვა ამბობს, მაგრამ მესამე რომ არავინაა რიყეზე?!

ბიჭი ცეცხლს აქეზებს. ოღონდ ნისლი ისე შესქედა, გეგონება ენგურის დუღუნის უღრანიდან მოდისო, ნისლი შარავანდელს აჩენს ცეცხლის გარშემო, მთვარის ქართასავით მოყვითალოს...

— წყალი უკვე მატულობს! — ჩაილაპარაკა ბილუმ.

— საიდან იცი?

— ხმაზე ვატყობ.

ბიჭს გაეცინა.

— არ გჯერა? აბა, ჩხირი ჩაარტყვი სილისა და ტალღის სამიჯნოზე!

თენგიზ სამიჯნოზე ჩხირი ჩაარტო, ტალღებმა მალე შემოუარეს ჩხირს და წააქციეს.

თენგიზ ახალ სამიჯნოზე დასვა ხალიჩა. მალე იგივე გამოვრდა.

— იქნებ ნიაღვარი წამოვიდა! — შეშფოთდა ბიჭი.

— ნუ შიშობ! ნიაღვრის მაცნე მღვრიე წყალია. თანაც ნიაღვარს ისეთი ხმა აქვს, შორიდანვე გაგიბზარავს ყურს.

— მართლა?!

— მართლა მაშ!

— მერედა, რატომ აქვს ასეთი ხმა?

— „რა ვიცი“ — წამოცდა კინლამ, მაგრამ ამნაირი პასუხი სათაკილო ეჩვენა, დააყოვნა:

— აქ ცოტა სხვა ამბავია, თენგიზ! ნიაღვრის ხმას შიში აძლიერებს. აი, შენი შიში, ჩემი შიში! უკეთ გეტყვი:

თუ რამე გაშინებს, მისი ხმა უფრო ძლიერი გეჩვენება, ამიტომ ნიაღვრის ხმა შუა რიყეში მდგომს სულ სხვანაირად ესმის და ხმელეთზე არხეინად მოსეირნეს — სხვანაირად. გისწავლია, ექო რას ჰქვია? შიში დიდ ექოს იძლევა, აბა! ერთხელ ცირკის ლომი გაიქცა ზუგდილში და მისი ღრიალი მთელს ქალაქს ესმოდა. მანამდე კი, გალიაში გამომწყვდეული ლომის ხმას იქვე, ახლიმახლო მოსეირნენი თუ გაიგონებდნენ.

ამასობაში ტივმა ამოიხვნეშა, თითქოს ძილს თავი დააღწიაო. შეირყა. მორების ქვემოთ ისევ ახმაურდნენ კენტებისა და ქვების უთვალავი გორგოლაკები.

— ტივისაკენ, ტივისაკენ! — შეჰყვირა ბილუმ, მაგრამ თავად ვერ წამოდგა, მუხლმა უმტყუნა.

თენგიზ უკვე ტივზე იდგა.

— თენგიზ! მიატოვე მაგი მამაძალი ტივი! არ წავიღოს, წიე! — იძახდა ბილუ, მაგრამ მორების გრუხუნში ბიჭს არაფერი ესმოდა.

ტივი დაიცვრა. თანდათან შეანელა ხმაური და გაყუჩდა. ბილუ მიხვდა, მორები ღრმა წყალში მოექცა უკვე.

— ბილუმ! — ნისლის უღრანიდან სასოწარკვეთით დაიძახა თენგიზი.

„ბიჭი დავლუმე!“ — გაიფიქრა ბილუმ და ისევ სცადა წამოდგომა. წამოიწია და თითქოს მუხლები გადაემსხვრა. სხვა სამველი არ იყო, ხოხვით გასწია მდინარისაკენ. როცა წყალში შესტოპა, მუხლები ერთბაშად გაუმრთელდა.

— ბილუმ!

— ნუ გეშინია, აგერ მოგყვები! — ბილუმ მთელი ძალით მოუსვა მხარული.

— ბილუმ! — ახლა როგორღაც ახლოდან ვაისმა თენგიზს ხმა, და მთვარისგან შეყვითლებულ ბურუსში ბიჭიც გამოჩნდა. იგი ცურვით მოიწვედა ნაპირისკენ.

— ეს რა გაგიბედავს, თენგიზ! რა-

ფოთა აკოვია
შაანასანილი ბივი



ტომ დამლუბე, წიე! რახან გავიტაცა ტივმა, დარჩენილიყავ ზედ! ვაიმე!

— ბილუ! — თენგო სულს ძლივს ითქვამდა — ნაპირზე დაბრუნდი, ბილუ, ახლავე დაბრუნდი! — და თენგო რაღაც ძალამ უკან დაქაჩა, — მე ტივზე თოკითა ვარ მიბმული, ამწუთას დავბრუნდები ტივზე და სადმე გავრიყავ! — უკანასკნელი სიტყვები შორიდან მოესმა ბილუს. — ჩემი შიში ნუ გექნება, ნუ!

„ეს რამ მოაფიქრებინა!“ — გაცოცდა ბილუ. იმედიანად ვანაგრძო ცურვა. ყვითელ ბურუსში ტივიც დაღანდა.

ტივი ჯერაც ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა ნელ დინებას. გამოცდილმა მეტივემ კი შუა დინებისაკენ გასცურა, რომ უფრო სწრაფად დასწეოდა.

სანამ თენგო ტივზე არ დაბრუნდა, ბილუს კრინტი არ დაუძრავს.

— ეე-პეი! ის თოკი ჩემკენ ისროლე, თენგო! — დაუძახა ტივზე შემდგარ გაწუწულ ყმაწვილს.

ბიჭმა მხოლოდ ახლა მოიხედა:

— ეს რა ვაგიბედავს, ბილუ ბიძია! თავი რატომ დაიღუბე, ბილუ ბიძია!

— თოკი მესროლე-მეთქი!

— თოკს სად იპოვნი, ბილუ! სველია და წყალში ჩაიძირება.

— აბა, ცალი ორთაყვირი ახსენი ტივს და ჩემკენ გამოაჭენე! — ხუმრობა სცადა გასაჭირში ჩავარდნილმა, — ის ორთაყვირი ტივტივას მაგივრობას გამიწევს!

ბიჭი წამით ჩაფიქრდა. ორთაყვირს უმაღ გამოაბა თოკი, ნასკვი მოუსინჯა. ბილუს ვაეხარდა, წყალი თბილი ეჩვენა: „უყურე, რა მოითქვა ამ ღლაპმა!“

ბიჭმა საბელგამობული ორთაყვირი წყალში გადმოისროლა.

ორთაყვირი ტალღებში ძლივს ჩანდა, მაგრამ ბილუს გზად და ხილად ჰყოფნიდა. ხელი ჩასჭიდა, როგორღაც თბილი ეჩვენა ორთაყვირის ტარი, თბილი და საიმედო.

ტივი აჩქარდა, თითქოს ორთაყვირის ხელიდან გამოტაცება დაუპირა ბილუს.

— ვერ მოვართვი! — ჩაილაპარაკებდა რიკაცმა. იგი ორთაყვირს გამოჰკვამუნებდა შემდეგ თოკს ჩაავლო ხელი. ნელინელ მოკლდებოდა მანძილი ტივამდე, ბილუს ტანისამოსიც მძიმდებოდა თანდათან.

თენგო სამარქაფეზე იდგა, გამამხნეველად ყვიროდა და ბილუც შელოცვასავით იმეორებდა გულში: „საარაკო ვაქცაცი დაღება ეს ბიჭი, საარაკო!“

მაგრამ ბილუ ამობობდა თუ არა ტივზე და სულის მოსათქმელად ჩამოვდა, თენგო ისე აღრიალდა, როგორც ჭინჭრით ნაცემი ბაღლი:

— ვაიმე, ბილუ ბიძია! კინაღამ დაიღუბე, ბილუ ბიძია! ცოცხალი თუ ხარ, არა მჯერა, ვაიმე!

ბიჭი პირდაღმა დაეშო მორზე, ხელისგულეში თვალებზე აიფარა, ბლაოდა, ცახცახებდა. ზოგჯერ დაფეთებული წამოსწევდა თავს, მოხედვდა ბიძას და დაიღრიალებდა:

— ცოცხალი თუ ხარ არ მჯერა, ვაიმე!

— გეყოფა, გეყოფა! — ამშვიდებდა ბილუ.



„გეყოფა, გეყოფა!“, — რაღაც აძლავგარს ბუყბუყებდა მორევიც. შემდეგ მორევი თითქოს სიმღერა წამოიწყო... სიმღერა წივილ-კივილში გადაიზარდა... კივილში რძლის ხმა გაარჩია ბილუმ... ყველაზე ხმააღლა კი ჰაღუ ჰკიოდა, ოღონდ ჰაღუს ძალიან გამოცელოდა ხმა: „ორმოცი წელი მიწაში იწეა, ალბათ ამიტომ გამოეცვალა“, — გაიფიქრა ბილუმ...

— ბილუ ბიძია, შენ რაღაცას ლაპარაკობ!

— მე?!

— ჰო, ვის ელაპარაკები?

— ვის უნდა ველაპარაკებოდე! — ბილუ ოღნავ გამოერკვა. — მოდი, ეს ტანსაცმელი გამხადე, გაწურე და ისეც ჩამაცვი.

— კი, მაგრამ ტივმა ნებაზე იაროს?

— იაროს, კისერიც მოუტეხია!
ბიღუ კანკალებდა...

თენგო ტანსაცმლის გაწურვას შეუ-

დგა:
— ლაბადა ნაპირზე დავრჩენია, ბი-

ღუ ბიძია!

— რიყეს ვუსახსოვრე.

— ქუდიც დავრჩენია.

— ქუდი, ენგურს ვუსახსოვრე.

— რომ ხუმრობ, მიხარია, ბიღუ

ბიძია!

— სიკვდილს ხელმარა კაცისა ეშინია,

თენგო!

— სიკვდილი რატომ ახსენე?

— თავი შემახსენა იმ მამაძაღლმა.

— ახლა ჩაიკვი, ჩქარა ჩაიკვი, თო-

რემ გაცივდები!

ბიღუს ჩაცმა გაუჭირდა, თენგო მიე-

შველა.

წამოდგომა გაუჭირდა, თენგო მიე-

შველა.

— აი, ოცარცის კლდე გამოჩნდა,

თენგო!

— არა, ნისლია.

— კარგა, შვილო. კარგი!

ნისლი ალაგ-ალაგ თხელი იყო, მდი-

ნარის შოლალაზე ზედაპირს აჩენდა

მთვარიანში.

— მარჯვნივ უგაჲ, იმ რაქას არ და-

ვეჯახოთ, თენგო!

— ისიც ნისლია!

— კარგი, შენი ნება იყოს!

ბიღუს აგრჯოლებს. პაერი იმდენად

განა, რომელშიაც მიმღები ოსტატი
იჭდა, აელოთ... და ალბათ რაღაც კი-
დეე იყო მოსაშლელი და ასაღები, ამი-
ტომ ფუსფუსებდა ხალხი რეიდზე.
ელექტრონის მოჭარბებულ შექმე იწვა
სიჩუმე...

მდინარის პირას ცეცხლი ენთო. ცეც-
ხლს ორნი უსხდნენ, უცებ შორიახლოს
ვილისი გაჩერდა. კაბინიდან ვილაცამ
გამოჰყო თავი და სმამალა იკითხა:

— ის ტივი ჯერაც არ ჩამოსულა?!

— აგერ, ამ წუთას ჩამოვიდა!

ვილისის კარი გაიღო, კაბინიდან
მალამა, ჭალარა კაცმა გადმოაბიჯა;
ბიღუმ დაცურების კანტორის ღირექ-
ტორი იცნო. ეამა.

ღირექტორმა ხელი მოიჩრდილა,
ალბათ ელნათურების ჩახჩახმა მოჭრა
თვალი:

— ეპ, ბიღუ ხარ? დღეს ლის გა-
გარიდან შევნიშნე ეს ტივი და სალა-
მოს რომ მითხრეს, ტივი არავის ჩამო-
უყვანიაო, შემეშინდა, რა არ ვიფიქრე!..

— შემდეგ მძლოლს შესძახა. შემთხვე-
ვით, ფოტოაპარატი ხომ არ წამო-
გიღიაო. მძლოლმა უარის ნიშნად თავი
გაიქნია.

— ეს ხომ უკანასკნელი ტივია! —
რაღაც ყმაწვილკაცური სიხარულით
თქვა ღირექტორმა, — დავდგებოდი
ზედ და სურათს გადავიღებდიო.

თენგოს სატივე აესხნა და თოკი
ხელში იმგვარად ეჭირა, როგორც მესა-
ფლავეებს უჭირავთ ხოლმე კუბო სა-
მარეში ჩაშვების წინ.

ღირექტორი ჯვარში მიდიოდა თურმე
და უკანასკნელი მეტივეებიც ვილისში
ჩაისხა.

ვილისში ბნელოდა, ამიტომ ბიღუს
ტრემლი არავის შეუნიშნავს.

ღირექტორმა ხალისიანად განაგრძო
ლაპარაკი. თურმე უამრავი საქმე ჰქონ-
და: ჭალამბარზე მომუშავეთა გადაყვა-
ნა, კბილანა კონვეიერის გადატანა ჯვა-
რში...

იგი ფიქრში იყო გართული და მო-
ხუცი მეტივის კენესა ერთხელაც არ
გაუგონია.

●
შამგონის რეიდი უკაცრიელს ჰგავდა.
ვილაკეები კი ფუსფუსებდნენ სანაპი-
როზე. მაგრამ არც ერთი ტივი, არც
ერთი შორი არ ყვინთაობდა წყალში...
და რეიდი ამიტომაც ჰგავდა უკაც-
რიელს!

ჭალამბარი, შორებს სახერხისაკენ
რომ მიიქანებდა, მოეშალათ; ბუღურუ-

სალამი შენ, ჩემო რომანტიკავ!

სალამი შენ,
ჩემო რომანტიკავ,
შენმა დიდმა გულმა ისევ მომაკითხა,
სალამი შენ,
ჩემო რომანტიკავ!
ვიცოდი, ვიცოდი, როგორ დამტოვებდი.
გულს ტანჯვით ვიღებდი
და შენ გატოლებდი,
ვიცოდი, ვიცოდი, როგორ დამტოვებდი!
იყო ბევრი თოვლი,
იყო ბევრი წვიმა,
შენმა მოლოდინმა მაინც გამამბრწყინა.
როგორც ვარსკვლავითი —
იმგვარ გამამბრწყინა!
და აპა, მოხვედი —
ღირდა — მალოდინე,
ღონიერი ხელით უკრავ მელოდიებს.
ღვთაებრივსა და უკვდავ მელოდიებს,
ღირდა — მალოდინე.
ოღონდ დამაცადე: დავხსნა პაპირუსი,
გადავიხედო: ხომ კიდევ მოჩანს
მუჭი კვიპაროსი
და ზედ კვიპაროსზე მწვანე ასპიროსი.
ოღონდ დამაცადე...
ბინდში უკეთესია შენი ხმის გაგონება,
ამ ხმას ჩემამდე უწოდეს „შთაგონება“.
შთაგონება!
და ახლა ხელის ფათურით
დაწყვეტას ვუპირებ
არაშენეულს, ყოველგვარს უპიროს.
ოღონდ დამაცადე —
ხარ ისე ძლიერი,
ისე ანთებული
ცეცხლიან იერით,
დედას გეფიცები,
დედას გეფიცები,
ცოდვა ვარ, სულითგან, სულითგან
ვიცლები
და მკერდით ვეცემი მყინვართა შუბისტარს,
შროშანი წითელი,
წითელი
მომცვია უბითგან...

აქამდე მიყვარდა ჩურჩულის გაგონებაც.
ახლა ისე ჭკივი რეშმი შთაგონებას,
მაგრამ... რისათვის გაქვს ხელები ცხელი?
იქნებ გიჭირს რამე
და ველარ გშველი?
იქნებ გადაგიდრკა ძლიერი ფრთები?
იქნებ გაგითეთრდა ბავშვივით თმები?
იქნებ... ვერც მე მიცანი?
ჩამხედე თვალებში,
შენ ზე ამიტაცე,
მე... იქნებ დავეშვი?
ჩამხედე, ჩამხედე, მშვენიერ თვალებში,
შენგნით, შენგნით, შენგნით მშვენიერ
თვალებში!
მიცანი?... ჰეჰე! მიცანი! მიცანი!

ეს მე ვარ, მე ვარ —
არსი და მიზანი
შენი სიკეთისა, შენი სიღიღისა,
აპა, წამყვანე!
აპა, მიმითვისე!
მიაბე, გამახსენე
სად შეგზვდი პირველად,
რალაც საკვირველად, რალაც საკვირველად:
იქნებ შემოდგომით,
ოქროს შემოდგომით,
ფოთოლი მოცვივა მაშინ იმოდენი,
და ისე ცხელია მაშინ იმედები!
იქნებ თებერვალში? მთრთოლვარ
თებერვალში,
პირველ პეპელაში, სულის შებერვაში...
პო, პო, ასე მახსოვს
მგონი — თებერვალში.
მაშინ ნაწნავები მეყარა წელზე,
თეთრი დარაია მეხვია ყელზე
და გაგიჟებული ვკიოდი ლექსებს...
და მატარებლიდან
ვწვდებოდი ტირიფებს
და ვხარხარებდი
ვახების ტირილზე.
და ნაწნავები მეყარა წელზე,
და გვირილები მეკეთა თმებზე.

და ისე მეწვოდა შიშველი ფეხები,
სირბილით მომდევნენ ქალწული
ვერხვები.

ჩვენ მაშინ შევხვდით
ვერცხლისფერ მცხეთაში,
ოქროგადაყრილ ფერფლის ტერეპტაში,
მცხეთაში, მცხეთაში;
იქ, თეთრ კიბეებზე იჯდა სერაფიტა,
დუმილდარღვეული გრილი წერაქვითა,
იქ, თეთრ კიბეებზე
ჯავრობდა სერაფიტა...
მას ფერხით დავეუბნე
ცისფერი რვეული,
რა შლეგი ვიყავი და გადარეული,
საყვარლად შლეგი და
და გადარეული.
ნეტავი იმ დღეებს!
იმ სერაფიტას!

მერე კიდევ გნახე,
მერე კიდევ გნახე,
თითქოს სევდიანი და მაინც ლაღი —
ორმოცდარეულში მე კიდევ გნახე.
და ხალხს მორბოდა კალოსფერ

მინდვრიდან,

ბოლმიან ყელზე საყელოს იხსნიდა.
მორბოდა,
მორბოდა.
ტიროდა,
მღეროდა,
მღეროდა,
ტიროდა,
შენ მკერდი გაიკარ წითელი ტილოთი,
მანქანებს, — წელან რომ ხორბალი
უყარა, —

მისდევდა ქვეყანა, ჩემი ქვეყანა.
შენ მკერდი გაიკარ სისხლისფერ
ტილოთი,

ჩემთვის არ გეცალა,
ვმღეროდი, ვტიროდი...
მერე ვაყენებდი წაქცეულ დედაბრებს,
დამით ვიჩოქებდი — და ისე გხედავდი.
მადლობა შენ, ჩემო რომანტიკავ,
იმ ღამეებისთვის, ჩემო რომანტიკავ,
იმ დღეებისთვისაც, ჩემო რომანტიკავ, —
რადგან ნედლი ვიყავ — ტოტი მანულის,
და მაინც მივდევდი ხნულში ანეულებს.
რადგან ნედლი ვიყავ — სუფთა გვირილა,

ცაცხახით ვისმენდი ღობიდან კივილებს
და ვეფერებოდი დავარდნილ დედაბრებს,
დამით ვიჩოქებდი,
გინმობდი,
გხედავდი,
გმადლობდი, ვკვირობდი ჩემთვის რომ
გეცალა,

და სიკეთისათვის გლოცავდი,
გლოცავდი.
აღარ მეშინოდა, რომ ვიყავ ტირიფი,
მზე შუბისტარიდან მიჭურვტლა ირიბად,
კოჭზე მეყურებოდა გრილი ნაბარი,
ურმებით მომქონდა მწვანე ზღაპარი —
თივების ზღაპარი.
სალამი შენ, ჩემო რომანტიკავ,
ჯარისკაცულმა ბარათმა მომაკითხა.
ბარათს მამის სუნი აქვს
და კიდევ მახორკის,
და კიდევ დენთის,
მომტანს ხვეწით ვაცილებ ასოებთან:
დალიე ერთიც,
ოჰ, კიდევ ერთიც!
ბარათს მამის სუნი აქვს და კიდევ დენთის!

მადლობა შენ, ჩემო რომანტიკავ,
ფოფინა სიხმრებმა მაშინ რომ მომაკითხა,
სწორედ მაშინ რომ მომაკითხა!
და მზეზე დამწვარი, მორცხვი მუხლებით
ჟამსა სამხრობისას ფრონისკენ გუხვევდი,
იქ გრილ სილაში შემეძლო თამაში,
ალმასის ნატეხი ბრწყინავდა თამაში
და ქარი მაგლეჯდა წელიდან თამასას,
ხეობის სუნი ბრუნავდა ქარში...
სალამი შენ, ჩემო რომანტიკავ,
წარსული წლების რომანტიკავ,
ბავშვივით მართალო რომანტიკავ!
შენ ზოგჯერ გციოდა, —
ჩემსავით გციოდა.
შენ ზოგჯერ გშოიდა, —
ჩემსავით გშოიდა,
ცარიელ კარადას,
ცარიელ უჯრებს
ცრემლებდამალული თვალებით უჯექ,
და მიბრძანებდი:
არა გაქვს უფლება
მცირეც დაიჩვილო,
იქ თავისუფლებას
დაფლეთით მკერდით,

სისხლიან გულებით
რაკი დარაჯობენ შენი ერთგულები.
არა გაქვს უფლება!
სუსტი მაჯებიდან მზიდავდი ზევით,
ქურებში გაგყავდი ამაყი მზერით
და გამარჯვებათა ბრჭყვიალა სალუტებს
ჩემი ფერადი სულიც დაუდე!
იმ ფერში ერთი მუქიც ერია
(იმ ფერს დავიწყება არ უწერია!) —
თითქმის ჩემი ტოლი,
თითქმის ჩემი კბილა
ტყვიამ ბალახებში როგორ წააწვინა.
თითქმის ჩემმა ტოლმა,
თითქმის ჩემმა კბილამ,
სასრჩობელაზე როგორ იქორწინა...
ეპეი, შენ, ჩემო რომანტიკავ
მათმა დიდმა გულმა ისევ მომაკითხა,
ისევ მომაკითხა!
გოგოს თმები ჰქონდა — ყანების ფერი,
ბიჭს თვალები ჰქონდა — ცხელი მზის
ფერი,

ალვა ტკრციალებდა,
ჰყვოდა ნუში,
თრთოლვით ხშიანებდა დაჭიმულ სულში:
„ესე არს ძე ჩემი საყვარელი!
ესე — ასული საყვარელი,
უკვდავების ტანჯულ მწვერვალებზე
სისხლიან ბილიკით აყვანილი.
ესე არს ძე ჩემი საყვარელი!..“
მგონი დამიმძიმდა საფრენი ფრთები.
გამიუხეშდა შრიალა ფრთები.
იასამინსფერ ღამით რომ ვწვები —

ვჩურჩულებ: უღვთო ყოფილა წლები
და შენ მომიტევე — ეს შენი ბრალა,
რამდენი ხანია — ჩემთვის არ გცალია,
ჩემთვის არ გცალია.
დახუჭულ თვალებით ძნელია ლოდინი,
ოდეს სხვებში მღერის შენი მელოდია,
და თითქოს ცარიელს,
და თითქოს მოღალულს
აღარ წამომაგდებს ღვთიური ორღანო,
დახუჭულ თვალებით ძნელია ლოდინი,
საყვარელ ღიმილით ასლები მოდიან.
ფოლადი, ფოლადი ზრიალებს ხმაში,
ღიმილი, ღიმილი იჭრება ქვაში,
იმდენი მზეები ანთია თვალში,
იმდენი ყაყაო შრიალა თმაში!
ასლები, ასლები მოდიან!
მე კი... უკვე მეწყება დიდი დაღმართები,
იქ, საღლაც ბოლოში ვიცი დაღამდება,
სიცოცხლის კანონით — ვიცი დაღამდება.
და უკანასკნელი ზრიალით, გუგუნით
ამაყად დავხურავ ჩემს საუკუნეს!

აი, ამას ჰკიოდა ჩემი შთაგონება
და იმგვარ მიხარია შენი ხმის გაგონება,
რომ: დედას გეფიცები, დედას გეფიცები,
ცოდვა ვარ — სულითგან, სულითგან
ვიცლები
და ნელა ვეხლები მწვერვალთა შუბისტარს,
შროშანი
წითელი,
ახალი,
მომცვივა უბითგან...



არკანზასის შტატის ქალაქ ლიტლ-როკის საპყრობილის ერთ-ერთ საკანში მხეცური ცემით მოკლეს 18 წლის ზანგი ჰაბუკი კერტის ინგრამი.

ინფორმაცია აწყობილი უაზი პეტიციით

რა მცხუნვარეა აგვისტოს მზე და
ალაყაფის დიდი ჭიშკარი,
ველარასოდეს ვერ იგრძნობ, კერტის.
საბურავების მღვრიე ხმაურში
ქოთქოთებს სიცხე
და უჭირავს მზისგულზე ბალი.

სიჩუმე წუთით,
კაცი მოჰკლეს!
შესდექ, სიკვდილო!
შესდექ, სიკვდილო, ხელები მაღლა!
ქოთქოთებს სიცხე,
როგორც თევზი გამომწყვდეული

აქვარიუმში,

აწყდება ხეებს,
ქუჩებს, აივნებს
და ითენთება, როგორც ხტუნვით
დაღლილი ბავშვი.

ველარასოდეს ვერ იგრძნობ, კერტის,
როგორ ვკითხულობ ახლა შენი სიკვდილის
ცნობას.

იძინე, ჩემო მეგობარო,
შენზე ფიქრობდნენ
და იფიქრებენ სიკვდილის შემდეგ...
სიჩუმე წუთით,
კაცი მოჰკლეს,
შესდექ, სიკვდილო!
შესდექ, სიკვდილო, ხელები მაღლა!

ისვრიან სადღაც,
ბალახებში გდია სიჩუმე...
სომბრეროსავით
მოიქნია მწვერვალმა მზე და
ისვრიან ისევ..

ირწევს ყანა,
ბავშვებივით არწევს თავთავებს.
ველარასოდეს ვერ იგრძნობ, კერტის,
როგორ შეაღო სიკვდილმა კარი
და დაუბრუნა დედას ცივი სისხლი და
ხორცი.

გარეთ კი ალბათ ვიცინოდით
მე და ელგარი,
გოგი და ლიზა...
გარეთ კი ყველა ვიცინოდით,
ვინც არ ვიცოდით
კერტის ინგრამის სიცოცხლის ფასი.
მაგრამ გათენდა და ცნობამ შენზე
ჩვენც შეგვაცია ღიმილი პირზე.
ამ დროს სიკვდილმა შეაღო კარი
და დაუბრუნა დედას ცივი სისხლი და
ხორცი.

ჩვენ არ ვიცინით,
შენ იგრძნობ, კერტის...
მიაქვთ მხეწვიებს
შეღამების მსუბუქი ნისლი
და ქუჩა-ქუჩა თეთრად ქარგავენ.

მე დავივიწყე შენი სიმორე,
თუ დამავიწყა უეცარმა სირცხვილის
გრძნობამ,

ასე მეგონა,
გვერდით სახლში ვიდაცას კლავენ
და კივილს შენსას
გვირიგებდა სადამოს ქარი.
გარეთ კი წვიმა დადიოდა
ძალიან დიდხანს

და ფოთლებიდან ქვაფენილზე სტოდნენ
წვეთები.

ძალიან დიდხანს
და აბიჯებდა დასვრეტილ ჩრდილებს.

მე ვიძინებდი
და მეგონა ვიღაცას კლავენ,
და გაფრთხილებად
გვირიგებდა შენს კივილს ქარი,
მე და ელიზას,
გოგის და ედგარს,
რომლებმაც მხოლოდ დღეს ვიწამეთ
სიცოცხლის ფასი.
გარეთ კი ვიღაც დადიოდა

შეწყდა კივილი,
დედამიწა ტრიალებს მაინც,
სომბრეროსავით
მოიქნია
მწვერვალმა მზე და...
ველი გასროლას
იმ სისხლის წილ,
შენ რომ დაღვარე.





(სურათები ლედაკალაქის ცხოვრებიდან)

რამდენი წლისა ვარ? რამდენისა და — ბარემ ოცდათვრამეტისა. მგონი ცოტა მეტისაც. თქვენ კი ალბათ, თავაზიანად შემნიშნავთ, რომ მე ბევრად ნაკლებისადაც გამოვიყურები? იცოცხლეთ, მაგ ქათინაურით მასიამოვნეთ. თუმცაღა, ოცდათვრამეტისა თუ ორიოდ წლით მეტისა კი არა, იქნებ მთელი ათასისაც ვარ. რადგან, ასე მგონია ჩემს თბილისს სწორედ საუკუნეებია ვიცნობ და ვეთაყვანები.

თბილისი ჩემი მშობლიური ქალაქია. თავს იმ უზუნღად ვთვლი, რომელიც პლენანოვის პროსპექტისა და კლარა ცეტკინის ქუჩის მიდამოებს მოიცავს.

პლენანოვის პროსპექტი სივრცე-სი-

განით არ გამოირჩევა, მაგრამ მტკვრის მარცხენა მხარეს მაინც ყველაფრით პირველია და ჩემთვის კი საერთოდ ყველა პროსპექტთა შორისაც პირველი.

ქვეყნად მრავალი სახელოვანი მეათური ქუჩაა. არის ნიუ-იორკის ბროდვეი, პარიზის ელისეს მინდვრები, მოსკოვის გორკის ქუჩა, ტოკიოს განზა, ლენინგრადის ნევის პროსპექტი, ათობით სხვა ცნობილი ავენიუ თუ სტრიტი, თვით თბილისშივე კი ნამდვილად უპირველესად აღიარებული ბრწყინვალე რუსთაველის პროსპექტი. მაგრამ თავისი ღირსება აქვს მოკრძალებულ პლენანოვის პროსპექტსაც, მით უმეტეს მისი მკვიდრების თვალში.



მე, პლენარის პროსპექტის ერთ-ერთ შესართავზე, კარგარეთელის ქუჩაზე დავიბადე და გავიზარდე. ჩემი ბუდე ეს არის. ერთ ბიჭურ გულადობას მოყოლილი მარცხის შედეგად ფეხიც აქვე მოვიტეხე და ფანჯრის რაფას ხანგრძლივად მივეჯაჭვე. ამიტომ ახლა ჩემს ძალიან ჩვეულებრივ და უბრალო გარეგნობაში ყველაზე ნიშნული და თვალში მოსახვედრი ის არის, რომ ხეიბარი ვარ. ხოლო, რა არის ხეიბარის უპირველესი სანუკვარი ნატვრა ყველა ვითარებაში? რა არის და ის, რომ ხეიბარი არ იყო. მაგრამ ნატვრა და ოცნება რას გიშველის, თუ ექიმებმა ვერაფერი გაგიწიეს. ხელჯობიანი დავრჩი. ეს კია, პირწავეარდნილი თბილისელი ვარ, თავითფეხებამდე თბილისელი ვარ და რით და როგორ არ ვიცი, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, პირველი შეხედვისთანვე შეიცნობთ ჩემს სადაურობას.

● მეგობრის ფასი მაშინ გავიგე, როცა მეგობრობა რა იყო, არც ვიცოდი. როცა ფეხმოტეხილი ტოლსწორებს გამოვეთიშე და ფიქრადაც არ მომივიდოდა, რომ კვლავინდებურად ველანასდროს ვინაევარდებდი.

თანაკლასელებს უყურადღებოდ არ დაუვუგდივარ. ყოველდღე თუ ჯგუფად არ მეწვეოდნენ, რომელიმე ურთი, დანარჩენთაგან მორიგედ გამომწესებულნი მაინც შემომიბრუნდა და რაც საშეცადინო იყო წვრილად ჩამიკენჭავდა. ასე რომ, მე დაუსწრებლივ უკვე მაშინ ვსწავლობდი, როცა დაუსწრებელ სწავლებებზე წარმოდგენაც არ მქონდა. რაღა თქმა უნდა რაკი იმხანად კუტივით ვიყავი, მეცადინეობას ხელს არ ვაკლებდი. გარეშე წიგნებშიც ბევრს ვებუდარაობდი და ჩემიქმად თვითონაც ვცოდვილობდი. ხშირად კი ქუჩას გავცქეროდი ნალვლიანი და უნებლიეთ მთელი ქუჩის ცხოვრება ვიცოდი.

ქუჩაში ჩემს ყურადღებას, ბუნებრივია, უფრო გოგო-ბიჭობა, საერთოდ ახალგაზრდობა იმაურობდა. ყველაგან

კი გამოვარჩევიდი სამ მოზარდს. ერთი განუყრელ მეგობარს. ვახტანგს, მარს და ირაკლის.

სახელი სახელს ეხლოება. სხვადასხვა ერის ბევრი სახელი ჰგავს ერთმანეთს. ოდითგანვე ადამიანთა სხვადასხვა საშუალებით ურთიერთობის წყალობით სახელებსაც უხეტიალნიათ, გადაადგილ-გადმომადგილებულან. ამისდა მიუხედავად, მთელი რიგი ღრმად ეროვნული, აგრეთვე სხვათაგან მეტიჩრობით ძალად გადმოთრეულ ერთ-ორ სახელს გარდა, ბუნებრივი თავისთავადობით, მაგალითად, საქართველოში შემოსულ სახელებს აქაური მოქალაქეობრიობა მოუპოვებიათ და ძნელადღა გასარკვევია ვინ ვის დაესესხა. ადამიანთა მრავალი ლამაზი სახელი აქვს საქართველოს.

თუმცა ჩვენში კიდევ არიან „მაღალი კულტურის“ მემჩანები, რომელთა მეოხებით ერთობ მომრავლებულია აშკარად ყურით მოთრეული სახელები, მათი წარმოთქმა რომ ენას მოგატეხინებთ.

ხოლო უამთავლეთ გაქართულებულ ლამაზ სახელებს დღეს უპირველესად სახელოვანი წინაპრების პატივსაცემად ატარებენ მადლიერი შთამომავლები. მათ შორის: სახელს თბილისის პირველი რაინდი მოქალაქისა — ვახტანგ გორგასალისა; სახელს ოქროს ხანის მეფეთა მეფე დედოფლისა — თამარისა; სახელს დიდი პატარა კახისა — ერეკლე მეორისა. თორემ ლიპარიტსა თუ შადიმანს სულაც აღარ არქმევს დღეს ქართველი კაცი თავის შვილს. თუმცა, მართო სახელიც რა შუაშია? ჭუჭია გერქვას, გინდაც თავუნა, ოღონდ კაცი იყავ. ძალლიკა ერქვა ვაჟა-ფშაველას ხიმიკაურს, მაგრამ აბა თუ ვისმეს ჩამოუფარდებოდა კაცობაში. სხანს, კაცი აკეთილშობილებს სახელს. ხოლო, თუ უკვე გაკეთილშობილებული სახელი გრგებია, ნუ შეარცხვენ მაინც.

● სამივე მეგობარი ჩემი ქუჩის სხვადა-

სხვა ეზოში, ოღონდ ერთ მწკრივში ცხოვრობდა. ჩემს მეზობლად კი არც ერთი მათგანი არ იყო. ისინი ერთ სკოლაშიც არ სწავლობდნენ, მაგრამ სკოლაში თუ სკოლის შემდეგ სულ ერთად იყვნენ და სხვა მათ არც არავინ ეტმასნებოდა.

მათ კინო, წიგნები, ხეტიალი და რომელიმე სადარბაზოს კიბეებზე ჯდომა უყვარდათ. ყველაზე მეტად — ხეტიალი. ერთი გაუვლიდა მეორეს, ორივე — მესამეს, ერთმანეთს რაღაც იდეალური საშუალებით გამოიხმობდნენ, ქუჩაში კი აიკინძებოდნენ, აჯაგნებოდნენ და წყნარი დუდუნით ალთას თუ ბალთას გაუყვებოდნენ. ჩვეულებრივ დღეებში საღამო ხანს ჩვენი ქუჩის შემოგარენზე გასეირნებას სჯერდებოდნენ. კვირაობით კი დილიდანვე გრძელ გზას დაადგებოდნენ — პლენხანოვის პროსპექტი, მარქსის სახელობის ორფა ხიდი, ჯორჯიაშვილის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი... იქ ყველა წიგნის მალაზიას საგულდაგულოდ მოსჩხრეკდნენ, რომელიმე კინოთეატრში დღის სეანსზე დასწრებასაც მოახერხებდნენ და ელბაქიდის დაღმართით დაეშვებოდნენ. ხანაც გზას თავიდანვე კვლავ პლენხანოვის პროსპექტით, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით გაუყვებოდნენ, ახალაგებულ ჩელუსკინელთა სახელობის ხილზე გავიდოდნენ, გმირთა მოედანზე თერთმეტსართულიან სახლთან ზემოთ აუზვევდნენ და ცნობილ საბურთალოს ბაზარში ზღვა ხალხს შეერეოდნენ. უკან კი ამჯერადაც ელბაქიდის დაღმართით ბრუნდებოდნენ, ოღონდ უკვე ლენინის ქუჩის მხრიდან.

მათი მოგზაურობის მარყუქი უმეტესად მარჯანიშვილის მოედანზე იკვროდა.

კარგარეთელის ქუჩაზე ისინი ბინდისასლა და დალილინი, მაგრამ კმაყოფილი სახით შემოაბიჯებდნენ. სახლში ზეზეურად ორიოდღე ლუქმას გადასანსლაოდნენ, და ისევ გარეთ და ერთად იყვნენ.

ახლა ისინი რომელიმე სადარბაზოს კიბეებს ეპატრონებოდნენ.

ეს ერთი ხანია, რაც მე საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ოთახის ტყვე შევიქენი, მთ ყველაზე უფრო ჩვენი სახლის სადარბაზო აიჩემეს. ჩვენ — მე და დედაჩემი, იმავეთვე პირველ სართულზე ვცხოვრობდით, ფანჯრიდან კისერწაგრძელებულს შემეძლო ხელით ტროტუარს შევხებოდი, ხოლო თუ ცოტა მეტს ვავიჯებოდი, მხარმარცხნივ სადარბაზოს კიბის ზედა საფეხურსაც მიეწვდებოდი. კიბე სულ სამი საფეხური იყო და ჩამოსაჯდომად მოსახერხებელი.

ვახტანგი, თამარი და ირაკლი თაყიანთი გულითადი საუბრის მოსმენას არ მიშლიდნენ და ჩემი უდიდესი საამოვნებაც მათთვის სულგანაბული ყუჩრის გდება იყო. მეჩვენებოდა თუ ნამდვილად ასე იყო, ისინი თითქმის თვითონაც ცდილობდნენ ჩემთვის ამ ნეტარების მონიჭებას. მაგრამ ასეთ დროს მე კიდევ სხვა, სრულიად ძალდაუტანებელი, ყველაზე ძვირფასი და საყვარელი ხმაც მატკობდა. ეს, ჩემს უკან საღამე ჩვენი პაწაწინა ოთახის სიღრმეში (თუ მას სიღრმე ჰქონდა!) ხელსაქმით მიმჯდარი დედაჩემი ღიღინებდა. დედაჩემს არაფერი ელიღინებოდა. არ გვიღინებდა. ხელმოკლედ ვიყავით. მაგრამ ამ ღიღინით მე სევდას მიქარებდა და თვითონაც გულს აყოლებდა.

ეს ხმა, ღიღინი, უებარი იყო ჩემთვის, როცა უამინდობის გამო მე ფანჯარას ვერ გამოვალბედი, ან ვთქვით და ვამხებდა კიდევ, ოღონდ ჩემი საყვარელი სამეული რაიმე მიზეზის გამო თავის ადგილზე არ დამხედებოდა. თუმცა, თუ ისინი სადარბაზოს კიბეზე მოკალათებული არ იყვნენ, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ კოკისპირულ წვიმასა და ქარაშოტშიც კი ქუჩაზე მანც არ გამოჩნდებოდნენ.

გამოჩნდებოდნენ თუ არა და მე ფან-

გიორგი ველაშვილი
ჩემი თბილისი



ჯარაზე მომიკაკუნებდნენ და მადლიერებით გულაჩქარლებულს ხელში ძნელად საშოვარ დაფურცლულ წიგნს მომაჩეჩებდნენ. ამ საზრდოს არ მაკლებდნენ.

● თვითონ მათ, როგორც მრავალსა და მრავალს მათს ასაკში, ალექსანდრე დიუმა — მამა და ჯექ ლონდონი, ფენიმორ კუპერი და მიინ-რიდი აბოდებდათ.

უკვე ათეული წლებია მრავალი თაობა სიყვარულით ეწაფება ალექსანდრე დიუმა — მამის სათავგადასავლო წიგნებს, განსაკუთრებით მამაცი და მოხერხებული მუსკეტერების ამბავს.

ამბობენ, ბალზაკი ვერ იყოთ კეთილგანწყობილი ალექსანდრე დიუმა — მამისა და მისი ათოს-პორტოს-არამის-დარტანიანის მიმართ. მაგრამ, საფიქრებელი კია, მიუხედავად ამისა, ეს დიდი მოაზროვნე კაცი ჩუჩუმად მაინც გატაცებით კითხულობდა წიგნებს სამი განუყრელი მუსკეტერისა და მათი გონებამახვილი და გულადი გასკონელი მეგობრის შესახებ.

ანდა რა ჰქონდა სადავო ბალზაკს დიუმასთან? ან ემილ ზოლა რად ესმოდა თავს ამ სახელოვან თანამემამულეს, როდესაც დაუნდობლად სთათხავდა მას სტატიაში — „ძეგლი ბალზაკს“. ამ სტატიაში ემილ ზოლა თავგამოდებით და, რა თქმა უნდა, სამართლიანად მოითხოვდა ბალზაკისათვის საფრანგეთში ძეგლის აგებას. ბალზაკს ძეგლი არ ჰქონდა და ისიც სამშობლოში, ეს უბრალო დანაშაული არ იყო.

გატაცებული მკითხველები და თანაც თავგამოდებული დამცველები ჰყავდა ალექსანდრე დიუმას ვახტანგის, ირაკლისა და თამარის სახით.

უბითა თუ ჯიბით კი ჯექ ლონდონის წიგნებს დაატარებდნენ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიუმას ვეება წიგნები ასე სატარებლად მოუხერხებელი იყო, მაშინ როცა ბრწყინვალე ლიტერატორად მოვლენილი ამერიკელი კე-

თილშობილი მაწანწალას და მეზღვაურის ნაწარმოებნი მეტწილად შეგებებით მცირე მოცულობისა იყვნენ. მათი სიმპათია ასე იმის მეოხებით იხრებოდა, რომ დიუმასთან რაინდობა აშკარად გაზღაპრებული, გატრიზებული იყო; ჯექ ლონდონის გმირები კი სპეტაკი სულისა და ძლიერი ნებისყოფის ნამდვილ ადამიანებად წარმოუდგებოდნენ. კიდევ, მათთვის მწერლის სახესაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს, საერთოდ მოზარდთა უანგარო მიკერძოებაა — სათაყვანებელი შემოქმედი მათს თვალში იფრთაც ამალდეს. ისინი დიუმას კი კითხულობდნენ და დაუცხრომლად, მაგრამ ავტორის სურათს ჯერ არ წასწყდომოდნენ. მაშინდელ წიგნებს დიუმას სურათი ან საერთოდ არ ახლდა, ან თუ კი თავდაპირველად ახლდა, უკვე ვინმეს მიეთვისებინა.

სამაგიეროდ, ჰქონდათ ჯექ ლონდონის სურათები, საიდანაც მათ უყურებდა ახალგაზრდა კაცის თითქოს ოდნავ სევდიანი, დაღლილიც, მაგრამ მეტად ნათელგონიერი, სათნო და ლამაზი ეპიკაური სახე.

● ამ ეგრეთწოდებულ უშოვარ წიგნებს ისინი უმეტესად თავიანთს აჩემებულ საბურთალოს ბაზარზე შოულობდნენ. წიგნების იქაური მოხუცი გამყიდველები, ეს თავისებური ბუკინისტები, ერთომ კუშტად გამოიყურებოდნენ. ალბათ ეთაკილებოდათ, რომ უსახსრობის გამო უხვდებოდათ გაყიდვა წიგნებისა, რომელთაც წლების მანძილზე თანშეზრდილი მეგობრებგვით ესათუთებოდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

ჩემს მეგობრებს, იგივე ჩემს მეურვეებს მარტო ამ წიგნებზე არ დასდგომოდათ საქმე. ისინი საფუძვლიანად იცნობდნენ ყველა გამოჩენილ ქართველ მწერალს, და მათ მთავარ ნაწარმოებთ, აგრეთვე მდიდარ რუსულ ლიტერატურას. რაღა თქმა უნდა, რომ შეყვარე-



ბულნი იყენენ მიაკოვსკიზე და ეამა-
ყებოდათ, რომ იგი ბაღდადელი იყო.

მაგრამ სკოლისა თუ კინოს, ხანგრძ-
ლივი ხეტიალისა და ახლა კიდევ სადარ-
ბაზოს კიბეებზე საათობით ჭუჭქუკის
შემდეგ რომ თავი სულ წიგნებში
ჰქონოდათ ჩარგული, წიგნის ფასი და
სიყვარული არც ეცოდინებოდათ.

როგორც თითქმის ყველა ბიჭი, ვან-
ტანგი და ირაკლიც მწყრალად არ ყო-
ფილან ფეხბურთთან, და ხშირადაც გას-
წევდნენ ხოლმე სვანეთის უბანში, ძვე-
ლი სასწავლო დაწესებულების — სე-
მინარიის მოშანდაკებულ მოედნისაკენ.
ამ შენობისათვის, რელიეფური თვალ-
საზრისით, მეტად მომგებიანი ადგილი
შეუბრჩევიათ. უკვე ერთობ ინტენსიუ-
რი განაშენიანების დროსაც კი იგი კი-
დევ მეფურად გამოირჩევა მთელს იმ
მთავორიან და ვრცელ უბანში.

სემინარიის იმ მოედანზე დილიდან
მუქ ბინდამდე ყოველდღე ფეხბურთი
იყო გაჩაღებული და ვახტანგსა და
ირაკლისაც გამოჩენისთანავე თამაშში
ჩაირვედნენ ხოლმე გაღებულ ნორ-
ჩი მობურთალები. ხოლო სადავო ვი-
თარებაში მოედანზე გაკაპასებით გაჭ-
რას არ ერიდებოდა ისედაც ფიცხი და
გადარეული თამარი, რომ თავის მეგობ-
რების მხარე დაეჭირა.

სვანეთის უბანში ფეხბურთთან ერ-
თად ლახტიც ბატონობდა.

ვანტანგი და ირაკლი, როგორც ფეხ-
ბურთში, წრიდან ქამრის ატაცებაშიც
ვარგოდნენ და თამარი აქაც მათი სი-
მარჯვისა და გამბედაობის დაუდებარი
მეთვალყურე იყო.



ფეხბურთისა თუ ლახტის შემდეგ ისი-
ნი მთელი დაღმართიანი ცხრა იანვრისა
და რენინგერის ქუჩების, აგრეთვე კა-
ლინინის ქუჩის მცირე მონაკვეთის გავ-
ლით ახალგაყვანილი ტრამვაის ხაზის
გაყოლებაზე თავს უკვე თავიანთ სამ-
ფლობელოში გრძნობდნენ.

მარჯანიშვილის ქუჩა, რომელიც ხან
„კირკა“ იყო, ხან ჟორესის სახელობისა,

ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ძარღვით
თუმცა არც სიგრძით, არც სიგანით
გამოირჩევა. მისი უპირველესი უპირა-
ტესობა ისაა, რომ იგი ყველაზე მოხერ-
ხებულია ხიდებამდე მიწვილი მტკვრის
მარცხენა და მარჯვენა ნაპირების და-
მაკავშირებელ ქუჩებს შორის.

ქუჩის მთავარი ღირსებაა მარჯანიშ-
ვილისავე სახელობის სახელმწიფო ანუ
უბრალოდ მარჯანიშვილის თეატრი,
რომელსაც თვით დიდმა კოტეშ მთაბე-
რა სული. თეატრის გარდა ხალხს აქ
იზიდავს ცენტრალური უნივერსალური
მალაზია და სხვადასხვა წვრილი სავაჭ-
რო წერტილები. უნივერსალური მალა-
ზია იზიდავს თვით თბილისელთ და მე-
ტად კი რაიონებიდან ჩამოსულთ. ამა,
როგორ შეიძლება თბილისში თუნდაც
ერთი დღით ჩამოვიდეს კოლმეურნე და
„უნივერსალს“ არ ესტუმროს?

ქუჩა ძირითადად ახლაც თითქმის
ისეთსავე იერზეა, როგორისაც იყო ამ
ოცდახუთი და მეტი წლის წინათ, იგივე
ძველი, თუმცაღა მაინც მყუდრო, შე-
ლამაზებული, მეტწილად დარაბებიანი
უთანაბრო სახლები დგას.

სამაგიეროდ, მოედანია სულ ახალი.
სხვადასხვა ძველ ნაგებობებს სამმხრივ
უკვე ადგილი დააცლევინა ერთი
მიმსგავსებულმა ახალმა დიდმა სახ-
ლებმა, რომელთა ქვედა სართულებში
განლაგდა ათობით მალაზია. სადაცაა,
აღბათ მეოთხე კუთხის ძველ შენობა-
საც ახალი შეენაცვლება, მაგრამ პლე-
ხანოვის პროსპექტისა და მარჯანიშვი-
ლის ქუჩის გადაკვეთაზე მოედნად წო-
დებული უწინდელი ფრჩხილისოდენა
ფართობი ახლა უკვე ნამდვილი მოე-
დანია.

ჩემი საყვარელი მეგობრების წარ-
მოდგენაში ეს ქუჩა და მოედანი გაიგი-
ვებული იყო, ერთ მთლიანობად ჩახა-
ტულიყო, რადგან ერთობლივ ორივეს-
თან იყო დაკავშირებული მათი არა ერ-
თი ამადლეგებელი შეხვედრა — ამა თუ

აიორავი ვალაჟილი
ჩემი თბილისი



იმ სასიკადალო მოქალაქეებთან, რომელთაც იმავე ადგილებში გავლა უხდებოდა.

სწორედ აქ, რომელიდაც სადარბაზოში წვიმისაგან თავშეფარებულებს მათ ერთხელ ახალგაზრდული იერის რუხკოსტუმიანი და პორტფელიანი დარბაისელი კაცი მიჰმატებოდათ და მორიდებით ეთხოვა, ეგებ მეც ჩამომჯინოთო. შემებარ ყმაწვილებს გაწევგამოწევა კი არა, ადგილიდან წამოცვენა დაეპირებინათ, მაგრამ ტკბილ ადამიანს ამის ნება არაფრის გულისთვის არ მიეცა. იგი მიინცდამინც სწორედ მათს შორის ჩატეულიყო და წვიმაზე თვალმიჩერებული თავისთვის თითქოსდა აღუღუნებულყო.

ვალაკტონი უკვე მაშინ იყო დიდი და მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოში ადგილდამკვიდრებული, და აბა, როგორ არ დაფეთდებოდა და სიამაყითაც არ აივსებოდა მასთან ამ მოულოდნელი სიახლოვით სამი მოზარდი, რომელთაგან თვითველი გაკვეთილებს შემდეგაც შთაგონებით წარმოსთქვამდა ხოლმე პოეტის ლექსებს, მეტადრე „ლურჯა ცხენებსა“ და „მე და ღამეს“.

იგივე მიდამოებში მათ პირველად დალანდეს ახალგაზრდული მარგალიტი, კეთილშობილი და ალალი რაინდი სპარტაკ ბალაშვილი, როცა ის იყო დამკვიდრდა ეკრანებზე მიხეილ ჭიაურელის „არსენა“. სპარტაკ ბალაშვილის შთამბეჭდავი გარეგნობისა და ხალასი ნიჭის წყალობაა, რომ ქართველ ხალხს თავისი საყვარელი სახალხო გმირის კეშმარიტი სახე შეექმნა ამ ფილმში.

მსახიობის დიდი გამარჯვება ყოველთვის ის კი არ არის, თუ რომელიმე როლს ახლებურად გახსნის. უდიდესი მიღწევაა, როცა წიგნისა თუ ზეპირსიტყვიერების აღიარებულ გმირს მსახიობი მოულოდნელად ზუსტად ისეთად დაგიხატავს, როგორადაც მანამდე საკუთარ წარმოდგენაში წარმოგსახვია. ასეთი იყო ელენე დონაურის ოთა-

რანთ ქვრივიც, დიდი ილიას შექმნილი ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებულ „ჩატეხილ ხიდშიც“. თანაც „ჩატეხილი ხიდი“ იგივე თეატრის მიერ წარმოდგენილ „ნინოშვილის გურასთან“ ერთად განსაკუთრებით საყვარელი და სასარგებლო იყო მოზარდებისათვის, რომელთაც ეს დადგმები სასკოლო მასალის შეთვისებაშიც ეხმარებოდა.

სპარტაკ ბალაშვილი და არსენა იმთავითვე გაიგივდნენ.

იმ დროს კი თვითველი მოზარდის საკვებარი უპირატესობა იყო, თუ მას სადმე თვალი მოეკრა ეკრანიდან გადმოსულ წვეროსანი ვაჟკაცისათვის. ასეც იტყოდნენ ხოლმე: „ბიჭებო! არსენა ვნახე“. სახლიდან, ბოჭორიძის ქუჩიდან კინოსტუდიისაკენ მიმავალი სპარტაკი გზად, როგორც წესი, მარჯანიშვილის ქუჩას იჩრევდა. მიაბიჯებდა იგი ამ, ან რომელიმე მახლობელ ქუჩაზე თავისი გრძელი ნაბიჯით და სათნო, იღუშალი ღიმილით და მას სიყვარულით თვალს მიადევნებდნენ მის დანახვაზე სასოებით გარინდებული თაყვანისმცემლები. მათ შორის კი, რა თქმა უნდა, ვახტანგიც, თამარიც, ირაკლიც ანუ ვატა, თარია, ირაყო, როგორც მათ საალერსოდ მიმართავდნენ სახლშიც და მთელ ქუჩაზეც. ერთობლივ სამივეს კი მოიხსენიებდნენ: სამეული, სამაია, სამინა და რა თქმა უნდა, სამება.

სოსო გრიშაშვილის ისინი ვალა მხარეს, რუსთაველის გამზირზე ხედებოდნენ. ხალხმრავლობაშიც უმაღლესი შეიმჩნეოდა ქუცმაცად მოარული თვალფაციცი და მოკრძალებული მგოსანი კიდევ ერთი ახალმოპოვებული განძით — ძველ-ახალი წიგნების მორიგი შეკრულით ხელში, რომელსაც ქაღალდში არასდროს ახვევდა.

— მგოსანო, ერთი ტურფა რითმა მინდა გაჩუქო, — ხმამაღლა შორიდანვე მიუმართავს ერთხელ სწორედ რუსთაველის პროსპექტზე ოპერის თეატ-

რის შობიერდაპირე წიგნის დიდი მალა-
ზის წინ მისთვის ვინმე თავშენახულ
ყარაჩოღელს.

— ვაჰ! შენ ხარ, კაცო? — სიხარუ-
ლით შეუტყვინა იგი სოსოს, როცა ერთ-
მანეთს მიახლოებთან, მაშინათვე ძველი
ყაიდის ჩასპანდი კაცისთვის მოწიწე-
ბით ხელკავი გამოუღვია და ისინი გზას
ერთად გულითადი საუბრით გაჰყო-
ლიან.

ხან აქ და ხან იქ იმავე გაღმა მხარეს
მათ თვალწინ გაკრთებოდა ხოლმე მეო-
რე, თეთრწვერულვაშიანი იოსები, სან-
დომიანი და ამაგდარი მოხუცი განუყ-
რელი ნაბღითა და კახური ქუდილი —
იოსებ იმედაშვილი ნამდვილი კეთილი
თოვლის პაპა. ვინმე რომ თავს მოაბამ-
დეს (ეს კი სულ ადვილი მოსახერხებე-
ლია), იოსებ იმედაშვილის ზუსტი გან-
სახიერება უნდა იყოს ჩვენში ნაძვის-
ხეთა აუცილებელი სტუმარი თოვლის
პაპა და ასეთი იერის მეკვლეს განსა-
კუთრებული სიამოვნებით აღიქვამს
ყველა თაობის ქართველი ბავშვი.

რუსთაველის პროსპექტზევე, უმეტე-
სად, რა თქმა უნდა, რუსთაველის თეა-
ტრის წინ დაბიჯებდა გოლიათი აკაკი
ხორავე. აკაკი ხორავეს, შემდგომში
გიორგი სააკაძის მეტი რომ არაფერი
შეესრულებინა, ძეგლად დიდი მოურა-
ვის განსახიერებაც ეყოფა.

ქუჩებში, აგრეთვე, არ შეიძლებოდა
არ შეენიშნათ მათ ფაქიზი და ღინჯი,
წარმოსადეგი შალვა დადიანი; სადად,
მაგრამ მუდამ კოხტად ჩაქმული კოხტა
ყარალაშვილი, და კიდევ ვინ და ვინ არა.

ერთხელაც — მაშინ თბილისში ტრო-
ლეიბუსი სულ ახალი ხილი იყო — მე-
გობრები განსაკუთრებით ლამაზ სუ-
რათს შესწრებოდნენ. ტროლეიბუსში,
რომელშიც ისინი კინოთეატრ „რუსთა-
ველთან“ ასულიყვნენ და უკვე კიდევ
მოექებნათ თავისუფალი ადგილები,
მათი ჩათვლით ზუსტად იმდენი მგზავ-
რი აღმოჩნდა, რამდენიც დასაჯდომი
იყო. ის იყო მძღოლს ტროლეიბუსი
უნდა დაეძრა, რომ უეცრად გულაჩ-

ქროლებული ნატო ვაჩნადე ამოვიდა
ბადურა კალათით, და მის დანახვაზე
უცებ და ერთობლივ ფეხზე წამოდგა
ყველა მგზავრი, ქალი, კაცი, მოხუცი,
ბავშვი. ისინი მოწიწებით შესცქეროდ-
ნენ დიდებულ ქალს და თვითუფლი სი-
ხარულით ცას მიეწეოდა, თუ მაინც და
მაინც მის მიერ შეთავაზებულ ადგილს
ინებებდა იგი. ნატოს კი სკამი არ სჭირ-
დებოდა, ძალზე მიიჩქაროდა, დასაჯდო-
მად არ ეტალა. თუმცა ფეხზე იქნებოდა
თუ არა, ხომ ერთი ფასი ჰქონდა, რაკი
თავის მუხლის სიმარდებზე აღარ იყო
დამოკიდებული, მაგრამ მოჩქარე ხში-
რად მუხლის ჩახრას ვერ ჰგუობს. ამ
შემთხვევაში კი ნატო უხერხულ მდგო-
მარეობაშიც აღმოჩნდა. რომელი ერ-
თის პატივისცემა უნდა მიეღო ან თავად
რომელი მათგანისათვის დაედო პატივი
თავისი მადლიერებით?

— უიმე, თქვენი ჭირიმეთ, — რამ-
დენჯერმე თავისი ღრმა გულისეული
ხმით უმწეოდ ამოსთქვა მან და დაჯ-
დომაც ვერ მოახერხა.

მაგრამ გაჩერებამდე, სადაც ნატო
ჩავიდა, და ჩავიდა მგონი უფრო ადრე,
ვიდრე ჩასვლას აპირებდა, ისევ ფეხზე
იღგა ყველა მგზავრი, ვინც მას თავდა-
პირველად ადგილი დაუთმო, და ასე
გასინჯეთ, არ დამჯდარა არც ერთი
ახალშობილბული მგზავრიც კი.

მათი ყურადღება მრავალ რიგით,
მაგრამ თავისებურად გამოჩნეულ ადა-
მიანსაც სწევდებოდა.

ერთ-ერთი ეზოს ჭიშკართან თავისი
გაბოხილი დაზვიანად მიუყუყულიყო მო-
ხუცი ხარაზი, რომელსაც ხშირად, რომ
იტყვიან, დავთრებს ურევდა საიდანმე
მიზანსაცდენით გამოტყორცნილი ბურ-
თი, მაგრამ იგივე ბურთს საფასურის
გარეშე გულმოდგინედ უკოწიწებდა
ხოლმე ცარიელზე დარჩენილ მობურ-
თალ ბიჭებს.

იყო ვინმე წარმოსადეგი, თეთრულ-

გიორგი გელაშვილი
ჩემი თბილისი

ვაშაწებილი, ტანხმელი და მაღალი, ენაწყლიანი ჭარბავი კაცი განუყრელი ყაბალახითა და სარკესავით გაკრიალებული მსუბუქი ჩექმებით, რომელსაც ყოველი შემხედვარი ნაცნობისათვის მოეძებნებოდა უბოროტო შენიშვნა.

— დიმიტრისავით არ ავიფუფუნებ უღვაშები?

— რა ექვთიმესავით ჩამოგიშვია ეგ პატოსანი ცხვირი.

— ბესასი არ იყოს, არც შენ უჩივი უმადობას.

— მე და ჩემმა ღმერთმა, თანდოსაც შეშურდებოდა შენი ფესხაცმლის ჭრატუნი.

მისგან ამ შეხუმრებას საწყენად არავინ ღებულობდა, თუმცადა ეცნაურებოდა ჩვენზე ქუჩელების; დიმიტრის თუ ექვთიმეს, ბესასი თუ თანდოს ესა თუ ის ბედოვლათობა.

იყო მისი კბილა ფუმფულა და მელოტი ხითხითა მუსიკოსი, რომელიც ზაფხულში სადამოობით მუშტაიდის ღია ესტრადაზე ორკესტრში კლარნეტზე უკრავდა, ხოლო ბაღის დროებით დახურვიდან ახალი სეზონის დაწყებაჲდე სულ ერთთავად სხვა საშოვარზე დადიოდა იღლიაში ამოჩრილი განუყრელი საკრავით. ზაფხულში მუშტაიდში წასვლამდე მთელი დღე თავის პატარა ეზოში გაფენილ ფოჩებშემოძაოცულ, გაქუტულ ხალიჩაზე გორაობდა ტანთ მოშილიფებული და მთელი ყურადღება გამახვილებული ჰქონდა მომიჯნავე ეზოებში მეტიჩარა მამლების უღროო შეყვივებაზე.

— დაიკვლება დღეს ნატრიძეების ოქროსბიბილიანი.

— ჩაქნატუნდება დღეს ველიძეების ყვინჩილა.

— გაიბუტება დღეს მარდიშვილებს ღეზებიანი.

ქალაქის ეზოებში მაშინ ჯერ მკაცრად არ იყო აკრძალული ფრინველის ყოლა, მუსიკოსს არც დედლების კრიახი და ვარიების წიფწივი გამოეპარებოდა. მაგრამ პირის გემოს თვალსაზრისით ყვინჩილები უფრო იზიდავდა.

იყო ერთი შესანიშნავი წყვილი მელიდაც ქარხნის ოსტატი გოლიათი ვაჟი და მისი მუღმივი თანმხლები ტანკენარი ქალიშვილი. ვაჟი — ბუტუსტრა, უენო, ქალიშვილი კი — ენატრეტია და შპეტი. ვაჟი კრიჰაშეკრული და მოქუშული, მძიმედ დალაკებდა, ქალიშვილი მას თიკანივით ხან ერთ მხრიდან უხტოდა, ხან მეორედან და ერთთავად ექილიკებოდა. ვაჟს, სჩანდა, ქალიშვილისგან სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული, მაგრამ აშკარა იყო უიმი-სობა მაინც არ შეეძლო. ერთხელ ვაჟს ახალი კოსტიუმი შეეკეთნა. გამოსახსნელად მისული მკერავს არაფერზე შესდავებოდა და მზად იყო კოსტიუმი ყოველგვარი შესწორების გარეშე მიეღო. მაგრამ მოულოდნელად მისი მეგობარი გაჭირვეულეაბულიყო, ხან მკერდი დაუწუნა, ხან მხრები და კიდევ რამდენჯერმე მისვლა დასჭირდათ. ვახვითქულმა მკერავმა ბოლოს, როგორც იყო, ყველაფერი ქალიშვილის გემოვნებაზე შეასწორა, შევებითაც ამოისუნთქა და ვაჟის გასაგონად თანაგრძნობით ჩაილაპარაკა:

— ღმერთმა გაძლება მოგცეს, ძმაო, კაი და შენ გყოლია.

ქალიშვილი ამაზე ერთი რიგიან-პირიანად გაკაპასებულა, მკერავი საკადრისად შეუჩვენებია და არც თავის მეგობრისთვის დაუკლია ჭინჭარი.

— აი ერთთავად პირში წყალი რომ დაგივუბებია, იმიტომაა ეს გამოცდილი ოინბაზიც კი ვერ მიხვედრილა, რომ შენი საცოლოდ ვარ და ახალ კოსტუმზეც საქორწილოდ ვიზრუნე.

ქორწინების შემდეგ მათ ხასიათები სავსებით შეუთანაბრდათ.

იყო ვინმე „ქვეყნის მამიდაც“, ტკბილი და მარდი, ხალისიანი, მოკეკლუცო დედაბერი, რომელიც ყველა დღესასწაულზე დილაადრიან ხუსხუსით ჩამოუვლიდა ღამის მთელი ქუჩის ფანჯრებს, და მეზობლებს თუ უბრალოდ ნაცნობებს საუკეთესო სურვილებსა და ტკბილეულსაც მიუძღვნიდა.

იყო თვალბჩაცვნილი და ნადვლია-

ნი, უმეტესად წვერგაუპარსავი მხატვარიც; სახლმპართველობიდან მოსული გაურკვეველი ასაკის მჭახეხმიანი ქალიც, რომელიც მუდამ კისერზე ბოამოგდებული დაძრწოდა და ფაფარაყრილ ლომს ჰგავდა; ტანშიმე, თითქოს გაშეშებული თმაშეთხლებული ბულალტერიც, რომელიც თვალებს ისე უცნაურად აბრუნებდა, რომ იფიქრებდით თავი ჩვეულებრივ მდგომარეობაში კი უჭირავს, მაგრამ ხის კენწეროს ხედავს; შუახნის ეშხიანი და გულგამლილი, პურ-მარილის მადლის მცოდნე კაცი, რომელიც საღამოს, თუ ზარბოშად იყო, ქუჩაზე დიღინით შემოქანავდებოდა.

„მშვენი-ერთა ხელმწიფავ...“

— მართლაც, მშვენიერი გულისა მყავს სახლში, მე რომ მიტანს, — თან ალაღად აღსარებასაც წააბამდა ხოლმე სიმღერის ნაწყვეტს შემხვედრ ნაცნობთა საყურადღებოდ, — თუმცა იქნებ სახითაც ლამაზმანია ჩემი ოჯახობა, მაგრამ სირცხვილით თვალეებში რომ ვერ შემხედნია, როგორ დაგისურათხატოთ? გვეც არ იყოს, მამ რა იმღეროს კაცმა ია კარგარეთელის სახელობის ქუჩაზე? მე, იმის პატიოსან სახელს ვენაცვალე და იმის ლამაზ შუბლს ვეამბობრე; იყო, ახლახან სახელმოხვეჭილი და ნამდვილ გუნდში ჩარიცხული ჭაბუკი ფეხბურთელი, რომელზეც ყველაზე ნორჩი გულშემატიკვრები ფრად ბეჯითად ირწმუნებოდნენ, მას დამანგრეველი ძალის გამო მარჯვენა ფეხით ბურთზე დარტყმა აკრძალული აქვსო; მულზე თმაჩეჩილი პარიკმახერი და საკინძეჩამოხეული მკერავი; ხანდაშული ფაშფაშა პედავოცა ქალი, რომელიც დროთა სვლას სასწავლო წლებით ანგარიშობდა; წერწეტა და მკვირცხლი სტუდენტი ქალიშვილი, რომელსაც ილიაში ხან ნახაზების გრაგნილი ჰქონდა ამოჩრილი, ხან ჩოგბურთის ჩოგანი, თითქმის მთელი დღის განმავლობაში მუხლის ჩახრა არ სჩვეოდა და განუწყვეტელი ტანტალის გამო ლაჯუნას ეძახდნენ.

იყო ვინმე მარტოხელა, უცოლო დაბერებული უსიტყვო კაციც. უცოლობის გამო რომ ნიშნის მოვებით არ გაეკენწლათ, ალბათ იმიტომ, ყველას ჯიბრზე თავს თვითონ სანიმუშოდ უვლიდა. თავად ირეცხავდა და იუთოებდა და ქუჩაში მუდამ რიგიანად გამოიყურებოდა. ცნობილი იყო, რომ მას რომელიღაც დაწესებულებაში უკიდურესად რიგითი თანამდებობა ეკავა, მაგრამ დაწესებულებას უიმისობა არ შეეძლო, საქმის ისეთი სამავალითოდ შემსრულებლის სახელი მოეპოვებინა. მისი ვატაცება კი ცირკი იყო. ცირკისკენ თითქმის ყოველ საღამოს ისე ბეჯითად და დროის თადარიგით მიეშურებოდა, როგორც დიღით სამსახურსაყენ. ცირკში კი, წინა, უფრო მოხერხებული ადგილებიც რომ თავისუფალი ყოფილიყო, ის მაინც კუთვნილ სკამზე დასკუბდებოდა. სიცოცხე რომ ყოფილიყო (სიცოცხე კი ხშირად იყო. ცირკის სეზონი უფრო ზამთარშია და შენობა რატომღაც არ თბებოდა), ის მაინც გულაღად იჯდა და უყურებდა თითქმის გაზვიერებულ სანახაობას. ცირკს საკვირველებანი არ გამოეღევა. ცირკის როგორი სტაჟიანი მაყურებელიც არ უნდა იყოს, ისიც კი გაცოცებით წარბებს აკიმავეს ზოგიერთ იღეთზე. ამ კაცს კი აღარაფერი აკვირვებდა, მაგრამ უცირკოდ კი არ შეეძლო, ისევე, როგორც თურმე მის გარეშე არ შეეძლოთ სამსახურში. ცირკისადმი თავყანისცემაში იგი თვით კუპრინსაც კი გაუტოლდებოდა.

ვიღა არ იყო ჩვენს ერთ ბეწო ქუჩაზე!

თამარსა და მის მეგობრებს მრავალსხვადასხვა ასაკის ქალთა თუ კაცთა შორის მათთვის სამავალითო პიროვნებებიც ეგულებოდათ. ბევრ მათგანს ისინი სალმითაც კი არ იცნობდნენ, მაგრამ მოხიბლული იყვნენ მათი სიტყვაპასუხით, თავდაჭერით, ლაზათით, და

გიორგი ბალაშვილი
ჩემი თბილისი

მათ ბაძვდენენ, ასე ვთქვათ, ქუჩაში შე-
ძენილ მასწავლებლად მიიჩნევდნენ.

ქუჩა ყარგია, საყვარელია. და არა
მარტო კინოებში, ტროტუარებით,
ფილაქნით, ქვაფენილით, მწვანე ნარ-
გავებით, ვიტრინებით, საერთოდ მთე-
ლი იერით. ბევრი ქუჩა იმიტომაც ვიყ-
ვარს და ავიჩნებია, რომ იქ დაფასე-
ბულ ან უცნობ, მაგრამ მოსაწონ ადა-
მიანს შეხვედრიხარ და გგონია, მას იმ
კაცის იერიც სამუდამოდ დამჩნევია.

ჩემი მეგობარი ყმაწვილებიც ამიტომ
უფრო მეტად ეტრფოდნენ თავიანთ
„სამოქმედო“ არეობებს. მათ თვითონ
ჯერ კიდევ პატარებმა გულწრფელი
ლექსიც კი მიუძღვნეს ქუჩებს, ლექსი,
რომელშიც უკვე ასაკში შესულებივით,
წინასწარ, შორი მომავლიდან გამოხე-
დეს თავიანთ ბავშვობას.

●

მეგობრებს დღიურიც საერთო ჰქონ-
დათ. იმ დღიურში მათ გარდა არავის
ჩაუხედნია, მაგრამ ვიცი, სქელი, ორად
მოკეცილი რვეული ერთ დღეს რომ
ერთთან იყო, მეორე დღეს — მეორეს-
თან, შემდეგ მესამესთან, ხელახლა
კვლავ თავიდან ჩამოტარდებოდა და
ერთთავად ასე ბრუნავდა. დღიურში
თვითთული მათგანი სამთა საერთო ში-
აბეჭდილებას შეიტანდა და თავის მხრივ
იმ მცირეს მიუმატებდა, რაც დანარჩე-
ნი ორის გარეშე განიცადა. ამრიგად,
მათ ერთმანეთის შესახებ იცოდნენ
ისიც კი, რასაც უერთმანეთოდ ყოფნა
მოიცავდა.

გარდა ცალკეული პიროვნებებისა,
მათზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენ-
და ადამიანთა რომელიმე გულითადი
ჩვეულებაც. ვთქვათ, ერთ-ერთი ეზოს ერთ-
ობლივ ყველა მამაკაცი, რომლებიც
კვირა დღით დიდის გულმოდგინეზი-
თა და შეხმატებლებით მთელი ეზოს
სამყოფი ხაშის თადარიგს იკერდნენ-
თბილისში სასადილოების ხაშს დიდა
დაფასება და პატივისცემა აქვს, მაგრამ
ოჯახურს, შინაურს მაინც მეტი. ოღონდ
შინ თუ გარეთ ხაშის დამზადება მამა-

კაცის ხელობაა, ყოველ შემთხვევაში
ისინი ამ, დიდის კერძის ვეება ქვაბთან
ფუსფუსისას ქალებს სიახლოვეს არ
იკარებენ, მათ ნიორის დანაყვასაც კი
არ ენდობიან.

დარიანში, კარგარეთელის ქუჩის რან-
დენიზე ეზოში, ღია ცის ქვეშ გამართულ
საერთო სუფრაზეც მამაკაცები ჩამოდ-
გამდნენ ხოლმე საკუთარი ხელით დამ-
ზადებულ ხაშს. თითო ჩამჩა თითო მათ-
ლაფას ავსებდა, თითო ჩლიქი კი ყვე-
ლას უნდა შეხვედროდა. ხოლო თვი-
თეული თავის მათლაფაში ბლომად და-
ნაყილ ნიორს გააზავებდა. ზომიერად
მარილს უხადა და შიგ ფაშარ პურს
ჩააბუჭებუყებდა.

თამარსა და მის ბიჭებს მათზე ამის
გამო ეცინებოდათ.

დილაადრიან ახალ პურს ვერ შოუ-
ლობენ და თავს იტყუებენ თუ იჯერ-
ბენ, სხვასაც არწმუნებენ, ხაშს წინა
დღის პური უხდებოა. იმდენი მაგათ რა
ვუთხარიო! ახალი პური ყოველთვის
სჯობს ძველს, კაი გახუხულსაც კი.

ამიტომაც, სამთავეს, საკუთარი თა-
ოსნობით, არა ერთხელ ახალი პური
მოურბენინებიათ მოსუფრალთათვის და
ფაშარი პურის ქომავნიც მეტი სიამო-
ვნებით შექცევინა ცხელსა და სურნე-
ლოვან თონყულს. თუმცაღა, იმ დროის-
თვის ხაშის საბაბით გადაკრულ თითო
ჭიქა ქაშის არაყის შემდეგ, ისინი
უკვე ღვინოსა და მწვადებზე, ცოცხალ-
სა და მწვანილულ-მჭავეულზე გადა-
სული დახვედრიან და ყველაფერი ეს კი
მართლაც ჩვილ პურს მოითხოვდა.

ახლა უკვე საქმეში ქალებიც იყვნენ
ჩარეულნი და ნაშუადღევს სუფრის
ალაგებაც მათ უწევდათ. შექმნილიე-
ბული მამაკაცები კი ერთპირს გამოიძი-
ნებდნენ და მერე საღამო ხანს ისევ უკ-
ლებლივ ერთად ეზოში ან ქუჩაში ვა-
მოიკრფებოდნენ თავთავიანთი სკამე-
ბით, სანარდოდ თუ სატუჟკუჟოდ.

ბიჭები და თამარიც პატივისცემით
შესციცნებდნენ ამ ხალისიან, ერთურთ
კეთილგანწყობილ ადამიანებს, მაგრამ

ხაშის მერე მათთვის. აღარ ეცალათ. დღისით უნდა ეხეტილნათ, საღამოს კი კინოთეატრს სწვეოდნენ.

თითქმის ყოველდღე კინოსურათის ნახვა მათი ჩვეულება იყო და მას ძვირად ღალატობდნენ.

პლენანოვის პროსპექტზე მაშინაც სამი მთავარი კინოთეატრი იყო — ახლანდელი „კომკავშირელი“, „ამირანი“ და „ოქტომბერი“. „კომკავშირელს“ თავდაპირველად „დარბაზი“ ერქვა, შემდეგ კი „ტემპი“. „ამირანი“ კი ჯერ „პალასი“ იყო, მერე „დამკვერელი“. მხოლოდ ერთხელ გადაინათლა „ოქტომბერი“, რომელიც ამ სახელის მიღებამდე „აპოლოდ“ იწოდებოდა.

„ოქტომბერი“ კარგარეთელის ქუჩისა და პლენანოვის პროსპექტის კუთხეშია და ამდენად ყველაზე ხელმისაწვდომი იყო თამარისა და მისი მეგობრებისათვის, სადაც ისინი თავს შინაურად და თითქმის მასპინძლებად გრძნობდნენ.

აქ, შეუვალი განცხადება, რომ ამა და ამ სურათზე ან სენსზე თექვსმეტ წლამდე ახალგაზრდები არ დაიშვებიან, მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა.

მაგრამ, მათი გუნების ფილმს ყოველთვის არა „ოქტომბერში“, არამედ სხვაგან, ვთქვათ, „ამირანში“ აჩვენებდნენ და დაბრკოლებაც ასეთ შემთხვევაში იჩენდა ხოლმე თავს.

სწორედ „ამირანში“, მაშინ გახმაურებული ფრანგული მხატვრული ფილმის — რენე კლერის „შიგ პარიზში“ ჩვენებისას შეეჩხენენ ისინი დაუძლეველ წინაღობას, უფრო სწორედ, შეეჩხენენ მას მართო ბიჭები, კინოთეატრის ერთი უქმური კონტროლიორის სახით, რომელმაც ბილეთების წარდგენისას ყარყატა თამარი კი გაატარა შეუდავებლივ, მაგრამ მჭივნარე მეციხოვნესავით გადაეღობა ჯერ ტანგაუშულელ ვახტანგს და ირაკლის — „თქვენ პატარები ხართო“.

გაწბილებულ ბიჭებთან ერთად, რა თქმა უნდა, უკან გამობრუნდა სამშვიდობოს გასული თამარიც.

● შემდეგ წელს კი აწვრილდნენ ბიჭებიც. ტანიც აიყარეს და დამშვენდნენ კიდევ:

თვალციმციმა და კისკასი, კოხტა თამარის გვერდით ისინი უკვე საესეებით შესაფერ თანმხლებლებად გამოიყურებოდნენ.

ბიჭებს ისედაც სივაჭიზე სჩვეოდათ, მაგრამ ტანის აყრასთან მეტი თავმოყვალა შეითვისეს. ეს განსაკუთრებით მათ ქოჩრებს დაეტყო.

ვახტანგს ღია წაბლისფერი თმა და თეთრი პირისახე ჰქონდა, ლურჯ, მინაბულ თვალეში ერთთავად ფიჭვი თუ ოცნება ედგა, ცოტას ლაპარაკობდა, სამაგიეროდ, გულუბრყვილო, ცნობისმოყვარე გამომეტყველებით სხვას სასაუბროდ განაწყობდა და მერე სიამოვნებით უსმენდა.

მასთან შედარებით ირაკლი შავგერმენად ჩაითვლებოდა, მით უფრო, რომ მზე უცებ და საფუძვლიანად ეკიდებოდა. თმაც მუქი წაბლისფერი ჰქონდა. თავისი თვალების ფერი კი თვითონაც ვერ განესაზღვრა და დაედგინა. ირაკლის ლაპარაკი შეეძლო და სწორედ ის აღამიანი იყო, რომელსაც ყველაზე მეტად უსწინდა ენას ვახტანგი და რომლის მოსმენაც მას ყველაზე მეტად უყვარდა.

იმ ხანად, რა უფლება მაქვს უკლებლივ ყველაზე განვაგრცო ჩემი ვარაუდი და ვთქვა მთელი თბილისის ჰაბუკებიო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თბილისის ჰაბუკების დიდი ნაწილი კი სიარულში ნამდვილად გიორგი შავგულიძეს ან ბორის პაიჭაძეს ჰბაძავდა.

ერთსაც და მეორესაც თავისებურად მოხდენილი, განსაკუთრებული, თუმცა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სიარული ჰქონდათ, უმცროსნი კი მაინც როგორღაც ერთდროულად ორივეს ჰბაძავდნენ. ამ ორთა, ორი

გიორგი გელაშვილი
 ჩემი თბილისი

ადიარებული და საყვარელი მსახიობი-
სა და ფეხბურთელის სიარულის ერთ-
გვარი ჰიბრიდი გამოემუშავებინათ. ლა-
მაზი სიარული კი ადამიანის სხეულის
ნატიფი ნაკეთივით ფასდება და მათი
ნაბიჯის კილო გაკრავდა ვახტანგისა და
ირაკლის სიარულსაც.



დადგა დღე და ბიჭებმა თავის სი-
ცოცხლეში პირველად ჩაიცივეს კოსტუ-
მები, რომლებიც იგივე ჩასუქებულმა
და ქლოშინა მკერავმა გამოუწყო, ვინც
თავის დროზე სიმწრის ცრემლამდე
მიიყვანა მათი მეზობელი გოლიათი ვა-
ჟის ტანკენარმა და ენაკვიმატმა მეგობ-
ბარმა.

მკერავი, რომელსაც თავისი ხანგრ-
ძლივი მოხელოების მანძილზე თითიც
არ გაეკარებია ქალის ჩაცმულობისათ-
ვის, ვერც ახლა ასცდა ისევ ქალისაგან
წამებას. მწამებელი ამჯერად თამარი
იყო, რომელიც კოსტიუმების ყოველ
მოსინჯვაზე თავდაც შემკვეთივით თან
ახლდა ბიჭებს და ბიჭები რომ გატრუ-
ნული იყვნენ, ის ჰირვეული წუნმდებე-
ლივით უკირკიტებდა თვითველ ნაკე-
რავს თუ შენაკვცს.

ბოლოს შეკვეთას საშველი დაადგა,
მკერავმა თვითონ ჩააცვა ბიჭებს ზუს-
ტად ერთნაირი, ერთი რუხი ნაჭრისაგან
და ერთ ყაიდაზე შეკერილი კოსტიუმე-
ბი და მხრებზე ხელი დაუტყაუნა.

— მშვიდობაში და სიხარულში, ჯეე-
ლებო. ამის გარდა კიდევ ერთი ასიო-
დეც გაგეცვიოთო, — ხელოსანმა თან
თვალი თამარისკენ გააპარა, რომელიც
რაკი დაარჩენებულყო, ახლა მშვიდად
და ყურადღებით მოდების დაქინძილ
ქურნალს ათვალეირებდა, და ჩაიჭირ-
ქილა, — ისე კი, რა ვიჭირთ, ისეთი
მზრუნველი მეურვე გყოლიათ, კაი მამი-
დაც შემირცხვენია მაგასთან.

ბიჭებს ადრევეც თითქმის სულ გა-
ნუსხვაველად ეცვათ, ხაკის ხალათები
თუ უჯრულა პერანგები, მეზღვაურუ-
ლი ზოლებიანი და სპორტული მაისუ-
რები. საერთოდ, მაისურებით ქუჩაში

გასვლა მაშინ მიღებული იყო დღის
მოსაწონიც. შარველსაც უბრალო ნაქ-
რისას ატარებდნენ, მაგრამ აუცილებ-
ლივ ტოტებგანიერს, რომლებიც მი-
წაზე დასთრევდათ. მათ მშობლებს დი-
დი სახსარი არ ებადათ, მაგრამ იმით
მაინც უგებდნენ გულს თავთავიანთ
პირმშოს, რომ ერთნაირად მოსაგდნენ,
რაც ორივეს სანუკვარი სურვილი და
ყველაზე დიდი სიხარული იყო.

თავიანთ პირველ კოსტიუმებში გა-
მოწყობილ ბიჭებს ისედაც ესამუშებო-
დათ უჩვეულო ჩაცმულობა, შებოქი-
ლებივით იყვნენ, როცა მათ მედიდური
მეურვის თანხლებით კარგარეთელის
ქუჩაზე შეაბიჯეს. აქ კი პირველადვე
თითქოს საგანგებოდ გარეთ გამოფე-
ნილ მეზობლებს თვალში მოხვდათ მათი
ჩაცმულობა და თავი სადღა წაელოთ
არ იცოდნენ. მაგრამ თუ უფროსები მათ
რბილი, თავდაჭერილი ღიმილით შეხ-
ვდნენ, მათი მომდევნო თაობის წარმო-
მადგენლებმა — პატარა ოინბაზებმა მო-
ულოდნელად თავისებური ტუში დას-
ცხეს და ტუშს წკრიალა შეძახილიც
მოაყოლეს.

— ჩვენს არისტოკრატებს გაუ-
მარკოს!

ვახტანგსა და ირაკლის უცებ დას-
ცეცხლათ. ბოხჩები, რომლებშიც ძვე-
ლი ტანსაცმელი ჰქონდათ გამოკრული,
უმალ ძირს დაყარეს და პატარა ეშმა-
კუნებს ქორივით დაუქროლეს. ხელი.
რა თქმა უნდა, არ უხლიათ, მათს მო-
ხელთებასაც კი არ ცდილან, მაგრამ
უფროსებისადმი შიში და რიდი კი შეა-
გონეს.

მაინც იმ დღიდან არისტოკრატები
შეერქვათ.

ის კია, ასე, გამოსაჯავრებლად მათ
არავინ, არც დიდი, აღარც პატარა არ
მიმართავდა, მხოლოდ უიმითოდ, მათს
შესახებ საუბრისას სასიყვარულოდ ამ
სახელითაც მოიხსენიებდნენ ზოლმე
ორივეს ერთად თანატოლები თუ უფ-
როსი ახლობლები.

თუმცა მაინც იყო ერთი, მთელს ქუ-

ჩაზე ერთადერთი ადამიანი, რომელსაც საოცრად ეჭაშნიკა და გუნებაში მოუვიდა ეს სახელი, და როცა მარტო იყვნენ, კიდევ მოუბრუნებლად ექილიკებოდა მათ, პატივცემულო არისტოკრატებო, ლურჯთვალემა არისტოკრატო, თაფლისფერთვალემა არისტოკრატო.

მაგრამ ეს ადამიანი ერთადერთი იყო იმ მხრივაც, რომელსაც ტოლთა შორის არაფრის დიდებით არ გაუგულისდებოდნენ და ზედმეტ სიტყვას არ შეჰკადრებდნენ ვახტანგი და ირაკლი. თამარი მათი ყველა ფიქრი იყო და რაინდული თაყვანისცემის საგანი.

დღიური დღიურად, მაგრამ სკოლის ასაკის ახალგაზრდებს შორის, განსაკუთრებით გოგონებში ძლიერ იყო გავრცელებული ლექსის ჩასაწერი ალბომები; ალბომი უბრალო, პატარა. თითქმის უბის წიგნაკის ოდენა, ფერადფურცლებიანი და ყუაშიც ფერად ზონარ გაყრილი, მაგრამ მაინც ალბომი. თუ ალბომების მფლობელნი უმეტესად გოგონები იყვნენ, ლექსის ჩაწერა უფრო ბიჭებს ემარჯვებოდათ. იწერებოდა სხვათა და სხვათა ცნობილი ნაწარმოებებიდან თავისი ფიქრების შესატყვისად გადმოკეთებული ან საკუთრივ შეთხზული მიამიტი ლექსები.

თუმცა, თვითველ ალბომის მფლობელ გოგონას პირველსავე ფურცელზე საკუთარი ხელით მკაფიოდ ჰქონდა ჩაწერილი ყბადაღებული ტაეპი —

როგორც უნამოდ ვარდი არ ვარგა
და უყვავილოდ გაზაფხულია,
ისე არ ვარგა მოწაფისათვის
გულს ჩაენერგოს სიყვარულია, —

მაგრამ მომდევნო ფურცლებზე ბიჭების ნაცოდვილარი რითმები მათ მაინც სულსა და გულს უფორიაქებდათ.

ადრეული ასაკის დღიური კი მიამიტი, ოღონდ უმანკო ცხოვრებისეული საბუთია. ლექსების ჩასაწერი ალბომი კი — სულაც გულუბრყვილო და ერთგვარად საჩოთირო ერთ-ერთი პირველი საკუ-

თარი მეურნეობა. და მაინც შერისხვისა და დაგმობის ღირსი არც ერთი არაა, ერთსაც და მეორესაც თავისებური გულის დაოკება და შეება მიუნიჭებია ახალგაზრდა ადამიანისათვის, ჰაბუკისთვისაც და ქალიშვილისთვისაც.

კარგარეთელის ქუჩაზეც იწერებოდა ლექსები ალბომებში.

აქაური ბიჭები თავს არ ზოგავდნენ, ერთმანეთს ფარულად ეჯიბრებოდნენ ადგილობრივი გოგონებისათვის ლექსების მიძღვნაში. ამ „საქმეს“ ხშირად, ასე განსაჯეთ, ეწირებოდა ძნელად შესაღვი ბურთიც და კოჭებიც, ლახტიც და ჩილკაჯოხიც და, რალა თქმა უნდა, სახვალეო ვაკვეთილებიც. გოგონები და ბიჭები ერთმანეთს მღელვარედ და მალულად საკუთარ, პირადობის მოწმობაში ჩასაკრავად გადაღებულ ფოტოსურათებსაც უძღვნიდნენ, რომელთა მინაწერი შთააგონებდა: „სკობს მომიგონო და დახედო, ვიდრე დახედო და მომიგონო“.

მაგრამ კარგარეთელის ქუჩის გოგონებთან უკვე მოდიოდნენ პირველი გარეშე თაყვანისმცემლები.

პირველად ფრთხილად მოევილინა და შემდეგ კი თანდათან შეეჩვია ქუჩას ვინმე წვრილი და მალად ყმაწვილი. თავზე ლელი — სწორად აზრდილი და მოულოდნელად შენაცრული თმა ედგა, სახე კი ისეთი ჰქონდა, თითქოს სულ ერთთავად ეცინება და სულ ერთთავად იმ წვალემაშია, სიცილი როგორმე შეიკავოსო. სანიმუშო სიფაქიზით და მოხდენილად ეცვა, ყოველ გამოჩენაზე ახალი პალსტუხი ეკეთა, ხოლო ფეხსაცმელები ისე ულაპლაპებდა, რომ სარკედ გამოადგებოდა.

ყველაზე მეტად მაინც პალსტუხი აძლიერებდა მისდამი ზიზღს.

ამირანი ფარსეველურად მიეტმანსა ქუჩას.

პირველ ხანებში თითქოს მხოლოდ სეირნობდა, ქუჩას მიამიტად აუვლიდა

პირობი გელაუზვილი
ჩამი თბილისი

და ჩაუვლიდა, შემდეგ რომელიმე ხეს მიეყუდებოდა; ბოლოს კი ქუჩის შუა წელზე ერთ-ერთ სადარბაზოში წინასწარ მზრუნველად ვაგებულ ვაზებზე ან ცხვირსახოცზე ჩამოჯდომა აიჩემა. ერთის შეხედვით თითქოს არაფერიო, მაგრამ რაღაც მანქანებით ყურადღების მიპყრობას ახერხებდა. ქუჩის დაპყრობა კი ნორჩი თაობის გულის მოგებით დაიწყო.

მოკალათდა ერთხელაც აჩემებულ სადარბაზოს კიბეზე, ღიაფერის თხელი პიჯაკის გვერდითი ხალვათი ჯიბიდან მოზრდილი ბლოკნოტი და რამდენიმე ფანქარი ამოიღო და ხატვა გამართა. სახეზე კმაყოფილება აღბეჭდვოდა, წყნარად და მსუბუქად თავისთვის სტვენდა კიდევ, ხატავდა კი ყველას და ყველაფერს, ვისაც და რასაც ირგვლივ ხედავდა.

ქუჩაში, რა თქმა უნდა, ბავშვები თამაშობდნენ. ბავშვებს კი თამაშზე ხელს ნებაყოფლობით განსაკუთრებულ მოვლენა, ვთქვათ, მოხეტიალ მუსიკოსის გამოჩენა თუ ააღებინებს. ახლა კი მათს წინაშე იყო საოცარი მოვლენა — მხატვარი, თანაც კოხტა, გულღია ახალგაზრდა, რომელსაც, სჩანდა, მათთვისაც დაეთმო ყურადღება. პატარები დაუყოვნებლივ შეეშვნენ თამაშს და მხატვარს გარს შემოერტყნენ. ფურცლებზე თავიანთი სახელები და თავიანთი თავი იცნეს და აღტაცებას ვერ მალავდნენ. ამასთან მხატვარი ენაწყლიანი და ხალისიანი ყმაწვილი გამოდგა. პატარებს მათი პატარა ბიოგრაფიები გამოკითხა, თვითულს გატაცებას მიუხედა და ამის შესატყვისად ახალ ფურცლებზე გაჩნდნენ წითელფლოტელები, დარტანიანები, მოცეკვავეები, ფეხბურთელები, შვილდოსნები, რომლებიც მათვე დაუთრია. გოგონებმა და ბიჭუნებმა სასოებით მიიღეს და შეინახეს ძვირფასი საჩუქარი, რომლებსაც მხატვარმა წინასწარ მიძღვნითი მინაწერიც გაუკეთა. მან, აშკარა იყო, მათი სახით საიმედო პატარა მეგობრები შეიძინა.

მაგრამ ქუჩაზე გარეშე ახალგაზრდის

შემოჩვევა და გაშინაურებაც ამავე გუნებაში არ მოსდიოდათ მხატვრის პირველ თაყვანისმცემლებზე რამდენადმე უფროსებს, კერძოდ, მეცხრე-მეათე კლასის ჭაბუკებს. ისინი გრძნობდნენ, რომ გულუბრყვილო ბავშვების გულის მონადირებით რაღაც მზაკვრული მიზნისკენ გზას მიიკვლევდა ეს ვიღაც პეწენიკი ამირანი. ოღონდ რა იყო მიზანი? ამას ისინი ჯერ ვერ ჩასწვდომოდნენ, თუმცა ეჭვი ჰქონდათ, ამირანი ის მელა იყო, რომელიც ყურძნის სიყვარულით ღობეს ჰკოცნიდა.

თვით კარგარეთელის ქუჩის ბიჭები კი ჯერ ისევ სხვა სიყვარულის ბურუსში იყვნენ. ქუჩაზე ყველა ბიჭს თავისი მიუწვდომელი სიყვარული ჰქონდა. პირველი სიყვარული იყო ეს. პირველი სიყვარული ის არ არის, მაინცდამაინც, როცა გულის ტოლს აირჩევ და მისთვის ჩუმად იღავე. შორეული, ასაკით ბევრად უფროსი მსახიობი ქალის სახე რომ არ გასვენებს და თვითონაც ვერ გაგივია, რა არის ეს, ისიც პირველი სიყვარულია, რაც შენი მომავალი ნამდვილი მეგობრის ღირსებას არ ბღალავს. ბიჭებსაც უყვარდათ ლიუბა ორლოვა, თამარ მაკაროვა, ალა ტარასოვა... და ვინ იცის კიდევ ვინ.

●
თბილისში თბილისელთათვის ყველა თვე კარგია და თებერვალი და მარტიც კი მოსათმენი. თებერვალსა და მარტში ქალაქში ხშირად სუსხიანი ქარი დათარეშობს. იქნებ, წინა, ზამთრის თვეებში მერი სუსხია ხოლმე, მაგრამ ჰაერი არ იძვრის და სიცივეც მძაფრად არ იგრძნობა. ახლა კი თავნება ქარი ძვალსა და რბილში ვატანს.

— ეს რა გიყი ქარი გვეტაკა, რა ჭირი და დარღუბალა აუტყდა, გეთავყათ, — ისე შეიცხადებენ ხოლმე ყოველი თებერვალ-მარტის ჭირვეულობას თბილისელები, თითქოს ყველა წარსული თებერვალ-მარტიც ამგვარივე შლეგი არ ყოფილიყო.

უფრო ქალები წიწმატობდნენ. მე-



ტადრე ბაზრიდან ნავაჭრით გამოსული დიასახლისები, რომელთაც ტრამვის გაჩერებაზე ქარი სახეს უწვავდა; ტრამვაი კი ზოგჯერ მთელი ხუთი წუთი არ ჩანდა. ხოლო, რაკი იგვიანებდა, მას სხვა ცოდვასაც გაუხსენებდნენ. რამდენიმე წლის წინათ, როცა კალინინისა და კლარა ცეტკინის ქუჩებზე ტრამვის ხაზი გაჰყავდათ, ამ ქუჩების მცხოვრებნი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, გვეშველა, მარჯვე ტრანსპორტი ჩვენც გვეღირსაო.

კიდევ იმიტომაც აღრიან ვაზაფხულზე სუსხი ვანსაკუთრებით საგრძნობი, რომ ამ დროს გარეთ უსიამო ქარი დანავარდობს და აღარც ოთახებშია სითბო, რადგან მზის პირველ მატყუარა გამოჰყეტვისთანავე ერთგან დიასახლისებს თუნუქისა თუ სხვა სახის ღუმელები შეშისა და ნავთის დაზოგვის თვალსაზრისით ჰაიპარად აულაგებიათ, სხვაგან კი აგრეთვე მომჭირნე სახლთმმართველებს ცენტრალური ვათბობა შეუწყვეტიათ.

მაგრამ, თებერვალი დადგა — ხეში წყალი ჩადგაო, და თებერვალში რომ მცენარე სინედლის ფერს იბრუნებს, მარტში თავდაუზოგავ ყვავილობასაც იწყებს; იპენტება უპირველესად ნუში თუ ატამი. და ქალაქში ახლალა მოულოდნელად აღმოაჩენ, ხეხილი რა მრავლად ყოფილა. შეხედავ თუ არა ამ მოზღვავებულ ყვავილობას, ქარიც გავიწყდება და წვიმაც.

პირველად სწორედ წვიმა აზომინებს ხოლმე ქარს, ჯერ ნელა ჩამოსცრის, წმინდად ჩამოეჩელება, ქარს ოდნავ ფრთებს შეუკვეცავს, შემდეგ კი ზედოზიდ რამდენჯერმე ბარაქიანად დასცხებს და ამ ფრთებს სულაც წააცლის. მერე, იორდა წვიმა თავდაც თანდათან ნელ ჩორთზე გადავა და ქალაქში რაზის ნახვითქარილა დარჩება.

ძებზე დაცვარული ნათურები ციმციმებდნენ და ტროტუარებსა და ქვაფენილზე მბუეუტავ შუქს აფენდნენ.

კლარა ცეტკინის ქუჩაზე ვაზუზული ტრამვის ვაგონები მირობდნენ.

ვახტანგი და ირაკლი კონსტიტუციის ქუჩით ლენინის სახელობის სპორტული დარბაზიდან ბრუნდებოდნენ. დარბაზში საკვეშირო შეჯიბრზე წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ტანმოვარჯიშეები შურა ჯორჯაძე, კოკა თაყაიშვილი, გოგი ბაბილოძე, და ბიჭებიც, კმაყოფილი ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს.

თავიანთი ქუჩის კუთხეში რძის ნაწარმის პატარა მაღაზიის წინ მოულოდნელად პრანჟია ამირანს შეეჩხენენ და სახეზე ღიმილი მყისვე გაუქრათ.

ამირანი მათზე ერთი წლით უფროსი იყო და უკვე სტუდენტიც. ვახტანგი და ირაკლი მას გაკილვით ასეც მოიხსენებდნენ — სტუდენტი თუმცა, დღესხვალ თვითონაც გახდებოდნენ სტუდენტები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი ამ სიტყვას სხვის გასაქაქებლად და საკუთრივ კი ენისა და გულის მოსაფხანად თუ იტყოდნენ. „სტუდენტი, ალბათ, ჰალსტუხი უქერსო“, — ამასაც ენისა და გულის ქაველის დასაცხრომად დასქენდნენ ხოლმე.

სტუდენტი ჩვეულებრივ კოპწიად და ფაქიზად ეცვა და არც სველი იყო. მაშინ როცა ვახტანგი და ირაკლი თავიანთ უბრალო, საყოველღეო მაღალ საყელოიან სვიტერებსა და სატინის შარვლებში იყვნენ და გვარიანად დაყიებულნიც. სპორტული დარბაზიდან მაღაზიამდე, სადაც ორივე მხარე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა და უნებლიეთ კიდევ შეყვონდა, დიდი მანძილი არ იყო, მაგრამ ბიჭებს ჩვეულებრივ აუჩქარებლივ ევლოთ და საკმარისად დასველებულიყვნენ.

რაც ხანია სტუდენტი კარგარეთელის ქუჩას შემოეჩვია, ვახტანგი და

გიორგი ველაშვილი
ჩიმი თბილისი

წვიმამ თანდათან იკლო და სადაცაა სულ გადაიღებდა. ელექტრონის ბო-



ირაკლი მას შორიდან ზვერავენდნენ, თავის მხრივ არც ამირანს დარჩენია ისინი შეუმჩნეველი, ერთმანეთს გან-გან ჯიუტი ვაცებებით ეზომებოდნენ, ხმა კი ჯერ არ გაეცათ.

ვახტანგი და ირაკლი სთვლიდნენ, რომ ზრდილობა და თავაზიანობა მოითხოვდა ლაპარაკი პირველს ამირანს დაეწყო, როგორც მათს სამფლობელოში უკითხავად შემოყალიბებულ გარეშე პირს. მაგრამ, ჩანდა, ამ აზრს არ იზიარებდა თვით სტუდენტი, რომელიც თავს არხეინად გრძნობდა და შინაურულად დაპარპაშებდა მათს ქუჩაზე. ისე იქცეოდა, თითქოს თავსაც არ გაუყადრებდა მასზე თუნდაც სულ მხოლოდ ერთი წლით უმცროს ჭაბუკებს და მათაც ეს ხეთქავდა გულზე.

ახლა უბრაოდ ვერ ჩაუვლიდნენ ერთმანეთს.

— შეგვევიანებია ამ ჩვენს ქუჩაზე.

— თქვენ კი დაგვევიანებიათ დაბრუნება ამ თქვენს ქუჩაზე.

— წვიმამ თუ შეგაშინა და გადაღებას თავშესაფარში დაელოდე. მშრალიცა ხარ.

— მართლაც იმის გმირი არა ვარ, რომ თუნდაც გაზაფხულის წვიმას თავი შევუშვირო.

— მაშინ გარეთ სულაც არ უნდა გამოდიოდე. წვიმა წვიმაა, მაგრამ უბრალოდ ჰაერმაც შეიძლება დაგკრას.

— მაგაშიც მართალი ხართ. თანაც სახლში კოტრიას რა სჯობია. ოღონდ ამ თქვენი ქუჩის გარეშეც რომ ვერ ვძლებ.

— იმდენად, რომ ამ უამინდობაშიც კი იმეტებ შენს ნანებიერებ თავს?

— ასე გასინჯეთ.

შემტვენი — ვახტანგი და ირაკლი, რიგრიგად კბენდნენ, ხოლო ამირანი აღუღლებლოვ იგერიებდა მათ გამოხდომებს.

სამივე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა და ორი ერთს ზომავდა თვალით, ერთი იმ ორივეს.

— რომელი სახლი გიყვარს? — დამცინავი ღიმილიც გაიქრო სახეზე ვახ-

ტანგმა და აღუღებელი შეაჩერდა მას. სტუდენტმა ვახტანგს თვალი შეხვდა. ში გაუყარა და თავდაც გამჭირადვი ღიმილი ტუჩებზე შეიშრო.

— სჩანს, შენთვის განურჩეველი არ არის, რომელიმე ერთი თუა ჩემი არჩევანი.

— რომელ სახლს ეწონები? — შეასხვავებრა მეგობრის შეკითხვა ირაკლიმ.

— რომელსაც ქუჩისკენ ფანჯრებზე ყველაზე ლამაზი ფარდები აქვს და რაფას ქოთნებით ყვავილები უმშვენებს, — ხუმრობის კილოზე მიუგო სტუდენტმა, — მე ასე მწამს, თუ ფანჯრებს გემოვნებით შერჩეული ფარდები და ნასათუთები ყვავილები ამკობენ, მათს იქეთ ფაქიზი სულის ადამიანი ცხოვრობს. ფაქიზი ადამიანი კი, თუნდაც სრულიად რიგითი, უბრალო იყოს, კაცობრიობის ღირსებაა. და მეც — ქვეყნის მოწინავე აზრის მატარებელ შვილთა შორის ერთ-ერთსაც, არ მაქვს უფლება არ მიყვარდეს ასეთი ადამიანი. მე, ის ადამიანი, თვით მის მიერ ნაპატივები ყვავილივით, ახალაფეთქებული ხეხილივით და ღამისეულ ნარნარა სიმღერასავით მიყვარს. ლამაზ გათენებასავით მიყვარს. მე კი ლამაზი გათენების მაღლი ვიცი. მე და დილის ყვავილები ყოველ ცისმარე თვალს ერთად ვახელთ. თუმცა ლოგინის დათობაც მენანება. ლოგინში ნებეირობა მიყვარს. ქათქათა ლოგინში ჩაწოლა მიყვარს, რომ ჩაწვეები და თითქოს იმტყრევა გახამებული ჩარსავი, ზეწარი, ბალოშისპირი.

ირაკლი ისმენდა და ჩუმჩუმად იციწინოდა.

ძლივს შესამჩნევი ღიმილი გაუქრთა ლურჯ თვალებში ვახტანგსაც.

— პასუხი გაგიგრძელდა, მაგრამ გეპატიება. როგორც მხატვარი, ცხადია, სულით პოეტიცა ხარ. — შენიშნა ირაკლიმ, სტუდენტს კი ალაღად გაეცინა.

— ნეტავი ქვეყნად აღიარებულ მებაირაღე ლექსთა შორის ერთი მანც მე მეკუთვნოდეს.

— სცადე შენც ბედი ლექსებშიც, — შხაკერულად ურჩია ვახტანგმა, — ბავშვების ჭკუის ნახატებს თუ ახერხებ, იქნებ მათი მოსაწონი ლექსიც გააჯახირო.

— ვითომ? — ყასილი გულისყურით შეხედდა მას ამირანმა, — კალამმა რომ მიმუხთლოს?

— კალამი არაფერ შუაშია, — ვახტანგმა საფეთქელზე საჩვენებელი თითი მიიბჯინა — ამან არ გომუხთლოს.

— მეც მანდა ვარ! — უწყინრად და გულმოდგინედ თავი დაუქანტურა ამირანმა, — გაგონილი მაქვს, რომ მიზანშეწონილია ბავშვებისთვისაც დიდოსტატი მწერლები სწერდნენო.

— ახლა, სულაც დაგვაშუადამდა, — ჩაურთო საუბარში ირაკლიმ, — მივხედოთ ახლა ჩვენ ჩვენს ვხას.

— მივხედოთ, — ორივეს ამხანაგურად გაუცინა სტუდენტმა, — გატყობო, ჩემი თავი დიდად არ გსიამოვნებთ, მაგრამ კიდევ ხშირად მნახავთ ხოლმე თქვენს ქუჩაზე.

— ყოველ შემთხვევაში, ფრთხილად იყავი, — შენიშნა ვახტანგმა.

— ფრთხილად? — გაიოცა სტუდენტმა, — რას უნდა ვერიდო? თქვენ? მერე და, თქვენ ხომ კაი ბიჭები ხართ — მე ასე გამიგონია. ეგეც არ იყოს, თავმოყვარეობის თვალსაზრისით ორნი ერთზე არ მოხვალთ და საითთაოდ კი, ბოლიში, მაგრამ მგონია ვერაფერს გახედოთ.

— მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — დაარღვა ირაკლიმაც, — ჭკუით იყავი. ამ ჩვენს ქუჩაზე სულ ლამაზი ფარდებია, ხოლო რაფებზე ნაირ-ნაირი ყვავილები. მათ იქეთ კი ვინ და როგორი ცხოვრობს, ჩვენ უკეთ ვიცით და ვაფასებთ კიდევ.

ორმა ერთი და იმ ერთმა ის ორი კვლავ მოზომეს თვალთ.

ამირანი გოგოლის ქუჩიდან ბრძანდებოდა და კონსტიტუციის ქუჩას აღმააუყვავა.

ყველგან და თბილისშიც მაისია. მაისი ავადმყოფობაზე გამარჯვებულ კაცს ჰგავს, ხანგრძლივ ლოგინად ყოფნის შემდეგ რომ კვლავ სიარულს ეჩვენება და თან წამდაუწყუმ თავისთვის უმიზეზოდაც კი ეცინება.

თბილისში აკაციის ყვავილობამ როგორც არ უნდა დაიგვიანოს, მაისის შუა რიცხვებს არ გადასცდება. თეთრი მძიმე მტევნებით იტვირთება რტოები და მათი საამური სურნელი ქუჩებს ახალისებს, ხოლო ახალი გორგლებით დახუნძლული ჭადრები ბაზუაწვევრასავით ბურტყულებს ფანტავენ. ქუჩებში ნებიერად მიმომავალ ადამიანებს შორის კი კისკას გოგონებს და შუბლგახსნილ მოხუცებს იასამნები და ვარდები უჭირაეთ. ირგვება და ძველებთან ერთად პირველად ირწყვება ახალგაზრდა მცენარეები. პირველად ირწყვება თვით ქუჩებიც და ყვავილთა დამათრობელ სურნელებს ნიადაგის ოხშივარიც თავისას მატებს. მაისში, დაბინდებისას, უცაბედი შხაპუნა იცის, თითქოს და, სადაცაა სასიეროდ გამოშლილ ხალხს საგანგებოდ, საამდროოდ ჩაფიქრებულ სიკეთეს აწევს. ხოლო, როცა მოსიერნენი მართლაც მოეფინებიან ქუჩებს, მათ წვიმის წვეთები ჭადრების, აკაციების, ცაცხვების თუ ვერხვების საგულდაგულოდ დაღვრეპილი ფოთლებიდან და აცვივით კანტი-უენტად.

მტკვარი კი უკვე მოძალებულია და მღვრიე, მაგრამ ბიჭებს უკვე სადმე მაუღის კომბინატის მიდამოებში გასული წლის პირველი ჭყუმპალაობის სიამოვნებას ახსენებს.

ვახტანგმა და ირაკლიმ მტკვარზე საგულად კიტრის, პომიდორის და შავი პურის წაღება იცოდნენ. ჯერ კი მტკვარში არ ჩაისვლებოდა, კიტრისა და პომიდორის შემოსვლამდეც კიდევ დრო იყო და ისინიც სხვა ადგილებსა და სხვა საგზალს უნდა დასჯერებოდნენ.

სხვა ადგილები იყო მთაწმინდა და

გიორგი გელაშვილი
ჩემი თბილისი

წლის პირველი მშენება, ალბათ,



კომკავშირის ხეივანი, ბოტანიკური ბაღი, კუხა და მლაშე ტბები, სოფელი დილოში, ზოოპარკი, და, რა თქმა უნდა, ყველაზე უხვიასამნიანი სვანეთის უბანი. ბიჭებს იასამნები უყვარდათ. საგზალი კი — იგივე შავი პური, აგრეთვე ბრინჯა ყველი, ძეხვი და ლიმონათი. გზად, განაბირა ქუჩებში, გარიყულივით კენტად დასკუპული სოფლური ყაიდის ფიცრული დუქნები ხედებოდათ, რომელთა დაგვერდებულ ვიტრინებში ერთმანეთზე წაცმული ასანთის კოლონების ასხმულა მფილდევით მოედუნათ და თადივით დაედგათ ბუზის სახოცი წებოვანი ქაღალდებით მოფენილ სიბრტყეზე, და ბიჭებიც იქ იძენდნენ წასახემსებელს თუ პირის გასასველებელს.

მათ იზიდავდათ მოცოცხლებულ ბუნებაში ხეტიალი, მდელიოზე გაგორება, ბურთაობა, ჩანჩქერქვეშ გაოფლილი ხელპირის შეშვერა, შემდეგ კი უკვე ბინდისას ახალაკიაფებული ქალაქისაკენ მოზიბლული გარინდებით მხერა, მეტადრე — მთაწმინდიდან.

იშვიათად დაწერილა რაიმე პარისზე, რომ ელისეს მინდვრები არ მოიხსენიებოდეს, და აბა თბილისზე საუბრის დროს კი გვერდს როგორ აუვლი მთაწმინდას. ნაუბარსა და დაწერილს თავი რომ დავანებოთ, წარმოუდგენელია თბილისის მკვიდრი (მაშინ, როცა საქართველოს დედაქალაქის თვითეული სტუმარი პირველ ყოვლისა მისი დედამთისკენ მიილტვის) მთაწმინდაზე შეყვარებული არ იყოს.

მეგობრები მთაზე დაკიდულ ტრამვაის არ ეტანებოდნენ და კენწეროში მის კალთებზე დახლართული ბილიკებით აღიოდნენ. იქ სხვადასხვა მოხერხებულ ვადასახედს იპყრობდნენ და ვრცელ ტაფობში მკვიდროდ განლაგებულ უამრავ შენობათა შორის უპირველესად ყველაზე ნაცნობ და საყვარელ სახლებს გამოარჩევდნენ. მათ თვალწინ იყო ქალაქის ყველა უბანიც: ღრმა-ღელე, ნაძალადევი, კუკია, ჩუღურეთი, დიდუბე, საბურთალო, ვაკე,

ვერა, რიყე, ელია, ავლაბარი, დოღობაური, შავსოფელი, მამუკას სოფელი, კლდის უბანი, სეიდაბადი, სხვანიც; ფერხითთ კი სოლალაკი, ხოლო პირდაპირ ისევ და ისევ ყველაზე ახლობელი სვანეთის უბანი.

ბიჭები თან ხმადაბლა თბილისისა და თვით მთაწმინდის საქებარ ლექსებს წარმოთქვამდნენ, რომელთა დიდებული შემოქმედნი იმავე მთის კალთაზე სევდიანად მიმყუდროებულ პანთეონში განისვენებდნენ. სიმღერისაგან შორს იყვნენ. თუმცა თბილისისადმი სიძღვრებიც არ იყო მაშინ. იყო, ალბათ, მხოლოდ „ხველ თბილისში არ ვინ მყავდა ფანდია“ და „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო“.

ისინი დაღლილნი, დამშუენიცი, მაგრამ ღრმად ნასიამოვნები იყვნენ თავიანთი ყოველი ლაშქრობის შემდეგ. თუმცა, ამავე დროს, თვითეულს რაღაც გულს აკლდა, რაღაც მწვავედ სტკიოდა და თუმცა ცალკალკე არავითარი საიდუმლოება არ ჰქონდათ, ამას მაინც ერთმანეთს ვერ უმხელდნენ.

ორივეს სატიკვარი კი ერთი და იგივე იყო.

ერთი ხანია, იმდენად ვეღარ იყო ხოლმე მათთან თამარი, როგორც ადრე, როგორც მუდამ და ეს აღარდებდათ. ორივეს ამის მიზეზად როგორღაც და რატომღაც ის გოგოლის ქუჩელი პეწენიკი ამირანი ესახებოდათ. და არ უმხელდნენ ამას არათუ ერთმანეთს, სიტყვას არ სძრავდნენ თვით თამართანაც, როცა ის იშვიათად, მაგრამ მაინც კიდევ იყო ხოლმე მათთან.

მათ გულში სევდა დაგროვებოდათ, მაგრამ არც თამარი იყო კვლავინდებურად ხალისიანი. თუმცა ისიც ნათლად იგრძნობოდა, მისი მოულოდნელი თავშეკავებულობა იმდენად მოწყენილობას არ მიეწერებოდა, რამდენადაც დაბნეულობას, უფრო კი სინდისის ქენჯნას,

რომელსაც მეგობრების წინაშე განიცდიდა.

ბურუსი ბოლოს და ბოლოს უნდა გაფანტულიყო და გულახდილი საუბარი მათ შორის მოხდა ერთ ნათელ საღამოს ჩემი სახლის სადარბაზოს კიბეზე, ჩემი თავისებური თანდასწრებით.

— მემღერით, ჩემო არისტოკრატიზო? — მოფერებით მიმართა თამარმა მასზე აღრე იქ ჩამომსხდარ ბიჭებს, როცა მოულოდნელად გამოჩნდა და შუაში ჩაჯდა, ხელები კალთაში ჩაიკრიფა, თვალი კი ცაცხვის კენწეროს მიაპყრო. ლაპარაკის დროს ხშირად მაღლა ყურება სჩვეოდა, თითქმის სიტყვებს იქ პოულობდა, — ნუ ამითვალწუნებთ. მე უთქვენოდ როგორ ვავძლებ. მე თქვენ აღმაკერ გამოხედვას როგორ ავიტან. იმ ამირანს კი, თუ თქვენ მეტყვით, სულაც დავითხოვ, ჩვენს ქუჩას აღარც გავაკარებ.

— ჩვენ მაგას არ გეტყვებით. — ცივად ჩაილაპარაკა ვახტანგმა.

— რომ ვითხრათ, შენ მაინც ვერ დაითხოვ. — ნაღვლიანი ღიმილით შენიშნა ირაკლიმ.

— ანუ, კი ვსურთ ფეხი ავაკვეთინო, მაგრამ გგონიათ, რომ რატომღაც ვერ გავაგდებ და მხოლოდ იმიტომ არ მეუბნებით, — დაასკვნა თამარმა, — გავაგდებ.

— ნუ გააგდებ, — მშვიდად, ოღონდ ისევ შუბლგაუხსნელად თქვა ვახტანგმა. — ალბათ, კარგი ბიჭია, რაკი შენ თავიდანვე არ გააგდე.

— მაინც სულერთია, აქედან გააგდებ და სხვა ქუჩაზე შეხედებით, — ივარაუდა ირაკლიმ, — იაროს. შენ სულ რომ არ გავვიგარეულდე, ასე სჯობს.

— თქვენ კარგი ჩხვლეტიები ხართ, — უცებ მოიმიხიარულა თამარმა.

— შენ კი კარგი ჩუმჩუმია ხარ, — ერთ კილოზე მიუგო ორივემ.

ახლა თამარი იქეთ გაედავათ.

— წუხელ ფეხსაცმელები დაგიცვეთიათ.

— წუხელ? — ერთხმად შეიცხადეს

ბიჭებმა, — ღამით ფეხბურთს ვერ ვფარავთ თამაშებით.

— სამაგიეროდ გიცეკვიათ. ფეხსაცმელი კი ცეკვაში უფრო ცვდება, ვიდრე ფეხბურთში.

ბიჭები მხილებული იყვნენ.

იმ ხანად, ევროპული ცეკვების მძიმართ ბუნდოვანი დამოკიდებულების შემდეგ ახალგაზრდობაში პირველად ინერგებოდა „ფოქსტროტი“, „ტანგო“, „რუმბა“. კარგარეთელის ქუჩაზეც ზოგან, ვისაც ბინის ფართობი ხელს უწყობდა, შემოიღეს საღამოობით ჯგუფად თავშეყრა და ცეკვების შესწავლა. საქმე მაინც ვერ ეწყობოდა. ვაქებმა მალეც მოიმიწვნილეს. დიდმა ქალიშვილებმა კი სიჯიუტე გამოიჩინეს და ისინი, რაკილა თანამეწყვილეები შემოეცალათ, პატარა ბიჭებს, მათ შორის ვახტანგსა და ირაკლის დააკოწივალებდნენ.

თამარს ეს არ გამოპარვოდა და ბიჭები მის წინაშე დამნაშავედ თავჩაქინდრულები ისხდნენ. ის კი იცოდნენ, რომ ცეკვა მეტად არ სცვეთდა ფეხსაცმელს, ვიდრე ფეხბურთი, მაგრამ ამის მტკიცებას აზრი არ ჰქონდა.

●
თამარი მანამდე თავის მშვენიერ გარეგნობას უღარდელად ეპყრობოდა, თხუზნია ბავშვმა რომ ძვირფასი სამოსელის მოფრთხილება არ იცის და დაუღვევრად სცვეთს, ისე. ახლა ასაკმა კოხტობა მოსთხოვა და მანაც პეწი დაიტყო. ქუჩამ ქუჩის თვალად აღიარა. თავადაც უკვე გრძნობდა თავის უპირატესობას და მსუბუქად და მოხდენილად, თავმომწონედ დანარჩარებდა ტანკენარი და პირმზიანი, შეეუღლდა ჩაშლილი რბილი თმა კი მხრებზე სცემდა.

ახლა მას თავის ქუჩელ თუ სკოლელ გოგონებთან უფრო მეტი საერთო გაუჩნდა და ხშირად მათთან საიდუმლოდ კურკურებდა.

ვახტანგი და ირაკლი ამას უფრო აღ-

გიორგი ვალაშვილი

ჩემი თბილისი

ვილად ეგუებოდნენ, ვიდრე თამარის რომელიმე სხვა ბიჭთან, თუნდაც ნაუცბათვე გამოლაპარაკებას.

თვითონ ისინი ერთი ხანია ჩოგბურთმა გაიტაცა და მუდმივი მაყურებლები გახდნენ შეჯიბრებებისა, რომლებიც თითქმის ყოველ საღამოს ეწყობოდა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე. აქ მათ, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი ჩოგბურთელების ლამაზ თამაშს თვალს ადევნებდნენ, ხიბლავდათ ისიც, რომ მაყურებელთა გრძელ, სადა მერხებზე კარგი საზოგადოება იყრიდა თავს. დიდი ხალხმრავლობა კორტებზე არასდროს შეიმჩნეოდა, ძირითადად ერთი და იგივე მაყურებელი იყო, თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობდა და თვითველი თავს შინაურულად გრძობდა.

გამოცდილ ჩოგბურთელებთან ერთად თამაშობდნენ ნორჩებიც, თითქმის ბავშვებიც კი და საკმაოდ ოსტატურადაც. ვახტანგს და ირაკლის სულმა ბევრჯერ წასძლია თვითონაც ეცადათ თავი, მაგრამ სწორედ ამ გვარიანად დახელოვნებული ნორჩებისა რცხვენოდათ და ჩოგანი ხელშიც არ აუღიათ. დიდი უბედურება არ იქნებოდა, თუ ისინი ახალბედათა კვალობაზე უსუსურნი გამოჩნდებოდნენ, მაგრამ შიშობდნენ, რომ ჩოგბურთში ხელმოცარულობას მათი ფეხბურთელობისთვისაც ჩრდილი არ მიეყენებინა.

თავიანთ, როგორც ფეხბურთელების სახელს, ისინი დიდად უფრთხილდებოდნენ. ისტორიის ღირსეულ კუთვნილებად იყო მიჩნეული ის თამაში, რომელშიც მეზობელ ბაქოს ქუჩის გუნდის კარში მაშინ პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე „დინამოს“ სტადიონზე კარგარეთელთა შუამარბმა ირაკლიმ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა, ხოლო წუთის შემდეგ მათივე მეკარის მაგიერმა ვახტანგმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია.

იმ თამაშს სხვა ქომაგთა შორის, ცხადია, თამარიც ესწრებოდა და სხვები რომ თამაშის შემდეგ ირაკლის და ვახ-

ტანგს სიმარჯვეს უქებდნენ და ცავდნენ, იგი მათს დამსახურებების თვის თავს მიაწერდა.

— ჩემი ეშხით იყო, რომ თავი გამოიღეს ჩემმა არისტოკრატებმა.

ვახტანგი და ირაკლი არა ერთი სხვა შეხვედრის გამირებიც იყვნენ, რაც შეიძლება სულაც არ სცოდნოდათ კორტებზე მოსიარულეთ და მათი უდიდებო ჩოგბურთელობა რომ ენახათ, იქნებ საერთოდაც მოუქნელ ყმაწვილებად ჩაეთვალათ.

ისინი მხოლოდ მაყურებლებად რჩებოდნენ და მათ, სწორედ როგორც მაყურებელთა წინაშე, პირველად გამოინავარდა მოედანზე უცნობმა მოთამაშემ. ქალიშვილი, როგორც ჩოგბურთელი იყო უცნობი, თორემ თავიანთი თამარი გამოჩენისთანავე გაოცებით იცნეს ბიჭებმა. იცნეს და პირები დაადეს. თამარი მათ ჩოგნით ხელში არასდროს ენახათ და მისი ჩოგბურთზე დალაპარაკებაც კი არ სმენოდათ. ახლა კი ჩოგბურთელის თეთრ ჩაცმულობაში უფრო კოხტა და მოხდენილი, ვიდრე საერთოდ, იგი მსუბუქად, აზრიანად დაქროდა მოედანზე და ჩოგანსაც მარჯვედ ხმარობდა. ცხადად იგრძნობოდა გავლენა მათი ქუჩელი ლაჯუნა სტუდენტი ქალიშვილისა, რომელსაც სულერთთავად ხან ნახაზების გრავილი, ხანაც ჩოგანი ჰქონდა ამოღლიავებული.

— ჩოგბურთი მე თქვენს პატივსაცემად შევისწავლე, — თვალთმაქცურად აუწყა მან თამაშის შემდეგ განცვიფრებულ მეგობრებს, — თქვენ მე ფეხბურთით მართობთ და ჩემის მხრივ რაიმე სანახაობა ხომ უნდა შემომეთავაზებინა! ჩვენი კარგი ლაჯუნა მე თავიანთი ინსტიტუტის მოედანზე მავარჯიშებდა, რომ შემდეგ თქვენს წინაშე ჩემი გამოჩენა სრული მოულოდნელობა ყოფილიყო.

ბიჭებმა მაყურებელთა შორის პირველად შენიშნეს ცალკე დამჯდარი ამირანიც. სჩანდა, ამირანი თამარის იმ მაღალ ვარჯიშსაც ესწრებოდა, რაკი აქ მის პირველსავე გამოსვლაზე მობრ-



დანებულიყო. ბარემ ყვავილებიც მოე-
ტანა!

ჩანდა, ამირანმა საერთოდ უკვე უფ-
რო მეტი, ვაკილებით მეტი იცოდა თა-
მარის ასავალ-დასავალი, ვიდრე მათ,
მასთან შეზრდილმა ბიჭებმა. და რომ
კორტებიდან წასვლისას თამარი უხერ-
ხულ არჩევანში არ ჩავარდნილიყო, სა-
ნამ იგი გადაიცვამდა, ვახტანგმა და
ირაკლიმ პირველებმა დატოვეს იქაუ-
რობა.

ცხოვრებაში ანდაზასავით დაკანონე-
ბული ცილისწამებაც დამკვიდრებულა.
მაგალითად — გამოთქმა: ხარაზივით
ივინებაო. ომის წინადროინდელი გო-
გო-ბიჭებისათვის საკერებლიანი ფეხ-
საცმლის ტარება ჩვეულებრივი ამბავი
იყო. ამიტომ კარგად იცნობდნენ ხარაზე-
ბსაც. კარგარეთელის ქუჩელები ხარაზ-
თა შორის უპირველესად სცნობდნენ
თავიანთ საკუთარ ხელოსანს, ხანდაზ-
მულ ჩიფჩიფა მიხას, რომელიც თავისი
დაზგით ერთ-ერთი ჭიშკრის კუთხეში
იყო მიყუყული. რის ვინება თუ პირის
წაბილწვა! მიხა ტკბილი სიტყვისა და
დარბაისლური ბაასისთვის იყო დაბა-
დებული. აბა, ვინება როგორ შეეძლე-
ბოდა კაცს, კეთილ მოხუცს, რომელიც
თავის გამამწარებელ ბიჭებს ბურთსაც
და ფეხსაცმელსაც თვითონვე უკერებ-
და?

ხარაზების მიმართ მეორე ანდაზისე-
ბრი მტკიცებაც უხერხულია. ხარაზების
სუფრა! ვითომც — ვერაფერი სუფრა.
მაგრამ აბა გენახათ მიხასა და მისი მუ-
დმივი პურისმტის მეფხოვე ნიკას სუფ-
რა, შუადღის ხანს ზედ დაზგაზევე რომ
გააწყობდნენ ზოლმე საგანგებო სიფა-
ჭიზითა და ზრუნვით. ბევრი და ჭრელ-
ჭრელი საქმელი არა, მაგრამ რაც ჰქონ-
დათ, ყველაფერი შერჩეული და სამ-
ყოფი. ძირითადად კი მოხარშული საქო-
ნლის ხორცი, დოში, გუდის ყველი,
მწვანილი, მყავე რამე და დაბრაწული
თონის პური. ერთი ბოთლი საფერავიც.
მიუსხდებოდნენ დაზგას და ტკბილი

ჭუჭკუთით ღინჯად შეეჭკეოდნენ. მხო-
ლოდ თითო ჭიქა რომ დაელიათ, განს-
ვენებული მშობლების მოსახსენიებელს
შაინც იტყოდნენ. სუფრა ლაზათიანი
ჰქონდათ და სახეზე სიკეთე ეფინათ.

მიხამ ზოგჯერ გახუმრება იცოდა. თუ
ვინმე თავზე დოგადოჯა დაადგებოდა
და აუხირდებოდა — გაქცევაზე ვარ და
ლამის ფეხშიშველი კი დავრჩიო, ამი-
ტომ ყველაფერი გადასდე და მე დამი-
კერო, იგი თვალწაჭუტვით ჩაიხიბთხი-
თებდა.

— მე რომ პენსიაზე გავალ, მაშინ რა-
ღა გეშველებათო.

პენსიაზე გასვლა დიდიხანია ეკუთვ-
ნოდა, მაგრამ ვერ გაებედნა, დაზგა-სა-
დგისიც არ ეთმობოდა. არც დასცალდა.
ერთ დღეს საკერებელში ნემსგაყრილი
ფეხსაცმელი ხელიდან გაუვარდა და
თავი მკერდზე ჩამოეკიდა. ზედ თავის
დაზგას დააკვდა.

ქუჩას ერთი ცოცხალი ნაწილი მოაკ-
ვლიდა.

ვახტანგს და ირაკლის ერთხელ, სა-
ღამოს, ნაწვიმარზე გამოვევლოთ სრუ-
ლიად ჩაბნელებულ და უჟაცრიელ ვე-
რის ხილზე და იმ შთაბეჭდილებას ასე
გადმოსცემდნენ:

— ხიდი გაძარცვული მოგვეჩვენაო.

და აი, რაღაც საერთო იყო მაშინ
მათი თვალით დანახულ ვერის ხილსა
და კარგარეთელის ქუჩას შორის მიხას
შემდეგ, როცა აღარც ხარაზი იყო და
აღარც მისი დაზგა.

ქუჩამ გულწრფელად დაიტრია ალა-
ლი ხელოსანი, ხოლო მისმა ერთგულმა
პურისმტემ, მისმა კბილა ნიკამ ჩუმი
ქვითინით გააცილა იგი უკანასკნელ სა-
სუფეველამდე, კუჩის სასაფლაომდე.

ქუჩის ლლი გოგო-ბიჭები ცხოვრე-
ბაში პირველმა სევდიანმა რინდმა მოი-
ცვა. განსაკუთრებით დაღონდნენ ნორ-
ჩი ფეხბურთელები, მათ შორის ვახტან-
გი და ირაკლი, რომელთაც მოხუცი ოს-

ვიორგი ვალაზვილი

ჩიმი თხილინი



ტატის მადლიანი ხელის ფასი ყველაზე უკეთ იცოდნენ. მერე და მერე კი იმა-საც მისწვდნენ გონების თვალთ, რომ მოაკლდათ მხოლოდ მარჯვე ხელოსანი კი არა, საოცრად გულთბილი ადამიანი. მათ პირველად შეიძინეს სიკვდილი და კაცთა ცხოვრების მიმართ მოუსვენარი ფიქრი აეკვიატათ.



ომს ისინი ის იყო საშუალო სკო-ლადამთავრებულნი, ჩვიდმეტ წელს ახა-ლგადამეტებულნი, და, რა თქმა უნდა კომკავშირელები დახვდნენ.

იმ დილით, როგორც უწინ, სამივე ერთად იყო. საუკეთესოდ ეცვათ, კოხ-ტად გამოიყურებოდნენ და თავს ლა-ლად გრძნობდნენ.

კვლავინდებურად ქუჩა-ქუჩა სახე-ტილოდ გასულიყვნენ.

მარჯანიშვილის ქუჩის ერთ მწვანეში ჩაფლულ ციციქა ეზოში ფოტოგრაფი ცხოვრობდა და მუშაობდა. ეზოში უამ-რავი ჭაბუკი და ქალიშვილი ხორხო-ცებდა და ძლივს ეტეოდა. რომელიღაც სკოლის გუშინდელი მეათეკლასელები საშუალო სასწავლებლის დამთავრების აღსანიშნავი ფოტოსურათის გადასაღე-ბად მოსულიყვნენ, ფოტოგრაფმა კი დიდხანს იწვალა, ვიდრე ოხუნჯი ბიჭე-ბი და მატრაკვეცა გოგოები დააცხრო და თავისი გემოვნების შესატყვისად დასხა. თამარმა და მისმა თანმხლებლებ-მაც იქ შერგეს თავი, ჯერ განვითქულ ფოტოგრაფსა და მის მოუსვენარ მრევ-ლზე იცინეს, მერე კი თავადაც ვა-დაიღეს სურათი.

იქედან კორტებს მიაშურეს, თამარი ცოტას წაითამაშებდა, შემდეგ კი საი-თაც ფეხები წაიყვანდა, იქეთ გასწევდ-ნენ. რატომაც არა? უკან დარჩათ გა-მოსაშვები გამოცდების მღელვარე დღე-ები, სკოლა საქებრად დაამთავრეს, გუ-ლში მზე ედგათ და სახეზე მზე ეფინათ. თუმცა უმადლესში შესვლა მათი სანუ-კვარი ოცნება იყო, მაგრამ ჯერ განც-ხადების შეტანაზე ფიქრიც არ უნდო-დათ. ახლა, საერთოდ, არაფერზე ფიქ-

რი არ უნდოდათ. სურდათ ერთხანს სულ შეუზღუდავი, სულ თავისი სიყვარულ-ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდეც.

გზად ჯგუფად მომავალ რამდენიმე ამხანავს შეეხუმრნენ, მათ კი უცნაუ-რად აღტინებული სამეულის სილაღე გაოცებით შეიცხადეს, თითქოს ცივი წყალი გადასახეს, სინდისზე შეაყენეს. შემხვედრთ, ყველას სახეზე ერთხანით უცხო, მძიმე ფიქრი და დაბნეულობა აღბეჭდოდათ და ეს მოულოდნელი კაე-შანი პირველადვე ვერ შენიშნეს თამარ-მა და მისმა ბიჭებმა. ხოლო, როცა შე-ნიშნეს, გულმა რეჩხი უყოთ და ამხანა-გებს თავადაც დაბნეული შეაჩერდნენ.

— ომი დაიწყო, — შემხვედრნი მიხ-ვდნენ ამბის ბაიბუტშიც არ იყვნენ თა-მარი და მისი მეგობრები და ერთდროუ-ლად რამდენიმე ყრულ ჩაილაპარაკა მათ საყურადღებოდ.

კარგ ამინდში გულს სიხალისე უსა-ბაბოდაც ენიჭება და საწყენი სიტყვა, ამბავი კი მას სწორედ ასეთ დროს გან-საკუთრებით მტკივნეულად ხვდება.

მშვენიერი ამინდი კი ნამდვილად იდ-გა. მაგრამ ირგვლივ ადამიანებს სახე მოქუფროდათ და გარემოსაც უცებ ელფერი შესცვლოდა, გაჰხუნებოდა.



დიდი სამამულო ომი, როგორც თავ-დაპირველადვე ამადლებულად, ამად-ელვებლად ეწოდა საბჭოთა ხალხის ერ-თსულთოვან აზვირთებას ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის წინა-შე, დიდი განსაცდელიც იქნებოდა, მაგ-რამ მთელი მისი არსი, აღუწერელი სიმ-ძიმე მაშინ, დასაწყისშივე ბევრს ვერ შეეძლო სრულად წარმოედგინა.

რადიომ და გაზეთებმა ყველგან ამ-ცნეს საბჭოთა ჯარების პირველი წარუ-მატებლობანი, მშვიდობიანი მოსახლეო-ბის დარბევისა და წამების ამბები.

ფრონტიდან დაშორებით ხალხში ერ-თგვარი გაურკვევლობა, დაბნეულობა იგრძნობოდა.

მაგრამ იყო დიდი იმედი.

იყო ხალხის უმაგალითო შეუპოვრობა და თავდადება.

იყო სტალინი.

სასწრაფოდ გამოშვებული კინოკურნალეებით თბილისის ეკრანებზეც გაისმა შორეული ფრონტული ომახიანი „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ რადიოს ყოველდღიურ ვადმოცემებში განსაკუთრებით ლევიტანის ამალელებელი ხმა ფასობდა.

ფრონტის ხაზს დიდი მანძილით დაშორებულმა თბილისმა, როგორ უშუალოდ ომშეუხებელმა ყველა ქალაქმა, დაბამ, სოფელმა, დასახლებულმა პუნქტმა ომუნახველად იგრძნო ომის სიმძიმე. ათი ათასობით თბილისელი მობილიზაციით თუ მოხალისედ ფრონტზე გაემგზავრა, ხოლო ქალაქის უამრავი სკოლა, სხვა დაწესებულება სამხედრო ჰოსპიტლებად გადაკეთდა. დამკვიდრდა ერთიანი საბარათო სისტემა პურზე, ყველა სახის სურსათზე და მალაზების წინ აღამიანთა გრძელი რიგები გაიბა. ადრე თუ ყმაწვილთაგან ვინმე რძის რიგში იდგა, რათა უმცროსი და-ძმისთვის მიგრბენინებინა, ის რაინდად, რა თქმა უნდა, არ მიიჩნეოდა. ახლა კი მათი გამკლავი ჭაბუკები თვითონ იდგნენ პურისა თუ ხილფაფის, ნავთისა თუ ქაშაყის რიგში ნაღვლიან, კრიჭაშეკრულ მოხუცებთან ერთად.

ხმა დაირხა, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ფრონტის ზონიდან ბრმად გამოსხლეტილმა გერმანულმა თვითმფრინავმა ყუმბარა ჩამოაგდო და ქალაქში შუქშენილბვა იქნა შემოღებული. თბილისში ხალხი შეთხელდა კი არა — ნაცნობს კანტი-კუნტად და შეხვედებოდით. ქალაქში აღარ ღულდა და გადმოდებოდა ადრინდელი ხალხის და ჩანელებული და გაცარიელებული, განაბული თბილისი სვედიან სანახავს წარმოადგენდა.

კვლავინდებური ხალხის არ მოსდევდათ ქალაქში ცნობილ ხუმარა ადამიანებსაც. გენბავთ, ჩვენ ქუჩაზე მცხოვრებ თეთრულვაშაწყებოლ, ტანხმელ და მალალ ენაწყლიან ჭარმაგ კაცს, რომე-

ლიც განუყრელი ყაბალახითა და სარკესავით გაკრიალებული მსუბუქი ჩემბებით დაიარებოდა. როგორც ყველას, მასაც იერი და ჩაცმულობაც შელახოდა.

ერთხელ მას ჩემი ფანჯრის წინ ნღვლიანმა და თვალბეჩაცენილმა უიღბლო მხატვარმა გაანდო.

— უპაპიროსობა უფრო მიჭირს, ვიდრე შიმშილი. ამიტომ ყუთში ნამწვებს ვაგროვებ. შემდეგ ნამწვებისაგან ერთი გახვევა მაინც გამომყავს და იოლად იმით გავდივარ.

— მე კი, ჩემო ძმაო, — დამნაშავესავით აღიარა ყაბალახიანმა, — გუშინ, რაც ხანი ომია, პირველად დაენაყრდი, სოფლიდან გამოგზავნილი ხორაგის წყალობით, და მრცხვენი. მგონია დანაშაულია ასეთ დროს ძღომისად კუჭის ამოვსება.

თვით ჩვენი ქუჩა სულაც დასაბრალოვდა. ჩვენს პატარა ქუჩაზე იმდენი მცხოვრებიც არ მეგონა, რამდენიც ფრონტზე წავიდა.

ჩვენსა თუ სხვა ქუჩებზე დღისით კაციშვილის ჭაჭანებაც თითქმის აღარ იყო, მალაზიების წინ მოთმინებით ატუზული დარღიანი მოხუცებისა და გაურკვეველი ფიქრებით შეპყრობილი ბავშვების გარდა.

ღამითა, აქა-იქ, გამოჩნდებოდნენ მცირერიცხოვანი ჯგუფები ხნოვან მამაკაცთა ან ახალშედრებულ ჭაბუკთა, რომელთაც ჯერ ჯარში გაწვევა არ უწევდათ, მათი სალაპარაკო ომი და მხოლოდ ომი იყო. თვითეულს გულზე წუხილი აწვა, მაგრამ ჰქონდათ ხოლმე იმედის ნაპერწკალიც — რომელიმეს ფრონტიდან სამკუთხა წერილი — მისი ახლობლის ცოცხლებში ყოფნის სავიზიტო ბარათი მოჰფრენოდა, გულში სიხარული ჩასწვებებოდა და სხვასაც ამხნეებდა.

საღამოობით ქუჩაში მოქალაქეთა შეჯგუფება და თამბაქოს მოწევა აღკ-

გიორგი ვალაშვილი

ჩემი თბილისი

ვეთილი იყო. მილიციელები მკაცრად უტატანებდნენ შეკრებილთ.

—მოქალაქენო, ნუ გაჩერდებით, დაიშალენით!

უშირდა და უმძიმდა თბილისს.

მაგრამ თბილისსა და თბილისელებს არასდროს არ გაუჭირდიდებიათ თავიანთი ყოფა, ნაკლებად სჩიოდნენ თავისას და მეტად განიცდიდნენ ფრონტისპირა ან უკვე მტრის მიერ დაპყრობილი ქალაქებისა თუ სოფლების და მათი მოსახლეობის უმძიმეს ხვედრს.

ერთ მტკაველ კარგარეთელის ქუჩაზე თვითეულ სახლში დღენიადაგ ომზე ფიქრს ისიც ამძაფრებდა, რომ აქ ყოველდღე მიდი-მოდიოდნენ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები.

კურსანტთა შორის სჭარბობდნენ ჯერ სულ პირტიტველი ბიჭები, რომელთაც თავი მხნედ ეჭირათ, ომახიანადაც მღეროდნენ, მაგრამ სახეზე ღიმოილის კვალცი კი არ აჩნდათ. ქალები, უმეტესად მოხუცები მათ თავიანთებევით ბრძოლის ქარ-ცეცხლში წარმოიდგენდნენ და თვალტრემლიანი მიაცილებდნენ. არ იცრემლებოდნენ ახალგაზრდები. ისინი უბრალოდ უშობლშეკრულნი იყვნენ. ოღონდ კურსანტებს განსაკუთრებული პატივისცემით, ძმური სიყვარულით უყურებდნენ. ბევრ მათგანს გასცნობოდნენ კიდევ, მაგრამ ნაცნობობის გაღრმავებას ვერ ასწრებდნენ, მწყობრში ყოველდღე რამდენიმე ნაცნობ კურსანტს ან მთლიანად მწყობრს საკლისობდნენ. მოხუცი ქალების წინათგარძნობა მართლდებოდა.

თამარი, ვახტანგი და ირაკლი ისევ სულ ერთად იყვნენ. თამარს, თავის მხრივ, ალბათ, წინათგარძნობა აწველებდა, ხვალ არა ხვალზევით ბრძოლის ქარ-ცეცხლში მას თავისი ძმობილები წარმოედგინა.

ერთად კი იყვნენ, ოღონდ თავიანთ ქუჩაზე ნაკლებად, მხოლოდ საღამოობით სჩანდნენ. მანამდე, თურმე თითქ-

მის მთელი დღე ერთ-ერთი აჩემბურობის ჰოსპიტლის წინ ტრიალებდნენ ქუჩაში და სარკმელებთან მომდგარ დაჭრილ მეომრებს თუ რამეში მათი თავი დასჭირდებოდათ, ისინი სამსახურისათვის მზად იყვნენ. დაჭრილები მადლიერი ჰყავდათ და მათდამი მზრუნველობაში ერთგვარ ნუგეშს პოულობდნენ. თუ თვითონ ჯერ ბრძოლის ველი არ ენახათ, სამაგიეროდ, როგორც შეეძლოთ, იქ უკვე ნამყოფთ პატრონობდნენ.

საღამოობით მოღუშულები ისხდნენ რომელიმე საღარბაზოში, თუ პირდაპირ ტროტუარის ნაწიბურზე და დანაპირს არ უხსნიდათ.

ცარციტა და ნახშირით ბატიფეხურად დაჩახანლი ვაგონები კვლავ და კვლავ მიაგორებდნენ ხალხს ფრონტებისაკენ.

ვახტანგი და ირაკლი მშობლების ერთა იყვნენ. თამარს კი ორი პატარა ძმა ჰყავდა. ვახტანგისა და თამარის მამები უკვე ფრონტზე იყვნენ, ხოლო ირაკლისა სამხედრო დანიშნულების წარმოებაში მუშაობდა და ჯარში არ გაიწვიეს. დედებს შვილების უჩვეულოდ ფიქრიათი სახე აწფოთებდათ და გულო საგულისს არ ჰქონდათ, ვაითუ ანაზღად გაგვისხლტნენ სახლიდან და ფრონტს მიაშურონო.

— არ ვავიპარებთ. სადაცაა ჩვენც გვიწევს სამხედრო კომისარიატში გამოძახება და წავალთ ისე, როგორც წესი და რიგია.

დედებისთვის ეს ვერაფერი ნუგეში იყო, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც იმედი ენასკვებოდათ, იქნებ მათი ვაჟების გაწვევამდე ომს ბოლო მოჰდებოდა, მაგრამ ჯერ სად იყო ომის ბოლო!

ირაკლი ორი თვით უფროსი იყო ვახტანგზე და პირველად მას გამოუძახეს კომისარიატში. უფრო სწორედ გამოუძახეს მხოლოდ ირაკლის, ხოლო ვახტანგს უწყებისთვის არც დაუცდია და თავადაც გამოძახებულივით გაჰყვა მეგობარს.

მართლაც ირაკლის კვლად ივა ნე-
ბაყოფლობით შეეღია სანუკვარ ქო-
ჩორს, თითქოს ეს საკმარისი იქნებოდა,
რომ მისთვისაც ჯარისკაცის ტანსაცმე-
ლი ჩაეცვათ. მას კი მამაშვილურად
აუხსნეს, რომ ასე არ შეიძლება.

— მაგრამ არც ის შეიძლება, რომ
ჩვენ ერთად არ ვიყოთ,— აღელვებუ-
ლი შეეპასუხა ვახტანგი, — წარმოიდ-
გინეთ, ჩვენ უერთმანეთოდ არასდროს
არ ვყოფილვართ.

— რას იზამ, მეგობარო, — ომის პირ-
ველი დღეებიდანვე გავრცელებული
ნუგეშებმა მოიშველიეს კომისარია-
ტის მუშაკებმა ნადვლიანი თანაგრობო-
ბით, — ომია.

თავდადაპარსული ბიჭები წელმოწყ-
ვეტილი გავიდნენ კომისარიატის ეზო-
დან.

გოგოლის ქუჩაზე მათ ამირანის მო-
ძებნა არ ჯასძნელებიათ. სახლიდან გა-
მოიხმეს და კონსტიტუციის ქუჩაზე პუ-
რის ქარხნის წინ მყუდრო ტროტუარ-
ზე გაიმართლეს. გოგოლის ქუჩაზე თავ-
ვეამოდებული ბიჭები ცხოვრობდნენ.
ვინცობაა მათ შორის რომელიმესთან
სხვა ბიჭების შეტორღილება საეჭვოდ
მოჩვენებოდათ, შორიდან თვალს არ
მოაშორებდნენ და თუ მდგომარეობა
მოითხოვდა, მის დასაცავად კლდედ
აღიმართებოდნენ. მაგრამ იმ თავზეხე-
ლადებული ბიჭების უმრავლესობა ახ-
ლა ფრონტზე გაკრფილიყო, ხოლო
შინ დარჩენილ ამირანსაც არავინ ერ-
ჩოდა.

წვრილად, უგემურად ჟინჯლავდა. მა-
თი პირველი შეხვედრაც წვიმიანში მოხ-
და ღამით. ღამე იყო ახლაც და ისევ
წვიმდა. ამირანმა მოსულთ თამბაქო
შესთავაზა, სამივემ მოზრდილი ვახვე-
ვები დამრგვალეს და გააბოლეს.

— მე ზვალ მივდივარ, — ფიქრიანი
ღმილით თქვა ირაკლიმ ამირანის სა-
ყურადღებოდ.

— მეც მალე წავალ. — ბეჯითად
დაუმატა ვახტანგმა.

— უკვე? — დაიბნა და შეწუხდა
ამირანი, მიხვდა, საით წასვლაზე იყო
ლაპარაკი.

— უკვე, — დაუდასტურა ირაკლიმ,
— შენ კი სტუდენტი ხარ და ხელს არა-
ვინ ვახლებს.

— დავკრავ ფეხს და მე კიდევ მოხა-
ლისედ წავალ, თუ აქ დარჩენას დანა-
შაულად მითვლით, — აიღეწა ამირანი.

— საწყენად არ მითქვამს. უბრა-
ლოდ, რაც არის ის აღვნიშნე, — კეთი-
ლად გაუღიმა მას ირაკლიმ, — ყველა
ხომ არ წავა.

— თამარიც აქ იქნება. ასე უნდა
იყოს. — ვარაუდი და სურვილიც გა-
მოთქვა ვახტანგმა, — მაშასადამე, შენ-
თვის ჩაგვიბარებია. ფრჩხილიც რომ არ
წამოსტკივდეს, ისე დავგახვედრე.

— ოღონდ არც იმდენი ეცადო, რომ
ჩვენი თავი დაავიწყო, — მთლად თა-
მამად ვერ იხუმრა ირაკლიმ, — ჩვენ
მას არც დავთმობდით, მაგრამ ორნი
ერთმანეთში ვერ გავიყოფდით და შენ
იმიტომ გხვდა.

ვახტანგმა და ირაკლიმ ერთმანეთს
ნადვლიანად გაუღიმეს, ამირანს კი ხე-
ლი ჩამოართვეს და თავიანთი ქუჩისკენ
დაუყვანენ.

ბნელოდა, მაგრამ თამარი შორიდან-
ვე შეიციენს. თამარმა არ იცოდა, კომი-
სარიატში ყოფნის შემდეგ ბიჭები ამ
გვიანობამდე სად ჩაიყლაპნენ და ყვე-
ლა მათი აჩემებული ახლომანლო ადგი-
ლი შემოგობინა. ვერსად რომ ვერ მიე-
კვლია, ახლა თავიანთ ქუჩაზე დაბორი-
ალობდა და აღელვებული ქუჩის თავსა
და ბოლოს გაფაციცებით ზევრავდა.
თან გულში იმუქრებოდა, რომ როცა კი
გამოჩნდებოდნენ, საკადრისად შეუ-
ფუტხუნებდა.

მაგრამ ახლა, როცა ისინი წინ ეღვ-
ნენ და რატომღაც სადღაც სხვაგან იც-
ქირებოდნენ, მუქარა ვერ აღუსრულა
და ისიც კი ვერ მოჰკითხა, სად იყვნენ
დაკარგული.

საერთოდაც არაფერი უთქვამთ შეხ-

გორგი ველაშვილი
ჩემი თხოვნი

ვედრისას. ერთხანს უძრავად და მღუპარედ იდგნენ. მერე თამარი მათ შუაში ჩაუღდა და ფეხათრევით დაიძრნენ. ნაბიჯს წყნარი საუბარი შეუწყვეს და ქუჩა თავიდან ბოლომდე მრავალჯის აზომ-დაზომეს. გვიანობამდე იარეს, მაგრამ ქუჩის საზღვრებს ნაბიჯითაც არ გასცილებიან. ბიჭები სველ ასფალტს დასჩერებოდნენ და სათქმელს ისე წარმოსთქვამდნენ, თამარი კი სიტყვებს ჩვეულებრივ თითქოს ზეცაში ბოჟლობდა და მერეღა ჩურჩულით ამბობდა.

თამარს ღაწვებზე წარგალიტები უციმციმებდნენ და წვიმის წვეთები იყო ეს თუ ცრემლი, ვერ ვაიგებდით.

ირაკლის გამგზავრებიდან ორიოდ კვირის შემდეგ უეტრად გაჰქრა ვახტანგიც. მას ჯერაც გაწვევა არ უწევდა, ფრონტისკენ თავი თვითონვე გაემწყებინა, რასაც დედისადმი დატოვებულ მცირე ბარათზე მისი ხელმოწერა ადასტურებდა: „საბჭოთა კავშირის გმირობის კანდიდატი ვახტანგ...“

ელდანაკრავ დედას ცრემლიც არ გადმოვარდნოდა. გარინდებული დასჩერებოდა შვილის ნაჩქარევ ნაწერს. საბრალო ქალს ფიქრისა და განსჯის უნარი წართმეოდა, ხოლო მანუგეშებლად შემოცვნილ მეზობელთა სიტყვები არ ეყურებოდა და უაზროდ და უადგილოდ ელიმებოდა. ამბობდნენ, უკვე თითქოს ხმამალა გაცინებაც ეწადა, მაგრამ ჯერხნობით თავის შეკავებას ახერხებდაო.

არავინ იცოდა, როგორ და რა გზით მიედწია ვახტანგს ფრონტამდე და კიდევ მოხვედრილიყო მოქმედ არმიაში; ეს რომ ნამდვილი იყო, დედისადმი მოწერილი მოკლე ბარათიდან ჩანდა. წერილის კილო დაჯერებული და იმედიანი იყო. დედას მხნედ ყოფნას ემუდარებოდა, ყველა მეზობელსა და ახლობელს სიკეთეს უსურვებდა, და მამისა და ირაკლის მისამართს ითხოვდა.

მას დაუყოვნებლივ ყველამ, ვისაც

მართებდა, ათმაგი და ასმაგი სურვილები დაუბრუნეს და მამისა და ირაკლის ამბავ-მისამართიც საპასუხო წერილებს აახლეს.

ირაკლისაგან პირველი წერილი ვახტანგისაზე აღრე იყო მოსული და შემდეგაც, შენაცვლებით, ხან სახლში ხან თამარს აწვდენდა ხმას. თამართან ვახტანგის პირველი წერილიც მოვიდა. და შემდეგ მოხალისე მებრძოლიც ხან დედას და ხან თამარსვე კანტი-კუნტად მაინც ატყობინებდა თავის ამბავს. თამარი მეგობრების დედებს ყურადღებას არ აცლებდა, მათ, როგორც შეეძლო. დარდს უმსუბუქებდა და სამივენი ახლა უფრო იმედიანად იყვნენ, ვიდრე ბიჭების ფრონტზე წასვლის პირველ დღეებში. დედებმაც და თამარმაც დიდად გაიხარეს, როცა შეიტყვეს, რომ ვახტანგსა და ირაკლის მიწერ-მოწერა გაებათ.

ხოლო, როცა მერე და მერე შინ ორივეს წერილებმა იკლო, ორივე დედა შეძრწუნებული თამართან მიიჭრებოდა და მას ეკვით თვალეში ჩააჩერდებოდა — იქნებ ჩვენს თავს საშინელება დატრიალდა: ჩვენ დაგვერიდნენ და ფრონტიდან შენდა შეგატყობინესო, რაკი მათი იქაური ამხანაგები ჩვენს ვარდა შენს მისამართსაც იპოვინდნენო; შენ კი ჩვენ ჩვენი შვილების ამბავს აგრეთვე გვიმალავო.

დედები ამას მხოლოდ თვალებით გამოსთქვამდნენ. მხოლოდ თვალებითვე პასუხობდა მათ თამარიც. თამარს ასეთ დროს თბილი თანაგრძნობით უღიმოდა თვალები და მათაც ეკვი უქარწყლდებოდათ.

შვილი ძალიან ღრმადაა დედის გულში.

დედის გონების თვალი კი იმასაც მისწვდება ხოლმე, რომ მისი შვილი სხვასაც უღირს.

ევაკუირებული თამართ თბილისში განსაკუთრებული თანაგრძნობა სუფევდა. სახლკარდარბეულ, პატიოსან და გამრჩე ხალხს სხვაგვარად დახვედრა არც ეკუთვნოდა. აღამიანური გულის სიტბო

სწუროდათ ლტოლვილთ და ეს კიდევ იპოვეს აქ.

დიდმა და პატარამ იცის თბილისის ლეგენდა. ქალაქის დაფუძნების საბაბად აღიარებული სიახლო. თბილისელთა სულის კეთილი აღმონაცენი და ღირსების უპირველესი თვისება გამხდარა. ეს, ადამიანის შინაგანი ბუნების უშვირფასესი სიმდიდრე დაუშურებლივ გადაეცემოდა თბილისში ერთისგან მეორეს ომის მკაცრ დროს.

ომი კი ჯერ არც აქეთ იყო, არც იქეთ. კვლავ მრავლად სტოვებდა საბჭოთა არმია ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს და კანტი-კუნტად იბრუნებდა ზოგიერთ მათგანს. ომის გამოძახილის კვლად თბილისი მოქუფრული იყო. მაგრამ შინაგან სითბოს მინც ინარჩუნებდა.

მე იხანად მეორედ ავიდგი ფეხი და დიდი ზნის შემდეგ პირველად გავჩაზუნდი გარეთ, ყუარჯნებით. მოგვიანებით ხელჯოხზე გადავდი, რომელიც სამუდამოდ შემარჩა.

თუმცა გარეთ კი გავდგი ფეხი, პირველ ხანებში სიარული მიჭირდა და მხოლოდ ჩვენს ქუჩაზე ვყურუყუტებდი. მაინც გარემო-ვიტარებას მეტს ეხედავდი და ვგრძნობდი, ვიდრე სარკმლის რაფაზე — იდაყვებამოწყვეტილი და მკერდდაბეგვილი.

სიკვილი აღრე შევიცან, ათიოდე წლის ბიჭს მამა ვარდამეცვალა. შავები ჩამაცევს და კუბოს გულამოსკენილი ზღუქუნით გავყევი. ახლა ქუჩაში შაოსნები ძალზე მებევრა. ოღონდ ისინი არ ქვითინებდნენ და არ მოსთქვამდნენ. რაკი კუბო არ ედგათ ან კუბოს არ მისდევდნენ, იქნებ კიდევ ჰქონდათ იმედი. იქნებ, ვისაც გლოვობდნენ, დასატირებელი არ იყო და სამგლოვიარო შეტყობინება გაუგებრობის შედეგი იყო. ან იქნებ, უკვე კიდევ დაეტრნათ და ცრემლი კი დასწრობოდათ, ეტირებოდათ და ტირილის ილაჯიც აღარ ჰქონდათ.

— გაუმარჯოს!
სალამი, თურმე, მე მეკუთვნოდა. ჩვენი ქუჩის კუთხეში გასტრონომიული მაღაზიის მოაჯირზე მკლავგადაწყობილი ვიდექი და გამოშტერებული თვითონაც არ ვიცი რას მივჩერებოდი.

ჩემს წინ თამარი იდგა, ჩვეულებრივ მოხდენილი, მაგრამ მაინც გამოცვლილი, მზემოკიდებული, სახეზე და მკლავებზე კანაქერცილი, გამხდარი და დაღლილიც.

— გამარჯობათ, თამარიკო! — სიხარულით შევცინე, — თქვენ სადღა ხართ? ააუ, რახანია აღარ დამინახიხართ.

თამარი უკვე მეორე კურსის სტუდენტი იყო, უნივერსიტეტიდან სხვებთან ერთად ერთი თვით კახეთის ერთ-ერთ რაიონში კოლმეურნეობის დასახმარებლად გაეგზავნათ, ის კი თავისი სურვილით მეორე თვეც დარჩენილიყო და მუშაობით თავი მოეკლა. დღესღა დაბრუნებულიყო და ჯერ ქალაქური სათუთი იერი არ დასტყობოდა.

ხუმრობის ცილოთი მიამბო ეს და უცებ თავით ფეხებამდე ყურადღებით შემათვალა, გვერდით მიყუდებულ ჩემს ყუარჯნებსაც გახედა.

— ამდამ მე და შენ ვისაუბროთ, კარგი? — მეგობრულად შემომთავაზა თამარიკო.

მე სიხარულითა და მადლიერებით ცას ვეწიე. მთელი ქუჩის სიამაყე თამარიკო ჩემთან მეგობრულ საუბარს ლამობდა და მე კი თითქოს მთხოვდა კიდევ, რომ დავთანხმებულყავი.

თამარიკო ერთი საათის შემდეგ მეწვია. მე მას სადარბაზოში დავხვდი, მორიდებით შინ შევიპატიყე, ღია სარკმელთან მომდგარმა დედაჩემმაც იგივე სთხოვა, მაგრამ თამარმა ანგარიშგასაწევი მიზეზით უარი უთხრა.

— აქ, სადარბაზოში საუბარი გვირ-

გიორგი გალაშვილი
ჩამი თბილისი



ჩენია. ბიჭების, ჩვენი არისტოკრატების პატივსაცემად.

მისი ხმა უჩვეულოდ ნაღვლიანი იყო, ნაღვლიანად ამოიოხრა დედაჩემმაც და სარკმელი ფრთხილად მოხურა.

თამარი და მე კიბის საფეხურზე ჩამოვჯექით.

— მათი წერილი არ დამხვდა, — თავის ჩაფიქრებული კანტურით ცაცხვის წვეროს ახედა თამარმა. — ეს არის ეხლა მათთან სახლებშიც ვიყავი და არც დედებს მოსვლიათ რამე დიდიხანია. სხედან გამოყრუებულ ოთახებში საბრალო ქალები და ჩუმად იღვევდებიან.

— იქნებ, სანუგეშებელი რამე მოვიგონოთ, — გული შემეძრა მე, — თუნდაც ტყუილი შევთხზათ, ოღონდ კი მათ დარღს გაუნელებდეს.

— ვერაფერს ვერ შევთხზავთ, ჩემო კარგო, — ამოიოხრა თამარმა, — აქ ტყუილი არ გასჭრის. ათას საბუთსა და მოწმეს მოგთხოვენ, უამისოდ არაფერს დაგიჯერებენ. მე ის და დამრჩენოდა, მათ სიმხნევე შევაგონე, თქვენ თუ დარდით თავს დაიძაბუნებთ და შვილებს სწეული დახვდებით, ომის გადატანის მთელ სიხარულს ვერც თქვენ და ვერც ისინი ვერ ოხვიმებთ-მეთქი. ორივეს ცალ-ცალკე ვუთხარი ეს, მაგრამ ერთმაც და მეორემაც ერთნაირად მწარედ გამიღიმა პასუხად.

— ნეტავი კი მათი თავი მალე დამანახვა ჩვენს ქუჩაზე და მე თუნდაც ყავარჩნებითაც ვერასდროს მევლოს, — გული ყელში მომეჭინა, თამარიკომ კი მოულოდნელად მოიხალისა.

— მალე? გვიან იყოს! გვიან, რა თქმა უნდა, ასეც იქნება. მე და შენ კი წარმოვადგინოთ, რომ უკვე მათ შესახვედრად ვეშხადებით. ისინი, თითქოს აგერ უკვე შემოვლენ კიდევ ჩვენს ქუჩაზე. რითი შევხვდეთ? საჩუქრებით? ნურას უჟაცრავად. მე, პირადად მათ ღონიჭ-შემოყრილი გადავუდგები, ხელს არ ჩამოვართმევ, არ ვაგუცინებ, რალა თქმა უნდა, არც ვაკოცებ, და მკაცრად ვუბრძანებ: აბა, ვაჟბატონებო, არისტოკრატებო, ამდენი და ამდენი ორდე-

ნისა და მედლის კავალრებო. იმეგობრულად დაურად, რაც ჩვენ თქვენზე გვაღარდეთ, ახლა თქვენ ჩვენ გვეფერეთ და გვეჭრელით, თავს შემოგვევლით და ფიანდაზად გაგვეგეთ!

— ასე გგონია — ერთად ჩამოვლენ? — ვანგებ მაიმითად ვიკითხე მე.

— წარმოვიდგინოთ, რომ ჩამოვიდნენ სხვადასხვა დროს, — ამყვა თამარიც, — მეც, რასაც მათ ერთად თქმას ვუბრძობ, ვეტყვი თვითეულს ცალ-ცალკე. მაგრამ ერთადაც ხომ კვლავ გამოჩნდებიან, როდესაც ისევ დაიწყებენ მთელ ქალაქში ხეტიალს და ჩვენ ქუჩაზე გვიანლა შემობრძანდებიან. მაშინ? მაშინ რითლა შევხვდეთ?

— მაშინ? — მე გულისთადი სიყვარულით შევხედე თამარს და, რომ ანაზად არ გადავხვეოდი კიდევ მშვენიერ ქალიშვილს, ჩემს გასახალისებლად თვითონ თავს რომ ისულელებდა, თვალისწრაფად მოვაცილე, — მაშინ მე მარტოლა შევხვდები იმათ და პირადად თქვენც შევხვდებით. თქვენ სამივე ხომ ისევ ერთად იხეტიალებათ. შევხვდებით კი უმდაბლესი მაღლიერებით, რომ ასეთი კარგები ხართ.

მე ჩემი წადილი — გადავხვეოდი და მეკოცნა — მხოლოდ გულში გავივლე და ამის გაფიქრებამაც კი ამბურძგლა, გადახვევით კი თვითონ თამარი გადამეხვია, ყელზე ხელი ალერსით შემომაჭდო და ლოყაზე ნაზად მაკოცა. ეს პირველად მაკოცა დედაჩემის გარდა ქალმა.

●
თამარმა მის სახელზე გამოგზავნილი ვახტანგისა და ირაკლის წერილები დამიტოვა, რათა მათს თაყვანისმცემელს მათი ფრონტული ცხოვრების შესახებაც მეტი მცოდნოდა. წერილებს რამდენიმე დღე აღელვებული კვითხულობდი. რამდენიმე დღე იმიტომ კი არ მოვანდომე, რომ წერილები ბევრი იყო. იმიტომ, რომ თვითეული რამდენჯერმე გადავიკითხე.

ეს ჩვეულებრივა წერილები არ იყო.

ეს ახალგაზრდა ადამიანების თავიანთი მტრწამსისადმი ურყევი ერთგულების სტრიქონები იყო.

იყო მათში მოკითხვაც, სურვილებიც, მოვონებაც, ოცნებაც, ხუმრობაც მაგრამ უმთავრესად იყო მაინც რწმენა, ოღონდ თავშეკავებულად, დამაჯერებლად გამოხატული.

ერთ წერილში ვახტანგი თამარს აფრთხილებდა: დედაჩემს ძველმანები და გატეხილ-გაბზარული ნივთები გადასაყრელად ვერ ემეტება ხოლმე. მე კი მათ ვერ ვიტან. ამიტომ შენ უნდა შეუჩინდე დედაჩემს და როცა ჩამოვალ სახლში გატეხილი და გაბზარული არაფერი დამახვედროთ. იატაკს მიყრილ-მოყრილი ფალასები მოაშორეთ, კარადის თავზე აჩონჩხილი რაღაც-რაღაცეები ჩამოყარეთ და სადმე მიმაღეთ. კიდევ: ზედადგარი არ დამხვედეს ეზოში ზედ შესკუპული გამურული სარეცხის ქვაბით. სარეცხთან დაკავშირებულ არეულობას ვერ ვიტან. თუმცა, რა იცით, როდის შევალე ჩემი ეზოს კარს და იქნებ სწორედ ჩემთან შეხვედრის საშუალების სარეცხი ჰქონდეს დედაჩემს, როცა მე მოულოდნელად მოვევლინები? ჯანდაბას! დამხვედეს ზედადგარი და გამურული სარეცხის ქვაბიც, ოღონდ თქვენ მშვიდობით დამხვდით.

ვახტანგისა და ირაკლის ძველი წერილების არა ერთხელ სიტყვა-სიტყვით წაიკითხვამ, თითქმის დაზეპირებამ, მით უფრო მომაწყურა მათს ახალ სამკუთხა ფრონტულ ბარათებში ჩაღრმავება. მაგრამ სად იყო ახალი?

მცნება — სასწაული იმიტომაც გავრცელებული, რომ ზღაპრული, გაზვიადებული შენათხზის გვერდით არსებობს. ზღბა ცხოვრებისეული საკვირველებანიც — უცნაური მოვლენები. სასწაულებრივი ამბავი კი ყოველთვის გასახარი არ არის.

აღრე, ვახტანგის ფრონტზე მოულოდნელი წასვლით ელდანაცემ დედამისზე ითქვა, რომ საბრალო გავგნებულნი

ქალი უაზროდ, უადგილოდ იღიმებოდა, ისე იყო, თითქოს ხმამაღლა გაცინებასაც აპირებდა, ოღონდ ჭერხნობით თავის შეკავებას ანერხებდაო.

მაგრამ მივიღა ის დღეც, როდესაც ქალმა თავი ვერა შეიმავრა და მართლაც გადაიხარხარა მთელი შეძრწუნებული სამეზობლოს წინაშე.

ცნობა ცხოვრებისეულ საზარელ სასწაულს იტყობინებოდა.

რომელიღაც მდინარის გადალახვისას, სახლიდან წასვლის შემდეგ ერთმანეთის უნახავი რიგითი მეზობლი ვახტანგი და ოფიცერი მამა მოულოდნელად ერთ კარკაპზე აღმოჩენილიყვნენ და თავდავიწყებული შეძახილით ერთიმეორეს რომ მიჰხუტებოდნენ, მაშინ დასცემოდა კარკაპს მტრის ყუმბარაც, რომელსაც სხვებთან ერთად, ბედნიერებით გულაძკვრებული მამა-შვილისთვისაც მოესწრაფნა სიცოცხლე.

ქალს კი — დედასა და მეუღლეს, სიცილით ხომ დაჰგუბებოდა და ახლა და გაეხსნა ვებირი, ხმერად და გაბმით განავრძობდა სიცილს და ვერა და ვერ ცხრებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ მას თავისი აღსასრული სულით ავადმყოფთა სამყოფელში ეპოვა.

ზარი დატრიალდა ირაკლის ოჯახშიც. ოღონდ უკვე ომის შემდეგ, მშობლები უკვე გამარჯვებული შვილის მოლოდინში იყვნენ გულის მოუთმენელი ცახცახით და მათ კი კარის ღრიჭოში მისი დაღუპვის დაგვიანებული ცნობა შემოუტუტრეს.

ირაკლი ტანკში დამწვარიყო და ისევე, როგორც ძმობილს, მასაც საფლავიც არ დარჩენოდა ამქვეყნად.

ქუჩაზე თითქმის ყველა ოჯახს რაიმედაგვარი დაღი დაამჩნია ომმა, მაგრამ ამ ორი მერცხალივით ბიჭის დაღუპვა პირად მძიმე მწუხარებად დააწვა გულზე და სამუდამო ტკივილად გააჰყვა ქალ-

გიორგი გელაშვილი
ჩემი თბილისი



სა თუ კაცს, განსაკუთრებით ბავშვებს. მათს თაყვანისმცემლებს.

ირაკლის მშობლებს ალბათ იმან გადატანინა მძიმე დანაკლისი, რომ შვილის დაღუპვის ამბავს ერთად დახვდნენ და ერთმანეთს გული უმაგრეს. თუმცა, ვაი ამ გულის გამაგრებას. გულსაკლავად საცოდავნი, და უმწეონი იყვნენ ახლა ნაადრევად ვატეხილი, გამოყრუებული და ერთმანეთს შეჩერებული მშობლები. მალე ისინი სოფელში გადაიხვეწნენ.

თამარს მამა მშვიდობით დაუბრუნდა, მაგრამ უგანაკაწროდ არც მათ ოჯახს ჩაუარა ომმა. თამარს ბიძა დედელუბა, დედის ძმა, მეზღვაური, პირველი რანგის კაპიტანი.

ომში ბიძა მეც დამელუბა — მამის ძმა, ერთდერთი დარჩენილი ახლობელი ადამიანი მამის მხრიდან, მამაზე უმცროსი და მისი თაყვანისმცემელი, მისი სიყვარულით კი ჩემი და დედაჩემის მადამერთებელი კაცი, ეშხიანი, ლამაზულვაშიანი, ოღონდ ირაო, უცოლ-შვილო, ყუჩი, პურ-ღვინის მადლის დამფასებელი. ომში წასვლისას ეტლით გვეწვია, მე და დედაჩემს ჭრელ ბაღდადში გამოკრული ხილი მოგვართვა, თან მოტანილი ერთი ბოთლი შინაური ღვინო ცერისოდენა ყანწით დასცალა. ყველა მშობლისა და მამიჩემის სახსენებელი თქვა, დედა-შვილს ხანგრძლივობა გვისურვა, სამშობლო ადიდა, ომში დაღუპულთა ხსოვნისა პურს აწვეთა და თვითონაც იმ გზას გაუდგა, რომელიც უკან ბევრს აღარ გამოუვლია.

მწუხარება იყო მთელს ჩვენს ქუჩაზე.

●
იღარა კი.

დადგა დრო და კავკასიონისა და თრიალეთის ქედების მთათა წვეროებმა ღრუბლები დაფხრიწეს და თბილისის თავზე ლამაზად მოილაკვარდა.

რაღა თქმა უნდა, ომის დროსაც უწყალობებია ბუნებას კეთილი ტაროსი, მაგრამ ადამიანებს მისი ეშხი არ უგრძენიათ და ხალისი არ მინიჭებიათ. ომის

დროს დარი სრულიად მოუღრმობდა უადგილობადაც კი ეჩვენებოდათ. ომის დროს დარს ფასი არ ჰქონდა. თუნდაც სულ გულისგამაწყალებლად ეყინებოდა. ეს მათ ყოფას უფრო შეეფერებოდა.

ახლა ომისგან მიყენებული ჭრილობების მიუხედავად ხალხს ლაყვარდი ცა შეუმჩნეველი არ დარჩა. ახლა დარი ის უებარი მალამო იყო, რომელიც ჭრილობას პირს მოუტრავდა.

ქალსა თუ კაცს ოთხი წლის მანძილზე პირველად გაუკრთათ სახეზე ღიმილი.

ცალკეულთა გულში დარდი არ წაშლილიყო, მაგრამ საყოველთაო შეებათ თვითელს თავის სატკივარს თუ პირწმინდად ვერ უშუშებდა, რამდენადმე უყუჩებდა მაინც.

ადამიანებმა გაღიმება ხელახლა ისწავლეს.

ღიმილი უნებლიეთ დარდიან ადამიანსაც გამოეპარება.

გაღიმებული ვნახე თამარიც.

ის და ამირანი პირველი მშვიდობიანი ზაფხულის ერთ კვირა დღეს პლენარის პროსპექტის მხრიდან ნელა მოუყვებოდნენ ჩვენს ქუჩას. ვაჟი გულიანი თხრობით ართობდა თავის ახალგაზრდა მეუღლეს. თამარს ეს, სჩანდა, სიამოვნებდა და ამირანს თვალებში შესცივინებდა.

თამარმა ანაზად მე შემნიშნა ჩემი სახლის წინ ატუზული და უცებ დაიბნა.

მეორე დღეს კი მან მარტომ საგანგებოდ მომიხელთა და დიდხანს ჩამტკეპროდა თვალებში.

— მე კიდევ მენატრება ხოლმე შენს სადარბაზოში ძველებურად ჩამოჯდომა. ახლა უკვე ამირანთან ერთად. — ყრუდ გაიღო მან ბოლოს ხმა და თვალი გამარბდა, — არც არაფერი მიშლის, რომ ავიხდინო ეს სურვილი, მაგრამ თითქოს მეშინია. უიმათოდ იმათ საყვარელ ადგილებზე ყოფნისა მეშინია. და, მგონი, თვითონ შენც გეშინია.

თამარს ცრემლები შეენიშნე და შეეწუხდი.

— ვაიმე! ნუ იტირებ, თამარო, შენ

იმთ წინაშე რა დანაშაული მიგიძღვის? პირიქით, მგონია, შენ შენი არისტოკრატიების საყვარელ ადგილებს თუ არ უღალატებ, ამით მათ ხსოვნას უფრო პატივს სცემ და სხვების თვალში თითქოს გააცოცხლებ.

— აი, უკვე შენც დაბრძენებულხარ, — ცრემლებს ნება მისცა და არც შეიშრო თამარმა, — მეც ეგრევე მესმის. მაგრამ თან კიდევ საშინელი ყრჟოლა მიტანს, როცა ჩვენულ ადგილებს კენტადლა ან სხვასთან ერთად ჩაუვლეო. ისეთ დღეში ვარ, რომ მგონი სულაც გავერიდები ამ ჩვენს ქუჩას.

— ნუ, თამარო, გენაცვალე, ნუ დააგდებ ამ ჩვენს ქუჩას, — აღელვებული შევევედრე მე და რაკი, თურმე დაბრძენებულიყავი, აზრი უფრო გავადრმავე, — შენც თუ ფეხი აიკვეთე აქ, ქუჩას თავისი ლაზათი სულ გაუხუნდება. გიმძიმს და ყრჟოლა გიტანს თქვენეულ ადგილებზე გავლისას? მართლაც ძნელია, საშინელეა. ოღონდ ძვირფასი ადამიანის საფლავის ხილვაზე ამაზრზენი რა არის ამქვეყნად? მაგრამ გულწყვლარი ჭირისუფალი მაინც დადიან საფლავზე. ქუჩა კი ხომ საფლავი არ არის. ჩვენი ქუჩა ჩვენი ბიჭების დანატოვარი სამახსოვროა, ნუ გასწირავ.

— ეკ, — ღრმად ამოიოხრა თამარმა და მწარედ ვაილიძა, — ნამდვილად დაბრძენებულხარ, მაგრამ ყველაფერს მაინც ვერ გამიგებ.

თამარი თავჩაქინდრული გამშორდა და მამინლა შეენიშნე ამირანი, რომელიც თურმე მოპირდაპირე ტროტუარზე ელოდა და დამნაშავესავით ფრთხილი ნაბიჯით შორი-ახლოს ვაკყვა.

დრო სწრაფად მიდისო? ვინა თქვა ეს — მიდისო? დრო მირბის, მიჰქრის. ომის წლებში იყო რომ გულისგამაწვრილებლად მიზოზინობდა, თორემ მერე მუხლში ქარი ჩაიყენა და ვაფრინდა.

დროის ამ შეუქმნეველ სრბოლას ქვეყნად კარგი ამბების მომრავლებას უნდა ვუმაღლოდეთ.

პირისაგან მიწისა აღგვილი ქალაქე-ბისა და სოფლების ახალი აღორძინება; საბარათო სისტემის გაუქმება;

ფულის რეფორმა და სურსათსა და სამომხმარებლო საგნებზე ფასების თანმიმდევრული დაკლება;

რაც მთავარია, ათასობით ომგადახდილთა შინ მშვიდობით დაბრუნება და მათთან ერთად კი ზოგ სახლში უკვე გამოტირებულთა სასწაულებრივ მოულოდნელი და ბედნიერი გამოჩენა, მკვდრეთით აღდგომა.

თვითეული ასეთი გამოჩენა კი თავმოსატყუარი ლოდინის გამხანგრძლივებელი იმედი მაინც იყო ყველა სხვა ოჯახისათვის, რომელთაც შინმოუხვლელნი ველარასდროს დაუბრუნდებოდნენ — ნამდვილი სასწაული, ან უმკვდრეთით აღდგომა არ მოხდებოდა.

ომგადახდილმა ქვეყანამ სწრაფად იწყო ჭრილობების მოშუშება და დანგრეულის აღდგენასთან ერთად კი ახლის შენებაც.

გამოჩნდა, რომ ომუნახველ თბილისსაც არ დასდგომოდა ხეირი ომის დროს. უადგილო ადგილას მომრავლებულიყო სხვადასხვა დანიშნულების სახელდახელო ნაგებობანი, ძველ მკვიდრ შენობათა უმეტესობას კი კედლებში ბზარი გასჩენოდათ, ეზოებს ჭიშკრები თუ მესერი მონჯდრეოდათ, ქუჩებს ასფალტი გასცვეთოდათ, ტროტუარები დაბრეცოდათ. ქალაქი განახლებას მოითხოვდა და მიჰყვეს კიდევ ხელი საქმეს.

განახლდა და მოუიყვივე ხალხით კვლავ პირთამდე აივსო დიდი მდინარე — პლენანოვის პროსპექტი და მისი ყველაზე წყალუხვი ორფა შესართავი — მარჯანიშვილის ქუჩა.

მთელი თბილისი გახალისდა. ხალხი მოკოპწიავდა. თბილისი მოდების ამყოლი ქალაქია. მის მკვიდრთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, გამოსაჩენი ჩაცმა — დახურვა იტაცებთ. მაგრამ ზომიერებაც ხშირად ირღვევა. ჰუატიელა

გიორგი ვალაშვილი
ჩამი თხოილი



და მყვირალა სამოსიც იჩენს ხოლმე თავს. თუმცა ძნელ საცნაურ კაბას თუ შარავლს აღსასრულიც მალე უდგება, ძველისა და ახალი მოდების ჰარმონიული შეწონასწორება ხდება და ქალი-შვილისა თუ ჭაბუკის ჩაცმულობა თვალს აღარ სჭრის.

თავის დროზე, ჩემს ვახტანგს და ირაკლის, თბილისის თავდავიწყებულ ბიჭობაში რომ იყვნენ, ქალაქზე აუცილებელი სიტყვის გაგონებაც გულზე ეკლად ეტობოდათ.

ქალაქში ესა და ეს მოუგვარებელიაო, თუ ვინმეს მათთან დაცდებოდა, ისინი მაშინვე შეუტევდნენ:

— ყველაფერი ხელის ერთი დაკვრით არ კეთდება. მოთმინება იქონიეთ. ან კიდევ:

— აგზიბრებით, მხოლოდ განიერი და ნათელი ქუჩები გვინდაო. ვიწრო და ყრუ ქუჩასაც თავისი ლაზათი აქვს.

ყველაზე დიდი სიყუთე ჩვენს ქალაქში ვაცხოველებული საბინაო მშენებლობაა. უამრავი ოჯახი შესახლდა ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში, ნაცნობ-მოკეთეთა მისამართები აირ-დაირია.

კარგარეთელის ქუჩიდანაც ბევრი სხვაგან გადაბარდა.

თამარი კი გოგოლის ქუჩასაც დაემშვიდობა.

მგონი საბურთალოში ცხოვრობს მშობლებითა და მეუღლით, ზუსტად არ ვიცი მისამართი, აღარსად შემხვედრია და არც მე მიძენია. ერთი ნატვრა მაქვს მხოლოდ, ნეტავი ვაგიგებდე ორი ვაჟი შესძენია და მათ ვახტანგი და ირაკლი ჰქვიათო!

ვახტანგი და ირაკლი...

არა, ნაომარი, შინ მშვიდობით დაბრუნებულნი თუ შინმოუსვლელნი არ დაუვიწყრია ხალხს.

ბევრგან მოეწყო და კიდევ და კიდევ ეწყობა შინმოუსვლელთა დიდების სტენდები; მათ სახელზე შენდება ბაღები; იმართება მათი მოსაგონარი საღამოები, შეხვედრები; ბევრი ქუჩა, სკოლა, ბიბლიოთეკა მათ სახელს ატარებს.

ვახტანგისა და ირაკლის სახელები ვერს ჰქვია.

მათ განსაკუთრებული გმირობა არ გამოუჩენიათ. ვერ მოასწრეს, თორემ თავს არ ზოგავდნენ საგმირო საქმეების ჩასადენად.

ოღონდ, ვინც კარგარეთელის ქუჩას მის ძველ მცხოვრებთაგან კიდევ შემორჩა, ისინი კი საპატიო მოკრძალებითა და მოწიწებით აცოცხლებენ თავის ქუჩაზე იმ ზრდილი და სათნობით სავსე, იმ საბრალე ბიჭების, თითქმის ცხოვრებაუნახველი ბიჭების სახელსა და სახეს.

კეთილმოწყობილი ბინით შეგვეცვალეს ჩვენი პატარა სორო მე და დედაჩემსაც. ახლა ვაკის ახალთახალ მაღალ და კოხტა სახლში ვცხოვრობთ, ოღონდ ისევ პირველ სართულზე. ეს თვითონ ჩვენ ვისურვეთ ასე, შეჩვეული ვიყავით. ჩვენთანაა ნაზიც. ნაზი ჩემი თანაკლასელი ჩუმი და გულსისხმიერი გოგონა გახლდათ, რომელიც ყველაზე მეტ მზრუნველობას იჩენდა ჩემს „დაუსწრებელ“ სწავლაზე, როცა მე ფათერაკგადანახალი მოწაფე ხანგრძლივ მწოლიარე ან ფანჯრის რაფას მიჯაჭვული ვიყავი. ნაზი, როდესაც ერთხელაც თავითი მეჭადა და მორიგ ვაკვეთილებს მაცნობდა. მოულოდნელად მგრძნობიარე ჩურჩულით შენიშნა, რომ მე თურმე მეტად თეთრი და საერთოდ ძლიერ ლამაზი ხელის თითები მაქვს. თავად მე ამისთვის ანგარიში არასდროს გამეწვია ან ყურადღება არც მიმიქცია. გულწრფელი ქათინაური კი უსაზღვროდ შეამა, თუმცა ვიცოდი ჩემი თითების იმჟამინდელი მოხდენილობა იმით აიხსნებოდა, რომ გარეთ ვეღარ ვნაყარდობდი და ხელებს არავითარი ჯაფა არ ადგებოდათ.

მე და ნაზის უკვე მორბილი გოგონაც ვეყავი. მას თამარი ჰქვია და ნაზიმ იცის რატომაც.

კვლავ პირველ სართულზე ცხოვრება იმიტომაც მსიამოვნებს, რომ სადარბაზო ჩემი ფანჯრის გვერდითაა და მე ყოველთვის შემიძლია იქ გვერტებით ჩამომსხდარი გოგო-ბიჭების ყივიყვი თუ

საქმიანი საუბარი ვისმინო. მათი სიზაღისე გულს სიზარულით მივსებს და თან შორეულ ნადვლიან მოგონებას აღმიძრავს, მახსენებს მოკლე და მყუდრო ქუჩას, თავსა და ბოლოში ღარის ჩამკეტი ფიცრებზეთ რომ აპფარვია მაღალი სახლები.

ასე ყოფილა, კაცს მშობლიური სახლი, სადაც ბავშვობა გაუტარებია, არასდროს ავიწყდება და ხშირად კიდევ ენატრება. სხვა სახლში რომ გადახვალ, ძველს მაინც მოინახულებ და მიესიყვარულები.

ისევ ის იერი აქვს კარგარეთელის ქუჩას, ოღონდ მე იქ ბევრ ძველ ნაცნობს ვეღარ ვხედავ. მაგრამ იმით, ვისაც ვიდევ ვხვდები, არ ვეკითხები იმათზე, ვინც აღარ სჩანან. ვისაც ვეღარ ვხედავ, იქნებ აღარც არიან დედამიწაზე, იქნებ მიწის ქვეშ არიან და არ მინდა ამის გაგება. მინდა ვარწმუნებდე ჩემს თავს, რომ კვლავ არსებობენ, დაძაბუნდნენ, დაჩაჩანაკდნენ, მაგრამ მაინც არსებობენ.

როგორც ხეიბარი, მე ტრამვაიში, ტროლეიბუსსა თუ ავტობუსში წინა კარიდან ასვლის უფლებით ვსარგებლობ, მაგრამ კარგარეთელის ქუჩაზე არც ტრამვაის და არც ტროლეიბუსს თუ ავტობუსს არასდროს არ უვლიათ და მეც ისევ ჩემი ჩლახუნა ფეხით კვლავინდებურად ქვეითად ესერავ მას, თითქმის ყოველდღე.

კარგარეთელის ქუჩიდან გზას ჩემი ახალი ბინისაკენ პლენანოვის პროსპექტითა და ჩელიუსკინელთა ხილით მივუყვები.

ნუ გაგაკვირვებთ, რომ ჩემი მტკივანი ფეხის პატრონს მაინც ბევრი წაწალი მიწევს, ისიც სულ ქვეითად, და ვუძლებ კი. მაგრამ გამართლდა ჩემი მკურნალი ექიმის, დარბაისელი და გულისხმიერი გოლიათი ვაჟაკის ბეჭითი წინასწარმეტყველება, რომელმაც თავის დროზე გვარიანად დაშვებული ფეხი შემიკოწიწა: მეორე საღი ფეხისა რა

მოგახსენოთ, ოღონდ ეს ჩემი ნასათუთევი ქვედა კიდური კი არასდროს და გადალატებთო. ექიმმა მეც და დღეა ჩემსაც ასე გვითხრა, ორივეს გვეგონა, რომ გვანუგებებდა.

სამუდამოდ მადლიერი ვარ იმ ბრწყინვალე დასტაქრისა და თურმანიძის მალამოსი, რომელიც მან მოიმეველია.

რა ვუყოთ, რომ კოჭლობა მეტყობა, ხომ მაინც საკუთარი ფეხით დავდივარ? დავდივარ ის კი არა — ფეხით სიარულის ავადმყოფობა მჭირს, არ ვილღები.

ვერ მომიხელებია, რომ ქვეყნად არ არიან ვახტანგი და ირაკლი, თბილისის გულმოუჭვრებელი ტრფილნი. თბილისი კი განახლდა, გაფართოვდა, ბიჭებს მოსანავარდებელი მიემატებოდათ, და თითქოს მე ვავსებ მათს დანაკლისს, როცა ქალაქის ძველ, მათეულ საყვარელ ადგილებში თუ მათს შემდეგ შენაძენ ქუჩებსა და მოედნებზე დავბიჯებ.

ნუგეში ისლა ხოლმე მხოლოდ, რომ ესოდენ გამშვენებული თბილისით კარგი თაობა ხარობს. მეტადაც ეხაროს! თავადაც ხელი არასდროს დააკლოს მის კეთილდღეობას და იხაროს!

ჩვენი ახალი სახლის ბინადრებმა თავიდანვე, ასე ვთქვათ, დაზვერვისა და მოსიწვევის გარეშე, გულლიად გაიცნეს ერთმანეთი და კიდევ დაუახლოვდნენ, რომ იტყვიან, ერთმანეთს ჭირს სჭამენ. ქალებს ქალური საოჯახო საქმეები აკავშირებთ, მამაკაცებს კი სამსახურზე თუ გაზეთში წაკითხულის შესახებ საუბარი, ფეხბურთის (ბოლოს და ბოლოს თბილისის „დინამო“ ერთხელ მაინც უკვე იყო ქვეყნის ჩემპიონი და საერთოდ ხელწამოსაკრავი გუნდი არ ვახლავთ), ჭადრაკის (ნონა გაფრინდაშვილი!) ამბები და საერთოდ ახალი ამბები. ისინი უმეტესად ეზოში ხვდარა მცენარეებით დაბურულ ხალვათ და ტევაღ

გიორგი ვალაშვილი
ჩემი თბილისი



ფანჩატურში იკრიბებიან ხოლმე საღამოხანს და იქა ხმიერი საუბარიც, გაზეთის ხმაილლა კითხვაც და ნარდიცა და ჭადრაიც. ჭადრაკზე მარტო საუბარი კი არა, თავდაც თამაშიც ემარჯებათ. ფეხბურთზეც კი მარტო ენის მოფხანას არ სჯერდებიან, ხანდახან ეზოს პატარა ბიჭებში გაერევიან, ბურთს გაედევნებიან, ზოგი მათგანი ძველ ოსტატობასაც ავლენს, თავისი ილეთებით ნორჩების გაკვირვებას ცდილობს. საერთოდ კი, სირბილს ორიოდ წუთსლა ახერხებენ და ფარ-ხმალს ჰყრიან. თან თავისთავს თვითონვე დასცინიან. რა ვუყოთ, ორმოც წელს მიტანებული მამაკაცები თავისთავის დაცინვას ეჩვევიან.

საუბარს და გართობას ხშირად იქვე ფანჩატურში მამაკაცური განცალკევებული მდორე ვახშამი მოსდევს. რესტორანში რომ იყვნენ, რომელიმე ერთი მოიკლავდა თავს დანახარჯის გადახდაზე, თუნდაც სულს იქით კაბიციც აღარ რჩებოდეს, ხოლო თუ წვეულებას სახლში გადაიხდიდა, სტუმარს წასახმარსანოვავებს არ გააჟაჟანებინებდა. აქ კი პურ-მარილი „ნივთიერი“ ფსონით იმართება. თვითუღს სახლიდან თავის წილ რა საჭმელ-სასმელიც მოეძებნება, ის გამოაქვს და სუფრაც ასე კოწიწდება.

საერთოდ, შეერთებული მეზობლური პურობა თბილისელთა ძველთა ძველი ლამაზი ჩვევა და ღრმად მოყვასური მოთხოვნისებაა.

ჩვენი ეზოს მამაკაცთა ერთობლივ შეხმატკბილებულ პურობაში მეც მათი ამქრისა ვარ.

ჩემი ერთი მეზობელი ეშხიანი ახალგაზრდა კაცია, შოთა. ახოვანი, მოხდენილი და ბუნებით გულგაშლილი. სამი შვილი ჰყავს, სამი პატარა ბიჭი და თავს ევლება. ხშირად იტყვის ხოლმე, ესენიც ჩემსავით კარგები უნდა გავხარდოო და თან სიცილით იგუდება ამის თქმაზე, თითქოს თავს დასცინის. არა-

და, მართლაც კარგია. მორცხვანაშვილი სათნო, საოცრად გამრჩე მეუღლე თვლებში შესციციენებს და მასზე უკეთესი ქვეყნად არავინ ჰგონია.

შოთა ჩემი კარის მეზობელია. მისი მშობლები და მასზე ორიოდ წლით უმცროსი, ჯერ გაუთხოვარი დაიც ჩვენსავე სახლში ცხოვრობენ, ოლონდ ბოლო, მეოთხე სართულზე, ამიტომ თითქმის ერთ ოჯახად არიან და ვერ გააჩვენებენ ვინ პირველ სართულზე იძინებს, ვინ მეოთხეზე.

თვითონ ხომ ბევრნი არიან, სადილსა და ვახშამს ერთად რომ შემოუსხდებიან, მაინც უსტუმროდ ვერ სძლებენ. ნამეტნავად სტუმართმოყვარე ოჯახის უფროსია, სახემცინარი, ჭადრა კაცი, ნამდვილი გოლიათი, ოჯახის ბურჯი.

ჯალაბობა კი შეჭხარის მეუღლეს. მშობელსა და პაპას. მოკრძალებული პატივისცემით შესცქერის მას ყველა, ვანსაკუთრებით კი მეუღლე. როგორც ხშირად ხდება ხოლმე. ამ გოლიათი კაცისთვისაც ბედს ცხოვრების მეგობრად ტანმორჩილი ქალი ურგუნებია.

ქალს თმაში, მიუხედავად ხნოვანებისა, თითო-ორთა ჭადრა გარეგია და სახეზეც აქა-იქ დამჩნევია წმინდა ნაოქი. საერთოდ, ყოჩაღად გამოიყურება, ოჯახის სიკეთეს მეუღლის განუწყვეტელ ზრუნვას უმადლის. შვილები, ქალიშვილიცა და ვაჟიც ტანადობით მამისაკენ არიან.

რძალსაც თავისი სიყვარული კი უღვივის მათი ვაჟის მიმართ, მაგრამ მოკრძალება და სასოება მეუღლის წინაშე უთუოდ დედამთილისაგან გადმოსდებია.

როცა ისინი ყველა ერთად არიან და სტუმრებიც ჰყავთ, მასპინძლები უთუოდ სიმღერასაც წამოიწყებენ. შოთა სიმღერაში მამასთან მაინც ვერ მოვა. მამას უტყუარი სმენა და საუცხოო რბილი ხმა აქვს და მისი სიმღერის მოსმენა ნამდვილი ნეტარებაა.

სიმღერა კი მთისა და ბარისა, ქალაქისა თუ სოფლისა იცინა, უამრავი სიმღერა იცინა: „გაფრინდი შავო მერცხა-

ლო“, „ბეოი კაკა“ „იმერული მგზავ-
რული“, „გუშინ შვიდნი გურჯანელი“,
„ჰასან-ბეგურა“, „ოდოია“, „ჩაკრუ-
ლო“, „ქალგულო“, „თეთრო ბატო“. ათასნაირი ლაშქრული, ყველა კუთხის
„მრავალკამიერი“ და კიდევ ვინ მოსთ-
ვლის რა და რა.

სხვა ღვაწლთან ერთად თბილისის
უცილობელი დამსახურება ისიც არის,
რომ ოდიტოვანვე აქ ყველა დიდებული
ქართული სიმღერა თავმოყრილა და
ბუღოვს.

ზოგნი შენიშნავენ ხოლმე, ბევრი
ქართული სიმღერა ერთმანეთს ჰგავსო.
ჰგავს? მერე—რა, რომ ჰგავს. ან უკეთ—
საქმეც ისაა, რომ ჰგავს. რა სიმღე-
რაა ის ქართული სიმღერა, თუ რაღაც
ნიშნით არ ენათესავება თავის „წინა-
პართ“ თუ „თანამედროვეთ“.

თანაც ქართულის სიმღერას მარტო
მოსმენით არ უნდა დასჯერდე, მარტო
მოსმენით მას სრულად ვერ აღიქვამ.
არსებითი მოწველობა აქვს უყურებდე
კიდევ სიმღერის შემსრულებელს, რად-
გან ამ დროს მღერიან თვალებიც, წარ-
ბებიც, სახის ყოველი ნაკეთი, მეტყვე-
ლად მოძრაობენ მხრები, ხელები, თი-
თები და ეს თავისუფლად, ოდნავ სვე-
დიანად მონარნარე თუ ლაღად აჭრილ
ხმასთან ერთად, უფრო შთამბეჭდავს
ხდის ჰანგს.

მამა-შვილაც აზრი და არსი, მთელი
განცდა იმისა, რასაც მღერიან, სახეზეც
ჰკაფიოდ აღებეჭდებათ და ენაც რომ არ
იკოლოდ, ყოველთვის მიაინც მიუხვდე-
ბით.

სტუმრებს, როგორც წესი, მამა და
შოთა აცილებენ და კარგა დიდ მანძილ-
ზეც, ყოველ შემთხვევაში ტროლეიბუ-
სამდე თუ ტაქსამდე. შემდეგ ღამის სუ-
ფთა ჰაერზე ცოტას თვითონაც გაისეირ-
ნებენ და სახლში წყნარი ბაასით ბრუნ-
დებიან ხოლმე. მამა კიბეზე ასვლაში
შვილის ხელის შეშველებას თაკილობს
და სვენებ-სვენებით, მაგრამ მიაინც და-
მოუკიდებლად აუყვება საფეხურებს.

ზოგჯერ ასეთ დროს მისთვის თანაგ-
რძნობით უკითხავთ:

— არ გიჭირთ მეოთხე სართულზე ას-
ვლა? ისიც უღიფტოდ.

ქარმაგი კაცი ხედებოდა, მის ასაკზე
მიანიშნებდნენ მეზობლები და ნადვლია-
ნად უღიმოდა.

— არ ვჩივი. ყოველ შემთხვევაში,
როცა ასვლა გამიჭირდება, მაშინ ჩამო-
სვლის ხალისიც აღარ მექნება და, მა-
შასადამე, აღარც ასასვლელი.

იგივე მეზობლები სულაც იმ აზრი-
საც იყვნენ, რომ მეოთხე სართულზე
ახალგაზრდა შვილს უნდა ეცხოვრო,
ხოლო მის ბინაში პირველ სართულზე
მოხუცებს, მაგრამ მამას ამის გაგონე-
ბაც არ უნდა.

— არა. ჩემო ბატონო. მთელი ჩემი
სიყვარული შვილიშვილებზე გადამი-
ტანია და ისინი მე თვითონ ხიფათის
წინ დავაყენო? ჯერ ისეთები არიან, ერ-
თი რომ წაიქცეს, მეორე ვერ წამოაყე-
ნებს. ემანდ კიბიდან რომ დამიგორდნენ,
რა ვუთხრა მერე ჩემ თავს? არა. არა,
ჩემო ბატონო.

მეზობელთაგან ასე ერთი და იგივე
შეკითხვისა თუ რჩევის მიცემა მოხუცს
არ აღიზიანებს. მათ გამო კიბეზე შეყო-
ვნებულს მორიგი შესვენების საბაბი ეძ-
ლევა და ეს მას სავსებით აწყობს.

შოთა ჩემზე ბევრად ახალგაზრდა,
მაგრამ ბევრადაც ყოჩალი, მჩქეფარე
და ფხიანი ვაჟკაცია. ადამიანთან დაახ-
ლოება უყვარს, ჯდევც ეხერხება და
მისი ეს თვისება ყველაზე მეტად მხიბ-
ლავს. გულწრფელობითა და ენაწყლია-
ნობით ყველას უცებ ატყვევებს და ისე-
თი შთაბეჭდილება რჩება, რომ თვი-
თეულ ახალგაცნობილს კიდევ თითქოს
გულს ეთანადრება მასთან მალე დაშო-
რება. ამ გულგაშლილობით მოეპოვები-
ნა მთელი სამეზობლოს სიყვარული.

ეზოში ყველა საერთო საქმის მოთა-
ვე და ავან-ჩავანიც შოთაა. ეზოში თან-

გიორგი ვალაშვილი
ჩემი თბილისი

ჩატურიც მისი თაოსნობითა და ოფლის-
ღვრით დაიდგა და შემდგომ იქ დამკვი-
დრებულ მამაკაცთა შორის პირველი
ურთიერთობის ძაფებიც მან გააბა.

ჩემი და შოთას ბინის ფანჯრები ქუ-
ჩის მხარესაც და ეზოსკენაც ერთმანე-
თის გვერდითაა და თუ ჩვენ გარეთ ვი-
ცქირებით (ფანჯრებიდან ჰერეტა კი
ორივეს ვატაცებთ, თითქმის ავადმყო-
ფობაა). შეგვიძლია ხმადაბლაც კი თა-
ვისუფლად ვისაუბროთ.

ჩვენს შუა მხოლოდ სადარბაზოა და
თუ იქ შეყუთულ ვაგობიჭებს უღურ-
ტული გაუმართავთ, ისიც კი არ გვიშ-
ლის. ერთი იმიტომ, რომ პატარები
თვითონ გვერიდებიან და ცდილობენ
შეტისმეტად არ იხმიანონ, და მეორეც
— ჩვენს საუბართან ერთად ჩვენ თვი-
თონვე გვსიამოვნებს მათი წყრილა
ხმების მოსმენა.

ძნელად ითქმის, ამას და ამას მე ვუყ-
ვარვარო. თამამად სათქმელია, მე ესა
და ეს მიყვარსო. შენი გულისა თვითონ
იცო და იმიტომ. შოთას კი — ებედავ
ამის თქმას — მგონი უყვარვარო. თუ
ფანჯრებიდან არ ესაუბრობთ, უცებ
სახლში მომეღვინება, დამიჯდება და
მეთათსევერ მაამბობინებს ეახტანგსა
და ირაკლოზე.

ჩვენი თვითეული „დასხდომა“ თითო
ჭიქის გარეშე არ გამოდის და ვახტან-
გისა და ირაკლის მოსახსენიებელს ის
მასწრებს. მე ამისთვის მისი უზომოდ
მადლიერი ვარ და ერთგვარად მადლიე-
რი ვარ საკუთარი თავისაც, რომ ჩემთ-
ვის ძვირფასი ადამიანების სიყვარული
სხვის გულშიც ჩამინერგავს.

დედაჩემს გამოუღველად აქვს ყოვე-
ლთვის ტარხუნისა და პიტნის ნაყენი და
შოთასაც განსაკუთრებით ეს სასმელე-
ბი უყვარს. სადღეგრძელოსაც — მო-
სახსენიებელს იმით წარმოვთქვამთ. ხო-
ლო ასეთ სადღეგრძელოს სევდა მოს-
დევს და მის გაფანტვასაც თვითვე იჩ-
ქარის. სიტყვა ნაყენის ხარისხზე გა-
დააქვს და დედაჩემს ხელს უქებს. იქვე
კი არც თავის დედის უნარს ივიწყებს,

უპირველესად დევეზელის დამზადებ-
ში.

დედასთან იგი მეგობრულად შეხმატ-
კბილებულია.

თვალს წყალს დავალევიანებო, დაუ-
ბარებს ის დედას და კოხტად მოკაზმუ-
ლი ქუჩაში გავა. დედა მას ფანჯრიდან
მაინც გახედავს, ყველაფერი ხომ რიგ-
ზე აცვიაო, და სიტყვასაც დააწევს.

— დღესასწაულია, ბიჭო. ჩამოუარე
ახლობლებს, ნაცნობებს და ყვავილები
მაინც მიაართვი.

ბიჭი კი იზადრება და სიცილში საღ,
თეთრ კბილებს აჩენს.

— საღ არის, დედი, იმდენი ყვავილი,
რამდენიც მე ქალაქში ნაცნობი მყავს.

დედა მას ხუმრობით ქოქოლას დააყ-
რის.

ნაცნობ-მოკეთენი მართლაც ბევრი
ჰყავს, ქუჩაში საღამის მიცემას ვერ
აუღის, ხოლო შინ დაბრუნებული ოჯა-
ხის წევრებსა თუ მეზობლებს შორის
გულთბილად ჰყვება:

- ნიკო ტივაძემ დღეს ეს გააკეთა.
- ლეო ლოლაძემ კი ეს.
- ვანო არეშიძემ დღეს ეს თქვა.
- მათე ნინიაშვილმა კი ის.

მაგრამ ვინ იყო ან ლეო ან ნიკო ან
ვანო ან მათე — არავინ იცოდა.

ქალბებთანაც კარგი ამზანავობა იცის,
მათს შორისაც დიდი ნაცნობობა აქვს
და ყვავილები თუნდაც მარტო ქალე-
ბისთვის მიერთობა, ყველას მართლაც
ვერ ვასწავებოდა.

ისე კი, ქუჩაში ყვავილით გავლას
სხვა მამაკაცებზე თუ არ თაკილობს. ეს
რომ საძრახისი არ არის, კარვად იცის.
შინ სწორად ლამაზი თაიგულით ბრუნ-
დება და თავის მორცხვ მეუღლეს ახა-
რებს.

შოთა არათუ დღესასწაულებზე, უიმი-
სოდაც ბევრს დადის ქალაქში და მისი
თვითეული კუნჭული და ყველა თბი-
ლისური ახალი ამბავი იცის. როგორც
კი ყურს მოჰკრავს, სადღაც რაღაცის
მშენებლობა ან გზის გაყვანა დაუწყია-
თო, ისე გულდაგულ გაჰკრავს იქეთვე,



თითქოს საქმე მისი დამოწმების გარეშე ვერ დაიჭრებო.

ეს ბიჭი მთელი თბილისის განსახიერებად წარმომიდგენია. არც რაიმე მეთაურია, არც მით უმეტეს ქალაქის მერი, მაგრამ საკუთარი შინაგანი მოწოდებით გულშემატყვევრობს მას, და ამიტომ ასეთად წარმომიდგენია. ამ ბიჭმა ყველა ჩვენებურის აუვის გულთან მიტანა იცის, თვითულის უსაქციელობას განიცდის და ესეცაა მიზეზი ჩემს წარმოდგენაში ამ რიგითი მოქალაქის ჭეშმარიტად თბილისელად გაიდგალებისა.

ბოლოს და ბოლოს, მოქალაქეობაც ისაა, თუ შენს ქალაქს ეთაყვანები და მისი ადამიანების წარმატება გახარებას, ხოლო ქალაქის წვრილმანი ხინჯიც კი ან რომელიმე თანამემამულის მანკიერება გულზე ეკლად გესობა. და ამ ხინჯისა თუ მანკის აღმოფხვრა უშუალოდ რომ არ მოეთხოვება, შინ მათ მაინც შეგებები.

● თბილისი ბევრმა ქვით მოაჩუქურთმა. ბევრმაც ლექსით. ახლა იმას არ იკითხავთ, რამდენი ლამაზი სიმღერაა თბილისზე? რამდენი კომპოზიტორის ნიჭიერი ქმნილება ევლება მას თავს? მაგრამ თბილისის ამგდარნი არიან ისინიც, ვისაც წილად ვერ ხვდა მაღალი დეაწლი შეეწია მისთვის, ოღონდ მცირედი — რასაც თავიანთი შესაძლებლობითა და უნარით გასწვდენიან, მშობლიური ქალაქის ელფერისა და ღირსებისათვის გაშლილი გულით გაუტყაო.

რაც თბილისს ვანუღლია (ამ ქალაქს კი თავს რაღა არ გადახდენია), ყოველივეს — ქვეყნისა და მისი დედაქალაქის სვე-ბედს მემისტორიენი გადმოგვცემენ. ქვეყნისა და მისი დედაქალაქის მრავალსაუქუნოვანი ისტორიაა ერთიანია. ხოლო თუ მემისტორიეთა ცნობა: ამ საუკუნეთა მანძილზე თბილისი ორმოცჯერ მაინც აოხრებულაო მტრის მიერ — თუნდაც მიახლოებითა, უკვე ესეც ერთი ქალაქისათვის უძიძივს განსაკდელთა გრძელი ჯაჭვია. რაც მთავარია, ყვე-

ლა ამ შემოსევასა და დათრგუნვას მედგარმა ქალაქმა მაინც გაუძლო და რამდენჯერაც დაინგრა, იმდენჯერვე აღსდგა კიდევ.

თბილისელები პატევს სცემენ თავიანთი ქალაქის გმირულ წარსულს. წარსულისადმი მოკრძალება და აწმყოსადმი მაღლიერება ავალებს თბილისის თვითეულ მკვიდრს შეძლებისდაგვარად თავისწილ სიკეთე შეაწიოს მას.

თბილისში ხალისიანი და გულთბილი ადამიანები ცხოვრობენ. თბილისელები გამრკენიც არიან, საღმიანიც, სტუმართმოყვარენიც; ქალაქის უძველეს მკვიდრთა შთამომავალნი, თუ საქართველოს ყველა კუთხიდან სხვადასხვა დროს ჩამოსულნი, რომელნიც ისე იკრიბებთან და ახლობელი ხდებიან დედაქალაქში, როგორც დიდ ტბაში მათა კალთებიდან ჩამომდინარე მრავალი წმინდა ნაკადი.

მათ შორის ერთი მეცა ვარ და მე ისევ დაუღალავად დავალ თბილისის ქუჩებში, ჩემს ქუჩებში. გზად ბევრ ნაცნობს ვხვდები, ბევრსაც ისეთს, ვისთანაც საღამით არა ვარ, მაგრამ ვგრძნობ მათ კარგ კაცობას და გულში სინანულს გამოუთქვამ, რომ მათაც არ ვიცნობ. ისიცაა — ცოდვა გატეხილი სჯობია — ქუჩაში ყველა ნაცნობის შეხვედრა ერთიანად არ გახარებს კაცს.

ქუჩებში მე არავის ვიხატავ, საგულდაგულოდ არ ვიხსომებ. მაგრამ ვინც ხშირად მხვდება, ის მესხიერებაში თავისთავად მრჩება. ამბობენ, სახელგანთქმული ინგლისელი მხატვარი ჰოგარტი, ტიპებს ქუჩაში ხელის ფრჩხილებზე იხატავდაო დასამახსოვრებლად, რაკი იმ შემთხვევაში საიმისოდ სხვა საშუალება არ გააჩნდაო.

ფრჩხილებზე დახატვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქალაქური ცხოვრების, ტიპების — მესობტე ყველა მხატვარი, ყოველ შემთხვევაში, ნიკო ფიროსმანი კი მუშაობაზე გატაცებით აღბეჭდავდა

გიორგი ვალაშვილი
ჩემი თბილისი



დღევანდელ თბილისსა და მის ადამიანებს.

განახლებული ყოფის საფერისად მხატვარი ბოლოს და ბოლოს შეეშვე-ბოდა სიმუქეს და ხალისიან ფერებში დახატავდა ახალ და ახალ შენობებს, ბალებს, ქუჩებს, უბნებს, იქნებ თვით მთელი ქალაქის ხედსაც.

ქალაქის მთლიანი ხედი კი ქართულ ნახატში ბევრი არა გვაქვს, რაც ჩვენი მხატვრების დიდი ნაკლია.

ქალაქი ცალკე ქუჩებია, ქალაქია წარმოდგენაში ხშირად ერთადერთი ქუჩაც. მაგრამ ქალაქს სრულად მაინც მისი მთლიანი ხედი შეგაგარძნობინებს. ქალაქის სახის აღქმას სიმაღლეები, კერძოდ მთებიც შევლის. თბილისს მთები არტყია ირგვლივ და ქალაქის ყოველმხრივ განჭვრეტის საუცხოო საშუალებას გაძლევენ. მთა მთას ჰგავს ზოგად მონახაზებში, მაგრამ დაკვირვებული თვალისთვის კი მაინც ერთიმეორისგან განსხვავებულნი არიან. ასევეა თბილისის მთებიც. და როგორც სრულიად თავისებურია თვითეული მთა, ისევე სხვადასხვება მათი სიმაღლიდან ქალაქის ხედი, თუმცაღა ყოველი მხრიდან ანუ ყოველი მთიდან მომხიბლავი. მაშასადამე — მხატვრის შესანიშნავი სახროდოც.

დღევანდელ თბილისელ მოქალაქეებს მაინც მეტი სიყვარულით დახატავდა ბედრული მხატვარი — მუყაით და მეცადინ ადამიანებს, უბრალო კეთილ მცხოვრებთ.

განა, მაგალითად, არ მიიპყრობდა ფიროსმანის მახვილ ყურადღებას თბილისის ერთ-ერთ ჩემულ ქუჩაზე ფაქიზი მოხუცი ქალი და ცოტა არ იყოს უბრალოდ ჩაცმული, მაგრამ მუდამ სანიმუშოდ მოვლილი ბიჭი, ბებია და შვილიშვილი, რომლებიც ყოველ დღესასწაულ დილას ქუჩის ტელეფონიდან ისე მხურვალედ უსურვებდნენ ხოლმე ვიდაცას ყველა სიკეთეს, რომ მეც მათთან ერთად მთელი გულით მინატრია — დმერთო, ახდომოდეთ-მეთქი. როგორც წესი, ლაპარაკობდა ჯერ ბებია, შემდეგ

ყურმილში ორიოდ გაუბედავ სიტყვას აღვზნებული ჩასჩურჩულებდა ხოლმე ფეხის წვერებზე შემდგარი ბიჭი, და სხვას რომ მიულოცეს და აამქს, ამით თვითონ მეტად გახარებულნი გახუხუსხუსდებოდნენ თავიანთი სახლისკენ.

მე მათ კიდევ ვიცნობდი და არც ვიცნობდი. ვიცნობდი მხოლოდ, როგორც ხშირად შემხვედრთ, ხოლო არ ვიცოდი მათი ვინაობა. წლების მანძილზე ასე იყო. ამასობაში დედაბერს ხნოვანება უფრო დაეტყო, სულ გაილია, ბიჭს კი ტელეფონთან ფეხის წვერებზე შედგომა აღარ სჭირდებოდა. მაგრამ ისევ სულ ერთად იყვნენ, ერთმანეთისა და აღთქმული სადღესასწაულო მილოცვის ერთგულნი იყვნენ.

მე მათში დიდ ადამიანურ გულის სითბოს ვხედავდი. წარმავალი ადამიანის გულის სითბოს ვხედავდი, რომელიც შთამომავალს კეთილმყოფლად გადაეცემოდა.

ერთი ხანია კი აღარ დამილანდავს მის გულითადი ბებია-შვილიშვილი. იქნებ მათ სახლში ტელეფონი დაუდგეს, დასარეკად ქუჩაში დილაადრიან გამოსვლაც იმიტომ აღარ სჭირდებოთ? ნეტამც ასე იყო! მაგრამ, ვაითუ მოხუცი საბოლოოდ დასძლია ხანდაზმულობამ და უკვე შედერებული ბიჭი მარტოა დარჩა. ხოლო, მარტო დარჩენილი ბიჭი, მოკრძალებული და სათნო ბიჭი იმათთან, ვისაც ადრე ბებიასთან ერთად ულოცავდა, ახლა დარეკვას ვეღარ ბედავს და აჩემებულ ქუჩის ტელეფონსაც იმიტომ აღარ ეკარება.

კაცი კაციმ ცხოვრობსო, კაცი კაციოთაო. და ეს რომ მართლაც ასეა, უბირველესად ადამიანის გულით გამოიხატება. გულისხმიერებით, გულის სითბოთი გამოიხატება. ყველა ქალაქშიც პირველ ყოვლისა მის მკვიდრთა ყურადღებიანობა გხიბლავს, როცა უცხოის ჩასულს არათუ ამომწურავ პასუხს მოგაწვდიან შეკითხვაზე, მიგასწავლიან რასაც ეეებ, არამედ თავიანთ სამსახურს თვითვე შემოგთავაზებენ. გულგაშლილი და ენაწყლოანი მასპინძელი რომ იყავ-

ში უხერხულად აწურულ, დამუნჯებულ სტუმარს უბრალოდ და შეუმჩნევლად გააშინაურებს, ისე.

არ შეგვსწრებივარ, რომ იმ კეთილ ბებიასა და მის შვილიშვილს ვინმე ჩამოსულისთვის სამსახური გაეწიოთ, ეთქვათ, ქუჩა მიესწავლებინოთ, მაგრამ ღრმად კი ვამას, თუ ასეთი შემთხვევა მიეცემოდათ, ვინც არ უნდა ყოფილიყო მათი ქალაქის სტუმარი, ისინი მას თავს შემოველებოდნენ.

ესაა სწორედ ყურადღება, გულისხმიერება და, მაშასადამე, გულის სითბოც.

მე უფრო ხელშესახები, უფრო თვალში მოსახვედრი მრავალი სიკეთე მინახავს ადამიანისა ადამიანის მიმართ ჩემს ქალაქში. მხარში ამოდგომა, ვატანა, ზედ გადაყოლა, გადაგება, მაგრამ სიკეთის ნიმუშად ეს ბებია და შვილიშვილი მოვიყვანე, ამათ თავისთვისაც არც სახსარი არც ილაჯი არ გააჩნდათ, მაგრამ მზრუნველი გულისყური მაინც სხვისკენ ჰქონდათ.

კაცს რომ სიკეთეს უკეთებ, მაგრამ თანაც მოკრძალებით, ეს ყველაზე მეტად დასაფასებელია.

ქვეყნად მრავალი თავმომწონე ქალაქი თუა, მათს შორის თბილისიცაა. კაცს, შეიძლება ბევრი ქალაქი გზიბლავდეს, მაგრამ შენი ყველას ვირჩევნია. საკუთარი ქალაქისადმი თითქოსდა მოკრძალებული ტრფობა, თვითეულის თავისთავადი ბუნებრივი მოთხოვნილებაა.

ჩემი უსაზღვრო ტრფობის საგანი ჩემი თბილისია. — თუმცა ამ სიყვარულში არც ვისმეს ვეცილები და არც ვეჯიბრები. საერთოდაც, არაფრისა და არავისადმი სიყვარულში არავის ვეჯიბრები. მით უმეტეს სამშობლოსადმი სიყვარულში, მშობლიური ქალაქისა თუ სოფლისადმი სიყვარულში. ამ მხრივ თვითეულს თავისი სიყვარული ყველაზე მაღალი და ძალოვანი ჰგონია. ასე, თვით თბილისელებიც, ვისაც თანაბრად და თავდავიწყებით უყვართ თავიანთი

ქალაქი, მის ქუჩებს შორის მაინც თავისეულს გამოარჩევენ და რამდენიც გინდა ედავე და უმტკიცე, მას ყველა სხვას მიმართ უპირატესობას მინიჭებენ.

თბილისი სიცოცხლესავით უყვართ და ეკუთვნით კიდევ, ვინც მასზე ზრუნავს.

ქვეყნის ავ-კარგი უპირველესად მის დედაქალაქს შეხებია. ამავე დროს დედაქალაქი თავისებური ყულაბაა, რომელშიც ქვეყნის ყველა ამბავი ინახება. ეს ყულაბა მხოლოდ აგროვებს და არაფერს კი არ გასცემს. თბილისს თავის მხრივ მთლიანად საქართველოს ცხოვრების ყველა ფურცელი დაუგროვებია და დიდ თვალშეუდგამ წიგნად აუკინძავს. ეს მისი უკეთილშობილესი ღვაწლია და მისდამი თანამემუღეთთა სასიებრივი თაყვანისცემის მიზეზიც.

რადგან ყულაბიდან არაფერი გაიქცემა, არც წიგნიდან არც ერთი ფურცელი ამოიხვევა, ამდენად ყულაბაში მხოლოდ განძი უნდა ჩაეშვას, ხოლო წიგნში იგივე ღირებულების ახალი ფურცელი ჩაკერდეს. ასე, ერი კიდევ აღუმაღლებს ღირსებას თბილისს და თბილისი კი მეტად ასახელებს ერს.

ეს ზაფხულის ღამის ფიქრებია. გვიანი ღამისა. სახლში ყველას უკვე დიდიხანია სძინავს. რული მეც მეპარება. მაგრამ კიდევ ვფხიზლობ. ძილი ხომ მაცდურია, ოღონდ აგვისტოს ღამეც ძნელი დასათმობია, თუნდაც ქინწი გწყდებოდეს. ვინ არ მოუჯადოებია აგვისტოს ღამეს ისე, რომ გულით არ ენატროს, ერთი კი ძილი კიდევ დამაძლევინა და გარემოს ჰვრეტით დამატკობო!

ისიცაა, თბილისში ყოველგვარ ავდარს ადვილად ვეგუებ. ქარი მძულს და თბილისურ მარტის ქარსაც ვუძლებ, დეკემბრისასაც, როცა კედლებზე

გიორგი ზედაზვილი
ჩემი თბილისი

ნახევრად ავლევითი აფიშები გარეთ დარჩენილი სარეცხვით ტყლაშენით ფრიალებენ. იფხრიწებიან ცირკის მყვირაფა აფიშები და მათთან ერთად სულს დაფას ფეხბურთის უკანასკნელი აფიშაც.

ავვისტო კი ნეტარებაა.

ახლა ავვისტოს ღამეა. გვიანი ღამე. მშვიდი და მომხიბლავი.

მთელი დღევანდელი დღე მე და შოთამ ქალაქში ხეტიალს მოვანდომეთ. საღამოდან კი ჩვენ-ჩვენს გვერდით ფანჯრებთან მოვეწყვეთ, ვსაუბრობდით და რაც დღისით ფეხით მოვევლეთ, იმას ახლა სიამოვნებით შორიდან ვკვრეტდით. შოთაც ჩემსავით კიდევ უფრო გვიანობამდე შერჩებოდა ფანჯრის რაფას, მაგრამ უფროსმა ბიჭმა, პაპა ოთარის მოსახელე ექვსი წლის ოთიამ მაცდურით ლაქუციით გაიტყუა იგი ლოგინში. შოთასაც არ შეუძლია ბავშვების მუდარას არ დაჰყვეს. მეტიც, მათთან თამაშში თავადვე ლაღად ერევა, ხოლო როცა სახალწლო ნაძვისხის მორთვაა, მამა შვილებზე თავგამოდებით ირჯება და ხალისობს.

ოთია კი საკმაოდ ანგარიშგასაწყვეი, დაკვირვებულ და ცხოვრებაში ჩახედული ბიჭია. როცა სატვირთო მანქანამ ქუჩაში მახუთით გაჟღენთილი შაბლები ჩაატარა, მან თქვა: კაკლის მურაბის ხეაო. ხოლო ღამით ნათურების მძივებით მოსირმულ ცირკის შენობას განედა და: მეფის ქუდიოაო, თამარ მეფისაო.

ქუჩას მარტოვა გავცქერი.

შორს, ქუჩის ბოლოში შეგვიანებული ახალგაზრდების სიმღერა ისმის. მე ცისა და ქალაქის ციმციმს მივჩერებივარ და ვედარც ვარჩევ რომელი ვარსკვლავების კიაფია და რომელი კიდევ ნათურებისა. ისინი თითქოს ერთმანეთში შეფანტულან. ჩემმა ერთმა მეგობარმა მთაწმინდიდან რომ ქალაქს გადმოხედა, თბილისი გადმობრუნებულ ვარსკვლავიან ცას შეაღარა. რამდენად გამომსახველი გამოთქმაა ან პირველი აღმოჩენაა თუ არა ეს შედარება, არ

ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ეს სწორედ ღამით ქალაქს გავცქერი, როგორც ახლა.

ერთი დიდი წარმოების საამქროს უფროსს ვიცნობ, რომელსაც ქარხნის დირექტორმა თურმე საწარმოო თათბირზე შეუტია: „რა სულ ჩემი საამქრო და ჩემი საამქროო გაიძახი, ვინ დაგიმტკიცა!“ ჩემს ნაცნობ საამქროს უფროსს ეს დატუქსვა თუ გაქირდვა საწყენად არ მიუღია, თუმცა თავისებური, შეკითხვისებრი განმარტება ნიშნის მოგებით მიუტია: „თუ ჩემად იწოდება ჩემი ქუჩა, ჩემი ქალაქი, ჩემი საშობლო, რაც სრულად ბუნებრივადაც უღერს, რატომ არ შეიძლება იგივე ითქვას ჩემს საამქროზეც, რომელიც ოჯახივით მიყვარს?“

ამდენად ვებედავ მეც თბილისს ჩემი თბილისი ვუწოდო.

ბევრისა და ჩემიც.

ქუჩის ბოლოში ბიჭებიც თავიანთ თბილისს უმღეროდნენ.

რამდენი ვილაპარაკე! მაგრამ მაინც ცოტა ვთქვი.

თავი თუ შეგაწყინეთ, მომიტევეთ. ხეიბარს თავისი დანაკლისის შევსების წყურვილი აქვს. გინახავთ წყალში შეცურებული ცალფეხა კაცი? არა? მამ, იცოდეთ, ყველა ცალფეხა, თუ ის ზღვას ან მდინარეს შეეჩვია, საუცხოოდ ოსტატდება ცურვაში. თავის დანაკლისის ივსებს. მე ჩემულ საყვარელ ადგილებზე საუბრით ვივსებ ჩემს გულ-ნაკულობას. თუმცა ცურვასაც ვახერხებ. ჩემი ზღვა თბილისის ზღვაა. თბილისის ზღვაში უმეტესად ბიჭბუჭობა ჭყუმპალაობს. ბიჭბუჭობა მიყვარს, მაგრამ მათში ვერ ვერვები, მათგან მოშორებით ვირჩევ საცურაოს. იმიტომ ვერიდები, რომ თავიანთ ჭკუისად არ ჩამთვალონ ან ვინიცობაა ცურვა დამიწუნონ და ჩუმად დამცინონ კიდევ. თუმცა, თავი მათსავით ბავშვი მგონია — გული ასე მომდევს და რა ვქნა —

მაგრამ თვითონ ხომ ვიცი, სინამდვილეში მათ მამად ვეკუთვნი და რომელ მამას არ გაუჯარავს გულს, თუ შვილი მას მეტისმეტად შეუთამამდება.

თუ ვინმე მიიჩნევს, რომ სიტყვა გამიგრძელდა, მე მაინც ჩემსაზე ვარ — სრულად ვერ მოვესიყვარულე თბილისს. მეტი კი ვერ შევებდე მას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი შვილი ვარ. ხოლო, მოკრძალებისა გამო შეიღს სათაყვანებელი მშობლისადმი მთელი სიყვარულის გამჟღავნება ვერ უხერხდება.

ასე ვარ მეც.

არა და, სადაც არ უნდა ვიყო, მადლიერების გრძნობით ერთთავად თბილისის ვეველები თავს.

მე თბილისი ერთი წუთითაც არ მეთმობა, თბილისიდან ვასვლა არ მიყვარს, მაგრამ რაკი ვასვლა მაინც მიხდება, თბილისში დაბრუნება ყველაზე მეტად მიყვარს.

④

ავტორის მობოდიშება:

უკვე დამთავრებულად მიჩნეულ ლი-

ტერატურულ ნაწარმოებს კიდევ ჩაკირკიტება თუ არგებს რამეს, თორემ ზიანს არ მიაყენებს. ამბობენ, ამას მხატვრობა ვერ იტანსო, სრულყოფის გადაშეტებულ წადილს ზიანი მოუტანია, არა ერთი ჩინებული ფერწერული ტილო წაუხდენია, ყოველ შემთხვევაში, დაუკნინებიაო. ასეთი სრულყოფა უფრო ხელყოფაა. ნაწერს კი ეს ხანგრძლივი „წამება“ მხოლოდ ამდიდრებს. თუ სწერ და სრულყოფის თვალსაზრისით გადათეთრებაც გვჩვევია, ყოველთვის მიაღწევ პირველ ნაწერის რამდენადმე მაინც გაუმჯობესებას. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სცნობ, რომ მეტი ხელახლება აღარაა საჭირო. ოღონდ ასე ვერ იჯერებ გულს და არც უკმარობის გრძნობა გეცლება, თუ წერის სავანი სამშობლოს ნაწილია, მისი დედაქალაქი და შენი კი მშობლიური ქალაქი. მეც თბილისზე ამ მონათხრობის გადაწერა არ დამზარებია, მაგრამ თან იმასაც ნივაკვლიე, რომ საყვარელ ქალაქზე წერას ვერასდროს გაასრულებ.



ს ტ უ მ ა რ ი

მსოფლიო უსმენს უცხო
ცივილიზაციის სიგნალებს...
სენსაციურა ჰიპოთეზა გაზეთებიდან.

1

შიადე სივრცეს მუცელზე ყური — დედის საშოში ნაყოფი იძრა.

დედამიწაზე, როგორც ცისფერ სანაპიროზე, ბოლთას სცემს დარის თეთრი ღრუბელი. დაფეთდა ცაზე მარტორქა — მთვარე, და პორიზონტი ქამარივით შეიხსნა ღამემ.

მიუგდე ყური შემკრთალ ნისლეულს — დედას საშოში ნაყოფი იძრა...

მარჩენალ ბიჭის მოლოდინში ღამდება ღამე. ჟღერენ ეჟენები შეთქმულებივით, და მზისფერ ჯოგში გარეული ურა მოწვევი მინდვრებს და ჭალებს სიცოცხლით ავსებს. აღებენ ჭიმკარს ურმის ჭრიალზე — ხომ არ დაბრუნდა უფროსი შვილი. ის თუ მოუტანს დაღლილ მშობელს შვინდივით ხორბალს, და აივსება სამზადის სხეენი ბროლის ბრინჯით და გაცეხვილ ღომით. მერე გამოცვლის გატეხილ კრამიტს და გადარეკავს მუშობლის ღორებს...

გახედე, ნახე! ვის უყეფს ძაღლი, ხომ არ დაბრუნდა უფროსი შვილი...

დედამიწაზე, როგორც ცისფერ სანაპიროზე, ღიმილითა და თმების სწორებით დაბალ ალაგეს მოადგა ქალი...

2

მოგარგებს თითზე ცისარტყელა ნიშნობის ბეჭედს, და როგორც ზღვიდან — გალუმპული ამოხვალ ციდან.

მე მინდა გქონდეს ნინოს ღიმილი, თეას თმები და ცის სათნოება.

ღია კარი — როდის მოხვალ, არავინ იცის... ღია კარი — ცისარტყელის შვიდფერი კარი.

ამოხვალ ციდან, როგორც ზღვიდან. უსაზღვროება ასევეა შენით. როგორც ზღვიდან — ამოხვალ ციდან.

ასეთი ტანი... სად მინახავს ასეთი ტანი... ასეთი მხრები. სად მინახავს ასეთი ტანი... სანდო ღიმილი... სად მინახავს ასეთი ტანი... საიდან მახსოვს ეს თვალები... ასეთი ტანი...

ამდენ სიმღერას რა მოისმენს — ღუღუნებს ჭალა; ამდენ მოძახილს რა გაუძლებს — ბუბუნებს ველი; ფეხზე დგომამ და მოლოდინმა მუხლებში ძალა გამომიღია. გეძებ. გიცდი. მომეცი ხელი.

შენა ხარ ჩემი! ამის! იმის! ყველასი! ჩვენი! სრულყოფილ-
ბაც. სიმახინჯეც. სულელიც. ბრძენიც. ზიზღი უსაზღვრო. სიყ-
ვარული. მალამო. სენი. მოხუცი. ბავშვი. საწამლავი. ყვავი-
ლის წვენი.

იღება კარი, ცისარტყელის შვიდფერი კარი, და როგორც
ზღვიდან — ამოდიხარ ცისფერი ციდან...

3

ამოირჩიე სამშობლო ჩემი: დონი და დნუპრი, ნოსტე და
გრემი; რა მნიშვნელობა აქვს თუმცა ამას, გარდა უბრალო პა-
ტივისცემის.

მე სანამ მოვალ, შენ თვითონ მოდი, რომ ვიყოთ ორნი: ტო-
ტი და ტოტი; ბუდე და ბუდე; ჩიტი და ჩიტი; გული და გუ-
ლი; ლოდი და ლოდი...

გადავიხადო იქნება ვალი, ცას გავეუსწორო იქნება თვალი,
და შევავედრო ნაგვემი სული — არ გაუთიშოს ხროცი და ძვა-
ლი...

ღამე და წვიმა, ღამე და თოვლი, ღამე და ქარი, ღამე და
ღამე დასრულდეს იქნებ... და სხვა — ახალი და უცნაური და-
იწყოს რამე...

გემუდარები, სამშობლო ჩემი ამოირჩიო — ნოსტე და გრემი!
რა მნიშვნელობა აქვს თუმცა ამას, გარდა უბრალო პატივის-
ცემის...

4

მწვავე ალგების ვისოსებიდან დააკვირდი ქვეყნიერებას, იქ-
ნება მიხვდე, რით ანსხვავებენ მეომრისა და მუიხრის ქუდებს.
რით განსხვავდება საკანი, კუბე; სასახლე, ციხე; კუბო და ყუ-
თი; რით განსხვავდება საწყალ ძლოკვისგან ასპიტი, კობრა და
ჟარარაკი; რით განსხვავდება შხამა-სოკო არყისძირასგან; რით
განირჩევა სოფლის საძვალე და სანებიჯროდ წორთული კორ-
დი...

სუპერბომბები, სუპერტრემლები და ულტრამოკლე ბელნიე-
რება...

და ჰგავს მეოცე საუკუნე ნოზარდს, რომელიც გულგრილად
ამსხვრევს სათამაშოებს...

მწვანე ალგების ვისოსებიდან დააკვირდი ქვეყნიერებას —
იქნებ შენ მაინც გაიგო რამე: რას ნიშნავს სისხლი — ვიეტნამ-
ში დაღვრილი სისხლი, ან ცრემლი — სადღაც შორს, შტა-
ტებში დაღვრილი ცრემლი...

რით განსხვავდება კრიპუჭისგან — იელის თაფლი, ფუტ-
კრისგან — ბუზი, ვარდისაგან — ანწლის ყვავილი;

მწვანე ალგების ვისოსებიდან დააკვირდი ქვეყნიერებას...

5

ვიღაცა მკლავზე, დაჭანგულ ისრით, წარსულის მძიმე ტკი-
ვილებს მიცრის, მაგრამ მე მაინც მაშინებს ომი და უმიზეზოდ
დაღვრილი სისხლი;

და დედამიწა, — ვეება ტირი — სადაც გასროლა არა ღირს ძვირი, ვიღაცას ელის, ვიღაცას ეძებს, რაღაცას ამბობს, რაღაცას ყვირის;

და ეს „ვიღაცა“ — შენა ხარ იქნებ... შორიდან ცისფერ თავსაფარს მიქნევ; მე დაგახვედრებ ფრესკებს და ძეგლებს, სახლებს და ხიდებს, ჰანგებს და წიგნებს;

სამშობლო — ჩემი ვნება და ჰობი! ჩემი სიცოცხლე — სანშობლოს თოფი! არ აუტოკედეს მემობარს ხელი! არ გაიბლანდოს ლულაში ობი!

შენ რით გაარჩევ ჩემსას და სხვისას! შენ რას გაიგებ — რა არის ვიზა! შენთვის ერთია ქვეყანა მთელი: სინათლე მზისა, სიმაღლე ცისა!..

სანშობლო — შემოდობილი ღობით! სამშობლო — ჩემი ვნება და ჰობი! ჩემი სიცოცხლე — სანშობლოს ფარი! სამშობლოს ხმალი! სამშობლოს თოფი!

უცნაურ ფიქრად მიმძიმებ ფიქრებს; შორიდან ცისფერ თავსაფარს მიქნევ. მე დაგახვედრებ ფრესკებს და ძეგლებს, სახლებს და ხიდებს, ჰანგებს და წიგნებს!..

შენ ოღონდ მოდი!..

6

... და დედამიწის მოძრაობის საპირისპიროდ — შენს შესახვედრად გამორბის ბავშვი...

ასეთი გრძელი და სუსტი ჩრდილი, და ხმა — ასეთი უცხო და ტკბილი... შენს შესახვედრად მოყვება იგი ცისარტყელების გაცრეცილ ბილიკს.

საიდან! როგორ! როგორი! როდის! ჰო, მოდის, მაგრამ საიდან მოდის! იშლება ველზე ყვავილი ეჭვის, ან ვისთან იყო!.. ან ვისთან მოდის!...

მიწა კი ბრუნავს, და ამ ბრუნვის საპირისპიროდ — შენს შესახვედრად გამორბის ბავშვი...

დიიდი, თეთრი პეპლები თმაში; იმედი ეჭვით გაბზარულ ხმაში; თეთრი ღრუბელი ბოინობს ახლა. შავი ღრუბელი ბოლავდა მაშინ.

შენს შესახვედრად გამორბის ბავშვი.

გამორბის ბავშვი.

— ბავშვი!..

7

მიადე სივრცეს მუცელზე ყური — დედის საშოში ნაყოფი ოძრა...



გყინვარის ნათქვამი

გიორგი ლეონიძეს

ჭაღარა მათოვს,
სიკეთის შეკვლევ,
ან კი ვინ დარჩა სევდის გარეშე,
ცაში ორბეზმა კამარა შეჭკრეს
და თეთრი მკერდი შემომალეწეს.

ქარი ასკდება ქარაფს გნიასით
და იფანტება ღამის უკუნი,
ეს შენი ხმაა, თუ დარიალში
აბორგებული თერგის გუგუნო

მშურს ერთიბეწვა მთაწმინდის ბედი,
სადაც ვეება მკერდი დამალე,
დაგმშვენდებოდა სინათლე მეტი,
მე ვიქნებოდი შენი სამარე.

შენ იქნებოდი მნათობთან ახლოს,
ცაზე რომ აწერს შენს უკვდავებას...
და რაკი ბარში ლომკაცად სახლობ,
ინაღვლონ ჩემმა მუხლისთავეზმა!

მხატვრული თარგმანის შესაძლებლობათა და თავისებურებათა გა-
მოსავლინებლად უაღრესად საინტერესოა, როდესაც ერთ პოეტურ
ნაწარმოებს რამდენიმე მთარგმნელი პკიდებს ხელს. ამის უამრავი
მაგალითი არსებობს. ამჟერად მხატვრული თარგმანის საკითხებით
დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ ა. ბლოკის ცნობილი ლექ-
სის („Ты помнишь? В нашей бухте сонной...“) რამდე-
ნიმე თარგმანს.



Ты помнишь? В нашей бухте сонной
Спала зеленая вода,
Когда кильватерной колонной
Вошли военные суда.

Четыре — серых. И вопросы
Нас волновали битый час,
И загорелые матросы
Ходили важно мимо нас.

Мир стал заманчивей и шире,
И вдруг — суда уплыли прочь.
Нам было видно: все четыре
Зарылись в океан и в ночь.

И вновь обычным стало море,
Маяк уныло замигал,
Когда на низком семафоре
Последний отдала сигнал...

Как мало в этой жизни надо
Нам, детям, — и тебе и мне.
Ведь сердце радоваться радо
И самой малой новизне.

Случайно на ноже карманном
Найди пылинку дальних стран —
И мир опять предстанет странным,
Закутанным в цветной туман!

6 февраля 1914

●

გახსოვს ის წუთი? ზღვის ყურე თვლემდა,
თვლემდა მომწვანო წყლის ზედაპირი,
როცა კოლონა სამხედრო გემთა
შემოვიდა და შეკრთა ნაპირი.

ხომალდი იყო სულ ოთხიოდე
და გვაწვალებდა კითხვა ულვევი
და მედიდურად მიმოდინდნენ
მზით გარუჯული მეზღვაურები.

ქვეყანა გახდა უფრო წარმტაცი,
მაგრამ გემები უეცრად ისევ
ზღვაში შებრუნდნენ და შებარბაცდნენ
და თავი მისცეს ღამეს და ნისლებს.

ზღვა ისევ გახდა ჩვეულებრივი,
ხოლო შუქურის ცეცხლი მიმქრალი,
კვლავ აპარპალდა და დაღვრემილად
უკანასკნელად მისცა სიგნალი.

რა ცოტა კმარა, რა მცირე გვეოფნის,
რომ ბავშვებივით გული ვიჯეროთ
და გვიხაროდეს ამ წუთისოფლად
რამე ახალი თუნდ უმნიშვნელო.

ჯიბის დანაზე თუკი შემთხვევით
შორეულ ქვეყნის შენიშნე მტვერი, —
კვლავ გაიხსნება და გაეხვევა
ფერად ნისლებში სამყარო მთელი.

თარგმან ზოთა ნიჟინაიჩიჟა.

●

შენ გახსოვს ჩვენი ბუხტა მიძინარე
და აღტაცება შენ გახსოვს ჩემი,
როდესაც ნაპირს, როგორც მიძინარე,
მოადგა ოთხი სამხედრო გემი.

ვეღარ ვძღებოდით მათი ყურებით,
ათასი კითხვა აგვეკვიატა,
მზეზე დამწვარი მეზღვაურები
დააბიჯებდნენ ირგვლივ ზვიადად.

თითქოს განათდა მთელი პლანეტა...
და უცებ დავრჩით გულდაწყვეტილი:
უკან გაბრუნდნენ, ოკეანემ და
ღამემ ჩაყლაპა ოთხი წერტილი.

ისევ დაწყნარდა ზღვაც და ცხოვრებაც,
ძლივს ანათებდა შუქურა სივრცეს,
როცა დაბალმა სემაფორებმა
უკანასკნელი სიგნალი მისცეს...

მაინც რა ცოტა რამე გვახარებს
ჩვენ — ამ ცხოვრების პატარა ბავშვებს,
გულს ყველაფერი მოსწონს ახალი,
თვალი ყოველგვარ სიახლეს ამჩნევს.

და თუ უძველეს გალავანზედაც
მტვერი შენიშნა ათასწლეულის, —
ქვეყანა ისევ გალამაზდება
ფერად ბურუსში გამოსვეული.

თარგმან ანატოლ ჯანაშიაძემ



შენ ალბათ გახსოვს, უნდა გახსოვდეს:
მთელმხარე წყალი — მწვანე და ცივი,
მივიწყებული ყურე აღზევდა —
კრეისერების მოადგა მწკრივი.

ოთხივე თითქოს ნისლმა შებურა,
საამო იყო მათი ყურება,
დააბიჯებდნენ ჩვენს წინ მეფურად
მზეზე დამწვარი მესღვაურები.

სამყარო უცებ გახდა სხვაფერი...
გემებმა აღარ დააგვიანეს —
დატოვეს ჩვენი მყუდრო ნაპირი,
მიენდნენ ღამეს და ოკეანეს.

ზღვას ისევ ძველი მწუხრი ფარავდა,
შუქურის შუქი ძლივს გაიშალა,
როცა დაბალი სემაფორიდან
უკანასკნელი მისცეს ნიშანი.

ასე იჭრება ცხოვრების ბინდი,
რა ცოტა გვყოფნის მე და შენ — ბაღებს,
უცნაურია, რა ცოტა გვინდა.
რომ სიხარულით გულები გაღღვებს.

უცხო ქვეყნების სათუთი მტვერი
ჯიბის დანაზე შემთხვევით იცან —
და საოცრებად იხილავ მერე
ფერად ნისლებში გახვეულ მიწას.

თარგმან იოზარ აპიტაიშვილმა.

თვლემამორეულ პორტს თუ იხსენებ,
ნაპირთან მწვანე ზვირთების ტორტმანს,
მწკრივად დაწყობილ რუხ კრეისერებს
როდესაც კარი გაუღო პორტმა.

სულ ოთხნი იყვნენ. რას არ ვნატრობდით
და გვადღევებდა, რომ ჩვენს მასლობლად
ვხედავდით მზეზე დამწვარ მატროსებს
და ვაფასებდით მათ ქედმადლობას.

ქვეყანას სულ სხვა დაადგა შუქი,
მაგრამ მცირე ხნით და ჩვენ ვუყურეთ,
როგორ გვაქციეს გემებმა ზურგი
და შეუერთდნენ ზღვას და უკუნეთს.

მომაბეზრებელ პორტს დავუბრუნდით,
სადაც ბუტავდა მხოლოდ შუქურა
და სემაფორის მზერა უგნური
გულში ჩაიკრა ზღვამ და უკუნმა...

ჩვენ ვართ ბავშვები!.. ბავშვებს ცხოვრებამ,
რა ცოტა კმარა, რაღაც სიახლით,
რომ დაურღვიოს ერთფეროვნება
და შეუშფოთოს სულის წიადი.

საკმარისია, ჯიბის დანაზე
ვიხილოთ უცხო ქვეყნების მტვერი,
რომ ყველაფერი იქცეს ანაზღად
გაშლილი ატმის ბურუსის ფერი!

თარგმანა ზივი ჰიგუპორმა.



ლადო მრალაშვილი

სტორის ხეობაში

ბანკისის ვიწროები თითქმის ზედ ბახტრიონთან მოდის. აქედან იწყებს განზე გასვლას ალაზნის ვაკე. მერე გაიწვეს თავის ბარაქიან მკერდზე ორწოხებში ნაომა არაზანს და ეს ათასგზის ჭირნახული წყალიც მდორედ მიწანაობს ერთხელ გაკვალულ კალაპატში. გაივლის ზემო და ქვემო ალვანს, გაივლის ლალისყურს და მხოლოდ ფშავლის ბოლოში გამოუხტება დამთხვეული სტორი. საერთოდ, ალაზანი არ არის განუხეობი მარჯვენა შენაკადებით. მარცხენათი კი გაიხარია, მინგეჩაურამდე თავი აქვს მოხერხებული ფეთიანი წყლებით. სტორის შემდეგ გიფი ლოპოტა მოსდევს, შემდეგ ინწობა და შემოილი დურუჯი, შემდეგ... მაგრამ რა საჭიროა, მათი ჩამოთვლა, საკმარისია დახედოთ საქართველოს რუკას და მაშინვე თვალში მოგვხდება ირმის რქებივით ტოტებდაყრილი მდინარე.

მე რომ მკითხოთ, სტორის ხეობა ლეჩურის თავიდან იწყება, — იქ, სადაც ბროლად დაღვრილი სვიანა თავბრუს მტვრევით ეშვება სტორში.

...მძლოს გარდა კიდევ სამნი ესხნდვართ მანქანაში: თელავის რაიკომის პირველი მდივანი, მეორე მდივანი და მე. მანქანა ჭრის კაკლისა და ლაუნის ჭალას და არხეინად მიჰყვება მდინარის ნაპირებს.

მზე ლეჩურამდე მიიყვება. მერე კი მოიღრუბლა და სვიანასთან წამოწიწკლა კიდევ.

მიანც, ისე წვიდა წლევანდელი ზაფხული, თითქმის არ გამოუღარებია. შემოდგომაც ასე აპირებს.

— ეგეთი წელიწადი ჯერ არ მახსოვს კახეთში, — მეუბნება რაიკომის მდივანი ალექსანდრე ვარდოშვილი. — როგორ ჩამოიტარა თავბრუს. ჯერ იყო და, სეტყვამ დააზიანა ვენახები, მერე ამ გაუთავებელმა წვიმებმა არ დააცალა დამწიფება მტევანს. ძლივს ავიდა ოც-

ოცდაერთ პროცენტამდე შაქრიანობა. საშუალოდ კი ჩვიდმეტი-თვრამეტი პროცენტია. რა ღვინოები უნდა დადგეს წელს? წელიწადი ისე არ გაეა, რომ სადმე სეტყვამ არ დაარტყას. ნამეტანი მოუვიდა. საუკეთესო მოსავლიანი სოფლები დასეტყვა. ართანში ხელახლა გასხლეს, მაგრამ რა, შეიძლება გაისადაც აღარ ივარგოს რქამ, ივრეა დაბეგვილი.

— ახლა ხომ არიან მესეტყვეები, მათი პუნქტები თითქმის მთელ კახეთშია გაბნეული.

— არიან, მაგრამ ზოგჯერ ასწრებენ, ზოგჯერ ვერა. სეტყვის ღრუბლები კი ივრე უცბად გამოტყვება ცივს იქიდან, გონს მოსვლასაც არ გაცლის.

— რას არ აცლის, კაცო. მთელი უბედურება ის არის, რომ სასროლი პუნქტები გარშემო მთებზეა დადგმული, — ჩაერია მძლო. — ერთი რომ აუტეხს ბათქა-ბუთქს, თავის ზონიდან გაავდებს და მეორეს მიუვდებს, — შენ ღიდი თავი გაქვს, იტირეო, ის მეორეც გამოუბათქუნებს და მესამეს მიუვდებს, მესამე — მეოთხეს და ეგრე დააწანწალდებენ გარშემო მთებზე. ბოლოს, რაი არ მოსვენებენ, ადგება ეს ღრუბელი, გაეცლება მთებს და გამწარებული, სეტყვისაც რომ არ იყოს, მაინც სადაც იშოვის სეტყვას და შიგ შუა ვაკეზე, ყველაზე კარგ ვენახ-ბაღებს დაუბაგუნებს.

— გეგმას მიანც გადავაპარბეთ, მაგრამ რა ბედენაა, ზღვა მოსავალი უნდა ყოფილიყო წელს, — სინანულით ამბობს მდივანი.

საშუალო ტანის, ჩახხული, ლამაზი კაცია ალექსანდრე, ჭკვიანური შუბლი აქვს და კეთილი თვალები. 1941 წელს დამათვრა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი და მაშინვე სამამულო ომში წავიდა. ხუთი წლის შემდეგ დაბრუნდა იქიდან და ზემო სვანეთში გაამწესეს საბადოებზე, უბნის უფროსად. შემდეგ



სამმართველოს უფროსად დააწინაურეს. 1951 წლიდან კახეთში გადმოიყვანეს ფიქალ-მარმარილოს კომბინატის დირექტორად. აქ მუშაობდა 1962 წლამდე. მერე თელავის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეა, შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს. ბევრს კითხულობს ალექსანდრე ახალი წიგნი არ გამოუპარება. თავათ ჩამოუვლის წიგნების მალაზიებს, როგორც კი მოიცილის.

— კახელი გლეხი მთელი წელი ნიშა ხარით ქედგაღუნული ჩაბნობს მიწას მზესა და წვიმას, ქარსა და ყინვას, მერე შეიდანდაც გამოტყვერება სეტყვა და ერთ წუთში მოსრავს ერთი წლის ნაოფლარს. კახეთი იყო მუდამ საქართველოს მოწინავე ფორპოსტი. მტრის პირველ იერიშებს ის ეგებებოდა და პირველ დარტყმებსაც ის იღებდა. ისტორიის უღმობელობამ გამოაწერთო კახელი გლეხის ხასიათი და სული მისი გააყიუტა, მკაცრი და კერბი ვახადა. და მე მინახავს კახელი გლეხი, გლეხი, რომელიც ვერ ვატყვია და ვერ ააყრემლა მურვან-ყურემ და შამახანმა, ჩინგიზ-ხანმა და კოჭლმა თემურმა, დასეტყველ ვენახში, სარის თავზე თავჩამოდებულ, წელში გადრეკილი და აცრემლებულ.

მანქანამ გალია ჰქალა და შეუყვია კლდეზე გაჭრილ გზას.

მართლაც სახობტენი არიან ჩვენი ინჟინერ-კონსტრუქტორები „კოლხონისში“ შექმნისათვის. თუ გაგიჭირდა, ჩართე მერე „დუბლი-კატორი“, მერე მიუშვი სადაც გინდა.

სტორის ხეობა ულამაზესია საქართველოს ხეობებს შორის, აქეთ-იქით აყუდებულან თვალუწვდენი პიტლო კლდეები. აქა-იქ წაბლის წარაფები ჩამოსდევს მდინარის პირამდე. კლდეებზე რძისფერი ჩანჩქერები დასხლუტილან და მიექანებიათ თავქვე. ზოგან მოგლეჯილ ხეობაში ჩამზღვლეულ უზარმაზარ ლოდზე განმარტებულა ძალგანის თელამუში და ხარლადივით გარინდულა სივრიალში. დაბლა კი, სულ დაბლა, ქვის ვიწრო კალაბოტში წელ-გაწურული, გაყოფებული სტორი იღრინება, აწყდება აქეთ-იქით, ჰამს, კვნეტს, ღრინის სიბუბის და ჩვენამდე აფრქვევს სიბნელიდან. მირიად წინწყლებად გადმონადენ დუქს.

ფერები, შემოდგომის უთვალავი ფერები გაბნეულა ზედ. — ყანვისფერი კლდეებიდან მოკიდებული მთელი ხეობა ფერების ულამაზესი სიმფონიაა.

მე რომ მხატვარი ვიყო, აუცილებლად დაეხატავდი სტორის ხეობას. მთელი სიცოცხლეში ეყოფოდა იგი ერთ მხატვარს და კიდევ დარჩებოდა ათეულთათვის.

ჩვიდმეტი წელია აღარ ვყოფილვარ აქეთ. ჩვიდმეტი წლის წინ დაიწყეს თუშეთში გადამავალი საცალფეხო ბილიკის გაგზავნება და სამანქანე გზა თორღვას აბანომდე მიიყვანეს.

თორღვას აბანო...!

რამდენიმე ლეგენდა და თქმულება დაკავშირებული ამ ადგილიან.

კველაზე პოპულარული მინც თუში ვაქაცის, — მონადირე თორღვას ამბავია.

ერთხელ, ნადირობისას, ირემი დაჭრა თორღვამ.

დაჭრილი ნადირი სტორის სათავეებისაკენ გაიქცა და მიიმალა.

სისხლიან კვალზე მიჰყვა მონადირე. ბოლოს, ახლანდელი აბანოს ადგილას, თბილი წყლის გუბებში ნახა ჩაწოლილი.

მონადირემ ნადირი მოკლა და ძველი ნატყვიარი გაუსინჯა. კრილობა შემშრალბულივით ჩანდა.

თორღვა მიხვდა, რომ წყალი სამკურნალო იყო...

მას შემდეგ დაიძრა აქეთ ჯერ თუშეთი და მერე თითქმის მთელი კახეთი. ჩვენც ახლა თორღვას აბანოში მივდივართ... ალექსანდრეს გაუგია, რომ დაჟინებული წვიმებისაგან რამდენიმე ადგილას ნაშალი დაშვავებულა, გზა ჩაუტყავს და აბანოზე ავადმყოფები მოუწყვედია. დილასვე გამოუგზავნია ბულონური და სატვირთო მანქანა ხუთიოდე კაციით. შემდეგ გულმა მინც არ მოუთმინა, თავდაც ჩაჯდა მანქანაში და მეც, იმ დროს თელავში ჩასული, ამიყოლა და გამოუტია აბანოსკენ.

— ერთი რამ მაკვირვებს, — ეუბნები ალექსანდრეს, — რატომ უწოდებენ აქაურები თუშეთს მთა-თუშეთს? ბარის თუშეთი ხომ არ არსებობს? თუ ზემო და ქვემო ალვანს გულისხმობენ, ეს თუშეთი არ არი. კახეთში მანდა და ცოტადენი ლალისყურშია თუშები მხოლოდ. პანკისის თავში, ბირკიანში, ცხოვრობს ერთი თუ ორი კომლი კიდევ. მამ რატომ ეახიან თუშეთს მთა-თუშეთს? თუ აგრეა, მაშინ უნდა იყოს კიდევ: მთა-ხევსურეთი, მთა-ფშავი, მთა-სვანეთი და სხვები, რადგან კახეთში ხევსურები და ფშაველები უმარავია, სვანები სამეგრელოსა და აფხაზეთშიაც შემხვედრია.

— მე თვითონაც მიკვირს, — იღიმება ალექსანდრე, — მე მგონი ეგ აქაური დილიტანტების მოგონილი უნდა იყოს, — არც თუ ისე დიდი ხნის წინანდელი. გამოვარდება რომელიმე ყვითელწინსკარტა, დაგიწყებს: „ალვანი“ — „ალბანიდან“ მოდისო, მერე კი მიდი და მართე დისკუსია! ალბანიდან რომ მოდიოდეს, ქართველი კაცი მას ალვანს კი არ დაარქმევდა, არამედ: ნალბანარს, ან საალბანოს, ან ალბანთას ან კიდევ სხვა რამეს, იღონდ არა ალვანს. უკიდურეს შემთხვევაში ალბანსეც დატოვებდა, რადგან ქართულ ენას არ ახასიათებს.

ლალო მალაზვილი
სტორის ხეობაში



ბ-ს ვ-დ ქეცვა. იმ დალოცვილს ერთხელ მაინც არ მოუსმენია სადმე:

„დიდ მინდორ ვადამატარეს — ხენი და ხენი ალვანი?“

არ ვამხელ, რომ არც მე ვამიგონია ეს ლექსი. მხოლოდ ამასღ ვასახუბობ:

— მთა-თუშეთს მარტო საუბნარში კი არ ხმა-რობენ, ხშირად ჩვენს პრესაშიც წერენ ხოლმე. და მე დიდ შეცდომაღ მიმაჩნია ეგა.

— რა თქმა უნდა, შეცდომაა. აი, ეს ციხე თორღვას ციხედ იწოდება. ოღონდ არ ვიცი, რა კავშირი აქვს აბანოს აღმოჩენ თორღვასთან.

თავს ვყოფ მანქანიდან და შევეყურებ საღვლად ღრუბლებში დაკარგულ ციხეს. რუხი ლოდები პირქვეშად იმზირებთან წაბლისა და წიფლის ფოთლოშეთხელებულ ტრეტებში. შორს გასდევს ვალანის ნამუსრევი. და ვაოცებულნი ვარ. საიდან, რა ხელმა აიტანა იქ ლოდები და კირ-ქვიშა, როცა ხელისგულის ოღენა ბილიკსაც ვერ იპოვი იქამდე ასაღწევს. თითქმის საქართველოს ყველა დიდ-პატარა ციხე-სიმაგრე მომივლია და მხოლოდ ფსიტრანის ციხე თუ მინახავს ეგრე მიუდგომელი თურღვას ხეობაში.

წარამბრა გევიჩიან ვზას კლდის წვერები-დან მოხეტიაელი აქაფებული ჩქერები. მეორე მდვიანი ანზორ ჯავახიშვილი ნანობს:

— აფსუს, ფოტოაპარატი დამიფიქდა!

პირხმელი, სანდომიანი სახისა ანზორი, ახალგაზრდა და ყოჩაღი. ტოლები ვართ და სტუდენტობისას ერთად დავდიოდით ტანვარჯიშის სექციასზე, უნივერსიტეტში. ვინ იცის, რამდენჯერ ყოფილა აქეთ და მაინც თელი ვერ მოუწოვრებია ამ გრანდიოზული, პირქვეში სილამაზისათვის.

ერთ ადგილას მთლად ჩანჩქერის ქვეშ გავძვევრით. ტყვიასავით დაქანებულმა წყალმა წამით საშინელი დგრაალ-ხრიალით გადაგვიარა თავზე და შემდეგ სტორის ბნელ ხაზაში ჩაინთქა.

სვიანადან მოკიდებული წვიმის საცერი არ შეჩერებულა. მანქანა გაილუმბა და სიცივემ შემოატანა შიგნითაც.

უცერად წყლის ხივილს ბულდოზერის ტრაბტარბი გაერია და მალე გზაც გადაველობა მოსახვევში რკინის მხეცმა.

იძულებული ვიყავით უკან დავეხებია.

— გზა ბოლომდე გაწმინდეთ? — ეკითხება მდივანი მებულდოზერეს, როცა გვერდი უნდა აქციო.

— თითქმის ბოლომდე გაწმინდეთ. ცოტა-ოდენი ნაშალილა დარჩენილი, აბანოდან სამს მებრუნე. ვერაფრით ვერ ავედი იქამდე და ნიჩხებით წმენდენ მუშები.

— მანქანა ვერ ავა?

— მანქანა იმას იქითაც წავა, ოღონდ გაწ-

მენდაა საჭირო. სატვირთო მანქანით მივინჯნა იქამდე მუშები და მანქანაც იქვეა.

კიდევ ერთ ადგილს მოგვიხდა გაჩერება: მთაში მიმავალი თუშები მთიდან მომავლებს შეხვედრიან. ტრადიციულად ჩამომტარან და მრუდე ყანწებით სწორ გზას ულოცავენ ერთმანეთს ოღროლოროზე. წითლად დამკრახული სახეები წვიმისთვის მიუშვრიან. ნახევარციდიან მაჯებზე ასხმულ ტროტებს ერთმანეთს ეება ბეჭებზე უთათუნებენ და მწყემსურ მიეთ-მოეთს ჰყვებიან...

დასაპალნებული ცხენები და ჯორები უთავბოლოდ დამდგარან ვაზზე. აინუნშიაც არ ავდებენ ზედ მიმდგარ მანქანასა და გამბულ საყვირს.

არც თავად მხედრებს ვაუბარტყუნებიათ ყური. ცალი თვალითაც არ გამოუხედავთ ჩვენსკენ.

ბრახდება ჩვენი მძლოლი, რაც ძალი დაღონე აქვს აღმულებს საყვირს და პირდაპირ მიიწევს მათზე.

ალექსანდრე აჩერებს მძლოლს და წყრება:

— უცნაური კაცი ხარ, დემერმანი, აცალე ხალხს დალაპარაკება და შეარგე ის ორიოდ ლუკმა ხმელი პური.

ბოლოს, როგორც იყო, ერთმანეთს კვლავ უსურვეს გზამვილობისა, თითო ყანწი კიდევ დაეცალეს და გავგატარეს.

გზა ერთ ადგილას უხვევს, ძირს ეშვება და ხეობას უახლოვდება. აქ გამოქიშული კლდე-კარიდან გამოვარდნილი წყალი უხარამზარ ლოს ურბენს გარშემო და მერე თავქვე გადადის ყირაზე. ლოდი რბილი ხავსითაა დაფარული და ნაპირიდან მარჯვე კაცი ადვილად გადახტება ზედ.

ალექსანდრე მანქანას აჩერებს და მეტუნება:

— აი, მაგ ლოდზე ისხდნენ ვახტანგ კორინთელი და სუსქია მინდელი და ბულბულების კონცერტს უსმენდნენ.

— გეტყობა, ძალიან გიყვარს ვამსახურდია.

— ძალიან. ჭერ კიდევ სტუდენტობისას დამეები მითევია მის წიგნებზე. ეგ რომ არ ყოფილიყო, ეგა და მიხეილ ჯავახიშვილი, უთუოდ დიდზე დიდი დანაკისი იქნებოდა ახალი ქართული ლიტერატურისათვის.

მალე სტორზე ვალაჯულ ხილზე გავედით და ახლა მეორე ნაპირს კლდეებს შევეყუვეთ პირადმა. მცირე ხნის შემდეგ გზაზე ჩამოშვებულ ნაშალს მივადგეთ, სადაც ხუთიოდე კაცი ჩალოჩობდა. იქვე იდგა სატვირთო მანქანა.

ლურჯბაჭყალიანი ოქუი კაცი გადმოხტა და შემოგვეგება:

— ეხლავე გავეშენდთ გზას.

ოქუი კაცი კურორტ „თორღვას აბანოს“ დირექტორი — გიორგი დედაბერიშვილია. ოღესლაც მას ჰიდაობაში და სირბილში ტოლ

არ ჰყავდა. ყირიმში, მთელ დღეიზიაში პირველი სივრცეზე მსტრამელი იყო.

ალექსანდრე გზის გაწმენდას აღარ დაუცადა, გადმოვიდა და ფეხით გადალახა ნაშალი.

აქ, სტორის დადებული ზეობის სათავეში, ფეროკალოსა და კეპანეს მოვებს შუა, კახეთისა და თუშეთის საზღვართან, ზღვის დონიდან 1.750 მ. სიმაღლეზე, კლდეთა იდუმალი წიაღიდან გადმოქუხან ცხელი წყაროები. სიბო მათი 37 გრადუსია. ქიმიური შემადგენლობით სულფიდურია, ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ ნატრიუმიათა. ამგვარი წყლები დღე დასაქმურნალო ეფექტს იძლევა რევმატიკური და სხვადასხვაგვარი წარმოშობის სახსრების დაავადების, პერიფერიული ნერვული სისტემის, გულისა და სისხლძარღვთა სისტემის, ვენეოლოგოური და კანის ქრონიკული დაავადების შემთხვევებში. ამას ზედ დაუმატეთ საუკეთესო კლიმატი და ირგვლივითის მშვენიერი სანახაობა, რომელიც უქმურ კაცსაც კი ჩამომტირალ სახეს ჩამოხანს!..

ამ ჩვიდმეტი წლის წინ, ჩემი პირველი აქ ყოფნის დროს, კლდეში გამოტეხილი ერთადერთი აბაზანა იყო რამდენიმე კაცისათვის. შიგ ავადმყოფები ისე იყვნენ ერთმანეთს მიკრულნი, როგორც თევზები ტოფობისას. ახლა კი აქ, ხისა და შიფერის შვიდიოდე შენობა დაუდგამთ. ერთსართულიანი, დაბალჭერიანი და მცირე მოცულობისა.

სულ რაღაც ოცდაათიოდე კვადრატულმეტრიან ბინაში თორმეტი საწოლი ღვას, სადაც თითოეუ აქეთებენ საძმელს ავადმყოფები, იქვე ატარებენ მთელ დღესა და იქვე იძინებენ.

პრობლეტიული აუზები, მათ შორის ერთი — ემალისა, ხოლო ორი იქვე, კლდეში გამოჩორკნილი, ვერ აქმაყოფილებს ავადმყოფებს. მიუხედავად ამისა, მთელი კახეთი მოიჭევის აქეთკენ... ყველგან, სადაც კი ფეხი მოიკიდება, კლდეზე მიომბნეულა ფიჩხის ქოხნახები, კალთებგაცვეთილი ბრეზენტისა და ფარდავის კარკები. ერთმანეთს მიპყვრიან ქოხის კუთხეში მიუყუებული დედაბრები. სახეები ისე აუხვევიათ თავშლით, რომ იქედან ძლივს ბუტბუტ უფერული, ჩაფერფლილი თვალები. ახალგაზრდებსა და ჭარბაგებს შალევი და ტანსაცმელი დაუგორგლიათ ტანზე და ამ სიცივეში პოლინეზილითა კერპებზეთ სხედან. ერთ ადგილას კი ორი შეუპოვარი ტიკორას მისჯდომია და... უკვე იმასაც ადლებკარებულენ, თუ სადმე მკვარტიანი ქვეც კი გლია საინვილოდან შავ ზღვამდე.

მხოლოდ ორი ექთანი და ორიც სანიტარი ემსახურება კურორტს, მაგრამ მხოლოდ ერთი ექთანი დაგვიხვდა ერთ ბარაკში.

მოქიფეებმა თვალს მოგვკარეს და მიგვიპატიეს. ჩვენ თავაზიანი უარი მოვახსენეთ. უცნაურია, მაგრამ არც ისინი გაჯუტებულან.

ზევითა ქოხში ვიღაც ჭაბუკი დაგვხვდა. იწ-

ვა ბრუნენტის თხელ საწოლზე და კანკალედა. პალტო ზედ წაფარებინა, თავზე შალი მოებულა და საციხით გათანჯული ძლივს ქმინავდა.

— ვაციებელია, — აგვისსნა კურორტის დირექტორმა. — აბა, მარტო მე რა უნდა ვქნა? ყველას როგორ ეყოფა ეს ბინა. მერე, ახლა საკმაოდ ცივა, მაგრამ მინც თავს არ ანებებენ მკურნალობას. მე განა წყალი შუშრის? ევლებები, უფრო ცუდია-მეთუი, — ვინ დაგოქერებს? იციან, რომ მაგათი მეზობელიც ამ დროს იყო და მინც განიკურნა, მაგისი ნათესავი ამ ნაცნობიც არ შეუშინდა სიცივეს და ისიც განიკურნა. ჰოდა, მთელი კახეთის ყველა კუთხიდან აწყდებიან აქაურობას. აწყდებიან, მაგრამ მე რა ვქნა. პირობები არა გვაქვს. 1951-53 წლებში, ზემდგომი ორგანოების დაავლებით, შედგა აქაურობის კომპლექსის პროექტი: სააბაზანო, სასტუმრო-ბანსიონატი და საკურორტო დარბაზი (პროექტი დამუშავა კურორტოლოგიის ცვლევითმა ინსტიტუტმა), მაგრამ დღემდე არაფერი ისმის. აბა, მე რა უნდა ვუშელო? აი, მივალ და ექთანს ვეტყვი, სიცხის დასაწევი აბები თუ აქვს შემორჩენილი, მისცეს.

— ამ წუთში გამოგზავნე სანიტრები და საკაციო მალაზიის ნანგრევამდე გამოიყვანო. გზა უკვე გაწმენდილი იქნება და ჩემი მანქანით წავიყვან ბარში. სხვებიც გაფართობლე, რომ შეიძლება მალე მოთოვოს კიდეც და უფრო გაუბრდებო. — მერე მე მომბრუნდა. — აბა, წავიდეთ, თორემ ზედა, წვიმამ როგორ მოუხშობა? შეიძლება ნაშალი კიდე ჩამოშვადეს და ჩვენც აქ მოვყვით. თანაც, მინდა თელეში მზიურ ჩაგასწრო: ერეკლეს ძეგლის საძირკველს ვაყრევივებთ და მინდა დავხვდეთ, რას შეგებინა.

— მაღლობა ღმერთს, — შევძახე და წინ წასულს წამოვეწეი. — ვაგხსენებიათ, რომ ოდესღაც ძეგლის აგება დააპირეთ. მაინც, რა იცით ხოლმე, თქვე დალოცვლებო: მოჩინქნით, სადაც ჩააგდებთ ერთ გურანდავ ლოდსა და მერე ზედ მიაწერთ: „აქ ამა და ამ კაცის ძეგლი აიგება“. ვიმაართება მიტინგი, ფრიიანი სიტყვების სიროლა და ოვაციები. ვავა მერე ათეული წელი და ვიღაც მაღლიანი ვაიხსენებს, რომ ზავსით დაფარული ქვის მაგიერ იქ ძეგლი უნდა მდგარიყო. რა საჭიროა წინასწარი დაფნალარა? — თქვენ ჭერ აავეთ და ჩვენ თუ მოგვეწონა, არც ტაშს დავამაღლით და არც ქებას.

ალექსანდრე იცინის და მეუბნება:

— რა არი ბიჭო, რომ ჩემი ბევრი რამ უკულმართად გეჩვენება?

ლადო მრელაშვილი
სტორის ხმობაში



— მოყვარეს პირში უძრახეო, ხომ გავიგონია, ჩემო საშა?

ავადმყოფი შუაში ჩაივსით და ხილამდე ფრთხილად დაეშვით.

ალექსანდრემ მანქანა გააჩერა და მეუბნება:

— ამ წინაზე კურორტების სამმართველოს უფროსი ჰალაგანიძე, არქიტექტორი ზაალიშვილი, პედროგეოლოგი ჩიჩუა და მე ვიყავით აქა. დადათვლიერეთ აქაურობა და შემპირდნენ, რომ სადაც წერ არს მოახსენებენ და დამეხმარებიან. მათი წინადადება იქნება: აიგოს სააბაზანო შენობა საათში 24 პროცედურის გამტარუნარიანობით — ექვსი ინდივიდუალური და ორი საერთო აბაზანა. ამ ხილთან აშენდეს ორასსაწოლიანი საცხოვრებელი სახლი (მათ შორის მომსახურე პერსონალიც იგულისხმება). — შენ რას იტყვი, ივარგებს? აქედან ავტობუსით ივლიან აბაზანებამდე.

— რატომ არ ივარგებს? აქ რასაც კი წაუშაბებთ, ყველაფერი ივარგებს. მაგრამ მე უფრო სვიანასთან მგონია უკეთესი. მშენებრი სასმელი წყალი, დიდებული პლატო, ვეება ხეებით დაჩრდილული, ქვევით გზა და მდინარისპირა კაქლის ქალა, იქვე მდინარე და მისი სანაპირო!.. ღმერთივით ადგილია. ათითორმეტი კილომეტრი იქნება იქიდან აქამდე. გზა ზოგან ცოტა კიდეც გაფართოვდება, ასფალტი დაიგება და მერე ავტობუსი და მისი ჯანი: ნახევარ საათში აბაზანებზე იქნებიან ავადმყოფები.. მე შენ გეტყვი და, ცქერა მოებზრდებათ ამ ხეობისა. ხოლო თუ გზა მოასფალტდა, მერე შეიძლება ტურისტულ მარშრუტშიაც შეიტანოთ მთელი ეს ბუნების საოცრება.

— აბა, არ წავიდით?

— დამაცა, ერთიც შევხელო აქაურობას.

აქედან მერცხლის ბუდეებით მორღავს აბანოს ირგვლივ გაფანტული და კლდეს ატყებელი ქოხმახები. და მიკვირს, ძალიან მიკვირს: ხალხს, რომელიც პირველყოფილი საშუალებებით მე-12, მე-13 საუკუნეებში კვეთდა ვარძიასა და გარეჯის საოცრებას, უფლისციხესა და დევის ხერელს, ახლა, მეოცე საუკუნეში, ატომის ეპოქაში როგორ უნდა გაუჭირდეს იმ კლდეზე ოთახებისა და აბაზანების გამოჭრა. მხოლოდ სიზარმაცე უკარნახებთ სპეციალისტებს, რომ ხელი არ მოჰკიდონ დიდებულ იდეას. არავითარი საშინაოება არ მოელის წყალს. პატარ-პატარა აფეთქებით არავითარი ზიანი არ მოუვა. სამაგიეროდ დიდებულ და ორიგინალურ კურორტს მივიღებთ.

დასანანია, ეს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე უსარგებლოდ იკარგებოდეს.

წყალი, რომლის თერმული სითბო 37 გრადუსია და დებეტი დღე-ღამეში 600.000 ლიტრი, უსარგებლოდ ინთქმება სტორის ზოგჯერ წმინდა და ზოგჯერ მღვრიე ტალღებში.

მე მკვარა: აქ რომ კეთილმოწყობილი კურორტი აშენდეს, მთელი საქართველო მოაწყდება. და არა მარტო საქართველო!..

პავა დიდებული!

სამკურნალო წყალი — შეუდარებელი!

იდეა შესანიშნავი!

და ჩვენ კიდეც ერთი პირველხარისხოვანი კურორტი გვექნება, ორიგინალური ტიპისა!

ღმერთმანი, არც ძალა, არც თანხა არ უნდა დაიშურო ასეთი საქმისათვის!

და ვისურვებდი: მაღე სიტყვა თქვენზედა იყოს, ქართველო ინჟინრებო და სპეციალისტებო!



პახანს გორგენლი

ძირს ჩამოსული ლაქვარდები

თბილისში მამინებდნენ, ბათუმში ისე ცხელა, დიდხანს ვერ გაჩერდებიო. იღბალზე არც ისე დიდი სიცხეები დამხვდა, გრილიდა. ცხრას რაღაც წუთები აკლდა, მატარებელი ბათუმში რომ შევიდა. მზე უკვე დაუფლებოდა ირგვლივეს და ახლა უსასრულო ცის დაფონს აჩუქურთმებდა, თუმცა რაღაც მოჩუქურთმება უნდოდა აჭარის ოქროსფერ ლაქვარდებს!

„შესხდე, რა ცაა!
ესაა რაცაა!“

გამახსენდა გალაკტიონის სტრიქონები. რა დიდბულადაა ნათქვამი! უყურებ და გგონია, ამ ცის საკვირველება, ერთის მხრივ, შავი ზღვის სიღიადეს ერწყმის, მეორეს მხრივ, აჭარის მთების სიამაყეს; ერთსაც და მეორესაც, თითქოს მალა ეწყვეა ზეცა, რათა უფრო სრულად გამოჩნდეს აჭარის მიწის ბრწყინვალეობა.

რკინიგზის სადღურებიდან გავედი და „მოსკვირის“ ავუწიე ხელი. გაჩერდა.

— საით მიბრძანდებიო, ბატონო? — ღამასწრო მძღოლმა. — მეჯინისწყლის კოლმეურნეობაში-მეთქი. მანქანის კარი მკვირცხლად გამოაღო, მეც იქით მივდივარო. კეთილი კაცი აღმოჩნდა მძღოლი. მძღოლი კი არა მეჯინისწყლის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელია თურმე, სახელი — ხემილ, გვარი — ნაკანიძე.

სასტუმრო „პირველ მაისს“ რომ გავცდიო, მანქანა კოსტთან დამუხრბუბა, ახალი ვაზეთები იყიდა, ზოგი მე გამომიწოდა. გახვით „კომუნისტის“ პირველ გვერდზე ნიკოლოზ ზარათაშვილის პორტრეტი და საიუბილეო კომიტეტის სხდომის ანგარიში იყო მოთავსებული. ხემილმა უცებ ჩაიკითხა სტრიქონები და თქვა: — მამ, მსოფლიო ზემომბს ჩვენი ტატოს იუბილეს! — წამით შეჩერდა, თითუბი მოიმარჯვა, — სამოცდაერთში ვაჭას აშბილვე აღინიშნა, სამოცდაექვსში — შოთასი. სამი იუბილვე მსოფლიო მასტაბით! არაა პატარა საქმე!...

ამ თარიღს ჩვენი ბრიგადაც დირსველად ხვდება, თავს არ შევირცხვენთ. „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსავასოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

ხემილ ნაკანიძე ჯარიდან შოფრის მოწმობით დაბრუნებულა. სად არ შეუთავაზებიათ სამუშაო, მაგრამ ყველაზე უარი უთქვამს: შოფერი ვარ და სხვა საქმეს ხელს არ მოვკიდებო. კოლმეურნეობაში კი იმდენი მანქანები არ იყო, რომ ერთზე ხემილი დაესვათ. ბოლოს, დაპკრა ფეხი და ქობულეთში წავიდა, იქ დაიწყო სატვირთო მანქანაზე მუშაობა, დაიწყო, მაგრამ... ვული მაინც მეჯინისწყლის გზებისკენ მიუწევდა. საქმეს რომ მორჩებოდა, არ შეიძლებოდა ორ-სამ დღეში ერთხელ არ ჩაერბინა მშობლიურ სოფელში. ეამაყებოდა მშობლიურ გზებზე მანქანით აქროლებ-ჩაქროლებს, ეღიმილებოდა თანასოფლელებს. ისინი კი, ხემილ ნაკანიძეზე ნაწყენნი იყვნენ...

— რა ჯენა, მეგობრებო, სოფელში მიწლიდა მუშაობა, მაგრამ... — ცოტახანს შეჩერდებოდა ხემილი, მოსაუბრებებს ახედა-დახედავდა და მერე გააგრძელებდა. — საცა ვარ, არ შევარცხენით, ბიჭებო!

ხემილი ისე გაუღებოდა ქობულეთისკენ მიმავალ გზას, მიღლიდა, თითქოს კმაყოფილი, სახეგაბრწყინებული, მაგრამ რატომღაც ეს კმაყოფილების ცეცხლი მალე ნელდებოდა. ჩავიდიდა ქობულეთში და ისევე სოფლისკენ წასვლის წყურვილი მძლავრობდა... ამ წყურვილის მოსაკლავად, მეორედ დღეს, თავისუფალ დროს იშოვიდა თუ არა, ქობულეთის ბაზარში შევიდიდა, აათვალი-ჩაათვალიერებდა დახლებს, ჩვენებურები ხომ არ არიანო. თუ ვინმეს შეხვდებოდა, სისარულით ცას ეწყოდა, გამოვლავარავებოდა, ისე მოიკითხავდა სოფლის ამბავს, თითქოს დიდხანია, რაც იქიდან წამოვიდაო. საუბრით რომ გულს იჯერებდა, კინებზე გაიკ-

რავდა ხელს და იქვე, სადმე შეუხვედნენ, ტკილად ნათქვამ სიტყვას მადლიანი სადღერძქლოთი დააგვირგვინებდნენ...

ასე მიდიოდა ხემიდ ნაკაშიძის ცსოფრება ქობულეთში. მაგრამ ერთ დღეს უცებ ყველაფერი შეიცვალა, შეტრიალდა, როცა ბაზრის შესასვლელთან თავის სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავიით ცინცაძე შემოხვდა დალონებულ, წარბშვრული.

— ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა, დავით, ოჯახში...

— ოჯახში ჯანმრთელად ვართ, მაგრამ კოლმეურნეობის ერთ უბანზე მიჭირს, ხემიდა, კაცი არა მყავს ისეთი, რომ პირველ ბრიგადას გაუძღვეს, არადა, ხულ უკან მიდის ამ ბრიგადის საქმე.

როგორ, მშობლიურ სოფელს უჭირდეს და ხემიდი აღმა-დაღმა დააქროლებდეს მინჭანას ქობულეთში?...

მეორე დღეს განცხადებით მიადგა ავტოკანტორის უფროსს, სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე. არ უნდოდა უფროსს ხემიდის გაშვება, მაგრამ მის სურვილს წინ ვეღარ აღუდგა, დაეთანხმა, ცოტა საყვედურიც შეაპარა, ამაზე თავიდანვე რატიომ არ იფიქრეთ. გამომშვიდობებისას კი პირდაპირ უთხრა, თუ გული შეგეცვლება და მინჭანას დაუბრუნდები, ჩვენი კარი შენთვის ღიაა.

მეორე დღეს უთენია მიადგა ხემიდი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— პირველ ბრიგადაში გვიჭირს განსაკუთრებით, ხემიდა, — გულთბილ საღამთან ერთად შეაგება დავით ცინცაძემ.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! — მოუჭრა სიტყვა და იმ დღიდან შეუდგა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელობას.

ასალმა ბრიგადირმა დაწვრილებით შეისწავლა ბრიგადის მდგომარეობა და დასაკენა: პირველ ერისანს წინააღმდეგობას წააწყდა, მაგრამ მალე წესრიგი დამყარდა ბრიგადაში.

განა მოსათმენი იყო, რომ ნაკვეთში მისვლა და იქიდან მოსავლის გამოტანა პრობლემას წარმოადგენდა, განსაკუთრებით წვიმიან ამინდში? გამგუობის კრებაზე გაიტანა საკითხი. პირდაპირ განცხადდა: თუ გზებზე არ შევაკეთებთ, ჩვენს შრომას არაფერი ფასი არ ექნებაო.

მინერალური სასუქებისა და აგროწიგების გამოყენების საკითხში, ცოტა არ იყოს, სიმწიფეს წააწყდა. თითქმის მთელი წელიწადი დასჭირდა, რომ ბრიგადის წევრები დაეწიგებინა მინერალური სასუქების სიკეთეში...

ბრიგადა წელიწადი გამოართა, რაკი ერთხელ აეწყობა საქმე, მერე სულ წინ მიდიოდა...

გამოჩნდა მეჯინისწყალი. ღამაში ორსართულიანი ხალციხე და მის სახურავებზე აღმართული ტელევიზიის ანტენები ცხადყოფენ, რომ სოფელი ღონივრად დგას ფეხზე. ელექტრომუქი, რადიო, კეთილ-

მოწყობილი გზა, კინო, სკოლა, მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი...

ხემიდმა მამიქნე გადაუსვია, ნაყოფით დახუნძლულ მანდარინებში გამოიჩნდა საშუალო ტანის, შუახანს მიტანებული კაცი, ხელში თოხი ეჭირა.

— პირველი ბრიგადის სიამყავა, ამ ციტრუსებს უყვარს, რამის ქაჯაია!

განა მოგიტომეს გული, რომ არ დალოცო იმ აღამანების მარჯვენა, რომელმაც ასე ააყვავა და აღამშვენა აჭაურობა?

1945 წელს რამის ქაჯაია წითელი არმიის რიგებიდან დაბრუნდა.

— ოჯახში ცუდად არა ვგაქვს საქმე დაყენებული, დაიხვეწე, ნათესავები მიიანახულე, ტოლ-მეგობრებში გაიარ-გამოიარე, — უთხრა დიდალუიენიანე გაღვიძებულ შეილს ნურჩინგმა და საწოლთან ტანისამოსი დაუწყო.

რამისმა გაუღიანა დედას, შუბლზე აკოცა, გამოალო კარი და არაფერი უთქვამს, თუ საით აპირებდა წასვლას. არც დედას უკითხავს. აბა, რას იფიქრებდა ნურჩინგე, თუ რამისი მეორე დღესვე კოლმეურნეობის კანტორაში წავიდოდა.

კანტორაში თავმჯდომარე დახვდა.

— სად დავიწყო მუშაობა? — მისალმების შემდეგ იკითხა რამის ქაჯაიამ.

თავმჯდომარემ გაკვირვებით შეხედა რამისს და უთხრა, რა გეჭკაბება, ცოტახანს დაისვენეო.

არ ინება ომგადასწილმა ჯარისკაცმა დასვენება, ისე, ნანატრივით კი იყო მოსული რამისი. თავმჯდომარე მთელი კვირა იმაზე ფიქრობდა, ვისთვის მიენდო პირველი ბრიგადის ერთი ნაკვეთი, რომელიც ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა.

ამ ნაკვეთს ჯარისი წასვლამდეც კარგად იცნობდა რამისი. მჭირა, არაფერი მიღის, ციტრუსის პლანტაციაც ტყილია აქ გაშენებული, ესმოდა სოლემ მაშინ. გულში გაივლო, რადა ამ გამოფიტულ ნაკვეთში მიშვებს, ამოდნა სოფელში სხვა ვერაფერი ნახა ისეთი, რომ კაცი არ შერცხვესო! ჯერ უარი უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა, არ გამოგა ღამაშიო. ცოტახანს დაფიქრდა, ასწონ-დასწონა. სდუმდა თავმჯდომარეც, თავს უხერხულადაც კი გრძნობდა, რომ ასე მიმე საქმე შესთავაზა ჯარიდან ახალდაბრუნებულს. — მოდი, სხვა ნაკვეთს მიგანდობთ, გაიფიქრა. რამისმა დაასწრო:

— თანახმა ვარ, ბატონო!

არ გასულა ორი წუთი, კანტორაში პირველი ბრიგადის ბრიგადირი ხემიდ ნაკაშიძე შემოვიდა, რამის ქაჯაიას გადაეხვია, მიულოცა მის დაბრუნება, მერე თავმჯდომარეს ჰკითხა:

— იმ ბაღს რა გუყოთ?

— რამისი გეტყვის, — მოუჭრა თავმჯდომარემ. მისხვდა ბრიგადირი, რამისი იყო საქმე, რამისს დიმილეთ შეხვდა, თან დაკისნა:

— ჯარბრევილი კაცს არაფერი გაუჭირდება! რამის ქაჯაია კანტორიდანვე მასზე გაპირონენ...



ბულ ნაკვეთისკენ გაემურა. ჯერ ნახევარი გზაც არ
 აქონდა გავლილი, რომ ბრიგადირი ხემიდ ნაკაშიძე
 წამოვიდა.

— ნუ გეშინია, რამიზ, გვერდში ამოგიდგებით.
 რამიზს ხმა არ ამოუღია, გაიღიმა მხოლოდ.
 მიუახლოვდნენ ბაღს. შორიდან მანდარინის ხე-
 ები ახალდასტეცილივით გამოიყურებოდა, გაძარ-
 ცული და ძირს დაშვებული ტოტები უდიდამოდ
 ჰგანობდნენ.

— სულ რამდენი ძირია? — იკითხა რამიზმა.
 — სამასოცდათხუთმეტი იქნება!
 რამიზ ქაჯაიამ პატარა ბორცვი შენიშნა, ჯოხით
 გაჩიჩქნა.

— ხემიდ, ეს, მგონი, მინერალური სასუქია, არა?
 ხემიდმა თავი გააქნია და გულისტყვილით მი-
 უკო:

— სასუქია!
 — მერე, აქ რატომ ყრია?
 — ეტყობა, ბაღში არ შეაქონდათ, აქ ყრიდნენ...
 ერთადერთი ძირი მანდარინი ამდენ ხეებს შო-
 რის ყველაზე უკეთესად გამოიყურებოდა, რადგან
 სასუქის ბორცვთან ახლოს იდგა.

ბრიგადირმა ერთხელ კიდევ გაუმეორა, აბა შენ
 იციო, და წავიდა. რამიზმა ხალათის სახელოები აი-
 კეცა და ხმელი ტოტების გაცლა დაუწყო ხეებს.
 საღამომის შეუსვენებლივ იტრიალა ბაღში. დედა
 რომ არ მისულიყო, ალბათ კიდევ დიდხანს დას-
 ჩებოდა.

ნურჩირჩეკი წაეხმარა. დაბინდებამდე იმუშავეს.

* * *

საქმე წინ მიდიოდა...
 სასუქი შეიტანა, ერთიანად გადაბარა ბაღი, თოხ-
 ნაც თავის დროზე ჩაატარა, მერე, განა ერთხელ,
 სამჯერ გათოხნა, სუსტად იცავდა შეწამვლის ვა-
 დებს, არც ადრე დაიწყებდა, არც გადააცილებდა.
 პლანტაციას თანდათან უკეთესობა დაეტყო, ფერი
 მიეცათ, ფოთლები დაუმსხვილდათ, ტოტები გაუმა-
 გრდათ. გამიჩნდა პირველი ნაყოფიც, კარგი პირი
 უჩანდა მოსავალს.

დღე და ღამე არ ეძინა რამიზს.
 დაიწყო კრეფა. დიანჯარიშეს და მოსავალმა
 თხუთმეტ ტონამდის მიადგია. რამიზ ქაჯაია ახლა
 კი გაიშარა წელში. ნურჩირჩეკმა შეიღს მარჯვენა
 დულაოცა. ეს კი რამიზისთვის ყველაზე დიდი ჯი-
 ლდო იყო.

... იმატა ქაჯაიების ოჯახის შემოსავალმა. რამი-
 ზმა სამოსახლო ნაკვეთი ითხოვა. ბევრ ადგილას
 შესთავაზეს, მაგრამ ყველაზე უარი განაცხადა.

— თუ მომცემთ, ჩემზე რომ გააბიროვნებული გეგონებოდა,
 დია, იმის ახლოს მომეცით, თუ არა და, არსად არ
 მინდათ.

არ აწყენინებს რამიზს.
 სულ მალე ორსართულიანი სახლი წამოჭიმა. მე-
 ზობელ სოფელ მახოში ერთი ქალი მოსწონდა,
 სიყვარული გაუმთლია და საქმეც გაიჩარხა. ოღონდ
 ქალმა უსაყვედურა: თუ ასე გიყვარდი, რატომ აქა-
 დე არ მიმხედლიო.

გაჩაღდა ქორწილი. აინთო კიდევ ერთი ქარ-
 თული კერა. წელიწადმა არც კი გაიარა, რომ დაი-
 რწა პირველი აკვანი, პირველ ბავშვს მეორე მოა-
 ყვა, მეორეს — მესამე, მეოთხე... ამან კიდევ უფ-
 რთ გაახალისა ოჯახი...

— მართალია, თხუთმეტი ტონა მივიღეთ, მაგრამ
 ამაღე გაჩერება ახლა აღარ შეიძლება, — გაუმთი-
 ლა გულში ნადები მეუღლეს, ეთერმაც მხარი აუბა
 ქმარს.

სამჯერ კი არა ოთხჯერ უნდა გაითხოვოს ბაღი;
 აქამდე თუ წელიწადში ოთხჯერ შეწამვლიდა ხეებს,
 გადაწყვიტა ექვსჯერ შეეწამლა. სასუქებიც დროზე
 შეეტანა ნაკვეთში, როცა დამატებითი საკვების
 მიცემა იყო საჭირო. ასეც მოიქცა. საქმე საათივით
 აეწყო.

წამოვიდა თოვლი თუ არა, რამიზი, მეუღლესთან
 ერთად, მანდარინის ხეებთან ტრიალებდა, როგორც
 კი თოვლს დასდებდა ტოტებზე, მაშინვე ჩამობერ-
 ყავდნენ; ბოლოს, გაიძრწა წამთარი, დადგა ნანა-
 ტრი გაზაფხული; ხეებმა კვირტები გამოიტანეს,
 მზე სხივებს არ აკლებდა და რამიზი მოვლა-პატ-
 რონობას. მოვიდა ოქროსფერი შემოდგომაც, რამიზ
 ქაჯაიამ ოცი ტონა მანდარინი მოგროვდა. ეს უკვე
 დიდი გამარჯვება იყო — შრომის წითელი დროშის
 ორდენით დაშვენდა მკლავდამოცილი ვაკაციის
 მკერდი.

ხემიდ ნაკაშიძის ბრიგადა ახლა მართლა გაიშარ-
 თა წელში, მხარში ამოუდგა მოწინავე ბრიგადებს.
 სოფელს უკვე თამამად შეეძლო მხარი გაესწო-
 რებინა ბათუმის რაიონის მოწინავე კოლმეურნეო-
 ბებისათვის.

* * *

უკვე კარგა შეღამებულში დაეტოვე მეყინისწყა-
 ლი. ვარსკვლავიან ცას გავდა მანდარინით დაბუნძ-
 ლული ხეები. ამ ხეებს შორის თეთრად გაბადრული
 მთვარე, ასე მეგონა, რამიზ ქაჯაიას თამაშევერცხლი-
 ლი დედა ნურჩირჩეკი იყო და შეიღის გამარჯვებით
 ხარობდა.





ლენინიანა

მარიკა სილაგაძე

ოცდაექვსი ლეგენდარული კომისიის ნათელ ხსენას უძღვნის ავტორი ამ მცირე ნაშრომს.

აღიოზა ჯაჟაკიძე — „მაგარიკალიზმისა და ეპიკრიოკრიზისის“ პირველი ჩამონახაზი

რუსეთის პირველმა რევოლუციამ ძველი საზღვარო მძლავრად შეარყია, მაგრამ ვერ მოერია და უკან დაიწია, აზვირთებულ ათასეულთა ბობოქარი დინებები ჰკარგავდნენ ინერციას და იშლებოდნენ. მემბოზე სული ფიზიკურ ტყვეობებს ნელ-ნელა უყუჩდებოდა. ცარიზმი თრგუნავდა და სწურავდა ხალხთა იმედებს. „სტალინის ყელსაბამებზე“ ცივდებოდა საუკეთესო რევოლუციონერთა გულები. უიმედობა დააბიჯებდა რუსეთის თვალწვივნიელ სივრცეებზე.

როგორ შეხვედროდნენ ხვალსდელ დღეს? კვლავ ბრძოლა თუ უარყოფა ყველაფრისა რაც მოხდა?

აი კითხვები, რაზედაც პასუხი უნდა გავცათ პროლეტარული მოძრაობის თეორეტიკოსებს.

ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ რევოლუციის დამარცხებით ისარგებლეს და რუსეთში ააღორძინეს რეაქციულ-იდეალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობა—მახიზმი, რომელმაც უარყო სინამდვილე მისი ობიექტური კანონობიერებებით და მოაზროვნე ადამიანი საკუთარი ინსტიტუტებით მოარულ არსებად წარმოადგინა. იმედგაცრუებისა და მელანქოლიის ბურჟსში თანდათან გამოკვეთეს „ყოვლისშემძლე“ არსება—ღმერთი და შეეცადნენ მარქსიზმი შეეერთებინათ არლიგიასთან (ბაზაროვი, ლენინარსკი და სხვ.). ამ მიზნით მათ ფილოსოფიური მატერიალიზმი „მოკველებულად“, ხოლო დიალექტიკა „მისტიკად“ გამოაცხადეს. მოკლად იქცა მარქსიზმის წინააღმდეგ ლაშქრობა მისი „შესწორებისა“ და „გაუმჯობესების“ მიზნით.

მახიზმი რუსეთს მოეკლინა, როგორც რევოლუციამ უარისთქმის ფილოსოფიური დასა-

ბუთება, რაც ყოველი ოპორტუნისტის, ოტზოვისტის, ლევიდატორის, მარქსიზმის ყოველგვარი ფალსიფიკატორის იდეურ პოზიციებს ამავრებდა.

ვ. ი. ლენინი მუშათა კლასის ამ მოღალატურ თეორიასა და პრაქტიკულ საქმიანობას დაუპირისპირდა თავისი ფილოსოფიური შრომით—„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, რომლითაც ბრწყინვალე მოიგერია ბურჟუაზიული იდეოლოგიების — რევოლუციონისტების ყველა შემოტევა და დაიცვა მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლები. „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ წამოყენებულ ყოველ დებულებას მხურვალედ დაუპირეს მხარი ლენინური გვარდიის იკეთმა ბრწყინვალე წარმომადგენლებმა, როგორც იყვნენ: ი. ბ. სტალინი, ვ. ვ. ვოროსიკი, ი. ა. თედოროვიჩი, ს. გ. შაუმიანი, ვ. ე. რუძუტაი, ნ. ა. სკრიპნიკი და სხვ.

ვ. ი. ლენინის მიოგრაფიაშიც, თხზულებათა მე-5 გამოცემის მე-18 ტომის შენიშვნებშიც სპეციალურად მითითებულია, რომ „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ შესახებ პრესაში ბოლშევიკების მხრიდან პირველი გამოხმამხურება იყო 1909 წლის 5 ივნისს ვ. ვ. ვოროსიკის მიერ გაზეთ „ოლდესსკოე ობორენიეში“ მოთავსებული შენიშვნა მაქს ფერტორის წიგნზე „ბუნებისმეტყველება და მსოფლმხედველობა“, რომელშიც ავტორმა დაახასიათა ვ. ი. ლენინის ფილოსოფიური შრომაც. მაგრამ რევოლუციონერ პუბლიცისტთა ლიტერატურული შემყვებლობის შესწავლა თანდათან გვარწმუნებს, რომ ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ შრომებზე პრესაში გამოსულა კაცკასიელმა ბოლშევიკებმა გაცილებით უფრო ადრე მოახერხეს, ვიდრე ამას „ოლდესსკოე ობორენიე“ შეძლებდა.

1909 წლის 19 მაისს ბაქოში გამომავალმა მენშევიკებმა გაზეთმა „ბაქინსკიე ვესტიმ“ გამოაქვეყნა 145 სავახუთო სტრიქონიანი რეცენზია „ვლ. ილინი, მატერიალიზმი და ემპირიო-ლოკალიზმი, კრიტიკული შენიშვნები ერთ რაქტიკულ ფილოსოფიაზე“, რომელიც მთავრდება ბოლო სტრიქონით „ტ-ნი“.

ვინ იყო ამ რეცენზიის ავტორი?

რეცენზიის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი თანმიმდევრად ლენინელი ბოლშევიკია. ბაქოს პროლეტარიტს ამ დროს სათავეში ედგნენ ლენინური გვარის მგზნებარე ბოლშევიკები ი. სტალინი, ს. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, ი. ფილუტოვი, მ. ახიზბეგოვი და სხვ.

რეცენზიიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ახლოს იცნობდა ვ. ი. ლენინს. მან იცოდა, რომ ფილოსოფიური შრომის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ ავტორი ვლ. ილინი იყო ვ. ი. ლენინი და არა სხვა ვინმე. ამავდროს რეცენზიის ოპორტიუნობა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი ბაქოში იმყოფებოდა 1909 წლის 13 მაისს, როდესაც პრესაში გამოქვეყნდა ცნობა ვლ. ილინის წიგნის ბაქოს მალაჩივში მიღების შესახებ. სამედლო ვიფიქრობთ, რომ ამ რეცენზიის ავტორმა იმავე დღეს შეიძინა წიგნი იმ ვარაუდით, რომ მასზე დაეწერა სავახუთო მასალა. სხვაგვარად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ერთ კვირაში მომზადებულიყო სრულყოფილი რეცენზია ისეთ ვრცელ და რთულ წიგნზე, როგორიც ვ. ი. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

ცნობილია, რომ მენშევიკური გაზეთის „ბაქინსკიე ვესტიმ“ რედაქციასთან ბოლშევიკებიდან ახლოს იმყოფებოდნენ ალ. ჯაფარიძე და ბ. ქენინანცი. ამ დროისათვის ბაქოში მყოფ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ საკუთარი ორგანო, რომელმაც ისინი თავიანთ ხმას მიჰმდებნენ ბაქოს პროლეტარიტს. ასეთ პირობებში ბოლშევიკები ახერხებდნენ ლეგალური პრესის გამოყენებას, ლიბერალურ-ბურჟუაზიულ გაზეთებში პერიოდულად იბეჭდებოდა ალ. ჯაფარიძის, ს. შაუმიანის, ბ. ქენინანცის და სხვათა წერილები. სწორედ ამიტომ იყო, რომ ი. ჯაფარიძეს რეცენზიის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ დასერიდა პოლემიკა ეწარმოებინა ბურჟუაზიულ გაზეთებთან („კასპი“, „ბაქო“, „პრობისლოვი ვესტნიკი“), რომლებიც პროვოკატორულ შეითხებებს აძლევდნენ მას, როგორც ბურჟუაზიულ გაზეთებში მომუშავე ბოლშევიკს — რომელიმე გაზეთისათვის ცნობების მიცემა ამ გაზეთისათვის მხარდაჭერას უღებდა თუ არა?

ალ. ჯაფარიძე გაზეთ „ბაქინსკიე ვესტიმ“ ფურცლებიდან მათ უპასუხებდა, გამოჩაღოს შექმნილი იყო არის დასაშვები პროლეტარულ ორ-

განიხაცეპში მყოფი პირების მონაწილეობა ბტმ რედაქციულ პრესაში. ეს თათქოს თავის მართლმაც იყო, რადგან „ბაქინსკიე ვესტიმ“ ალ. ჯაფარიძის ხელმოწერით დაბეჭდა ოთხი დიდი სავახუთო მასალა, რამაც შეიწირა კიდევ ბურჟუაზიული ლეგალური გაზეთი „ბაქინსკიე ვესტიმ“. ამის შესახებ 1909 წლის 16 ოქტომბერს ბაქოს ოხრანის განყოფილების უფროსი თბილისის გუბერნიის ქანდაკებრიის სამმართველოს უფროსს სწერდა:

„...ბაქოს კომიტეტში ჯაფარიძემ მალე დაიკავა ხელმძღვანელი მდგომარეობა, რისთვისაც მისი ინიციატივით აღვილობრივმა ორგანიზაციამ მისცა მას სახსრები ლეგალური გაზეთის გამოსაცემად, სახელწოდებით „ბაქინსკი რაბოჩი“. გაზეთი წარმოადგენდა ბაქოს პროლეტარიტის საკვირეობათა გამომხატველს და ხელმძღვანელობდა ჯაფარიძე. მასში ათავსებდა თავის სტატიებს. სტატიათა მავნე მიზართულების გამო ბაქოს ქალაქის უფროსთან ჩემი წარდგინებით გაზეთი მიმდინარე წლის ბოლოს დაიხურა. მალე დახურული „ბაქინსკი რაბოჩის“ შემდეგ გამოვიდა ახალი ლეგალური გაზეთი „ბაქინსკიე ვესტიმ“, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ დაიხურა იმავე მიზეზებით. მართა ჯაფარიძე დაუცხრომელ ავტორიას იწყებს საკუთარი გაზეთის ტექნიკისა და გამოცემისათვის საკვირო თანხის შეაგროვებლად“...

ალ. ჯაფარიძის უამრავ ლიტერატურულ და პარტიულ ფსევდონიმებს შორის ცნობილია მისი ხელმოწერები: „ა. ტ.“, „—ა. ტ-ნი“, „ა. ტ. რი-ნი“, „ალ. ტამარინი“, „ა-მა ტამარინი“, „ალ-ტარი“, „ტამარინი“ და სხვ. ამ სახელებით ჯერ კიდევ 1905 წლიდან იცნობდნენ მას ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუჰსიაი. თუ რსდმპ (ბ) მესამე ყრილობაზე ალ. ჯაფარიძე მონაწილეობდა ა. ვოლუბევის სახელით, ნ. კ. კრუჰსიაიამ იცოდა მისი მეორე ფსევდონიმი „ტამარინი“. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნ. კ. კრუჰსიაი ყრილობის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ 1905 წლის 27 ივნისს კავკასიაში მყოფ ბოლშევიკს დ. ს. პოსტოლოვსკის ქენედლიდან სწერდა: „ზემოლიაკა ვაემცე-ზევა პიტერში, რუმინისაგან (ბ. მ. ქენინანცი) ლეონოვისაგან (მხა ცხაკაია), ტამარინისაგან, კაენევისაგან არაფერი იმის“. როგორც ამ წერილიდან ჩანს, ფსევდონიმი „ტამარინი“ და მისი შემოკლებული სახე „ტ-ნი“ არ შეიძლება ყოფილიყო ბ. ქენინანცის ფსევდონიმი, რომელმაც „ბაქინსკიე ვესტიმი“ რამდენიმე ინფორმაცია დაბეჭდა. აგრეთვე უნდა გაითვალისწინოთ ბ. ქენინანცის სულიერი ტაცილები, რაც რევოლუციის უპანდახევა გააღვივა მასში. ამიტომ ცხადია ბ. ქენინანცის პროლეტარული მომარო-

მარიამ სილაგაძე
 ალიოზა ჯაფარიძე — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტი



ბის ფილოსოფიაზე არ შეეძლო ასეთი შეპარ-
თებით დაწერა რამე.

გარდა ზემოთქმულისა, საეარაუღებელია, რომ
ახალ წიგნზე რეცენზიის დაწერა გახეთს დაე-
ვალებინა იმ პირისათვის, ვინც ყველაზე ავტო-
რიტეტულია წიგნში წამოჭრილი საკითხების მი-
მოხილვაში. ამ დროისათვის ალ. ჭავჭავაძე ბა-
ქოში ცნობილი იყო, როგორც ბრწყინვალე მათე-
მატიკოსი-რევოლუციონერი, რომელიც შესანიშნავ-
ად ფლობდა კალამს და არა ერთი და ორი საუ-
კეთესო სტატია მოუთავსებია მისივე ინიციატი-
ვით დაარსებულ გაზეთებში („გულკოც“, „ბა-
კინსკი რაბოჩი“, „ბაკინსკი პროლეტარი“). ამას-
თან ალ. ჭავჭავაძის ლონდონის ყრობიდან მი-
რამდე ნაცნობობა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან. ამი-
ტომც ცხადია, აღნიშნული რეცენზიის ავტორობ-
ის ყველა ვარაუდს მხოლოდ ალ. ჭავჭავაძე აკ-
მაყფილდებს. ვისაც კი წაუკეთხავს „ბაკინსკი
რაბოჩის“, „გულკოცის“, „ბაკინსკი პროლეტარი-
სა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყ-
ნებული ალ. ჭავჭავაძის სტატიები, ის კიდევ
ერთხელ დარწმუნდება, რომ „ბაკინსკო ვესტ-
ში“ გამოქვეყნებული რეცენზია ეკუთვნის ალ-
იოზა ჭავჭავაძის. ამას მოწმობს რეცენზიის ენა,
წერის მანერა და ზოგიერთი ის თავისებური
გამოთქმა, რომელიც ჭავჭავაძის სხვა სტატიებ-
შიც შეორდება.

რეცენზია თავისი შინაარსით დღესაც ვატი-
ნარი, ვასოცარია, ხოლო რევოლუციის უკან-
დაბევის პერიოდში, როდესაც ბევრი საუკეთესო
რევოლუციონერი მარქსიზმის შემოქმედებით
განვითარების ყალბ გზას დაადგა, ალ. ჭავჭავაძე
არაჩვეულებრივი ინტელიციით გრძნობს, მახვილი
თვალთ ხედავს და პირთუნელი მსაჯულივით
არჩევს პროლეტარულ საქმის მტერთა და მოყ-
ვარეთა საქმიანობას.

1909 წელს, იმდღეაქრებების პერიოდში ალი-
ოზა ჭავჭავაძემ ვ. ი. ლენინს ამ ნაშრომში დაი-
წინა სწორედ ის, რაც საჭირო იყო ჩვენი საუ-
კუნის 10-იანი წლების დასაწყისისათვის. ეს იყო
მომკრახობის აუცილებლობა, უმიდლობის ჰაობი-
დან თავის დასაღწევად სამყაროს ობიექტური
განსჯა და საკუთარი ძალის შეცნობა, ამათი-
დან, იმდღეაქრებიდან, დღერთათყვანისმცემ-
ლობიდან თავის დასხნა.

ალიოზა ჭავჭავაძემ რეცენზიაში გვერდი
აუარა წმინდა ფილოსოფიურ მსჯელობებს და
წინა პლანზე წამოსწია დიალექტიკური მატე-
რიალისტის სწორედ ის საკითხები, რაც უშუა-
ლოდ პროლეტარულ მოძრაობას შეეხებოდა. ეს
არის ადამიანის ცნობიერებაში ობიექტური სამ-
ყაროს ასახვა, შემეცნების დიალექტიკური ხა-
სიათი, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და სა-
ზოგადოებრივი ყოფიერების ურთიერთდამოკე-
დებულება და სხვ.

რეცენზენტს ესმის, რომ ფილოსოფიის დარგ-
ში ვ. ი. ლენინის გამოსვლა იყო ჭეშმარიტი

ბრძოლა იდეოლოგიაში. ფილოსოფიურ რეცენზიაში
მინებით ასახული იყო ნამდვილი ცხოვრება. მა-
ტერიალისტებისა და იდეალისტების სახით აქა-
ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ წმინდა მარქ-
სისტები და მარქსიზმის ფალსიფიკატორები. ამ-
იტომ რეცენზენტი, ცხადია, ამ იდეოლოგიურ
ბრძოლაში ყოველთვის ინარჩუნებს ტენდენცი-
ურობას და ცდილობს რეცენზიით მძალი შე-
ფასება მისცეს „მატერიალიზმსა და ემპირიო-
კრიტიციზმს“. როგორც მარქსიზმის ფალსიფი-
კატორთა წინააღმდეგ ბრძოლის ბასრ იარაღს.
ალიოზა ჭავჭავაძე ვ. ი. ლენინს თვლის უკანას-
კნელი ორი საუკუნის ფილოსოფიაში ყველაზე
ღილი ერთდციის მქონე პირიყვანად, რომე-
ლიც აგრეთვე კარგად იცნობს თანამედროვე მე-
ნებისმეტყველებას. აქედან გამომდინარე, რე-
ცენზენტი დიდ შეფასებას აძლევს ავტორის მი-
ერ გამოთქმულ დებულებებს და ამბობს, რომ
იგი „ყველაზე ჭეშმარიტად აჩვენებს, რომ ეს
მოდული „ახალი“ მიმართულებები ფილოსოფი-
აში, ახლოს არიან თავიანთ სიჭაბუკესთან და
წარმოადგენენ ბერკლისა და ოუმის შეხედულე-
ბათა უბრალო გადაღმკვას“.

რეცენზიიდან ჩანს, რომ მის ავტორს ღრმად
სცერა ვ. ი. ლენინისა. რეცენზია წარმოადგენს
ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ შრომაში წამოყ-
ნებული დებულებების პოპულარიზაციის მი-
ველ ცდას.

ალიოზა ჭავჭავაძემ ვ. ი. ლენინის „მატერია-
ლიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ შესანიშნავად
გაიგო და „ბაკინსკო ვესტის“ მკითხველებს
რეცენზიით გასაგებად მოუთხრო ამ წიგნში წა-
მოყვნილი საკითხები. ეკრძოდ ის, რომ მახის,
ავენარიუსისა და ბეკოლდის მოძველებული
შეხედულებანი უარყოფენ რეალურად, ნამდ-
ვილად არსებულ სამყაროს და ყველაფერი დამ-
ყავთ შეგრძნებათა კომპლექსებამდე, ამიტომ ის
რეაქტულია მარქსისტების ფილოსოფიისა და
ნაწილობრივ კანტის „შეუცნობადი“ ფილოსო-
ფიის მიმართ.

ალიოზა ჭავჭავაძის ამ მომენტში შესანიშნა-
ვად აქვს მომარყვებული ვ. ი. ლენინის ბრწყინ-
ვალე გამოთქმა: „ჩვენი მახისტების მიერ ზან-
ტის კრიტიკა, არის პურიშკევიჩის მიერ კადე-
ტების კრიტიკა“. აქ არაფერია პარადოქსული,
უბრალოდ, კანტი და კადეტები თავიანთი მღგო-
მარეობით შეიღარებული ერთმანეთთან. რეო-
ლუციის უკანდაბევის პერიოდში ყველაზე ნა-
ლებად კადეტებს ენდობოდნენ. მენშევიკები
(პურიშკევიჩი) კადეტებს საყვედურობდნენ,
რომ თითქმის ისინი მეტისმეტად დემოკრატები
იყვნენ, ხოლო ბოლშევიკები კი იმის გამო არ
ენდობოდნენ, რომ დემოკრატები არ არიანო.
ასევე კანტს, როგორც დუღოსტს, ორივე მზრ-
დან აკრიტიკებდნენ: იდეალისტები (მათ შორის
მახი) — მეტისმეტად მატერიალისტობის გამო,
ხოლო მატერიალისტები — არა საკმარის მატე-
რიალისტობის გამო.



ისე როგორც „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ ავტორი, რეცენზენტიც სასტიკად ამბობდა მახისა და ავენარისის რუს მოწაფეებს ბოგდანოვებს, ბერმანებს, იუშევიჩებს, ბაზაროვებს, რომლებმაც „ვითომ“ ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი იდეების გამოტყობისათვის და მისი შემდგომი განვითარებისათვის რუს მკითხველთა თავში მარქსიზმის გასაღებები ქაოსი შეიტანეს და ნაწილელი „ფილოსოფიური რევიზიონიზმი“ განვითარეს.

ალიოშა ჭაფარიძის გაგებით სწორედ ამ დაბნეულობის, მარქსიზმის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ე. ი. ლენინის წიგნს, რადგან იგი ნათლად და მკაფიოდ ახასიათებდა მარქსიზმის მომღვრებას და მახის შეხედულებებსაც. ამავე დროს, გარკვევით, რელიეფურად ავლებდა ზღვარს მატერიალიზმისა და იდეალიზმს შორის.

„მართალია,—წერს ალიოშა ჭაფარიძე,—მარქსისტული ლიტერატურა რუსულ ენაზე ძალზე მდიდარია, მაგრამ არ შეიძლება არ მივესალმეთ ილინის წიგნის გამოჩენას, მასში ჩვენ ვხვდებით შესანიშნავ იარაღს მკრებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც ამ უკანასკნელ დროს სახელწოდებულ მკითხველს ჰკვებავდნენ ჩვენი მახისტები“.

რეცენზიის დასკვნით ნაწილში ალიოშა ჭაფარიძე იმედს გამოთქვამს, რომ ეს წიგნი უაღრესად დიდ სარგებლობას მოუტანს იმათ, ვისაც არ აქვს საშუალება დამოუკიდებლად გაეცნოს ფილოსოფიის ძირითად საკითხებში. „აღნიშნული წიგნის წაყითხვის შემდეგ საშუალო მკითხველისათვის მნიშვნელოვნად გაადვილდება როგორც მარქსიზმის, ისე მახიზმის შესწავლა“.

ალიოშა ჭაფარიძე მოხიბლულია ე. ი. ლენინის მხატვრული გამოთქმებით, რომლებიც არაჩვეულებრივი ელვარებით ახასიათებენ მღვამარეობას და მოვლენებს: ხშირად თავის რეცენზიაში მოჰყავს ე. ი. ლენინის ეს გამოთქმები— „იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ძველი შეცდომები“, „ბურჟუაზიის გადაღვევა“ „პლაგიატობა ბერკლიდან“, „რეაქციული ფილოსოფია“, „უტოპიური მეცნიერებები“, „ფილოსოფიური რევიზიონიზმი“, „ტურგენივის ევროპილოგია“, „გოგოლის პეტრუშკები“, „ფილოსოფიური მენშევიკები“ და სხვა.

ე. ი. ლენინის ფილოსოფიური შრომის — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტი ალიოშა ჭაფარიძე პროფესიონალის თვლით მიმოიხილავს აღნიშნულ წიგნს და მკითხველებს სთავაზობს თავის შეხედულებებს როგორც სარეცენზიო წიგნზე, ისე წიგნში განხილულ საკითხებზე. რეცენზენტი თავის დებულებებს სრულყოფს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმიდან“ მოყვანილი ციტატებით.

ვეფქრობთ, ე. ი. ლენინის ფილოსოფიური შრომაზე — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმზე“ ალიოშა ჭაფარიძის ეს რეცენზია მნიშვნელოვანია იმ მართო თავისი ოპერატიულობით, რაზედ თავისი მხატვრულობითა და მაღალი დეურობით.

ვლ. ილინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი.

კრიტიკული შენიშვნები ერთ რეაქციულ ფილოსოფიაზე.

ახლანდელ გამოვიდა ვლ. ილინის (ლენინის) დიდი მოცულობის წიგნი, მიძღვნილი მახის, ავენარიუსისა და მათი რუსი მოწაფეების კრიტიკისადმი. უკანასკნელი ორი საუკუნის ფილოსოფიური ლიტერატურაში სოლიდური ერთდღიის მქონე ავტორი, რომელიც აგრეთვე კარგად იცნობს თანამედროვე ბუნებისმეტყველებას, ყველაზე უკუშარბილად აჩვენებს, რომ ეს მოდერნი „ახალი“ მიმართულებები ფილოსოფიაში, ახლოს არიან თავიანთ სიჭაბუქესთან და წარმოადგენენ ბერკლისა და იუმის შეხედულებათა უნერალ გავლენებს. ამგვარად, მათ აქვთ ოპია წლის წარსული, მახის, ავენარიუსის: პეკოლდტის და კომპ. შეხედულებანი რეაქციულია არა მარტო მარქს-ენგელსის მეცნიერულ ფილოსოფიისთან, არამედ ე. კანტის (შეუცნობადი) ფილოსოფიის მიმართაც. „უახლესი პოზიტივიზმი“ ამ წარმომადგენლების მიერ სრულიად უარყოფილია „საგანი თავისთავად“. რეალური, ნაშედილად არსებული სამყარო შეცვლილია შეგარბნებათა კომპლექსით. მათი ცნობილი წარმომადგენლის—მახის ზოგიერთი ადგილი განუწყვეტელი პლაგიატობა ბერკლიდან. „არც ერთი მოსაზრება, აზრის არც ერთი ნაპერწკალი აქ არ არის, გარდა იმისა, რომ ჩვენ შევიგარბნებთ მხოლოდ ჩვენს შეგარბნებებს. მათი ფილოსოფია—სახსხვაობა დაბნეული იდეალიზმისა, მავალითა ეკლექტიკურ-მთხოვრული ნაშეცობისა, რომელზედაც დამსახურებული სიძულელით ლაბარაკობდა ენგელსი“. მას მივეყვართ სოლიდისიზმთან. „უახლესი პოზიტივიზმის“ უკანასკნელი სიტყვა სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფიური ობსკურანტიზმი, — სუბიექტური იდეალიზმის აბსურდამდე დასული, „ფიდეიზმის ის ძველი ფორმული“, რომელიც ამხილა ჭერ კიდევ ფიფიბაზმა. იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ძველი შეცდომები მათ ბურჟუაზიან სიტყვათა ქაოსში ახვევს.

მარიკა სილაბაძე

ალიოშა ჭაფარიძე — „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ პირველი რეცენზენტი

მომაკვდინებელ, საოკრად ნათელ კრიტიკასთან ერთად ავტორი პარალელურად ანვითარებს დიალექტიკური მატერიალიზმის შეხედულებებს განსახილველ საკითხებზე. იგი მთელ თავის ყურადღებას უთმობს ყოფიერების ცნობიერებასთან დამოკიდებულების საკითხს, რომელიც უფსკრულადაა ჩაწოლილი იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის.

რუსმა მახსიებმა, ემპირიომონისტებმა, ემპირიოსიმბოლისტებმა და სხვებმა, ყველა მათ, ბ. ბ. ზოგდანოვეზმა, ბახაროვეზმა, იუშევიჩებმა; ბერძენებმა, კომპ., ლენინის თქმით, თავისთვისაც კი ვერ აითვისეს მახის და ავენაროუსის შეხედულებანი, მაგრამ ისინი ხშირად იყენებენ მას, ვითომ ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი იდეების განმტკიცებლისათვის და მისი შემდგომი განვითარებისათვის. მარქსიზმის სახით ისინი მკითხველებს აწვდიან ნამდვილ—თუ ავტორის სიტყვებით გამოვხატავთ.—ხარახურას, „რალაც დაუჭერებელს, აღრეულს, საზიზღარსა და რეაქციულს, ყველაზე უღმერთო არეულობის უძირო უფსკრულს, ყველაზე საშინელ გაუგებრობას“. მათ ემინიათ აშკარად დაუპირისპირდნენ მარქსსა და ენგელსს და ამიტომ გულდაგულ მაღავენ მარქსიზმიდან თავიანთ განდგომას. ამით ისინი აწყობენ ნამდვილ გაღაშებებს მარქსიზმის წინააღმდეგ, ისინი ანადგურებენ დიალექტიკურ მატერიალიზმს. მიმართავენ პლენანოვის კრიტიკას, თითქოს პლენანოვს ვერ გაეგოს მარქს-ენგელსი და დაემახინჯებინოს მათი შეხედულებები განსაკუთრებით ერთი საკითხის გაგებაში—„საგანი თავისთავად“. ამით მათ განაკითარეს ნამდვილი ფილოსოფიური რევიზიონიზმი.

ილინის თქმით—ზოგდანოვი, იუშევიჩი და კომპ. უტყვიან მეცნიერებია, მხოლოდ „გოგოლისეული პეტრუშკები“, „ტურგენევის ვორი-

შილოეები“, „ფილოსოფიური მენსიკოეები“. ისინი პლენანოვის წინააღმდეგ თინბაშისა და რქსიზმს აკრიტიკებენ არა მარცხნიდან, არამედ მარჯვნიდან. „ჩვენი მახსიებების მიერ კანტის კრიტიკა არის პურიშევიჩის მიერ კადეტების კრიტიკა“.

მართალია, მარქსისტული ლიტერატურა რუსულ ენაზე ძალზე მდიდარია, მაგრამ არ შეიძლება არ მივესალმოთ ილინის წიგნის გამოჩენას. მასში ეხედეთ შესანიშნავ იარაღს მკრეხელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც ამ უკანასკნელ დროს საშუალო რუს მკითხველს კვებავდნენ ჩვენი მახსიებები. ისინი არასწორად გადმოგვცემენ მახს, ავენაროუსს და სრულიად ამახინჯებენ მარქს-ენგელსის სწავლებას.

ეს წიგნი არ წარმოადგენს იდეალიზმისა და მატერიალიზმის სისტემების ჩამოყალიბებულ თხრობას, მაგრამ ის დიდ სარგებლობას მოუტანს საშუალო მკითხველს, რომელსაც არ აქვს საშუალება დამოუკიდებლად გაერკვეს ფილოსოფიის ძირითად საკითხებში, ამ წიგნში კი იგი შესანიშნავად არის გადმოცემული. აღნიშნული წიგნის წაკითხვის შემდეგ საშუალო მკითხველისათვის მნიშვნელოვანად გადავიღება როგორც მარქსიზმის, ისე მახსიზმის შესწავლა. წიგნი მხოლოდ ამ საშუალო მკითხველისათვის არის დაწერილი, რადგან მათ, ვინც მარქსიზმს პირველ წყაროებით იცნობს, დიდი ხანია უკვე აღარ სჭერათ მახის, ავენაროუსისა და მათი რუსი მიმდევრების.

საშუალო და რიგითი მკითხველისათვის მომლელი არ იქნება ის მრავალრიცხოვანი გამოკრებანი, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ უსდება ავტორს აზრის ნათლად გამოსახატავად, რათა უფრო გარკვევით, რელიეფურად გაელოს ზღვარი მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის.

საქართველოს ქართული

ზურაბ ჟიჟინაძე

«არ შეამოკლოს ქართული»...

«Где начало того конца, которым оканчивается начало?»

მკითხველის წინაშე არღი თაყაიშვილის ორი წერილი „არქაიზაციის“ თაობაზე. პირველი დაწერილია საკუთარი ინიციატივით. მეორე, შეიძლება ითქვას, აუცილებლობით, პირველში გამოთქმული დებულებების განსამართლად, რადგან, მისივე აზრით, „ოპონენტები“ კარგად ვერ გარკვეულან ავტორის პოზიციას. კრიტიკოსი ორივე შემთხვევაში თავისუფალი იყო, მას სრული შესაძლებლობა ეძლეოდა უფრო ცხადად გამოეთქვა საკუთარი შეხედულება; მისალოდნელი იყო მოეხმო ახალი არგუმენტები, უფრო ვრცლად წარმოედგინა განსახილველი მასალა, განრულად განეხილა თარგმანები (რაზეც ადრე, პირველ წერილში, რატომღაც უარი თქვა), და, რაც მთავარია, აეცდინა წინა წერილში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები და ლოგიკური შეუსაბამო-ბანი.

მე შევეცდები გავარკვიო სამი რამ: 1. რამდენად ლოგიკურია ორი წერილის ავტორი საკუთარ გამოხატვებებში, 2. რამდენად შესაძლებელია გამართლდეს ავტორის პოზიცია იმ არგუმენტებითა და ანალოზით, რომელთაც იგი მოიხმობს და 3. რამდენად სწორია ავტორის პოზიცია „არქაიზმის“ საკითხში, როცა საქმე ეხება ძველთაძველ, ზეუმეტსაუფუნოვან ქართულ სამწერლო ენას.

საბოლოოდ სამივე კითხვა ერთი კითხვის ქვეშ იყრის თავს: შესაძლებელია თუ არა საერთოდ დასაბუთდეს ის შეხედულება, რის დასაბუთებასაც ორი წერილის მანძილზე ცდილობს არღი თაყაიშვილი.

ვიღრე საკითხის არსებით მხარეზე გადავიდოდე, მკითხველს შევახსენებ, რა კვალიფიკაციას აძლევს კრიტიკოსი მთარგმნელებს და მათი თარგმანების ენას: „ზემოთ აღნიშნულ მთარგმნელებთან კი გვაქვს მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმამლემდე აყვანილი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ“ („ისიკარი“ № 4, გვ. 126), „არქაიზაციის მძაფრი განცდა“ (№ 4, გვ. 125), „არქაიზმებისაკენ ასეთი მკვეთრი ორიენტაცია“ (№ 4, გვ. 127), „მეტისმეტი გაჭართულება“ (№ 4, გვ. 125), „პირწაარდნილი არქაიზმი“ (№ 4, გვ. 139), „ძველი ქართულიდან გადმობიზნული“ (№ 4, გვ. 133), „დღევანდელ მეტყველებაში შემოჭრილი“ (№ 4, გვ. 133), „დასტურდება აგრეთვე ხმარებიდან საერთოდ ამოღებული და წარსულს ჩაბარებული ფონდი“ (№ 4, გვ. 134), „ამათგან მცირე ნაწილი საერთო-სახალხო ენაშიც კი არის შემოღწეული“ (№ 4, გვ. 137), „უკუღმა“ წერალაპარაკის ნაშთები“ (№ 4, გვ. 132), „სალიტერატურო ენის ნორმებიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში“ (№ 4, გვ. 135), „ენის ერთ სისტემაში იჭრება სხვა სისტემის სემანტიკური ღირებულებანი“ (№ 4, გვ. 137).

ყველაფერი ეს ნათქვამია მშობლიური ენის მიმართ, რომლის თავგამოღებულ დანაცვლად გვევლინება ზემოთმოყვანილი ფრაზების ავტორი; ნათქვამია აგრეთვე მთარგმნელთა იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც იგი „მოწინავე ფრთად“ იხსენიებს. აღარაფერს ვიტყვი ამ ფრაზების ეთერ მხარეზე, მაგრამ ცხადია,



რომ მათში გამოხატული აზრი ავტორს უკვე დამტკიცებულ ჰქონდა, მიხარია. მისი ღრმა რწმენით, ორივე წერილი ამ უძნაურდ გამოთქმული აზრების უეჭველი დასაბუთებაა. და ბოლოს: „არ არის ძველ ძეგლებსა და სულხან-საბას ლექსიონში არც ერთი საინტერესო სიტყვა, რომელსაც ახალგაზრდა მთარგმნელთა ენაში ადგილი არ ეპოვოს“ (№ 4, გვ. 134).

ორი რამ ითქმის ამ ფრაზის შესახებ: ან ავტორი წინააღმდეგობაში ჩაყარდნოდა (სხვა შემთხვევაში დაწერდა: „არც ერთი არქაული სიტყვა“) ან უნებურად გასცა თავი და მთარგმნელების პოზიციას ვადავიდე: მთარგმნელებით ხომ იმ აზრის არაინ, რომ ეს სიტყვები ს ა ინ ტ რ ე ს ო ა. თუ კრიტიკოსიც საინტერესოდ თვლის მათ, რა უშლის ხელს, მისი აზრით, მათ გამოყენებას?

მას შემდეგ რა ჩამოთვლის მის მიერ არქაულად მიჩნეულ სიტყვებს (ბინარი, ზილი, უზირი, ხენეში, ძნობა, ნაქრტინი, მთიები...), ასეთ განმარტებას იძლევა: „შეტის დასახელებას აზრი აღარა აქვს, რადგან ახალგაზრდა მთარგმნელთა არქაული ლექსიკის მარაგი ამოურწყავია. იგი ალბათ თავისუფლად გასწვდება სულხან-საბას „სიტყუესკონის“ ხელა ლექსიკონს“ (№ 4, გვ. 138). (უკანასკნელი ფრაზა აშკარად ირონიულია).

სხვაგან კი წერს: „დაღლებიშემებთან, ნეოლოგიზმებთან და ბარბარიზმებთან ერთად მის (არქაიზმს. ა. თ.) ეუყურებთ, როგორც ენის გამდიდრების ერთერთ და უ შ რ ო ბ ე ლ წყ ა რ ო ს (ხაზი ჩემათ. ზ. კ.). ოღონდ ვიხიულობთ მის მიმართ თავშეკავებულ დამოკიდებულებას, მხოლოდ საკითხების შემთხვევაში გამოიყენებას“ (№ 4, გვ. 150; № 8, გვ. 127).

მეთხებლმა განსაჯოს, რაღა ის „დაღშობიბელი წყარო“, რომლის მიმართ თავშეკავებას გამოიჩინეთ, იმათივე დაეშობით? რაღა თქმა უნდა, მთარგმნელების „არქაული ლექსიკის მარაგი ამოურწყავი“ იქნებოდა, უკეთეს იგი ენის გამდიდრების „დაღშობიბელი წყარო“.

ერთ-ერთი ანალიზის შემდეგ კრიტიკოსი ასკვნის: „უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების სტილისტურად, მაღალ დონეზე გამართვის ამოცანა მიღწეულია. უცხო (ძველი) სურნელისა და აღნაგობის სიტყვები სამკაულბეგით არაინ გაბნეული ენობრივ ქსოვილში, მეტ სიღარბაისსუს აძლევენ სათქმელს. მისი ესთეტიკურად აღქმის ბარწყინეაღე (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) ფონს ქმნიან“ (№ 4, გვ. 138).

ასეთი შეფასებისათვის, თუ იგი ირონიულად არ არის ნათქვამი (ექვს იწვევს პირდაპირი ვაგებით ნახშირი „ბრწყინვალე“, რომელიც ენის ესთეტიკური შეფასებისას მხოლოდ გადატანილი მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს), მთარგმნელები მაღალს მოახსენებენ კრიტიკოსს: ჰომეროსი, პლატონი, დანტე, თავარი და

სხვანი დარბაისლური ენით ამტკიცებულნი ქართულად, არც ბრწყინვალეა დაძლენბათ. „სტილისტი მოემი“, რომელიც ნაკლად უთვლიდა საკუთარ თავს „არ მქონდა ენის ბრწყინვალეების ტალანტი“ ასერიგად ვერ გაართმევდა თავს ამ საქმეს. და მით უფრო საკირველია, რომ კრიტიკოსი მას მთარგმნელების საწინააღმდეგოდ ალაპარაკებს, რაც თვით მოკმს არასოდეს მოუფიქროდა აზრად. ხომ იქვე აგრძელებს მოემი: ბრწყინვალეების ტალანტი მომწონდა სხვათთან, მაგრამ დღი დობით მის გადასარმვას ვერ ვახერხებდოი (№ 4, გვ. 138).

მაგრამ სრულიად მოულოდნელად ამ „ბრწყინვალე“ შეფასებიდან კრიტიკოსი უკან იხეებს და მეორე ამხაცმოვე წერს: „ძველი „მკვლარი“ ელემენტების უკარად შემოტანა და გაყოცხლება კი იწვევს ნაწარმოებში მეორე, მხატვრული პლანის მეტრსებტად წინ წაოწქვას. მაგრამ ამ მხრივაც მიზანი მიუღწეველი რჩება“.

ყარ ერთი, უკეთეს მკვლარი ელემენტების გაყოცხლება შედლეს მთარგმნელებმა, რაღა სადავო: მიზანი მიღწეული ყოფილა.

შემდეგ, თუ ვიკითხავთ რატომ დარჩა მიზანი ნაწილობრივ მიუღწეველი, გვიპასუხებს: „მაგრამ არ დაგვაიწყვედს, რომ ენას მხოლოდ ექსპრესიული ფუნქცია არა აქვს. მისი უპირველესი მოვალეობაა იყოს კომუნიკაციის მოქნილი იარაღი. განმაცვიფრებელი მოსარებაა: „ენა კომუნიკაციის მოქნილი იარაღია“. ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ რომელი ფუნქციაა უპირატესი სიტყუაქაზმულ მწერლობაში? ვანა შეიძლება ითქვას, რომ აქ კომუნიკაციის ფუნქცია მთავარია, ხოლო ექსპრესიული — მეორეხარისხოვანი? მხატვრულ ლიტერატურას ხომ იმის გამოც ეწოდება მხატვრული, რომ აქ ენა ესთეტიკური ფუნომენია უპირატესად. მეტაც: კომუნიკაცია აქ ესთეტიკას ემსახურება, ხშირად ეწიერა კიდევ. ა. თაყაიშვილის წერილებიდან ირკვევა, რომ მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ გადამოიკება აზრი, ოღონდ იგი ყველასათვის გასაგებია იყოს. ამასთან კავშირში შემოქმედის „ყოველდღიური მეტყუალების“ ცნება და დანიშნებით ამტკრევეს ღია კარს:

„მასსადავმე, არქაიზმის პირველი ნიშანი ყოფილა ის, რომ აღარ გამოიყენება ყოველდღიურ მეტყუალებაში“ (№ 8, გვ. 129).

„სხვადასხვა მიზეზით უფროვლებათ მოქმედების რაღიუსი, თანდათან პასიურნი ხდებიან და ბოლოს ტოვებენ ცოცხალი მეტყუალების სფეროს“ (№ 8, გვ. 128).

„მამინ ამ სიტყუებთავან უმეტესი არქაიზმად უნდა მივიჩნიოთ: არქრითი მათგანი სასაუბრო მეტყუალებაში აღარ იხმარება“ (№ 8, გვ. 131).

ერთგან „მოონენტებს“ კიცხავს: „მათ მიიღეს, რომ ეპოთეტი „ხმარებიდან გამოსული“



უსამართლოა და ჭვარს უსვამს ამ სიტყვათა საერთოდ არსებობას. მაგრამ ისინი არ დაუცვირდნენ (ან არ უნდოდათ დაყვირებოდნენ). თუ ენის რომელი სფეროდან ვაღიან არქაიზმები. ესაა ცოცხალი მეტყველება, ჩვენი სასაუბრო ენა“ (№ 8, გვ. 128).

უცნაური საყვედურია! რისთვის დასჭირდა კრიტიკოსს „სასაუბრო მეტყველებას“ მოშველიება? რამდენადაც მასსთვის პირველ წერილში მას ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს. „ობონენტებმა“ თავიანთ წერილებში ლექსიკონებისა და თანამედროვე ლიტერატურის საფუძველზე დაუხსნათეს კრიტიკოსს, რომ აღნიშნული ლექსია არ არის „ხმარებიდან გამოსული“; რას წარმოადგენდნენ ისინი, რომ ა. თაყაიშვილი მხატვრული თარგმანების განხილვისას ყოველდღიურ მეტყველებას გულისხმობდა? მის მიერ გაანალიზებული თარგმანები ხომ სალიტერატურო ენაზეა შესრულებული? მთარგმნელებს კრიტიკოსის მიერ მოქმედებულად და „მკვდარად“ გამოცხადებული ლექსისა მართლაც მოქმედებულად და „მკვდარად“ რომ მიეჩნიათ. ერწმუნოს მათ ა. თაყაიშვილი, არც გამოიყენებდნენ მას. საკითხავია, ვის ესხმის ან ვისგან იცავს თავს კრიტიკოსი? მთარგმნელები სასაუბრო ენაზე არ თარგმნიდნენ და არც მოსვლიათ აზრად, რომ ვინმე ასეთ უცნაურ პრეტენზიას წაუყენებდათ, — ყოველდღიური ხმარებიდან გამოთხუღ სიტყვებსა და გამოთქმებს რატომ ხმარობთ.

ჭეჭრითომოყვანილ ფრაზაში კი კრიტიკოსი უკვე მთარგმნელებს ეთანხმება; იგი ხომ საკუთარი ნებით წერს: „სიტყვა თუ სასაუბრო მეტყველებაში გაჭრა, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მან საერთოდ შეწყვიტა არსებობა (მხოლოდ საუბარში დადასტურებული ერთეულებით რომ ამოიწურებოდეს ენის ლექსიკური ფონდი, მეტად საეკლავლო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდი)“ (№ 8, გვ. 128). უკანასკნელი ფრაზა აეტორს ფრჩხილებში რომ არ ჩავსვა და ვაეღრმავებინა მასში გამოთქმული აზრი, ბევრ გაუგებრობას იცილებდა თავიდან. ამის ნაცვლად აი როგორ მოიქცა:

„მე ჩემს წერილში მათი თარგმანიდან შავად გამოყვავი ისეთი სიტყვები და გრამატიკული ფორმები, რომელთა უმრავლესობა (ამაში თვითონაც დამეთანხმებიან) აღარ იხმარება ყოველდღიურ მეტყველებაში. ამით მინდოდა ხაზი გამესვა ამ ფაქტისათვის, თუ ენის ლექსიკის რა უქვეყლეს ფენაზე (და თანაც რა დღი და ღობით, — ეს არსებითია) ამხეილებენ ყურადღებას ისინი“ (№ 8, გვ. 128).

რატომ ჰკონია ა. თაყაიშვილს, რომ თუ სიტყვა ყოველდღიურ მეტყველებაში აღარ იხმარება, უსათუოდ „ლექსიკის უქვეყლეს ფენას“ ვანუქუთენება; „ღმერთი“ და „კაცი“ სწორედ

ამ ფენიდან მოდის, მაგრამ ყოველდღიურ მეტყველებაში მიიწე იხმარება და ვის მოუფრად მათი „არქაიზმებად“ გამოცხადება?

მე მაინც კითხვას შევებრუნებ კრიტიკოსს: ვის მეტყველებაში აღარ იხმარებიან მის მიერ შავად გამოყოფილი სიტყვები და გრამატიკული ფორმები? ვისი სალაპარაკო მარაგით სურს მას შეზღუდოს სალიტერატურო ენა? ვისი მეტყველების ფონზეა შესაძლებელი სალიტერატურო ენაში ნახმარი „არქაიზმების“ შავად გამოყოფა?

რაკი დამტკიცებულად ჩათვალა მთარგმნელთა „არქაული პოზიცია“, კრიტიკოსს მიზნად დაესახავს უცნაური სურვილი — აიყენოს „რამდენად ბოლომდე თანმიმდევრული არ არიან მთარგმნელები არქაიზაციის მიმართ და რატორ უშლის ხელს ამ პრინციპის დარღვევა მასლის მთლიანობაში აღქმას“ (№ 4, გვ. 139).

თორმე, ნუ იტყვით, მთარგმნელებს რომელთადაც „გვაქვს მეთოდურ-სისტემური, პრინციპულ სიმძლედმე აყვანილი კამპანია, მიმართული არქაული ფორმების აღდგენისაკენ“, ერთი დასრულებული მონაცემითი კი არ გაუშვართათ ძველქართულად.

ამ მსჯელობას კრიტიკოსი „თითქოს პარადოქსულს“ უწოდებს. მაგრამ ჩემი ფიქრით, თითქოს პარადოქსული კი არა, კუშმარტიად პარადოქსულია, მით უმეტეს, რომ ერთი ხელისდაკერით არდევს მის ორსავე წერილში „დასაბუთებულ“ აზრს მთარგმნელების არქაიზმების თაობაზე.

აი, მისი ანალიზი: „მე გე ვიტყვით ვაგერდით და მკენარი იყო მოსლოდნელი“.

(მთარგმნელთა: „დამკენარი“). „თვისი სახელი“ უფრო სტილი ჩაქდებოდა და ძველი ნორმის თვალსაზრისითაც გაიწყობოდა“ (თარგმანში სწერია: „დაე, მან თავად ვავიმედანით თვისი სახელი“).

ამ საქმიანობას კრიტიკოსი „ძველი ქართულის მიხედვით ვაჩალებს“ უწოდებს.

საკითხავია, რატომ საყვედურობს მთარგმნელებს კრიტიკოსი, მათ ხომ არც უცლიათ ტექსტის გაწყობა ძველი ქართულის ნორმების მიხედვით? აქედან მხოლოდ ეს ჩანს: კრიტიკოსი მისდა უნებურად მთარგმნელთა პოზიციაზე გადადის, — კრიტიკოსი გადაპარბებული არქაიზაციის მოწინააღმდეგეა, ისევე როგორც მთარგმნელი, რომელიც ფრაზას მთლიანად „ძველი ნორმის თვალსაზრისით არ აწყობს“. დამტკიცდა ის, რისი დამტკიცებაც მიზნად დასახული არ იყო: ახალგაზრდა მთარგმნელების ენა არ ყოფილა არქაული, „დაღოკებული სურვილი“ რაღაც ძალით დაოკებულა.

ზურაბ კინძაძე

„არ უპამოკლოს ძართული...“



რომ ერთი დასრულებული პერიოდიც კი არ გაუმართავთ არქაულად...

ეს უნებლო წინააღმდეგობა მხოლოდ იმის შვედვივა, რომ კრიტიკოსმა თვითნებურად დააყენა მთარგმნელი „არქაიზაციის პრინციპზე“, და რაკი ტექსტებმა ეს არ დაუდასტურეს, მთარგმნელი თვით გახდა კრიტიკოსის ვაიციხვის მსხვერპლი: ბოლომდე რატომ არ ვაქვს ეს პრინციპი დაცული, ჩემს აკვირებულ აზრს რატომ არ ეთანხმებით?!

საინტერესოა, რა დაიკენა გამოიტანდა კრიტიკოსი ქვემოთ მოყვანილი ფრაზების თავისებური ანალიზის საფუძველზე, იქნებოდა თუ არა ვიორტი მერტლუე თანმიმდევრული არქაიზტი, ამ მოდერნისტი: რამეთუ ცათა შემოქმედი და ანგელოსთა დამზადებელი და ქვეყანისა დამამტკიცებელი და ზღვითა დამამყარებელი, და წულილაღთაცა საქმეთა მოქმედე ხარ; ან რას იტყვის სახარების თარგმანზე: „მოვიდა ძე ეკესისა, ჰამს და სვამს და იტყით: აჰ, კაცი მკამელი და მსუმელი ღვინისა და მევობარი მეზვერეთა და ცოადვილთა (ლუკა, 7, 34); ყუველივე მის მერს შეიქმნა და თვისნიერ მისა არცა რაი იქმნა, რაოდენი-რაი იქმნა“ (იოანე, 1, 6-7).

მე მგონი, მებატიება თუ ბოლომდე თანმიმდევრულად ვერ დავიცაი „შავით“ გამოყოფის პრინციპი, რადგან თვით ამ პრინციპის ავტორიც არ არის ბოლომდე თანმიმდევრული: ბართაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“ გამოჩენილი ისეთი „ერთეულები“, როგორცაა — „უმსხვევრალა წადილს სამოთხისა მშვენიერება“ (დღეს იტყვიან: სამოთხის მშვენიერება სურვილს ანავალა), „იხილა“ (დღეს ამბობენ: დაინახა), „არა დაპროლონ“ (დღეს საუბარში იტყვიან: არ დაუბერონ), „რაც ვიზრახო მე“ (დღეს: რასაც მე გავიფიქრებ). — განა ესაა დღევანდელი სასაუბრო მეტყველება?

ეს კიდევ არაფერი. „ჩემი ლოცვის“ პასტერნაკისეულ თარგმანშიც აღმოაჩინა მან არქაიზმები: отец небесный, отцу родному, пристань тихую, პასტერნაკის ორგინალურ ლექსებში კრიტიკოსი უფრო მძაფრ „არქაიზმებს“ იპოვინა («где дней порвалась череда», «гражданской плыл панихидой») და სხვა მრავალი, ძენაიც არ არის საჭირო). განა ვისმე ახრად მოუვა. ეს ფაქტები რუსული სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევად შეაფასოს? აი სადამდე მიდის ფორმალისტურ-გრაზმაცული ანალიზი პოეტური ენისა.

ასევე თანმიმდევრული არ არის კრიტიკოსი, როდესაც ქვემოთმოყვანილ სტრუქტურში შემდგენიარად გამოჰყოფს „არქაიზმებს“: „უკვრატლენი ხრწნაღისგან შემტრეცებულ სიცოცხლის ჩემსას და შევიცანი წარამავალი წუთოსხველ“ (№ 4, 139). თუ თანმიმდევრული იქნებოდა,

ამ სტრუქტურში ყველა სიტყვა „შავად“ უნდა გამოყოფილიყო. რა დამავა სიტყვებმა „შევიცანის“ „წარამავალი“, — ვინ ხმარობს ამ სიტყვებს ყოველდღიურ საუბარში? თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, „წუთოსხველიც“ მალე არქაიზმად იქცევა, ვითარცა „საამისოდ გამზადებულ“.

ახლა ვეითხებო რატომ უეიყინებს კრიტიკოსი მთარგმნელებს, ძველქართულში თანმიმდევრულნი არა ხართო. კვლავ ერთი უცნაური აზრის დასამტკიცებლად, რომელიც ისევ ავტორის წინააღმდეგ მიდის:

„ეს ფაქტები მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ ძველი ქართულის ნორმები მთარგმნელთათვის არც ისე ორგანულია. როგორც კი ყურადღება მიუღწევა, დაეარება კონტრალი, ქვემოთობერად ხდება ახალ, „მშობლიურ“-ფორმათა ამოტივტივება“ (№ 4, გვ. 140).

ავტორის მსჯელობიდან გამოდის, თითქმის ძირითადი ფონი თარგმანისა ძველქართული იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში რის ფონზე ამოტივტივდება (თუ ის მართლაც ამოტივტივდება) „მშობლიური“? ისე უცხო ენის“ ფონზე, რომელიც ძირითადია. თუმცა ავტორისავე თქმით, არაორგანულია და „შესწავლილის შთაბეჭდილებას ტოვებს“. მაშასადამე, ძირითადი ტექსტი ხელოვნური ყოფილა, ცნობიერი კონტრალითა და ნაძალადევად დაწერილი, მხოლოდ აქა-იქ იჩნეს თავის მშობლიური ნაჯადი, მხოლოდ აქა-იქ. მაგრამ კრიტიკოსი არც კითხულობს, თუ რა მანქანებით შეძლეს მთარგმნელებმა მათთვის არამშობლიურ ენაზე წერა (თარგმან უცხო ენიდან ნაკლებად უცხო ენაზე!). ასე ხელოვნურად და ძალდატანებით თარგმნილია თურქ „ფედონი“, „ნადიმი“, „მპავავატ გიტა“, „გერტანჯალი“, ისაკიანის პოეზია და სხ.

თუ ეს ასეა, რატომ პირდაპირ არ აცხადებენ ა. თაყაიშვილი ამ თარგმანების ენას ძველი ქართული ენის პაროდიად?

ნუთუ დარწმუნებულია კრიტიკოსი, რომ უკეთეს სხენებული მთარგმნელები მოისურვებდნენ ძველქართულად წერას, გაუპირდებოდათ მისი ათვისება? (შეცდომებისაგან არც ახალ ქართულზე წერისას არის ვინმე დაზღვეული). ბოლოს და ბოლოს ლათინურს სწავლობენ და შემდეგ დისტრატციას წერენ ამ ენაზე, ოპონენტებზე ლათინურად ეპავერებიან დისტრანტებს. რად გაპირდებოდა ძველი ქართულის სრულყოფილად შესწავლა? ზოგიერთმა უცხოელმა ქართველოლოგმა კლასიკური ქართული უკეთ იცის, ვიდრე სასაუბრო ქართული.

დღეს არავინ ცდილობს აღადგინოს ძველი ქართული მიეღო მისი სისრულით, — სინტაქსური კონსტრუქციებთა და მორფოლოგიური ნორმებით. სწორედ ეს იქნებოდა ნამდვილი არქაიზაცია, ანტონის სკოლის ენობრივი პო-

ზიცია. ამიტომ მისამართისა ადენილი გამაფრთხილებელი შესვენება „გასულ საქუენში ამავე პოზიციისათვის ბრძოლის შედეგებისა“ (№ 8, გვ. 141).

ეს ვაფრთხილება ფუჟი რომ არ გამოდგეს, კრიტიკოსი მთარგმნელებისაგან დაჟინებით მოითხოვს „არქაისტობის“ აღიარებას:

„სხვათა შორის, ბ. ბრეგვაძე ღიად ტოვებს საკითხს: მიაჩნია თუ არა მას არქაიზმებად ის სიტყვები, რომლებსაც ასეთად თვლის „განმარტებითი ლექსიკონი“? თუ ის თანმიმდევრული არქაისტია, არ უნდა მიაჩნდეს. ჩვენს ექვს ალევებს მისი ციტატის ბოლო პუნქტი: „... მუდამ იხმარებოდნენ და იხმარებიან ქართულ მწერლობაში“ (№ 8, გვ. 130).

საიდან დასკვნა ა. თაყაიშვილმა, რომ ბ. ბრეგვაძე თანმიმდევრულ არქაისტად თვლის თავს? და თუ თვლის, რატომ არ უნდა მიაჩნდეს არქაიზმებად „განმარტებითი ლექსიკონის“ არქაიზმები? მაგრამ ხომ უკვე გამოიარკვა, რომ არცერთი მთარგმნელი არ არის თანმიმდევრული არქაიტი, რადგან ერთი დასრულებული მონაკვეთიც კი არ გაუმართავთ არქაულად. რა ექვს უნდა ალევებდეს ბ. ბრეგვაძის ციტატის ბოლო პუნქტი: „მუდამ იხმარებოდნენ და იხმარებიან ქართულ მწერლობაში“? ბ. ბრეგვაძისათვის ხომ მთავარი ყოფილა, რომ ეს ლექსიცა იხმარებოდა და იხმარება ვანერჩევლად „განმარტებითი ლექსიკონის“ იარლიყებისა.

მთელი დავა თურმე ამ იარლიყის ვარსემოტირებად და მსჯელობაში კვლავ შემოდის სრულიად უადგილო „ყოველდღიური მეტყველება“:

„როგორ მოვიქცეთ ახლა: არ ჩავთვალოთ ეს სიტყვები არქაიზმებად, იმიტომ რომ დღესაც იხმარებიან? სად იხმარებიან მერე, ყოველდღიურ მეტყველებაში? არა, სიტყვაჯანმულ მწერლობაში. მერე ვინ თქვა, რომ არქაიზმის, როგორც ზომიერი ბერძნის (და არა წამყვანი, მამობრავებელი ტენდენციის) გამოყენება აკრძალულია სიტყვაჯანმულ მწერლობაში? არავის არ უთქვამს“ (№ 8, გვ. 131).

სწორედ ასეთ მსჯელობებზეა ზედგამოკრალი „ცნობილი პუნქტი“ კოხმა პრუტკოვის აღორზნებიდან: «Где начало того конца, которым оканчивается начало?».

„არავის არ უთქვამს“. მართლაც არავის უთქვამს, არ უთქვამთ ეს არც „ახალი ცხოვრებისა“ და „ახუ-ლალა-მარის“ მთარგმნელებს, რომლებიც სასაბუბო ენაზე არ თარგმნიდნენ; არც ა. თაყაიშვილს უთქვამს, მაგრამ ეს თქვა მისმა „ენობრივ-სტილისტურმა ანალიზმა“. არქაიზმი ყველა შემთხვევაში იციკება; არაერთი შედგავით სტილისტურ ბერბად გამოყენებისათვის! ამ პუნქტის საგანგებოდ ქვემოთ განვიხილავ.

კიდევ ერთი კრიტიკოსისგული დაკვირვება:

„ჩვენ წარმოვადგინეთ ლექსიკონის ის სახეობა (ლაპარაკია სიტყვებზე: „ჩნდა“, „ლიდებდა“, „ქნება“, „ხტება“, „ხტული“ და სხვ. ზ. კ.), დღევანდელ ფორმებთან შედარებით რომ გამოიყურება არქაულად. ეს არის სალიტერატურო ენის ნორმებიდან მეოთხედრად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში. ზოგ შემთხვევაში გვეგონა, კორექტურულ შეცდომასთან გვეჭონდა საქმე, სანამ ლექსიკონებში არ შევამოწმეთ საეჭვო ერთეული“ (№ 4, გვ. 135).

უცნაური აზრების კიბუხა გვიწევს! „არქაიზმის“ ცნებას მივმატა კიდევ ერთი ნიშანი: სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევა (საკითხვია ისიც, თუ სად, რომელ ლექსიკონებში შეამოწმა კრიტიკოსმა „საეჭვო ერთეულები“, რომლებიც ასე გვანან კორექტურულ შეცდომებს)?

აქამდე ცნობილი იყო, რომ ენის ნორმებიდან გადახვევა გულისხმობს გრამატიკული და მართლწერის წესების დარღვევას. ახლა კი არქაიზმიც ამ რიგის შეცდომად მოგვეჩინა და ამრიგად, მისთვის უკვე სალიტერატურო ენაშიც აღარ დარჩა ადგილი, რომ აღარადერო ვთქვათ ყოველდღიურ სასაბუბრო მეტყველებაზე.

გამოაცხადა რა არქაული ლექსიცა „სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევის შესანიშნავი ნიმუში“, ავტორი განაგრძობს: „ჩვენ ისიც მოგვეხსენება, რომ ასეთ ექსპერიმენტებს ერთგვარი მწერლური გამართლება აქვს“ — მარქსს მისწონს, რომ ლასალი ლექსებულად არღვევდა ლექსოფობის წესებს, ტურგენევი აღტაცებული იყო გერკენის უფუნურებამდე არასწორი ენით, ბალი ამბობს, რომ ენის ჩვეულ ფორმათა დარღვევები ექსპრესიულობას ემსახურებიან...

რა კავშირშია ყოველივე ამასთან „არქაიზმები“, რაც კრიტიკოსის მთავარი თემა უნდა ყოფილიყო? თუმცა თვითონვე ამბობს ქვემოთ: „მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მარქსიც, ტურგენევიც, შ. ბალც ამ გადახვევებში გულისხმობენ არა არქაიზმებს, არამედ საერთო-სახალხო ენის ელემენტებს, იმ სფეროს მასალას, რომელშიც ენის განვითარების პერსპექტივა მეტად ჩანს“ (№ 4, გვ. 135).

ამ განმარტებამ სრულიად უადგილო გახადა მთელი წინა მსჯელობა: ეერაფერი დაამტკიცა და საგანი უფრო გააზნუღოვანა.

შეითხველმა განსაჯოს, როგორ ეგუება ერთმანეთს ეს ორი კვალიდევაცია — მთარგმნელთა ენაზე „დაკვირვების“ შედეგი:

1. „ეს არის სალიტერატურო ენის ნორმე-

უწარბა კინება

„არ შეამოკლოს ძართული“...



ბიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშნავი ნიმუში" (თვით კორექტორული შეცდომის ილუზიამდე).

2. „უცხოური დედის მეტრამეტა გაქართულებამ მიიყვანა მთარგმნელები ერთგვარ დალაპარაკებამდე“ (მეტრამეტი გაქართულება ავტორის მსჯელობაში არქაიზაციის ტოლფასია, რითაც, მისდა უნებურად, „არქაიზაციას“ საცხებით დადებითი მნიშვნელობა ენიჭება), ამ უნებურად აღრთიანა კავშირში კიდევ უფრო უცხოური შეხედულება, რომლის მიხედვით თურმე „ლექსის ხელოვნურობა და ფრაზების არაქართული კონსტრუქციები შესანიშნავად მოერგება ბოლა უილიდის თავისებურ წიდაპას“ (№ 4, გვ. 146). ხოლო ზ. ვამსახურძის „დიდი გემოვნებით შესრულებული“ თარგმანი, რომელიც „გამართლდა მაღალმატერულად“ (მისი სიტყვებით), მხოლოდ იმას გამო იყისებება, რომ „ტყვეებს თრივინალური (ოღონდ ძველი) ძვლის შთაბეჭდილებას“ (იქვე).

დასასრული არა აქვს კრიტიკოსის წინააღმდეგობებს; მაგრამ მე ამ უქანასწელო მაგალითთი დავასრულებ:

„ჩვენ არ შევხვებით მთარგმნელთა ოსტატობის სხვა მხარეებს, არ გამოვიკვლევთ მათს მხატვრულ-ინდივიდუალურ სტილს (ენის შესწავლას მეორე ასპექტი)“ (№ 4, გვ. 127), მაგრამ როგორც მისი ორივე წერილიდან „ორივეა“, ამ მთარგმნელის თურმე არც კი განიხილოთ „მხატვრულ-ინდივიდუალური სტილი“. რადგან, ვითარცა „პირწვერდნელი არქაისტები“, სისტემატურად სარგებლობენ იმ „მითრიული მასალით, რომელიც ძვეს ჩვენგან დამოუკიდებლად და ყველას აქვს მისთ სარგებლობის უფლება“, და რომელიც „არ ქმნის ინდივიდუალურ-მხატვრული სტილს სპეციფიკას“.

ამის შემდეგ სრულად მოულოდნელად აცხადებს: „ამრიგად, მთარგმნელთა ინდივიდუალობის მთავრად წარმოიჩინა (ხაზო ჩემია. ზ. კ.), მისი პრეტენზია დადგეს ავტორის ყურადღების დონეზე (სტილი ავტორისაა. ზ. კ.), იწვევს მკითხველის გაღიზიანებას“ (№ 4, გვ. 138). აქ, ჩემი ფიქრით, ზედმეტია რაიმე კომენტარი.

ამ წინააღმდეგობებით გაორებული კრიტიკოსი შესდგომია თარგმანების ენობრივ ანალიზს.

გადავდივარ კრიტიკოსისეული ანალიზის ანალიზზე.

მას ფართო გეგმა დაუსახავს: „ჩვენ შევეცდებით დასახელებულ მთარგმნელთა დიდძალი სალიტერატუო მასალის ანალიზზე, აგრეთვე ცნობილ ლიტერატორთა შემოქმედებით გამოცდილების მოშველიებით ვაჩვენოთ, რამდენად ბოლომდე გამართლებული არაა არქაიზებისაყენ ასეთი მკვეთრი ორიენტაცია“ (№ 4,

გვ. 127). ჩემი მხრივ ვეცდები, კრიტიკოსის დაკვირვებათა მოშველიებით ვაჩვენო, რამდენად გამართლებული არაა მისი პოზიცია.

არაფერს ვიტყვი იმის თობაზე თუ რამდენად არასამართლიანია ა. თაყაიშვილი, როდესაც მთარგმნელებს საყვედურობს, თქვენს თარგმანებში „კლასიციოსთა ცნობილი ინტონაციები მოისმისო“ (№ 4, გვ. 128). ნაქლებ საინტერესოა იოტაციისა და ვოკალიზაციული თანხმოვნების (ეანა, სუნელოვანი და სხვ.), გამოსვლითი და მიწვევითი ბრუნვების (მადლით, ბეოტიას, მოსოვს და სხვ.), ნართანიანი მრავლობითის, პოსტპოზიციური წყობის (მისი ევოლიუციითი) „უქელმა წერა-ლაპარაკი“, „ოდესდაც ქართულში სიტყვის თავიკდურად დამჯდარი ჰაეს-ს“ (თითქოს არ არსებობდნენ დღეს სიტყვები: ჰიმნი, ჰარმონია და მისთანანი, თითქოს ჰომეროსი უფრო ძველი ფორმა იყო, ვიდრე უმირროსი) და სხვა ამ რიგის მოვლენების შესახებ საუბარი (ამ ფორმებით სავსეა ჩვენი ძველი და ახალი დროის პოეზია და პროზა, და არა მხოლოდ სტალინური მიზნებისთვის ინმარებანი).

მაგრამ საველისხმოა კრიტიკოსის ცდა — „დაამტკიცოს“ განსახილველ თარგმანებში „არქაული ფორმების“ თვითმიზნური გამოყენება. ისიც კი არ სურს დაიჭეროს, რომ მთარგმნელები ასეთ ფორმებს ზოგჯერ სტილისტური მიზნისთვის იყენებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში რას ერჩის ამ ფრაზებს: „მას ეამსა შინა მივლილი ამხდრებული“ („ახალი ცხოვრებიდან“), „მან გამომიგზავნა შემოდგომის კაბა“ (სველინური ლირიკიდან), „და მეგობარი გელსა შოგან გაუჩინარდნენ“, „ამა სოფელში მწირად დავეღიარ“. (ისაყიანი), „მტკიცედ ვიდევით, ვოტბებით მტერს უძლიერესს“ („ოდისეიდან“), რატომ ჰვინთა კრიტიკოსს, რომ მის მიერ არქაულად ჩათვლილი ფორმები სტილისტური დანიშნულებით არ არიან ნახმარნი ამ ფრაზებში?

არქაულია და გაუმართლებელი: „მსიენარე მეგულა წარიტაცა ჩემი უმანკო კრავი“ („ბატონ ვერო მუნიარის აზრებიდან“); არც კი თვლის საჭიროდ აცნობოს მკითხველს, რომ ამ ფრაზას მეთუდაზნოე ბერი წარმოთქვამს; იქნებ მკითხველი მაინც დარწმუნებულიყო, რომ ამ კონტექსტში წარიტაცა ვერ შეეძლის წარიტაცა-ს.

არქაულია და გამართლებია არ ეძებნება: „გარდასახლებს გზაზე მიმავალს თან მიმყევ-და ეკაოლი იმვი“ („ფედონიდან“); რატომ მალავს კრიტიკოსი, რომ ამ სიტყვებს სიყვლელად გამაზღებელი სოკრატე „სულის გარდასახლების“ შესახებ ლაპარაკობს, რომ აქ მოიყურებო იქნებოდა „გადასახლებს“?

აი, მისი თვითმიზნური ანალიზის ნიმუში: „პორიოტი აღდგა და განმარტვა მე“ („გილ-

გამეჭი). აქ დღევანდელი გაქტრდება კი არ
ოველისხმება, არამედ უბრალოდ, ვარკვეული
მოსაზრებით, ტანისამოსის ვახდა“ (№ 4, გვ.
137). რატომ ბოლომდე არ უტყდება მკით-
ხველი კრიტიკოსი, თუ რა „გარკვეული მო-
საზრება“ ამოძრავებდა ბოროტ სულს გილაგა-
მეშის მიმართ? ებოსის „ნაყადღისებულ“
მხატვრულ გამოცემაში კი ამ ადგილას სწე-
რია: „ნაჯახი ჩემი — იმედი ჩემი, ხნაჯალი ჩე-
მი — დამცველი ჩემი, საზვიამო სამოსი ჩემი —
კანა სასურველი ჩემი! ბოროტმა სულმა ჩემგან
წარბაცა“. გვ. 61).

„და შტერად დამდგართ ერთმანეთი არა
გვეყინდება“ (ვან ევი). ანალიზი: „აქ ისეთი
ფორმაა, რომელიც მივანისნება ახალი ქარ-
თლის შტერებზე და არა ძველქართულ
მიოტერება, მიოქერებაზე: და ცქერ-
რად დამდგართ...“ (№ 4, გვ. 137).

სრული გაუგებრობაა. მიოტერება
ძველქართულიველია? პირველად მესმის. მაგ-
რამ მთავარი ისაა, რომ შემოთხოვენილი
სტრაიონი კრიტიკოსმა თავისი ტენდენციური
ანალიზის გასაადვილებლად კონტექსტს მოწ-
ყვრება. რატომ დღემალა მკითხველს, თუ რა-
ზეა საუბარი ამ ლექსში? აი რას ამბობს ვან
ევი: „შეიქერი მე მივებს და მიკერებენ მთე-
ნი მდღეობად და შტერად დამდგართ ერთ-
მანეთი არა გვეყინდება“. თორემ აქ „ცქერად
დამდგართ“ უფრო „სტილი ჩაყდებოდა“ ვე-
ლისხნებელი ვეა-ფშაველას, მაგრამ მას ა. თა-
ყიშვილი ძველი დროის მწერლად თვლის
რუსთაველთან, საბასთან, გურამიშვილთან, ბა-
რაამიშვილთან, ყაზბეგთან და მაჩაბელთან ერ-
თად (№ 8, გვ. 130).

„ვანსხვევია მხოლოდ ისაა, რომ ოქრო-
ვერცხლი მყარი არის, ეს კი თხიერი“ (ბაი-
ამი). კრიტიკოსი შენიშნავს: „ჩვენ ისე შევეჩ-
ვიეთ ძველი მნიშვნელობით სიტყვის მოწოდე-
ბას რომ თხიერი აქ შესაძლებელია ტიკად
მიჯილით“ (№ 4, გვ. 137). დიდხანს ვეძებ ეს
სტრაიონი ზაიამთან და ბოლოს აბუ-ნეუასთან
მივაგენი („აღმოსავლური ლირია“, გვ. 16).
მაგრამ საკითხავია, ვისი სახელით ლაბარკობს
კრიტიკოსი? ვინ რას შეჩვენია? მე ვაგონი, ა.
თაყაიშვილი შეეჩვენა „არქაული“ სიტყვების
ძენას, თორემ აბუ-ნეუასის ლექსში ყველა სი-
ტყვა ახალი მნიშვნელობითაა „მოწოდებული“:
„აივსო სასმელით შეინახეთათვის ოქრო და
ვერცხლი და როცა დღინო დამსგავსა ოქროს
და ვერცხლს. მე ვთქვი: მიოხარით, ოქრო
მით შორის რომელია, რომ შეეადართ?
მსგავსად ელვარებს მათი ფერი, ვანსხვევება
მხოლოდ ისაა, რომ ოქრო-ვერცხლი მყარი
არის, ეს კი თხიერი“.

„პეგის — არსებობს, იწყობება. საწყისი არ
უდასტურდება“ (№ 4, გვ. 137). ასეთი „ნა-
ლოვანი“ ყოფილა ეს სიტყვა. მეორე არგუმენტი

ამ სიტყვის წინააღმდეგ ის ყოფილა, თომქონის
იგი ვაზეთის ფურცლებზე უტხო სხეულად გა-
მოიყურებოდა. (№ 8, გვ. 131). დავეთანხმები
აქ ავტორს, მაგრამ თავადაც დამეთანხმოს, თუ
ჩვენი ვაზეთების ფურცლების ენობრივ ფონს
კრიტიკრულად ვერ ჩავთვლით. მაგრამ რატომ
არაფერს ამბობს კრიტიკოსი ისეთ ტექსტზე,
სადაც სიტყვა „სტილი ზის“ და ძნელად თუ
შეიცვლება მისი რომელიმე სინონიმით. მას
თავისი გამართლება აქვს:

„...ერთსახოვანი, ღვთაებრივი მშენიერება,
რომელიც თავისთავადა, თავის თავში ჰკეის
და, ამდენად, არც მიწისაა, არც ცისა“ (პლო-
ტინი, „მშენიერებისათვის“, ბ. ბრევეასის მი-
ერ თარგმნილი, „მნათობი“, 1966, № 9). შეა-
დარეთ ამას დიონისე არეოპაგელის ეფრემ
მკირისებელი ტექსტი: „და ყოველთა მიმართ
წინაგამომავალ არს და ჰკეის თავსავე შინა
თვისსა... და არც იძრვის, არცა დგას“ (შრო-
მები, გვ. 65, 31-33). ქართული უნდა ამყობ-
დეს იმ უპატივს, რომ XI საუკუნიდან მონღო-
ნარე ტრადიციად დღესაც ცოცხალია, რომ ჩვენს
ხანაში პლოტინის ქართული თარგმანი დაახ-
ლოებით იმავე ენობრივ სამოსელში შეიძლე-
ბა წარმოვევიდვს, როგორც ჩვენს წინაბრებს
დიონისე არეოპაგელის ნაწერებზე.

რა უშლის ხელს „პეგის“ ხმარებას? მხო-
ლოდ ის გარემოება რომ მას გრამატიკული სა-
წყისი „არ უდასტურდება?“ ან ძველ ტექსტებ-
ში რომ „დასტურდება?“ უბადრუკი არგუმენ-
ტებია!

გაუგებარია კრიტიკოსის მსჯელობა „მეტრ-
ფის“ მიმართ. პირველ წერილში ეს სიტყვა
უხერხულ ნეოლოგიზმად (ძველი მიმღობის
ანალოგიით გაცთვებულად) ჩაუთვალა მთარ-
გმნელს. რაკი „მეორე ოპონენტის“ პასუხამდე
მისთვის უტნობი იყო „მეტრფის“ პეტრიწისგან
წარმოშობა. ამ სიტყვის გამო ა. შანიძის
ციტატით პეტრიწსაც ესმის თავს: „მის სახელს
უკავშირებენ იმ ბერძნული კონსტრუქციებისა
და მიმღობიანი ფორმების შემოტანას, რო-
მელთაც ისევე დაამძიმეს ბუნებრივი განვითა-
რების გზაზე გასული ქართული ენა“ (№ 8,
გვ. 126). ვანა ეს ითქმის „მეტრფის“ შესახებ?
და არის აქ ბერძნული ტიპის კონსტრუქციები?
ნუთუ ხელაღწერია „მემურტლუ“ „საქურტ-
ლის“ გვერდით? პეტრიწს არც უცდია „მე-
ტრფეში“ მართობითი სქესის მნიშვნელობა ჩა-
ვდო, ამიტომ უდაგილია აქ მეფ-ამეფეს
ანალოგია. „მარადის მეტრფი, საუკეთესო მზე-
დი“ — ამას ამბობს ფილოსოფოსი („ქებათა
ქების“ მთარგმნელმა ეს სიტყვა პირობითად
გამოიყენა, რათა ქალ-ვაყის დიალოგში გარ-
ჩეული ყოფილიყო ქართულად უთარგმნელი

ზურაბ კიანაძე

„არ შეამოსკლოს მართული“...

ებრული სიტყვები. ქალი ტრფობის საგანი — სატრფო, ვეი ტრფობის სუბიექტი — მეტრფე).

კრიტიკოსი თავისუფლად ხმარობს ტერმინებს „გამოსვლითი და მიწვევითი“, „გზიანებითი“, და არც ახსენდება პეტრიწის პრიორიტეტი მსგავს ფორმთა დამკვიდრებაში. არა მგონია, პირველად ხმარებისას ისინი გარეშე კაცის ყურს უჩვეულოდ არ მოხვედროდნენ. იქნებ თქვას კრიტიკოსმა, რომ ეს ფორმები „ენისშიერი არქაიზმებია“ და მათ დამკვიდრებაში (წინააღმდეგ ყოველგვარი ნორმებისა) პეტრიწის სკოლის მწერლებსა და მთარგმნელებს მცირე წვლილი მიუძღოდეთ?

სრულიად გასაგებ ფრაზას „აბატი კუნიარი უბრალო და უმოკარი კაცი იყო“ არქაიზმებზე ჩასაფრებული კრიტიკოსი ასეთ მაცუთუნებელ განმარტებას ურთავს: „თითქოსდა ასე უნდა წავიკითხოთ ფრაზა: აბატი კუნიარი ერეთი ვინმე უბრალო (простой ან скромный) და უმოკარი (შუპოვარი) კაცი იყო. მაგრამ აქ თერმე ძველი მნიშვნელობებია: უბრალო — უღანაშულო (ბრალის არ მქონე) და უმოკარი — ღარიბი, უქონელი (ვისაც არაფერი მოეპოვება)“ (№ 4, გვ. 136). რა ანალიზია ეს? რა ვლინდება? მხოლოდ კრიტიკოსის ავეიატებული სურვილი, ყოველ „სავეყო ერთეულში“ არქაული მნიშვნელობა ამოიკითხოს. უბრალო ციტირებულ ფრაზაში თავის ადგილზეა და რა უკუთხე, რომ იგი „უღანაშულოსაც“ ნიშნავს და „მარტივსაც“; ან ვის აერევა უმოკარი შეუპოვარში, თუ არა უცხოელს, რომელიც ეს-ესა იწყებს ქართლის შესწავლას? (იმევე „ციცქარი“ სადაც ა. თაყაიშვილი თავის წერილებს აწვეყნებს, მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხომტარია დახასიათებულა, როგორც „ღაჩაგრულთა და უპოვართა დაუცხრომელი ქომაგი“ (№ 6, გვ. 149).

იქვე ჩანს მისი ავეიატებული მიზანი — არქაიზმზე დადარჯება: მკითხველს აგზავნის „არქაიზმულ“ ოთხთავისკენ, თითქოს „ახალი იღუმში“ თარგმანების შემდეგ სიტყვა მცარე ქართულში აღარ იხმარებოდეს მისი ძირითადი მნიშვნელობით. მეორე წერილში კვლავ იმეორებს ამ უცნაურ შეხედულებას და „ასახუთებს“ კიდევ: „მე ვფიქრობ უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვექცეთ ენაში მიმდინარე პროცესებს, სიტყვის სემანტიკურ პლანში ჩვენს თვალწინ მომხდარ ძვრებს“ (№ 8, გვ. 131).

თითქოს სემანტიკური ძვრის შედეგია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ფეხბურთელს შეკარე ვწოდება, თითქოს ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ჩაიყვალა სპორტულ ტერმინოლოგიაში. ნუთუ ასეთივე ბედი მოვლენ სიტყვებს: კარი, მიწდორი, ბაღე, ძელი...? ან იქნებ პირიქით მოხდეს, სემანტიკური ძვრებს

შედევად მომავალში სპორტულ მოედნებზეც კარე შევიყარა შეცვალს? ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ისიც მოხდა, რომ სპორტული ტერმინოლოგიის ფონზე განიხილება პლატონის ქართული თარგმანი. (რა დღეში უნდა ჩაეარდეს რუსულად მოლაპარაკე ადამიანი, რომელსაც СУДЬЯ ზეგუდა სტადიონზე და სასამართლოშიც. არკვიოს, ვისთან აქვს საქმე, მსაჯთან თუ მოსამართლესთან).

მე არ მეგულება მკითხველი, რომელიც სიტყვას უცნობო დოკუმენტის არქონედ ვაივებს დანტეს მშვენიერ სტრუქტურაში: „ალბათ უცნობის მიჩნისფერი მგლო სახეზე“. (აქ უკვე კანცელარიის ტერმინოლოგია იწყებს „ამოტიტივებას“).

ყოველგვარი მოლოდინს გარეშე ასე სურს კრიტიკოსს (საყოფარო გემოვნების წინააღმდეგ) აღნიშნული სიტყვის გაგება (№ 4, გვ. 136). არ მინდა უმეტრებაში ჩაუვთვალო მას ამგვარი ანალიზი, რომელსაც იგი „არქაიზმში“ გაუღრმობელთათვის აწარმოებს.

კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ მთარგმნელები მკითხველს „ყოველ ფეხის ნაბიჯზე აისბერგებად უხვედრებენ“ „მისთვის უცხო და უჩვეულო სიტყვებს“ (№ 8, გვ. 131).

თუ ა. თაყაიშვილისთვის გასაგებია ეს სიტყვები, რატომ ჰგონია, სხვისთვის უსათუოდ უცხონი და უჩვეულონი იქნებიან? პასუხად იტყვის: მათს ყოველდღიურ მეტყველებაში აღარ იხმარებიანო. არაერთგვარის ფეხვებით ამგვარ პასუხს (№ 8, გვ. 128, 129, 130...). მაგრამ სხვა პასუხიც მზადა აქვს: „მხოლოდ საუბარში დადასტურებული ერთეულებით რომ ამოიწურებოდეს ენის ლექსიკური ფონდი, მეტად საეალოო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდიო“ (№ 8, გვ. 128). სასტრუქლო იქნებოდა დაემატებინა, რომ არც მკითხველის ლექსიკური მარაგი უნდა ამოიწურებოდეს სასაუბრო ენით, რომ საეალოო მდგომარეობაში არ ჩაეარდეს იგი. ასეთი სურვილი რომ ჰქონოდა კრიტიკოსს და რწმენა, რომ ეს შესაძლებელია, აღარ შეუღებოდა ამ ფუძ ანალიზს.

მაგრამ იგი შეუპოვრად ებრძვის „აისბერგებს“ და დაეინებით „შიფრავს“ მათ. ასეთი „აისბერგება“ ცხოველი. — თითქოს „ცხოველი სული“, „კა ცხოველი წყლისა“, „ცხოველი შეხება“ მიუტყვევებელი არქაიზაციის ნიმუშებია, ხოლო „ცხოველი გრძნობა“ ერთადერთი დასაშვებია „ენისშიერი არქაიზმი“; საზრდელი, — თითქოს ვისმე „გასაზრდელოში“ აერევა, როდესაც წაიკითხავს ფრაზას: „საზრდილს და სასმელს ერთდღეს თვის ერთადღე ამხადებს“; ტალანტი ფულის ერთადღე მნიშვნელობით; — თითქოს საჭირო კონტექსტში თანამედროვე „თუმანი“ შეცვლიდეს მას; დედეება, — როცა ნაგუ-



ლისხმევია „თესლის გაღვივება“ და არა „უცე-
ხლის გაღვივება“; ხ ე ტ ბ ა, — თითქოს მეს-
ლიმანური სარწმუნოების ეს რიტუალური სიტ-
ყვა იგივეა, რაც „დაშვიდრებულო“ ხ ო ტ ბ ა;
ვაუგებარია აქ კრიტიკოსის შენიშვნა: „გამო-
დის, რომ ამ სიტყვას ხელმოკრულ ესესხუ-
ლობა, ილინდ სხვა ფორმით(?)“ — (№ 4,
გვ. 135).

„ასევე დასტურდება: სი ლ ბ ი ლ ი თ (სირ-
ბილით), მ შ ვ ი ნ ე ა (ფშვინვა), გ ო ლ ვ ი ა ნ
(გვალვიან), მ თ ო ე ა რ ე (მთარე)...“ (№ 4,
გვ. 135) და სხვა „სალიტერატურო ენის ნორ-
მებიდან მეთოდურად გადახვევის შესანიშ-
ნავი ნიმუშები“.

„ასევე დასტურდება: შ ე ფ რ ფ ი ნ ა ვ ს
(შეჭხარის), ვ ო უ ფ ლ ო (ვიბატონო),
მ ო წ უ ლ ე ს (დაჭრეს), დ ა ი ვ ე ვ (ჩაივრე)...
(№ 4, გვ. 138) და სხვა მრავალი „გაუგებ-
რობანი“.

უკველივე ეს თურმე მკითხველს აბნევს და
შეკონიჭებს შეპყავს.

„უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი ისედაც არქაიზმია, სე-
ფ ე წ უ ლ ი კ ი — არქაიარქაიზმი!“ (№ 4, გვ.
147). რატომ? თუ ვეკითხებთ, ალბათ მოგვი-
გვებს: უფლისწულები დღეს აღარ არიან, მით
უწევს სეფისწულნი... თურმე ბრინცი
არ ს ე ბ ო ბ ს, ხ ო ლ ო უ ფ ლ ი ს წ უ ლ ს „ვა-
მართლება არ ეძებნება“.

ასევე „გაუმართლებელი არქაიზმია“:
„უ ფ ა ლ მ ა ნ ჩ ე ნ ე ვ ე რ ო ბ ა ს ი კ ე ე ლ ე თ ა
ს ა ყ ო ფ ა ლ“ (იქვე). რატომ? თუ ვეკით-
ხებთ, ალბათ გვიასუხებს: დღეს დ მ ე რ თ ი ა,
უ ფ ა ლ ი დრომოკმელოაო. ნუთუ ს ი კ ე ე ლ ე
და ქ ე ვ ე ლ ს ს ა კ ე მ ე ც დ რ ო მ ო კ მ ე ლ ი ა და
უ ე ე წ ა რ ს უ ლ ს ჩ ა ბ ა რ ა დ ა?

დიდი იშვით უფროებს კრიტიკოსი „გალობა-
თა ამო საღებუს“ („ვადატანიოც ვაუგებარ-
ია“, № 4, გვ. 142), დაეანებას და მოვანებას
(„იქნებ მყუდროება?“ იქვე), დაუწებასა და
გონის დაუწებას („სომ ბგერობრევად და-
დინჯება-ის ჰეაეს“; № 4, გვ. 141) და სხვა
„საეჭვო ერთეულებს“.

„ბუნდოვან შთანქობილებას ტოვებს კონ-
ტექსტის მიხედვით ავრთვე“ — ანუ აცხადებს
კრიტიკოსი და კონტექსტის გარეშე (ალბათ
შინის გამო, ვა თუ მკითხველი მიხედვით)
ჩამოთვლის: მ გ მ ო ბ ე ლ ი და მ ო ყ ი ე ნ ე -
ბ ა („ახალი ცხოვრებიდან“); ც ა დ ა ქ ი ლ ი,
გ ე ს ა ვ, უ გ მ ე რ ე ნ, წ ა რ ე ბ ი თ („აბუ-
ლა-შაბარდანი“)... და მრავალი სხვა სიტყვას
კონტექსტიდან ამოწყვეით (გვერდის მიუ-
თითებლად) აწვდის „საშუალო ინტელიგენტ“
მკითხველს თვითნებური კომენტარებითურთ.
სწორედ კონტექსტის უგულვებელყოფის გა-
ნო მოიჩვენა მას საუთარო სახელი ან გე-
ლ უ ს ი („ბატონ ჯერომ კუნიასის აზრები-
დან“) „ანგელოსის“ არქაულ ფორმად, თუმცა

კარგად უნდა სცოდნოდა, რომ ასეთი სიტყვების
ძველქართულ ტექსტებში არც კი მოიპოვებოდა
(უმაღლესი ლათინური angelus უნდა გახსენებო-
და).

ზ ე ნ ა ა რ ს მოაკვეთა ვრცელი ეტიმოლო-
გიური ექსკურსი ირანულ-ქართული ენობრივი
ურთიერთობის სფეროდან, რომ „იგი სპარსუ-
ლი წარმომავლობისა და განიხა ყველა ზე-
მით დასახელებული მნიშვნელობა, გარდა
დ მ ე რ თ -ისა“, რომ „ზ ე ნ ა ა რ ი ძველ ქარ-
თულში ძირითადად ფიცი-ის ფარდა“ და
„ძველი წყაროები არ იცნობს ამ სიტყვას
დ მ ე რ თ -ის მნიშვნელობით“ (№ 4, გვ. 141).
თითქოს „ზენაარის“ ამგვარი მნიშვნელობა
რომელიმე მითაგმნელის მოგონილი იყოს!
გახსენოს კრიტიკოსმა „ძველი წყარო“ —
გურამიშვილის „დავითიანი“: „დიდთა ჳირთა-
გან ენებული ოღეს მცნა მამამ ჳენარამა...; ბა-
რათაშვილის: „ზენაართ სადგომს, რომ დაშ-
თოს აქ ამოიება“; „ახალი წყაროები“ — 3.
ცახელი: „ყვირის და თან გმობს ჳენაარს,
მისთვის ამ ჳედის დამდგენა“; გრიშაშვილი,
შანშიაშვილი; ბარნოე, რომლის რომანებში
ხშირია ეს სიტყვა სწორედ „უზენაესი არსე-
ბის“ მნიშვნელობით; ო. ჩხეიძის რომანი „დ-
მართ-დაღმართი“. ვასულ წელს ეყრნალ
„ცისკარში“ დაბეჭდილი. თვით ა. ჭიცილაძე-
ვის „დანტეს“ ქართულ თარგმანში, რომელსაც
არაერთგვარის იმოწმებს კრიტიკოსი, ჳ ე ნ ა ა რ ი
მის მიერ დაუწუნებული მნიშვნელობით შეგხე-
ვებათ 41-გვერდზე, რალა დაშავა „პაავაუტ-
გიტამ“: „ამ რწმენით განმტკიცებულ ივედ-
რება ჳენაარს იგი“. ის მაინც ეთქვა კრიტი-
კოსს, რომ ეს გადაზრება „ენისმიერია“, უკე-
თუ. მისევე აზრით, სემანტიკურ პროცესში ვა-
მორიცხებულია „ავტორისეული“ ნება.

როდესაც კრიტიკოსს ჳელს აძლევს, რუსთა-
ველის მიერ ნახმარი მნიშვნელობა კანონია,
ვეთუ არა — რუსთაველიც ცდებდა: „მ ლ მ ო -
ბ ე ლ ი მისთვის მოულოდნელი მნიშვნელობით
წარმოგვიდგება“ (№ 4, გვ. 141). მე კი ვიტ-
ყოდი: რა მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს
მორფოლოგიურად „მლომბელს“, რუსთაველის
ბრწყინვალე სტრიქონში „დადასტურებული“
მნიშვნელობა აღარ უნდა იყოს მოულოდნე-
ლი (ა. თაყაიშვილისთვის უტყვო არ უნდა იყოს,
რომ დღევანდელ სალიტერატურო ენაში არც
ისე იშვითად იხმარება თ ა ნ ა ლ მ ო ბ ა —
сострадание თ ა ნ ა მ ლ მ ო ბ ე ლ ი — со-
страдающий ეს მოვლენა უფრო ნეოლოგიზ-
მია, ვიდრე არქაიზმი).

უეშმარტად „მოულოდნელია“ ენათმეც-
ნიერისაგან ამგვარი განმარტების მოსმენა:
„სიტყვა იქნეს ახალ, ჳოგჯერ საპირისპირო

ზურაბე კინაძე

„არ შვამოკალოს ძაბრთული...“



მნიშვნელობებს. რაღა შორს წავიდეთ: ძველი ქართლის განკაცება დღეს დაკაცება-ს ნიშნავს“ (№ 4, გვ. 136). ძველა ამაზე შორს წასვლა იმის თქმა ხომ არ სურდა ავტორს, რომ ძველად განკაცებას „დაკაცების“ მნიშვნელობა ჰქონდა? თუ ასე ფიქრობს, მივაწვდი პიზნოგრაფიდან: „დადაცათუ განკაცნა, არა შეიცვალა ერთობა ბუნებათა, არცა საუერო იყო განკაცება“, „პირველ საუუენეთა სიტყვა განკაცნა და დამევიღრა ჩვენ თანა დღეს ვითარა კაცი“ (მტბევაირი). ეს სიტყვები ნათქვამია ქრისტე-დმერთის განკაცების შესახებ. განკაცების დღეს ამასვე ნიშნავს და დაკაცებასთან არავითარი აზრობრივი კავშირი არა აქვს.

„დაკოდლი ძველ ქართულში დაქრილს ნიშნავს, დღეს — დასაქურისებულს. ამიტომ ცოტა უხერხულად ეღერს იგი ასეთ კონტექსტში: „ვიც დამკოდაცა და, თუ არ მეგობრის და ამზანავის სულთქმა ბოროტი“ (ფ. ისააკიანი) № 4, გვ. 137. თუ ასეა, გალაკტიონი ძველი ქართული პოეტი ყოფილა, თუ არა და ეს სტრაქონიც უხერხულად უნდა ეღერდეს: „გაისმა შორი სროლის ხმა თმაში და მონადირემ დაჯოდა შველი“. ვისი ბრალია, თუ მკითხველი კონტექსტში ვერ გაერკვევ? ი. ნონევილითანაც შეხვდებით: „ერთი შეხედვით ვეჯაკების გულეხს დაქოფდლი“. ამ ლექსში („შენ საქათველოს დელოფლობა დავმეუნდებოდა“) სხვა „არქაიზმებიც“ მრავალადა: „თელთა ცალით“, „სპათა შენთა“, „ქაშეთის“, „ეამთა შარავხა“, „მარადეამს“, „და ვით დიდება აჟ გარდასულ საუუენეთა“. კრიტიკოსი იტყვის, ამით არ უქმდება ჩამოთვლილი „ერთეულების“ არქაულობა, სტილისტური მიზნებისათვის მათი ხმარება არავის ეკრძალებათ. მაგრამ მისი ორივე წერალი ამტკიცებს, რომ ნიშანში ამოდებულ მთარგმნელებს ეს ეკრძალებათ. Quod licet Iovi, non licet bovi. ეს ანდახა დაახლოებით ამგვარად გადმოითარგმნება: რაც ორიგინალურს ეპატიება, თარგმანს არ ეპატიება.

თვითმიზნური ანალიზის სტიქიაში მყოფ კრიტიკოსს სრულიად ავიწყდება საკუთარი დევიზი „არქაიზმი — ზომიერი სტილისტური ხერხი“:

„სპეტაკი ძველ ქართულში თეთრს ნიშნავდა: სპეტაკი სამოსი — თეთრი სამოსი. დღეს სპეტაკი რამდენადმე ვიწრო მნიშვნელობით იხმარება, ისიც ორიოდე სიტყვასთან: სპეტაკი აღამიანი, სპეტაკი გული, სპეტაკი შუბლი (უღრას წმინდას, ნათელს). ამიტომ, როდესაც ძველქართული გავებში აღვადგინე მას, ერთგვარად გაუგებრობას იწვევა“ (№ 4, გვ. 136). „ვანმარტებით ლექსიონი“ მიიწვ ვახუშტაძე-

და, სადაც ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა მოცემულია: ძალიან თეთრი. (თუკითხვით მეორე კლასის „ქართული ენის“ მკითხველებმაც იციან რას ნიშნავს „სპეტაკი ზამთარი“ და „სპეტაკი თოვლი“). მაგრამ დაეინებოთ ამას თავი. საქმე ეხება „ახალ ცხოვრებას“.

ენას სტილისტური ანალიზისას კრიტიკოსს არც ახსენდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს დენტესათვის ფერს და კერძოდ სამოსის ფერს. როდესაც ლაბარაკია მკატრრებელს „ხელახლა მომევიღონა იგი უსპეტაკესი ფერით მოსილი“, — ნეთუ სიტყვა „უსპეტაკესი“ ერთბაშად არ გამოხატავს როგორც ამ ასულის სამოსის ფერს, ისე მის ზნეობრივ სისპეტაკეს? ვერც იტალოერ დენდანიშო (bianchissimo) და ვერც რუსულ თარგმანში (белоснежный) მიიღწეოდა ეგზომი ღრმა ლაკონიზმი. ამის საშუალებას იძლევა დღევანდელი სპეტაკის სემანტიკა, რომელიც — ანატოლ ფრანკს სიტყვებით რომ ვთქვათ — ადებუდილა წარსულ ხმარებათა მასსოვრობით. ამგვარადვე ქართული ლექსიცა ვამოხუბრებულა მრავალსუუენოვანი კონტექსტით და დღემდე მრავალფერო ნიუანსებით ცოცხლობს. ამას შენარჩუნება უნდა და არა მიტკმალვა იმ საბაბით, დღეს ახალი შესატყვისი გვაქვსო.

რა მწერლის ან მთარგმნელის ბრალია, თუ რომელიც სიტყვა იშვიათად იხმარება? ყოველ ასეთ იშვიათ სიტყვას კრიტიკოსი უფრო ხის, როგორც ახალმობლ მონსტრს. უკეთეს შემთხვევაში ცარიელ „სიტყვა-სამკაულად“ ეჩვენება იგი. ამის მიზეზია მისი არასწორი შეხედულებები საერთოდ ენისა და კერძოდ მხატვრული ენის ბუნებაზე, მონური მორჩილება „სემანტიკური ძვრების“ მიმართ, არესთეტიკური და არამომეკმედებითი დამოკიდებულება სიტყვისადმი. ყოველივე ეს თავს იჩენს მის მიერ ჩატარებულ ანალიზში. სხვის რასღა მივაწეროთ მამინ ამგვარი „ენობრივ-სტილისტური“ დაკვირვებანი:

„ხმარებიდან გამოსულა მორფოლოგიური ინვენტარი“ (№ 8, გვ. 129). „მრავლობითოს ძველი და ახალი ფორმების ზომიერი მონაცვლეობა არ დევნს სტილისტურს ერთდვროვნებას და თხრობის მდორე და მწყობრულ დინებას მკნის“ (ხაზი ჩემია. ზ. კ.) № 4, გვ. 131; „დამხმარე სიტყვებს „ენაში ექსპრესიული ფუნქცია არ აქისრიათ და მხოლოდ „სტრუქტურული პერსონალის“ როლს ასრულებენ“ (№ 4, გვ. 139); „ხშირად ფუქეში თანხმოვანი არაა, ან, პირიქით, „ზედმეტია“. ზოგჯერ კი გაღამეულია, ან სხვითაა შეცვლილი“ (№ 4, გვ. 134); „ფონეტიკური პროცესებია აგრეთვე საგარაუდო ზოვიერთ სახელთა ფუქეების დღევანდელ ეკვივალენტებში“ (№ 4, გვ. 135); „ასრებობებს წინ უღვას ზმენ-



ბი და ერთ ფრაზაში რამდენიმე ტოლი მო-
ნაკეთის მოსალოდნელობა» (№ 4, გვ. 131);
„ბიბლიზმებისათვის წინასწარმეტყველებრო-
ბის მინიჭების ფაქტი» (№ 4, გვ. 144); „ბიბლი-
ური სიღინჯის ენა» (№ 4, გვ. 143); „ზნების მე-
ტი წილი ქართული ძირისა, მაგრამ ეტიმოლო-
გიურად არც ისე იოლი გასაშიფრია» (№ 4, გვ.
137). — ნუთუ საყმარისი არ არის, რომ სიტყვი-
ბი ქართული ძირისა? თითქმის ვადამწყვეტი
მნიშვნელობა ჰქონდეს მათ ეტიმოლოგიას!

ასეთ ანალოზს, ცხადია, სასურველი შედეგი
ვერ მოჰყვებოდა; ვერც „არქაიზმის“ პრობლე-
მა გადაწყვეტილია ამ მეთოდით. მაგრამ ჩვენ
დავინახეთ სხვა შედეგი: მთელი მისი თეორიუ-
ლი მსჯელობიდან და ანალიზიდან ასეთი დას-
კენა გამოდის:

არქაიზმია ყოველი სიტყვა ან გამოთქმა,
რომელიც არ იხმარება ყოველდღიურ მეტყვე-
ლებაში. Ergo, არქაისტულია პოეზიისა და
საერთოდ სიტყვაჯამული მწერლობის ენა,
რასაც არ ხმარობენ ყოველდღიურ საუბარში.

ფანტასტიკური განსაზღვრება! მაგრამ ხომ
ფაქტია, რომ ამ პრინციპით არის განხილული
აღნიშნული თარგმანების ენა?

* * *

ა. თაყაიშვილი რომ არ გამოკიდებოდა უნა-
ყოფო ფორმალისტურ ანალოზს, მიუღო ეს
ნათარგმნი პრობლეტიცაა ენარული მნიშვნელობით
განლაგებონა (რაზეც შეგნებულად უარი თქვა
გამოკრების თაიდან აცილების მიზნით, თუმცა
ცა გამოკრებას მაინც ვერ ასცდა), შინაარსის
საფუძველზე განვიხილო თარგმანების ენობრივი
ქსოვილი, მაშინ ვერ იტყვია — პლატონი, დან-
ტი, თაგორი და სხვა ავტორები ქართულ თარგ-
მანებაში შეუფერებელი ენით ამეტყველდნენო.

„მაგავატ გიკას“, „ენეადებისა“ და „ახა-
ლი ცხოვრების“ სულისკვეთება მიითხოვს
სრულად თავისებურ „ენას“, რომლის სემან-
ტიკა აღბეჭდილია ძლიერი ეთიური ნიუანსით;
თანადროული სეკულარიზებული სამეტყველო
ლექსიკა აქ სწორედ შეუფერებელი იქნებო-
და.

ვადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონ-
დეს იმას, თუ რა ენობრივი პოზიციებზედნაა
დაწერილი თაგორის „გიტანჯალი“. ამ ჰიმნებ-
ში წყაყაანია რელიგიური პათოსი, და, ჰუნებ-
რივია, მთარგმნელის განცდაში ფსალმუნის
ინტონაციები უპირატესობდნენ. სწორედ ეს
იქნებოდა მართებულ გზა აღქმეატური თარ-
გმანისაკენ, და არა უწყაყოფო ცდა იმის მი-
საღწევად, რომ ქართულ მკითხველს ბუნვა-
ლური მენაის ველით განეცადა „გიტანჯა-
ლის“ ჰიმნები. რა მაგალითი უნდა იყოს აქ
უფერული რუსული თარგმანი? თუ გნებავთ
შეადარეთ: „აქ არის შენი საყუდარი — და-
ვანებულად ფერხისი შენი უსასოქმენილი და
უპოვარია, გლახაკთა შორის“. «Вот подножие

твое—стоны твои покоятся среди самых
бедных, самых сирых, самых обездолен-
ных». ა. თაყაიშვილი კი მთარგმნელს სთავა-
ზობს: „აქ თითქმის კიდევ დასკვენებულა
უკეთ ეგუება“ (№ 4, გვ. 142). იქნებ „გიტანჯა-
ლი“ და „მებაღე“ მართლა სასაუბრო ენაზეა
დაწერილი? აი, რას ამბობს თვითონ თაგორი
1912 წელს „ავტობიოგრაფიაში“: „... ხოლო
მისი საუბრის (ლაპარაკია სოფლის ერთ მას-
წალებელზე. ზ. კ.) მაღალი სტილი ზურგს
უქან უფროსების სიცილს იწვევდა. ზოგიერთი
მისი მაღალფარდოვანი თქმა ჩვენს სახუმარო
საოჯახო ლექსიკონშიაც შევიდა. თუმცა ვეუ-
ნობ, რომ დღეს მის გამოთქმათა მანერა უც-
ნაური გჩვევებოდათ. ბუნვალური ლიტერატუ-
რული და სასაუბრო ენა უწინ იმდენად დამო-
რბეული იყო ერთმანეთს, როგორც ცა და დე-
დამიწა. ეს უქანასენელი ათეული წლებია,
რაც ისინი უფრო და უფრო უხანოვლებიან
ერთმანეთს.“ როგორც ამონაწერიდან ჩანს, სა-
საუბრო ენა მიხსოვებია სალიტერატუროს, და
არა პირველად.

ნაკლები მნიშვნელობა აქვს მთარგმნელისათ-
ვის აგრეთვე დანტეს ენობრივი პოზიციის.
მნიშვნელოვანია ის, თუ რა წარმოადგენს მისი.
ნაწარმოების თემას. „ახალი ცხოვრება“ საბრ-
ინდო რომანი არაა; იგი, თუ შეიძლება ასე
იოქვას, სიმბოლური ჰავიოგრაფიაა, სადაც
იხილება რვა ხილვა და პერსონაჟად თვით
სიყვარული (Amore) გვევლინება. ა. თა-
ყაიშვილი მთარგმნელებს საყუდერობს, თარ-
გმანში მველი ქართულის ინტონაციები მოის-
მისო. რა მაგალითი უნდა იყოს „ახალი ცხოვ-
რების“ რუსული თარგმანი? არ შევალ იმის
განხილვაში, თუ რა უპირატესობა აქვს ქარ-
თულ „ახალ ცხოვრებას“ (ეს ცალკე თემას).
მაგრამ აქ მაინტერესებს, რა ინფორმაციის
აწვდის მკითხველს ა. თაყაიშვილი დანტეს
ენობრივი მრწამსის შესახებ: ტრაქტიკიდან
De vulgari eloquio ჩამდენიმე ტენდენციურად
შერჩეულ ფრაზას უპირისპირებს მთარგმნე-
ლებს და ასკენის: აი, რა დემოკრატიულ პო-
ზიციებზე იდგა დანტეო. თავად მკითხველმა
განსაჯოს, რას ამბობს დანტე კრიტიკოსის სასარ-
გებლოდ:

„... ამბობად, წარჩინებული ვულგარე (Vulga-
re illustre) თავის თანამსგავს ადამიანებს
ეძებს, როგორც სხვა ჩვენი ზნენი და ჩვეუ-
ლებანი: დიდებულება ძალმორქმულთ ეძებს,
ძოწეული სამოსი — კეთილშობილთ. ასევე ეს
ენა შთავონებთა (ingenio) და ცოდნით
მომადლებული ეძებს, ხოლო სხვებს უყუა-
დებს, როგორც ქვემოთ ვახლება ცხადია... ვე-
რავინ იტყვის, ეს ენა მთელთათვის იყოს

ზურაბ კიკნაძე

„არ შეამოკლოს ძარბული...“



შესაფერისი, რადგან ურჩეულესი (optimae) აზრები მხოლოდ იქ იბადება, სადაც ცოდნა და შთაგონებაა. ამიტომ ურჩეულესი ენა არ შეეფერება მდამბურღელ მოლაპარაკეთ (rusticana tractantes)...

ურჩეულესი ენა მხოლოდ მათ შეეფერის, ვინც შთაგონებითა და ცოდნითა მონადულბული; ამიტომ არა ყველა მელექსეს, რომელთაც უმეტესნი უმეტრად და შთაგონების გარეშე მელუქსეობენ. შეუფერის ეს ურჩეულესი ენა, ანუ ურჩეულესი ვულგარე...“ (11, თ. 1). „ეინითაჲნ ის ენა, რომელსაც წარჩინებულს (illustre) ვუწოდებთ, ურჩულესი ენა ყველა vulgare-თა შორის, ამიტომ ურჩეულესი საგნებია ღარსი ამ ენაზე შექებისა (11, თ. 2).

განა აქედან ის ჩანს, რომ დანტე თავის „ურჩეულეს საგნებს“ სასაუბრო ენაზე გამოხატავდა? ან, რომ მას დემოკრატიული პოზიცია უჭირა ენის საკითხში, როგორც ამას კრიტიკოსი ამტკიცებს? „ველგარე“ მართლაც უპირისპირდება ლათინურს, მაგრამ არა როგორც არაქულს. არამედ როგორც არა-ეროვნულ ენას (კონ იტყვის, რომ თანამედროვე ქართული უპირისპირდება ძველქართულს, როგორც არაეროვნულს?). მაგრამ, რაც მთავარია, vulgare illustre უპირისპირდება მდამბურღელ მოლაპარაკეთა ენას (rusticana tractantes). დანტე ენა ურჩეულესია სხვა vulgare-თა შორის, და საესენით შეესაბამება მისი პოეზიის ენას. იმავე წიგნში დანტე წერს: „უეთუ საჭირო ვახლება ენა ტრაგიკულ ტონში, უნდა ავირიოთ vulgare illustre და დავუერთო კანცონს. უეთუ კომედიური რამ გვირდა შევთხზათ, მაჲნ საშუალო ან დაბალი მეტყუელება უნდა ავირიოთ“. „ტრაგიკული უმადლესია სტილითა შორის“. ამავე ნაშრომში დანტე ამხელს იმ ტრასკანელ პოეტებს, რომლებიც წერდნენ არა წარჩინებულ ვულგარე-ენაზე, არამედ მათსავე ქალაქების ენაზე. ღარსებად უთვლის რომანულ პოეტებს, ფავენტინო ტომაზოსა და უგოლინო ბუჩჩოლის, რომელთაც თუთაინთ პოეზიაში უარყვეს ადგილობრივი კილო.

დანტეს ამ ტენდენციას სრულიად არ შეესაბამება კრიტიკოსის ნათქვამი: „აი, ასეთი ხალხური საწყისებში ნაწაზრდობები პოეტის ვალპორტანა ამაღლებული, ბიბლიური სიღინჯის ენით მთლად გაპართლებული არ გვეჩვენება. მით უმეტეს, რომ იგი კლერიკალურ ლიტერატურას და ეკლესიის დოგმატურ პრინციპებს განსაკუთრებულ პატივს არ სცემდა“ (№ 4, გვ. 143).

რაც შეეხება უხარბულად გამოთქმულ „ბიბლიური სიღინჯის ენას“, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ბრიტანეთის ბიბლიური საზოგადოება „ძველი და ახალი აღთ-

ქმის“ წიგნებს ვარდა სისტემატურად ბეჭდის. ერთადერთ საერო ნაწარმოებს „ლესკეის კომედიას“. ეს არ არის შემთხვევითი და გარეგანი ფაქტი.

თუ კლერიკალურ ლიტერატურაში კრიტიკოსი წინადასამების თხზულებებს გულისხმობს. მათ შორის მოხედება დანტესათვის სათაყვანებელი ლინისე არეოპაგელი, ალბერტ დიდი, თომას აკვინელი და სხვანი. თუ ეკლესიის დოგმატურ პრინციპებში საღვთო წერილის გულისხმობას, გაიხსენოს, რომ „ღვთაებრივი კომედია“ და „ახალი ცხოვრება“ საყვება ბიბლიის ლათინური ფრანკებით, მათი იტალიური თარგმანებით (მათ შორის „მამოჩელინო, რომელი ხარ ცათა შინა...“). ეს ყველაფერი გადმოცემულა როგორც ჭერ არს. „ბიბლიური სიღინჯის“ თუ „ადელუების“ ენით.

თუ კლერიკალურ პაპებს გულისხმობს, რომელთაგან არაერთი მოახვედრა დანტემ ჯოჯობეთში, კრიტიკოსმა უნდა იცოდეს, რომ დანტეს დროს და საერთოდ შუა საუკუნეებში მრავლად იყვნენ პაპებს გარდა „ანტიპაპები“, და მათი „კრიტიკა“ ეკლესიის პრინციპებში დაქვემდებარს არ მოასწავებდა. განა უტნობია კრიტიკოსისთვის ის ფაქტი, რომ დანტე დაკრძალეს რავენის ერთ-ერთი ეკლესიის ეზოში, და შემდეგ დიდხანს ეცალებოდნენ მისი ნეშტის გამო ერთმანეთს ფლორენციელი და რავენელი ბერები, რომ თეთი რომის პაპიც ჩარეული იყო ამ საქმეში?

რაც შეეხება პლატონისა და სხვა ელნი ავტორების ენას, საქმის ნამდვილი ვითარება აქ ასეთია:

ხალხის სალაპარაკო ენისაგან განსხვავებით არსებობდა ხელოვნური დიალექტები, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურაში იხმარებოდა, განსაკუთრებით პოეზიაში; ეს იყო შერწყმა რომელიმე ცოცხალი დიალექტისა მის არაქულ ელემენტებთან. უძველესი ლიტერატურული ენა, რომელზედაც დაწერილია „ილიადა“ და „ოდისეა“, წარმოადგენს ხელოვნურ ენას, იონური და ეოლური დიალექტების ნაზავს. ეს არის ე. წ. ებური ანუ პომერული ენა.

ნაკლებად ხელოვნურია პროზაული ლიტერატურის ენა, განსაკუთრებით ატიკური, თუმცა ესეც სამწერლობოა, და საესენით არ ემთხვევა იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა მაშინდელი ატიკის მოსახლეობა. ეს არის პლატონის ენა. წინააღმდეგ ამისა, იონური პროზის ენა, რომელზედაც პეროპოტე წერდა, უკვე საესენით ხელოვნურია.

საერთო ენის (კონიე) ეპოქაში ლიტერატურული ენა აგრეთვე წარმოადგენს ცოცხალი ენის ნარეკს ძველ ატიკურთან, — ნარევი განსხვავებული პროპორციისა ავტორის განვითარებისა და გამოცემის კვალობაზე. ეს ყველაფერი უწერია სობოლუესკის, კლასიკური ენე-

ბის დიდ მცოდნეს, თავისი „ქველბერძნული ენის“ წინასიტყვაობაში. ესაა ელინისტების საერთო აზრი, ფაქტური ვითარებიდან გამომდინარე.

მთელი ეს ლიტერატურა „ემპირიულად ძვეს“ და ა. თაყაიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველას აქვს მისით სარგებლობის უფლება“.

ახლა ვითხოთ კრიტიკოსს, რა ენაზე უნდა თარგმნილიყო ელინი ავტორები, დანტე და თავიერი, თუ არ ზოგადქართულზე, ზედართულ ენაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს ჩვენი ენის ძველსა და ახალ შრეებს. აქ დიალექტების შემოღის. მხოლოდ არქაიზმების მხრეგული კრიტიკოსი სხვა მხრისაგან რომ დაეკვირვებოდა ამ თარგმანების ენას, მასში „ზოზიერ“ დიალექტიზმებსაც საქაოლ აღმოაჩენდა. მაგრამ რაღა გვეთქმის, როდესაც მისივე აზრით ძველი შეუთავსებელია ახლის გვერდით?

ა. თაყაიშვილის მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მან სხვა ენებისათვის გამოზადებული ცნება არქაიზმისა ხელოვნურად მოუყენა ქართულ ენას, რის შედეგადაც მრავალი ენობრივი ფაქტი, და თვით ჩვენი პოეტური ენა არქაულად გამოცხადდა. ეს ასეც არის, უკეთუ არქაიზმის ცნებაში სიძველის შინაარსს ვიგულისხმებთ. მაგრამ ა. თაყაიშვილის წარმოდგენაში იგი მოძველებულთან და გაუგებართანაა გათანაბრებული, ორიც რელიურ ვითარებას. არ შეესაბამება.

ქართული ენობრივი სინამდვილის მიმართ „არქაიზმი“ განუსაზღვრელი ცნებაა: ის, ოც არქაიზმისა სალაპარაკო ენისათვის, არ არის არქაიზმი სამწერლო ენისათვის; რაც პროზისათვის არქაიზმია, პოეზისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. რასაც სამწერლო ენის მიმართ არქაიზმად ჩათვლიან, არ იქნება არქაიზმი ფშეხვისურთლისა ან ფერეიდნელისათვის.

„არცერთ ენას არა აქვს იმდენი შესაძლებლობა არქაიზმების თავისუფალი და უმტკივნეულო გამოყენებისა, რამდენიც ქართულ ენას“ (მ. ძიძიური). ეს „თავისუფლება“ და „უმტკივნეულობა“ ქართულ ენაში არქაიზმის ადრთხს განსაკუთრებულ დონეზე აყენებს, ვიდრე ეს შესაძლებელია სხვა, დღესდღეობით არსებულ ენათა სინამდვილეში. რუსული სამწერლო ენა თითქმის მთლიანად კონცენტრირებულია XIX საუკუნის კლასიკურ ლიტერატურაში: აქ გვიანტური ძალისხმევით იქცა იგი ალასიკურად. რუსულითვის არქაიზმია XVIII საუკუნის ენა. ხოლო ჩვენი სიტყვიერების დროული დიაპაზონი ვაცილებით ფართოა: ქართული მწერლობის ძირითადი ფასეულობანი მოქცეულია თითქმის მთელი ჩვენი ისტორიის ფარგლებში. შუა საუკუნეებსა და ჩვენს ხანას შორის. ამიტომ შეცდომა იქნება, თუ ჩვენს „არქაულობას“ რუსული ენის „არქაულობას“ გავტოვებთ. არ უნდა გავივიკრდეს, თუ თა-

ნამდროვე რუსი მწერალი არქაიზმებს მხოლოდ სტილისტურ ხერხად იყენებს, ხოლო ქართველი მწერლის ენაში ძველი ლექსიკა ამ მიზნებით არ იზღუდება. მისი გასაქანი უფრო ფართო და ამას ამჩნევს ყველა, ვინაც კი საქმე ჰქონია ჩვენს მწერლობასთან და საერთოდ ჩვენს ყოველდღიურ ყოფასთან. არქაიზმი, რომელიც ცოცხლობს და ქმედითია, უკვე აღარ არის არქაიზმი. ეს ცნება ქართულისათვის სრულიად განსხვავებული ოდენობაა და ამის დაზუსტება იყო საჭირო.

ა. თაყაიშვილის მეორე მნიშვნელოვანი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას ძველი ქართული მწერლობის ენა ახალ ქართულთან საპირისპიროდ სხვა სისტემა დ მიანია: „ენის ერთ სისტემაში იჭრება სხვა სისტემის სემანტიკური ლირებულებანი, რაც კონფლიქტში მოდის არსებულთან და იქცევა გაუგებრობის წყაროდ“ (№ 4, გვ. 137). თუ ეს ასეა, მთელი ჩვენი მწერლობა ამგვარი კონფლიქტებითა და გაუგებრობებით აღსავსე ყოფილა.

ზოგჯერ კრიტიკოსი იმდენად შორს მიდის, რომ ჩვენი წინაპრები ლამის ჩვენგან განსხვავებულ ვერა და გამოაცხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში რას უნდა ნიშნავდეს ეს ანალოგია, ქართული სინამდვილის მიმართ მიყენებულ: „ერთმანეთის ესმით აგრეთვე სლავ ხალხებს: დასავლულებს — ბულგარელებს, პოლონელებს, იუგოსლავებს, ჩეხებსა და სლოვაკებს; აღმოსავლულებს — რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, მაგრამ სხვადასხვა ენის წარმომადგენლებად ითვლებიან“ (№ 8 გვ. 136). აქ ჩამოთვლილი სლავი ხალხები ხომ დამოუკიდებელი ერებია, რომელთაც საკუთარი ელტურა აქვთ და საკუთარი ისტორია გამოუფლიათ. მაგრამ ჩვენ და ჩვენს წინაპრებს გვაქვს ერთი ცხოვრება — „ქართლის ცხოვრება“ და ერთი ენა — ქართული ენა. შეენიერებამ, რომელსაც უღარესი სიზუსტე და გამოწვლილა ევალება, „ენის ცხოვრებაში“ შესაძლებელია კიდევ მეტი პერიოდები და ფენები გამოიყოფ. მაგრამ ეს დაყოფა ნაყლებად შეხება ცოცხალ ენობრივ ადღოს. ხოლო ეს ალღო გრძნობს, რომ ძველი ქართული იგივე მშობლიური ქართულია, ოღონდ განსხვავებული ნიუანსით აღბეჭდილი.

განსხვავებულ სისტემის ბრალი არაა პეტრიწის, ვერც მცირისა და სხვა ფილოსოფოს ავტორთა მართლაც ძნელი და გაუგებარი ენა. პეტრიწის „არისტოტელობა“, მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური საგანი მოითხოვდა განსაკუთრებულ „ენას“. და იგი თვის დროულ სპეციალურად განსწავლული მკითხველისთვის

ზურაბ კიკნაძე
„არ შამამოკლოს ძართულში...“



იყო გამიზნული. პეტრიწი, ამ საქმის პიონერი, ამოშავებდა ჩვენი ფილოსოფიური ტერმინოლოგიას, და რა ვასაკერია რომ დღეს საგანგებო შესწავლის გარეშე ძნელია მის სემანტიკაში ჩაწვდომა. სპეცილიზებული ენა, მით უმეტეს თუ მასზე გადმოცემულია ურთულესი თეოლოგიური პრობლემები, მკითხველთა ფართო წრისათვის ყოველთვის გაუგებარი იყო და იქნება. თუმცა პეტრიწის სკოლის ნამოღვაწეებიდან ბევრი რამ შემორჩა ჩვენს დრომდე.

მაგრამ გამკვირვალა უარესად პირველი ქართული ძველი „შუშანიის წამება“, „სიბრძნე ბალავარისა“, „მამათა სწავლანი“ (იონან ოქროპირისა და სხვათა ქადაგებების ქართული თარგმანები), იონან მოსხის „ლიმონარი“, „ვისარამიანი“, საბა ორბელიანის ქადაგებანი, რომლებიც სწორედ ხალხის მიმართ იყო წარმოქმნილი და არა თითოთოროლა განსწავლულისთვის. კრიტიკოსი შეცდებდა, თუ იფიქრებს, რომ ძველად ხალხი კლასიკურ ენაზე მეტყველებდა. თუ ძველი აღქმის წიგნები გაუგებარია, ამის ბრალია მათი უხეირო, აზრობრივი და კორექტებული შეცდომებით სავსე გამოცემა. დამახინჯებული ენა ყოველთვის გაუგებარი იყო და იქნება.

ა. თაყაიშვილს კი ძველი ქართლის „ბუნდოვანებაში“ ეჭვი არ ეპარება, და მკითხველს სახარების ცნობილი ფრაზის საკუთარი რედაქციით ამინებს: „მუდგარო, ათივე ცხედარი შენი და ვიდრედე!“ თითქოს ასეთი „მისტერიული“ იყოს ძველი ქართული ენა და მის კვალზე „არქაისტული თარგმანებიც“. მსგავს შემთხვევებს ზემოხსენებულ ძველ ტექსტებშიც იშვიათად შევხვდებით, კიდევ რომ შევხვდეთ, — რა სათაქილოა „სიტყვისკონაში“ ჩახედვა (რასაც ასე უფთხობს კრიტიკოსი). თუ კი რეატომი „განმარტებით ლექსიკონში“ ვიხვდებით ხოლმე (ისიც უნდა ითქვას, რომ მშობლიური ენის სრულყოფილი ცოდნა კაცს დედის მუცლიდან არ დაჰყვება).

ქართული სალიტერატურო ენა დიდად შეეცავა 1500 წლის მანძილზე. მაგრამ ამ ცვლილებებს იგი იმდენად არ გარდაუქმნიათ, რომ „სხვა“ ან „უცხო“ ენად ქვეულოყო. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი ლიტერატურის ერთიანი ღერძი, ერთიანი სტოისიკეობა ძველი ჰიმნოგრაფიიდან ვიდრე რუსთაველამდე; ჰიმნოგრაფიიდან და რუსთაველიდან ვიდრე გურამიშვილამდე; ჰიმნოგრაფიიდან და რუსთაველიდან ვიდრე ბარათაშვილამდე; რუსთაველიდან, გურამიშვილიდან და ბარათაშვილიდან ვიდრე ილია ჭავჭავაძემდე, აყავი წერეთელამდე და ვაჟა-ფშაველამდე; რუსთაველიდან, ბარათაშვილიდან ილია ჭავჭავაძიდან, აყაკი წერეთლიდან და ვაჟა-ფშაველადან ვიდრე გალაკტიონ ტაბიძემდე... ესაა ჩვენი სულიერი

კულტურის ბერბემალი, ჩვენი ერის მატარებელი ჩადგმული. მის წიად დაუცხრომლად გაიარა მის მშობლიური ინტონაციები. ამის ძალით თანადროულში კვლავ ცოცხლობს ძველი და ძველისძველი: ეს ტრადიციულობა ფაქტია და სხვა საკითხია, შეგვიძლია თუ არა მისი ასანა.

სალიტერატურო ენის კონსერვატიულობა (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) ცალკეულ მწერალთა კაბრიზი არასოდეს ყოფილა: წინააღმდეგ ძველი გადავიწყების ტენდენციისა, იგი უდიდესი ფაქტორია, რაიც შესაძლებლად ხდის ინტეგრალური სამწერლო კულტურის არსებობას და შენარჩუნებას. ამის გარეშე მოიშლებოდა „დროთა კავშირი“ ერთიანად დასახული მწერლობისა და ენის თანმიმდევარ პერიოდებს შორის.

სწორედ ჩვენი წარსული კულტურის სიტუაციისთვის არის ნიშანდობლივი რუსი პეტრის ნათქვამი: **Отлучение от языка для нас равносильно отлучению от истории.** (მანდელშტამი). მშობლიურის გაუცხოება უკვე მომხდარი ფაქტია იმ ენათმეცნიერის შეგნებაში, რომელიც გამოთქვამს სურვილს „რა სჯობია, აღორძინდეს ჩვენი დიდებული წინაპრების მეტყველება, გვესმოდეს ენა, რომელზეც ითარგმნა „ბიბლია“ და „საღვთო წიგნები“, კვლავ ვიგრძნოთ უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“ და გენიალური „შერანის“ სტრიქონების სურნელი!“ (№ 4, გვ. 126). თითქოს რუსთაველი და ბარათაშვილი არქივის მტრები იყოს დაფარული და მათი სტრიქონების სურნელს დღეს ვეღარავინ გრძნობდეს! შემდეგ ეკითხება მთარგმნელებს, რომელთა ენაში, მისივე აზრით, სხეულებულ პოეტთა ინტონაციები მოისმის: „ბოლოსდაბოლოს, ვისთვის თარგმნით თქვენ?“ (№ 8, გვ. 140). მე ამგვარად შევეტრუნებ კითხვას: ვისთვის წერდნენ რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი, მის მიერ „არქაულად“ მონათლული მწერლები?

ა. თაყაიშვილის მესამე შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ენის კანონებს გარდღეულ მწიფელობას ანიჭებს, რომ მისთვის ენა „ემპირიულად ძველს“ და თვითონებით ვითარდება. რას ნიშნავს: „თვით ენის (და არა მწერლის!) არქაიზმები. სწორედ ენამ შეინარჩუნა ძველი ფორმები და საერთო-სახალხო საკუთრებლად აქცია“ (№ 8, გვ. 125). კრიტიკოსი ენის ფენომენის მართლაც იმ „არქაულ“ გავებას ეყრდნობა, რომლის შესახებ ერნსტ კასირერი, გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი, წერს: ასეთი შეხედულება ადამიანის მეტყველების განვითარებას ისე გვეისახავს, თითქოს იგი ფზიკური ავიცილებლობა ან მეტაფიზიკური ფატალიზმის მავარი რამ იყოსო. თითქოს ადამიანს ძალი არ შესწევდეს ჩაერიოს ენის განვითარებაში. („მიმოხილველი“ 4-5, 1968, გვ. 21).



მაგრამ არსებობს ის აზრიც, რომ ენობრივი პროცესი მთლიანად დამოკიდებულია ადამიანის აქტივობაზე. ენა მხოლოდ ემპირიული მოვლენა არ არის, იგი ერთსა და იმავე დროს სულიერი მოღვაწეობის იარაღიცაა და სფეროც. წინააღმდეგ შემთხვევაში თავზე მოხვეული ემპირიული სინამდვილე თავისი გარდუვალი კანონებით შეუძლებელს გახდის სავითოდ სიტყვიერ შემოქმედებას. როდესაც ამბობენ, რომ ენა ძლიერია და აზრის გამოხატვის მოქნილი საშუალება, არ იგულისხმება, თითქოს იგი რაღაც დამოუკიდებელ ორგანიზმს წარმოადგენდეს და საკუთარი სიცოცხლით ცოცხლობდეს. ენის სიძლიერე გულისხმობს უპირველეს ყოვლისა მასზე მოლაპარაკე კოლექტივის ინტელექტუალურ ძალმოხილვას, მხოლოდ მინებულ პიროვნებას ძალუძს მიანიჭოს ენას რაიმე ღირებულება. განსაკუთრებით ლექსიკის სფეროზე ითქმის ეს. სულიერი მცონარების შედეგად „თავის ნებაზე“ მიშველებული სემანტიკური პროცესი იმდენად დაბლა შეიძლება დაეშვას, რომ მის უქუშეკცევას ვერავითარი ენათმეცნიერება ვეღარ უშველის. მით უმეტეს საშიშია ეს ინერტიულობა, რომ თურმე ბუდაგოვის აზრით (ა. თაყაიშვილი ეყრდნობა მას) არსებობს საარქაიზმოდ გამზადებული ლექსიკა. ისდა დარჩენია მეტყველ ადამიანს უღარაჯოს მის თანდათანობით კვდომას (რათა შემდეგ სტილისტიურ ხერხად გამოიყენოს მხოლოდ), რადგან ვერაფერი დამოუკიდებლად „დამაძველებელ“ კანონებს. მაგრამ უკეთუ გაცნობიერებული გვაქვს ლექსიკური მარაგის დამკვილებობა ტენდენცია, ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ხელთა მისი შემკავებელი საშუალება.


ახლა განვსაჯოთ, რა მოვლის სამწერლო ენას, უკეთუ მას სალაპარაკო ენის დონიდან განვსაზღვრავთ. რას მოგვცემს თავშეკავება ლექსიკის უძველესი შრეების მიმართ, რომელთა შორის ჩამარხული ნიუანსები ახალ წარმონაქმნებთან ერთად მრავალფერო სამყაროს სურათს გამოავსიან?

მო წერდა საბა ორბელიანი, მაგრამ უდავოდ არ იქნება აქ მოვითხოვო მისი სიტყვიერება. „თუცა უბაღო სახელი აღმოიხოცოს, მერმელა უდარესი მოაკლდეს უდარესსა და დმერთი და დარჩეს უკეთესი და სხუა არარა, და შემცირდების ენა ქართული“. თანმიმდევრული „გაახალქართულების“ შედეგად უმაღლესი „თუცა“ ამოვარდება ქართული ენიდან, ეს „არქიარქული“ სიტყვა, მას მიჰყვება უდარესნიც და საბოლოოდ შეგვრჩება აკაცი აკაციეონის „ყოვლითქმელი“ ТОГО-ს რაიმე ქართული შესატყვისი.

ჩვენ უკვე იმ ხანაში ვართ, როდესაც დიდიქტები და სალაპარაკო ენა სამწერლო ენის გავლენას უნდა განიცდიდეს. დრო იყო, როცა ქართულ სამწერლო ენას სასაუბრო მეტყველება დედათ საფუძვლად. მაგრამ დღეს ორიენტაცია სამწერლო ენიკენა მიმართული. ეს ბუნებრივია. წიგნური კულტურის უდარესი განვითარების საუკუნეში (ვითავისწინებთ რამომავალ პროგრესს ამ საქმეში) პირუქუ პროცესი წარმოუდგენელიცაა. ამიტომ გაუმართლებელია მავან ემპირიულ სუბიექტზე დაყრდნობა, როცა საქმე ეხება ზედროული, ზოგადქართული ენის მარაგს, სადაც ძველქართული ლექსიკა ცოცხალ ნაშთად შემოდის. მხოლოდ იდეალური სუბიექტის მახსოვრობაზეა დამოკიდებული, რაზომი სიცოცხლით შეინახება იგი და ნეშტად არ იქცევა.

იგი ისედაც განუშორებელია ყოველი განათლებული ქართველის ენობრივი შეგნებისგან. მოაზროვნე, მწერალი თუ მთარგმნელიც კლავ და კლავ მიუბრუნდება ამ „წყაროს დაბემდულს“. ნუთუ ლიტონი სიტყვიერია შთაგონებული „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, სადაც ჩვენი ენის დროული მასშტაბი ქვეყნის აღსასრულით არის გაზომილი? დღეს ჩვენ ვცოხხულობთ ათი საუკუნის უკან დაწერილ წინასწარმეტყველებას და ერთი სიტყვაც არ გვრჩება გაუგებარი. ნუთუ რაღაც წილი წინასწარმეტყველებისა არ მართლდება ამ ფაქტით?





ა. კოლოსკოვი

«კონტის ტრაგედია»

3

წინამდებარე თავში ჩვენ სრულად არ გვიწყობია ის მწარე წუთები, რომელთა განცდა და ვადატანა მოუხდა მიაკოვსკის და ისიც იმ პერიოდში, როდესაც იგი თავის საუკეთესო ნაწარმოებებს ქმნიდა. ჩვენ კიდევ ვიტყვი, რა განსაკუთრებული სიმძიმე და სიძნელეები ახლდა პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს, კვირებს, დღეებს, ახლა კი შევეხებით ტრაგედიის მეორე მხარეს.

პირველი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მიაკოვსკი არ იყო იზოლირებული ლიტერატურულ წრეებში. ჰყავდა ამხანაგები, თანამოსაგრენი, მეგობრები. ყოველ შემთხვევაში, ასე გვესახება პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება, როდესაც ვკითხულობთ მოგონებებს მის ირგვლივ.

1963 წელს გამოვიდა სქელტანიანი წიგნი „ვ. მიაკოვსკი თანამედროვეთა მოგონებებში“. წიგნის ავტორთა საემოოდ დიდ ნაწილს პრეტენზია აქვს, თავი გამოაცხადოს მიაკოვსკის „უახლოეს“ მეგობრად. იმავე წიგნში ვხვდებით ნ. სერებროვის (ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტიხონოვის) მოგონებებს. ნ. სერებროვი იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი გამოცემლობისა „პარუს“, სადაც 1916 წელს გამოვიდა მიაკოვსკის პირველი კრებული — „უბრალო, როგორც ბღაილი“. ნ. სერებროვის არ მოაქვს თავი მიაკოვსკის მეგობრად. აი, რას მოგვითხრობს იგი.

„მიაკოვსკის ბევრი მეტრი ჰყავდა. პოეტი მათ „ბურჟუებს“, „მეშინებს“, „უარმაცევტებს“ და „ვიგინდარებს“ უწოდებდა. ისინი დევნიდნენ მას პრესაში, რობროზებდნენ მის პიესებზე, მეგობრულად ეუბნებოდნენ, შენი ნიჭი დაიშრიტაო და მწაკერულად ეკითხებოდ-

ნენ, როდის მოიკლავ ბოლოს და ბოლოს თავსო.

გორკის არა ერთხელ უთქვამს მიაკოვსკისთვის; ბრძოლაში თავს მულამ მეტოქეზე ძლიერად უნდა გრძობდეთ, მაგრამ პოეტი ყოველთვის როდი მიჰყვებოდა ამ რჩევას.

ესტრადაზე და, საერთოდ, სახლში გამომწვევად ეჭირა თავი, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ღამე გაუტებია სევდისაგან, შუალაული თავმოყვარეობისაგან დატანჯულს, საკუთარ ნიჭსა და ძალაში დაიკვებულს.

ერთი ასეთი უძილო ღამეთაგანი იყო, მოსკოვში რომ შეხვდეთ მას. უწარმაშარი შავი კაპარჩივით წამოშენა ზემოდან, ღუბანიანიდან. ნეგლინაიაზე შევეჩახეთ ერთმანეთს.

— ახი წელია არ შემხედვინიხართო.. რატო არ შემოავლით ხოლმე?

მოსკოვის ქუჩებს ვაყუევით და გათენებამდე ვიარეთ: ხან ის მაცილებდა პრეჩისტენკაზე, ხან მე მას ღუბანიკაზე.

მოსკოვს ეძინა. მთელ ქალაქში მხოლოდ ჩვენ ორნი ვლანარაკობდით და ორთქლმავლები თუ გაპკიოდნენ ვაგზებზე.

„ჩანდაბას — გუფუნებდა ის და ამერიკული ფხესხამლის ღანჩას ძალუმად ურტყამდა მოხვივის ქსჩას, — კმარა პუშკინით ჩემი დაყვედრება... მომბეზრდა... სახელი და დიდება სიკვდილის შემდეგ მოვა. მკვლარსაც სიკვდილის შემდეგ ეზრდება წვერი... სიცოცხლეში მე წვერს ვიპარავ.

პუშკინის წვერი გრძელია. უკვე საუფუნო ვარცხნიან, ჩემი პელინსკი კი სადაა? ვინაა ვიანჯემსკი? მეგობრები?.. მე არა მყავს მეგობრები...

— ჩანდაბას! — გაჰყვიროდა და ტვერსკა-



იას ხელჯობით ხვრტდა. მიაფურთხეო! — აღ-
ვილი სატყმელა... მე აღარ ვიფურთხები,
სისხლს ვადებინებ...¹

ღიან, მიაკოვსკის ჰქონდა უფლება შური
აღძროდა პუშკინის მიმართ. პუშკინს ჰყავდა
არა მარტო ბელინსკი, რომელმაც სიცოცხლე-
შივე შეაფასა პოეტის გენია, ჰყავდა არა მარ-
ტო ვიაზემსკი, არამედ ბევრი სხვა გულწრფე-
ლი მეგობარი და თანამოსაგერ ლიტერატუ-
რულ ბრძოლაში — ექუოვსკი, ბატიუშკოვი,
დელაევი, კიუხნელბეკერი, რილევი, პუშჩინი,
ბარიატინსკი, იაზიკოვი...

მიაკოვსკის მეგობრებს შორის კი არავინ
იყო ისეთი, ვისაც ისევე ეყვარებოდა პოეტი,
როგორც, მაგალითად, პუშჩინს უყვარდა პუშ-
კინი. პუშჩინი გადასახლებიდან იწერებოდა:
„მე მგონი, ჩემი თანდასწრებით რომ მომხდა-
რჩეთ ეს უბედურება და მე კ. დანზასის აღ-
ვილზე ვყოფილყავი, საბედისწერო ტყვიას სა-
კუთარ მკერდს მიუღწერდი. გამოენახვდი სა-
შუალეხას, გადამერჩინა პოეტი — მეგობარი,
რუსეთის დიდება და სიამაყე...“

ბევრი მათგანი, ვინც თავს მიაკოვსკის მე-
გობრად რაცხდა, თითი ისინიც კი, ვისაც პო-
ეტი თავის მეგობართა რიცხვს მიაკუთვნებდა,
სინამდვილეში ცრუ მეგობრები აღმოჩნდნენ.

თავის „განმარტებით ლექსიკონში“ ვლადი-
მერ დალი ასე ხსნის სიტყვას „МНИМЫЙ“ „მზო-
ლოდ და მზოლოდ წარმოდგენაზე დაფუძნებუ-
ლი, არაქვეშაირი, არანამდვილი, ფუჭი და
წარმოსახვითი, მოჩვენებითი და ცრუ“. ეს გან-
მარტება ზედმიწევნით მიესადაგება მიაკოვსკის
იმ მეგობრებს, რომლებზედაც ქვემოთ გვექნე-
ბა საუბარი. ღიან, აუცილებელია, ვილაპარა-
კოთ ამ მეგობრებზე, გამოვთქვათ მათ შესახებ
აზრი; დაქტებზე და დოკუმენტებზე დაყრდნო-
ბით გამოვავლინოთ მათი ნამდვილი, ქვეშა-
ირიტი სახე და ამის შემდეგ ჩამოვხსნათ დიდი
პოეტის მეგობრებს მოჩვენებითი დიდების ცრუ
შარავანდელი, ყველაფერი ეს გამოწვეულია
შემდეგი გარემოებით.

მიაკოვსკის ზოგიერთი მეგობარი (ჭერჯე-
რობით ბრწყალეების გარეშე ვიხმართო ეს სი-
ტყვა) პოეტის სიცოცხლეშიც ბოროტად იყე-
ნებდა მის ნდობას. მიაკოვსკის სიკვდილის შემ-
დეგ კი დიდი პოეტის სახელით პირადი განდი-
დებნისათვის სარგებლობდა, არ ერიდებოდა
ღაქტების დამახინჯებას.

ჭერჯერობით დვასახელებთ ერთ აღმაინს.
ესა ოსბ ბრიკი. ზოგიერთი ისე წარმოგედ-
გენს საქმეს, თითქოს ოსბ ბრიკი, არც მეტი,
არც ნაკლები, მიაკოვსკის მოძღვარი, იდეური
დამრიგებელი ყოფილიყოს, ღიან, ღიან, ეს
ხუმრობა არ გვგონოთ. ერთხელ ლ. და
ო. ბრიკების ახლობელმა მწერალმა კითხვაზე,
ვინ იყო ოსბ ბრიკი და რით იყო დაკავში-
რებული მიაკოვსკისთან, უყოყმანოდ უპასუხა:
„ოსბ ბრიკი მიაკოვსკისათვის იგივე იყო, რაც
ჩაპაევისათვის ფურმანოვი“.

ზედმეტად მიმნდობ ნ. ასევეს ბრიკი „სიბრ-
ძნის წყაროდ“ მიანდა და ამბობდა: „ბრიკი
შესანიშნავად ფლობდა როგორც ხელოვნების
თეორიას, ისევე მარქსიზმის კლასიკოსების
მოძღვრებას“. ბრძანდ და თეორეტოსხად
წარმოგვიდგება ო. ბრიკი ვ. შკოლესკის მოგო-
ნებებშიც: „ბრიკი უმთავრესად ყველაფერს
თეორიულად არკვევდა“. შეიძლება შევხედეთ
ისეთ განცხადებებსაც, თითქოს „მიაკოვსკის
ერთადერთი მრჩეველი, რომელსაც ის უფრო
ენდობოდა, ვიდრე საკუთარ თავს, იყო
ო. მ. ბრიკი“. 1958 წელს კრებულში „ახლო
მიაკოვსკის შესახებ“ ლ. ბრიკი წერდა: „ოსბ
მაქსიმეს ძე ჩემი პირველი ქმარი იყო. ცამეტი
წლისა შევხვდი მას, ეს მოხდა 1905 წელს. გიმ-
ნაზიამი, სადაც მე ვსწავლობდი, ის პოლიტ-
ეკონომიის წერს ხელმძღვანელობდა. ექვორწი-
ნეთ 1912 წ. როდესაც ვუთხარი, მე და მია-
კოვსკის ერთმანეთი გვიყვარს-მეთქი, ჩვენ ყვე-
ლამ გადავწყვიტეთ, არასდროს არ დავშორებ-
ბოდიეთ ერთმანეთს, მიაკოვსკი და ბრიკი უკ-
ვე მაშინ იყვნენ ახლო მეგობრები, მათ აკავ-
შირებდათ იდეური ინტერესები და ერთობლი-
ვი ლიტერატურული მუშაობა. ასეც მოხდა,
ჩვენც ცხოვრება, სულიერად და მეტ წილად
ტერიტორიალურად ერთად გავატარეთ“.

დადგა დრო გავარკვოთ, რა არის ამ სიტყ-
ვებში მართალი და რა — ტყუილი. მართალია
ის, რომ ორი მათგანი — ლ. ბრიკი და ო. ბრი-
კი „სულიერად, და უმეტეს შემთხვევაში ტე-
რიტორიალურადაც“ (ო. ბრიკის სიკვდილამდე-
1945 წელს) ერთად ცხოვრობდნენ. მერე მა-
იკოვსკი? 1916-1917 წლებში იგი პეტროგრად-
ში მსახურობდა, ცხოვრობდა სასტუმროში და
რამდენიმე ხანს ბრიკების ბინაშიც. 1919 წელს
პოეტი გადავიდა მოსკოვში და ლუბიანსკის გა-
სასვლელში მიიღო ბინა. 1926 წელს მან ბინა
მიადებინა ბრიკებს გენდრიკოვის შესახვევში.
თეთონად ჰქონდა იქ პატარა ოთახი, მაგრამ
უმეტესად მინც ლუბიანსკაზე ცხოვრობდა და
მუშაობდა. არც ისაა მართალი, თითქოს მია-
კოვსკი და ბრიკები „სულიერად“ იყვნენ და-
კავშირებულინი.

ენახთო, რას წარმოადგენდა სინამდვილეში
ო. ბრიკი. იგივე ვ. შკოლესკი, რომელიც მო-
აზროვნედ და თეორეტოსხად გვისახავს ბრიკს,
გუაუწყებს, რომ იმ დროისათვის, როცა მა-
იკოვსკი გაიცნო, „ოსბ ბრიკი არაფერს წერ-
და და ლიტერატურაც ეზიზღებოდა“. ლ. ბრი-
კი, რომელიც ამ დროისათვის უკვე ო. ბრი-
კის ცოლი გახდა, ასე ავსებს ამ ცნობას:

1. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტომი 65.
ახალი მიაკოვსკის შესახებ. სსკე მას გამომ-
ცემლობა. მოსკოვი, 1958, გვ. 101.

ბ. კოლმსკოვი
„პომტის ტრაგედია“



„მანამდე ლიტერატურისადმი პასიურად ვიყავით განწყობილი. მართალია, სტუდენტობის დროს, ჭერ კიდევ მანამ, სანამ დაქორწინდებოლმით, ოსიამ და მისმა ორმა ამხანაგმა ვანიზრახეს ფულის გაკეთება და დაწერეს რომანი სათაურით — „შებრძოლთა მეფე“. რომანის დაბეჭედა ნაწილ-ნაწილად გადაწყვიტეს, პირველმა ნაწილმა, რომელსაც გარეყანზე შესაბამისი სურათი ჰქონდა, მეგავთეების მოწონება დაიმსახურა, მეორე ნაწილი ცოტა დაგვიანებით გამოვიდა და უფრო ცუდად გასაღდა, მესამე კი მეორე ნაწილის გამოსვლიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ ჩააბარეს. ვაზეთის გამოცემელმა ავდებულად დახედა ხელნაწერს და თქვა: „მე რომანი მეგონა, ეს კი უბრალოდ აბლაბუდაა“.

სამუშაო ხელისუფლების პირველ წლებში მოხერხებული ბრიკი გაზეთ „ისკუსტვო კომუნის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელოვანი გახდა. ეს გაზეთი პეტროგრადში გამოდიოდა. შესლოცვი კიდევაც ამტკიცებდა, რომ „ისკუსტვო კომუნის“ სწორედ ბრიკი გამოსცემდა, გაზეთი ფსევდორევოლუციურ ხასიათს ატარებდა, ხელოვნების საეთხეზში წაიშეშარცხნებდა, უხეში უტილიტარიზმით გამოირჩეოდა. შეიძლება ითქვას, რომ გაზეთის მცდარი მიმართულება ყველაზე მკვეთრად ო. ბრიკის პუბლიკაციებში გამოვლინდა.

მაიაკოვსკიმ, როგორც ცნობილია, გაზეთში „ისკუსტვო კომუნი“ რამდენიმე ლექსი დაბეჭდა, მაგრამ რა რიგ განსხვავებული იყო მისი და ო. ბრიკის აზრები ხელოვნებაზე.

„ისკუსტვო კომუნის“ პირველ ნომერში, პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო მაიაკოვსკის ლექსი „ბრძანება ხელოვნების არმიას“ ხოლო გვერდით ო. ბრიკის წერილი „დრენაეი ხელოვნებას“. თავის „ბრძანებაში“ — ახალ გაზრდულ, ლაღ, რევოლუციური აღმადრენით აღსავსე ლექსში — პოეტი მოითხოვდა, რომ ხელოვნება მასობრივი, სახალხო გამხდარიყო:

Довольно грошовых истин,
Из сердца старое вытри.
Улицы — наши кисти .
Площади — наши палитры.

ის წუხდა: «Книгой времени тысячелетней революции дни не воспеты», ლაპარაკობდა ხელოვნების უდიდეს შთამავრნებელ რეალზე სოციალიზმისათვის ბრძოლაში:

Это мало — построить парами,
распушить по штангине канты.
Все совдепы не сдвинут армий,
если марш не дадут музыканты.

ხოლო საითკენ მოუწოდებდა, რას აცხადებდა ო. ბრიკი წერილში, რომელიც მოთავსებული იყო მაიაკოვსკის „ბრძანების“ გვერდით? აი მისი ძირითადი მოტივები: „პროლეტარიატი-

სთვის იღევა — არაფერია, კიდრე იგი ხორც შესხმული არაა, განხორციელების გზაზე დგას“, საჭიროა შევექმნათ „არა იღებების კორინტელი, არამედ მატერიალური ნივთი“, „არა იღევა, არამედ რეალური ნივთია ყოველგვარი კემპარტიტი შემოქმედების მიზანი“.

არანაკლებ საუფლისხმოა მეორე შემთხვევაც. გამოაქვეყნა რა „ისკუსტვო კომუნის“ მეორე ნომერში ლექსი „სისიარული ნადარვეთა“, სადაც აღგილი ჰქონდა მცდარ პოლემიკურ გამოხდომას „გენერალ კლასიკოსთა“ წინააღმდეგ, მაიაკოვსკი დაეშურა გამოესწორებინა შეცდომა და უთქვე ორი კვირის შემდეგ იმავე გაზეთის მეოთხე ნომერში დაბეჭდა ლექსი „იქითა მხარეს“, სადაც ნათლად და გასაგებადაა განმარტებული, რომ მის მიერ „გენერალ კლასიკოსთა“ უარყოფა მიმართულია, უპირველეს ყოვლისა, მათ წინააღმდეგ, ვინც რევოლუციის უბირისპირდებოდა: **За цельность Венеры... Готовы щадить веков камарилью»** — წერდა ის მათზე. ლექსი თავდებოდა მკვეთრად გამობტული აზრით:

Когда ж
прорвемся сквозь заставы,
и праздник будет за болью боя, —
мы
все украшенья
расставить заставим —
любите любое!

„ისკუსტვო კომუნის“ იმავე ნომერში გამოაქვეყნდა ო. ბრიკის წერილი „გადარჩენილი ღმერთი“. მაიაკოვსკის საწინააღმდეგოდ ბრიკი დაიწინებით უარყოფდა კლასიკურ ხელოვნებას. გულმოსული ამბობდა, რომ ძღვეამოსილ პროლეტარს ეშინია „ფეხის შედგას“ სილაპარაკის ტაძარში და დაიხანო ხელოვნების ღვთაება. ის აღშფოთებული იყო მით, რომ „სისიარულის არ მცოდნე რევოლუციონერი გაცხარებით იცავს პუშკინს, რაფაელს, მიქელ ანჯელოს და ხელოვნების სხვა „წმინდა მამებს“. მართალია, წერილში ნათქვამია, რომ არაეინ არ აპირებს პუშკინის თხზულებათა განადგურებას, არც რაფაელის სურათების დაწვეს, არც მიქელ ანჯელოს ქანდაკებათა დამსხვრევას“, რომ „ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ სიწმინდის შარავანდელზე. მაგრამ შემდეგ წერდა: „საჭიროა ყოველდღე ვაფუროთხოთ ხელოვნების საკურსხეველს“ — თქვა მარინეტემ. ის მართალია. მეტისმეტად მოჭარბდა წმინდანობა, მოჭარბდა კერპოთაყვანისმცემლობა ჩვენს დამოკიდებულებაში ხელოვნებისადმი, მეტისმეტად ნაკლებია შეგნებულ მიდგომა და სალი კრიტიკა“. ბრიკს ერთიმეორეზე მოჰყავდა იტალიური იმპერიალიზმის იდეოლოგიის მარინეტის ციტატები იმაზე, რომ ძველ სურათში შეიძლება დაინახო მხოლოდ „მატკრის მძიმე კრუნჩხვა“, რომ ძველი სურათით აღტაცება — ნიშნავს, ჩვენი



გრძნობების საწესდებ ურნაზე დანთხვეას და ა. შ.

შემდეგში, როდესაც მიაიკოვსკიმ დაარსა ჟურნალი „ლევნი“ მერე კი „ნოვი ლევი“, ო. ბრიკი ამ გამოცემათა მუდმივი თანამონაწილე ხდება, მისი პოზიცია ხელოვნების დარგში კი, მიუხედავად მცირეოდენი ცვლილებებისა, ძირითადად მაინც იგივე — ვულგარიზატორული და ანტიმარქსისტული დარჩა...

„ლევნი“ და „ნოვი ლევი“ მიაიკოვსკის სურდა გაეერთინებინა ძალები, რომელნიც დაეხმარებოდნენ დაეცვა რევოლუციური, პარტიული ხაზი ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მაგრამ, საუბედუროდ, პოეტი ზედმეტად ენდობოდა ბრიკს. მას, ბრიკს, ლევის თეორიული ძალების ერთგვარი ორგანიზატორის როლი ეყუთვნოდა და ამ ძალებს იგი თავის მსგავსთა, თავის თანამოაზრეთა შორის დაეძებდა. აქედან მომდინარეობს მკვეთრი წინააღმდეგობანი მიაიკოვსკის რევოლუციურ პრაქტიკასა და როგორც ძველი, ისევე „ახალი“ ლევის თეორეტიკოსთა ვულგარიზატორულ, ლეკვიდატორულ შეხედულებათა შორის. და ისევე ეხედვით ო. ბრიკს ანტიმარქსისტული ვულგარიზატორობის „მოწინავე“ პოზიციებზე. წერილში „ე. ვ. ფორმალური შეთოლი“ ბრიკი ამტკიცებდა, რომ „არ არსებობენ პოეტები და ლიტერატორები, არსებობს პოეზია და ლიტერატურა“, რომ „პოეზიის ისტორია — სიტყვიერი ვაფორმების საშუალებათა განვითარების ისტორიაა“. წერილში „არა თეატრში, არამედ კლუბში“ ლაპარაკობდა რა ვ. მიერეპოლისის წარუმატებლობაზე შიგნიდან „აეფეთქებინა“ თეატრი, ბრიკი ირონიულად აცხადებდა, რომ სულაც არაა საჭირო მისი აფეთქება: „დე იდგავს, როგორც ძველი დროის ხელოვნების საბრძოლო ძეგლი“. მას მიაჩნდა, რომ მუშებისათვის კლუბიც საკმარისი იყო, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება მივცეთ მათ ცირკი და ესტრადო. წერილში „სურათიდან ჩითამდე“ ბრიკი ამბობდა, რომ „სურათი კვდება“, რადგანაც ის „განუტყუვდა და დაკვირვებული კამბრალისტური წყობილების ფორმებთან“ და ამტკიცებდა, რომ „შემოქმედებით ყურადღების ცენტრში ახლა ჩითი ექცევა“, „დაზგური სურათი, — წერდა ბრიკი, — არა თუ არ სჭირდება ჩვენს თანამედროვე მხატვრულ კულტურას, არამედ წარმოადგენს მისი განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძლიერ დამამუხრუტეველს“. წერილში „შხამსაწინააღმდეგო“, ბრიკი მოითხოვდა გაემყვებინათ კინოდა ამ ყველაფერი ემოციური, და დეატოვებიანთ მხოლოდ შიშველი ფაქტი: „საჭიროა სრულიად გულახდილად ითქვას, რომ კინოფილმში ჩვენ არ ვაპირებთ აღძვრათ მაყურებლის სიხარულის გრძნობა, ან მწუხარება, ჩვენ ვინადა ვაჩვენოთ მხოლოდ საჭირო ფაქტები და მოვლენები“.

თავის ცალკეულ პუბლიკაციებში ბრიკი უპირისპირდებოდა მიაიკოვსკის, მის ლიტერატურულ-პოლიტიკურ ხაზს. მან დაბეჭდა „ნოვი ლევი“ წერილი ფადეევის რომანზე „განადგურება“, სადაც მტად უარყოფითად ეხმაურებოდა ამ რომანს, მიაიკოვსკიმ კი განაცხადა: „ფადეევის „განადგურება“ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფაქტებისმოყვარული დენკანის ჩანაწერები“ და ამით აშკარად უარყო ბრიკის გამოხმარება და მისი თეორიული დაყრდნობა შიშველ ფაქტებზე. ვ. შკლოვსკი, იხსენებდა რა ლევის პერიოდს, წერდა:

„ლევნი პოეზიას მიჰყავდა ხელოვნება. ბრიკი წინააღმდეგი იყო პოეზიის და პოეზიის. ის ამბობდა: „პოეზია საერთოდ არ არის საჭირო“.

მაშ რა არის საჭირო? გავითი. მუშათა აუდიტორიაში მას პასუხობდნენ: კარგი, დილით გავითი. საღამოს კი, რა? საღამოს — საღამოს გავითი.

ბევრი იცნობდა ბრიკს არა მარტო როგორც ფორმალზმის თეორეტიკოსს, არამედ როგორც უბრინციბო საქმოსანს. ა. ე. ლუნჩარსკიმ ლევის შესახებ დისპუტზე ასე დაბანათა ო. ბრიკი: „განა ცხადი არ არის, ვისთან გვაქვს საქმე? ეს არის ადამიანი, რომელსაც არავითარი მრწამსი არ გააჩნია...“

და აი, აღარ არის მიაიკოვსკი. ოსო ბრიკი ერთიმეორეზე აქვეყნებს წერილებს, სადაც პოეტი გამოჰყავს რაღაც ზერელე განათლების მქონე პოლიტიკურ ბეცად და უსინდისოდ ახვევს მას საკუთარ ცოდვებს.

წერილში „მიაიკოვსკი — რედაქტორი და ორგანიზატორი“ ბრიკი გულმოდგინედ იხსენებს მიაიკოვსკის ხელისმწერას თავისი ხელისმოწერის გვერდით კანცელარულ ქაღალდებზე, აკისრებს მას წვერილმან საქმეთა შუამავლის როლს და მარჯვედ უელის გვერდს მიაიკოვსკის მთავარ დანიშნულებას, იმას, რომ იგი დიდადი სოციალისტური რევოლუციის პოეტი და მეტროლო იყო, მოჰყავდა რა მიაიკოვსკის ცნობილი სიტყვები: „უნდა მივესალმოთ ახალ ხელისუფლებას და კონტრადიქციულად მასთან“, — ნათქვამი პოეტის მიერ 1917 წლის 17 (30) ნოემბერს, ბრიკი წერდა: „იმ დროისათვის მიაიკოვსკიმ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შეიგნო იმ დიდ ამოცანათა არსი, რომელიც იღდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ჩვენი ქვეყნის კულტურული და, კერძოდ, მხატვრული ცხოვრების ვარდაქმნის საქმეში. საჭირო გახდა მთელი შემოქმედებითი ცხოვრების გამოცდილება, რათა აღმოფხვრილიყო გვერეთწოდებულის. „მემარცხენე“ ხელოვნების ცრურწინა“. ბრიკი

ა. კოლმსკოზი
„კომიტის ტრაზედია“



ივეკ ამტკიცებდა, თითქმის მიაკოვსკის „ესთე-ტრატორ შეხედულებებში იყო ყველაზე მეტი შედეგობები“, და უპირველეს ყოვლისა, „კულტურული მემკვიდრეობისადმი ლენინური დამოკიდებულების გაუფერობა“, რომ მეტად ძლიერია „მემარცხენე“ ხელოვნების ცრუ პრინციპები, და თითქმის მიაკოვსკი დაეადებულ იყო „კულტურაზე წვრილბურჟუაზიული ანარქისტული შეხედულებებით“, რაც მას თავდაპირველად არ აძლევდა „საშუალებას ბოლომდე ჩაწვდომოდა პროლეტარული რევოლუციის არსსა და ამოცანებს“. მაგრამ არსებითად ხომ ამავეს ამბობდნენ მიაკოვსკიზე პოეტის მტრები.

მეორე წერილში, მოჰყავდა რა მიაკოვსკის იგივე სიტყვები: „საჭიროა მივსიალმოთ ახალ ხელისუფლებას...“ — ბრიკი ასეთ კომენტარს უკეთებდა მათ: „პოლიტიკურად ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ მიაკოვსკიმ ერთბაშად ვერ შეძლო კონკრეტული, საქმიანი კონტაქტების დამყარება საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან“. თურმე „უბრიველეს ყოვლისა, საჭირო იყო შეთანხმება განათლების სახალხო კომისართან ამხანაგ ა. ვ. ლუნაჩარსკისთან“, მაგრამ „შეთანხმება“ ვერ მოხერხდა, და იმედგაქრუებული მიაკოვსკი, რადგან „პეტროგრადში „მემარცხენე“ ხელოვნების პროპაგანდისათვის სხვა გზები ვერ გამოიყენა“, გაემგზავრა მოსკოვს, სადაც დ. ბურლიუთან და ვ. კამენსკისთან ერთად სცადა ელაპარაკა ხალხთან ლუნაჩარსკის ჩაურევლად. ბრიკი დაცინვით ამბობს „საუბარი ხალხთან“ მიმდინარეობდა „პოეტთა კაფესა“ და კაფე „პიტო-რსკისა“ ესტრადიდან.

სინამდვილეში მიაკოვსკის არავისთან შეთანხმება არ ესაჭიროებოდა: მან დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის მუშაობა რევოლუციის პირველ დღეებიდანვე. „წუფელი სმოლნოში. ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მომხვდებოდა“, — ნათქვამია მის ავტობიოგრაფიაში. შემდეგშიც განაგრძობდა თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან. უკვე 1917 წლის დეკემბერში გამოვიდა მისი პოემა „ომი და მშვიდობა“, შემდეგი წლის თებერვალში კი — პოემა „დაძინი“ და მეორე, სრული გამოცემა პოემისა „შარლოანი ღრუბელი“. გარდა ამისა, მიაკოვსკი მუშაობდა „მოსტერია-ბუფზე, დაწერა სამი კინოსცენარი და თეოთანეც თამაშობდა ეკრანზე. რაც შეეხება მის გამოსვლებს მოსკოვში, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე, აი ისინიც: 1917 წლის 30 დეკემბერს (1918 წლის 12 იანვარს) — პოლიტექნიკურ მუზეუმში. დეკემბრის ბოლო რიცხვებში — ცირკში, 1918 წლის 2 (15) თებერვალს, 27 თებერვალს, 16 მარტს, 23 მაისს — პოლიტექნიკურ მუზეუმში.

ო. ბრიკმა, რომელიც ტრამპიზობდა მიაკოვსკისთან სახალხოვით, მთელ რიგ წერილებში

გამოამყვანა, რომ მას არასდროს — არც პოეტის სიცოცხლეში, არც სიკვდილის შემდეგ — არ ესმოდა მისი. ბრიკმა ვერ შეძლო ნაწარად შეეფასებინა პოეტის უმოთავერის ნაწარამოებები. მიაკოვსკის ოქტომბრის რევოლუციამდე დაწერილ ლექსებში იგი ხედავდა „მხოლოდ ანარქიულ ბუნტარულობას“, ხოლო როდესაც განიხილავდა ბოლო წლების ნაწარამოებებს, უსაყვედურებდა პოეტს: „კარგას!“ რიგ თავებში ლირიული სინაზე თითქმის მოღუწეულობის მიჯნაღდა მიყვანილო. მიაკოვსკის მეორე შესანიღვა ნაწარამოებ — პოემას „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“ — ბრიკი ამგვარად ეხმურებოდა: „მესიანობის“ კვალი, რომელიც მეტად დამახასიათებელია მიაკოვსკის რევოლუციამდელო პერიოდის შემოქმედებისათვის, პოემა „ლენინშიც“ შეიმჩნევა... ის სტროფები, რომლებიც ლენინს „მხსენებდა“ ასახევენ, იდეალისტურია. მათში მიაკოვსკიმ ვერ შეძლო ეპოვანა პოეტური ფორმულირებანი პროლეტარული ბეღლის საწინათვის. ბრიკი ბრალს დებდა მიაკოვსკის იმაში, რომ პოეტი ზოგჯერ „მეტისმეტად მძაფრად გამოხატავდა პირად რეაქციას ბურჟუაზიულობის ყოველ გამოვლენაზე ჩვენს საბჭოთა ყოფაში, და ამტკიცებდა, თითქმის მას არ ეხერხებოდა კულტურული მემკვიდრეობის მკვეთრი გამოგენა კულტურული ეპიგონობისაგან“ და ა. შ. და ა. შ.

რაგორღა შეიძლება ო. ბრიკი მიაკოვსკის მიაკოვსკის მეგობართა რიცხვს და ამასთან ამტკიცო, რომ მათ „იდეურ ინტერესთა ერთიანობა აკავშირებდათ“?

იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ მთვანზეც, ვინც პოეტის „უახლოეს“ მეგობრად თვლიდა და თვლის თას.

მეგობრებში მიაკოვსკის მხოლოდ კარვის დანახვა სურდა. მზად იყო ხელი შეეწყო ყველასთვის, ვისაც კი რაღაც ტალანტი, ნიჭის რაღაც ნატამალი მინც გაჩნდა, და მართლაც ხელს უწყობდა. მხარში იდგო თავისი ავტორიტეტით. საკუთარი სახელით იფარავდა თავდასხმებისაგან. ისინი კი რით უხდიდნენ სამაგიეროს? გააკეთეს კი მიაკოვსკის მეგობრებმა რაიმე ისეთი, რომ აესახათ პოეტის მრავალმხრივი საქმიანობა, შემოენახათ მისი სახე შთამომავლობისათვის? ვინ იზრუნა იმაზე, რომ სტენოგრაფიაზე ჩაეწერათ მისი ერთი გამოსვლა მინც? ვინ იზრუნა ჩაეწერა მისი ხმა, ლექსის განუმეორებელი კითხვა, ვინ იფიქრა იმაზე, რომ პოეტი კინოჭარნიკაში გადაეღოთ? არავინ. რასაკვირველია, მიაკოვსკის ნამდვილი მეგობრებიც ჰყავდა. ბავშვობისა და სიკვდილის მეგობრები, უახლოესი ამხანაგები პარტიულ სამუშაოზე: მ. კისელიოვი, ხ. ნ. სტავრაკოვი, ნ. ი. ხლესტოვი, ი. ბ. კარახანი, ვ. ი. გეგერი. კარგი მეგობრები ჰყავდა პოეტს ჭართველ მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა

შორის — პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიჭოვანი და სხვები, რომელნიც მიაკოვსკის საქართველოში ზედმოადნენ, როგორც თავის უახლესს ამხანაგს. ჰყავდა მისიყვარულე დედა ალექსანდრა ალექსის ასული, დები — ლუდმილა ვლადიმერის ასული და ოლა ვლადიმერის ასული. მაგრამ ეს ქვეშაირიტი მეგობრები, დედა და დები ათვალწუნებულნი იყვნენ მისი „უახლოეს წრეში“, სადაც უმთავრესი აღმძვინკველი იყო ო. ბრიკეზი ეკავათ „მას, — წერდა ვ. შულოვსკი ოსიპ ბრიკეზს — ხელთ უპყრია მიაკოვსკის დიდება“. არავის აწუხებდა ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც პოეტი წლების განმავლობაში განიცდიდა.

4

ახლა კი მივმართოთ პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებს და დღეებს.

ცნობილია, რომ მიაკოვსკის შეუყვარდა ტ. ა. იაკოვლევა და მოინდომა საფრანკეთიდან სამკურთაო რუსეთში მისი ჩამოყვანა. ამ მიზნით 1929 წლის ოქტომბერში იგი პარიზში ამირებდა წასვლას, მაგრამ მოულოდნელად, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, არ მისცეს გამგზავრების უფლება. ეს მეტად მწვედვარ ტყვილი იყო პოეტისათვის. არა მარტო იმიტომ, რომ შესაძლებლობას ვერაფერად შეხვედროდა საყვარელ ქალს, არამედ იმიტომაც, რომ ეს უარი, არსებითად, პოლიტიკურ უნდობლობას ნიშნავდა. სწორედ ასეთნაირად იქნა ეს გავებული ლიტერატურულ წრეებში, რამაც დაუყოვნებლივ იჩინა თავი მისი არაკეთილმოსურსენთა, ფარული და აშკარა მტრების მხრიდან. წესად იქცა წერა მიაკოვსკიზე ავადმუთუ ტონით.

პოეტის სიკვდილამდე ორი თვით ადრე, 1930 წლის იანვარში ჟურნალში „ხევედა“ გამოქვეყნდა ბ. ბუხშტაბის რეცენზია მიაკოვსკის ლექსების წიგნზე „სპილოები კომპაშირში“. „ყველაზე უკეთესი, რაც შეიძლება ეთქვას ამ წიგნზე, ისაა, რომ მასში არის რამდენიმე გონებაშილიური სტრიქონი... ჩვენ ვხედავთ რომ დიდი პოეტი იმყოფება პოეტური გახრწნის მიჯნაზე“, — წერდა ბუხშტაბი. იგი ამტკიცებდა, რომ მიაკოვსკის ლექსების საზოგადოებრივი მნიშვნელობა მეტად საუკუთა და „იქვე უფრო მეტად საუკუთა მათი მხატვრული ღირებულება“, რომ წიგნში „ლექსების მავივრად გართიული სტატიები“. „ამ კრებულის მხატვრული დაუდევრობა არ შეეფერება მიაკოვსკის“, — დაუსაბუთებლად ამბობს კრიტიკოსი. ავტორი რეცენზიას ამთავრებს ირონიული ფრაზით: „გულს გტკენს ამ პატარა წიგნის კითხვა“. და ეს მასწინ, როდესაც კრებულში, სხვა ლექსებთან ერთად, შეტანილი იყო ღრმად პატრიოტული და მაღალ პოეტურ დონეზე დაწერილი „ლიონისსხმელ ივან კოზირევის ნამბობი ახალ ბინაში ჩასახლების შესახებ“, პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო სატი-

რული ნაწარმოები „მსახური“, მეტად ძლიერად ლირიკულ-პუბლიცისტური ლექსი „მარტისთვის თავი მოიწამლა“, „მარში-თავდაცვა...“

ყვევებით დაესხნენ თავს კრიტიკული „უპასუხისმგებლო ტუჩებდართხუნი“ მიაკოვსკის პიესას „აბანო“. პიესა დაიდგა 1930 წლის იანვრის ბოლოს ლენინგრადის სახალხო სახლის თეატრში. მარტის შუა რიცხვებში კი მეიერჰოლდის თეატრის სცენაზედაც ბევრი პირის დამოწმებით, ავტორისეული კითხვის დროს „აბანო“ განუწყვეტელ სიცოცხლეს იწვევდა, თეატრში კი, როგორც ერთგან, ისე მეორეგან წარმატება არ ჰქონია. დამდგმულეებმა, მათ შორის მეიერჰოლდმა, ვერ გაიგეს პიესა. ვერ შეძლეს მისი შინაარსის გახსნა.

მიაკოვსკი მძიმედ განიცდიდა ამ მარცხს. ი. ვ. ილინსკი, პიესა „აბანოს“ ერთერთი შემსრულებელი (მეიერჰოლდის თეატრი). მოგვიხსნის: „სექტალების შემდეგ, რომელიც არც თუ ისე გულთბილად იქნა მიღებული მკურნებელთა მიერ (მიაკოვსკი ამას ავადმყოფურად განიცდიდა), პოეტი მარტო იდგა ვესტიბილში, გაატარა თეატრიდან გამოსული მთელი ამოდენა ხალხი და თვალეებში უქვერთავად ყოველ მათგანს.

„აბანოს“ დადგმასთან დაკავშირებით მიაკოვსკის მწვედვან ცანცვებს იხსენებს მეიერჰოლდის თეატრის მსახიობი მ. ფ. სუხანოვაც: „თეატრში, სექტალებზე „აბანო“, მიაკოვსკი ჯერ კიდევ აპირებს პირველ დეკლამში დადიოდა. ამბობდა, სექტალები ჩავარდაო, დაღონებულნი იყო, ვერ ისვენებდა, თვალეები კი, რომლებსაც ისე შეშფოთო ეცქირათ ადამიანისათვის, თითქოს სულში ყველაფერს ხედავდნენ, — ახლა აღარავის უქვერდნენ. ხშირად შეიკიხებოდნენ კი არ პასუხობდა. მე გვგონა, მისი უკუნებობის მიზეზი პრესაში გამოქვეყნებული წერილები იყო „აბანოს“ თაობაზე.“

რაც შეეხება თვით პრესას, უფრო სწორად კრიტიკოსებს, მათ თავიანთი ცეცხლი მიმართეს არა დადგმის ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე, — არა „აბანოს“ უნდელი და მცდარი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ სცენაზე, არამედ გაილაშქრეს თვით პიესისა და მისი ავტორის მიმართ. სიმ. დრეიდენი წერილში „ლენინგრადის სახალხო თეატრში“ ამტკიცებდა „აბანოს“ დადგმის შესახებ, პიესა ხალხურულად სახელდახელოდა გაცეთებელი. კრიტიკოსი, რომელიც თავის ვინაობას ინიციალებით „ე. ბ.“ ფარავდა, წერდა, რომ „აბანო“ — „დავინებული დემონსტრაციაა აიტაცისა, დროთა მსვლელობა რომ გამოეპარა. მ. იანკოვსკი გახარებული იყო, რომ „მიაკოვსკის პიესა მთელი თავისი საუკუთა ღირსებებით წარმოვიდგა“. ვ. ერმილოვმა სხვადასხვა გამოცემებში

ბ. კოლოსოვი

„კომეტის ტრაგედია“



დაბეჭდა ორი უარყოფითი გამოხმაურება „აბანოზე“. ჯერ კიდევ სენაზე მის გამოჩენამდე, გამოქვეყნებულ ნაწევებზე დაყრდნობით დაასკვნა, ითქვას „პოზედონოსიკოვის მთელი ფიგურა სიერთოდ აუტანლად ყალბია“ და რომ „აქ, მთავრობისთან უდავოდ ეღერს ყალბი „შემარცხენე“ ნოტა. მთავრობის სიკვდილამდე ერთი თვით ადრე „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა ან. ჩაროვის რეცენზია, სადაც ის წერდა „აბანოს“ შესახებ, რომ პიესა „მართლაც ცუდი გამოვიდა“ და მისი „დადგმაც კი არ ღირდა“. მაგრამ ეს ხომ დაბეჭდილი იყო სწორად იმ განვითარების, რომელიც მთავრობის ასე უყვარდა და რომელსაც ამდენი ძალა და ნიჭი ღებოდა!

მთავრობის ყოველივე ამ გამოხმაურებასა და ცილისწამებებზე მხოლოდ ვ. ერმილოვის უპასუხება:

**Сразу
не выпарить
бюрократов рой.
Не хватит
ни бань
и ни мыла вам.
А еще
бюрократам
помогает перо
критиков —
вроде Ермилова...**

დანარჩენი კი — ათეულობით და ასეულობით დიდი და პატარა ზომის წერილი, რეცენზიები, მტრული გამოხმაურებები, ცილისწამებულური სტატიები — უპასუხოდ დარჩა. „უპასუხისმგებლო ტუჩებფართხუნები“, ანდა, როგორც მათ ახლა მთავრობის უწოდებდა — „ჩასაფრებელი კრიტიკები“, შიგ გულში უმინებდნენ პოეტს და ასე გრძელდებოდა მის სიკვდილამდე. განუთების, ეურნალების, წიგნების ფურცლებიდან დევნი გრძელდებოდა აუდიტორიებში, სადაც პოეტი გამოდიოდა. გულღვარძლიანი ობიექტულები აძლევდნენ მას პროვოკაციულ შეკითხვებს, აწვდიდნენ შეურაცხყოფელ ბარათებს.

რაოდენ საჭირო იყო ასეთ პირობებში მეგობრული თანაგრძნობა. სწორედ მაშინ დაინახა მთავრობის, რომ ნამდვილი ლიტერატურული მეგობრები არა ჰყოლია.

ჩვენ უკვე ვახსენეთ ის უთანხმოებანი, რომლებიც არსებობდა მთავრობისა და მის თანამოსაგრეთა შორის ლეფში. მხატვართს ს. ი. აღლივანკინმა, რომელიც მთავრობისთან ერთად რეკლამაზე მუშაობდა, ასე დაახასიათა პოეტის მდგომარეობა ლეფში: „მისი მოქმედება ყოველთვის მეტად პრინციპულ ხასიათს ატარებდა. მის ხასიათში არ იყო რაიმე წყროლმანური, ჭკუფობრივი. მის გარშემო კი ხშირად იქმნებოდა სწორედ ჭკუფობრიობის ატმოსფერო.“

მე მეჩვენებოდა, რომ ვლადიმერ ვლადიმე-

რის ძე მარტო იყო თავის თანამოსაგრეთა შორის ლეფში. ის როგორღაც თავისთვის იყურებოდა თუმცა ამ ჭკუფის ხელმძღვანელს, ლიფსის წარმომადგენელს.“

ეს განსხვავება მთავრობისა და ლეფის სხვა წევრებს შორის კიდევ უფრო მკაფიოდაა ნაჩვენები ე. ა. ლავინსკაის გამოუქვეყნებელ მოგონებებში. ლავინსკაია მონაწილეობას ლეფში ლობდა ლეფის საქმიანობაში. აღწერს რა ლეფის ერთ-ერთ კრებას რომლის ხელმძღვანელობა რატომღაც ლიტერატურულ საქმიანობისაგან შორს მდგარა ლ. ბრიკმა იცისრა, ლავინსკაია იგონებს:

„არასოდეს ასე ცხადად არ დამინახავს ის კედელი, რომელიც არსებობდა მთავრობისა და ბრიკებს შორის. გამახსენდა ოსიას ყბადღებული ფრაზა: „ყველაზე უეუთესი, რაც ოდესმე დაუწერია ვალოდიას — ესაა «Нигде, кроме, как в Моссельпроме!» ამასთან, სერგეი ტრეტიაკოვის ფანტიკური ჩიჩინა, რომ თავი უნდა მივიანებოთ ლექსებისა და პოემების წერას, რომ საჭიროა ფაქტების ფიქსირება, აუცილებელი და მნიშვნელოვანი მხოლოდ ეს ყოველისშემძლე ფაქტები და ქრონიკაა. ან ბრიკია ლაქლაქი იმაზე, რომ აღჩინდელ ნაწარმოებებს მეტი სიმამფრე და სიმამხილე ჰქონდათ (კრუჩონინი დღემდე იცავს ამ თვალსაზრისს), ახლა კი ცხოვრება სხვაგვარ მოთხოვნებს აყენებს, თუ მაინცდამაინც ლექსები უნდა დაიწეროს, მაშინ ისინი ავტოფურცლები უნდა იყოს, ხოლო ლირიკა-ტივილი, სატირა-ყოველივე ის რაც სისხლთაა დაწერილი, ეს ყველაფერი ბრიკისათვის მხოლოდ „თავშესაქცევა“ა. საჭირო იყო მთავრობის შეჩერება და მასაც აკავებდნენ.“

მე, არსებითად, არ მახსოვს რაიმე განსხვავება ტრეტიაკოვისა და ბრიკის იმ თვალსაზრისთან შორის, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობის ლექსები „მოძველდა“ და ემოქსიაც რაღაც სხვა სჭირდება, და 1930 წელს გავრცელებულ ფრაზას შორის იმაზე, რომ „მთავრობის გამოცხადება“ შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო საშინელი ის იყო, რომ ტრეტიაკოვი და ბრიკი — მისიანები იყვნენ, ამაში იგულისხმება სახლი, სადაც ყველაზე უფრო ახლობელი აღამიანები გვეუბნება, რადგან გარეთ არაკეთილმოსურნეები და მტრები — საკმარისად არიან.

დიახ, რა თქმა უნდა, ეს იყო სწორედ ყველაზე უფრო საშინელი მთავრობისათვის, რომელსაც ასე სჯეროდა, მეგობრების. სწყუროდა ენახა თავის გვერდით თანამოსაგრეთის სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლაში.

ტრეებს რა ლეფს, პოეტი აარსებს ახალ ლიტერატურულ ჭკუფს რეფს (ხელოვნებათა რეკოლუციური ფორმტი), რომელშიც შევიდა ლეფის წევრთა ნაწილი, მათ შორის ნ. ასეევი, ს. კირსანოვი, თ. ბრიკი. მაგრამ მალე მთავრობის დაარწმუნდა, რომ შემდგომი წინსვლა ამ



პატარა ჩვეუთი შეუძლებელი იყო, დაშალა რეფი და შევიდა პპრა-ში. აი, აქ — კი საბოლოოდ ირკვევა პოეტის მეგობართა ფასი: ისინი, როგორც ერთი, აღდგენენ მთავრობის წინააღმდეგ იმიტომ, რომ იგი შევიდა პპრა-ში რეფის სხვა წევრებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.

ამგვარად, — მოგვიტობს ამ პერიოდზე ნ. ასევე — ლევის ყველა ყოფილმა თანამშრომელმა, რომლებიც შემდგომში რეფში გადავიდა, გაილაშქრა პოეტის ერთბაშად შექმნილ მოქმედებათა წინააღმდეგ, გადაწყვიტეს მიხედვით რეფთან მთავრობის, რომ ისინი არ იქონებდნენ რეფის დაშლის და ამხანაგების გარეშე პპრა-ში მის შესვლას.

იმ დროს ჩვენთვის ბევრი რამ იყო გაუგებარი ვლადიმერ ვლადიმერის ძის მოქმედებაში, რადგანაც მაშინ კიდევ არ ვიცოდით ის, რაც ვიცით ახლა. რაც მთავარია, წარმოდგენაც არ გვქონდა, რა სიმწარე ჰქონდა დაგუბებულ სულში. იგი ხომ არასდროს არ ჩიოდა თავის „უბედურებებსა და წყენახე“.

მთავრობის პპრა-ში შესასვლელად განცხადება 1930 წლის თებერვალში შეიტანა. მისი „მეგობრები“ კი — რეფელებიც და ლეფელებიც — ფაქტიურად ბევრად ადრე აჟანყდნენ. პპრა-ში შესვლამდე რამდენიმე თვით ადრე, როდესაც რეფი არ არსებობდა, მთავრობის დაიწყო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 20 წლისთავისათვის გამოფენის მომზადება. არც ერთმა მისმა მეგობარმა არ ისურვა დახმარება და პოეტს. ლ. ბრიკი მის მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერებში, რომლებიც გამოფენის მოწყობის დროს ეხება, 1929 წლის 29 დეკემბერს აღნიშნავს: „ვ. დილიდან საღამომდე სირბილში ატარებს. შუალამდე ზინა სვეშნიკოვასთან ერთად აწესებს სავაჭრო ალბომებს“. შემდგომ ლ. ბრიკი ასხენებს ვიღაც ბიჭებს, რომლებმაც გადაწყვიტეს გაეკეთებინათ იმ ვიტრინაზე, სადაც მოთავსებული იყო გაზეთები პოეტის ლექსებით, წარწერა: „მთავრობის გაუგებარია მასებისათვის“.

აი ასე: ვიღაც ზინა სვეშნიკოვა, რომელიც არასდროს არ აცხადებდა თავს მთავრობის მეგობრად, ვიღაც უენობი „ბიჭები“ ეხმარებოდნენ პოეტს გამოფენის მოწყობაში, რომელსაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ლ. ბრიკისათვის, როგორც ეს მისი მოგონებებიდან ჩანს, მთავრობის გამოფენა მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარი „თამაში“ იყო. მხოლოდ ლ. ბრიკი თავის მოგონებებში ისე წარმოგვიდგენს საქმეს, თითქოს მთავრობის „ბრძოლისაგან გადაიღალა“, თითქოს მას „მოესურვა ცოტა სიმყუდროე და ოღნაეი შემოქმედებითი კომფორტი“, და მოაწყო გამოფენა, რათა ხალხს „ვიტრინაში“ მისი ნიჭი“.

თუმცა თვით მთავრობის თქმით გამოფენა მოწყობილი იქნა, რათა „ეჩვენებინა, რომ

მწერალი — რევოლუციონერი — არაა საზოგადოებისაგან განდგომილი, ვისი ლექსებიც იწერება წიგნაკში და შემდეგ მტვერი ედება თაროებზე, არამედ მწერალი-რევოლუციონერი არის აღამიანი ყოველდღიური, საქმიანი ცხოვრებისა (და) სოციალიზმის მშენებლობის მონაწილე... ვაჩვენოთ, რომ ჩვენ დასასვენებლად არა გვცალია, რომ საჭიროა დღიანი დღემდე, თავულებლად მუშაობა კალმით“.

ეტყობა, სხვა „მეგობრებიც“ ბრიკის აზრისა იყენენ გამოფენის მოწყობაზე. „ვლ. ვლ. ნაწყენი იყო, რომ არავინ ეხმარებოდა გამოფენის მოწყობაში, და მთელი სამუშაოს შესრულება თვითონ მოუხდა, — იგონებდა შემდეგ მთავრობის შოფერი ვ. გამაზინი. — და თუმცა მის გვერდით რამდენიმე ახალგაზრდა ენთუზიასტი — მხატვრები და ლიტერატურული წრის წევრები — აღმოჩნდა, სინამდვილეში მთელი უზარმაზარი სამუშაო: მასალების — წიგნების, პლაკატების, გაზეთების, რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობის საარტივო საქმეების, ფოტოების, აფიშების — შეგროვება და მათი ექსპოზიცია ფედერაციის კაბინეტის რამდენიმე ოთახში თვითონ იკისრა. თვითონ აწყობდა სტენდებს, ალაგებდა ექსპონატებს“.

როდესაც მთავრობის დაშლა რეფი და შევიდა პპრაში, ვერაქოვსკის მეთაურობით გამოცხადდა ბოიკოტი გამოცხადეს და მასთან შეხვედრები შეწყვიტეს. სემიონ კირსანოვმა დაწერა ლექსი „ხელის ფასი“. მისი შინაარსი რომ გავიკეთო საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი. 1926 წელს მთავრობის გამოქვეყნდა მრისხანებით აღსავსე ლექსი „მექრთამეები“, სადაც წერდა:

**Я
белому
руку, пожалуй дам,
пожму, не побрезгаю ею.
Я лишь усмехнусь:
— А здорово вам
наши
намылили шею! —
Укрavшему лeб
не потребуешь кар.
Возможно
простить и убийце.
Быть может, больной,
сумашедший угар
в душе у него
клубится.
Но если
скривший
этот вот рубль
ладонью
ладонь мою тронет,**

ბ. კოლოსოვი
„კომუნისტი ტრაბედა“



я, руку помыв,
кирином ототру
поганую кожу с ладони.

და აი, სემიონ კირსანოვი, რომელმაც მაიკოვსკის შესვლა პპრა-ში დეზერტირობად შეაფასა, 1930 წლის 8 თებერვალს „კომსოლო-სკია პრავდაში“ ბეჭდავს ასეთ სტროფებს:

Дезертир,
бегущий с фронта стройки,
мне — не друг,
а враг по крови нам.
И сейчас,
кричащий эти строки,
Я руки
такому
не подам.

Ренегат,
предавший
дело класса,
ставший тылом
к будущим годам,
Мне не друг!
Готов дыханьем клясться
Я руки
такому
не подам!

Хитрый волк,
бежавший за границу
к банками
зажатым городам,
мне не друг,
покуда жизнь хранится,
я руки
такому
не подам!

Спекулянт, снимавший сливки
с жизни,
мне не друг!
И этим господам,
брезгуя прикосновеньем
к жизни слизи,
я руки
и пальца не подам!

Если же друг, вчера нуждаясь
в друге,
я сегодня,
усмехая рот,
и держа
по швам
с презреньем руки —
другу,
мне,
руки не подает,

пусть
оскребки дружбы
копшатся!

Пемзой гризть!
Бензином кисть облить,
чтобы все
его рукопожатыя
со своей ладони соскоблить.

ე. პერცოვი, რომელიც სხვა ლექსებთან ერთად ოპოზიციასში უდგა მაიკოვსკის, ასეთ კომენტარს უკეთებს ამ ლექსს: „ფართო მკითხველმა არ იცოდა, თუ რა გარემოებებით გამოწვეული და ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს ლექსი (მაიკოვსკის სახელი კირსანოვს არ უხსენებია), მაგრამ ქვეტექსტი ნათელი იყო პოეტის თანამედროვეთათვის (ლექსი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გვერდზე“) და, რასაკვირველია, თვით მაიკოვსკისთვისაც.“

გამოფენის დღეებში და თვით გამოფენაზე მაიკოვსკი ძველებურად და, შესაძლებელია, უფრო მეტადაც, განიცდიდა რომ აქ არ ესწრებოდნენ მისი ლიტერატორი მეგობრები. გამოფენამ წარმატება პოვა მკითხველთა შორის. მწერლები კი უუურადღებოდ შეხვდნენ მას, თუმცა სტენდები მწერალთა კლუბში იყო გამართული. „ლიტერატურული ვახეთი“ იუწყებოდა: „გამოფენას ესწრებოდა, უმთავრესად, ახალგაზრდობა. მწერლებიდან თითქმის არავინ ყოფილა.“

გამოფენასთან და მაიკოვსკის ლიტერატურული საქმიანობის ოცი წლისათვის დაკავშირებით გაიმართა საღამო. ცნობილი ქართველი კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე ამის შესახებ მოგვითხრობს:

„საღამო დაიწყო... ვიღაც ახალგაზრდამ სიტყვა ითხოვა. ილაპარაკა, როგორც შეველო, მაიკოვსკის შემოქმედების მნიშვნელობაზე.“

პოდა, სულ ეს იყო.
— რა ექნათ, ამხანაგებო! — მიმართა ვლადიმერ ვლადიმერის ძემ დარბაზში მყოფთ, როგორც ხედავთ, არც ისეთი დღეა, რომ თავი შეგაწყინოთ ლამაზი სიტყვებით. ერთადერთი, რაც შემიძლია ახლა, ეს ისაა რომ წაგიკითხოთ ჩემი ახალი პოემა „მთელი ხმით“.

არა მგონია, შეველო რაიმე შედარებით გადმოცეით ის შთაბეჭდილება, რომელიც მისმა კითხვამ მოახდინა. ბერკტი მომისმენია მისთვის, მაგრამ ასეთი — არასოდეს მინახავს. უცვლილი სიტყვა გრდემლივით სცემდა.

დარბაზი სახანვეროდ ცარიელი იყო. ჭგუფებად და ცალ-ცალკე ისხდნენ ახალგაზრდები და შემთხვევითი აღმიანები...

აქ არ იყო კირსანოვი, ასევე, კრუჩონიხიცი კი არსად ჩანდა. სადღაც უკან მარტო იჯდა ისიპ ბრიკი“.

გამოქვეყნებულ დღიურებში ლ. ბრიკმა ასე ასახა იმ საღამოს შთაბეჭდილება: „გ. ვადალილია, ლაპარაკობდა საშინლად დაქანცული. ზოგიერთი გამოვიდა სიტყვით, შემდეგ ვ-მ. წაიკითხა ახალი პოემის შესავალი. ძალიან დიდი



შთაბედილება მოახდინა, თუმცა ნაწერს კითხულობდა და ისიც ნაძალადევადა.

ორი კვირის შემდეგ კი ლ. და ო. ბრიკებმა, რომლებიც თავიანთ თავის მიაკოვსკის უახლოეს მეგობრად, უფრო მეტიც — მასთან ერთიანი „კომუნისტური ოჯახის“ წევრებად თვლიდნენ, საზღვარგარეთ ვასწიეს ხანგრძლივი ვადით სამოგზაუროდ. გამგზავრების წინ ლ. ბრიკმა მიაკოვსკის ოჯახი მოინახულა და შესწავლა მის დედასა და დებს:

„ვალოდია აუტანელი გახდა. მე ისე ძალიან დავილაღე. და ოსიასთან ერთად გადავწყვიტეთ გავემგზავროთ ლინდინში, დედასთან“.

შემდეგში 1930 წლის 14 აპრილს ტრაგედიის ერთ-ერთ მიზეზად ბრიკის მეგობრებს უახლოესი აღმანივების გამგზავრება მიაჩნდათ. გადაკრით ამბობდნენ, ბრიკები რომ ამ ქოფილიყენენ, არაფერი მოხდებოდაო. მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ ლ. და ო. ბრიკების როლი მიაკოვსკის ცხოვრებაში. ის დიდი ზანია ან, შეიძლება, ყოველთვისაც. უცხო იყო მათთვის პოეტი „უახლოეს მეგობართა“ შორის მუდამ მართო იყო.

ე. ა. ლავინსკია, რომელიც წლების მანძილზე ავირდებოდა მიაკოვსკისა და მის „უახლოეს მეგობართა“ ცხოვრებას, თავის მართალსა და სეველით აღსაესე მოგონებებში მოკვიტობს:

„რა მართობის გრძობდა მიაკოვსკი თავისიანების წრეში! ეს დავასკვენი საკუთარი დაკვირვებით და ამხანაგებთან საუბრებითაც. მას მართლმართო მიჰქონდა თავისი ტვირთი და არ შეეძლო, ნაწილობრივ მაინც მეგობართა მხრებზე გადაეტანა ამ ტვირთის სიმძიმე...“

მიაკოვსკი თავის წრეში — ეს იყო ვიწროლუფური საქმიანობა, სიყვარული ლილიასადმი, რომელსაც, ისევე როგორც ოსიას, ყოველივე ახლის მიმართ ჰქონდა გემოვნება: ლექსის, რიტმის, ხმის, დიდების მიმართ (ეს ყველაზე მეტად), და არა ჰქონდა იმის მტრად გაგებაც რომ მიაკოვსკის ლექსები მართლაც სისხლით იყო ნაწერი“.

ბოლო თვეების და კვირების მანძილზე მიაკოვსკი ძლიერ გადაილაღა. ამავე დროს გრიპითაც ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, გამონდომები მის წინააღმდეგ ერთი დღითაც არ შეწყვეტილა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პოეტის მიმართ წინასწარგანზრახული პოლიტიკური დისკრედიტაციის ხასიათს ატარებდა.

1930 წლის აპრილის პირველ რიცხვებში დაიბეჭდა მეორე ნომერი ჟურნალის „პეჩატ ი რევოლუცია“ მიაკოვსკის პორტრეტით გარეკანზე და რედაქციის მისალმებით:

„მე ვ. მიაკოვსკის — დიდ რევოლუციურ პოეტს, პოეტური ხელოვნების შესანიშნავ რევოლუციონერს. მუშათა კლასის დაუღალვე პოეტურ თანამებრძოლს. მსურველედ მიესალმებით“.

მება „პეჩატ ი რევოლუცია“ მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 20 წლისთავთან დაკავშირებით.

პოეტმა იცოდა ამის შესახებ, რედაქციიდან აცნობეს, მაგრამ სახეგამის დირექტორის ა. ხალატურის განკარგულებით, 9 აპრილს პორტრეტი და მისალმება ამოღებული იქნა უკვე დაბეჭდილი ტირაჟიდან. მოსკოვის პლენაროის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში გამართულ საღამოზე, შესვენების დროს, მიაკოვსკის აჩვენეს ჟურნალიდან ამოღებული პორტრეტი მისალმებასთან ერთად.

როგორც ვ. ი. სლაივსკი ვადმოვცემს, მიაკოვსკი საღამოზე ძალზე ავადმყოფი მოვიდა. კითხვებზე „როგორ გრძობობ თავს, ამხანაგო მიაკოვსკი? ძლივს მიუტოვო: „ცუდად. ვავადმყოფობ. გრძობი მქირს“. სლაივსკის შემონახული ჩანაწერის მიხედვით, მიაკოვსკიმ ცალკეულ მსმენელთა შემოტევის საპასუხოდ თქვა: „როდესაც მოვეკვდები, გულაუყუებულო, ატრემლებულნი წაიკითხვით ჩემს ლექსებს (ზოგიერთნი იციან). ახლა კი, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემზე ბევრ სისულელეს საპასუხობენ. ბევრს მლანძღავენ... რაც კი ითქმება და იწერება ცოცხალი პოეტების შესახებ, იმასთან შედარებით, ჩემზე ყველაზე უფრო მეტად ვრცელდება სისულელები“.

და მაინც ბევრნი და ბევრნი ამტკიცებენ, რომ უკანასკნელ დღემდე არავის უფიქრია მომავალ კატასტროფაზე. აი, რას იუწყებოდა 1930 წლის 15 აპრილს ვაჭით „ივერნია“ მოსკვა“ მიაკოვსკის ბოლო დღეების შესახებ:

„...ვის შეეძლო ჩერ კიდევ გუშინწინ ფიქრი იმაზე, რომ ერთი დღის შემდეგ მწერალთა კლუბის შესასვლელში შავარშიბიანი სამგლოვიარო დროებით იქნებოდა გამოკიდებული, რომელნიც სეველიანად მოვავგონებენ, რომ ამ საკონფერენციო დარბაზში ასვენია ვლადიმერ ვლადიმერის ძე მიაკოვსკის ცხეღარი. ვის შეეძლო ამაზე ფიქრი ჩერ კიდევ გუშინწინ? არაფერი არ მიგავინშენდა ასეთ დასასრულს. 12 აპრილის დილას — იმ დღეს, რომელითაც დათარიღებულია მიაკოვსკის სიკვდილისწინა წერილი, ის მწერალთა ფედერაციაში იყო და სხვებთან ერთად იხილავდა კანონროექტს საავტორო უფლებებზე. იმავე 12 აპრილს — ნაშუადღევს ის იცავდა ამ კანონროექტს ხახვოსაბეჭოს სხდომაზე.“

12 აპრილს ტელეფონით ათანხმებდა თავისი გამგზავრების საკითხს მწერლებთან ერთად ლენინგრადში, 14 აპრილს დღლისათვის მიაკოვსკის თავის ბინაზე დანიშნული ჰქონდა საქმიანი შეხვედრა მწერლებთან“.

ნატო ვანნაძის მოგონებებში კვიტხოლობთ: „სიკვდილის წინა დღეს მიაკოვსკის შეხვ-

ბ. კოლმსკოვი
„პომიბის ტრაგედია“



ვლთ მე და ნიკოლოზ შენგელაია მწერალთა კავშირში. პირა კიდევ არ უხვებნებდა. ვლადიმერ ვლადიმერის ძე ცუდ ხასიათზე იყო.

განა შემძლო თუნდაც წუთით წარმოემდგინა, რომ მეორე დღეს მას ცოცხალს ვეღარ ვნახავდი?

მაიაკოვსკი და სიკვდილი?.. ეს რაღაც შეუსაბამოა...“

ასე ლაპარაკობდა ყველა, ვინც შეხვდა მას 13 აპრილს და უცებ...

მიხვც რა მოხდა 1930 წლის 14 აპრილს? როგორც მკითხველს ახსოვს, ჩვენ უარყვავით ბოროტმშობელური მონაჩახსი, თითქოს მაიაკოვსკის ტრაგედიას საფუძვლად ედვა უთანხმოება საბჭოთა სინამდვილესთან. ჩვენ აგრეთვე უარყვავით მტკიცებანი, თითქოს პოეტის სიკვდილის მიზეზი მდგომარეობდა თვითმკვლელობისადმი მიდრეკილებამი.

მაიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარემოებათა გადმოცემისას, რაც გვეხმარება მისი ტრაგედიის გაგებაში, მივფიქროვით იმ ხან-ხრძოვც, მრავალწლიან დევნაზე, რომელიც თან ახლდა პოეტის დაძაბულ, დამქანცველ მუშაობას; აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ ცუდ გარემოცვაში მოუხდა ყოფნა. ბევრი მათგანი, ვისაც ის მეგობრად თვლიდა, ცრუ მეგობარი აღმოჩნდა; ჩვენ ყურადღება გვაქმავილეთ აგრეთვე იმაზე რომ, პოეტის პირადი ცხოვრება არ იყო აწყობილი.

მაგრამ გვაღელვებს და გვაფიქრებს არა მარტო ტრაგედიის სხვადასხვა მომენტები, არამედ მისი ხასიათიც. საქმე ისაა, რომ სიკვდილის დღიდან მოყოლებული დღემდე, პოეტის დაღუპვის ირგვლივ იდუმალი, ქარავმული, ატმოსფერო სუფევს.

1930 წლის 24 აპრილს, გაზეთში „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, რომელიც ლენინგრადში გამოვიდა. გამოქვეყნებული იყო მწერალ ნიკოლოზ ნიკიტინის წერილი „შეცდომა?“ აი როგორი ფიქრები აღეძრა ავტორს მაიაკოვსკის სიკვდილთან დაკავშირებით:

„ამბობენ — შეცდომააო. ვინ იცის? ვფიქრობ — ისიც ხომ მანქანა არაა. ანდა მოძრაობის, კვების, წვის აგრეგატი.
„წესი“ უსაძაგლესი.
მაგრამ ჩსუბის შემდეგ მუსტები ვიქნით? ესეც არაა, ამხანაგებო, წესი...
დადრე კი რას უყურებდით? ვინ ჰყავდა გვერდით?
პოეტის მეგობრები“...

წერილში „რა მოხდა?“ 1930 წლის 17 აპრილს მიხეილ კოლცოვი წერდა: „არ შეიძლება ნამდვილ, სრულფასოვან მაიაკოვსკის პასუხი მოეთხოვოთ თვითმკვლელობისათვის. ისროდა ვიღაც სხვა, შემთხვევითი, დროებით დაუფლებული პოეტის, საზოგადო მოღვაწის, რევოლუციონერის ფსიქიკას. ჩვენ, მაიაკოვსკის თა-

ნამედროვენი, მეგობრები ვითხოვთ რეგისტრაციას ვაატაროთ ეს ჩვენება“.

უქრნალ „ლიტერატურნაია უნობას“ მიერ 1934 წელს გამოქვეყნებულ საუბარში ნ. ასევე იგონებს: ჩვეულებრივ მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებზე წერილობით შეკითხვებს იძლეოდნენ „მანც რა მოხდა? რატომ? როგორ ავხსნათ ეს გაუგებარი სიკვდილი?“ და როდესაც საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი ვეფიქრდებოდა ამ კითხვებს, მეტად სხვადასხვავარი და ერთმანეთის საწინააღმდეგე აზრები მებადებოდა“.

ამ სამი წლის წინათ, პოეტის სიკვდილის წლისთავზე, ნ. ასევემა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოაქვეყნა დაუმთავრებელი პოემის ნაწყვეტები, სადაც მაიაკოვსკისადმი მიმართული ასეთი სტროფებია:

**Ничего, что губы, оледенев,
Обронили октябрьской лстывы слова.
Я останусь с тобой наедине:
Расскажи мне: кто в этом виноват?**

**Ничего, что воском сплылась ладонь,
Ничего, что грозен глаза пожух,
Разбудий молчанье на сотни ладонь,
Я ухо к ране плотней приложу.**

**Я знаю, что, к сердцу свинец неся,
Поднимая стотонную сталь ствола,
Ты нажим гашетки нажал не сам,
Что чужая рука твою вела.**

**Что какой-то вымуштрованный
гипнотизер,
Запропавший за сплывшиеся этажи,
На тебя ненавистный оставил взор
И в безволье крикнул тебе: не дыши!
Что за нами повсюду ведет наган
Неуловимая тень врага,
Что и так и этак в твоём лице
Напоследок песня взята на прицел.**

**Ничего, что губы, оледенев,
Обронили лстывы октябрьской слова,
Я останусь с тобой наедине:
Расскажи мне: кто тебя — наповал?!**

ლ. ბრიკმა გამოაქვეყნა სტატია „წინადადება მკვლევარებს“. ამასთან დაკავშირებით პოეტის და ლ. მაიაკოვსკაია წერდა: „რა გასაკვირვებელია, რომ დღესაც ბევრი კითხულობს, რა ვითარებაში მოხდა მაიაკოვსკის სიკვდილი. სამწუხაროდ, ამ გარემოებათა გამორკვევას ხელს უშლის ის, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოგონება, რომლებიც ნათლპყოფენ, იმ მიზე ვითარებას, რომელშიც ცხოვრობდა ჩემი ძმა, ვითარებას. რომელიც განსაკუთრებით გარ-



თულდა მისი ცხოვრების ბოლო წლებში, როდესაც მას ტატიანა იაკოვლევა შეუყვარდა და მისი ცოლად შერთვა მოინდომა, ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი რჩება. მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ახლა, სანამ ცოცხალია ბევრი იმათგანი, ვინც მიაიკოვსკის იცნობდა, ჩატარდება მისი სიკვდილის გარემოებათა გულდამით გამოკვლევა, ძალიან ბევრი რამ ნათელი გახდება ჩვენთვის და, ასეთი გამოკვლევა, რასაკვირველია, კიდევ ერთხელ უარყოფს ცრუ ვერსიას პოეტის თვითმკვლელობისადმი მიძღვრილების შესახებ“.

ხანდახან ამბობენ: რა ვეძებოთ, რა გამოვიკვლიოთ? მიაიკოვსკიმ ხომ „სიკვდილისწინა წერილში“ ყველაფერი თვითონ ახსნა. მაგრამ წერილი 12 აპრილითაა დათარიღებული, თვითმკვლელობა კი 14 აპრილს მოხდა. ამავე დროს ცნობილია მიაიკოვსკის საუბრის ეგრეთწოდებული „გეგმა“ ვ. პოლონსკაისთან, რომელიც, როგორც ჩანს, აგრეთვე შედგენილია 12 აპრილს. მასში ნათქვამია: „მე არ დავასრულებ სიცოცხლეს, არ მივანიჭებ ასეთ სიამოვნებას მხ. თეატრს“.

ამ ნაშრომის ავტორი ესაუბრა ზოგიერთ პირს, რომელნიც შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდნენ 1930 წლის 14 აპრილს, დილით. მათი დამოწმებანი მეტად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ბევრის ახსნა შეეძლო წინასწარი გამოძიების მასალებს. მაგრამ ისინი არ შემოუნახათ.

ვ. ბერტოვი, ეხება რა პოეტის სიკვდილს, 1966 წელს მიაიკოვსკიზე გამოსულ წიგნში, წერს:

„მე არ ვთვლი, რომ მასალები, რომლებიც

ეხებიან მიაიკოვსკის სიკვდილის საკითხს, მთლიანად შესწავლილია: ბევრი რამ ჯერ კიდევ ცნობილი არ არის. და აი კიდევ რა: მომავალი ისტორიკოსი ბევრად უფრო თავისუფლად, ვიდრე თანამედროვე, შეძლებს პოეტთან დაკავშირებულ ადამიანთა მიმართ, ელემენტარული ტაქტის დაურღვევლად შეაფასოს მათი ადგილი და მნიშვნელობა მიაიკოვსკის ბიოგრაფიაში“.

ჩვენთვის უცხო არაა ტაქტის ცნება. მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტის შეტანა ვერ შეეძლებოდა ამ პუბლიკაციაში, რადგანაც ისინი დაკავშირებულია „ცოცხალ ადამიანებთან“, მაგრამ განა შესაძლებელია კიდევ ღუმილი, როდესაც ლაპარაკია ჩვენი ქვეყნის უდიდესი პოეტის სიკვდილის საიდუმლოებაზე?

მიაიკოვსკიმ, „აბანოს“ განხილვაზე გამოსვლისას 1929 წლის 23 სექტემბერს, თქვა: „რაც შეეხება პირდაპირ მითითებაზე, ვინაა დამნაშავე და ვინ არ არის, ასეთი აგიტაციური გადახრა მაქვს, არ მიყვარს, როდესაც არ ესმით ეს. მე მინდა გულახდილად ვთქვა, ვინაა არამზადა“.

„ჩვენც იმ პოზიციებზე ვდგავართ და ვთვლით რომ პოეტის ტრაგიკული სიკვდილის გარემოებათა გამოკვლევაში არაა საჭირო ეხელმძღვანელოთ ტაქტის დაცვის მოტივებით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, ვინაა დამნაშავე, ვინაა არამზადა“. ჩვენ ვიცით, რომ ესენი იყვნენ მიაიკოვსკის მტრები, კომუნისმის მტრები, თუმცა, არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, ვინ მოამზადა ტყვია, რომელმაც დადუპა დიდი პოეტი. მაგრამ დარწმუნებული ვართ, ეს დროც მოვა.





ჩვენე ქვეთარაქე

რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“

შოთა რუსთაველის დაბადებიდან რვაასი წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ანალიზი გაუკეთდა და შეჯამდა რუსთველოლოგიაში მოპოვებული წარმატებები, დაისახა აგრეთვე ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში გადასაქრელი პრობლემები. ბევრი გაკეთდა და კიდევ მეტი გაკეთდება უკვდავი «ვეფხისტყაოსნის» იდეებისა და მხატვრული თავისებურებების შესწავლისათვის, პოემის ტექსტის დადგენისა და ენობრივი ქსოვილის ანალიზისათვის, დიდა პოეტის ვინაობის გამოკვლევისა და სახელის უკვდავ ოფისათვის.

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველმაც მთლიანად გაიზიარა მსოფლიოს გენიოსთა ბელი და უბედობა. სხვათა შორის, მისი სახელი და სადაურობა, გვარი თუ ზედწოდება დღემდე სადავო და საპოქმანებია. თუმცა ორას წელზე მეტია ქართველი ხალხი თავის საამაყო პოეტს უწოდებს რუსთაველს და მთელი კულტურული მსოფლიოც შეეჩვია ამ ფორმას, რაც, რასაკვირველია, არაა შემთხვევითი და მას დიდი აზგარიში უნდა გავუწიოთ.

რუსთაველ ფორმას პირველად ანტონ კათალიკოსთან გვხვდებით, მანამდე ტრადიციით რუსთველი იხმარებოდა. ვაპოჩინილმა მწიგნობარმა და ფილოსოფოსმა ანტონ პირველმა ბევრი რამ იცოდა რუსთაველისა და საერთოდ ძველი ქართული კულტურის შესახებ. როგორც დადგენილია, მას ხელთ ჰქონია ზოგი ისეთი ძველი და საბუთი, რომლებიც მომდევნო ტრავიკულმა შემთხვევებმა გაანადგურეს.¹ მოუხედავად ანტონ პირველის არასწორი პოზიციისა ქართულ

ლი სალიტერატურო ენის განვითარების საკითხში, მან დიდი კვალი დააჩნია ქართული ენის შესწავლას თავისი ვრცელი გრამატიკით და სხვა შრომებით. ამიტომ არ შეიძლება ნდობით არ მოვეყიდოთ რუსთაველ ფორმას, რომელიც ლიტერატურაში პირველად, როგორც ჩანს, მან იხმარა, და იგი შემთხვევითად ან თვითნებურად მივიჩნიოთ. დამახასიათებელია, რომ XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გუგუაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ბევრი სხვა), XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერები და მწერლები (ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, მიხეილ ჯავახიშვილი...), პოემის ათეულობით ძველი და ახალი გამომცემელ-რედაქტორები, ასევე მთლიანად თანამედროვე მწერლობა, პრესა და ფართო საზოგადოება მხარს უჭერენ და ხშირობენ რუსთაველს, ეგვივა მიღებული რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში.

ფორმა რუსთაველი საქმოდ გავრცელებული იყო, როდესაც 1934 წელს იუსტინე აბულაძემ აღმარა რუსთაველ ფორმის აღდგენის საკითხი და მოითხოვა მისი ხმარების დამკვიდრება.⁴ მაგრამ ამის წინააღმდეგ იმთავითვე გამოვიდა მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც თა-

2 ნ. მარი თუმცა სხვადასხვაგვარად წერდა (რუსთაველი, შოთა ივ რუსთავი...), მაგრამ არასოდეს უხმარია რუსთველი: Н. Я. Марр. Об истоках творчества Руставели и его поэме, გამოსცა ი. მეგრელიძემ, თბილისი, 1964, გვ. 251.

3 კ. ქეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 32, 54; შარ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941, გვ. 109.

4 ვახუთი «კომუნისტი», 1934, 24 ოქტომბერი.

¹ ილ. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ: ენიმის მოაზრება, ტ. III, 1938, გვ. 205.



ვისებურად დასაბუთა რუსთაველის ხმარების უპირატესობა. 1937 წელს საიუბილეო კომიტეტმა მიიღო და დღემდე საყოველთაოდ კიდევ იხმარებოდა რუსთაველი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1937 წლიდან დღემდე არ აღმოჩენილა არავითარი საბუთი, რომელსაც შეეძლო გაემათილებინა რუსთაველ ფონის ხმარებამ. დღეს ფაქტობრივ განახლდა ძველი დავა: მკვლევართა მცირერიცხოვანი ჯგუფი მხარს უჭერს პოემის ავტორის ზედწოდების თითქოსდა ძველი ფორმა — რუსთაველის — დატოვებას. ხოლო უმეტესობა, რომელსაც ეთანხმება მთლიანად ჩვენი პრესა და თანამედროვე მწერლობა, იცავს რუსთაველის (ასევე: რუსთაველური, რუსთაველობა) ხმარების უპირატესობას⁴. ეს დავა რომ ეპინეტური აკადემიზმის ფარგლებს არ გასცილებულა, აჯობებდა და შეიძლება აღარავთერი გვეთქვა, მაგრამ საქმე ის არის, რომ უკვე ვრცელდება ორნარი ფორმა: საიუბილეო დღეებისათვის გამოცემული წიგნების ერთ წყებას აწერია რუსთაველმა, მეორეს კი რუსთაველი. უფრო მეტიც: ერთსა და იმავე წიგნს გარედან რუსთაველი აწერია, სატიტულო გვერდზე რუსთაველი⁷, ანაათან კიდევ რუსულად რუსთაველი. ეს კი მეთისმეტა და ეროვნულ დაცვაზე, რომ შესაწ-

ყარებელი იყო! უცხო კაცს (და გამოუცხვად ლობით შინაურსაც კი) შესაძლოა ისეთი შეხედულებები შეექმნას, თითქოს ორი გვარის სხვადასხვა პიროვნება იყო: რუსთაველი და რუსთაველი, თითქოს ისევე განსხვავებული ფორმები გვექნა, როგორც ცნობილია გვარები: ბერძენიშვილი და ბერძენიშვილი, ქვერტელიძე და ქვერტელიძე, ლორდლაძე და ლორდლაძე ან კიდევ თორაძე-ტორაძე, ბრეგვაძე-ბრეგვაძე, ბერაძე-ბერაძე-ბერაძე და მსგავსი სხვა.

რუსთაველი ცნობილია ქართული ისტორიული წყაროებიდან. ტრადიციით ძველ შედეგში, ფორმის ხმარობდნენ საეკლესიო მკვლევრები: მაგალითად, XVII საუკუნეში იხსენიება სამი რუსთაველი: ზაქარია, იოსებ და მათეოს. ვარკვეული ავრეთვე, რომ თავის დროზე ის სითანად თანამედრობის ანუ სახელად აღნიშნავდა და, როგორც ხშირად ხდება, შემდეგ შესაძლოა გვარის სახელადაც ქვეყელი (შდრ. მეტეუა, მენაბდე, კალატოზი... პარალელურად ახალი: მენაბდეშვილი, კალატოზიშვილი, მენარკიშვილი...).

პოემაში რუსთაველი ორჯერ იხსენიება პრილოგში: დაეჯე, რუსთაველმა გაველქსე, მისთვის გულ ლახვარ-სობილი (7); მე, რუსთაველი, ხელობითა ვემ საქმეთა ამა დარი (8).

ორჯერვეა ნახმარი ეს ფორმა ეპილოგში: ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველი-

1 მიხეილ ჯაფარიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1964, გვ. 426-27; შდრ. ვ. ბერიძე, რუსთაველოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1961, გვ. 7.

2 იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ადრეც ცნობილი წარწერა რუსთაველი არ იძლევა საფუძვლს, რომ აქ ამოვიკითხოთ მინიდანიაში რუსთაველი. დაქარაბებული ფორმა შეიძლება სხვაგვარადაც გაიხსნას: ს. ა. ა. ხ. ნიშვილი, შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტერი, „მნათობი“, № 2, 1961, გვ. 118-119.

3 ა. შანიძე, ა. ბარამიძე, რუსთაველი თუ რუსთაველი? ვაზ. „კომუნისტი“, 1961, № 8 (გვ. 4); ა. შანიძე, რუსთაველი თუ რუსთაველი? „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 260-268; მისივე, ანტონ I-ის ვაგენა სალიტერატურო ქართულზე: ძველი ქართული ენის კათედრის შრ. 9, 1964, გვ. 34. შდრ. ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 39.

4 ვ. თ. ფურია, ი. გიგინეიშვილი, სასოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1941, გვ. 134.

5. მეგრელიძე, რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ მართლწერა: „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, № 22 (25. V), გვ. 2; მ. ალავიძე, დავიკეთა ფორმა რუსთაველი: ვაზ. „ქეთათასი“, 1966, № 15 (22. II); მისივე, შოთა რუსთაველის ენისათვის: იქვე, 1966, № 59 (25. III).

5 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966 (სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი); ქართული მწერლები შოთა რუსთაველს, გამოცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1966.

6 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, გამოცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1966; თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველს, საიუბილეო კრებული, უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1966.

7 შოთა რუსთაველი ის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი: შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, გამოცემა „მეცნიერება“, თბილისი 1966.

8 საინტერესოა თ. ბგარათიონის მოსაზრება: რუსთაველი „ქალაქისა და გარემოსა მისისა მთავარი იყო და თვითცა მუნებური“; თ. ბგარათიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 5; ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38-41.

იხანე ძამთარაძე
რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“



სად ამისა (1665); ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა (1669).

რას წარმოადგენს რუსთველ, რუსთაველ ფორმები, როგორია მათი აღნაგობა და ისტორია?

როგორც დადგენილია, ხმოვანი თავსართ-ბოლოსართის დართვის შედეგად ქართულ სიტყვაში ხდება ფუძისეული ხმოვნის დაყარგვა. მაგ., კედლის, საყელენ... თითქოს ასევეა საღებრობის -ელ სუფიქსის დართვისას: უბანი, მაგრამ: უბნის, უბნელი. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ყოველთვის ასე არაა. საერთოდ კი ფუძისეული ხმოვნის დაყარგვის უფრო მეტი შემთხვევებია ცნობილი ძველი ქართულის ზოგიერთი ძეგლიდან, ვიდრე საშუალო და ახალი ქართულიდან: ძველ ქართულში იყო: ევშაი-ვეშისა, მკერდი-მკრდისა, მოწაფე-მოწფისა, ერისთავი-ერსთვისა, თავი — აქედან ნაცვალსახელია თვისი... მაგრამ ეს არ იყო სისტემა: ბევრ შემთხვევაში თანაბრად გავრცელებული იყო შეუქუმშივეი ფუძეები მტერის, ამბავის, მდღელის, ხოლო ყველაზე უფრო გავრცელებული სიტყვა ჭვარი ჩვეულებრივ უქუმშველია (ჭუარისაგან: მარკ. 15, 46; ჭუარით: მთ. 27, 40) და დღესაც ასეთი რუგვაა: ჭვარის მონასტერი და ჭვარის მონასტერი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი დიალექტური წრიდან მოდის ბრუნდითულად ესა თუ ის (შეუქუმული ან შეუქუმშივეი) ფორმა და რომელი პერიოდის არის ისტორიული განვითარების მიხედვით სათანადო ფუძე. ეს არის ყველაზე სწორი თვალსაზრისი ანალოგიური ფორმების ახსნისათვის.

ამგვარად, თუ ოდესმე ცალკე ან კომპოზიტში ფუძე თავ იკუმშებოდა (თავი: თვისი, ერისთავი: ერისთვისა), ამასთან დაკავშირებით მონალოდნელია თეორიულად გეკონოდა აგრეთვე: რუსთავი: რუსთისა, რუსთველი, თუმცა XII ს-ისა და შემდგომი ეპოქის ქართული ენის ისტორიის ფაქტები მას აღარ გვიდასტურებს, პირიქით: ჰიღრონიმიკა-ტოპონიმიკისა და ონომასტიკონის უამრავი ძეგლი მასალა მხარს უჭერს რუსთაველ ფორმის კანონზომიერებას და შესაძლებელ არსებობას. მოკლედ თითოეულ მათგანზე:

ტოპონიმიკა. მეტყველება რთული სოციალური პროცესია, რომელსაც საზოგადოება მტკიცე დარაჯად უდგას და იცავს ნებისმიერი ცვლილებისაგან, მაგრამ ფონეტიკაში დიდი ხნიდან ცნობილი ფაქტია, რომ კოარტიკულაციის პროცესში ხშირად ხდება მეტყველების ერთგვარი მოდუნება, სიტყვის წარმოთქმა არასრული ფონეტიკური სტილით. ამის გამო და აგრეთვე მახვილისა და ინტონაციის თავისებურება მოქმედების შედეგად დროთა განმავლობაში სიტყვას თავდაპირველი სახე ეცვლება, შეცვლილი ფორმა კერძო-ტოპონიმიკა, მოგვეპოვება კლასიკურ ნაშრომებში გავრცელებულია და გაბატონდეს. შესწავლილი რომ იყოს საქართველოს ისტორიული და თანამედროვე პირობების მიხედვით, მოგვეპოვება სათანადო ლექსიკონები, მაშინ ასეთი მაგალითების ჩამოთვლა ასეულობით შეიძლება. ამჟამად ეს სახელდახელოდ შერჩეული ნიმუშებიც სარწმუნოა, თუ რა დიდი ცვლილება განიცადა ადგილის სახელებმა ქართულში:

იყო: ვარდის ციხე ვარციხე
ნიკოლაოზ წმიდა ნიკორწმინდა
ეცსტათე წმიდა ერთაწმინდა
ქუთათისი, ქუთათელი ქუთაისი, ქუთაისელი ბალახოვანი, ბალახვანი ბალახოანი (ქუთაისშია)
სირთა რუა სიქთარვა (თერჯოლის რ.)
ცხენთა რუ ცხენთარო (ზესტაფონის რ.)

ბევრი ამგვარი ადგილის სახელი მოხსენებულია მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში, ისტორიულ საბუთებსა და თხზულებებში: დღევანდელი ფარსხანაყანევი (წყალტუბოს რ.) სამშალო ქართლის წერტილით ძეგლებში დიქსირებულია ფარსხან უანევის სახით: დღევანდელი თერჯოლა მიღებულია თეთრი ბეჟოლსაგან (ბეჟოლა იგივეა, რაც თუთა ანუ ფურცელი). თინჯალის თავდაპირველ სახეობად ჩანს თინჯანი, თინჯანი, ხოლო ქიზიყის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტია დადასტურებული: ქიზიკი, კისიყი, კიზიყი, ხიზიყი, კიზიყი, უიზიყი, ქისიყი.

დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის არა მარტო ადგილობრივი, არამედ შემოსული გეოგრაფიული სახელებიც: რუსული Сибирь ქართული ციბირია... ამგვარად, ხშირი ხმარება სახელს ფორმის უცვლის, ზეწვეს, უფრო შესაგუებელს ხდის ენის თანამედროვე ნორმებისადმი. ნიკოლაოზ წმიდისა და ეცსტათე წმიდის შეცვლა ნიკორწმინდა, ერთაწმინდა ფორმებით და სხვა ასეთები ენის განვითარების კანონზომიერების შედეგია.

ონომასტიკონი. ქართული ენის ისტორიაში საზოგადო სახელებსა და ზნენებს ფონეტიკური გავრცელების მიხედვით ძალიან ცოტა ცვლილება ავსუტდება. იყო და არის: დაქრძალა, აუკრძხა;

2 ნ. ბერძენიშვილი, წყალტუბოს ისტორიისთვის: სმამ, IV, № 7, 1943, გვ. 715.

ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისთვის XII—XVIII სს, I, 1964, გვ. 121, 33, 243, გვ. 220.

1 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 29-30 შემდგ.



ეკადრა, შევედრა, მოძღვარი, სახლი, საუნჯე, სასწაულო, საბრძანებელი... მაგრამ ეს არ იქმნის საკუთარ სახლებსა და გვარებზე. საკუთარი სახელები და გვარები ყველაზე ხშირად იხმარება ყოველდღიურ მეტყველებაში. ზოგჯერ მოფერებით და აღერსით, ხან კიდევ დაძინებით თუ ზიზღით ეს სახელები ნაირ-ნაირ ფორმებში იღებენ; მხატვრულ ლიტერატურასა და დოკუმენტებში ფიქსირებულია ზოგი აინტერესო ფორმა. აქ საქმარისია მოვიფიქროთ რამდენიმე:

იყო:	არის:
ეფთჳში	მქეთოჲ
ბეროზ: Hd-8731.2 1486 წ.	შდრ. ბეროზაშვილი
ზედგან; ზედგინისძე: ქართ.	
სპარს.	ზედგენიძე
საბუთ.3 198. 1698 წ.	
ბარლამ	ვარლამ
ნიკოლაზ, ნიკოლოზ	ნიკოლოზ, ნიკო
ღმერთისა: Hd-10138. 1598 წ.	
	ხეთისია, ხეთისია
სეიმონ, სიმეონ, სიმონ	სეიმონ, სიმონ
შიომ: Hd-4149. 1689 წ.	შეო
ელია, ანტონი	ილია, ანტონ
ღემეტრე, იოვანე	ღემეტრი, ივანე.

მე რეს მონასტრის ცნობილი წინამძღვარა ფებრონია ქართველმა ხალხმა შემდეგში თავისებურად „მონათლა“ (მოხდა დისიმილაცია) და თებროლედ შეცვალა, შემოკლებით თებრო; იერუსალიმის ჭვარის მონასტრის აღაპებში მოხსენებულია მკციის ძე ბეშენ და ჩხეტის ძე რუსი,⁴ იგივე ფორმები მეორდება ალექსანდრე მეფის 1488 წლის წყალობის წიგნში (Hd-8731): მკციძე სარგის, ჩხტიძე ივანე. ესენი წინაპრები არიან დღევანდელი მხეიძეებისა და ჩხეიძეებისა.

ჭერ კიდევ XVII ს. საბუთებშია მოხსენებული ვინმე გიორგი თადღირიძე, ნაწარმოები ფუძეებისაგან თადღირ, თადღირ „ვარსკვლავი“.

1 „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳშისი“ სამ ვარიანტს გვიდასტურებს: ეფთჳში (59,28), ეფთჳში (47,109), ეფთჳშე (15,5).

2 საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ეყევილიძის სახელობის ზელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები.

3 გამოსცა ვ. ფუთურაძემ, თბილისი, 1955.

4 ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის XI—XVII სს, თბილისი, 1962, გვ. 10, 117.

„გვირგვინი“⁵ მაგრამ დღეს ამ გვარის სახელი ნორმალური ფორმაა თადღირიძე. ასევე: დედისაძე (Sd-1156), ახლა არის დედისაძე, იყო მაჩაიძე (საქ. სიძვ. III, 257. 176⁵ წ.), არის მაჩაიძე. იონან-ძე-საგან არის მიღებული იმნაძე, ამონისშვილისა და ხელმოკლძისაგან — ამონაშვილი და ქეოკლიძე. ეპკვი არაა, რომ შაჰინშაჰი უნდა ყოფილიყო წინარე სახე შანშე → შამშე სახელისათვის, ხოლო შაჰინშაჰიშვილი — გვარებისათვის შანშაშვილი, შანშაშვილი. მსგავსადვე იერუსალიმის ჭვარის მონასტრის აღაპებში მოხსენებული ირუბაქიძე (გვ. 87), ბოცოას-ძე (გვ. 67) უდავო წინაფორმებია შემდგომი რობაქიძე, ბოცვაძე გვარის სახელებისა.

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ სანაოდო ფონეტიკური ცვლილებები მოხდა სხვა გვარებშიც. იყო სახელი ღვინომა (შდრ. გიორგობა: გიორგობიანი) და აქედან გვარი ღვინობაძე → ღვინოფაძე (Qd-6942. 1766 წ.), აწინდელი ღვინოფაძე (ღვენოფაძე), ძველი ღოღაბერიძე, ჩოღაყაშვილი, გარეყანიძე დღეს დამკვიდრებულია ცვლილებით: ღოღაბერიძე, ჩოღაყაშვილი, გარაყანიძე.

ს. ჭანაშიამ აღნიშნა ბოლოკიდურა ნ თანხმოვნის დაკარგვის ფაქტები -იაზე დაბოლოებულ გვარებში.⁷ მართლაც, ძველ საბუთებში იხსენებებიან ქაჩაიანი (ი. ბარათაშვილი, ცხოვრება — ანდერძი, 87, 1768 წ.) და გაბუნაინი (სვანეთის ისტორიული ძეგლები, II, 96, XIV-XV სს), ხოლო დღეს ცნობილია ქაჩაია, გაბუნია.

აღარ შეეჩერდებით იმ ცვლილებებზე, რაც სადატურის სახელთა წარმოებაში მოხდა: იურუისისაგან მროველი, ახლა რუისელი; ეგვიპტე — მეგვიპტელი, ახლა ეგვიპტელი; ტფილისი — ტფილელი, ახლა თბილისელი... ყველაფერი ეს გვიჩვენებს დიდ ცვლილებებს გეოგრაფიულ და გვარის სახელთა წარმოებაში. ტომონიმი რუსთავი მართლმსაზღვრელიანი კომპოზიტია, რომელშიც შედის ტოპოლექსემები რუ და თავი. ადგილის სახელად გამოყენებული ამ ტონის კომპოზიტები ბლომად მოიპოვება საქართველოში და ცნობილია როგორც დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული

5 ა. შანიძე, ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყენილი ადგილის გაგებისათვის: თსუ შრ., ტ. 99, 1962, გვ. 248.

6 ი. ქავთარიძე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს, I, 1964, გვ. 211.

7 ს. ჭანაშია, შრომები, ტ. III, 1959, გვ. 40-41.

ივანე ჯავახიშვილი
რუსთაველი და „მეფისცხადანნი“



დაყოფით, ასევე ძველი ისტორიული საბუთებიდან, ვახუშტის გეოგრაფიული აღწერიდან, „ქართლის ცხოვრებიდან“...

ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ისეთ კომპოზიტივებზე, რომლებშიც შედის სიტყვები თავი და რუ ცალ-ცალკე ან ორივე ერთად:

1. კომპოზიტის პირველი წევრი მხოლოდითით რიცხვის ნათესაობით ბრუნვაშია:

ქალისთავი: Ad-2218. 1510-48 წწ. (სოფელია ქიშორას ვაღბა):

წყაროსთავი: Ad-81. 1202 წ. (წყაროსთავის ეკლესია ჭავჭავთში ააშენა დამი: ქც 205, 18);

ჩაქვისთავი: ისტ. გეოგრ. და ტოპონ. 218; **ღორისთავი:** ღორისთავი სამძღვარი: იქც-232 (ზღრ. ციხესა ღორისთავისა: ვახუშტი, 50);

წალულისთავი: Hd-834. 1681 წ. (მეფეთა სადგომი იყო დავით აღმაშენებლის დროს: ქც 324, 19); **ლომისთავი:** ქც 265, 14;

ვენახისთავი: Hd-834. 1681 წ.; **აბოცისთავი:** ვახუშტი, 50;

გველისთავის მთა: **კობისთავი:** იქვე, 131, 148; 149; 161;

ხილისთავი, კამეჩისთავი და ა. შ.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკიდან ცნობილია რუსთავი, რუათავი, რუთათავი, ფოცოლათავი, ვანითავი, ჩანჭკრითავი.²

შინაარსით განსხვავებული ხელობის (თანამდებობის) სახელები ციხისთავი, ერისთავი, ხევისთავი ანალოგიურად არის ნაწარმოები.

2. კომპოზიტის პირველი წევრი ძველ მრავლობისშია:

შაშინათავი: ისტ. გეოგრ. და ტოპ. 241; ასევე: **სიქთარვა** (← სირთა რუა), **ცხენთარო** (← ცხენთა რუ).

3. მასზღვრელ-საზღვრულიან კომპოზიტში რიგი შებრუნებულია და კომპონენტის (თავის) მნიშვნელობაც სხვაგვარია: მართლმსაზღვრელიანში თავი აღნიშნავს სათავეს, დასაწყისს; წვეროს, მწვერვალს, აქ კი — მთავარს: სოფელი თავრუ: Hd-6858. 1654 წ.), ე. ი. მთავარი რუ.

4. იშვიათად არის აგრეთვე გამოყენებული მარტო რუ ნაგენეტივარ ფორმითა მხოლოდითა და მრავლობით რიცხვში:

რუისი, რუისი: Hd-8712. 1398 წ.; **რუეთი:** Ad-3. 1190—1207 წწ.

რუსთავი თავისთავად ძველი კომპოზიტი არ

ჩანს. მასში ნათესაობითი ბრუნვის ახალი შუალ ქართულში ჩასახული ფორმა, მსგავსად რუსპირისა (რუსპირი: Hd-9719), რომელიც სოფელი ჩანს XVII ს. რაჭაში. ასე, რომ მოსალოდნელი იყო ძველი წარმოებით რუსისთავი, რუასთავი; ადგილთაგან რუასთავისათა: ასურელ მოღვაწეთა ცხ., იღ. აბულაძის გამოც. 168, 5. ამგვარადვე დღემდე გვაქვს შემორჩენილი სოფლის სახელწოდებებში: რუისპირი, რუისბოლო (ჯახეთში). ძველ ქართულში სწორედ ამგვარი წარმოება იყო სხვა შემთხვევაშიც: ნუ უკუ შეიკრებიან ეკალთაგან ყურაქენი ანუ ყუროსთავისაგან ლედუ (მათ. 7, 15), **კუროსთავი** ამჟამად **კუროსთავი** ფორმით იხმარება და ნიშნავს ლურსმანა ეკალს.³

მასასადამე, ძველი წარმოება რუსისთავი თუ არ დასტურდება დოკუმენტურად, აუცილებელი არაა ვივარუდოთ, რადგან ნათესაობით-მოქმედებითში XII საუკუნიდან თანდათან გრცელდება და XVI-XVII სს მკვიდრდება ხმოვანფუძიან სახელთა საშუალ ქართულში ცნობილი ტიპი — დიფთონგამარტივებული, ბრუნვის ნიშნადკარგული: რუ-ს. რუ-თ. რუ-თი.⁴ რუსისთავი ან ამ დროს გაჩნდა, როცა ბოლომდევნიან სახელთა ამგვარი ბრუნება იყო, ან მოხდა ძველი წარმოების კორექცია ახალ მდგომარეობასთან. ამ ხანებში ევლარც შეკუმშულ ფუძეს ვივარუდებთ, რადგან ამიერიდან ხშირად ვხვდებით დიალექტური წარმოშობის ურედუქციო ფუძეებს, მასასადამე: რუსთავის (და არა რუსთავის), რუსთაველი (და არა რუსთველი). ამგვარად, სახელთა ბრუნვის ფორმა და ფუძის კუმშვის საყიბი ხმოვით დწყებული სუფიქსის დართვით ერთ ღონეზე უნდა ვანვიხილოთ, მათ ერთმანეთს ვერ დავაშორებთ.

დამახასიათებელია, რომ წარმოებულ ფუძეში, როცა თავ სიტყვის შემცველ კომპოზიტა ერთვის ხმოვინანი აფიქსი, სახელი არ იკუმშება:

სოფელი თახვინთავის მიწა: Hd-6777 1671 წ., **სამთავისი; სამთავნელის** სამწყსო: Ad-599; 604. 1459 წ., ისიფორე **სამთავნელი:** ქც 208,4; ანტონი **გლონისთავის** ძე: ქც 122,25 („ბასილი ეზოსმოდღარი“).

რაც შეეხება გვარად ქცეულ თანამდებობის სახელ ერისთავს, მასში თავ კომპონენტი ძველ

1 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის, I, თბილისი, 1964, საჭ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. ვაშოსავმად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ.

2 ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა, II, ბათუმი, 1959.

3 ა. მ. ყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1961, გვ. 42. ზღრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1959, გვ. 278.

4 არს. ჩიქობავა, სახელთა ბრუნვის ისტორიიდან ქართულში: ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობისა და მოქმედების ფორმანტთა ევოლუციისათვის: კრებ. სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ბუნებაში, I, თბილისი, 1956, გვ. 239-264.



ქართულში ზოგჯერ იყენებოდა და გვიანდაც ერისთვის, ასევე საშუალო ქართულშიც, თუმცა ტენდენცია შეუქუთმავალი ფორმებისკენაა:

ერისთვის ქალს: საქ. სიძე. II, 124. XVIII ს.; არაგვის ერისთვის. შვილი ელიზბარ: ეკ. ისტ. II, 111.1794 წ., ერისთავანთშიაც მოვიკითხე Sd — 3542. XIX ს.; მაგრამ: ერისთავიშვილი გოგია: Sd — 1171. 1807 წ.

შაშასადამე, ერისთავ ფუძე ძველი ქართულის სათანადო დიალექტურ ჯგუფში ისევე, როგორც ნაცვალსახელი თავისი — თვისი (თუხი), იყუთმავალი, მაგრამ არა ყველან და ყოველთვის. ამის შედეგია, რომ ახალ ქართულში დამკვიდრებულია შეუქუთმავალი ფორმები: ერისთავის, თავისი (ლექსებში იშვიათად შეიძლება იხმარებოდეს თვისი). ამის საფუძველზე საგვებით შეცალმებულია ვთქვათ, რომ რუსთავ ფუძეშიც ანალოგიური პროცესი გვიჩინოვდა. მართალია, რუსთავ ტიპის არც ერთ ზემოთ განხილულ კომპოზიტში არ დასტურდება ფუძისეული ხმოვნის დაკარგვა, მაგრამ შესაძლოა ჩვენთვის უცნობი ტერიტორიული დიალექტის ნორმა იყო ერთ დროს — ელ ბოლოსართისმიერი რედუქცია: „რუსთავ-ელ → რუსთავ-ელ: ესმა ეპისკოპოსსა რუსთაველსა: ს. ყუბანეიშვილი, ძე. ქართ. ლიტ. ჟურნ. I, 171.11. (მღრ. წილკანი: წილკანი: იშვანი: იშხნელი; ვაშლოვანი: ვაშლოვანი || ვაშლოვანი). არის შემთხვევები, როცა ავ დაბოლოებიანი ზოგი სახელი ბრუნებისას იყუთმავა (კარავი — კარავ-ს), მაგრამ უმეტესობა უქუთმავალი: მანავი—მანავის, მანავ-ელი; ასევე: კორსაკელი, ცურტაველი და შემდეგში ანალოგიური ფუძეებიდან ნაწარმოები გვარები: ბარდავ-ელი-ძე (დარსაველიძე?) და სხვა.

XII-XVIII სს ქართული ისტორიული საბუთებისა და მხატვრული ლიტერატურის ძეგლების შესწავლა გვარწმუნებს, რომ სახელთა ფუძეში ხმოვნის რედუქციამ წინა პერიოდთან შედარებით საგრძნობლად იყო, თანდათან გავრცელდა და თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონდა ურედუქციო, სრულხმოვანი ფორმები. იყო: სიგლის, სიგლით, მეკრე... გავქვს: სიგელის, სიგელით, მეკარე...¹

ამ ტენდენციას აღრევე აუბა მხარი რუსთავ ფუძისაგან ნაწარმოებმა და მისი ტიპის სხვა სადატურობის სახელებმა. კიდევ რომ ერთადერთი ყოფილიყო ქართულში რუსთაველი, იგი კანონზომიერად შეიცვალა ხალხის მეტყველებაში რუსთაველ ფორმით. ასე, რომ ძალიან დიდხნის ტრადიცია აქვს მას და ამით აიხსნება, რომ ახალ ქართულში საყოველთაოდ გაბატონებულია შეუქუთმავალი რუსთაველის („რუსთაველის ბეჭედივით დგას თბილისის გალავანი“;

ი. გრიშაშვილი, თხზ. 1949 წ., გვ. 66), რუსთაველი ისევე, როგორც სადატურობის — ელსუფიქსით ნაწარმოებ ბევრ სხვა გვარში: იშხნელის, კეცხოველის, მოზდოკოელის, ზანდუკელის, ბოტკოველის, კორსაკელის, კორინთელის, მებრეველის, კარგარეთელის (და არა მებრეველის, კარგარეთელის და მისთ. შდრ. აგრეთვე წითელი, წითლად, მაგრამ: გვერდწითელის). თუ რუსთაველ ფორმას დავეუქრდით მხარს, მაშინ თანამიმდევრული უნდა გყოფილიყავით და გვეხმარა რუსთავლის ისევე, როგორც ამას მიმართავდნენ არჩილ მეფე და სხვები („ნანუჩას რუსთავლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაუტრევია“).

ამგვარად, არც ერთი წყაროდან არ მტკიცდება დოკუმენტურად, რომ რუსთავ ტიპის კომპოზიტში XII და მით უფრო მომდევნო საუკუნეებში ხმოვანი იკარგებოდა. თვით ერისთვის ფორმაც კი სრული საბით ვაგრცელდა — ერისთვის და შოთა რუსთაველის დროინდელი მემორიანეც გვაცნობს ანტონი გლონისთვის-ძეს და არა გლონისთვის-ძეს! მასწავლა, ვარაუდს ვარდა, სხვა რა საბუთი ვაგვრება რუსთაველ ფორმის ხმარების სასარგებლოდ? მართოდენ ავტორისეული გამოთქვამი: „მე, რუსთაველი, ხელობითა ექმე საქმეთა ამა დარი“. ავტორი უწოდებს თავის თავს ასე და არა სხვაგვარად, შოთა ასე წერს!

მართალია, თავის დროზეც ბევრს არავის გაუზიარებია მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგის არარუსთაველურობის თაობაზე, 4 ეპილოგის შესახებ კი ვარკვეული მკვლე

3 ტრადიციით შექუთმავალი ფორმებია გვარებში მაჩაბლის, წერეთლის, მაგრამ შეუქუთმავიც არაიშვიათია („გავსცქერ არეს უხინჯოს და უნაღლოს, წერეთლის დინჯ შედროგივ გადაშლილს“: ი. გრიშაშვილი, თხზ. 1949, გვ. 62); ასევე ისტორიული ტრადიციის გადმონშთია სამაჩაბლო, საწერეთლო (და არა სამაჩაბულო, საწერეთლო), მრავლობით რიცხვში კვლავ ახლებური წარმოება: მებრეველები... თბილისელები, ბოლნისელები, ლავადებელები (და არა ლავადებელები).

4 ასეთი მოსაზრება გამოთქმული ჰქონდა დ. კარიჭაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ 1903 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში, გვ. VIII-XII; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა“, თურნ. „განათლება“, № 6, 1913, გვ. 412-424; შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 88; მისივე, ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა: თურნ. „მნათობი“, № 7-8, 9-10, 1931, გვ. 152-154; ს. კაკაბაძე, „ვეფხისტყაოს-

ივანე ჯავახიშვილი
რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“

1 ი. იშხანიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 31.
2 ი. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164-167.



გამოთქმული, თუმცა ეს კი არის, რომ ებილო-
გის დამწერიც ადისტურებს პოემის ავტორად
რუსთაველს.¹ მაგრამ ერთი საკითხი მაინც ის-
მის: „ვეფხისტყაოსნის“ ავტოგრაფი არა გვაქვს,
აქ კი რუსთაველ ფორმის ავტოგრაფისათვის
შესაფერისი ნდობით ეყარობან. მაშინ რა დაა-
შავა პოემის სხვა ადგილებმა, რომელთა ენის
გზამკაეტულ-ლექსიკური ფორმების გასწო-
რებაზე და საერთოდ ტექსტის დადგენაზე სხვა-
დასხვა ხელნაწერის ტექსტებით თუ სხვა რეა-
ლიების გათვალისწინებით ამდენი დრო და
ენერგია დაიხარჯა? ვანა ხშირად იძებნება ექვ-
მიუტანელი საბუთი შოთაძელის ვასამიგნავად
და არამოთასელის უარსაყოფისა?

ჯერ ერთი. ისტორიიდან არა ერთი და ორი
შემთხვევაა ცნობილი, როცა ესა თუ ის მწე-
რალი ან მეფე თავის გვარს და წარმოშობას
სხვადასხვანაირად აღნიშნავდა (მაგალ. ძველი
ირუბაქის-ძე, ახალი რობაქიძე...). საქართველოს
მეფეები, თუ თითონ არ იყვნენ დარწმუნებუ-
ლი, ყოველ შემთხვევაში სხვას არწმუნებდნენ,
რომ იგიინ უძველესი ებრაული სამეფოს შთა-
მომავალი იყვნენ და თავიანთ გვარს ამისდა
შესაფერისად უწოდებდნენ იესიან-დავითიან-
სოლომონიან ბაგრატიონი, თანაც არაერთი
შემთხვევა, როცა ბაგრატიონი ისტორიულ სა-
ბუთებში ვადაკეთებულ-ვადასხვაფერებულა,
რასაც, თავისი ფუნქციურ-გრაზმარტკული კა-
ნონზომიერებაც შეიძლება დაეძებნოს.² საბუ-
თის საკუთარ (მეფისეულ) ხელმოწერას ხში-
რად სათანადო ბეჭედს ეუხის ხოლმე:

...სოლომონიან-დავითიან ბაგრატიონს მეფე-
სა აღწესნდრეს... წინაშე მოვიდეს: 1413-1444
წწ სიგელი: საქ. სიძვ. II, 1909 წ., გვ. 35.

ჩუენ, ღთივ აღმართებულმან, ღთივ დამყა-
რებულმან და ღთივ გურგუენისანმან, იესიან-
დავითიან-სოლომონიან ბაგრატიანმან, მეფეთ-
მეფემან, ქელმწიფემან პატრონმან შანნავაზ:
1676 წ. საბუთი: საქ. სიძვ. II, გვ. 137;

ჩუენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან პანკრა-
ტიანმან, ორთავე სრულად საქართველოს და
ყაზახ-ბორჩალოს მპყრობელ-მწონებელმან, პატ-
რონმან მეფემან მეორემან პირაკლემ: 1668 წ.
სიგელი: საქ. სიძვ. I, 1920, გვ. 13;

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ვინ ამ-
ბობს რომ, მაგალითად, სოლომონ იმერტ მეფე
იყო პანკრატიანი ან ბაგრატიონიან და მისთ.
ან: ერეკლე მეორის ანუ პატარა კახის ნაცულად
უღვრო სწორია და უნდა ვიხმართ იესიან-

დავითიან-სოლომონიან ბაგრატიონი ერეკლე
ამგვარადვე, კიდევ რომ ერთადერთ და სრულ-
გრამარტიულ წარმობად მივიჩნიოთ რუსთავე-
ლი, იგი ისტორიის კუთვნილებად უნდა ჩაით-
ვალოს. მეორამეტრ საუკუნიდან ღღემდე უკ-
ვე შეიქმნა გარკვეული ტრადიცია რუსთაველ
ფორმის გავრცელებისათვის. თანაც უნდა ითქ-
ვას, რომ მთლად უკრიტიკოდ ვერ მოვეყარე-
ბით რუსთაველ ფორმის ხმარების ძველ ტრა-
დიციას. ცნობილია, რომ ძველი მწიგნობრული
სკოლები დიდი სიფრთხილით და პატივისცემით
ეყარობდნენ, ზოგჯერ კი ბრძადაც მიჰყებოდ-
ნენ ტრადიციულ ფორმათა ხმარებას. თითქმის
მთელი თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში აზ-
მარებოდა ქართულ მწერლობაში არასწორი
ფორმა სღვა და მხოლოდ XVIII-XIX სს გა-
ბედეს ეხმართ სწორი სვლა (შდრ. ვალს);
XI-XIII სს სიველ-გუჯარების ერთ წყებაში
რომელიც სკოლის უუსუსი შედეგად შვილის
ნაცულად არასწორად წერდნენ შკლი. ესეც
ტრადიციის მცდარი გავების ნაყოფი იყო.

წიგნური ტრადიცია ხალხურ ზეპირმეტყვე-
ლებაზეც მოქმედებს. ამით აიხსნება, რომ ხალ-
ხური შემოქმედება იცნობს რუსთაველსაც და
რუსთაველსაც.³

თუ ოდესმე იყო შექმნილი ფუძე რუსთავე-
ლი და აღდგა სრულხმოვნიანი (შეუქმნავი)
ფორმა რუსთაველი, აქ ანტონ პირველის შე-
მოღებულ ირაციონალური თანხმომანთვასაყა-
რი კი არაფერ შუაშია, არამედ ამაში ვლინდ-
ება ქართული ენის ის ტენდენცია, რომელმაც
თავი იჩინა მეტ-ნაკლებად ენის განვითარების
ყველა სფეროში და რომელმაც ანალოგიურ
შემთხვევებში საფუძვლად უქმნა ფონეტიკური
კანონზომიერება: გავრცელდეს და დამკვიდრ-
დეს სრულხმოვნიანი ფუძეები. ჩანს, ამითაც
აიხსნება, როცა ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელ-
თა ფუძეში გაჩნდა ხმოვანი: ძველ საბუთებშია
ზრბითი, ⁴ ტრძნისი, ახლა ზირბითი, ტირძნაი...

მასასადამე, ქართულ ენაში საკუთარი სახე-
ლები და გვარები, ასევე გეოგრაფიული სახე-
ლები ნელ-ნელა განიცდის შესამჩნევ ცვლილ-
ებას. ასეთი ცვლილება განიცადა პოემის ავტო-
რის გვარმა (ან ზედწოდებამ) რუსთაველა →
რუსთაველი და პოემაში გამოყვანილი მოქმედი
პირების სახელწოდებებმა: თინათან — თინა,

ნის⁴ პრობლემის გარშემო: საისტორიო მოსაზრე-
ბები, 1924, გვ. 121-161. საბირისპირო მოსაზრე-
ბები გარჩეულია: გ. იმე და შვილი, რუს-
თველოლოგია, თბილისი 1941, გვ. 120-122,
135, 136, 198.

¹ ა. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38.
² ი. ქაეთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 345.

³ მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსა-
ნი, 1937, გვ. 236; ი. Мегрелиძე, Руставели
и фольклор, 1966, გვ. 29, 32, 39.

⁴ 1570 წელს სიმონ მეფემ უბოძა სოფელი
ზ რ ბ ი თ ი დოღენჯი თულაშელის (Qd-1673),
ხოლო იგივე სოფელი, მაგრამ ახალი სახით
ზ ი რ ბ ი თ ი, ნაზარალი ხანმა უბოძა მანუჩარ
მეთერთმეულს: მასალები ისტ. გეოგრ. და ტო-
პონიმიკისათვის, I, თბილისი, 1964, გვ. 99).



ფატმანი — ფატმა (შდრ. ასევე ტარია და სხვა ქვემოთ).

შემდეგ, ავტორის მიერ **რუსთველ** ფორმის ხმარებას გარკვეულწილად განაპირობებს მეტრის საჭიროებაც. მთლიანად სტრიქონი „მე, რუსთველი, ხელობითა...“ გამართულია კლასიკური მეტრიკის ერთ-ერთი ტერფით, კერძოდ მეორე პეონით: **მე** ნაცვალსახელის გამოყენება აქ ინარჩუნებს მაღალ შაირს, მისთვის ნიშანდობლივ ტერფსა და მარცვალთაოღენობას; პოეტს თავისუფლად შეეძლო ამ ნაცვალსახელის გარეშე ეხმარა: „რუსთაველი ხელობითა ექმ საქმეთა ამა დარა“. ისე რომ მეტრული წყობა შეენარჩუნებინა. მაგრამ იმდროინდელი წესის მიხედვით აუცილებელი იყო, რომ ვინაობის დაწერისა და საბუთის თუ თხზულების შედგენის დროს გარკვევით და, რაც შეიძლება, სრულად დაწერილიყო ყველაფერი. სამწუხაროდ, ბევრმა ადრინდელმა თხზულებამ ამ სახით ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ტრადიცია და წესი უდავოა. მაშასადამე, **მე** (ან ჩვენ) ნაცვალსახელს უნდა მოჰყოლოდა დანართი, ამ შემთხვევაში **რუსთველი**: მე. **რუსთველი** (მეტრულ წყობაში „მე, რუსთაველი“, შეუძლებელია). XII-XVIII სს არც ერთი ოქმი და სიგელი, თხზულება და საბუთი, უფრო ადრინდელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, არაა ამის გარეშე: „ჩუნენ... მეფეთ-მეფემან სვიმონ: ჩვენ... მეფეთ-მეფემან სვიმონ“ (ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. გვ. 1, 9, 19, 34) — ეკითხულობთ სიმონ მეფის წყალობის წიგნებში და სიგელებში.

ან კიდევ, აი როგორ წერს სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონის“ ანდერძ-ნაშაგში: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ქაბულობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა და მოც ამა წიგნსა ზედა“. შეადარეთ ამევე წიგნს დართული curriculum vitae: „ამა წიგნისა მომლაწებელსა სულხან-საბა ორბელიანსა ლოცვით მოიქცნებდეთ, მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმისა წულსა, საქართველოს მსახულის პატრონის ორბელის ძესა“.³

მართალია, შოთა მეტრის გულისათვის უხეშად არ არღვევს ქართული გრამატიკის ნორმებს, მაგრამ საჭირო შემთხვევაში პარალელურ ფორმათაგან ნაკლებგავრცელებულისა და ზოგ-

ჯერ ხელოვნურის (საკუთარი ნეოლოგიზმების გამოყენებას არ ერიდება: მეტრისთვის უნაკლებს ბეგრებს, ზოგჯერ ავლებს ან უმატებს თანხმოვნებს, თუმცა ფრთხილად და ზომიერად და ამით ლებულობს კლასიკურ რითმას: **მოეწერა**: „რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიერსა“.

გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერსა (401; შდრ. ასევე 1418).

სრულფასოვანი რითმის საჭიროება აუცილებელს ხდის ზოგი საკუთარი სახელის დამკვიდრებული ფორმის ცვლილებას და ენის ნორმებზე ერთგვარ ძალდატანებასაც კი. ასე, მაგალითად, გავრცელებული **ტარიელი** და **როსტევეანი** პოემაში **ტარია** და **როსტან**, **როსტენ** ფორმებთანაც არის ნახმარა:

ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია, დიდხან ვერა თქვა; სეცდამან გული შეუპყრა, დარია (346);

იყო აზაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სეიანი (32), მაგრამ:

არ შეექმნა დარბაზობა მას დღე როსტანს გულგამწყარალსა (813);
როსტენისთვის წაატანა საღვწოდ ტურფა ჟუბაჩები (1658).

რაც შეეხება საერთოდ სახელთა ფუძემდებელ შეუქმნულ და შეუქმნავად გამოყენებას, ამ მხრივ კიდევ უფრო სარწმუნო ჩანს **რუსთაველ-რუსთველ** ფორმათა პარალელური გამოყენების (და არსებობის) შესაძლებლობა იმ მრავალრიცხოვანი მაგალითის ანალიზით, რასაც პოემაში ვხვდებით და რასაც, როგორც ცნობილია, მეტრული წყობის თავისებურება, სრულფასოვანი რითმის საჭიროება განაპირობებს:

ეგონივარ ვინმე ვაჟარი, პატრონი ქარავენისა, მე ვარ ჰასაპეტი მალღისა მეფისა როსტევეანისა (1262). მაგრამ: ვაჟარი ვინმე პატრონი არს ქარავენისა დიდისა (1073).

შეუქმნულ და შეუქმნავ ფუძეთა ხმარება განსაზღვრავს მარცვალთა რაოდენობას, ქმნის ერთ-ერთ საფუძველს მაღალი და დაბალი შაირის წარმოქმნისათვის.

1 ა. გაწერელია. ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. გვ. 16, 114, 128, 248-49.

2 ბ. ბე რ ა ძ ე, ქართული ლექსის ბუნებისათვის: „მნათობი“, 1944, № 3, გვ. 142-143; შდრ. ვ. ბე რ ი ძ ე, რუსთველოლოგიური ეტაუდებო, თბილისი, 1961, გვ. გვ. 40, 44, 96, 117.

3 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, ტფილისი, 1928, გვ. 01, გვ. 477.

4 ვ. ბე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 201; შ. ლ ლ ო ნ ტ ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 133.

5 ბ. ბე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. „მნათობი“ № 3, 1944, გვ. 142.

ივანე ჯავახიშვილი
რუსთაველი და „მეფისტიქოსიანი“

ტყაოსანი ნაწარმოებია ტყავისაგან ისევე, როგორც მანდილოსანგან მანდილოსანი, და ნიშნავს იმასვე, რასაც ტყავიანი, ე. ი. ტყავის მქონე, ვინც ტყავს ატარებს („მას ტანსა კაბა ემოსა ვარე-თმა ვეფხისტყავისა, ვეფხის ტყავისვე ქუდივე იყო სარქველი თავისა“: 85). ფონეტიკური წესის გამო, ოს წინ ვ იკარგება საერთოდ: თავი: თაოსნობა, პატივი: პატიოსნება, ხევი: ხეობა და ა. შ. ამდენად, შეცდომაა ვეფხის ტყაოსანი, რაც იხმარა მიხეილ წერეთელმა.

წარმოების მხრივ ვეფხისტყაოსანი მართლმსაზღვრელიანი კომპოზიტია, იმგვარადვე ნაწარმოები, როგორც ქინძისთავი, ერისთავი, ჭირისუფალი, გულისსურიანი, გულისხმიერი ან ბრუნვის ნიშანამოკვეცილი მამულიშვილი, სახლიკაცი... აღნიშნული სახელები ერთად იწერება მაშინაც, როცა საწარმოებელი აფიქსები დაერთვის: ქინძისთავებიანი, საერისთავო, ჭირისკაცული, უჭირისუფლოდ, საჭირისუფლო... ასევეა „ვეფხისტყაოსნოდ აღარ შეიძლება ქართველის სულიერი არის წარმოდგენა“ (ლ. ვოთა, ვეფხის წიგნი და სექტიცხოვის სამყარო: „კომუნისტი“, 24. X. 66, გვ. 3).

აქ ყველგან ერთ ცნებასთან გვაქვს საქმე, ცალკე აღარ გაიზარება ჭირი და უფალი, ამიტომ ერთად იწერება ისევე, როგორც ეს გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულიან კომპოზიტებში, რომელთაგან ბევრი ქართული ენის ძველისძველი ლექსიკური ფონდის კეთვნილებაა: ხელარგნოსანი, ხელჯოხიანი, შუბლსხივოსანი, შავფრთოსანი, შავცხენიანი, მესამეთანრიგოსანი, მაღალხარისხოვანი, ყვითელნისკარტიანი, ერთაქტიანი, უხვნაყოფიანი, ხელბარაქიანი და მრავალი მისთანა.

ვეფხისტყაოსანიც ერთცნებიანი მართლმსაზღვრელიანი კომპოზიტია, ამიტომაც, რომ მსაზღვრელი შთლიანად მას დაერთვის და არ გაიყოფა: „აღიდებული ვეფხისტყაოსანი“, „უკუდავი ვეფხისტყაოსანი“ და ა. შ. მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ ერთად უნდა ეწეროდ.

ჩვენ არ ვიცით, როგორ წერდა ამ სიტყვას შოთა რუსთაველი, მაგრამ კიდევ რომ ვიცოდეთ, დღევანდელი ნორმებისთვის მას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა. თუ ხელნაწერში ეს სიტყვა დეფისითაა, არც ეს გამოდგება დღეს პოემის სახელწოდების დეფისით დაწერის საბუთად. ჭერ ერთი: ორთოგრაფია რაიმე მხრივ ყველგან და ყოველთვის იცვლება საუკუნეების განმავლობაში; მეორე: დეფისი, ჩვეულებრივ, და კავშირს ცვლის: „ადგილ-მამული“=ადგილი და მამული; ბოლ-ხადახშოსანი=ბროლისა და ხადახშოს მქონე; ლეილ-მაჯნუნიანი=წიგნი ლეილისა და მაჯნუნის შესახებ; იოსებ-ზილიხანიანი=იოსებისა და ზილიხანს (ანუ ზილიხანის) სიყვარულის თავგადასავალი და ა. შ.

დღევანდელი ზოგჯერ იგუეობის ნიშანი ან განმარტების მაგიერია: სულხან-საბა (ორბელიანი)=სულხან, იგივე საბა, ე. ი. საბა სულხანყოფილი (ორბელიანი); ბარამ-გურიანი=ამბავი ბარამისა, რომლის ბედი დაკავშირებულია კანჯართან ანუ სპარსულ გურისტან.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ დეფისით დაწერა გაუმართლებელია, ის უნდა ეწეროდ ერთად, ამ წესს უნდა დაემორჩილოს ყველა. არაფერი დაშავდება, თუ შევთანხმდებით, დავუშვებთ გამოჩაყლის და, როგორც საყოველთაოდ ცნობილს, მას წინწკლებში არ ჩავსვამთ.



მანანა ასათიანი

იოსებ თბილელის «დიდმოურავიანი»

გიორგი სააკაძეზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ორგვარი აზრი იყო დამკვიდრებული; ერთნი უბაღლო პატრიოტად, სამშობლოს ერთგულ შვილად თვლიდნენ, მეორენი — მოღალატედ, სამშობლოს გამყიდველად.

„დიდმოურავიანის“ ავტორის მიზანია გაფანტოს ის ცალმხრივი შეხედულება, თითქოს სააკაძე იყო „მოღალატე, ურჩი, მეფეთ ტახტის მაქცევი“.

1606 წლის დასაწყისში გარდაიცვალა გიორგი — ქართლის მეფე და 14 წლის ლუარსაბ II გამეფდა. ლუარსაბ მეორეს მეფობასთან არის დაკავშირებული გიორგი სააკაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ლუარსაბ მეორის გამეფებისას „...მომემ მდგომარეობაში იყო ქართლი. თურქების წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი ომების შედეგად ქვეყანა გაჩანაგებული, მოსახლეობა შემცირებული და გაღარიბებული, ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებული და ფეოდალური ანარქია გაძლიერებული იყო. ქვეყანას მტკიცე ხელი და დიდი ორგანიზატორი სჭირდებოდა. ასეთი იყო გიორგი სააკაძე“¹.

საკაძე ლუარსაბის გამეფებისთანავე მისი უახლოესი მრჩეველი გახდა. მალე იგი თბილისის ამირთ-ამირად ანუ მოურავად დაინიშნა. მოურავს ეკითხებოდა ქალაქის ყველა საქმე: საეპრო და სახელოსნო, ნუსხების დაწესება და ბაჟის აკრეფა, გადასახადების განაწილება და აღება, სამოსამართლო საქმეების გარჩევა, უცხოელი სტუმრების დაბინავება, მათზე ზრუნვა და სხვა მრავალი.

საკაძე, როგორც ვახუშტის ცნობიდან ვიცით, ვარდა თბილისისა და ცხინვალისა, დეა-

ლეთის მოურავიც ყოფილა. ამის გამო, იგი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებითაც დიდად განსხვავდებოდა თბილისის ჩვეულებრივ მოურავთაგან.

იოსებ თბილელს სააკაძის ცხოვრების აღწერა 1609 წლის ტაშისკარის ომით დაუწყია.

XVII საუკუნეში სამცხე-საათაბაგო ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. მაგრამ იქაური ქართველები ქედს არ იდრეკდნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ მტრის განსადევნად. ამ ბრძოლას სათავეში ედგა სამცხის ათაბაგის ძეგრი ელენე, სიმონ პირველის ქალიშვილი. ქართლის ჯარების დახმარებით ელენემ შეხალო ახალციხის განთავისუფლება და ციხესიმაგრის დაკავება. ქართლის სამეფოს მესვეურებს კარგად ესმოდათ ის დიდი საფრთხე, სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა გაბატონების შედეგად რომ ემუქრებოდათ.

1609 წლის ივნისში, ქართლში შემოიჭრა ოსმალთა ჯარი, რომელთა რიცხვი 2.000 ყირიმელი თათარი იყო, საერთოდ კი ჯარის რაოდენობა 60000 კაცამდე აღწევდა.

თბილელის პოემაში აღწერილი თათარ-ხანთან ბრძოლის დეტალები ასე წარმოგვიდგება: კველაში დატყვევებული ბერი თევდორე სულგრძელი აღმოჩნდა, მტერს გზა აუბნია: ცხირეთზე კი არ გაუძღვა, არამედ ქვენადრის გზით ერთაწმინდისაკენ წაიყვანა. ამასობაში მეფეს შეატყობინეს მტრის ჯარის მოძრაობის ამბავი. გიორგი სააკაძემ დიდი მოსაზრებულობა გამოიჩინა — მეფე ცხირეთში დატოვა, თვითონ კავთისხევს წავიდა და 400 მეომარი შეკრიბა. სააკაძემ შიკრიკები გაგზავნა: მუხრანბატონო, დელუ-მამაძე-ხანი, ამილახვარი და სხვა სარდლები დაიბარა.

პირველი ბრძოლა ახალქალაქის ახლოს გაიმართა:

¹ გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, 1964, გვ. 64.



ნიაბთ პოლოს სხერტა ჰქვიან. არის რამე მცირე
 შაზას ეახლდი, იქ წინ დავხვდი, გული
 გვაქვს და მცირე ძალა.
 ზაქარიას იარალი მასთან მოსდევს, მოვლენ
 მალა,
 მორწყულს ხსულში შემოცვივდეს, სისხლი
 მათი იქ გამშრალა 1.
 გვ: 141.

სხერტას სანახებში დამარცხებული მტერა
 მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირს აჰყავ, სოფ-
 ლებს, აწიოვებდა. მტერს შემოსევის ამბავი
 ცხირეთიდან სამუხრანოს, საერისთავოებს აც-
 ნობეს და მუხრანბატონებსა და ერისთავებს
 დაავალეს თავიანთი ლაშქრით სურამს მისუ-
 ლიყვენს.

თათრებმა გორის ხიდზე გადასვლა დააბი-
 რეს, მაგრამ გორელმა ტურტერამ მტერს ეს ხი-
 დი ჩაუწვრიო. მაშინ მტერმა სოფლებს მიაშურა
 „სად ვინ მოხელეს, მოსწყვიტეს, ტყვე ჰყვეს
 და მოაოხრეს“ (ვახუშტი). მათ უკან კვალდა-
 კვალ სააკაძის რაზმი მისდევდა. ოსმალებმა
 სოფ. ბრბონას მიადწიეს და იქ დაიბანაყეს.
 ქართველების ჯარი სააკაძის მეთაურობით
 ახალდაბაში ჩავიდა. ხიდი მოდიდებულ მტკვარს
 წაედო. წყალში გასვლა კი ძალზე სახიფათო
 იყო. დილაღრიან ცხენებზე ამხედრებული
 ჯარი ცურვით გადავიდა მტკვარზე. ახლა მტერს
 ახალციხისაკენ გასასვლელი გზა გადაჭრილი
 ჰქონდა. შალვა ქსნის, ერისთავი კორტანეთს
 დადგა. ბრძოლის წინა დღეს სამხედრო თათბი-
 რი გაიმართა — თათბირს ლუარსაბ მეფე ხელ-
 მძღვანელობდა. თათბირის სავანი მტერთან შებ-
 მის დრო და პირობები იყო. ნუგზარ ერისთავ-
 მა ღამით ლაშქრობა ურჩია ქართველებს.

საკაძემ ომის შესანიშნავი გეგმა წამოაყუ-
 ნა:

დილაზედა რაზმი ვაწყოთ, მათკენ ვიქმნეთ
 ჩვენ წახრილი,
 სადაც დგანან, აქეთ ნაპირს წაუვლია იმათ
 თხრილა,
 იმას ასრე გარდავიდეთ, აბრენ იქმნას გან
 გახრილი
 გარ მოვიგზნათ დახოცილი, როგორც დოლაბს
 ედვას ხრილი.
 (60)

ქვიშხეთის ეპოპის დროს სააკაძემ უდიდესი
 მხედართმთავრული ნიჭი გამოიჩინა; რის გამოც
 მისი ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა.

ამ ომის შემდეგ სააკაძე ლუარსაბის დაახ-
 ლოვებული პირი გახდა.

ბუნებრივია, რომ აზნაურის ასეთი აღზევება
 არ მოსწონდათ ძირბველ თავადებს.

ამ დროისათვის ქართლი სააკაძის ენერგულ-
 ნობისძიებითა შედეგად საკმაოდ მოღონიერე-
 ბული ჩანდა. ადრე გადამდგარი მთიელები ახ-
 ლა მეფეს მორჩილებდნენ. ქართლის სამეფო ან-
 გარიშვასაწვე ძალად გადაიქცა. შემქნილი ვი-
 თარება შაჰ-აბასის თვალს არ გამოაბრუნა. ქარ-
 თლის თანდათან მოღონიერება მოსვენებას
 უკარგავდა შაჰს. მას არასოდეს დაუვლია ცდა,
 ერთი მხრივ ქართლ-კახეთის წასაკიდებლად,
 ხოლო მეორე მხრივ — თვით სამეფოებს შო-
 რის განხეთქილების შესატანად.

1611 წელს, ტაშისქარის შემდგომ „მესა-
 მეს წელსა“, შემოდგომაზე გიორგი სააკაძემ
 სოფ. ნოსტურის დიდი ზეიმი მოაწყო. თბილ-
 ლის (და საერთოდ ქართული წყაროების) მი-
 ხედვით პირველად, თითქოს სააკაძის და აქ
 იხილა ლუარსაბმა; არაქელას თქმით „ამ დროს
 მეფე ლუარსაბი გატაცებული იყო მოურავის
 დით, თავდავიწყებით უყვარდა ის და ფარუ-
 ლად დადიოდა მასთან“ 2.

თბილეს საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღ-
 წერილი ლუარსაბის გამოწვრილებისა და ქორ-
 წინების ამბავი. სააკაძე უარზე იდგა, არ უნ-
 დოდა მეფისათვის თავისი და მიეთხოვებინა.
 ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის აზრით,
 სააკაძის წინააღმდეგობა ერთგვარი „ხერხი
 იყო. იმ ბრძოლაში, სააკაძესა და დიდ ფეოდა-
 ლებს შორის რომ წარმოებდა, ძალიან დიდი
 მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ ვის მხარეზე აღ-
 მოჩნდებოდა მეფე. ლუარსაბმა იქორწინა სა-
 აკაძის დაზე. ლუარსაბის დედას, დედოფალს
 თამარს „რა სცნა ქორწილი დაუმომიდა დრი-
 ად, მაგრამ ვედარა გააწყო რა და მოიყვანა
 ქალი ტურფად. შეეწიერა და ჰყვანდა თვესა
 რაოდენსამე“ (ვახუშტი)

ხუთი თუ ექვსი თვის შემდეგ თავადებმა მე-
 ფე აიძულეს გაეგდო სააკაძის და. მეტე ლუ-
 არსაბს სააკაძის თავიდან მოშორება მოსთხო-
 ვეს. მოეწყო პირველი შეთქმულება სააკაძის
 წინააღმდეგ.

1612 წლის 20 მაისს, წავისში მოიწვიეს სა-
 განგებო სხდომა. დარბაზობაზე ირჩეოდა გი-
 ორგი სააკაძის საკითხი. მეფე აიძულეს ევალა-
 ტა გიორგისთვის, ყარაიას დაბარებინეს და
 სიყვარული დასჯა გადაუწყვიტეს. დარბაზის
 სხდომას ესწრებოდა ფარეშთუხუცესი ბააკა
 ხერხეულიძე, რომელმაც დარბაზის ერის გადა-
 წყვეტილება გასცა.

რისთვის გაიმეტეს ასე უწყალოდ სააკაძე?
 ფეოდალურ საქართველოში ქორწინება და-

2 არაქელა, მასალა ისტორიისათვის ივერია,
 1885, № 7, გვ. 62.

1. „დიდმოურავიანის“ ტექსტი მითანილია
 1939 წლის გამოცემიდან.

მანანა ასათიანი
 ირსაბ თბილელის „დიდმოურავიანი“



ფუნქციონირებს იყო გარკვეული სოციალურ პრინციპზე — თანასწორს თანასწორი უნდა შეერთო. ეს წესი პირველად ლაშა-გიორგიმ დაარღვია, ლუარსაბ მეორემ კი ყველას გადააქარა — აზნაურის ქალი შეირთო. მაგრამ „მირითადი მანც ის იყო, რომ გიორგი სააკაძის პოლიტიკური მიზანწრაფვა არ შეესაბამებოდა რეაქციულ თავდათა პოლიტიკურ შეხედულებებს და ბრძოლა მათ შორის სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა“¹.

მეფის განკარგულებით ყველა ვასაქციევი გზა იქნა შეკრული. სააკაძეს ოჯახის წევრების გარდა, ექვსი ყმა აზნაურიც ახლდა. ლტოლვილები დიდგორის გზით წაიხდნენ, ღამით კარსანის თავს დაიბანაკეს, დანაყრდნენ და ვინაიდან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, სააკაძემ სიმამართან — არაგვის ერისთავთან, დღეშეთში გადაწყვიტა წასვლა.

გიორგი სააკაძის სიმამრი, განთქმული ფეოდალი ნუგზარ არაგვის ერისთავი 1602 წლამდე კახეთის მეფეს ემორჩილებოდა. შემდეგ ქართლის ვასალი გახდა.

სააკაძე და მისი თანმხლებნი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყვნენ ჩამომხდარი, ხოლო დღეშეთის წასასვლელად მტკვრის მარცხენა ნაპირზე გასულა იყო საჭირო. ერთადერთი ხიდი — მეფის ხელისუფლათა საგანგებოდ გაემაგრებინათ. გიორგის უნდოდა ხმლით გაეკარვა გზა. თანხლებმა პირებმა დიდმოურავს არ მოუწონეს ეს განზრახვა და მტკვარში შესცურეს. მისაქციელში მათ თვით ნუგზარი შეეგებათ და დღეშეთში აიყვანა.

იქ სიძე-სიმამრმა ითათბირეს და შაჰ-აბასთან წასვლა არჩიეს. ეს მოხდა 1612 წელს. შაჰ-აბასმა მომენტურ კარგად შეაფასა: „მეველ დამიხვდა კეთილად არა გუნენა შეწყრომელი“. ისევ პირობებში, როცა აბასს უკვე დასახული ჰქონდა მომავლის გეგმა, საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ერისთავი ძალზე გამოსადეგი იყო. ასევე საჭირო იყო გიორგი სააკაძის მიმხრობაც. ქართველებმა სპარსეთის შაჰს თვითონ ჩაუდგეს ხელში საქართველოსათვის მეტად საჭირო კაცი.

1614 წ. შემოდგომაზე ირანის ჯარები საქართველოსაკენ დაიძრნენ. პირველი და უკანასკნელი დიდი შეტაკება ცალეთის ახლოს მოხდა. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ ქართლისაკენ გასასვლელი გზა მანც გააფუს.

შაჰ-აბასი და მისი ჯარი 50 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ კახეთში და, რაც შეეძლოთ, აოხრებდნენ. ქართლიდან თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთში გადავიდნენ. აბასმა იმერეთის მეფეს მოსთხოვა ლუარსაბისა და

თეიმურაზის გაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმერეთის განადგურებით ემუქრებოდა.

ბოლოს შაჰმა ხელი აიღო იმერეთის ხელში ჩაგდებაზე და მთელი ყურადღება ლუარსაბზე გადაიტანა. შადიმან ბარათაშვილმა შესწლო ლუარსაბის იმერეთიდან გადმოყვანა. შაჰმა ლუარსაბს რჯულის ტეცვლა მოსთხოვა. არაგვითარმა მუქარამ და ტეცვლა სიტყვამ არ გასჭრა. ლუარსაბი შინა, „საპატიო“ პატიმრობიდან ნამდვილ პატიმრობაში გადაიყვანეს.

1615 წელს კახეთში აჯანყება მოხდა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა დავით ჯანდიერი, აბასმა კახეთის აჯანყების ჩასაქრობად 15.000-იანი რაზმი გამოგზავნა. ეს ჯარი განადგურებული იქნა თეიმურაზის მიერ.

1616 წელს შაჰმა კვლავ ილაშქრა საქართველოში. ქართლში მან მმართველად ბაგრატ-ხანი დანიშნა, ხოლო კახეთი კვლავ ნანგრევებად აქცია.

1619 წელს ვარდაცვალა ბაგრატ-ხანი. ქართლის მეფობა მისმა მცირეწლოვანმა შვილმა სიმონმა მიიღო. აბასმა სიმონს ქართლში სააკაძე გამოაყოლა.

იმდროინდელ ქართლში სრული ანარქია სუფევდა. ფეოდალები თავთავიანთ მამულში ჩაკეტულიყვნენ და მხოლოდ საკუთარი სამფლობელოების გაზრდა-გაფართოებაზე ზრუნავდნენ. სააკაძემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ქართლის საქმეების მოწყობისაკენ.

გიორგი სააკაძე, როგორც ჩანს, მოსალოდნელი აჯანყებისათვის სავარყო მოკავშირესაც ეძებს. სწორედ ამ პერიოდში მოხდა სააკაძის ქალიშვილისა და ფარად-ფაშას ქორწინება. ფარად-ფაშას, რომელიც ოსმალეთის მოხელე იყო, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო სააკაძე ოსმალეთთან დაეკავშირებინა.

ამ დროს კახეთს მართავდა ფეიქარ-ხანი. თეიმურაზი ოსმალეთში იყო და დახმარების მიღებას ცდილობდა. თეიმურაზის გაუტეხლობითა და მისი ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირით გაყოფებულმა შაჰ-აბასმა თეიმურაზის ოჯახის წევრებზე იძია შური. თეიმურაზის ვაჟები დაასაჭურისა, ხოლო დედა — ქეთევანი სიკვდილით დასაჯა. 1622 წელს აბასმა სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ მეორეც.

შაჰ-აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა მთლიანად გაეწყვიტა ქართლ-კახეთის მოსახლეობა. ამ მიზნით მან დიდი არმია შეადგინა, რომლის უფროსდაც წარმოშობით სომეხი ყარაიხა-ხანი დანიშნა, რომელსაც კახელების მთლიანი გაწყვეტა და ქართველებს ირანში ჩარეკვა დაევალა. სააკაძე მის მრჩეველად იქნა დანიშნული.

ოფიციალურად ყარაიხა-ხანი მშვიდობიანი მიზნით მიდიოდა საქართველოში: ისა-ხან ყორჩიბაშის ასული ჯაჰანბანუ მიჰყავდა. იგი სიმონ-ხანზე უნდა დაეკორწინებინათ.

¹ დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, 11, 1965, გვ. 285.



1625 წელს თბილისში დიდი ქორწილი გადაიხადეს. ქორწილის შემდეგ ყარაჩხა-ხანი თავისი ლაშქრით ალაიანის ველზე დაბანჯანდა. იგი თავისი პირველი ამოცანის კახელების გაწყვეტის სამზადისს შეუდგა. სააკაძეს ადრევე სცოდნოდა ეს ამბავი და ზურაბ ერისთავთან ერთად გადაწყვეტიდა სამშობლოს დახსნა.

საკაძემ ყარაჩხა-ხანის ნებართვით ქართლის თავადები თავისთან დაიბარა. თითქოსდა შაჰის დანაბარების — ქართველების გადასახლების საქმის მოსაგვარებლად.

გიორგიმ და ზურაბმა ქართლის მესვეურებს აჯანყების გეგმა გააცნეს.

დათქმულ დროს აჯანყებულები უეცრად უნდა შემორტყმოდნენ ირანელთა ბანაკს; ხოლო გიორგის, რომელიც იმ დროს ბანაკში იქნებოდა, მოულოდნელი დარტყმით ქარის სარდლობა უნდა დაეხოცა. სააკაძემ არა მარტო თავისი სიცოცხლე შეავდო სასწორზე, არამედ — თავისი შვილებისაც. ერთ-ერთი ვაჟი — პაატა შაბაბასთან იყო მძევლად, ხოლო მეორე ვაჟს მამასთან ერთად უნდა ვადაცეტანა აჯანყების მთელი სიმძიმე.

გიორგის გეგმა ბრწყინვალედ განხორციელდა ყარაჩხა-ხანისა და მისი ლაშქრის გაწყვეტის შემდეგ, მოუთრავმა სულის ამოთქმის საშუალება არ მისცა მტერს. არაქელა გვიამბობს: „1625 წელს მოურავი ეომა ყიზილბაშებს, დახოცა მრავალი, ყარაჩხა-ხანი, უსუფ-ხანი და ყაზა-ხანი მოკლა“¹.

ამის შემდეგ სააკაძემ თბილისი აიღო და ციხეს ალყა შემოარტყა. შემდეგ ზურაბ ერისთავთან ერთად კახეთში გადავიდა და ფეიქარხანს დაედევნა. ფეიქარ-ხანმა და სიმონ-ხანმა გაქცევით უშველეს თავს.

საკაძემ კარგად იცოდა, რომ ქართლ-კახეთს ირანის წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდა და დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. სააკაძის ელჩები ოსმალეთში 1625 წლის 3 ივლისს ჩასულან, მაგრამ ქართველები კვლავ მარტონა აღმოჩნდნენ ირანის წინაშე.

შაჰმა, თავისი სიძის, ისახან ყორჩიბაშის ხელმძღვანელობით, შეკპარა უზარმაზარი არმია, რომელიც საქართველოში 1625 წლის ივნისის ბოლოს შემოვიდა. ქართველებს შორის მტერთან შებმის თაობაზე არათა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. სააკაძე მოითხოვდა დაცედათ, რათა მტერი თვითონ გადასულიყო შეტევაზე. სააკაძის აზრით, დიდი სიციხის გამო, ქართველებს გაუჭირდებოდათ მშობლის დაბალ ველზე ომი. რაც უარყარია, კოჯორ-ტაბახმელას ვიწრო ხევებთან მტერს არ ექნებოდა მთელი თავისი ძალების გაშლისა და გამოყენების საშუალება. სამხედრო თათბირის გადაწყვეტილებით:

ომი მეორე დღესვე, ე. ი. 1625 წლის 2 ივლისს დაიწყო. იმ დღეს 10.000 ქართველი 14.000 ყიზილბაში დაეცა ბრძოლის ველზე. ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ იარაღი მაინც არ დაუყრიათ. ისახანმა თავისი ჯარიდან 12.000 კაცი გამოჰყო, სათავეში ირანის საუკეთესო სარდლები ყაზა-ხანი და კისრო-მირზა ჩაუყენა და გავზანდა არშის ციხის ასაღებად, სადაც დაბატონებული იყვნენ ანდრუყაზარ ამილახვარი და მისი მეუღლე ყორჩიბაშის ასული. ზურაბ ერისთავი დათანხმდა გეტარებინა სპარსელების ჯარი არაგვის ხეობაზე იმ პირობით, თუ ისინი არაგვის მოსახლეობას ხელს არ ახლებდნენ და უკან სხვა გზით დაბრუნდებოდნენ.

ზურაბის განცდვამა დიდი დანაკლისი იყო სააკაძისთვის. სააკაძემ ვერ შესძლო მტრის გამკლავება და სპარსელებმა დაიხსნენ ტყვეები არშის ციხიდან. სააკაძემ ქსნის ხეობა შეერა. გიორგის მოეხმარნენ ზურაბის ძმები დათუნა და გიორგი. ისე ქსნის ერისთავი და ქიხოსრო მუხრანბატონი. მტერი ალყაში მოექცა. ყაზა-ხანი ტყვედ ჩაეარდა.

„ზოსრო მირზა მე გავხსნად ხელმწიფესთან გამოჩენითო“, — ათქმევინებს სააკაძეს თბილელი.

ქართლის თავადებისაგან შერისხული და გარიყული სააკაძე სამცხეში ჩავიდა 1625 წ. ზაფხულის გასულს. სააკაძემ სამცხის ჯარების დახმარებით სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშები: ზედიზედ ვათავისუფლა: აწყური, ბერთვისი და სხვა ციხეები. სამცხიდან სააკაძე ეახლა იმერეთის მეფეს გიორგის. გიორგი მეფემ გადაწყვიტა დახმარებოდა სააკაძეს.

1626 წლის ვაზაფხულზე სააკაძე ქართლში გადავიდა და შეუდგა ქართლ-კახეთის ყიზილბაშთაგან გაწმენდას. თეიმურაზი სააკაძეს მხარში ამოუჭრა. სააკაძის საქმიანობამ და დიდმა ბრძოლებმა დიდების შარავანდედით შემოსეს იგი. სააკაძის ასეთი განდიდება არ მოსწონდა ექვიან თეიმურაზს. სააკაძის საქმიანობით უკმაყოფილო იყო დიდი ფეოდალი ზურაბ ერისთავიც. კიდევ ერთხელ მოეწყო შეტევლები სააკაძის წინააღმდეგ, საბოლოოდ გაიყდა ურთიერთობა თეიმურაზსა და გიორგის შორის. თეიმურაზი იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. ქართლის გამგებლად დაინშნა ქიხოსრო მუხრანბატონი. გიორგის მიინც არ ასცდა თეიმურაზთან შეტაკება. 1626 წელს მოხდა მშათაშორის ომი ზაბაღეთთან. სააკაძე დამარცხდა, მან ოსმალეთს მიაშურა, სადაც ცალკაბით მოკლეს.

დიდი მოურავის ეს ტრაგიკული თავგადასავალი აუღია ნაწარმოების თემად სააკაძის „თვისისა და ტომს“ თბილელს. ისევე თბილელი

1. არაქელა, მასალა ისტორიისათვის, ივერია 1885, №—7, გვ. 67.

მანანა ახათიანი
იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“



პოემაში ეხება ვიორჯი სააკაძის პირადი ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველა მხარეს.

იოსებ თბილელს მიზნად დაუსახავს სააკაძის რეაბილიტაცია. ამ მიზნადსახელობამ განსაზღვრა პოემის მხატვრული სტრუქტურა. ავტორმა არჩია მონოლოგის ფორმა და ვიორჯი სააკაძეს მოათხოვნიდა თავისი თავგადასავალი. „მონოლოგის ფორმა (ეს განსაკუთრებით პირველ ნაწილზე ითქმის), საშუალებას აძლევს პოემის ავტორს მეტი უშუალოდობით წარმოგიხაოს თავისი გმირი, დაგვიჩაბოს ცოცხალი და რეალური სურათები“¹.

თბილელი სააკაძის მრავალ დადებით თვისებათაგან ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს სააკაძის პატრიოტიზმზე. ავტორი ვიორჯი სააკაძეს გვიხატავს, როგორც უბაღლო პატრიოტს, სამშობლოს ბედნიერებისათვის მზრუნველ და მოჭირნახულე ადამიანს. მან საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას შესწირა თავისი უსაყვარლესი ვაჟი პაატა.

რაც ქართლისათვის მე ვპქენი, ცოტა რამ
გაკდრო მცროხილი,
ტყუილს ვერ ვიტყვი, იმისთვის არს ბევრი კაცა
სწრობილი;
მეც მემკვიდრე ვარ ამ ალაგს, არ შემოსწრებით
ბზობილი,
ზოგჯერ უქნელი საქმე ვპქენი, გავტყუხი რაზმა
წყობილი 251

ვიორჯი სააკაძეს მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეიც ერთხმად ახასიათებენ, როგორც დიდ მოღვაწეს, გამოჩინულ სარდალსა და განსაკუთრებული პირადი მამაცობით დაჯილდოებულ პიროვნებას.

საკაძემ თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ბრძოლაში გაატარა. „ბრძოლა, ომი, ჯაჭვი, ზუჩი, შუამი, ლახტი, ხმალი, მკვეთი“ — აი, ვიორჯი სააკაძის მუდმივი თანმხლებნი, მისი კირისა და ლხინის განზიარებულნი.

თავდადებულ მამულშიშეილს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ მისი თანადროული საზოგადოების ერთი ნაწილი აშკარა უმადურობას იჩენდა სააკაძის ღვაწლისადმი.

ვიორჯი სააკაძის მიმართ ერთ-ერთი დიდი ბრალდება იყო „მეფისა და სამშობლოს“ დალტვი. „დიდმოურავიანი“ სააკაძე გვევლინება უბაღლო პატრიოტად და „პატრონმყოფი“ ინსტიტუტის დამცველად: „პატრონმობა განა ჩვენ-გან, იცით ზეცით დასახულა“.

ვიორჯი სააკაძე — ეს შეუდარებელი სარდალი თეიმურაზს თავისთავზე მაღლა აყენებს და ქედს იხრის მისი ვაჟკაცობის წინაშე. სა-

აკაძისათვის თეიმურაზის ბრძანება ყოველთვის იყო გარდუვალი კანონი. პოემის მთელი სტროფები (243, 259, 255) გადმოგვცემს სააკაძის უანგარო სიყვარულს მეფისადმი.

ვიორჯი სააკაძე მწვეველ განიცდიდა, როცა მასა და თეიმურაზს შორის განხეთქილება ჩამოვარდა.

ზოგთ ბეგრატოვანთ აძრე სკირს, არ ახონანს
სამსახურთა;
რაგინდ რომ ბევრი ამო, ბოლოს არ გივლინ
ყურთა,
მაბეზლარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის
რომ აქვს შურთა,
ვის რა ვაოდ ქართლშია, მეც რომ მექვამა
პურთა?! 279

„მაბეზლარობა“, „ბოროტთა ცუდი ენა“ არა ერთხელ ისმის „დიდმოურავიანში“, როგორც მიზეზი სააკაძის დაღუპვისა.

საკაძის ტრაგედიის მიზეზად იოსებ თბილელს მიაჩნდა აგრეთვე მეფე ლუარსაბის მიერ სააკაძის დის შერთვა. სოციალური უთანასწორობა ამ ნათესაობისა. „დიდმოურავიანის“ მიხედვით სააკის პიროვნების ტრაგედია გამოწვეულია მისი სოციალური წარმოშობის მიზეზით. ჩვენ სახეებით ვეთანხმებით ვიორჯი ლეონიძეს, რომელიც წერს: „ფაქტიურად ჩვენ აქ საქმე გვაქვს დიდ სოციალურ კონფლიქტთან. ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში, აღორძინებული და ახლა უკვე გამაგრებული აზნაურთა და დაბალი ხალხის დიდი პოლიტიკური ვაჟუნების შეჯახებასთან ფეოდალური პევემონიის მხრივ“¹.

გმირი, სნეტაკი და უანგარო სააკაძე სასურველი ძმა და მეგობარია. როგორც ყველა ნამდვილი ვაჟკაცი, სააკაძე იყო ღვინისა და სმის ტრფიალი.

საკაძე ყველას უწყვიდა დახმარების ხელს, ეისაც უყვარდა თავისი მამული. ამავე დროს იყო უბაღლო მასხიპეული.

თბილელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის ბედის წერას: პოემაში მეტად შესამჩნევია ეკლესიური მორალის მბრძანებლობა. სააკაძე წარმოდგენილია, როგორც ბიბლიური წიგნების დიდი მცოდნე. „ცხადია, ასეთი ვატყუებთ ეკლესიური სახელებით, ეკლესიური იდეოლოგიით უფრო ტფილელის მიტროპოლიტის რელიგიურ განწყობილებებს გვიმგვანავს. ვიდრე დიდებული მხედრის ვიორჯი სააკაძისა“².

1. ი. ტფილელი, დიდმოურავიანი, 1939, გ. ლეონიძის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 111.

2. გ. ლეონიძე, „დიდმოურავიანი“ 1939 წლის გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 21.

1. ს. ცაიშვილი, „დიდმოურავიანი“, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 124.



„დიდმოურავიანი“ შედგება თეთრმიწიკი კარისაგან. მასში 484 სტროფია. სამი სტროფია პროლოგი, ხოლო 475—484 სტროფი კი ეპილოგი.

პროლოგში იოსებ თბილელი გვეუბნება, რომ „დიდმოურავიანი“ დაწერილია მეფის არჩილს ბრძანებით. არჩილს უბრძანებია იოსებ თბილელისათვის „განემართა“ გიორგი სააკაძის მოღვაწეობა.

პოემა კომპოზიციურად იყოფა ორ ნაწილად: პირველი მონოლოგიით აღწერილია სააკაძის თავის მართლმადიდებლობაზე და მისი თავგადასავალი მოურავისა თეიმურაზის ქართლ-კახეთში გამეფებამდე. მეორე მონოლოგიით — ოსმალეთს გადახეწილი და დაღუპული მოურავი ანდერძით გვესაუბრება თავის განუხორციელებელ მიზნებზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე და დაუმსახურებელ ხედვრზე.

გ. ლეონიძის აზრით: „პოემის მთავარი ღირსება მის ხალხურობაშია. სადა, მოკვეთილი, ცოცხალი სიტყვა პოემის უპირველესი სამკაულია“.

იოსებ თბილელი არჩილს სკოლის წარმომადგენელია. „არჩილი იცავს რეალისტური თვალსაზრისით გამუქებულისა და პურისტული სტილით დამუშავებულ ნაციონალურ თემატიკას. არჩილი ამ თავისი შეხედულებებით მოწინავე ნაციონალური დასის იდეური ზრახვების გამომხატველი ხდება. და ცხადლივ ოპოზიციურად უდგება თეიმურაზის მიერ განმტკიცებულ ლიტერატურულ მიმართულებას“¹.

თბილელმა მკვამების დიდი ისტატია, როგორც გიორგი ლეონიძემ აღნიშნავს: „484 სტროფიდან პოემაში 52 მკვამური სტროფია. ე. ი. 208 მკვამური რითმა“.

აღორძინების და გარდამავალი ხანის მგოსნები ხშირად იყენებენ რუსთაველის მხატვრულ ხერხებსა და ლექსიკურ მასალას. რუსთაველიდან გამოდიან „აღორძინების და გარდამავალი ხანის პოეტები, როდესაც სიმშვიდეს, სიღინჯეს მიიჩნევენ ბრძენი ადამიანის დამახასიათებელ თვისებად. იოსებ სააკაძე უხვად სარგებლობს რუსთაველის მხატვრული ხერხებითა და აფორიზმებით.

ცნობილია, რომ „რუსთველი, როგორც პოეტი ხშირად მეტაფორულად მეტყველებს და მეტაფორულად აზროვნებს“². რუსთაველის პოეტურ ენაში დამკვიდრებული სამეტაფორო სახეები: ვარდი, ნარგისი, მელნის ტბა და სხვა. ათვისა XVI—XVIII საუკუნეების ქართულმა მწერლობამ.

თბილელის პოემაში შეინიშნება ეფესისტყაონის მოტივთა და შეხედულებათა გავლენა. რუსთაველი: „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“.

თბილელი: „თქმულა: სიტყვა სასარგებლო უკეთ იცის სხვამან სხვისი“. მოყვრისა და მეგობრისთვის თავდადებას მოითხოვს რუსთაველი. ამასვე ქაღვავებს თბილელიც:

კაცმა კაცს გული მიანდოს ერთ პირად დასანდობელად,
მას მისთვის ცრემლი სდიოდეს უწყვეტლად,
გუშურობელად,
მისთვის ხმაღს ხელი ანებოს მტერხედა დასაშორებლად,
თავი ვასწიროს საკვდავად, სანთლურებ დასადნობელად! 1381

რუსთაველი: „რა მისკირდეს მაშინ უნდა ვონებანი გონიერსა“.

თბილელი: „როდეს გასკირდეს, საქმისა კაცი ხამს გამაბედავად“. ან კიდევ: „გაჭირების დროს კაცს უნდა, რომ შერჩეს ჭკვა და გონება“.

რუსთაველი: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩეენია სულსა, გულსა“.

თბილელი: „აჟა კაცსა ავი სიტყვა, დაბეზლება უჩანს უნჯად“.

პოემაში ხშირად ვხვდებით ეფესისტყაონის გმირთა სახელებს. „თუ თბილელი არჩილის მიმდევარია თემატიკის სფეროში, თემის პოეტურად დამუშავების დროს იგი რუსთაველის განუზომად გავლენას განიცდის“³. ზოგჯერ თბილელი მთელ რიგ ეპიზოდებს ამუშავებს ეფესისტყაონის მსგავსად.

XVI—XVIII საუკუნის მწერლები წუთისოფლის მუხტობისა და გაუტანლობის თემას რუსთაველური ფრაზეოლოგიური ერთეულებით გადმოსცემენ.

ვაი, სოფელო, უხანო, დრონი აღარ დამეც, არა.

იოსებ თბილელს გამოუყენებია რუსთაველის მზა-მზარეული რითმები:

ვისაც სიჯაბენ შევატყვი, მასცა შეგმატი გულია
მეგვიდრე მკვიდრხედ მოვიდეს, ვინ იყენენ დაკარგულია,
სიხარულისა ღღე გვკონდეს, ვით წყლისძირს ალვა რგულია,
ამ დღეებისა შემსწრობი სეველით ვარ დადაგულია! 348

³ ს. ციპიშვილი, დიდმოურავიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1965 წ. გვ. 425.

მანანა ხაბთიანი
იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“

¹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 180.

² ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 181.

ვეფხისტყაოსნის ავტორის რელიგიური მრწამსის ვარკვევისათვის მნიშვნელოვანია აფორიზმი „გონებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“ (190, 4). რუსთაველი იმ აზრს ატარებს, რომ ადამიანის გამარჯვება დამოკიდებულია გარჯაზე და ღვთის სურვილზე:

„ზედი, სვე და გამარჯვება, იქნას კაცზე, რაც მოხსდების“.

„დიდმოურავიანი“ უხვად მოიპოვება სენტენცია-აფორიზმები.

„ზევს თავადს მიუბილდება ჩემებრივ აზნაურობა“.

„ვიზედაც რომ სიკეთე ვქენ, მე შემექნა ზიანია“.

„ვეფხესა ადვილ ვინ შეიპურობს, ან ვინ შესწვდა ცას მარჯანსა“.

„დიდმოურავიანი“ დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი რუსთველური შაირით. თექვსმეტმარცვლიანი შაირი მომდინარეობს ქართული ხალხური შემოქმედებიდან. რუსთველის შემდეგ შაირი გახდა ლექსის ვაბატონებული მეტრი. თბილელის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი ცდილობს ცოცხალი, ხალხური

სასაუბრო ენით გამაღიღროს თავისი პოეტური მეტყველება.

„დიდმოურავიანი“ განუცდია აგრეთვე კურ თხზულებათა ვაელებაც (მაგ.: ამირანდარეჯანიანი, ვისრამიანი.).

აღორძინების ხანის მწერლები თეორიულად სასულიერო მწერლობას ანიჭებენ უპირატესობას საეროსთან შედარებით, პრაქტიკულად კი თვითონ საერო თემებს მიმართავენ.

რასაკვირველია, ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით თბილელმა დიდი დანაშაული ჩაიდინა „დიდმოურავიანის“ დაწერით, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „დიდმოურავიანი“ დიწვერა მამინ, როცა არჩილი აცხადებდა:

„სალეთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუდობით საშიროს ინახედნენ სტავრის ბუღით ან ნახლობით“.

თბილელის ისტორიული პოემა „დიდმოურავიანი“ ნაციონალური ეპოქის შესანიშნავი ძეგლია: პოემა საუკეთესო ფაქტია XVIII ს. ახალი ლიტერატურული ენის სიმღერისა და ამავე დროს ეროვნული თვითშეგნების ზრდისა.



ლავით ბაგრაგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხვედრებთან საქითხისათვის

XVIII ს-ის მეორე ნახევარში, სახელდობრ, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში საქართველოში მნიშვნელოვან პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. რუსეთის გზით განათლების სიო აღწევს საქართველოსაც და ერეკლეს იდეალი — ქვეყნის ევროპულად განვითარება—თანდათან სიცოცხლისუნარიანი ხდება. ეს გარემოება კარგად შეუნიშნავს საქართველოში მოღვაწე (1783-1787) რუს პოლიტიკოს ბურნაშევის თავის წიგნაკში „Картина Грузии“.¹ ახასიათებს რა ერეკლეს, იგი აღნიშნავს, რომ „Ираклий... ни к чему однако-ж так не стремится, как преобразовать народ свой по европейски“ (გვ. 10). რუსი პოლიტიკოსის ამ სიტყვებში სრული ქეშმარიტება გამოსკვივის. მართლაც, იმეამინდელ „ქართულ მწერლობაში თანდათან იკვლევდნენ გზას მეტნაკლებად მოწინავე შეხედულებები, სოციალურ-პოლიტიკური ინტერესები“². ქვეყნის წარმატებით განვითარებასთან ერთად „ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც რუსეთშიც, უმეტესად პოპულარული შეიქმნა კერძოდ, ის შეხედულება, რომ ქვეყანას იხსნის განაოლებული აბსოლუტიზმი ანუ სოციალური წოდებებისაგან დამოუკიდებელი, შეუზღუდველი მონარქია, რომლის სათავეში უნდა იყოს განათლებული, გონიერი მეფე. ფეოდალური სამეფოს გასაძლიერებლად მან უნდა ვაატაროს ზოგჯერ რეფორმა. შეუზღუდოს მთავარ-თავადები, ცენტრის დემორჩილოს მათი სამფლობე-

ლობები, ხელი შეუწყოს ვაჭრობას, მრეწველობას, ცოდნის გავრცელებას. პრაგრესული საქართველო მზად იყო სწორედ განათლებული აბსოლუტიზმი დაეცვა“ (გვ.338).

ერეკლე II თავისი პოლიტიკური იდეალით (განათლებული აბსოლუტიზმი) მართო არ იყო. „მასთან იყო ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი. იმ დროს ბევრს ესმოდა, თუ რა იყო საქართველოს ამდენი უბედურების მთავარი მიზეზი. კარგად არჩევდნენ ევროპულა წესების უპირატესობას და ამ წესების საქართველოში გაღმონერგვას ცდილობდნენ“¹.

გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წესწობილების ერეკლესეულ მისწრაფებაში განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მეთოდურობით გამოირჩეოდა მისი შვილიშვილი დავითი. იგი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII უფროსი ვაჟიშვილი იყო და მამის გარდაცვალების (1800 წ. 28 დეკემბერი) დროიდან საქართველოს ტახტის დაუღალავი მძიებელი. მან თავის მამასთან იოანესთან ერთად გიორგი XII დაველებით შეიმუშავა კანონბროგქტები საქართველოს საზოგადოებრივი, ეკონომიური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაღახალისების მიზნით. ამ საკოდფიკაციო მუშაობას დავითისათვის უნდა მიეცა ერეკლესა და მისი ოცნების თეორიული საფუძველი. მაგრამ 1801 წლის 12 სექტემბრის ისტორიული აქტით დავითმა დაკარგა სამეფო ტახტი და ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა. მართალია, დ. ბატონიშვილი ამის შემდეგაც ინტენსიურად შრომობდა საქართველოს სახელმწიფო წესწობილების

¹ С. Д. Бурнашев. Картина Грузии. Тб., 1896.

² ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, I. თბლისი, 1958, გვ. 338.

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბლისი, 1965, გვ. 239.

რადიკალური რეფორმების გატარების მიმართულულებით, მაგრამ მის გულწრფელ მეცადინეობას ქვეყნის ევროპულად გარდაქმნის საქმეში მართოდენ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა. პრაქტიკულად კი მისი პოლიტიკური მიზნები განუხორციელებელი იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან ქართული ხალხის ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო, რომელშიც ძალზე დიდად განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მოვლენათა შემდგომი მსვლელობა. ამიერიდან საქართველოს პრაქტიკულ განვითარებას ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებდა, რადგან ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის (ეროვნული და სოციალური ჩაგვრის) მიუხედავად, სწავლასა და განათლებას მოწყურებულ ახალგაზრდა ქართველ ინტელიგენციას გაეხსენა ვნა რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში სწავლის მისაღებად.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანაში ჩვენში არ არსებობდა უმადლესი სასწავლებელი. ქვეყანამ, რომელშიც ენტანჯ VI-ის რუსეთში გადასახლებით ძალზე მძიმე ზარალი განიცადა, ერთბაშად მწვევედ იგრძნო სამეცნიერო კადრების ნაკლებობა. მათი რიცხვი ფრიად შემცირდა, ამიტომ ქართული ისტორიული მეცნიერება და აზროვნება ქართველოლოგიის სხვა დარგებთან ერთად, წარსულში რომ ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია ჰქონდა, XIX ს-ის პირველ მეოთხედში შეჩერდა. იმეამად საქართველოში თითო-ორილა მწიგნობარი თუ მოიძებნებოდა, რომელსაც შეეძლო ისტორიული მეცნიერების განვითარება.

იმეამინდელი ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია დავით ბაგრატიონი (1767—1819), თავისი დროისათვის საქმოდ ღრმა და ფართოდ განათლებული, ძალზე ნიჭიერი და დაკვირვებულის, ევროპულ კულტურას დაუფლებული მოღვაწე, დასავლეთევროპულ, რუსულ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას გაცნობილი დავითი დიდ ერთდვიცასა და ცოდნას ამტკიცებდა, ისტორიის გარდა, აგრეთვე ფიზიკაში, სამართლისმცოდნეობაში, პოეზიაში, ფილოსოფიაში. ლექსიკოგრაფიაში და ენათმეცნიერებაში. ყველა აქ ჩამოთვლილ დისციპლინაში დავით ბატონიშვილს თავისი მეტ-ნაკლები წვლილი აქვს შეტანილი, მაგრამ მისი განსაკუთრებული ზრუნვის საგანს მანდღამანდც ისტორია და სამართლისმცოდნეობა შეადგენდა. აქ იგი საკმაოდ კომპეტენტური მეცნიერი იყო და იმეამინდელი ლიტერატურის საფუძვლიანი მტოდენ.

ფართო ერუდიციამ და განათლებამ დავით ბატონიშვილს XIX ს-ის გარიყრატზე, სახელდობრ, 1800 წელს შეაძლებინა მსოფლიო ისტორიის თავისებური ნარკვევის ქართულ ენა-

ზე შედგენა¹. როგორც ამ ნაშრომის წინასიტყვი-ობიდან ჩანს, იგი ძირითადად შედგენილი იყო ფილა რუსული და ქართული საისტორიო ლიტერატურის მიხედვით და 6 თავად იყოფა. ამ თავებში მოთხრობილია ასურეთის, სპარსეთის, საბერძნეთის, რუსეთის, რომისა და საქართველოს ისტორია. იგი მსოფლიო ისტორიის ერთგვარ ცნობარს წარმოადგენს და ძალზე შეკვეცსილად და მარტივად თხრობით გადმოკვეცს აღნიშნულ ბალთა წარსულ ცხოვრებას. ესაა არსებითად პოლიტიკური ისტორიის გადმოცემის მეტად სუსტი და უფერული ცდა. ცხადია, ისტორიულ ნარკვევს აბსოლუტურად არ აქვს მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა. მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ეს თხზულება შეიძლება ჩიითვალოს დადებით მოვლენად, რამდენადაც იგი ამავილებს ყურადღებას აღნიშნულ ხალხთა ისტორიის შესწავლისადმი. ამასთან ისტორიული „ნარკვევი“ დავითის პირველი ცდაა ისტორიის დარგში მუშაობისა, რის გამოც მას ჩვენ დიდ პრეტენზიებსა და მოთხოვნისებებს ვერ წაუყუყუებთ.

შედარებით უფრო საინტერესოა და მოვლენებითა და ფაქტობრივი მასალით მდიდარია დავითის «История Грузии». ეს ნაშრომი სამი რედაქციითაა ცნობილი, რომელთაგან მეორე, ბეჭდური სახით არის გამოცემული პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1805 წელს. როგორც პირველი, ისე მეორე (ავადემიურთ) რედაქცია მიძღვნილია გენერალ-მაიორ ს. ა. ტუჩკოვისადმი

«Сия книга сочинена для господина генерал-майора Тучкова» — აღნიშნავს ავტორი და ცალკე ფუთელზე შემდეგს ვაუწყებს: «Милостивый государь мой! Сергей Алексеевич. Усердно желая доказать Вам на самом деле, ту искреннюю дружбу, которую со дня моего с Вами знакомства питаю в себе, долгом моим почел я исполнить предложение Ваше, относительно сочинения Грузинской истории, которое первое издание казалось Вам недостаточным. Я сочинив оную вновь, хотя и кратко, но с довольными нужных обстоятельств пояснениями; приношу Вам истинному моему другу, и надеюсь, что Вам не будет неприятным найденный во оной недостаток, в разсуждении языка и некоторых терминов, зная, что язык сей для меня не природный, но по случаю приобретенный. Ваш покорный слуга царевич грузинский Давид».

¹ დავითი. ისტორიული „ნარკვევი“, თბილისი, 1800.



ბუნებრივად იბადება კითხვა — ვინაა ეს სერგი ტუჩკოვი და ჩატომ მიუძღვნა მას დ. ბაგრატიონმა თავისი წიგნი «Краткая история о Грузии со времен первого во оной населения». როგორც დავითის სიტყვებიდან ჩანს, ს. ტუჩკოვი ბატონიშვილის გულწრფელი და ჭეშმარიტი (Искренняя дружба, истинному моему другу) მეგობარი ყოფილა.

სერგი ალექსის ძე ტუჩკოვი ფრიად განათლებული და ნიჭიერი სამხედრო სარდალი ყოფილა. იგი დაბადებულია 1766 წელს მოსკოვში ცნობილი სამხედრო ინჟინრის ალექსი ტუჩკოვის ოჯახში. 17 წლისამ ბრწყინვალედ ჩააბარა საოციტრო გამოცდები და მიღებულ იქნა არტილერიაში პრაპორშჩიკის თანამდებობაზე. ამასთან ს. ტუჩკოვი სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდ დროს ესწრებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულ „სიტყვიერების მოყვარულთა“ (საზოგადოებისა, ა. ბ.) სხდომებს (собрание любителей словесности), სადაც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (1789) გავლენით, სტუდენტები თავისუფალ აზრებს გამოთქვავდნენ და ოცენობდნენ უკეთეს ცხოვრებაზე¹. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე, როგორც ამას გადმოგვცემს საკუთრივ ს. ტუჩკოვი, გამოჩენილ რუს რევოლუციონერ განმანათლებელს ა. რადიშჩევს წაუკითხავს თავისი თხზულება «Веседа о том, что есть сын отечества», რომელიც დიდი გაჭირვებით დაუბეჭდავს მას ამ საზოგადოების ეურნალში 1789 წლის დეკემბრის თვეში (გვ. 42). ეს თხზულება დაწერილია რევოლუციური პატრიოტიზმის სულისკვთებით.

იმავე 1789 წელს ა. რადიშჩევს დაუმთავრებია და თავისავე გამოცემლობაში დაუბეჭდავს საყოველთაოდ ცნობილი რევოლუციური ნაშრომი: «Путешествие из Петербурга в Москву». ამ ნაშრომს ს. ტუჩკოვი შემდეგნაირად ახასიათებს:

ამ წიგნში «с великою вольностью, в сильных выражениях писал он противу деспотизма. Книга сия написана была прозою, но заключала в себе оду на вольность, сочиненную им стихами. Оная начиналась сими словами:

О вольность, вольность, дар бесценный!
Позволь, чтоб раб тебя воспел».

სწორედ ამ „სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების“ წევრი იყო ს. ტუჩკოვი. ამ უკანასკნელის პათეტური ტონი გვაფიქრებინებს,

რომ მისი ავტორის სახით ჩვენ რუსი რევოლუციონერის პატვისმცემელთან და მისი აზრების გამოხატებელთან უნდა გვეჩინდეს საქმე. ამდენად ს. ტუჩკოვი პროგრესული მიმდინარეობის წარმომადგენლად უნდა ჩავთვალოთ რუსულ ლიტერატურაში.

ნიშანდობლივია, აგრეთვე, ს. ტუჩკოვის ცნობა ამ საზოგადოების შემდგომი ბედის შესახებაც. «во Франции — აღნიშნავს იგი. — началась уже тогда революция (გველისხმება 1789 წ. ა. ბ.) и дух вольности начал проникать в Россию, а потому не только все иллюминатские, мартинистские и масонские собрания, но даже и собрание любителей словесности были строго запрещены» (გვ. 42). მას შემდეგ, რაც ა. რადიშჩევი აღნიშნული წიგნის გამო დააპატიმრეს (1790) და გადაასახლეს ციმაბრში, ხოლო „საზოგადოება“ დახურეს, ს. ტუჩკოვი უნებლიეთ ჩამოშორებია მას, თუმცა ბოლომდე დარჩენილა დემოკრატიული იდეების გამტარებლად.

1783 წლიდან იწყება ს. ტუჩკოვის მეტად საინტერესო და მოვლენებით მდიდარი ცხოვრების გზა. 1801 წლის დასაწყისიდან იგი უკვე საქართველოშია, ხოლო 1802 წლიდან სამოქალაქო საქმეების გამგებლად იყო თბილისში გენერალ-მაიორის წოდებით. თბილისში იგი გაცნო და დაუახლოვდა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII უფროს შვილს, რუსეთის გენერალ-ლეიტენანტს დავით ბაგრატიონს. ამ უკანასკნელსა და ს. ტუჩკოვს შორის გაიბა მეტად მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა ვიდრე დავითის გარდაცვალებამდე (1819). საფიქრებელია, რომ 1802 წლიდან, კარგად ინფორმირებული დ. ბატონიშვილის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ იდეალებში (განათლებული აბსოლუტიზმი), კიდევ უფრო მეტად გაუღვივებდა მას ინტერესს როგორც ვოლტერის — განათლებული აბსოლუტიზმის ამ დიდი მქადაგებლისა და დამცველის, — ისე საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონ ბონაპარტის მიმართ.

ს. ტუჩკოვი განსაკუთრებული სიმპათიითაა გამსჭვალული დავითისადმი. იგი თავის ძალზე საინტერესო წიგნში «Записки» არ მალავს თავის კეთილგანწყობილებას და პატივისცემით იგონებს დავითთან გატარებულ დროს (გვ. 175, 185 — 187, 263 — 264). ს. ტუჩკოვი დიდი აზრისა იყო დავითზე, მას ნიჭიერ და გონიერ აღმაინად მაჩანია ქართველი ბატონიშვილი და უთხოვია მისთვის „საქართველოს ისტორიის“

ბრჩილ ბაბრამიძე
დავით ბაბრამიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შინაფუძვლათა საკითხისათვის

¹ Записки Сергея Алексеевича Тучкова. Под редакцией и со вступительной статьей К. А. Военского, СПб., 1908, გვ. 42.

შედგენა რუსულ ენაზე. ს. ტუჩკოვს, ვითარცა განათლებულ ადამიანსა და საქართველოში მოღვაწეს, განსაკუთრებით აინტერესებდა ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრება და დავითის „ისტორიის“ მეორე რედაქციის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ ბატონიშვილს დაუწერია კიდევ ამგვარი ნაშრომი თბილისში 1801 წელს.

ეს ხელნაწერი შესავლის გარდა 63 გვერდისაგან შედგება და არსებითად „ისტორიული ნარკვევის“ პრინციპზეა აგებული. აქ ორიგინალური და საინტერესო არაფერია და ფიად მარტვალა და მატიაინსებურად გადმოცემულია ქართველი ხალხის ისტორია უძველესი ხანიდან ვიდრე რუსთა შემოსვლის დრომდე. ხელნაწერი, ცხადია, ს. ტუჩკოვის გაზრდილ მოთხოვნისგანა და ინტერესს საქართველოს ისტორიის ღრმად შესწავლისათვის ვერ დააკმაყოფილებდა. მართალია, ეს გარკვევა რუს გენერალს არსად არ აქვს აღნიშნული, მაგრამ დავითის „ისტორიის“ მეორე აკადემიურ გამოცემაში და დღევანდელ ვანცალება («первое издание казалось Вам недостаточным») გვაფიქრებინებს, რომ ამ ნაშრომით დავით ბატონიშვილი თვითონაც არ უნდა ყოფილიყო მონაცდამაინც კმაყოფილი და პირველად შემოთხვევითანავე ასწორებს და შესაძლებლობის ფარგლებში აფართოვებს თავის «История Грузии»-ს, რომლის ბეჭდური რედაქცია გამოცემულ იქნა პეტერბურგში 1805 წელს. ეს ნაშრომი საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ავტორისავე წინამორბედ საისტორიო ნაწარმოებთა შორის, თუმცა არც იგია მთლიანად დასრულებული ნაკლოვანებათაგან.

წინმანობლივი და საკულისხმოა ამ ნაშრომის გამოცემის ისტორია. ს. ტუჩკოვი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს დავით ბატონიშვილის „ისტორიის“ გამოცემის ამბავს.

1805 წლის ბოლოს ს. ტუჩკოვმა დატოვა საქართველო და პეტერბურგს მიაშურა, სადაც იმეზად (1803 წლიდან) ცხოვრობდა დავით ბავრატონი. «Грузинский царевич Давид (დაყოფა აქ და ქვემოთ ავტორისა ა. ბ.).

старший сын последнего царя, узнав о моем туда приезде, сделал мне посещение и привез пять экземпляров сочиненной им и посвященной мне книги под названием: «Краткая Грузинская История», напечатанной при С.-Петербургской Академии. Я, надеясь получить от него более, раздарил их моим знакомым и просил у него еще. Он дал мне только два экземпляра, сказав, что у него самого мало осталось. Так как меньшая сия книга довольно любопытна, то тщетно старался я купить несколько таких же экземпляров в книжных лавках. Полагая, что все экземпля-

ры оставлены им по каким ни есть видам в академической типографии, я поехал туда, но и там их не нашел. Этот вопрос же мой, куда царевич употребил все экземпляры его книги, типограф отвечал мне: «когда наборка оной приходила к окончанию, то спрашивал я царевича: сколько экземпляров прикажет он отпечатать, — полный завод или половину; т. е. 1.200 или только 600. На сие царевич сказал: „пятьдесят, не более; этого количества довольно для меня и для моих приятелей“. Теперь, когда я сие пишу, царевич скончался, а у меня находится только один экземпляр, которого постараюсь я при удобном случае сделать второе издание» (გვ. 263).

მატანილი ამონაწერი საკმარის წარმოადგენს იძლევა დ. ბატონიშვილის შინაგანი ბუნების შესახებ. მის შესაძლებლობა ჰქონდა თავის ისტორია 1200 ცალის რაოდენობით დავსტამა, მაგრამ უმცირესი ტირაჟით დაკმაყოფილებულა. რას წარმოადგენს თავისთავად აღებული ეს ნაშრომი და რა მეთოდოლოგიურ პრინციპებს ემყარება იგი? დავით ბატონიშვილის „ისტორია“ შეიცავს საქართველოს წარსულის თანამიმდევრული რომანტიკული დოკუმენტის მსგავსი მოკლე თხრობას უძველესი ხანიდან რუსთა მმართველობის დამყარებამდე, იგი ორი ძირითადი თავისაგან შედგება, ე. წ. „შესავლისაგან“ და „ქართველთა ისტორიისაგან მეფეთა შესახებ“. ეს ორი თავი თავისთავად იყოფა მრავალ (45) პარაგრაფად. აქედან პირველი თავი 14 პარაგრაფს შეიცავს, ხოლო მეორე დანარჩენ 31 პარაგრაფს. პირველ თავში საუბარია მეფობის წინამორბედი ხანის საქართველოს ისტორიაზე, ე. წ. „მამასახლისთა მმართველობის პერიოდზე“, რომელსაც ჩვენ, დავითის ნაშრომთა (ნარკვევი: «История Грузии») ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე ტერმინით პირველყოფილთა მმართველობად განვიხილავთ.¹ მეორე თავი კი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მოგვითხრობს საქართველოს ისტორიის ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან XIX ს-ის დსაწყისამდე მონარქისტული სულსკვეთებით. ეს უდიდესი ისტორიული პროცესი (22 ს-ე) მოცულობის მიხედვით 115 გვერდს ითვლის და მეტად ძუნწად გადმოგვცემს აღნიშნულ საუკუნეთა ისტორიას. ამასთან, ნაშრომის თითქმის მთელ მანძილზე ძირითად წყაროდ გამოყენებულია „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშ-

¹ ქართულ ისტორიოგრაფიაში დავითის „ისტორიის“ სათანადო აღვლენაში გვარკვეული წყობილების ამსახველი სურათი პირველად შენიშნა პროფ. შ. მესხიამ. იხ. „მნათობი“, № 8, 1950, გვ. 164.



ტის „ისტორია“. ზოგიერთი ადგილიდან ჩანს, რომ ჩვენი ავტორი სარგებლობდა აგრეთვე რუსულად ნათარგმნი დასავლეთევროპული ისტორიოგრაფიიდანაც, თუმცა ამგვარი ლიტერატურა არც მოთითებულა და ერთბაშად მცირეა. წყაროებიდან დამოუკიდებლობა ეტყობა 43-45 პარაგრაფებს, რომლებშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია XVIII ს-ის მეორე ნახევარში; იგი იმ მხრეზეა საუბრად, რომ ავტორი ზოგიერთ მოთხრობილ ამავთო თვითმსილველი და მონაწილეა. ნაშრომი თხრობითი, მატრიანისებური სტილითა დაწერილი და კვლევითი ნაწილი მეტად მცირეა. მიუხედავად ამ ნაკლისა, დ. ბაგრატიონის „ისტორია“ XIX ს-ის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველ ცდას წარმოადგენს საქართველოს ისტორიის სისტემატური გადმოცემისა და მასში აქა-იქ შინაგანი ისტორიის ამბებსაც ვხვდებით ხოლმე.

რაც შეეხება დ. ბატონიშვილის რიგით მესამე სპეციალურ ნაშრომს საქართველოს ისტორიის ხაზით, კერძოდ, მის «История Грузии»-ს, იგი დაწერილია პეტერბურგში 1816—1817 წლებში და მიძღვნილია გენერალ ა. პ. ერმოლოვისადმი, რომელიც, როგორც ცნობილია, 1816 წლის ოქტომბრიდან დანიშნულ იქნა საქართველოს მთავარმართებლად.

«История Грузии»-ც იწყება საქართველოს ლეგენდარული ხანიდან და მთავრდება 1816 წლით. იგი, წინა ორი რედაქციისაგან განსხვავდება ფაქტებით მასალის შედარებით სიღრმით, სახელდობრ, აქ დამატებულია ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს ძველი ისტორიისათვის და აგრეთვე ის პარაგრაფებიც, რომლებიც მოგვითხრობენ საქართველოს ისტორიის ამბებს 1800 წლიდან 1816 წლამდე. ხელნაწერი ნაშრომი არსებითად იმავე პრინციპზეა აყვებულა, რაზედაც წინამორბედი «ისტორიებზე», თუმცა პარაგრაფების რაოდენობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტადაა გაზრდილი. ასე, მაგალითად, თუ მეორე რედაქცია 45 პარაგრაფს შეიცავდა, ახალი შეგებულ-შესწორებული ვარიანტი 130-დეა გაზრდილია და მშასადავ, 85-ით მეტია მეორესთან შედარებით. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული ხელნაწერი საქართველოს ისტორიის ძველი პერიოდისათვის საერთოდ გაზრდილია (ეთნოგრაფიული მასალებით), იგი მაინც ახალს არაფერს არ იძლევა. ხელნაწერი, სამწუხაროდ, არაა გამოცემული და თავისი შინაარსით, მის უკანასკნელ ნაწილში (1800—1816) ძალზე უახლოვდება დავითისავე მიერ ქართულ ენაზე დაწერილ «ახალ ისტორიას».

ამრიგად, დავითის «История Грузии»-ს ეს ახალი, მესამე ვარიანტი სიანტიკურს გამოკვლევა თავისთავად და იგი ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ყურადღებას მიიქცევს. მაგრამ იმის გამო, რომ მასში ჩვენი საკითხისა-

თვის ახალი არაფერია. ამიტომ ჩვენს შემდგომ მუშაობაში ყოველთვის ვიხედავდნენელემათ დავითის „საქართველოს ისტორიის“ მეორე აკადემიური რედაქციით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ეს ნაშრომი გარკვეულად ამჟღავნებს ავტორის როგორც დემოკრატიულ, ისე კლასობრივ პოზიციებსაც, თუმცა კლასობრივი, რა თქმა უნდა, ამჟღავნება პირობებს დემოკრატიულს. აქ ეს ორი დამოუკიდებლურად საწინააღმდეგო თვალსაზრისი ერთგვარი თავისებურებითაა შერწყმული ერთმანეთში და, ცხადია, ავტორის მსოფლმხედველობის ევლუტირობაზე მოითითებს. დემოკრატიულია, მაგალითად, ფაქტი დავით ბაგრატიონის შეხედულებისა ქართველ ტომებში პირველყოფილ-თემური წყობილების არსებობის დანახვის შესახებ. მართალია, ეს პრობლემა დავითს მიეუბნება ისტორიითა და სიციხადით არა აქვს გამოკვლეული, თუნდაც იმგვარად, როგორც ეს მის უმცროს ძმას თეიმურაზს აქვს ნაწენები კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე საფუძველზე, მაგრამ XIX ს-ის პირველ ხუთი წლებში ამ საზოგადოებრივი წყობილების წყაროებში დანახვისა და აღიარების ფაქტი იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს, რომ დავითი დემოკრატიული და თავისუფალი აზროვნების ისტორიკოსად ვიცნობ. მაგრამ, სამწუხაროდ, დავითმა სწორი პოზიცია ამ საკითხშიც ხოლომდე ვერ გაატარა. მართალია, მან მიუთითა საქართველოში „შამშახლოსის“ (ერისა, საზოგადოებისა, იგივე პირველყოფილ-თემური წყობილების) ინსტიტუტის არსებობაზე, მაგრამ მათი არჩევითობა ახანა „უძველესი და უძლიერესი გვარის“ მემკვიდრეობით ფუნქციად. მშასადავ, დავითის აზრით, „შამშახლოსის“ სოციალური, მემკვიდრეობით, დინასტიური ინსტიტუტი ყოფილა. სწორად აქაა ამჟღავნებამოკვლეული დ. ბაგრატიონის კლასობრივი თვალსაზრისით. ეს უკანასკნელი უშლიდა მას ხელს საკითხთა სწორი, მეცნიერულ გადაწყვეტაში.

დ. ბატონიშვილი ისტორიკოსის უმთავრეს პირობად მიიქცევს პირობასა და სიმართლის მიქმელობასა თვლის. ამის იგი მრავალჯერ აღნიშნავს სხვადასხვა დროს დაწერილ ეპისტოლარულ წერილებსა თუ „ისტორიაში“. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ თაობა კერძო წერილში დავითი მიუთითებს, რომ: «...Всю обявлю... истину... ибо... истина есть первейший и важнейший пункт, а для меня сильнейший долг»¹. ამგვარი ხასიათისაა აგრეთვე და-

¹ И. Ениколопов. Царевич Давид о Рейнгерсе. Мსკი, ნაკვ. 29, 1951, გვ. 290.

არჩილ ბარამიძე
 ღვთისმშობლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღმრთაუფლებათა საპროტესტისათვის



ვითს „ახალ ისტორია“—ში მითითება იმაზე, რომ იგი აღწერს „ყოველივე ქვეშაირტებსა და უნაკლებლად“.

ისტორიული ადგილებიდან ჩანს, რომ ჩვენი ავტორი „საქართველოს ისტორიაში“ სწორედ ამ მეთოდოლოგიურ პრინციპს ეყარება და ცდილობს არ უღალატოს ისტორიულ ქვეშაირტებს. ამის მიუხედავად, მისი „ისტორია“ მინც დაწერილია წარსულის რომანტიკული სულისკვეთებით და დავითის მონარქისტული იდეებითაა გასხივსნიებული. მართალია, ამ ძალზე საყურადღებო ძეგლში სისტემის სახით არ არის ჩამოყალიბებული ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებული და დავითის მიერ სხვა ნაშრომებში განვითარებული ქართველი მეფის აბსოლუტური ერთმმართველობის იდეა, მაგრამ „ისტორიას“ მთელ მანძილზე წითელი ხაზივით გასდევს მეფეთა უფლების შეუზღუდველი მმართველობის ტენდენცია. ქართველ მეფეთა ძალაუფლება წარმართავს ხალხის განვითარების ისტორიულ მსვლელობას. მასში აშკარად ჩანს მარტოოდენ მონარქისტული, ერთპიროვნული მმართველობის იდეა და მისი ავტორისეული იდეალიზაცია. დავითი თავის „სამართალში“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „მეფე არს თვითმართლმადიდებელი, თვით დესპოტი და სჯულისმდებელი“¹. მაშასადამე, დავითის აზრით, მხოლოდ მეფეს უნდა მიეწეროს მმართველობის მთელი ძალაუფლება, იგი აბსოლუტური მონარქი და თვითმპყრობელია. აქედან გამომდინარეობს დ. ბატონიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალიც — „განათლებული მონარქის“, იგივე „განათლებული აბსოლუტიზმის“ ისტორიული იდეა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დავითის პოლიტიკური იდეალის — „განათლებული აბსოლუტიზმის“ საკითხი მთელი სიმკვეთით პირველად დასვა დოც. დ. ფურცელაძემ „სამართალი ბატონიშვილის დავითისას“ შესავალში (გვ. 5—44). ჩვენი აზრით, ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ამ მიმართულებით საცხებით დამაჭრებელია. ჩვენი მიზანია გავიზიაროთ დ. ბატონიშვილის თაობაზე არსებული ახალი თვალსაზრისი და ზოგიერთი კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე დავადასტუროთ ზემოთაღნიშნული მოსაზრებების სამართლიანობა.

ქართველი მეფის მონარქიულობის იდეა კიდევ უფრო მკვეთრად აქვს ჩამოყალიბებული იმა ნაწევრები დავითის თავის ნაშრომში: «О лучшем устройстве Грузии». იგი წერს: «Грузия, как и все прочие известные народы выводит свое начало от самой

отдаленнейшей древности. Грузия, в начале имела правление народное, потом имела она правителей, или судей, в коих заключалась власть законодательная, а с эпохи разделения, последовавшего по смерти Александра великого, сделалась уже совершенно государством монархическим и стала управляться царями (დაყოფა ჩემია, ა. ბ.).

В продолжении сего времени Грузия имела непрерывный союз с сильнейшими соседственными народами, смотря по обстоятельствам и чрез несколько столетий при всех отечественных преимуществах была в покровительстве Персидского престола. Незыблемость малочисленного и окруженного отовсюду хищными врагами царства Грузинского, ограждалась твердо древним персидским установлением, по коему царю грузинскому наследственно присвоено было звание великого наместника монархии Персидского. Почему в случае ежели бы пресеклось поколение государей из рода Софи, то царь Грузии яко вассал Персидской державы и родственник дому Софийскому, как по вышепомянутому тамошнему коренному постановлению, так и утвердившемуся мнению в Персии, в народе, должен наследовать престол и принять правление до открытия ближайшего наследника из рода царствовавшего поколения Софи. Постановление сие царство Грузинское поставляло в совершенной безопасности со стороны Персидского государства, а вместе с тем покровительств и силы персидские удерживали покушение других держав и горских хищников к вторжению в ее пределы. В таком положении Грузия оставалась до деда моего царя Ираклия» (გვ. 128).

ზემოთაღნიშნული თავისთავად ლაპარაკობს იმ გარემოების სასარგებლოდ, რომ დ. ბაგრატიონის პიროვნებას ახასიათებდა მონარქისტული ტენდენციები. «О лучшем устройстве Грузии»-ს არსებითი ლიტმოტივია სწორედ იმისი დასაბუთება, რომ საქართველოში რუსული მმართველობის სისტემა მისი უნადავობის გამო დასაგმობია, იგი ვერ გამოხატავს ქართველი ხალხის ისტორიულ ინტერესებს, ხოლო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა კი დროული და რეალურია. იგი ამოწმებს 1783 წლის ისტორიულ ტრაქტატს (გვ. 129) და მოითხოვს იმ პირობების აღდგენას, რასაც ითვალისწინებდა ეს უკანასკნელი, თუნდაც ქართველ

¹ სამართალი ბატონიშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკლევია დიურთო დ. ფურცელაძემ. თბ., 1964, გვ. 221.



ლი მონარქიის ხელსუფლების განახლებების ფასად¹. როგორც აბსოლუტური მონარქიის ტრადიციებზე აღზრდილი, დავითის იდეალია მისი აღდგენა საქართველოში ქვეყნის განვითარებისათვის. «На определенной стадии развития феодального общества, — აღნიშნავს აკად. ვ. ვოლგინი — абсолютная монархия является политической формой содействующей развитию производительных сил»². დავითს კარგად ჰქონდა შეგნებული ის გარემოება, რომ საქართველოს სავარაუდო ძალთა სისუსტე და ქვეყნის პოლიტიკური ჩიხიდან თავის დაღწევა მართოდენ პროგრესულ რუსეთს შეეძლო საქართველოს მეფის მესვეურობით. იგი თავისი შაჰის ერეკლე II შტავსად ქვეყნის წარმატებით განვითარებას მის „გავეროპელებაში“ ხედავდა. ამიტომ დავითი მიმართავს XVIII ს-ის 70-იან წლებამდე დასავლეთ ევროპაში, სახელობრ, საფრანგეთში, დიდად პოპულარული სოციალურ-პოლიტიკური მიმართულების ე. წ. „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეების შესწავლას და მის გადმოწერვას ქართულ სინამდვილეში, რომლის თეორიული მოძღვრების განვითარებას ძალზე შეუწყობ ხელი ფრანსუა-მარია ვოლტერმა. „ამ მიმდინარეობის თეორეტიკოსები — განმარტავს ე. ვოლგინი, — მოითხოვდნენ „პროგრესულ რეფორმებს“, „ბუნებრივი კანონების განხორციელებას“, „უზურბაგიების“ აღკვეთას და ფეოდალური თავდაზნაურობის „თავისუფლებას“. ამ რეფორმათა განხორციელებას ისინი „განათლებულ მონარქს აცხადებდნენ“ (გვ. 11).

ვ. ვოლგინი „განათლებული მონარქიის“ დიდ დამცველად და თეორეტიკოსად მიიჩნევს სწორედ ფ. ვოლტერს. ეს უკანასკნელი «Весьма высоко оценивал исторические заслуги абсолютизма в деле борьбы с ненавистной ему «феодальной анархией»» (გვ. 11). და ვ. ვოლგინს ფ. ვოლტერიდან მოაქვს ის ფრიალ დამახასიათებელი ადგილები, რომლებიც მკაფიოდ ადასტურებენ ფრანგი ფილოსოფოსის სიმბათიებს სახელმწიფო მმართველობის ამ ფორმისადმი.

«Вольтер не раз высказывал ту мысль, что необходимые для общества реформы осуществит государь, проникший философскими идеями. «Самое счастливое для людей, — заявлял он, — когда государь философ». «Добрый король есть лучший подарок, какой небо может дать земле». От государя-философа Вольтер ожидал покровительства

просвещению и просветителям, борьбы с суеверием и нетерпимостью, ликвидации серважа и других пережитков феодализма, содействие экономическому прогрессу. В течение некоторого времени таким государем-философом он считал Фридриха II. Он идеализировал внутреннюю политику Екатерины II, видя в ней образец просвещенного реформаторства» (გვ. 11). ასრტლებს რა თითქმის მსჯელობას ფ. ვოლტერის დამოკიდებულებასადმი „განათლებული აბსოლუტიზმის“ მართ, ვ. ვოლგინი დასკვნის, რომ: «Все это — и многое другое — дает... достаточно оснований признать Вольтера сторонником «просвещенного абсолютизма»» (გვ. 11).

როდესაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში ლაპარაკობენ ხოლმე დავითის „ვოლტერიანობის“ შესახებ, ჩვენს აზრით, ქართველი ბატონიშვილის „ვოლტერიანობის“ ერთ-ერთი ძირითადი წყარო სწორედ ფ. ვოლტერის ამ „განათლებული აბსოლუტიზმისადმი“ სიმბათიებშია სამიხვეული.

„განათლებული აბსოლუტიზმის“ ვოლტერისეული იდეები დიდად პოპულარული გახდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. იმპერატორ ეკატერინე II, რომლის დროს რუსეთი იქცა აბსოლუტური მონარქიის ტიპურ სახელმწიფოდ, პირად მიწერ-მიწერას აწარმოებდა ფ. ვოლტერიან (1763 — 1778). ეს უკანასკნელი აღფრთოვანებული ეკატერინეს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკით, განათლებულ რეფორმატორად სახავდა რუსეთის იმპერატორს და არიგებდა მას განათლებული მონარქიის გზით სახელმწიფოს წარმართვას. მაგრამ მალე გამოამჟღავნა, რომ ფ. ვოლტერის იდეების „ისტორიულ ფუნქციას“ სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენები და ეკატერინემაც რადიკალურად შეცვალა თავისი დამოკიდებულება იმჟამად უკვე გარდაცვლილი ფრანგი ფილოსოფოსის იდეათა მიმართ. მან გასცა განკარგულება «не печатать новое издание сочинений Вольтера без цензуры и апробации московского митрополита» (გვ. 35).

მიმდინარე საუკუნის 40-იან წლებში აკად. მ. ნეკჩინამ გამოქვეყნა ფრიალ საყურადღებო

³ М. В. Нечкина. Вольтер и русское общество. «Большевик», № 22 (ноябрь), 1944, гв. 33.

¹ სამართალი, გვ. 037.
² В. П. Волгин. Политические идеи Вольтера. «Известие АН СССР. Серия истории и философии». № 1, 1945, гв. 4.

პრიტილ ბარამიძე
 ღაპით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შემადგენლობათა საკითხისათვის



გამოკვლევა ფ. ვოლტერისადმი რუსის საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ. ამ გამოკვლევაში მან მიუთითა რუსული ვოლტერიალობის შთელ რიგ სპეციფიკურ თავისებურებებზე და დაბეჭდილებით წათვლილ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ფ. ვოლტერის მიმართ. მ ნეჩკინას დასკვნით:

«...Широко были восприняты идеи Вольтера разными общественными слоями России. Историческая почва для этого была готова» (გვ. 35). ამის შემდეგ მ. ნეჩკინა აკონკრეტებს თავის დასკვნას და წერს:

«Разумеется, историческая функция вольтеровских идей была глубоко различна в разных общественных слоях. Социальные слои, бывшие носителями нового (хоть и векторная, а. б.) в историческом процессе — представители поколения дворянских революционеров, разночинцы — воспринимали по-своему мысль новой идеологии: главным для них было сокрушение старого мира, феодально-крепостнических устоев. Но многочисленные представители аристократии, забавляясь блеском вольтеровского остроумия, не подозревали, какое политическое значение оно имеет. Однако его действие проявилось во Французской буржуазной революции. Французская революция была идейно подготовлена трудами Вольтера, энциклопедистов и других великих философов — просветителей XVIII века. Большинство из них, в том числе и сам Вольтер, не предполагало этого, но такова была их объективная роль.

А. С. Пушкин дал простую и глубоко верную формулировку, сказав, что Вольтер «умов и моды вождь». Он уловил наличие двух существенно различных течений в русском вольтерьянстве: вольтерьянской «моды» и глубокого умственного движения. Дворянская «мода» схватывала блестящие формы творчества Вольтера, уклоняясь от разрушительного значения вольтеровских идей, направленных против старого мира. Но одновременно с «модным вольтерьянством» существовало движение умов-глубокое идейное течение в русской жизни, несшее в себе идеологию разрушения феодально-крепостнических отношений. Это идейное течение боролось за продвижение своей родины вперед.

Французская буржуазная революция размежевала эти течения. Переуланная русская аристократия оторвалась от своего кумира и спешно вынесла бюсты Вольтера из дворцовых зал и кабинетов на чердак. ...«Массовый» откат русской аристократии от вольтерьянства начался именно с Французской революции» (გვ. 35).

ამ ვრცელი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ იმეამდელ რუსეთის საზოგადოებაში ორი დამეტრალურად განსხვავებული მიმართულება არსებობდა ფ. ვოლტერის იდეებისადმი დამოკიდებულების საკითხში. მისი ფილოსოფიის ათვისებაში «რუსეთის წრეებში» სხვადასხვა საწყისებშიდან გამოდიოდნენ. უმაღლესი არისტოკრატია «ვოლტერის მავილიზონიერული ბრწყინვალეობით იქცეოდა თავს» და არ უკვირდებოდა მის «პოლიტიკურ მნიშვნელობას». ხოლო რახნო-ჩინებლები კი, არსებულ წყობილების დამხობაზე ოცნებობდნენ.

ამრიგად, ფ. ვოლტერის შემოქმედება თავისებური წყარო იყო სხვადასხვა მიმართულებათა წარმომადგენლებისათვის. ცხადია, იმეამდ რუსეთში მცხოვრებ (1797—1799) დავით ბატონიშვილს, სამხედრო სამსახურში რომ იმყოფებოდა პრეობრაჟენსკის პოლკში და მკვიდრი იყო დაკავშირებული რუსეთის უზენაეს არისტოკრატიასთან და იმპერატორ პავლე I-გან საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის დამტკიცებას ელოდა, ბუნებრივია, ფ. ვოლტერი მოეწონებოდა როგორც «მავილიზონიერი» მწერალი და «განათლებული აბსოლუტიზმის» იდეოლოგი. ხოლო იმის წარმოდგენა, რომ დავითს გაიტაცებდა მაინცდამაინც ფ. ვოლტერის «რევოლუციური იდეები», ე. ი. არსებული ევოლუციური წყობილების, ვითარცა მონარქიული, ერთპიროვნული მმართველობის ფორმის მსხვერვა-ვანადგურება, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად გამორიცხულია, რადგან ქართველი ბატონიშვილი მონარქიის მომხრე იყო და ნიადგ საქართველოს სამეფო ტახტის დაკავებაზე ოცნებობდა. მაშასადამე, დავითის ფ. ვოლტერით გატაცება, ჩვენი აზრით, ასახეულია ფრანგ ფილოსოფოსის არა «რევოლუციური იდეებით», არა არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამსხვრევით, არამედ საქმიად უბრალო ფაქტით, რომელიც, ლ. ასათიანსა არ იყოს, შესაძლოა ორი სიტყვით იქნას გამოხატული: «განათლებული აბსოლუტიზმი».²

რაც შეეხება დ. ბატონიშვილის გატაცებას «საფრანგეთის რევოლუციით» და ნაპოლეონ ბონაპარტით, ეს საკითხი, ცხადია, ახსნას საქართველს და ჩვენც მის კვლევა-ძიებას შევუ-

¹ М. В. Нечкина, დასახ. ნაშრ., გვ. 30—39.

² ლ. ასათიანი, ვოლტერიალობა საქართველოში, თბილისი, 1933, გვ. 20.

გებით. საკითხი დ. ბაგრატიონის სიმპათიათა შესახებ, როგორც საფრანგეთის რევოლუციის, ისე ნაპოლეონისადმი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ახალი არ არის. იგი პირველად დასვა ერიწოვმა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში. მან ეურნალ «Кавказский вестник»-ში (№ 1, 1900) დაბეჭდა წერილი სათაურით: «Грузинский наследный царевич Давид Георгиевич» (გვ. 84 — 90), სადაც აღნიშნა ქართველი ბატონიშვილის განსაკუთრებული ინტერესები საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის მიმართ. მისი სიტყვით: Его (დავითს. ა. ბ.) особенно занимали Французская революция и личность выдвигавшегося тогда Наполеона Бонапарта. Впрочем, к этому еще вернемся» (გვ. 87). სამწუხაროდ, ა. ერიწოვის სტატია დასრულებული არ არის; ავტორი მკითხველს ჰპირდებოდა მის ვაგრძელებას (продолжение будет, გვ. 90), მაგრამ დაიბრუნა არ შესრულა. ჩვენ ბევრი ვეძებეთ ა. ერიწოვის არქივში (ინახება ერევანში «მეტენადარანი») აღნიშნული სტატიის ხელნაწერი, მაგრამ უშედეგოდ. ჩანს, ავტორს იგი დაუმთავრებელი დაუტოვებია (იგი გარდაიცვალა თბილისში, 1902 წ.).

ამრიგად, ჩვენთვის უცნობია ავტორის წინამძღვრები დავითის დიდი გატაცებისა საფრანგეთის რევოლუციითა და ნაპოლეონის პიროვნებით. ერთად-ერთი სავარაუდო წყაროა, ალბათ, «აქტებში»¹ დაცული ცნობები დავითის შეხედულებათა შესახებ ნაპოლეონზე. ასეა თუ ისე, ა. ერიწოვის პოზიციები ამ საკითხში ჩვენთვის მაინც ნათელია: მისი აზრით, დავითი დიდი იყო გატაცებული ნაპოლეონის პიროვნებით. დ. ბატონიშვილის სიმპათიები ფრანგი მხედართმთავრისადმი იმეფინდელ საქართველოში იმდენად იყო ცნობილი, რომ ეს ფაქტი მკაფიოდ არის არეკლილი «აქტებში». იქ 1801 წლის 8 მარტით დათარიღებულ ერთ-ერთ პატიკში გენერალ-მაიორი ი. ლაზარევი ატყობინებს მთავარმართებელ გენერალ-ლეიტენანტ კ. ენრიხს, რომ:

«Царевич же Давид весьма теперь пасмурен, ибо он не так ожидал как делается, и я замечаю в нем, что он весьма предан Французским нынешним постановлениям и всегда vychаляет Бонапарта, что он весьма славно сделал революцию»¹. ამის გარდა «აქტებში»² დაცულია აგრეთვე პოლკოვნიკ ა. სოკოლოვის კორესპონდენციაც: დავითი «Хочет видеть Европу и особливо Францию. В разговорах его весьма заметен восторг к Бонапар-

те, к коему он исполнен почтительного удивления»².

დ. ბაგრატიონი რომ ნაპოლეონის მაქებარია და მისი პოლიტიკური კურსის თაყვანისმცემელი, ეს ჩანს აგრეთვე ერთი არაპირდაპირი ცნობის ანალიზითაც. 1800 წლის 24 ოქტომბერს დავითი საქართველოში სუიჯ გრაფ აპოლონ მუსინ-პუშკინს წერს წერილს დოქტორ იაკობ რეინეგის საქმიანობის შესახებ ერეკლე II-ის კარზე. 1780 წლის ზაფხულში ი. რეინეგის ერეკლეს სტუმრად ჰხლებია კოჯორში და სხვათა შორის უთქვამს:

«Сие весьма мое не забытое слово, боже мой, французы хотят одно великое дело сделать, однако-ж шамешало. И так когда я вижу нынешнюю французскую революцию, то весьма мне воображается не об ней ли он тогда говорил и хотя потом весьма много мы его спрашивали, что такое хотели сделать французы, однако, никогда он нам о том ничего не сказал»³.

ი. რეინეგის პიოტრალიაში ოდნავ ჩახედულისათვისაც კი ცხადია, რომ ეს უკანასკნელი 1779 წლისათვის ჩამოსულა საქართველოში და მცირე დამონაყლისის გარდა აქ დაუყვია 1783 წლამდე. 1784 წლიდან ი. რეინეგის პეტერბურგში გადასახლებულა და იქვე გარდაცვლილა 1793 წელს. მაშასადამე, ი. რეინეგის არ შეეძლო მხედველობაში ჰქონოდა ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ფაქტი, რომელიც მისი ნაამბობიდან სულ კოტა 19 წლის ვასლის შემდეგ მოხდა, და რომელიც ისტორიაში 1799 წლის 18-19 ბრემერის (8-9 ნოემბერი) სახელწოდებითაა ცნობილი. ი. რეინეგის ნაამბობში რაღაც სხვა ამბავი იგულისხმება და არას შემთხვევაში ნაპოლეონის მიერ სამხედრო გადატრიალების მოხდენის ფაქტი. დ. ბატონიშვილი კი, იმდენად დაბრმავებულია ნაპოლეონის „რევოლუციით“, რომ ი. რეინეგს მიაწერს იმ ამბის წინასწარ განჭვრეტას, რაც მხოლოდ 19 წლის შემდეგ მოხდა. ნაპოლეონის „რევოლუციაზე“⁴ აქცენტს გადატანა, ცხადია, დავითის უნებლო შეცდომას წარმოადგენს, თუმცა იგი ასევე შეგნებულად არ ასახელებს ფრანგ უსურპატორს, რომ ამით წერილობითი სახელი არ მისცენ ხელთ მის პოლიტიკურ აგენტებს ნაპოლეონისადმი მის უდიდეს თაყვანისცემაში, მაგ-

² И. Ениколопов. Царевич Давид о Ренессе. Мск., ნაკვ. 29, 1951, გვ. 292-293.

³ А к т ы, ტ. II, 1948, გვ. 68.

არჩილ ბარამიძე
დავით ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მხედველობათა საკითხისათვის

¹ А к т ы, ტ. I, 1866, გვ. 329. დაყოფა აქ და ქვემოთ ჩემია.



რამ, ცხადია, ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი გვეთქვა, რომ თითქმის დავითი ნაპოლეონს არ-სად სახელით არ იხსენიებს. ამ მხრივ მეტად საველისხმოა მის „ნარკვევის“ ბოლო გვერდ-ზე სრულიად მოულოდნელი მოხსენიება ნა-პოლეონისა. ლაპარაკობს რა გიორგი XII-ის შესახებ იქვე წყვეტს მასზე თხრობას და ყო-ველგვარი მოლოდინის გარეშე გადადის საფ-რანგეთზე «ფრანციასაჲ შინა მოხდა აღრეუ-ლებაი, ესრეთი, რომელ მოკლეს მეფეი ერ-თა, და იქმენ რესპუბლიკად, წულსა ჩღებ (=1792) და ევროპელთაჲა შეედრეთა ფრია-დი არრეულეზაი, და დაიპყრეს და ფრანციე-თა იტალიაი ყოვლადაჲ, და ეგვიპტეიჲა მზე-დართმძლუანეთა ბუნაპარტე ლენერალისათა ივლისის 8 (=8), წულსა ჩღებ (=1798)».

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული აშკარად ცხადყოფს, რომ დ. ბატონიშვილი ნამდვილად ყოფილა გატაცებული ნაპოლეონ ბონაპარტეს პიროვნებით და მისი მომავალი აბსოლუტიზ-მით. სამწუხაროდ, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ (ეპისტოლარულ, მემუარულ) წყაროებში ამ ძალზე ნიშანდობლივი ცნობების მეტი არაფერია დაცული დავითის დამოკიდე-ბულებას რომ ამჟღავნებდეს ნაპოლეონისადმი. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მეტად მწირი წყაროებზე კი, ვფიქრობთ, საქმარის საფუ-ძვლის იძლევა იმისათვის, რათა დავადასტუროთ დავითის ეგოდენი სიმპათიები ფრანგი მზე-დართმძლურისადმი. მაგრამ ბუნებრივად იბადე-ბა კითხვა — რაში მდგომარეობდა დ. ბატონი-შვილის სიმპათიები ნაპოლეონისადმი? ჩვენი აზრით, ორ არსებით ფაქტორშია საქმენი ნა-პოლეონისადმი დავითის ამგვარი დამოკიდებუ-ლება.

დავითის თაობაზე არსებული მწირი ბიოგრა-ფიული ცნობების ერთი თვალით გადავლებაც კი საქმარისა, რათა დაერწმუნდეთ მისი ნიჭი-სა და ლტოლვისადმი სამხედრო საქმის მიმართ. ასე, მაგალითად, გენერალი პ. პოტიომკინი 1784 წელს, ახასიათებდა რა ერეკლეს ოჯახის წევ-რებს, აღნიშნავდა, რომ გიორგის უფროსი შვი-ლი «Давид был 17 лет, казался не глуш и при свойстве яром являет быстроту ума, особую смелость и охоту к вой-не» (დაყოფა ჩემია, ა. ბ.)! ამასვე აღასტუ-რებს ბურნაშევი:

«Старший сын его (გიორგი XII-ისა, ა. ბ.)

¹ П. Б. Бутков. Материалы для но-вой истории Кавказа. Ч. II, СПб., 1869, გვ. 157.

² С. Д. Бурнашев. Картина Грузин Тифлис, 1896, გვ. 11.

князь Давид, 20 лет, при свойстве яром мерно яром являет великую быстроту ума, особую сметливость и охоту к войне и крайнее желание познать европейскую военную науку» (დაყოფა ჩემია, — ა. ბ.)² დავითის სამხედრო დამსახურებათა აღმუშაველი თ. ბაგ-რატონი (მისი დეიძლი ძმა) კი, მთელ ტრაქ-ტატს ქმნის მის საომარ ღირსებათა და დამსა-ხურებათა შესახებ.

ცხადია, დ. ბაგრატონის ლტოლვას «ევრო-პული სამხედრო მეცნიერების» შემეცნებისა-კენ, განაპირობებდა, ერთი მხრივ, მისი პაპის ერეკლე II-ის სამხედრო მოღვაწეობის მაგალი-თი, ხოლო, მეორე მხრივ, შედარებით მოგვიან-ნებით შორეულ საფრანგეთში იქამად აღხვეყ-ბულ გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს საქმიან-ობა. დავითი, როგორც ჩანს, მოხიბლული იყო ნაპოლეონის გამოჩენილი მხედართმთავრული ნიჭიერებით, რაც გამოამჟღავნა ამ უკანასკნელ-მა სწორედ 1793 — 1799 წლებში. 1799 წლის 18 — 19 ბრიუმერი ფრანგი სარდლის აღხვეყ-ნილი — სამხედრო ვადატრიალღებს — კულმინა-ციური წერტილია, რის შემდეგ 1804 წლიდან ნაპოლეონმა თავისი თავი იმპერატორად გამო-აცხადა და დაამყარა «აბსოლუტური მონარქია» (განათლებული აბსოლუტიზმი). სწორედ ნა-პოლეონის მიერ დამყარებული პოლიტიკური წყობილებიანა და სამხედრო ნიჭის თავყენის-მცემელია დავითი და აღფრთოვანებულია იმით, რომ «он весьма славно сделал революцию». აქაც, მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს დავითის პოლიტიკური იდეების შეგნებულ თანხვედრასთან ნაპოლეონ I-ის პრაქტიკული საქმიანობისადმი. და იგია მისივე მეორე და არ-სებითი წყარო.

ამრიგად, ზემოთქმული უფლებს გვაძლევს გავიზიაროთ და შემდგომ ვანგავითაროთ ქაი-რთულ ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტო-რიოგრაფიაში (იურისპრუდენციაში) გამოთქმუ-ლი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავით ბაგ-რატონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალ-საზრისი ემყარებოდა «განათლებული აბსოლუ-ტიზმის» იდეებს. მას მატერიალური დოვლათის მწარმოებელი საზოგადოება არ მიაჩნდა იმის ღირსად, რომ ამ უკანასკნელს მიეღო სახელ-მწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფ-ლება. დავითს, თავისი კლასობრივი ინტერესე-ბიდან გამომდინარე, ასეთად მარტოოდენ «გა-ნათლებული მონარქის», ე. ი. გონებისა და ძა-ლუფლებების გამაერთიანებელი პიროვნება მი-აჩნდა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ხალხის სუ-ლიერ და გონებრივ წინამძღოლობას იკისრებს. ესაა, რა თქმა უნდა, მეფე-მონარქი, ამ სიტყვის ფეოდალური გაგებით.



სოციალიზმი

თავმოკა შალიაიანი

ჩემი სსოპრების ფურსლები

„ჩემი ცხოვრების ფურსლები“, ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც გამოჩენილმა მომღერალმა, თედორე ივანეს ძე შალიაინმა, თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა.

უკიდურესად ღარიბი შალიაინი ბავშვობაში ეკლესიებსა და ქორწილებში სიმღერით შოულობს ლუქმაპურს. მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, ხან ღურგლობას სწავლობს და ხან ხარაზობას, მაგრამ სიმღერის უნის აყოლილი ქაბუჯი ტოვებს მამისეულ სახლს და ბედის საძებრად მიემართება. იწყება დაუსრულებელი სეტიალი ქალაქიდან ქალაქში, დასიდან დასში. უსახსრობით განაწამები, შიმშილით დაოსებული შალიაინი თბილისშიაც ჩამოდის. კეთილი აღამიანების წყალობით აქ ღებულობს პირველ მუსიკალურ განათლებას. აქ განიცადა პირველი და დაუიწყარი სიყვარულიც.

უსატოვო რჩევით შალიაინი თბილისიდან მოსკოვს მიემგზავრება. იწყება შალიაინის დიდი თეატრალური ცხოვრება. იგი გამოდის მოსკოვისა და პეტერბურგის ოპერის თეატრებში. შალიაინის უდიდესი ტალანტი საერთო აღიარებას პოულობს. პირველი რუსი მომღერალი, რომელიც „ლა სკალას“ თეატრმა მიიწვია, შალიაინი გახლდათ. უბადლო ბანის მქონე მომღერალი, ასევე უბადლო მსახიობიც იყო.

წიგნში დიდი მხატვრული სიძლიერითა და სიმართლით არის გადმოცემული ამ დიდი მსახიობის რთული ცხოვრების გზა.

ვებქდავთ შალიაინის წიგნის იმ ნაწილს, სადაც მისი თბილისში ცხოვრებაა აღწერილი.

ბაქოში კვლავ უსაქმოდ და ულუქმაპუროდ დაერჩი. უმეტესად ზღვის გამტყნარებული წყლით ვიყვებობოდი, რომელსაც მთელი ქალაქი სვამდა. გამეფდა არნახული ქაოსი. ხელოსუფლება გაიქცა. ქალაქის მკვიდრნი შემოდგომის ბუზებივით იხოცებოდნენ. ცხოვრება ჩაკედა. მხოლოდ ვაგზალში იყო გაცხოველებული მუშაობა, თუმცა სამუშაო მე იქაც ვერ ვიშოვე. ირგვლივ საშინელი ყაყანი და ზრიალი იდგა.

უეცრად ბედმა გამიღიმა: ქუჩაში ჩითის თავსაფარი ვიპოვე, ერთ კიდეში ოთხი უზალ-ოთხი იყო გამოსკენილი. მაშინვე თათრების ღუქნისაკენ გაეჭანდი და ლულა-ქაბაბით გამოვძეხე. ცოტა რომ მოვმავრდი, ისევე ვაგზალს მავაშურე. დარჩენილი ფული კონდუქტორს

შევთავაზე და თბილისში ჩაყვანა ვთხოვე. კონდუქტორი მაღლიანი კაცი გამოდგა, მხოლოდ ექვსი შუური გამომართვა. პოდა აი, საბარგო მატარებლის სამუხრატუო ბაქანით თბილისს მოვალწიე.

ქალაქში ჩამოსვლისთანავე გავიგე, რომ სემიონოვ-სამარსკი თბილისში იყო. ისიც მითხრეს, ოფიცერი კლუჩაროვი ბათუმში გასამგზავრებლად საოპერო დასს აყალიბებსო. შევხვდი გუნდის მომღერალ ნეიბერგსა და ორ ამხანაგს, რომელთაც ბაქოში დამტოვეს.

დიდმარხვა იდგა. რუსულად სიმღერა გვეკრძალებოდა, ამიტომაც დასი იტალიურად მოინათლა, თუმცა მთელ დასში ორად ორი იტალიელი გვერია: ორკესტრის ფლეიტისტი და ჩემი ბაქოელი ნაცნობი, გუნდის მომღერა-



ლი პონტე, ძალიან კეთილი და კარგი ადამიანი.

მალე ოპერა „ნორმანი“ ოროვეზოს შესრულება დამაყალბეს. მთელი პარტია იტალიურ ენაზე გადაყურებ რუსული ასოებით. წარმოდგენილი მაქვს, რა საამო მოსასმენი იტალიურით ვიმღერებდი.

ბათუმიდან ქუთაისში გადავბარვდით, სადაც ღირსეულად ვმღეროდი კარდინალისა და ვალენტინის პარტიებს. მაგრამ მალე რომელიღაც არტისტმა, — ემშაკმა დალაზეროს მისი თავი, — დაისი უფროს კლუჩაროვს ცოლი მოსტაცა და ქალთან ერთად ქუთაისიდან გაიპარა. დასი დაიშალა.

კე და ჩვენი გუნდის მომღერლები: ნეიბერი, კრივოშინი და სესინი თბილისში დავბრუნდით. ოთხივენი ერთ ბინაში მოვეწყეთ. სესინი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით. სადაც არ უნდა წასულიყო მაშინვე საცოლეს გაიჩინდა და მთელ დღეებს მისთან ატარებდა, იქვე ჭამდა და სვამდა. ის კი არა, აქაოდა სასიძო კაცი ვარო, ზოგჯერ ქალის მშობლებს სესხად ცოტაოდენ ფულსაც კი დაციცდლავდა ხოლმე. საცოლე, რასაკვირველია, თბილისშიც გაიჩინა. სიშარატე ვითხრათ, ეს ჩვენსთვისაც ძალიან ხელსაყრელი იყო. ქალის ოჯახიდან თითქმის დღენიადგ მოჰქონდა კატლები, ხილი და პური. გროშებითაც ხომ არა ერთხელ გაუმართავს ხელი.

სამწუხაროდ, სესინი თბილისში არ გაუმართლდა. გაჩაჩხული საქმე რატომღაც მალევე ჩაიშალა და სესინი ქალაქიდან გაიპარა. ძალიან გაგვიკვირდა უსიძეკაცოდ.

ჩემი ამხანაგები მალე მოეწყვნენ სამუშაოზე. მე კი როგორც უფროსი ზარმაცი და უგერვილო დეარნი მარტლდმარტო, მშიერ-მწყურვალი, დიასახლისი კეთილი ქალი აღმოჩნდა და ქირის გადახდას მაინცდამაინც არ მაძალბდა. ამდენი უბედურობისგან გამოღუნჩებული ძილდა ვეგდე. როცა გიჩნავს, საქმელიც აღარ ვინდა. ერთხელ როცა გიჩნავს, საქმელიც აღარ ვინდა. ერთხელ 48 საათზე მეტი მეძინა.

ორ-ორ დღეობით შიმშილს ნაჩვევი ვახლდით, მაგრამ ახლა სამი და ზოგჯერ ოთხი დღეც მომიწია ულუგმასურად დარჩენა. ამას კი ნამდვილად ვეღარ ვუძლებდი.

სამუშაოს ვეძებდი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, მეცაა ძველი, დახვეული კოსტუმი, საცელები კი სულაც არა მქონდა, თუმცა შლაპა თავზე მაინც მედი. მახსოვს, ერთხელ, სახერხეჭარაში შევედი. ჩემი შლაპის დანახვაზე მუშებს სიცილი წასკდათ, — „ბატონი მობრძანებულა!“

შიმშილი განსაკუთრებით მძიმეა თბილისში, სადაც ყველაფერს ქუთაისში სწავენ და ხარშავენ. ყნოსვას ათასგვარი სურნელი გიღიზიანებს.

სასოწარკვეთილებაში ჩავეარდი, მზად ვეგებოდი მემათხოვრა, მაგრამ როგორღაც ვერ ვაგებდებოლოს თავის მოკვლა განვიზრახე, ვფიქრებ, შევალ იარაღის მაღაზიაში, მოვიტხოვ რევოლვერს და ტყვიას თავში ვიხბო-მოთქი. ახლარასაკვირველია, ვგაძნობ, რომ ეს სულელური, განუხორციელებელი ამბავია, მაგრამ მაშინ თავის მოკვლა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. ვანა სიცოცხლე არ მინდოდა, მაგრამ როგორ მეჩინა თავი?

აი, უკვე იარაღის მაღაზიის კართან ვდგავარ, უეცრად ნაცნობი ხმა შემომესმა. მოვიხედე, ჩემს წინ იტალიელი პონტე იდგა.

— რა მოგივიდა? რასა ჰკავხარ? — შეშფოთებით შემეკითხა.

ტრილიო მომიბოძა, პასუხი ვერ ვაგვიცე. ბოლოს როცა ვაგოთ, ოთხი დღის მშვიტი ვიყავი, შინ წამიყვანა. პონტეს მეუღლე მაკარონით გამიმასპინძლდა. დიასახლისისა ძალიან მერიდებოდა, მაგრამ მაინც უზომოდ ვეახლოთ.

იტალიელთან შეხვედრამ, მისმა გულთბილობამ, მაკარონმა, ძალა შემმატა. მეორედ დღეს სადაც აფიშა ენახე, ქალაქის ერთ-ერთ ბაღში სცენის მოყვარეთა სპექტაკლის დადგმას იუწყებოდნენ. მაშინვე ბალისაყენ გავექანდი, ბალის შესასვლელთან ცირკის მსახიობივით ექსცენტრულად ჩაცმული კაცი შემომხვდა. უცნობმა რატომღაც ყურადღება მომაქცია, გამამოკითხა ვინაობა, სად და როგორ ცეცხრობდი. მეც ყველაფერი ვუამბე. მაშინ ამ კაცმა, რომელიც მსახიობი ობოტინი აღმოჩნდა, ხეივანში გამიხმო და რაიმე სიმღერის შესრულება მოხვდა.

— რუსული კოსტუმს მოგეცემ და ამ ბალის დღია სცენაზე იმღერე, — შემომთავაზა სიღერის მოსმენისთანავე.

ვიწრო და უხეირო ბაღს ხალხიც ნაკლებად ეტანებოდა, მაგრამ მე მაინც დიდი გულმოდგინებით ვმღეროდი. გამოვდიოდი კვირაში ორჯერ. ყოველ გამოსვლაში ორ მანეთს მაძლევდნენ. სწორედ ამ გავეიანი ამიერკავკასიის გზათა სამმართველოს თანამშრომლები. მე „გამასპინძლებაზე“ მათ ანგდობტებს ვუყვებოდი. მეგრე ჩემი აწყვილი ცხოვრების ამბებიც ვაგებოხარე. ჩემს გულახლოდ ნაამბობს საერთო თანაგრძნობა მოპყვა. ხოლო როცა საკანცელარო საქმეში ჩემი განსწავლულობა გაიგეს, მაშინვე განცხადება დამაწერიანეს გზათა სამმართველოს ბუღალტერიის სახელზე.

ასე მოვეწყვე კანცელარიის მწვერის თანამდებობაზე. თვეში 30 მანეთი დამენიშნა. ჯამაგირმა სწორედ სულზე მომისწრო, რადგან მაშინ უკვე მარტო აღარ ცეცხვობოდი. სამსახურში მოწყობამდე გავეიანი გუნდის მობრძალად ქალიშვილი. მეტად ლამაზი, მაგრამ, სამწუხაროდ, საოცარი ლოთი, მარია შულცი. როცა ძალიან მიკვირდა და ვშიმშილობდი, ამ



ქალმა თავისი ბინა შემომთავაზა. ქალშვილი ძალიან მომწონდა.. თუმცა ლოთობისგან სახე უკვე შეშუბებული ჰქონდა, თან რაღაც უსიამოლოდ, მეტისმეტად თამამად იქცეოდა. ვგრძნობდი, რომ ამ უბედურ ქალს სათნი და კეთილი გული ჰქონდა. ჩვენი ერთ ოთახში ცხოვრება, ცოლა არ იყო, უხერხული იქნება-მეთქი, — ეუპასუხე, როცა ქალმა ხელშეორედ მიმიპატივა.

— აბა უხერხული რა არის! როცა თქვენ დაიწყებთ ტანსაცმლის გახდას, მე მივბრუნდები, ჩემი გახდისას კი თქვენ იბრუნეთ პირი, — ნახა გამოსავალი ქალმა.

მტკიცება დამაჯერებლად მეჩვენა და მეც მარია შულცის პაუაინა ოთახში გადავბარდი. მარის ერთერთ კედელთან მიდგმულ საწოლზე ეძინა. მე კი მეორე კედელთან, იატაკზე დაფენილ ძველმანებზე ვათვიდი ღამეს.

მოგვხსენებთ, ერთი კვირის შემდეგ თავი დავანებეთ ყოველგვარ მიტრიალებამ-მეტრიალებას. ქალს ცოტაოდენი დანაზოგიც ჰქონდა, რომელსაც სულ მალე გამოუყვანეთ წირვა. მერე ქალმა თავის ტანსაცმელსა და ზეწურებს დაუწყო დაგირაება. ბოლოს ისე გაგვიჭირდა, ჯურღმულში ამოვყავით თავი, რომელშიც სინათლე კარის ზემო ლირისის შუშოდან აღწევდა მხოლოდ. სირცხვილით ვიტანჯებოდი, ქალის ხარჯზე ცხოვრება მეთაკილებოდა. პოდა, წარმოიდგინეთ, ამ დღეში მყოფს, რა სიხარულს მომანიჭებდა საკუთარი ხელფასის გაჩენა. ახლა უკვე „ოჯახურად“ ეცხოვრობდი. მე სამსახუროდან ვბრუნდები, მარია ნათქურაზე ბორშის ამზადებს და თან ღლინებს, სარდაფიც დავგილ-დაწუნდილია.

წელ-წელა საოჯახო ნივთების შეძენაც დაიწყო, მაგრამ მარიას ლოთობას კი ვერ შევეგუე. ქალი თითქმის ყოველ საღამოს თერბოდა. როგორ არ ვემუდარებოდი, დაანებე თავი არყის სმას-მეთქი. გული მიკედებოდა შოვრალს რომ ვხედავდი. სიმართლე ვითხრათ, მისაც ძალიან უნდოდა ამ საშინელ სუნს გადაიგვევოდა, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნიდა. ჩემმა თხოვნამ მხოლოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ არაყს ახლა საწოლის ქვეშ მალავდა. სვამდა ღამ-ღამობით, როცა მეძინა, ასე ეცხოვრობდა იმ ცხოვრებით, რომელშიაც ზოგი რამ სასიამოვნოც იყო, თუმცა ასეთ ცხოვრებას თვით მტერსაც კი არ ეუსურვებდი.

უთუაბრება ძალიან მივირდა და როცა ერთმა ამხანაგმა კონცერტში მონაწილეობა შემომთავაზა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. კონცერტი თბილისიდან ორმოცე კილომეტრით დაშორებულ, აგარაკ კოჯორში უნდა გაგვემართა. ორდღიანი შეგებულება ავიღე და კოჯორისკენ მიმავალ გზას ამხანაგებთან ერთად ფეხით დავადექი. ჩვენს რეაქციან ჯგუფს ლობტარი კარლ ვენდი ხელმძღვანელობდა.

კარგი ადამიანი და შესანიშნავი ლობტარი იყო, მაგრამ ისიც გამოუწერებელი გახლდათ.

კოჯრელთა უდიდესი გულგრილობის შედეგად კონცერტი ჩაიშალა. ჩვენდა საუბედუროდ, ზეცაც განჩისხდა. წააზვიდა არნახული დღეგამა, ამოვარდა გრიგალი, ერთი სიტყვით, სტიქიური უბედურება დავგატყდა თავს.

ჩემს ცხოვრებაში რამდენნაირი წვიმა არ მინახავს, მაგრამ ასეთი საშინელება არასოდეს განმიცდია. ილუწებოდა ხეები, ცვიოდა ქვები, მთებს ლეკოთქავი ჩამოსდიოდა. ისე ასხამდა, თითქოს ცოცა ვადმოპირქვევსო. ქარი ხან აქეთ მივგავდებდა და ხან იქეთ, მაგრამ მაინც არ შეეჩერებულუვართ. სამსახურში დავვიანებინა შიშით წარლენასაც არ შეუვშინდით. დავვიანებინა ყველაზე მეტად მე მეშინოდა, წინაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევდით. ქარსა და წყალს უფსკრულში რომ არ გადაეჩეხეთ, ზოგჯერ მივბოზდავდით კიდეც: მადლობა ღმერთს, ქალაქს უფნებლად მოვალწიეთ. შევშრი თუ არა, მაშინვე სამსახურში გავქანდი, მაგრამ შუადღიანს ყელის ტყვიელი ვიგრძენი და საშინლად შემაცივა. სასწრაფოდ რკინიგზის ლაზარეთისაკენ გამაქროლეს და ცალკე ოთახში მომათავსეს. თურმე დღითერთი ვიყავი ავად.

„ხმა დამეკარგება“ — ეფიქრობდი შეუფოთებული, ვეღვავედი იმაზეც, რომ მარიამ არაფერი იცოდა და შეუწხდებოდა. როგორც იქნა, მარიასთან ბარათის ვაგზუნა მოვახერხე, მაგრამ, რად ვინდა, ახლოსაც არ მომეკარგა.

დამტანჯველი, პირდაპირ გულისგამაწერილებელი მოწყენილობა სუფევდა ლაზარეთში. ჩემი არსებობა, მგონი კიდეც დააფიქვდით. ექიმი არ მნახულობდა. დღე დღეს მისდევდა, მე კი პატარის ხალათში გამოხვეული უპატრონოდ ვეგდე ლოგინში. გამპვედნი რაღაც წყალწყალა სუხს, მაშინ როცა მგელივით შშიოდა და თავს სრულიად ჩანმრთელად ვგრძნობდი. ვიხვეწებოდი, გამიშვით, უკვე კარგად ვარ მეთქი. დარაგმა კი ასე დამამშვიდა: — დაცა, ერთ კვირაში მოვა ექიმი და მაშინ შეიძლება გავიშვან კიდეც! „ეშმაკსაც წაუღიხარო!“ — შეუეკურთხე გუნებაში და გაქცევა გადაეწყვიტე. ჩემად შეგვეერი საკუტნაობი, სადაც ჩემი ტანსაცმელი მგვეულებოდა, ფციფცივით გამოვიცვალე და ფანჯრიდან ვისკუმე.

მაგრამ როცა მეორე დღეს სამსახურში გამოვცხადდი, სამუშაოზე არ დამიშვეს. ლაზარეთს ეცნობებინა, — შალიაბინი ლაზარეთიდან გაიპარაო.

გამწარებულმა, უფროსთან ლამის ვიტყვი, უშტკიცებდი კენჭითთა ვარ და ლაზარეთში

თემდღორე შალიაბინი

ჩემი ცხოვრების ფურცლები



რატომ უნდა ვიწვევ-მეთქი. ბოლოს, როგორც იქნა ექიმთან გამგზავნეს, რომელმაც დაადასტურა ჩემი გამოჩანჩქრული.

ერთ მშვენიერ დღეს, სემიონოვ-სამარსკის წერილი მივიღე, სამარსკი მწერად, — თუ გინდა ყაზანის ოპერაში, თვეში ას მანეთიანი ხელფასით, მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებლად მოგაწყობო. თან გზის ფულად ავანსის გამოგზავნასაც მპირდებოდა. სიხარულ-ით აღტაცებულმა მაშინვე დებუშით ვუპასუხე: „ველოდები ავანსს“. მართლაც, სულ მალე ყაზანიდან ოცდახუთმანეთიანი მომივიდა.

სამსახურს იმავე დღესვე დავეთხოვე და მარიასაც გადაჭრით განვუცხადე, ყაზანში მივდივარ-მეთქი. მართალი ვითხრათ, მარია ძალიან მეცოდებოდა, მაგრამ თეატრი ჩემთვის ყველაფერი იყო. ვეიღო ერთი ქილა კაკაო, მოვახარშეინე მარიას და გამოსათხოვარი ქეიფი გავემართე.

მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი ამბავი. ჩემი თანამშრომლები თავიდანვე მეჩინებოდნენ, ასეთი კარგი ხმის პატრონი რატომ უსატოვთან არ მეცადინებო. უსატოვი სიმპერატორო თეატრის ყოფილი მსახიობი გახლდათ და იმეამდ თბილისში მოღვაწეობდა, როგორც სიმღერის მასწავლებელი-პროფესორი. ჰოდა, მეც სწორედ თბილისიდან გამგზავრების დღეს გადავწყვიტე ამ პროფესორთან მისვლა და ხმის ვასინჯვა.

ვიფიქრე, რას ვკარგავ, მოდი ვცდი, ერთს მეც მივალ იმ უსატოვთან-მეთქი!

ვთქვი და წავედი. მომღერლის ბინაში შესვლისთანავე ფეხებში დარუნა ძაღლების გროვა მეცა. ცოტა ხნის შემდეგ კი დაბალი, ოპერეტის ყაჩაღივით უღვამგადაგრეხილი, სუფთად პირგაპარსული, ჩამგვავლემული კაცი გამოვიდა.

— რა გნება? — არცთუ მაინცდამაინც ალერსიანი ხმით მკითხა მან.

მეც ავუხსენი მისვლის მიზეზი.

— რა გაეწყობა, რაკი გსურთ მოდიეთ ვიყვიროთ!

მასპინძელმა სასტუმრო ოთახში შემეპატიჟა, თვითონ როიას მიუტოვა და რამდენიმე არბეჯიო ამაღებინა. ჩემი ხმა კარგად ეღერადა.

— კეთილი, რომელიმე ოპერიდან ხომ არაფერს მღერით?

მამინ დარწმუნებული ვახლდით, რომ ბარატონი მქონდა და ვალენტინის არიის შესრულება გადავწყვიტე. სიმღერა დავიწყე, მაგრამ როცა მაღალი ნოტი ავიღე ფერმატო გავაკეთე. პროფესორმა დაკვრას თავი ანება და ფერდში თითი მკრა. სიმღერა შევწყვიტე. ჩამოვარდა უხეზული დუმილი. უსატოვი კლავოშებს დაკურებდა, მე კი მას მიგრეებოდი.

რა ცუდად გამოვივიდა, ვფიქრობდი მწუხრებულად. დამტანჯველ ლოდინს ვერ გავუძლებდი და ვკითხე:

— რას მტყუვით, შეიძლება ვისწავლო სიმღერა?

უსატოვმა შემომხედა და მტკიცედ მითხრა: — უნდა ისწავლოთ.

მაშინვე გაემხიარულდი და უსატოვს ყველაფერი ჩაუტყუე, — ყაზანში ვაპირებ გამგზავრებას. თვეში ასი მანეთი მექნება. ხუთ თვეში ხუთას მანეთს მივიღებ. ასი მანეთით თავს გავიტან როგორმე, დარჩენილი ოთხასი მანეთით თბილისში დავბრუნდები და სწავლას დავიწყებ-მეთქი..

— დაუნებეთ თავი მაგ წილადობილს! — შემაწყვეტინა უსატოვმა, — ვერაფერსაც ვერ მოაგროვებთ! თანაც, ღმერთმა უწყის, მოგცემენ კია რამეს! მაგ საქმეებისა ცოტა მეც გამეგება! აქ დარჩით და ჩემთან მიეცადინეთ, სწავლას ქირას არ გამოაგროვებთ.

ჩემი ვაპოვებას საზღვარი არ ჰქონდა. პირველად ვხედავდი ადამიანისადმი ასეთ დამოკიდებულებას.

თუ გინდა, შენს უფროსს წერილს მივწერ და სამსახურშიაც აღდადგენს, ჩემი კარგი ნაცნობია და უარს არ მტყუის, — განავრძობდა ისევ პროფესორი.

რალს დავიციდილი სიხარულისგან ფრთაშესხმული ჩემს უფროსს გამოვექიმიე და უსატოვის წერილი გადავეცი, მაგრამ ჩემი ადგილი უკვე დაკავებული აღმოჩნდა. გულშემოყრილი ისევ უსატოვთან დავბრუნდი.

— რა გაეწყობა, სხვას უნდა მივმართო, — მითხრა მან და ახლა აფთაქისა თუ საფთაქო საწყობის მფლობელთან გამავაგენა. აღმოსავლური გარეგნობის აფთაქარი წერლის წაკითხვისთანავე შემეკითხა:

— რომელიმე სხვა ენა ხომ არ იცით?

— უკრაინული, — მიუფეე საჩქაროდ.

— არ გამოდგება. ლათინური?

— არა.

— სამწუხაროა, მაგრამ ჩემგან ყოველთფერად ათ მანეთს მაინც მიიღებთ. ახლა კი ორი თვისა წინასწარ იხებთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ რა უნდა გავაკეთო?

— არაფერი. სიმღერა უნდა ისწავლოთ, რისთვისაც მე თვეში ათ მანეთს გადავიხდით.

როგორღაც ყველაფერი ზღაპარსა ჰგავდა. ერთმა კაცმა უფასოდ უნდა მასწავლოს, მეორემ კი ამისათვის ფული მიხადას. ყაზანიდან გამოგზავნილ ავანსიანად ახლა ორმოცდახუთი მანეთი მქონდა. უსატოვმა უკეთეს ოთახში გადასვლა და ჰანინოს დაქირავება მიბრძანა. ავანსი რომ უკან დამებრუნებინა, უსატოვს დავალებას ვეღარ შევასრულებდი.

მეც ავდექი და ყაზანში წერილი გავაგზავ-



ნე, ვითომდა ჩემი უცარი და მძიმე ავადმყოფობის გამო ვეღარ მივიღიოდ.

რასაკვირველია, ასეთი საქციელი ვერ არის კარგი ამბავი, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ხშირად უფრო ცუდ საქმეებს ადამიანები გაცილებით მღაბალი მიზნებისათვის სჩადიან.

* *

შინაური საქმეები ვერ მქონდა მიინცდამარად კარგად. ჩემი მეგობარი ქალი სულ უფრო და უფრო ანჩხიდა და თავშეუპყვებელი ხდებოდა. ვერაფერი გავაწყვე. მთვრალი ძალიან ჭირვეულობდა. უზომოდ შეწუხებულმა არმდენჯერმე გაქცევაც კი განვიზრახე. ერთხელ, ჩვენს ეზოში მცხოვრებ გორაკოვოის მეუღლეს წაეჩხუბა. ვებარუნებოდა დედაცაც — მა მარიას ქალისათვის სამარცხენო სახელი წასძახა. ამაზე გავჯავრდი და ლანძღვა-გინება აღარც მე დავაკელი. საღამოს თვითონ გორაკოვოი გამოგვეცხადა. ჯერ მუქარით ამიკლო, ციმბირს უკან დაგატოვებინებო, მერე საცემრადაც მომეპარდა. მართალია, პოლიციელების ძალიან მეშინოდა, მაგრამ მაინც შემომეღობა. აი, სად გამომადგა ყაზახური ხელჩართული ბრძოლების გამოცდილება.

სახლი, სადაც მე და მარია ცხოვრობდით, საოცარი ყიდიის ხალხით იყო სავსე. ამ ხალხს ყველაფერი აინტერესებდა საკუთარი თავის გარდა. ზოგიერთს განსაკუთრებით ჩემი ამბები აინტერესებდათ. ასე მაგალითად, ერთ წვეროსან მკაცრი გარეგნობის კაცს, რომელსაც ერთთავად თეთრი ბლუზა ეცვა და თითქმის ყოველთვის შეზარბოვებული იყო, საოცრად უყვარდა თავისი ძალიან ჩემზე მოსისიანება. ამ კაცს თავი ისე ეჭირა, თითქოს მთელი ქვეყანა საოცრად მოზნებოდადეს, — განსაკუთრებით კი მე. დიდი და ავი ძალი ჰყავდა. როგორც კი ეზოში გავლილ დამინახავდა, მაშინვე ძალს მომისისიანებდა.

— არიქა, ჰექტორ! ეცი მაგ ოხერს! სი, მაგ შარლატანს!

ძალი აუჩქარებლად მიახლოვდებოდა. შიშით კედელს გატყრო, მუდარით სავსე თვალებით ხან ძალს მიეჩერებოდა და ხან მის პატრონს. კაცი დმოჟდა. ძალიც პატრონს ბაძავდა. სიმართლე გითხრათ, ეს გართობა სულაც არ მომწონდა, თვითონ ის კაცი კი რაღაც გაურკვეველ შიშსა მგვრიადა.

განსაკუთრებით იმ დღეს შემომიჩნდა, უსატოვან წასასვლელად რომ ემზადებოდი. დილით, მართლაც ბევრი ვიმდერე. ოთახიდან რომ გამოვდიხარ, უცერად კიბის თავიდან მრისხანედ დამაძახა:

— დოკენად უნდა წასულიყავი, შე ეშმაკის კერძო, შენა! შენ კი აქ ხალხს მოსვენებას არ აძლევ, ნამდვილი არამზადა ხარ და მეტი არაფერი!

მაშინვე სარდაფში შევხვეერი. მიმძიმდა ამ ველურ ხალხში ვაძლუბა, მარიას ქცევა ხომ სულ მთლად აუტანელს ხდიდა ჩემს ცხოვრებას. ყველას ეჩხუბებოდა. არყისათვის ჰყიდა ნივთებს.

ერთხელ, რომელიღაც სამიკიტნოს წინ ჩაეარა და რას ვხედავ: მარია ლეკურს უვლის, სამიკიტნოში თავშეყრილი კი ხორბოვობენ, ჩემეტენ და ედელაუტენბიან საცოდავსა და გალემილ დედაცაც. მაშინვე შინ წამოვიყვანე, მაგრამ ახლა აღარც მე დამინდო, მაგორღაც დვარძლიანად მომხაზა: როცა მამაცი ქალის ალერსით ტკებება — სამავიგრო სარგებელი ქალმაც უნდა ნახოსო. შენისთანა უნიფხო რა ხეირს დამაყრის, სადაც ვინდა წაეთრიეო. საშინლად წაიჩხუბებო. მარიამ თბილისში დარჩენა აღარ ისურვა და ბაქოში გადაბარგდა. გული დამწყვიტა მარიასთან დამორებამ. ეს ქალი იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც ძირსა და ლხინს ვუზიარებდი. ვერ ვიტყვი მალაიან მიყვარდემთქო, ვფიქრობ, დღად არც ის ფეთდებოდა ჩემი გულისათვის, ჩვენ მხოლოდ ერთნაირი ბედი გვაკავშირებდა, ეს კავშირი კი უღაოდ მტკიცე და მეგობრული იყო. თანაც ქალი ჩემთვის მუდამ იყო ის ძალი, რომელიც გულში მხოლოდ საუკეთესო გრძნობებს აღმიძრავდა.

უსატოვან მეცადინეობის დროს მისი მოწაფეები, დაახლოებით თხუთმეტორად კაცი გავიცანი, სხვადასხვა მდგომარეობისა და შეძლების ხალხი: ოფიცრები, ჩინოვნიკები, მანდილოსნები. მათ შორის იყო იოსებ კომაროვსკი, იგი ახლა დიდ თეტრში რეჟისორის თანაშემწედ მუშაობს, ბანი სტარჩენკო — საოცრად თავდაჯერებული და თითქმის სასაცილომდე თავმოყვარე კაცი. უსატოვის მოწაფე გახლდათ პავლე აგნიეცევიც, რომლის შესანაშნავმა ხმამ და ხალხში თავის დაქერის დარბაისლურმა მანერამ თაფიდანვე მომაჩაღოვა. სამწუხაროდ, აგნიეცევი შემდეგ სულთ დაავადდა.

უსატოვის სახლში ჩემთვის ყველაფერი უცხო და უჩვევი იყო: ავეჯი, პარკეტის იატაკი, თვით ჩაი და ბუტერბროტეც კი, ასე ჩინებულად რომ ამზადებდა ჩემი მასწავლებლის მეუღლე, მარია პეტრეს ასული.

ძალიან გამაყვირვა იმანაც, რომ მოწაფეები სრულებით არ ეკრძალებოდნენ პროფესორსა და მის მეუღლეს. ის კი არა, ხარხარებდნენ კიდევ მათი თანდასწრებით. ჰყვებოდნენ ნაირნაირ ამბებს. საერთოდაც, ისე თავისუფლად ეჭირათ თავი, თითქოს შეხუმრებული თანატოლები ყოფილიყვნენ. ასეთ დამოკიდებულებას პირველად ვხედავდი და ძალიანაც მო-

თავდროა უალიანი
ჩემი ცნობების ფურცლები

შრონდა, მაგრამ მე თვითონ ვერა ვებდავდი, იმ დროს მეტად ჩამოვლეთილი და უძიკიანი ვახლოდი. ახანოში ზშირად დავდიოდი, მაგრამ სუფთად ყოფნას მაინც ვერ ვახერხებდი. მქონდა ერთადერთი პერანგი, რომელსაც თვითონვე ვრეცხდი მტკვარში და მერე ლამაზე ვაცხუნებდი, რომ შიგ შევიღარად ჩაბუდებულ მკებნარები დამეხოცა.

ერთხელ გავეთილზე თვითონ უსატოვმა მითხრა:

— იცით რა, შალიაპინ, თქვენ საკმაოდ არასასამოვნო სუნი გდით. მე ბოდიშს ვიხდით, მაგრამ მინდა რომ იცოდეთ! ჩემი მეუღლე საცვლებსა და წინდებს მოგვცემთ და როგორმე მოწესრიგდით!

შეპრცხვა და როგორ შემრცხვა, ცრემლიც კი მომგროა. მაშინ ჯერ კიდევ არ მესმოდა, რომ აღამიანები, როცა სიკეთეს ვაეკეთებთ, მის ფორმას აღარ დაეცემათ. ჭაღალში ვახეველი საცვლები ავიღე და მათორე გავეთილზე დაბანილ-დავარცხნილი გამოვცხადდი. უსატოვმა ახლა სადილად მიმიწვია. მიპატიებისათვის დიდი მადლობა გადავუხადე, მაგრამ სადილად არ დავრჩი, — ეს უკვე აღარ შეიძლო. ვიცოდი როგორიღაც სადილობდნენ უსატოვები. სუფრას გოგონა ემსახურებოდა, შემოქონდა ათასგვარი თევზი. მაგიდაზე ეწყო დანები, ჩანკლები, კოვზები. დემრთმა უწყის, რა რისთვის იყო საჭირო, რომელი დანით რა უნდა გავკეპო?

უსატოვმა შემდეგ მაინც მოახერხა ჩემი სადილად დატოვება. დავრჩი, მაგრამ, ნეტა იცოდეთ, რამდენი წამება ვანეცადე. ისეთი საშემულები შემოქონდათ, ჩემს დღეში თვალიც რომ არ მომიკრავს, მათი ჭამის წესებზე ხომ წარმოდგენა არა მქონდა. მათლაფაში რალაც მწეანე სითხე ესხა და შიგ მაგრად მოხარშული კვერცხი ცურავდა. მეც ავიღე და კვერცხს კოვზი დავაჭირე. კვერცხი მათლაფიდან ამოხტა და მაგიდაზე გაგორდა. გაგორებულ კვერცხს მაშინვე ხელი ვტაცე და ისეც მათლაფაში ჩავავდე. ჩემი ოპერაციებით გაოცებულ თანამესუფრეთ, თუმცა არაფერი უთქვამთ, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ სასტკიად მძრახავდნენ. ბეგრჯერ დამედინა ასეთი სიმწრის ოფლი, ბოლოს, რასაკვირველია, მეც ვისწავლე ჭამასის წესები. ახლა უკვე აღარ ვაყენებდი უხერხულ მდგომარეობაში თანამესუფრეთ ჩემი უსაქციელობით, აღარ ვყოფდი სამარილეში თითებს და კბილებში გაჩხერილ ხორცს ფრჩხილებით აღარ ვიცლიდი.

უსატოვს ერთი ფრიად კეთილშობილური ჩვეულება ჰქონდა. ამგვარ ამბებზე საოცრად მომხიბველი უბრალოებით მივითითებდა, თუმცა მე მაინც ჩემი მეპართებოდა.

— შალიაპინ, სადილობის დროს ცხვირს ნუ

ასრუტუნებ! — მალიმალ მეტყოდა ხოლმე მაშაში გართულ ყმაწვილს.

ახა როგორ არ მესრუტუნებინა, ცხელსა და გემრიელ საჭმელს ვჭამდი, ცხვირსახოცი კი არა მჭონდა.

— დანით ჭამა არ შეიძლება, პირი გავკეპრება, მაგიდასთან გამართული იჭექი, თევს დანით არ შეეხო, — მეჩინებოდა დღენიადაც. ერთი სიტყვით, გულმოდგინედ მასწავლიდა მალიალ საზოგადოების ჩვევებს.

ერთხელ უსატოვმა „ფენელიდან“ ერთი არიისა და ბახმეტევის რომანისის „წვერო, ჩემო წვეროს“ შესწავლა დამავალა. ნაწარმოები რომ შევისწავლე უსატოვმა გრიზოვდოვის ქრახზე, არწრუნის სახლში მოთავსებულ მუსიკის მოყვარულთა წრეში გამაგზავნა. ამ წრეში იმართებოდა მოსწავლეთა და მოყვარულთა სპექტაკლები. იგი ცნობილ „თბილისის არტისტული წრისაგან“ დამოუკიდებლად არსებობდა. წრეში ბევრი მოყვარული გავიცანი და მუდამ ვესწრებოდი წრის ყველა შეცადანებას. ერთ-ერთ კონცერტზე პაეროვან კახაში გამოიწყობილმა, შავთვალა, ბენსენენამა გოგონამ ბრახუნის რომანისი იმღერა:

გასწი, გასტურე, ჩემო გონილოვ,
მალთი დავანათის მოვარე მცინარე,
შენც ბარკაროლავ, გადაიქროლე
მიძინებელი, მშვიდი მდინარე...

მომღერალი ზებუნებრივ მზეთუნახავად მომეჩვენა. მოვიზიბლე მისი პატარა, მოქნილი ხმით, აღარაფერი მახსოვდა, ტაშს თვადვიწყებით ვუკრავდი. კონცერტიდან აღტაცებულ დავბრუნდი. სხვათა შორის ისიც დავინახე თუ ვიღაცა როგორ ეამბოზა მომღერალ გოგონას ხელზე.

— ეჰ, რას იზამ, ქვეყნად ასეთი ბედნიერებიც არსებობენ, — გავფიქრე გულდაწყვეტილმა.

რამდენიმე დღის შემდეგ უსატოვმა მითხრა, ამ წრის კონცერტებზე შენც გამოიხალ, რისთვისაც წრე სტეპენდიას დაგინიშნავსო. თვითონ მან კი ფრაკი მაჩუქა. უსატოვი პატარა და მსუქანი კაცი იყო, მე — გრძელი და გამხლარი. საბედნიეროდ, მეკრავი ძმაკაცები მყვანდნენ და ფრაკი საკმაოდ კარგად მოარგეს ჩემს აწოწილ ტანს.

დაეკა წრეში ჩემი პირველი დებიუტის დღეც. გამოვედი სცენაზე და რიხიანად დავიწყე: „წვერო, ჩემო წვერო“. ხალხმა სიცილი დაიწყო, მაგრამ რალაც სხვანიარი, უწყინარი სიცილით იცინოდნენ, ვიფიქრე, ალბათ, ჩემს ფრაკს დასცინიან-მეთქი, თურმე მე დამცინოდნენ: კაცს სახეზე დინდლის ნასახიც არ გამანინდა და წვერზე ისეთი გრძნობით კი ვმღეროდი. თურმე, სცენიდან სულ პატარა ბიჭსა ვვავდი. სიმღერის დამთავრება და ტაშის გრი-



ალი ერთი იყო. უცერად ხალხში ის ქალიშვილიც დაეინახე, წინა კონცერტზე რომ მომავალდგა. „აი, ვის უნდა ვემღერო“ — გადაწყვიტე გუნებაში. მაგრამ რა ვიმღერო? ბისზე „ტრფობას მორჩილებს ყველა ასაკი“ შევასრულე. მომეჩვენა, რომ ქალიშვილი სხვებზე უფრო აღფრთოვანებული უყრავდა ტაშს.

კონცერტების შემდეგ ტყეები იმართებოდა. აკომპანიატორმა ქაქაძემ იმ ქალიშვილის გაცნობა შემომთავაზა. უსტაყოლ შენს მიუყვები. ვაკრიალბულ იტაკულ ფეხებს გარდიგარდმო ვაბიჯებდი, მუხლები შეეკეტებოდა. დარბაზი გადავჭკვრივ. ქალიშვილმა აღერსიანად ჩამომართვა ხელი და ქათინუტები დამაყარა. საოცრად დანებული რაღაც შეესაბამო პასუხებს ვაძლევდი.

— „რა სულელი ვარ, რა მოუქნელი! — გული მომდიოდა საკუთარ თავზე.“

დამიჭერეთ, თბილისიდან არხანგელსკში ფეხით გამაცილეო რომ ეთხოვა უსათუოდ დავთინხმდებოდი; არ ვიცოდი სად ცხოვრობდა, თორემ მის ფანჯრებს არ მოვშორდებოდი. ერთი სიტყვით, ახალგაზრდული ძალითა და გატაცებით შემეყვარა.

იმევე საღამოს წრის ერთმა წევრმა, იტალიელმა ფარანამ, მეტად სასიამოვნო ამბავი მახარა: წრე ყოველთაგორად თხუთმეტ მანეთს გადაეხდისო. თან მთხოვა, შეძლებისდაგვარად დავეცხმარეო. სიხარული დავთინხმდი. მართლაც, ამის შემდეგ წრეს არ ჰქონია რაიმე წამოწყება, რომ მე საქმიანი მონაწილეობა არ მიმეღოს. ვმღეროდი კონცერტებში, ვთამაშობდი დრამებშიც. ვაწვასხიერე ნესჩასტოვეცი — „ტყეში“, პეტრე — „ნატალა-პოლტავისში“.. ვდგამდი ლეკორაციებს, ვწმენდდი ლამაზებს, განვაგებდი ბუტაფორიას, ერთი სიტყვით სინდისიერად ვმუშაობდი.

რა თქმა უნდა, უსატოვთან ისევ ვმეცადინებოდი. პრიფესორი მეტად მეცარიე კაცი იყო და მოწაფეებს, განსაკუთრებით ჩემსთანებს, ნაკლებად ებოდიშებოდა. როცა რაიმე კარგად არ გამოდიოდა, ქილიდან სადირიგორო ჯოხით ბურნეთს ვაღმოქექავდა და ხმაურით შეიუსუნთქავდა, ან კიდევ თითის სისხო პაპირისს გააბოლებდა. ყველაფერი ეს მისი უკმაყოფილებისა და ვაღიზიანების აშკარა ნიშნები იყო.

როგორც კი შეამჩნევდა, მოწაფეს ხმა უსუსტლებო, მაშინვე გულზე ხელს მიართავდა და ვაჯერებული ხმამალა დასძახებდა:

— დააყრდენ! ეშმაკმა დასწყველოს თქვენი თავი, დააყრდენ!

დიდხანს ვერ მივხვდი რას ნიშნავდა ეს „დააყრდენ“. თურმე, საჭირო იყო ხმის სუნთქვაზე დაყრდნობა, მისი კონცენტრირება.

წრეში მუშაობით გატაცებულს, სიყვარუ-

ლის განცდებიც დამემატა და ცოტა არ იყოს მეცადინეობას ვუყვლი. ვაკვეთილებს ძველებური სიბეჯითი ველარ ვამზადებდი. ვასპირში ჩავარდნილმა ხერხს მიემართე; დადაშლილ ნოტებს ფორტეპიანოზე ვდებდი. თვითონ, თუმცა უკან ვდგებოდი, მაგრამ მინდ ვაბერხებდი ნოტებში ჩაჰყეტას. უსატოვი ეშმაკობას მიმიხვდა. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემსა და ნოტებს შორის მოხერხებულად ჩაგდა და ნოტები დახურა. სიმღერა შეწყვიტე. ვიყვარდეს, მაშინ იმან მითაქა და მლანდა:

— სულ აღარაფერს აკეთებ, შე უქნარა, შენა!

ამგვარი წამება გოლო ხანებში საკმაოდ ხშირად მეორდებოდა და იძულებული ვავხდი თავდაცვაზე მეზრუნა. ინსტრუმენტი კედლიდან ისედაც მოშორებით იდგა, მაგრამ ერთი გოჯით კიდევ გამოეწიე, რომ უსატოვის ჯოხის მოქნევაზე ფორტეპიანოსა და კედელს შორის შეემძვარალიყავი. იგი სქელი კაცი იყო და ჩემამდე ვერ აღწევდა. გულს მხოლოდ ყვირილითა და ფეხების ბაკუნით იოხებდა. ერთხელ ისე ძალიან ვაუკავრე, ნოტები მომიქნია და ვაკოფებულმა დამახა:

— გამოძვერი, შე შეჩვენებულო, გამოძვერი! მაგ ოინსაც მიგიხვდი!

როცა გამოვედი, სულ ჯოხით ამაურელა და ვაკვეთილი ისევ თავიდან დამაწყებინა.

უსატოვან შემდეგი შეხვედრის დროს მუდამ ვიგონებდი ამ ხელჯოხიან ვაკვეთილებს და გულიანადც ვხარხარებდით. კარგი აღამიანი იყო ჩემი მასწავლებელი!

მუსიკალური წრის სპექტაკლისათვის ობერა „ალის“ მესამე მოქმედება მომამზადებინა. შევისწავლე აგრეთვე მეფისტოფელის სერენადა და ტრიო. ეს ათონხილი, გრძელი კაცი, მეტად სასაცილო გჩანდი მეფისტოფელის კოსტუმში. რაც შეეხება სიმღერას, ის კი ნამდვილად მოეწონათ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეწისქვილის არიამ.

ახლაც მახსოვს როგორი შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა დარბაზში როცა პირველი ფრაზა ვიმღერე.

სიმღერა რომ დავამთავრე, ხალხმა დიდი აპლოდისმენტებით დამაჯილდოვა, ის კი არა, ფეხზედაც კი წამოდგნენ. მეორე დღეს გავიე „კავკაზში“ წერილი დიბეჰკდა. ავტორი ცნობილ მომღერალ პეტროვს მადარებდა. წერილის ვინმე მესანგრე ოფიცერი — ყორღანოვი აწერდა ხელს. ყორღანოვი მუსიკის დიდი მოყვარული და პატივისმცემელი ვახლდათ. შემდეგ მან ბეოხოვერზე წიგნიც კი დაწერა.

გავეთმი მოთავსებულმა წერილმა ამაღელვდა. ვიგრძენი, რომ მოხდა რაღაც არაჩვეულებრი-

თეიმურაზ შალიაიანი
ჩემი ცნობრების ფურცლიანი



ვი, მოულოდნელო, ისეთი, რაც ფიქრადაც არასოდეს მჭონია, სიმართლე გითხრათ, თავადც ვეგონებოდი, რომ მეწვისქელიის არაია კარგად ვიმღერე, უკეთესად, ვიდრე ოდენსე მიმღერა. მოუხედავად ამისა, მაინც ვთვლიდი, რომ წერილი აზვიადებდა ჩემს ნიჭიერებას. უხერხულობა და შიში მომგვარა ამ პირველმა ნაბეჭდმა ქება-დიდება. ისიც ვიგრძენი, რომ ამიერიდან ბევრად მეტი მომეთხოვებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, უსატოვიც კი მაქვს: — რაო, ცუდლუტო? — მითხრა და ბეჭეზე ხელი მომიტოხუნა, — ასე უნდა, მაშ! აი ასე!

ის კი მაინც ვერ გავუხედე მეტყვა, ყორღანოვის წერილი წაიკითხე-მეთქი. ვახერხებდი ქალოშვილთან შეხვედრებსაც. გოგონას ოღლა ერქვა. დედასთან ცხოვრობდა ერთ ბატარა და ლამაზ ბინაში. მამა ნაფიცი ვეჭილი ჰყავდა. ქალოშვილს, რატომღაც, მამა მულგარლად ექცეოდა, ოღლას დედა, ეს ფრიად უბრალო ქალი ცხოვრებას მეტისმეტად რეალურად უყურებდა. მალე შეეამჩნეო, დედას ის მდიდარი სომხები მოსწონდა, მის ქალოშვილს რომ ეარშიყებოდნენ. სიმართლე გითხრათ, ამ ქალში იყო რაღაც უცნაური, შეიძლება ითქვას ზიზღის მომგვრელიც კი.

ოღლა პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლობდა. უკრავდა რთილზე. ქალოშვილი გატაცებით მიყვებოდა და ოსტატურად ასურათხატებდა პეტერბურგის მშვენიერებას. ოღლა ძალიან საინტერესო და კარგი გოგონა იყო, მაგრამ გამოხედა ჰქონდა მეტისმეტად გორიზი, თითქოს „აბუჩად ამგდებიც“ კი.

მასთან სიარულს მოეუხშირე, თუმცა დედამისს დიდად არაფრად ემიტნავებოდა ეს ამბავი. ოღლა ჩემი აკომპანიატორი იყო. გულახილად ვამბობ, მე უფრო მეტად მიყვარდა, ვიდრე მას ვუყვარდი. იმასაც ვატყობდი, რაღაც უშლიდა ხელს ყოფილიყო ისეთივე თავდადებული ტრფიალი, როგორც მე ვახლდით. მოუხედავად ამისა, ჩვენმა ურთიერთობამ მალე სასკნით ჩამოყალიბებული ხასიათი მიიღო.

ქალმა გული გადამისხნა, მითხრა რომ რომანი ჰქონდა მისთვის ყველაზე საყვარელი რომანისის, „იციურე, ჩემო გონდოლას“ დამწერ კომპოზიტორთან.

— ახლა იგი ამერიკაში ცხოვრობს, — მითხრა ბოლოს.

ფიფქრე, ჩვენს შორის გულწრფელი დამოკიდებულების არსებობას, ალბათ, ეს ამბავი უშლიდა-მეთქი ხელს. უკვე ყველაფერი ვიცოდი საყვარელი არსების შესახებ, ვიმედოვნებდი უფრო დამიახლოვდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მაფორიაქებდა დედამისის მოწყალე დამოკიდებულება მდიდარი სომხებისადმი, საშინლად ვეჭვანობდი. ერთხელ, ისიც კი მომიჩვენა, თითქოს ოღლა განგებ, ჩემს დასაბნე-

ვად უკრავდა შეცდომით. გაბრაზებულმა ეტყუა, რომ ეს ვერ შეეკრავე და საკმაოდ მეკახედ მამხობდა:

— აღარ მინდა თქვენთან მეცადინეობა!

ოღლამ კამფეტების ყუთი მესროლა და ოთახიდან გავარდა. მარტო დავრჩი. თავზარდევებული გონს ვერ მოვსულიყავი. მოულოდნელი და უცნაური იყო ჩემთვის ეს ყველაფერი. აღამიანმა, ვისაც უფაქიზესი სულის პატრონად ვრაცხდი, რომელიც უდაოდ ჩემზე ინტელიგენტი იყო, როგორც ძალღს სახეში მესროლა, რაც კი ხელთ მოხვდა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან გამოვედი და შინისკენ გავწიე. ვგრძნობდი, რაღაც გამოუსწორებელი რომ მოხდა. ირგვლივ თითქოს წყვედიადი გამეფდა. კარგა ხნის, ოღლასთან შეხვედრის განახლებამდე, თავს მოწამლავით ვგრძნობდი, ვერ ვიძინებდი, საწოლი თითქოს გვერდით ირწიოდა. ბოლოს მაინც ველარ გავქელი და მისკენ გავეშურე, ქალი ქუჩაში შეხვებდა, პირველი მომიახლოვდა, ხელი გამომწივდა და მეგობრულად მოხვდა: ნუ მიამტკვე ყურარდლებას ჩემს სულელურ აფეთქებას. ასე შევგრაგდით.

მაგრამ სულ მალე უფრო სულელური ამბავი დაგვემართა, ერთხელ, მე და ოღლა ერთხელ საღდაც მივემგზავრებოდით. უცერად ოღლას დედას მოეკარით თვალი. ქალოშვილს დაგვინახა. მან ჭერ კიდევ არ იცოდა, ჩვენი მოკიდებულების შესახებ. ცოტა არ იყოს შეეწუხდით. მალაზიანა რაღაც ვიყიდეთ და ისევ შინ დაებრუნდით.

კარი დაკეტული დაგვიხვდა. ეტყობოდა, დედა ჭერ არ მოსულიყო. სამოგარი დავდგი და დედის მოლოდინში მშვიდი მასლაით გავაბით. ვუყვებოდა, როგორ ძალიან მიჭირდა სხვის ხაჩზე სწავლა, უკვე გულით მსურდა სცენაზე მუშაობა. ისიც ვუთხარი, თუ ვინცოთხა ქალაქიდან გამგზავრება მომიხდა, უსათუოდ წამომყვედი, მარტო არ დამტოვო-მეთქი.

სწორედ ამ დროს, საწოლის გვერდით, კარადის უკან უცნაური ხმაური გაისმა, თითქოს რაღაც გასკდაო. მაშინვე კარადას მივციევიდით. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა კარადის უკან დამალული ოღლას დედა დავინახეთ. ჩვენი საუბრის მომენითა და დამალვის გამოაშკარავებით აღშფოთებულმა ქალმა სულ სკამი გვირტყა მე და ოღლას.

— წადი, რაღას უდგახარ, — დამძახა ოღლამ. მეც გავეცალე იქაურობას. მიველი გზა შეშლილივით ვხარხარებდი. სამხიარულო აბაბა მქონდა, მაგრამ ვიცინოდი ნერვიული დამაბვისაგან. გული მწყდებოდა ჩემს სიყვარულზე, ასე უხეშად რომ სთელავდნენ.

მეგონა ამ ამბის შემდეგ ოღლა დედასთან აღარ გაეწრდებოდა და წერილი მიგწერე. ვთხოვდი, გადმოსულიყო ჩემთან. ვუმტყიცებდი, თავის გატანა 35 მანეთითაც შეიძლება-

მეთქი. ეს იყო მთელი ჩემი მამინდელი შემოსავალი. ოღონდ წერილზე არ მიბასხუბა. ჩემი ექვები გამართლდა, ოღონდ დედას შერიგებოდა. მერე მეც განვახსნე ქალიშვილთან ურთიერთობა, მაგრამ ჩემი ახალგაზრდული რომანტიზმი უკვე ექვებისა და უნდობლობის ღრუბლებმა შთანთქმა.

ზაფხულის მიწურულს ხმა დაირბა, ზამთარში ლუბიმოვისა და ფორტატის ოპერა გამოვიხაზინის თეატრში. თავიდან ბოლომდე მაშინ არც ერთი ოპერა არ ვიციდი, მაგრამ უსატოვს მაინც ვკითხე, — თეატრში მოწყობა ხომ არ ვცადო-მეთქი.

— რატომაც, არა, ვცადოთ! ჩემთანაც იმეცადინებ და სცენაზედაც იმღერებ. მხოლოდ, იცოდე, რამდენიმე ოპერა უნდა შეისწავლო, „აღი“ და „ფაუსტი“ შენი მარჩენალი ოპერებია. ასევე უნდა მოამზადო ოპერა „სიცოცხლე მეფისათვის“.

მართლაც, სამივე ოპერა შევისწავლე. ერთ მშვენიერ დღეს, უსატოვს ლუბიმოვი ეწვია, რომ ჩემი და აგნივეციის სიმღერა მოესმინა. მას მხოლოდ აგნივეციე მოეწონა და დაუდო კონტრაქტი. თვეში ორმოცდაათი მანეთის ანაზღაურებით. მე არ მომიწონა, თუმცა „აღის“ სწორედ ის მესამე მოქმედება ვიმღერე, რომლის გამოც ასე ძალიან მაქვს.

„სცენაზე სათამაშოდ ვასვლას ალბათ, ჯერ კიდევ ბევრი მიკლია“, — ვფიქრობდი დადარდინებული.

ეტყობა ლუბიმოვს ვილაცამ ურჩია მუსიკისმოყვარულთა წრეში განმეორებით მოვესმინე. მართლაც, ვიმღერე წრეში და ლუბიმოვის მოწონების ღირსიც ვახსნი.

შემიძლია თვეში ას ორმოცდაათი მანეთი მოვცეფ, — განმიცხვდა სიმღერის მოსმენის შემდეგ ლუბიმოვმა.

„ბოქოს, ვეთომ ნახევარს კი არ ვიყაბულებდი“ — გავიფიქრე გუნებაში

კონტრაქტი დავეთ და რეპეტიციებზე სიარული დაიწყო. ერთხელ ისიც გავიგონე, დარტყორი ტრუფი ვილაცას რომ ეუბნებოდა:

— რა ქარქი ქმა აქვს ამ ქმაცვილი!

უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული.



სეზონი ოპერა „აიდათი“ დაიწყო. სპექტაკლი შესანიშნავად მიდიოდა, მაგრამ უეცრად ამერიისი კაბის შლეიფით დეკორაციას ისე გამოვლო, რომ ქალმა თავი ვეღარ აიშვა. მე უზუნაესი ქურუმბი ქალს მივეშველე და შლეიფი ავუწიე, რისთვისაც მეორე დღეს გაზეთში მკაცრი საყვედური მომარტყეს: ყოვლად დაუშვებელია უზუნაეს ქურუმს ამერიისის შლეიფი ეჭიროს ხელში, — წერდა რეცენზენტი.

მაღე ბანის მთელი რეპერტუარი მე დამაწვა მხრებზე. თვითონაც რომ არ ველოდი, ისე დავეიბრე პირველი ადგილი. ამ ამბავს

განსაკუთრებით „ჯამბაზების“ დადგამა შეუწყო ხელი. ლეონკოვლოს ეს ოპერა პირველად მაშინ დაიდგა თბილისში. ტონოს როლი ადვილად მოერგო ჩემი ხმის დიაპაზონს და საკმაოდ კარგადაც ვასრულებდი. ოპერა ხშირად იდგებოდა და დიდი წარმატება ხვდა წილად.

როდეს ზედიზედ ვაცობდი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, — დღეს მოცემული როლი ხვალ შემისრულებია. სცენას შეჩვეული რომ არ ვყოფილიყავი და თავის დაპერის ჩვევა არ მქონოდა გამომუშავებული, ასეთი ნაჩქარევი და დამაბული მუშაობა უსათუოდ დამლუბავდა. მაგრამ მე ხომ კარგა ხნის „თეატრალი“ ვახლდიო, უკვე მქონდა გაბეჭდილი მოქმედების უნარი, აღარ ვიზნოდ. თან ისე ძალიან მიყვარდა ჩემი საქმე, რომ არ შემეძლო მას აგდებულად მოვქცეოდი. ახალი როლების შესასწავლად სხვა დრო რომ არა მქონდა, დამეგუს ვათენებდი. ჰაიპირად ვსწავლობდი. ყოველი ახალი როლი ჩემს სულსა და გულს ხვდებოდა.

კვლავინდებურად განვაგრძობდი უსატოვთან მეცადინობას. მსწავლებელი ხან მაქებდა, ხან კი სასტიკად მტუქსავდა. ყოველთვის ყურადღებითა და სიყვარულით ვისმენდი მის შეგონებებს, ამ კაცმა წამეძღვანა ამომთორია და უანგაროდ მხარჯავდა თავის შრომას, ვნერგაისა და ცოდნას. შეიძლება ითქვას რომ იგი სიმღერას მექანიკურად გვასწავლიდა, ტექნიკის გარეგნული ზერზების საშუალებით, მაგრამ ვატყობთ უყვარდა მუსიკა და მისი დიდი მოვლენეც იყო. ხშირად შეგვიყრდა ხომოში მოწაფეებს და ამა თუ იმ მუსიკალურ ნაწარმოებზე ვეცხატებებოდა. ვეცხინდა მის ღირსება-ნაყოფანებებს. ყველაფერი ეს ზრდიდა, ხვეწდა ჩემს გემოვნებას.

მუსიკალურ წრეში ოპერა „ბორის გოლუ-ნოვიდან“ ფუნდუქის სცენა განვსახებრიო. მე ბოქაულის როლს ვასრულებდი. ჰოდა აი, როცა ვარამმა თავისი მძიმე, ერთი შეხედვით შეუსაბამო სიმღერა წამოიწყო, ვიგრძენი, რომ რაღაც არაჩვეულებრივი მოხდა ჩემში. ამ თავისებურმა მუსიკამ უეცრად ნაცნობი და მშობლიური განმაცდევინა. მომჩვენა, რომ ჩემ დახლართულ, მძიმე ცხოვრებას სწორედ ეს მუსიკა ახლდა თან, ცხოვრობდა ჩემს სულში, უფრო მეტიც — მისით სავსე იყო სამყარო, რომელსაც მე ვიცნობდი. ახლა ასე ვლაპარაკობ, მაშინ კი კეწნისა თუ სიხარულისმაგვარი რაღაც განცდა დამეფუტა. მინდოდა მეცინა, მეტორა. პირველად ვიგრძენი, რომ მუსიკა იყო ხმა სამყაროს ხულისა, მისი უსიტყვო სიმღერა.

„საქმისადმი იმაზე მეტი ერთგულების გამო-

თეზვორე შალიაბიძე
ჩემი ცხოვრების ფორტალი



ჩენისათვის, ვიდრე ჩემგან ელოდნენ“ სეზონის ერთ ბოლო დღეს ბენეფისი მომცეს. აქლემივით ამტანი ვახლდით. შემქმნო, დღე და ღამე შეუსვენებლო მემღერა. სიმღერით ასეთი გატაცებისათვის ბევრჯერ გამოვუღვივარ სახლის პატრონებს.

სწორედ ბენეფისის წინა დღეს გარდაიცვალა თბილისის კომუნდანტი, გენერალი ერსტი. ეს კაცი, ჩონჩხს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ძვალი და ტყავივით, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო. სახეზე მიწისფერი ედო, თვალებიც საოცრად უსიციცლო ჰქონდა. ამ კაცზე უმარავ, ერთი მეორეზე უფრო სასაცილო ანგვლოტებს ჰყვებოდნენ.

ერსტი თეატრის ხშირი სტუმარი იყო და ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას, ორკესტრის ზემოთ, ლოჯიაში იჯდა ხოლმე, ზუსტად დასარტყმელი საყრავიძის თავს. ჰოდა, ერთხელ შეუმჩნევია, რომ საყვირები ცოტას უტარავენ, უფრო ხშირად დღეიან. ყველაფერი ეს დაუშვებელ უწესობად მოსჩვენებია, მაშინვე თეატრის დირექტორი გამოუძახნია და გაკვირვებით უკითხავს:

— ვითომ რატომ არ უტარავენ ეს საყვირები?

— ამით პაუზა აჭეთ.

— რა? ჯამაგირსაც პაუზებით იღებენ?

— ჯამაგირს მთლიანად იღებენ, ისე, როგორც სხვები.

— გაისარკეთ და გადაეცით, რომ შემდეგში უპაუზებოდ დაუტარან ვერ ვიტან ზარმაცებს!

ერთ-ერთ სადამოს, როცა მე გრემინს ვმღეროდი, გენერალი ჩემით დიანტრესესებულა და ვილაცისთვის უკითხავს:

— ვინ არის ეს ყმაწვილი?

გენერალს, რასაკვირველია, მოახსენეს ჩემი ვინაობა.

— ჰმ... საოცარია, გენერლის ოჯახიდან მგონა, რა მშვენივრად თამაშობს გენერალს.

მერე ჩემთან შემოვიდა კლისებში. დიდად შემაქო, მაგრამ შენიშვნაც მომცა. კოსტუმი სრული არ არის — აუცილებელი ორდენები გაკლიათ.

— ხელთათმანიც არ გივარგათ. შემდეგი სპექტაკლისათვის მე თქვენ ხელთათმანებსაც მოგცემთ და ორდენებსაც.

მართლაც, წარმოდგენის დაწყებამდე კარგა ხნით აღდრე გენერალი თეატრში მოვიდა და კოსტუმის ჩაცმა მიბრძანა. ჩაცმის დროს ხან მუცელში მკრავდა თითს, და ხან ზურგში, როცა გამოვეწყვე, ბრძანებები დამაყარა:

— მარცხნისაკენ! ზურგისაკენ! ნაბიჯით იარ! სამხედრო ყადაღზე ლარჩივით გაჭიმული წაღმავალში ვტრიალებდე, რითაც გენერლის მოწონება დავიმსახურე.

მერე ცხვირსახოცში გახვეული ვარსკვლავი და ჯვარი ამოიღო, ვულზე დამიხნია და დარცხენით მითხრა:

— იცით, რა შალიაპინ, მერე უნდა ეგვიჩეხე რუნოთ ეს ორდენები!

— რა თქმა უნდა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

გენერალმა თითქოს უფრო დაირცხვინაო:

— აქ ერთი მსახიობი იყო, — ისიც ბანი. მე ორდენები მივეცი, მან კი... არ ვიცო ღვიწინს გადააყოლა თუ სად წაიღო, ეშმაკმა უწყის მისი თავი! ის კია, რომ აღარ დამიბარუნა.

აი, სწორედ ეს უცნაური კაცი გარდაიცვალა ჩემი ბენეფისის წინა დღეს. შემეშინდა, ალბათ, სპექტაკლს გადადებენ-მეთქი, მაგრამ ჩემი შიში უსაფუძვლო გამოდგა, სპექტაკლი არ გადადგეს.

ბენეფისის უამრავი ხალხი დაესწრო და დიდი წარმატებითაც ჩაიარა. ოქროს საათი და ვერცხლის თასი მაჩუქეს, ფულადი შემოსავლიდან კი სამასი მანეთი მიმოწინა.

უსატოვმა ძველი, ოდესღაც მისდამი მიძღვნილი დადნის გვირგვინის ლენტზე წარწერა წაშალა, ჩემი გვარი დააწერა და გვირგვინი მე მომართვა. ამით ყოველთვის დიდად ვამაყობდი.

სეზონი დამთავრდა. ამის შემდეგ რაღა ვაქეთო? ამ ფიქრებმა ჩვენი არტისტული ცხოვრების ცენტრში, მოსკოვში წასვლის სურვილი გამოიჩინა. უსატოვმა განზრახვა მომიწონა და წერილებიც დამიწერა საიმპერატორო თეატრების კონტორის მმართველ პჩელნიკოვთან, დირიჟორ ალტანთან, ბარცალთან, რეჟისორთან და კიდევ ვილაცასთან.

შუა მისის ერთ მშვენიერ დილას მე და აგნიეცევი საფოსტო სადგურში მივედი. აგნიეცევის ოპერაში არ გაუმართლდა და სიმღერა შუა სეზონში მიატოვა. სადგურზე ოღლა და მისი დღეც გამოვიდნენ. ოღლას იქაც დავეწყე ზვეწა რუსეთში დამოწყევი-მეთქი, მაგრამ ქალმა ამჯერადაც უარყო ჩემი წინადადება, მისი დამოკიდებულება ჩემდამი უკვე კარგა ხანია იმ ცნობისმოყვარეობას ჰგავდა, ცირკის ჯამბაზს რომ შეჰყურებს ზოლზე მაყურებელი: ამაღამ მოიტებს კისერს თუ ზვალ. თუმცა ვგრძნობდი ამ გულსატკენ დამოკიდებულებას, მაგრამ ქალი მაინც ძალიან მიყვარდა. როცა ცხენებმა, ოღლას სახლს ჩაუჭროლეს და საქართველოს სამხედრო გზას დავადექით, გული საშინელი მტანჯველი ტკივილებით შემეკუმშა.

პირველად ვგზავნობდი საქართველოს სამხედრო გზით, მისი ზღაპრული მშვენიერების შესახებ ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი, მთელი გზა ეტვიროდი. ცოტა არ იყოს, მრცხვენოდა კიდევ ამზანავისა, რომელიც ასე ცდილობდა ჩემს დაწყნარებას. კაცისიონის დიდებულმა სილამაზემ მხოლოდ ანაწულს შემდეგ ვასჭრა და მეც ოდნავ დაემშვიდღე.

გამოჩენილ ქართველ საბჭოთა პოეტს იოსებ ნონეშვილს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ციცის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია და მკითხველთა მრავალათასიანი კოლექტივი სულითა და გულით ულოცავენ პოეტს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებენ დიდ წარმატებებს ცხოვრებასა და შემოქმედებაში.



გიორგი ნაგროვნილი

უკოქის მხარლამხარ

არ ვიცი ვინ წარმოსთქვა ეს ფრაზა პირველად, მაგრამ საკმაოდ ხშირად გაიგონებთ, პოეტი ელჩია თავისი ქვეყნისაო. როცა იოსებ ნონეშვილის ლექსების კრებულს ათვალეირებთ, ბუნებრივად გახსენდებათ ეს სიტყვები. მართლაც და, მსოფლიოს რომელ ქვეყანას დაასახელებთ, რომ იოსები მას არა სწვეოდეს, როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენელი თავისი სამშობლოსი, საბჭოთა საქართველოსი, მისი გულმხურვალე პატრიოტი, მისი გულწრფელი მესიტყვე და პოეტი. სად არ ყოფილა ის, სად არ ჩაუტანია ქართული საღამო და გამარჯვება! მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პოეტმა ლამის მთელი დედამიწა შემოიარა — რომი და ბერლინი, პრაღა და ვარშავა, დელი და ბომბეი, ბეირუთი და დამასკო, ნიუ-იორკი და ვაშინგტონი და კიდევ ვინ მოსთვლის!

ამ გაუთავებელმა მოგზაურობამ დიდად გაამდიდრა იოსებ ნონეშვილის პატრიოტული პოეზია; სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, ოცნებაში ქართლკახეთის ველ-მინდვრებს, რაჭისა და აჭარის მთებს შეჰხარის, მუდამ ახსოვს თავისი ხალხის დანაბარები — იბრძოლოს სიკეთისა და სამართლიანობის, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის წმინდა იდეალების დასამკვიდრებლად; და როგორი სასიხარულოა, რომ ქართველი პოეტის ხმაც მთელი ძალით და ძლიერებით ისმის მსოფლიო პოეზიის იმ დიდ ორკესტრში, რომელიც ჩვენს პლანეტაზე ბოროტისა და ბნელის დასათრგუნად არის ახმინებულნი. ნონეშვილი წერს მსოფლიოს ხალხთა ტკივილებსა და ჭრილობებზე, წერს მათზე, ვისაც ჯერ კიდევ ქედზე ადგას იმპერიალიზმის უღელი, წერს მათზე და თავისი ხალხის თანაგრძნო-



ბა მიაქვს მათთან. პოეტის საღებავები აქ მუდამ ორიგინალური და ცოცხალია; მე აქ მინდა გავიხსენო მისი „ნიაგარა“... პოეტი მოუხიბლავს ბუნების ამ უცხო სანახაობას, მას თვალი ვედარ მოუწყვეტია ცისფერი ტალღებისათვის, კლდეებზე რომ იმსხვრევიან... პოეტს აქვს სამყაროს სილამაზის უმძაფრესი შეგრძნობა და მას ეჩვენება, რომ აქ წყალი კი არ მოდის, ტალღებად მოღვლევენ დოლო და ასკილი, გვირილა და გულისაბა, ყველა ბილიკები იქაური მთაბარაში, მამაზეციურს კვება ცელით რომ მოუთიბავს და წყლისათვის გამოუტანებია. მაგრამ ნამდვილი პოეტისათვის ბუნება განუყოფელია ისტორიისაგან, ის ცალკე, გამოთიშულად არ შეიმეცნება; ნიაგარას მიდამოები მარტო ლამაზი პეიზაჟი როდია, ის ადამიანთა ტანჯვის, ბრძოლის, სიხარულის, სასოწარკვეთისა თუ იმედების ასპარეზიც არის. ეს გაგება ბუნებისა ოდითგანვე ტრადიციულად დამკვიდრებული იყო ქართულ პოეზიაში, სადაც მარაბდა თუ ყრწანისი არასოდეს არ იყო მარტო ყვავილებით აჭრელებული მინდორი, არამედ ბრძოლის ველიც; სადაც ხალხის ბედი წყდებოდა; მდინარეები იმაზე უფრო მეტს მოუთხრობდნენ პოეტს, ვიდრე ამას უბრალო მგზავრის ყური მოისმენდა. ისინი ბუტბუტებდნენ თავიანთ იდუმალ ენაზე; და პოეზია იყო გზა, საიდანაც ეს ხმა ხალხის გულამდე აღწევდა. ასე აისახებოდა პეიზაჟი ქართულ პოეზიაში, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა მოწინავე მოქალაქეობრივი იდეებით. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ასეთი გაგება პეიზაჟისა მარტო ქართული პოეზიის ნიშანთვისება იყოს, მაგრამ ამას ხაზგასმით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ნონეშვილს ქართველი პოეტის თვალი უცნა შეეხება პირველად ნახული უცხო სამყაროსათვის, საგნისა თუ მოვლენისათვის, იქნებოდა ის ქალაქი, მთა თუ მდინარე. და ეს ასეც მოხდა — ნონეშვილის ამ ლექს-

სებში იგრძნობა ძველი ქართული პოეზიის ფესვებიც და თანამედროვე მწერის ღრობის ადამიანის ძლიერი გულისფეთქაც; და აი, ნიაგარას წყალვარდნილის ხმაურსა და ზრიალში მას აგონდება, რომ ეს ძველი იროკეზების სამშობლოც, კერა იმ ტომის ადამიანებისა, რომლებიც გაწყვეტეს ინგლისიდან გამოძევებულმა პურიტანებმა, ხოლო გადარჩენილები რეზერვაციებში ჩაქეტეს. ბუნების ხილვა აქ უშუალოდ და ორგანულად ერწყმის ისტორიულ ასოციაციებს; წყალვარდნილების ხმაურსა და ზრიალში, ტალღების ქუხილში პოეტს ჩაესმის აქ გაწყვეტილ თაობათა კენესა და წუხილი, ესმის მათი საბრძოლო შემართების ყიჟინა და ხშიანობა:

იქნებ ინდიელთა ტომები მოდიან
კლდეების ღარტაფით, მწვერვალთა უბით?!
თავზე სირაქლეშის ფრთები უფრიალებთ,
ხელში უპრიალებთ მშვილდი და შუბი.

ფიქრში იღვიძებენ და ახლოს მოდიან ნაცნობი გმირები, ჩვენი ზმანებების აღრინდელი თანამგზავრები — ჩინგაჩგუკი და უნკასი, უა-ტა-უა, ულამაზესი საცოლვე ტომის ბელადისა, იმათი შთამომავალნი, ვისაც ოდესღაც ეკუთვნოდა ეს ტყეები, მდინარეები და პრერიები. პოეტის სტრიქონებს და მის მიერ ხილულ ნიაგარას ამ სამყაროში გადაყვავართ. აქ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა:

იქნებ ღრუბლებიდან ანთებულ ისრებს,
ზედიზედ გვიშენს პაიავტა?!
ისევ და ისევ,
ისევ და ისევ,
ამ ისრებს
ბოლმას და რისხვას ატანს.

აქ არის ნამდვილად დიდი პოეტური ხილვა, სილამაზის დიდი და ჭეშმარიტი გრძნობა, ასე ბუნებრივად გადაწული ადამიანურობისა და ქვეყნად სამართლიანობის დამკვიდრების პათოსთან. ასეთი გაგება სიცოცხლისა, სამყაროსი, ისტორიისა და აწმყოსი არის შესანიშნავი წარმატება ახალი ქართული საბჭოთა ლირიკული პოეზიისა და იოსებ ნონეშვილი უდავოდ მისი შესა-



ნიშნავი და კარგი ოსტატია, მისი ერთი შემოქმედთაგანი.

ნიაგარადან გზა ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს ცათამბჟენებისაკენ მიდის. და აი, პოეტის ცდილობს გადმოგვეცეს თავისი შთაბეჭდილებანი, რომელიც მას კაპიტალისტური საშუალოს დიდ ქალაქებში მიუღია. ლექსს თავისი მკაცრი კანონი აქვს — აქ ფართო განზოგადებებს ვერ გაჰყვები, აქ უბრალო მხატვრულმა სახემ, ერთმა უბრალო შტრიხმა უნდა დაიტოს დიდი აზრი, მოგვეცეს წარმოდგენა იმაზე, რაც ყველაზე უფრო ნიშნეულია კაპიტალიზმის ცივილიზაციისათვის. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ პოეტმა იპოვნა ყველაზე ზუსტი სიტყვები, ყველაზე უფრო დამტკევი და შინაგანი აზრით სავეს სახეები. სწორედ ამით გამოირჩევა იოსებ ნონეშვილის „ცათამბჟენები“. მაღალია ცათამბჟენები, ლამის ღრუბლებამდე ატყორცნილან, მაგრამ თურმე უფრო მაღალია ლურჯი კიპარისი, ეს ჩუმი ლოცვა მიწისა და სიცოცხლისა, პოეტი აქ იხსენებს თავთავთა შრიას, შხაპუნა წვიმას, ყვავილთა დაღანს, მოცელო ბალახს, რომელსაც შორეული ცისა და წვიმების სუნი გამოჰყოლია, იხსენებს მზესუმზირებს, დილით ბავშვებივით ცერებზე რომ დგებიან და ისე ეგებებიან მზეს, იხსენებს ყოველივე ამას არა იმიტომ, რომ ბუნების პირველყოფილი მშვენიერება და უშუალობა დაუპირისპიროს საერთოდ ცივილიზაციას, არამედ მზის სინათლეზე გამოიტანოს და დახატოს კაპიტალისტური ცივილიზაციის შინაგანი წინააღმდეგობანი. პოეტური მეტაფორა (შენობები — ხეები) აქ იძენს თავისებურ შინაარსს, იძენს დიდ სოციალურ ძღვრადობას. ეს კეთილი ხეები არ არის და პოეტიც ასე მიმართავს მათ:

არც იცით სად არის თქვენ თქვენი მებაღე, ვინც ფესვი გავიდგათ, ვინც მაღლა აგწიათ, ჩრდილს როდი შიამუდენთ, კეთილი ხესავით, იქნება უპერო, მაშვრალი კაცია.

ქალაქის პეიზაჟი პოეტმა აქ ასახა კეთილისა და ბოროტის, ბნელისა და

ნათელის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ასპექტში და იპოვნა მშვენიერ მხატვრული სახე, რომელმაც ერთ სიტყვაში გამოხატა დიდი სათქმელი. ეს სიტყვა — ბაბილონია.

ათასი ფიქრი გაქვთ თამამი, თავნები, ათასი თვალი გაქვთ ყვითლად რომ გივლავთ. ათასი თვალი გაქვთ, მაგრამ ეგ თვალები, ერთმანეთს უცქერენ ხარბად და ცბიერად.

ო, ნუ ყელყელობთ, რომ ძვლები სხვაგვარი გაქვთ მართლაც მაგარი, ნაგები ლოდებად... განა ბაბილონზე ხართ უფრო მაღალი და უფრო მაგარი? გაშორით განგებამ იმ გოდლის გოდება.

ამ ლექსებში იოსებ ნონეშვილი დგას მათს მხარდამხარ, ვინც იბრძვის საქვეყნო მშვიდობისათვის, დედამიწაზე სამართლიანობის დამკვიდრებისათვის; ამ თემას ეძღვნება მისი ლექსები „ვიცოთ გულდა“, „ყური დავუგდოთ“, „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“, „ბეირუთში“, „შეხვედრა“, „გოეთეს მუზეუმში“, „ღამე ბენარესში“, „როცა შენ ცეკვავ“ და მრავალი სხვა.

პოეტი წერს იმაზე, რაც უნახავს, რაც განუცდია. მას კი ბევრი რამ უნახავს — ის ოცდაათი წელი, რომელიც ნონეშვილის სამწერლო მოღვაწეობას მოიცავს, სავეს იყო დიდი ისტორიული ძვრებით, დიდი ეპოქალური მოვლენებით. და ყოველივე ამან თავისი კვალი დატოვა პოეტის შემოქმედებაში. იოსებ ნონეშვილი სრულიად ახალგაზრდა პოეტი იყო, როცა სამამულო ომი დაიწყო. იმ დღეებშივე მან ჯარისკაცის მახარა ჩაიცვა და მისი ლექსიც იქცა მგზნებარე საბრძოლო მოწოდებად; ჩვენი მკითხველისათვის მუდამ საამაყოდ მოსაგონარი იქნება პოეტის ის ნაწარმოებები, რომლებშიც აისახა ჩვენი მამაცი მხედრების, ქართველი ვაჟაკების საბრძოლო შემართება, შინ დარჩენილთა თვედადებული შრომა, წმინდა სიყვარულის ის დიდი გრძნობა, რომელიც აერთიანებდა პოეტისა და

გიორგი ნაბროშვილი
 ეპოქის მხარდამხარ



მხედრის, ფრონტზე მებრძოლისა და დაზვასთან მდგომი მუშის, დიდისა და პატარის გულებს. ნონეშვილის ლექსებში მთელი ძალით, მთელი თავისი სიწმინდით გამოჩნდა ხალხის გაუტეხელი სული, გამოჩნდა არა მარტო დღევანდელი დღე, არამედ ისტორიული ტრადიცია ქართული რაინდული თავდადებისა, რომელმაც სასწაულები მოახდინა სამამულო ომის ფრონტებზე, სადაც ქართველი ჯარისკაცები, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, იცავდნენ მთელი კაცობრიობის მომავალს, იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

იოსებ ნონეშვილის ომისდროინდელი ლექსები („ოთხი ძმა ლესელიძე“, „ადექ, აიღე ფრანგული“, „ბარათი ფრონტიდან“, „სიმღერა ზოია კოსმოდემიანსკიაიზე“ და სხვ.) გამოირჩეოდნენ დიდი შთამაგონებელი ძალით. 1944 წლის ბოლოს, საახალწლოდ დაწერილ ლექსში პოეტი ამბობდა:

ვადღებრძელოთ ბრძოლის ქარში
ვისაც დროშა მიაქვს ახლა,
ვინც ახალწლის გარიჟრაჟი
სანგარიდან დაინახა;
ვისაც ქარი უწეწს კალთებს,
არ ეღლება ბრძოლით ხელი
და ნისლიან ღამეს ანთებს
მოქნულ ხმლის ცისარტყვილით.

გულწრფელი და ღრმა მწუხარებაა პოეტის სტრიქონებში, როცა ის იგონებს იმ მებრძოლებს, რომლებმაც მამულის დასაცავად სიცოცხლე გასწირეს, როცა ის მკითხველს მოუწოდებს სიყვარულით გაიხსენოს

... ისიც, ვინც დღეს ვეღარ ზელობს,
მუხლმავარი, ვით არსენა,
საყვარელი საქართველო
სიკვდილის წინ ვინც ახსენა.

1944 წელს დაწერილ ლექსში „მაისმა შემობრძანება ყაყაჩოს შუქით გვა-

ხარა“ წარმტაცი ფერადებით არის დახატული, როგორ მოდიოდა, როგორ ყოველდღიურად ახლოვდებოდა საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება. ამ გამარჯვებას სჭედდა მთელი ხალხი და პოეტის მართალ სიტყვას აქ მცირე როლი როდი ჰქონდა მიკუთვნებული; პოეზიაც მაშინ ომში იყო, და სინათლის გამარჯვებისათვის იბრძოდა.

ომის დამთავრების შემდეგ იოსებ ნონეშვილმა გამოაქვეყნა პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, რომელშიაც მან მკაფიოდ გამოაჩვენა ახალგაზრდა ქართველი ქალიშვილის — ზოია რუხაძის მუღამ წარმტაცი სახე. ეს არის ნაწარმოები ერთ ადამიანზე კი არა, მთელ თაობაზე, მთელს ჩვენს მშვენიერ ახალგაზრდობაზე, რომლისათვისაც ყველაზე მაღალი მცნება — სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადების გრძნობაა.

პოეტის ლირიკული ლექსების მთავარი თემა — საქართველოა, მისი წარსული და აწმყო, მისი თვალწარმტაცი პეიზაჟები, მისი შესანიშნავი ადამიანები, კომუნიზმის მშენებლები; პოეტი გვიხატავს მათს ფიქრებს, გრძნობებს, მათს მდიდარ სულიერ სამყაროს. მისი ლექსები თბილისურ შემოდგომაზე თუ ყამირზე წასულ ქართველ ქაბუკებზე, გუთნისდებებზე თუ მეჩაიეებზე, მისი ლექსები სიყვარულზე, სილამაზეზე — უაღრესად პოპულარულია ჩვენს ხალხში. ეს აიხსნება იმით, რომ პოეტის სიტყვა მუდამ მართალია, გულწრფელი, უშუალო, მის ლექსში იგრძნობა ლაღი ტემპერამენტი, ის სითბო და ინტიმი, რაც ქართული ნაციონალური ხასიათის ნიშან-თვისებას წარმოადგენს. იოსებ ნონეშვილი ეკუთვნის ქართული სიტყვის იმ მოწინავე ოსტატთა რიცხვს, რომლებიც ჰქმნიან და რომლებსაც წინ მიჰყავთ ახალი ქართული საბჭოთა პოეზია.



წიგნაკოს საქყროვი

გერამ ბათიაშვილი

« ა ს ი ა »

(ი. ტურგენევი, „ასია“, გამომც. „ნაკადული“, 1968 წ.)

საუკუნე და ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ი. ტურგენევი „ასია“ შექმნა. რამდენი თაობა წაიდა, რამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ეს მოთხრობა არ ქცეულა მხოლოდ გარდასული საუკუნის ადამიანთათვის საინტერესო ნაწარმოებად.

ზუსტად დაწერილ დღიდან 110 წლის შემდეგ გამოცა „ნაკადული“ „ასია“. გამოცემა კარგი წიგნი და მისასალმებელი საქმეც გააკეთა. რასაკვირველია, თავის დროზე, ტურგენევის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისას, ეს მოთხრობა სათანადო ადგილს დაიპყრდა მრავალტომეულში, მაგრამ საქმე ისაა, ამჟამად ვაძიებთ მეტი ადამიანი წაიკითხავს ამ ჩინებულ ნაწარმოებს, ვიდრე თხზულებათა სრულ კრებულში. ვიმეორებთ, კარგ საქმეს აკეთებს „ნაკადული“, დიდ მწერალთა ერთი შეხედვით უჩინო, მაგრამ მწერლის მსოფლმხედველობის გასარკვევად მნიშვნელოვან თხზულებებს დიდი გულსისუფრობით რომ აწვდის მკითხველს.

პრობლემების მიხედვით „ასია“ ტურგენევისავე ცნობილი რომანის „რუდინის“ ერთგვარი ვარიანტია თუ თემის შემდგომი დრამა დამუშავება. „რუდინის“ დამთავრებიდან სამიოთხი წლის შემდეგ ტურგენევი კვლავ მიუბრუნდა ე. წ. ზედმეტი და გზაბნეული ადამიანის პრობლემას. მან ერთხელ კიდევ მოინდომა ეჩვენებინა გუშინ გაინტელიგენტებული მემამულე, რომელიც აღარც ზეირიანი მემამულე იყო და აღარც კარგი ინტელიგენტი. ასეთი ახალგაზრდობა უმთავრესად უცხოეთის შორეულ გზებზე პოვებდა სულიერ სიმშვიდეს. ასეთია „ასიას“ ერთ-ერთი პერსონაჟი ნ. ნ. ხოლო

ნაწარმოების ცენტრალურ ფიგურას ასიას, რომელიც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ ჰყავს დახატული ავტორს, ამ მხრივ რაიმე კლასობრივი ხასიათის კომენტარი არ ეძლევა. ი. ტურგენევისათვის მთავარია ასიას შინაგანი სამყარო, მწერალს აინტერესებს, როგორ იღვიძებს ამ ერთგვარად ექსტრავაგანტული ბუნების გოგონას სულში სიყვარული და, რაც მთავარია, როგორ იოცებს იგი თავის გრძნობას, როგორ წარმართავს მას, რაოდენ პოეტურია ამ ადამიანში სიყვარულის განცდა. სწორედ ასიას მეოხებით ნაწარმოებში განთქენილ ამ პოეტურობაზე მიუთითებდნენ თავის დროზე ჩერნიშევსკი და ნეკრასოვი, როცა „ასიას“ ღირსება-ნაკლოვანებებს განიხილავდნენ. დღესაც „ასია“ იკითხება, როგორც პოეტური ელეგია სიყვარულსა და ცხოვრებაში თავის მისიამეუცნობელ ადამიანზე. ი. ტურგენევი არ განეკუთვნება ე. წ. იოლად სათარგმნ ავტორთა რიცხვს. ავტორისეული თბრობის მინერა და უადრესად კოლორიტული რუსული პოეტურობის მისი ნაწარმოებების ვალმოქართულებას. ეს გარემოება კარგად გაითვალისწინა „ასიას“ მთარგმნელმა ელენე ქარტველიშვილმა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთარგმნელმა სძლია მის წინაშე მდგარი სირთულენი და სრულყოფილი თარგმანი შესთავაზა ქართველ მკითხველს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთარგმნელს კიდევ მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, შეიძლებოდა ზოგიერთი ფრაზა უფრო გამართული სახით გვეჩლია. თარგმანს ერთგვარად ჩრდილს აყენებს ამგვარი ფრაზები: „ეცხოვრობდი უდარდელად, ვაჟთებდი რახაც მინდოდა“, (გვ. 5), „ჩემი გულის



იარა არც ისე ღრმა იყო, მაგრამ მოვალეობად მივიჩნეე მივცემოდი დროებით სევდასა და განმარტობას“ (გვ. 6), „ძალდატანებითაც კი ვძლევდი ოცნებას ჩემს ვერაგ ქვრივზე“ (გვ. 7), „მამას ვარდა სხვა მასწავლებელი არა-ეინ ჰყოლია“ (გვ. 30), „იმანაც მიამბო, რა გა-აყეთა ჩემს აქ არ ყოფნაში“ (გვ. 27).

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ბანალური ფრაზა რომ ვიხმართო, ხსენებული ხარეზები სრულიადაც ვერ ამცირებენ თარგმანის ღირსებას. ამ წიგნს დიდი მწერლის სახელოვანი იუბილეს დღეებში მაღლიერებით მიიღებს ქართველი მკითხველი.

თაგავ ჭილაქი

«მოზი დიკი» ქართულად

ჰერმან მელვილი — «მოზი დიკი»
მთარგმნელები გივი გვიგუკორი და
ტარიელ ჭანტურია
რედაქტორი მ. მექმარიაშვილი
გამომცემლობა «ნაკაულთი», 1967 წ.

ჰერმან მელვილი დიდი მწერალია. მის წიგნ-ში, ისევე როგორც ყველა ჰემმარტი ნაწარმო-ებში, აღმამანის სულს ბევრი საიდუმლოა ამო-ხსნილი და გამქლავებული, ოღონდ ისე პოე-ტურად, რომ თავის საიდუმლო იერს ბოლომ-დე ინარჩუნებს.

ამ წიგნის ორი მთავარი წყარო—უფრო სწო-რად—მთავრობის ორი ძირითადი კერა—ბიბ-ლია და შექსპირის შემოქმედებაა, თუმცა ის ცოცხალ ორგანიზმივით იწოვს და ითვისებს ყველაფერს, რაც აღმამანის გონებას მანამდე შეუქმნია და დაუგროვებია. ბიბლიისაგან მელ-ვილიმა ინტონაცია და თხრობის მანერა აიღო, შექსპირმა კი ხასიათების გამოქერწყვა ასწავლა.

მელვილი «ეკლესიასტეს» «მწუხარების თხელ», ნუქდ ფოლადს» უწოდებს. «მოზი დიკი» მწუ-ხარე წიგნია, მაგრამ «ეკლესიასტეს» ღვიძლი შვილი მაინც არ არის, ის ამაოების ზღვიდან მზისკენ აღერილი შტოა, სიცოცხლის უსაზღვ-როებით ვაბრუებული.

ეს წიგნი სამ ვეშაპზე დგას, ისევე როგორც დედამიწა ძველი აღმამანის წარმოდგენაში. ეს სამი ვეშაპია: ბროზა, პოეზია და დრამატურგია, სწორედ ღრუბლებივით უზარმაზარი, ავტორის მეტაფიზიკური წარმოდგენები გვაძლევენ ასე-თი შედარების ხმარების უფლებას. ეს წიგნი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ლი-ტერატურისმცოდნის მიერ საგულდაგულოდ გამაგრებული ბროზისა და პოეზიის საზღვარი არც ისე მყარია.

ამ წიგნის მთავარი გმირი აქაბია. «ყოველი ჩვენგანი აქაბიაო»,—ამბობს ავტორი. აქაბი ერთი შეხედვით მწუხარე სახის რაინდს გვაგო-ნებს, ბოროტებს ებრძვის და წამებული—ბედ-

ნიერია, როგორც ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ასეთი ბრძოლის გრანდიოზულობა უგრძენია. სწორედ ამიტომ ის საკვირველი ძალითა და ენ-ერგიით მუხტავს ყველას, ვინც კი მის გვერდი-თაა, რადგან თავისი ეკლიანი ფრთები მათ სულ-ში თავისუფლების ინსტინქტს აღვიძებს.

«მეველადერი, რაც გონებას აბნელებს და სტანჯავს, რაც დაშვნილი წყალს ამღვრავს და ადღეებს, ყველა მავნე და დამღუპველი ჰემმა-რიტება, ყველადერი, რაც ძარღვებს გუოწმავს და გონებას გვიფიტავს, ცხოვრებისა და აზრო-ვნების მთელი ეს უაზრო ორომტრიალი,—მთე-ლი ბოროტება გადარეული აქაბის წარმოდგენა-ში შურის საძიებლად ხელმისაწვდომი და ხი-ლული მოზი დიკის საშუალებით იქცა. ვეშაპის თეთრ კლზე დაანთხია მთელი თავისი ვაშაპე-ბა და სიძულვილი, რაც კაცთა მოღვმას იდა-მიანის დროიდან უგროვებია». მოზი დიკი—თე-თრი ვეშაპი—მშვენიერია, ძლიერი და დიდე-ბული, იმდენად იმქვეყნიური, თითქოს ამ წი-გნში პირდაპირ ჯოჯოხეთის ოკეანიდან შემოვარ-დნილიო. ის უფრო ღვთაებრივი ძალაა, ვიდრე სტიქიის ნაწილი და ამიტომაც აქაბის გიფურტი გზნება «იაკობის ღმერთთან ჰიდლის ჰგავს. თი-თქოს აქაბი ბიბლიური იონაცაა, წამიერი სი-სუსტის გამო საკუთარი თავი რომ შეზიზღე-ბია და ამ ზიზღის საშინელი ტვირთი ახლა მხო-ლოდ შურისძიებას თუ შეუძლია რომ მოამო-როს. მისი სხეული დარღს მარილივით გამოუხ-რავს, შერჩენია სული, რომელიც ახლა სხვა არ-ადერია თუ არა ვასატყორცნად შემართული ბა-რჯი—ალაბაა, კუშტი და მომაცდინებელი.

როზარდ კერინგტონი წიგნში «ზღვის ბიოგრა-ფია» წერს: «ცრუმორწმუნეობაზე დამყარებუ-

ლი არც ერთი სასწაული ისე არ აღდგებეს აღმამის წარმოდგენას, როგორც რეალური ცხოვრების სასწაულებიო“. „მოზი დიკი“ სწორედ ცხოვრებისეულ სასწაულებზე, აღამიანთა ტანჯვასა და სიდიადეზე მოგვითხრობს. ვანა მართლაც სასწაულებით არ ბრწყინავს ნახევრად გველურებული, გაწამებული აღამიანების სულიერი სინაზე. გაიხსენით თუნდაც კვუაზე შეშლილი ზანგი ბიუს პიპისა და აქაბის ამბავი. აი აქაბის სიტყვებიც: „აჰა, მოხბედეთ აქეთ და თქვენ იხილავთ, როგორ სტოვებენ ყოველმხილველი ღმერთები წამებულ აღამიანს და თქვენ იხილავთ, რომ აღამიანი, მიუხედავად თავისი სიკეთისა, მიუხედავად იმისა, რომ თავად არ უწყის არაა იქმს, მაინც აღსავსეა სიყვარულისა და მადლიერების ნეტარი ნიჭით. წაიადეთ! მე ეს შავი ხელი იმპერატორის ხელზე უფრო მეაძაყება“. ვანა ვინმეს დაიფიქრებდა სამი მეზარჯე: დეგუა, ქვიქვიკი, თემსტოგო. თემსტოგოს ზღვიდან ამოწვდილი ხელი, ჩაძირული ხომალდის ანძაზე დროშას რომ ამაგრებს!

გეოციკებს მეღვილის ასოციაციების მოულოდნელობა და სითამავე. მთელი ქვეყანა თითქოს ხელისგულზე ედოს და ზემოდან დასცქეროდეს. ის ყველაფერს ერთდროულად ხედავს—ჩრდილოეთის ოკეანის ყინულოვან სივრცეს და სამხრეთის ზღვების მოღისებურ ბიბინს.

სახისა თუ პასაჟის ხატვის შინაგანი ფსიქოლოგიური რეალობი უღერესად მკაფიოა. აი ვეშაპმონადირის სიზმარი: „მე მიხილავს ანგელოსთა გრძელი რაყები. იდგენენ ისინი სამოთხეში და ხელები სპერმაციტთან ჭურჭელში ეწყითა“. სხვა რა უნდა დავსიზმროს ვინაა ქონის მძიხებელს, რომელსაც ზღვა ენით აწერულ ტანჯვას აყენებს, თუ არა სამოთხისეული სამშვილდე და სპერმაციტით საყვ კასრი!

მეღვილის შედარება პოეტურია და შეიძლება ამიტომაც ზუსტი. ჭვილის, რომელსაც ვეშაპს სტყორცნიან „თასამამომულ მწვეარს“ აღარებს.

აი, ზღვაზე წამით ჩამოვარდნილი სიმშვილის სურათი:

„ახლა თბება გაჩაღებული და მთიბელებმა ახლადღაზინულ ბალახზე დაიძინეს“.

მეღვილის ფრაზა ტევადი და ემოციურია: „ვეშაპის სისხლი უფრო ცხელია, ვიდრე ბორჩნოს მცხოვრების სისხლი შუა ზაფხულში“.

ანდა: „მთელი ქალაქის გარშემო, როგორც მდუმარე გეშაგების საგუშაგოზე, ოკეანის ჭერტით თავდავიწყებულ მოკვდავთა ურიცხვი ურდო ღვას“.

საერთოდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდებული პროზა პოეტის ხელითაა დაწერილი. ამ წიგნის ყოველი შტრიხი ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვებითაა გაპირობებული:

„სასაბულო სანახავეა თავის ბატონთან ერთად მოსიერნი ვეშაპების ჰარამხანა. მალალი

წრის უსაქმურებოვით ისინი მუდამ ფაციფუტნი არიან და უქმად გამოედევნებიან ხოლმე ველგვარ სიახლეს“.

ამ წიგნის ქართულად მთარგმნელებს ნამდვილად დიდი შრომა გაუწევიათ. რაც მთავარია, წიგნი თანამედროვედ უნდას, დღევანდელი კაცის მიერაა თარგმნილი, ყოველგვარი ლიტერატურული მანქვა-გარეხის გარეშე. მსოფლიო ლიტერატურაში არ არსებობს არც ერთი ძველი თუ ახალი წიგნი, რომლის თარგმნაც დღევანდელი ქართველით არ შეიძლებოდა. ამ წიგნის ქართული ტექსტი კიდევ ერთხელ მიგვახიშნებს, თუ რა მდიდარია ჩვენი დღევანდელი ენა, მიგვანიშნებს-მთქი იმიტომ ვაბზობ, რომ, სამწუხაროდ, წიგნის ყველა ადგილი ერთნაირად არ ელერს. არის მთელი თავები, უზარმაზარი მონაკვეთები, სადაც ტექსტი თავისუფლად სუნთქავს. მაგრამ მათ გვერდით გვხვდება გაურბნად ფიქტურებით უხეში და შერატქილი მინასაველი გაუმჭვირვალე ადგილები. კარგია, რომ მთარგმნელები თამამად ხმარობენ უცხო სიტყვებს, განსაკუთრებით ისეთ ტერმინებს, რომელთა შესატყვისებზე ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ, ალბათ, ტექსტის ინერტიოთ ვალაღებულნი, კარგვენ სიფხისულეს და ვერ ამჩვენენ როგორ ევაზრებათ ასეთი ფრაზები:

„ორივე ვეშაპის სხეული კიჩოს გადაღმა, წყალში დარჩა, და ორი თავის სიმძიმით ტელში გადრეკილი ხომალდი ისე ირწყოდა წაღვლებზე, როგორც სასაბაღუნე გორი, რომელიც ძლივს მიჩაჭაქებდა ვატენილი ხურჯინის სიმძიმისაგან“ (გვ. 463).

„სულაც არ ვეჭრობდნენ ამგვარ ბუნდოვან მიზეზთა გამო ფიქტურტანათ იმში...“ (გვ. 274).

„ალბათ მისი დედოკო საინტერესო მდგომარეობაში მყოფი დაცურავდა...“ (გვ. 472).

„წინა ერდოზე სხვადასხვა მდგომარეობაში დგანან...“ (გვ. 254).

კარგი იქნებოდა, გამოცემლობას წიგნისთვის სარჩევით რომ დაერთო.

„მოზი დიკის“ თარგმნითა და გამოცემით ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდა. სასიამოვნოა, რომ გამოცემლობა „ნაკადულს“ საჭირო წიგნების გამოცემა უკვე ტრადიციად აქვს ქვეშელი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის ეგრეთწოდებული „საკითხავი“ წიგნი, რომელიც უტანური თავგადასავლებითა და ფაქტურაკებით ეგზოციკებს მკითხველს, თუმცა ამ წიგნს ფაქტურაკები არ აყლია. შეიძლება ავტორის ცოდნამ და ერდულიცამ შეაერთოს კიდევ მკითხველი, ზოგს შეიძლება სწორედ ამის გამო მოსაწყენადაც კი მოეჩვენოს იგი. მაგრამ მოთმინებით აღეჭურვილი ქართველი მკითხველი, ვინც ამ წიგნის მეტად ოსტატურად დახლართულ ლაბირინთს ბოლომდე ვაივლის, იმდენ რამეს ვაიგებს, იმდენ რამეს ეგრანობს, ისეთი უხეი ჩაეღვრება სულში, რომ თანათულად მაღლიერი დარჩება მთარგმნელებსა.

„ქიქნის“ ფოსტოვანი

გრიგოლ ზარდალიძე

პინ თქვა «ქიქნილ!»

1968 წლის № 5 „ციცქარში“ გამოქვეყნდა დავით გოგოჭუბურის წერილი „ადვილ ნუ იტყვიო“. ეს გახლავთ კრიტიკული განხილვა ჩვენი სტატიისა „ბევრით ვკობივარ სხვასაო“ (ვახუთი „თბილისი“, 1967 წ. 11 სექტემბერი). ჩვენს წერილში გამოთქმულია ფრიად მოკრძალებული მოსაზრება ერთ ხალხურ ლექსზე „თუში ვარ...“ ამ ლექსის შესახებ ზოგიერთი მოსაზრება გამოთქმეს მთის ფოლკლორის საუკეთესო მცოდნეებმაც. სწორედ ხალხის წარმომადგენლებს აქვთ უფლება, გარკვეული კორექტივი შეიტანონ ხალხურ ლექსში, მით უმეტეს, რომ ხშირად ადვილი აქვს ტექსტის დამატება-გამოკლება და დამახინჩებას.

დ. გოგოჭუბურის აზრით ლექსი „თუში ვარ...“ თუშური კი არა, ხევსურული წარმოშობის ყოფილა, თუმცა საამისო საბუთი მას არ გააჩნია. „საიდან სადაო, წმინდა საბაო“, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

მივყვით ფაქტებს. ჯერ ერთი, ჩვენს წერილში არსად არ არის ნათქვამი, რომ ლექსი თუშური წარმოშობისაა. „აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, თუშეთსა და ფშავეში ბოპულარულია ხალხური ლექსი „ბახტრიონის გმირებზე“, — ვწერთ ჩვენ. რად დისკირდა მეცნიერებმა კანდიდატს დ. გოგოჭურს ჩემთვის ასეთი ბრალდების წამოყენება? ალბათ ფიქრობდა, „გაღმა ვავედავებო, გამოღმა შემჩებაო“. სხვააირად ვერ ავხსნი თ ამ ფაქტს.

უცილობელი ფაქტია, რომ ლექსი ხალხურია, მაგრამ უფრო მეტად თუშეთში გავრცელებული. ეს ვსაბუთებთ. ბახტრიონით პირველ რიგში თუშები იყვნენ დაინტერესებულნი (საბოგრების გამო) ისინი იყვნენ ბრძოლის ინიციატორები და წამომწყებნი. ეს ძალიან კარგად ჩანს თვით პოემა „ბახტრიონიდან“ და ვაქვს წერი-

ლებიდან, ალბათ ამიტომ მიანიჭა ვეამ ერთგვარი უპირატესობა თუშებს.

სანათასთან საუბარში მგზავრი ამბობს:

დაჯარდნენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია.
პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის
ზეზვიანი საოკარია.

მე გამომგზავნეს საჩქაროდ
ფშავს და ხევსურეთს მზირადა...
...ვეშველეთ, ფშაველ-ხევსურნი,
ბარზე თათრები ხარობენ...
...ხევსურეთს მინდა ვადასვლა,
მეტი არ არის ჩარაო:
მიტანა უნდა იმ ამბავს,
რაც ზეზვამ დამაბარაო.

განა ნათელი არ არის რომ თავი და თავი თუშნი იყენენ? თათრები სწორედ მათ მიწაწყალზე პარპაშობდნენ და ამიტომ დახმარებისათვის ფშავესურეთ მიმართეს. მაგრამ ეს არ არის არსებითი. არსებითი ის არის, რომ ფშავეშიც არის ამ ლექსის ვარიანტი, თუმცა ხალხურმა თქმულებამ ბახტრიონის ბრძოლის არც ერთი გმირის სახელი არ შემოგვინახა. ყოველ შემთხვევაში, არც ერთ ლიტერატურულ წყაროში არ არის დადასტურებული ამ ლექსის ხევსურული წარმოშობა, ეს მოსაზრება მხოლოდ დ. გოგოჭურის ფანტაზიის ნაყოფია.

მეორე ბრალდება, რომელსაც დ. გოგოჭური გვიყენებს. „ბახტრიონის“ გმირებთან არის დავკავშირებული. ავტორი წერს, რომ მე „გვეფშაველას ფანტაზიით შექმნილ ბახტრიონის გმირებს მივუთითებ“ და რომ „ტენდენციური ინფორმაციებს წყალობით მკითხველი შეცდომაში შემყვანს და ზემირი ჭოგებით ვკამათობ ისიც ვაქვს წინააღმდეგ“. ჯერ ერთი,



ჩვენ ვეას კი არ ვეკამათებთ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ვეყარდნობით მას. კრიტიკოსმა რატომღაც ვერ შეამჩნია ჩვენს წერილში ვეას ნათქვამი. ამიტომაც იძულებული ვართ ვავიშვროთ იგი.

„ბახტრიონი, მავალითად, რამ დამაწერინა? რა მასალა მქონდა ხელთ? საიდან წარმოიშენენ პოემის გმირებს? ხალხური თქმულება დამწერლობით მასალას არავფერის იძლევა ბახტრიონის აღებისას, იმ დროის მებრძოლთა სახელებიც დეკარგულია, ვარდა ზეზვასი (თუშია)... ხოლო გმირები პოემის—ლუხუში, ხონარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, ვარდა ზეზვასი ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ ამით მივლით რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლებში და არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლას. ისინი გმირებად იხსენიებან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლებში, სხვა დროს“. ან კიდევ „ორივე გმირი სუმელჯი და სანათა მე შეურიე „ბახტრიონის“ გმირებში. სანათა როგორც ვენით, სიტყვით გამამხნევებელი დღაცი და სუმელჯი კი, როგორც თავისი ქვეყნისათვის მებრძოლი ვეყავი. კვირია და ლულა არიან საყუთარი ფანტაზიის ნაყოფი. იმათი ხსენება არც ქართულ ლექსში და არც ზეპირსიტყვიერებაში არსად მოიპოვება“.

მე მგონი კომენტარი ზედმეტია. დ. გოგოჭუერი მე მომაწერს იმას, რასაც თვით ვეყა სწერს, მაშინ ვინ ვეკამათება ვეყას, მე თუ პატიცემული კრიტიკოსი?

დ. გოგოჭუერი აღნიშნავს, ვეყა ჭერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც ილიამ 1885 წელს აღ. ყაზბეგისაგან ჩაიწერა ამ ლექსის ვარიანტი და ვეც ლექსი გამოაქვეყნენს „ივერიაში“ ა. ხახანაშვილმა და დ. ურბნელმა.

ნულთ ვეყამ არ იცოდა ილიას ჩანაწერები ან ხახანაშვილისა და ურბნელის სტატიები? იცოდა და სეკამოდ კარვადაც, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დ. გოგოჭურის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს:

1885 წ. ა. ხახანაშვილი წერილში („ივერია“ № 220 და არა 144, როგორც დ. გოგოჭურის ჭკონია), „ბახტრიონის აღება“ (თუშეთში ვეყოფილი) წერს, თუ როგორ შევიდნენ პირველნი თუშეთი ბახტრიონის ციხის ვალაყანში და როგორ დათალა პალეოტი ზეზვამ საფეხურებისათვის. ამას ადასტურებს თვით ვეყა:

თუშ შაიჭირვეს ძალიან,
კრემლით ატირდნენ ცხარითა.
თავით დაურქვეს დროშია
მისივე შუშის ტარითა

ახლა მოვესმინოთ დ. ურბნელს, რომელსაც დ. გოგოჭუერი იმოწმებს.

დ. ურბნელი „ივერიაში“ (1888 წ., № 228,) თავის წერილში „ზეზვა და ბახტრიონის აღება“ წერს: ლექსებიდან სჩანს, რომ ხალხს მარტო

ბახტრიონის აღება და თუშე ზეზვა ვაფორინდულის გმირობა დაუხსომებია. ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო... ხალხის მახსოვრობა უფრო დიდი მატინა და ეს არ უნდა დავივიწყოთ“. ამასთანავე, დ. ურბნელი აკრიტიკებს ა. ხახანაშვილს, მან სწორად ვერ ვაიგო საყუთი და ყურმოკრულ ამბებს იმოწმებსო. აღნიშნული ორი სტატია სწორედ ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაშთი კანტიცე არაა დამძრული ლექსის ხეცსართული წარმოშობის თობაზე და გინსაყუთრებით ხაზგასმულია თუშების როლი ბახტრიონის აღებაში. ვფიქრობთ, დ. გოგოჭური თავისი მცდარი დებულების დასამტკიცებლად არა სწორს ვზას დაადვა და შეცდომაში შეიყვანა მკითხველი.

ბრალდება მესამე. დ. გოგოჭური წერს: „ვისთვის ან რისთვის არის საკუთო ყველაფერი ეს, ვანა რა მწინველობა აქვს ვალავანზე გოგოჭური ვადაბტა, ხონარეული (უნდა იყოს ხონარეული) თუ ვაფორინდული. ისტორიული ფაქტი ხომ ის არის, რომ ისინი ყველანი ვადაფრინდნენ ვალავანზე“. აი თურმე რა აწუხებს დ. გოგოჭურს? ჭერ ერთი, ყველანი ერთად როგორ ვადაფრინდებოდნენ ვალავანზე, მეორე — თუ ისტორიული ფაქტია, მაშინ სინამდვილეს ნუ დავამახინჩებთ, მესამე და მთავარი — ვეყა, ხახანაშვილი, ურბნელი და ხალხური თქმულებით თუშებისა და მათი ბელადის ზეზვას სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

ბრალდება მეოთხე. დ. გოგოჭურს მიაჩნია, რომ ჩვენ ტენდენციური ინფორმაციები ვეყავედა, მათ შორის „ვიღაც ვეტყუვევ“. ეს ინფორმაციები ვახლავან აწ ვანსვენებელი რევაზ იჭირაული (85 წლის თუშე) მსეცვანი მონარდორ სამსონ ინაურბიძე, სოფელ ომალოს სეოლის ყოფილი დირექტორი აღ. ბახტარიშვილი და სატყუეო ინენიერი აბრამ ბართიშვილი. პატიცემულ კრიტიკოსს უნდა მოვასვენოთ, რომ სწორედ ეს არის ხალხი, ესენი არიან ხალხური პოეზიის უხადლო მცოდნენი, თუმეც არც ერთი მეცნიერებათა კანდიდატი არ არის.

დასასრულ ჩვენ ვწერთ, რომ „თუშებს, ისე როგორც ფშავ-ხევისურებს უწინ ვევათ ტანსაცმელი, რომელსაც ალავარს (ტალავერს) უწოდებდნენ“. დ. გოგოჭური ღია კარებს ამტერვეს და ვეკითხებებს, თითქოს ჩვენ ტალავარი თუშურ სიტყვად მივეჩინდეს. რა არის ეს, ფაქტების ვანებე დამახინჩება თუ ცილისწამება? ერთიც და მეორეც. ჩვენ უკვე ადარაფერს ვამბობთ კრიტიკოსის მკვახე, არამეგობრულ ტონზე. ერთი რამ კი ცხადია: დ. გოგოჭური რომ მეტო დავიწერებთ მოჰკიდებოდა საქმეს, გულისყურით წაეკითხა პოემა „ბახტრიონი“ და სხვა არსებული მასალები, მაშინ მას არც „ივერისი“ ნორბედა აერეოდა და არც ფაქტებს დამახინჩებდა.

კრიტიკა მხოლოდ მაშინ არის კარგი, როცა ის ობიექტურია, მართლაც — ადვილ ნუ სტყვიოთ!

უმჯობესება

აშშ

პოლ ნიუმანი:
„პოლიტიკური ამერიკელი
გაზიანი“

პოლიტიკური კინოგარსკე-
ლაგი პოლ ნიუმანი ამერიკის
შეერთებული შტატებ-
ის ხელისუფლების სხვა მო-
ღვაწეებთან ერთად პრო-
ტესტს აცხადებს ჯონსონის
პოლიტიკის წინააღმდეგ.
უწინააღმდეგოდ „პოლიტიკის“ კო-
რესპონდენტთან საუბარში
ნიუმანი განაცხადდა: „ვიე-
ტნამის ომი, ჩემი აზრით,
არა მარტო არაკანონიერია,
არამედ ამორალურიცაა.
ამდენი უღანაშაულო ხალ-
ხის დახოცვა აღმაშფოთე-
ბელია“.

უწინააღმდეგოდ კორესპონდენ-
ტმა რამდენიმე შეკითხვით
მიმართა მსახიობს:

„როგორც ცნობილია, მა-
რლონ ბრანდომ დაამთავ-
რა თავისი ბოლო ფილმი
და განაცხადა, რომ მთელი
თავის ენერჯიას მოახმარს
წანგების პრობლემის სა-
კითხს ამერიკის შეერთე-
ბულ შტატებში. რას იტყ-
ვით ამის შესახებ?“

„მე ვაპყობ მარლონ
ბრანდომს. მას სურს დაა-
მტკიცოს, რომ თეთრკანი-
ანები არა მარტო აღშფო-
თებულნი არიან წანგების
მდგომარეობით, არამედ
იბრძვიან კიდევაც მათი
მდგომარეობის გასაუმჯო-
ბესებლად“.

„თქვენ დაინტერესებული
ხართ წანგების პრობლე-
მით. მისი განხორციელებ-
ის რომელი გზა მიგაჩნე-
ათ უფრო ეფექტურად?“

„არსებობს ორი გზა —
კანონიერი, რომელმაც დი-
დი ხანია დაამტკიცა თავისი
უეფექტობა და გზა—რეა-
ლური, პრაქტიკული მოქ-
მედებისა. ახლა, როდესაც
16-დან 26 წლამდე ასაკის
წანგების 22 პროცენტი
უმუშევარია, მთავარი პრო-
ბლემაა მათი დაკმაყოფი-
ლება“.

„ჩემი აზრით, თქვენ
ამართლებთ ძალადობას
წანგების მხრიდან?“

„არა, მე არა ვარ ძალა-
დობის მომხრე, მაგრამ თუ
გადავხედავთ ამერიკის ის-
ტორიას, ყველა პოლიტი-
კური გამარჯვებას თან სდე-
ვდა ძალადობა. და დღეს
გაცდობით მეტი ფაქტებია
ძალადობისა, ვიდრე უწინ“.

„კინგის მკვლელობას
თქვენ მიაკუთვნებთ ამგვარ
რომში მემკვიდრეობის შედეგს?“

„რასაკვირველია. ეს
არის თეთრი რასიზმის შე-
დეგი, და ასეც რომ არ
იყოს, თუ ჩვენს ქვეყანაში
მკვლელობა გახდებდა პო-
ლიტიკური ბრძოლის მე-
თოდი, ეს იმას ნიშნავს,
რომ დადგა დრო გადავხე-
დეთ მთელი ჩვენ პოლიტი-
კური სისტემას“.

„თქვენთვის ცნობილია,
რომ სექს-ვარსკვლავად

გთვლიან. როგორ უყუ-
რებთ ამ ამბავს?“

„ჩემი სურვილია ყველამ
გაიგოს, რომ სხვა ღირსე-
ბებთან ერთად მე მაქვს
ქკუა, გრძნობა, ტალანტი,
პოლიტიკური შეხედულებ-
ები. ჩემი ოცნებაა მომი-
გონონ, როგორც თავმდა-
ბალი, პათიოსანი ადამიანი,
რომელიც ყოველთვის იყო
ადამიანებთან და ცდილო-
ბდა ხელი შეეწყო მათი
ურთიერთგაგებისათვის. ყო-
ველი ადამიანი უნდა
ისწრაფოდეს ამისკენ, ვს
ყველაზე მთავარია ცხოვ-
რებაში“.

ბრაზილია

ცნობილი

სურთომოდღვრის
წიგნი

გამოვიდა ცნობილი ბრა-
ზილიელი არქიტექტორის
ოსკარ ნიმიეირის წიგნი
„თითქმის მემუარები“. წი-
გნში მოთხრობილია ავტო-
რის ცხოვრებაზე, მუშაო-
ბაზე, ფიქრებზე, ადამიანებ-
თან ურთიერთობებზე.

სახელგანთქმული ხუროთ-
მომღვრის, ოსკარ ნიმიეი-
რის პროექტით აშენდა
ახალი დედაქალაქი ბრაზი-
ლია, საფრანგეთის კომუნი-
სტური პარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტის შენობა
პარიზში, ქალაქი გრასი-
სამხრეთ საფრანგეთში, გა-

ერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა ნიუ-იორკში, უნივერსიტეტი განაში და სხვა.

წიგნში ნიმიერი გულისხმივლით იგონებს ქალაქ ბრაზილიის აეროპორტის მეტად ორიგინალურ პროექტს, რომელიც დაიწუნეს, როგორც „კომუნისტური“, სამაგიეროდ მოიწონეს სხვა არქიტექტორის უცემოვნო პროექტი.

როგორც ბრაზილიის პრესა იტყობინება, ოსკარ ნიმიერის მემუარები მეტად საინტერესო წიგნია მეთხველთა სხვადასხვა ფენებისათვის.

ესპანეთი

იბაროლას კალაზ ცინიტი მშუპრებანი

როგორც პრესა იტყობინება, ფრანკისტულ ხელისუფალთ განზრახული აქვთ 12 წლით დააპატიმრონ ცნობილი ბასკი მხატვარი აგუსტინ იბაროლა და მისი ძმა ხოსე მარია. მათ წინააღმდეგ შედგენილია ყალბი, პროვოკაციული ბრალდება. თითქოს 1967 წლის მაისში ბილბაოს მცხოვრებთა ერთერთი დიდი მანიფესტაციის დროს, „ისინი თავს დაესხნენ პოლიციას“. ძმები დაიპირეს და გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს. მას შემდეგ პატიმრობაში იმყოფებიან. მხატვარი შეუპოვრად იბრძვის მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. 1947 წელს აგუსტინმა მოაწყო თავისი ნამუშევრების პირველი გამოფენა და სხვა მხატვრებთან ერთად ღიარა ბასკეთის ბერძნ სოფელი. თავის ნახატებში იგი გამოხატავდა უბრალო ადამიანების ცხოვრების ტრაგედიას. მიუხედავად მრავალჯერ და-

პატიმრებისა და წაშებისა, მხატვარი განაგრძობდა ბრძოლას. 1962 წლის სექტემბერში პოეტ ვრლანი დე ნიკოლასთან, ხოსე მარია იბაროლასა და სხვებთან ერთად აგუსტინ იბაროლას სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა ხანგრძლივი პატიმრობა. მხატვრის ნიერცხეში არალეგალურად შესრულებული ნახატები დიდი პოპულარობით სარგებლობდა — პარიზში, ლონდონში, ამსტერდამში, ბრიუსელში.

სოფლიო პროტესტის შედეგად იბაროლა გაათავისუფლეს პატიმრობიდან. ახალმა მუქარამ კვლავ აღაშფოთა ესპანეთი. პარიზში შეიქმნა მხატვრის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტეტი, რომელმაც შევიდნენ პიკასო, კარლოს ალვარესი, ანდრე მასონი, ბერნარ ბიუფე და სხვები.

ინგლისი

ვანესა რედგრევის ბიძაშვილები

ცნობილი ინგლისელი მსახიობი ვანესა რედგრევი, რომელსაც განსაკუთრებული პოპულარობა მოუპოვა ანტონიონის ფილმმა „ფოტოგადიდება“, გადაღებებთან დაკავშირებით აშუაშად იტალიაში იმყოფება. იტალიელი რეჟისორი ელიო პეტრი იღებს ფილმს „მუხდრო ადგილი სოფელში“, რომელშიც ვანესა რედგრევი მთავარ როლს ასრულებს.

არც თუ იც დიდი ხნის წინათ ლონდონში, ამერიკის შერთებული შტატების საელჩოს წინ გამართულ დემონსტრაციაში რედგრევიმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას ვიეტნამში, ამერიკის პრესა თავს

დაესხა მსახიობს. მიუხედავად დიდი მუქარისა, ვანესა კვლავ შეეცადა ჯრი გამოეთქვა ამერიკელთა აერესიანე ვიეტნამში იმ პრესკონფერენციაზე, რომელიც რომში თვითონ მოაწყო უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

„მე მინანია, — განაცხადა ვანესა რედგრევიმა. — რომ ჩვენ დროში ყოველი ადამიანის წმინდა მოვალეობა იბრძოლოს მშვიდობისა და მეგობრობისათვის. სწორედ ამ მიზეზით ვმოაწილეობდი ან კვლავაც მივიღებ მონაწილეობას ყველა იმ მანიფესტაციაში, რომლებიც ამ მიზანს ემსახურებიან. მე პროტესტს ვაცხადებ ყოველგვარი ომის წინააღმდეგ, ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, ჯონსონის პოლიტიკისა და ამერიკის შერთებული შტატების ჩარევის წინააღმდეგ მშვიდობიანი ქვეყნების საქმეებში. ეს სანტო-დომინგო იქნება, თუ ვიეტნამი.“

იმ ამერიკული კინოფორმის მფლობელებმა, რომელთაც ვანესა რედგრევის დადებული აქვს კონტრაქტი, და რომელიც აფინანსებს ფილმს „მუხდრო ადგილი სოფელში“, ურჩიეს მსახიობს გაჩუმებულიყო იმ მიზეზით, თითქოს მისი საქარო გამოსვლები ხელს უშლიდეს ფილმების პოპულარიზაციას.

სხვადასხვა მოსაზრებების გამო, კერძოდ იმის გამო, რომ ფილმში მონაწილეობს მისი ახლო მეგობარი, დამწყები მსახიობა ფრანკო ნერო და ვანესას არ უნდა ხელი შეუშალოს მის წარმატებას. მსახიობმა ვერ შეძლო კონფლიქტის გამწვავება და იძულებულია გაჩუმდეს. ყოველ შემთხვევაში თავი შეიკავოს მანამ, სანამ ვადა არ გაუვა ამერიკის შერთებული შტატების კინოფორმისთან დადებულ მის კონტრაქტს.

საბერძნეთი

ვასილის ვასილიკოსი
საფრანგულს ტრანსლაციის
შესახებ

ვასილის ვასილიკოსი შვი-
დი წიგნის ავტორია. იგი
ყველაზე ახალგაზრდა ლა-
ურეტია საბერძნეთში.
1961 წელს 28 წლის ვასი-
ლიკოსს მიენიჭა ლიტერა-
ტურული პრემია „თორმე-
ტა პრემია“. სამშობლო-
დან გაქცეული მწერალი
ამჟამად ცხოვრობს საფრა-
ნგეთში. საბერძნეთში მისი
გვარი „პოლიტიკურ დამ-
ნაშავეთა“ შავ სიაშია შე-
ტანილი.

საფრანგეთში ახლახან
გამოვიდა ვასილიკოსის
წიგნი „ტრილოგია“, რო-
მელშიც შესულია სამი პა-
ტარა რომანი: „მცენარე“,
„ქა“, და „ანგელოს ანგე-
ლიდისი“.

„ფიგარო ლიტერერის“
კორესპონდენტთან საუბა-

რში ვასილიკოსმა განაცხა-
და: „მართალია, ჩემს რო-
მანებში ბევრი ალეგორიაა,
მაგრამ ყველა ალეგორიის
ფუძე დღევანდელი საბერ-
ძნეთის სინამდვილეშია.
„თორმეტა პრემიას“ სა-
ბერძნეთში ახლა აღარავის
მიაკუთვნებენ, ვინაიდან
კანონი კრძალავს ხუთე
მეტი კაცის თავშეურას. ახ-
ლა წიგნებს წერენ პოლ-
კოვნიკები. სახელმწიფოში
ბატონობს თვითნებობა.
თუ თქვენს მოელვარე თვა-
ლებში ამოიკითხეს კომუ-
ნიზმის გამარჯვების იმედი,
შეიძლება დაგიპირონ კი-
დეც“.

მწერალს სწამს და
სჯერა ბერძენი ხალხის
ძლიერების, მისი გამარ-
ჯვების.

საფრანგეთი

პოლ ელუარი

მიმდინარე წელს საფრა-
ნგეთში პირველად გამოვი-

და პოეტი კომუნისტის,
პოლ ელუარის ლექსებზე
სრული კრებული ორ ტო-
მად. წიგნში შესული ლექ-
სები დათარიღებულია 1918
წლიდან 1952 წლამდე.

პოეტის მეგობარი ლუ-
სინ შელერი ექვსი წლის
განმავლობაში მუშაობდა
ამ კრებულზე. გაზეთ
„ლუმინიტი“ შელერი
წერდა: „მე ვცდილობდა
ყველა ისტორიული და
ლიტერატურული ფაქტი
აღმედგინა, რათა ლექსები-
სათვის თავ-თავისი ადგი-
ლი მიმეჩინა. ელუარის
მთელი პოეზია გამსჭვალუ-
ლია თავისებური, განუ-
მეორებელი სიმღიერით“.

„ლეტრ ფრანსეზის“ მი-
მომხილველი წერდა: „მკი-
თხველები დიდი ხანია
ელოდნენ ელუარის თხზუ-
ლებათა სრული კრებუ-
ლის გამოცემას. ეს ორი
ტომი დიდად შეუწყობს
ხელს ელუარის შემოქმე-
დების შესწავლას“.

ქურნალი გააფორმა დ. ზარაფიშვილმა

ვ. ი. ლენინი. ლინოგრაფიურა ა. კალაშნიკოვისა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუხანოვის პარკი. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის,
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/X-68 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა
რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 34.77. უე 02539. ტირ. 16.900.

საქ. კ კვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატო. თბილისი, ლენინის 14.

6 26/193



ՅՆՆՈ ԵՈ ԿԿԿ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«М Е Р А Н И»
ИНДЕКС 76236